

საერო მწერლობის აღმოცენება და განვითარება

ძველი ქართული მწერლობის კლასიკურ პერიოდად ითვლება მთელი XII საუკუნისა და XIII საუკუნის პირველი მეოთხედის მწერლობა. ამ მწერლობის წინსვლა ჯერ ძლიერ შეაფერხა და შემდეგ ერთგვარად ჩაკლა მონღოლთა ბატონობამ საქართველოში.

კლასიკური პერიოდის ქართული მწერლობის ყველაზე უფრო მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს საერო მიმართულების აღმოცენება და მისი სწრაფი გაფურჩქვნა. როგორც, ცნობილია, V - XI საუკუნეების ქართულ მწერლობას ჰქონდა სასულიერო-საეკლესიო (საქრისტიანო) ხასიათი. ქრისტიანული ეკლესია უარყოფდა ამქვეყნიურ სინამდვილეს, ადამიანის დანიშნულებას ის ხედავდა მხოლოდ საიმქვეყნო ცხოვრებაში. სასულიერო-საეკლესიო მწერლობის განსაზღვრებით, რეალური, მატერიალური, ანუ "ხილული" ქვეყანა არა-არსია, "აჩრდილია და წარმავალი" "ჟამიერი და განქარვებადი". ნამდვილია ("არსია"), "ცხოველი" და მარადიული "საიქიო" ქვეყანა და "საიქიო" ცხოვრება. "არსი იგი მერმე იგი სოფელი არს და არა-არსი - სოფელი ესე", - ვკითხულობთ ბალავარიანში.^[1] ადამიანის საიმქვეყნო ცხოვრებას ქრისტიანობა განიხილავს როგორც საიმქვეყნო ცხოვრების შემამზადებელ საფეხურს, ამიტომაც უარყოფს მის (საიმქვეყნო ცხოვრების) თვითღირებულებას. საქრისტიანო მოძღვრებით, ადამიანმა უნდა შეიძულოს წუთისოფელი, ჩაიხშოს და ჩაიკლას მიწიერი, ბუნებრივი ვნებები, სხეული გასტანჯოს და სიკვდილი მოიახლოოს, რომ ამით სულს მისცეს შვება და საიმქვეყნო ნეტარება დაიმსახუროს. "სიყუარული ხორცთაი მტერობაი არს მღვთისაიო", - აცხადებდა საქრისტიანო ეკლესია. ასკეტიზმის ამ მორალითაა ძირითადად გამსჭვალული მთელი საქრისტიანო ლიტერატურა, კერძოდ, V - XI საუკუნეების ქართული მწერლობა.

სულ სხვა პრინციპულ ნიადაგზე იდგა ქართული საერო მწერლობა. ეს მწერლობა ცნობდა ამქვეყნიურ, მატერიალურ სამყაროს, აღიარებდა ადამიანის ამქვეყნიური ცხოვრების თვითღირებულებას, ასახავდა ადამიანის ცხოვრების სინამდვილეს, ქმნიდა ადამიანის საიმქვეყნო იდეალებს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ქართული საერო ლიტერატურის განვითარება მიმდინარეობდა ჰუმანისტურ საფუძველზე.

საერო მწერლობის აღმოცენება-განვითარების საკითხები ყოველთვის იპყრობდა ქართული სულიერი კულტურის მკვლევართა შეუწელებელ ყურადღებას. სპეციალური წერილები მიუძღვნა მას ნ. მარმა. ჯერ კიდევ 1899 წელს მან გამოაქვეყნა ცნობილი ნარკვევი «Возникновение и расцвет древнегрузинской светской литературы»^[2]. ეს ნარკვევი წარმოადგენდა მარის ცალკეული გამოკვლევებით მიღებული შედეგების შეჯამებას და თეორიულ განზოგადებას. აქ თანმიმდევრულად განვითარებულია თვალსაზრისი უცხოური შემოქმედებითი ძეგლების გადაძვევებულ მნიშვნელობაზე ქართული ლიტერატურის განვითარების საქმეში. ქართული სასულიერო-საეკლესიო მწერლობის მასაზრდოებელ წყაროდ ნ. მარი თვლიდა ბიზანტიურ მწერლობას. საერო მწერლობის აღმოცენებასა და განვითარებას კი მხოლოდ და მხოლოდ სპარსულის გავლენით ხსნიდა. «В памятниках

древнегрузинской светской литературы, даже периода так называемого Золотого века, мы имеем продукты всепоглощающего персидского влияния», - ასკვნიდა მკვლევარი.^[3] ლიტერატურის გავლენის შესაძლებლობას, ნ. მარის ვარაუდით, აპირობებდა სპარსეთისა და საქართველოს პოლიტიკურად დაახლოება, ერთი მხრივ, და სპარსული ლიტერატურის ცენტრების შირვანსა და რანში გადმონაცვლება, მეორე მხრივ. ქართული საერო მწერლობის წარმოშობის დროდ ნ. მარი თვლიდა XII საუკუნის დასაწყისს, უკიდურეს შემთხვევაში XI საუკუნის ბოლოს (გვ. 239-240). XI საუკუნის ბოლოსა და მეთორმეტის დასაწყისში აღმოცენებული საერო მწერლობა ვითარდება დაახლოებით ერთი საუკუნის მანძილზე და დაუყოვნებლივ წყდება მისი განვითარება მონღოლების შემოსევასთან ერთად (გვ. 232). ქართული საერო ლიტერატურის აღორძინება იწყება XVI საუკუნის დასაბამიდან სპარსეთში სეფევიდების ხელისუფლების დამყარების შედეგად (გვ. 232-233). ერთი სიტყვით, ნ. მარის მოსაზრებით, თითქოს სპარსეთი და მისი მწერლობა წარმართავდა ქართული ლიტერატურის ბედს, თითქოს სპარსეთის პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების პერიპეტიები განმსაზღვრელ გავლენას ახდენდა ქართული საერო ლიტერატურის აღმოცენებასა, დაცემასა და აღორძინებაზე. ქართული საერო ლიტერატურის ჩასახვა-განვითარებიდან ნ. მარი მაშინ გამორიცხავდა ხალხური სიტყვიერების მნიშვნელობას.

ქართულზე სპარსული კულტურის წამლექავი გავლენის მნიშვნელობა ნ. მარმა შემდეგ საგრძნობლად შეარბილა, ერთგვარად უარყო კიდევაც, თუმცა არსებითად იგი მაინც არ შელევია თავის ძველ თეორიას. 1917 წელს ნ. მარი აცხადებდა: "ჩემი თეორია ქართული საერო ლიტერატურის სპარსული ლიტერატურის გავლენის შედეგად წარმოშობისა და განვითარების შესახებ... მოძველდა. მე ვფიქრობ, რომ ის საჭიროებს შესწორებასა და შევსებას".^[4] ამ "შესწორებისა და შევსების" მიზნით 1925 წელს ნ. მარმა კიდევ უფრო გააფართოვა ქართულ ლიტერატურაზე უცხოურ ლიტერატურათა გავლენის წრე. ამ დროისათვის მან სპარსულ გავლენას მიუმატა თურქული გავლენა, რის გამოც "აუცილებელი გახდაო კერძოდ ქართული ლიტერატურის აღორძინების წყაროების საკითხის გადასინჯვა".^[5] მკვლევარ იუსტინე აბულაძის დაკვირვებებიდან ქართულ "როსტომიანზე" ნ. მარმა განსაკუთრებით სასიამოვნოდ მიიჩნია აღორძინების პერიოდის ქართულ მწერლობაზე ვითომც თურქული ლიტერატურის გავლენის ფაქტების დადასტურება.^[6]

ნ. მარმა 1917 წლის ნაშრომში, რომელშიც თავისი ძველი შეხედულების დრომოჭმულობა აღიარა, წამოაყენა "ახალი ისტორიულ-კულტურული" თეორია. ამ თეორიის მიხედვით, სამხრეთ საქართველოს, მესხეთის, მუსლიმანიზაციის პროცესის დასაწყის პერიოდში, XIV საუკუნეში, თითქოს ეს მხარე აღწევს კულტურულად დაწინაურების მაღალ საფეხურს და თითქოს სწორედ აქ და ამ დროს შეიქმნა ქართული პოეზიის სწორუპოვარი გვირგვინი, შოთა რუსთველის "ვეფხისტყაოსანი". ახალმა თეორიამ მოითხოვა გადასინჯული ყოფილიყო საქართველოში მონღოლთა ბატონობის ხასიათის საკითხი. ნ. მარი გაემიჯნა თავის ადრინდელ წარმოდგენას მონღოლთა ხანაზე, როდესაც, მისივე სიტყვებით, ამ ბარბაროსი დამპყრობლების ძალმომრეობამ "თანდათანობით გააუქმა ქართველთა მთელი კულტურული მუშაობა, ადგავა პირისაგან მიწისა მისი დიდი შედეგები და საქართველო შედარებით პირველყოფილ მდგომარეობაში დააბრუნა".^[7] ახალი თეორიით, მონღოლთა ხანა ემთხვევა ქართული კულტურის გაფურჩქვნის ხანას.

გარდა "ვეფხისტყაოსნისა", თითქოს ამ დროს ჩამოყალიბდა "თამარიანის" ზოგიერთი ნაწილი, კერძოდ, ე. წ. ელეგიები^[8], და ამ დროსვე (უფრო ზუსტად XIII საუკუნეში) შემუშავდა "ვისრამიანის" ქართული რედაქცია^[9]. ერთი სიტყვით, XIII-XIV საუკუნეების მანძილზე შექმნილა ძველი ქართული საერო მწერლობის უმნიშვნელოვანესი ძეგლები. ყოველივე ამით ნ. მარმა ძირი გამოუთხარა ქართული საერო მწერლობის აღმოცენება-განვითარების მთელ თავის თეორიას, კერძოდ, ქართული საერო მწერლობის აღმოცენების თ ა რ ი დ ი ს ს ა კ ი თ ხ ს.

1928 წ. ფრანგულად გამოქვეყნებულ ნაშრომში "ქართული ენა"^[10] ნ. მარმა აღიარა, რომ მისი თეორია ნასესხობისა და ქართული კულტურისთვის უცხოური შემოქმედებითი ძალების მნიშვნელობისა ჩავარდა თუ დაირღვაო. ერთი წლის შემდეგ იმავე სათაურით ("ქართული ენა") გერმანულ ენაზე მან კვლავ გამოაქვეყნა ნაშრომი, რომელშიც გაკვირვებით ეხება ქართული საერო მწერლობის აღმოცენების პრინციპულ საკითხს^[11]. ახალი თვალსაზრისით, ძველი ქართული საერო მწერლობა იმ სალიტერატურო ინტერესების გამოცოცხლება თუ აღორძინებაა, რაც პრეჟისტიანული, წარმართული ქართული პოეზიისთვის შეადგენდაო. მუსლიმანურმა სამყარომ, სპარსულმა და არაბულმა ამ შემთხვევაში, ის როლი შეასრულეს, რაც ევროპული რენესანსის მიმართ ანტიკურმა სამყარომ ითამაშაო. სამეცნიერო მოღვაწეობის ბოლო ხანებში ნ. მარი ყოველგვარი ნასესხობისა და ლიტერატურული გავლენის შესაძლებლობის წინააღმდეგ ილაშქრებდა. ამ მხრივ უფრო შორს მიდიოდნენ მისი სკოლის წარმომადგენლები.

ნ. მარის ადრინდელ თეორიას ქართული საერო მწერლობის სპარსული ლიტერატურის ზეგავლენით წარმოშობის შესახებ ახლა აღარავინ იზიარებს (ამ თეორიას თავის დროზე ბევრი მიმდევარი ჰყავდა). სადავო არ არის, რომ ისეთი დიდი მასშტაბის მოვლენა, როგორცაა ქართული საერო მხატვრული მწერლობის წარმოშობა, არ შეიძლება უცხოური გავლენით აიხსნას. საჭირო ისტორიული პირობების მომწიფების გარეშე ყოველთვის შეუძლებელი იქნებოდა ახალი ლიტერატურული მიმდინარეობის აღმოცენება და მისი წარმატებანი ეროვნულ ნიადაგზე. მეორე მხრივ, XII საუკუნის განათლებული ფეოდალური საზოგადოების დახვეწილი ლიტერატურული გემოვნება და ლიტერატურული ინტერესები უთუოდ სხვაგვარი უნდა ყოფილიყო, ვიდრე გვაროვნული დროის (პრეჟისტიანული ხანის) ქართველი საზოგადოების სალიტერატურო ინტერესები. რაც შეეხება წარმართულ ხალხურ პოეზიას, ეჭვი არაა, ამ პოეზიამ გავლენა მოახდინა როგორც სასულიერო-საეკლესიო, ისე, და განსაკუთრებით, საერო მწერლობაზე. ეს მით უფრო საფიქრებელია, რომ ძველ საქართველოში ფართოდ გავრცელებული და პოპულარული ყოფილა საგმირო-ეპიკური სახალხო თქმულებანი. ამისი ნაკვალევი აღბეჭდილია ქართულსა და სომხურ საისტორიო მწერლობაში (ლეონტი მროველის, ჯუანშერის, მოსე ხორენელისა და გრიგოლ მაგისტროსის თხზულებებში). მწიგნობრულმა ლიტერატურამ ფართოდ გამოიყენა მდიდარი ქართული ფოლკლორის ფორმაც (მაგალითად, შაირის მეტრი) და შინაარსიც (მაგალითად, ეპიკური თქმულებანი, სატრფიალო ლირიკა). ერთი სიტყვით, ფოლკლორული წყაროს როლი ქართული საერო მწერლობის განაყოფიერების მხრივ არამც და არამც არ არის გამოსარიცხავი, მაგრამ თუ ფოლკლორის შეუფასებლობა უმართებულო იქნებოდა, ასევე უმართებულოა მისი გადაჭარბებული შეფასებაც.

ნ. მარის ახალ თეორიას ქართული საერო მწერლობის აღმოცენების თაობაზე ენათესავება მკვლევარ პ. ინგოროყვას თვალსაზრისი. იგი ამბობს: "ქართულს ლიტერატურისმცოდნეობაში დღემდე გაბატონებულია შეხედულება, რომელიც

ლიტერატურის განვითარებას ასე წარმოგვიდგენს: ქრისტიანული სასულიერო მწერლობა უფრო ადრინდელია და ქრონოლოგიურად წინ უსწრებდა საერო მხატვრული მწერლობის წარმოშობას; ქრისტიანული სასულიერო მწერლობა ერთგვარი მოსამზადებელი პერიოდი იყო საერო მხატვრული მწერლობისათვის, და რომ შემდეგ, სასულიერო მწერლობის მიერ გაპოხიერებულ ნიადაგზე, წარმოიშვა და განვითარდა ქართული საერო მხატვრული მწერლობა. მაგრამ ეს შეხედულება, როგორც ჩანს, არ შეეფერება სინამდვილესო”^[12]კ. ინგოროყვას სიტყვით, "არც ბიზანტიაში, და არც ახლო აღმოსავლეთის სხვა ქრისტიანულ ქვეყნებში, ჩვენ არ გვაქვს საშუალო-საუკუნეებში საერო მხატვრული მწერლობა იმ რანგისა და მასშტაბისა, რასაც ქართულს ლიტერატურაში ვხედავთ".^[13] ახლო აღმოსავლეთის ქრისტიანულ ქვეყნებზე მკვლევარი გულისხმობს, უპირველეს ყოვლისა, სირიასა და სომხეთს. არც სირიელებს და არც სომხებს "არ ჰქონდათ საშუალო-საუკუნეთა განმავლობაში საერო მხატვრული ლიტერატურა ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობითო" (გვ. 2). ქართული საერო მწერლობის აღმოცენებას მკვლევარი უწოდებს "უცნაურ გამონაკლისს". ხოლო ეს "უცნაური გამონაკლისი" იმით უნდა აიხსნას, რომ სხვა ხალხებისგან განსხვავებით, "ქართულ ენაზე", ქრისტიანობის საბოლოო გაბატონებამდე უკვე არსებულა ძველი საერო მწერლობა, რომელსაც იმდენად ძლიერი ტრადიციები და ღრმა ფესვები ჰქონია, რომ მისი აღმოფხვრა და მისი განვითარების საბოლოო შეფერხება ვერ შესძლო უფრო გვიან ხანაში გადმონერგილმა ქრისტიანულმა მწერლობამო" (გვ. 4).

პ. ინგოროყვას მოსაზრებათა გამო უნდა შევნიშნოთ, რომ თუ საერო მხატვრული მწერლობის წარმოშობისათვის საქართველოში საკმაო აღმოჩნდა ადრინდელი ძლიერი ლიტერატურული ტრადიციების არსებობა, მაშინ საერო მხატვრული მწერლობის აღმოცენება და აყვავება გაცილებით უფრო იყო მოსალოდნელი ბიზანტიაში, ვიდრე მის სხვა რომელიმე მეზობელ ქვეყანაში. პრექრისტიანული პერიოდის საერო ლიტერატურის ტრადიციებით ბიზანტია ყველას უსწრებს.

ნ. მარისა და პ. ინგოროყვას შეხედულებათა შენაერთს წარმოადგენს გ. სოსელიას მოსაზრებანი ქართული საერო მხატვრული მწერლობის აღმოცენებაზე და ამ მწერლობის ხასიათის ჩამოყალიბებაზე. გ. სოსელიას მოსაზრებით, სხვადასხვა მიზეზის გამო თითქოს ძლიერ ნელი ტემპით მიმდინარეობდა საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარება, თითქოს ამ ნიადაგზე მოხდა ქართველ ხალხში პირველყოფილ-თემური წყობილების "გადმონაშთებისა" და შესაფერისი "ტრადიციების" "კონსერვირება"^[14]. ამ ტრადიციებს "ცხოველმყოფელი ძალა" გამოუჩენია და არსებითად მას განუსაზღვრავს XI-XII საუკუნეთა საერო მხატვრული მწერლობის "არსებობა" და მისი "ძლევამოსილება". გ. სოსელიას დასკვნითი დებულებაა: "ფეოდალური საზოგადოების სუსტი ტემპით განვითარება საქართველოში და მასთან დაკავშირებული პირველყოფილ-თემური საზოგადოების ტრადიციების კონსერვირება, ამ ტრადიციების ცხოველი ძალა წარმოადგენს იმ ფაქტორს, რომელიც განსაზღვრავს, კერძოდ, ისეთს სპეციფიკურ მოვლენას საქართველოში, როგორც არის აქ XI-XIII საუკუნეებში, განსხვავებით სხვა ქრისტიანულ ქვეყნებთან, მწერლობაში საერო საწყისის ძლევამოსილება-ბატონობა, განვითარებული საერო მხატვრული ლიტერატურის არსებობა".^[15] ამრიგად, საქართველოს საზოგადოებრივი განვითარების ჩამორჩენილობას, პირველყოფილი თემური წყობილების პრიმიტიული ყოფის ტრადიციათა განუვითარებლად კონსერვირებას განუსაზღვრავს "განვითარებული საერო მხატვრული მწერლობა".

გ. სოსელიას მთელი მსჯელობა ემყარება ვულგარულ სოციოლოგიურ სქემებსა და საქართველოს საზოგადოებრივი განვითარების აშკარად ტენდენციურ და მცდარ კონცეფციას. რა თქმა უნდა, ქართული მწერლობა თავისი განვითარების მთელ მანძილზე ქართველი ხალხის ზნეობრივი ცხოვრების საუკეთესო ტრადიციებს ემყარებოდა, ასახავდა და ნერგავდა ამ ტრადიციებს, მაგრამ უცნაური იქნებოდა XII საუკუნის ქართველი საზოგადოების დიდად განვითარებული სულიერი ცხოვრების მასულდგმულელებელ წყაროდ პირველყოფილ-თემური წყობილების ტრადიციათა გადმონაშთები მიგვეჩნია, მაშინ როდესაც ხალხის სულიერი ცხოვრების ხასიათს, საბოლოო ანგარიშით მაინც, ამ ხალხის მატერიალური ყოფა განსაზღვრავს.

თავისებურად აქვს გააზრებული სასულიერო-საეკლესიო და საერო მწერლობათა ურთიერთდამოკიდებულების ისტორია აკად. შ. ნუცუბიძეს, აღმოსავლეთისა და ქართული რენესანსის თეორიის ავტორს. ქართული რენესანსი შ. ნუცუბიძეს წარმოდგენილი აქვს, როგორც საფეხურებრივი განვითარება მე-11 საუკუნიდან მე-13-მდე, მოსე ხონელიდან შოთა რუსთველამდე. ეს თვალსაზრისი ემყარება ცნობილ ფსევდორუსთველურ სტროფს:

ამირან დარეჯანისმე მოსეს უქია ხონელსა,
აბდულმესია - შავთელსა, ლექსი მას უქეს რომელსა,
დილარგე - სარგის თმოგველსა, მას ენა-დაუმრომელსა,
ტარიელ - მისსა რუსთველსა, მისთვის ცრემლ-ეუმრომელსა.

მოყვანილი ტექსტის ანალიზი შ. ნუცუბიძეს აფიქრებინებს, თითქოს მოსე ხობელი მსგავსად შავთელისა, რუსთველისა (და სარგის თმოგველისა) იყო პოეტი (უქია ნიშნავს ლექსად შემკობასო), რომელსაც მე-11 საუკუნის ბოლოს შაირის სალექსო ფორმით დაუმუშავებია ძველი ქართული მითოლოგიური თქმულება ამირანზე. რუსთველს თავისი პოემა დაუსახავს იმ ახალი ჟანრის გაგრძელებად, რომელიც მოსე ხონელმა შემოიღო. შ. ნუცუბიძე ამტკიცებს, რომ ძველი ქართული ლიტერატურა, კერძოდ, პოეზია, ვითარდებოდა ხალხური საწყისებისა და საეკლესიო-მწიგნობრული ტრადიციების მწვავე ბრძოლის ვითარებაში. "შაირის ხალხურობა იყო სიმბოლო საერო განწყობილებისაო", შაირის წინააღმდეგ ბრძოლა ჰქონია გაჩაღებული საეკლესიო-მწიგნობრულ წრეებს. მოსე ხონელს, რომელსაც დაუმუშავებია, უკეთ, განუახლებია ხალხური თქმულება, შესაფერისად გამოუყენებია ხალხური სალექსო ზომა - შაირი. ეს ფორმა შემდეგ მისაბაძი გამხდარა საერო მიმართულების პოეტებისთვის. მოსე ხონელის გზით წასულა ნაწილობრივ ჩახრუხაძე (თამარიანის ავტორი), ხოლო მთლიანად შოთა რუსთველი. ადრინდელი ბრძოლა სასულიერო-საეკლესიო და საერო მიმართულებათა შორის დამთავრებულა ხალხურობის, მოსე ხონელის სალიტერატურო ანდერძის გამარჯვებით. "ეს სიმართლე მინდობილი ჰქონდა საუკუნეებს, დადგა დრო ამისი გაგებისა და შეთვისებისაო". მოსე ხონელის პოემას ჩვენს დრომდის არ მოუღწევია, ის თურმე ადრე დაკარგულა, იქნებ ეკლესიურ-კლერიკალური საზოგადოების ბრძოლის შედეგადო. სამაგიეროდ მოსე ხონელის საგულგებელი პოემა საფუძვლად დასდებია ჩვენთვის კარგად ცნობილ პროზაულ "ამირანდარეჯანიანს". მეორე მხრით, პოემის ზოგიერთი ნაწილი შერევა ზეპირ თქმულებებს, რომლებიც დღემდის შერჩენია ხალხის მეხსიერებას. ასე რომ, მოსე ხონელის ამირანი მთლად უკვალოდ არ გამქრალაო.

შაირის მეტრის შემოღებას ქართულ პოეზიაში, როგორც აღვნიშნეთ, შ. ნუცუბიძე უკავშირებს ხალხური სტიქიის შეჭრას მწიგნობრობაში. შაირის დამკვიდრებას შეუპირობებია ხალხური საწყისების გამარჯვება მწერლობაში. ამრიგად, ბრძოლის წამომწყებიც და მომგებიც ყოფილა უცნობი პოეტი მოსე ხონელი.^[16]

შ. ნუცუბიძის შეხედულებანი იწვევს ცილობას. დავიწყოთ იქიდან, რომ "ვეფხისტყაოსნის" მინაწერი "ამირან დარეჯანის ძე მოსეს უქია ხონელსა" ფსევდორუსთველურია (და არა რუსთველის მიერ შეთხზული). არ ჩანს, რომ ოდესმე არსებობდა პოეტი მოსე ხონელი და მისი პოემა ამირანი. ქართული ლიტერატურის ისტორიაში არ შეიმჩნევა ბრძოლის ის ნაკვაღევი, რომლის თაობაზედაც მოგვითხრობს მკვლევარი. თვითონ შ. ნუცუბიძის მოწმობითაც შაირის მეტრით უწერია ჯერ კიდევ მე-10 საუკუნის საეკლესიო მწერალს იოვანე-ზოსიმეს. იმის ლექსს აკლია ტექნიკური სრულყოფილობა, იოვანე-ზოსიმეს შაირს არ აქვს კარგი რითმები, "რაც მოხერხებისა და ნიჭის საქმეა და არა პრინციპისო", სრულიად სამართლიანად ამბობს შ. ნუცუბიძე. მაშასადამე, პრინციპულად ქართული საეკლესიო მწიგნობრული ლიტერატურა პირველი იყენებს შაირის მეტრს. შაირის ზომაზეა აგებული ფილიპეს საგალობელიც (მე-10 საუკ.). საგულისხმო ისაა, რომ სრულქმნილი შაირის ლექსი შეუთხზავს თვითონ "საეკლესიო-დოგმატიკური მიმართულების მეთაურს" (შ. ნუცუბიძის ფორმულა) არსენ იყალთოელს (მე-11-12 საუკ.). დაუსაბუთებელია, თითქოს ეკლესიური მწიგნობრობა ებრძოდა შაირს და ეს სალექსო საზომი ქართულ პოეზიაში მოსე ხონელმა დაამკვიდრა. მოსე ხონელის საკითხს შ. ნუცუბიძე თვლის ქართული რენესანსის პრობლემის გასაღებად. ამდენადვე ჩვენ არადაამარწმუნებლად გვეჩვენება შ. ნუცუბიძის მოსაზრებანი როგორც შაირის მეტრის მწიგნობრულ პოეზიაში შემოჭრის გზების, ისე ქართული რენესანსის ნიადაგის შემზადების შესახებ.^[17]

ქართული საერო მხატვრული მწერლობის აღმოცენების თაობაზე არსებობს სხვა, შედარებით ნაკლებად ანგარიშგასაწევი შეხედულებანი, რომელთაც აქ აღარ ვეხებით.

ქართული მატერიალური და სულიერი კულტურა უაღრესად ორიგინალურია, გაპოხიერებული და განვითარებული ეროვნულ-ხალხურ ნიადაგზე. რასაკვირველია, ეს ოდნავადაც არ ნიშნავს იმას, რომ საქართველო განკერძოებული იყო ან კარჩაკეტილი და მოწყვეტილი მეზობელი ხალხების კულტურულ ცხოვრებასთან ურთიერთობას. მთელი თავისი ისტორიული ცხოვრების მანძილზე ქართველობას მეტად მჭიდრო და ცხოველი კულტურული ურთიერთობა ჰქონდა გაბმული როგორც ერთმორწმუნე, ისე სხვა სარწმუნოების აღმსარებელ ხალხებთან. სარწმუნოებრივი განსხვავება გადამწყვეტ გავლენას ვერ ახდენდა პოლიტიკურ-ეკონომიური თუ კულტურული თანამშრომლობის ვითარებაზე. მოსწრებულად ამბობდა ნიკოლოზ ბარათაშვილი, სახელმწიფოთა შორის "სჯულის ერთობა არარას არგებს, ოდეს თვისება ერთა მათ შორის სხვადასხვაობდეს". მაგრამ ისიც უდავოა, რომ სარწმუნოებრივი ერთიანობა (მაგ., ქრისტიან ბერძნებთან, სირიელებთან, სომხებთან) ხელს უწყობდა კულტურულ თანამშრომლობას.

ქართული საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების სტრუქტურა, როგორც ვთქვით, საუკუნეების განმავლობაში აპირობებდა საეკლესიო-ქრისტიანული იდეოლოგიის სრულ ბატონობას საზოგადოებრივ აზროვნებასა და მწერლობაში. V - XI საუკუნეების მანძილზე შეუწელებელი ძალით ვითარდებოდა ქართული სასულიერო-საეკლესიო მწერლობა. წარმატებებიც დიდი მოიპოვა. ძველი

ქართული სასულიერო-საეკლესიო ლიტერატურა მეტად მდიდარია და მრავალფეროვანი თავისი დარგებით, შინაარსით, ფორმით (მათ შორის სალექსო ფორმებითაც). განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ სასულიერო-საეკლესიო მწერლობის ნიადაგზე ჩამოყალიბდა, დაიხვეწა და ჩამოიქნა ქართული ლიტერატურული ენა.

სრულიად ბუნებრივად სასულიერო-საეკლესიო ლიტერატურა ჰქმნიდა საიმქვეყნო, ირეალური და მისტიკური ცხოვრების იდეალებს, იგი დაუნდობლად ებრძოდა ყოველივე ამქვეყნიურს, მიწიერსა და ხორციელს, ნამდვილად ბუნებრივსა და ადამიანურს. ამისდა მიუხედავად სასულიერო ლიტერატურის ზოგიერთ დარგში, განსაკუთრებით კი ჰაგიოგრაფიასა და ჰიმნოგრაფიაში, ობიექტური სისწორით აისახა რეალური ცხოვრების მოვლენები, ქართველი ხალხის თავგამოდებული ბრძოლა ეროვნულ-სარწმუნოებრივი და პოლიტიკურ-კულტურული თვითმყოფობისათვის (იოანე საბანისძე, გიორგი მერჩულე, ექვთიმე და გიორგი ათონელები, გიორგი მცირე და სხვ.). გულწრფელი პატრიოტული გრძნობებით გამსჭვალულია ქართული ჰაგიოგრაფიული და ჰიმნოგრაფიული მწერლობის საუკეთესო ძეგლები (ჰიმნოგრაფიული ტექსტები იოვანე-ზოსიმესი, მიქაელ მოდრეკილისა და სხვ.). თავის მხრივ აპოკრიფულ მწერლობაში გაისმოდა დაბალი სოციალური ფენების პროტესტის ხმა გაბატონებული საზოგადოებრივი წრეების, მათ შორის სასულიერო-საეკლესიო წრეების, წინააღმდეგ. მძაფრი სოციალური მოტივები ნიშანდობლივია ჰაგიოგრაფიული ჟანრის რიგი თხზულებითვისაც (ცხოვრება სერაპიონ ზარზმელისა, ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა).

სასულიერო-საეკლესიო ნაწარმოებებში (მაგ., ბალავარიანში, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში, მიქაელ საბაწმიდელის ცხოვრებაში) დიდი დრამატიზმითა და სიმართლით არის აღწერილი სატრფიალო-სამიჯნურო თუ სათავგადასავლო ამბები.^[18] თუმცა ეს ამბები აქ განხილული და შეფასებულია სარწმუნოებრივ-საეკლესიო ზნეობის თვალთახედვით, მაგრამ მოთხრობილი ამბების შინაარსი მაინც საკმაო სისწორით ამხილებს ქართველი საზოგადოების საერო ფრთის ანტიკლერიკალურ განწყობილებებს და ამქვეყნიური, მატერიალური ცხოვრებისადმი მიზიდულობის მძლავრ ტენდენციებს. თვითონ სასულიერო-საეკლესიო თხზულებებში მოთხრობილი ამბები ცხადყოფს, რამდენად ძნელი იყო და ხშირად უშედეგოც ადამიანთა ბუნებრივი წადილის წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლა, მით უმეტეს ბერულ-ასკეტური მორალის დამკვიდრება. ქართველი საერო საზოგადოება ცხადლივ ამქლავნებდა თავის ურჩობას, ეკლესიურ-სარწმუნოებრივი ზნეობის ნორმებისგან გადახვევის მიდრეკილებას. ამას საეკლესიო ლიტერატურა არც მალავდა (ან ვერ მალავდა). მაგრამ ლიტერატურაში ჯერ არ ჩანდა საერო საზოგადოების ზნეობრივ მიდრეკილებათა დამცველი ძალა. საჭირო იყო ეკლესიის პოლიტიკური უფლებების შეზღუდვა და ეკლესიური იდეოლოგიის შეუვალობათა შერყევა, რომ შექმნილიყო საამისო უშუალო პირობები. ცალკეული მოტივებისა და ელემენტების სახით ქართული სასულიერო-საეკლესიო მწერლობისთვის უცხო არ იყო საერო განწყობილებანი. ივ. ჯავახიშვილის სიტყვით, გიორგი მერჩულეს "თხზულებაში საერო ყოფაცხოვრებისა და გრძნობის მონაბერი უკვე საკმაოდ არის შეჭრილი"^[19]. ოღონდ ამ განწყობილებებს პრინციპულად განსხვავებული შეფასება ეძლეოდა. გიორგი მერჩულემ საუცხოოდ გამოხატა სიყვარულის გრძნობის სიმლიერე, სიღრმე და სიმწვავე. მაგრამ მწერალმა ეს მოვლენა ახსნა ადამიანური სისუსტით ემძაკეული საცდურის წინაშე. მერჩულემ კარგად იცოდა, რომ "სრულმან სიყვარულმან შიში განდევნისო", ოღონდ ასეთ სიყვარულად მხოლოდ საღვთო

სიყვარულს აღიარებდა. საინტერესო რომანული თემა გიორგი მერჩულემ დაამუშავა ნოველური ჟანრის ფორმით. საკმარისია მერჩულეს მოთხრობის პრინციპულად საპირისპირო გაგების ნიადაგზე გადატანა, რომ მივიღოთ საერო ხასიათის ნაწარმოები.

ამრიგად, სასულიერო ლიტერატურის წიაღში ჩაისახა საერო მხატვრული მწერლობის ერთ-ერთი ძირითადი თემატიკური მოტივის კონტურები. საერო ლიტერატურის რიგ თემატიკურ მოტივს (საგმირო-სავაჟკაცო საქმის იდეალიზაცია, ქვეყნისთვის თავგამოდება, დიდაქტიკურ-მორალისტური შეგონებანი და ა. შ.) ეკლესია ადვილად ეგუებოდა. შემთხვევითი როდია, რომ ძველი ქართული საისტორიო მწერლობის ძეგლებს (მაგ., ჯუანშერისა და ლეონტი მროველის თხზულებებს) შერჩენილი აქვს საგმირო-საფალავნო ეპოსის ნიშნები.

საერო მოტივები შეიჭრა საეკლესიო-სასულიერო ფილოსოფიის (თეოლოგიის) სფეროშიც. თუმცა სასულიერო-საეკლესიო ფილოსოფია თეოლოგიას ემსახურებოდა, ფილოსოფიური აზროვნების მოწინავე წარმომადგენლები (ეფრემ მცირე, იოანე პეტრიწი) ახერხებდნენ დოგმატიზმის საზღვრების გადალახვას. ცნობილია, რომ იოანე პეტრიწი შედარებით თავისუფალი ფილოსოფიური აზროვნებისათვის (იოანე იტალის მიმდევრობისთვის) იდევნებოდა კიდევაც, როგორც საბერძნეთში, ისე მის მშობლიურ ქვეყანაში. ქართველი ფილოსოფოსები არ კმაყოფილდებოდნენ მარტოოდენ ცნობილ ფილოსოფოს საეკლესიო მამების (იოანე დამასკელის, ბასილ დიდისა და სხვ.) ნააზრევით, უშუალოდ ეწაფებოდნენ ანტიკური ფილოსოფიის კლასიკოსებს (პლატონს, არისტოტელეს), თარგმნიდნენ და საკუთარი კომენტარებით ამკობდნენ მათ ნაშრომებს. ასევე გატაცებით სწავლობდნენ ბერძნულ კლასიკურ პოეზიას (პირველ რიგში ჰომეროსის პოემებს). ნ. მარის სიტყვით, «Грузины в XI-XII веках интересовались в области философии теми же вопросами, какие занимали передовые умы тогдашнего христианского мира как на Востоке, так и на Западе, с тем отличием от других, например, от евгопейцев, что тогда грузины отзывались раньше других на наиболее новые течения философской мысли и работали во всеоружии образцовой для своего времени текстуальной критики непосредственно над греческими подлинниками».^[20]

ყოველივე ეს აფართოებდა ქართველი განათლებული, მწიგნობრული-ლიტერატურული საზოგადოების გონებრივ ჰორიზონტს, ადვივებდა კრიტიციზმის სულს, ხელს უწყობდა ლიტერატურული წრეების დაინტერესებას ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებით, იწვევდა ლიტერატურის ცხოვრებისკენ მობრუნებას. ერთი სიტყვით, აადვილებდა საერო აზროვნების შეთვისებას, საერო მიმართულებაზე გადასვლას.

ამრიგად, სასულიერო-საეკლესიო მწერლობის ზეობის დროს თანდათანობით და ბუნებრივ ვითარებაში შემზადდა ნიადაგი და მომწიფდა პირობები საერო მიმდინარეობის აღმოსაგენებლად.^[21] მხოლოდ ჯერ საჭირო იყო ეკლესიის იდეოლოგიური ბატონობის უღლისაგან თავის დაღწევა. ეკლესიის იდეოლოგიური ბატონობისგან თავის დაღწევა კი შეიძლებოდა ეკლესიის პოლიტიკური უფლებების შეკვეცით, ეკლესიის დაქვემდებარებით საერო სახელმწიფოებრივი ხელისუფლებისადმი. ძლიერმა, გაერთიანებულმა და ცენტრალიზებულმა სახელმწიფომ უზრუნველყო ეს პირობები. საუკუნეების განმავლობაში გრძელდებოდა ბრძოლა, ერთი მხრივ, გარეშე მტრების, სხვადასხვა დამპყრობლის (სპარსელების, არაბების, თურქ-სელჯუკების, ბერძნების) მოწოლის მოსაგერიებლად, ხოლო, მეორე მხრივ, შინაგანი გამთიშავი, ფეოდალურ-გვაროვნული წრეების

თავგასულობის ასალაგმავად. ფეოდალური იერარქიის საფუძვლებზე აგებული ქართული ეკლესია თვითონაც იყო ბრძოლების აქტიური მონაწილე. საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკურად დაქუცმაცების პერიოდში ერთადერთ ორგანიზებულსა და გაერთიანებულ ძალას არსებითად წარმოადგენდა ქართული ეკლესია, რომელიც დიდ როლს თამაშობდა ქვეყნის შინაურ ცხოვრებაში და გარკვეული მორალური საყრდენი იყო ქვეყნის შესაკავშირებლად უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლაში (თუმცა ეკლესიის რეაქციული მესვეურები გვერდში უდგნენ და ეხმარებოდნენ დიდგვაროვან აზნაურებს ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობაში). მნიშვნელოვანი წარმატებებით აღინიშნა გასაერთიანებლად წარმოებული ბრძოლა დავით კურაპალატის (გარდ. 1001 წ.), ბაგრატ მესამისა (975-1014) და ბაგრატ მეოთხის (1027-1072) მეფობის დროს. XI საუკუნის გასულსა და XII საუკუნის პირველ მეოთხედში, დავით აღმაშენებლის ზეობისას (1089-1125), გაერთიანებისთვის ბრძოლა სრული გამარჯვებით დამთავრდა: აღიკვეთა დამპყრობლების თარეში, შეიმუსრა შინ მოშუღარი, ერთმეფობისა და ცენტრალიზმის მოწინააღმდეგე ძალები - ქართველთა წვრილი სამეფო-სამთავროები გაერთიანდა ძლევამოსილ ფეოდალურ სახელმწიფოში, ამ სახელმწიფოში აღმოჩნდა შემოკრებილი ქართველური მოდემის ყველა ტომი. თბილისი კვლავ იქცა (1122 წლიდან) საქართველოს დედაქალაქად, მისი პოლიტიკური, ეკონომიური და სულიერი ცხოვრების ცენტრად.

ქვეყნის ძლიერება და წინსვლა გრძელდებოდა მთელი საუკუნის განმავლობაში. დემეტრე პირველის (1125-1156), გიორგი მესამისა (1156-1184) და თამარის (1184-1213) ხანაში საქართველოს სახელმწიფომ მოიპოვა ახალი წარმატებები: ფაქტობრივად მის ფარგლებში მოექცა თურქ-სელჯუკების ბატონობისგან განთავისუფლებული მოძმე სომხეთის დიდი ნაწილი (ქალაქებით: დვინითა და ანისით)^[22] და რიგი მუსლიმანური სამთავრო და საამირო, მათ შორის რანი და შირვანი (ქალაქებით: განჯითა და შამახით). საქართველოს გავლენის სფერო ვრცელდებოდა უზარმაზარ ტერიტორიაზე - შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე, იმიერ კავკასიიდან არზრუმამდე და ტრაპიზონამდე. მაშინდელი საქართველო წარმოადგენდა დიდი პოლიტიკური წონის მქონე, მჭიდროდ დასახლებულ, მდიდარ, აყვავებულ სახელმწიფოს, რომელსაც მორიდებითა და პატივით ეპყრობოდნენ როგორც მახლობელი მეზობლები, ისე შორეული ქვეყნებიც, მათ შორის დასავლეთ ევროპის ქვეყნები. აღსანიშნავია, რომ ჯვაროსანთა იერუსალიმელი ღვთისმსახურისა და მწიგნობრის, XII საუკუნის მოღვაწის ფრანგ ანსელუსის სიტყვებით, ქართველთა მეფე დავითი (აღმაშენებელი) "თავის წინაპართა მსგავსად ფლობდა კასპიის კარებს, გოგისა და მაგოგის წინააღმდეგ აღმართულ ამ ზღუდეს. იმასვე აკეთებს დღემდე მისი შვილი, რომლის ქვეყანა და სახელმწიფო არის, ასე ვთქვათ, ჩვენი წინა ბურჯი მიდიელთა და ასპარსელთა წინააღმდეგ".^[23]

გარეშე მტრების მძლავრობისგან თავდახსნას, გაერთიანებასა და გაძლიერებას ბუნებრივად მოჰყვა საშინაო ცხოვრების მოწესრიგება, ცხადი აღმავლობა და წინსვლა დაეტყო მეურნეობისა და კულტურის ყველა სფეროს. ამოქმედდა ქვეყნის სასიცოცხლო შემოქმედებითი ძალები. არსებითად მოიხსნა ძველი ფეოდალური ჯებირები, წინათ დაქსაქსული და გათიშული კუთხეები ახლა ერთმანეთს დაუკავშირდა არა მარტო პოლიტიკური ინტერესების ნიადაგზე. ერთიანი ადმინისტრაციული მმართველობის შემოღებამ, სტრატეგიული თუ სამეურნეო მნიშვნელობის შარაგზების გაყვანამ, მიმოსვლის გაადვილებამ და შედარებით მშვიდობიანობის ჩამოგდება ერთმანეთს დაუახლოვა საქართველოს ყველა მხარე,

მთა და ბარი. ეს დაახლოება კიდევ უფრო შეამჭიდროვა და განამტკიცა ვაჭრობისა და ალემ-მიცემობის სწრაფმა განვითარებამ.

საქართველოს სახელმწიფო მდებარეობდა დიდ სავაჭრო-სააღმშენებლო საქარავნო გზაზე, რომელიც აკავშირებდა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნებს. საქართველოს ფარგლებში შემოდიოდა ისეთი მნიშვნელოვანი სავაჭრო-სააღმშენებლო ცენტრები, როგორც იყო ქალაქები: ქუთაისი, თბილისი, არტანუჯი, განჯა, შამახია, დვინი, ანისი, კარი (ახლანდელი ყარსი). საქართველოში სხვაც ბევრი იყო მომცრო ქალაქი, სადაც ცხოვრება დულდა: «Городов, городищ здесь довольно таки», - ვკითხულობთ მარკო პოლოს წიგნში.^[24] საქარავნო გზებზე აგებული იყო ფუნდუკები (ქარვასლები, ვაჭართა სასტუმრო სადგომები) და საქულბაქოები (სავაჭრო ნაგებობანი). ყვაოდა შინამრეწველობა და ხელოსნობა. "მოსახლეობა მისდევს ვაჭრობასა და ხელოსნობას", "იქ ბევრია აბრეშუმი; ამზადებენ აბრეშუმისა და ოქროს ქსოვილებს, ისეთ ლამაზებს ვერსად ვერ ნახავთ... იქ ყველაფერი ბევრია" (იქვე). მარკო პოლოს (1254-1323) ცნობები შეეხება XIII საუკუნეს, მონღოლების ხანას, უნდა ვიფიქროთ, რომ გაცილებით უკეთესი მდგომარეობა იქნებოდა XII საუკუნეში.

სოციალურად და პოლიტიკურად დაწინაურდა ვაჭარ-ხელოსანთა საზოგადოებრივი ფენა. ფართო სავაჭრო-სააღმშენებლო ოპერაციებს აწარმოებდნენ ვაჭართა ამხანაგობანი, ე. წ. ორტალები^[25]. ვაჭრების მეშვეობით საქართველო უკავშირდებოდა გეოგრაფიულად ძლიერ დაშორებულ პუნქტებს. სამეფო ხელისუფლება ყოველმხრივ უწყობდა ხელს ვაჭრობა-აღმშენებლობის განვითარებას. ამას ემსახურებოდა ქვეყნის სამონეტო სისტემაც. ქართულ ფულს რომ საერთაშორისო გამავლობა ჰქონოდა, ქართულთან ერთად წარწერებს უკეთებდნენ არაბულ-სპარსულ ენებზე. დიდვაჭრები პოლიტიკური წონითა და გავლენით სარგებლობდნენ სამეფო კარზე. შემთხვევითი როდია, რომ დიდვაჭარმა ზანქან ზორაბაბელმა აქტიური მონაწილეობა მიიღო თამარისა და გიორგი რუსის შეუღლების დიდმნიშვნელოვან პოლიტიკურ საქმეში. "დიდვაჭრებს დიდი პატივი ჰქონდათ დამსახურებული. ისინი, როგორც თამარ მეფის ისტორიიდან ჩანს, სამეფოს ზოგიერთ საქმეებში მონაწილეობას იღებდნენ და სხვა სახელმწიფოებში დესპანად იგზავნებოდნენ ხოლმე"^[26].

XI-XII საუკუნეების საქართველოში დაწინაურდა სასოფლო მეურნეობაც. მოწესრიგდა საირიგაციო საქმე. აღადგინეს და გაიყვანეს ტექნიკურად საუცხოო სარწყავი არხები (მაგ., ალაზნის ველზე, სამგორში, მუხრანში) და წყალსადენები (მაგ., სხალტბა-შიომღვიმის წყალსადენი)^[27]. შოთა რუსთველის ეპოქის საერთოდ ფრიად მაღალ კულტურულ დონესთან შეფარდებით ტექნიკაც სავსებით ჰარმონიულად იყო განვითარებული^[28]. ხარობდა პურეული კულტურა, აღორძინდა მევენახეობა-მეღვინეობა, მებაღეობა-მებოსტნეობა, სელის წარმოება, მებარეშუმეობა, მესაქონლეობა, მეფუტკრეობა. სახელოსნო ნაწარმი და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები გახდა სააღმშენებლო გაცვლა-გამოცვლს საგანი როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთ.

დიდი შემოსავალი ჰქონდა სახელმწიფოს მოხარკე ქვეყნებიდან. ერთი სიტყვით, მაშინდელი საქართველო პოლიტიკურად ძლიერი იყო და ეკონომიურად ღონიერი, დიდი მატერიალური დოვლათის პატრონი.

XI-XII საუკუნეების საქართველოს სოციალური წყობილება დამყარებული იყო ქართული ფეოდალიზმის იმ სახეობაზე, რომელსაც პ ა ტ რ ო ნ ყ მ ო ბ ა ეწოდება. მაშინ "თითქმის მთელი საქართველო მეფისაგან მოყოლებული უბრალო

მდაბიომდე "პატრონჟიმობის" უღელში იყო შეხვეული და ცხოვრების ტვირთს ეზიდებოდა"^[29]. პატრონჟიმურ ურთიერთობას სხვადასხვა კონკრეტული ვითარების შესაბამისად სხვადასხვაგვარი ფორმა ეძლეოდა. ყოველ შემთხვევაში, ეს ურთიერთობა იდილიური არ ყოფილა და მას კლასობრივი (თუ შინაკლასობრივი) წინააღმდეგობანი გარკვეულ დაღს ასვამდა. გაერთიანებული საქართველოს მეფე (უმადლესი პატრონი) თავის საქმიანობაში უპირატესად ემყარებოდა შედარებით "უაზნოთა" (უგვაროთა) სოციალურ ფენებს - წვრილ მიწათმფლობელ აზნაურებსა და ვაჭარ-ხელოსნებს. დიდგვარიანი აზნაურები და სასულიერო-კლერიკალური წრეების მესვეურები თავგამოდებით იბრძოდნენ მეფის უფლებების გაძლიერებისა და ცენტრალიზაციის წინააღმდეგ. დავით აღმაშენებელმა გადაჭრით აღკვეთა დიდგვარიანი აზნაურების თავგასულობა და შეზღუდა ეკლესიის შეუვალობა. მეტიც, სახელმწიფოებრივი ცხოვრების ამ შესანიშნავმა რეფორმატორმა 1103 წლიდან (რუის-ურბნისის ცნობილი საეკლესიო კრების მოწვევის დროიდან) ეკლესია მთლიანად დაუქვემდებარა სახელმწიფოს, ეკლესია მან გახადა თავისი სახელმწიფოებრივი პოლიტიკის გამტარებელ იარაღად. ამრიგად, ძირი გამოეცალა ეკლესიის ოდინდელ ბატონობას ცხოვრების ყველა სფეროში.

დიდგვარიანი ფეოდალები და ეკლესიის რეაქციული წრეები ვერ შეურიგდნენ თავიანთი უფლებების შეზღუდვას, ისინი განაგრძობდნენ შეუპოვარ ბრძოლას დაკარგული პრივილეგიების აღსადგენად. ამისთვის შესაფერისად იყენებდნენ ქვეყნის საშინაო თუ საგარეო გართულების ყოველ ხელსაყრელ მომენტს. დიდგვარიანმა აზნაურებმა გარკვეული წარმატებებიც მოიპოვეს თამარის დროს, ხოლო ეკლესიამ დემნას აჯანყების (1177 წ.) შემდეგ რამდენადმე აღიდგინა რუის-ურბნისის კრების დადგენილებით წართმეული უფლებები. ეკლესიას მაინც საკმაოდ ჰქონდა შერყეული საფუძვლები,^[30] შესაფერისადვე მან დაკარგა ჰეგემონური მდგომარეობა იდეოლოგიის დარგში, კერძოდ მწერლობაში. რასაკვირველია, საეკლესიო მწერლობა და თეოლოგიური აზროვნება კვლავაც ვითარდებოდა, მაგრამ მათ დაუვიწროვდა მოქმედების არე. საეკლესიო მწერლობამ და ღვთისმეტყველებამ თანდათან უფრო სქოლასტიკური ხასიათი მიიღო, მათი დანიშნულება უფრო და უფრო საკულტო ჩარჩოებით შემოიფარგლა. სამაგიეროდ ქვეყნის სათავეში მდგომი საერო საზოგადოების ცხოვრებისა და იდეურ-ესთეტიკური მიდრეკილებების ასახვა იკისრა ახალ პირობებში აღმოცენებულმა ლიტერატურამ. ეს იყო საერო მხატვრული მწერლობა. ვინაიდან საერო მხატვრული მწერლობის აღმოცენება და განვითარება საკარო ცხოვრების პირობებთან იყო დაკავშირებული, ქართულ საერო მხატვრულ ლიტერატურას აღმოცენების პირველ საფეხურზე გარკვეულად საკარო იერი ჰქონდა. საკარო-სახოტბო პოეზია XII საუკუნის მწერლობის ერთ-ერთი სპეციფიკური დარგია. ამ პოეზიას ამშვენებს ისეთი ძეგლები, როგორცაა "აბდულმესიანი" და "თამარიანი".

ქართული საერო მწერლობის აღმოცენების თარიღად, ნ. მარის ადრინდელი შეხედულების თანახმად, ჩვენ ვთვლით დავით აღმაშენებლის მოღვაწეობის ხანას, ე. ი. XI საუკუნის გასულსა თუ XII საუკუნის დასაწყისს.

ამ ხანას უკავშირდება ჩვენი კულტურის ისტორიაში ისეთი დიდმნიშვნელოვანი მოვლენა, როგორც იყო ახალი ქართული სალიტერატურო ენის საფუძვლების ჩაყრა. არნოლდ ჩიქობავას გამოკვლევის მიხედვით, "ახალ სალიტერატურო ქართულს საძირკველი ეყრება თბილისში: დავით აღმაშენებლის მიერ თბილისის განთავისუფლება თურქთაგან 1122 წელს და პოლიტიკური და კულტურული ცენტრის ქუთაისიდან თბილისში გადმონაცვლება (აქედან გამომდინარე ყველა შედეგით) ის დიდმნიშვნელოვანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენაა,

რომელმაც ახალი ქართული სალიტერატურო ენის წარმოქმნა შეაპირობა”^[31]. ახალი ქართული სალიტერატურო ენა ქართული საერო მხატვრული მწერლობის ენაა. რაც შეეხება ძველ ქართულს, ის "საეკლესიო მწერლობას შერჩა და კარგა ხანს იარსება, როგორც სამწერლობო ენის საეკლესიო სტილმა”^[32]. ახალი ქართულისკენ მობრუნების ტენდენცია ეტყობა ადრინდელი საერო მწერლობის ყველა ძეგლს, პროზაულსაც და პოეტურსაც. ახალ ქართულ სალიტერატურო ენაზეა დაწერილი ქართული პოეტური კულტურის სწორუპოვარი გვირგვინი - შოთა რუსთველის პოემა "ვეფხისტყაოსანი”.

დავით აღმაშენებლის დროს საქართველოს ეკონომიურმა დოვლათიანობამ და პოლიტიკურმა მდგომარეობამ შეაპირობა ქვეყნის კულტურული წინსვლა. მაშინ დიდი სახსრები იხარჯებოდა კულტურის ძველი კერების გამოსაცოცხლებლად და ახლების შესაქმნელად. დავით აღმაშენებელმა დააფუძნა გელათის დიდებული აკადემია "მოდღვრად სწავლულებისად, სხვად ათინად, ფრიად უაღრეს მისსა”^[33] პოეტი იოანე შავთელი მას უწოდებს "ახალ რომს” და "ელადას", რომელიც "უფროს იქმნესო მყოფთა ყოველთა”^[34] გელათზე. ცოტათი ადრე უნდა ყოფილიყო აგებული იყალთოს აკადემია, რომლის საუცხოო ხუროთმოძღვრულ, უზარმაზარ შენობას ჩვენს დრომდის მხოლოდ ნანგრევების სახით მოუღწევია^[35]. აკადემიები წარმოადგენდნენ სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებებს. გელათის აკადემიაში დავით აღმაშენებელს მიუწვევია იმდროინდელი ბევრი გამოჩენილი ქართველი მწიგნობარი, მეცნიერი, ფილოსოფოსი. მიწვეულთა შორის იყო დიდი ქართველი ფილოსოფოსი იოანე პეტრიწი. იყალთოს აკადემიას უკავშირდება ღვთისმეტყველ-ფილოსოფოსის არსენ იყალთოელის სახელი.

გელათისა და იყალთოს აკადემიათა შენობების კომპლექსები ხუროთმოძღვრების იშვიათი ძეგლებია. გელათის მოზაიკა ქართული მონუმენტური ფერწერის საუკეთესო ნიმუშია”^[36]. ხელოვნება საზოგადოდ, საკუთრივ კი სახვითი ხელოვნების ყველა დარგი, ძლიერ დაწინაურდა XI-XII საუკუნეებში. ხელოვნების დაწინაურება ხდებოდა მთელი ქართული კულტურის დაწინაურებასთან ერთად. გ. ჩუბინაშვილი სრულიად სამართლიანად ამბობს, რომ კულტურის სხვადასხვა სახეობის, კერძოდ, ქართული "ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარების დაპირისპირება გვიჩვენებს მოვლენათა პარალელურ მსვლელობას, ე. ი. ქართული კულტურის ევოლუცია მთლიანი, ერთიანი პროცესია და მისი მაღალი მხატვრული მიღწევანი როდი წარმოადგენენ გაუგებარსა და შემთხვევით მოვლენას. პირიქით, ისინი კანონიერად გაბმული არიან ისტორიულ პროცესში...”^[37] შესანიშნავია იმჟამინდელი ხუროთმოძღვრების ძეგლები, ოღონდ "მონუმენტური სტილი თანდათანობით ადგილს უთმობს დეკორატიულს”. ახლა მთავარი ყურადღება ექცევა შენობათა გარეგან გაფორმებას, მათ მოკაზმვა-მოჩუქურთმებას (კაბენი, ქვათახევი, სამთავრო, ბეთანია, წულრულაშენი, ფითარეთი და სხვ.)^[38].

კლასიკურად სრულყოფილი ხდება ოქრომჭედლობა და ოქრომქანდაკეობა. ხელოვნების ამ დარგებს ამშვენებენ დიდოსტატ ბემქენ და ბექა ოპიზართა ნამუშევრები^[39]. ქართულ ხელოვნებაში საერთოდ მომხდარი გარდატეხის შესაბამისად ვითარდება კედლის მხატვრობა (ვარძიის, ბეთანიის, ყინცვისის, ბერთუბნისა და სხვათა მოხატულობანი). XI საუკუნის გასულსა და XII საუკუნის პირველ მესამედში მოღვაწეობდა შესანიშნავი მხატვარი თევდორე, რომელსაც მოუხატავს სვანეთის ეკლესიები. თევდორეს ღრმად ემოციური მხატვრობა გვერდზე ტოვებს ბიზანტიურ სქემებს, ის აგრძელებს მხატვრობაში ქართულ ნაციონალურ ტრადიციებს, ბიბლიურსა და აპოკრიფულ-აგიოგრაფიულ სიუჟეტებში (მაგ., წმ.

გიორგის ცხოვრებაში) შეაქვს რეალისტური ტენდენციები^[40]. განსაკუთრებით გამოირჩევა ყინცვისისა და ბერთუბნის ჩინებული ფრესკები. გ. ჩუბინაშვილის მონოგრაფიული გამოკვლევის თანახმად, ბერთუბნის მომხატველის შემოქმედებაში «проявляется такая свобода, которая затем в конце XIII века в Италии породила начало новой европейской живописи, несвязанной византийскими схемами».^[41] იმავე ბერთუბნის მოხატულობიდან იოაკიმეს ხარების სცენის გამო მკვლევარი ამბობს: «Такая композиция, как благовествование Иоакиму, не стесняясь может стать рядом с композициями Giotto по проникновенности чувства и выразительной лаконичности»^[42]. ერთი სიტყვით, დიდი თამარისა და უკვდავი რუსთველის ეპოქის კულტურა ყველა სფეროში არის ნამდვილად "რაფინირებული, ნატიფი"^[43].

რუსთველის პოეზიას ღირსეულად უმშვენებს გვერდს ქართული სახვითი ხელოვნება, კერძოდ, მონუმენტური ფერწერა^[44]. მთავარი ისაა, რომ მხატვრობაში მძლავრად შეიჭრა ნამდვილი ცხოვრების სიო. ბერთუბნის მხატვრობის ბიბლიურ ფიგურებში ჩაქსოვილია "ნამდვილი ცხოვრება, ნამდვილი გრძნობა და ნამდვილი განცდები"^[45]. XI-XII საუკუნეების საქართველოში ფაქიზი გემოვნებით აფორმებდნენ, მშვენიერი მინიატურებით ამკობდნენ და ძვირფას ყდებში სვამდნენ ქართულ ხელნაწერ წიგნებს. საერთოდ "XI-XII საუკუნეები ჭეშმარიტად წარმოადგენდნენ კლასიკურ ხანას ქართული სახვითი ხელოვნების ისტორიაში". თავის მხრივ, მაშინდელი ქართული სახვითი ხელოვნება საკაცობრიო კულტურის მნიშვნელოვანი ნაწილია^[46]. აღსანიშნავია ის ფრიად მნიშვნელოვანი გარემოება, რომ მაშინდელი ქართული ხელოვნების კეთილი ზემოქმედება ვრცელდებოდა ძველი რუსეთის სამთავროებზე. მეცნიერებათა საკავშირო აკადემიის მიერ გამოცემულ რუსული ლიტერატურის ისტორიაში ვკითხულობთ: «Позволительно думать, что имении через соседившую Тьмутаракани часть Грузии – Абхазии – шло то интенсивное влияние грузинского искусства, следы которого предположительно устанавливаются в архитектуре Киева и Чернигова, в живописи Новгорода, в Орнаменте некоторых рукописей»^[47].

ძველ საქართველოში, კერძოდ XI-XII საუკუნეებში ძლიერ დაწინაურებული იყო მუსიკალური კულტურაც როგორც სასულიერო, ისე საერო^[48].

XII საუკუნის საქართველო წარმოადგენდა მრავალეროვან სახელმწიფოს. საქართველოს სახელმწიფოში შედიოდა ქრისტიანული სომხეთი და მუსლიმანური სამთავროები. მუსლიმანები ბლომად ესახლნენ თბილისშიც. ქართველი მეფეები დიდ შემწყნარებლობითს დამოკიდებულებას იჩენდნენ თავიანთი არაქართველი ქვეშევრდომი მოსახლეობისადმი. განსაკუთრებულად მფარველობდნენ სომხობას. აკადემიკოს მანანდიანის სიტყვით, «Великие политики Грузии после сельджукской эпохи... отвоевав у мусульман армянские области, всемерно содействовали как восстановлению самостоятельной Армении, так и возрождению ее самобытной культуры».^[49] დავით აღმაშენებელმა სომხებით დაასახლა ქალაქი გორი. თამარის დროს სომხური ელემენტი საგრძნობ ძალას წარმოადგენდა სახელმწიფოს სამოქალაქო და სამხედრო სფეროებში. დიდ მზრუნველობას უწევდა დავითი საქართველოში ჩამოსახლებულ ყივჩაყებს. გიორგი მესამემ "ნაყივჩაყარი" ყუბასარი ამირსპასალარად დანიშნა. დიდი პატივით ეპყრობოდა დავით აღმაშენებელი მის ქვეშევრდომ მუსლიმანებს. დავითი კარგად ყოფილა განსწავლული მუსლიმანთა სჯულის საკითხებში და განჯის ყადისთან კამათიც ჰქონია ყურანის (მუსლიმანთა უმთავრესი სჯულის წიგნის) გამო^[50]. მუსლიმანი მწერლების მოწმობით, დავით აღმაშენებელს სპეციალური თავშესაფარი აუგია მუსლიმანი სუფიებისა და

პოეტებისათვის. მათ, თურმე, ნივთიერ დახმარებას უწევდა და მეჯლისებს უმართავდა^[51]. მუსლიმანთა საუფლო დღეს (პარასკევს) დავით აღმაშენებელი შვილითურთ დადიოდა მუსლიმანთა სამლოცველოში (მეჩეთში), ისმენდა ყურანის კითხვას და ქადაგებას, ასაჩუქრებდა მუსლიმანური კულტის მსახურებს^[52]. ერთი სიტყვით, არაბი ისტორიკოსის განცხადების თანახმად, დავით აღმაშენებელი "მაჰმადიანებს უფრო პატივსა სცემდა, ვიდრე თვით მაჰმადიანთა მეფენი"^[53].

XI-XII საუკუნეების საქართველოს ცოცხალი სააღმშენებლო, პოლიტიკური და კულტურული კავშირი ჰქონდა ქრისტიან და მუსლიმან ხალხებთან (ბერძნებთან, სომხებთან, არაბებთან, სპარსელებთან, ტაჯიკებთან, აზერბაიჯანელებთან). იმდროინდელი საქართველო უკავშირდებოდა კავკასიის გადაღმა მხარესაც, კიევის რუსეთსა და რუსთა ჩრდილოეთის სამთავროებს. მეზობლებთან კავშირის წყალობით შესაძლებელი ხდებოდა კულტურულ მონაპოვართა ურთიერთგაზიარება, დაახლოება და დამეგობრება, ქართული ელემენტი აქტიურად მონაწილეობდა ბიზანტიური აღორძინების შექმნაშიც^[54]. ქართული ფილოსოფიური მწერლობის ძეგლები ითარგმნებოდა მწერლობის ამ დარგით მდიდარ სომხურ ენაზე^[55]. ზოგჯერ ქართულის მეშვეობით სომხურად ითარგმნებოდა ბერძნული ფილოსოფიური თხზულებანი (მაგ., პროკლე დიადოხოსის "კავშირნი ღვთის მეტყველებითნი").

მეზობელ ქვეყნებთან კავშირი ხელს უწყობდა ხალხთა თანამშრომლობისა და თანამეგობრობის დანერგვას საზოგადოების შეგნებაში, ხალხთა დაახლოებას. ივ. ჯავახიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ: "თ უ პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ს ც ხ ო ვ რ ე ბ ა შ ი ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ხ ვ ა და ს ხ ვ ა მ ა ჰ მ ა დ ი ა ნ თ ა ს ა მ თ ა ვ რ ო ე ბ ს და ს პ ა რ ს ე თ ს ე ბ რ ძ ო და , პ ო ე ზ ი ა და კ უ ლ ტ უ რ ა ქ ა რ თ ვ ე ლ - ს პ ა რ ს თ ა ს უ ლ ი ე რ ს ე რ თ ო ბ ა ს ა ჰ მ ა დ ი ა ნ თ ა და მ ტ რ ო ბ ი ს მ ა გ ი ე რ ს ი ყ ვ ა რ უ ლ ს ს თ ე ს ა ვ და . ქ ა რ თ ვ ე ლ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს ს პ ა რ ს უ ლ - მ ა ჰ მ ა დ ი ა ნ უ რ კ უ ლ ტ უ რ ა უ ც ხ ო რ ა მ ე არ ა ყ ო ფ ი ლ ა და თ ა ვ ი ს ი პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი მ ტ რ ე ბ ი ს მ წ ე რ ლ ო ბ ა ს , მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ა ს ა და ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ა ს ი ს ი ნ ი დ ი დ პ ა ტ ი ვ ს ს ც ე მ დ ნ ე ნ "^[56] ქართულ ენაზე ითარგმნებოდა, ერთი მხრივ, ჰომეროსის პოემები, მეორე მხრივ, - სპარსულ-ტაჯიკ-აზერბაიჯანულ პოეტთა თხზულებანი. ჩვენამდე მოაღწია გურგანის ვის-ორამინის (ვისრამიანის) საუცხოოდ დამუშავებულმა ქართულმა რედაქციამ, რომელიც უნდა ჩამოყალიბებულიყო არა უგვიანეს XII საუკუნის მეორე ნახევრისა. გვაქვს საბუთები ვიფიქროთ, რომ XII საუკუნეში უთარგმნიათ ქართულ ენაზე ფირდოუსის "შაჰ-ნამე "ქილილა და დამანა" (შესაძლებელია რუდაქის რედაქციისა), ონსორის "ვამეყ და აზრა", ნიზამის "ლეილი და მაჯნუნი", ხოსროვი და შირინი" და სხვ. მდიდარი ქართული კულტურის ტრადიციები თავის მხრივ გამოხატულებას პოულობდა და კეთილ ზემოქმედებას ახდენდა სპარსულ-ტაჯიკურ-აზერბაიჯანულ პოეზიაზე. ყველაფრიდან ჩანს, რომ ქართულ ენას ფლობდნენ და ქართული მასალებით სარგებლობდნენ შუა საუკუნეთა მუსლიმანური სამყაროს ისეთი დიდი პოეტები, როგორც იყვნენ ნიზამი განჯელი და ხაყანი. ხაყანი ქართულ სიტყვებს მახვილგონივრულად იყენებდა სპარსულ ლექსებში მოხდენილი კალამბურების მისაღებად^[57]. სპეციალისტების მოსაზრებით, ნიზამის პოემა "ისქანდერ-ნამე" ვერ შეიქმნებოდა ქართული მასალების გათვალისწინების გარეშე^[58]. ხოლო შირინის შესანიშნავი მხატვრული სახე (ნიზამის პოემა "ხოსროვიშირინიანიდან") თითქოს შთაგონებულია თამარით^[59]. როგორც უნდა იყოს, დიდ ყურადღებას იპყრობდა ის გარემოება, რომ შირინი არ ჰგავს სპარსული პოეზიის ცნობილ უნებისყოფო, ინერტულ და სულწასულ ქალთა პერსონაჟების სახეებს. ე. ბერთელსის დასაბუთებული მოსაზრებით, შირინის სახის შექმნა ნიზამი განჯელს გაუადვილა

საქართველოს სინამდვილის კეთილისმყოფელმა ზემოქმედებამ^[60]. ამიტომ არც ისაა შემთხვევითი, რომ დაქვეითების ხანაშიც კი ქართულ ელემენტს უშუალოდ შეჰქონდა თავისი წვლილი სპარსული კულტურის საერთო საგანძურში (ცნობილია ირანში მოღვაწე ქართველი მხატვრები და სპარსულად მწერალი ქართველი პოეტები)^[61]. იური მარის იქნებ ცოტა არ იყოს გადაჭარბებული მოსაზრებით, XII საუკუნის მოწინავე განათლებული ქართველი საზოგადოება "უკეთ იცნობდა სპარსელ კლასიკოსებს, ვიდრე, ჩვენი ცნობების მიხედვით, მათ იცნობდნენ თვით იმ დროის სპარსელები"^[62].

აღნიშნულის კვალობაზე იქმნებოდა და ვითარდებოდა სპარსულ-აზერბაიჯანულ-ქართული მჭიდრო ლიტერატურული ურთიერთობა XII საუკუნის სინამდვილეში. ცხადია, სპარსულ-აზერბაიჯანულ-ქართულ ლიტერატურულ თანამშრომლობას საერთოთხასიათი ჰქონდა. ქართული კულტურა ზემოქმედებას ახდენდა სპარსულ-აზერბაიჯანულ მწერლობაზე^[63], ხოლო თავის მხრივ ქართული მწერლობაც ასევე განიცდიდა სპარსულ-აზერბაიჯანული კულტურის ზემოქმედებას. უცხოელ კლასიკოსთა ნაწერების თარგმანები ამდიდრებდა ქართული ეროვნული სულიერი კულტურის საღაროს.

ახლად აღმოცენებული ქართული საერო ლიტერატურის ყურადღების საგანი იმთავითვე გახდა მატერიალური სამყარო, ადამიანი, ადამიანის საამქვეყნო ცხოვრება და იდეალები. მიწიერი გრძნობებისა და ვნებების თვითჩახშობის ასკეტური მორალი შერჩა სასულიერო-საეკლესიო მწერლობას, საერო მწერლობა კი, განსაკუთრებით პოეზია, მკაფიო ჰუმანისტურ ხასიათს იღებს. რენესანსული განწყობილებები შეადგენს XII საუკუნის ქართული საერო მწერლობის დამახასიათებელ თვისობრივ მხარეს.

ქართული საერო მწერლობის განვითარებას, ისე როგორც საერთოდ ქართული კულტურისა და ქართული სახელმწიფოებრიობის წინსვლას, ბოლო მოუღო ჩინგის-ხანის ურდოების შემოსევამ და მონღოლთა ხანგრძლივი ბატონობის დამყარებამ. ეს კატასტროფა კიდევ უფრო გააღრმავა თემურლენგის ეპოპეამ. ქართველი მოსახლეობა გაიჟლიტა, ქვეყანა გავერანდა, გაჩანაგდა და დაიღუპა მატერიალური და სულიერი კულტურის აურაცხელი ძეგლი. კლასიკური პერიოდის მდიდარი ქართული მწერლობიდან მხოლოდ მცირედი რამ გადაურჩა ჟამთა სიავეს. ასევე ხარვეზებითაა სავსე საისტორიო და სამეცნიერო მწერლობაც, დაღუპულია დიდძალი ნათარგმნი ლიტერატურა. კლასიკური პერიოდის ქართული სულიერი კულტურა ამიტომაც ფრაგმენტულ ხასიათს ატარებს. ჩვენ ვიცით სახელწოდებანი თხზულებათა (მაგ., დილარიანი), რომლებიც დაკარგულად ითვლება, ან მოგვეპოვება ყრუ გადმოცემები ისეთ ავტორებზე (მაგ., ძაგნაკორელზე), რომელთა ნაწერები ცნობილი არ არის. თავისი პოემის შესავალში რუსთველი საგანგებოდ მსჯელობს პოეზიის სხვადასხვა ჟანრზე და მელექსეთა სხვადასხვა კატეგორიაზე. სინამდვილეში ამ მელექსეთა სახელები დავიწყებას მიეცნენ. ნუთუ თვითონ რუსთველის ლიტერატურული მემკვიდრეობა მარტოოდენ "ვეფხისტყაოსნით" ამოიწურება? სად გაქრა ნაწერები იმ მრავალრიცხოვან პოეტთა, რომლებიც შეკრებილი იყვნენ დავით აღმაშენებლის, გიორგი მესამისა და, ნამეტნავად, თამარის სამეფო კარზე? პირდაპირი თუ არაპირდაპირი ცნობების წყალობით ჩვენ მხოლოდ დაახლოებით შეგვიძლია წარმოვიდგინოთ XII საუკუნის საქართველოს სულიერი კულტურის მაღალი დონე. კერძოდ, ქართული მხატვრული მწერლობიდან, რაც ჩვენი უშუალო განხილვის საგანია, მოგვეპოვება ხუთიღა ძეგლი: პროზიდან "ამირანდარეჯანიანი" და "ვისრამიანი" პოეზიიდან - ორი სახოტბო თხზულება ("აბდულმესიანი", "თამარიანი")

და რუსთველის უკვდავი "ვეფხისტყაოსანი". ეს კია, რომ ასე მცირერიცხოვანი პეგლები ხმამაღლა ღაღადებენ XII საუკუნის ქართული მწერლობის უჭკნობ სიდიადეზე...

^[1] ბალავარიანის ქართული რედაქციები; გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ილია აბულაძემ, 1957, გვ. 6.

^[2] ЖМНП, 1899, XII.

^[3] ნ. მ ა რ ი ს დასახ. წერილი, გვ. 251 (დაყოფა ჩვენია. - რედ.).

^[4] Грузинская поэма «Витязь в барсовой шкуре» и новая историко-культурная проблема (ИАН, 1917, გვ 416-417. (დაყოფა ჩვენია. - რედ.).

^[6] Из грузино-персидских литературных связей (Записки Коллегии Востоковедов, 1, Л., 1925, გვ. 114).

^[7] დასახელებული წერილები, გვ 113. განცვიფრებას იწვევს ის გარემოება, თუ რად უნდა ყოფილიყო ნ. მარისათვის ქართულზე თურქულის გავლენის დადასტურება ს ა ს უ რ ვ ე ლ ი მ ო ვ ლ ე ნ ა ("Желанная новость")!

^[8] ი ქ ვ ე, გვ 503.

^[9] Из грузино-персидских литературных связей, ЗКВ, 1, 1925, გვ. 136.

^[10] La langue georgienne, პარიზი, 1928. ეს წერილი გამოქვეყნებულია რუსულადაც კრებულში «Язык и история», I, 1936, გვ. 28-41.

^[11] Die georgische Sprache "Das neue Russland", 1929, № 5-6, გვ. 35-54; შემდეგ გამოქვეყნდა რუსულადაც: Грузинский язык, 1949 (ი. მეგრელიძის პუბლიკაცია).

^[12] რუსთაველის ეპოქის სალიტერატურო მემკვიდრეობა (რუსთაველის საიუბილეო კრებული, 1938), გვ. 1-2.

^[13] ი ქ ვ ე, გვ. 1.

^[14] გ. ს ო ს ე ლ ი ა, საქართველოს საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილება ვეფხისტყაოსნის მიხედვით, სოხუმი, 1956, გვ. 226.

^[15] გ. ს ო ს ე ლ ი ა, საქართველოს საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილება ვეფხისტყაოსნის მიხედვით, სოხუმი, 1956, გვ. 227.

^[16] შ. ნ უ ც უ ბ ი ძ ე, Руставели и восточный Ренессанс, თბილისი, 1947; მისივე, Творчество Руставели, თბილისი, 1958, გვ. 118-142.

^[17] ვრცლად ამის თაობაზე იხ. ალ. ბარამიძის ნარკვევებში, III, თბილისი, 1952, გვ. 400-410.

^[18] იხ. კ. კ ე ვ ე ლ ი ძ ე, "სამიჯნუ ცოუნების" პრობლემისათვის ქართულ ლიტერატურაში (ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II, 1945, გვ. 13-22); მ ი ს ი ვ ე, რომანი "ტავრომენიანი" ძველ-ქართულ ლიტერატურაში (იქვე, გვ. 23-33).

^[19] ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, თბილისი, 1938, გვ. 28.

^[20] Иоанн Петрицкий, грузинский неоплатоник XI-XII века, ЗВО, т. XIX, вып. 2-3, 1910, გვ. 113.

^[21] კ. კ ე ვ ე ლ ი ძ ე, ქართული საერო მწერლობის წარმოშობის პრობლემისათვის, ეტიუდები, II, 1945, გვ. 1-63.

^[22] История армянского народа, 1, Ереван, 1951, გვ. 161-163.

^[23] ზ. ა ვ ა ლ ი შ ი ლ ი, ჯვაროსანთა დროიდან (ოთხი საისტორიო ნარკვევი), პარიზი, 1929, გვ. 29, 32; საქართველოს ისტორია, I, 1948, გვ. 224.

^[24] Книга Марко Поло. Перевод старо-французского И. П. М и н а е в а. Редакция и вступительная статья И. П. М а г и д о в и ч а, М., 1956, გვ. 58.

^[25] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, I, 1907, გვ. 33-35; შ. მ ე ს ხ ი ა, საქართველოს ქალაქების სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, მიმომხილველი, II, 1951, გვ. 92; თბილისის ისტორია, 1958, გვ. 51, 54.

^[26] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, I, 1907, გვ. 28.

^[27] ალ. ლ ო ს ა ბ ე რ ი ძ ე, ძველი წყალსადენებისა და არხების ნაშთები, შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა, 1937, გვ. 191-228; შ. ხ ი დ ა შ ე ლ ი, სხალტბა-შიომღვიმის 1202 წლის წყალსადენი, იგივე კრებული, გვ. 29-264.

^[28] შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა, 1937, გვ. 193.

- [29] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაკვ. პირველი, 1928, გვ. 68, 95 (დაყოფა ავტორისაა.-რედ.).
- [30] ვ. კ ე ვ ე ლ ი ძ ე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1941, გვ.32-33.
- [31] ქართული ენის ზოგადი დახასიათება, ქართული განმარტებითი ლექსიკონი, I, 1950, გვ. 081; მ ი ს ი ვ ე, დიალექტიზმების საკითხისათვის ვეფხისტყაოსანში, ენიმკის მოამბე, II, 1938, გვ. 227.
- [32] ივ. გ ი გ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი, მოძღვრება საერო-სახალხო ენისა და დიალექტების შესახებ და ერთიანი ქართული სალიტერატურო ენის საკითხები, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, III, 1952, გვ. 502.
- [33] ქართლის ცხოვრება, ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს რედაქციით, I, 1955, გვ. 331.
- [34] ნ. მ ა რ ი, Древнегрузинские одописцы, ТР, IV, 1902, აბდულმესია, 105, 2.
- [35] გ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, საქართველოს საერო ხუროთმოძღვრების რამდენიმე ნიმუში, თბილისის უნივერსიტეტის მოამბე, III, 1923, გვ. 117-120. XII საუკუნის ქართული საერო ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ძეგლტა გეგუთის სასახლეც (ვ. წ ი ლ ო ს ა ნ ი, გეგუთი: ციხე-დარბაზი, შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა, 1937, გვ. 449-467).
- [36] შ. ა მ ი რ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, История грузинской монументальной живописи, 1, 1957, გვ. 115-133; მ ი ს ი ვ ე, ქართული ხელოვნების ისტორია, თბილისი, 1961, გვ. 272-274.
- [37] გ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ხელოვნების ისტორია, 1936, გვ. 12.
- [38] შ. ა მ ი რ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, ბექა ოპიზარი, 1956, გვ. 44.
- [39] შ. ა მ ი რ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ს დასახ. ნაშრომი; გ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ოქრომჭედლობა VIII-XVIII საუკუნეებისა, 1937.
- [40] შ. ა მ ი რ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ხელოვნების ისტორია, გვ. 268-272.
- [41] Пещерные монастыри Давид Гареджи, 1948, გვ. 57.
- [42] ი ქ ვ ე, გვ. 66.
- [43] ი ქ ვ ე, გვ. 46.
- [44] შ. ა მ ი რ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ხელოვნების ისტორია, გვ. 235.
- [45] Г. Ч у б и н а ш в и л и, Пещерные монастыри Давид Гареджи, გვ. 66.
- [46] შ. ა მ ი რ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ხელოვნების ისტორია, გვ. 234.
- [47] История русской литературы, 1, М.-Л., 1941, გვ. 16.
- [48] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, 1938, გვ. 223-230; Г. Ч х и к в а д з е, Древнегрузинская музыкальная культура, СБ. «Грузинская музыкальная культура», 1957, გვ. 7-20.
- [49] Я. А. М а н а н д я н, Месроп-Маштоц и борьба армянского народа за культурную самобытность, Ереван, 1941, გვ. 32.
- [50] ნ. მ ა რ ი, Древнегрузинские одописцы, გვ. 19.
- [51] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II, 1948, გვ. 217.
- [52] ი ქ ვ ე, გვ. 218.
- [53] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, 1907, გვ. 29.
- [54] ნ. მ ა რ ი, Иоанн Петрицкий, грузинский неоплатоник XI-XII века, გვ. 104.
- [55] ნ. მ ა რ ი, Иоанн Петрицкий, გვ. 61: ილ. ა ბ უ ლ ა ძ ე, რუსთაველის ხანის ქართული ფილოსოფიური მწერლობის კიდევ ერთი ძეგლის თარგმანი ძველ სომხურზე, ენიმკის მოამბე, III, 1938, გვ. 111-122; მ ი ს ი ვ ე, რუსთაველის ხანის ქართულიდან ნათარგმნი ძველი სომხური მწერლობის ძეგლები, იქვე, გვ. 123-124; მ ი ს ი ვ ე, მხითარ გოშის ტრაქტატი "ქართველთათვის" და მისი ლიტერატურული წყაროები, თბილისის უნივერსიტეტის შრომები, VII, გვ. 105-108.
- [56] ქართული ერის ისტორია, II, 1948, გვ. 654 (დაყოფა ავტორისაა.- რედ.).
- [57] ი. მ ა რ ი, Грузинские слова в изданных К. Г. Залеманом четверостишиях Хакани, Бюллетень КИАИ, № 6, Л., 1939. გვ. 10-13; მ ი ს ი ვ ე, К вопросу о позднейших толкованиях Хакани, СБ. «Хакани, Низами, Руставели», Л., 1935, გვ. 7-14.
- [58] Искандер-Намэ, перевод и редакция проф. Е Б е р т е л с а, Баку, 1940, გვ. 18; Проф. А. М а к о в е л ь с к и й, О поэме Низами «Искандер-Намэ», СБ. Низами, IV, 1947, გვ. 60.
- [59] Ю. Н. М а р р, К вопросу о позднейших толкованиях Хакани; А. Б о л д ы р е в, Два ширванских поэта Низами и Хакани, Сб. Памятники эпохи Руставели, Л., 1938, გვ. 119-120.
- [60] Низами Г а н д ж е в и, Хосров и Шарин, под ред. В. В. Г о л ь ц е в а, вступительная статья и комментарии Е. Э. Бертельса: М., 1948. გვ. 16; Низами, М., 1948, გვ. 130.
- [61] ვ. ფ უ თ უ რ ი ძ ე, ისკანდერ მუნშის ცნობა მხატვრის სიაომ-ბეგ ქართველის შესახებ, ენიმკის მოამბე, III, 1938, გვ. 383-386; მ ი ს ი ვ ე, ქართველი მოღვაწენი ირანის კულტურულ ასპარეზზე. ანალები, ტ. I, 1947, გვ. 287-296; საქართველოს ისტორია, I, 1943, გვ.325.

^[62] ქართულ-სპარსულ ლიტერატურულ ურთიერთობიდან, მნათობი, 1934, № 9, გვ.146. Ю. Н. Мапп, Статьи и сообщения, II, გვ.1939, გვ. 134.

^[63] როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ აზერბაიჯანულ მწერლობაზე, მხედველობაში გვაქვს ახლანდელი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე შექმნილი სპარსულენოვანი მწერლობა.

ამირანდარეჯანიანი

"ამირანდარეჯანიანი" კლასიკური ქართული მწერლობის ერთი იმ შესანიშნავი მეგლთაგანია, რომელიც "ვეფხისტყაოსნის" ეპილოგშია დასახელებული როგორც მთელი ეპოქის ბრწყინვალე და პოპულარული ქმნილება. ეს დიდი ლიტერატურული აღიარება, ეროვნული შემეცნებით მომდევნო საუკუნეებშიც განმტკიცებული, უსაფუძვლო არა ყოფილა. დიდი ავტორიტეტით მოსილი მეგლები შემთხვევით არ დგანან ერთ მწკრივში. ისინი ასახავენ ერთი ეპოქის - გამარჯვებული ქართული სახელმწიფოებრივი ცხოვრების იდეალებს შესაფერისი სოციალურ-პოლიტიკური საწყისებითა და ლიტერატურულა გემოვნებით.

"ვეფხისტყაოსანსა" და "ამირანდარეჯანიანში", ისე როგორც "აბდულმესიანსა" და "თამარიანში", ერთნაირად გამოიხატა ქართული სახელმწიფოებრივი მისწრაფებანი და სოციალურ-პოლიტიკური და მორალურ-კულტურული იდეალები, რომელნიც განსაზღვრული იყვნენ პატრონყმული წყობილებით, რასაც ემყარებოდა ქართული სახელმწიფოებრივი ცხოვრება. და ეს იყო ყველაზე დიდი იდეალი, რომელიც ბატონობდა საზოგადოებრივ აზროვნებასა და მწერლობაში. ესაა დრო, როდესაც საქართველო, გარეშე მტრებთან საუკუნოვან ბრძოლებში გამარჯვებით გამოსვლის შემდეგ, საზოგადოებრივი ცხოვრების ძალთა ჭიდილში საბოლოოდ ამკვიდრებს პატრონყმულ ურთიერთობას და აძლიერებს ცენტრალურ ხელისუფლებას, რითაც უზრუნველყოფს საზოგადოებრივი ცხოვრების კეთილდღეობას. ყველაფერი ეს ლიტერატურულად აისახა კეთილშობილი რაინდის მომხიბლავ ფიგურაში, რომელიც ამ საზოგადოების უშიშროების დამცველი იყო, მისი ბედნიერების თავმდეები. აქედან გასაგებია, რომ ყველაზე დიდი იდეალი იყო გმირობა და ვაჟკაცობა, პატრონისთვის ერთგული სამსახური მთელი მორალურ-ფიზიკური შესაძლებლობით. ამდენად საზოგადოებრივ ცხოვრებაში აღიარებული იყო ფიზიკური ძალ-ღონის პრიმატი. არსებითად სამხედრო წოდება იყო დიდი რაინდული კორპორაცია პრივილეგირებული მდგომარეობით, განუსაზღვრელი უფლებებით, უზრუნველყოფილი მატერიალური დოვლათით. რაინდობის უპირატესი მდგომარეობის აღიარება სახელმწიფო ცხოვრებაში განსაზღვრავდა მთელ საზოგადოებრივი ურთიერთობის ხასიათსაც.

საზოგადოებრივ ცხოვრებაში რაინდის ძლიერი ფიგურის არსებობა დასაბუთებული იყო რეალური საჭიროებით, რის გამოც ის იქცა მთავარ თემად ეპოსში, ლირიკაში, მატთანესა და აგიოგრაფიაშიც. ჩვენ ვხედავთ, რომ ქართული მწერლობის განვითარებაში გმირის სახე, როგორც მთავარი თემა, თან სდევს ყოველი ჟანრის გამოვლინებას. აგიოგრაფიაში გმირი შინაგანი მორალური ძლიერების თვისებებითაა დაჯილდოებული; ეპოსსა, ლირიკასა და მატთანეში - გარეგანი, ფიზიკური ძლიერების თვისებებით. ამიტომ სავსებით ლოგიკურია მკვეთრად შესამჩნევი ტენდენცია, რომ "ამირანდარეჯანიანის" მთავარი თემა ფიზიკური ძალ-ღონით აღმატებული გმირია, ისე როგორც მატთანეშიც და საბოლოოდ ლირიკაშიც.

რაინდული იდეალებისა და სახეების გამოხატვის თვალსაზრისით კლასიკურ ქართულ მწერლობაში ყველაზე მეტი უშუალოდობითა და სისადავით გამოირჩევა

სწორედ "ამირანდარეჯანიანი", რომელშიც მწიგნობრული ქართულისთვის დამახასიათებელ ლიტერატურულ გემოვნებას ჯერ კიდევ ვერ მოუსწრია მეტყველების მთლიანად შებოჭვა რაფინირებული სტილითა და წიგნური თქმის ნორმებით, რის გამოც ის ხასიათდება მეტი არქაულობითა და ხალხურობით შედარებით "აბდულმესიანთან", "თამარიანთან", "ვეფხისტყაოსანთან" და თვით მატიაწეებთანაც კი.

"ამირანდარეჯანიანი" ციკლური აგებულების თხზულებაა, შედგება თორმეტი კარისგან და შეიცავს ამირანთან ერთად რამდენიმე სახელოვანი გმირის საბრძოლო თავგადასავალს. ამდენად, როგორც ეპიკური თხზულება, თავიდან ბოლომდე ერთ მთლიან ფაბულაზე აგებულ ნაწარმოებს არ წარმოადგენს, რასაც თხზულების ცალკეულ კართა დასათაურებაც ცხადად გვიჩვენებს. თვითონ ამირანის ამბავი რამდენიმე თავშია მოთხრობილი (IV, VII, VIII, XI, XII თავები). აღსანიშნავია, რომ დანარჩენი თავების გარეშე, როგორცაა განსაკუთრებით მეორე, მესამე, მეხუთე და მეექვსე კარი, ამირანის თხრობის ძირითადი ნასკვი კომპოზიციურად არაფერს დაიკლებდა, ისე როგორც არაფერს იძენს მათი თანხლებით.

პირველ კარში, "აბესალომ, ინდოთ მეფის ამბავი", რომელიც მთელი თხზულების ერთგვარ შესავალს წარმოადგენს, ინდოეთის მეფე აბესალომი ნადირობისას გადაეყრება ოქროსრქებიან ქურციკს, რომლის დევნაშიც მიაღებდა ქვიტკირის სახლს, მოხატულს ექვს ჭაბუკს შორის მჯდომარე ქალით; ნახატს შემდეგი წარწერა აქვს: "ამირან დარეჯანისძე და ყმა მისი სავარსიმისძე, ბადრი იამანისძე და ყმა მისი ინდო ჭაბუკი, ნოსარ ნისრელი და ყმა მისი ალი დილამი, ოდეს ქაჯნი დავხოცენით და ზღვათა მეფისა ასული გამოვიყვანეთ, ამას ადგილსა მოვედით და ყოველი არაბეთი ზედა მოგვიხდა და მაშინ არა ავად ვიყვენით". ამ სურათისა და იქვე სახლთან უამრავი ძვლისა და დამსხვრეული იარაღის ნახვით დაინტერესებული მეფე ბევრი ძიების შემდეგ მიაგნებს ბალხეთში მცხოვრებ ამირანის ყმადნაფიცს, მისივე თანამებრძოლ რაინდს სავარსიმისძეს, რომლისგანაც მოისმენს ამირანის ცხოვრებისა და რაინდული მოღვაწეობის ამბავს. მისი მონათხრობია სწორედ ამირანდარეჯანიანის მთელი შინაარსი მეორედან უკანასკნელ კარამდე.

მეორე კარში, "ბადრი იამანისძის ამბავი", რომელსაც ყვება სავარსიმისძე, ამირან დარეჯანისძე ნადირობაში შემთხვევით შეხვედრილი მტირალი შაოსანი კაცისგან გაიგებს, რომ მისი პატრონი, სწორუპოვარი გმირი ბადრი იამანისძე ვინმე არაბის რჩევით საფალავნო საქმეებისა და ზღვათა მეფის ქალის მოსაყვანად გამგზავრებულია. ხმელეთსა და ზღვაზე მრავალი ბრძოლის, ლაშქრობის, მხეცების დახოცვისა თუ სხვა დაბრკოლებათა გადალახვის შემდეგ ის მივიდა ზღვათა სამეფოში, დაამარცხა სამი მოქიშპე ბუმბერაზი და მეფის ქალი ცოლად შეირთო. უკან დაბრუნებისას ბადრი იამანისძე გაუტაცნია ბაყბაყ დევს. მის გამოსახსნელად, ზღვათა მეფის თხოვნით, ცნობილი ფალავანი ნოსარ ნისრელი გამგზავრებულია ალი დილამის თანხლებით.

მესამე კარში, "ნოსარ ნისრელის ამბავი", რომელსაც სავარსიმისძის პირით შაოსანი კაცი ყვება, ნოსარ ნისრელი სახიფათო გზების გავლის შემდეგ ბადრი იამანისძის გამოსახსნელად შედის დევთა ციხეში, სადაც ბაყბაყ დევი შეიპყრობს. ამბის მთხრობელი ამირან დარეჯანისძეს სთხოვს სასწრაფოდ გაემუროს ბადრი იამანისძისა და ნოსარ ნისრელის გამოსახსნელად.

მეოთხე კარში, "ამირან დარეჯანისძის ამბავი", რომელსაც სავარსიმისძე ყვება როგორც საკუთარი თვალთ ნანახს, ამირანი თავისი ყმის სავარსიმისძისა და შაოსანი კაცის თანხლებით გაუდგება გზას ბადრი იამანისძისა და ნოსარ ნისრელის გამოსახსნელად. პირველად ტყვეობიდან გამოიხსნის ინდო ჭაბუკსა და ალი დილამს და მათთან ერთად მრავალი ომისა, მხეცების გაწყვეტისა და სხვა დაბრკოლებათა გადალახვის, მათ შორის

ვეშაპის მუცელში ყოფნის, გამოქვაბულში გრძნებით დამწყვდევის შემდეგ ხოცავს დევებს, იღებს ციხეს და გამოიხსნის ბადრსა და ნოსარს, უკან გზად მომავალი კი ჰკლავს ბაყბაყ დევსაც.

მ ე ხ უ თ ე კ ა რ შ ი, **"ამბრი არაბის ამბავია"**, ამირანს გადაუწყვეტია მონახოს და შეებრძოლოს სწორუპოვარ ფალავანს იემენელ ამბრი არაბს, რომლის შესახებ შემთხვევით მოსაუბრეთაგან გაიგო. მას მრავალი საგმირო საქმე ჩაუდენია, ამოუწყვეტია თურქები, მოუკლავს მათი სამი ბუმბერაზი და გაუთავისუფლებია არაბეთი.

მ ე ე ქ ვ ს ე კ ა რ შ ი, **"ინდო ჭაბუკის ამბავი"**, ფაქტიურად გრძელდება ამბავი ამბრი არაბისა, რომელიც იემენის დასაპყრობად მისულ ინდოჭაბუკს ებრძვის, რის შემდეგაც უძმობილდება და მასთან ერთად ამარცხებს ხანთა მეფეს.

ამბრი არაბთან შესახვედრად გამგზავრებული ამირანი მას ცოცხალს ვეღარ მიუსწრებს.

მ ე შ ვ ი დ ე კ ა რ შ ი, **"მნათობთა ამბავი"**, ამირა მუმლის დავალებით ამირანს დარეჯანისძე მიემგზავრება მნათობთა ქვეყანაში, სადაც ის ამარცხებს მეფე ასფანის შვიდი მზეთუნახავი ქალისთვის მოსულ სხვა ქვეყნის რაინდებს და სამი საპატარძლო მოჰყავს ამირა მუმლის შვილებისთვის.

მ ე რ ვ ე კ ა რ შ ი, **"ტილისმათა ამბავი"**, სიზმრით შთაგონებული ამირანს დარეჯანისძე მიემგზავრება თილისმათა ქვეყანაში მზეთუნახავი ქალის ცოლად მოსაყვანად. მრავალი თილისმის განქარვებისა, ყაჩაღების დამარცხებისა თუ სხვა დაბრკოლებათა გადალახვის შემდეგ ამარცხებს თავის მოქიშპე ბუმბერაზებს, ცოლად ირთავს მზეთუნახავ ხვარემანს და ბაღდადში ბრუნდება.

მ ე ც ხ რ ე კ ა რ შ ი, **"სეფედავლე დარისპანისძის ამბავი"**, რომელსაც სავარსიმისძის გადმოცემით ომად მადისძე უყვება ამირა მუმლს, ობლად გაზრდილი სეფედავლე დარისპანისძე, მსოფლიო ფალავნის სახელი რომ ჰქონდა დამკვიდრებული, ჩინეთში გაემგზავრა, სძლია მრავალ დაბრკოლებას და მეფის ქალი შეირთო ცოლად. მისი საგმირო საქმეები რომ მოისმინა, ამირანმა ის ორთაბრძოლაში გამოიწვია, მაგრამ ვერც ერთმა რომ ვერ სძლია, დაძმობილდნენ.

მ ე ა თ ე კ ა რ შ ი, **"მზისა ჭაბუკისა ამბავი"**, ნადირობის დროს ამირანს დარეჯანისძე შეხვდა მტირალ კაცს, რომლისგანაც მოისმინა მისი პატრონის, სწორუპოვარი ფალავნის მზეჭაბუკის საგმირო საქმეთა შესახებ. მზეჭაბუკს დაუმარცხებია ხაზართა მეფის ბუმბერაზები, ცოლად შეურთავს მისი ქალი, რომელიც თილისმა თა ქვეყანაში გაუტაცნიათ, შემდეგ იქიდანაც დაუხსნია და სამშობლოში დაბრუნებული და ბედნიერ ცხოვრებაში მყოფი ღალატით მოუკლავთ.

მ ე თ ე რ თ მ ე ტ ე კ ა რ შ ი, **"სისხლთა ძებნის ამბავი"**, ამირანს დარეჯანისძე სეფედავლე დარისპანისძესთან ერთად ღაზანში გაემგზავრა და იქაური ხუთი ბუმბერაზი და მთელი ქალაქი ამოჟლიტა, რითაც მზეჭაბუკის მუხანათური მოკვლისთვის სისხლი აიღო.

მ ე თ ო რ მ ე ტ ე კ ა რ შ ი. **"ბალხეთს შესვლის ამბავი"**, ამირანი ბალხეთში მიემგზავრება, ჰკლავს მეფის წინააღმდეგ აჯანყებულ ბალხამს, ცოლად ირთავს მეფის ასულს და სახლში ბრუნდება დიდებამოსილი ფალავნობის მსოფლიო სახელით^[1].

ამ მოთხრობის კომპოზიციასა და ფაბულაში თვალში საცემია გამამთლიანებელი რკალის უქონლობა, სიუჟეტის დატეხილობა, რაც იმითაა შეპირობებული, რომ თხზულების მთავარი გმირი ამირანი მთელ თხრობას არ გასდევს მოქმედების განვითარებით, რომელთანაც დაკავშირებული უნდა ყოფილიყო სიუჟეტის მაგისტრალური ხაზები და ცალკეულ ეპიზოდთა და ამბავთა ნასკვების თავმოყრა. ფაქტიურად "ამირანდარეჯანიანი" შეიცავს არა ერთი მთავარი გმირის მთლიან ფაბულაზე აგებულ ნაწარმოებს, არამედ რამდენიმე ისეთი გმირის საფალავნო ამბების თხრობას, რომელთაც ყოველთვის არც მთავარ გმირთან აქვთ პირდაპირი დამოკიდებულება მოქმედების ნასკვებით, არც ერთმანეთთან არიან დაკავშირებული საკმაოდ გააზრებული შინაგანი ხლართებით.

სიუჟეტის დატეხილობასა და გამამთლიანებელი რკალის უქონლობაზე მიუთითებს ავტორისეული შენიშვნებიც. მაგ., მეოთხე კარი, "ამირან დარეჯანისძის ამბავი", რომელიც საგულისხმოა იმით, რომ თვით სავარსიმისძის საკუთარი ამბის თხრობას წარმოადგენს, თავდება შემდეგი შენიშვნით: "აქა დასრულდა კარი ინდოთა მეფისა, ბადრი იამანისძისა, ნოსარ ნოსრელისა და ამირან დარეჯანისძისა", რაც გარკვეულად იმაზე მიუთითებს, რომ თხზულება მხოლოდ ამირან დარეჯანისძის ამბავს არ შეიცავს და შემდეგ თავებში მოთხრობილია. სულ სხვა გმირთა ამბები, რომელნიც წინა თხრობის გაგრძელებას არ წარმოადგენენ.

რომანის აგებულების ეს თავისებურება - სიუჟეტის დატეხილობა და ბოლომდე კომპოზიციური გაუაზრებლობა და დაუმთავრებლობა - ერთგვარ შუქს ჰფენს მისი ლიტერატურული წარმოშობა-დამუშავების ჯერ კიდევ ბოლომდე გაურკვეველ საკითხს. თხზულების კართა შინაგანი დაუკავშირებლობა, მთავარი ფაბულის უქონლობა, კარგად გვანიშნებს ამბავთა ერთმანეთისგან დამოუკიდებელ წარმოშობას. მართლაც შეუძლებელია, ერთ ავტორს ასეთ ფართოდ ჩაფიქრებულ ეპიკურ ტილოს შექმნაზე ისე ემუშაოს, რომ მთავარ გმირად ამირანი ჰქონოდა დახატული და თხზულება აეგოს რამდენიმე პლანით, ისე რომ საერთო ფაბულა წინასწარ მკაფიოდ არ განესაზღვროს. ცხადია, რომ თხზულებამ რამდენიმე სტადია გაიარა, ვიდრე ის ჩამოყალიბდებოდა ლიტერატურულ "ამირანდარეჯანიანად", რომლის ავტორს ეგების უსარგებლია ზეპირსიტყვიერად კარგად ცნობილი ამირანის ირგვლივ არსებული საგმირო ეპოსის მოტივებითა და სახეებით.

ავტორის მიზანი, როგორც ჩანს, იყო ეროვნული მნიშვნელობის გმირის სახის შექმნა, რომლის ელემენტები მან დაინახა რამდენიმე პერსონაჟში და ისინი დაუკავშირა ამირანს, როგორც ყველაზე მეტად პოპულარულსა და ეროვნულ განცდაში გაგებულ ფიგურას.

ამ თვალსაზრისით მნიშვნელობა აქვს იმასაც, თუ რა არის თხზულების ძირითადი იდეა, რომელიც ყველა მის ნაწილში შესამჩნევად იქნებოდა გამოხატული და ამდენადვე ყველა მის ნაწილსაც ერთმანეთთან დაკავშირებულს წარმოგვიდგენდა. ასეთი გამამთლიანებელი იდეა, გარდა უძლეველი გმირის იდეალისა, რომელიც ერის არსებობის სიმბოლოა, შესაძლო იყო ყოფილიყო საერთოდ ეპოსისათვის დამახასიათებელი მარადი თემა სიყვარულისა, მეგობრობისა, პატრიოტიზმისა თუ ჰუმანიზმისა. მაგრამ არც ერთი მათგანი არაა ოდნავი ყურადღების საგანი და ცხადადაა საგრძნობი, რომ ამირანდარეჯანიანის შინაგან იდეას, მის მთავარ კვანძს, ეპიზოდთა მდინარეებასა და კომპოზიციურ სპეციფიკას განსაზღვრავს თავისთავად რაინდული ურთიერთობა, რომელიც წარმოადგენს თხზულების მთავარ თემას და ერთადერთი ძლიერი მოტივი ესაა რაინდული იდეალი ბრძოლისა, რომელიც ჩვეულებრივ ვითარდება ორთაბრძოლებისა და ომების მრავალგვარ ეპიზოდებში. მათი მიზანია რაინდის პირადი ძალ-ღონის დემონსტრაცია, რომელიც ამაღლებულ საწყისად იქცევა ხასიათების შესაქმნელად, რომლის გაშლასაც ემსახურება მთლიანად სიუჟეტის განვითარება, მისი ყოველი ამბავი თუ ეპიზოდი. სხვა უფრო ძლიერი იმპულსის მქონე მოტივი ამ რომანმა არ იცის, ყველაფერი დანარჩენი წარმოადგენს ამ მოტივის გაშლის საშუალებას, მისთვის შემთხვევით ნახულ ფონს. ამიტომ თხზულების ამბავთა განვითარებაში მთავარია საბრძოლო თავგადასავლები. გმირის ისტორია და ხასიათი ძირითადად მისი საბრძოლო თავგადასავალია. მას არა აქვს სხვა, უფრო საკუთარი განცდებით აღბეჭდილი პიროვნული ცხოვრება, რის გამოც თხზულების სიუჟეტი არაა გამთლიანებული გმირის შინაგანი სამყაროს ამსახველი შინაარსით.

ყველაზე დიდი იმპულსი გმირთა მოქმედებისთვის აქ პიროვნული ურთიერთობა არ არის, არამედ რაინდობისა და ფალავნობის ზოგადი იდეალი გაშლილი საბრძოლო სიტუაციებში, ძალ-ღონის სტიქია, რომელიც აქ თვითმიზნურ იდეალად იქცევა და ენაცვლება ყოველგვარ სხვა მისწრაფებასა და წარმოდგენას სინამდვილესთან მიმართებაში. მთელი რომანი ნაწილდება არა მოტივების განვითარებით, არამედ საბრძოლო შემთხვევებით, ომების წარმოებით, რომელნიც ადგილს აღარა სტოვებენ პიროვნული ურთიერთობის შემცველი ეპიზოდების გასაშლელად, რითაც შინაარსობლივად და კომპოზიციურად უფრო თვალსაჩინოდ იქნებოდა დაკავშირებული ცალკეული ამბები მთლიან სიუჟეტთან.

საზოგადოებრივი ურთიერთობა, დამოკიდებულება გმირებს შორის, ეპიზოდების ხასიათი და მიმართება სიუჟეტთან აქ განსაზღვრულია ამ ძირითადი მოტივის - რაინდობის სულისკვეთებისა და ყოფის მეტად მარტივ სიტუაციებში გაშლით, რისთვისაც შემუშავებულია სტერეოტიპული მოტივები და გამოთქმები, რომელთა საშუალებითაც წარმოგვიდგება ყოველი რაინდის სახე მსგავს ხასიათებსა და ყოფით დეტალებში. თხზულების მთავარი გმირები - ამირანი, სეფედავლე, მზექაბუკი, ამბრი არაბი, ნოსარ ნისრელი, რომელნიც ერთნაირად არიან შექებულნი და დახატულნი როგორც მსოფლიო გოლიათი გმირები, თითქმის ერთგვარი საბრძოლო თავგადასავლებით, ერთნაირ პირობებში სძლევენ ყოველგვარ დაბრკოლებებს. ისინი მეზრძოლის ერთნაირი თვისებებით ხასიათდებიან, მსგავსად შოულობენ საცოლეებს და მსოფლიო ფალავანთა სახელს იხვეჭენ. რაინდული ყოფის ნორმებისა და ეტიკეტის დაცვის თვალსაზრისით მათ თავგადასავლებში არაფერი არაა ინდივიდუალური, პიროვნულად დამახასიათებელი, ისე რომ, როგორც გარეგანი ძლიერების აღწერა, ბრძოლაში იარაღის ხმარება, ბრძოლის წესები, თავდაჭერა, ისევე ყოველგვარი სულიერი მოძრაობის გამოხატულება, მორალურ-ეთიკური აგებულება, რითაც ისინი ხელმძღვანელობენ, სავსებით ერთნაირია. ამ მთავარ გმირთა თავგადასავალთაგან ამბრი არაბის ამბავში მხოლოდ ისაა განსხვავებული, რომ მისი სახელი არაა დაკავშირებული საცოლის ძეხნის და მისთვის ბრძოლის მოტივთან. ის მხოლოდ რაინდული ორთაბრძოლებისა და ლაშქრობების სიტუაციაშია დახატული. მისი თავგადასავალი შედგება დაბადება-აღზრდის სქემატურად მოყოლილი ამბისგან, რაშიც მთავარი ადგილი უჭირავს განუწყვეტელ ომებს, ორთაბრძოლებს, ბუმბერაზებისა და მხეცების ხოცვას. თხზულების მთავარ მოქმედ გმირებს ერთნაირად ახასიათებთ დამოკიდებულება პატრონებთან, ყმებთან, მეგობრებთან, საცოლეებთან. მათ ასევე აერთებთ ლაშქრობანი, ნადირობა-ნადიმობანი, ორთაბრძოლაში გასვლისა და იარაღის ხმარების წესები, მსგავსი სათავგადასავლო, საბრძოლო შემთხვევები, ხიფათისაგან თავის დაღწევის მსგავსი ხერხების ცოდნა და სხვ.

რაინდობის მოტივთაგან "ამირანდარეჯანიანში" ყველაზე რელიეფურად ომის ტრფიალია გამოხატული. გმირთა ურთიერთობის გაგებაში ომი, ორთაბრძოლა ღირსებისა და სიამაყის საქმეა, როგორც პიროვნებისთვის, ისე სახელმწიფოსთვის. მთელი არსებობის აზრი და ღირებულება ომის მორალითაა გაპირობებული. საზოგადოებრივი ურთიერთობა, ყოფაქცევის ეტიკეტი, რაინდობის დოგმები, უფლება-მოვალეობანი განსაზღვრულია ომთან მიმართებით.

აქ პიროვნება თუ მთელი ხალხი ხასიათდება უმთავრესად ბრძოლის სტიქიითა და უნარიანობით. "არა ჭაბუკთა ხელია უომრობა" (გვ. 440) - ეს თქმა ზოგადი მოწოდებაა და კარგად გამოხატავს რაინდობის სოციალურ ფუნქციას. ამიტომ, რომ მწერლის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ბრძოლისა და ომის სურათები.

ბრძოლის ჟინი, ომისადმი შეუნელებელი სწრაფვა, სისხლის ღვრა, კვლა და ნგრევა ამალღებული პათოსითაა გამოხატული. შეიძლება ითქვას, რომ ეს აქ ქმნის პირდაპირ ომის ესთეტიკას და მთლიანად თხზულება თითქოს სისხლის ღვრის აპოლოგიას წარმოადგენს. რომანში ყველაზე დიდ აღტაცებას, ქებასა და მოწონებას მხოლოდ ბრძოლისა და ომის მიმართ ვისმენთ. ავტორი თავის გმირთა გარეგნობის აღწერისას, მათ შორის ქალთა სახეების აღწერაშიც იმდენ ოსტატობას არ იჩენს, რამდენსაც ბრძოლის, კვლისა და ნგრევის სურათების გადმოცემაში. ისე რომ, ამ მხრივ თხზულება ემსგავსება ბატალური სურათების კრებულს, სადაც ყველაზე მეტად მჟღავნდება ავტორის მხატვრული სტიქია: "შევედით ქალაქსა შინა, დავხოცენით და ქალაქი იგი წაუღეთ და რისხვა ღმრთისა დავეცით მათ ზედა. არცა დიაცი დავარჩინეთ, და არცა მამაცი... დავწვით ქალაქი და წამოვიხვენით საჭურჭლენი - თვალი, მარგალიტი და სტავრა, რომლისა არა იყო რიცხვი, ავკიდეთ აქლემებსა და ჯორებსა, წამოვედით გამარჯვებულნი და მხიარულნი" (გვ. 442).

ორთაბრძოლა ინდო ჭაბუკსა და ამბრი არაბს შორის ასეა დახატული: "ვითა გათენდა, შეჯდა იგი ინდო ჭაბუკი შავსა ტაიქსა და დაიკიდნა პოლოტიკნი რკინანი! და აიხვნა კინენი და გამოვიდა. ვთქვითმცა, თუ არა არის ჭაბუკი ამისებრიო და ვთქვით, თუ დღეს არს სიკვდილი რომლისამეო... შემოუვლეს ერთმანერთსა ნავარდი, შეუტევეს და შეიბნეს. თავმან თქვენმან და ზენარმან ღმრთისამან ეგზომ ხელოვნად ეცადნეს ერთმანერთსა ზედა, დილითგან ვიდრე მწუხრამდე უყრიდეს ოროლითა და ერთმანცა ვერა ცნა ჯობნა. მერმე დაიწყეს ომი. რაზომ ფიცხლად იბრძოდეს, ზახილი იყო და აბჯართა ზედა ცემისა ჭეხა, რომელ აღარა ისმოდა ყურთა კაცისათა ხმა..." (გვ. 324). ბრძოლის ხმაურს მწერალი მხატვრულ სურათოვნებაში გვაგრძნობინებს: ამირან დარეჯანისძემ და წითლოსანმა ჭაბუკმა ორთაბრძოლაში "შემოუვლეს ნავარდი ერთმანერთსა, შეუზახნეს და შეუტევეს. შეიქმნა ომი დიდი, ძგერება მათი ჰგვანდა ორთა გორათა ძგერებასა და აბჯართა ცემა ჰგვანდა ჭეხასა" (გვ. 354). ამირან დარეჯანისძისა და სეფედავლე დარისპანისძის ბრძოლა "დიდთა კლდეთა ჯახებასა ჰგვანდა, მათი ომი და ჯახება, ხრმალთა ცემა ჭეხასა ჰგვანდა". (გვ. 400).

ყოველი ომი და ასპარეზობა მხარეთა წინასწარი შეთანხმებით წარმოებს და საზოგადოებრივ სანახაობად იქცევა. მის საყურებლად მთელი ქალაქი მოდის, დიდებულები სპეციალურად მოწყობილ სავარძლებში სხდებიან, განსაკუთრებით მეფენი თავისი ცოლებითა და ქალიშვილებით, რომელნიც ხშირ შემთხვევაში წარმოადგენენ ორთაბრძოლის მიზეზს. შეტევაზე არც ერთი მხარე არ გადავა, ვიდრე მეზრძოლნი და მაყურებელნი ორივე მხარისა მათთვის განკუთვნილ ადგილებზე არ მოთავსდებიან და მეფე ბრძოლის დაწყების ნიშანს არ მისცემს. მაყურებელნი ასეთ ბრძოლებში მონაწილეობას იღებენ შეძახილებით. ბრძოლის დამთავრების შემდეგ იმართება სჯა-ბაასი და გამარჯვებულსა თუ დამარცხებულს თანაგრძნობას უცხადებენ. "მნათობთა ამბავში" ქალის მოპოვებისთვის ორთაბრძოლა სინდთა მეფის ძესა და ასფან მეფის ბუმბერაზს შორის აღწერილია როგორც საზეიმო სანახაობა: "და ვითა გათედა, წამოდგეს ზედა მებუკე-მედაბდაბენი და ყოველი ქალაქი ხედვად და თვით მეფე ასფან დაჯდა მაღალთა ბანთა ზედა და დაისხნა გვერდით მნათობნი ქალნი მისნი და დიდებულნი მისნი და დაიდვა ნადიმი. ოდეს შევხედენით მათ მნათობთა ქალთა, ეგრე ვთქვით, ვითა: მათებრნი არა ნახულან ქვეყანასა ზედაო. გამოვიდა მუნით ბუმბერაზი ერთი შეკაზმული საომრად. გავიდა მოედანსა შიგან, დავსხედით ჩვენცა. შეეკაზმა იგი სიმან სინდთა მეფისა ძე და გავიდა, მაგრა კაცისა თვალსა ზედა, ღმერთო, კაცად კმა იყო. შემოუვლეს ნავარდი ერთმანერთსა და შეიბნეს. თავმან თქვენმან, ომად კმა იყო, და იბრძოლეს სამხრამდის. მერმე იყივლა

მან სინდთა მეფისა ძემან, ვითა: ასფან მეფეო, აწ ნახო ბუმბერაზი შენიო! შემოუტევა, ჰკრა ხრმალი ჩაბალახსა ზედა, ყელამდისი ჩაჰკვეთა და ფიცხლად მოკლა. ჩვენ გაგვეხარნეს დიდად და შევასხით ქება” (გვ. 340). ომის სურათებში ავტორი აღიქვამს სილამაზეს, რომელთა გადმოცემისთვის არ იშურებს შედარებებს. ინდო ჭაბუკისა და ამბრი არაბის ბრძოლა მთხრობლის გადმოცემაში დანახულია როგორც მშვენიერება: "არავის უნახვან ჭაბუკნი ეგეთნი და არცა ომი ეგეთი ფიცხელი და შვენიერიო" (გვ. 323).

მსგავს გამოთქმებსა და სურათებშია აღწერილი საერთოდ რაინდული ომები მთელ თერთმეტ კარში, რომლებშიც თავიდან ბოლომდე მეორდება ერთგვარი მოტივირებული ორთაბრძოლები სტერეოტიპულ აღწერებში.

ყოველგვარი საასპარეზო ომისა და რაინდული ორთაბრძოლის პირდაპირი მიზანია დაადგინოს რაინდის სახელი, რაც იარაღის სამართალში ირკვევა. შეჯიბრებაში ომისა, ნადირობისა თუ სხვა თავშესაქცევი შებრძოლების მრავალი სახის იარაღია გამოყენებული და ყველაზე ღირსეული საერთო ქების საგანი ხდება. ბრძოლის ეს იდეალი კარგადაა გამოხატული მზეჭაბუკის მსახურის რაბის სიტყვებში: "ვასპარეზობდით, ვიმღერდით, ვნადირობდით და სიხარული იყვის დიდი. მშვილდოსანსა ყველასა მზეჭაბუკი სჯობდა, მოასპარეზესა ყველასა იმარინდო სჯობდა, ოროლითა მომღერალსა ყველასა ორდავარელი სჯობდა, ცხენოსანსა ყველასა დორათ დილამი სჯობდა, მონადირესა ყველასა მოსორ ნადირისძე სჯობდა, მოჭადრაკესა ყველასა ამირ იამანელი სჯობდა, მცურავსა ყველასა ღამარ ღაზნელი სჯობდა" (გვ. 417).

ორთაბრძოლისა თუ ომის წარმოება, რამდენადაც მისი გამოსავალი გაგებულია როგორც სამართლის განჩინება, ზუსტად დადგენილ წესებს ეყრდნობა და წარმოებს თანასწორ პირობებში, თანასწორი მდგომარეობის რაინდთა შორის. ტრადიციით შექმნილი რაინდული კანონების დაცვა ყოველი მებრძოლისთვის პატიოსნებისა და პირადი ღირსების საკითხია. რაინდული წესების ყოველი დარღვევა - ვერაგულად მოკვლა, უიარაღოზე მისვლა, ბრძოლის ველიდან გაქცევა და მისთანანი, რაინდული სახელის შელახვაა, საერთო გაკიცხვის საგანია და ფასდება როგორც ღალატი, ლაჩრობა, მეკობრეობა. განსაკუთრებულ მწუხარებას ან აღშფოთებას იმდენად ვინმეს სიკვდილი არ იწვევს, რამდენადაც მოწინააღმდეგის ღალატით მოკვლა და უსამართლოდ მოპოვებული გამარჯვება, რასაც არავის არ აპატიებენ. ამარან დარეჯანისძისა და სეფედავლე დარისპანისძის ორთაბრძოლის მოგონებაში ის ახსოვთ, რომ "ესე ავი ქმნა სეფედავლემ, რომელ რა დარეჯანის ძესა ხრმალი გაუტყდა, მან ხრმალი არა დააგდო და არცაღა სხვისა ხრმლისა აღება აცალა" (გვ. 401). ამირ იამანელს ჩაბალახი რომ მოეშალა, ღამარ ღაზნელმა დრო იხელთა, "თავსა შიშველსა ჰკრა და მოკლა". რაინდის ასე მუხთლად მოკვლამ ისე აღაშფოთა მეფე, რომ "არცა ინადირეს და არცა იასპარეზეს და არცა ნადიმი დაიდვეს" (გვ. 419). ამირან დარეჯანისძეს განსაკუთრებით მოახსენებენ, რომ ექვსმა კაცმა უმუხთლა და მზეჭაბუკი მძინარე მოკლეს (გვ. 437), რომელსაც პატიოსან ორთაბრძოლაში ღამარ ღაზნელი ჰყავდა მოკლული (იქვე). ამის გამგონე ამირან დარეჯანისძე და სეფედავლე დარისპანისძე სპეციალურად გაემშურნენ სისხლის ასადებად, მახუსტ ღაზნელიც მოკლეს და მისი მთელი ქალაქიც გადასწვეს (გვ. 442).

გარკვეული წესრიგის დაცვა მხოლოდ ორთაბრძოლას არ ეხება, ის ვრცელდება სალაშქრო ომის წარმოებაზედაც. ანთარქავისძე თავისივე მოლაშქრეთ გაუწყრა, რომელნიც მათზე რიცხვნაკლებ მტერს ებრძოდნენ: "მცირედთა კაცთა ზედა მისლვა ესდენსა ლაშქარსა არა გრცხვენიახო?" (გვ. 403).

რაინდული წესების მიხედვით მეომარი მხარენი ერთმანეთს წინასწარ ატყობინებენ ომის დაწყების დროს, ადგილსა და ჯარის რაოდენობას. ეს წესი სავალდებულოა მით უმეტეს ორთაბრძოლაში გასული რაინდისათვის. რაინდი წინასწარ გამოიწვევს რაინდს ბრძოლაში და უთანხმდება ბრძოლის პირობებსა და იარაღზე, რითაც მოუხდებათ ბრძოლა. ასე უთანხმდებიან ერთმანეთს ორთაბრძოლაში როგორც ერთმანეთის მცნობი, ისევე უცნობი რაინდები, რომელთაც ერთმანეთის მხოლოდ სახელი გაუგიათ. ძმის სისხლის ასაღებად ამირან დარეჯანისძესთან მისულმა საბურმა "მოუგზავნა მოციქული ფიცხელი და დაასკვნეს ხვალისად ომი" (გვ. 371). მზეჭაბუკის სისხლის ასაღებად წასულ ამირან დარეჯანისძის ამაღლას სავარსიმისძის თხრობით მოწინააღმდეგეთ "მერმე მათვე კაცი მოეგზავნა ვითა - ყოვნა ომისა აღარა ხამსო. აწ ხვალე ჩვენვე გამოვალთ. გამოდით და აწ მუნამდის ვიბრძოლოთ, ვირე ერთმანერთსა დავაჯერებდეთ" (გვ. 441).

მებრძოლი მხარენი თანასწორნი არიან. ომის წინ მოწინააღმდეგენი ერთმანეთს უთვლიან: "გამოდით ერთი ერთისათვისო" (გვ. 375). ვიდრე თანასწორი იარაღი და პირობები არ ექნება მოწინააღმდეგესაც, ჭეშმარიტი რაინდი არ იბრძვის, ასევე ცხენმოკლულსა თუ ხმალგადატეხილ მეომარს რაინდი აღარ შეუტევს. ამირან დარეჯანისძეს შიშველ თავზე ომად მადისძე რომ ხმალს დაჰკრავს, ამირანი ხმლიან ხელს უტაცებს, უნაგირიდან ჩამოიღებს, მიწაზე დაანარცხებს, გინებას დაუწყებს ასეთი ვერაგობისთვის და ეტყვის: "თავსა შიშველსა ხრმალსა რად მკრვიდიო?" (გვ. 386).

რაინდი დამარცხებულ მეტოქეს, თუ ის ღირსეული რაინდია, არ კლავს. ამირან დარეჯანისძემ საბურ რაზაგისძესთან შებრძოლების წინ, რაკი მისი ვაჟკაცობა მოეწონა, თქვა: "რადგან ეგრე კარგი ჭაბუკი არის, თუ მოვერიო, არა მოვკლაო" (გვ. 372). ამირან დარეჯანისძემ მის მიერვე დამარცხებული და დაჭრილი რაინდი ომად მადისძე არათუ არ მოკლა, არამედ მკურნალი დაუყენა და მოარჩინა. ომად მადისძემ რომ უცნობი რაინდი დაამარცხა და გააქცია, მის დარჩენილ ქალს ხელი არ ახლო, და არც არაფერი აიღო. მისივე სიტყვით, ქალს ასე უთხრა: "დაო ჩემო, ღმერთმან იცის, ჯაბანი ქმარი გივის მეთქი, სხვა არა დავაკლუ და არცა რა წავიღუ" (გვ. 379).

პირადი ღირსების შეგნებაზე დამყარებულ რაინდული ბრძოლის კანონებში ის იდეალია გამომჟღავნებული, რომ ბრძოლას აქვს აბსტრაქტული ღირებულება, როგორც უმიზნო, სუფთა ხელოვნებას. ამიტომ, რომ ხშირად ბრძოლაში ერთმანეთს იწვევენ ახლო მეგობრებიც ყოველგვარი ბოროტი განზრახვის, პირადი მტრობისა და სიძულვილის გარეშე, მაგ., ამბრი არაბი და ინდო ჭაბუკი, ამირან დარეჯანისძე და სეფედავლე დარისპანისძე დიდი მეგობრული დროსტარებისა და პურისჭამის შემდეგ ერთმანეთს ასპარეზობაში ებრძვიან და, თუმცა ყველას უმძიმდა მათი ომი, მაგრამ, როგორც მთხრობელი შენიშნავს, "ამისთვის ოდენ გვიხაროდა, რომელ მათ უსწოროთა ორთა ჭაბუკთა ომსა ვნახევდითო" (გვ. 399). მათ ბრძოლაში საგულისხმო ისაა, რომ დიდი დრო ნადიმობასა და განცხრომაში გაატარეს და გრძნობდნენ, რომ რაინდული მოვალეობა აკისრებდათ ერთმანეთთან ბრძოლას ("სწადდა მასცა და ამასცა ომი ერთმანერთისა"), ვერცერთი ვერ ბედავდა ერთმანეთის ბრძოლაში გამოწვევას, "ჩემგან არ ეგების პირველად შეზრახვაო" (გვ. 398). აქედან კარგად ჩანს, რომ მებრძოლ მხარეებს ერთმანეთთან ხშირად ბრძოლის პირდაპირი სურვილი არცა აქვთ, მაგრამ ვალდებული არიან ერთმანეთს ებრძოლონ რაინდული სახელისა და მდგომარეობის გამო, ეს თვალსაზრისი კარგად გამოსჭვივის ინდო ჭაბუკისა და ამბრი არაბის საბრძოლო შეხვედრაში. ფალავნებმა "განისვენეს ერთგან. შეიქმნა საუბარი. ჰკითხა ინდომან ჭაბუკმან: აქა ჩემად ომად მოსრულხარო? ამბრი ეგრე

არქვა: ომად შენდა, თვარა მე სხვა საქმე არა მდებიაო... და დაასკვნეს ომი” (გვ. 323). მათი ბრძოლა უმსხვერპლოდ და შერიგებით რომ გათავდა, "შეიქმნა სიხარული დიდი ამისთვის, რომელ დარჩეს ერთმანერთისა ხელისაგან მშვიდობით" (გვ. 325).

რაინდული სახელი პირადი სიამაყის გრძობაზეა დაფუძნებული. ბადრი იამანისძემ ზღვათა მეფის ქალის შესართველად ბრძოლაში ფალავნები რომ დახოცა, მეფე უკვე თანახმა იყო, "მე სიძე ეგეთი ჭაბუკი მინდა", შეირთე ჩემი ქალიო, მაგრამ ბადრი ქალის წაყვანაზე უარს ამბობდა, ვიდრე არ შეებრძოლებოდა სხვა ფალავნებსაც, რომელთა დამარცხების გარეშე თითქოს დამტკიცებული არ იყო მისი უპირატესობა: "ჭაბუკობისა ძებნად წამოსრული ვარ სახლით ჩემითა. აწ თუ ათასიმცა გყავს, ვირე არა შევებმით, თუცა შემრთვიდე, მე არცა ეგრე შევირთავ" (გვ. 297).

ასპარეზზე გამოსული რაინდები ერთმანეთს ესაუბრებიან სარაინდო თავგადასავალზე, აცნობენ თავის საბრძოლო შემთხვევებს და უმტკიცებენ პირად ღირსებას, რითაც ცდილობენ მოწინააღმდეგეზე შთაბეჭდილების მოხდენას. "შევეცივლე: ჭაბუკო, მე ვარ მოხალდადე ომად მადისძე, ჭაბუკობისა ჩემისა ძალისა ცნობად ვიარები-მეთქი. რაცა მექმნა, ყველა უთხარ; სიტყვითა შეშინებასა ვლამოდი.

მას ეგრე მითხრა: შენი და ჩემი საბრძოლველი რა არისო?

მე ეგრე უთხარ: კარგი ვინმე ჭაბუკი ხარ, მე და შენ ომისაგან კიდე სხვა არა გვეწვევის რა მეთქი" (გვ. 379).

ხშირად რაინდს თავის მეტოქის შესახებ სხვებიც აცნობებენ: "აჰა, ძმაო, ესე სამნი ნაქმარნი მითხრობიან მისნი, აწ შენნი ნაქმარნი და მისნი შეაწონენ ერთმანერთსა და, თუ ომი შეგიძლია, წამოდი და შეები..." (გვ. 384). ეს სეფედავლე დარისპანისძის შესახებაა ნათქვამი, რომლის მსგავსი, საერთო აღიარებით, "ჭაბუკი არა არს ქვეყანასა ზედა სახითა, ნაკვითთა და გამარჯვებულობითა; მერმე - მას რომელ საქმენი და ომნი გარდაუხდიან, ყველასა მოთვლა არა ეგების" (გვ. 382).

ორთაბრძოლები და ასპარეზობანი სახელისთვის ფალავნებს შორის გამოარკვევს თუ არა რაინდულ სამართალს, მებრძოლთა შორის პირად მეგობრულ ურთიერთობას აღარაფერი აბრკოლებს და უმრავლეს შემთხვევაში მთავრდება დამოყვრებითა თუ ძმადშეფიცებით. ამბრი არაბი და ინდო ჭაბუკი ბრძოლის შემდეგ "იფიცნეს ძმად". "მე ძმა და მონა ვარ შენი დღეისითგან წაღმა", - უთხრა ამბრი არაბმა ინდო ჭაბუკს (გვ. 325). მათ "დადვეს შუა ფიცი ვითა, რომელსაცა რა გაუჭირდეს, ერთმანერთსა უშველდეთო" (გვ. 325). ორთაბრძოლის შემდეგ ასევე ძმად შეიფიცნენ სეფედავლე დარისპანისძე და ამირან დარეჯანისძე. მზეჭაბუკი და იმარინდო "დაიმოყვრნეს და ძმად იფიცნეს", როდესაც მზეჭაბუკმა სძლია მას (გვ. 422), რაბი ეხვეწება მზეჭაბუკს, იყმოს და იმსახუროს, "ვირემდის ცოცხალ ვარ, თქვენნი ყმა ვიქნები, მე თქვენებრი პატრონი სადა ვჰპოვო?". საბურ რაბაგის ძე რომ ამირან დარეჯანისძისაგან იძლია, "მას დღესა განისვენეს და დაიმოყვრნეს" (გვ. 372).

ძმად შეფიცვა რაინდებს შორის ხდება როგორც ორთაბრძოლის შემდეგ, აგრეთვე ერთმანეთის ტყვეობიდან გამომდინარე თუ სხვა რაიმე სიტუაციაში. ამირან დარეჯანისძემ ალი დილამი და ინდო ჭაბუკი რომ ტყვეობიდან იხსნა, "შეიყვარეს ერთმანერთი და ძმად იფიცნეს სამნივე" (გვ. 310).

ღირსეულ რაინდებს შორის დამძობილებისას ორთაბრძოლაში გამარჯვებული დამარცხებულს სიცოცხლესთან ერთად უნარჩუნებს ღირსებასაც და, თუ არ იყმობს, უძმობილდება და სავსებით უარს ამბობს ბრძოლით მოპოვებულ მატერიალურ-სულიერ უფლებებზეც.

ორთაბრძოლამ რაინდულ ურთიერთობაში შექმნა თავისი ტრადიციები, წეს-ჩვეულებანი, სამართალი და თავაზა. რაინდულმა ყოფამ წარმოშვა გარკვეული

მოტივები, რომელთაგან ზოგიერთმა გზა გაიკვლია მსოფლიო რომანის სარბიელზედაც. ამ მხრივ საკმარისია დავასახელოთ სიყვარული და მეგობრობა, რომელთა განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა რაინდულმა ურთიერთობამ.

მაგრამ ბრძოლისა, სისხლისა და სიკვდილის სტიქიამ და მასთან დაკავშირებული მოტივებით გატაცებამ, სავსებით განდევნა თხზულებიდან რაინდული ყოფისთვის ჩვეულებრივ დამახასიათებელი მოტივი სიყვარულისა. ამასთან, თუმცა ასპარეზობათა ეპიზოდებში ქალისთვის ბრძოლის მოტივი თითქმის ყოველი ორთაბრძოლისა და ლაშქრობის იმპულსია, არც ერთ შემთხვევაში თვითონ ქალის სახე პიროვნულად არაა დახატული. მოიპოვება რამდენიმე მკრთალი აღწერილობა სტერეოტიპულ შედარება-გამოთქმებში, რომელნიც არავითარ თავისებურებას არ გვაგრძნობინებენ და მათი მიხედვით არც ერთი კონკრეტული სახე არაა შექმნილი. ამდენადვე სიყვარულის მოტივი აქ მოკლებულია ჩვეულ სითბოსა და გმირის სახესთან ორგანულ დაკავშირებას, ინდივიდუალურ ხასიათსა და რაიმე მომხიბლაობას. ალ. ბარამიდის სამართლიანი შენიშვნით, "ამირანდარეჯანიანის პერსონაჟებს, არც ვაჟებს, არც ქალებს, არ ამოდრავებთ სიყვარულის შინაგანი ცეცხლი, ან უბრალო მგრძნობელობა და აქედან გამომდინარე სულიერი მღელვარება".^[2] ამიტომაც, რომ ქალის სახე აქ ბუტაფორულ სქემას წარმოადგენს და არც ერთი მათგანი რომანში არაა მოქმედი გმირი, კონკრეტულ თავისებებსა და პიროვნულ განცდებში გააზრებული სახე - ინდივიდი.

ამირან დარეჯანისძე სამჯერ ირთავს ცოლს, პირველად მეფის ასტარას ქალს ხვარემანს, მეორედ - ინდოეთის მეფის ქალს, მესამედ - ბალხეთის მეფის ქალს. სამივე შემთხვევაში მათ ასპარეზობაზე ბრძოლით მოიპოვებს მრავალი მეტოქის დახოცვითა და სისხლის ღვრით. ასევე ასპარეზობაში ბრძოლით მოიპოვებს საცოლეები ბადრი იამანისძემ ზღვათა მეფის ქალი, სეფედავლე დარისპანისძემ ჭენტა მეფის ქალი, მზეჭაბუკმა ხაზართა მეფის ქალი. საცოლეების ძებნისა, მოპოვებისა და შერთვის ამ ეპიზოდებში არც ერთხელ არ იხატება ჭეშმარიტად სამიჯნურო სურათი, ვინაიდან ამ შემთხვევაში როგორც ვაჟები, ისე ქალები მოკლებული არიან საჭირო კონკრეტულ, ინდივიდუალურ ხასიათებსა და თავისებებს მაშინაც კი, როდესაც ეს თვით ეპიზოდთა ნასკვის განვითარებით თითქოს ბუნებრივად აუცილებელიც იყო. ამირან დარეჯანისძის პირველი საცოლე ხვარემანი, რომლის შერთვა აღწერილია კარში "ტილისმათა ამბავი", თითქოს ყველაზე რელიეფურ სახეს უნდა წარმოადგენდეს თხზულების ქალთა შორის, მაგრამ მკრთალია, სქემატური, ინდიფერენტული. ხვარემანი როგორც სახე არ არსებობს არც გარეგნობაში, არც სულიერ ცხოვრებაში. არც ხვარემანს, არც ამირან დარეჯანისძის მეორე ან მესამე ცოლსა თუ სხვა რომელიმე გმირის საცოლეებს თხზულებაში არავითარი სპეციფიკური ფუნქცია არ აკისრიათ და არც თავიანთი საქმროების ცხოვრებაში თამაშობენ რაიმე პიროვნულ როლს. ისინი მშრალად არიან აღწერილი, არსებითად მონაწილეობას არ იღებენ მოქმედების განვითარებაში და როცა კი რომელიმე ეპიზოდსა თუ სურათში გამოჩნდებიან, არასოდეს არ ამჟღავნებენ თავს. მათ ერთი სიტყვაც კი არ წამოსცდებათ რომელიმე სიტუაციაში, სადაც კი ამის საშუალებას დიალოგის საჭიროება იძლევა. მაგ., საცოლეს მოპოვებისთვის ასპარეზობაში გასული მეტოქენი ქალის თანდასწრებით იბრძვიან, რომელიც ამ დროს გულგრილად შესცქერის ბრძოლას და რაიმე პირადი ინტერესის გამოვლინების გარეშე ელოდება მის დასასრულს, რამაც უნდა გამოავლინოს მისთვის სასურველი საქმრო. სეფედავლეს არაბთა მეფის ძე რომ ჭენტა მეფის ასულის მოპოვებაში ედავება, ასპარეზზე გამოსული ამყად განუცხადებს ქალის მამას: "თუ

ძალი გიც, მოუშვენ ომად ჩემად ლაშქარნი შენნი და ანუ ეგე ახალი სიძე შენი და წამგვაროს ცოლი ჩემიო” (გვ. 393). ორთაბრძოლაში გამოსული არაბთა მეფის ძე სეფედავლეს ეუბნება: "გამოედ, სეფედავლე, რომელ მე გაგაჩვენო მაგა ცოლსა შენსა, რომელი გამოგყვა და ჩემსას შენ გირჩივა" (გვ. 394). სეფედავლემ თავისი მეტოქე "მოჰხადა უნაგირთაგან და ქვეყანასა დაჰკრა ჭენტა მეფისა კერძ და მოკლა" (გვ. 394). იმავე ქალის მოპოვებისთვის ლაშქრობაში გამოსულ როსაბს ჭენტა მეფე ყივილით ამხნევებს: "თუ შენ სეფედავლეს აჯობო, შენ მოგცე იგი პირმზე ასული ჩემი ცოლადო" (გვ. 395). გაჯავრებული სეფედავლე ჭენტა მეფეს უყივლებს: "თუ ჩემსა ნაკრავსა და-ღა-ურჩეს, თუნდა, ღმერთო, შენი ცოლიც მიეცო" (გვ. 395).

ამ სურათებიდან კარგად ჩანს, რომ სავსებით უგულვებელყოფილია ქალის ყოველგვარი პიროვნული მე თავისივე ბედის გადაწყვეტაში, ის მხოლოდ პასიური მაყურებლის როლში გვევლინება. ქალის ინიციატივა თუ გამომჟღავნდება, ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ რაინდული ბრძოლის სამართლიანობაზე მიუთითოს და არა საკუთარი გულის ზრახვაზე. ბადრი იამანისძეს საცოლე ცხენს და ხმაღს უგზავნის, რომ შეეხას მეტოქეს. ზღვათა მეფე თავის ქალიშვილს ეხვეწება იკმაროს ამდენი სისხლი და მისთხოვდეს ბადრი იამანისძეს, რომელსაც მეტოქეებთან ორთაბრძოლაში მისი გულისთვის უკვე ბევრი ვაჟკაცი ჰყავს მოკლული, რაზედაც ქალი უპასუხებს: "მე ეგეთი ქმარი არ მინდა, რომელ ეგრე ვგონებდე, თუ მისი დამართებითი კაცი არის და ანუ უკეთესი ქვეყანასა ზედაო. აწ შეაბით ისი მესამეცა და, თუ აჯობოსდა, დავმორჩილდე ბრძანებასა თქვენსაო" (გვ. 298-299).

ასეთ ასპარეზობაზე ბრძოლებითაა მოპოვებული ყველა გმირის მიერ თავისი საცოლე, გამონაკლისი ზოგჯერ მხოლოდ მეფის შვილების მიმართაა დაშვებული, რომელთაც ორთაბრძოლაში რაინდი სცვლის. მაგ., ამირ მუმლის სამი ვაჟისთვის საცოლეებს ორთაბრძოლაში ამირან დარეჯანისძე მოიპოვებს, რაც იმას ნიშნავს, რომ აქ ქალის პიროვნული ინტერესი მამაკაცთან ურთიერთობაში სავსებით გამორიცხულია და სიყვარული, როგორც თავისუფალი მეს გამოვლინება, არ არსებობს, იმიტომ არ არის არც სიყვარულის რომანტიკა. თხზულებაში არ არის დახატული არა მხოლოდ სიყვარული როგორც სუფთა მოტივი, აქ არ არის მოცემული არც თვითონ ქალის გარეგნობის შესამჩნევად დახატული სახეები, თუმცა ისინი მზეთუნახავებს წარმოადგენენ. ავტორი მათთვის მხატვრული მეტყველების სამკაულს არ იმეტებს და, შეიძლება ითქვას, ყურადღების გარეშე ტოვებს. მაგ., ამირან დარეჯანისძის საცოლის ხვარეშანის სილამაზე ავტორს გადმოცემული აქვს სტერეოტიპად ქცეულ მზის მარტივ შედარებაში: "იჩქითად სინათლე გამოვიდა ასეთი, ვითა მზე ამოსულიყო, გვეგონა, ვითა იგი სინათლე იყო ხვარეშან ქალისაო" (გვ. 360). ეს ერთადერთი შედარება საერთოა ყველა ქალის სილამაზის აღწერაში. მზეჭაბუკის საცოლედ ასეა დახასიათებული: "ვითა მზისა სინათლე" (გვ. 420).

მზის ეს მარტივი შედარება, გამოყენებული ზოგჯერ როგორც "პირმზე", ამოსწურავს თხზულებაში ქალის სილამაზის წარმოდგენას, თუმცა რომანი ქალის მოპოვების მოტივით იწყება და ვითარდება. ქალის ასეთი ღარიბი აღწერილობა მით უფროა საკვირველი, რომ თხზულებაში თვალში საცემია მშვენიერებისადმი, სიმდიდრისადმი, ლამაზი სასახლეების, ტანისამოსისა თუ სხვა ნივთების, განსაკუთრებით კი პატიოსანი ქვებისადმი თავდაუქერელი ლტოლვა. პატიოსანი ქვებისა, ტანისამოსისა თუ სხვა ნივთებისადმი ავტორის ყურადღება ყოველთვის გამახვილებულია მაშინაც კი, როდესაც ირგვლივ სისხლი იღვრება: "დაწვით ქალაქი მათი და წამოვიხვენით საჭურჭლენი: თვალი, მარგალიტი და სტავრა, რომლისა არა იყო რიცხვი. ავკიდეთ აქლემებსა და ჯორებსა, წამოვედით გამარჯვებულნი და

მხიარულნი” (გვ. 442). ასე ამთავრებს სავარსიმისძე ამირან დარეჯანისძისა და სეფედავლე დარისპანისძის ლაშქრობის თხრობას "სისხლთა ძებნის ამბავში". ამირან დარეჯანისძეს სახლში ამირ მუმლი რომ ეწვია, მეფისთვის საძღვრად "მოიხვნა მოთხენი, თვალითა და მარგალიტითა შეკაზმულნი, და კლიტენი იყვნეს ზედა ოქროდსანი, გაახვნა და ამოიხვნა გვირგვინი და უძღვნა იგიცა. ამას გვირგვინსა ზედა, რომელ სხდეს თვალნი. მას არა ვახსენებ. ამას გარეთად სამნი თვალნი იყვნეს მას გვირგვინსა ზედა - ერთი თეთრი, ერთი მწვანე და ერთი წითელი. და მათ თვალთაგან რომელიცა უკუნსა ღამესა დასდვი, ესრე ნათობდის, რომელ წიგნი დაიწერებოდის და ხელთ საქმარი იქმნებოდის” (გვ. 332). ამირან დარეჯანისძისა და ხვარეშანის ქორწილში "გარდახდა ამირან დარეჯანის ძე ოქროდთა მოჭედილსა სახლსა შინა. მუნ იყო კუბო თვალითა და მარგალიტითა შეკაზმული მწვანისა ზურმუხტისა და საჯდომი ისხნეს ოქროქსოვილნი, რომელ ვითა მზე ელვიდის... იყო ორთა ტაბაკთა ზედა ოქროდსათა ორნი თვალნი - ერთი ძოწეული და ერთი თეთრი და მათგან თურე გამოვიდოდა სინათლე იგი”. (გვ. 360).

თვალმარგალიტთა დახატვაშიაც მოძებნილია ფორმულა, რომელიც ზოგჯერ ცვლის კონკრეტულ მხატვრულ აღწერილობას: "არა იყო რიცხვი მის ჯავარიანთა თვალთა მნათობთა” (გვ. 365).

ნივთების მშვენიერებათა ასეთი თვალსაჩინო ქება მით უფროა შესამჩნევი, რომ ავტორი არა მხოლოდ ქალების, არც მამაკაცების, მათ შორის მთავარი გმირების, კონკრეტულ აღწერილობას არ იძლევა და მიმართავს ზოგად გამოთქმას: "ეგეთნი მოკაზმულნი და შვენიერნი კაცნი არა მინახვანო” (გვ. 359).

ამიტომ არც ამირანის სახეა კონკრეტულად დახატული, თუმცა ის დახასიათებულია როგორც მსოფლიო უძლეველი გმირი მრავალ ეპიზოდში და ჩვენ მის შინაგან, სულიერ აგებულებაზე უფრო მეტი ვიცით, ვიდრე გარეგნობაზე. ისაა სწორუპოვარი რაინდი, სამართლიანი პატრონი ყმებისა, ერთგული მსახური მეფისა, დარბაისელი, უანგარო, ლალი, თავგამოდებული, კეთილი ადამიანი. პიროვნული სულიერი და ფიზიკური თვისებები მას მკვეთრად გამოარჩევენ გარემო წრიდან, რომელთანაც ის საბრძოლო-სამეგობრო ურთიერთობაშია. "ამირან დარეჯანის ძე არის გულითა ქველი, და გონებითა ბრძენი და მეცნიერი. მას უვლიან ყოველნი ქვეყანანი და კარგად იცის ამბავნი უცხოთა ქვეყანათანიო”, მოახსენებს აბრამ ვაზირთუხუცესი ამირა მუმლს (გვ. 331). ყველა ხელმწიფის აღიარებით "არა არს პირსა ქვეყანისასა ჭაბუკი შენებრი” (გვ. 346). და "არცა ვინ ამირან დარეჯანის ძესა ჰგავს და არცა ვინ მისთა ყმათა ყოველსა ქვეყანასა ზედა” (გვ. 447). ხვარეშანის დედამ ასე გამოაცხადა თავისი სასიძოს მისვლა მათთან: "მოვიდა დარეჯანის ძე ჭაბუკი, რომელმან თავისა ჭაბუკობითა შემოვლნა ძნელნი გზანი, რომელ არავის უქმნია კაცთაგანსა ეგეთი საქმე და ნაქმარი” (გვ. 360). ყველა ამასთან ერთად, ამირანი დახატულია როგორც კეთილშობილი რაინდი, რომელიც აღსავსეა სიამაყის გრძნობით და მოვალეობის შეგნებით მოქმედებს. ის სამართლიანია, პირდაპირი, ჩქარი - ყველაფერზე მიტევებით იცის მისვლა. ამირანი ერთნაირად საყვარელია როგორც თავისი მოყმეებისათვის, რომლებთანაც ნადიმს ინაწილებს, ისე თავისი პატრონის ამირ მუმლისა თუ სხვა მეფეთათვის, რომელთა წინაშეც სამსახური გაუწევია. ამირ მუმლი ამირან დარეჯანისძეს სახლში რომ ეწვია, როგორც ძმას მიმართა: "შენ ვითამცა ძმა ხარ ჩემიო” (გვ. 339). ამირანი უანგაროდ იბრძვის, რაინდული აღთქმის თანახმად, ყოველგვარი ბოროტების წინააღმდეგ. იგი ერთ ქვრივს გამოესარჩლება და მისი გულისთვის ებრძვის დევს (გვ. 451). განსაკუთრებით იცავს მეფის უზენაეს უფლებას და არა მხოლოდ ემსახურება საკუთარ პატრონს,

არამედ არ ებრძვის სხვა ქვეყნის მეფეთაც, თუნდაც ისინი მისი პირადი მტრებიც იყვნენ. ის არ ჰკლავს და იწყალებს დამარცხებულ მეფე ხვასროს, რომელთანაც ბრძოლაში თავისი სურვილის გარეშე გავიდა, რადგან სამეფო ღირსება ხელშეუხებლად მიაჩნია.

ამირან დარეჯანისძის გმირული ფიგურის დახასიათება, განსაკუთრებით ფიზიკური ძალ-ღონის თვალსაზრისით, საერთო სქემას წარმოადგენს ყველა დანარჩენი გმირის დახატვისათვისაც. ასე რომ, არც ერთ მათგანს არა აქვს საკუთარი, პიროვნული, ერთმანეთისგან არსებითად განსხვავებული სახე და ხასიათი. თხზულების დანარჩენი გმირებიც მსგავს სიტუაციებში უკლებლად იმეორებენ ერთხელვე შემუშავებულ ბრძოლისა, რაინდული ყოფისა და ვაჟკაცობის ნორმებს. ამირანის საგმირო საქმეთა დახასიათებისთვის გამოყენებული სურათები, მოტივები და გამოთქმები ასევე მეორდება ამბრი არაბის, სეფედავლე დარისპანისძის, ბადრი იამანისძის, მზეჭაბუკისა თუ სხვა გმირების საფალავნო დახასიათებაში. მათი ქებისთვის, აგრეთვე ორთაბრძოლების, ლაშქრობათა, ქორწილების, ნადირობისა თუ ნადიმობის აღწერილობისთვის აქაც შექმნილია სტერეოტიპული ფორმულები, შტამპად ქცეული თქმები და ეპითეტები, ეპიზოდები, სახეები, თხრობათა დასაწყისები და დაბოლოებანი. მათში ყოველთვის საერთოა: "ვითა გათენდა, წამოდგეს ზედა მეზუკე-მედაბდაფენი", შემოუვლეს ნავარდი ერთმანერთსა, შეუზახნეს და შეიზნეს", "ჰკრა ხმალი და ორად გაჰკვეთა და მოკლა", "ომსა შიგან კაცი ცხენითურთ აიღის და ქვეყანასა დაჰკრის", "სადაცა შიგან ლომი ნახის, ვითა კატა მოკლის". "არა არს პირსა ქვეყანისასა მისებრი". ამ სტერეოტიპულ გამოთქმათა გარეშეც თხზულებაში იგრძნობა მოტივებისა და მთელი სურათების გამეორებათა არსებობა და ის ფორმალურად გამოხატულია გამოთქმაში "რალას ვაგრძელებდე", რითაც მწერალი გვამცნობს, რომ ამცირებს ორთაბრძოლის, ნადირობისა თუ სხვა რაიმე სურათის აღწერილობას, რამდენადაც ის უკვე ნაცნობია სხვა ეპიზოდთან დაკავშირებით წინა თხრობაში, რაც მკითხველმა უნდა მოიგონოს. ეს ხერხი თხზულებაში ხშირადაა გამოყენებული, სადაც კი ამბები პარალელური ეპიზოდებითა და მოტივებით ვითარდება.

რაინდული ყოფისა, ომისა და ორთაბრძოლების მრავალგვარ ეპიზოდსა და მოტივში დახატული სინამდვილე, შეიძლება ითქვას, ზოგადკაცობრიულია და თავისთავად რაინდის ტიპის გაგებაც საერთოა ყველა ხალხისა და დროისთვის ძირითადი ნიშნებით. ესაა ფაზიკურ და სულიერ უპირატეს თვისებათა ჰარმონიული შერწყმა. მტერზე თავგამეტებული მისვლის ძალა, იარაღის მარჯვე ხმარება, რაინდობის წესების შეუბღალველი დაცვა, პირადი სიამაყისა და მოვალეობის შეგნება, ზიზღის გრძნობა ტყუილისა და კვებნისადმი, ლაჩრულად შენარჩუნებული სიცოცხლისა თუ დალატით მოპოვებული გამარჯვებისადმი, იარაღის ვერაგულად ხმარებისადმი, სულგრძელობა, დამარცხებულის შენდობა, დაჭრილის შველა, ტყვეთა გამოხსნა, დაჩაგრულის ქომაგობა, შურისძიება, სისხლის აღება, ბოროტებასთან ბრძოლისთვის მუდმივად მზადყოფნა, სიკეთის ქმნა, სიმართლის ძებნა, გულუხვობა, განსაკუთრებული დათმობა და ვალდებულების გრძნობა ქალისადმი, პატრონის უანგარო სამსახური - რაინდობის უმაღლესი იდეალების გამოსახულებანია.

რაინდის აღნიშნულ თვისებებში რომელიმე ეროვნების, ამ შემთხვევაში კი მხოლოდ ქართული ყოფისთვის დამახასიათებელი შეიძლება ძნელად გამოიყოს, რამდენადაც რაინდული ყოფა თავისი იდეალებით შუა საუკუნეთა საზოგადოებრივი ცხოვრებისა და კულტურის საერთოდ გავრცელებული თემების წყაროა. ამიტომ აქ

მნელია ყოველი ცალკეული მოტივის პირველი ადგილსამყოფელის ზუსტი განსაზღვრა, როგორც ეს ხერხდება ზოგი სპარსული, ანდა ქართული ლიტერატურული თუ ისტორიული სინამდვილით დამოწმებული მოტივის მიმართ. მაგრამ ყოველი ხალხის საზოგადოებრივ გემოვნებაში ეს იდეალები და მოტივები თავისებურ ფორმებშია გადატეხილი და ეროვნული სახეების წარმოქმნისთვის გამოყენებული. შუა საუკუნეთა ევროპის მწერლობაში კარგად ცნობილი მოხეტიალე რაინდის ფიგურა ბევრითაა დავალებული სპარსელი და არაბი რაინდების სახეებით. ეს სქემა რაინდისა მსოფლიოში საერთოდ გავრცელდა და "ამირანდარეჯანიანშიაც" ქართული სინამდვილის კვალით აღბეჭდილი ცალკეული მოტივები, რომელნიც ნაწარმოებს საკმაოდ გამოკვეთილ ეროვნულ ხასიათს აძლევენ, მსოფლიო რაინდულ ურთიერთობაში შექმნილი იდეალების ქართული განვითარებაა. ასეთია ქალის ამადლებული მდგომარეობა, პატრონყმური ურთიერთობის თავისებურებანი და სხვ. მისთ. ცალკეული მოტივებისა და სახეების ქართული იერით აღბეჭდვა იმიტაცაა გაპირობებული, რომ "ამირანდარეჯანიანის" თემა და იდეალები ქართული ცხოვრების, მისი ზეპირსიტყვიერი შემოქმედებისა და მწერლობის კონკრეტულ გამოვლინებებთან უშუალოდაა დაკავშირებული. ამიტომ მისი გენეზისი და განვითარება როგორც ციკლური თხზულებისა ქართული კულტურის ისტორიის, მითოლოგიის, საზოგადოებრივი აზროვნებისა და მწერლობის მნიშვნელოვან საკითხებსაც მოიცავს. ეს პირველი ქართული რაინდული რომანი თავისი ძირებით ებჯინება როგორც ხალხური შემოქმედების ღრმა წყაროებსა და ფანტაზიას, ისე პიროვნული შემოქმედების გემოვნებას, რომლის ბრძმედშიც ის საბოლოოდ იღებს დასრულებული ეპიკური თხზულების ფორმას. "ამირანდარეჯანიანის" კავშირი ქართულ სინამდვილესთან, უმთავრესად ზეპირსიტყვიერებისა და მწერლობის გარკვეულ მოტივებთან და იდეალებთან, ეჭვიშეუტანლად გვამცნობს რომანის ქართულ ეროვნულ ხასიათს, თუმცა მის გმირთა შემადგენლობა, მათი კერძო სახელები და გეოგრაფიული გარემო, რომელშიაც იშლება თხრობა, უმთავრესად უცხოა.

ამიტომ თხზულების შედგენილობის გარკვევაში მნიშვნელოვანია მოტივებისა და სახეების ისეთი ფენის არსებობა, რომელნიც მხოლოდ ქართული სინამდვილის ნიადაგზეა ასახული. ესაა მისი ძირითადი ბირთვის, მთავარი გმირის - თვითონ ამირან დარეჯანისძის სახის ქართულ ზეპირსიტყვიერებაში მეტად არქაული ნიშნების შემცველი ორეულის არსებობა, რომელიც თუმცა ჩვენამდე არაა მოღწეული ადრინდელი მთლიანი სახით და ჯერ კიდევ ბოლომდე თანაბრად არაა შესწავლილი და გახსნილი თავისი წარმოშობისა და ფოლკლორთან და მწერლობასთან დამოკიდებულების მთელი მნიშვნელობით, მაგრამ მისი ქართული ნიადაგი უკვე საერთოდაა აღიარებული.

ხალხური ამირანისა და ამირან დარეჯანისძის სახის გაიგივება ფაქტიურად მათი გენეზისიდან გამომდის და მათ შორის არსებული კომპოზიციური, მოტივური და ეპიზოდური დამთხვევები ამ გენეზისს ადასტურებენ. ამიტომ, თუ უდავოა, რომ ამირანის სახე ქართული კულტურის კუთვნილებაა, მაშინ მისი უძველესი ძირი ჩვენი ადრინდელი ისტორიის წარსულიდან მოდის, და ამდენად ხალხური წყაროს პრიმატი ამ სახის წარმოშობაში შეიძლება სწორი გაგება იყოს.

ხალხური ამირანის ფიგურას ამირან დარეჯანისძე რამდენიმე დეტალითა და პარალელური გმირით ენათესავება, რაც არ შეიძლება შემთხვევითი იყოს და რამაც სპეციალურ ლიტერატურაში დააყენა საკითხი მათი ურთიერთგავლენისა თუ საერთო წყაროს შესახებ. თავისთავადაც შესამჩნევ მსგავსება-თანხვედნილობაში

გავლენის პრიმატი რომელსაც არ უნდა მივანიჭოთ, ორივე ქართული შემოქმედების მოვლენაა ისტორიული მნიშვნელობით. ასეთი ურთიერთგავლენის ფაქტიც მხოლოდ იმას შეიძლება მიუთითებდეს, რომ ამ თხზულებების გმირითა და იდეით ქართული სულიერი კულტურა ცხოვრობს საუკუნეების განმავლობაში.

ხალხურმა ფანტაზიამ ამირანში გააერთიანა რამდენიმე გმირის ნაღვაწი, რამდენიმე თაობის ნაფიქრ-ნაოცნებარი, ის ქართულ შეგნებაში ეროვნული იდეალების განსახიერებაა და განიცდება როგორც ერთი სახე. ამდენად ეს გმირი ქართველი ხალხის ხასიათის ზოგადი ხატია, მისი არსებობის სიმბოლო. ასეა გაგებული ამირანიცა და ამირან დარეჯანისძეც ჩვენს საზოგადოებრივ შეგნებაში და ეს კიდევ ზედმეტად ამტკიცებს იმას, რომ ქართულ განწყობილებაში ამირან დარეჯანისძე აგრძელებს და ახალ გაფორმებაში ავსებს ხალხური ამირანის სახეს.

ამირანის პოპულარობა ქართულ ფანტაზიაში იმას ნიშნავს, რომ გმირში ნაციონალურმა შეგნებამ დაინახა ეროვნული იდეალების განსახიერება, რომელთაც ის თავის ისტორიაში ჭვრეტდა და რის გამოც ის აიყვანა ნაციონალური გმირის გაგებამდე. მასში შეიცნო ქართულმა არსებობამ საკუთარი ენერჯია და აქცია იგი ეროვნული სიდიადის სიმბოლოდ. ამიტომაც, რომ ამირანი თავის ფიგურაში ასახიერებს ხალხის წარმოდგენას გმირის ფიზიკურსა და მორალურ თვისებებზე და ხალხიც მას ამკობს ყოველგვარი ღირსებებით, რასაც კი ფანტაზია სწვდება. ამირანის მკვეთრად გამოძერწილი სახის შექმნაში ქართული საზოგადოებრივი ცხოვრებისა და პოლიტიკური განწყობილების კვალი ამ მხრივ კარგადაა გამოხატული. ესაა მსოფლიო სახელის მაძიებელი ფალავანი, რომელიც გასულია თავისი ქვეყნის საზღვრებს იქით საგმირო საქმეების ჩასადენად. ის ცდილობს გაექცეს ჩვეულებრივ ადამიანურ ხვედრს და ღმერთთან შებრძოლებით ზეკაცობას ეზიარება. ეს იდეა ქართულ შეგნებაში შორეული წარსულიდან მოდის, ქართულ შემოქმედებას სხვადასხვა სახით ყოველთვის სდევს ადამიანის ურჩხულთან შებრძოლების მოტივი, რაც რაინდულ ურთიერთობაში მსოფლიო ფალავნობის მაძიებელი გმირის მოტივის ფორმას იღებს და რასაც მსოფლიო მოქალაქისა და ხალხთა მეგობრობის იდეალიც ორგანულად უკავშირდება. ქართულ ეპოსს ეს ახასიათებს როგორც ხალხურ ამირანში, ისე "ამირანდარეჯანიანსა" და "ვეფხისტყაოსანში". ამ იდეას ქართული ეროვნული ძირები აქვს და ჩვენი ისტორიული ცხოვრების თავისებურებებით არის ასახსნელი ამ ეპიკური ფიგურის წარმოშობაც.

"ამირანდარეჯანიანში", შესამჩნევია ცალკეულ ამბავთა ისეთი ძირები, რომელნიც ფეოდალური ურთიერთობის განვითარების დასაწყისს ეყრდნობა და გაცილებით უსწრებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში თავისთავად რაინდული ყოფის დამკვიდრებას, რაც გარკვევით იმაზე მიგვითითებს, რომ ამ ძეგლში შევნიშნოთ მისი ფორმირების ორი სტადიის კვალი. პირველი ფენა ხასიათდება უძველესი წარმოშობის ნიშნებით, რომელშიც საგრძნობია მითოლოგიური ელემენტი, რაც უფრო მეტად ხალასი სახით ხალხურშია დაცული. ესაა დრო, როდესაც სარაინდო ყოფა ჯერ კიდევ არაა განვითარებული, რასაც კარგად გვაგრძნობინებს სისადავე გმირთა ურთიერთობაში, გმირობისა და ფალავნობის უპირატესობა სუფთა რაინდობასთან შედარებით, ქალის შესამჩნევი როლი რაინდულ ცხოვრებაში და განცდათა გამოხატვის უშუალოება. მეორე ფენაა რაინდული, რომელიც ლიტერატურული ტრადიციის კვალს ატარებს. ამიტომაც, რომ ძეგლში აშკარად შესამჩნევია ძირითადი მითოლოგიური ამბისთვის დამატებული რამდენიმე თხრობა, რომელთაც მასთან შინაგანი კავშირი არცა აქვთ.

რაინდული ციკლის ამბავთა წრის მოტივთაგან ამირანის სახეს ბევრი რამ შეეთვისა. მის თხრობას ზოგი რამ დაემატა, გადაკეთდა, უფრო მეტად კი ზოგი მნიშვნელოვანი რამ ჩამოსცილდა. თვითონ ამირანის ფიგურაში მითოლოგიური გმირის ელემენტი მთლიანად მაინც არ დაიკარგა, თუმცა ლიტერატურულ დამუშავებაში ჩამოცილებული უნდა ჰქონდეს დასაწყისი მითისა, სადაც გმირის დაბადება და ყრმობა იქნებოდა გაშლილი და რაღაც ლოგიკური დასასრული.

"ამირანდარეჯანიანის" შინაარსის, მისი ამბების განვითარების და გმირთა ურთიერთობის გათვალისწინება შესამჩნევს ხდის, რომ ეს თხზულება არსებითად ერთი გმირის ეპოსს წარმოადგენს. აქ ერთი გმირის სახის განხორციელებას ემსახურება მთელი თხზულება თავისი კვანძებით, ეპიზოდებითა და სიუჟეტის განვითარებით. ამასთან საყურადღებოა ისიც, რომ ყოველი გმირი, იქნება ის ამირანდარეჯანისძე, სეფედავლე დარისპანისძე, ბადრი იამანისძე, ამბრი არაბი, ინდო ჭაბუკი თუ სხვა, იმეორებს არსებითად ერთსა და იმავე სახეს, ხატავს ერთ გმირს, რაც ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ "ამირანდარეჯანიანი" არის ფალავნობის ეპოსი, სადაც ეპიკური აზროვნება ერთი გმირის ფიგურაში ჭვრეტს არსებობის იდეალს.

მთავარი გმირის რელიეფურად დახატვისთვის ერთი გმირის წინ წამოწევა ეპიკური ჟანრის დამახასიათებელია და "ამირანდარეჯანიანშიც" ეპიზოდები და გმირები უმთავრესად ამირანის სახის მკვეთრად გამოყოფას ემსახურებიან. რასაკვირველია, ეს ეხება მხოლოდ რამდენიმე თავს მთლიანად, რომლებშიც მთავარ თემას ამირანდარეჯანისძე წარმოადგენს. ასევე უნდა ითქვას სხვა რამდენიმე მთავარი გმირის მიმართ, როგორცაა სეფედავლე დარისპანისძე, მზეჭაბუკი, ამბრი არაბი, ინდო ჭაბუკი. ამრიგად, თხზულების ყოველი კარი და ამბავი შეიცავს უმთავრესად ერთი რომელიმე გმირის თავგადასავალს და ეს თითოეული გმირი მისთვის განკუთვნილ ამბავში რელიეფურად იხატება.

ეპოსის ასეთი აგებულება ეხმაურება ისტორიის გაგებას, რომლითაც წამყვანი როლი მიკუთვნებული აქვს ძლიერ პიროვნებას, რომელიც თითქმის ყოველთვის მეფის სახითაა წარმოდგენილი. ეს გაგება სავსებით ქართული მსოფლშეგრძნების უკუფენაა, გამოხატული ჩვენს მატრიანეებში, რომელიც ისტორიას შეიცნობს როგორც ცალკეულ გმირთა ცხოვრებას.

ამ ეპოსის განვითარებაშიც, მიუხედავად ფაქტიური მონაწილეობისა, ხალხს სიუჟეტისთვის არავითარი როლი არა აქვს როგორც მოქმედ ძალას. ის უნიციატივო მასას წარმოადგენს, რომელიც ასრულებს მხოლოდ ფონის როლს პიროვნებათა ურთიერთობაში საფალავნო მოღვაწეობის გასაშლელად. ხალხი (ლამქარი) უსახელოდ იღუპება მრავალრიცხოვან ომებში და ყოველთვის უკანა პლანზე დგას. მართალია, გმირთა საბრძოლო ურთიერთობა ხალხების ურთიერთობასაც იწვევს, რაც უცხო ქვეყნებში საბრძოლო მოგზაურობით, ომებითა და ორთაბრძოლებით ხორციელდება, მაგრამ ეს ურთიერთობა მაინც არა სცილდება პიროვნულ დამოკიდებულებას. ასეთ ურთიერთობაში არ იგრძნობა ხალხის არსებობა, ის ჯერ არ არის გაგებული როგორც მოქმედი ძალა, არაა შემჩნეული მისი საზოგადოებრივი როლი, და მთელი ხალხის ისტორია გაგებულია ერთი გმირის ისტორიაში. მთელი სინამდვილე განჭვრეტილია მხოლოდ პიროვნული თვალსაზრისით, რაც მითოლოგიური აზროვნების დამახასიათებელია ეპიკური შემოქმედების უძველესი სტადიისათვის.

ეპიკური აზროვნება "ამირანდარეჯანიანში" დამთავრებული არ არის, ხალხების ურთიერთობას აქ არა აქვს ბოლომდე გააზრებული შინაარსი. ქართულ ეპიკურ შემოქმედებაში ეს მიღწეულია მხოლოდ "ვეფხისტყაოსანში", რომელშიც იდეურად

და კომპოზიციურად გამოხატულია ეპოსის ყველაზე სრულყოფილი ფორმა ხალხების დამეგობრებისა, რომლის საფუძველია მსოფლიო ბოროტებასთან ბრძოლაში ჭეშმარიტების გამარჯვება. აქ სამართალი და სიყვარული იმარჯვებს ბოროტებაზე და სწორედ ესაა მსოფლიო ეპოსის მთავარი იდეაც. ბოროტებისა და სიკეთის ბრძოლა გადაწყვეტილია შესანიშნავ მხატვრულ ფორმაში, სადაც ყოველ ეპიზოდსა და გმირს სავსებით გარკვეული ფუნქცია აქვს მინიჭებული ნაწარმოების ოსტატურად შეკრულ მთლიან შენობაში.

მიუხედავად თხზულების სიუჟეტის არათანაბარი აგებულებისა და მოტივების ცალმხრივი განვითარებისა, განსაკუთრებით კი სიყვარულის მოტივის უგულებელყოფისა, "ამირანდარეჯანიანი" პირველი სათავგადასავლო რომანია ქართულ მწერლობაში და შესაძლოა უკანასკნელთაგანაც რაინდული იდეალებისა და ყოფის ყველაზე საუკეთესო ტრადიციების გამოხატვის თვალსაზრისით, რამდენადაც თვითონ რაინდობა და ყოველივე რაინდული ისეთ იდეალურ გარემოშია დახატული, რომ თხზულება მთლიანად რაინდობის ყოფისა და მორალის ხოტბას წარმოადგენს.

რაინდობის განსაკუთრებულ მდგომარეობასა და როლს სოციალურ ურთიერთობაში კარგად გვანიშნებს ის გარემოება, რომ მის წინაშე კლასობრივი ზღუდეებიც იშლება. რაინდობა საშუალებას იძლევა ადამიანი სოციალური ცხოვრების მაღალ საფეხურზე ავიდეს. "პატრონნი ჩვენნი არა პველითგან ხელმწიფენი არიან, აზნაურნი იყვნეს და ჭაბუკობითა გამეფდესო" (გვ. 382), - შენიშნავს სეფედავლე დარისპანისძის მსახური. ამიტომაც, რომ რაინდის მთელი მორალური და ფიზიკური ძალ-ღონე ბრძოლას ეწირება, ის იცავს უმაღლესი პატრონის - მეფის პიროვნებას ყოველგვარი ხელყოფისგან, რითაც თავის საკუთარ კეთილდღეობას ინარჩუნებს. ფიზიკური ძალის უპირატესობით ის საზოგადოებაში ამართლებს თავისი არსებობის საჭიროებას. აქედან წარმოსდგება პატრონისადმი სამსახურისა და მორჩილების კულტი, რაც ეპიკური შემოქმედების ყველაზე გამოკვეთილ იდეალად იქცა. ამ გაგებით ეპოსი ლეგიტიმიზმის იდეის დასაბუთებაა და "ამირანდარეჯანიანიშიც" ყველაზე თვალსაჩინოაა გამოხატული სწორედ ლეგიტიმიზმის იდეოლოგია. აქ არა ერთხელაა ხაზგასმული სამეფო პიროვნების ხელშეუხებლობის იდეალი, მისი ღვთივგვირგვინოსნობა და უზენაესი ავტორიტეტი; ასე რომ, მეფე მტერიც რომ იყოს, მას მოსაკლავად არ გაიმეტებენ. "მიეწივა ამბრი არაბი ხანთა მეფესა და შეიპყრა. ვითა ცნა, რომელ ესე ხანთა მეფე არისო, გარდახდა და თაყვანისცა ამბრი არაბმან და თქვა: მე მონა ვარ, შენ - დიდი ხელმწიფე. არა ეგების ჩემგან შენი არცა სიკვდილი და არცა პატიმრად წაყვანაო. გაუშვა მეფე და წავიდა" (გვ. 320). ორთაბრძოლაში ამირან დარეჯანისძე სინდთა მეფის ძეს რომ ინდობს, ასევე დელამთა მეფის ძეს, მას გარკვეული თვალსაზრისი ამოდრავებს და აკი შენიშნავს: "ღმერთმან იცის, მე ნებითა ჩემითა არ ვებრძვი ხელმწიფეთა, მით რომელ არამცა ფათერაკი წამეკიდოს და მოკვდეს რომელიმე ხელთა ჩემთაგან. არა კარგი არის აზნაურთაგან ხელმწიფეთა სიკვდილი" (გვ. 344). ეს ხაზი შესამჩნევია "ვეფხისტყაოსანშიც". ტარიელი მოერიდება როსტევანთან შებმას და ამჯობინებს გაქცევით გაათავოს საქმე, ვიდრე ბრძოლაში მეფე დაამარცხოს. მეფეები "ამირანდარეჯანიანიში" ყოველთვის იდეალურადაა აღქმული. ისინი სამართლიანნი, სულგრძელნი, გულუხვნი არიან. ამასთანაა დაკავშირებული ის გარემოებაც, რომ ეპოსის გაგებით ფეოდალური სახელმწიფოს სოციალური ცხოვრება ვასალისა და სუზერენის დამოკიდებულებაში მშვიდობიანი, შეთანხმებული ოჯახია. კლასობრივი ჰარმონია საზოგადოებრივ ურთიერთობაში, პატრონსა და ყმას შორის მეგობრული

განწყობილება "ამირანდარეჯანიანის" იდეალია. ასევეა ეს ასახული "ვეფხისტყაოსანშიც", და ქართული ისტორიოგრაფიის ძირითად იდეალსაც წარმოადგენს. ერთი სიტყვით, პატრონყმური ურთიერთობის ქართული ცხოვრებისთვის დამახასიათებელი ფორმა "ამირანდარეჯანიანის" ყველა კარში ერთნაირადაა გამოხატული და ქართული საზოგადოებრივი განწყობილების საერთო ფონზე თხზულებას აკლია მხოლოდ ჰუმანიზმის გრძობა, რაც ქართულ მწერლობაში განვითარების შემდგომი საფეხური იყო და ბრწყინვალედ გამოიხატა "ვეფხისტყაოსანში". "ამირანდარეჯანიანის" მკრთალი პერსონაჟი ქალების ნაცვლად "ვეფხისტყაოსნის" გმირი ქალები მოქმედი, საკუთარი, პიროვნული ინტერესებით აღბეჭდილი სახეებია, რომლებიც ქმნიან სიყვარულის ნამდვილ რომანტიკას. ესაა ორგანული პროცესი ქართულ მწერლობაში არსებული სახეებისა და იდეალების განვითარებისა, რომელშიაც "ამირანდარეჯანიანის" როლი ერთგვარად მნიშვნელოვანია.

ქართული ცხოვრებისა და განწყობილების გამოხატულება უნდა იყოს ის თავისებურებაც, რომ სარწმუნოებრივ აღმსარებლობას "ამირანდარეჯანიანის" გმირთა ურთიერთობაში არავითარი როლი არა აქვს მინიჭებული. თხზულება არაა გამსჭვალული არც ქრისტიანობისა და არც მუსლიმანობის რელიგიური დოგმებითა და წეს-ჩვეულებებით. თუმცა ღმერთი და რჯული ხშირადაა ნახსენები, მაგრამ, ჩანს, მხოლოდ ზოგადი მნიშვნელობით, როგორც ზენაარი ძალა და ის ისევე შეიძლება იყოს ქრისტიანული, როგორც მუსლიმანური. მაინც აღსანიშნავია მიზგითის მოხსენიებაც, ოღონდ ისეთ სიტუაციაში, რაც ეჭვს არ ტოვებს, რომ ის ავტორის რწმენის გამოხატულება არ არის. ამირან დარეჯანისძისა და სეფედავლე დარისპანისძის ორთაბრძოლის მშვიდობიანად დამთავრების გამო დედოფალმა "მადლი შესწირა ღმერთსა... დიდი გასაცემელი გასცა და დიადი შესწირა მიზგითთა" (გვ. 402). აქ მიზგითი გმირის სალოცავი ადგილია, მადლი და შეწირვა კი ზოგადი რელიგიური მრწამსი და ავტორი კარგად ერკვევა იმაშიც, თუ რომელ ქვეყანაში როგორ ღმერთზე შეიძლებოდა ელოცა მის გმირს. მოქმედება სპარსეთში წარმოებს, გმირიც სპარსელია და მას, ცხადია, მხოლოდ მიზგითში შეეძლო შესვლა, თუმცა აქ ლოცვის არც ერთი სურათი არაა მოცემული. ამიტომაც, რომ თხზულებაში რჯულზე ხშირადაა ლაპარაკი, მაგრამ არა ჩანს, თუ რომელია ის რჯული, რადგან მას ავტორი არავითარ მნიშვნელობას არ ანიჭებს.

თხზულების ამ ტენდენციაში უნდა დავინახოთ ერთგვარი გამოხატულება ავტორის იმ თავისუფალი თვალსაზრისისა, რომელიც გარკვეული მიზნით უგულვებელყოფს გმირის რელიგიურ პათოსში აყვანას, რაიმე რელიგიური დოგმების ქადაგებასა და ილუსტრირებას. ის განგებ გაურბის რელიგიური მოტივის ოდნავ გამოხატულებასაც კი, რამდენადაც მას არავითარ ფუნქციას არ უსახავს გმირთა ხასიათების დახატვასა, მათი სულიერი განცდების გადმოცემასა თუ სიუჟეტის განვითარებაში, მით უმეტეს ეროვნული იდეალების ასახვაში. ეს რელიგიური ინდიფერენტობი ქართული შემოქმედების თავისებურებად ჩანს, რაც კლასიკური ხანის ქართული მწერლობის ზოგიერთი სხვა ძეგლისათვისაცაა დამახასიათებელი. ამ შემთხვევაში ქართველმა ავტორმა რაინდული ეპოსი გაიგო როგორც ურელიგიო ეპოსი, რომელიც ყველა ქვეყნის მოქალაქეს ერთნაირ რაინდულ ყოფაში წარმოგვიდგენს, რადგან მისთვის მთავარი იყო მსოფლიო რაინდის ფიგურას გადაელახა ყოველგვარი შეზღუდულობა, რაც რაინდებს ერთმანეთს დაამორებდა, რელიგიური მრწამსი კი შებოჭავდა გმირის მოქმედებას, მის ურთიერთობას სხვა გმირებთან. რაინდი ვერ იმოქმედებდა თავისუფლად, თუკი თხზულება გარკვეული

რელიგიური დოგმებით იქნებოდა გამსჭვალული, მით უმეტეს მუსლიმანურით, თუ ის მართლაც ჩაფიქრებული იყო სპარსულ წრესა და სულისკვეთებაში, რომელიც ნაკლებადაა მომთმენი სხვა რელიგიებისა და ხალხების მიმართ. და თუ რელიგიური მსოფლმხედველობის რაიმე გამოხატულებაზე შეიძლება აქ ლაპარაკი, ყველაზე მეტად მაინც ანგარიშგასაწევია დუალიზმისა და ფატალიზმის ის შერწყმა, რომელიც წარმართული კულტურისა და აზროვნების საერთო გადმონაშთად ჩანს. მართლაც, თხზულების აგებულებაში საგრძნობია არსებობის დუალისტური შემეცნება, რაშიც უნდა გვესმოდეს გამოძახილი წარმართობის რელიგიური მსოფლშეგრძნებისა და რაც მთელ ბუნებას, არსებობას, საზოგადოებრივ ცხოვრებას იგებს როგორც ორი მოწინააღმდეგე ძალის დაუნდობელი ბრძოლის პროცესს. ეს იდეა ყველაზე დამთავრებული ფორმით გამოხატა სწორედ სპარსულმა ნაციონალურმა რელიგიამ ზოროასტრიზმმა, რითაც განისაზღვრა კიდევ სპარსული ხელოვნების, მწერლობისა და თვით მთელი ერის ისტორიული განვითარება თავისი ცხოვრების ვრცელ გზაზე. ამ თვალსაზრისით მთელი ქვეყნიერება ჩაბმულია მოწინააღმდეგე ძალთა საწყისების - სინათლისა და სიბნელის ბრძოლაში და ეს მსოფლიო ჭიდილის დრამა მრავალი პერიპეტეიების გავლით საბოლოოდ სინათლის, კეთილი საწყისის გამარჯვებით მთავრდება.

ესაა სპარსული რელიგიურ-ნაციონალური იდეა, მისი ეროვნული თვითშეგნების ყველაზე დიდად მაცოცხლებელი საწყისი. მისგან დავალებულია როგორც სპარსული ეპოსის თემატიკა, აგრეთვე საერთოდ ეპიკური შემოქმედება ყოველი დროისა და ყოველი ხალხისა. არსებობის ასეთი შემეცნების თვალსაზრისით მოცული იყო მთელი მსოფლიო და, ცხადია, ის ქართულ აზროვნებასა და რელიგიურ განწყობილებაშიც აისახებოდა. ყოველ შემთხვევაში მისი ცხადი გამოხატულება "ამირანდარეჯანიანში" სავსებით დამაჯერებელია - აქაა, მართლაც, ორი სამყარო კეთილისა და ბოროტი ძალის მოქმედ პერსონაჟთა დაპირისპირებაში გამოხატული. აქ არიან კეთილი საწყისის წარმომადგენელი - ამირან დარეჯანისძე, სეფედავლე დარისპანისძე, ამბრი არაბი, მზეჭაბუკი, ბადრი იამანისძე, რომელნიც ებრძვიან ბოროტ ძალებს: ბაყბაყდევს, დამაზდევს, რაზიმან დევს, არზამანიკს, როსაბს, ანთარქავისძეს, შავ ჭაბუკს, თურქებს და უამრავ დევებსა და ვეშაპებს. თქმულების კონცეფციით, ამირანი ბოროტებასთან მეზრძოლი კეთილი გმირია და ეს გაგება მხოლოდ იმას მიუთითებს, რომ ზეპირსიტყვიერებაში ის არსებობდა ქრისტიანობამდე. ამასთან ყოველი ორთაბრძოლა, გაჭირვება და ხიფათი კეთილი აღსასრულით თავდება, რაც აგრეთვე იმ რწმენის დადასტურებაა, რომ ორი საწყისის ჭიდილში საბოლოოდ კეთილი იმარჯვებს. ამ რწმენასთანაა დაკავშირებული აგრეთვე ცხოვრების, არსებობის ყოველი მოვლენის ფატალისტური გაგება. ბედისწერას ემორჩილება ყველა. უადრესი უბედურება, ტირილი თუ სიხარული და ბედნიერება თავისი მრავალგვარი გამოხატულებით წინასწარ განსაზღვრული აუცილებლობაა. უბედურება-ფათერაკთა ფატალისტური აუცილებლობის რწმენა გმირს არიგებს ყოველგვარ გამოცდასთან, როგორც კი ადამიანის ფანტაზიას შეუძლია წარმოიდგინოს გრძნეულებათა და საკვირველებათა მრავალგვარ თემატიკასა და სურათიანობაში. მაგიური ძალების მოქმედებას, ირეალურ ქვეყანათა არსებობას გმირთა ცხოვრება შეჰყავს თავისებურ სამყაროში, რომელიც ავტორს სჭირდება იმისთვის, რომ თავისი გმირი ზეკაცური თვისებებით აღჭურვოს, მისი ძლევამოსილება უფრო დიადი გახადოს და დამსახურება უფრო მეტად ბრწყინვალედ წარმოგვიდგინოს, ვიდრე ეს შესაძლებელი იქნებოდა ადამიანური სინამდვილის ჩვეულებრივ გარემოცვაში.

ფანტასტიკური სამყაროს გამოხატულება "ამირანდარეჯანიანის" თხრობაში ხალხური შემოქმედების ყველაზე ხელშესახებ ელემენტს წარმოადგენს. არარეალური, ჯადოსნური ელემენტი რამდენიმე პლანში ვლინდება, თხზულებაში მოიპოვება მთელი თავი სათაურით "ტილისმათა ამბავი" (გვ. 348-372), რომელშიაც გრძნეულებათა სამყაროა გადაშლილი. აქაა ჯადოები, თილისმები, გრძნეულებით შექმნილი ციხეები, იარაღი, ცხოველები და სხვა მრავალგვარი საკვირველებანი, რომელთა გარემოშიც იბრძვიან "ამირანდარეჯანიანის" გმირები. საერთოდ მთლიანად თხზულება გამსჭვალულია მსგავსი მოტივებით. აქაა "საგრძნეულო გზა", "ქვეყანა გრძნეულთა", "გრძნებით შექმნილი ხილი" და სხვა. აქ არიან აგრეთვე შაოსანი თუ წითლოსანი ლაშქრები, "ფრთოსანი კაცნი", ლომკაცნი, ცეცხლისმფრქვეველი ვეშაპები, სპილენძის ლომები, "კაცი სპილენძისა თილისმით შექმნილი", სპილოსოდენი ფრინველი, ფრინველი, რომელზედაც ამირანი ჯდება და მიფრინავს; აქაა წყალი, რომელშიაც ბანაობის შემდეგ "კაცი ლომად შეიქნეს" და, საერთოდ, მრავალგვარი საოცარი გარდაქმნები ადამიანებისა ფრინველებად, ვეშაპებად. სეფედავლე დარისპანისძეს აძლევენ ფეხზე წასასმელ წამალს, რითაც წყალზე ქვეითად დადის (გვ. 389) და სხვ.

ერთი სიტყვით, აქ მთელი გარემო ბუნება ჯადოსნური ძალითა და თვისებებითაა მოცული, რომელიც უპირისპირდება რეალურ ქვეყანას, ძეგლის ენით - "საცხადოს".

რომანის გმირები მთელი თხრობის განმავლობაში ამ საკვირველებათა გარემოში მოქმედებენ და მათი საგმირო ენერჯია უმეტესად ეწირება ჯადო-თილისმებით შექმნილ დაბრკოლებათა გადალახვას, რაც ადამიანური ძალ-ღონისა და გონების საზღვრებს სცილდება. ეს აქ გამოყენებულია როგორც ხერხი გმირისთვის ჩვეულებრიობისგან განსხვავებული, ადამიანურზე აღმატებული ძალ-ღონისა და გრძნეული ქვეყნის საიდუმლოებათა დაძლევის უნარის მინიჭებისა. ამიტომაცაა, რომ თვითონ გმირებიც არანაკლებად არიან აღჭურვილი თილისმური გულისყურითა და ფანტასტიკური ძალ-ღონით, რომლის მეოხებითაც სძლევენ ზებუნებრივ ძალებს. მაგალითად, ამირანი ამარცხებს დევებს, ვეშაპებს. ამირანს ყლაპავს ვეშაპი; იგი დანით აღწევს თავს ვეშაპის მუცელს, გარეთ გამოდის (გვ. 308) და განაგრძობს საგმირო საქმეებს. "ამირანდარეჯანიანის" ამბავთა მთავარი მთხრობელი სავარსიმისძე, მისივე თქმით, ვეშაპის მიერ ცხენიანად იყო ჩაყლაპული (გვ. 369). ამირანი, ისე როგორც სხვა გმირებიც, სპილოსოდენ ვეშაპებს ხმლის ერთი დაკვრით შუაზე კვეთს. ამბრი არაბმა "ომსა შიგან კაცი ცხენითურთ აიღის და ქვეყანასა დაჰკრის" (გვ. 327). სეფედავლე, მზეჭაბუკი, ამირანი ცალკეულად ებრძვიან მთელ ლაშქრებს და ხოცავენ ათიათასობით მტერს. სეფედავლემ "ფიცხლად ხელი სტაცა ხორტუმსა, პილოსა ზედა თორმეტი კაცი დგა, აიღო იგი პილო კაცებითურთ, ქვეყანასა დაჰკრა და მოკლა" (გვ. 383). ბოლოს აღსანიშნავია ისიც, რომ, დიდო წითლოსანი "აიყვანა ამირან და ნებსა ზედა დაისვა" (გვ. 307).

ამირანის და რამდენიმე სხვა მთავარი გმირის სახეების დახატვა ზღაპრული სინამდვილისთვის დამახასიათებელი ძლიერებით, რაც სცილდება რეალური ცხოვრების ჩვეულებრივ წარმოდგენას, მწერალს აიძულებს იხმოს სულ უფრო მეტი და მეტი ზებუნებრივი მოვლენები და საგნები. ამისათვის იგი მიმართავს არარსებულ, საოცარი თვისების მქონე ქვეყნებს, ციხეებს, მთებს, მდინარეებსა და ცხოველებს, რომელნიც აგრეთვე ჯადოსნური თვისებებით არიან დაჯილდოებულნი. ყველაფერი ეს წარმოადგენს გმირის ძლიერების დემონსტრაციისთვის ერთგვარ ფონს, ურომლისოდაც თითქოს ფალავნობის ძალა ვერ იქნებოდა გამოცდილი და

აღიარებული. ამრიგად, ხალხური ზღაპრის ჯადოსნური მოტივების რეპერტუარით კარგად ცნობილ ამ საკვირველებათა სამყაროს რაინდულ რომანში ერთგვარი ხერხის ფუნქცია აქვს დაკისრებული, მით უმეტეს, თხზულებაში არაერთგზის არის შენიშნული, რომ ეს ყველაფერი არარეალურია და უპირისპირდება "საცხადოს". ესაა გაშლილი მეტაფორული მეტყველების სისტემა, როგორც მხატვრული აზროვნების პირობითი ენობრივი გამოხატულება. ამით ცხოველდება სურათი, მაგრამ საბოლოოდ არაფერი რჩება ფანტასტიკის სფეროში, რადგან ყოველთვის გრძნეულებათა ქვეყნის ჭვრეტას ისევ რეალური ხილვა ცვლის.

მიუხედავად ასეთი ფანტასტიკური, ზღაპრულ-ჯადოსნური სინამდვილის გამოხატულებისა, ძეგლის ენა შესამჩნევად ხასიათდება თქმის ლაკონიურობით, მეტად დახვეწილი მეტყველებით, ფრაზის აგების სისადავით, რაც ხელს უწყობს თხრობის ბუნებრივ მდინარებას და სავსებით შეეფერება მის ეპიკურ სტილს, რომელიც კლასიკური ქართულის სხვა ძეგლებს არათუ არ ჩამოუვარდება, არამედ ზოგ შემთხვევაში მათ ნიმუშადაც კი გამოდგება. მაგ., "გამოჩნდეს ორნი ლომნი. მოვახსენე: მე მიბრძანე, დავხოცნე მეთქი. მიბრძანა: მიედო. მივედ, და დავხოცენ. მაღლი მიბრძანა და წავედით" (გვ. 294). ლაკონიურობა კარგად ჩანს თხზულების აფორიზმებშიც, რომლებშიც უმთავრესად რაინდული სულისკვეთებაა გამოხატული: "ჩვენი სიკვდილი კაცობრივისა ძალისაგან მიუვალი არის" (გვ. 388), ან "სახელიცა ეგეთი არის, მაღალი თავსა დაიმდაბლებს" (გვ. 332). სადა მეტყველებასთან დაკავშირებით საერთოდ ძეგლში აღსანიშნავია წყნარი თხრობის მანერა და ამბავთა მდინარებაში გამოსაუბრება მსმენელთან ან მიმართვა თხრობის რაიმე მომენტთან დაკავშირებით. ფორმალურად ეს გამოხატულია ძეგლის სათანადო ადგილებში გარკვეული სტერეოტიპული თქმების გამოყენებით, რაც ეპიკურ ჟანრს ახასიათებს საერთოდ. ასეთია, მაგალითად, დასაწყირი რომანისა: "იყო ინდოთ მეფე აბესალომ, მორჭმული და განგებიანი და არა იყო შეჭირვება გულსა მისსა. ესე იყო წესი მისი - ედგა ასი ავაზა, ექვსასი ქორი თეთრი და მწყაზარი და ჰყვა სამი ათასი დიდებული". ყოველი ამბის დასაწყისში სტერეოტიპული თქმა "ისმენდი, მეფეთ მეფეო, ცხოვნი უკუნისამდე" ყოველთვის ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ამბები აწმყო დროში კი არ მიმდინარეობს, არამედ წარსულის წყნარ თხრობაში. მართლაც, მთელი თხზულება წარსულის თხრობაა ფორმალურადაც ერთი პიროვნებისა - ამირანის ერთგულად ნამსახური ყმის სავარსიმისძისა: "უბრძანა მეფემან სავარსიმისძესა: დიდად ვისწრაფი ამბავთა პატრონისა შენისათა და თქვენ, მისთა ყმათათა... აწ იწყე და მითხრობდი... მოახსენა სავარსიმის ძემან: ცხოვნი, მეფეო, უკუნისამდე... ათორმეტნი კარნი არიან ნაქმარნი პატრონისა ჩემისანი და სხვათა მრავალთა ჭაბუკთანი, და ამას წელიწადსა ერთსა გასრულდეს... მე სიყრმითგან დამხდური ვარ ნაქმართა მისთა. აწ მიბრძანეთ, რომელი უწინ მოვახსენოთ ნაქმართა მისთა..." (გვ. 290).

ამბავთა მოყოლის ეს ხერხი მხოლოდ ძირითადი გმირის ცხოვრებას არ ეხება, ასეთი დაწყების ფორმულა წინ უძღვის ყოველ ახალ თხრობას, როგორი ეპიზოდიც არ უნდა იყოს, ზოგჯერ ეს იცვლება ფორმულით: "და იწყო მზობად და თქვა..."

ამბავთა დასაწყისში ხშირად ის გარემოებაა განსაკუთრებით შენიშნული, რომ ამბის მთქმელი თვალთ ნახულს ჰყვება ან მას ეს გაუგონია თვალთ მნახველისგან: "ესე რაცა მოვახსენე, დარეჯანის ძეო, ყველა თვალთა მონახული მომიხსენებია, რომელსა თვით დამხდურ ვარ" (გვ. 329). ამბრი არაბის ამბავს, რომელიც თავის მხრივ ამბავში ჩართულ ამბავს წარმოადგენს, სავარსიმისძის გადმოცემით, ამირანს უყვება როგორც სხვაგან გაგონილს ბანზე შემთხვევით შეხვედრილი კაცი: "დაიწყო მან

კაცმან ამბრი არაბისა ამბისა თქმა, ეგრე ჰრქვა: მოგახსენო ყველა, რომელი თვალთა ჩემთა უნახავს, თვარა ნასმენისა რიცხვი არა არისო, ორნი მეფენი იყვნეს არაბეთსა...” (გვ. 311).

ეს ლიტერატურული ხერხი ამბავთა მოყოლისა როგორც ერთი გმირის მიერ, ისე ჩართული ამბების დაკავშირებისა ძირითად თხრობასთან, თხზულების კომპოზიციური საჭიროებითაა გამოწვეული და, როგორც ამ ჟანრის სპეციფიკა, ხალხური ეპოსის კვალს წარმოადგენს. ამ მხრივ საყურადღებოა, რომ "ვეფხისტყაოსანიც" შეიცავს ფაბულურ ამბავთან ერთად, რომელიც იწყება სიტყვა "იყო"-თი, რამდენიმე მოყოლილ ამბავს, მათ შორის ძირითად ეპიზოდებს, და კერძოდ ტარიელის ამბავს გმირის პირით მოყოლილი თხრობის ფორმა აქვს. აქედან ჩანს, რომ ეს ხერხი ახასიათებს უმთავრესად რამდენიმე პლანის ან ციკლის შემცველ თხზულებებს.

ამრიგად, "ამირანდარეჯანიანის" თერთმეტ კარს თუ მთლიანად სავარსიმისძე ინდოთა მეფეს აბესალომს უყვება, თავისთავად მის თხრობაში ჩაქსოვილია სხვა დროს სხვისთვის მონათხრობი ამბებიც, რომელთაგან ზოგს ამირანი ისმენს, მაგ., აბუ ტალიბის ძმისგან, რაბისგან, ზოგს სეფედავლე სხვადასხვა დროსა და ვითარებაში. ერთი სიტყვით, დრო და ადგილი "ამირანდარეჯანიანის" ამბავთა მიმდინარეობისა ვრცელია. სავარსიმისძე თავისი პატრონის ამბავს ჰყვება ბერიკაცობაში, ამავე დროს იხსენებს სხვისგან მოსმენილ ამბებს, რომელნიც მანამდე დიდი ხნით ადრე ყოფილან მოთხრობილი, ისე რომ, ამ თხრობაში რამდენიმე თაობის ცხოვრებაა გადმოცემული. ამ ხერხით ავტორმა მოინდომა განსხვავებულ დროთა ამბებისთვის მთლიანი ეპოსის ხასიათი მიეცა, რის მიღწევასაც შეეცადა ერთი პიროვნების თხრობის ფორმაში, ამბავთა შინაგანი დაკავშირება კი მას მაინც ვერ განუხორციელებია.

ძეგლის ენა ხასიათდება ძველი ქართულის რიგ სინტაქსურ და მორფოლოგიურ თავისებურებათა ფორმებით, რომელთაგან ზოგი ცნობილია მხოლოდ სახარების ძველი თარგმანით, ზოგი კი გადმონაშთის სახით მოიპოვება სხვა ძეგლებშიც. მაგ., ტმესის მოვლენა, რომელიც "ვეფხისტყაოსანში" გამონაკლისის სახით გვხვდება, აქ ხშირია: მოვინმევიდეს, მოთურევიდა, მოესრეკლიან, მორადკლეს, მორასმემოგახსენებ, გათურევედით, გამოცაგეგზავნა, გარამეჰკრთა, გასადმეგზავნი, გათულაღებულხარ, გამოღმერთოვიდეს, გამოღმერთოგცდის, მოღმერთოვედითო, შეთურეშინდა, შეცაგვემინა, შევერავალს, შერასმემჭირდების, წავევისწრაფეთ, წაველარუხვალთო, წაველარხვალო, წათურესადავიდაო, წასადმევეალ და მისთ.

სინტაქსურად ყურად საღებია ზმნისწინის გამოყენება ზმნის ფუნქციით: "მიბრძანა - მოგეწონაო? მოვახსენე: მო-მეთქი" (გვ. 348). ხშირია კითხვითი წინადადების გამართვა ა-ს შერწყმით "ხედავთა".

მორფოლოგიურ ფორმათა თავისებურებათაგან ყურადღებას იქცევს: გაჯედ, მიედ, სტყუვე, უნახვან, მინახვან, წაუხმან, სჯობან, მშურან, შეცაგვემინა, მოცავკლავ, მოცამკლას, შევალს, მობაღდადე, ავეშენებულიყო, შევატყვევით. ამათგან ზოგს პარალელი მოეპოვება "ვეფხისტყაოსანში", ზოგი კი შემორჩენილია მხოლოდ დიალექტიზმის სახით. ასევე ყურადღებას იქცევს ზოგი იშვიათად ხმარებული ან დაკარგული სიტყვა: გაგვა, მგამა, კეკელა, საკარგავი, საშინელი. (საყურადღებოა "ვეფხისტყაოსანში" ასეთივე გაგებით: "მეფე ლაშქრითა საშინელითა", "გამოვიდა იგი ვეშაპი საშინელი, რომე მისოდენი არა მინახავს"); მცირებულნი, "დიდებულნის" საპირისპიროდ, ოტო, მილიონი, ტალა, ეტიკი, რიალი, ჩაშთუ, სასიტყველი, წამოიბეზღეო, ძოდანცა, რაძი, მოთხენი, დაგვფანჩნეს, დაემკმო, მხცემერეული.

ძეგლის ლექსიკაში თხზულების თემასთან მიმართებით განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ტერმინი "რაინდი", რამდენადაც აქ მას არა აქვს დღევანდელი მნიშვნელობა მამაცი მეზრძოლის, ღირსეული ვაჟკაცისა. მისი გაგება აქ უფრო ვიწრო უნდა იყოს და, ალბათ, ნიშნავს ჩვეულებრივ მხედარს, ცხენთა მწვრთნელს ("ჰხედნიდიან რაინდნი ცხენთა", გვ. 373). რაინდის თანამედროვე გაგება ფართო შინაარსით მოცემულია ძეგლის სიტყვაში "ჭაბუკი", "ჭაბუკობა", რომელიც ყველა კონტექსტში ნიშნავს რაინდს. ამ თვალსაზრისით ამირან დარეჯანისძე, სეფედავლე დარისპანისძე, ამბრი არაბი და სხვები ჭაბუკები (ფალავნები) არიან და არა რაინდები.

"ვეფხისტყაოსნის" ლექსიკასთან მიმართებით საყურადღებოა სიტყვა "მე"-ს მსგავსი გაგება, როგორც საერთოდ შვილისა. "დაუჭირა ხელი მას ძესა თვისსა მეფემან და მისცა ამბრის" (გვ. 325), - ნათქვამია არაბთა მეფესა და მის ქალიშვილზე. იგივე გაგება ისმის ამბრის პასუხშიც: "დღედ სიკვდილამდის ჩემადმდე არა შევიწყალო თავი ჩემი და სისხლნი ჩემი მსახურებისათვის მეფობისა შენისად და ძისა თქვენისათვის" (იქვე), ე. ი. შენი ქალიშვილისათვისო.

მეტყველებაში, განსაკუთრებით შედარებებში, შესამჩნევია ასტრალური სინამდვილის გამოხატულება. ჩვეულებრივია მზის ეპითეტად გამოყენება მარტივ შედარებებში გმირთა სახის დახატვისთვის, როგორც მაგ., "ქალი უჯდა, ვითა მზე ეგეთი" (გვ. 334), "არა ხორციელია, მზე არისო" (გვ. 399) და მსგავსი შედარებანი. ამასთან მზის კულტის გადმონაშთი ("ჩემსა მზესა") და შვიდი მნათობის სიმბოლიკა. ძეგლის მიხედვით არსებობს ქვეყანა, რომელსაც "მნათობთა ქვეყანა ჰქვიან" (გვ. 334). ამასთან, ამ ქვეყნის მეფეს ჰყოლია "შვიდნი ასულნი შვიდთა მნათობსა სახელსა ზედა" (იქვე).

ასტრალური სინამდვილის გამოხატულება შედარებებში მით უფროა შესამჩნევი, რომ ძეგლის მიხედვით ჩვენ ვერა ვგრძნობთ ბუნებასა და მის მოვლენებს, მათ შორის ვერც მზესა და მთვარეს. შეიძლება ითქვას, რომ ძეგლი გაურბის ბუნების აღწერას და მოქმედება ისე მიმდინარეობს, თითქოს ბუნება არც არსებობდეს.

"ამირანდარეჯანიანის" წარმოშობის დროის, ადგილისა და ავტორობის შესახებ ზუსტი ისტორიული ცნობები არ მოგვეპოვება, ამ კითხვებზე კვლევადიებას ჯერ კიდევ საბოლოო პასუხი ვერ მოუწახავს. თხზულების წარმოშობის, აგებულებისა და შედგენილობის საინტერესო საკითხები რთულდება იმ გარემოებითაც, რომ "ამირანდარეჯანიანში" შესამჩნევია როგორც სუფთა ქართული ელემენტი, რომლის ძირები მისი წარმოშობის უძველეს ქართულ ეროვნულ ნიადაგზე მიგვიითითებს, აგრეთვე სპარსული ისტორიული ცხოვრებისა და მწერლობის ელემენტები და სახეები.

თხზულების აგებულებაში ამ ორი ძირითადი წყაროდან მომდინარე ელემენტის ხასიათის გათვალისწინება შესაძლებელს გახდის მიახლოებით გავრკვეულიყავით ძეგლის წარმოშობისა და შედგენილობის ბუნდოვან საკითხებში.

"ამირანდარეჯანიანის" თორმეტივე კარში ამბები მიმდინარეობს ინდოეთსა, არაბეთსა, სპარსეთსა, ჩინეთსა, ხაზარეთსა, ბალხეთსა, თურქეთსა თუ სხვაგან, მაგრამ არა საქართველოში. თხზულების მთავარი გმირები ამირან დარეჯანისძე და სეფედავლე დარისპანისძე, ისე როგორც ზოგი სხვა გამოჩენილი გმირი, სპარსელები არიან. ნოსარ ნისრელის ამბავში ორი პირის მქონე კაცი სპარსულად ლაპარაკობს. აქაა ინდოეთის მეფე აბესალომი. ამირანის ყმადნაფიცი სავარსიმისძე ბალხეთში

.ცხოვრობს. სპარსელები ყოველთვის იმარჯვებენ და ქებით იხსენიებიან, მაშინ როდესაც სხვა ხალხები, როგორც, მაგალითად, თურქები და ზოგჯერ არაბებიც კი, დამცირებულ ვითარებაში გვევლინებიან. სპარსული ეტიმოლოგიით იხსნება საკუთარი სახელები. თხზულებაში მოიპოვება სპარსულიდან მომდინარე, ქართულ ენაზე გადაუთარგმნელად დატოვებული ერთი სპარსული ფრაზა: "იქ ჩემემ ნესტ" ამასთან ერთად ზოგი მოტივი და ხერხი ამბის განვითარებისა გვაგონებს სპარსული, საერთოდ აღმოსავლური მწერლობის კარგად ცნობილ ფაქტებს. მაგრამ ეს ყველაფერი მწერლის წარმოსახვაში, რომელიც ქმნიდა თხზულებას, გარეგანი სამოსელია ეპიზოდების განვითარებისა და მთავარ სიუჟეტთან დასაკავშირებლად. თხზულების ცალკეული მოტივებისა და იდეალების ანალიზი, მისი შინაგანი აგებულების შესწავლა საფიქრებელს ხდის, რომ მისი ავტორი შთაგონებულია ქართული სინამდვილით და რომ გეოგრაფიული სივრცეები და უცხო სახელწოდებანი მხოლოდ პირობით სახელებს წარმოადგენენ.

"ამირანდარეჯანიანის" უცხო ქვეყნებისა და სახელების ასეთ გარემოცვაში გაფორმებამ მისი შესწავლა გარკვეული ტენდენციით წარმართა. ქართველ და უცხო მკვლევართა უმეტესობა რომანის სპარსულ წარმოშობას, ანდა სპარსულ დიდ გავლენას აღიარებდა (მ. ბროსე, ნ. მარი, გრენი, ალ. ხახანაშვილი), ცოტანი იყვნენ ისეთნი, რომელნიც მის ახსნას ქართულ ნიადაგზე ცდილობდნენ (ზ. ჭიჭინაძე, მ. ჯანაშვილი). ამ რომანის ეროვნულ და უცხო წარმოშობის თვალსაზრისით ბრძოლა ქართული მწერლობის ისტორიაში მთელ საუკუნეზე მეტ ხანს გაგრძელდა და დაკავშირებული იყო ქართული კულტურის წარმოშობის, მისი დამოუკიდებელი გაგების, მისი ძირების მონახვის, კერძოდ კი ქართული მწერლობის საერთო საკითხების გადაწყვეტის ცდებთან, იმ ამოსავალი დებულების მონახვასთან, რომ ქართულ შემოქმედებას ყველა მის გამოხატულებაში ეროვნული მნიშვნელობა და გააზრება ჰქონდა თუ ეპიგონური იყო (იუსტ. აბულაძე, კ. კეკელიძე, ალ. ბარამიძე, კ. დონდუა, დ. კობიძე, მ. ჩიქოვანი, შ. ნუცუბიძე, დ. ლენგი). მ. ბროსემ არჩია პირდაპირი და გადაწყვეტილი პასუხი არ გაეცა მაშინდელ პირობებში მართლაც ამ შეუსწავლელი საკითხისათვის. მოსე ჯანაშვილის დასაბუთებით, „ამირანდარეჯანიანში“, როგორც წმინდა ქართულ ორიგინალურ ნაწარმოებში, ალეგორიულ-იგავურად გამოხატულია საქრისტიანო საქართველოს ბრძოლა არაბ-სპარს-თურქებთან სჯულისა და თავისუფლების დასაცავად.^[1] ის აგებულია უძველეს ქართულ თქმულებაზე - ამირანზე და შეიცავს ქრისტიანულ ელემენტებს, გამოხატულს სიტყვებშიც (მაგ., ამინ, ღმერთო, ცხონდი), და ქართული ყოფის სურათებსა და სახელმწიფოებრივ ცხოვრებას.

"ამირანდარეჯანიანის" ქართული, ორიგინალური წარმოშობის თეზამ ბოლო დროს მეცნიერული დასაბუთება ჰპოვა კ. კეკელიძის შეხედულებაში. მისი მოსაზრებით, ამ თხზულებაში რამდენიმე ციკლის თქმულება-ლეგენდებისა და ზღაპრების ამბებია მექანიკურად გადაბმული, ამირანის ღერძზე გადამუშავებული. ამ ამბებში ზოგი წარმოშობით ქართულია, მაგ., ამირანის ამბავი, ზოგიც უცხო, მაგრამ გაქართულებულია. ორიგინალობის ძირითად საფუძვლად კ. კეკელიძეს მიაჩნია ომის წარმოების, იარაღის ხმარების, რაინდობის წესების ქართული ხასიათი და, საერთოდ თხზულებაში გამოხატული სოციალ-პოლიტიკური ცხოვრება, რაინდული ყოფა, მმადნაფიცობის ინსტიტუტი, პატრონყმული ურთიერთობა, რომელიც ქართული ფეოდალური მონარქიის აღმავლობისთვისაა დამახასიათებელი სწორედ კლასიკურ ხანაში. რომანის ორიგინალურ წარმოშობას ისიც მიუთითებს, რომ "ვეფხისტყაოსნის" ეპილოგის სტროფში ჩამოთვლილ ქართულ ორიგინალურ

თხზულებათა შორის "ამირანდარეჯანიანის" მოხსენიებული. ხალხური ამირანისა და ამირანდარეჯანიანის მოტივთა და ეპიზოდთა ანალიზის შედეგად კ. კეკელიძე ასკვნის, რომ ხალხური თქმულების ზოგი მოტივი აწინდელი სახით ლიტერატურულიდან მომდინარეობს^[4].

"ამირანდარეჯანიანის" სპარსულ წარმოშობას ყველაზე თანმიმდევრულად ასაბუთებდა ნ. მარი, რომელიც მის საფუძველს ხედავდა სპარსულ ეროვნულ ტენდენციაში, რასაც ის უწოდებდა სპარსული ეტიმოლოგიების შემცველი სახელებისა და ქვეყნების გამოხატულებას თხზულებაში^[5] თავისი მოსაზრების დასაბუთებაში ნ. მარი გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდა ბაგრატ მუხრანბატონის ცნობას იმაზე, რომ "ამირანდარეჯანიანი" წარმოადგენს "ყისაჲ ჰამზად" წოდებული ისმაილიტური თხზულების მცირე ნაწილის თარგმანს^[6]. მარის მოსაზრება სპეციალურ ლიტერატურაში თითქმის ფეხს იკიდებდა, მაგრამ ეს ვარაუდი, როგორც შემდგომ ალ. ბარამიძემ ტექსტების შეჯერებით გაარკვია, არ გამართლდა. "ყისაჲ ჰამზა" და "ამირანდარეჯანიანი" ფაბულურ-სიუჟეტურად და იდეურად ორი სხვადასხვა ნაწარმოები აღმოჩნდა^[7], განსხვავებული შინაარსისა და აბსოლუტურად საპირისპირო იდეური კონცეფციების შემცველი, რის გამოც „ყისაჲ ჰამზა“ არ შეიძლება მიჩნეულ იქნას "ამირანდარეჯანიანის" ორიგინალად (იქვე, გვ. 23). მიუხედავად ამისა, ალ. ბარამიძე მაინც მთლიანად არ უარყოფდა "ყისაჲ ჰამზას" რაიმე მნიშვნელობას "ამირანდარეჯანიანის" ჩამოყალიბებაში. მას შესაძლებლად მიაჩნდა, რომ "ამბრი არაბის სახე თითონ ამირ ჰამზას სახე იყოს"^[8].

დ. კობიძე "ამირანდარეჯანიანის" ზოგი ეპიზოდისა და მოტივის შედარებითი შესწავლით იმ დასკვნამდე მივიდა, რომ "ამირანდარეჯანიანში" შეინიშნება სპარსული საგმირო თქმულებებისა და სამიჯნურო ნაწარმოებების მძლავრი გავლენა და შესაძლოა ის რომელიმე სპარსული თხზულების ნაწილსაც წარმოადგენდეს, თუმცა სპარსული ორიგინალის თარგმანიც არ არის. "ამირანდარეჯანიანში" შენიშნული სპარსული ხასიათის ეპიზოდები, მოტივები და გმირთა სახეები თხზულების ლიტერატურულ გაფორმებამდე საქართველოში ზეპირი თქმულების გზით იყვნენ გავრცელებული, საიდანაც შეეძლო ქართველ ავტორს ესარგებლნაო^[9]. "ამირანდარეჯანიანის" სადაურობის საკითხის საბოლოო გადაწყვეტისათვის დ.კობიძე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს "ყისაჲ ჰამზას" სხვა ვერსიების და მათი მიხედვითვე შექმნილ სხვა ნაწარმოებების შესწავლას, რამაც შესაძლოა "რამე ახალიც დაგვანახოს ამირანდარეჯანიანის სპარსულ წყაროებთან დამოკიდებულების საქმეშიო" (იქვე).

"ამირანდარეჯანიანის" პროტოტიპად ამირ ჰამზას მიჩნევის საკითხი ახლად წამოიჭრა ძეგლის ინგლისური თარგმანის გამოცემასთან დაკავშირებით ღვეიდ ლენგის რეცენზიაში. ინგლისელი ქართველოლოგი ამჟამად უბრუნდება თეზას რომანის სპარსული წარმოშობის თაობაზე, ალბათ უფრო იმიტომ, რომ ბოდლეს წიგნთსაცავში მას მიუკვლევია ამირ ჰამზას ტექსტის მანამდე უცნობი ქართული თარგმანის გვიანდელი რედაქცია, რომლის ნაკლები ცალი ჩვენშიც მოიპოვება: "ისტორია საჰიბ ყარან ამარამზასი და ბაბა ამარისა". მაგრამ დ. ლენგს უფრო მეტი საბუთები ვერ მოაქვს ძეგლის სპარსულიდან თარგმნილობის დასამტკიცებლად, ვიდრე ეს წამოყენებული ჰქონდათ ამ კონცეფციის მიმდევრებს ჩვენში. ფაქტს, რომ ქართულად აღმოჩენილია ამირ ჰამზას თარგმანი, ვერც თვითონ ლენგი ანიჭებს დიდ მნიშვნელობას "ამირანდარეჯანიანის" წარმოშობის საკითხის გადასაწყვეტად, რამდენადაც ამირ ჰამზა სავსებით განსხვავებულ ამბებს შეიცავს და შინაარსობლივად არ უდგება "ამირანდარეჯანიანის" თხრობას მცირე გამონაკლისის

გარდა, იმაზე რომ აღარაფერი ითქვას, რომ ამირ ჰამზას ქართული თარგმანი უფრო გვიანდელი მოვლენაა, ვიდრე “ამირანდარეჯანიანი”. ალბათ, ყოველივე ესეც აქვს მხედველობაში დევიდ ლენგს, რომ ამირ ჰამზას უწოდებს “ამირანდარეჯანიანის” მარტოოდენ ჰიპოთეტურ წყაროს და მიაჩნია, რომ “ამირანდარეჯანიანი” არაა თარგმანი ამირ ჰამზასი, მაგრამ ის უეჭველად ატარებს მასთან ნათესაობის ნიშნებს. დ. ლენგი გამოთქვამს მარტოოდენ იმ ვარაუდს, რომ შესაძლოა “ამირანდარეჯანიანის” ავტორი იცნობდა ამირ ჰამზას ამბავს, რომ ამირ ჰამზამ გავლენა მოახდინა ქართულ რომანზე. მაგრამ ეს ვარაუდი მართალიც რომ გამოდგეს, ის სავსებით ვერ შეცვლიდა “ამირანდარეჯანიანის” ორიგინალური წარმოშობის კონცეფციას, რამდენადაც მოსე ხონელი, როგორც სავარაუდებელი ავტორი თხზულებისა, თუ იცნობდა “ყისაჲ ჰამზას” ამბავს, ის მისგანვე მხოლოდ ისევე იქნებოდა დავალებული, როგორც სხვა მსგავსი ეპიკური თხზულებებისაგან და შეეძლო კიდევ ესარგებლა მისი ცალკეული მოტივებითა და ეპიზოდებით, რაც მის თხზულებას ამ შემთხვევაშიც არ დაუკარგავდა ორიგინალობას. ამ ნიადაგზეა ასახსნელი ის ფაქტიც, რომ “ამირანდარეჯანიანში” ამბავი ამბრი არაბისა როგორც ერთადერთი ადგილი, რომელიც ლენგის მიხედვითაც შეიცავს “ყისაჲ ჰამზას” გმირის ნიშნებს, მხოლოდ იმას მიუთითებს, რომ ქართული რომანის ავტორმა ისარგებლა მსგავსი მოტივების შემცველი რაღაც წყაროთი, რომანი კი ქართულადაა მოფიქრებული და დაწერილი, ამასთან ერთად, ჩანს, უფრო მეტად ნიჭიერი მწერლის მიერ, ვიდრე “ყისაჲ ჰამზას” ავტორი იყო.

დევიდ ლენგის ცდაში შესამჩნევია ტენდენცია, უარყოს გარკვეული მნიშვნელობა ამირანის ლეგენდის ქართული თქმულებისა “ამირანდარეჯანიანისათვის”, თუმცა უშვებს ვარაუდს, რომ ანტიკურ ხანაში შესაძლებელი იყო ბერძენ კოლონისტებს საქართველოდან ესესხათ თქმულება კავკასიის მთაზე მიჯაჭვული ტიტანის შესახებ, რის შედეგადაც ეს თქმულება შევიდა კლასიკური მითოლოგიის კორპუსში. ამირანის შესახებ თქმულებათა ციკლში ლენგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს აფხაზურ “აბრსკილს”, რომელსაც დიდი როლი უნდა ეთამაშოს ქართულ-ბერძნულ ურთიერთობაშიო. თუ ეს ყველაფერი შესაძლებელია, რატომღაა შეუძლებელი სწორედ ამ თქმულებიდან მომდინარეობდეს თანამედროვეობამდე მოღწეული ქართული ხალხური ამირანი? მით უფრო უსაფუძვლოა ლენგის განცხადება იმის შესახებ, რომ ამირანის სახელი უძველეს წყაროებში რაკი არსად არა ჩანს, შესაძლოა ქართული ლეგენდაც ძველად არ არსებულებოდა. მაგრამ სახელის ამ ფორმით არ არსებობა თვით ლეგენდის არ არსებობას რომ არ ნიშნავს, ეს უკვე ივ. ჯავახიშვილმა შენიშნა, რომლის მოსაზრებით მიჯაჭვულ გმირს წინათ შეიძლება ამირანი არც ერქვა და ის სულ სხვანაირი იყო^[10] ამიტომ დამარწმუნებელი არ არის დევიდ ლენგის მტკიცება, .რაკი ამირანი და ამირანდარეჯანიძე სპარსული ეტიმოლოგიებით იხსნება, ისინი არ შეიძლება ქართველი ერის ქმნილებანი იყვნენო^[11].

მარისა და სხვების მიერ აღნიშნული სპარსული ტენდენციის გამოხატულებანი “ამირანდარეჯანიანში” უდავოა, მაგრამ აქ მნიშვნელოვანია ის, თუ როგორი წარმოშობისაა თავისთავად ეს ტენდენციები და მოტივები და რა ხასიათი და ფუნქცია აქვთ მათ. საფუძვლიანი ახსნა სჭირდება იმ ფაქტს, რომ პირველი ქართული ეპოსი, რომელიც გამსჭვალულია ქართული ეროვნული ხასიათებით, განცდებითა და ყოფის ელემენტებით, შეიცავს ქართულ კონცეფციას, ნაკვებია ხალხური ფანტაზიით და დასრულებულია ქართველი მწერლის იდეურსა და ენობრივ წარმოსახვაში, - უცხო გეოგრაფიულ პირობებშია ხორცმესხმული. როგორ უნდა აიხსნას ორმხრივი

კონცეფციის არსებობა ერთი რომანის აგებულებაში - ქართული იდეალებისა და სპარსული ტენდენციების შერწყმა და გმირების მსგავსი გაგება? ეს დილემა იხსნება არა ლიტერატურული სესხების ნიადაგზე, არამედ კულტურულ-პოლიტიკური ურთიერთობის ფართო ისტორიული პრაქტიკით, რომელსაც "ამირანდარეჯანიანის" დაწერამდე საქართველოში შემოტანილი ჰქონდა კერძო სახელებიცა და მოტივებიც. ისე რომ, სპარსული ელემენტები, რომლის შესახებ მარი და სხვები მიუთითებდნენ და სპარსულ ლიტერატურულ გამოხატულებად მიაჩნდათ, თავისთავად ქართული ცხოვრების, ხალხური მეტყველებისა და განწყობილებების საკუთრება იყო და ის "ამირანდარეჯანიანის" წერის დროს უშუალო ლიტერატურულ სესხებას აღარ წარმოადგენდა.

აქ მნიშვნელოვანია იმის გახსენებაც, რომ სპარსულ წიგნურ ლიტერატურულ ურთიერთობას უსწრებდა გავლენა ყოფასა და უშუალო დამოკიდებულებაში, რის შედეგადაც ბევრი ისეთი მოტივი და სახე ჩანს ქართულში შეთვისებული, რაც ამჟამად "ამირანდარეჯანიანში" შესაძლოა ლიტერატურულ სესხებად გვეჩვენოს. ამასთან დაკავშირებით საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ სპარსული ლიტერატურული გემოვნების კვალი რამოდენიმედ ატყვია საერთოდ ქართულ ლიტერატურულ გემოვნებას, რის გამოც კერძო თუ გეოგრაფიულ სახელთა სპარსული წარმოშობა გარკვევით არაფერს ამბობს ლიტერატურული ძეგლების ასეთსავე წარმოშობაზე.

"ამირანდარეჯანიანის" სპარსული წარმოშობის თეზისი ლიტერატურულ თხზულებას წარმოგვიდგენს გარემოდან მოწყვეტილად, მხოლოდ ფორმალური ნიშნების მიხედვით. ის ანგარიშს არ უწევს ძეგლის წარმოშობის ეპოქას გარკვეული სოციალურ-პოლიტიკური პირობებით, რომლითაც განსაზღვრული ჩანს მისი იდეური შინაარსი, სახეების თავისებურება და განწყობილება, კერძოდ იმ ფაქტს, რომ სპარსეთთან ადრევე მჭიდრო პოლიტიკურ-კულტურულ ურთიერთობაში ქართული სინამდვილე იძენდა სპარსული ლიტერატურული სახეებისა და მოტივების ელემენტებს საკუთარი გადამუშავებით. ამასთან ერთად, ის სავსებით უგულვებელყოფს თხზულების ამკარად ქართულ ფოლკლორულ საფუძვლებს; კერძოდ, ქართულ ხალხურ ეპოსში არსებული მისი მთავარი გმირის ამირან დარეჯანიანის ორეულს - ამირანს, მის ლიტერატურულ დამუშავებას ამავე ეპოქის სხვა ძეგლებთან მიმართებით, რომლებთანაც მას კონკრეტულად ანათესავებს თხზულების თემა, მთავარი გმირი, მისი ზოგი ეპიზოდი, მოტივი და სახე. ანგარიში უნდა გაეწიოს სპარსულთან ერთად ეპოსში ქართული ელემენტის არსებობას, რომელიც თხზულების მეტად არქაული ხასიათის ძირითადი ბირთვი ჩანს. ყველაზე მთავარი ის არის, რომ აიხსნას, თუ რატომაა შერწყმული აქ ორი თითქოს შეურიგებელი ნაციონალური კონცეფციის საწყისის - სპარსულისა და ქართულის გამოხატულება. ეს საჭიროს ხდის გავითვალისწინოთ ამ ძეგლის გაფორმების დროის ქართული საზოგადოებრივი ყოფა და განწყობილება ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოებთან რეალური პოლიტიკური ურთიერთობის ვითარებაში.

ამ თვალსაზრისით აუცილებელია ქართულ ცხოვრებასა და საზოგადოებრივ სულისკვეთებაში სპარსული პოლიტიკისა და კულტურის გამოხატულებას განსხვავებულად შევხედოთ სხვადასხვა დროს და მისი გავლენის ისტორიული ფენები მკვეთრად გავმიჯნოთ, რამდენადაც სასანიდების დროის სპარსეთი სავსებით სხვა იყო და საქართველოს მასთან სავსებით სხვა დამოკიდებულება ჰქონდა, ვიდრე არაბობის დროინდელი სპარსეთი და მასთან ქართული სინამდვილის დამოკიდებულება. მით უფრო არ შეიძლება გავათანაბროთ სპარსეთის შესახებ

აღორძინების ხანის ქართულ მწერლობაში შემუშავებული შეხედულება, როდესაც სპარსეთი ისევ დამპყრობლის როლში მოგვევლინა.

ასეთი თვალსაზრისით თუ შევხედავთ კონცეფციას "ამირანდარეჯანიანის" წარმოშობაზე, ადვილად შევამჩნევთ, რომ იმ დროის სპარსეთი, როდესაც ეს ძეგლი ფორმდებოდა საქართველოში, დაპყრობილი და არაბიზირებული იყო, ქრისტიანულ საქართველოს კი დამთავრებული ჰქონდა მოძალადე არაბების განდევნა, საკუთარ ომებსა და პოლიტიკას აწარმოებდა და მოწინავე იდეალების მქონე ქვეყანას წარმოადგენდა.

ამდენად ქართველი მწერლისათვის არაბობის უარყოფა და სპარსული იდეალის გამოხატულება ერთგვარად ეგუებოდა მაშინდელ პოლიტიკურ განწყობილებას, ის ემსახურებოდა ქართულ ეროვნულ თვითშეგნებასაც და არ ნიშნავდა ქართული ეროვნული სიამაყის შელახვას.

ყოველივე აღნიშნულიდან მხოლოდ იმ დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ სპარსული ტენდენციის გამოხატულება რომელიმე ძეგლში, ამ შემთხვევაში კი "ამირანდარეჯანიანში", არ ნიშნავს ამ ძეგლის სპარსულ წარმოშობას.

მართლაც, "ამირანდარეჯანიანში" სპარსულთან ერთად ქართული ტენდენციის გამოხატულების ახსნაში მნიშვნელობა აქვს იმას, რომ თხზულება დაწერილია საქართველოში მაშინ, როდესაც არაბთა ბატონობა ქართულ მესხიერებაში ჯერ კიდევ ახლო წარსული იყო, სპარსული აგრესია კი დიდი ხნის წინათ იყო დავიწყებული. ვახტანგ გორგასალი ებრძოდა სპარსელებს, დავით აღმაშენებელი არაბებსა თუ თურქებს. და ამ ორ მიჯნაში მოქცეული დრო არაბთა ბატონობით იყო აღბეჭდილი. ძეგლის წერის დროისათვის ხუთი საუკუნე მაინც იყო გასული სპარსელთა ბატონობიდან, საქართველო მათი პოლიტიკის დაწოლას აღარ განიცდიდა და თვითონ ეპირებოდა სპარსეთის დალაშქვრას. არაბები კი, უკვე სახელმწიფო ძლიერების დასავალზე მყოფნი, თუმცა საქართველოდან განდევნილი იყვნენ, მათი სამხედრო დიდება ჯერ კიდევ მსოფლიო აღიარებით სარგებლობდა. ამიტომაც, რომ არაბთა სამხედრო უპირატესობის შეგნება "ამირანდარეჯანიანში" იშვიათად, მაგრამ ზოგჯერ მაინც გამოსჭვივის: "რაზომ სჯობან ჭაბუკსა ყველასა არაბნიო" (გვ. 327), - შენიშნულია ერთგან. "არაბთა მეფისა ძე იყო შვენიერი ნაყოფი და ერთობ კარგი ჭაბუკი" (გვ. 326). "განა არაბნი დიდად ამპარტავანნი არიან და რბილად უბნობა ყოლ არა მოუხდების" (გვ. 410). ამ მხრივ ძეგლში ისიც ბევრის მეტყველია, რომ ერთადერთი გმირი, რომელიც არ დაუმარცხებია ამირანს, არაბი ფალავანი ამბრი არაბია. საერთოდ კი, თუმცა ცალკეულად არაბები გმირებად არიან გამოყვანილი, თვითონ არაბეთი ყოველთვის დამცირებულ მდგომარეობაშია. ამაში გამოსჭვივის შინაგანი ბრძოლა არაბული დამპყრობლობის მიმართ, რამდენადაც ქართულ შეგნებასა და სპარსულ ლიტერატურულ აზროვნებაშიც ყოველივე არაბული მოძალადეობის სიმბოლო იყო, რის წინააღმდეგ მწერალი მზად არის ყოველთვის გამოხატოს უარყოფითი დამოკიდებულება. ასეთი განწყობილება გაძლიერდა სწორედ ამ ეპოქაში, როდესაც სპარსეთში, მის მწერლობასა და საზოგადოებრივ განწყობილებაში განსაკუთრებით გაღვივდა ეროვნული მიმართულება, რამაც არაბობის წინააღმდეგ დაუფარავი პროტესტის ფორმა მიიღო და ზოგჯერ იხატებოდა როგორც ისლამიზმის უარყოფაც კი. ამაში ქართული და სპარსული თვალსაზრისი გაერთიანებული იყო. სპარსული ეროვნული მოძრაობის ასეთი ქართული გაგება გამოიხატა ჩვენი მწერლობის იმ ფაქტშიც, რომ სპარსული ნაციონალური ეპოსის "შაჰ-ნამეს". გმირები, რომელნიც ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის სიმბოლოებს წარმოადგენდნენ, ქართულ მწერლობასა და საზოგადოებრივ

ცხოვრებაში მეტად პოპულარული გახდნენ. ამ ციკლის თხზულებათაგან, მაგ., როსტომის სახე ქართულ წარმოსახვაში ეროვნული გმირის ფუნქციასაც კი ასრულებდა.

ერთი სიტყვით, ქართული და სპარსული ეროვნული თვითშეგნება ერთნაირად ებრძოდა არაბულ მძლავრობას. ისტორიული ცხოვრებისა და რეალური პოლიტიკური ვითარებისა და განწყობილების ასეთი გაგება და შეგნება აერთიანებს ქართული და სპარსული ეროვნული ტენდენციების გამოხატულებას "ამირანდარეჯანიანში", რაც საბოლოოდ ქართულ განწყობილებათა გადატეხილი.

ამ ნიადაგზე ადვილად ასახსნელია ქართულ თხზულებებში არა მხოლოდ მოტივებისა და სახეების გამოყენება, რამდენადაც ისინი ქართულ სინამდვილეში მანამდეც არსებობდნენ, არამედ ქართველი მწერლის მიერ სპარსული ეროვნული ტენდენციების შეგნებული გამოხატვაც, რომელიც ამით არაბული სინამდვილისადმი თავის პროტესტს გამოთქვამდა, რასაც სპარსულ-არაბულ ბრძოლაში გარკვეული ფორმა უკვე ჰქონდა მონახული.

ქართულ-სპარსული იდეალების ურთიერთობათა ასეთი გაგებით სპარსული ეროვნული ტენდენციების არსებობა "ამირანდარეჯანიანში" იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენი ძველი სპარსული ლიტერატურული წარმოშობისაა. ეს ტენდენციები იმდენადაა სპარსული, რამდენადაც ქართული, იმიტომ რომ ისინი ძველის დაწერამდე ქართულ ცხოვრებაში დიდი ხნის წინადაც სპარსეთთან ურთიერთობის პირობებში შეთვისებული ელემენტები არიან და ქართველი მწერლის მიერ გაგებული როგორც ქართული ეროვნული იდეალებისა და განწყობილების გამომხატველი ტენდენციები. ეს იმას ნიშნავს, რომ ქართული ეროვნული შეგნება სპარსულ ტენდენციას არაბობასთან პოლიტიკურ თუ კულტურულ ბრძოლაში უყურებდა როგორც საკუთარს.

ყოველივე აქედან უნდა დავასკვნათ, რომ "ამირანდარეჯანიანი" ქართული იდეოლოგიის თვალსაზრისით ორმხრივი კონცეფციის თხზულებაა. აქ ერთმანეთს ერწყმის ქართულ-სპარსული განწყობილებანი და მოტივები არაბულთან დაპირისპირებაში. არაბობასთან იდეოლოგიურ ბრძოლაში გაერთიანებულია ქართულ-სპარსული ეროვნული თვითშეგნება, რითაც თხზულების გაგებაში მოხსნილია წინააღმდეგობა, რომელიც თითქოს არსებობს ერთმანეთის გამომრიცხავ ქართულ და სპარსულ ტენდენციებს შორის.

¹¹¹ ციტატები მოგვყავს ტექსტის მეოთხე გამოცემიდან (ჩვენი საუნჯე, II, 1960, გვ. 283-452), ივ. ლ. ო. ლ. ა. შ. ვ. ი. ლ. ს. რედაქციით. ტექსტი პირველად გამოსცა ზ. ჭ. ი. ჭ. ი. ნ. ა. ძ. ე. მ. ("ამირან-დარეჯანიანი" მოსე ხონელისა (XII ს.), 1896), მეორედ ს. კ. ა. კ. ა. ბ. ა. ძ. ე. მ. ("ამირან-დარეჯანიანი" მოსე ხონელისა, 1939), მესამედ - ს. ყ. უ. ბ. ა. ნ. ე. ი. შ. ვ. ი. ლ. მ. ა. (ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, 1949, II). თარგმნილია ინგლისურად: "Amiran-Darejaniani". A cycle of medieval Georgian tales traditionally ascribed to Mose Khoneli. Translated by R. H. Stevens. Oxford. Oxford University Press. Clarendon Press/1958. XXXIII, 240p. იხ. რეცენზიები: D. M. Land and G. M. Meredith-Owens. Amiran-Darejaniani. A Georgian Romance and its English rendering. "Bulletin of the School of Oriental and African Studies". University of London. 1959. vol. XXII. 3. p. 454-490. შ. ნ. უ. ც. უ. ბ. ი. ძ. ე. მ. დ. მ. ლენგი და "ამირანდარეჯანიანის" ინგლისური თარგმანი. გაზ. "ლიტერატურული გაზეთი", 1960, 3; С. Б. С. е. р. е. б. р. я. к. о. в, Грузинский роман и его английский перевод, журнал «Проблемы Востоковедения», АН СССР, 1960, №2, გვ. 203-206.

[2] ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I, 1945, გვ. 60.

[3] მოსე ხონელი და მისი „ამირანდარეჯანიანი“, 1895, გვ. 4, 28.

[4] ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1958, გვ. 75-85.

[5] Персидская национальная тенденция в грузинском романе Амирандареджаниани, ЖМНП, 1895, VI, გვ. 361.

[6] Из книги царевича Баграга о переводе... Дареджаниани, ИАН, 1899, X, №2, გვ. 237-246.

[7] ნარკვევები, I, 1945, (პირველი გამოც., 1932 წ.), გვ. 20.

[8] საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, IV, №6, 1943.

[9] ამირანდარეჯანიანის სადაურობისათვის, ლიტერატურული ძიებანი, II, 1944, გვ. 263.

[10] ქართველი ერის ისტორია, I, 1951, გვ. 159.

[11] დ. ლ ე ნ გ ი ს ა და მ ე რ ე დ ი ტ - ო უ ე ნ ს ი ს წერილს პასუხი გასცეს შ. ნ უ ც უ ბ ი ძ ე მ (დ. მ. ლენგი და "ამირანდარეჯანიანის" ინგლისური თარგმანი, "ლიტერატურული გაზეთი", 15. 1, 1960), მ. ჩ ი ქ ო ვ ა ნ მ ა ("ამირანდარეჯანიანის" წყაროების პრობლემა, "მნათობი", 1960, № 4) და ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ე მ ("ამირანდარეჯანიანის" გარშემო, საქ. სსრ მეცნ. აკად. სმგ მ ო ა მ ბ ე, I, 1960).

ვისრამიანი

სამიჯნურო-სათავგადასავლო ვრცელი თხზულება "ვისრამიანი", რომელიც შუასაუკუნეთა სპარსულ მწერლობაში ცნობილი რომანის "ვის ო რამინის" პროზაულ თარგმანს წარმოადგენს, თავისი მაღალმხატვრული ენითა და მომხიბლავი სახეებით ქართული ორიგინალური კლასიკური მწერლობის ძეგლთა შორის დგას. მან განსაკუთრებული როლი ითამაშა ჩვენი მწერლობის ისტორიაში და თავისი მნიშვნელობით გასცდა ჩვეულებრივი თარგმნილი ძეგლის საზღვრებს. "ვისრამიანი" ძველმა ქართულმა მხატვრულმა და საისტორიო მწერლობამ თავიდანვე შეისისხლხორცა როგორც რამდენადმე იდეურად ნაცნობი მოტივების შემცველი, თავისუფალი აზრებისა და ადამიანური უფლებების განმასახიერებელი თხზულება. პიროვნული ღირსებისა და თავისუფლებისადმი სწრაფვის იდეალები ამ ძეგლს აღმოსავლური ლიტერატურის სხვა ძეგლებისაგან შესამჩნევად განასხვავებს. ამიტომაც, რომ ქართულ საზოგადოებრივ შემეცნებასა და ლიტერატურულ გემოვნებაში "ვისრამიანი", როგორც მხატვრული მოვლენა, თითქმის ორიგინალური ძეგლის როლს ასრულებს და ყოველთვის იხსენიება ჩვენი მწერლობის საამაყო თხზულებებთან ერთად.

"ვისრამიანს" წარმტაცმა შინაარსმა, მისი გმირების ფათერაკით აღსავსე სამიჯნურო თავგადასავალმა და ბუნებრივმა ხასიათებმა, მასში გამოხატულმა რაინდულმა სულისკვეთებამ საზოგადოებრივსა და ლიტერატურულ წრეებში დიდი პოპულარობა მოუპოვეს. "ვისრამიანის" გმირები ქართული კლასიკური მწერლობის თითქმის ყველა ძეგლში არიან მოხსენიებულნი, მათ შორის "აბდულმესიანსა", "თამარიანსა" და "ვეფხისტყაოსანში". "თამარიანში" იკითხება:

რამინს უშენოდ, სტკივის უშენოდ, შვრებოდა ვისის ნამიჯნურევად (V, 22).

"აბდულმესიანში":

ვხმობ ვამეყ-ვისსა, არ თუ მეყვისსა (გვ. ებ.)

"ვეფხისტყაოსანში":

იგი ჭირი არ უნახავს, არ რამინს და არცა ვისსა (183, 3).
ვატმანს ჰკვლიდა უმისობა, რამინისა ვითა ვისსა (1080, 4).
ნუ ექვ მიჯნურად მათებრსა, ნუმცა თუ რამინს და ვისსა (1543, 4).

საგულისხმოა, რომ "ვისრამიანის" შეყვარებულ წყვილთა სახელები მოხსენიებულია თამარ მეფის ისტორიკოსის თხზულებაში "ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი" თორმეტ ცნობილ შეყვარებულ წყვილთა შორის.

ამის შემდეგ "ვისრამიანის" სახეები აღარ მოსცილებია ჩვენს ლიტერატურულ აზროვნებას და ის გატაცებისა და სიყვარულის საგანს წარმოადგენდა აღორძინების ხანის მწერალთათვის, იქამდის, რომ არჩილ მეფეს საჭიროდ დაუნახავს კიდევ მისი გალექსვა, თუმცა თავისი განზრახვა ბოლომდე ვერ მიუყვანია და შეუწყვეტია თავამდე "რამინისა და ვისის ერთგან შეყრა".

თეიმურაზ პირველი, არჩილი, თეიმურაზ მეორე, იოსებ თბილელი, ბესიკი „ვისრამიანის“ სახეებს ხშირად მიმართავენ როგორც მეტაფორის მასალას. თეიმურაზ მეორე თავის თხზულებაში "სარკე თქმულთა ანუ დღისა და ღამის გაბაასება", სქემატურ ხაზებში ლექსავს "ვისრამიანის" ფაბულას და გვიხასიათებს მის მთავარ გმირებს. რუსთველური შაირით დაწერილ ამ თხზულებაში, სხვა მაჯამებს შორის, თავისი საკმაო სილამაზითა და აზრიანობით ყურადღებას იპყრობს რამინის სახელზე გაკეთებული მაჯამა:

ღამითა შეიყრებოდენ მიჯნური ვისი, რამინა,
მზეს მოეხვივის, გულში თქვის: მე ამის მეტი რა მინა,
ქალს სჭვირდა ღაწვი ლალივით, ვით ღვინით წითლობს რა მინა,
მის გიშრის მშვილდზედ სადებლად არ ეჭირების რამ ინა^[1].

ვისი და რამინი, როგორც შედარების მასალა და შეყვარებულთა ურთიერთობის ერთგვარი საზომი, გამოყენებული აქვს თეიმურაზს აგრეთვე მის მიერ ნათარგმნ "თიმსარიანში" მეგრულში დედაკაცისა და მისი კუროს დამოკიდებულების სურათის გადმოსაცემად: "შუა ღამემდინ ლალის ფერის ყირმიზის ღვინით ერთმანეთი აამეს და მოწეულის ლალის ბაგეებს სწოვდენ და აკოცებდენ და შაქარი და რძე რომ გააერთო, ისე ტკბილად იუბნეს, შუა ღამეს უკან დაწვნენ და ასე შეიხვივნენ, რომ წებოთი შეწებულს ჰგავდენ. მათ უსაყვარლესი მიჯნურნი არც ვისი და რამინ ყოფილან, არც ყაისი და ლეილი, არც ტარიელი და ნესტან-დარეჯან" (იქვე, გვ. 161).

რითი დაიძახებოდა განსაკუთრებული სიყვარული "ვისრამიანმა" და რატომ იქცა იგი საერთო ყურადღების საგნად? ჩვენთვის ეს კითხვა იხსნება არა მხოლოდ ძეგლის შინაარსისა და თხრობის მომხიბლაობით, არამედ შესანიშნავი თარგმანითაც, სანიმუშო ქართული მხატვრული მეტყველებით, რომელიც კლასიკური ქართულის უმაღლესი საფეხურის ერთ-ერთ ნიმუშს წარმოადგენს. მსოფლიო მწერლობაში კი "ვისრამიანი" საყურადღებო ძეგლია რომანის ჟანრის ისტორიის თვალსაზრისითაც, როგორც თავისი დროის ლიტერატურული ოსტატობის შესამჩნევი მიღწევა, რომლის სიუჟეტსა და კომპოზიციის სიმეტრიულ განვითარებასთან თანაზომიერადაა შეხამებული მისი შინაარსი, იდეალები, მოტივები და მხატვრული საშუალებანი.

სპარსული ლიტერატურული ფანტაზიის ეს ღამაზი ქმნილება მართლაც ძალდაუტანებლად გვიხიბლავს თავისი გაშლილი შინაარსით, სამიჯნურო თავგადასავალთა უამრავი ნასკვებითა და ფაბულის ჩამოქნილი აგებულებით, სიუჟეტის მწყობრი განვითარებით, ეპიზოდების ლოგიკური დინებით, მოქმედ

გმირთა გამოკვეთილი სახეებითა და დამთავრებული ხასიათებით. დიალოგების ბუნებრიობა, სადა თხრობა, ვნებათა უშუალო წარმოსახვა მას მუდმივი სიახლის გრძნობით აღჭურავს და გასაგებსა ხდის ყოველი დროის ხალხისათვის. მისი მხატვრული სახეების სრულყოფილობა იმითია მიღწეული, რომ ადამიანური განცდის ყოველი გამოვლენა აქ მხოლოდ დეკლარაციული არ არის, არც ცალმხრივად ნატურალისტური სურათი, არამედ ადამიანური ყოფის რეალურ სიტუაციებში დახატვა, რაც წვდება ტიპიურს. იდეალები სქემებს კი არ წარმოადგენენ, არამედ ცოცხალ სურათებში ასახულ ვნებებს და ყოველი მოვლენა გმირთა სულიერი ცხოვრებისა ილუსტრირებულია მოხდენილი შეგონება-არაკებით.

თავისუფალი სიყვარულის იდეალი გამოხატული მიზნისადმი ტიტანური სწრაფვით, განუსაზღვრელი ადამიანური ვნების აღიარება, ცხოველი წარმოსახვა, პროტესტანტული განწყობილება თხზულებას დიდ მნიშვნელობასა და თავისებურებას ანიჭებს. ეს იდეალები როგორც მსოფლიო, ისე ქართულ მწერლობაში ახალი იყო, ისინი მკვეთრად გამოარჩევენ თხზულებას სამიჯნურო რომანებს შორის. მან ლიტერატურაში მოიტანა საკუთარი, პიროვნული განცდების მქონე ადამიანის პრობლემა და მხატვრულად დაასაბუთა თავისუფალი სიყვარულის ბუნებრივი უფლება, რაც საკმაოდ გვიან, შუა საუკუნეთა დასასრულს მსოფლიო რაინდულ რომანში სიყვარულის კოდექსის ამოსავალ თეზად იქცა. მან პირველმა აქცია მწერლობის თემად კონფლიქტიანი სიყვარული, რომელიც ფაქტობრივად სამი პიროვნების გაერთიანებას წარმოადგენს - მოტყუებული ქმარი, მოღალატე ცოლი და საყვარელი.

აქედან კარგად ჩანს, რომ ძირითადი პირობა, რამაც ამ თხზულების ლიტერატურული სიახლე, მისი იდეალების დაუბერებლობა უზრუნველყო, თამამი იდეალებია, რომელშიაც განჭვრეტილია ახალი ხანის საზოგადოებრივი სულისკვეთება. ამის უკეთ გათვალისწინებისთვის "ვისრამიანის" შინაარსი შეიძლება მოკლედ ასე გადმოიცეს:

სპარსეთის მეფეთა-მეფეს ქალთა მოყვარულს შაჰ მოაბადს მარავში წვეულებაზე ყოფნის დროს პირმშვენიერი შაჰრო მოეწონა, რომლისაგანაც ფიცი აიღო, რომ თუ ქალი ეყოლებოდა, ცოლად მიეთხოვებინა. მეოცდაათე წელს შაჰროს ეყოლა ქალი, რომელიც გასაზრდელად ხუზისტანში გაგზავნეს, სადაც ამ დროს მოაბადის უმცროსი ძმა რამინიც იზრდებოდა.

ვისი ულამაზესი ქალი დადგა და როდესაც ის ქალაქ ჰამიანში დედას მიჰგვარეს, მას მოაბადისთვის მიცემული პირობა დავიწყებოდა და ქალიშვილი თავისივე ვაჟთან - ვიროსთან აქორწინა. საქორწინო ნადიმი და-ძმას შორის ჯერ გათავებული არ იყო, რომ მოაბადისგან გამოგზავნილი შაჰის ძმა ზარდი საფიცრის წიგნით გამოცხადდა და ვისის წაყვანა მოითხოვა, მაგრამ უარით გაისტუმრეს. შეურაცხყოფილმა მოაბადმა ვიროს წინააღმდეგ გაილაშქრა, დიდი ბრძოლები გადაიხადა და შაჰროს მოქრთამვით შესძლო ვისის ხელში ჩაგდება. სასწრაფოდ მარავისკენ გამგზავრებულ ვისს რამინმა თვალი მოჰკრა და უმალ მისი სიყვარულით დატყვევდა, მით უმეტეს ბავშვობიდანვე ჰყვარებოდა.

ვისს პირველი გათხოვებისას ერთხელაც ვერ მოესწრო ვიროსთან ძილი, რადგან წესზე ყოფილიყო და ქალწულად დარჩენილი მოაბადმა შეირთო, მაგრამ მის ხელშიაც ქალწულად დარჩა, რადგან ძიძას გრძნეულებით მოაბადს მამაკაცობა შეეკრა. ვისი ისევ თავის პირველ ქმარს ვიროს მისტიროდა, რომ ბევრი წვალეებისა და ცდის შემდეგ რამინმა ძიძას შუამავლობით ვისს სიყვარული გამოუცხადა, მისი გულიც მოიგო და, როცა მოაბადი სანადიროდ იყო წასული, თავის საწადელსაც მიაღწია.

შეყვარებულნი სიამოვნებაში ატარებდნენ დროს. მათი სიყვარული რომ გამომჟღავნდა, ექვნიანმა მოაბადმა ვისი სასახლიდან გააგდო. დედის სახლს შეფარებულ ვისს რამინმაც მიაშურა, სადაც საიდუმლოდ მასთან ყოფნით ტკბებოდა. ჩქარა შაჰმა უვისობა ვერ აიტანა და

იძულებული იყო ცოლი უკან გამოეთხოვა და შერიგებოდა. მოაბადმა მოინდომა მოლაღატე ცოლი ერთგულებაზე დაეფიცებინა, რისთვისაც დიდი ცეცხლი დაანთებინა. ვისი შეშინდა - არ დამწვასო და რამინისა და ძიძას თანხლებით სასახლიდან გაიპარა. მოაბადმა კიდევ ვერ გასძლო უვისოდ და დიდი ხანი მის ამაო ძებნაში გაატარა. ამასობაში რამინმა თავის დედას წერილი მოსწერა - კარგად ვარო და რაკი მოაბადიც შერიგების გუნებაზე იყო, დედამ იგი დააფიცა ვისისა და რამინისთვის დანაშაული ეპატიებინა, ისინიც დაბრუნდნენ სასახლეში და ყველანი ისევ მხიარულებას მიეცნენ.

ერთ ღამეს მძინარე მოაბადს ვისის მაგივრად საწოლში ძიძა დაუწვა. გამოღვიძებული შაჰი დაეჭვდა - მატყუებენო და ძიძას ხელი დაუჭირა, მაგრამ დროზე შემობრუნებულმა ვისმა შესძლო შაჰისთვის თავისი ხელი მიეცა დასაჭერად, ძიძა გააპარა და მოაბადი დარწმუნდა, რომ მის გვერდით ვისი იწვა.

მოაბადმა საბერძნეთზე გაილაშქრა, თავისი ცოლი და ძიძა კი საგანგებოდ გამაგრებულ ციხე-სიმაგრეში მოათავსა, რომლის სასტიკი მეთვალყურეობა თავის ძმას ზარდს დაავალა. ლაშქრობაში მიმავალი რამინი ვისის დაშორებამ ისე დაასნეულა, რომ მოაბადი იძულებული გახდა უკან დაებრუნებინა. რამინმა შაჰის მეთვალყურეობას თავი დააღწია თუ არა, მაშინვე ციხეს მიმართა, სადაც ვისი ეგულეობდა, და მის ფანჯარას ისრით წერილი შესტყორცნა. ვისიმ და ძიძამ მოახერხეს ციხეზე ჩამოეშვათ ორმოცი გადაგრეხილი სტავრას თოკი, რომლითაც რამინი ვისისთან ავიდა. რამინმა მთელი ცხრა თვე დაჰყო შეყვარებულთან.

მოაბადს შეატყობინეს ვისისა და რამინის შეხვედრის შესახებ, მაგრამ რამინმა მოასწრო გაქცევა. განრისხებულმა შაჰმა ჯავრი იყარა ვისისა და ძიძას ცემითა და საკანში დამწყვდევით. ბოლოს შაჰი მაინც შეურიგდა ყველას და გურგანში საომრად წასვლის გამო ვისი ეხლა თვით ძიძას ფიცით ჩააბარა. ლაშქრობაში მიმავალ მოაბადს რამინი გზიდანვე გამოეპარა, შეყვარებულთან გაეშურა და ვისმა ძიძას დახმარების გარეშე მაინც მოახერხა რამინთან შეხვედრა.

მოაბადი, ცოლი რომ სახლში არ დახვდა, შეყვარებულთა დასაჭერად ბალისკენ გაეშურა, მაგრამ რამინმა კიდევ მოასწრო ხელიდან გასხლტომოდა მდევარს, ვისმა კი მომძინარეობითა და ფიცით კიდევ დაარწმუნა ეჭვიანი ქმარი თავის სიმართლეში. ვისისა და რამინის სიყვარული ვერაფერმა ჩაახშო - ვერც ქონებამ, ვერც შიშმა, ვერც სირცხვილმა, ვერც დაშორებამ. ასეთ სამიჯნურო თავგადასავლებში მყოფმა რამინმა ერთი მეგობრის რჩევით თითქოს გადაწყვიტა საბოლოოდ ჩამოშორებოდა ვისს, დასტოვა მოაბადის სასახლე და საცხოვრებლად დასახლდა ქალაქ რეიში, სადაც ცოლად შეირთო სილამაზით განთქმული გული, ვისს კი წერილი მისწერა საბოლოოდ ჩამოგშორდიო.

ურამინოდ ყოფნას ვისი ვერ შეურიგდა და შუამავლად ძიძა გაგზავნა, ეგებ საყვარელი დამიბრუნდესო, რამინი ჯერ უარზე იყო, მაგრამ სასიყვარულო ყვედრებისა და იმედის ათმა წერილმა ბოლოს მაინც მოალბო იგი და აიძულა ცოლი მიეტოვებინა და ისევ ვისს დაბრუნებოდა.

ერთხელ, მოაბადის იქ არ ყოფნისას, რამინი მარავის სასახლეს დაეპატრონა, დელამთა ქვეყანაში გაემგზავრა, დიდი ლაშქარი შეჰყარა და მოაბადზე გამოილაშქრა. მოწინააღმდეგე ბანაკები პირისპირ იდგნენ და ძმათა შორის ის იყო ომი უნდა დაწყებულიყო, რომ ტყიდან შემთხვევით გამომხტარ ტახს მოაბადი ცხენდაცხენ დაედევნა. ტახი მოაბადის ცხენს ეძგერა და გადმოვარდნილი მოაბადიც მისი ეშვების მსხვერპლი გახდა.

ამრიგად, უბრძოლველად დამთავრდა ომი და რამინი სამეფო ტახტზე დაჯდა, ვისი ცოლად შეირთო და მასთან ერთად 83 წელიწადს ბედნიერად იმეფა. ვისი რომ გარდაიცვალა, რამინმა დიდი აკლდამა აუგო, შიგ მუდმივი ცეცხლი დაანთო, უფროს შვილს ხორშედს სამეფო ჩააბარა და თვითონ, რაკი უვისოდ სიცოცხლე აღარ უნდოდა, ვისის აკლდამაში შევიდა, კარები ჩაიკეტა და იქიდან აღარ გამოსულა.

"ვისრამიანის" წარმოშობის დრო და ვითარება სპეციალურ ლიტერატურაში ჯერ კიდევ სასურველი სიცხადით არაა გარკვეული და არსებითად არაფერია ახალი აღნიშნული იმაზე მეტი, რასაც ქართული თარგმანის შესავალი შეიცავს. ცნობილია, რომ "ვისრამიანი" პირველად დაწერილი ყოფილა ფალაურ ენაზე პროზაულად, საიდანაც ახალ სპარსულზე XI საუკუნის შუა წლებში (ეთეს ვარაუდით შესაძლოა 1055 წელს) 9.000-მდე ბეითად გაულებქსავს ტოდრულბეგის კარის მგოსანს ფახრ უდინ გორგანელს, რომლის თარგმანსაც ჩვენი ქართული ტექსტი წარმოადგენს.

ქართული თარგმანის ავტორად ტრადიციული შეხედულებით სარგის თმოგველია მიჩნეული, რომელსაც მიეწერება დაკარგული თხზულება "დილარიანი". თარგმანი შესრულებული უნდა იყოს XII საუკუნის ნახევარში მაინც. სულ ერთი საუკუნის შემდეგ "ვისრამიანის" ახალ სპარსულზე დაწერიდან.^[2] ასეთი სწრაფი გამომხაურება მსოფლიო ლიტერატურულ მოვლენაზე იმას მიუთითებს, თუ როგორ იყო განვითარებული ქართული ლიტერატურული გემოვნება და რა მაღალ საფეხურზე იდგა საქართველოში მხატვრული თარგმანის საქმე. "ვისრამიანის" ქართული თარგმანის მნიშვნელობა მით უფრო დიდია, რომ ის ყველაზე ადრინდელი და ერთადერთი თარგმანია, რომელიც კი განხორციელდა ორიგინალიდან მთელი შვიდი საუკუნის განმავლობაში.

ამჟამად უკვე დადგენილად ითვლება, რომ "ვისრამიანი" სპარსული ორიგინალის შედარებით ზუსტ თარგმანს წარმოადგენს, რომელშიც გადმოცემულია ორიგინალის ყოველი აზრი, სახე და სურათი, თუმცა დროთა განმავლობაში მას გადამწერთა ხელში ცვლილებანი განუცდია, რის გამოც ტექსტის ზოგი ადგილი წარყვნილა.^[3] ამავე დროს წარყვნილი ჩანს თვით სპარსული ხელნაწერებიც ისე, რომ ქართული ყოველთვის არაა სპარსულის იდენტური და ზოგჯერ თავისუფალი თარგმანის შთაბეჭდილებას ტოვებს. განსხვავება უმთავრესად არ სცილდება ლექსიკურ-სტილისტურ ფარგლებს, ეხება ცალკეულ ფრაზებს, შედარებებს, ეპითეტებს. ქართული თარგმანის თავისებურებად უნდა ჩაითვალოს პოეტური სურათების გაცილებით მეტი დაწურვა და მხატვრული გამართვა.^[4]

ქართულ თარგმანში შედარებით სპარსულ ტექსტთან დაეჭვებას იწვევდა მთელი რიგი განსხვავებული ადგილების არსებობა, როგორც ჩანამატები, ისე ხარვეზები, აგრეთვე ერთგვარი "ქართულიზმები", რომლებშიც გამოსჭვივის მთარგმნელის სურვილი ეროვნულ წარმოდგენას შეუფარდოს ცალკეული ადგილები. მაგ., ქართულის კვალია სახარების შედარება: მარგალიტი ღორსა წინა აღარა დაყარა (გვ. 90), ან: ტირილითა მინდორი მტკვრად შექმნა (გვ. 49), მინდორთა შიგან მტკვარი ადინო (გვ. 62). ერთი სიტყვით, ქართული თარგმანი საერთო სიზუსტის მიუხედავად, შეიცავს ქართული ცხოვრებისა და განწყობილების ზოგ ელემენტს.

ქართველი მთარგმნელი ხშირად ურთავს რაიმე განმარტებას, რაც სპარსულში არ მოიპოვება, ანდა, პირიქით, ამოკლებს. ნ. მარის შენიშვნით, მაგ., ქართულის ჩანამატია რწმენა ავი თვალის ცემისა, რომანის დასაწყისში ქრისტეს ხსენება და სხვ. მთარგმნელი არ ერიდება ცალკეული ადგილების შეკუმშვას. მაგ., ვისის სილამაზის აღწერა ქართულში სულ არ არის, სამაგიეროდ მოცემულია ვრცელი აღწერილობა რამინის სილამაზისა, რასაც სპარსულ დედანში ვერ ვხვდებით. მარისავე დაკვირვებით, ქართველი ავტორი გაურბის გამეორებას, ცალკეული ადგილების გაგრძელებას და ხმარობს ქართული სინამდვილისთვის გასაგებ შედარება-სახეებს.^[5]

სპარსულ დედანსა და ქართულ თარგმანს შორის აღნიშნული განსხვავებანი, ქართულის დამახასიათებელი შემოკლება-გავრცობანი ამჟამად სპარსული ტექსტის აკადემიური გამოცემის შემდეგ მინიმუმამდეა დაყვანილი. აღმოჩნდა, რომ ბევრ

შემთხვევაში ის, რაც ხარვეზები, დამახინჯებანი, გადაკეთებანი ეგონათ, სპარსული ორიგინალის დამახასიათებელი ყოფილა, რომელნიც სხვა ხელნაწერებმა გამოავლინეს. მიუხედავად ამისა, შესამჩნევია ქართულ ტექსტში თავისებურებანი, რომელნიც გურგანის ხელიდან გამოსული პირველადი რედაქციის არქაიზმებად ჩანან, მაგ., ზოგი სახელწოდება და ცალკეული დეტალი, რაც ამჟამად დაკარგული აქვს თვით სპარსული ხელნაწერების ტექსტებს, რის გამოც ქართულ თარგმანს სპარსული ტექსტის დადგენისთვის გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება. ამ გარემოებას ყურადღებას აქცევს სპარსული ტექსტის თეირანული გამოცემის რედაქტორიც, რომელიც წინასიტყვაობაში შენიშნავს, რომ “ქართული, როგორც სიტყვასიტყვითი თარგმანი, ფარსულ დედანთან შედარებით ახლოს არის და დედნის შესასწორებლად და დასადგენად ფრიად გამოსადეგია”.

“ვისრამიანი” თვითონ სპარსულ ენაზე ყურადღებას იქცევს გამოთქმის სისადავითა და არქაულობით, შედარებით გურგანის დროის ახალ სპარსულთან და, როგორც ჩანს, ფალაურ ტექსტთან ახლოს უნდა იდგეს, რასაც ისიც მიუთითებს, რომ ზოგი სიტყვა “ვისრამიანში” ფალაური ფორმითაა ნახმარი. რომანის გმირთა სახელებში შემორჩენილია კვალი ძველი სპარსული ცხოვრებისა და ზოგი მათგანის მომდინარეობა აქემენიდური ეპოქის სინამდვილიდან ეჭვს არ იწვევს. ერთ ასეთ ცხად, ზოროასტრიზმის კულტიდან მომდინარე სახელს წარმოადგენს მოაბადი, მობედი, რაც ძველ სპარსულში ქურუმს, ცეცხლის მსახურს ნიშნავს. არაში, ჯიმშედი, შირინი, ხოსრო სპარსული მითოლოგიის პოპულარულ გმირთა სახელებია, რომელთაგან არაში ავესტაშიც ყოფილა მოხსენიებული ერეხმას ფორმით. ეს გარემოება იმითაცაა გაპირობებული, რომ თხზულება გვაცნობს ძველ სპარსულ ყოფასა და განწყობილებას, მის სოციალურ გარემოს, იგი აცოცხლებს ძველი სპარსეთის გმირთა ხასიათებსა და წეს-ჩვეულებებს, ისტორიულ პიროვნებებს და, შეიძლება ითქვას, რომ რომანის მთავარი გმირები თითქოს იმეორებენ აქემენიდთა ხასიათებს.

ამ მხრივ საგულისხმოა მოაბადისა და რამინის დახასიათება, რომელშიც რამდენადმე გამოსჭვივის აქემენიდთა - კიროსის, კამბიზისა თუ დარიოსის ზოგი თვისება და ნიშანი. ისინი წარმოდგენილი არიან მსოფლიო მბრძანებლებად. მათ იმპერიაში მრავალი სახელმწიფოა გაერთიანებული. აქემენიდთა მსგავსად მოაბადს ჰყავს რამდენიმე ცოლი და მას ისეთი ეპითეტებით ამკობენ, როგორც ეს მიღებული იყო სპარსეთის მეფეთა დასახასიათებლად და როგორც უნდა იყოს შაჰი ავესტას მიხედვით. მოაბადი, რამინი, ვისი, ზარდი, ვირო, შაჰრო - აქემენიდების ყოფით ცხოვრობენ; ჭამა-სმასა, ნადირობასა, ომსა თუ საკულტო ცერემონიებში აქემენიდებივით იქცევიან. როგორც ცნობილია, აქემენიდთა ჩვეულება იყო სიცოცხლეშივე ეშენებინათ საკუთარი მონუმენტური სამარხები. მაგ., კიროსმა, ქსერქსმა თუ სხვებმა თავის სიცოცხლეშივე აიშენეს უზარმაზარი აკლდამები. “ვისრამიანშიც” რამინი წინასწარ აშენებულ აკლდამაში იმარხავს თავს.

მწერალი რამინის სახით ხატავს ძველი ფარსის ნამდვილ პერსონაჟს, მსოფლიო პატრონის, ძლიერი აქემენიდის სრულყოფილ ტიპს თავისი სულიერი და ფიზიკური აგებულების ძირითადი ნიშნებით - საკუთარ ძლიერებასა და მოწოდებაში რწმენით, გამბედაობით, სისასტიკით, სიამაყის შეგნებით, ინიციატივით, ენერგიულობით, გულუხვობით. საერთოდ, “ვისრამიანის” პერსონაჟები თავიდან ბოლომდე გააზრებული არიან როგორც გარკვეული ყოფისა, მორალური აგებულებისა და მსოფლმხედველობის ადამიანები. მათ ქცევასა და განწყობილებაში არაფერია შემთხვევითი და აუხსნელი. ისინი რეალური ადამიანები არიან. ამიტომ რომანის

იდეური საფუძვლისა და მხატვრული კონსტრუქციის გახსნის, მის გმირთა ხასიათების გაგებისთვის მხედველობაში მისაღება სპარსული ნაციონალური თავისებურებებით აღბეჭდილი ფარსიზმის ზნეობრივი იდეოლოგია. მართლაც, მთელი თხზულება აგებულია ზოროასტრიზმის დუალისტური მსოფლმხედველობის მხატვრულ განსახიერებაზე. ფარსიზმის იდეალები და მოტივები შესამჩნევია წეს-ჩვეულებებში, გმირთა ყოფაქცევა-ურთიერთობაში, სიუჟეტის გაშლასა, ეპიზოდების განვითარებასა, განსაკუთრებულ თქმებსა, ანდაზებსა და შეგონებებში. ნათესაობის სისტემა, ოჯახურ ურთიერთობაში ქალის უპირატესი როლი, მრავალცოლიანობა, ქორწინება და-ძმას შორის, გლახაკთა განკითხვა, სიცრუის შიში, ფიცის რწმენა, პირობის გატეხვის მიჩნევა დიდ ცოდვად - ფარსიზმის დოგმების გამოხატულებაა. ამათგან და-ძმის ქორწინების მოტივს სპარსულ ისტორიაში საკმაო ანალოგიები მოეპოვება და ძველ ეგვიპტეშიც დაკანონებული ჩვეულება იყო. ქორწინების ამ წესის არსებობა ვაჟის მიერ დის მეშვეობით სამეფო მემკვიდრეობის მიღებასთან ყოფილა დაკავშირებული, რამდენადაც დინასტიური უფლება ოჯახში ქალზე გადადიოდა, რაც თავისთავად მატრიარქატის გადმონაშთადაა მიჩნეული. მაგ., ცნობილ აქემენიდებს - რამზესს, კამბიზს ცოლებად საკუთარი დები ჰყავდათ. ეგვიპტის დედოფალი ხატშეპსუტი საკუთარ ძმაზე ყოფილა გათხოვილი.

ყველაზე მთავარ ფარსულ იდეას თხზულებაში წარმოადგენს ბრძოლა სინათლესა და სიბნელეს შორის, გამოხატული რამინისა და მოაზადის დაპირისპირებაში. ჩვენ თავიდანვე ვგრძნობთ ძალთა დაჯგუფებას ამ ორ მოწინააღმდეგე საწყისს შორის; რომანის ავტორი არ იშურებს დადებით ეპითეტებსა და მეტაფორებს რამინის დახასიათებისთვის, მას წარმოგვიდგენს ყოველთვის ხელსაყრელ სიტუაციებში, ცდილობს მისი ყოფაქცევის საჩოთირო მხარეებიც კი ნათელ ფერებში დაგვიხატოს, მაშინ როდესაც მოაზადი შემკული ჰყავს დამცინავი ეპითეტებითა და სახეებით და ყოველთვის არახელსაყრელ ვითარებაში გვიჩვენებს. ამიტომ სიუჟეტის განვითარებაში თავიდანვე საგრძნობია, რომ ორთაბრძოლას, რომელსაც ეს ორი გმირი აწარმოებს დედოფლისა და ტახტისთვის, რამინი მოიგებს, თუმცა კანონიერი პატრონი ტახტისა და ქმარი ვისისა მოაზადია, რომელსაც არავისთვის არაფერი არ დაუშავებია, მაგრამ მწერალი ისე ოსტატურად ხატავს ამ გმირებს, რომ მკითხველის სიმპათია მაინც მოლაღატე გმირის - რამინის მხარეზე იყოს.

რამინის გამეფება დინასტიური გადატრიალებით ყველამ კმაყოფილებით მიიღო “ყოველი ენა ვისსა და რამინს აქებდა. მათ ულოცვიდეს და ყოვლისა კაცისა გული მათ სჭვრეტდა სიყვარულისა თვალითა” (გვ. 277). თხზულებაში ერთი გამოთქმითაც კი არაა გაკიცხული მისი მოქმედება. ადვილი შესამჩნევია, რომ რამინის გამარჯვება და გახელმწიფება თავიდანვე გამიზნული სიუჟეტის კონსტრუქციაში. მისი სახით იმარჯვებს სიკეთე და სამართალი ბოროტებასა და უსამართლობაზე, რაშიაც გამოიხატება ძველის სოციალურ-პოლიტიკური იდეალი. “ვისრამიანი” სამხედრო არისტოკრატიაზე დამყარებული აბსოლუტური მონარქიის აპოლოგიაა და ამიტომაც, რომ მოაზადის დამარცხებით სრულიადაც არ მცირდება თვითონ მონარქიული აბსტრაქტული უფლება. მონარქიული წყობილების მეხოტბე ახალი, ძლიერი მონარქის მოვლინებას ადიდებს, ამდენად თქმა, რომ “ხელმწიფეთა ბრძენი და გონიერი არვინ შესცოდებს” (გვ. 50), მის შეგნებაში ყოველთვის ძალაშია, რადგან მის წარმოსახვაში ლეგიტიმისტური იდეალი სიწმინდის შეუვალობითაა მოსილი. ამიტომაც, რომ რამინის ხელმწიფობაში “ცხვარნი მგელთა თანა ძოვდეს”,

მის მოსამართლეობაში "ბრჭობისა ჟამსა მას წინაშე სწორად იყვის ხელმწიფე და მთხოელი, მდიდარი და გლახა; სწორად უკერძებდის სამართალსა შიგან ძლიერსა და უსუსურსა" (გვ. 278). მან ააშენა აოხრებული ქალაქები და სოფლები, გაიყვანა საქარავნო გზები და ფუნდუკები ააგო, ქვეყანა გაწმინდა ავის მოქმედთა და გზის-მლეწელთაგან ისე, რომ "ფათერაკმა დაიძინა ქვეყანასა შიგან, დამშვიდებამან გაიღვიძა" (გვ. 277), და "ყოველსა ქვეყანასა დაავიწყდა პირველი ჭირი და უსამართლობა" (გვ. 278).

რამინის მიერ მოაზადის დამარცხების ნასკვში აღრეულადაა შეგრძნებული იდეალები, რომელთაც განსაზღვრეს მანამდე უცნობი ხასიათი საზოგადოებრივ ურთიერთობაში და ახალი ადამიანის პრობლემა მწერლობის საგნად აქციეს. რამინის პიროვნებაში დაბუდებული მოჯანყე სული მწერლობის მუდმივი თემაა, რაშიაც გამოკვეთილია მარადი პროტესტანტის სახე. ამიტომაც, რომ ადამიანის ბუნებასთან დამოკიდებულების უშუალობა, ნების თავისუფლება, მიზნისადმი შეუწყობელი სწრაფვა პიროვნებისა და საზოგადოების კონფლიქტში ვლინდება და აქ ვნების პრიმატი, ბუნების რეალური შეგნების უნარი, პიროვნული თავისუფლებისადმი სწრაფვის სხვადასხვა გამოხატულება არ უნდა გავიგოთ როგორც ამორალობა ან ავტორის პათოლოგიური ფანტაზიის ნაყოფი, რაკი ისინი ქრისტიანული მორალის ეთიკურ წარმოდგენებს არ ეთანხმებიან. ესაა ისტორიული სინამდვილის მხატვრული ასახვა. ამ თვალსაზრისით, რომანის ფაბულის ნასკვი, რომელიც ქალისა და ტახტისთვის ბრძოლის სქემაზეა აგებული, ისტორიულ შემთხვევათა ანარეკლია და ის იმდენადვეა ლიტერატურული მოტივი, რამდენადაც ისტორიული სინამდვილე. ეს რეალობის შეგრძნება თხზულებაში იმითაა გაპირობებული, რომ მწერალს უნდოდა თავისი საზოგადოების ქება, მაგრამ სიუჟეტის ნასკვების გაშლა და პერსონაჟთა დამოკიდებულება ფაქტიურად ფარსიზმის ტრადიციების ძირითადი საწყისების უარყოფაზე ააგო. ღვთისა და ადამიანის მოტყუების მოტივები თავისთავად ფარსიზმის კონცეფციის რღვევაა. მაგ., თუ ფარსიზმით ყველაზე მომაკვდინებელ ცოდვად სიცრუე ითვლება, როგორც არიმანის ერთ-ერთი მთავარი ელემენტი, და თხზულების არაკებასა და შეგონება-ანდაზებშიც ხშირად ვხვდებით მის დასაბუთებას, სინამდვილეში მას მხოლოდ ფორმალურად ასრულებენ და რომანის თავგადასავალთა განვითარება ტყუილების ძეწკვზეა აგებული.

თხზულების ერთ-ერთი კვანძი შაჰროს მიერ ფიცის გატეხვაა, რაც შემდგომ მის განვითარებას ერთგვარად წარმართავს. მიცემული პირობის დარღვევა არა მხოლოდ პიროვნული შურისძიების გრძნობას აღძრავს, არამედ განიცდება როგორც რელიგიური მრწამსის შელახვა, რადგან "რჯული დააგდო შაჰრომან და ზენაარი გატეხაო".

ფიცის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჩანს მისი აღთქმის რიტუალური ხასიათიდან. როდესაც მოაზადს შაჰრომ შეჰფიცა, რომ თუ ქალი ეყოლებოდა, ცოლად მისთვის უნდა მიეთხოვებინა, "მუშკი ვარდისა წყლითა შეზილეს და მით საფიცი წიგნი დაწერეს და პაემანი შეუქმნეს ერთმანერთსა: "შაჰროს ასული მიეცეს, - შაჰი მოაზადის ცოლი იყოს" (გვ. 21).

ნამდვილად დაავიწყდა თუ არა შაჰროს მოაზადისთვის მიცემული ფიცი, ეს არ ჩანს, მაგრამ მას რომ საფიცის წიგნი წარუდგინეს, "ათრთოლდა და თავს ბრუ დაესხა, თავი ჩამოაგდო და ზე აღარა აიხედა სირცხვილისაგან და ყელსა იგრეხდა, ვითა დაკოდელი გველი. შეშინდა ღმრთისაგან და მოაზადისაგანცა და გულსა შიგან ეგრე თქვა: "მე ვითა რა მიქმნია? პირველ ღმერთი გამიწირავს და ფიცი გამიტეხია და მერმე ასეთისა დიდისა ხელმწიფისათვის ცოლი წამირთმევია და გამითხოვებია! ზენაარისა

გამტეხი კაცი ყველა ასრე გაწბილებული და ენადაბმული იქმნების, ვითა აწ მე ვარ დაღრეჯილი და უჭკუო!” (გვ. 28). რამინმა გული რომ შეირთო, ვისმა ძიძის პირით შეუთვალა: “წახვედ, ფიცი გამიტეხე, სხვა ცოლი შეირთე და მის გვერდით იხარებდი” (გვ. 246). “თუ შენისა მოყვრისაგან არ შეგვრცხვენდა, ფიცისაგან რად აღარ შეგვრცხვენდა, რომელ შემოგეფიცა თუ “ვირე ცოცხალ ვიყო, ფიცი არ გავტეხო” (გვ. 246).

ფიცის მნიშვნელობის თვალსაზრისით საყურადღებოა, რომ თხზულებაში არის მთელი თავი “მოაზადისაგან საცეცხლისა აგზება, ვისის საფიცრად (გვ. 103-108). მოაზადმა წინადადება მისცა ვისს დაეფიცნა, რომ მას რამინთან არ უღალატნია, რაც ცეცხლზე დაფიცების რიტუალით უნდა შესრულებულიყო: “აწ მე დიდსა ცეცხლსა დავაგზებ, ალვასა და მუმკსა დავაკვამლებ და ამა ყოველთა დიდებულთა და ლაშქართა წინა შემომფიცე ცეცხლითა და მას შუა გამოიარე” (გვ. 104). ამისთვის “შაჰინშა უხმო ყველა ერთობითა ცეცხლისა მსახურნი... და საცეცხლესა შიგან დიდი საქონელი შესწირეს... და მუნით ცოტა ცეცხლი მოაღებინა, მოედანსა შინა დიდისა მთისა ოდენი ცეცხლი დააგზებინა, რომელ მისი სიტყო ცამდინ მისწვდებოდა... ანათობდა ქვეყანასა სრულად მის ცეცხლისა სიდიდე... და... დადგეს ერთობით დიდებულნი ხორასნელნი ცეცხლისა წინა” (გვ. 105).

ცეცხლზე დაფიცების რიტუალისთვის მზადების ამ აღწერაში კარგად ჩანს მისი თითქოს განსაკუთრებული მნიშვნელობა, რაც იმავე დროს აძლიერებს შთაბეჭდილებას, რომელსაც შეყვარებულთა გაქცევა მოახდენს. ვისისა და რამინის ცეცხლის ფიციდან გაქცევის ეპიზოდში გამოხატულია საზოგადოებრივი მსჯავრის უარყოფა. სიუჟეტის ლოგიკური დინების ტენდენციით აქ წინასწარ ჩანს, რომ ისინი საზოგადოებიდან გარბიან იმიტომ, რომ მას დაუბრუნდნენ როგორც გამარჯვებული მესვეურები.

სიუჟეტის განვითარება ფიცის უარყოფისა თუ ადამიანისა და ღმერთის აშკარად მოტყუების ამ შემთხვევით არ ამოიწურება. მწერალი იყენებს როგორც ცეცხლს, აგრეთვე მთელ ასტრალურ სამყაროს, რომელშიც გამოირჩევა შვიდი მნათობის სიმბოლიკა.

თავისთავად ასტრალური სინამდვილის გამოხატულება, უფრო კი ასტროლოგიური ცოდნისა, საბეისტური რწმენისა, უმეტესად იგრძნობა, როგორც შედარების მასალა და ეპითეტი, მზის მრავალგვარ სურათიანობასა და მნიშვნელობაში (გვ. 54, 95). ორიგინალობით გამოირჩევა ზოდიაქოს შესანიშნავი სურათის დახატვა, გააზრებული გარკვეული შინაარსის მქონე შედარება-სიმბოლოებში (გვ. 35-36). ეს საყურადღებოა იმ მხრივაც, რომ ასტროლოგიურ ცოდნასა და პრაქტიკას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა სპარსელთა სახელმწიფო-საზოგადოებრივ ცხოვრებაში ისტორიულად, რაც შემორჩენილია დღემდეც. სპარსული ნაციონალური რელიგიის ეს გადმონაშთი მსოფლიო კულტურაში საქართველოშიც უძველესთაგანვეა ცნობილი. ასტრალურ სინამდვილეში ყველაზე ცხოვლად ღვთაებასთან გაიგივებული მზეა მოცემული როგორც რელიგიური განწყობილების, ყოფისა და მეტყველების საგანი. მზე ჩვეულებრივ სიკეთის, ბედნიერების, გამარჯვების, იმედისა და სილამაზის ეპითეტია, მაგ., “ჯდა ვისი, ვითა მზე, ტახტსა ზედა” (გვ. 83). რამინი მიმართავდა ვისს: “შენებრი მზე გაზრდილაო” (გვ. 85), “შენებრისა მზისა შეყრითა გასახელოვნებულ ვარ” (იქვე), “ბანთა ზედა მზისა მსგავსნი დედანი დასხდეს” (გვ. 110). უფრო ხშირად ის იხმარება როგორც ლამაზი ქალის ნაცვალსახელი: “დარბაზსა შიგან ქვეყნისა მზე აღარ დახვდა” (გვ. 130). რამინი ვისისთან შეყრით თავის თავს

უმდერის: "შენი მოყვარე მზე არის, რომლისა ბედითა რასაცა ეძებ, ჰპოებ" (გვ. 107). შეყვარებული რამინი ვისს შეუთვლის: "შენ მზე ხარ და, თუ ჩემზედა ნათობ, სიყვარულსა იაგუნდად შემიქმ" (გვ. 77). მაგრამ მზე თხზულებაში მხოლოდ ეპითეტი არ არის, ის გარკვეული რელიგიური შინაარსის ცნებაა. რამინმა მარადიული სიყვარული ვისს მზით შეჰფიცა: "მერე შეჰფიცა რამინ მტკიცითა საფიცრითა ყოვლისა დამბადებელისა ღმრთისა ძალითა და სახელითა, ელვარითა მზითა და მთვარითა, რაცა ცასა ზედა არის - ყველაფთა" (გვ. 85). შაჰროსგან მობრუნებული ზარდი მოაბადს მოახსენებს: "თუ მიბრძანებ და გწადიან, შემოგფიცავ ღმრთითა და მზითა თქვენითა, რომელ ქორწილი თავისა თვალითა მინახავს" (გვ. 30). ჩვეულებრივ გამოთქმაში კი ფიცის მარტივი ფორმაა "თქვენმან მზემან", რაც ქართულ მეტყველებაშიცაა გავრცელებული.

მზის ასეთი ეპითეტალობა, მისთვის მეტაფორის ფუნქციის მინიჭება, ფიცად გამოყენება აქ მხოლოდ მეტყველების მასალასა და ხერხს არ წარმოადგენს, სპარსული ბუნებისა და სოციალური ცხოვრების ამ ყოვლისმომცველ ელემენტს - მზეს ეს უპირატესობა მინიჭებული აქვს თვით რელიგიურ სისტემაში, სადაც ის ბუნების ყველა სტიქიაზე მაღლა დგას, მან შექმნა სპარსულ ცხოვრებაში მუდმივი ცეცხლის შენახვის ტრადიცია და თხზულებაშიც გამოხატულია როგორც ზოროასტრიზმის გადმონაშთი.

ზოროასტრიზმის გადმონაშთ ჩვეულებათა ერთგვარი გამოხატულებაა რომანში გულუხვი გაცემა, ჩუქება, გლახაკთა განკითხვა, როგორც წმინდა მოვალეობა. მოაბადი საბოლოოდ საჩუქრებით დაიყოლიებს შაჰროს ვისი თავის შვილს წაართვას და მას მიათხოვოს. აჯანყებული რამინის წინააღმდეგ მოაბადი საჩუქრების უხვი დარიგებით ცდილობს ჯარის შეგულიანებას. ზოროასტრიზმის პირდაპირ გამოხატულებად ჩანს თხზულებაში ვისის "დიაცობისა საქმესა ზედა დადგომა". ვისი პირველ ქმართან ქორწილის დამეს რომ არ დაწვა, ვირო დანადგლიანდა, მაგრამ "ღონე არა ჰქონდა, მით რომელ წესი არის ცეცხლის მსახურთა: რა დიაცი არა-წმიდა იყოს, ქმარი მისგან აბეზარ იქმნების" (გვ. 39).

რელიგიურ ვალდებულებასთან დაკავშირებული ფარსიზმის ეს გამოხატულება, ძველი ყოფის სხვა გადმონაშთებთან ერთად, ცალკეულ პარალელებს პოულობს წინამუსულმანურ, სასანიდურ სპარსეთის საზოგადოებრივ ცხოვრებასთან, ზოგ დეტალში აქემენიდურთანაც.

მოაბადის სახელმწიფო, როგორც ძველ სპარსელთა ცხოვრებითაა ცნობილი, რთული სოციალური ორგანიზმია. მის უზარმაზარ ტერიტორიას განაგებენ სახელმწიფო მოხელენი. ჯარი არ წარმოადგენს უბრალო მასას და ნაწილდება შეიარაღებისა და სოციალური უფლების მიხედვით. ქვეყნის ძირითადი მოსახლეობა უფრო გამოკვეთილად ქალაქის მოხელეებსა და ხელოსნებსა დასახული. აქ არიან ცეცხლის მსახურნი, მწერალნი, მწიგნობარნი, ხოჯანი, ჩაუმნი, ფარეშნი, მერიქიფენი, სანთლოსან-მაშხალოსანნი, მეკარენი, მეწალკოტენი, მუტრიბნი, მოშაითნი, მეციხოვნენი, მეზვრენი, მეჭურჭლენი და სხვ.

თხზულების სოციალურ სურათში ერთგვარადაა გამოხატული ისტორიული სინამდვილე. ძველ სპარსელთა საზოგადოებაში შესამჩნევი იყო სწორედ ოთხი ფენა-ქურუმები, მეომრები, მიწისმოქმედნი და ხელოსნები. საყურადღებოა, რომ აქ არ ვხვდებით ვაჭრებს, ისე როგორც არც "ვისრამიანში" ჩანან ისინი. შესაძლოა თუ არა ეს იმითი აიხსნას, რომ მუდმივი ომების წარმოება ხელს უშლიდა ამ ფენის როლისა და ინტერესების გამოძევავენებას. ეს მით უფროა გაუგებარი, რომ საქარავნო გზები საკმაოდ ყოფილა განვითარებული, რასაც "ვისრამიანში" მიუთითებს ჯარების

სწრაფი მოძრაობა და ზარდის დაუყოვნებელი გამგზავრება უმოკლეს დროში მარავიდან ხუზისტანს.

თხზულების ეპიზოდებისა და მოტივების ანალიზი ცხადსა ხდის, რომ "ვისრამიანში" უკუფენილია ანტიკური დროის სპარსული საზოგადოებრივი ურთიერთობა თავისი იდეალებითა და ყოფით. სინამდვილის ასეთი გამოხატვა განსაზღვრავს თხზულების, ერთი მხრივ, ეპიკურ სტილს, მისი ამბის კომპოზიციურ გამართულობასა და დამთავრებულობას, მეორე მხრივ - მის ფსიქოლოგიურ დამაჯერებლობას, მასში გამოხატული ვნებისა და ხასიათების სიმართლეს, რაც თხრობას შესამჩნევი მგრძნობელობით აღჭურავს. ამიტომაც, რომ, თუ „შაჰ-ნამე“ სპარსული ნაციონალური საგმირო-ისტორიული ეპოსის ნამდვილი დასაწყისია და დღემდე მსოფლიო ლიტერატურის მასშტაბით ამ ჟანრის გადაულახავ მხატვრულ ქმნილებად უნდა ჩაითვალოს, გურგანის "ვის-ო-რამინ" სპარსული სამიჯნურო ეპოსის ასეთსავე დასაწყის სიმაღლეს წარმოადგენს. მისი ავტორი შეუდარებელია ფსიქოლოგიური სიღრმითა და სიმართლით, ადამიანურ ვნებათა რეალისტური გამოხატვით. რამდენადაც "შაჰ-ნამე" გვაცნობს ძველ სპარსელთა ცხოვრების გარეგან მხარეს, იმდენად "ვისრამიანი" გვიხატავს მის შინაგან მხარეს, მისი ცხოვრების იდილიას, მის ლირიზმს, ძველი სპარსული ყოფის პირობებსა და განწყობილებას. ამიტომაც, რომ სპარსულ პოეზიაში მისი გავლენა და მნიშვნელობა არასოდეს არ შესუსტებულა და მისი სახეების, მოტივებისა და თქმების გამოხმაურებას ხშირად ვხვდებით შემდეგი დროის პოეტურ ქმნილებებში. ამ მხრივ საყურადღებოა ისიც, რომ გურგანის მიერ სალექსო საზომად გამოყენებული ხაზაჯი სპარსული რომანტიკული პოემებისათვის სავალდებულოდ გადაიქცა.

"ვისრამიანის" ფაბულის განვითარება აკრძალული სიყვარულის თემით უმთავრესად ბედისწერის განხორციელების იდეას ეყრდნობა, რაც დასაწყისიდანვე განსაზღვრავს თხრობის საბედისწერო გამოსავალს ჯერ დაუბადებელი ქალის გათხოვების ნასკვით. "მან უშობელი შეირთო, და დედამან უშობელი გაათხოვა" (გვ. 21). ბედისწერის გარდუვალობა გამოხატულია როგორც ავტორის შეგნებაში, ისე თვით გმირთა აღიარებაში და ის მთელ თხზულებას გასდევს: "მოწევნადას ვერვინ შეაქცევს" (გვ. 51). ეს აზრი თხზულების შეგონებებით მრავალ ვარიანტშია განვითარებული. ძიძა ასე მიმართავს ვისს: "ყოველი კაცი ეტლისაგან იქმნების ბედნიერი და უბედური... ჩვენსა თავსა ზედა განგებაა დაწერილი და სიცოცხლესა შიგა ვერ ავჭხდებით ღმრთისა განგებასა... თუ ვტირთ და თუ ვიცინით" (გვ. 69). მოაბადი აგონებს ვისს: "ღმრთისა განგებასა ვერსით აჭხდები და, რაცა ეტლსა გიწერია, მას ვერ დაეხსნებიო" (გვ. 37). თვითონ ვისის თქმით: "ყოველი საქმე ბედისაგან მოვა კაცსა ზედა" (გვ. 69). ბედის განსაზღვრულობა სამოქმედო პრინციპადაა აღიარებული და განგების სისასტიკის წინაშე ადამიანს მხოლოდ დრტვინვა აღმოხდება. ვისი ჩიოდა: "ჰე, თავჩაღმართო და უკუღმართო ბედო ჩემო" (გვ. 52), რამინი: "ჰე, დაბნელებულო ბედო ჩემო, უბედურო" (გვ. 96). ბედზე ჩივილს კონკრეტული ხასიათი აქვს. ვისი მოთქვამს: "რაა ესეთი ბედი ჩემი?! და-მცა-იკარგვის, რომელ ზოგჯერ ტახტსა ზედა დამსვამს და ზოგჯერ ნაცართა" (გვ. 169).

განგებით განსაზღვრული საბედისწერო სიყვარულის გარდუვალობა ამიტომ გამართლებულია ავტორის წინასწარი შენიშვნით: "ვის-რამინს ყვედრება არ უნდა, მით რომელ ღმრთისა განგებისა გზა სიბრძნითა არ შეიკრვის" (გვ 22). რაკი ყველაფერი წინასწარაა განსაზღვრული, ამ საბედისწერო აუცილებლობასთან ადამიანის შებრძოლება ამაოა და ძიძა ვისს შეაგონებს ბედთან ბრძოლის შეუძლებლობას: "ნუ ებრძვი ბედსა ესრე ძნელად" (გვ. 50), "ეტლთა და საწუთროსა

ვერ შეეხებოდა” (გვ. 81), "დასჯერდი ბედსა" (გვ. 91). ვისმა თვითონაც იცის, რომ მისი ცხოვრება ფათერაკებით აღსავსე თავგადასავლით, სიხარულისა და მწუხარების მუდმივი ცვალებადობით, ბედთან განწირულ ბრძოლაშია ჩაბმული: "ჩემი ბედი მეზრდვის დღე და ღამეო" (გვ. 53). "ეტლი ჩემი სულსა ჩემსა ეზრდვის" (გვ. 164). შესანიშნავ აღსარებაში ის მოაბაძს ფატალურად უხსნის თავის ქცევას, რითაც ფიქრობს თავის მართლებას: "კაცსა ზედა ეტლი წამსა და წამსა სხვაკბილად იქცევის და შობასავე თანა დაებადების წინამდებარე, ჩვენ კაცნი ღმრთისა განგებასა და ეტლსა ვერსადა გარდავეხვეწებით, ვერცა სადა დავემალვით ღმრთისავე წადილისაგან კიდე. ყოველივე მისგან განაგებია, რაცა დაემართების ვის სიკვდილისა დღემდი. რაცაღა ვარ, მას ზედა ღმრთისაგან ანაგები ვარ; ბუნება-წმიდა ვარ, თვარა შენ ღმერთსა ბედნიერი დაუბადებინარ და მე თურე ესეთი" (გვ. 163-164).

მიუხედავად ფატალისტური შეხედულებისა და ხშირად ბედის მუხთლობაზე ჩივილისა, თხზულება მთლიანად ოპტიმიზმით არის გამსჭვალული, რაშიაც სინათლის სიბნელეზე გამარჯვების ფარსული იდეის გამოხატულება გვესმის. თუ ავტორის ერთი შეგონებით: "ლალობა არსად გრძლად არ იხარებს" (გვ. 73), მანვე იცის, რომ ყოველ გასაჭირს მოსდევს სიხარული: "ყოვლისა შეჭირვებისა ბოლო სიხარულია. კარი არ დახშულა, რომელ არ გაიღებოდეს; შეღმართი არაა, რომელსა ჩაღმართიცა არ დაჰხვდეს, გაზაფხული მაშინ მოვა, რა ზამთარმან მთა შეკრასო" (გვ. 168). ამდენად ცხოვრების გზაზე ეკალ-ბარდი, ფათერაკები და ყოველი იმედის გაცრუება მიღებულია როგორც აუცილებლობა. უდიდეს შეგონებად გაისმის მიმართვა: "დასჯერდი ბედსა" (გვ. 91) და არავის არ აშინებს ის, რომ "საწუთროისა საქმე და მუხთლობა დაუთვალავია" (გვ. 21), ვინაიდან "საწუთრო მიღმართ-მოღმართია" (გვ. 198) და "მრავალი დიდი დამცირდების და ცოტა გადიდდების" (გვ. 70). ბედთან შერიგებასა და ბედისწერის გარდღვეალობის შეგნებას კარგად ასაბუთებს ის გაგებაც, რომ: "საწუთრო, ვითა მოგზაურთა სადგომი, ფუნდუკია და ჩვენ მოქარავნენი ვართ" (გვ. 66). ამიტომ "გავიხარებდეთ დღეს დია, ხვალისასა ყოლა ნურას მოვიგონებთ" (გვ. 98), რადგან "დღენი ჩვენნი ნათხოვნია და გარდასრულნი, გარე აღარა შემოიქცევის" (გვ. 72).

ბედისწერის მიღება მოქმედების ამოსავლად, არსებობის ფატალური გაგება გასაქანს აძლევს გმირთა უსაზღვრო ჰედონიზმს. რაკი ადამიანი იძულებულია განგებით განსაზღვრული ცხოვრების მდინარებაში მიჰყვეს ბედისწერის განჩინებას, სჯობს ამქვეყნიური სიამოვნების ფიალა უდარდელად შესვას, მით უმეტეს, რომ ის პიროვნულად პასუხს არ აგებს თავის ქცევაზე და მისთვის ყველაფერი ნებადართულია. ამიტომაც, რომ თხზულებაში გაუთავებელი დროსტარებაა - ქეიფი, ღვინის სმა, სიმღერა და დაკვრა, სიმდიდრისადმი - თვალმარგალიტისა და ოქროსადმი ხარბი სწრაფვა. ღვინის როლი როგორც ყოფასა, აგრეთვე მეტყველებაში განსაკუთრებულია. თხზულება იწყება წვეულების აღწერით, სადაც: "მრავალფერნი და კარგნი მუტრიბნი, ცალკერძ და ცალკერძ იმღერდიან, ვარდისა მიჯნურნი ვარდსა ზედან დასჰიკვიკებდიან და მუტრიბთა შეუხმობდიან" (გვ. 19). "შაჰი მოაბად დედათა მოყვარული, უჭკრეტდა, იხარებდა და გასცემდა და მუტრიბთა ამღერებდა..." (გვ. 20). რამინს ყველაზე მეტად ღვინის სმა, ჩანგის კვრა, სიმღერა და სიყვარული ეხერხებოდა. გაიღვიძებდნენ თუ არა, სმისა, სიხარულისა და სიმღერისათვის სხდებოდნენ და ხელში ღვინით სავსე ჭიქებს იჭერდნენ.

რამინი ერთ სადღეგრძელოში ღვინოს ასე ახასიათებს: "ფეროანი ღვინო გულისაგან ჯანგსა ამოჰხოცს, მოყვრისა სიახლესა შიგან მისგან მოციქული ღვინოა! ფეროანი ღვინო სიყვითლესა ფეროვნებად შემიცვლის, მიჯნურობისა ჭირისა წამალი

არის. მიჯნურობა მტვერი არის და ღვინო - წვიმა, ჭირისა განმაქარვებელი, სიხარულისა მომმატებელი” (გვ. 134).

ღვინის ასეთ გაგებასა და თრობისადმი ასეთ მიდრეკილებას ფესვები სპარსულ ცხოვრებაში აქვს და ის ეთანხმება ავესტას მიხედვით ძველ რელიგიურ განწყობილებას, რომელიც ღვინის დანიშნულებას ხედავდა ბოროტების ჩაკვლასა და სიხარულის დამკვიდრებაში.

თრობის ასეთ ექსტაზშია გაგებული თხზულების მთავარი თემა - სიყვარულიც. სიყვარული და ღვინო ადამიანზე ერთნაირად მოქმედებს, უკარგავს შეგრძნების უნარს, გამოთიშავს როგორც საკუთარ თავს, ისე გარე სამყაროს, იმ განსხვავებით, რომ ღვინისაგან ადამიანი ფხიზლდება, სიყვარულისაგან კი ვერასოდეს.

სიყვარულის ასეთი გაგების ილუსტრაციაა როგორც თხზულების სიუჟეტი, ეპიზოდები, მისი გმირების ურთიერთობა, ისე უამრავ შეგონება-ანდაზასა და დიალოგში გამოთქმული შეხედულებანი. მათში სიყვარული გაგებულია როგორც საბედისწერო ავადმყოფობა, რომელსაც მოუცავს ადამიანის გული და გონება, მოუშლია მისი ნებისყოფა და სულიერი წონასწორობა. ავტორის შენიშვნით: "ყოველთა უბედურთაგან მიჯნური უფრო საბრალო არის, რომელ მისი გული შინაური მტერი არის და ყოველთა დღეთა მისსა აუგსა ეძებს. ზოგჯერ კვნესის მოყვრისა სიშორისათვის, ზოგჯერ იწვის გაყრისათვის. რაზომცა მისისა მიჯნურობისაგან ჭირი ნახოს, ლხინად უჩნს" (გვ. 59).

მიჯნურის ყოველ დახასიათებაში მეტად მკვეთრადაა შესამჩნევი ის პათოლოგიური ნიშნები, რომელნიც აღმოსავლური მწერლობის ცნობილ თხზულებებში დახატულ შეყვარებულებს ახასიათებთ და დაკავშირებულია სწორედ "მიჯნურის", როგორც სიყვარულისაგან გახელებულის გაგებასთან. მიჯნურობა გამოუფხიზლებელი თრობაა. "ვისრამიანის" შეგონებით "მიჯნური მიჯნურობისაგან მთვრალსა ჰგავს...", ვის "ცნობას სიყვარული მოერევს... მძლე ეშმა სძლევს მიწყით და თვალთა დაუბრმობს" (გვ. 59), მას "დაუმრეტელი ცეცხლი ეგზების გულსა" (გვ. 47). "რა სიყვარულისა საქმენი მოვლენ, უნებლივ ემორჩილებიან კაცნი ავთა და კარგთაგან" (გვ. 70), "მიწყით მიჯნურისა ბედი ბრმაა, ამით რომელ აღარცა თვალთა უჩნს" (გვ. 117), მას "ჭირი და ლხინი ყველა სწორად უჩნს" (გვ. 106), "მიჯნურსა დია ფათერაკი სდევს" (გვ. 71), "მიჯნური კაცი მიწყით უპატიო არის" (გვ. 122), "მიჯნურობისაგან უარესი არა არს საქმე" (გვ. 47).

"ვისრამიანი" ასეთი შეგონებებითა და ანდაზა-თქმებით მთელ სამიჯნურო კოდექსს ქმნის და ავტორის დაუფარავი განზრახვაა მისი თხზულება სამაგალითო იყოს მსოფლიო შეყვარებულთათვის. ეს მიზანი გამოხატულია როგორც გმირთა აღიარებებში, აგრეთვე საკუთარ რეპლიკებში, რომელთაც რამდენიმე ადგილას ვხვდებით. რამინი ერთ-ერთ სიმღერაში წარმოთქვამს: "მოვა ესეთი ჟამი, რომელ ჩვენსა სახელსა ახსენებდენ და ყოველსა კაცსა უკვირდეს ჩვენი სიყვარული, სახელი და სიხარული" (გვ. 108). ამასთან ერთად, ავტორი გაფრთხილებას იძლევა, რომ "ლხინი უჭირო არაა, არცა შექცევა და გამარჯვება გაუქცეველი, თვარა წაიკითხე ვისრამის ამბავი და მისგან მოისმენ საწუთროისა მრავალფერად ქცევასა" (გვ. 122), ამიტომ "ესე სჯობს, თვით არავინ დაებას მათსა სიყვარულსა" (გვ. 75), რადგან "სიყვარულისა არაკი ზღვისა მსგავსია. მისი ძირი და ნაპირი არა ჩანს. თუ გწადდეს, ზღვასა ადვილად შეხვალ, მაგრა თუ აღარა გწადდეს, ძნელად დაეხსნები" (გვ. 40-41). ყველა ამ საშიშროებათა გათვალისწინებიდან ავტორს ის დასკვნა გამოჰყავს, რომ "მაშიგან შესლვა არა მეცნიერთა ხელია" (გვ. 164).

ერთადერთი წამალი სიყვარულის უკურნებელი სენისაგან თავის დაღწევისა, ავტორის შეგონებით, მხოლოდ ის არის, თუ მიჯნური სხვის შეყვარებას შეძლებს: "მიჯნურობისა მარგებელი სხვისა შეყვარებისაგან კიდე არა არის... მით რომელ სიყვარული თვალთა აქვს: ვინცა თვალთა აშორავს, გულითაცა აშორავს" (გვ. 160). მაგრამ თვითონ რამინის მიმართ ეს ერთადერთი წამალიც უებარი არ გამოდგა. ერთხელ მოახერხა რამინმა ვისის სიყვარულს გაქცეოდა, მშვენიერი გულიც შეერთო ცოლად, მაგრამ მიჯნურობისაგან მაინც ვერ განიკურნა და ისევ ვისს დაუბრუნდა, რითაც ავტორმა გაამართლა საბედისწერო სიყვარულის მოტივი. ეს იმას ნიშნავს, რომ მიჯნურობას წამალი არა აქვს და ის რაკი განგებითაა მოვლენილი, გამართლებულია როგორც გარდუვალობა და თანაგრძნობა და პატივისცემას იმსახურებს. "არ უნდა მიჯნურსა კაცსა ყვედრება" (გვ. 41), "ვინცა ძალი იცოდეს მიჯნურობისა, ნუ ვინ უზრახავს მიჯნურობითა ტყვესა სიშმაგესა" (გვ. 122). მიჯნური შესაბრალისია: "სჯობს, თუ ყოველსა კაცსა მიჯნური ებრალებოდეს" (გვ. 47).

ყველა ამ თქმის მიხედვით, მიჯნურობა გაგებულია როგორც ექსტაზი, ადამიანის განსაკუთრებული სანეტარო მდგომარეობა, რომელიც არ ემორჩილება ადამიანური განსჯის ცივ კანონებს, მას იცავს ხელშეუხებლობის ერთგვარი ავტორიტეტი და ამაყად ცხადდება, რომ "მიჯნურსა სამართალსა არვინ უზამს" (გვ. 126). ეს თვალსაზრისი მიჯნურობის აპოლოგიაში გადადის: "ვინცა მიჯნური არაა, არცა კაცია" (გვ. 41). ამიტომ აზუჩად არიან აგდებული ისინი, რომელნიც არ არიან დაჯილდოებული მიჯნურის აღმატებული თვისებებით. "თუცა მეტად სიშორესა შიგან არ დააჩნდა მიჯნურობისა შეჭირვება, თუ კიდეგანობასა შიგან თმობა აქვს, მან კაცმან მიჯნურობა არ იცის და არცა შვენის" (გვ. 170). ჭეშმარიტი მიჯნური მოწამეობრივ ცხოვრებას ატარებს, ის სიყვარულისათვის ყოველგვარ დაბრკოლებას გადალახავს, ყოველგვარ გაჭირვებას სიამოვნებად მიიღებს - გრძელ გზას, უძილო ღამეებს. სატრფოსაკენ მიმავალს მთელი მსოფლიო ვერ გააჩერებს, გზაზე შეხვედრილ ლომს მელად მიიჩნევს, უნაყოფო მინდორს - ვენახად, ზღვას - რუდ (გვ. 132). ტყეები ხმლებად და გველებად რომ გადაექცნენ, არ შედრკება. შეყვარებულისათვის ჭირი ლხინად უნდა მიიღოს, მას უნდა შესწიროს ყველაფერი, რჯულიც კი. მისი სატრფო თუნდაც მახინჯი იყოს, მას ლამაზად უნდა ეჩვენებოდეს. მისი გონება სიყვარულმა უნდა დასჯაბნოს, უიმისოდ არაფერში არ უნდა ნახულობდეს სიამოვნებას, მასზედ ფიქრით არ უნდა ისვენებდეს, მისთვის დღე და ღამ შეუსვენებლად ტიროდეს, მღვიძარე მძინარეს ჰგავდეს, მასთან ახლოს ყოფნისაგან ცნობას უნდა ჰკარგავდეს და დაშორებასაც ვერ უძლებდეს. ჩვენ ვხედავთ, რომ "ვისრამიანი" თვითონვე სანიმუშოდ ამართლებს სიყვარულის ამ სასტიკ კოდექსს.

სიყვარულის ცეცხლითაა მოცული მთელი თხზულება - ვისი წყეული სიყვარულით შეჰყვარებია მოაზადს, ვიროსა და რამინს და თუმცა პირველი ორი, მისი კანონიერი ქმარი იყო, საბედისწერო გარდუვალობამ ვისი აკრძალული სიყვარულის რაინდს არგუნა და მთელი რომანის იდეა ამ ხვედრის დასაბუთებაა. აკრძალული სიყვარულის ძლევამოსილი სვლა ვერ შეაჩერა ვერც მოაზადის საგანგებო ზომებმა, ის ხომ ქმარი იყო და ამაოდ უდარაჯებდა ვისს, ვერც ლამაზმა გულმა, რომელიც რამინის ცოლი გახდა და მისმა მომხიბლაობამ ვერ ჩააქრო ვისის სიყვარულით დანთებული კოცონი. ამ ძლიერი ვნებითა და ხასიათით აღჭურვილი გმირების მოწოდება მიჯნურობისათვის სიკვდილია, ვისი მიჯნურობის გზას უკანმოუხედავად მიჰყვება და საკუთარ სისხლში აბიჯებს. შეყვარებულის ძებნაში მას რომ აღმოხდა: "საწუთროსა ზღვად შევიქმ თვალთა ჩემთაგან, ხომალდსა შევალ

და თევზთა თანა ვერევი; სისხლიანსა ტანისამოსსა ჩემსა აფრად გამოვაბამ .და ჩემისა სულთქმისა ქართა ვაარებ” (გვ. 207). ეს მან თავგანწირვით დაამტკიცა. თვითონ რამინი მსოფლიო მიჯნურთა მაგალითია, "ყოველთა მიჯნურთა, გარდასრულთა და მომავალთაგან, უსაბრალოესი და უფრო მიჭირვებული” (გვ. 268), აკი ავტორმა რამინს ამაყად ათქმევინა: "მე რამინ ვარ მიჯნურთა მეფე” (გვ. 225).

ვისაც რამინი მხოლოდ ჟინმოყვარულ მამაკაცად ეჩვენება და თხზულების. თემა გარყვნილი სიყვარული ჰგონია, მან უნდა უპასუხოს კითხვას, თუ რატომ დაბრუნდა რამინი გორაბიდან, სადაც ახლად შერთული ლამაზი ცოლი მიატოვა და ისევ ვისს მიაშურა? რამინი მარტოდენ ხორციელი სიყვარულის განსახიერება რომ იყოს, მისი ვნების საგანი მხოლოდ ვისის სხეული რომ ყოფილიყო, ის ამდენ ცრემლს ხომ არ დაღვრიდა, ხომ არ მოეჩვენებოდა, რომ შეყვარებულის დაცილებით "ღმერთი, სჯული, ფიცი და სული ყველა გამიწირავს ვისის გაყრითაო” (გვ. 209), და ბოლოს ცოცხლად ხომ არ დაიმარხავდა თავს ვისის აკლდამაში?!

თხზულების ავტორმა იცის, რომ მისი გმირები მიჯნურობის საშინელ ქარიშხალთან სამკვედრო-სასიცოცხლო ბრძოლაში არიან შეჭიდებული, ის თავიდანვე გვამზადებს დიდი ამბისათვის, რისთვისაც თხრობას იწყებს საბედისწერო კვანძით, რომლის გახსნაც ფათერაკებით აღსავსე ამბებს ელის. ამიტომ იყო, რომ "ორნი ქმარნი შეირთნა ვისმან, ორთაგანვე ქალწული დარჩა, ვერცა ვირო მიჰხვდა მისსა ნებასა და ვერცა აწ მოაბად” (გვ. 55). გარდუვალი საბედისწერო მომავლის გრძნობა ათქმევინებს ავტორს, რომ "გარნა ბოლოსა რა წაეკიდა შაჰი მოაბადს, მიძასა და რამინს თანა, რომელ, რა მიჯნურმან მისი ამბავი ცნას, თვალთაგან სისხლისა ცრემლსა იდენს! არავის ასმია მიჯნურისა ეგზომი ჭირი და სხვადასხვა მიზეზი” (გვ. 56).

მიჯნურობის ყოვლისმომცველი ძალა იცის თითოეულმა გმირმა და ამიტომ, რომ ყველანი გრძნობენ მათ თავზე დატეხილ სიყვარულის ამ საბედისწერო ამბის განსაკუთრებულობასა და გარდუვალობას.

მიძამ იცის რა სიყვარულის გარდუვალი ხასიათი, ვისის აგულიანებს: "გაზარდე მისი სიყვარული, ვინცა შენსა სიყვარულსა ზრდისო” (გვ. 72), ეს მაშინ, როცა ვისი ჯერ უარზე იყო და რამინს მიძა შუამავლობდა. "ანაყოფიანე სიხარულის შტო, ხელმწიფობისა და სიყრმისაგან ნაწილი აიღე და შენი დღენი სიხარულით დალიენ და სიყვარული უმუქფენ... ერთი ჩვენგანი ხარ, მიწისაგანვე დაბადებული, მიწყით ნებისა და სიამოვნისა მონატრე და მიწყით სიამოვნისა ბადითა დაბმული. ღმერთსა კაცთა დაბადება ესრე გაუჩენია, რომელ დიაცსა და მამაცსა ერთმანერთისაგან უფრო არ უყვარს და, თუცა ამისი ძალი იცოდე, მემცა ეგზომსა აღარ მაქენებდი” (გვ. 82). სიყვარულის ეს ძალა იცის მოაბადმაც, რომელიც გრძნობს, რომ ამაოდ ცდილობს ციხის კედლებით, ჯაჭვებითა და კლიტეებით ვისში რამინის სიყვარული დათრგუნოს, ჯარებისა და მზვერავების მეთვალყურეობით ხელი შეუშალოს შეყვარებულთა მორიგ შეყრას. საბერძნეთზე გალაშქრების წინ უიმედო საგონებელში ჩავარდნილს აკი თვითონვე აღმოხდება: "აწ ომად წასლვა მინდა და ვისის აქა დაგდება. ვით შევიწინახო? რვალისა ციხესა და რკინისა ბორკილთა გასტეხს რამინის ნახვისათვის. ამისგან კიდე ღონე არა ვიცი, რომელ რამინ თანა წავიტანო და ვისი მტირალი აქა დავაგდო ციხესა შიგან აშქაფუთიდევანსა” (გვ. 124).

სამთა შორის გათამაშებული სიყვარულის ამ ტრაგედიის მუდმივი მოწმის - მიძის როლი მარტო მაქანკლური არ არის. ვიდრე იგი რამინს ვისისთან შუამავლობას გაუწევდა და შეჰფიცებდა "აწ, რაცა გწადდეს მიბრძანებდი და მე შენისა მბრძანებლობისა სიტყვასა არ გარდავალ, აღვასრულებ შენსა ნებასა ვისისგან და მოვავლენ ვითა შენ გინდა, .ეგრეო” (გვ. 64) - მან ვისზე უმაღლ მოასწრო რამინის

მამაკაცობის შემეცნება, მაგრამ ამით არავითარი პრეტენზია არ წამოუყენებია მიჯნურობაზე. ძიძამ იცის ნამდვილი სიყვარულის ძალა და მას კარგად ასხვავებს სხეულის შემთხვევითი ჟინისაგან. ამიტომაც, რომ ის დასჯერდა რამინთან ერთი ცდუნების საფასურად მისივე შუამავალი გამხდარიყო, რადგან კარგად იყო გარკვეული თავის ღირებულებასა და საბოლოო როლში ვისისადმი - ძიძა იყო მისი და მოახლედ უხდებოდა, და რამინს კი უყურებდა როგორც მომავალ ბატონს.

მიჯნურის თვისებებით აღჭურვილი შეყვარებულის ტიპს მწერალი წარმოგვიდგენს ვისის სახით, რომლის სილამაზის დახატვისათვის მან არ დაიშურა აღმოსავლური მხატვრული მეტყველების მდიდარი საგანძური - მეტაფორებისა და ეპითეტების მრავალფეროვნება. ვისის პირისახეს ის ადარებს ამომავალ მზეს, რომელიც თავის შუქით ღამეს დღედ გარდაქმნის, მისი პირიდან ოცდათორმეტი მარგალიტი გამოკრთის, მის სახეზე ასე ათასი ვარდია აყვავებული, მისი თმის სურნელებისაგან ჰაერი ამბრად იქცევა, მისი სუნი ვისაც ეცემა, მკვდარსაც გააცოცხლებს და წყლულს გაამთელებს, მისი საუბარი ალვის კმევასა ჰგავს, მისი სილამაზე მიწას სამოთხედ შეიქმს, ის "ყოველთა კეკლუცთა პატრონია", მასთან შედარებით ქვეყნის ულამაზესნი მახინჯებად გამოჩნდებიან. ის "ქვეყანასა ზედა ცისა მზისაგან უკეკლუცეა", ავტორის შენიშვნით ხამდა მისთვის დიდის ჭირის ნახვა (გვ. 44) და სწორედ ვისს შეშვენოდა კიდევ მთელი ქვეყნის შეყვარებულთათვის ეთქვა: "ჰე, მიჯნურნო, სიყვარულისა მიძებნელნო! დღეს მე ვარ მიჯნურთა თავადი; მე გასწავლი ყველათა და შეგაგონებ!" (გვ. 181), "მე სიყვარულისა საჭურჭლისა მეჭურჭლე ვარ" (გვ. 188). "მე ტურფათა დედოფალი ვარ" (გვ. 189).

არანაკლები ფერებითაა წარმოდგენილი რამინის სილამაზე და ვაჟკაცობა: "ერთი მისებრი არცა მხატვართაგან დაისახოდაო"... "...ძალა და გულად ვითა ლომი, ცხენოსანი, მონადირე, მონავარდე, მოჭადრაგე, მხიარული, საწადისი, ძალისა ხმისა ყველასი უებროდ მცოდნელი, მშვილდსა მისსა ვერავინ მოჰზიდვიდა, შუბითა და ასპარეზითა მისებრ ვერავინ იმღერდის, მის გვერდით მომღერალნი და მსმელნი არად გამოჩნდიან... ბაგენი ლალსა უგვანდეს და კბილნი მარგალიტსა; ნაკვთი და სიგრძე მოარულსა ნამცსა უგვანდა" (გვ. 57).

გმირთა გარეგნობის აღწერაში მხატვრული მეტყველების საშუალებათა უხვი გამოყენება სპარსული პოეზიისათვის საერთოდ დამახასიათებელი ხერხია და ეს არც შეიძლება ჩაითვალოს ამ ტიპების დახატვაში რაიმე თავისებურებად. უფრო საყურადღებო აქ ის არის, რომ რომანში თითოეული პერსონაჟი სათანადოდ მოხაზულია როგორც განსაკუთრებული ხასიათი და დამთავრებული სახე. თითოეული გმირის სახით დახატულია რეალური ადამიანი თავისი ვნებებითა და ცხოვრებისეული ინტერესების დაუფარავი გამომჟღავნებით. შეიძლება ითქვას, რომ თხზულების ერთი მთავარი ღირსება სწორედ ამ რეალური ადამიანის შემჩნევაა, რომელიც პოეტს ესმის როგორც "მიწისაგანვე დაბადებული, მიწით ნებისა და სიამოვნისა მონატრე" (გვ. 82) და, მართლაც, ყოველი მისი ტიპი მიწისგანვე დაბადებული ადამიანია, რეალიზმის შეგრძნებით დაჯილდოებული ქალი და კაცი, რომელთა დახატვაში პოეტი უმთავრესად მათ მგრძნობელობას უსვამს ხაზს, რაც მისი თვალთახედვით განსაზღვრავს მთლიანად ადამიანის არსებას. ამ გაგებით, "დიაცი რაზომცა ფრთხილი და გონიერი, ...მოღმრთე და პატიოსანი იყოს, ეგრეცა ჰამოისა კაცისა ენითა ძაბუნნი იქმნების" (გვ. 27), რადგან, "დედანი ნებისაკენ უფრო იზიდვენ, ვირე სახელისაკენ. დედანი უსრულად დაბადებულნია, მით მიწყივ თავისა წადილი მორევს, საწუთროსა და საუკუნოსა გასწირვენ ერთისა წადილისა გასრულებისათვის და ამას აღარ გაიგონებენ, თუ ბოლოსა ჟამსა მოვცივნდებითო" (გვ.

68). ავტორი ვისს თავის თავზე მოხდენილად ათქმევინებს: “მე ვარ უსაქმო და მიჯნურობისა საქმეთაგან დაბნეული” (გვ. 191).

კაცის ზოგად დახასიათებაშიაც უმთავრესად ეს მგრძობელობითი საწყისია დაჭერილი. კაცი “შეჭფიცავს დიაცსა, და რა გულისა ნებასა აისრულებს მისგან, მოირჭვამს, აღარად გაიკვირვებს, სხვა მოუნდების... დიაცი გლახ უკანის გაუბედურდების... მამაცი მისგან ერთობ აბეზარ იქმნების... არცაღა მერმე პატივსცემს მამაცი... აღარ ემოყვრების, ეკიცხვის, არა აქებს და აუგსა მოუთვალავს” (გვ. 68). რასაკვირველია, ეს ზოგადი დახასიათება მთლიანად რამინის ხასიათს არ გადმოგვცემს, თუნდაც იმიტომ, რომ მისი ღალატი ვისისადმი ეპიზოდური იყო და მან, როგორც მიჯნურმა, ეს გამოისყიდა, დაუბრუნდა საყვარელს და საბოლოოდ მის საფლავში თავი ცოცხლად დაიმარხა. მიუხედავად ამისა, ის ატარებს ისეთ ნიშნებს, რომლითაც დახატულია შეყვარებული ვაჟის ზოგადი სახე, ისეთი მამაკაცი, რომელიც ყოველი დროისა და ჟანრის რომანის მუდმივი ფიგურა უნდა იყვეს და ამ მხრივ შეიძლება ითქვას, რამინი მსოფლიო ლიტერატურაში დენდისა და დონჟუანის ტიპის ერთგვარ წინაპარსაც წარმოადგენს.

ასეთი ზოგადი ლიტერატურული მნიშვნელობისაა თხზულების სხვა სახეებიც. ვისისა და მიძის ხასიათებში აღმოსავლეთის ცბიერი ქალის საერთო ნიშნებია გამოხატული. სიცრუე, ამპარტავნობა, ეგოიზმი, სისასტიკე, ღალატი ეხმაურება შუასაუკუნეთა ევროპის ლიტერატურაში არსებულ ასეთსავე ტიპებს და ეს მსგავსება არ გამორიცხავს შესაძლებლობას ცბიერი ქალის ეს ტიპი დასავლეთში აღმოსავლეთიდან იყოს გადასული.

მთავარ გმირთა ხასიათებში განსაკუთრებული თავისებურებით გამოირჩევა შაჰ მოაბადის ძმა ზარდი, რომელიც განასახიერებს ჭეშმარიტი ფარსის ტიპს, როგორც ის განსაზღვრულია ავესტას დოგმებით. ზარდი მთელ რომანში ერთადერთი მართალი კაცია, რომელიც მოვალეობისა და პირადი ღირსების შეგნებას სწირავს სიცოცხლეს. მისი სახე თხზულების სხვა გმირთა ფონზე გამოირჩევა მორალური მთლიანობით, რასაც თითქოს პოეტი განგებაც უსვამს ხაზს. მაგრამ თხზულების მიზანი დიდაქტიკა არ არის და გმირთა ხასიათების მწკრივში ზარდის ხასიათის განსხვავებულობა რომანის ფაბულის განვითარების საჭიროებითაა გამოწვეული. გმირებისათვის საერთოდ დამახასიათებელი ეგოიზმი, ვნებათა ყოვლისმომცველობა, სისასტიკე, გამბედაობა, ინიციატივის უნარი გამართლებულია ძლიერი პიროვნული ლტოლვით. ამის გაუთვალისწინებლად შეუძლებელია გავარკვიოთ რომანის იდეური ნასკვის განვითარება. ამიტომაც თხზულებაში შესამჩნევი ადამიანის სხეულის სილამაზის, სიყვარულის, სიხარულის, პირადი ბედნიერებისა და სიამოვნების საწყისთა აღიარება, რომელთა ქება აქ ზნეობის შელახვა კი არ არის, არამედ ძლიერი გრძობის კულტი.

ამ მძაფრ ვნებათა გამოხატვის საჭიროებამ განსაზღვრა თხზულებაში სიუჟეტის განვითარება სამი ძირითადი გმირის - გათხოვილი ქალის, რქოსანი ქმრისა და საყვარლის სქემით. ეს თემა მწერლობის საგნად აქცია სპარსული საზოგადოებრივი ცხოვრების ურთიერთობამ და როგორც ცნობილია, კარგა მოგვიანებით ის შუასაუკუნეთა ევროპის საზოგადოებრივი ყოფისა და ლიტერატურის მოვლენად იქცა რაინდულ კულტთან დაკავშირებით. ოჯახური ურთიერთობისა და სიყვარულის ახალი გაგებით, სიყვარულის იდეალი ქორწინების გარეშე არსებობს და ჭეშმარიტი სიყვარულის ობიექტი არის ქალი, რომელთანაც თავისუფალი რაინდია დაკავშირებული.

შუასაუკუნეთა რომანის ამ მეტად პოპულარულ თემას - სიყვარულის გადაწყვეტას დაკანონებული ღალატის ფორმაში წყარო "ვისრამიანში" რომ ჰქონდა, ყველაზე მეტად ეს ჩანს რაინდულ ეპოსში მისი კულტური პარალელის "ტრისტან და იზოლდას" რომანის არსებობით, რომელიც სპარსულ ძეგლს იმეორებს არა მხოლოდ სიუჟეტის მთავარი ხაზებითა და კომპოზიციით, არამედ ეპიზოდებით, მოტივებით, მთავარ გმირთა მიმართებითა და ხასიათებით.

"ტრისტან და იზოლდაში", ისე როგორც "ვისრამიანში", აკრძალული სიყვარული ხორციელდება ოთხი იდენტური პერსონაჟის ურთიერთობაში: ხანში შესული მოტყუებული ქმარი, ლამაზი, ახალგაზრდა მემრუმე ცოლი, მისი შეყვარებული უებრო ვაჟკაცი და მაჭანკალი, ქალბატონის ძიძა. რომანების საერთო იდეური ქარგა და სიუჟეტი ძირითადად ერთნაირ სიტუაციებსა და ეპიზოდებში იშლება, და ამ მხრივ ჩატარებული შედარებითი ანალიზი არკვევს, რომ ეს შეყვარებული წყვილი გმირები მსგავს სიტუაციებსა და კვანძებში ავითარებენ მთელი რომანის შინაარსს ერთნაირი სახეებით, მოტივებითა და ყველა მნიშვნელოვანი დეტალით, ისე .რომ, შესაძლებელჯ ხდება ორმოცამდე საერთო ეპიზოდი, მოტივი და მსგავსი კვანძი გამოიყოს, რომელთა იგივეობა წარმოშობის თვალსაზრისით უეჭვია.^[6]

"ტრისტან და იზოლდას" მთავარ გმირთა სახეებისა და სიუჟეტის ძირითადი ბირთვის ეს სესხება სპარსული "ვისრამიანიდან" ერთი კერძო შემთხვევათაგანია აღმოსავლეთ-დასავლეთის კულტურისა და მწერლობის ურთიერთობის ისტორიაში, რომელიც მრავალი ფაქტით არის აღბეჭდილი. საბედისწერო სიყვარულის ამბავი კი სპარსეთიდან შესაძლო იყო წასულიყო რამდენიმე გზით, კერძოდ, არაბეთ-ესპანეთის ან უშუალოდ ვაჭრობა-მოგზაურობათა მეშვეობით. ასე იყო გადანერგილი სპარსეთიდან დასავლეთის ქვეყნების მწერლობასა თუ ხალხურ სიტყვიერებაში არა ერთი თემა, მოტივი, სიუჟეტი და სახე.

აღმოსავლეთისა და დასავლეთის პოლიტიკურ-კულტურული ურთიერთობა ჯვაროსანთა ლაშქრობით უფრო გაცხოველებული, მანამდეც ნაყოფიერი იყო, რაშიაც უპირატესობა ხშირად აღმოსავლეთის როლს ეკუთვნოდა და რაკი საერთო აღიარებით, რაინდული ყოფა და მისი იდეალები განსაკუთრებით არაბული გავლენის კვალს ატარებს, ეგებ რაინდობის იდეალებს შემოჰყვა სწორედ ღალატინი სიყვარულის ჩვეულებაც, მისი საზოგადოებრივი მნიშვნელობის გაგებაც. საყურადღებოა ისიც, რომ ოჯახურ ურთიერთობაში მესამე ფიგურის გამოჩენა აქ შენიშნულია როგორც საერთო მოვლენა. ძიძა ვისს არწმუნებს, რომ ცოლქმრული ღალატი სააუგო საქმე არ არის, ხელმწიფეთა და დიდებულთა ცოლებს ყველას მალვითა თუ ცხადად შეყვარებული ჰყავთ, ყველა სიამოვნებს ფარული სიყვარულით: "რაზომცა კეკლუცი და ხელმწიფე ქმრები უვის, მალვით ეგრეცა მიჯნურობენ და სხვანი შეუყვარდებიანო" (გვ. 66). ასეთი იდეალების განვითარებისთვის არ არის უმნიშვნელო ის ფაქტიც, რომ "ვისრამიანში" ქალის როლი შესამჩნევია საზოგადოებრივ ურთიერთობასა და ოჯახურ ყოფაშიც და ის ერთგვარი თავისუფლებით სარგებლობს. ქალები მონაწილეობას იღებენ სახელმწიფო საქმეებში, მამაკაცებთან ერთად ქეიფობენ, ესწრებიან წვეულებებს, ლაშქრობებს და საზოგადოებრივ შეკრებებს. ამ მხრივ ისიცაა მნიშვნელოვანი, რომ ვისი და ვირო თავისი მამის ყარანის შვილებად კი არ იწოდებიან, არამედ უპირატესად დედის - შაჰროს შვილებად. ასევე არა ჩანს თხზულებაში მოაბადის მამა და რამდენიმე ეპიზოდის განვითარებაში მხოლოდ მისი დედა იღებს მონაწილეობას.

ქალის როლის ასეთი ამაღლებული მდგომარეობა თხზულებაში გადმონაშთი ჩანს მატრიარქატული ურთიერთობისა, რასაც ისიც ხდის სარწმუნოდ, რომ აქვე

მოიპოვება და-ძმას შორის ქორწინების მოტივის გაშლა, აგრეთვე, როგორც უკვე აღინიშნა, მატრიარქატული ყოფის გადმონაშთი და არა გარყვნილების გამოხატულება. და-ძმის ქორწინების დაკანონებული ჩვეულების ხასიათს კარგად გამოხატავს თხზულებაში მისთვის მრავალმხრივად ხაზის გასმა თვითონ შაჰროსა და ვისის თქმებში. "დედა-სიდედრი, ძე-სიძე, ასული-სძალი. დედამან-დედამთილმან გამოულო ვისის ხელი და ძმასა მისსა ვიროს ხელსა ჩაუდვა" (გვ. 25). შაჰრო ეუბნება ვისს: "ვიროს ცოლი იყავ - საქებარი დაი მისი, სძალი ჩემი .იყავ - შვენიერი ასული ჩემი" (გვ. 24). ქორწინების დღეს შაჰრო ამბობს: "სვიანმცა არის ესე ქორწილი, რომელ სძალი ასული არის და სიძე - ძე" (გვ. 28), ვისი თავის ძმაზე ამბობს: "ჩემი ძმა და ქმარი ვირო" (გვ. 28), "გამორჩეული ძმა და ქმარი ჩემი რომელ არის, ჯერ მას ჩემგან გულისნება არ უპოვნიაო" (გვ. 38).

"ვისრამიანმა" თარგმნა-გალექსვის პროცესში გაიარა ლიტერატურული და შესაძლოა იდეოლოგიური გადაკეთება-გავლენის გარკვეული გზა, და მას მაინც შენარჩუნებული უნდა ჰქონდეს არსებითად ძველი ხასიათი აგებულებითა და განწყობილებით. ავტორი შთაგონებულია ძველი სპარსული სინამდვილით, ეთაყვანება სამშობლოს წარსულ დიდებას, რის გამოც გურგანის გალექსილ "ვისრამიანში" ძველი სპარსული ნაციონალური რელიგიური გარემო, ცეცხლთაყვანისმცემლობის დოგმებითა და დეტალებით, არ შეუცვლია მაჰმადიანური ხასიათით ისე, როგორც ეს მიღებული იყო სპარსეთის არაბიზაციის შემდეგ. ეს გარემოება იმასაც უნდა მიუთითებდეს, რომ დაკარგული ფალაური ტექსტის შინაარსიც არ უნდა იყოს მნიშვნელოვნად შეცვლილი. გამონაკლისს შესაძლოა წარმოადგენდეს ვისის წერილები რამინთან, ზოგი განმეორება, რაც ლექსის ტექნიკით ჩანს გაპირობებული, ვრცელი ხოტბა მაჰმადისა და მეფისა კი აშკარად ახალი ჩანამატი ჩანს.

ფალაური იერით აღბეჭდილი მოტივებისა და განწყობილების უშუალო ხასიათი თხზულებაში საკმაოდაა შერჩენილი. მოქმედება უმთავრესად მიმდინარეობს ქალაქ მარავში, რაც შემთხვევითი არ არის ამბის ძირითადი კონცეფციის თვალსაზრისით, რამდენადაც მარავი (მერვი) ზოროასტრიზმის ცენტრი იყო, რისთვისაც ზოროასტრის ქალაქადაც იწოდებოდა და მან დიდი როლი შეასრულა სპარსეთის ცხოვრებაში, განსაკუთრებით მისი ეპოსის ისტორიაში.

ნაციონალური მოტივების თვალსაზრისით შესამჩნევია სპარსული საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის დამახასიათებელი გარკვეული მნიშვნელობის მქონე სიმბოლოების, სიტყვისათვის მაგიური ძალის მინიჭებისა თუ შამანიზმის სხვა გადმონაშთების გამოყენება. აქ მიღებული ფერთა სიმბოლიკა საერთოა მსოფლიო ტრადიციასთან: "ყვითელი სნეულთა სამოსია, წითელი საბოზოა, ლურჯი - მგლოვიარეთა, თეთრი - ბერთა, ორფერი - მწიგნობართა" (გვ. 23). შავი ფერით სწყევლიან ან აშინებენ. ზარდი რომ მოაბადისაგან შაჰროსთან მოციქულად გაემგზავრა, მისი მისვლა სამტროდ მიიღეს, იგი ხომ "შავითა შეკაზმული, შავსა ცხენსა ზედა მჯდომი, უნაგირი და აბჯარი მისი შავივე იყო" (გვ. 26). საგრძნობია შელოცვის განსაკუთრებული როლი გმირთა ურთიერთობაში, შელოცვით წყდება ზოგი საკვანძო შემთხვევა თხზულებაში. ძიძა არა ერთხელ ცდის შელოცვის ძალას მოაბადზე, ვისზე, რამინზე. რამინი ძიძას მიმართავს: "ჰაერთაგან მფრინველსა ჩამოიყვანებენ, ხვრელითგან გველსა გამოიყვანებენ, შელოცვითა დაამშვიდებენ! და შენ თვით შელოცვა უკეთე იგი ყოვლისა კაცისაგან, ღონისა აგება მიწყით შენი ხელია" (გვ. 63). როდესაც ძიძამ აღელვებული ვისი ვერ დაამშვიდა, თქვა: "აწე ჩემი ღონე გრძნეულობა არის, რომელ შელოცვითა ნუთუ რამე ვქმნაო" (გვ. 74). "ძიძამან

შეულოცნა სათვალენი სიტყვანი და შეჰბერა” (გვ. 52). შაჰრომ ვისს "მისითავე სახელითა შეულოცა და პირსა შეჰბერა, რომე თვალი არ ეცესო" (გვ. 24).

"ვისრამიანის" ყოველ ანდაზა-შეგონებაში ჩანს ცხოვრებისეული სიბრძნის გამოხატულება, რომელშიაც კარგად იგრძნობა აღმოსავლური ანტიკურობის აზროვნების კვალი. ამასთან ერთად ამ ცხოვრების სიბრძნის გამოხატვა აფორისტული სტილით, უაღრესად დახვეწილ და ლაკონიურ თქმებში მკვეთრსა ხდის აზრის სიღრმესა და მნიშვნელობას. ამ სიბრძნის წყაროა საყოფაცხოვრებო ცოდნის მდიდარი ნიადაგი ძველი და უძველესი აღმოსავლეთის ხალხების მწერლობისა, რომელშიც ბიბლიის კვალიც კერძო სახელების სახით საკმაოდ შეინიშნება (იოსებ, მათუსალა, გოლიათი).

აფორიზმებსა და შეგონებებში, რომელნიც ხშირად ცალკე დასკვნათა სახით ახლავს მსჯელობებს, ჩაქსოვილია პოეტის აზროვნებისა და განწყობილების გამომხატველი, ერთგვარად პროგრესული იდეალები ცხოვრებაზე, ადამიანურ ურთიერთობაზე. მათში გამოხატულია უმთავრესად პრაქტიკული ცოდნით დაგროვილი სიბრძნე საჭირბოროტო ყოველდღიურობაზე: "ბერნი სიბერიტა და ფილოსოფოსნი სწავლულობითა მოუცთომელნი არ დარჩებიან, მალი ცხენი წაიქცევის, მკვეთი ხრმალი დაბლაგვდების" (გვ. 227); "თავისა ქვეყანისაებრ კაცსა სხვა ქვეყანა არ იამების" (გვ. 223), "მასმია, ღამე მაკეა და არავინ იცის, თუ დილა რასა შობსო" (გვ. 168); "მახმურისა წამალი ღვინისა კიდე აღარა არის" (გვ. 200); "რა მზე ღრუბლისაგან გამოვიდეს, სიცი მაშინ უფრო აქვს" (გვ. 210); "რა კაცსა უყვარდეს ვინმე, რაზომცა ვინ აძულვებდეს, უფრო და უფრო შეუყვარდების" (გვ. 41).

ცხოვრების სიბრძნის გამომხატველ თქმებში ქართული შემეცნებისათვის მისაღები იდეალებიც იხატება, მით უმეტეს, რომ ზოგი მათგანი პირდაპირ რუსთველის პარალელს წარმოადგენს, როგორც: "კაცისათვის უკეთესი საქმე არის სახელისა ძებნა" (გვ. 52), ან: "გაიხარენ, სვი .და ჭამე! გაეც, რომელ სახელი დაგრჩეს" (გვ. 48). ეს და მსგავსი სხვა თქმები, მაგ., "კაცისა მამაცისა გვარი ომისა დღესა მისი მკლავი და ჭაბუკობაა" (გვ. 102), კარგად გვანიშნებს საზოგადოებრივი გემოვნებისა და ზოგი იდეალის იმ მსგავსებას, რომელთაც "ვისრამიანი" ასე ახლობელი გახადეს ქართული სინამდვილისათვის.

ასეთმა მოტივებმა იდეურად დაუახლოვეს "ვისრამიანი" ქართულ საზოგადოებრივ გემოვნებას, მით უფრო, რომ თხზულების კონცეფცია, აგებული ფარსიზმის საფუძველზე, ისტორიულად ნაცნობი და გასაგები იყო ქართველთა შეგნებისათვის, როგორც ჯერ კიდევ ცოცხალი მოსაგონარი რელიგიური წარსული, რომელიც ერთგვარად უპირისპირდებოდა კიდევ მაშინდელ პირობებში საძულველ არაბულ მაჰმადიანობას. მით უმეტეს, მისი თარგმნის დროს საქართველოში ჯერ კიდევ მთლიანად არ იყო აღმოფხვრილი ზოროასტრიზმის ნაშთები, უფრო ადრე კი, სასანიდების დროს, მაზდეანობა მებრძოლ რელიგიას წარმოადგენდა და თუ ხშირად ადგილი ჰქონდა მაზდეანების გაქრისტიანებას, ქრისტიანების გამაზდეანებაც იშვიათი არ ყოფილა და ცეცხლთაყვანისმცემლობის კულტის გადმონაშთები მთლიანად ხომ არც აღმოიფხვრა ქართულ ცხოვრებასა და შეგნებაში.

პოეტის მხატვრული მეტყველების საშუალებანი მდიდარია მეტაფორა-ეპითეტებით, გონებამახვილური სურათებითა და შედარებებით, რომელნიც გამოირჩევიან მომხიბლაობითა და სიფაქიზით. "ვისრამიანის" ენა მჭევრმეტყველური ქართულის კარგი ტრადიციების განსახიერებაა და კლასიკური ნორმების საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს, რაც ჩანს როგორც სინტაქსურ თავისებურებებსა, აგრეთვე მორფოლოგიურ ფორმებსა და ლექსიკის ხასიათში, რაშიც მას ბევრი აქვს საერთო

"ამირანდარეჯანიანთან", "ვეფხისტყაოსანთან" და ზოგჯერ მატთანებთანაც. მისთვისაც დამახასიათებელია დახვეწილი ფრაზეოლოგია და სიტყვათა მარაგის ერთობლიობა. აქაც ჩვეულებრივია მაგ., ტმესის მოვლენა (მი-და-მოხედვიდა, მო-რე-უწყნარდა და სხვ. მისთ.). ჩვენ აქ აღარ გვაკვირვებს მეტყველების მხატვრულ ხერხთა ჩვეულებრივი გამოყენება ან ცალკეულ თქმათა და შედარებათა პლასტიკური სრულყოფილობა, რადგან სახეები, დიალოგები, აღწერები, ეპიზოდების გადმოცემა თუ ყოველი ცალკეული თქმა შედარებათა ძეწკვებითაა გაკეთებული. მწერალი ხშირად აჯიბრებს ბუნების სილამაზესთან გამართა სილამაზეს: "გაზაფხულ წალკოტი თუცა კეკლუცია, რამინის პირი ათასჯერ მის უტურფე იყო" (გვ. 57). არაიშვიათად რომელიმე გამართა სილამაზე გამოყენებულია ვარდისა, ღვინისა თუ სხვა საგანთა სილამაზის გადმოსაცემად - "ღვინო შენის ღაწვისაებრ წითელი ღვასო" (გვ. 107), - ეუბნება რამინი ვისს. ვისის სილამაზეს პოეტი იშველიებს ვარდის სილამაზის გადმოსაცემად: "წალკოტსა შიგან ვარდი ვისისა პირისაებრ აყვავებულ იყო" (გვ. 83).

მცენარეები, ვარდ-ყვავილები, ვარდი, ია, ნარგისი, სოსანი, სუმბული, ყაყაჩო, ხეები, განსაკუთრებით კვიპაროსი "ვისრამიანში" მეტაფორის გავრცელებული სახეა, რისი საფუძველიც ისაა, რომ ის სპარსულ ცხოვრებაში განსაკუთრებული თაყვანისცემის საგანი იყო, როგორც ეროვნული მნიშვნელობის ხე და ავესტაში ის წმინდა ხედ ითვლებოდა. მცენარეთა ასეთი სიყვარული, ჩანს, დაკავშირებულია ბუნების გასულიერების საერთო იდეასთან. სპარსეთი იყო ქვეყანა, რომელმაც მსოფლიო პოეზიაში ვარდი შეიტანა როგორც სიყვარულის სიმბოლო და მეტაფორის საგანი. ვარდი და ია სიყვარულის ფიცის ნიშანია (გვ. 86), გაზაფხულის დასაწყისის ემბლემა, რაც სპარსელთა უდიდესი დღესასწაული იყო. ღრუბლები, ქარი, ჰაერი, ფრინველები, ცხოველები, მდინარეები შეყვარებულთა გულის მესაიდუმლენი არიან. რამინი ესაუბრება ხეებს: "ჰე, ყოველნო ხუნო! მოწამენი იყენით ჩემნი, რომელ ასრე მტირალი მნახეთ. რა მხიარული ვისი აქ იყოს, მას მოახსენეთ" (გვ. 57). ის იადონს თავს აბრალებს, მე უფრო მეტი სატირალი მაქვსო (იქვე). ვისი ღრუბლებს ასე მიმართავს რამინისადმი წერილში: "გაზაფხულისა მტირალნო ღრუბელნო, მოდით და ტირილი ჩემგან ისწავლეთ" (გვ. 201).

შედარებათა უხვი მარაგი, ცხადია, პოეტს გამოყენებული აქვს ყველაზე მეტად სიყვარულის განცდის სინაზეთა გადმოსაცემად. ვისის სიყვარულით დატყვევებულ რამინს პოეტი ადარებს ქორის ჭანგებში მყოფ ზურგდაკოდილ კაკაბს (გვ. 47). თვითონ რამინი ასე მოთქვამს:

"მე მისთა ღამაზთა თვალთაგან გულსა ასი ათასი ისარი მარჭვია და ფერხთა დაუხსნელი ემუდა მიყრიაო" (გვ. 60). სიყვარულის ძლიერ ბანგს პოეტი ადარებს ღვინით თრობას: "სიყვარულისა ღვინო, შენთა ბაგეთაგან რომელ ვსვი, მითცა ესრე მოუქარვებელითა სიმთრვალითა მთრავს" (გვ. 192). შეყვარებულნი ერთმანეთს ფართო შედარებათა ენით ესაუბრებიან. მაგ., ვისი რამინს მიმართავს: "ნადირობად მოხვე ხორასნით და ღია ადვილად მოგხვდა ნადირი. მე შენი ხოხობიცა ვარ და კაკაბიცა, ველური თხაცა და შველიცა" (გვ. 98).

რამინი ვისს მიმართავს: "გული ჩემი სადაფი არის და შენ შიგან მარგალიტი" (გვ. 108). პოეტს შეყვარებულთა ყოფნა წარმოუდგენია როგორც "ერთი სულის ორთა ტანთა შიგან დამკვიდრება" (გვ. 135), მათი სიყვარული ცეცხლია, რომელსაც "წყალი არ დაავსებს" (გვ. 181). რამინი ელის, რომ მისმა სატრფომ "აანთოს სიყვარულისა სანთელი" (გვ. 76). ვისს პოეტი ადარებს ხან მზეს, ხან ვენახს, მოცინარე იაგუნდს, შვენების საჭურჭლეს. ვისის დაღონებას მწერალი წარმოიდგენს როგორც მის გულში შეჭირვების ქარავნის მისვლას (გვ. 48). ასევე სურათოვანია ბუნების აღწერაც: ცა მის

შედარებაში შავ ფარდაგს ჰგავს, რომელიც მთვარის საფარად ამოუკრავთ (გვ. 43). გმირის სისწრაფე ედარება ხან შევარდენს, ხან ქარს. შეყვარებული მეწაღკოტეა, რომელიც ვარდს ნერგავს (გვ. 93).

მწერალს ესთეტიზმის შეგრძნება არასოდეს არა სტოვებს. ის მოღალატე შეყვარებულისადმი ვისის მიერ გაგზავნილ წერილებში გამოთქმულ ნაღველს სილამაზეთა აღქმაში გვაწვდის. ვისი პირველივე წერილის დასაწერად სამზადისში მშვენიერ საგანთა გარემოცვაშია: "ქალაღდისა ნაცვლად ჩინური ჰეტრატკონი მოილო, მეღნად თუმბუთური მუშკი, კალამი ეგვიპტური, ვარდის წყალი ნისიბური და საწერელნი სამინდორულისა ალვისანი, თვით მწიგნობარი, ქაჯისაებრ სიტყვა-მოპოვებული, - სიტყვანი შაქარსა და მარგალიტსა თანა გაერივნეს. ჰეტრატკონი ვისის პირისაებრ თეთრი და ელვარე იყო, მეღანი მისთა თმათაებრ შავი და სურნელი, კალამი მისისა ნაკვთისაებრ მართალი, მწიგნობარი - გრძნეულივითა, რომელ სიტყვასა პირსა შიგან შაქრისაებრ ატკბობდა..." (გვ. 187). რაოდენ სევდასა, მწუხარებასა და სასოწარკვეთას მოუცავს შეყვარებულისაგან მიტოვებული ადამიანი, რომელსაც წერისა და ფიქრის ყოველგვარი საშუალება უსუსურად მიაჩნია გამოთქვას თავისი ნაღველი: "თუ შვიდნივე ცანი ქალაღდად მქონდეს, სრულად ვარსკვლავნი მწიგნობრად მყვნეს, ღამისა ჰაერი მეღანი იყოს, ასონი ფურცელთა, ქვიშათა და თევზთაებრ ხშირად სხდენ, - აღსასრულამდინ იმედი და ნატრა ჩემისა მოყვრისა ნახვისათვინ მქონდეს, - შენმან მზემან, ნახევარსა ვერცა მაშინ დავწერ სურვილსა..." (გვ. 190). მერვე წერილში ვისი ბუნებას მიმართავს: "გაზაფხულისა მტირალნო ღრუბელნო, მოდით და ტირილი ჩემგან ისწავლეთ! მაგრა თუ ერთხელ ჩემთა ცრემლთაებრ იწვიმებთ, ქვეყანა აოხრდების..." (გვ. 201). ვისის ჩვილი თავის უბედურებაზე მეცხრე წერილში ალბათ ერთადერთია ქვეყანაზე, სადაც ასეთი ექსპრესიითაა გამოთქმული სიყვარულის მძაფრი ტკივილები: "გული ცეცხლითა სავსე მაქვს და სული კვამლითა, ტანი თმისაებრ დამწლობია და პირი ოქროსაებრ გამყვითლებია. ყოველთა ღამეთა ღმერთსა წინაშე პირსა მიწასა ზედა დავდებ და ეგრე ჩემითა საქმითა ვჩივი. ზახილი ჩემი ცამდის გავა, კვნესა ჩემი ვარსკვლავთა მიესმის. ვტირ, ვითა გაზაფხულისა ღრუბელი, ვყივი, ვითა კლდისა კაკაბი; ცრემლითა ჩამოვჰრცხი ღამისა სიბნელესა; ვმფოთებ, ვითა ზღვა ქარისაგან; ვთრთი, ვითა ტირიფი ნიავისაგან; ეგზომსა სულვთქვამ მტკივნისა გულისაგან, რომელ გზასა დაჰკარგავს ცასა ზედა მთვარე ჩემითა სიბრალულითა..." (გვ. 203).

მაგრამ სილამაზეთა სამყაროში ჩანთქმული პოეტი მარტო მშვენიერებას არ უმღერის. არაიშვიათად მის თქმებში საზოგადოებრივი ურთიერთობის უსამართლობაზე დაფიქრებული კაცის ფიგურაც გვესახება. ჯანსაღი სოციალური ინსტინქტი მას არაერთხელ ახედებს სოციალური ცხოვრების სიღრმეშიც და კლასობრივი უთანასწორობის ბოროტებასაც შეამჩნევინებს: "მაგრა ოდეს მოიგონებს მდიდარი გლახაკსა?" (გვ. 129). თუკი მეფე პირობასა დებს იყვეს სასყიდად "გლახაკთა ზედა საქონელსა გავსცემ, ნუთუ ღმერთმან შემიწყალოსო" (გვ.180). აქვე ხშირად ვხვდებით ზოგადი მნიშვნელობის გონებამახვილურ თქმებსაც: "თქმა და არაქმნა ბედითა" (გვ. 64), ან: "სიმართლისებრი ქვეყანასა ზედა არა არის, მით რომელ სიმართლისა მატებასა დაკლება არა აქვს" (გვ. 26). ეს თქმები მნიშვნელოვანია ისევე როგორც ფარსიზმის გამოხატულება, რამდენადაც სიცრუის თქმა იქ რელიგიურ ცოდვად იყო მიჩნეული და ყოველ ფარსს ევალებოდა სიმართლის სამსახური.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს თხზულებაში ბუნების სურათების აღწერა დამახასიათებელი მხატვრული გემოვნებით, რომლის საფუძველი სილამაზის

ჯანსაღი შეგრძნებაა, რაც ასე გვხიბლავს საერთოდ გარე სამყაროს ესთეტიკურ განცდაში და ის არ ჩამოუვარდება გმირთა გარეგნობის მშვენიერების აღქმას.

ბუნების სილამაზის გრძნობა აქ მით უფრო იქცევა ყურადღებას, რომ მსგავს სამიჯნურო ხასიათის თხზულებებში არ ვხვდებით ასეთ სურათებს. ბუნების სურათების აღწერა მოგვიანებით იქცევა მწერლობის მოტივად. "ვისრამიანში" მოცემული ბუნების სურათის რამდენიმე აღწერა თავისი მხატვრულობით ამ ხანის თხზულებებში სანიმუშოცაა: "ხორასანი ფალაურითა ენითა ამოსა და მომცემსა ქვეყანასა ჰქვიან. ერაყისა და სრულისა სპარსეთისა საჭამადი სპარსეთით და ხორასანით მოვა... ამო მიწა-წყალი და წმიდა ჰაერია, და თვით მარავი ქალაქი ხორასანსა შიგან ეგზომ ამოა, ვითა თვეთა შიგან მაისი; კაცისა განსასვენებელია და სამოთხესა ჰგავს" (გვ. 92). გაზაფხულის სილამაზე ასეა გადმოცემული მოაზადის თქმაში: "ქვეყანა გამწვანებულა, ბევრი ათასი ფერი ყვავილი მიწისაგან ამოსულა, მთამან ბერძულისა ოქსინოისა კაბა შეიკერა და ყარყუმი ქუდი თავისაგან მოიხადა. და ეგზომი წყარო გამოცემულა, რომელ წყლისაგან ავაზა უნავოდ თხასა ვერ შეიპყრობს" (გვ. 86), არანაკლებ მომხიბლავია ბუნების სურათი "მოაზადის ნადირობად წასვლის" ეპიზოდშიც (გვ. 258).

სილამაზის გრძნობა განსაკუთრებული სურათიანობით გამოირჩევა ბატალური სცენების დახატვაშიც, რომელნიც ხასიათდებიან აღქმის სიღრმითა და ლაკონიურობით.

"... ჰაერი ტყესა ჰგვანდა შუბისა და დროშისა სიმრავლითა, ქვეყანა ნამვისა ტყესა ჰგვანდა მრავალფერისა დროშისაგან. ზოგსა ზედან ლომი ზის, ზოგსა ფარშამანგი, ზოგსა არწივი და ზოგსა ორბი... ორთავე ლაშქართა ერთმანერთსა შეუტევეს, თუ სთქვა, ორნი მთანი ბასრისანი კრთმანერთსა შეეტაკნესო. მათ შუა მოციტულად ქორაფისა ისრები არწივისა ფრთოსანი, პირ-ბასრნი, მიდიოდეს და მოდიოდეს; ეგზომ საყვარელნი მოციქულნი იყვნინან, რომელ გულსა შიგან დაესობოდიან და თვალთა ზედან; სხვა ადგილი არ მოეწონებოდა" (გვ. 33).

"... ზოგჯერ ჯაჭვსა შიგან ხრმალი შევიდის, ვითა წყალი, ზოგსა თვალთა შიგან ისარი შეეპარის, ვითა ძილი, ზოგსა გულსა შიგან შუბი შეეპარის, ვითა სიყვარული... ომსა შიგან ისარი მკერვალსა ჰგვანდა, მკერვალისაებრ შეაკერის ხორცი უნაგირსა..." (გვ. 34).

"... შუბები შამფურსა ჰგვანდა, მწვადისა ნაცვლად კაცი ეგის და მიწა სისხლისა მდინარეობითა საწნეხელსა. თუ სთქვა, სიკვდილი ძლიერი ქარი იყო, რომე კაცისა თავსა, ვითა ხისა ფურცელსა, ჩამოჰრიდა; და მეომართა თავი ბურთსა ჰგვანდის მოედანსა შინა და მათი ტანი ტევრთა შიგან წაქცეულთა ხეთა" (გვ. 35).

ომის სურათის აღწერა ასე ჭარბად დატვირთული მხატვრული მეტყველების ყველა საშუალებით გამონაკლისი არ არის, მთელი თხრობა მიედინება მსგავსი ლექსიკური და მეტაფორული პათოსით, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ სურათების, დიალოგებისა თუ სახეების გადმოცემაში მეტყველების ეს მომხიბლავი ხვეულები არ მეორდებიან და მხატვრული შთაბეჭდილება ყოველთვისაა ავსილი როგორც მისი შინაარსის განვითარებით, აგრეთვე ენის გამომხატველობით.

ასეთი მაღალი მხატვრული ენა ოსტატურად შერწყმული მომხიბლავ შინაარსსა და თავგადასავლურ სამიჯნურო ეპიზოდებთან "ვასრამიანს" ანიჭებს იმ ბუნებრივ სიმსუბუქეს, რაც მას შეუნელებელი ინტერესით საკითხავ წიგნად ხდის. ამასთან მხატვრულ სამკაულთა სიჭარბე მას ხელს არ უშლის შეინარჩუნოს სტილის ერთგვარი სისადავე, რის გამოც ჩვენი დამაბული ყურადღება არასოდეს არ ითიშება გამოთქმის სიცალიერითა თუ ბუნდოვანობის რაიმე გამოვლენით. ამიტომაც, რომ

"ვისრამიანი" გვიპყრობს სიცხადითა და უშუალოდ, ვნებათა აღქმის ძალდაუტანებლობით, გმირთა მიზანსწრაფვის აქტიური გამოსახვითა და ხასიათების თავისებურებათა გადმოცემის სისადავით. პერსონაჟთა ხასიათები ერთმანეთს არასოდეს არ იმეორებენ და არც შედარება-ეპითეტებისა, თქმებისა, სურათებისა და სახეების ტრაფარეტულობას ვგრძნობთ.

ამდენად შეიძლება ითქვას, რომ "ვისრამიანმა" ქართულ თარგმანში შეიძინა სპარსული დედნისაგან განსხვავებული სადა გამომხატველობა, რასაც ხელს უწყობს მისი პროზითი შესრულება. პროზის ენამ თხზულებას მეტი ეპიკურობა მიანიჭა დინჯი მჭევრმეტყველებით და თითქოს უფრო მონოლითურიც გახადა თავგადასავალი. ლექსისათვის დამახასიათებელი რიტმის გადაჭარბებული ბგერადული გამომხატველობა, მით უმეტეს სპარსული ოსტატობა ლექსისა, აქ შეიცვალა გამოთქმის სიცხადით, მეტი სურათიანობით, თხრობის ბუნებრიობით, გამოთქმის ლაკონიურობით. ერთი სიტყვით, ყურადღება გამახვილდა თხრობის მდინარეებსა და ხასიათების აღქმაზე.

ყველაფერმა ამან განაპირობა "ვისრამიანის" დიდ ლიტერატურულ მნიშვნელობასთან ერთად მისი ნამდვილად ხალხური პოპულარობა და ის გვერდით ამოუდგა ჩვენს კლასიკურ ძეგლებს, რადგან განსაკუთრებული როლი შეასრულა ჩვენი ლიტერატურული ენის ჩამოყალიბებაში; ამის დასადასტურებლად საკმარისია აღვნიშნოთ "ვისრამიანის" ლექსიკისა და პოეტური თქმის საკმაოდ შესამჩნევი კვალი "ვეფხისტყაოსანში".

"ვისრამიანი" თავიდანვე იყო ლიტერატურული შედარებისა და მიბაძვის საგანი. მისი მძაფრად დახატული სახეები შემოქმედებითად აღიქვა ჩვენმა ძველმა მწერლობამ. მისი გმირები იქცნენ ზოგადი მნიშვნელობის ტიპებად არა მხოლოდ მხატვრულ თხზულებებში. მან გამოხატულება ჰპოვა, როგორც აღვნიშნეთ, კლასიკური ეპოქის შესანიშნავ ისტორიულ ნაშრომში "ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი", სადაც თამარ მეფის გათხოვებაზე მსჯელობისას ვისი და რამინი დასახელებული არიან მსოფლიო მწერლობაში მაშინ ცნობილ თორმეტ შეყვარებულ წყვილთა შორის, რაც ამ ძეგლის საკმაოდ გავრცელებაზე კარგად მეტყველებს კულტურის მქონე ერებს შორის. მისი მნიშვნელობა, შეიძლება ითქვას, მხოლოდ ისტორიული არ არის, რამდენადაც ამ თხზულებაში აღძრული მარად ადამიანური ყოფისა და განცდის პრობლემები დანახულია ჰუმანურობის განწყობით და დახატულია ისეთი ცხოველმყოფელი სახეებით, რაც კარგად უპასუხებდა ქართველი საზოგადოების გარკვეული წრეების სოციალურ-ეთიკურ მისწრაფებებს. ალბათ ეს იყო ერთი საფუძველი იმისა, რომ ეს უცხოური ძეგლი ქართველმა მთარგმნელმა შეიტკბო როგორც ეროვნული შემოქმედების ნაყოფი და ის გადმოაქართულა ისეთი მოქნილი ლიტერატურული ენით, რომელიც ჩვენი მხატვრული მეტყველების ერთგვარ ნორმადაც იქცა და მისგან გარკვეულად არის დავალებული ჩვენი საერო მწერლობის ლიტერატურული სტილი.

სახოტბო პოეზია

[1] თ ე ი მ უ რ ა ზ მ ე ო რ ე, თხზულებათა სრული კრებული, გ. ჯ ა კ ო ბ ი ა ს რ ე დ., 1939, გვ. 92.

^[2] "ვისრამიანის" ქართული ტექსტი პირველად დაიბეჭდა 1884 წ., ი. ჭავჭავაძის, ალ. სარაჯიშვილისა და პეტ უმიკაშვილის რედაქციით. მეორედ 1938 წელს ალ. ბარამიძის, პ. ინგოროყვას და კ. კეკელიძის რედაქციით, მესამედ ს. ყუბანეიშვილმა დაბეჭდა შემოკლებით 1949 წელს ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათიის მეორე ტომში, მეოთხედ 1960 წელს სერიაში "ჩვენი საუნჯე", II ტომი, ივ. ლოლაშვილის რედაქციით (რომლითაც ვსარგებლობთ ციტირებაში), მეხუთედ 1962 წელს ალ. გვახარიას და მ. თოდუას რედაქციით, ვრცელი გამოკვლევით და ლექსიკონით, მეექვსედ განმეორდა იგივე გამოცემის ტექსტი 1964 წელს.

ქართული ტექსტის სრული ინგლისური თარგმანი ოლივერ უორდროპისა დაიბეჭდა ლონდონში, 1914 წელს. რუსული შემოკლებული თარგმანი ბ. რუდენკოსი 1938 წ., სრული რუსული თარგმანი ს. იორდანიშვილისა 1939 წელს, რომელიც განმეორდა 1960 წელს. ქართულიდან შესრულებული შემოკლებული გერმანული თარგმანი გამოვიდა ციურიხში 1957 წელს.

"ვისრამიანის" სპარსული დედანი პირველად დაიბეჭდა კალკუტაში 1865 წ., მეორედ თეირანში 1935 წელს.

^[3] Н М а р р, Из грузино-персидских литературных связей, ЗКВ, т. I, 1925, გვ. 111-138.

^[4] ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, ნარკვევები, I, 1945, გვ. 81-95.

^[5] Н М а р р, Из грузино-персидских литературных связей, ЗКВ, 1, 1925, გვ. 123. 5. ტ. II.

^[6] დაწვრილებით იხ. გ. ი მ ე დ ა შ ვ ი ლ ი, ვისრამიანისა და ტრისტან-იზოლდას ურთიერთობისათვის, ჟურნ. მნათობი, 1942, №1, გვ. 132-149.

სახოტბო პოეზია

კლასიკურ ეპოქაში ძლიერ განვითარდა სახოტბო პოეზია, რომლის აღმოცენება დაკავშირებულია სამეფისკარო ცხოვრებასთან. ქართველი მეფეები თავიანთ კარზე იწვევდნენ გამოჩენილ ისტორიკოსებს, მწიგნობრებს, პოეტებს. კარის მწიგნობარი, კარის პოეტი მეფის სამსახურში იმყოფებოდა, მის სამსახურებრივ მოვალეობას შეადგენდა საკარო ცხოვრების ლამაზი ფერებით დახატვა, მეფისა და მისი კარის სახელის გათქმა, საზეიმო შეკრებებზე ლექსების კითხვა. კარის პოეტი, ისე როგორც კარის მსახური სხვა პირი, შეზღუდული იყო თავისი ოფიციალური მდგომარეობით, პატრონზე იყო დამოკიდებული ნივთიერად და უფლებრივად. ეს გარემოება გარკვეულ დაღს ასვამდა მთელ საკარო შემოქმედებას, კერძოდ, საკარო პოეზიას. ასევე შეზღუდული იყო საკარო ისტორიოგრაფია, საკარო მხატვრობა. გადაჭარბება, გაზვიადება, განდიდება მსგავს პირობებში იყო სრულიად ბუნებრივი მოვლენა. ამიტომაც საკარო პოეტურ ნაწარმოებებს ჩვეულებრივ აზრს ოფიციალურ-საზეიმო განწყობილების ბეჭედი. საკარო პოეტური ნაწარმოებისათვის დამახასიათებელია განსაკუთრებული ენაწყლიანობა, მაღალფარდოვანი სტილი. საკარო პირობებში შექმნილ მხატვრულ ნაწარმოებს მისი ავტორი ზომიერად მეტად რთავდა გარეგნული სამკაულებით. გარეგნული სამკაული ზოგჯერ ფარავდა ნაწარმოების შინაარსობლივ სიღარიბეს. საკარო მხატვრულ ნაწარმოებში მკაფიოდ იგრძნობა ფორმისა და შინაარსის გათიშვის ტენდენცია ფორმის სასარგებლოდ და შინაარსის საზიანოდ. კარის შემოქმედი ოსტატი იძულებული ხდებოდა ეფექტური ორნამენტული სტილის ნაირფეროვნებით აენაზღაურებინა მასალის შინაარსობლივი ერთფეროვნება ან სრული შინაარსობლივი სიცალიერე. საკარო პოეზიას არ ეუცხოება პირფერული კილო, ხელოვნურად გართულებული, ორაზროვანი და გაბუნდოვანებული პოეტური ფრაზეოლოგია, გარდავლითი, ანუ მოარაკებითი მეტყველება, ომონიმურ-კალამბურული ლექსიკის სიჭარბე, ალეგორიებისა და ჰიპერბოლების სიუხვე.

სახოტბო პოეზია იგივე სამქებრო პოეზიაა. ხოტბა ნიშნავს ქებას ან შესხმას. მეხოტბე პოეტს ევალეზოდა თავისი პატრონის ქება, "შესხმა-მკობანი, მუსიკობანი" ასეთ ვითარებაში ძნელი იყო პირმოთნეობის დაძლევა და ავტორის მხრივ ყოველ ცალკე შემთხვევაში უშუალო ლირიკული განწყობილების გულწრფელი გამოხატვა. საგულისხმოა, რომ პოეტი და მეფე არჩილი (1647-1713), რომელსაც თვითონ ბევრი მაქებარი პოეტი ჰყავდა, სახოტბო შესხმას უწოდებს მელულობას. სახოტბო პოეზიას არჩილი მკვეთრად უპირისპირებს მართლის მთქმელობას.

ყოველივე ეს გათვალისწინებული უნდა იქნეს ქართული საკარო პოეზიის განხილვისას. მაგრამ, რასაკვირველია, თქმული იმას როდი ნიშნავს, თითქოს მეხოტბე პოეტი უსათუოდ პირმოთნეობდა და მლიქვნელობდა, თითქოს მეხოტბე პოეტს არ შეეძლო მაღალიდებული და მაღალმხატვრული ნაწარმოების შექმნა. მე-12 საუკუნის ქართულ სახოტბო ძეგლებს სამაგალითო იდეურობა ახასიათებს.

მე-12 საუკუნის ქართული სახოტბო პოეზიიდან ჩვენს დრომდის მოღწეულია მხოლოდ ორი ძეგლი: 1. ეგრეთ წოდებული აბდულმესიანი, ან ქება თამარისა და დავითისა. 2. თამარიანი.

ეს ორი ძეგლი საკმაო წარმოდგენას გვაძლევს ქართული სახოტბო პოეზიის განვითარების იმდროინდელ დონეზე.

დავითისა და თამარის ქება

(ე. წ. აბდულმესიანი)

უძველესი წერილობითი ცნობა "აბდულმესიანისა" და მისი ავტორის შესახებ შემოგვინახა "ვეფხისტყაოსნის" ბიბლიოგრაფიულმა სტროფმა:

ამირან დარეჯანისძე მოსეს უქია ხონელსა,
აბდულ-მესია - შავთელსა, ლექსი მას უქეს რომელსა.
დილარგეთ - სარგის თმოგველსა, მას ენა-დაუშრომელსა,
ტარიელ მისსა რუსთველსა, მისთვის ცრემლ-შეუშრომელსა.

ამ ცნობის მიხედვით, რომელიც ძველ ტრადიციას ეყრდნობა, შავთელს დაუწერია თხზულება, სადაც აბდულმესია უნდა ყოფილიყო შექმნილი. მაგრამ "აბდულმესიანის" სახელწოდებით ჩვენამდე არც ერთ თხზულებას არ მოუღწევია. ვინ არის აბდულმესია? გმირის სახელწოდებაა ეს თუ ზედწოდება, რა ხასიათის თხზულებაა "აბდულმესიანი" - ეპიკური თუ ლირიკული? და, ბოლოს, ვინ არის მისი ავტორი? - ეს არის საკითხები, რომლებზედაც ქართველი მწიგნობრები და მკვლევარები საუკუნეზე მეტია ცდილობენ გასცენ პასუხი.

ამ თხზულების კვლევასა და ძიებას საინტერესო და ხანგრძლივი ისტორია აქვს. პირველად "აბდულმესიანის" საკითხს სწავლული ბატონიშვილები შეეხენ. იოანე ბატონიშვილი "კალმასობაში" შავთელს მიიჩნევდა თამარის დროის მგოსნად, რომელსაც უნდა დაეწერა თამარის შესხმა იამბიკოდ. ამ იამბიკოს ის დაკარგულად სთვლიდა^[1].

თეიმურაზ ბატონიშვილი აბდულმესია შავთელს მიაწერს ორ ლირიკულ პოემას - "აბდულმესიანსა" და თამარას ქებას.^[2] ამათგან პირველს ისიც დაკარგულად

სთვლიდა: "ჩვენ უზადრუკთ ქართველებს ის საკვირველი სტიხები შავთელისა - აბდულმესიას წიგნი - დაჰკარგვიათ", - სწერდა თეიმურაზ ბატონიშვილი აკად. მ. ბროსეს.

თავისი დასკვნებისათვის სწავლული ბატონიშვილები ეყრდნობოდნენ: "ვეფხისტყაოსნის" ბიბლიოგრაფიულ სტროფს, თამარის ისტორიკოსის ცნობას თამარის დროის "ლექსთა გამომთქმელ" იოანე შავთელზე და ბოლოს ხელნაწერებს, რომელთაც დაუცავთ შავთელის გალექსილი თამარის ქება. მკვლევარებს დღესაც იგივე მასალა აქვთ ხელთ.

"აბდულმესიანის" კვლევას ართულებს ის გარემოება, რომ ამ სათაურის მქონე ნაწარმოები ხელნაწერებს არ შემოუნახავთ. შავთელის დაწერილი თამარ მეფის ქება კი ჩვენამდე მხოლოდ გვიანდელი ხელნაწერებითაა მოღწეული.

ამ ტექსტის ჩვენამდე მოღწეული 18 ხელნაწერიდან მხოლოდ ორია XVIII საუკუნისა (H-2069 და H-1193), დანარჩენები XIX საუკუნისაა. XVIII საუკუნის ორივე ხელნაწერის მიხედვით ქების ობიექტია არჩილ II, ხოლო ავტორი - იაკობ დუმბაძე (შემოქმედელი): "კახეთისა და იმერეთისა ბატონისა ღმრთივგვირგვინოსნისა და მართლმადიდებელისა მეფისა არჩილისი, რომელი იყო ნათესაობით დავითიანი და სოლომონიანი ბაგრატიონი, ძე საქართველოს მეფის ვახტანგისა, თქმული გურულის დუმბაძის იაკობ შემოქმედელისაგან", - ვკითხულობთ ხელნაწერ H-1193-ში.

სამეცნიერო ლიტერატურაში გარკვეულია, რომ იაკობ დუმბაძეს კლასიკური ხანის შესხმა გამოუყენებია არჩილ მეფის ქებისათვის^[2]. მას თამარისა და დავითის სახელები შეუცვლია არჩილით და ამგვარად გადაკეთებული ქების ავტორად თავისი თავი გამოუცხადებია. ქების იაკობ დუმბაძისეულმა ვარიანტმა იმ ზომამდე გამოდევნა მისი თავდაპირველი დედანი, რომ XVIII საუკუნის ხელნაწერებში ამ თხზულების სხვა სათაურს აღარ ვხვდებით. სახოტბო თხზულებაში სახელთა ამგვარ შეცვლას ხელს უწყობდა ქების ზოგადი ხასიათი. ერთი წყება XIX საუკუნის ხელნაწერებისა აგრძელებს ამავე ტრადიციას (S-1511). იაკობ დუმბაძემ შემცდომში შეიყვანა ისეთი განსწავლული მწიგნობარიც კი, როგორც იყო დავით რექტორი. თითქმის ერთდროულად გადაწერილ ორ ხელნაწერში დავით რექტორი ერთ შემთხვევაში პოემას იაკობ დუმბაძისეულ არჩილის ქებას უწოდებს (S-1511), ხოლო მეორე შემთხვევაში აბდულმესია შავთელის დაწერილ თამარის ქებას (H-391).

საფიქრებელია, "რომ შესხმის" ძველი ტექსტისა და სახელწოდების რესტავრაცია მოხდა XVIII საუკუნის დამლევსა და XIX საუკუნის დამდეგს განსწავლულ მწიგნობართა წრეში. ჩანს, ამ საკითხით საგანგებოდ დაინტერესებული ყოფილან დავით რექტორი, იოანე და თეიმურაზ ბატონიშვილები. ამ დროიდან იაკობ დუმბაძისეულ არჩილის ხოტბას დაუბრუნდა თავისი თავდაპირველი სახე და მიჩნეულ იქნა კლასიკური ხანის ძეგლად. ქება რომ ნამდვილად კლასიკური ხანისაა, ამას მოწმობს ავტორის მსოფლმხედველობა და მისი მხატვრულ-ენობრივი მხარე, რომლითაც ის გვერდში უდგას "თამარიანსა" და "ვეფხისტყაოსანს". ამას კარგად ხედავდნენ XVIII საუკუნის დამლევისა და XIX საუკუნის დამდეგის მწიგნობრები, რომელთაც პირველად შეხედეს ეჭვის თვალთ იაკობ დუმბაძის "პლაგიატს". ეჭვის საფუძველს ხელნაწერებიც იძლეოდნენ. მიუხედავად იმისა, რომ იაკობ დუმბაძეს მეთოდურად ამოუშლია ქებიდან დავითისა და თამარის სახელები, ერთ-ორ ადგილას ქების დუმბაძისეულ ვარიანტში ისინი მაინც გაპარულა, მაგ., ხელნაწერი A-656. ხელნაწერის 53-ე სტროფში არჩილის ნაცვლად თამარია დატოვებული, სხვაგან დავითიც ჩანს.

XIX საუკუნის ხელნაწერებში შეცვლილია ქების სახელწოდება და ამის მიხედვით ტექსტში ქების ობიექტის სახელიც. დავით რექტორის გადაწერილ ერთ-ერთი ხელნაწერის (H-391) მიხედვით ქების ახალი სახელწოდებაა: "დიდის თამარ მეფას, გიორგი მეფის ასულის, დავითიან-პანკრატოვანისა შესხმა, აბდულმესია შავთელისაგან თქმული (ესე იგი მონა ქრისტესი). ამან მოართვა გელათიდან მეფასა თამარს, რომელი იყო მდივანი მეფის თამარისა და შემდგომად იქმნა მონაზონ, და უწოდეს სახელად იოანე, რომელმან მოიგო ცხოვრება თვისი გელათსა შინა, რომლისათვის იტყვის რუსთველი შოთა ("აბდულმესია-შავთელსა, ლექსი მას უქეს რომელსა")".

სათაურის აღწერითი ხასიათი მოწმობს, რომ ის ძველი ხელნაწერიდან კი არ მომდინარეობს, არამედ შედგენილია ცნობილი წყაროების გამოყენებისა და შეთანხმების შედეგად.

ამ სათაურის შემდგენელისათვის ცნობილი ყოფილა, ერთი მხრივ, "ვეფხისტყაოსნის" ბიბლიოგრაფიული სტროფი (სათაურშივე დამოწმებული), რომლის მიხედვითაც მას აბდულმესია მიუჩნევია შავთელის სახელად, და, მეორე მხრივ, ისიც, რომ თამარის დროს მოღვაწეობდა მგოსანი იოანე შავთელი^[4]. სათაურის შემდგენელმა ეს ორი შავთელი ერთ პირად ჩათვალა და ადვილად გადაჭრა მისი ორი სახელის საკითხი. პირველი მიიჩნია ბერობის სახელად, ხოლო მეორე - ერობის. რაკი გაირკვა ავტორის ვინაობა, ამან თავისთავად გადასჭრა ქების ობიექტის საკითხიც. თამარის კარის მგოსანსა და მეხოტბეს აბდულმესიას, ყოფილ იოანე შავთელს, შეეძლო დაეწერა მხოლოდ თამარის ხოტბა. ამ გზით ჩამოყალიბდა ქების ახალი სათაური, სადაც დასახელებულია ქების ავტორიც და ქების ობიექტიც. ამ ხელნაწერების საფუძველზე მთელი XIX საუკუნის მანძილზე აბდულმესია შავთელი იყო მიჩნეული თამარის ქების ავტორად. ამ სახელწოდებით ეს ქება გამოაქვეყნეს სხვადასხვა დროს პ. იოსელიანმა, დ. ჩუბინაშვილმა და ზ. ჭიჭინაძემ.

1902 წელს აკად. ნ. მარმა გამოაქვეყნა ქართველი მეხოტბეები ("აბდულმესიანისა" და "თამარიანის" დადგენილი ტექსტები, ვრცელი გამოკვლევითა და ვრცელი კომენტარებული ლექსიკონით)^[5]. ნ. მარის ამ შესანიშნავი ნაშრომით საფუძველი ჩაეყარა ქართველ მეხოტბეთა მეცნიერულ შესწავლას. ნ. მარმა პირველმა გამოუნახა ამ ძეგლებს ადგილი ქართული ლიტერატურის ისტორიაში. გამართა და გასაგები გახადა ამ რთული ტექსტების მრავალი ადგილი, და ბოლოს, გამოავლინა შავთელისა და ჩახრუხადის მაღალი პოეტური ოსტატობა.

"ვეფხისტყაოსნის" ბიბლიოგრაფიული სტროფისა და ქების ტექსტის ანალიზის საფუძველზე ნ. მარი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ აბდულმესია შავთელის სახელი კი არ არის, არამედ ქების ობიექტის ზედწოდება (აბდულ მასიჰ არაბულად ნიშნავს მონაღვთისას), მისივე მტკიცებით, ეს ზედწოდება ყველაზე მეტად შეეფერება დავით აღმაშენებელს. ამრიგად, "აბდულმესიანი" ნ. მარის თვალსაზრისით არის დავით აღმაშენებლის ქება, დაწერილი არა თამარის, არამედ დავითის თანამედროვე პოეტის შავთელის მიერ. მისივე აზრით, "აბდულმესიანი" ყოფილა თავდაპირველი სახელწოდება იმ ხოტბისა, რომელიც თამარის ქებად არის ცნობილი^[6].

აბდულმესია რომ არ არის ავტორის სახელი, ეს დღეს მკვლევართა მიერ ერთხმად არის აღიარებული. მაგრამ შეთანხმება არ არის მიღწეული მთელ რიგ სხვა საკითხებში. კერძოდ: აბდულმესია გმირის სახელია თუ ზედწოდება; რა მიმართებაა „აბდულმესიანსა" და თამარის ქებას შორის; ეს ერთი და იგივე ძეგლია თუ სხვადასხვა და, ბოლოს, ერთი პირია ქებაში შექმნილი თუ ორი.

ნ. მარის შემდეგ მკვლევართა მიერ ამ საკითხებზე გამოთქმული ვარაუდები შეიძლება ორ მთავარ თვალსაზრისად ჩამოვყალიბოთ.

კ. კეკელიძის ვარაუდით აბდულმესია არის არა ეპითეტი, არამედ საკუთარი სახელი, გავრცელებული აღმოსავლურ ეკლესიაში^[17]. ამიტომ "აბდულმესიანი" არ შეიძლება იყოს დავით აღმაშენებლის ხოტბა, ის რაღაც სხვა თხზულებაა, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია. ამ დაკარგული თხზულების ავტორი ყოფილა იოანე შავთელი, თამარის დროის "ლექსთა გამომთქმელი". გარდა "აბდულმესიანისა" იოანე შავთელს დაუწერია მეორე ქება, სადაც შექმნილი არიან დავით აღმაშენებელი და თამარი. ამ თხზულებაში ნ. მარი ხედავდა მხოლოდ დავით აღმაშენებლის ქებას და ამის მიხედვით უწოდებდა მას "აბდულმესიანს". კ. კეკელიძის აზრით კი ამ თხზულებას უნდა ეწოდოს "დავით აღმაშენებლისა და თამარის ქება". ქებაში რომ მარტო დავით აღმაშენებელი არ არის შექმნილი, მკვლევარის აზრით, ჩანს იქ აღწერილი ისეთი ფაქტებიდან, რომლებიც ანაქრონიზმად უნდა ჩაითვალოს დავით აღმაშენებლის დროს^[18]. გარდა ამისა, დავითის გვერდით ხოტბაში შექმნილია მეორე პირი გვირგვინოსანი ქალი. ამაზე მიუთითებს ხოტბაში ნახმარი ზოგი ეპითეტი, რომელიც მხოლოდ ქალის მიმართ შეიძლება იხმარებოდეს, და აგრეთვე ზოგი ისეთი თვისება, რომელიც ნიშანდობლივ თამარისათვის იყო დამახასიათებელი. ამგვარად, მკვლევარის აზრით, ქებაში შექმნილი არიან დავით აღმაშენებელი და თამარი. ამის მიხედვით ნაწარმოებს უნდა ეწოდოს "დავით აღმაშენებლისა და თამარის ქება".

თუ რატომ შეაქო იოანე შავთელმა დავით აღმაშენებელი და თამარი ერთ ოდაში, კ. კეკელიძე ამასაც აძლევს ახსნას. მისი აზრით, მეხოტბე აღტაცებულია თამარის დიდებული ხანით, რომელსაც ის აღიქვამდა როგორც დავითისა და თამარის ერთობლივი სახელმწიფოებრივი საქმიანობის შედეგს. ამან უკარნახა მეხოტბეს სხვადასხვა დროის ორი სახელმწიფო მოღვაწე ერთად შეექო^[19].

მეორე მხრივ, ალ. ბარამიძემ გაიზიარა და ახალი საბუთები წამოაყენა ტრადიციული შეხედულების^[20] სასარგებლოდ, რომლის მიხედვითაც პოემაში შექმნილია თამარ მეფე და მისი მეუღლე დავით სოსლანი^[21]. სხვა მასალასთან ერთად ის ამის დადასტურებას ხედავს პოემის 62-ე სტროფში, სადაც ავტორი უქებს თავის გმირებს მეუღლეობრივ სიყვარულს:

გვრიტა მართვისა თვარ აქვს მართ ვისა
თქვენებრ სურვილი მეუღლეობისა?

შევაჯამოთ ზემოთ თქმული და გამოვყოთ ის, რაც სავსებით - უეჭვო ჩანს:

"თამარისა და დავითის შესხმის" სახელწოდებით ცნობილი ხოტბა დაწერილია თამარის დროის კარის მგოსნის იოანე შავთელის მიერ. ძველსა და სანდო ცნობებს მის შესახებ გვაწვდის თამარის მემატიანე. იგივე იოანე შავთელია მოხსენიებული "ვეფხისტყაოსნის" ბიბლიოგრაფიულ სტროფში. ვინაიდან იქ დასახელებული ოთხი ავტორიდან - სამი (მოსე ხონელი, სარგის თმოგველი და შოთა რუსთველი) თამარის დროის მოღვაწეა, ამის ანალოგიით მეოთხეც იმავე დროის მგოსნად უნდა ჩაითვალოს.

სხვადასხვა დროის ორი შავთელის არსებობის დასაშვებად არავითარი საბუთი არ არსებობს, ამიტომ აბდულმესია არ შეიძლება იყოს ავტორის (შავთელის) სახელი. აბდულმესია შექმნის გმირის სახელია ან ზედწოდება. აქედანაა ნაწარმოები ხოტბის სახელწოდება "აბდულმესიანი".

შეიძლება თუ არა "აბდულმესიანი" გავაიგივოთ "თამარისა და დავითის შესხმასთან"?

"ვეფხისტყაოსნის" ბიბლიოგრაფიულ სტროფში დასახელებული ოთხი თხზულება საერო ეპიკური ხასიათისაა. ამ თხზულებათა ჩამოთვლა "ვეფხისტყაოსანთან" მათ შედარებას ემსახურება. ასეთ კონტექსტში ძნელი დასაშვებია, რომ "აბდულმესიანის" ქვეშ წმიდა აბდულმესის ქება იგულისხმებოდეს. უნდა ვიფიქროთ, რომ დანარჩენებთან ანალოგიით "აბდულმესიანიც" საერო ხასიათის ეპიკური ან ლირიკული ხასიათის თხზულებაა.

ვინაიდან "თამარისა და დავითის ქების" სახელით ცნობილი ოდა ატარებს ხელოვნურად შერქმეულ სახელს, ხოლო მისი თავდაპირველი სახელწოდება იაკობ დუმბაძის მიერ ჩატარებულ "ოპერაციათა" გამო ჩვენთვის დაკარგულია, ამიტომ არ არის გამორიცხული, რომ ამ ხოტბის თავდაპირველი სახელწოდება "აბდულმესიანი" იყო, თუ, რა თქმა უნდა, აბდულმესიას მივიჩნევთ გმირის ზედწოდებად და არა საკუთარ სახელად. ამდენად "თამარისა და დავითის ქებას" პირობით შეიძლება ვუწოდოთ "აბდულმესიანი".

შეიძლება თუ არა ამ ქებაში შექმნილი იყვნენ დავით აღმაშენებელი და თამარ მეფე? ხოტბის გმირი დავითი ისეთი მასშტაბის სახელმწიფო მოღვაწეადაა გამოყვანილი, დიდების ისეთი შარავანდედითაა შემკობილი ავტორის მიერ, რომ თითქოს დავით აღმაშენებლის გარდა აქ სხვა ვინმეს ვარაუდი ძნელია; მეორე მხრივ. ხოტბაში აშკარად ორი სამეფო პერსონაა შექმნილი, რომელთაც მეუღლეობრივი სიყვარული აკავშირებთ. მაშასადამე, თუ ერთი მათგანი თამარია, მეორე გარდაუვალად დავით სოსლანი უნდა იყოს.

დავით აღმაშენებლისა და თამარის ერთად შექმნა სხვა მხრივაც ძნელი გასაზიარებელია. მეხოტბე, როგორც წესი, არამც თუ თავისი დროის იქით, თავისი პატრონის იქითაც კი არ იყურება. პატრონის ხოტბა არის მისი პირველადი მოვალეობა და მისი კეთილდღეობის ერთადერთი საშუალება^[12] მეხოტბის კალმის ქვეშ ყველა პატრონი ერთნაირად დიდებულია, განურჩევლად მათი პირადი ღირსებისა და დამსახურებისა. ამიტომ საეჭვოა, რომ მეხოტბეს ერთ ხოტბაში შეექო გარდასრულ დროთა გმირი დავითი და მისი პატრონი თამარი, და ისიც ისეთი პროპორციით, რომ პირველ პლანზე დავითი ყოფილიყო. ასეთი ისტორიული განზოგადებები უჩვეულოა კარის პოეზიისათვის.

მეორე მხრივ, თუ ეს თამარისა და დავით სოსლანის ქებაა, ამ შემთხვევაშიც მოულოდნელია ის გაძლიერებული ყურადღება, რომელსაც ავტორი უთმობს დავითს. მოსალოდნელი იყო პირიქითი მოვლენა, როგორც ამას ვხედავთ "თამარიანში", სადაც ხოტბის მთავარი გმირი თამარია, მაგრამ დავით სოსლანსაც და გიორგი ლაშასაც ხოტბაში მიჩნეული აქვთ საპატიო ადგილი.

ამ შეუსაბამობას შეიძლება დაეძებნოს თავისი ახსნა.

"თამარიანი" და ე. წ. "აბდულმესიანი" ორივე თამარის დროის ძეგლია, ორივე თამარის შესხმას წარმოადგენს. მაგრამ პირველ შემთხვევაში, როგორც ამას სათაურიც მოწმობს, ქების მთავარი გმირია თამარი, ხოლო დავით სოსლანი და გიორგი ლაშა ოდაში შექმნილნი არიან როგორც თამარის ღირსეული მეუღლე და მემკვიდრე. "თამარიანი" თითქმის მთლიანად მოიცავს თამარის სახელმწიფოებრივ მოღვაწეობას. "თამარიანი" თამარის სამხედრო-სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის პოეტური მატრიანია. ქებაში ავტორი ეხება თამარის დროის ყველა მთავარ ბრძოლებს, რომლითაც თამარის დროის საქართველომ მოიპოვა საერთაშორისო აღიარება.

სულ სხვა ვითარებაა "აბდულმესიანში". აქ მგოსნის ყურადღების სიმძიმე გადატანილია დავით მეფის პიროვნებაზე, მის ძლევამოსილ ბრძოლაზე მუსლიმანთა წინააღმდეგ, მის პირად საბრძოლო თვისებებზე, ფიზიკურ შესაძლებლობებზე. ფაქტობრივ აქ დიფერენცირებული არ არის თამარის დროის ბრძოლები. ყოველ შემთხვევაში რაიმე ნიშანდობლივი მითითება ამა თუ იმ ბრძოლაზე ქებაში არ გვხვდება, გამონაკლისია თამარის ჯარის მიერ შავი ზღვის სანაპიროს (ტრაპიზონი, ლიმონას) დაპყრობა, რაზედაც 33-ე სტროფშია მითითება:

თვით სულ იმონა კიდე-ლიმონა,
მით გამოსცდიდა ლომისა მკლავსა.

მაგრამ ქების ავტორის თვალსაზრისით "კიდე-ლიმონას" დაპყრობა არ არის გმირის მთავარი დამსახურება. დავითმა ქების მიხედვით თავი ისახელა უსჯულოთა დამარცხებით, სარკინოზთა და ბარბაროსთა მოსრვით, ქრისტიანობის დაცვით (სტრ. 36-38). დავით მეფე, მსგავსად ერეკლე კეისრისა, "უღმრთოთა შეიქს თვით ოტებულსაო" - გვამცნობს იოანე შავთელი.

ქების ხერხემალია მუსლიმანთა წინააღმდეგ მიმართული ერთ-ერთი ომი, სადაც განსაკუთრებით უსახელებია თავი დავით სოსლანს. ასეთ ბრძოლას კი ადგილი ჰქონდა 1206 წელს, როდესაც ბასიანთან დავითისა და მხარგრძელთა მხედართმთავრობით ქართველთა ჯარმა აოტა რუქნადინის მრავალათასიანი ჯარი. ჩვენის ფიქრით, ე. წ. "აბდულმესიანი" რუქნადინზე გამარჯვების აღსანიშნავად დაწერილი ხოტბაა.

თამარის დროის საქართველოს სამეფოს სწრაფმა გაძლიერებამ დიდად შეაშფოთა მახლობელ აღმოსავლეთის მაჰმადიანი მფლობელები. ქართველთა სახელმწიფოს ძლევამოსილება განსაკუთრებით აღელვებდა რუმის სულტანს რუქნადინს^[13]. რუქნადინმა დაიწყო მოლაპარაკება მეზობელ მაჰმადიანურ სამფლობელოებთან, რათა გაერთიანებული ძალებით გაელაშქრა საქართველოს წინააღმდეგ. ეს მუსლიმანური კოალიცია დიდ საფრთხეს უქადდა საქართველოს. 1206 წელს რუქნადინმა თავი მოუყარა 40000-იან ლაშქარს, მოადგა საქართველოს საზღვარს, თამარს კი მუქარით სავსე წერილი გამოუგზავნა. თავხედურ წერილზე თამარმა მას საკადრისი პასუხი მისწერა; შეკრიბა ლაშქარი და რუქნადინის ელჩს დაადევნა. შეტაკება მოხდა ბასიანში (არზრუმის მახლობლად). ამ ბრძოლას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური პრესტიჟის განმტკიცებისათვის მახლობელ აღმოსავლეთში. ამიტომ იყო, რომ თამარი და მთელი ქართველი ხალხი დიდი მღელვარებით ადევნებდა თვალს ბასიანის ომის მსვლელობას. თამარის მემკვიდრის ცნობით, ბრძოლის დაწყებამდე თამარი მივიდა ვარძიას და ვარძიის ღვთისმშობელს "შევედრა სოსლანი დავითი და სპა მისი, და დროშა მისი სვიანი, და ბედნიერად მყოფი გაგზავნა ვარძიით".^[14] ხოლო თვითონ თამარი გაემგზავრა ოძრხეს; მას თან ახლდნენ იოანე შავთელი, ფილოსოფოსი, რიტორი და ლექსთა გამომთქმელი და ევლოგი სალოსი: "ამათ თანა იყვის მეფე თამარ დღისი და ღამე ლოცვითა, ფსალმუნებითა, ღამისთევითა დაუძინებელად და ყოველთა ღამეთა დღე-ლიტანიობდა და არა დასცხრებოდა; და ყოველგან საყდართა, მონასტერთა და სოფელთა უბრძანა ლიტანიობა და ვედრება ღმრთისა"^[15].

მიუხედავად იმისა, რომ ქართველთა ჯარი რაოდენობით ბევრად ჩამოუვარდებოდა თურქულს, ამ ბრძოლაში თურქნი ისე ძლიერ დამარცხდნენ, რომ რუქნადინმაც კი ძლივს დააღწია თავი ტყვეობას. ბრძოლაში განსაკუთრებით თავი

ისახელა დავით სოსლანმა. ამ უთანასწორო ბრძოლაში გამარჯვებას ისტორიკოსი ქართველთა მფარველ ვარძიის ღვთისმშობლის ძალას მიაწერს: "და ვითარ ნადირისთვის მოსწრაფე იქმნეს მონადირე, ეგრეთ მსწრაფლ მოეტევნეს ერთ-კერძო სოსლან დავით და ერთ-კერძო ზაქარია... მასვე წამსა შინა დავით და სპა მისი მივიდა და, ვითარ მგელნი ცხოვართა, ეგრეთ შეუცვივდეს ურიცხუსა მას სპასა შინა სულტნისასა. პირველსა მოკიდებასა და ხეთქებასა ხრმალთასა მოხედა წყალობა-აურაცხელმან ღმერთმან მოსავთა ჯუარისათა და განადიდა დიდება დავითისი და თამარისი ვარძიისა ღმრთისმშობელმან. და ანასდათ ეგოდენი სიმრავლე განსქდა, იძლია, დაიფანტა, და ამას ჰგუანდა - თვალგარდუწდომელი მადნარი მიწითურთ მოგლეჯილ იყო და დაზულეულ, და ღირს სადმე ყოფილიყო, სადგან თუალი მხილველობდა, ყოველგან ტყეთა მსგავსი ლაშქარი იხილვებოდა ლტოლვილი"^[16].

ბრძოლაში გამარჯვებული დავით სოსლანი და მისი სპა "მხიარულითა პირითა სახელგანთქმულნი მოვიდეს ვარძიას, თვით თამარიცა მივიდა, და ჯეროვანი მადლობა შეწირა"^[17].

მუსლიმანური კოალიციის დარაზმული შემოტევა ქართველთა სამეფოს მოსპობას ისახავდა მიზნად, ამიტომ ბასიანის ომში მოულოდნელი დამარცხება მათთვის მძიმე ლახვარი იყო, ქართველებისათვის კი დიდი სიხარული. ბასიანის ომმა საქართველოს სამხედრო და პოლიტიკური პრესტიჟი განუზომლად გაზარდა, ხოლო მეზობელ მუსლიმანთა სამეფოებს დიდი ხნით დაუკარგა სურვილი საქართველოს წინააღმდეგ გალაშქრებისა. ქართველი ხალხის ეს დიდი ზეიმი აღუნიშნავი არც პოეზიაში დარჩენილა. იოანე შავთელმა, რომელიც ამ ბრძოლის დროს თამარს არ მოშორებია, ქართველთა ჯარის ამ ბრწყინვალე გამარჯვების აღსანიშნავად დაწერა, ერთი მხრით, სამადლობელო - "გალობანი ვარძიის ღმრთისმშობელისანი"^[18], ხოლო, მეორე მხრით, ამ ბრძოლის გმირის დავით სოსლანის ქება^[19].

ვნახოთ, არის თუ არა, და თუ არის, როგორ არის ასახული "აბდულმესიანში" რუქნადინის ბრძოლა.

"აბდულმესიანს" არა აქვს გარკვეული ფაბულური ჩონჩხი, მაგრამ ქებაში რამდენიმე მოტივის გამოყოფა მაინც შესაძლებელია^[20].

იწყება "აბდულმესიანი" სახოტბო ოდისათვის დამახასიათებელი ტრადიციული შესავლით (1-3 სტროფები), სადაც ავტორი მიმართავს ღმერთსა და ბრძენ კაცთ, რათა მიიღოს მათგან ძალა და შეწევნა ხოტბის დაწყებისათვის.

ამას მოსდევს გმირის მრავალმხრივი, მაგრამ ზოგადი დახასიათება: ის არის მხნე, ღმობიერი, სხვათა მძლეველი, მტერთ სისხლმჩქეველი, შეცოდების ბიწთა წარმღვნილი. გმირი ამავე დროს დაჯილდოებულია სიბრძნითა და სათნოებით. არ არის დავიწყებული არც მისი გარეგნობა.

ასეთი ზოგადი და ამალღებული ქების შემდეგ, რომელიც გრძელდება 26-ე სტროფამდე, ავტორი გადადის გმირის საბრძოლო მოღვაწეობის უფრო კონკრეტულ აღწერაზე. აქ ავტორი განსაკუთრებით უსვამს ხაზს იმას, რომ გმირი მოწოდებულია, "მსრველ - ბარბართა, მძლეუდ - სარკინოზთა ჩაფხუტჯაჭვჭურით, ოროლითურთით" (27). მომდევნო ოთხი სტროფი (29-32) ბრძოლის სურათია, სადაც დავით მეფე "მხედრობს უნესა" და

ე საც ერია, მეხებრ ერია, რაზმნი შეიქმნეს სულ-დალეული (29).

ბრძოლის აღწერაში ყურადღებას იპყრობს 30-ე სტროფის დასაწყისი:

მტერთა მახვილნი იქმნეს, ვით ცვილნი,
მახითა მითვე, რომელ დაარწყვეს (30).

აქ აშკარადაა ნათქვამი, რომ მტერი თავისსავე დაგებულ მახეში გაება და ამ გზით განადგურდა. ეს კი მითითება უნდა იყოს რუქნადინის ლაშქრობაზე. ცნობილია, რომ საქართველოს მოსპობის სურვილით ატაცებული რუქნადინი მისივე წამოწყებული ომის მსხვერპლი გახდა.

მომდევნო სტროფი ბრძოლის იმ ერთ-ერთი ეპიზოდის აღწერას უნდა წარმოადგენდეს, სადაც განსაკუთრებით უსახელებია თავი ქების გმირს, დავით სოსლანს.

იყვის რა ზმითა, ურიცხვ რაზმითა
გულის-მდებელად თვისთა სპათათვის,
გორგასლიანი, დავითიანი
დროშა იახლის მსრველად მტერთათვის.
არ ვეჭვ, ეგზომი ბრძოლა და ომი
სხვასმცა ძალ-ედვის მისგან მიმართ ვის?
მებრძოლთა გუნდნი ყოვლად ყვნის ცუდნი
ხმა როსტომითა უმხნე ძალთათვის (31).

სტროფის პირველი ნახევარი ასე უნდა გავიგოთ: საბრძოლო შეძახილებით, კიჟინით და ურიცხვი რაზმით ის (დავით სოსლანი) ამხნევებდა თავის სპას. მას თან ახლდა გორგასლიან-დავითიანი დროშა მტერთა მსრველად. შემდეგ ავტორი თავის მხრით ურთავს, რომ მისებრი ბრძოლა და ომი სხვას არავის ძალ-ედვის. მან გააცუდნა მებრძოლთა გუნდნი. ეს აღწერა უნდა ასახავდეს ბასიანის ომის ერთ მეტად კრიტიკულ მომენტს. ცნობილია, რომ რუქნადინთან უთანასწორო ბრძოლაში ქართველი მხედრები თავიდანვე დიდ განსაცდელში ჩავარდნენ. მტერი რიცხოზრავად იმდენად ჭარბობდა, რომ ქართველები ”კნინდა სივლტოლად მიდრკნეს”. ამ მძიმე მდგომარეობიდან ჯარი დაიხსნეს დავით სოსლანმა და ზაქარია ამირსპასალარმა. მათ მხედართა მცირერიცხოვანი რაზმით მტერს შემოუარეს და სხვა ადგილიდან შეუტყეს. ამ ახალმა შეტევამ გადაწყვიტა ბრძოლის ბედი. მტერი შეშინდა და ”პირველსავე მოკიდებასა და ხეთქებასა ხმალთასა შედრკა და გაიქცა”^[21]. ეს მომენტი უნდა იყოს აღწერილი 31-ე სტროფში. ამით ამთავრებს ავტორი ბასიანის ომის გადმოცემას. მომდევნო სტროფში იგი დიდი მხატვრული ოსტატობითა და ლაკონიურობით ხატავს ბრძოლის ველს, სადაც სერი გაუმართავთ მხეცებსა და ფრინველებს (32):

აღმოფხვრა სული - ძე და ასული:
რაც უყო, თქმევად ვის ძალ-უც ენით?
ვნახეთ ა სერი: მაზედა სერი -
მხეცნი, მფრინველნი უწყლად მისევენით!
ექმნა უწყალოდ, თვით ქმნა უძალოდ
მეფე გლახაკებრ ძონძთა მოფენით.

უკანასკნელ ტაეპში შეიძლება ვიგულისხმოთ ბრძოლის ველიდან გაქცეული რუქნადინი.

ამის შემდეგ ავტორი კვლავ ქებას ასხამს ომის გამარჯვების მიზეზს დავით სოსლანს, აფასებს და აზოგადებს ამ ბრძოლის შედეგებს (34):

აბჯარ-ხრმალითა, ვეფხებრ მკრჩხალითა
მეხ ექმნა მტერთა ცით მოსალოდნი.
მიჰხვდეს სიბრმესა, დაჰხდეს სიღრმესა
ორგულთა ერნი, ვითარცა ლოდნი.
აქა რა ვანი, ა ქარავანი
მეგობართაგან მათთვის საწოდნი.^[22]
ვადიდებ ხელსა ბრძენსა, არ ხელსა,
რომ სცა მათ ნიშნად ბოლოდ საცოდნი.

დავით მეფის აბჯარ-ხრმალითა და ვეფხებრ მკრჩხალით განადგურდა მტერი. ამიერიდან ორგულთა ერნი ლოდებრ შთაინთქენ უფსკრულში (სიღრმეში). რა დარჩა მათგან? სადღაა მათი ადგილ-სამყოფი (ვანი - ალბათ, საბრძოლო ბანაკი), სადღაა ქარავანი, მეგობართაგან მოწოდებული, ყველაფერი მოისპო. ავტორი დასძენს: ვაქებ იმ ბრძენ ხელს, რომელმაც უჩვენა მტერს მათთვის მოსალოდნელი ბოლო.

ამას კვლავ მოჰყვება ბრძოლის გმირის უძლეველობის მაღალფარდოვანი ქება, რომელიც გადაიზრდება სამეფო სრა-სასახლისა და იქ გამართული ზეიმის აღწერაში. გამარჯვებულთა ზეიმით მთავრდება ხოტბის ეს ძირითადი ნაწილი, სადაც გაბმითაა აღწერილი გარკვეული კონკრეტული ამბავი.^[23]

ხოტბის ამ ეპიკური ნაწილის შემდეგ იწყება ისევ ზოგადი ქება (51-95), მაგრამ თუ აქამდე ქების აქცენტი მოდიოდა ბასიანის ომის გმირზე - დავით სოსლანზე, ახლა მეხოტბეს ყურადღება გადააქვს თამარზე - ქვეყნის მესაჭესა და ბრძოლის შთამაგონებელზე, რომელიც ღმრთით დადგენილი მეფეა, შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსი, "სიბრძნის ჭური", სჯულის დამცველი, სამართლიანი, განგებიანი, სათნო და მშვენიერი.

ქების ამ ორი გმირის სახე სხვადასხვა ასპექტითაა გახსნილი მეხოტბის მიერ. პირველი - მოქმედებასა და მოძრაობაში, ომსა და მტერთა დამლევაში; მეორე კი უფრო სტატიკურია, აღწერთი. იგი სიბრძნეს, სიმშვიდეს და სილამაზეს ასხივებს.

ქების უკანასკნელი ნაწილი (96-107 სტრ.) სამგლოვიარო ხასიათს ატარებს. ხოტბის სამგლოვიარო სტროფების შესახებ სხვადასხვა ვარაუდია გამოთქმული. ზოგს მიაჩნია, რომ ეს სტროფები დაწერილია როგორც ხოტბის ნაწილი, ოღონდ ხოტბის დასრულების შემდეგ, თამარის გარდაცვალებასთან დაკავშირებით^[24]. ზოგი კი ვარაუდობს, რომ 96 - 107 სტროფები დამოუკიდებელი ელეგიაა^[25].

ვფიქრობთ, უფრო მართებული იქნება, თუ ამ ელეგიურ სტროფებს არ დავაცილებთ ხოტბას, და მივიჩნევთ დავით სოსლანის გარდაცვალებასთან დაკავშირებით დაწერილ ელეგიად.

დავით სოსლანს ბასიანის ომის შემდეგ დიდხანს აღარ უცოცხლია. მემატთანე პირდაპირ წერს, რომ გამარჯვების სიხარული ხანმოკლე აღმოჩნდა: "ესრეთ სიხარულსა შეუთქს მწუხარება. ამისთვის მოიწია მწუხარება, რამეთუ მიიცვალა სოსლან დავით, კაცი აღსავსე ყოვლითა სიკეთითა, საღმრთოთა და საკაცობოთა, შესახედავად განშუენებული, ხოლო წყობათა და ომთა შინა მხნე ვინმე გულოვანთაგანი, უხვი და მდაბალი და სიკეთე აღმატებული"^[26]. ამიტომ, რომ თავიდანვე საზეიმო ოდად გამიზნული "აბდულმესიანი" ავტორმა გმირის მოულოდნელი სიკვდილის გამო სამგლოვიარო ელეგიით დაასრულა^[27].

თუ ეს ვარაუდი სწორია, მაშინ შეიძლება "აბდულმესიანის" დაწერის თარიღის ზუსტად განსაზღვრაც. იოანე შავთელს "აბდულმესიანის" წერა უნდა დაეწყო ბასიანის ომის დამთავრების შემდეგ (ე. ი. 1206 წელს), ხოლო დაემთავრებინა 1207 წელს, დავით სოსლანის გარდაცვალების უმალ, ვინაიდან 105 და 106 სტროფებში ავტორი გლოვობს და ეთხოვება სასიკვდილოდ განწირულ ან ახლად გარდაცვლილ გმირს, რომელსაც გელათში დაკრძალვა მოელოს (105):

ვნატრი ელადსა, თვით მას გელათსა,
სად რომ დაკრძალვენ წმიდათ სხეულთა.

ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ ხოტბაში არც ბასიანია ნახსენები და არც რუქნადინი, ოდის შინაარსობლივი ანალიზი, მისი შეპირისპირება თამარის მემკვიდრის ცნობასთან, და აგრეთვე ის, რომ იოანე შავთელი სწორედ ამ ბრძოლის დროს თამარის მუდმივი მხლებელია ვარძიასა და ოძრხეში^[28], გვაფიქრებინებს, რომ შავთელმა ბასიანის ომში ქართველთა გამარჯვებას მიუძღვნა როგორც "გალობანი ვარძიის ღმრთისმშობელისა", ასევე "აბდულმესიანი".

საკითხის ამგვარი ახსნით გასაგები ხდება, თუ რატომ არის "აბდულმესიანის" ქების ცენტრალური ფიგურა დავით სოსლანი და არა თამარი. იხსნება ისიც, თუ რატომ არაფერია თქმული პოემაში თამარის სხვა ლაშქრობათა შესახებ და ავტორი მხოლოდ ერთი ბრძოლის სურათს აღწერს. და ბოლოს, ადგილი ეძებნება ხოტბაში სამგლოვიარო ელევგისაც.

რა ვიცი იოანე შავთელის შესახებ? იოანე ყოფილა შავშიდან. მატყანის ცნობით, ის იყო "ფილასოფოსი და რიტორი, ლექსთა გამომთქმელი და მოღუაწებათა შინა განთქმული".^[29] ამ შეფასებას სავსებით ამართლებს "აბდულმესიანის" ავტორი. "აბდულმესიანი" ამკარად მოწმობს ავტორის მრავალმხრივ განათლებას, მჭევრსიტყვაობის დიდ უნარს და დიდ პოეტურ ოსტატობას. ასეთსავე ოსტატობას იჩენს შავთელი ვარძიის ღმრთისმშობელისადმი მიძღვნილ "გალობანში"^[30].

იოანე შავთელს მიეწერება ე. წ. ასურული კვინკლოსის "საძიებელი და მასწავლებელი", რომლის სათაურში იოანე "ნეტარად და წმინდანად" არის მოხსენიებული. ეს ეპითეტები აფიქრებინებს მკვლევრებს, რომ იოანე სასულიერო პირი იყო^[31]. ამას, თითქოს, მხარს უჭერს ისიც, რომ იოანე შავთელი "აბდულმესიანში" თავის თავს უწოდებს "მწირსა და მსხემს" (54).

იმის დადგენა, თუ როდის იყო შავთელი ბერი და როდის ერისკაცი, არ ხერხდება.

არც იმის თქმა შეიძლება დაბეჯითებით, რომ შავთელმა ბერობაში დაწერა "გალობანი", ხოლო ერობაში "აბდულმესიანი", ვინაიდან ორივე ნაწარმოები დროის მოკლე მანძილზე ჩანს დაწერილი.

სამეცნიერო და საღმრთისმეტყველო განათლება იოანე შავთელს საშუალებას აძლევდა ერთნაირი წარმატებით ემოღვაწა საერო და სასულიერო მწერლობაში. ღრმა სასულიერო განათლების კვალი აჩნია არა მარტო "გალობანს", არამედ "აბდულმესიანსაც".

სახოტბო პოეზია, რომელიც შეიქმნა და განვითარდა სამეფო კარზე, არ იყო განკუთვნილი მსმენელთა ფართო წრისათვის. მეხოტბის ლექსებს, ჩვეულებრივ, ისმენდა საზეიმო ვითარებაში მაღალი არისტოკრატიული წრე, მეფის მახლობლები და კარის პოეტები.

კარის პოეტი მოვალე იყო არა მარტო დაეტკბო პატრონის ყურთასმენა მუსიკალური ლექსებით, არამედ პირველ რიგში შეექმნა ისეთი ნაწარმოები,

რომელიც განამტკიცებდა პატრონის სახელმწიფოებრივ ძლიერებას, დაასაბუთებდა მის პოლიტიკურ კურსს. ეს კი ნიშნავდა სამეფო პერსონის და მისი სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის განდიდებას შესაძლებელ და შეუძლებელ მასშტაბებამდე.

უსაზღვრო პოეტურ გაზვიადებებში, ჩვეულებრივ, იკარგება ხოტბის ობიექტის რეალური სახე, მაგრამ იმავე გაზვიადების გამო სახოტბო პოეზიაში მეტად მკვეთრად ჩანს ეპოქის პოლიტიკური და სოციალური ტენდენციები, რის გამოც სახოტბო პოეზია ეროვნული ისტორიის თვალსაზრისით ბევრად უფრო მდიდარ მასალას მოიცავს, ვიდრე ამავე დროის სხვა ჟანრის თხზულებები.

მეხოტბეს მსმენელში უნდა გამოეწვია განცვიფრება არა მარტო ლექსის სრულყოფილი ფორმით, მუსიკალურობითა და მაღალი ტექნიკით, არამედ უპირველესად ღრმა და მრავალმხრივი განათლებით, იმ მწიგნობრული ცნობებით მეცნიერების სხვადასხვა დარგიდან, რომელსაც მეხოტბე ხშირად მიმართავს და მხატვრული შედარებების მასალად იყენებს. ამ მასალით მეხოტბე სავსებით შეგნებულად ტვირთავს ხოტბას.

”აბდულმესიანი”, ისევე როგორც ”თამარიანი”, არსებითად პოლიტიკურ მიზნებს ისახავს. ორივე მეხოტბე ცდილობს დაამტკიცოს პატრონის - მეფის ღვთისსწორობა, უცდომელობა, სიბრძნე და ამ გზით შექმნას მტკიცე, დასაბუთებული საყრდენი ცენტრალიზირებული სახელმწიფოსა და ქვეყნის ერთმმართველისათვის. ამისათვის კი, ორატორულ სტილთან ერთად, მტკიცე საბუთიანობაცაა საჭირო, რისთვისაც ავტორი საეკლესიო და საღვთისმეტყველო ავტორიტეტულ წყაროებს მიმართავს^[32]. ამის გამო სახოტბო პოეზია უფრო ინტელექტუალური ხასიათისაა და შედარებით მოკლებულია უშუალო ემოციური ზემოქმედების უნარს.

რუსთველისათვისაც ”შაირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი”, მაგრამ მას პოეტური შემოქმედებისათვის ესაჭიროება, პირველ რიგში, ”ენა, გული და ხელოვანება”, მეხოტბეს კი სიბრძნე და განსწავლულობა: ”სამეხით ღმერთმან, არსებით ერთმან მომცეს მე სწავლა თქვენდა შემკობად”, - წერს შავთელი.

ღმრთისადმი ასეთივე მიმართვით ასრულებს პოეტი თავის ხოტბას:

თქვენთვის დიდებით, ცუდ მიდ-მოდებით
სიტყვა შევკრიბე უნდო რამ ენით:
ხამს შემეწია, თვით შემეწია
მუსიკ-მგოსანით, მესტროლაბენით,
სიბრძნის არდაგი, სახმილთ არ დაგი,
წელთა მომერტყა სწავლის ბადენით. (101).

ავტორს მიაჩნია, რომ მას ქებისათვის უნდა მოეხმო მუსიკ-მგოსანნი, მესტროლაბენი, ხოლო თვითონ წელს უნდა მოერტყა ”სიბრძნის არდაგი სწავლის ბადენით”.

როგორც ვიცით, კლასიკური ხანიდან ჩვენამდე მოაღწია სახოტბო პოეზიის მხოლოდ ორმა ძეგლმა - ”თამარიანმა” და ”აბდულმესიანმა”. ორივე ნაწარმოები იქამდე სრულყოფილია იდეური და მხატვრული თვალსაზრისით, იქამდე ჩამოყალიბებული და გამოკვეთილია ჟანრობრივად, რომ, აშკარაა, მათ შექმნას წინ უსწრებდა სახოტბო პოეზიის განვითარების რთული და ხანგრძლივი გზა.

ჩამოყალიბების პროცესში ქართულმა სახოტბო პოეზიამ ბევრი შეითვისა დიდი ტრადიციის მქონე სპარსულ-ტაჯიკური საკარო პოეზიიდან. ამავე დროს თავისი ფესვებით ის მჭიდროდ იყო დაკავშირებული ქართულ სასულიერო პოეზიასთან.

სასულიერო შესხმა, ისევე როგორც საერო, საზეიმო ხასიათს ატარებს. ორივე შემთხვევაში მიზანიც ერთია - შეიქმნას შესხმის ობიექტის დიდებული, ჰიპერბოლური სახე, რასაც ავტორები აღწევენ ჰიპერბოლური შედარებების უხვი გამოყენებით. მაგრამ სასულიერო და საერო შესხმას შორის არსებითი განსხვავებაცაა. ჰიმნოგრაფი ხატავს სულიერი გმირის სახეს. აღწერს მის სულიერ მხნეობას, სიწმინდეს, ღმრთისმოშიშობას. მეხოტბის გმირი კი პირველ რიგში ბრძენი სახელმწიფო მოღვაწეა, რომელსაც, მაღალ გონებრივ და სულიერ თვისებებთან ერთად, ხმალიც კარგად უჭრის.

”აბდულმესიანის” ავტორი მრავალმხრივ განათლებული პირია. ის ნაკითხია ბერძნულ ისტორიულ, ფილოსოფიურ და მხატვრულ ლიტერატურაში, კარგად იცნობს ბიბლიასა და სასულიერო მწერლობას, სპარსულ მითოლოგიას, ისტორიას და სპარსულ-არაბულ პოეზიას.

ქებაში ხშირადაა მოხსენებული ბიბლიური წიგნები და პერსონაჟები: წიგნი მეფეთა, ქებათა ქება, ეკლესიასტე, სიბრძნე სოლომონისა, ნემტთა. გვხვდება საეკლესიო მწერლობისათვის დამახასიათებელი გამოთქმები და სახეები: ვენახი კეთილ-განსხმული, სორექთ-მომრთმელი, ცნობის სვეტი, სჯულის ფიცარი. მაღლთა ბარძიმი, მზე დაუვალი, ნამვი ღიბანით, სარო ერმონით, ფინიკი ზრდილი, იერიქოს ვარდი და ბოლოს, ავტორი შედარების მასალად არა ერთხელ მიმართავს სპარსულსა და ბერძნულ მითოლოგიასა და ისტორიას.

ჰიმნოგრაფიულ მწერლობაში გავრცელებულ სახეებს ავტორი მიმართავს გმირის სულიერი თვისებების, მისი სიწმიდის, კაცთმოყვარეობის თუ ღმრთისმოშიშობის დახატვისას. საამისოდ ქართულმა ჰიმნოგრაფიამ მხატვრული აღწერის მდიდარი ხერხები შეიმუშავა.

იმ შემთხვევაში კი, როდესაც მეხოტბეს ესაჭიროება სახელმწიფოებრივი სიბრძნის, გმირის ფიზიკური ძლიერების, სიმდიდრის თუ ბრძოლების აღწერა, ის უმთავრესად ქართული საერო მწერლობისა და სპარსული სახოტბო და საგმირო-რომანული ეპოსის მხატვრული საგანძურით სარგებლობს.

შავთელის ფართო განათლება ერთდროულად სასულიერო და საერო მწერლობაში და ამით გამოწვეული სხვადასხვა მხატვრული ხედვითა და მხატვრული მასალით ხოტბის გმირის აღწერა შეუმჩნეველი არ დარჩენია ნ. მარს. ამის თაობაზე ის წერდა: ”Шавтели не духовный писатель, бесспорно, но и нельзя его считать светским наравне с Чахрухадзе и Руставели. Последние два поэта, как все современные образованные грузины, получили духовное воспитание; однако духовное образование не было у них единственным. В Шавтели же духовно-образовательный элемент сказался, правда, так же не исключительно, но преимущественно; этот смешанный характер писателя отозвался на его труде и сделал из его произведения то, что, светское по замыслу и по форме, оно по духу и выполнению является духовным”.^[33]

ნ. მარსის ეს დებულება უკიდურესობამდე განავითარა პროფ. შ. ნუცუბიძემ. მისი აზრით, შავთელის პოემაში შემჩნეული იდეურ-მხატვრული არაერთგვარობა გამოწვეულია იმით, რომ ”აბდულმესიანში” მექანიკურად არის შერწყმული ორი სხვადასხვა დროის და სხვადასხვა პირის შესხმა. ერთი - დავით აღმაშენებლის ქება, დაწერილი მისივე თანამედროვის მიერ; მეორე - თამარის ქება, დაწერილი თამარის კარის მგოსნის იოანე შავთელის მიერ^[34].

”აბდულმესიანი” იწყება ღმრთისადმი მიმართვით, მეხოტბე ევედრება ღმერთს, რათა სწავლა მისცეს გმირის შესხმისათვის (1)^[35]:

სამეხობით ღმერთმან, არსებით ერთმან
მომცეს მე სწავლა თქვენდა შემკობად!

იოანე შავთელის თქმით, მისი ქებანი მსგავსი უნდა იყოს დავით
წინასწარმეტყველის მიერ ებანის აკომპანემენტით შესრულებულ ფსალმუნებისა და
ღალღებისა (1)^[36]:

გიძღვენ ქებანი, მწადს აქ ებანი,
დავითის დავით ვჯდე მუსიკობად.

შესხმას უნდა გალობდეს და ისმენდეს მთელი სამყარო:

შემოკრებით ბრძენო, ათინელთ ძენო,
თამარს ვაქებდეთ მეფედ ცხებულსა,
ტომნი და ერნი, ყრმანი და ბერნი
ადიდებდიან შვეებით და ხლდომით^[37].

ავტორი თავიდანვე გვაუწყებს, რომ შესხმის გმირი განსაკუთრებულია, რომ
მისი მსგავსი ამ ქვეყნად არ შობილა:

ძე ადამისი მსგავსად ამისი
ვისცა ეხილვონ, მამცნონ, სად არი?

მისი განსაკუთრებულობის მიზეზი ისაა, რომ იგი არ არის ჩვეულებრივი
ადამიანი. იგი ღმრთის სწორია, ხორცშესხმული ღვთაებაა. ის სრულყოფაა, ყველა
თავისი ადამიანური და ღვთაებრივი თვისებებით^[38].

მომდევნო სტროფებში ავტორი აყალიბებს თავის მესიანისტურ კონცეფციას,
რომლის მიხედვითაც დავით წინასწარმეტყველის შთამომავალი ქართველი მეფის
ქვეყნად მოვლინება თავიდანვე იყო განსაზღვრული (5):

დავითისადა, დავითისადა
ეფუცა უფალს სიტყვა მტკიცედა:
ნაშობნი შენნი, შენ მიერ შენნი,
დავსვა მსაჯულად საყდართა ზედა.

მეფის ღვთისსწორობის მტკიცებას პოეტი ქების მანძილზე მრავალგზის
უბრუნდება (77):

ღმერთმან და ძემან, ღმრთისა სიბრძნემან,
ყო ეს უადრეს სულთა ყოველთა,
ნათლად ცხორებად, არ განშორებად
ზეცისა ძალთა, გუნდთა ცხოველთა.

ანდა (89):

არვისგან არსმან, თვით დამარსმან,
სამეხობით სრულმან თვით იმოქმედა,
ნამდვილ ღმრთაებით, საბაოთებით
ნივთთ შექსულობით წარმოადგინა.

ამ კონცეფციით გამართლებულია ყველა ის თვისება, რომელიც მიეწერება მეფეს. ის უკვდავია, უხრწნელმყოფელი; იგი უძლეველია, ვინაიდან მტერზე და ურწმუნოზე მისი გამარჯვება ღმრთის მიერ არის წინასწარ გარდაწყვეტილი. იგი უცთომელია როგორც სახელმწიფო მოღვაწე, ვინაიდან მიწაზე მესიად წარმოგზავნილი ღვთაებრივ სიბრძნეს ახორციელებს. ის მოწოდებულია "სჯულის დამბეჭდავად", "შეცოდების ბიწთა წარმღვნელად". ამიტომ ის არის "გზა სიწმიდისა, ცხოვრების თვალი" (55). ის მოველინა ღვთისმშობლის წილხდომილ საქართველოს "სვეტად სჯულისად, ზღუდედ სულისად, აგარის ერთა ცეცხლთა მომდებად" (16). ის მფარველია არა მარტო ქართველი ხალხისა, არამედ მთელი ქრისტიანული სამყაროსი.

სამხედრო ქველობის სასწაულებით ქართველთა მეფემ მთელი ქვეყანა მოხიბლა. სპა და გორგასლიან-დავითიანი დროშა "იახლის მსრველად მტერთათვის" (31). მეხოტბე სიამაყის გრძნობით შეჰყურებს დიდებულ ქართველ მეფეს, რომელსაც მთელი სამყარო შეჰხარის და უმღერის (60):

თქვენ ინდოეთი, კვირინ-გუთეთი,
არიელ-ფოტელ-გერგესეველი,
შიშველ-მართალი, ციდამტკაველი,
აბამ-შაბაში, ღვედკეცეველი,
ბასრი, ბარანი, ვრახმან, ერანი-
გაქებს, გადიდებს მნობით ყოველი.

მაგრამ მეფის ფართო ეროვნულ-სახელმწიფოებრივი საქმიანობა ყველას როდი მოსწონდა. მეფეს მრავალი მტერი ჰყავდა სახელმწიფოს შიგნით და გარეთ, რომელიც ხელს უშლიდა მას სახელმწიფოებრივი გეზის განხორციელებაში. ეროვნულ პოზიციაზე მდგომი მეხოტბე აშკარად ხედავს ქვეყნის შიგნით პარტიკულარულ ტენდენციებს იმ ფეოდალთა შორის, რომლებიც ვერ ეგუებოდნენ მეფის ერთმმართველობას, მისი ნების სიმტკიცეს სახელმწიფოებრივ საქმიანობაში და მათი უფლებების დამცრობას. მეხოტბე მღელვარე წყევასა და კრულვას უგზავნის ამ რიგის ორგულთა და მოღალატეთა. ავტორი ათასნაირ ტანჯვას უწინასწარმეტყველებს და ამით ერთგვარად აფრთხილებს მათ. წყევის ეს სტრიქონები ამაღელვებელი ექსპრესიითაა დაწერილი (104):

ცეცხლი ბნელისა გარესკნელისა,
და წამლიანი მატლი ღრჭენისა,
მოსრვა ნეფხვითა, ძნელთა სეტყვითა,
თოვლით, წვიმიტა ღვარ-ნაფშვენისა
ორგულთ ეწიოს, ვერ განეწიოს!
ურჩი ვინც იყოს ტახტის თქვენისა,
ღელე გლოვისა ექმნას გლოვისა,
ჟამნი მოუხდეს ცრემლთა დენისა!

მეფე კი ქვეყნის ბურჯია - მტერთა მომსრველი, ერთგულთ მფარველი (61):

ძირმტკიცედ გოდლად, ზედ კართა ზღურბლად
ცის კამარათა სჩანხარ ზესთ მდეგად.
ორგულთა მოსწყლავ, ძირითურთ მოჰსხლავ,

ერთგულთ ექმნები ფარად და ზურგად.

რამდენადაც სასტიკია მეფე ორგულთან, იმდენად გულუხვია ერთგულთან. როგორც ჩანს, მეფის გულუხვობის კალთა მის კარის პოეტს იოანე შავთელსაც გადაჰფარვია. იგი მეხოტბისათვის ჩვეული თავმომწონეობით ჩამოთვლის მეფისაგან მიღებულ წყალობას (65):

გვცა სრა სრულებით, სავსედ სრულ ებით
თვალ-გოვარებით, ოქროს მილებით.
მისგან ბოძება - ართუ მოძება -
მრავლად ვიხილეთ ტკბილის გულებით.
ჩვენთვის მთმობელად, დასათმობელად
სანუკვრად ვპოვეთ ესმარ-ხილებით.

ეს არის "აბდულმესიანის" იდეურ-პილიტიკური სქემა, რომელიც 107 სტროფიან ოდაში რამდენიმე მიმართულებითაა გაშლილი.

ისტორიული მისიით მოვლენილი ქართველი მეფე დაჯილდოებულია სახელმწიფოებრივი სიბრძნით, ნების სიმტკიცით, შეუპოვარი ბრძოლის უნარით. ამავე დროს ის ღვთისმომშიში, შჯულიერი და განგებია, სასტიკია მტერთან, გულისხმიერი - მოყვარესთან. ამ თვისებათა შექებით იხსნება გმირის სახე ოდაში, მაგრამ რაიმე სისტემის ან კანონზომიერების დაჭერა ამ აღწერაში ძნელია. ავტორი იწყებს ერთი თვისების შექებით, გადადის მეორეზე. შემდეგ, სადაც უფრო შორს, მოულოდნელად კვლავ უბრუნდება პირველს. ასე, ერთი და იგივე მოტივი ქებაში ბრუნავს და რამდენჯერმე მეორდება სხვადასხვა ადგილას. ასეთი, ერთი შეხედვით, უსისტემო აღწერა სახოტბო ძეგლში სავსებით მოსალოდნელი და გამართლებულია.

სახოტბო პოეზიის თემატიკურმა შეზღუდულობამ და სიღარიბემ ბევრით განაპირობა ქების ფორმის თავისებურება და მეხოტბის წერის მანერა. მეხოტბის მთელი ცდა იქითკენ იყო მიმართული, რომ ერთი თუ ორი პირის .ირგვლივ შეექმნა "ქება გრძელი" (ასე უწოდებს შავთელი თავის ლირიკულ ოდას), სადაც ქების ობიექტის დიდებული და ბრწყინვალე სახე გამოიკვეთებოდა. ამისათვის ავტორი მიმართავდა რთულ, ხელოვნურ და თავსამტვრევ სახეებს, სხვადასხვა მხატვრული აქსესუარებით ერთი და იმავე მოტივის ვარიაციულ დამუშავებას და ბოლოს მდიდარ ინტონაციას და რითმას.

"აბდულმესიანი" რომ დალაგდეს ქებაში აღწერილ გმირის თვისებათა ან გარკვეული მოტივების მიხედვით, ჩვენ მივიღებთ ლოგიკურად შეკრულს, მაგრამ მხატვრულად ძნელად ასათვისებელ, მონოტონურ ნაწარმოებს. ერთი და იგივე მოტივის ეპიზოდური და გაფანტული აღწერა ერთგვარი ხერხია, რომლითაც ავტორი თავს აღწევს ტავტოლოგიას, ერთფეროვნებას და მონოტონურობას. ქების სხვადასხვა ადგილას და სხვადასხვა სახეებით გადმოცემული გმირის გარეგნობა მკითხველის ყურადღების უფრო ძლიერ ფიქსაციას იწვევს. ვიდრე იგივე ადგილები თავმოყრილი ერთად.

ამრიგად, ქების მანძილზე ერთი და იგივე მოტივის სულ სხვადასხვა მხატვრული ფორმით გამეორება ავტორის გარკვეული მხატვრული ხერხია, ნაკარნახევი ნაწარმოების ჟანრობრივი თავისებურებით.

რა თქმა უნდა, სავსებით დასაშვებია, რომ "აბდულმესიანის" სტროფულმა შედგენილობამ და თანმიმდევრობამ ჩვენამდე თავდაპირველი სახით არ მოაღწია.

ზოგი სტროფის გადანაცვლება შეიძლება ხელოვნურად მოხდა დროთა ვითარებაში, მაგრამ ამგვარი დაშვებაც კი არ ცვლის აღწერის ზემოთ განხილულ მეთოდს, ვინაიდან ის სისტემად არის გატარებული მთელს ქებაში. ავტორი სრულიად შეგნებულად ცდილობს თავი აარიდოს სტროფების ლოგიკურ დაკავშირებას. ქებაში თვითეული სტროფი ან სტროფების პატარ-პატარა ჯგუფები, უმრავლეს შემთხვევაში, დასრულებული ცალკე მხატვრული ერთეულია - პატარა ოდებია გმირის ამა თუ იმ თვისების გამომხატველი. ყველა ეს მხატვრული ერთეული უშუალოდ არის დაკავშირებული ქების ობიექტთან. ქების ობიექტი ის ხერხემალია, რომელზედაც ეს ცალკეული მხატვრული ერთეულები აისხმის ერთ მთლიან სახოტბო ლირიკულ ლექსად. გამონაკლისია ერთი-ორი ლირო-ეპიკური ადგილი (ბრძოლის აღწერა და ზეიმი ბრძოლის შემდეგ), სადაც გარკვეული ამბავია მოთხრობილი.

წერის ამ მანერამ განსაზღვრა ქების კომპოზიციის თავისებურებაც. სამეცნიერო ლიტერატურაში გარკვეულია, რომ "აბდულმესიანში" შექმნილია ორი გვირგვინოსანი მეფე. მაგრამ "აბდულმესიანი" არ წარმოადგენს ორი დამოუკიდებელი შესხმის მექანიკურ შეერთებას ან რაიმე გეგმით დაწერილ ორი გმირის ქების შერწყმას. ავტორი იწყებს ერთის ქებით, გადადის მეორეზე, ხან ორივეს ერთად აქებს, ხშირად იმის გარკვევაც კი ვერ ხერხდება, თუ რომელ გმირს ეხება ესა თუ ის სტროფი. მაგრამ ამისდა მიუხედავად ქება კომპოზიციურად მაინც შეკრულია. ორივე გმირის ქება ისეა დაწერილი, რომ ორივე ერთნაირი სიძლიერით ერწყმის ქების საზეიმო, ამაღლებულ განწყობილებას და ამ მხრივ ისინი სრულ ჰარმონიაში არიან როგორც ერთმანეთთან, ასევე ქებასთანაც. ამდენად მეხოტბესთან მთავარია არა ქების კონკრეტული შინაარსი, მასალა, არამედ ის მხატვრული საშუალებები, რომლებითაც ავტორი სარგებლობს აღწერის დროს. ეს განსაკუთრებით ეხება "აბდულმესიანს", სადაც, "თამარიანისაგან" განსხვავებით, ავტორი იშვიათად მიმართავს და იყენებს კონკრეტულ ისტორიულ ფაქტებს გმირის ცხოვრებამოღვაწეობიდან, რის გამოც "აბდულმესიანში" მხატვრული აღწერა მოკლებულია რაიმე ინდივიდუალურ ნიშანდობლიობას.

"აბდულმესიანის" გმირების სახე ორი მიმართულებითაა გაშლილი. გმირის სულიერი სახე და გმირის სამხედრო-სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა. პირველ შემთხვევაში, როგორც უკვე ზემოთ ითქვა, მეხოტბე უმთავრესად მიმართავს ჰიმნოგრაფიული მწერლობის მიერ შემუშავებულ მხატვრულ სახეებს^[39]. მეხოტბისათვის უცხოა სულიერი გმირის ფიზიკური გარეგნობა - მარხვითა და ღვაწლით დალეული სხეული ("სიმჭლეი გვამისაი"), მაგრამ მისთვის საკვებით მისაღებია ამ გმირის სულიერი მხნეობა, ღვთისმომშიშობა, სჯულიერება, სათნოება, კაცთმოყვარეობა და თავმდაბლობა (63):

თვალი ხარ ბრმათა, თვით მზრდელი ყრმათა,
მშიერთა პური, უსახლთ სართული,
მამა ობოლთა, მსაჯული ქვრივთა,
შიშველთ სამოსლად მონიჭებული,
მოხუცებულთა, შრომით რებულთა
სიმტკიცის კვერთხად მისაყრდნობელი!
მოგვფენ სიბრძნესა, წერილთ სიღრმესა
თვით განგვიმარტებ მაღლთა მთხრობელი.

ასე აღწერს მეხოტბე სამართლიან, ღვთისნიერ და ბრძენი მეფის პორტრეტს. ქებაში ხშირად მეორდება მეფის ეპითეტები: ქველი, ნათელი, წრფელი, სჯულის დამბეჭდავი. შედარებისთვის გამოყენებულია: ნაძვი ლიბანით, მირონგუნდრუკი, მანანა, რძის სიპოხე, უკვდავთ წყარო, წმიდა სამირონო, სიბრძნის სადგური და სხვა.

სულ სხვაგვარად აღწერს მეხოტბე სახელმწიფო მოღვაწისა და მებრძოლი გამირის სახეს. აქ ქების ობიექტი წარმოგვიდგება მოქმედებასა და მოძრაობაში. ავტორის კონცეფციით გამირი მეფე დაჯილდოებულია არაადამიანური ფიზიკური ძალით. მისთვის წინააღმდეგობის გაწევა უშედეგოა, მისი მტერი წინასწარ განწირულია, ის სხვათა მძლეველია, თვით კი უძლეველი. ამასთანავე ის ახოვანი და მზედ სახოვანია. თავისი სილამაზით გამირი მნათობებს ეცილება (17):

ვთქვა მე აწ ვითა, რომ იქმნეს წვითა
მნათობნი მძაფრად სხივთა მისთაგან.
ხედვენ მზერითა: “სწორავს მზე რითა?”.
ფიცვენ: მიჰრიდა თვისთა სხივთაგან!

ანდა:

მზე - მთოვართა! ცა - ვარსკვლავითა!
შუქნი მიუხვან მის ელვისათა.

ორივე შემთხვევაში ავტორი იყენებს აღმოსავლური მწერლობისათვის დამახასიათებელ ჰიპერბოლურ სახეებს.

მნათობებს სიმხურვალე და წვის უნარი მეფის ბრწყინვალე სახისაგან მიუღიათ. მეფის სილამაზეს ვერც მზე უსწორდება. მეფემ ”მიჰრიდა” მას სხივები, დაჩრდილა იგი.

48-ე სტროფი მთლიანად მეფის გარეგნობის აღწერას აქვს დათმობილი:

სახედ ელვისა! სახედველისა
მჭვრეტთა ვერ უძლეს განცდად სხივისა.
მო, ე კალმითა! მოეკალ მითა,
რომ უქმად სდეგით ხატვად სახისა.
მისთვის წამალნი სჯობს, რომ წამ აღნი,
თვარ იქმნეთ თვისთვის მზახნი ახისა.
მან იოსებსა - არ იოსებსა!-
სიტურფე ართო, თვით მსგავსი მისა.

მეფის სახის ელვარებას და სახედველთა (თვალთა) სხივთა განცდას (შეხედვას) მჭვრეტელნი ვერ უძლებენ. მის აუწერელ სილამაზეს ვერც მხატვრები გადმოსცემენ და კალმით ხელში უქმად დგანან. ავტორი მოუწოდებს მხატვრებს კალმის მაგივრად წამალი, ე, ი. საღებავი მოიმარჯვონ, რათა შეძლონ მეფის სახის ფერადოვნების გადმოღება. უკანასკნელ ტაეპში მეფე შედარებულია იოსებ მშვენიერთან.

როგორც ვხედავთ, მეხოტბესთან გარეგნობის მხატვრული აღწერა ერთფეროვანია. მისთვის სილამაზე არ არის დიფერენცირებული. როგორც წესი, ის არ აღწერს ნაკვთების - ბაგის, კბილის თუ თვალის ფერსა და ფორმას. ის სილამაზეს აღიქვამს როგორც თვალშეუდგამ სინათლესა და ბრწყინვალეებას. ამიტომ მისთვის გარეგნობის აღწერის ძირითადი მხატვრული ხერხია გამირის სახის შედარება მნათობებთან, მზესთან, მთვარესთან.

თუ "ვეფხისტყაოსნის" პოეტიკურ სემანტიკაში მეტაფორას უკავია უპირველესი ადგილი, მეხოტბესთან იგივე ადგილი უკავია შედარებას. თუმცა გამონაკლისის სახით "აბდულმესიანშიც" იშვიათ სამკაულად გამოჩნდება ხოლმე აქა-იქ მეტაფორა. მეტაფორათა ოსტატური ხმარების ნიმუშად შეიძლება მოვიყვანოთ დავით სოსლანის გარეგნობის აღწერა (100):

მეფევ მაღალო, ქცევა-მდაბალო,
ლომისა მსგავსო ძალად და გულად,
აღვისა რტოო, ყოვლად მარტოო,
მჭვრეტთ სასურველო მოსარხვევლად.
ვარდზედ გაშლილო ყორნისა ბოლო,
ქმნილო სურნელთა მოსაფრქვევლად,
შუქთა მფენებო, თვით განმთენებო,
ზე-სამყაროსა, მერმე ქვე-ველად!

აღვის ხე აქ მოსარხვევლად სასურვო კენარი ტანის მეტაფორაა, ხოლო ვარდზე გაშლილი ყორნის ბოლო - უღვაშით დამშვენებული ლამაზი სახე, რომელიც სილამაზესთან ერთად სურნელებსაც აფრქვევს. ეს უკვე წმინდა რუსთველური სახეებია, რომლებიც "აბდულმესიანში" მხოლოდ კანტიკუნტად არის გაბნეული. ამ მხრივ "თამარიანი" უფრო ახლოს მივიდა "ვეფხისტყაოსანთან".

მეტ ორიგინალობასა და მხატვრულ გამომგონებლობას იჩენს ავტორი "სხვათა მძლეველისა და თვით უძლეველი" გმირის მხატვრული სახის შექმნისას. გმირი მეფე ბრბოლაში საშინელია. მას ვერ უსწორდებიან სპარსეთის სახელმძღვანელო ფალავნები:

უთრუთ-საამით ზაალსა ამით
განქიქებულ ჰყოფს ძლიერებითა.
სალიმ და თური, ძლით უკეთური
როსტომ, ვერა ვცან, სწორავს თუ რითა?

მეფე ბრბოლაში მეხი და ქარიშხალია:

ე საც ერია, მ ე ხ ე ბ რ ერია. . .
იხმარის მკლავნი გ რ ი გ ა ლ - ქ ა რ უ ლ ი (29)
იგ აბჯარ-ხრმლითა, ვეფხებრ მკრჩხალითა
მეხ ექმნა მტერთა ცით მოსალოდნი (34).

მარტო მისი ხმაც კი საკმარისია მტრის მოსასრველად:

მტერთ არე წყალი და ნაბერწყალი
მიჰფინის ხმათა მისთა არმურმან; (70)

მისი საბრძოლო ნავარდის შემდეგ "რაზმნი შეიქმნის სულ-დალეულნი", ხოლო მტრის ბანაკი იავარ-ქმნილი და გავერანებული.

ქების ობიექტის გარეგნობის აღწერა "აბდულმესიანში" სტატიკური და ერთგვაროვანია, გმირი ბრძოლის დროს კი დიდი დინამიური ექსპრესიით არის დახატული. ავტორი ისე არჩევს მხატვრულ შედარებებს, რომ მშვენივრად

გადმოსცემს ბრძოლის სიმძაფრეს და გმირი მეფის მოძრაობისა და მოქმედების თავბრუდამხვევ, გამანადგურებელ სისწრაფეს.

”ოდა-ხოტბისათვის ძირითადად დამახასიათებელი არის გმირებისა და სიტუაციის იდეალიზაცია. ამ მიზნისაკენ არის მიმართული ყველა პოეტური ხერხის ფუნქცია”^[40]. ამიტომ, რომ ავტორი ხოტბაში დიდ ადგილს უთმობს იმ გარემოს აღწერასაც, სადაც გმირი ტრიალებს. ეს გარემო ისეთივე ბრწყინვალეა, როგორც შექების გმირი. გმირის გარშემო სიმდიდრე და სილამაზეა. ავტორი დიდი გატაცებით აღწერს გმირი მეფის სრა-პალატებს, სადაც ყველაფერი ხელოვნების ნიმუშია (39):

თუ უქო სრანი მე ამას, რანი?
გალავანისა შემკულობანი,
მტილ-სამოთხენი, თვალთ სამოთ ხენი,
ზედ ავაზანთა შექმნულობანი;
კართა სტოვანი, ერთა სტოლანი,
იპოდრომისა განხმულობანი,
სახმრად ლანკანთა, თანად პინაკთა
ბადახშით ხელ-ყვნეს შექმნულობანი.

სრა-პალატა, მტილ-სამოთხისა და იპოდრომთა აღწერის შემდეგ მეხოტბე გადადის პალატა შიგნითა შემკულობის აღწერაზე (40):

ტახტ-საჯდომელნი მკამკამებელნი,
სარდიონითა ხურუმზს შემკულნი,
მისაყრდნობელნი, ძნელ-საცნობელნი,
სამოთხით ნამღვნი, თვით უდნობელნი.
ოქრო-ვერცხლებრივ ბრწყინავს, ცეცხლებრივ,
კედელ-ყურენი ფიქლით მერწილნი,
ბივრილიონნი, ლიგვრილიონნი
ურთიერთობით შორის შთათხზილნი.

აქ ყველაფერი თვალისათვის საამოა, ყველაფერი კამკამებს, ცეცხლებრ ბრწყინავს; კედელ-ყურენი ქვების მოზაიკითაა შემკული. სიმდიდრე ყველგან სილამაზეს ემსახურება.

ძვირფასეულობის ასეთივე უხვი გამოყენებითაა აღწერილი გმირის ტანისამოსი. მაგრამ სიმდიდრით განცვიფრებულ ავტორს აქაც არ ავიწყდება სამოსელის მთავარი დანიშნულება - ის შესამკობელია. მარტო ამ აღწერით როდი კმაყოფილდება მგოსანი. მას სურს მთელი სრა-სასახლის სიმდიდრე და სილამაზე საზეიმო ვითარებაში წარმოადგინოს. ზეიმი მეტად მომგებიანი სიტუაციაა სამეფო კარისა და თვით მეფის ბრწყინვალეების წარმოსაჩენად (44):

იაგუნდისა, სხვა რა უნდისა?
ჯამები იყვის ლალ-ფირუზ
იყვის ჭურჭელთა სხვათ უცხო ფერთა
სიმრავლით დება, თვით ურიცხვისა.
ბევრად ძეს გორი, ერთა საგორი;
ზოდი ოქროსა მისგან თლილისა.
ისმის მგოსანთა, ვით საფირონთა
ხმანი ებნისა და წინწილისა.

საზეიმოდ განწყობილი დარბაზი ბრწყინავს ოქროს ზოდებისა და ლალ-ფირუზის ჯამების ფერთა თამაშით. საზეიმო განწყობილებას აძლიერებს მგოსანთა მიერ აჟღერებული ებნისა და წინწილის ხმები. ამ დიდებულ სურათს ავტორი ასრულებს ნადიმზე მეფის შემოყვანით (45):

ეგრეთ ინახის შორის ინახის,
ვით მზე სამყაროს მანათობელი,
მთვარის მშვენებით, ცისკრის მთენებით
სხივ-მკრთოლვარებით მკამკამებელი.

ამგვარ აღწერებში განსაკუთრებით კარგად მოჩანს მეხოტბის გაფაქიზებული გემოვნება, მხატვრის ხედვა; ფერების, ხმებისა და სახეების ოსტატური შეხამების უნარი. ეს ესთეტიკური მომენტი სრულიად უცხო იყო სასულიერო პოეზიისათვის. იგი პირველად თავს იჩენს კლასიკური ხანის ქართული საერო მწერლობის ძეგლებში.

საინტერესოა ის მხატვრული ხერხები, რომლითაც ავტორი აღწევს სახოტბო პოეზიისათვის მიუცილებელ სახეთა უსაზღვრო გაზვიადებას, ჰიპერბოლიზაციას.

ავტორი თავიდანვე ჩივის, რომ ქების გმირთა საკადრისი შესხმა ენით ვერ წარმოითქმის.

რა ვუყო, თქმევად ვის ძალ-უც ენით?

ამიტომ ის ხშირად შეგნებულად უვლის გვერდს გმირის თვისებათა აღწერას და მიმართავს ეფექტის გასაძლიერებელ ინტონაციურ საშუალებებს: ემოციურ შემახილებს, შეკითხვას, პათეტიკურ მიმართვას მკითხველისადმი თუ განცვიფრების გამოხატვას. ეს უკანასკნელი მხატვრული ხერხი სისტემურად არის გამოყენებული "ამირანდარეჯანიანში". შეიძლება ითქვას, რომ განცვიფრების გამოხატვა არის გმირის გარეგნობის გადმოცემის ძირითადი ხერხი "ამირანდარეჯანიანში".^[41] მისი ავტორი გმირის გარეგნობის აღწერის სხვა საშუალებებს არ იცნობს. "აბდულმესიანში" კი ეს არის განწყობილების გაძლიერების ერთ-ერთი ხერხი, რომელსაც ავტორი მიმართავს სხვა მხატვრულ ხერხებთან ერთად და არა მარტო გარეგნობის აღწერის დროს. მეხოტბესთან განცვიფრება, უმთავრესად, შეკითხვის წინადადებით არის გადმოცემული.

1. ძე ადამისი მსგავსად ამისი
ვისცა იხილვონ, მამცნონ, სად არის? (3)
2. ქვეყნისა ზღვარი - ჩრდილო და ბღვარი
დავლონ, ვის ძალ-უც მისებრ პოვნისა? (14)
3. სალიმ და თური, ძლით უკეთური
როსტომ, ვერა ვცან, სწორავს თუ რითა? (15)
4. მტკიცედ და მკვეთრად, მისგან უკეთ რად
ნეტარ ვინც იქმნა, ანუ თუ დარად? (66)
5. თვით ლომი გმირი: ნუთუ ეგ მირი
თქვენ ჰგონოთ მისებრ ძლიერებითა?! (69).

ზოგჯერ ავტორი უშუალოდ მიმართავს კითხვით მსმენელს:

არა სთნავს რისხვა, გესმის? - არი სხვა,
ნამდვილ რჩეული მოწყალებისა.

უფრო ხშირად ავტორი იწყებს ან ასრულებს მხატვრულ აღწერას კითხვითი წინადადებით და ამ გზით ამყარებს კონტაქტს მსმენელთან. გამოჰყავს მკითხველი აქტიური დამკვირვებლისა და შემფასებლის როლში, ააქტიურებს მსმენელს, იმოწმებს მას და ამით გარკვეული სიხალისე შეაქვს სულ პირველი პირით აღწერილ გრძელ ოდაში.

ავტორი სხვა საშუალებებსაც მიმართავს, რათა თავი დააღწიოს სახოტბო ლექსის ერთფეროვნებას.

ქება დაწერილია თავიდან ბოლომდე ერთი საზომით - 20-მარცვლიანი, 4-ტაეპოვანი ჩახრუხაული ლექსით, სადაც სტროფის ოთხივე ტაეპი ერთმანეთს ერითმება. ტაეპი იყოფა ოთხ თანაბარ ტერფად, რომელთაგან პირველი ორი ომონიმური შინაგანი რითმითაა შეკრული. ბუნებრივია, მდიდარი გარეგანი და შინაგანი რითმების წყალობით ლექსი დიდ მუსიკალურობას იძენს, მაგრამ ერთი საზომით დაწერილი ოდა, მდიდარი ომონიმური რითმებისა და ალიტერაციების მიუხედავად, მაინც მონოტონურია. ეს მონოტონურობა ლექსის რიტმული ერთფეროვნებითაა გამოწვეული. ამიტომ ავტორი ცდილობს ამავე საზომის ფარგლებში შეიტანოს ისეთი მხატვრული მომენტები, რომლებიც, ერთგვარად, რიტმული ნაირსახეობის კომპენსაციას მოახდენენ. პირველ რიგში მეხოტბე ამას აღწევს კონტრასტულ მხატვრულ სახეთა ხშირი მონაცვლეობით, გმირის სახის დახატვით სხვადასხვა მხატვრული მანერით და ინტონაციური ნიუანსებით. ყველაფერი ეს ერთგვარად ქმნის რიტმის ცვალებადობის ილუზიას. მაგრამ ერთ შემთხვევაში ავტორი უფრო შორსაც მიდის. 97-ე სტროფში ის არღვევს ჩახრუხაულის ტრადიციულ სახეს და ამით აღწევს ახალ რიტმულ და ინტონაციურ ეფექტს.

შენ გონიერო, გულისხმიერო, თვით მეცნიერო, მეფევე ძლიერო,
მიუხდომელო, მიუწვდომელო, მიუთხრობელო, წრფელ-სახიერო,
განათლებულო, განახლებულო, განბრწყინებულო, მზეო ციერო,
გალაღებულო, გალომებულო, კვლა გოლიათო, გულლმობიერო.

აქ პირველი ტაეპის ოთხივე ტერფი გარეგან რითმაზეა გაწყობილი. მეორე და მესამე ტაეპთა გარეგანი და შინაგანი რითმა სხვადასხვაა, მაგრამ ტაეპში ერთმანეთს ერითმება არა პირველი ორი ტერფი, როგორც ეს ჩახრუხაულშია, არამედ პირველი სამი. მეოთხე ტაეპი ჩვეულებრივი ჩახრუხაულის ტაეპია, ე. ი. აქ ერთმანეთს ერითმება პირველი ორი ტერფი. ამავე დროს მეოთხე ტაეპი შინაგანი რითმით ერითმება წინა მესამე ტაეპის ტერფებს.

მდიდარი შინაგანი და გარეგანი რითმებით, ალიტერაციებითა და ასონანსებით ამ სტროფს განსაკუთრებული ადგილი უკავია მთელს ქებაში. მაგრამ აქ კიდევ ერთი გარემოებაცაა აღსანიშნავი. მთელი ეს სტროფი, რომელიც წოდებით ბრუნვაში დაყენებული ზედსართავი სახელებისაგან (ეპითეტებისაგან) არის შედგენილი, ტოლფარდოვანი გართიმული ტერფებისა და მთელი სტროფის მანძილზე წოდებითი ბრუნვის ო-ნის რიტმულ განმეორებათა წყალობით მკვეთრად სკანდირებულ სახეს ღებულობს და ამითაც გამოირჩევა ჩახრუხაულის შენელებული რიტმისაგან. ეს არის რთული და საინტერესო ხერხი ერთი ლექსითი საზომის ფარგლებში ახალი

რიტმული ინტონაციის პოვნისა^[42]. სხვათა შორის, ჩახრუხაულის ამ სახეს ავტორი მიმართავს იმ შემთხვევაში, როდესაც მისი პანეგირიკული პათეტიკა უმაღლეს დაძაბულობას აღწევს.

”აბდულმესიანის” როგორც თემატიკურმა შეზღუდულობამ, ასევე ლექსითმა საზომმა განსაზღვრა ავტორის სტილი. ერთი საზომით დაწერილი, შინაგან და კიდურ რითმებში ჩამჯდარი ლექსი ზღუდავს ავტორს. განსაკუთრებით ეს ეხება ისეთ ტაეპებს, სადაც ომონიმური სიტყვებისაგან შემდგარი ტაეპის პირველი და მეორე ტერფი მთლიანად ერთიმეხა ერთმანეთს. მაგ.,

1. ხარკე ისარი! ხარ კეისარი
სიმდიდრით ლალი ჯიმშედ მფლობელი.
მოსიმახოსა მოს იმახოსა
მახვილი თქვენი მტერთა მწყობელი (35).
2. სახედ ელვისა! სახედველისა
მჭვრეტთა ვერ უძლეს განცდად სხივისა (48).
3. ა საფიც არი, ა, საფიცარი
დამამტკიცარი წინასწარისად! (7).
4. ესა მართალი, ე, სამართალი
ხეს შეიქს ხმელსა წყალ-მომდინარედ^[43].

ომონიმური რითმები აიძულებენ ავტორს მიმართოს სიტყვათა ხელოვნურ წარმოქმნას, ზმნების ხელოვნურ და მოულოდნელ ფორმებს, ასევე ხელოვნურ სახეებს. ამიტომ ის ხშირად არღვევს ძველი ქართული ენის ნორმებს და უპირატესობას აძლევს ახალ ქართულ ენას, რომელიც უფრო ელასტიურია და მეტ შესაძლებლობას იძლევა ლექსის ტექნიკური სიმწიფეების დაძლევისათვის.^[44] ამ გზით საერო მწერლობაში თანდათან გზა გაიკაფა და ლიტერატურული უფლებები დაიმკვიდრა ახალმა ქართულმა ენამ.

^[41] იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, II, 1948, გვ. 178.

^[42] თეიმურაზ ბაგრატიონი, განმარტება პოემა “ვეფხისტყაოსნისა”, 1960, გვ. 290.

^[43] ალ. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I, 1945, გვ. 106 – 108.

^[44] ეს ცნობა დაუცავს თამარის ისტორიკოსს (იხ. ”ისტორიანი და აზმანი”, ქართლის ცხოვრება, II, 1959, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, გვ. 99).

^[45] Древнегрузинские одописцы (XII в.). Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, т. IV.

^[46] ნ. მარის მოსაზრებებს მთლიანად იზიარებს პ. ინგოროყვა (იხ. რუსთაველის ეპოქის სალიტერატურო მემკვიდრეობა; რუსთაველის კრებული, 1938, გვ. 69).

^[47] წმინდა აბდულმესის ცხოვრება შენახულია სირიულ, სომხურ და არაბულ ენებზე, თარგმნილია ის ქართულადაც (კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1958, გვ. 238).

^[48] იგულისხმება ქართველთა ჯარის მიერ შავი ზღვის სანაპიროს (ლაზი, თრაპიზონისა და ლიმონას) დაპყრობა, რომელსაც ადგილი ჰქონდა თამარის მეფობაში (კ. კეკელიძე, დასახ. წიგნი, გვ. 238).

^[49] კ. კეკელიძე, დასახ. წიგნი, გვ. 240

^[10] მიუხედავად იმისა, რომ XIX ს. ხელნაწერების სათაურში მხოლოდ თამარი ჩანს ქების ობიექტად, უკვე ამ დროის მწიგნობრები და მკვლევარები ხედავდნენ, რომ პოემაში თამართან ერთად მამაკაციც არის შექმნილი. ამის მაგალითად შეიძლება თუნდაც დავით რექტორის უკვე განხილული ხელნაწერი მოვიყვანოთ, სადაც პოემის სათაურში მხოლოდ თამარია ქების ობიექტად მოხსენიებული, ხოლო ტექსტის ბოლოს დავით რექტორისვე ხელით მიწერილია: ”ხოლო ჯამი ლექსთა ამათ უკვე თამარ მეფას და მეუღლისა მისისა დავით მეფისა ქებისათა იქნა ას რვა”.

პოემაში თამარ მეფე და დავით სოსლანი მიაჩნდათ შექცეულად პლ. ოსელიანს, ალ. ხახანაშვილსა და მ. ჯანაშვილსაც.

[111] ალ. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I, 1945, გვ. 124-135.

[112] ამის დამადასტურებელი შესანიშნავი მაგალითები უხვად დაიძებნება რამდენიმე საუკუნის ისტორიის მქონე სპარსულ-ტაჯიკური სახობო პოეზიაში. ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. Бертельс Е. Э. История персидско-таджикской литературы, М., 1960, გვ.305-327. აგრეთვე, ალ. ბარამიძე, ნარკვევები, I, გვ. 132-134.

[113] რუმის სასულტანო ძლიერი თურქული სპმეფო იყო, რომელიც დღევანდელი თურქეთის ფარგლებში მდებარეობდა და უშუალოდ ესაზღვრებოდა ტრაპიზონის სამეფოსა და არზრუმის სამიროს.

[114] ქართლის ცხოვრება, ტ. II, 1959 წ., გვ. 94-95

[115] ქართლის ცხოვრება, ტ. II, 1959, გვ. 95.

[116] იქვე, გვ. 97

[117] იქვე, გვ. 99.

[118] ქრესტომათია, შედგენილი ს. ყუბანიევილის მიერ, ტ. I, გვ. 384-386.

[119] შემთხვევითი არ უნდა იყოს “კიდე-ლიმონაზე” ავტორის ყურადღების გამახვილება. 1204 წელს შავი ზღვის სანაპირო ქალაქების აღება და ტრაპიზონის სამეფოს შექმნა თამარის პოლიტიკის დიდი გამარჯვება იყო. ამ გზით თამარმა საქართველოს მეზობლად შექმნა ქართველთა ტომით დასახლებული და პოლიტიკურად საქართველოსთან დაკავშირებული სამეფო. ამან გამოიწვია მეზობელ მუსლიმანურ სამეფოთა შემფოთება, რის უშუალო შედეგი იყო რუქნადინის ლაშქრობა.

[120] ეს, რა თქმა უნდა, სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ხოტბა თავებად იყო დაყოფილი.

[121] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. II, გვ. 276-277.

[122] აქ უნდა იგულისხმებოდეს ის დახმარება, რომელიც მეზობელმა მუსლიმანურმა სამეფოებმა გაუწიეს რუქნადინს ჯარითა და საჭურველით.

[123] შეიძლება მოყვანილ ბატალურ სცენებში ასეთივე წარმატებით ვივარაუდოთ დავით სოსლანის გალაშქრება აზუბექრის წინააღმდეგ, სადაც დავით სოსლანმა არა ნაკლებ ისახელა თავი, მით უმეტეს, რომ შამქორის ლაშქრობა დამთავრდა განძაში გამართული დიდი ზეიმითა და დარბაზობით. მაგრამ ჩვენ თუ მაინც ბასიანის ომზე ვჩერდებით, იმიტომ, რომ სწორედ ბასიანის ომის მანძილზე ჩანს იოანე შავთელი თამარის მხლებელად და მგოსნად. თამართან ერთად იგი სწორედ ამ ბრძოლის უშუალო მეთვალყურეა.

[124] Н. Март, Одописцы, გვ. 16, შენ. 1; ალ. ბარამიძე, ნარკვევები, I, გვ. 152.

[125] პ. ინგოროყვა, რუსთაველის ეპოქის სალიტერატურო მემკვიდრეობა, რუსთაველის კრებული, გვ. 53-55.

[126] ქართლის ცხოვრება, დასახ. გამოც., გვ. 100.

[127] ქართლის ცხოვრება, დასახ. გამოც., გვ. 100

[128] აღსანიშნავია, რომ იოანე შავთელი თამარის მატანეში (ისტორიანსა და აზმანში) მოხსენიებულია თამარის მხლებლად მხოლოდ რუქნადინთან ბრძოლის დაწყების სამზადისისა და ბრძოლის მანძილზე. არც მანამდე და არც იმის შემდეგ იოანე შავთელი აღარ ჩანს მატანეში.

[129] ქართლის ცხოვრება, დასახ. გამოც., გვ. 95.

[130] ქრესტომათია, შედგენილი ს. ყუბანიევილის მიერ, ტ. I, გვ. 384-386.

[131] პ. ინგოროყვა, რუსთაველის ეპოქის სალიტ. მემკვიდრეობა, რუსთაველის კრებული, გვ. 74.

[132] თუ რამდენად ფლობდა იოანე შავთელი ბიბლიასა და საეკლესიო მწერლობას, ეს გარკვეულია აკად. კ. კეკელიძის მიერ წერილში: კომენტარები რამდენიმე სტროფის მაგალითზე (ეტიუდები, IV, 1957, გვ. 56-69).

[133] Н.Март, Древнегрузинские одописцы, გვ. 16.

[134] Шавтели, Абдул-мессия. Перевод с грузинского Шалва Нуцубидзе, 1942 г., წინასიტყვაობა, გვ. 14-27.

[135] ასევე ღმერთს სთხოვს შემწეობას ჰიმნოგრაფი:

ზეცით მოჰმადლე

ენასა ბრგუდ-მეტყუელსა

სიტყუაი სიბრძნისაი, დედოფალო.

(ჩვენი საუნჯე, I, გვ. 532).

ანდა: ალაღე პირი ჩემი და აღივსენ იგი მადლითა,

რათა აღმოვსთქუა სიტყუაი, სიტყუაო მამისაო...

(ნ. გულაბერიძე, გალობანი სუეტისა ცხოველისანი, ჩვენი საუნჯე, I, გვ. 538).

[36] ასევე ებანზე გალობას ადარებს იოანე მინჩხი თევდოსი მორწმუნის შესხმას: “ვითარცა ებანი ხმატკბილი შეუნიერი, დღესასწაული შენი წმიდაი, ენითა შემასხმელთა ღმრთისმეტყუელთა მგალობელთაითა დღეს ოხრის ხმამაღლად ეკლესიასა შინა” (ჩვენი საუნჯე, I, გვ. 412). ანდა: “მოისწრაფეთ ყოველ მოიფრინვეთ, ძნობდით, ხმობდით და ღაღადებდით, სცემდით ქნარსა წინაისწამრეტყუელო...” (ჩვენი საუნჯე, I, გვ. 539).

[37] ასევე ცასა და ქვეყანას მოუწოდებს შესხმის სასმენელად იოანე ანჩელიც: “ისმინე ცაო და ყურად იღე ქვეყანაო” (ჩვენი საუნჯე, I, გვ. 531).

[38] მეფის პიროვნების გაღმერთების ტენდენციამ საქართველოში თავი იჩინა XII საუკუნეში. ეს იყო სახელმწიფოებრივი ცენტრალიზმის დაცვის ოდეოლოგიური საფუძველი.

[39] იხ. ამასთან დაკავშირებით გ. იმედაშვილის გამოკვლევა: ვეფხისტყაოსნის პარალელები მეათე საუკუნის ქართულ ჰიმნოგრაფიაში, ლიტერატურული ძიებანი, II, თბ., 1945.

[40] შ. დოლაქიძე, “ვეფხისტყაოსნის” პოეტიკიდან, კრებული “შოთა რუსთაველი სკოლაში”, თბილისი, 1937.

[41] ე. მეტრეველი, მხატვრული აღწერა კლასიკური ხანის ქართულ საერო ძეგლებში, ნ. ბარათაშვილის სახ. გორის პედაგოგიკის შრომები, II, 1947, გვ. 111-112.

[42] როგორც ცნობილია, მეტრულად ერთფეროვანი ტაეპები რიტმის მხრივ შეიძლება ძლიერ განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. იხ. ა. გაწერელია, ქართული კლასიკური ლექსი, 1953, გვ. 152.

[43] გართმვის ეს რთული წესი, გ. წერეთლის დაკვირვებით, პარალელს პოულობს არაბულ პოეზიაში. იხ. მისი “სემიტური ენები და მათი მნიშვნელობა ქართული კულტურის შესწავლისათვის”, თბილისის უნივერსიტეტის სამეცნიერო სესიების მოხსენებათა კრებული, 1947, №1.

[44] Н. Марр, Одописцы, გვ. 77-78.

თამარიანი

“თამარიანი” სახოტბო ლექსების კრებულია. კრებულში ჩართულია აგრეთვე სათავგადასავლო შინაარსის მქონე ორი სხვა ლექსი. ამ ჩანართ ლექსებს ტრადიციულად უწოდებენ ელეგიებს. სულ “თამარიანი” შეიცავს 11 სახოტბოსა და 2 სათავგადასავლო ლექსს.^[1] სახოტბო ლექსები შეთხზული უნდა იყოს სხვადასხვა დროს სხვადასხვა შემთხვევის გამო. თითოეულ სახოტბო ლექსს აქვს საკუთარი, დამოუკიდებელი შინაარსი, საკუთარი აღნაგობა და განსხვავებული სალექსო რითმა, მაგრამ ერთად აღებული ყველა სახოტბო ლექსი, ისე როგორც თითოეული ცალკე, მიზნად ისახავს თამარ მეფის ქება-დიდებას. ამდენად შინაარსობლივად, იდეურად და კომპოზიციურად “თამარიანი” არის ერთიანი და მთლიანი მხატვრული ნაწარმოები.^[2] თამართან ერთად კრებულში შექმნილია თამარის მეუღლე დავით სოსლანი და ტახტის მემკვიდრე გიორგი ლაშა.

თხზულების იდეურ-ლიტერატურული რაობის გასათვალისწინებლად ჯერ საჭიროა მისი შინაარსის გადმოცემა. შინაარსი დალაგებული გვაქვს თანმიმდევრულად ცალკეული სახოტბო ლექსების მიხედვით,^[3] ოღონდ გათვალისწინებულია ნაწარმოების მთლიანი მოცულობა. პირველად ვაჩვენებთ თამარის ხოტბითს სახეს, შემდეგ დავით სოსლანისას.

“თამარიანი” იწყება ავტორის მიმართული ფილოსოფოსთადმი თამარის შესაქებად (1,1):

მო, ფილოსოფნო, სიტყვითა არსნო,
თამარს ვაქებდეთ გულისხმიერსა.
დიონოსისგან, ვით ენოსისგან,
სრულნი ქებანი ამ მძლეთ-ძლიერსა.

ხოტბის ავტორი აღიარებს, რომ სოკრატის სიბრძნე და სარამას გრძნება არ არის საკმარისი თამარის ღირსეულად შემკობისათვის, ვერც უმბროსისა (ჰომეროსისა) და პლატონის დახმარება შექმნიდა "შესატყვიერ" სურათს. მხოლოდ არისტოტელის ენა თუ გახდებოდა გამოსადეგი, თუმცა ვერავინ შესძლებს თამარის სრულყოფილად შესხმასო. და, აი, ქართველ პოეტს მოკრძალებით მიუყვია ხელი ხოტბისათვის "კადრებად, ქებად, დარებად". მეხოტბის სიტყვით, თამარის სახე - ღაწვი "მწყაზარია" ლამაზი, აყვავებული წალკოტი ("მულღაზარი"), ცისკროვანი, შუქ-მოსიერი, მზიური. მას მთვარე გაუხდია "უნათლიერი" (1,10-12). "შუქ მფენით ნათლიერ" თამარს განგებამ "მოხედნა ზენით", "მისცა დავალნი" (სახელმწიფოები), ხმელთა დავალნი (დასალიერნი); სკიპტრა მპყრობელპყო არსთა მიერსა" (1,52-53). გარეგნულად უზადო თამარს "მტკიცედ აქვს სჯული, სჩანს მართლმსაჯული", მას "უხმობენ ღვთის სახიერსა". ტურფა ჯავარია, მშვიდი, წრფელი, ღმობიერი, მაგრამ ძლევამოსილი მეფე. მას "უძრწის ავარი" (1,55-56). მეხოტბე განაგრძობს თამარის "ძნობას", "ნაქმარნი გიქენო", აცხადებს აღტაცებულად. თამარი "მზედაუვალია", "შუქ-მომფინარი", "ელვა-ეთერი", ედემის მალნარი, ნამდვილი იმქვეყნიური სამოთხე, სიკეთის მრწყველი წყარო, ზნე-ფაქიზი, უხვი ("სიუხვედ ზღვებრი"), მდაბალი, ამასთან "სიმადლით ცებრი" და "მძლეთა მძლეველი, თვით უძლეველი", "ჭვრეტად ნარნარი". თამარის ძლევამოსილების ხმა ძლიერად გაისმის "კედრით კედრამდის". თამარი დიდი სჯულმდებელია. ნატიფ და აზიზ ასულს მონებენ მამაკაცები, მას იპატრონებენ ვეფხნი და ღომნი (II, 5-13). არსნი "მზედ ხმობენ", ამკობენ შვიდნი მნათობნი. თამარის შესაქებად უძღურია "პლატონის ენა, დავითის ქნარი" (II, 14-15).

ამას მოსდევს განთქმული სტროფი (II, 16):

თამარ წყნარი, შესაწყნარი, ხმა-ნარნარი, პირ-მცინარი,
მზე მცინარი, საჩინარი, წყალი მქნარი, მომდინარი,
მისთვის ქნარი რა არს? ქნარი არსით მთქნარი, უჩინარი,
ვარდ-შამბნარი, შამბ-მალნარი, ღაწვ მწყაზარი, შუქ-მფინარი.

თამარი ტოლ-უპოვარია, "თოვნებადი ვარდი". მისი სინათლე მზეს აბნელებს, მეხოტბე გულწრფელად აღიარებს (IV, 12 - 13):

შენსა სადარსა, შენსა, სად არსა?
ვერა ვსჭერეტ ცხადად და ნახსოვნებად.

ვერც "ელინთა შვილნი", გონებავრცელი ფილოსოფოსნი, ენა-მზე რიტორნი, ვერც მეფსალმუნე ვერ შეამკობს ელვისა, მზისა და მთვარის ბრწყინვალეების მქონე თამარს (V, 1-5). მთელი სამყაროსათვის გამხდარა ის "სამებნელი ხვეჭით და ნდომით". რამდენი გაჭრილა ველად და "ღამეთა თევად" მისდამი ტრფიალის გამო. თამარისათვის გახელებული ტრფიალნი ერთხმად აცხადებენ (V, 10): "ცისკრობს მოხედვა, მოკლის. მო, ხედ-ვა", ტროელებს უმძიმთ, რომ თავი არ დასდევს

თამარისათვის (V, 16). ძველი აღთქმისა თუ რომანტიკული პოემების გმირები სწუხან, რომ თამარი არ გაიხადეს თავიანთი სულიერი ტკივილის (მიჯნურობის) საგნად (V, 17-28). ბუნების ამ უმშვენიერეს ქმნილებას რაღაც უცნაური ბედისწერის გამო ქმრად "ესხა" (ვიღაც უმსგავსი) ვინმე, რომლის ძვლები აწ საფლავში იხრწნებიან.^[4] ერანის დიდი მფლობელი გაუხდია თამარს "ნატრად", შარვანელნი და რამდენი "სხვანი მრავალნი, დაუთვალავნი მდომელ-ტრფიალნი" გაუმმაგებია თამარის ჭკრეტას (V, 31-35). თვალ-ტანადობით "ამო მზე" გონებითაც არის "მომზე" და "სწორუპოვარი წყალ-ჯავარქცევად", ლალი, მწყაზარი, "მოწყალების ნაუფსკრულევი", "სიბრძნითა სავსე", ტკბილი, "უღამო". იმის ბროლ-ვარდის სახეს ამშვენებს ნათელი შუბლი, მაღალი ყელი, თვალი ნარგისი, თმა ტევრი, ტანი უებრო. ერთი სიტყვით, ენით გამოუთქმელი სილამაზე ამკობს ამ ხორციელ უცხო სანახაობას. რაა საკვირველი, რომ "მჭკრეტნი ვინ იყოს სხვა დაუწველად?" (V, 40). ეს მომხიბლავი ასული მტკიცე ნებისყოფის პატრონი სახელმწიფო მოღვაწეა, რომლისთვისაც არ არსებობს უსაგნო გულაჩუყება. თამარი მკაცრია და დაუნდობელი ურჩთა და ორგულთა მიმართ, მრისხანე და შეუპოვარია მტრებთან. ვერც ენოსი. ვერც პლატონი, ვერც უმიროსი და ვერც სხვა ვინმე გამოდგება "შენის მსგავსების ყოვლ-დამსახავად"-ო, ამბობს პოეტი (V, 53-55) და თანაც ურთავს (V, 52):

არ ძალმიძს ქება, მე დადუმება
მით აღვირჩიენ აღვირ-ნასხმევად.

სხვაგანაც მეხოტბე ჩვეული აღტაცებით მიმართავს თამარს (VII, 1):

გხმობ თამარ მზესა, უმზესად ზესა,
მით რომელ უცხო ხარ სახილველი.

და კვლავ ჩამოთვლის იმის გარეგნული უზადოების ნიშნებს. სამყაროს არსნი განცვიფრებულა თამარის ხილვით. იმათ ისღა დარჩენიათ, რომ ხმამაღლა წამოიძახონ თავდავიწყებით "ჰე საკვირველი!" (VII, 4). "შვიდთა მნათობთა მანათობელი" თამარი სამყაროს სრულყოფილი ქმნილებაა. მან მუსრი გაავლო მუსლიმანობას, მგოდებელი გახადა სულთანი, ხალიფის სვე შეარყია და კიდევაც დაანარცხა, ადერბაიჯანის მფლობელი ბობქარი გააქცია, შიშის ზარი მოჰფინა მრავალთ და დახარკა "სხვანი მძლევარნი". იმის შემდეგ, რაც თამარს გვერდში ამოუდგა სახელოვანი მეუღლე დავით სოსლანი ("ოსი"), "ისპირს და შარვანს მოვლათ ძნელი" (VII, 20).

ყველა აღნიშნულ საკვირველებათა მოქმედი ისეთი მშვიდია, წრფელია, უზაკველი და გულმომბიერი, რომ "თვით მე გეწყალიო", მოკრძალებით ამხელს მეხოტბე (VII, 3). "ყოვლითურთ უკლი", გულშემატკივარი და მოწყალე ერთგულთა მიმართ, "ურჩთა კვლად ზინდანს (საპყრობილეში) შემაყენალა" (VIII, 4), სიდიდით გაუსწორდა ვახტანგს (გორგასალს). დავით სოსლანის შემწეობით მან შეარცხვინა და დაამაბუნა ბობქარ ადერბაიჯანელი (VIII, 7). ძღვნად თუ ხარკის სახით მოსდის მას "ოქრო დასატენალი" (VIII, 10), სისხლისაგან იცლება დიდი ხალიფი (VIII, 11). ენა ტკბილია, ბრძენი, "ზენით" გამხდარა "სწორუპოვარი, მძლედ სახსენალი" (VIII, 12), "არსად არს, არა! - შენებრ უკლები და საჩენალი", ასკვნის პოეტი (VIII, 14). წარმართული თუ ქრისტიანული ღმერთი, თუ ბუნების ძალნი, ყველანი აღძრულან თამარის უკვდავსაყოფად. იმის "წამწამთა ხრანი" იწვევს ათასობით მიჯნურთა ცხარე

ცრემლებს (IX, 8). საოცნებო ასულის გული მაინც მხოლოდ ერთს შეუპყრია, მას თაყვანისცემით ეტრფიალება ეფრემის მოდგმის ჩამომავალი ლომი აბესალომი (ე. ი. დავით სოსლანი), რომლის ღირსებანი ისევე უზადონია, როგორც თვითონ თამარისა (IX, 10-28). მეხოტბე პათეტიკურად კითხულობს (X, 3):

ვინ ნახა სადა, ვინა ხასადა
შენებრ ნათელთა ბნელი მცებარე?

განმაცვიფრებელია თამარის ამბავთა სმენა. თამარის მხილველნი გაოცებით ეკითხებიან თავიანთ თავს (X, 5). სიზმარია ეს თუ ცხადიო. "სოფლისა წყალთა დამშვენებარე" ასული უნდა ავიდეს ზეცას, იქ არის მისი სადგომი. თამარის დაწვთა სხივოსნობას დაუჩრდილავს ყველა მნათობი. ერთიმეორეს შეხამებია იმისი "ქცევა, გონება, სული მწლფებარე" (X, 12). "სხვამცა ვინ იყოს სრვად შემძლებარე აგარის ერთა?" ავი დღე დასდგომია მუსლიმანობას (X, 14-15). მას როგორ შეედრება ერაკლე იმპერატორი, სპარსეთი დაამდაბლა, მოწვა, აწყვიტა (X, 21), წაართვა რანი, ყელს დაადვა მონობის უღელი (X, 22). თამარს გვერდს უმშვენებს დავით სოსლანი, რომლის გმირობა და ქველობა საარაკოა (X, 16-35).

ნათელი თამარი ღვთის მმოსავია, "მაღალი, დიდი, უკლები, მშვიდი, წრფელი, უცრუო", უზაკველი, "ჯავარ მოცალე, ტკბილი, მოწყალე", განურისხველი (XI, 6-9). ურჩებს მწარედ ატირებს. "ციოთ ნაწოდები" დავით აიყვანა, აღამაღლა და შეიუღლა. დავითმა შემუსრა მუსლიმანთა მოდგმა, "მიწვივ ომითა, დაუშრომითა თურქნი განასხნა" (XI, 14). "მან ათაბეგსა, ხვარაზმშას მდეგსა, კეთილგანრჩევით სჯულთ უღვა მცნებად" (XI, 15). მართლაცდა საოცარი კადნიერება გამოუჩენია ამ ათაბაგს, ენამჭევრი და გონიერი მოციქული მოუგზავნია თავხედური წინადადებით (XI, 18):

უდრი ითხოვა, მზე მოითხოვა^[5]
ბნელისა კართა ნათელთა ცებად.

კარგად წვართეს თავხედი. თამარს ჰყავდა უებრო მეუღლე, რომელმაც შესძინა "ლხინად და შვებად" მოყმე სვიანი, იესიანი - გიორგი ლაშა (XI, 20), ვერაფერს შემატებდნენ სოკრატი და პლატონი, რომ მათ ეცადათ დავითის ქება (XI, 21).

თამარის მომხიბლავმა სახემ განქიქებულჰყო მთიებნი, მზეს დაკლებია სინათლე. თამარის ტანი ლერწამია, სარო, ედემის ხე. თამარის მეღნის-ტბა-თვალეებს ამკობს გიშრის ხშირი სარნი, მისი დაწვი და შუბლი ბროლი და ვარდია; ცისკარივით ანათებს.

მეხოტბე აღიარებს, რომ მან ვერ გაუძლო და მირიდა თამარის ელვარე სახის ბრწყინვალეებას. პოეტი ვერ მალავს თავის გრძნობითს განწყობილებას თამარის მიმართ (XII, 13):

მე გული შენი ჩემად ვიშენი,
თულა მივიქცი, ვსჩნდი ზარ-ღებულად-ო.

პოეტის სიცოცხლე თითქოს გაცუდებულია (ამაო ტრფობით) (XII, 14). ვინც თამარს უჭვრეტს, გარეტებული ხდება; ვერ-მჭვრეტელი კი მოვავლახება, დილარგეთივით შმაგობს, თავი სასიკვდილოდ აქვს გამოდებული, "ხვეჭით" ეძებს და ნატრობს იმის ახლოდან ხილვას (XII, 16-19). მოწყალე სულის პატრონმა, მშვიდმა

და წრფელმა ასულმა თავისი სახის შუქის ელვარებით ღამე დღედ აქცია. ღმერთმა აკურთხა თამარი, თავის ცხებულად მიიჩნია, იმის უფლების ქვეშ მოაქცია ყოველი არსი, კერძოდ, მას დაუმორჩილა მიდნი, სპარსნი, მთელი სამყარო (XII, 28-31). თამარის დღეკეთილობა უზრუნველჰყევს მისმა სახელოვანმა მეუღლემ და შვილმა, გიორგი ლაშამ. აი, "გამოჩნდა ზვავი", ძლიერი და საშიში მტერი, რომელსაც ქედმაღლურად ეჭირა თავი და "იბრდღვენდა მხეცებრ განძვინებულად" (XII, 48). საქართველოს თავს დაატყდა საშინელი რისხვა, ურიცხვი ჯარი მოაწყდა ჩვენი ქვეყნის საზღვრებს. მომხდური იკვებიდა (XII, 53), ავაობრებ მათ (ე. ი. თამარისა და დავითის) სამფლობელოსო. თამარი ვერ შეაშფოთა მოსალოდნელმა საფრთხემ, მან აუჩქარებლად, დინჯად და გონივრულად განაგო საქმე (XI, 54). მიიხმო და განამხნევა თავისი სპა, მეთაურად მიუჩინა ღირსეული სარდალი, დავით სოსლანი. თამარის ლაშქარი მზად იყო სისხლი გაედო ქრისტიანული სჯულისათვის. დავითი წაუძღვა ჯარს და საარაკო დამარცხება აგემა თავხედ მტერს. მეხოტბის სიტყვით (XII, 70):

მოჰმადის ტომნი უკრავ-უომნი
მოსრნეს, მოსწყვიდნეს განქიქებულად.

ქართველობა აივსო ტყვეებითა და ალაფით, "არ დარჩა კაცი არ შოებულად" (XII, 71). მტრის დეზორგანიზებული ლაშქარი, მათ შორის ტყვედ წამოყვანილი "ეზინაკს მფლობი" ემირი, ლაჩრულად აცხადებს (XII, 73): "არ მოვეთ ნებით, ვიყავთ უნებლივ მოყვანებულად"-ო, ე. ი. ჩვენი სურვილით კი არა, ძალით ვიყავით წამოყვანილიო. თამარმა აღსასრულის დღე გაუთენა მუსლიმანურ სამყაროს.

თამარი არა მარტო ზეალმატებული სილამაზის პატრონია, ზნეობაფაქიზია, ბრძენი და სამართლიანი გამგებელია, არამედ ის ზებუნებრივი არსებაა, ღვთის სახიერია (I, 55), ნათელი ღმერთია (III, 1), თანგანმწყო მისა (ე. ი. იესო ქრისტესი), სწორი მამისა (ე. ი. მამა ღმერთისა) (III, 2), ასული ბიბლიური აბრაამისა (III, 4), ზენათ ცხებული (III, 8), წმიდანი (XI, 9), მისი ადგილსამყოფელი არის ზენათ სამყარო, ზეცა (X, 7), "ცად, საყდრად, ღრუბლად" (XII, 2). თამარი დაბადებულია "ხსნად ადამისად" (VII, 8); ის ცოდვილი კაცობრიობის ახალი მხსნელი მესიაა. ჯერ კიდევ "მოსეს ფიცარსა, მთას ნაფიცარსა, ეწერნეს თქვენი ძლევა გებულადო" (XII, 23), ეუბნება მეხოტბე თამარს. თვით დავით წინასწარმეტყველმა "გიწოდა შენ თვის", ის "როკვიდა შენთვისო" (XII, 24), სოლომონ ბრძენმა თავის ასულად მიგიჩნიაო (XII, 25-26). დავითს "ეფუცა", რომ "მისთა თესლთაგან" აღმოცენდება სიკვდილის დამთრგუნველი ძალა, ასეც მოხდა. კაცობრიობის მრავალი განსაცდელის შემდეგ ზენით მოვლინდა "თამარ შუქ-მფენით ნათელიერი" (I, 52). ძველმა და ახალმა აღთქმამ შეამზადა ნიადაგი "თამარის ცხებად" (XI, 1-6). ერთი სიტყვით, თამარი ღვთაების გამონაკრთობია, მეტიც, თამარი თვითონ ხორცშესხმული ღმერთია, ერთ-არსება და სამპიროვანი ქრისტიანული ღვთის სწორი...

თამარის ასეთი განდიდება, მისი გამოცხადება ზეციერ არსად და ღვთაებრივ ძალად რომ მკრეხელობად არ დაბრალებოდა, ხოტბის ავტორი თავის სიტყვებს თვლის საღვთო ჩაგონების გამოხატულებად (I, 13-14):

ესთქუ შიშით მკრძალმან, საღმრთომან ძალმან
მობერა სიონს ბრძნად მეცნიერსა.
მუნ თქმული მან ცნა, მაუწყა, მამცნა,
მისა გასწავებდ და მის მიერსა.

როგორც აღვნიშნეთ, "თამარიანი" ზვიადი სიტყვებით ამკობს დავით სოსლანს. "ანათობს ის ოს (ოსი დავით სოსლანია), მით არცხვენს ისოს (ე. ი. ბიბლიურ ისუ ნავინს) შუქის კრთომდა შეუდგამისადო", აცხადებს პოეტი დავითის შესახებ (III, 9). სხვაგან მეხოტბე დავით სოსლანს მიაწერს ისუ ნავინის სიმხნეს (X, 25): "სიმხნითა ისობს" "დავით ძლიერი, მხნე, უძლეველი" (VII, 22). როდესაც ტაოს მოემატა ოსი, "ისპირს და შარვანს მოვლაა ძნელი".(VII, 20). დავითის გამოჩენამ საქართველოს მიწა-წყალზე შიშის ზარი დასცა მტრებს, საქართველო უზრუნველი გახდა ყოველგვარი ხიფათისაგან როგორც სამხრეთით და დასავლეთით (ისპირიდან), ისე აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით (შირვანიდან). კადნიერი და გულზვიადი აზუბაქრ ათაბაგი შეარცხვინა დავითის ხმაღმა (VIII, 7): "ზობქარ მგოდები, მცდრად ნაწოდები, დავითის ხმლითა შემარცხვენალი". ამ მოტივს პოეტი უზრუნდება რამდენიმეჯერ. "უძლე ძლიერთა, ბევრთა სძლი ერთა, ოს ყვენ ზობაქარს მეოტებანი" (IX, 21); დავით სოსლანმა "ვა" გაუხშირა ქვეყნის მრავალრიცხოვან მტერს, კერძოდ, თავლაფდასხმული გარბის "ზობქარ ოხრვითა" (X, 33) თამარის სატრფიალო ქმარი სილამაზითა და ახოვნებით განთქმული ახესალომია (დავით წინასწარმეტყველის ძე): "გტრფიალობს ლომი, ახესალომი, ეფრემის ძირთა ვის გხვდეს თებანი" (IX, 10). დავით სოსლანი ლეგენდარულ გოლიათ "ნებროთს სჯობს ძალად", ახოვნებით კი "დებორს ჰმატიან" (IX, 11). დავითი "უკლებლობს ლაღი", საშინელი რისხვა დაატეხა მტერსა და დუშმანს, ორგულნი დანთქა და გააცამტვერა, სისხლი დააკლო სპარსეთს (IX, 12-13), გულადი მეფე "ბედდიდობს მრავლად, აქვს სვე დიდ დავლად", პონტოსით ვრცელდება იმისი "უფლებანი" (IX, 14); "უძრწის შამალი" (IX, 15), ე. ი. ჩრდილოეთი, "ელტვის ხალიფა" (IX, 16), - სამუსლიმანო ქვეყანათა უმაღლესი მბრძანებელი, რომელსაც უკვე გაუცუდდა სჯულისდებანი. სხვადასხვა ქვეყნიდან (თარშით და დალბით, ეგვიპტ-ალაბით) მოსდის დიდი ძღვენი, ხარკი და დამონების სიგელები (IX,17). დავითთან შედარებით აქილევსიც კი "მცრობს" (IX, 18), მან "აქილევთა დაუწყო ძლებად" (XI, 13). დავითი "ახალი ხვასროა" (IX, 19), ე. ი. სამართლიანობითა და ქველობით განთქმული ადილ-შაჰი, ხოსრო ანუშირვანი. "არ გგვანდეს დარი, ხოსრო დადარი,^[6] საამ-აქილევ, დებორა ქველი" (VII, 13), - იმეორებს პოეტი. დავითი ბაღდადით სპარსია (IX, 19), ანუ უბადლო ფალავანი ამირან დარეჯანის-ძე, რომლის მსგავსი არავინ ყოფილა "პირსა ყოვლისა ქვეყანისასა". დავითის ხმალი "ზადრობს, უშიშ-უკადრობს" (XII, 35). დავითი თვითონ მძლეა-მძლე და უძლეველი როსტომ ფალავანია (XII, 44), საამ ბუმბერაზი (VII, 13).

დავით სოსლანი დიდია, მეხოტბე ამბობს: "ოს დიდმან დავით ოს დიდმან დავით, ფარეზ შემუსრა წინამგებარე" (X, 17). "ჯავარ მოწყალე" დიდმა დავითმა შერისხა თურქნი (X, 27), თავზარი დასცა საერთოდ მთელ მუსლიმანობას (XI, 12): "მან ახოვანმან, მძლედ სახოვანმან, ხელყო ისლამთა ცეცხლისა დებად". დაიმორჩილა და თავისი მცნება განუჩინა ათაბაგსა და ხვარაზმშაჰს (XI, 15): "მან ათაბეგსა, ხვარაზმშას მდევსა, კეთილგანრჩევით სჯულთ-უდვა მცნებად". დავითი ყოფილა "კაცი ძლიერი, მხნე, მეცნიერი" (XI, 16). ძველთაგან განდიდებული და გამთავრებული ქვეყნის უფალნი ნაოტნია და დამონებულია დავითის მიერ (XII, 45-46). უძლეველ დავითს ჰმონებდეს ზღვანი" (XII, 47). როდესაც საქართველოს დაუდგა დიდი განსაცდელი, "გამოჩნდა ზვავი", რომელსაც "მძლედ ჰქონდა თავი" და "იბრდღვენდა მხეცებრ განძვინებულად", სიძლიერით გაამაყებულ დამპყრობელს მოჰყავდა "ურიცხვი ერი... ამხედრებულად" (XII, 50-51), მშვიდმა თამარმა უმფოთველად და ბრძნულად განაგო საქმე. გადაწყდა მტერთან პირისპირ შეხმა. ძლევა მოსილ ქართულ ლაშქარს წინ

გაუძღვა მისი სახელოვანი მხედართმთავარი, დავით აღმაშენებელს მიზამებული დავით სოსლანი (XII, 58): "დაასკვნეს ომი, წაუძღვა ლომი დავით დავითის მიზამებულად". ახალი დავითი "მხნედ და სვიანად" ზედიზედ მიუხდა მტერს და მელებრ დაჯაბნებულჰყო იგი (XII, 63), გაუგონარი გამარჯვება მოუპოვა ქართველობას, ქვეყანა იხსნა მომაკვდინებელი ხიფათისაგან. დავითი დიდად დახელოვნებული, გაწაფული, მკვირცხლი, მამაცი და გულადი მეომარია, შესანიშნავი მხედართმთავარი, ამასთან "მეცნიერი" (XI, 16), ბრძენი (XII, 33), ზესთა წარჩინებული (იქვე), გარეგნობით მომხიბლავია, საუცხოო წარმოსადეგი ტანადობისა, მნათობთა უმჯობესი, რომელსაც უხდება "წყალჯავარისა დაშვენებანი" (IX, 20). დავითი უბინდო მზეა (XII, 36). ყოველივე ამასთან, რასაკვირველია, ზნესრულია და ქველია, წყნარი და მკრძალი (VII, 25), "ბერთა საჩენი, ჭაბუკთა მლხენი, ძმათა შვებისა მოუკლებარი" (X, 29), ხელგაშლილი, უხვი, უშურველი (X, 30).

მეხოტბე მაინც მოკრძალებულად აღნიშნავს, რომ მას არ შესწევს ძალა სიტყვით გამოხატოს ახლადმოვლენილი ხოსრო ანუშირვანისა და მეორე დავით აღმაშენებლის ღირსებანი, ამისათვის საჭირო იქნებოდაო ელინური სიბრძნე, ჰომიროსის, სოკრატისა და ენოსის სიმჭევრე (XII, 60-62):

ელნი ელნობდეს, ვინ სოკრატ ბრძნობდეს,
იგია მისთვის შემსგავსებულად;
გინა უმიროს, გულსა უგმიროს,
ვის ძალ აქვს ცნობა განმარტებულად,
ანუ ენოსა, მე უენოსა,
რად ვინ მაბრალეზს, ვსთქვა დაკლებულად?

თუმცა სხვაგან მეხოტბე გადაჭრით ამბობს, რომ (XI, 21):

ვერა დამატონ სოკრატ და პლატონ,
გმნობდეს სამნივე (?) ეფრემის წყებად-ო.

უებრო, ქველი დავითი მოწოდებულია "შემწედ მესიას აღნათქვამისად" (III, 11). ის ღირსეული თანამოსაყდრეა და დამამშვენებელია თამარისა. თამარს ზეციერ ძალთა შთაგონებით აურჩევია დავითი სამეფო ტახტზე (XI, 10). "ცითა ნაწოდებს დავითს უწოდა მეფეთა ძებადო". მეხოტბის მოსაზრებით, დავით სოსლანი თამართან ერთად ზეციით ყოფილა მოწოდებული საქართველოს მესიანისტური დანიშნულების სრულსაყოფელად. დავითმა გაამართლა და სრულყო ღვთაებრივი მისია. მისი სამხედრო ხელმძღვანელობის, გამჭრიახი გონების, ნიჭისა და პირადული მხნეობის წყალობით საქართველო იქცა უძლიერეს ქრისტიანულ სახელმწიფოდ, რომელმაც შემუსრა მტრულად განწყობილი მუსლიმანთა ძალები, იმედისა და სასოების რწმენა ჩაუნერგა მოწინავე ქრისტიანულ კაცობრიობას. როგორც კანონიერ და დიდებულ მეფეს შეშვენოდა, დავითი იყო "მეფეთა სკიპტრა-პორფირთა მცემელი" (VII, 25), თვითონ "უბინდო მზე" დავითმა საქართველოს სამეფო ტახტსა და თამარს ნაყოფად "უმზო" ღირსეული მემკვიდრე. პოეტი მიმართავს თამარს (XII, 36): "რომლისა ძემან,^[2] უბინდოდ მზემან, ლაშა-ყე გიმზო წარმართებულადო". აღტაცებული სიტყვებით ლოცავს პოეტი დავითს (VII, 24):

აქვსმცა სუფევად ათასი წელი.

”თამარიანში” შექებულია აგრეთვე თამარისა და დავით სოსლანის პირმო, ტახტის მემკვიდრე გიორგი ლაშა. მეხოტბე აღტაცებით ამკობს რა დავითს, მოახსენებს თამარს (IX, 24):

მდიდრად განძებად, თქვენ მისგან ძებად
გენიშნეს ლაშას აღმორჩებანი.

სხვაგან პოეტი უშუალოდ დავითს უცხადებს (X, 31):

ბევრჯერ ნაყოფად არსმცა ნაყოფად
ლაშად თქვენ მიერ ნამორჩებარე.

“მოყმე სვიანი, იესიანი, ლაშა აძებნა ლხინად და შვებადო”, დიდ დამსახურებად უთვლის მეხოტბე დავით სოსლანს (XI, 20). თამარისადმი სხვა მიმართვაშიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, განმეორებულია (XII, 36):

რომლისა ძემან, უბინდოდ მზემან,
ლაშა-ყე გიმზო წარმართებულად.

მეხოტბე აქ (XII, 38) საგანგებო ქებას უძღვნის უფლისწულს, უწოდებს მას “ძესა სანდომსა, ვახტანგის ტომსა”^[8]. ლაშას დაბადებამო, - ამბობს მეხოტბე, - ძირს დასცაო ”სპარსთა სიმაღლე”, საქართველოს მტრებს გაუცრუვდათ იმედი, დაინახეს ”მათი ნავი დანთქმისა მიახლებულად” (XII, 39-41). გაიზარდა საქართველოს მოხარკეთა რიცხვი, მორჩილება და მონობა იკისრეს მახლობელმა თუ შორეულმა მუსლიმანურმა ქვეყნებმა, უსაზღვრო იყო ქართველობის ლხინი და შვება (XII, 42).

“თამარიანის” მიხედვით სახელმწიფოებრივ სიბრძნეს ასახიერებს თამარი, სამხედრო გენიას გამოხატავს დავით სოსლანი, ხოლო მომავლის იმედს ასხივოსნებს გიორგი ლაშა. თხზულება შეკრულია დიდებული სახოტბო ჰიმნით (XII, 75-76):

ჩვენ, ერნი შენნი, შენ მიერ შენნი,
ერთხმობით ვიტყვით განმარტებულად:
რა არს-ქმნა იყოს, ვირე თვით იყოს,
ღმერთმან თქვენცა გყვნეს ძითურთ გებულად.

ამრიგად, ”თამარიანი” ენაწყლიანი ქებათა-ქებაა თამარისა, დავით სოსლანისა და გიორგი ლაშასი. მაგრამ ამ შესანიშნავ სახოტბო ძეგლს დაეკარგებოდა ფასი, რომ მისი მნიშვნელობა ამოიწურებოდა მარტოოდენ სამეფო ოჯახის წევრთა პერსონალური შესხმითი დახასიათებით. პოეტი აზოგადებს შესაქებ პირთა ინდივიდუალური ღირსებისა და ღვაწლის დიდ პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას ჩვენი ქვეყნისათვის. ისე, როგორც ”აბდულმესიანის” ავტორი, ”თამარიანის” ავტორიც პოეტი-მოაზროვნეა, პოეტი-პატრიოტი, რომელსაც გულწრფელად უყვარს თავისი მშობლიური ქვეყანა, ახარებს მისი წარმატებანი, თაყვანისცემის გრძნობას უცხოველებს მას მშობლიური ქვეყნის მესაჭეთა ადამიანური და ხელმწიფური დიდბუნოვანება.

”თამარიანის” ავტორი მომსწრე და მოწამე იყო (იქნებ მონაწილედ) თავისი ქვეყნის არგაგონილი სამხედრო-პოლიტიკური ძლიერებისა, ეკონომიური

დოვლათიანობისა, კულტურული აღორძინებისა, მოწინავე საზოგადოების მორალური სიმტკიცისა, ერთი სიტყვით, იმ დროის კვალობაზე მთელი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ცხოვრების აყვავებისა. საქართველოს დაუძლეველი ოდინდელი "ჟამთა სიავე", მას დადგომია დღევანდელი ხანა. ქართველობა, როგორც ერთიანი პოლიტიკურ-მორალური ძალა, "ხვეჭითა და ნდომით", იმედითა და სასოებით შეჰყურებს თავის ძლევაძმოსილ მეუფეთ. მაგრამ, მეხოტბის სიტყვით, მისი მშობლიური ქვეყანა ერთიანია და მტკიცე არა მარტო შინაგანი წესწყობილებისა და ცხოვრების ორგანიზაციით, არამედ განუსაზღვრელად დიდია მისი სახელმწიფოებრივი პრესტიჟი საზღვარგარეთ. მიწაზეა დანარცხებული აგრესიული მუსლიმანების ქედფიცხელობა, საქართველოს მფარველობის ქვეშ იმყოფება სომხეთი და ზოგიერთი სხვა, მანამდის მუსლიმანური გარემოცვით შეჭირვებული, ქრისტიანული ქვეყანა. მეხოტბის აზრით, ქრისტიანულმა კაცობრიობამ ბევრი განსაცდელი გამოიარა, ბევრი ტანჯვა იგემა, ბევრი მსხვერპლი გაიღო. განსაკუთრებით ძნელი იყო ეროვნული თვითმყოფობის შენარჩუნება და თავისუფალი სარწმუნოებრივი აღმსარებლობის დაცვა ფანატიკური მუსლიმანური სახელმწიფოების განუწყვეტელი მოძალების პირობებში. "თამარიანის" ავტორმა კარგად იცოდა, თუ რა უბედურება დააწიეს ჩვენს ქვეყანას არაბებმა, სპარსელებმა, თურქ-სელჯუკებმა და სხვა დამპყრობელ-მტაცებელმა ტომებმა. ყოველივე ეს, საბედნიეროდ, იყო წარსულში. აწმყოში საქართველომ საბოლოოდ დააღწია თავი უცხოელთა ბატონობის უღელს, ის გახდა მედროშე ქრისტიანობისა მუსლიმანობის წინააღმდეგ წარმოებულ თავდაცვით საუკუნეობრივ ომებში, ამ ომებიდან საქართველო გამოვიდაო სახელოვნად გამარჯვებული. საქართველომ ღირსებით დაიცვა თავისი კულტურა, სარწმუნოება, სახელმწიფოებრიობა. ამიერიდან ის მოსარჩლეობას გაუწევს მთელ ქრისტიანულ კაცობრიობასო, ფიქრობს მეხოტბე. ის უკვირდება თავისი ქვეყნის მდგომარეობას და ასკვნის, რომ შეუძლებელია ეს მდგომარეობა განესაზღვრა შემთხვევით საშხედრო წარმატებებსა და იღბლიან პოლიტიკურ ვითარებას. პოეტის აზრით, საქართველოს იმდროინდელ მიღწევებს ჰქონდა თავისი ისტორიული საფუძველი, გარკვეული ისტორიული კანონზომიერება აპირობებდა საქართველოს წინსვლას. აქ პოულობს თავის გამოხატულებას "თამარიანის" ავტორის მესიანისტური კონცეფცია: ვითომც საქართველო იმთავითვე იყო რჩეული ქვეყანა, რომ კაცობრიობის წარსულმა ისტორიამ შეამზადა ნიადაგი ქვეყნის იმდროინდელი ზეობისათვის, რომ ჯერ კიდევ დავით წინასწარმეტყველს "ეფუცა" - შენი სისხლი-სისხლთაგანი და ხორცი-ხორცთაგანი, შენი შთამომავალი დაბრძანდება დიდების კვარცხლბეკზე, რომ შენი შთამომავლობა, იესიან-დავითიანი მოდგმის ქართული სამეფო გვარეულობა წარუძღვება წინ ქრისტიანულ კაცობრიობასო. ღვთაებრივმა სიტყვამ ხორცი შეისხა თამარის მეფობაში, ასრულდა დავით წინასწარმეტყველისადმი აღთქმული დანაპირები. იშვა თამარი. საქართველოსა და მასთან ერთად ქრისტიანულ სამყაროს მოველინა ახალი მხსნელი, ახალი მესია. მართალია, თამარი ამქვეყნიური ხორციელი არსებაა, მაგრამ ის ღვთაებრივი ბუნების პატრონია; თამარი თვით ხორცშესხმული ღმერთია. ისე, როგორც პირველი მესია, იესო ქრისტე, ამ ქვეყნად განხორციელდა, ადამიანის ბუნებით მოვლინდა ზეციდან, იშვა დედაკაცისაგან, რომ ეკისრა ცოდვილი კაცობრიობის ტვირთი, ასევე თამარი, დასაბამით ღვთაებრივი არსება, ადამიანის სახით დაიბადა, რომ ერთხელ კიდევ იხსნას კაცობრიობა ახალი, მუსლიმანური ცოდვისაგანო. ჩვენი სახოტბო ძეგლის გაგებით, თამარი აბსოლუტური სიკეთეა, აბსოლუტური სიფაქიზე, დროებით ქვეყნად წარმოვლენილი წმინდა სული,

რომელიც შემდეგ კვლავ დაუბრუნდება თავის ბუნებრივ სამყოფელ ადგილს, ზენათა სამყაროს, ზეცას. თამარი მეორე ქრისტე ღმერთია, კაცობრიობის მეორე მესია.

ასეთი თვალსაზრისი უძვეეს საფუძვლად "თამარიანის" ავტორის ეროვნულ-სარწმუნოებრივ თავმოყვარეობასა და თავმომწონეობას. ეს აძლევს შემოქმედებითს სტიმულს მეხოტბე-პოეტს, ეს გარემოება ქმნის სახოტბო ძეგლის სადღესასწაულო განწყობილებას, იმის აწეულ საზეიმო ტონუსს, იმის სპეციფიკურ სტილს...

ამის შემდეგ "თამარიანს" ვეღარ განვიხილავთ როგორც ვიწროდ გაგებულ სახოტბო-პანეგირიკულ პოემას, რომლის დანიშნულება იქნებოდა ოფიციალური საკარო წრეების მხატვრული გემოვნების დაკმაყოფილება და ოფიციალური იდეების გამოხატვა. "თამარიანი" მძაფრი პოლიტიკური განწყობილების ამსახველი ძეგლია. ეს განწყობილება გადმოცემულია პანეგირიკული ლექსების საშუალებით. ავტორი, უწინარეს ყოვლისა, ავითარებს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თვალსაზრისს, ის გამოხატველია შესაფერისი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეოლოგიისა^[9]. თამარი და მასთან ერთად დავით სოსლანი, "თამარიანის" მიხედვით, ასახიერებენ ავტორის ეროვნულ-სახელმწიფოებრივ იდეალს. ერთობლივი, ცენტრალიზებული, თვითმპყრობელური და ძლევამოსილი სახელმწიფო, რომლის სათავეში დგანან პოლიტიკური სიბრძნისა და სამხედრო ქველობის უებრო წარმომადგენელი - თამარი და დავითი, - აი ესაა პოეტის გულწრფელი აღტაცებისა და უშურველი სახოტბო ენამქვევრობის საგანი. თამარი და დავითი წარმოადგენენ, მეხოტბის აზრით, გარეგნული მომხიბლაობის, ადამიანური კეთილშობილების, ზნეობრივი სიფაქიზისა და გონებრივი სიმწიფის მწვერვალს. ოღონდ რამდენადაც საქართველოს უზენაესი ხელისუფალნი ჰუმანიზმის პრინციპებით ხელმძღვანელობენ პრაქტიკულ-სახელმწიფოებრივ საქმიანობაში, იმდენად უყოყმანო ულმობელობით უმასპინძლდებიან ისინი როგორც გარედან მომხდურ მტერს, ისე შინაგან მოშუღარს, ორგულს, ურჩსა და უდიერს. სწორედ ეს მტკიცე პრინციპული მოქმედება ჰქმნის, ფიქრობს მეხოტბე, ქვეყნის ძლევამოსილებისა და წინსვლის ურყევ პირობას. თამარი და დავითი სახელმწიფოებრივი ინტერესების სადარაჯოზე დგანან, ამ ინტერესებს უქვემდებარებენ ისინი მტრისა და მოყვრისადმი დამოკიდებულების საკითხს. ამიტომაცაა სათნო თამარი "ურჩთა კლვად მკოდი" ან, უკეთეს შემთხვევაში, "ზინდანს შემაყენალი".

მე-11 - 12 საუკუნეების საქართველოს დიდი ისტორიული მიღწევებია "თამარიანის" ავტორის შთაგონების წყარო. ამ მიღწევებმა განსაზღვრა პოეტის პოლიტიკური იდეოლოგია. ავტორი მხატვრული სიტყვით იცავს იმ პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ კურსს, რომელიც განუხრელად ტარდებოდა ჩვენს ქვეყანაში დავით აღმაშენებლის დროიდან. ეს იყო პოლიტიკური ცენტრალიზმისა და "უაზნოთა" ფენების აღზევების პრინციპი. ამ პრინციპით ხელმძღვანელობდნენ დავით აღმაშენებელი, გიორგი მესამე, თამარი (და დავით სოსლანი). ყველასათვის აშკარა ხდებოდა აღებული ბრძნული პოლიტიკის უცილობელი დიდი შედეგი. საქართველო იქცა უძლეველ სამეფოდ, რომელიც მეთაურ როლს ასრულებდა წინა აზიის სახელმწიფოებრივ დაჯგუფებათა შორის. ამ საქართველოსა და მის საჭეთმპყრობლებს უგალობს პოეტი სახოტბო ჰიმნებს. როგორც ზემოთ ვთქვით, გადაჭარბება და გაზვიადება მსგავს შემთხვევაში მოსალოდნელიცაა და ბუნებრივიც. მაგრამ თვითონ ამ გადაჭარბების შესაძლებლობას ჰქმნიდა, ასაზრდოებდა და ხორცს ასხამდა ისევ და ისევ ისტორიული სინამდვილე. სწორედ მე-12 საუკუნეში, დავით აღმაშენებლისა, გიორგი მესამისა და თამარის ეპოქაში, მომზადდა ფსიქოლოგიური ნიადაგი იმ მესიანისტური თვალსაზრისისათვის, რომელსაც აყალიბებს ორივე

სახოტბო ძეგლი - "აბდულმესიანი" და "თამარიანი", ორივე ძეგლს ასაზრდოებს ეპოქის ეროვნულ-პოლიტიკური იდეოლოგია, ორივე ძეგლით მკაფიოდ მეტყველებს ეპოქის დაუნჯებული ენა და სტილი... ამითაა ჩვენი ძეგლები ღირსშესანიშნავი ქართული საზოგადოებრივი აზროვნებისა და ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

"თამარიანის" მე-6 კარში მოთხრობილია ვიღაც უცნობი პოეტი-მოგზაურის ფანფასტიკური სათავგადასავლო ამბავი.^[10] ეს ამბავი გადმოცემულია ორი ლექსით. თავგადასავლის მომთხრობი ავტორი აცხადებს, რომ "ლომთა მოძმე" მის მოყმეს "არად უჩნდის სახლი და კარიო". ის ჯერ ველად გაჭრილა, შემდეგ დაუტოვებია მშობლიური ქვეყნის საზღვრები და უცხოეთში გარდახვეწილა. პირველად სწვევია სპარსეთს, იქ უნახავს "ცათა მცთუნარი" სულთანის, იმის კარზე წარმოუთქვამს ლექსები:

იგავნი უთხრნის, მეფენი უქნის,
მათდავე სწორად მათი ლაშქარი.

თუმცა ახალი შთაბეჭდილების წყალობით მოგზაურს დროებით შემსუბუქებია მჭმუნვარება, სპარსეთში დიდხანს არ დარჩენილა, იქიდან ინდოეთში გადასულა. ინდოეთიდან სწვევია ჩინეთსა და თურქისტანს. გადმოულახავს შუა აზია, მოუღწევია მდინარე ვოლგის (ედილის) სანაპიროებამდის. აქედან დაშვებულა სამხრეთისაკენ, დაუვლია სამხრეთ რუსეთის (ხაზარეთის) ველები. შავისა თუ აზოვის ზღვებით სწვევია საბერძნეთის მეტროპოლიას და ეგეოსის ზღვის კუნძულებს. გადასულა აფრიკაში. მოუხილავს ეგვიპტე. უნახავი არ დაუტოვებია არც "არაბთა მხარი", მათ შორის იემენი. დაუთვალა იერებია თუ მოულოცავს მაჰმადიანთა წმიდა ადგილები. არაბეთში მას სახელი გაუთქვამს, გამდიდრებულა, შეურთავს კეკლუცი ცოლი. ცოლითა და დიდი ამალით გამოშურებულა სამშობლოსაკენ. გამოუვლია ქალაქები მოსული და ბაღდადი. მოახლოებია საქართველოს საზღვრებს. მაგრამ რაღაც მიზეზის გამო ის კვლავ უგზო-უკვლოდ გარდახვეწილა ("კვლავ განვლო ზღვანიო"). თავგადასავლის მომთხრობ პოეტს თავზარი დასცემია და გული შეღონებია, მოთხრობა სრულდება ავტორის ნაღვლიანი სიტყვებით:

რა მას ვიგონებ, ვერას ვიწონებ,
ველთა გაჭრასა ოდენ მზა ვარი.

საგულისხმო ის არის, რომ უცნობი მოგზაური პროფესიით პოეტი ყოფილა, პოეტი-პანეგირიკოსი (მეხოტბე) და მეიგავე. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მას ლექსები წარმოუთქვამს სპარსეთის სულთანის კარზე. სამწუხაროდ, ამ პოეტი მოგზაურის თაობაზე ჩვენ მეტი არაფერი ვიცით. ოღონდ ის მახლობელი პირი და მეგობარი ყოფილა თავგადასავლის მომთხრობი ავტორისა. უკანასკნელი მოგზაურს უწოდებს თავის მოყმეს, ხოლო მოგზაურის მეუღლეს "სძალს". მოგზაურის საბოლოო გაუჩინარებას ის ძალზე დაუმწუხრებია.

უცნობი მოგზაურის სათავგადასავლო ამბავი არსებითად ფრაგმენტია, გადარჩენილი სახითაც ის მცირე პოემას წარმოადგენს. ახლა შეუძლებელი ხდება იმის გარკვევა, თუ რით უკავშირდება ეს ფრაგმენტი სახოტბო ლექსების კრებულს. ყოველ შემთხვევაში, თავისი შინაარსით, ავტორის განწყობილებით და რამდენადმე ფორმითაც ფრაგმენტი განზე დგას და დამოუკიდებელი ნაწარმოების ხასიათს ატარებს. ფრაგმენტის ერთი ნაწილი მხატვრულად ძალზე ღარიბია. თუმცა ლექსები

აქაც გაწყობილია ოცმარცვლოვან საზომზე, მაგრამ არაა დაცული ჩახრუხაულის რიტმი და რითმა (შინაგანი რითმა). ამიტომ შესაძლებელია, თავგადასავალი ორი პირის მიერ იყოს დაწერილი. სათავგადასავლო ამბის გადმომცემი ძირითადი ტექსტი ლექსთწყობის ფორმითა და სტილით არ განსხვავდება "თამარიანის" სახოტბო ნაწილისაგან. მეორე (პარალელური) ტექსტი, რომელიც სათავგადასავლო ამბის ზოგიერთ ახალ დეტალს შეიცავს, გამოირჩევა როგორც სახოტბო ლექსებისაგან, ისე თვითონ სათავგადასავლო ფრაგმენტის ძირითადი ტექსტისაგან. ფრაგმენტის მეორე ტექსტის ავტორი ერთგვარად ანუგეშებს და თანაგრძნობას უცხადებს სამოგზაურო თავგადასავლის მომთხრობს პოეტი-მოგზაურის ხვედრის გამო. ის კომენტარს ურთავს სათავგადასავლო მოთხრობის ტექსტს. სათავგადასავლო ფრაგმენტის მეორე ტექსტის ავტორი პოეტი კომენტატორია.

"თამარიანის" ტექსტს შემოუნახავს შემდეგი ბიბლიოგრაფიული მინაწერი:

მოხევეს ძეთა ჩახრუხადეთა ექო თამარი, მეფე წყლიანი,
მისი სიმეტე, ბრძენთა სირეტე, თინათინ ვაქო, ბადი წყლიანი,
ა ეს თინათინ, ნუ ის თინათინ, არაბეთს იყო სულად იანი,
ჯერეთ ყმაწვილი, წმიდათ ნაწილი, სამოთხის ვარდი, პირად მზიანი.

თუმცა მკვლევართა უმრავლესობა დამოწმებულ სტროფს ყალბად თვლის, მაგრამ ამის მიხედვით მაინც ვტყობილობთ, რომ ჩახრუხადეს (თუ ჩახრუხადეებს) ექო თამარი. თამარს აქ განეკუთვნება წოდება თინათინი (მზის თინათინი). აი, ეს თინათინი (თამარი) და არა ის, რომელიც არაბეთში იყო (ლაპარაკია "ვეფხისტყაოსნის" თინათინზე). არჩილის ცნობითაც ჩახრუხადე მოხევე ყოფილა, ოღონდ შესაძლებელია ბიბლიოფილი პოეტი ზევით მოყვანილ მინაწერს ემყარებოდეს. სახოტბო კრებულში ავტორი თავის თავზე ამბობს (VII, 27):

მაშა მე ხელი, მ ა შ ა მ ე ხ ე ლ ი - ო.

ნ. მარის განმარტებით, მაშა მეხელი ნიშნავს მოხეტიალე მესხს. ამრიგად, ერთი მოწმობით ჩახრუხადე ყოფილა მოხევე, მეორე მოწმობით კი მესხი.^[11]

არსებული წყაროები არ იძლევა ამ საკითხის დაზუსტებითი გადაწყვეტის საშუალებას. არჩილის მეორე ცნობა, ვითომც ჩახრუხადე იყო თამარის მდივანი, ლეგენდურია. ტრადიციული გადმოცემა თამარის მდივნებად აცხადებს კლასიკური პერიოდის ყველა გამოჩენილ მწერალს (მოსე ხონელს, შოთა რუსთველს, ჩახრუხადეს...)

ჩვენს დრომდის მოღწეულია მე-13 საუკუნის პირველი ათეული წლების ერთი საყურადღებო ხელნაწერი, რომელიც იერუსალიმის ჯვრის მონასტრისათვის გადაუწერია ვინმე გრიგოლ ჩახრუხაისძეს (ჩახრუხაისძეს). მას განზრახული ჰქონია ბერად შედგომა ჯვრის მონასტერში. იქნებ ეს გრიგოლ ჩახრუხაისძე იყო "თამარიანის" სახოტბო ლექსების ავტორი.^[12] ჩახრუხადესვე უნდა მიეკუთვნოს სათავგადასავლო ფრაგმენტის ძირითადი ტექსტი. გაურკვეველი რჩება ვინაობა პოეტი-მოგზაურისა და ფრაგმენტის მეორე ტექსტის ავტორისა. გამოთქმული მოსაზრება, ვითომც პოეტი-მოგზაური იყო მეხოტბე ჩახრუხადე ან შოთა რუსთველი, არ არის დასაბუთებული. ერთი რამ კი ცხადია, "თამარიანს" უკავშირდება სამი სხვადასხვა პოეტის სახელი: ერთია პირველი სათავგადასავლო ფრაგმენტის ავტორი (აგრეთვე ავტორი სახოტბო ლექსებისა), მეორე - სათავგადასავლო ფრაგმენტის

გმირი, პოეტი-მოგზაური, მესამე - პოეტი-კომენტატორი. სამივე ქართველი მწერალია. პოეტ-მოგზაურს ქართულის გარდა კარგად უნდა სცოდნოდა მაშინდელი აღმოსავლეთის კულტურულ ხალხთა ენები - სპარსული და არაბული. ყოველ შემთხვევაში, სპარსეთის სამეფო კარზე მას შეეძლო ლექსები ეთქვა ან სპარსულ ენაზე, ან არაბულზე. მოგზაურ პოეტს დიდი სახელი მოუხვეჭია და დიდი ქონება შეუძენია, ალბათ, შემოქმედებითი საქმიანობის ნიადაგზე. მე-12 საუკუნის ამ უცნობ ქართველ პოეტს დაუძლევია მსოფლიო მასშტაბის დიდი შორეული მგზავრობა, დიდი პოეტური კულტურის მქონეს უცხოეთის ქვეყნებში მას საყოველთაო მოწონება და პატივისცემა დაუმსახურებია თავისი ლექსებით.

როგორც აღნიშნული გვაქვს, "თამარიანის" სახოტბო ლექსები შეთხზულია სხვადასხვა დროს. გარკვეულია დათარიღების განმსაზღვრელი ზოგიერთი ნიშანდობლივი ისტორიული რეალია. მაგალითად, ერთ-ერთ ხოტბაში მოხსენებულია თამარის პირველი ქმარი გიორგი რუსი: "ქმრად რამე გესხენო" (V, 30). მას ტრფიალობს "ლომი ახესალომი" (IX, 10), ე. ი. დავით სოსლანი. თამარისა და დავით სოსლანის შეუღლება მოხდა 1189 წელს, მაშასადამე, მეხუთე ხოტბა შეთხზულია 1187-1189 წლების მანძილზე. ესაა გიორგი რუსის განშორებისა და თამარის მეორედ შეუღლების დრო. "თამარიანის" ზოგიერთ ლექსში (IX-XII) შექებულია გიორგი ლაშა. ლაშა დაიბადა 1192/1193 წელს. ამრიგად, სახოტბო ლექსთა ერთი ჯგუფი უკავშირდება 1193 წელს. მნიშვნელოვანი გარემოება ისაა, რომ თამარიანის პირველივე ლექსით ქების საგანი მეფედ იგულისხმება (I, 55-56):

მტკიცედ აქვს სჯული, სჩანს მართლმსაჯული,
მას რომ უხმობენ ღვთის სახიერსა.
უმრწის ავარი, სტურფობს ჯავარი
მშვიდსა და წრფელსა და ღმობიერსა.

თამარი თანამოსაყდრედ გამოცხადდა ჯერ კიდევ მამის, გიორგი მესამის, სიცოცხლეში 1178 წელს, ნამდვილ მეფედ ის გახდა 1184 წელს, მამის სიკვდილის შემდეგ.

VII, VIII, IX და X ხოტბებში აღწერილია აზუბაქრ ადერბაიჯანელის დამარცხება, რასაც ადგილი ჰქონდა 1195 წელს. XII კარში მოთხრობილია გულზვიადი რუქნადინის ლაშქრის გაწყვეტის ამბავი. რუქნადინის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლა მოხდა ბოლოსტიკეს 1206 წელს. დასასრულ, დავით სოსლანი "თამარიანით" დასახულია სვებდნიერ ძლევამოსილ სარდლად და თამარის თანამეფედ. დავით სოსლანი გარდაიცვალა 1207 წელს.

ამრიგად, "თამარიანის" სახოტბო ლექსები შეთხზულია 1184-1207 წლების მანძილზე. ამავე დროს უნდა ეკუთვნოდეს "თამარიანის" VI კარის ძირითადი ტექსტი, სათავგადასავლო ფრაგმენტის კომენტარული ტექსტი კი შესაძლებელია დაიწერა უფრო გვიან^[13].

"აბდულმესიანი" და "თამარიანი" დაწერილია ერთი და იმავე საზომით, რომელსაც ჩახრუხაული ეწოდება^[14]. სანიმუშოდ ავიღოთ "აბდულმესიანის" მეოთხე სტროფი:

ვიწყოლა ქებად, /ძლივ შეკადრებად, //მსმენელთ ვაუწყო/ ქვეყნის
მპყრობელი,
მხნე, ღმობიერი, /ქველი, ძლიერი, //ჰაეროვანი, /მტკიცედ
მფლობელი,

შარავანდ-გმირი, /ორგულთ გამგმირი, //მტერთა ქვესკნელად/
დამამხობელი,
რიტორი, ბრძენი, /მეფეთა ძენი, //ასპარეზთა ზედ/ მსპარაზნობელი.

სტროფის თითოეული ტაეპი ოცი მარცვლისაგან შედგება და ორ, თანასწორმარცვლოვან ნაწილად (ნახევარტაეპად) იყოფა, გამყოფ საზღვარზე მოდის დიდი ცეზურა (||). ცალკე აღებული ნახევარტაეპიც წარმოადგენს ერთგვარ დამოუკიდებელ მწკრივს, რომელსაც საკუთარი წყობა აქვს და თავის მხრივ მცირე ცეზურით (|) იყოფა თანაბარწევროვან მეოთხედებად. დასაწყისი ნახევარტაეპების მუხლები (მეოთხედტაეპები) ერთმანეთს ყოველთვის ერთმება, ქმნის შინაგან რითმას:

ვიწყოლა ქებად, | ძლივ შეკადრებად,
მხნე, ლმობიერი, | ქველი, ძლიერი,
შარავანდ-გმირი, | ორგულთ გამგმირი,
რიტორი, ბრძენი, | მეფეთა ძენი...

მეორე ნახევარტაეპები არ არის ერთმანეთთან დაკავშირებული შინაგანი რითმით. სამაგიეროდ, როგორც ტაეპების დამაბოლოებელი ნაწილები, ისინი ქმნიან გარეგან რითმას:

მსმენელთ ვაუწყო | ქვეყნის მპყრობელი,
ჰაეროვანი, | მტკიცედ მფლობელი,
მტერთა ქვესკნელად | დამამხობელი,
ასპარეზთა ზედ | მსპარაზნობელი.

ამრიგად, ჩახრუხაული მეტრი გულისხმობს, ერთი მხრივ, მარცვალთა თანაზომიერ რიტმულ წყობას ტაეპში, მეორე მხრივ, გარკვეულ სარიტმო სისტემას, შინაგანი და გრეგანი რითმების განლაგების ზუსტად განსაზღვრულ წესს. ჩახრუხაული მეტრი რთული, ზვიადი და ამასთან მოქნილი მეტრია, ის მშვენივრად ეხამება საზეიმო დანიშნულების სახოტბო ლექსს. შემთხვევითი არაა, რომ ჩახრუხაულმა სრული ბატონობა მოიპოვა ქართულ სახოტბო პოეზიაში.

ორივე სახოტბო ძეგლში ჩახრუხაული ლექსი გართულებულია ზმებით (კალამბურებით). მეხოტბეების ზმებს ჩვეულებრივად აქვს ომონიმური (მაჯამური) სიტყვა-შეწყობის სახე. ზმურ-ომონიმურ სიტყვებს მეხოტბეები იღებენ როგორც ქართული, ისე უცხოური (სპარსულ-არაბული) ლექსიკიდან. ისინი არ ერიდებიან არც არქაიზმებსა და ნეოლოგიზმებს, დიალექტიზმებსა და პროვინციალიზმებს. გარეგნული ეფექტისათვის მეხოტბეები ხშირად არღვევენ გრამატიკის ნორმებს. ერთი სიტყვით, სახოტბო თხზულებებში ძლიერ შესამჩნევია ხელოვნურობით გატაცება, შინაარსის ფორმისადმი დაქვემდებარების ტენდენცია. მეხოტბეების ლექსს ენაწყლიანობას მატებს აგრეთვე მხატვრულ შედარებათა მრავალფეროვნება. ანალოგიებისათვის მეხოტბენი თავისუფლად მიმართავენ მშობლიურსა და უცხოურ სამწიგნობრო წყაროებს, ასახელებენ პერსონაჟებს ბიბლიიდან, ანტიკური მწერლობიდან, სპარსული პოეზიიდან და ა. შ. სხვათა შორის, ამით მეხოტბენი ამჟღავნებენ დიდ ნაკითხობასა და ერუდიციას, საერთოდ ფართო ლიტერატურულ განათლებას.

ზმურობა ნიშანდობლივი პოეტური ხერხია მეხოტბეებისათვის (იოანე შავთელისა და ჩახრუხადისათვის). "აბდულმესიანსა" და "თამარიანში" ვხვდებით როგორც შედარებით მარტივ, ისე ძლიერ რთულ ზმურ-ომონიმურ შესატყვისობებს. მოვიყვანთ მარტივ შესატყვისობათა სანიმუშო მაგალითებს:

1. ვის რისხვით უხმო, უტყვ იქმნეს, უხმო (33, 31).
2. ვისცა უგმირეს, მისთვის უგმირეს არს ეს ყოველთა თვითმპყრობელთასა (28, 1).
3. ვინ იბანს ხელსა, - მე ვგონებ ხელსა, - ღვთის სისხლსა წყლითა ვინ განიწმედსა? 93, 3; შდრ. 34, 4).
4. ეგრეთ ინახის შორის ინახის (45, 1).
5. იტყვის იგავსა, არ თუ იგ ავსა (66, 2; შდრ. 103, 2).
6. გიხმობს ენა მით, სწავლის ე ნამით (105, 2).
7. ყოვლითურთ უკლი, ერთგულთა უკლი (VIII, 4).
8. ვინა ტრედია, ვინატრე დია (X, II).
9. ჩვენ ერნი შენნი, შენ მიერ შენნი (XII, 75).
10. მან გლისპი რითა, მანგლის პირითა ოდენ მუნით ჰყო მეოტებარე (X, 18).

დამოწმებული ყველა ტექსტის აზრი ნათელია. ავტორებს აქ ზმურად (ომონიმურად) გამოყენებული აქვთ მხოლოდ ქართული სიტყვები. ზოგიერთი მაგალითი მაინც საჭიროებს სპეციალურ განმარტებას. 1. ვისაც რისხვით მოუწოდა (უხმო), მას ხმა ჩაუწყდა, უსიტყვო გახდა, უხმო. 2. იმისათვის, ვინც გაგმირეს (ე. ი. ქრისტესთვის), არის ყველა თვითმპყრობელზე უგმირესი. 3. ვინც იბანს ხელს, მე მას ვთვლი გიჟადო (ხელადო), ამბობს მეხოტბე მესამე მაგალითის მიხედვით. ცხადია, აქ გაკიცხულია პილატეს საქციელი. როგორც ცნობილია, სახარების მიხედვით, პილატემ ვერ უპოვა ქრისტეს დანაშაული, მაგრამ თვითონ ხელი დაიბანა და ის გასასამართლებლად გადასცა ებრაელებს. პილატემ კარგად იცოდა, რომ ებრაელები ქრისტეს სიკვდილით დასჯიდნენ. მაშასადამე, პილატემ ფაქტობრივად დაამტკიცა ქრისტეს სიკვდილით დასჯის განაჩენი. ამიტომ ამბობს მეხოტბე, ხელის დაბანა პილატეს ვერ უშველის, ღვთის (ქრისტეს) სისხლს წყლით როგორ მოიცილებსო. 4. ასე ჩანს (ინახება) ის მოინახეთა (ინახით მჯდომთა), ანუ მომლხენთა შორის. 7. ყოვლითურთ უნაკლოა, ერთგულებს არ ერჩის, არ მოკლავს. 10. ბიწიერი და ანჩხლი მან გააქცია, დაამარცხა, უბრალო ნამგლის (მანგლის) პირით.

მეხოტბეების ბევრი ზმა აგებულია საკუთარი სახელების (გეოგრაფიულ და პირთა სახელების) შეპირისპირებაზე. სწორედ მსგავს შემთხვევაში ეძლეოდა დიდი გასაქანი პოეტების ნაკითხობას. სანიმუშო მაგალითები:

1. ესავისითა ეს ავი სით ა (27, 4)
2. ვხმობ ვამეყ-ვისსა, არ თუ მეყვისსა (32, 1).
3. თვით სულ იმონა კიდე-ლიმონა (33, 1).
4. ექმენ ედილად ყრმათა ე დილად (56, 4).
5. თვით მის აქაზის ნაცვლად აქა ზის (74, 3).
6. ახალო რომო, შენთვის თქვეს რომო (105, 3).
7. ანათობს ის ოს, მით არცხვენს ისოს (III, 9).
8. რომელ დღეს ტაოს, მოემატა ოს (VII, 20).
9. უბრძანა აქარს, გაქვეს რაცა, აქ არს (V, 4).
10. მცრობსა აქილევს, მბრძოლთა აქ ილევს (IX, 18).
11. გამცრობს ერაკლე, სპარსთა ერ აკლე (X, 21).

პირველ მაგალითში სიტყვათა ზმური თამაშია: საიდან არის ესავესებური ეს ავი საქმეო. ესავი ბიბლიური პერსონაჟია. ბიბლიური პერსონაჟებია აგრეთვე აქაზი (5) და აქარი (9). 2. ვამეყი და ვისი სპარსული რომანტიკული პოემების ("ვამეყ-ო-აზრა", "ვის-ო-რამინ") პერსონაჟებია. მესამე მაგალითით აღნიშნულია ცნობილი ისტორიული ფაქტი, ქართული ჯარის მიერ ლიმონას დაპყრობა და ტრაპიზონის იმპერიის დაარსება. 4. ედილი მდინარე ვოლგის ძველ-თურქული სახელწოდებაა. 6. ახალ რომად ნაგულისხმევია გელათი, საკუთრივ გელათის აკადემია. მე-7 და მე-8 მაგალითების ოსი დავით სოსლანია. ისო, რომელსაც არცხვენს დავითი, ბიბლიური ისოა, ან ისუ ნავინია, ებრაელთა გამოჩენილი სარდალი. 10. აქილევსი "ილიადას" განთქმული გმირია. 11. ერაკლე - ბიზანტიის იმპერატორი, რომელიც ებრძოდა სპარსელებს. 627 წელს ერაკლემ სპარსელებს გამოსტაცა თბილისი. მეხოტბე ეუბნება თავისი ქების საგანს (დავით სოსლანს), შენთან შედარებით უმნიშვნელოა ერაკლე იმპერატორი, შენ შემუსრე სპარსელებიო (სპარსელებს ხალხი შეუმცირეო).

როგორც ვთქვით, ზმური სახეების მისაღებად მეხოტბეები იყენებენ უცხოურ ლექსიკას. ეს კიდევ უფრო აძნელებდა აზრის გაგებას და აძლიერებდა ტექსტის ხელოვნურობას. მოვიყვანთ დამახასიათებელ მაგალითებს:

1. ედემს დარგული სამოთხის გული (45, 3).
2. მისცა დავალნი, ხმელთა დავალნი (1, 53).
3. უძრწის შამალი, მით სთქვა შამ ალი (IX, 15).
4. იგი ვარდ გული, იგი ვარდ-გული (X, 26).
5. მაშა მე ხელი, მაშა მეხელი (VIII, 27).

სამოთხის გული სამოთხის ვარდია. გული ვარდის სპარსული სახელწოდებაა. ეს მხატვრული სახე უფრო გართულებულია "თამარიანში". პირველი ნაკვეთის "ვარდ-გული" ჩვეულებრივი მნიშვნელობის სიტყვებია, მეორე ნაკვეთში გაშიფრულია "ვარდ-გულის" მნიშვნელობა, აქ ვარდი უდრის სპარსულ გულს. დავალი არაბული სიტყვაა მრავლობით რიცხვში. ეს სიტყვა იხმარება სპარსულშიც, ნიშნავს სახელმწიფოებს. თავისთავად მრავლობითი ფორმის უცხოური სიტყვა მეხოტბეს ქართულშიაც მრავლობითად გამოუყენებია დავალნი. მეორე დავალი დასავალია, დასავლეთი, დასალიერი. შამალი არაბულია, ნიშნავს ჩრდილოეთს. შამალი სპარსულ-ქართული სიტყვებია, სანთლის ალი. მაშა მეხელი თითქოს აღნიშნავს მოხეტიალე მესხს.

ცალკეულ შემთხვევაში მეხოტბეებს აქვთ ძნელად ამოსაცნობი რებუსისებური ზმები, როგორც მაგალითად (41, 3):

მიხვდეს მისრულნი, მისთვის მისრულნი,
თვისთვის მისრულნი საქმესა ძნელსა.

ამისი ვარიაციაა იმავე "აბდულმესიანში" (66, 4):

მისრულ მისრულა, მისრულ მისრულა,
გული როს მქონდა სალმოზიერად.

ვფიქრობთ მოყვანილი ტექსტების ზმური სიტყვები ასე უნდა განიმარტოს (41, 3): მიხვდეს მისრულნი მისთვის მხიარულნი (არაბულ-სპარსული მასრურიდან), ხოლო თავისთვის სრულმყოფელნი ეგვიპტური (მისრული) საძნელო საქმისა. მეორე

ნაწყვეტში უნდა გვქონდეს სიტყვათა ზმური განმეორებანი. პირველი მისრულ-მისრულა: შემისრულა, შემისრულა, მეორე - გამახარა, გამახარა. მთელი ტექსტი ასე უნდა განიმარტოს: შემისრულა (აღთქმული), გამახარა, როცა გული მტკივნეული მქონდა. იქნებ ეს განმარტებაც ისეთივე ხელოვნური და ნაძალადევი იყოს, როგორც არის დედნის ტექსტის ზმა. ყოველ შემთხვევაში არა გვგონია, მსგავსი მაგალითების გამო ითქვას, თითქოს ისინი ”приятно ласкают слух счастливым обилием гласных и необычайною роскошью рифм”^[15].

მეხოტბეებს (განსაკუთრებით შავთელს) აქვთ მთლიანი მაჯამური სტროფები. აი, სანიმუშოდ, ერთი ასეთი, შედარებით იოლად ამოსახსნელი მაგალითი (19):

მხედართ ქველობით, უძლეველობით, სახედ უსწორო ანაგებითა,
უფლად სპასპეტთა, თვით ქალაქპეტთა, აქვსდა გოდოლნი ანაგებითა.
მშვილდთა მაზრაკა უქმნა მტერთ რაკა გულსა უწყალოდ ანაგებითა.
ცუდჰყოფს მისანსა, ტილისმისანსა, ხრიზმოსთ კითხვითა, ანა
გებითა.

ამ სტროფში გვაქვს სრული მაჯამური (ომონიმური) რითმა ანაგებითა. პირველ შემთხვევაში ის ნიშნავს აგებულებას, ტანადობას, შესახედაობას; მეორე შემთხვევაში - აგებას, აშენებას (აქვს აშენებული კოშკებიო); მესამე შემთხვევაში - აგებას, წამოგებას (გული უწყალოდ წამოაგო ისარზეო); მეოთხე შემთხვევაში - ან პასუხის მიცემით, პასუხის გებით. ზოგი მაჯამა (მაგალითად, 24) მძიმეა, დახლართული, ძალზე ხელოვნური და ძნელად ამოსაცნობი. თუმცა მეხოტბე აღწევს გარეგნულ ვირტუოზობას, მაღალ ტექნიკურ სრულყოფილობას.

ჩახრუხაული მეტრით უწერია იოანე შავთელსაც და ჩახრუსაძესაც. ამ პოეტურ მეტრს ისტორიამ მაინც ჩახრუხაული შეარქვა, ალბათ იმიტომ, რომ შემომღები თუ დამმკვიდრებელი უნდა ყოფილიყო ჩახრუხაძე^[16]... შავთელმა გამოიყენა მისი თანამედროვის სალექსო ფორმა, ამით მან განამტკიცა და დააკანონა კიდევაც ახალი სალექსო ფორმის დანიშნულება. მაგრამ ისიც ცხადია, რომ ჩახრუხაძის ადრინდელი სახოტბო ლექსები წინ უნდა უსწრებდეს იოანე შავთელის ”აბდულმესიანს”.

დასასრულ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ”თამარიანში” მოიპოვება შაირის მეტრით გაწყობილი სამი სტროფი (II, 16; III, 16-17).

^[15] ნ. მარის გამოცემის მიხედვით (Древнегрузинские одописцы, ТР, IV, 1902); ი. ლოლაშვილის გამოცემით კი (ძველი ქართველი მეხოტბენი, I, 1957) თითქოს თამარიანში გვაქვს 12 ოდა, საარაკო ამბების შემცველი ორი ფრაგმენტი და ოთხიც თითოსტროფიანი სახოტბო ლექსი.

^[16] თამარიანის კომპოზიციის ამგვარი გაგება თავის დროზე წარმოადგინა ნ. მარმა. ამ გაგებას ახლა თითქმის ყველა მკვლევარი იზიარებს. ნ. მარის თვალსაზრისის კრიტიკა ბეჯითად სცადა შ. ნუცუბიძემ. საგულისხმო ისაა, რომ თამარიანის აგებულება ბოლოსა და ბოლოს შ. ნუცუბიძესაც კრებულის სახით ეხატება. სახოტბო პოემაში იგი არჩევს გარკვეულად განცალკევებულ შინაარსობლივ-თემატიკურ ერთეულებს, რომელთაც ხან სიმღერას (песнь) უწოდებს, ხან ნაკადს (поток). იხ. ТАМАРИАНИ, Перевод с грузинского Ш. Нуцубидзе, 1942, გვ. 33, 52.

^[17] ვსარგებლობთ ნ. მარის გამოცემით, მხედველობაში მიღებულია აგრეთვე ახალი გამოცემის გასწორებანი.

^[18] ნ. მარი, V, 30; ივ.ლოლაშვილი, VII, 45, 30.

^[5] . ე.ი. ათაბაგს მოუთხოვია თამარის ხელი. პ. ინგოროყვას აზრით, "მზედ" თითქოს იგულისხმება რუსუდანი, თამარის ასული (ჩახრუხაის-ძე, პოეტი-მოგზაური, "კავკასიონი", № 1-2, 1924 წ., გვ. 290).

^[6] ე. ი. იგივე ხოსრო ანუ შირვანი.

^[7] იგულისხმება დავით სოსლანი.

^[8] სხვაგან (IX, 22) ვახტანგის მეტომეობა თითქოს დავითს მიეწერება:

ვახტანგის ტომსა, მას ვეფხვებრ მხტომსა,
მზისა შვენთან გაჩვენებანი.

^[9] ნ. მარი, Древнегрузинские описцы, გვ. 49.

^[10] ნ. მარი ამას უწოდებს ელეგიას. პროფ. ელ. ორლოვმა სამართლიანად აღნიშნა, რომ ეს ამბავი "ничего элигического в себе не содержит и скорее может быть назван медитацией" ("Новый мир", 1943, №2-3, გვ. 126).

^[11] ც. ჯღამაიას დაკვირვების თანახმად, გიორგი ათონელს ტერმინი მეხელი ნახმარი აქვს მგალობელის მნიშვნელობით (საქართველოს მეცნ. აკად. სმგ მოამბე, 1962, № 3, გვ. 152-160).

^[12] კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1958, გვ. 225-226.

^[13] ივ. ლოლაშვილის მოსაზრებით, თამარიანი თითქოს ერთდროულად დაიწერა "ზასიანის ომში გამარჯვებულ ქართველთა საზეიმო განწყობილების შედეგად 1205-1206 წლებში" (ძველი ქართველი მეხოტბენი, I, გვ. 180).

^[14] "აბდულმესიანის" თითოეულ სტროფს აქვს თავისი საკუთარი რითმა, თამარიანის ცალკეული ხოტბები კი, მიუხედავად სტროფული შემადგენლობისა, ერთიან რითმებზეა გამართული.

^[15] Древнегрузинские описцы, გვ. 93.

^[16] "ჩახრუხაული" ლექსის კვალი აღმოჩნდა ძველ ქართულ სასულიერო მწერლობაში (საქმე მოციქულთა, გამოსცა ილ. აბულაძემ, 1950, გვ. 020-021; ალ. ბარამიძე, ნარკვევები, III, 1952, გვ. 272).

ვეფხისტყაოსანი

პოემის შედგენილობა

"ვეფხისტყაოსანი" არის მსოფლიო ლიტერატურის შედეგრი და ძველი ქართული პოეტური კულტურის დღემდის დაუმღეველი დიდი მწვერვალი.

"ვეფხისტყაოსანი" სამი ნაწილისაგან შედგება: პროლოგი (შესავალი, წინასიტყვაობა), საკუთრივ პოემა (თხრობა, ამბავი) და ეპილოგი (დასასრული, ბოლოსიტყვაობა). პოემის ისტორიულ-ლიტერატურული საკითხების გადასაწყვეტად და ავტორის ლიტერატურულ-ესთეტიკური შეხედულებების გამოსარკვევად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პროლოგს. პროლოგის ეს მნიშვნელობა კარგად ჰქონია შეგნებული ჯერ კიდევ ალ. სარაჯიშვილს. მართალია, ალ. სარაჯიშვილი ყალბად აცხადებდა პროლოგის რიგ შესანიშნავ სტროფს, მაგრამ ამ დაკვირვებულ რუსთველოლოგს აღნიშნული აქვს: "ვეფხისტყაოსნის წინასიტყვაობა პოეტური აღსარებაა. ცხადად ჩანს, რომ რუსთველს სწადდა ამ წინასიტყვაობით გამოეთქვა პოემის დასაბამი და დედააზრი, თვისის სულის ვითარება და მდგომარეობა პოემის შეთხზვის ჟამსა, თვისი შეხედულება და ურთიერთობა პოემის გმირებთან; სწადდა გამოეხატა თვისი იდეალი, რომელიც ყოველს პოეტს ასულდგმულებს და მის უძვირფასეს განძს შეადგენს - მიჯნურობა და პოეზია."

წინასიტყვაობა არა თუ სხვის მიკერებულ აპოკრიფი არ არის, არამედ პოემის მოუწყვეტელი ნაწილია, მისი ახსნაა და კლიტე-გასაღები”.^[1]

"ვეფხისტყაოსნის" ტექსტის ორგონის გამომცემელი და მკვლევარი დ. კარიჭაშვილი, პირიქით, შეეცადა დაემტკიცებინა მთელი პროლოგისა და ეპილოგის სრული სიყალბე. დ. კარიჭაშვილის მოსაზრებით, "პოემის წინასიტყვაობას და უკანასიტყვაობას არამც თუ არაფერი საერთო აქვთ-რა თხზულების თხრობასთან, არამედ თვითონ ეს ნაწილები ცალკე არაფერს ერთიანს არ წარმოადგენენ და როგორც წინასიტყვაობის, ისე უკანასიტყვაობის ტაეპები სხვადასხვა პირთაგან სხვადასხვა დროს უნდა იყვნენ დაწერილნი"^[2]. ეს მოსაზრება მკვლევარმა უცვლელად გაიმეორა თავის სპეციალურ ნარკვევში "ვეფხისტყაოსნის შედგენილობა".^[3]

"ვეფხისტყაოსნის" პროლოგ-ეპილოგის საკითხს მიუძღვნა თავისი საუკეთესო რუსთველოლოგიური ნაშრომი აკადემიკოსმა ნ. მარმა: «Вступительные и заключительные строфы «Витязя в барсовой коже» Шоты из Рустава. Грузинский текст, русский перевод и пояснения с этюдом «Культ женщины и рыцарство в поэме» (ТР, XII, Санктпетербург, 1910). ნ. მარი საბუთიანად ამბობდა, რომ "ვეფხისტყაოსნის" პროლოგში «и по музыкальности, и по сжатости слога и образности мысли мы находим лучшее, что только вышло из-под пера Шоты».

ნ. მარის გამოკვლევის მიუხედავად, დ. კარიჭაშვილის უსაფუძვლო მოსაზრებები დაიცვა და უკიდურესობამდის განავითარა ალ. სვანიძემ.^[4] არა გვგონია მოიპოვებოდეს "ვეფხისტყაოსნის" ისეთი მკვლევარი, რომელსაც რუსთველისეულად მიაჩნდეს ხელნაწერებით ნაანდერძევი პროლოგ-ეპილოგის ტექსტის ყველა სტროფი. მაგრამ სრულიად დაუშვებელია მთელი პროლოგ-ეპილოგის ხელაღებით უარყოფა. "ვეფხისტყაოსნის" პროლოგი აგებულია გარკვეული პრინციპების მიხედვით (შემდეგ მოხდა ამ პრინციპების კანონიზაცია). დასაწყისში პოეტი ქებითა და ლოცვით მიმართავს სამყაროსა და ადამიანის შემოქმედ ღვთაებრივ ძალას (სტროფები 1 და 2), ამის შემდეგ ის ქებათა-ქებას უძღვნის ამქვეყნიურ მეუფეთ, მეფე-პატრონებს (3-5), ხოლო დასასრულ ლაპარაკობს თავის თავზე და თავის შემოქმედებითს საგანზე. პროლოგში ჩამოყალიბებულია ავტორის შეხედულებანი პოეზიისა (შაირობისა) და მიჯნურობის შესახებ. კომპოზიციური თვალსაზრისით პროლოგის ტექსტი თავის არსებითს ნაწილში სრულ წესრიგშია, შინაარსობლივად და აზრობრივად. მწყობრია და თანმიმდევრული, მხატვრულად სანიმუშოა. პროლოგი ორგანულად და განუყოფლად არის დაკავშირებული პოემის ტექსტთან. პროლოგში დასმულია და, ასე ვთქვათ, თეორიულ ასპექტში გადაწყვეტილია ყველა ის ძირითადი პრობლემა, რაც საკუთრივ პოემაში (ე. ი. პოემის თხრობითს ნაწილში) მხატვრულად არის ხორცშესხმული. როგორც საოპერო ნაწარმოების უვერტიურაში, "ვეფხისტყაოსნის" პროლოგშიც მკაფიოდ აღბეჭდილია მთელი თხზულების ძირითადი ლეიტმოტივი. პროლოგი "ვეფხისტყაოსნის" ბრწყინვალე პრელუდიაა, მთელი ნაწარმოების იდეათა და მოტივთა განზოგადებული გამოსხივება. პროლოგი ნათლად გამოხატავს "ვეფხისტყაოსნის" სულს, მის იდეურ-მხატვრულ სიდიადეს. პროლოგი უდავოდ არის "ვეფხისტყაოსნის" იდეათა სამყაროს შესავალი კარი, "კლიტე-გასაღები". პროლოგი "ვეფხისტყაოსნის" ნამდვილი მშვენიებაა და ქართული პოეტური კულტურის სწორუპოვარი შედეგრი.

ვეფხისტყაოსნის პროლოგი

მოდღვრება შაირობასა და მიჯნურობაზე

როგორც აღვნიშნეთ, პროლოგი "ვეფხისტყაოსნის" ერთგვარი თეორიული ნაწილია. აქ განვითარებული თვალსაზრისი პოემაში მხატვრულად არის ასახული. რუსთველის ლიტერატურულ-ესთეტიკურ შეხედულებათა ქვაკუთხედიცაა თეორია შაირობისა და თეორია მიჯნურობისა.

რუსთველი თავიდანვე მკაფიოდ განსაზღვრავს შაირობის (პოეზიის) რაობას საზოგადოდ და მისი სპეციფიკის ბუნებას კერძოდ (12):

შაირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი,
საღმრთო, საღმრთოდ გასაგონი, მსმენელთათვის დიდი მარგი,
კვლა აქაცა ეამების, ვინცა ისმენს კაცი ვარგი;
გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, შაირია ამაღ კარგი.

მოყვანილი ტექსტის მიხედვით, შაირობა, ანუ პოეზია მიჩნეულია სიბრძნის დარგად, ხაზგასმულია მისი შემეცნებითი მნიშვნელობა. რუსთველის აზრით, პოეზიას აქვს საზოგადოებრივ-გამოყენებითი, უტილიტარულ-აღმზრდელობითი ღირებულება. შაირობა "მსმენელთათვის დიდი მარგია" ე. ი. მარგებელია, სარგებლის მომცემია. რუსთველი იყო თავისი ეპოქის შვილი (თუმცა მოწინავე აზროვნებით ეპოქას გაუსწრო წინ), ამიტომაც მისი მოძღვრებით, პოეზია "საღმრთოა" საზეო, რომელსაც იმავე დროს აქვს საამქვეყნო დანიშნულება. "კვლა აქაცა ეამების, ვინცა ისმენს კაცი ვარგი", შენიშნავს პოეტი. მაშასადამე, პოეზიას, როგორც შემეცნების წყაროს, სარგებლობა მოაქვს საზოგადოების რეალურ ცხოვრებაში, იგი ესთეტიკური სიამოვნების მომგვრელიცაა. საზეო ხასიათის აღიარებასთან ერთად რუსთველი პოეზიას უსახავს პრაქტიკულ საზოგადოებრივ ამოცანებს, გარკვეულ სამსახურებრივ როლს აკისრებს.

პოეზიის საერთო ბუნებისა და დანიშნულების განსაზღვრის შემდეგ რუსთველი განმარტავს მის სპეციფიკას: "გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, შაირია ამაღ კარგი". პოეზიის, როგორც მეტრული ჩარჩოებით განსაზღვრული სიტყვაკაზმული ხელოვნების, ნიშანდობლივ თვისებად რუსთველი თვლის სიტყვის ეკონომიურობას, აზრის მოკლედ და სხარტად გამოთქმის უნარს. რუსთველი მოითხოვს აზრიანი და გამომსახველობითი ძალის მქონე სიტყვების შერჩევაში დახელოვნებას. პოეტი ავითარებს შინაარსისა (აზრისა) და ფორმის ერთიანობის პრინციპს: პოეტური სიტყვა უნდა იყოს მოკლე, მოქნილი, გამომეტყველი, აზრიანი, მუსიკალური. სიტყვას აქვს ორი მხარე: ევფონიური (ბგერულ-გამომსახველობითი) და სემანტიკური (შინაარსობლივ-აზრობრივი). პოეტური სიტყვის ორივე ეს მხარე ჰარმონიულად უნდა იყოს შეხამებული. რუსთველის ნორმაა "სიტყვა ტკბილი", "ტკბილ-ქართული". რუსთველურ ნორმებს დაუფლებული პოეტი შეძლებს "სრულ-ქმნას -სიტყვათა, გულისა გასაგმირეთა" (16,2).

პოეტური ხელოვნება ძნელი, რთული, თავისებურად საგმირო საქმეა. პოეტს, მოშაირეს თავის დარგში ისეთივე დახელოვნება და გაწაფულობა მოეთხოვება, როგორც სპორტის ოსტატს, მობურთალს. პოეტის შემოქმედებითს ძალ-ღონესა და უნარიანობას ისევე გამოსცდის დასამუშავებლად აღებული თემა, როგორც ბედაურს გამოსცდის "შარა გრძელი" და "დიდი რბევა", მობურთალს - დიდი მოედანი, "მართლად ცემა, მარჯვედ ქნევა" (13). პოეტური შემოქმედების სარბიელი რუსთველს აგონებს საომარ სარბიელს (16). პოეტური შრომა ბრძოლაა მკაფიო, გამომეტყველი

სიტყვისათვის, ნათელი აზრისათვის. პოეტის საბრძოლო საჭურველია განათლებული გონება, დახვეწილი გემოვნება, ფაქიზი მგრძობელობა, სრულყოფილი პოეტური ტექნიკა. ვაი იმ პოეტს, რომელსაც შემოქმედებითი ბრძოლის შუა გზაზე უმტყუნებს ძალა, "სიტყვა-მცრობა" დაეტყობა და ლექსი დაუძვირდება. "მაშინღა ნახეთ მელექსე და მისი მოშაირობა", თუ მას „ლექსმან დაუწყო ლევა“, თუ "ქართული" გამოეღია, სიტყვა დაუჩლუნგდა, აზრი გაეფანტა, შემოქმედებითს ჩოგანს ხელმარჯვედ ვედარ დაუწყო ქნევა, ვერ დაიმორჩილა თავისი პოეტური ცხენი (13-14). ასეთი მოშაირე ჯაბანია, პოეტური სარბიელი არაა მისი სამოღვაწეო ასპარეზი. პოეტი სიტყვის ფალავანია, პოეტური საქმე საგმირო, სამამაცო, სასახელო საქმეა, - აცხადებს რუსთველი. ეს კანონზომიერი შეხედულებაა სარაინდო იდეალების გამომხატველი პოეტისათვის. მოწინავე სამხედრო-რაინდული საზოგადოება თავყვანს სცემდა გაწაფულ, გამძლე, უშიშარ მებრძოლ-ფალავანს საომარ ველზე თუ სამოქალაქო მოედანზე. რუსთველმა სწორედ ამ საზოგადოების გემოვნებას შეუწონა პოეტის დანიშნულება, პოეტური შემოქმედების სარბიელი მან სამხედრო-საბრძოლო სარბიელს გაუთანაბრა, პოეტი გაწაფულ რაინდს გაუტოლა. ამით მუდავნდება რუსთველის ლიტერატურულ-ესთეტიკურ შეხედულებათა სოციალურ-კლასობრივი ტენდენცია. რუსთველმა აამაღლა პოეტის პრესტიჟი, პოეტურ პროფესიას მან მიანიჭა დიდი საზოგადოებრივი ღირებულება.

რუსთველი აღიარებს, რომ თავისი პოემის სრულყოფისათვის მას სჭირდება ენა, გული (გრძობა), ხელოვნება (ოსტატობა) და გონება (6, 1-2). პოეტის სიტყვით, ესენი ქმნიან ერთმანეთთან მჭიდროდ შეკავშირებულ განუკვეთელ ერთიანობას, რადგანაც "გული, ცნობა და გონება ერთმანერთზედა ჰკიდია" (848, 1).

რუსთველი პოეტს უსახავს დიდ ამოცანებს, ლექსის ყველა მთხზველი მას პოეტად არ მიაჩნია. რუსთველი ასახელებს მელექსეთა სამ კატეგორიას, რომელთაც შაირობაში წილი ან სრულიად არ უდევთ, ან უდევთ მხოლოდ ნაწილობრივ. მელექსეთა დახარისხებას იძლევა პროლოგის მე-15, მე-16 და მე-17 სტროფები:

მოშაირე არა ჰქვიან, თუ სადმე თქვას ერთი, ორი;
თავი ყოლა ნუ ჰგონია მელექსეთა კარგთა სწორი;
განაღა თქვას ერთი, ორი, უმსგავსო და შორი-შორი,
მაგრა იტყვის: "ჩემი სჯობსო", უცილობლობს ვითა ჯორი.
მეორე ლექსი ცოტაი, ნაწილი მოშაირეთა,
არ ძალ-უც სრულ-ქმნა სიტყვათა, გულისა გასაგმირეთა,-
ვამსგავსე მშვილდი ბედითი ყმაწვილთა მონადირეთა:
დიდსა ვერ მოჰკლვენ, ხელად აქვს ხოცა ნადირთა მცირეთა.
მესამე ლექსი კარგია სანადიმოდ, სამღერელად,
სააშიკოდ, სალალობოდ, ამხანაგთა სათრეველად;
ჩვენ მათიცა გვეამების, რაცა ოდენ თქვან ნათელად.
მოშაირე არა ჰქვიან, ვერას იტყვის ვინცა გრძელად.

მოყვანილი ნაწყვეტით რუსთველი განაგრძობს ნამდვილი, "კარგი" მოშაირის დახასიათებას. კარგი მოშაირის სიტყვას უნდა ჰქონდეს გულის გამგმირავი ძალა. სიტყვის ბრძენი ოსტატი შედარებულია დახელოვნებულ მონადირესთან, რომელსაც შეუძლია დიდთა ნადირთა ხოცა. თუ მოვიგონებთ, რომ ფეოდალურ-რაინდული საზოგადოებისათვის ნადირობა წარმოადგენდა სარაინდო-საფალავნო თვისებების გამოსაწრთობ სკოლას, ცხადი გახდება ის გარემოება, რომ რუსთველი ამ

შემთხვევაშიც გარკვეულ სოციალურ-კლასობრივ სულისკვეთებას ამჟღავნებს. პოეტი თანმიმდევრულად ავითარებს თავის თვალსაზრისს. წინა სტროფებში იგი პოეტს ადარებდა მამაც რაინდს, აქ მას პოეტი აგონებს მაღალი რანგის მონადირეს. როგორც მამაც მეომარს გამოსცდის საბრძოლო მოედანი, მონადირეს - სახიფათო სანადირო ასპარეზი. პოეტის უნარიანობას გამოსცდის დიდი პოეტური ტილო, დიდი მხატვრული თემა. "მოშაირე არა ჰქვიან, ვერას იტყვის ვინცა გრძელადო", ამბობს რუსთველი. აქაც იდეათა და წარმოდგენათა ნაცნობ წრესთან გვაქვს საქმე. პოეტი ადრეც ურთავდა: "ვითა ცხენსა შარა გრძელი და გამოსცდის დიდი რბევა... მართ აგრევე მელექსესა ლექსთა გრძელთა თქმა და ხევა". (13).

ამრიგად, როგორც კარგ ბედაურს შეეფერება გრძელი შარაგზის დაძლევა, მობურთაღს - ფართო მოედანზე ხელმარჯვედ ცემა ჩოგნისა და "დიდი გმირობა", მონადირეს - ხოცა "დიდთა ნადირთა", კარგ პოეტს მოეთხოვება დიდი თემის, გრძელი ამბის სრულყოფა, "ლექსთა გრძელთა თქმა".

რუსთველური პოეტიკის აღნიშნულმა მოტივმა ერთ დროს დიდი გაუგებრობა გამოიწვია მკვლევართა შორის. ზოგი რუსთველოლოგის მოსაზრებით, შაირობის თეორიის განმსაზღვრელი სტროფები თითქოს აზრობრივ წინააღმდეგობას შეიცავდა. კერძოდ, ერთმანეთს უპირისპირებდნენ რუსთველის ორ გარკვეულ დებულებას:

"გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, შაირია ამაღ კარგი".
"მოშაირე არა ჰქვიან, ვერას იტყვის ვინცა გრძელად".

ფიქრობდნენ, ვითომც შაირობის ღირსებად რუსთველი ერთ შემთხვევაში თვლიდა სიმოკლეს, მეორე შემთხვევაში კი - სიგრძეს. ნამდვილად კი აქ არავითარ წინააღმდეგობას არა აქვს ადგილი. პირიქით, განვითარებულია მწყობრი, თანმიმდევრული თვალსაზრისი. პოეტი თავდაპირველად განმარტავს პოეზიის სპეციფიკის ხასიათს (სტილის ლაპიდარობა, აზრის მოკლედ და მკაფიოდ გამოხატვა...), შემდეგ ლაპარაკობს შემოქმედებითს თემაზე და არკვევს პოეტური ჟანრის საკითხს. რუსთველი უპირატესობას ანიჭებს ეპიკურ ჟანრს. მისი შეხედულებით, დიდი თემის გაშლა, დიდი პოეტური ამბის დამუშავება შესაძლებელია ეპიკური ჟანრის ფარგლებში. პოეტის უნარიანობისა და შემოქმედებითი ენერჯის ცხადყოფის შესაძლებლობას, რუსთველის პოეტიკით, იძლევა ეპიკური ნაწარმოები, გრძელი ამბავი.

ასე მკაფიოდ ჩამოყალიბებული თვალსაზრისი პოეტს გადმოცემული აქვს სრულყოფილი გარეგნული ფორმით, აფორიზმების სახით. ორივე შემთხვევაში აფორიზმები წარმოადგენს გარკვეული წანამძღვრებით შეპირობებულ დასკვნებს. პირველი აფორიზმი ("გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის...") ხურავს და ჰკრავს შაირობის თეორიის შემცველ პირველ სტროფს, მეორე ("მოშაირე არა ჰქვიან...") ასევე ხურავს და ჰკრავს შაირობის თეორიის უკანასკნელ სტროფს. ეს აფორიზმები ორგანულად ამთლიანებს რუსთველის მოძღვრებას პოეზიაზე.

კარგი მოშაირის თვისებების დახასიათებასთან ერთად, როგორც ვთქვით, რუსთველი ახარისხებს საეჭვო ან ნაწილობრივ მოშაირეთა სამ წრეს, სამ კატეგორიას. პირველ კატეგორიაში ჩარიცხულია უნაყოფო, ბაქია და ყოყოჩა მელექსე, ერთი-ორი და ისიც უმსგავსო ლექსის ავტორი. ასეთი მელექსე, რა თქმა უნდა, ვერ იქნება "მელექსეთა კარგთა სწორი". მეორე კატეგორიის მელექსე მხოლოდ "ნაწილია მოშაირეთა". მას შესწევს უნარი შეთხზას "ლექსი ცოტაი". "ლექსი ცოტაის" ავტორს "არ-მალ-უც სრულ-ქმნა სიტყვათა გულისა გასაგმირეთა". ასეთი ავტორი

მლიერ ემოციურ ზემოქმედებას ვერ მოახდენს მკითხველზე, იგი მიაგავს გაუწაფავ "ყმაწვილ მონადირეს", რომლის "ბედითს მშვილდს" "ხელად აქვს ხოცა ნადირთა მცირეთა". მეორე ხარისხის პოეტს მხოლოდ წვრილი ლექსების შესაქმნელად შესწევს ძალ-ღონე, დიდ პოეტურ საქმეს იგი ვერ მოერევა, მას არ შეუძლია "ლექსთა გრძელთა თქმა". "მოშაირეთა" მექამე კატეგორიის ლექსი "კარგია სანადიმოდ, სამღერელად, სააშიკოდ, სალალობოდ, ამხანაგთა სათრეველად". ამ კატეგორიის ლექსები გამოსადეგია დროის მოსაკლავად, გასართობად, სალალობოდ, ამბობს პოეტი. იგი არ უარყოფს მსუბუქი ჟანრის წვრილი სალალობო ლექსების მნიშვნელობას, თუ მათზე აღბეჭდილია ჭეშმარიტი პოეზიის ნიშანი. ნამდვილი პოეზიის ერთ-ერთ ნიშანდობლივ თვისებად რუსთველი თვლის სინათლეს, აზრის მკაფიოდ და ნათლად გამოხატვას ("ჩვენ მათიცა გვეამების, რაცა ოდენ თქვან ნათელად").

ეჭვი არაა, რომ რუსთველი საერთოდ უარყოფითად ახასიათებს ლირიკული ჟანრის ლექსებს. ლირიკოს პოეტებს იგი ცხადი ათვალწუნებით უყურებს. რუსთველი სასტიკად გმობს უნიჭო ლირიკოსების ყბედობასა და თავხედობას, ოღონდ შემწყნარებლობითს დამოკიდებულებას იჩენს სატრფიალო და სალალობო, "ამხანაგთა სათრეველი" (ეპიგრამული, იუმორისტულ-სატირული ყაიდის) ლექსთა ნიჭიერი ავტორების მიმართ.

შაირობის თეორიას სხვა მხრივაც აქვს მნიშვნელობა. რუსთველი სამი სახეობის მეღექსეებს ასახელებს მარტო ლირიკული ჟანრის სფეროდან. ეს ნიშნავს, რომ რუსთველის დროინდელი ქართული პოეზია მეტად მდიდარი უნდა ყოფილიყო. მაშინ ჩვენში ადგილი ჰქონია შემოქმედებითს შეჯიბრებას, გაჩაღებული ყოფილა ცილობა და ბრძოლა პოეტთა სხვადასხვა დასსა, სკოლასა და მიმდინარეობას შორის. ამ ბრძოლებში მონაწილეობა მიუღია თვითონ რუსთველსაც, მას ჩამოუყალიბებია მაღალი რანგის იდეური პოეზიის ("სიბრძნის დარგის") პოეტიკური პრინციპები. რუსთველი არაპირდაპირ გვითვალისწინებს მის მიერ წუნდებული ლექსების იდეურ-თემატიკური და შინაარსობლივ-ჟანრობრივი ხასიათის მრავალფეროვნებას. რუსთველის შაირობის თეორიის საშუალებით ჩვენ დაახლოებით მაინც შეგვიძლია წარმოვიდგინოთ მე-12 საუკუნის საქართველოს პოეტური კულტურის საერთო მაღალი დონე.

შაირობის თეორიას უშუალოდ უკავშირდება მიჯნურობის თეორია. მოშაირის სასახელო მოვალეობად რუსთველი თვლის მიჯნურის "ქებას", ტრფობის საგნისათვის დაუზარელ "მუსიკობას", მისთვის "ხელოვანებას", ასე ვთქვათ, შემოქმედებითს წვას. ეს აზრი განვითარებულია მიჯნურობის თეორიის ამსახველ შესავალ, საექსპოზიციო ნაწილში (18):

ხამს, მეღექსე ნაჭირვებსა მისსა ცუდად არ აბრკობდეს,
ერთი უჩნდეს სამიჯნურო, ერთსა ვისმე აშიკობდეს,
ყოვლსა მისთვის ხელოვნობდეს, მას აქებდეს, მას ამკობდეს;
მისგან კიდე ნურა უნდა, მისთვის ენა მუსიკობდეს.

რუსთველს მიჯნურობაც ფრიად საძნელო და საჭირო საქმედ მიაჩნია. ის მკაცრად ასხვავებს ერთმანეთისაგან მიჯნურობასა და შიშველ ხორციელ წადილს, მიჯნურობასა და სიძვას (24):

მიჯნურობა არის ტურფა, საცოდნელად ძნელი გვარი;

მიჯნურობა სხვა რამეა, არ სიძვისა დასადარი:
იგი სხვაა, სიძვა სხვაა, შუა უზის დიდი მზღვარი,
ნურვინ გარევთ ერთმანერთსა, გესმას ჩემი ნაუბარი!

რუსთველის შეხედულებით, მიჯნურობასა და სიძვას შორის დევს დიდი უფსკრული. "დიდი მზღვარი". მიჯნურობა "ტურფა" ამამაღლებელი გრძნობაა, "საცოდნელად მნელი გვარი"; სიძვა კი მდაბიო ჟინის აყოლაა, ადამიანის ზნეობრივი ცხოვრებისათვის შეუფერებელი და დამამცირებელი. მიჯნურობისა და სიძვის "დადარებას" პოეტი უმართებულოდ თვლის და მკითხველს აფრთხილებს: "ნურვინ გარევთ ერთმანერთსა, გესმას ჩემი ნაუბარიო". ეს პოლემიკური კილო და მოწოდება იმაზე მიუთითებს, რომ იმ დროს, ალბათ, იმ პოეტთა წრეში, რომელსაც რუსთველი აკრიტიკებს, მიჯნურობად სალდებოდა მსუბუქი მგრძნობელობა და ყოველგვარი ხორციელი წადილი.

რუსთველი ამბობს, რომ ნამდვილი მიჯნურობა პოეზიის საგანია და პოეტური შთაგონების წყარო. მიჯნურობას სხვადასხვა სახეობა აქვს. მიჯნურობის პირველი, უმაღლესი სახეობა საზეო საქმეა, "ტომი გვართა ზენათა", იგი საღმრთო მოვლენაა, "მომცემი აღმაფრენათა" (20):

ვთქვა მიჯნურობა პირველი და ტომი გვართა ზენათა,
მნელად სათქმელი, საჭირო გამოსაგები ენათა;
იგია საქმე საზეო, მომცემი აღმაფრენათა;
ვინცა ეცდების, თმობამცა ჰქონდა მრავალთა წყენათა.

რუსთველი ლოგიკური და თანმიმდევრულია თავისი მსჯელობით. როგორც ვიცით, პოეზია მან საზოგადოდ აღიარა საღმრთო საქმედ, თუმცა საამქვეყნო ამოცანები დაუსახა. ასევე წყდება მიჯნურობის საკითხიც. მიჯნურობის უმაღლეს, შეიძლება ითქვას, თეორიულ-მეტაფიზიკურ სახეობას, პოეტი უწოდებს საღმრთოს, მაგრამ თვითონ ემიჯნება მიჯნურობის ამ სახეობას და გამოტეხილად შენიშნავს (21):

მას ერთსა მიჯნურობასა ჭკვიანნი ვერ მიჰხვდებიან,
ენა დაშვრების, მსმენლისა ყურნიცა დავალდებიან;
ვთქვენ ხელობანი ქვენანი, რომელნი ხორცთა
ჰხვდებიან;
მართ მასვე ჰგაძვენ, თუ ოდეს არ სიძვენ, შორით ბნდებიან.

მაშასადამე, რუსთველს თავის შემოქმედების საგნად აუღია არა მისტიკური, საღმრთო, საზეო მიჯნურობა, არამედ საამქვეყნო, მიწიერი, ხორციელი, ანუ სხვანაირად, რეალური, მატერიალური, ბუნებრივი ადამიანური გრძნობა. რუსთველი ამით საცილობელს არ ხდის საზეო მიჯნურობის თავისთავად პრინციპულ-თეორიულ მნიშვნელობას. თვითონ საამქვეყნო სიყვარულიც ("ხელობანი ქვენანი") საზეოს ჰგავს, თუ მან ზნეობის გამაფაქიზებელი, სულიერად ამამაღლებელი და ადამიანის ღირსების დამამშვენებელი ფორმა მიიღო ("მართ მასვე ჰგაძვენ, თუ ოდეს არ სიძვენ, შორით ბნდებიან"). აქ ისახება რუსთველის მაღალზნეობრივი, ჰუმანისტური მსოფლმხედველობის საფუძველი.

რუსთველი გმობს მიჯნურობის მესამე სახეობას, უსულგულო ხორციელ წადილს, სქესობრივი ჟინით გატაცებას. ამას პოეტი არსებითად გამორიცხავს ნამდვილი მიჯნურობის წრიდან და დაუფარავად აცხადებს (25, 4):

მძულს უგულო სიყვარული, ხვევნა, კოცნა, მტლამა-მტლუმი.

რუსთველი ძრახავს სიყვარულის საკითხში ზერელობას, სულწასულობას, ცვალებადობას. პოეტი კატეგორიულად მოითხოვს ერთის თაყვანისცემას, ერთის მიჯნურობას: "გული ერთსა დააჯეროს, კუმტი მიჰხვდეს, თუნდა ქუში" (25, 3). ანდა (26, 1-2):

ამა საქმესა მიჯნური ნუ უხმობს მიჯნურობასა:
დღეს ერთი უნდეს, ხვალე სხვა, სთმობდეს გაყრისა თმობასა.

ამრიგად, რუსთველი უარყოფს მიჯნურობის ორივე უკიდურეს ფორმას - საზეო-საიმქვეყნო მისტიკურ ტრფიალებას და ხორციელ სულწასულობას, რომ არაფერი ვთქვათ უბრალო სიძვა-მრუმობაზე. რუსთველის მიერ აღიარებული მიჯნურობა მაღალზნეობრივი საამქვეყნო გრძნობაა, რომელსაც ბუნებრივად ამკობს როგორც სულიერი, ისე ხორციელი თვისებები.

თავისი სამიჯნურო თეორიით რუსთველი გარკვეულად ემიჯნება აღმოსავლური პოეზიის ტრადიციებს.

რუსთველური სიყვარულის მატარებელი შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ მორალურად, გონებრივად და ფიზიკურად სრულყოფილი ადამიანი, ქალი იქნებოდა ის თუ ვაჟი. ამ შემთხვევაში პოეტი ერთმანეთისაგან არ ყოფს მამაკაცსა და დედაკაცს. მიჯნური მამაკაცის იდეალიზებული ტიპიური სახე რუსთველს ასე ეხატებოდა (23):

მიჯნურსა თვალად სიტურფე ჰმართებს, მართ ვითა მზეობა,
სიბრძნე, სიმდიდრე, სიუხვე, სიყმე და მოცალეობა,
ენა, გონება, დათმობა, მძლეთა მებრძოლთა მძლეობა.
ვისცა ეს სრულად არა სჭირს, აკლია მიჯნურთ ზნეობა.

რუსთველს აქ მხედველობაში აქვს მოწინავე რაინდული საზოგადოების სოციალურ-ესთეტიკური გემოვნებისათვის შესაფერისი სამიჯნურო-სავაჟკაცო თვისებები. რუსთველი ასახავს სარაინდო მიჯნურობას.

პროლოგი ცხადყოფს, რომ რუსთველი დიდ პასუხისმგებლობას, დიდ იდეურ-მხატვრული ამოცანის გადაწყვეტას აკისრებს პოეტს. ცხადია, ასეთი ამოცანები ავტორს, უწინარეს ყოვლისა, თავის წინაშე დაუსახავს, ის თავის თავს უყენებდა მკაცრ მოთხოვნებს. "ვეფხისტყაოსნის" იდეურ-მხატვრული რაობა განხილული და შეფასებული უნდა იქნას პროლოგის მოთხოვნათა კვალობაზე. პოეტი აღიარებს, რომ მას უბრძანეს "თქმა ლექსებისა ტკბილისა" (5, 1). დიდი მოკრძალების მიუხედავად, რუსთველს საკმარისად ჰქონია შეგნებული თავისი პოეტური ნაწარმოების ძალა და მნიშვნელობა "ვინცა ისმინოს, დაესვას ლახვარი გულსა ხეულიო" (4, 4). რუსთველი თავის პოემას თვლიდა ისეთ ნაწარმოებად, რომელსაც "ძალ-უც სრულ-ქმნა სიტყვათა გულისა გასაგმირეთა" (16, 2).

ვეფხისტყაოსნის ძირითადი ისტორიულ-ლიტერატურული საკითხები

1. ვეფხისტყაოსნის დაწერის თარიღი

თანახმად ტრადიციისა, ღვთის ქების შემდეგ "ვეფხისტყაოსნის" ავტორი ქებით მიმართავს თავის მეფე-პატრონებს (მე-3-5 სტროფები). მე-3 სტროფში იკითხება:

ვის ჰშვენის, - ლომსა, - ხმარება შუბისა, ფარ-შიმშერისა,
მეფისა მზის თამარისა, ღაწვ-ზადახშ, თმა-გიშერისა, -
მას, არა ვიცი, შევჰკადრო შესხმა ხოტბისა, შე, რისა,
მისთა მჰვრეტელთა ყანდისა მირთმა ხამს მართ, მი, შერისა.

აქ პოეტი მოკრძალებით აცხადებს, რომ მან არ იცის, როგორ უნდა შეჰკადროს ქება-დიდება (შესხმა, ხოტბა) ღაწვ-ზადახშოვანი და თმა-გიშეროვანი მზე თამარ მეფის ლომს, რომელსაც უხდება ხმარება სავაჟვაცო საომარი საჭურვლისა - შუბისა და ფარ-ხმლისა (ფარ-შიმშერისა).

როგორც შინაარსიდან ჩანს, პროლოგის მესამე სტროფი ამკობს ორ პირს, თამარ მეფეს და მის ლომს. სიტყვა ლომი ნახმარია მეტაფორული მნიშვნელობით (ფალავანი, გმირი, რაინდი). თამარის ლომი შეიძლება იყოს მხოლოდ თამარის მეუღლე. ეპილოგში ეს ლომი მოხსენიებულია უკვე საკუთარი სახელით - დავით (1666). პოეტი მას აღიარებს ქართველთა ღმერთად, აღმოსავლეთით და დასავლეთით იგი შიშის ზარს სცემს მტრებსო. ასეა დახასიათებული დავითი "თამარიანშიც". საგულისხმოა, რომ ჩახრუხამეც დავით სოსლანს უწოდებს ლომს (V, 32; IX, 10). ლომის ეპითეტით არის შემკობილი "აბდულმესიანის" ქების ობიექტი მამაკაცი (21, 3). ერთი სიტყვით, "ვეფხისტყაოსნის" პროლოგის ლომი დავით სოსლანია.

პროლოგის მე-4 სტროფი საგანგებოდ და საკუთრივ აქებს თამარ მეფეს:

თამარს ვაქებდეთ მეფესა სისხლისა ცრემლ-დათხეული.

"ვეფხისტყაოსანი" შეთხზულია თამარ მეფისა და მისი მეუღლის დავით სოსლანის ზეობის ხანაში, ე. ი. 1189-1207 წლებს შუა (1189 წელს მოხდა თამარისა და დავითის შეუღლება, 1207 წელს დავითი გარდაიცვალა). ამ დათარიღებას ემთხვევა ლიტერატურის ისტორიის მონაცემები. რუსთველი იცნობდა ნიჟამი განჯელის პოემას "ლეილი და მაჯნუნი", რომელიც დაიწერა 1188 წელს. ეს არის უადრესი თარიღი "ვეფხისტყაოსნის" წარმოშობისა. საყურადღებოა "ვეფხისტყაოსნის" მინაწერის ცნობაც:

ამირან დარეჯანის ძე მოსეს უქია ხონელსა,
აბდულმესია - შავთელსა, ლექსი მას უქეს რომელსა,
დილარგეთ - სარგის თმოგველსა, მას ენა-დაუშრომელსა,
ტარიელ - მისსა რუსთველსა, მისთვის ცრემლ-შეუშრომელსა.

"ამირანდარეჯანიანის" გმირებს იცნობს "თამარიანი" და თამარის ისტორია ("ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი"), "თამარიანში" დასახელებულია ჩვენს დრომდის არმოღწეული თხზულების გმირი დილარგეთი. "აბდულმესიანის" ქების საგანი მანდილოსანი უეჭველად არის თამარ მეფე. "ვეფხისტყაოსანი" რომ მე-

12 საუკუნის გასულამდის ყოფილიყო დაწერილი, მის პერსონაჟებს "ამირანდარეჯანიანისა", "ვისრამიანისა" და სხვა თხზულებების გმირებთან ერთად (და უფრო მეტად) დაიმოწმებდნენ მეხოტბენი და თამარის ისტორიკოსი. მაშასადამე, "ვეფხისტყაოსანი" კლასიკური პერიოდის ერთი უგვიანესი მეგლთაგანია. მას უსწრებს "ამირანდარეჯანიანი", "ვისრამიანი", "დილარგეთიანი"; "აბდულმესიანი" და "თამარიანი" კი დაახლოებით "ვეფხისტყაოსნის" თანადროული პოემებია. ყოველივე აღნიშნული ცხადყოფს, რომ "ვეფხისტყაოსანი" შეთხზულია მე-12 საუკუნის მიწურულში ან მე-13-ის დასაწყისში^[5].

2. ვეფხისტყაოსნის ავტორი

"ვეფხისტყაოსნის" ავტორობის საკითხზე, ისე როგორც პოემის სხვა ძირითად ისტორიულ-ლიტერატურულ საკითხებზე, ადრინდელსა და სანდო ცნობებს გვაწვდის თვითონ პოემის პროლოგ-ეპილოგი, განსაკუთრებით პროლოგი. ღვთისა და მეფე-პატრონთა ქების შემდეგ პოეტი ლაპარაკობს თავის თავზე და თავის შემოქმედებითს საგანზე. მიუხედავად ტექსტის საერთო დაზიანებისა და ზოგიერთი სტროფის საცილობლობისა, პროლოგს სავსებით შენარჩუნებული აქვს თავისი ძველი კონსტრუქცია. თავის ვინაობას ავტორი გვიმჟღავნებს პროლოგის მე-7 და მე-8 სტროფებში:

დავჯე, რ უსთველმან გავლექსე, მისთვის გულახვარსობილი
(7, 3).

მე, რ უსთველი ხელობითა, ვიქმ საქმესა ამა დარი (8, 1).

პოემის ავტორი ორჯერაა დასახელებული ეპილოგშიც (1665, 1669):

გასრულდა მათი ამბავი ვითა სიზმარი ღამისა.

გარდახდეს, გავლეს სოფელი, - ნახეთ სიმუხთლე ჟამისა! -

ვის გრძლად ჰგონია, მისთვისცა არის ერთისა წამისა.

ვწერ ვინმე მესხი მელექსე მე

რ უსთველისა დამისა.

ამირან დარეჯანის მე მოსეს უქია ხონელსა,

.....

ტარიელ - მისსა რუსთველსა, მისთვის ცრემლ-
შეუშრომელსა.

მართალია, ეპილოგის დამოწმებული სტროფები არ შეიძლება ეკუთვნოდეს "ვეფხისტყაოსნის" ავტორს. 1665-ე სტროფში ნათქვამია, რომ ამას თხზავს ვინმე მესხი მელექსე "რუსთველისად", ე. ი. რუსთველის მიხედვით ან რუსთველის კვალობაზე (რუსთველის წაბადვით). ეს მესხი მელექსე რუსთველის მიმბადველია, "ვეფხისტყაოსნის" გამგრძელებელი. "ვეფხისტყაოსნის" გამგრძელებელმა კარგად იცის, თუ რას აგრძელებს, ვის ჰბაძავს. ამიტომაც მის ცნობას "ვეფხისტყაოსნის" ავტორობაზე პირველხარისხიანი მნიშვნელობა აქვს. 1669-ე სტროფის ავტორი უცნობი პირია, ოღონდ კლასიკური პერიოდის ქართული ლიტერატურის საკითხებში კარგად ორიენტირებული, ეს პირიც გვიდასტურებს, რომ "ვეფხისტყაოსანი" შეუთხზავს რუსთველს. ამრიგად, პოემის ძირითადი თუ ჩანართი

ტექსტები "ვეფხისტყაოსნის" ავტორად უყოყმანოდ და გადაჭრით აცხადებენ რუსთველს. რუსთველს თვლის "ვეფხისტყაოსნის" ავტორად მე-15-18 საუკუნეების მთელი ქართული მწერლობა (სამწუხაროდ, მე-13-14 საუკუნეებიდან ცნობები საერთოდ არ მოგვეპოვება). ერთი სიტყვით, "ვეფხისტყაოსნის" ავტორია რუსთველი ახალი ფორმით რუსთაველი).

რუსთველი არც სახელია პოეტისა და არც გვარი. იმ ხანაში, როდესაც "ვეფხისტყაოსნის" ავტორი მოღვაწეობდა, რუსთველი ნიშნავდა რუსთავის (ციხე-ქალაქის, მამულის) პატრონს, მფლობელს. რუსთველს სახელად ჰრქმევია შოთა. ამის თაობაზე ცნობას გვაწვდის მე-17 საუკუნის პოეტი თეიმურაზ პირველი (1589-1663). თეიმურაზს თავისი პოემის "იოსებზილიხანიანის" შესავალში ("იოსებზილიხანიანი" შეთხზულია არა უგვიანეს 1629 წლისა) მოკლედ გადმოცემული აქვს "ვეფხისტყაოსნის" შინაარსი, იგი ახასიათებს პოემის მთავარ გმირებს და შენიშნავს (17, 1-2):

ესენი შოთა რუსთველმან შეამკო არსთა მკობითა,
თვით მინდობილმან სიბრძნესა, მერე თამარის ხმობითა.

თეიმურაზი შოთას თავის სხვა ნაწერებშიც ახსენებს. იგი ემყარება იმ დროს არსებულ ძველ ლიტერატურულ წყაროს. ძველი ტრადიციის დამადასტურებელია იერუსალიმის ჯვარის მონასტერში შემონახული ცნობები შოთა რუსთველზე. მე-17-18 საუკუნეების მწერლები რუსთველს ჩვეულებრივ ყველანი უწოდებენ შოთას.

რუსთველის სახელთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს ერთი ლიტერატურული დოკუმენტი - წმ. გიორგის ქება, რომელიც იპოვეს და გამოაქვეყნეს ილია აბულაძემ და ქრ. შარაშიძემ^[1]. ქება შეუთხზავს სვიმეონ დეკანოზს, გვარად შოთასძეს თუ შოთასშვილს. შოთაძეები ყოფილან წმ. გიორგის ჯვარის მხლებელნი და მცველნი. ერთ დროს წმ. გიორგის ჯვარი ინახებოდა ყორანთაში, ბოლნისის ჩრდილოეთით, მდ. მაშავერის ნაპირზე^[2]. შემდეგ ის წაუღიათ და დაუსვენებიათ სოფ. სადგერის (ბორჯომის მახლობლად) ტაძარში. აქ ჯვარი განუახლებია და მოუჭედია სვიმეონ დეკანოზს, მასვე შეუთხზავს წმინდა გიორგის დასახელებული ქება. ეს სვიმეონი უნდა იყოს მე-16 საუკუნის პირველი ნახვერის მოღვაწე^[3]. სვიმეონ დეკანოზის ქება დაწერილია რუსთველური შაირით, ქებაში იგრძნობა რუსთველის ლექსისა და ენის უცილობელი გავლენის კვალი. ამასთან, სვიმეონი რამდენიმეჯერ და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ის შოთას-ძეა. აღნიშნული გარემოება ქების ტექსტის აღმომჩენთ უფლებას აძლევს იფიქრონ, რომ სვიმეონს თავი მოაქვს თავისი ჩამომავლობით. სვიმეონ შოთაძის გვაროვნულ თავმოწონებას ილ. აბულაძე და ქრ. შარაშიძე იმით ხსნიან, რომ, მათი მოსაზრებით, სვიმეონი თავის თავს თვლის შოთა რუსთველის შთამომავლად (სხვა მხრით შოთაძეებს თავმოსაწონებელი არაფერი ჰქონიათ), რის საფუძველს ქების დეფექტური ტექსტის ბოლო იძლევაო: "დასაბამითგან გხლებივართ, ქებით ვართ მოკამათენი". დამოწმებული ტექსტი მკვლევართ აგონებს "ვეფხისტყაოსნის" ცნობილ ადგილს: "ესე ამბავი გავლექსე მე მათად საკამათებლად" (1666, 2). სვიმეონ შოთაძის სიტყვებში პირდაპირი მითითება არ არის შოთა რუსთველის ჩამომავლობაზე, მაგრამ რაღაც გარდავლითი მინიშნება საგულვეტელი ხდება. ეს მინიშნება შეიძლება შეეხებოდეს სვიმეონის რუსთველისაგან პირდაპირ ჩამომავლობასაც, მათს მოგვარეობასაც, მათს მონათესაობასაც პროფესიის სფეროში (შოთა და შოთაძე ორივე პოეტი). უკანასკნელ შემთხვევაშიც სვიმეონ შოთაძე გვიმოწმებს შოთას პოეტობას,

რომელსაც ის კიდევაც ბამავს. როგორადაც უნდა იყოს, სვიმეონ შოთაძის ქებას მართლაც აქვს ერთგვარი მნიშვნელობა რუსთველის სახელის გამოსარკვევად. სვიმეონ შოთაძის მაგალითი გვიდასტურებს არსებული ცნობების ავთენტურობას.

რუსთველი ნიშნავს რუსთავის პატრონს, რუსთავის მფლობელს თუ გამგებელს (არც ისაა გამორიცხული, რომ რუსთველში ამოვიკითხოთ რუსთავის მკვიდრი). საქართველოში რამდენიმე რუსთავია ცნობილი, ამათგან ჩვენი პოეტის სახელს უკავშირდება ორი: რუსთავი მესხეთისა (ახალციხე-ასპინძის გზაზე, ახალციხიდან ოცი კილომეტრის დაშორებით) და რუსთავი თბილისისა (თბილისის მახლობლად, თანამედროვე მეტალურგიულ ქალაქ რუსთავის ტერიტორიაზე). ზოგიერთი გვიანდელი ლიტერატურული დოკუმენტი (მაგალითად, არჩილის "გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა") და ხალხური გადმოცემები რუსთველს თვლის მესხად ან ჯავახად. ყველაფრიდან ჩანს, რომ რუსთველის მესხობის წყარო უნდა იყოს ფსევდორუსთველური სტროფი ("ვწერ ვინმე მესხი მელექსე"...). ამ სტროფის ვინმე მესხი რუსთველს იმოწმებს, თვითონ ის არ არის პოეტი რუსთველი, ის რუსთველის მიმბამველია. რუსთველის მესხობას დაბეჯითებით იცავდა აკად. ნ. მარი. ამ მიზნით იგი "ვეფხისტყაოსანში" გულმოდგინედ ეძებდა ენობრივ მესხიზმებს. მკვლევარი პ. ინგოროყვა რუსთველს აღიარებს ჰერეთის რუსთავის წარმომადგენლად, ამის შესაფერისად იგი რუსთველის პოემაში პოულობს ჰერეთიზმებს. მ. ჯანაშვილმა რუსთველს გამოუნახა ინგილოური ელემენტები, თუმცა ამის კვალობაზე ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის დასკვნებისაგან თავი შეიკავა. რუსთველი წერდა საერთო ქართულ სალიტერატურო ენაზე, რომელიც მძლავრად არის გამსჭვალული ცოცხალი ხალხური მეტყველების ელემენტებით. საერთო ქართული სალიტერატურო ენის შექმნაში მეტ-ნაკლებად მონაწილეობდა საქართველოს ყველა კუთხე^[9]. ამიტომაც გასაკვირი არაფერია, თუ საერთო სალიტერატურო ქართულის "გლოსები" მოიპოვება მესხურშიც, ჰერეთულშიც. ინგილოურშიც და სხვა კილოებშიც. "ვეფხისტყაოსნის" ავტორი შეიძლება ყოფილიყო მესხი რუსთველიცა და "ჰერეთელი" რუსთველიც.

ზეპირი გადმოცემები და ნაწილობრივ ლიტერატურული წყაროები შოთა რუსთველის სახელს გარკვეულად უკავშირებენ იერუსალიმის ჯვარის მონასტერს. ამ მონასტრის სვეტზე, საპატიო ადგილას, მოიპოვება შოთა რუსთველის პორტრეტი^[10]. რუსთველი აქ წარმოდგენილია მოხუცად, დიდებული ქართველი ერისკაცის ძვირფასი ტანსაცმელით. რუსთველის მარჯვნივ და მარცხნივ გამოხატული არიან განთქმული საეკლესიო ავტორიტეტები - იოვანე დამასკელი და მაქსიმე აღმსარებელი. რუსთველი მუხლმოყრილია (იმათ წინაშე). სურათს აქვს წარწერა: "ამისა დამხატავსა შოთა(ს) შეუნდვნეს ღმერთმან. ამინ. რუსთველი". მთელი წარწერა ერთდროულია და ერთი ხელითაა შესრულებული. იგი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილი აღნიშნავს, რომ შოთა არის მონასტრის მომხატველი (მომხატვინებელი) და მისთვის გამოთხოვილია შენდობა. წარწერის მეორე ნაწილი - (რუსთველი) მიუთითებს პორტრეტის ვინაობაზე. წარწერის ორივე ნაწილი შეეხება სვეტზე გამოსახულ პირს და იმის ღვაწლს: ეს პირია მონასტრის მომხატვინებელი შოთა რუსთველი, "ეჭვი არ შეიძლება არსებობდეს, რომ ამ წარწერის შოთაში სწორედ შოთა რუსთველზეა ლაპარაკი".^[11] წარწერის სიტყვა "დამხატავი" ნიშნავს მომხატვინებელს, მონასტრის ფრესკების მოხატვისათვის საჭირო ხარჯის გამწევ ქველმოქმედს. ჯვარის მონასტრის ერთ-ერთი ღვაწლმოსილი განმახლებელ-რესტავრატორი და მომხატვინებელი იყო ამ მონასტრის წინამძღვარი ნიკიფორე (ნიკოლოზ) ომანის ძე ჩოლოყაშვილი. მან მონასტერი მოახატვინა 1643 წელს. ცხადია,

რომ ნიკიფორე ჩოლოყაშვილი საკუთარი თაოსნობით ვერ გაბედავდა მონასტრის კედელზე გამოესახა საერო პოეტი, თუ ამისათვის მას არ ჰქონდა საჭირო საფუძველი. ჩოლოყაშვილმა ალბათ განაახლა, აღადგინა ან გააცხოველა რუსთველის ძველი სურათი. თავის მხრით რუსთველს გამოხატავდნენ მონასტრის კედელზე როგორც კტიტორს, ანუ მონასტრის შემკეთებელს, რესტავრატორს.

ცნობილი მოგზაური და საეკლესიო მწერალი ტიმოთე გაბაშვილი, რომელმაც ჯვარის მონასტერი მოინახულა 1757-1758 წლებში და მისი სიძველეები აღწერა, გვიამბობს: "ჯვარის მონასტერი დაძველებულა და გუმბათს ქვეით სვეტი გაუახლებია და დაუხატვინებია შოთას რუსთველს, მეჭურჭლეთუხუცესს, თვითონაც შიგ ხატია მოხუცებული"^[12]. ტიმოთე სხვაგანაც შენიშავს: "მუნ ხატია შოთა რუსთველი. მეჭურჭლეთუხუცესი"^[13]. აქედან აშკარაა ორი რამ: ჯერ ერთი, ტიმოთე გაბაშვილი შოთა რუსთველს თვლის ჯვარის მონასტრის შემკეთებელ-მომხატვინებლად (რესტავრატორად). უნდა ვიცოდეთ, რომ ტიმოთე იყო რუსთველის მოძულე, დიდ ქართველ პოეტს იგი უწოდებდა "ლექსთა ბოროტთა მთქმელს" და ქრისტიანობის გამრყენელს. ცხადია, რომ ტიმოთე სასიკეთოს რუსთველს არაფერს მიაწერდა, თუ არ ჰქონდა საამისო უტყუარი საბუთები. მეორე მხრით, ტიმოთე გადაჭრით აიგივებს პოეტ შოთა რუსთველს და მეჭურჭლეთუხუცეს შოთას. ხოლო ჯვარის მონასტრის სვინაქსრის წიგნში მოხსენიებულია "აღაპი შოთაისა მეჭურჭლეთუხუცესისა"^[14] ეტყობა, ჯვარის მონასტერში განმტკიცებული ყოფილა შეხედულება შოთა მეჭურჭლეთუხუცესისა და პოეტ შოთა რუსთველის იგივეობაზე. ამ შეხედულებას გამოხატავს ტიმოთე გაბაშვილი

სპეციალური კვლევა-ძიებით უფრო და უფრო დამარწმუნებელი ხდება შოთა მეჭურჭლეთუხუცესისა და შოთა რუსთველის იგივეობის ვარაუდი. ზოგიერთი ავტორიტეტული მკვლევარი თვლიდა, რომ ჩანაწერი შოთა მეჭურჭლეთუხუცესზე არ შეიძლება ჰკუთვნებოდა მე-14 საუკუნეზე უწინარეს დროს^[15]. ახლა ირკვევა, რომ შოთა მეჭურჭლეთუხუცესის მოსახსენებელი აღაპი დაწერილია XII- XIII საუკუნეთა მიჯნაზე, არა უგვიანეს XIII საუკუნის პირველი ნახევრისა^[16]. მაშასადამე, შოთა რუსთველისა და შოთა მეჭურჭლეთუხუცესის იგივეობის ვარაუდს ახლა გამოემდებნა მყარი საფუძველი.

ზოგიერთი ხალხური გადმოცემით, რუსთველი სამშობლოდან გარდახვეწილა, დამკვიდრებულა ჯვარის მონასტერში და იქვე გარდაცვლილა^[17]. ასეთი თვალსაზრისი აქვს განვითარებული თეიმურაზ ბაგრატიონსაც. თეიმურაზის სიტყვით, შოთა რუსთველი მეჭურჭლეთუხუცესი (აიგივებს პოეტ რუსთველსა და მეჭურჭლეთუხუცეს შოთას) "წარვიდა წმიდად იერუსალემად, და შევიდა მონასტერსა შინა ქართველთასა, რომელიცა აღშენებულ არს სახელსა ზედა ცხოველს-მყოფელისა ჯუარისასა, და განაახლა მონასტერი იგი... და იყოფოდა იგი მონასტერსა შინა ჯუარისასა ვიდრე აღსრულებადმდე მისსა, თუმცა სახითა ერისკაცისათა... და დაეფლა მუნვე ჯუარის მონასტერსა შინა დიდსა ეკლესიასა, სადაცა შინაგან ეკლესიისა კედელსა ზედა გამოხატულ არს სახეი მისი და ჰსჩანს ვიდრე მოდღეინდელად დღედმდე"^[18]. შ. ნუცუბიძის მოსაზრებითაც, რუსთველი დასაფლავებულია ჯვარის მონასტრის შიგნით, იმ სვეტის ძირას, რომელზედაც პორტრეტია გამოხატული^[19]. ამჟამად ჯვარის მონასტრის ბერძენ მოწესეთა შორისაც ყოფილა გავრცელებული ანალოგიური შეხედულება. რამდენიმე წლის წინათ უკრაინელ ტურისტთა ჯგუფს ცოცხალი ყვავილებით მოურთავს რუსთველის საგულვებელი საფლავი. ამ ჯგუფის წევრი მწერალი გრ. პლოტკინი მოგვითხრობს, რომ ჯვარის მონასტერში მოსმენილი ლეგენდის თანახმად, რუსთველს დაუტოვებია

კარისკაცობა, შემდგარა ბერად, "ფეხშიშველი" მისულა იერუსალიმში, დამკვიდრებულა ქართველთა ჯვარის მონასტერში, იქაური ბერების დახმარებით მოუხატავს მონასტრის შიდა კედლები, იქვე, იერუსალიმში გარდაცვლილა და დაუსაფლავებიათ მონასტერში, მარჯვენა სვეტის ძირას.^[20]

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ შოთა რუსთველის სახელი საბუთიანად უკავშირდება ჯვარის მონასტერს. მონასტერში დაცული მასალები იძლეოდა ლეგენდების შექმნის საფუძველს. ეს ლეგენდები ცნობილია საქართველოშიც. გადმოცემებიდან ჩვენ ყველაზე უფრო საეჭვოდ მიგვაჩნია მინიშნება რუსთველის საფლავზე. ნამდვილად არავითარი ხელშესახები საბუთი არ არსებობს იმის სასარგებლოდ. რასაკვირველია, სავსებით შესაძლებელია, რომ შოთა რუსთველი აღკვეცილიყო ბერად, დამკვიდრებულიყო ჯვარის მონასტერში და იქვე გარდაცვლილიყო. მაგრამ შესაძლებლობის კონსტატაციის მიღმა მხოლოდ ფანტაზიის სფერო რჩება. გადმოცემები რუსთველის საფლავის შესახებ ისევე ლეგენდურია, როგორც ლეგენდურია გადმოცემები პოეტის ბერად შედგომისა და ჯვარის მონასტერში დამკვიდრების თაობაზე.

შოთა რუსთველის ბიოგრაფიას ჩვენ ნაკლებად ვიცნობთ. ეს ნაკლი თავისებურად შეუვსია ხალხს. ჩვენს დრომდის მოღწეულია გადმოცემები რუსთველის ჩამომავლობისა, ბავშვობისა, სწავლა-აღზრდისა და მოღვაწეობის შესახებ. ეს გადმოცემები უმთავრესად მესხური წარმოშობისაა, მათში ბევრია ზღაპრული და ფანტასტიკური. ზოგი რამ პოეტის შესახებ შეიძლება ამოვიკითხოთ ისევ და ისევ "ვეფხისტყაოსნის" პროლოგიდან. როგორც რუსთავის ციხე-ქალაქის მფლობელი (თუ რუსთავის მამულის პატრონი) და მეჭურჭლეთუხუცესი რუსთველი ჰკუთვნებია ქვეყნის მმართველთა წრეს, იგი ახლოს მდგარა სამეფო კართან, ცენტრალური ხელისუფლების ერთგულთაგანი ყოფილა.

3. ვეფხისტყაოსნის ფაბულის წყაროს საკითხი

თავისი ვინაობის გამჟღავნებრს შემდეგ "ვეფხისტყაოსნის" ავტორი ამბობს (9):

ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები,
ვით მარგალიტი ობოლი, ხელის-ხელ საგოგმანები,
ვპოვე და ლექსად გარდავთქვი, საქმე ვქმენ საჭოჭმანები,
ჩემმან ხელ-მქმნელმან დამმართოს ლაღმან და ლამაზმან ნები.

მოყვანილი ტექსტის აზრი ისაა, თითქოს რუსთველს ხელთ ჰქონია სპარსულიდან მომდინარე ქართული პროზაული მოთხრობა და ის "გარდაუთქვამს" (შეუწყვია) ლექსად. ვახტანგ მეექვსის (1675-1737) სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლამდის ამ სტროფის შინაარსი ჩვეულებრივ პირდაპირი მნიშვნელობით ესმოდათ. ვახტანგმა თავის კომენტარებში კრიტიკულად განიხილა საკითხი და აღნიშნა: "ეს ამბავი (ე. ი. ვეფხისტყაოსნის ამბავი - ალ. ბ.) სპარსში არ არის... სპარსშიდ ეს ამბავი არსად იპოება". მეცნიერი კომენტატორის სიტყვით, რუსთველმა თავისი პოემის "ამბავიც თვითან გააკეთა და ლექსადაც" თვითონ გააწყო. მაშასადამე, ვახტანგის თვალსაზრისით, რუსთველს ეკუთვნის "ვეფხისტყაოსნის" ფაბულაც, ს ი უ ჟ ე ტ ი ც და ლ ე ქ ს ი ც, პოემის შინაარსიც და ფორმაც. ვახტანგი იყო სპარსული ენისა და მწერლობის საუკეთესო მცოდნე და დამფასებელი, მან პირადად

სპარსულიდან თარგმნა ისეთი ცნობილი ლიტერატურული ძეგლები, როგორცაა ყ ა ბ უ ს - ნ ა მ ე (ამირნასარიანი) და ქ ი ლ ი ლ ა და დ ა მ ა ნ ა . ვახტანგს საგანგებოდ უძებნია სპარსულ მწერლობაში "ვეფხისტყაოსნის" პროტოტიპი, მაგრამ საბოლოოდ დარწმუნებულა, რომ მსგავსი რამ საერთოდ არ არსებობს, ამიტომაც კატეგორიული ფორმით ასკვნის: ეს ამბავი სპარსში არ არისო.

გულმოდგინედ ეძებდა "ვეფხისტყაოსნის" პროტოტიპს აკად. ნ. მარი. ერთ დროს მას ბრიტანეთის მუზეუმში ეგულებოდა ასეთი პროტოტიპი, მარი წერდა: "ველი ცნობებს ერთ სპარსულ ხელნაწერზე, რომელიც ბრიტანულ მუზეუმში ინახება ლონდონში და იქნება თვით ვეფხისტყაოსნის დედანია, რადგან ხელნაწერი შეიცავს, როგორც კატალოგიდგან ჩანს, "შაჰრიარ-ნამე", ესე იგი წიგნს შარიერზე (ტარიელზე), რომლის ამბავი ინდოეთში მომხდარა"^[21]. ნ. მარის ვარაუდი არ გამართლდა, "შაჰრიარ-ნამე" არ აღმოჩნდა ტარიელის წიგნი. ნ. მარი მაინც დაჟინებით იმეორებდა: "Сюжет ее (т. е. поэмы Руставели, А. Б.) заимствован из персидской литературы, но на персидском языке до сих пор не находим подлинника или хотя бы каких либо следов его"^[22]. თავის მონოგრაფიულ ნაშრომებში^[23]. მარი მეცნიერული ობიექტურობით ამტკიცებს "ვეფხისტყაოსნის" ი დ ე უ რ ი შ ი ნ ა ა რ ს ი ს სრულ ორიგინალობას. მის ქართულ-ნაციონალურსა და ხალხურ ხასიათს, მაგრამ სიუჟეტის სპარსულიდან მომდინარეობის აკვიატებული მოსაზრებისაგან მკვლევარს უკან არ დაუხევია.

უნაყოფო გამოდგა "ვეფხისტყაოსნის" ფაბულის პროტოტიპის ძებნა შუა აზიის ხალხთა ფოლკლორში. პოეტმა და "ვეფხისტყაოსნის" მკვლევარმა კ. ჭიჭინაძემ გამოაქვეყნა ე. წ. "ვეფხისტყაოსნის" უზბეკური ვერსიის ტექსტი, რომელიც თითქოს ცნობილი იყო ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის მიწურულში თუ მე-20-ის დასაწყისში^[24]. კ. ჭიჭინაძის მოსაზრებით, "უზბეკისტანში ვეფხისტყაოსნის სიუჟეტი შეიძლება შესულიყო ან საქართველოდან, ან მეზობელ მუსლიმანურ ქვეყნებიდან" (გვ. 168). კ. ჭიჭინაძე უფრო იქითკენ იხრება, რომ "ვეფხისტყაოსნის" სიუჟეტი შუა აზიაში უნდა შესულიყო საქართველოდან "ან მე-13 საუკუნის პირველ ნახევარში, ხვარაზმელთა ძლიერების დროს, ან, უფრო საფიქრებელია, მე-14 საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც თემურ-ლენგმა, უზბეკისტანის ხანმა, დაიპყრო მთელი შუა და წინა აზია, მათ შორის კავკასიაც" (გვ. 168). ნამდვილად კი "ვეფხისტყაოსნის" უზბეკური ვერსიის ავტორი ყოფილა ფაზილ იულდაშევი, და ეს ვერსია შექმნილა რუსთველის საიუბილეო დღეებში, ე. ი. 1937 წელს. ამის თაობაზე პირდაპირი ხასიათის ცნობას გვაძლევენ უზბეკური ფოლკლორის მკვლევარნი ვ. ჟირმუნსკი და ხ. ზარიფოვი^[25].

ამრიგად, სრულიად უსაფუძვლოა "ვეფხისტყაოსნის" სიუჟეტის (ფაბულის) უცხოური წარმოშობილობის თეორია. რასაკვირველია, "ვეფხისტყაოსნის" ღირსებას ვერაფერს დააკლებდა, მისი ფაბულა რომ ნასესხები ყოფილიყო. ცნობილია, რომ "ნასესხებია" ფაბულა გოეთეს "ფაუსტისა", შექსპირის პიესებისა, ფირდოუსისა და ნიზამი განჯელის პოემებისა, პუშკინის დონ-ჟუანისა, ვაჟა-ფშაველას ზოგიერთი ნაწარმოებისა... აღმოსავლეთის ქვეყნებში ერთგვარ წესად იყო მიღებული პოპულარული ამბების დამუშავება. პოეტები თავიანთ მოვალეობად თვლიდნენ სახელის მოსახვეჭად თავისებური შეჯიბრების წესით (რასაც ნ ა ა ზ ი რ ა ერქვა) ფართოდ გავრცელებულ სიუჟეტებზე ემინჯათ შემოქმედებითი ძალ-ღონე. "ლეილი და მაჯნუნი", "ხოსროვი და შირინი", "იოსებ და ზილიხანი", "ბაჰრამ-გური" (შვიდი მზეთუნახავი, შვიდი მთიები), "ისქანდერ-ნამე" და ზოგი სხვა სიუჟეტი მთლიანად თუ ნაწილობრივ დამუშავებული აქვს ათეულ სხვადასხვა ავტორს, მათ შორის ნიზამი განჯელს (1141-1211), ხოსრო დეჰკლელს (1253-1325), აბდურ რაჰიმან-ჯამის (1414-1492), ალიშერ ნავოის (1441-1501). მსგავსი

სიუჟეტების "სესხება" ითვლებოდა სასახელო საქმედ. ფირდოუსის "შაჰ-ნამე" თავის არსებითს ნაწილში მზამზარეული პროზაული ტექსტის გალექსვას წარმოადგენს.

მაინც არსაიდან ჩანს, რომ რუსთველის პოემის ფაბულა ნასესხები იყოს: არც სპარსეთში, არც სხვაგან სადმე, არ მოიპოვება სიუჟეტურად "ვეფხისტყაოსნის" მსგავსი ლიტერატურული ნაწარმოები, თქმულება ან ამბავი. ჯერ კიდევ ვაჟა-ფშაველამ სამართლიანად აღნიშნა: "თუ ვეფხისტყაოსნის არაკი (ე. ი. სიუჟეტური ამბავი) მართლა სპარსულია, ამისთანა შინაარსიანს არაკს გამლექსავი, დამწერი, თვით სპარსეთშიაც ბევრი აღმოუჩნდებოდა"^[26]. "ვეფხისტყაოსნის" ამბავი გაცილებით უფრო მიმზიდველია და, მაშასადამე, წაბამვის საცთურსაც გაცილებით მეტად შეიცავს, ვიდრე ზემოთ დასახელებული პოემები.

დასასრულ, უმნიშვნელო გარემოება როდია, რომ "ვეფხისტყაოსანი" გამსჭვალულია ანტისპარსული ტენდენციით^[27].

"ვეფხისტყაოსნის" ამბავი შეუქმნია თვითონ შოთა რუსთველს. "სპარსული ამბის" მომიზეზებით რუსთველმა გამოიყენა მსოფლიო ლიტერატურაში კარგად ცნობილი ხერხი - ს ი უ ჟ ე ტ უ რ ი შ ე ნ ი ლ ბ ვ ი ს ხ ე რ ხ ი, სიუჟეტის ხელოვნურად გა უ ც ხ ო უ რ ე ბ ი ს ა თ უ გ ა უ ც ნ ა უ რ ე ბ ი ს ხ ე რ ხ ი. მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში ამ ხერხის გამოყენების საილუსტრაციოდ საკმარისი იქნება ორი თვალსაჩინო მაგალითის დასახელება. სახელგანთქმულ ფრანგ მწერალსა და მოაზროვნეს შარლ მონტესკიეს (1689-1755) ეკუთვნის ერთი შესანიშნავი თხზულება ჩვენთვის განსაკუთრებით საგულისხმიერო სათაურით - "სპარსული წერილები". ამ თხზულებით მონტესკიემ გაამიშვლა და დაუზოგავად ამხილა ფეოდალურ-აბსოლუტისტური საფრანგეთის სამეფო კარისა და მაღალ-არისტოკრატიული საზოგადოების გახრწნილება. ოღონდ ავტორმა ეს ერთგვარად შენიღბა შინაარსობლივადაც და სიუჟეტურადაც. მონტესკიეს თხზულება ეპისტოლური აღნაგობისაა. ეპისტოლეებს (წერილებს) წერენ "სპარსელები". ამ წერილებით ისინი თითქოს აღწერენ სპარსეთის ამბებს. მონტესკიე თავისი თხზულების შესავალში საგანგებოდ აცხადებს, ვითომც ის სპარსელები, რომელთა სახელითაც არის წერილები გამოქვეყნებული, მასთან ცხოვრობდნენ ერთ ჭერქვეშ, ვითომც მეზობელი სპარსელები მას აცნობდნენ წერილების შინაარსს და, ბოლოს, ვითომც მონტესკიე თავისთვის "იწერდა" იმ წერილებს. მონტესკიე პირდაპირ ამბობს, რომ "სპარსული წერილების" გამოქვეყნებით იგი თითქოს "ასრულებს მხოლოდ მთარგმნელის მოვალეობას". გამონაგონის კიდევ უფრო შესანიღბავად მონტესკიე შენიშნავს, რომ იგი შეეცადა რამდენადმე შეემსუბუქებინა მკითხველისათვის აზიური ენის" სპეციფიკური ხასიათის დამღევა და გადაერჩინა "მრავალრიცხოვანი მაღალფარდოვანი გამოთქმებისაგან, რაც უკიდურესად მოსაწყენი იქნებოდა მისთვისო". ერთი სიტყვით, მონტესკიე თავისთვის მიიწერს სხვისი ნაწერების (სპარსული წერილების) მხოლოდ მთარგმნელისა და რამდენადმე ლიტერატურული რედაქტორის პატივს. ნამდვილად, რა თქმა უნდა, "სპარსული წერილები" მონტესკიეს საკუთარი თხზულებაა და მას არაფერი საერთო არ აქვს სპარსეთთან და სპარსულ მწერლობასთან არც სიუჟეტურად, არც შინაარსობლივად და არც იდეურად.

სიუჟეტური შენიღბვის ხერხი უცნობი არ ყოფილა არც ძველი ქართული მწერლობისათვის. მაგალითად, პოეტი ბესარიონ გაბაშვილი (1750-1791) თავისი პოემის "რძალ-დედამთილიანის" შესავალში ამბობს:

დილა მუნვე გავითენე, სახლსვე ვიყავ წამომსვლელი,
იქ ვიხილე - ყვილითა ქალი მიქრის თავშიშველი.

ჩვენ ვიცით, რომ ბესარიონ გაბაშვილი არასოდეს ყოფილა სამარყანდში, "რძალ-დედამთილიანის" სიუჟეტი მან თვითონ შეთხზა. თუ თავისი პოემის სიუჟეტი ბესიკმა უცხოეთის სინამდვილეს დაუკავშირა, ამით იგი მოერიდა თხზულებაში მოთხრობილი ამბის საჩოთირო მხარეს.

ასევე უნდა გადაწყდეს "ვეფხისტყაოსნის" სიუჟეტის (ფაბულის) საკითხიც. რუსთველი შეგნებულად და გეგმაშეწონილად აუცხოურებს თავისი პოემის სიუჟეტს, იყენებს სიუჟეტური შენიღბვის ხერხს. შენიღბვის საჭიროებას ალბათ იწვევდა "ვეფხისტყაოსანში" ასახული ამბის გამჭვირვალე ისტორიული ასოციაციები და პოემაში გატარებულ სოციალურ-პოლიტიკურ და სარწმუნოებრივ-ფილოსოფიურ შეხედულებათა რადიკალიზმი. ამიტომაც პოეტმა თავისი თხზულების წყაროდ გამოაცხადა "სპარსული ამბავი", მოქმედება გაშალა უცხოეთის დიდ გეოგრაფიულ არეზე (არაბეთსა, ინდოეთსა, ხატაეთსა და გამონაგონ ქვეყნებში - მულდანზანზარში, გულანშაროში, ქაჯეთში...), შესაფერისადვე უცხოური სახელი შეარქვა თავის ზოგიერთ პერსონაჟს, მათ შორის ნესტან-დარეჯანს, თუმცა ზოგიერთს მაინც ქართული სახელწოდება შეუნარჩუნა (ტარიელი, თინათინი...). "ვეფხისტყაოსნის" ბევრ დაკვირვებულ მკვლევარს კარგად ჰქონდა შემჩნეული პოემის სიუჟეტისა და იდეური შინაარსის ორგანული კავშირი საქართველოს ისტორიულ სინამდვილესთან, ქართველი ხალხის ცხოვრებასთან, მოწინავე ქართველი საზოგადოების აზროვნებასთან. ჯერ კიდევ სწავლული ბატონიშვილი თეიმურაზი ამბობდა: "ესე უკვე წიგნი ლექსთანი ვეფხისტყაოსანი ყოველთა ქართველთა სიბრძნისმოყვარეთა შორის უმეტეს ყოველთა ზედა სხვათა ბევრთა თხზულებისაგან არს უმეტეს მოწონებული, ვინაიდგან ქართულსა ხარაკტირსა ზედა არს შეწყობილი. ხოლო მოლექსეობას შინა რუსთაველი არცა ბაძავს ბერძენთა, არცა სპარსთა, არამედ აქვს მას მხოლოდ აღრჩეულ ლექსთა თვისთა შეთხზვისათვის საკუთარი ქართული ხარაკტირი და ჩვეულება, გინა ზნეობა" [28]. ამასვე იმეორებს თეიმურაზი სხვაგანაც: "წიგნი ესე ვეფხისტყაოსანი შეიცავს თვისს შორის თუმცაღა ზღაპარსიტყვაობასა, მაგრამ ფრიადისა ხელოვნებითა შეწყობილ არს ესე სრულიად ძველსა ქართველთა ზნეობათა, ჩვეულებათა და ხარაკტირსა ზედა ენისა ჩვენისასა" [29]. ამ მხრით არსებითად თეიმურაზ ბატონიშვილის თვალსაზრისს ავითარებს აკადემიკოსი მარი ბროსე "ვეფხისტყაოსნის" მეორე გამოცემის წინასიტყვაობაში. ბროსეს სიტყვითაც, "ვეფხისტყაოსნის" "გმირების ზნეობა, ყოფაქცევა, გულოვნება, ძმური მეგობრობა, უთუოდ ქართველთა აგულს, ზნეობას, ერთის სიტყვით ვსთქვათ, სრულს მათს ხარაკტერს გამოგვიხატავენ". ბროსეს მოსაზრებით, რუსთველს "თვით შეუთხზავს ზღაპარი ესე უფრო თამარ მეფის ქებისათვის და დაუწერია შეთანხმობითა საქართველოს მოთხრობისათა" (იქვე). ფრანგი მეცნიერის დაკვირვებით, "ვეფხისტყაოსანი" უნდა წარმოადგენდეს ალეგორიული ხასიათის ნაწარმოებს, სადაც იხატება ისტორიული ამბები და ისტორიული პერსონაჟები. ბროსემ მოიყვანა ერთი კონკრეტული მაგალითი და განზოგადებული დასკვნაც გამოიტანა: "ზვარაზმშაჰის ძის ნესტან-დარეჯანზე გამიჯნურების ამბავი: ვინ არ მიხვდება მოსვლასა ხორაზმშაჰისა ტფილისს და თხოვნა(სა) თამარ მეფისა ცოლად... და უსაცილოდ სხვანიცა მოქმედნი პირნი ვეფხისტყაოსნისა თვით

ქართველნი არიან და წარმოადგინებენ თვითო მათგანი საქმეთა თამარ მეფის დროს მომხდართა”.

აკადემიკოსმა ბროსემ სათავე დაუდო ”ვეფხისტყაოსნის” შინაარსის ალეგორიად მიჩნევას და იმის ისტორიულ-ნაციონალურ ინტერპრეტაციას. ბროსეს გზას მიჰყვნენ ”ვეფხისტყაოსნის” მკვლევართა თაობები. ისტორიული ანალოგიების დადგენის პირველი სერიოზული ცდა ეკუთვნის დავით ჩუბინაშვილს^[30]. ”Под именем главной героини Нестан-Дареджан скрывается сама Тамарь” - წერდა დ. ჩუბინაშვილი. მკვლევარის განმარტებით, ნესტანის მსგავსად თამარიც ერთადერთი ასული იყო გიორგი მესამისა. თამარს ზრდიდა მამიდა რუსუდანი, ნესტანს - მამიდა დავარი; ერთად იზრდებოდნენ თამარი და დავით სოსლანი, ნესტანი და ტარიელი, ერთნაირად ჩაისახა სიყვარული ამ პირთა შორის; ხვარაზმშაჰი ეძიებდა თამარის ხელს, ხვარაზმშაჰის შვილი მოიყვანეს ნესტანის საქმროდ; ინდოეთი შვიდი სამეფოსაგან შედგებოდა, შვიდ-სამეფო იყო საქართველოც; ქაჯეთის ციხე იმერეთშიაო.

დ. ჩუბინაშვილის ინტერპრეტაციას ბევრმა დაუჭირა მხარი, მათ შორის ისტორიკოსებმა დ. ბაქრაძემ^[31], მ. ჯანაშვილმა^[32] და ვაჟა-ფშაველამ^[33]. ვაჟა კითხულობდა: ”შესაძლებელია განა ესა, თუ მთელი ვეფხისტყაოსანი ალეგორია არ არის?” კითხვას იქვე გადაჭრითი ხასიათის პასუხი ჰქონდა გაცემული: ”სწორედ რომ ალეგორიააო”. ალეგორიული ენა რუსთველს იმისათვის დასჭირდაო, ამბობდა ვაჟა-ფშაველა, რომ: ”ნამდვილად მომხდარი ამბავი დაგვიხატოს, რომლის მოწამეც თავად არის, რაც მეფე თამარს და მის მეუღლეს შეეხება”. ვაჟა-ფშაველას სიტყვით, ”ვეფხისტყაოსნის არაკი ნამდვილი ამბავია, მომხდარი საქართველოში. ტარიელი, ავთანდილი, ფრიდონი, ნესტან-დარეჯანი, თინათინი და სხვა და სხვა ისტორიული პირები არიან გადასხვაფერებულის სახელებით”.

”ვეფხისტყაოსანში” აღწერილია ორი ამბავი - ამბავი არაბეთისა და ამბავი ინდოეთისა. პოემაში შესაფერისად გამოყვანილია გმირთა ორი წრე. ეს გარემოება ართულებს სიუჟეტის ალეგორიულად ინტერპრეტაციის საქმეს. ზოგიერთი მკვლევარის დაკვირვებით, საქართველოს ისტორიული ცხოვრება აირეკლა მხოლოდ არაბეთის ამბავში.

ჩვენ ვერ გავიზიარებთ ”ვეფხისტყაოსნის” ალეგორიული ინტერპრეტაციის თვალსაზრისს. ”ვეფხისტყაოსნის” ამბისა და პურსონაჟების ანალოგიები და პარალელები საქართველოს ისტორიული სინამდვილიდან ზოგჯერ შემთხვევით ხასიათს ატარებს და ნებისმიერია. ამისდა მიუხედავად, ჩვენთვის უდავოა, რომ რუსთველის პოემაში გარკვეული ასოციაციებით ნამდვილად აღბეჭდილია მე-12 საუკუნის საქართველოს სწორედ კონკრეტულ-ისტორიული სინამდვილის ნიშანდობლივი მოვლენები და ცალკეული ფაქტებიც. ზოგი რამ ამ მხრით სრულიად გამჭვირვალეა. ”ვეფხისტყაოსანი” მიძღვნილია თამარისადმი, თამარის სახე უთუოდ თინათინობს პოემაში, ნესტანის და თინათინის (განსაკუთრებით ნესტანის) მხატვრულ სახეებში გადატანილია თამარის სახის რეალურ-ისტორიული ნიშნები. პოემის ზოგიერთი სიუჟეტური მოტივი თუ სიუჟეტური დეტალი საქართველოს ისტორიული სინამდვილის ანარეკლია. ასეთია, პირველ ყოვლისა, მეფეების მხრივ მემკვიდრე ვაჟების უყოლობა და ქალის გახელმწიფება. ქალისა და მამაკაცის გარკვეული ასპექტით უფლებრივად გათანასწოების იდეა, საზოგადოდ ქალის თაყვანისცემა, თავისუფალი სიყვარულის ქადაგება, თავისუფალი და ნებაყოფლობითი მეუღლეობის პრინციპის დაცვა და მისთანანი შთაგონებული უნდა ყოფილიყო საქართველოს ისტორიული სინამდვილით.

საგულისხმოა, რომ "ვეფხისტყაოსნის" სიუჟეტის სპარსულობის დამცველი ნ. მარიც კი აღიარებს, რომ პოემაში მოარაკებით თუ გარდავლით (намеком) ასახულია ავტორისათვის ნაცნობი ტიპები და მოვლენები მის დროინდელი ცხოვრებიდან. ნ. მარი პირდაპირ ამბობდა, არ შეიძლება "ვეფხისტყაოსანი" არ მივიჩნიოთ "отголоском грузинской современной жизни, даже отражением, быть может и не невольным, обаятельной личности Тамары, центральной фигуры той эпохи"^[34]

ვეფხისტყაოსნის სიუჟეტური კომპოზიცია

"ვეფხისტყაოსნის" შედარებით მარტივი ფაბულური ამბავი ძლიერ გართულებულია სიუჟეტური წყობით. პოემის მოკლე შინაარსი შეიძლება ასე გადმოვცეთ:

ინდოეთის ამირბარსა და ინდოეთის მეფის ასულს, ტარიელსა და ნესტან-დარეჯანს, ერთმანეთი შეუყვარდათ. მშობლები სხვაზე აპირებდნენ ქალის გათხოვებას. ნესტანის რჩევით ტარიელმა სასიძო მოკლა, მეფესა და ამირბარს შორის შეიქმნა მწვავე კონფლიქტი. ნესტანი უმაგალითოდ დასაჯეს. ტარიელი უშედეგოდ ეძებდა თავის სატრფოს. იმედგაცრუებული გამორდა საზოგადოებას და უკაცურ უდაბნოში ((ქვაბებში) დასახლდა. ტარიელი იპოვა თავის მეფის ასულზე (თინათინზე) გამიჯნურებულმა არაბეთის სპასპეტმა ავთანდილმა. დაძმობილდნენ. ავთანდილმა იკისრა ნესტანის ხელახალი ძებნა. მალე მიაგნო კვალს. იგი აღმოჩნდა დატყვევებული მიუვალ ქაჯეთის ციხეში. ტარიელმა ავთანდილისა და მესამე ძმობილის - ფრიდონის დახმარებით აიღო ქაჯეთის ციხე. ნესტანი გაათავისუფლეს (მთვარე იხსნეს გველეშაპის სასიდან). გამარჯვებული ჭაბუკები დაბრუნდნენ თავიანთ ქვეყნებში, შეუუღლდნენ თავიანთ სატრფოებს, ძმური კავშირი დაამყარეს ერთმანეთს შორის, წარმატებით უწინამძღვრეს თავიანთ სახელმწიფოებს.

თუ ამ შინაარსს დავალაგებთ იმ თანმიმდევრობით, როგორც ეს თვით პოემაშია, მაშინ სურათი საკმაოდ შეიცვლება. პოემა იწყება არაბეთის (მეფე როსტევანის, თინათინისა და ავთანდილის) ამბებით. არაბეთის მეფის როსტევანის მოხუცების გამო ტახტზე აიყვანეს მეფის ერთადერთი ასული თინათინი, თინათინსა და სპასპეტ ავთანდილს ერთმანეთი უყვარდათ. ერთხელ, ნადირობის დროს, მეფე და ავთანდილი წყლის პირას წააწყდნენ მტირალ უცხო მოყმეს. მეფემ მოისურვა მისი გაცნობა. არც ნებითა და არც ძალით არ მოხერხდა მოყმის დახელთება. იგი გაუჩინარდა. მეფე დანადვლიანდა. თინათინმა დაავალა ავთანდილს, როგორც ხელქვეითსა და მიჯნურს, უცხო მოყმის მოძებნა. ავთანდილმა უყოყმაოდ შეასრულა დავალება. სამი წლის ძებნის შემდეგ იპოვა მოყმე, მოისმინა მისი ტრაგიკული ამბავი, დაუძმობილდა, აღუთქვა დახმარება. მართლაც, ავთანდილმა მიაგნო თავისი ძმობილის (ტარიელის) დაკარგული სატრფოს კვალს. ბოლოს და ბოლოს ძმადნაფიცმა მოყმეებმა (ტარიელმა, ავთანდილმა და ფრიდონმა) იხსნეს ქაჯთაგან შეპყრობილი ნესტანი...

პოემაში მოთხრობილია ო რ ი ა მ ბ ა ვ ი (ინდოეთისა და არაბეთის გმირებისა). ეს ორი ამბავი ერთმანეთთან მჭიდროდ არის გადახლართული. "ვეფხისტყაოსნის" ამბები სიუჟეტურად ერთიანია, მთლიანია და განუკვეთელია. ამბის განვითარებისათვის დამახასიათებელია არაჩვეულებრივი დინამიკურობა და დრამატიზმი. პოემის სიუჟეტური სიტუაციები ერთიმეორეს ენაცვლება თანმიმდევრულად, ბუნებრივად. ცენტრალური და პერიფერიული სიუჟეტური კვანძები ორგანულად არის ერთმანეთთან დაკავშირებული, შექმნილია უწყვეტელი

სიუჟეტური რგოლები. ძირითადი სიუჟეტური ამბავი პოემაში გამდიდრებულია შემავალი (შენაკადი) ეპიზოდებით (ნადირობა, ფრიდონის ამბავი, ფატმანის ამბავი...). ეპიზოდური ამბები შეიცავს ბევრ სამოტივო დეტალსა და რთულ სიტუაციებს. თითოეული ცალკე და ყველაფერი ერთად დიდი მხატვრული გემოვნებითა და დამაჯერებლობით არის აკინძული ერთიან სიუჟეტურ ამბად.

სანიმუშოდ შეიძლება აღებულ იქნას ერთ-ერთი საწყისი ეპიზოდური ამბავი - ნადირობის ამბავი. ერთხელ, თინათინის გამეფების შემდეგ, ნადიმობის დროს, მეფე როსტევეანმა მოიწყინა. სპასპეტი ავთანდილი და ვაზირი სოგრატი გაეხუმრენ მეფეს, მოწყენილობისათვის საფუძველი გაქვს, თინათინმა სამეფო საჭურჭლე დააცარიელა, ყველაფერი გასცა, რად დასვი მეფედ, ჭირში რად ჩაიგდე თავიო. მეფემაც "გაცინებით" უპასუხა მათ, ჩემი დაღრეჯილობის მიზეზი სხვააო. ღმერთმა არ მომცა ვაჟიშვილი, რომელიც ვაჟკაცობით (მშვილდოსნობით, მობურთალობით) დამმსგავსებოდაო, მხოლოდ ავთანდილი "ცოტასა შემწევსო". მოლაღობე ავთანდილი თამამად შეესიტყვა მეფეს, "ნუ მოჰკვებ მშვილდოსნობასაო" (ნუ იკვები მშვილდოსნობასო), ნამღევი დავდოთ, მოვასხათ მოწმეები, ბურთმა და მოედანმა გადაწყვიტოს მოასპარეზედ ვინ აჯობებსო. ამაზე შეთანხმდნენ. გაიმართა დიდი ნადირობა. მეფემ და ავთანდილმა სამაგალითო მამაცობა გამოიჩინეს, მაგრამ ავთანდილმა მაინც აჯობა. მეფეს უხაროდა ავთანდილის წარმატება. დაღლილი მონადირენი ხის ძირას ისვენებდნენ, მხიარულობდნენ, ლალობდნენ, გარემოს ათვალიერებდნენ, უცებ მათ თვალი მოჰკრეს წყლის პირას მტირალ უცხო მოყმეს ("ნახეს უცხო მოყმე ვინმე, ჯდა მტირალი წყლისა პირსა"). როსტევეანმა მოიწადინა იმ მოყმის გაცნობა...

ნადირობის ამბავი ერთი მთლიანი, დასრულებული, თავისთავად საინტერესო ეპიზოდური ამბავია. ამ ეპიზოდურ ამბავს აქვს ყველა საჭირო სიუჟეტური კომპონენტი: 1. ექსპოზიცია (მეფე როსტევეანის დაღრეჯა და იმასთან დაკავშირებული გარემოებანი). 2. კვანძი (ნამღევის დადება). 3. კვანძის გახსნა (ნადირობის აღწერილობა), 4. ფინალი (ნადირობის შედეგი). ამავე დროს ნადირობის ამბავი (ნადირობის ეპიზოდი) ორგანული ნაწილია "ვეფხისტყაოსნის" როგორც პერიფერიული სიუჟეტური გრეხილისა (ავთანდილის თავგადასავალი), ისე ცენტრალური, ან მაგისტრალური სამოთხრობო ღერძისა (უცხო მოყმის ამბავი). როგორც პერიფერიული სიუჟეტური ამბის შენაკადი, ნადირობის ეპიზოდი ნადირობის აღწერილობის გარდა გვისურათებს ავთანდილის ხასიათის საყურადღებო მხარეებს, პატრონყმური ურთიერთობის დეტალებს. ავტორი როსტევეანს ამზადებს ავთანდილის მომავალი აღზევებისათვის, პოეტი თითქმის შეუმჩნევლად ასაბუთებს ავთანდილის გახელმწიფების კანონზომიერებას; არაბეთს აღარ დააჩნდება ვაჟი მემკვიდრის უყოლობა, ავთანდილი არა თუ ჩამოუვარდება ღირსებით როსტევეანს, არამედ მამაცობაში კიდევაც სჯობნის მას, როსტევეანს აღარ ეუცხოვება ავთანდილის ზედსიძობა. აღნიშნული მაინც მნიშვნელოვანი კერძობითი სამოტივო მომენტებია. მთავარი ისაა, რომ ნადირობის ეპიზოდი იმისათვის არის მოგონილი, რათა როსტევეანი და ავთანდილი ბუნებრივ ვითარებაში შეხვდნენ უცხო მოყმეს (ტარიელს). დამაბული ნადირობისაგან დაღლილ-დაქანცული პატრონ-ყმანი ჩრდილში ისვენებდნენ, მათ თვალი მოჰკრეს წყლის პირად მტირალ ვაჟკაცს, ისინი ბუნებრივად დაინტერესდნენ იმ ვაჟკაცის ვინაობით. ამით ნადირობის ეპიზოდს ეძლევა ცენტრალური სიუჟეტური ამბის საკვანძო პუნქტის მნიშვნელობა. ასეთი

უმუშალობით არის ერთმანეთთან გადახლართული "ვეფხისტყაოსნის" სხვადასხვა სასიუჟეტო ძაფები, სამოტივო სიტუაციები, ეპიზოდური ამბები.

რუსთველი ამბავს ავითარებს სწრაფი ტემპით, მოთხრობის მთავარი ხაზიდან გადაუხვევლად, თუმცა პოეტს ბევრი საცთური ჰქონდა. საცთურის თვალსაზრისით გამოირჩევა ავთანდილის მგზავრობანი. ტარიელის მოსაძებნად ავთანდილს მოუხდა დიდი მანძილების გადალახვა და ბევრი ქვეყნის მოვლა. ტარიელის ამბავს მისდევს "ამბავი ავთანდილისა არაბეთს შექცევისა". შემდეგ მოდის ისევ ქვაბებში დაბრუნება ("წასლვა ავთანდილისაგან ტარიელის შეყრად მეორედ"), ფრიდონთან საუბარი, გულანშაროში გამგზავრება... შუა საუკუნეების ავტორები მსგავს შემთხვევაში მოთხრობას ჩვეულებრივად აჭიანურებდნენ, ძირითად ამბავს ხერგავდნენ სპეციფიკური სათავგადასავლო დამატებითი ეპიზოდური ამბებით. რუსთველი ასე არ იქცევა. მას შემუშავებული აქვს თხრობის სიუჟეტური განვითარების საკუთარი სისტემა. რუსთველი ამბავს არ ტვირთავს მეორეხარისხოვანი სიტუაციებით, არ ჩერდება წვრილმანებზე, მოქმედების ტემპს არ ანელებს, მკითხველის ყურადღებას არ ღლის. რუსთველს სიუჟეტში შემოაქვს მხოლოდ ისეთი მოტივები, რომლებიც ინტერესს აცხოველებს, ხელს უწყობს მთავარი ამბის მწყობრსა და ბუნებრივ დინებას. უცხო მოყმის ძებნის ამბიდან რუსთველი ძლიერ მოკლედ ჩერდება ავთანდილის ქურდებთან შეხვედრის ეპიზოდზე. ეს შეხვედრა საჭირო იყო ტარიელის ნაკვალევის წარმოსაჩენად. მაგისტრალური ამბის განვითარების ინტერესმა გამოიწვია "ქარავანთა შეყრა". ავთანდილი გულანშაროში უნდა ჩასულიყო შენიღბულად. რუსთველმა მოთხრობით შექმნა შესაფერისი სიტუაცია (მოქარავნეთა გამობხნა მეკობრეთაგან, ავთანდილის შემოსვა ვაჭართა უხუცესად). პარალელურად პოეტს საუკეთესო შემთხვევა ეძლეოდა ვაჭართა საზოგადოების დასახასიათებლად, ვაჭართა და მოყმეთა ურთიერთობის ზოგიერთი საკითხის გასაშუქებლად. გარკვეულ ინტერესს იწვევს კარი "ტარიელისა და ავთანდილისაგან წასლვა ფრიდონისასა". ამ კარში ავტორი რამდენიმე სტროფს უთმობს ტარიელის ლალობას (ხუმრობით ფრიდონის ჯოგზე თავდასხმა). აქ რუსთველი ბუნებრივ ვითარებაში, მოქმედების ფონზე, ხსნის ტარიელის ხასიათის ისეთ ადამიანურ თვისებას, რაც პერსონაჟის განსაკუთრებულ მდგომარეობაში ყოფნის გამო მანამდის უჩინარი რჩებოდა.

ამრიგად, რუსთველი სიუჟეტურ ამბავს ავითარებს მოკლედ, და ხ ვ ე წ ი ლ ა დ , სწრაფი დინამიკური ტემპით. პოეტი ზოგავს დროსა და მასალას.

თავისი სიუჟეტით "ვეფხისტყაოსანი" დღემდის რჩება მიმზიდველ საკითხავ წიგნად. პოემა თავიდან ბოლომდის შეუწელებელ ინტერესს იწვევს ამბის მიმდინარეობით. უცხო მოყმის სცენაზე გამოყვანით იქმნება მეტად დამაბული სიტუაცია. ამ მომენტიდან ავტორს მთლიანად დაპყრობილი აქვს მკითხველის ყურადღება. მკითხველს ეშურება მოყმის ამბის ამოცნობა. ტარიელის ამბის ამოცნობიდან ყურადღების ცენტრი გადაინაცვლებს ნესტანის ამბის ამოცნობაზე. მკითხველის ინტერესს აღიზიანებს ავთანდილის მგზავრობა ტარიელის საძებნელად. თვითონ ტარიელის ტრაგიკული თავგადასავალი აღსავსეა მძაფრი კოლიზიებით, მწვავე კონფლიქტებითა და დრამატული სიტუაციებით. დიდი ექსპრესიით გამოირჩევა ტარიელისა და ფარსადანის კონფლიქტი, მწარე განცდებს იწვევს ნესტანის საბედისწერო ხვედრი, გულწრფელ თანაგრძნობას იმსახურებს გახელებული მიჯნური. ახალი დამაბულობა უკავშირდება ავთანდილის გამოჩენას, მკითხველს ხიბლავს ავთანდილის უანგარო თავგამოდება უნუგემო თანამოდმის მიმართ. ფრიდონის ეპიზოდი ამდიდრებს პოემის საზოგადოებრივ-

ყოფითს სურათებს, ეპიზოდი სიუჟეტურად მჭიდროდ ეჯაჭვება მთავარ ამბავს. ფატმანის ამბით მკითხველი ეცნობა ახალ სამყაროს, პოემას ემატება უჩვეულო კოლორიტული საღებავები. "ვეფხისტყაოსნის" სიუჟეტური განვითარება თავის კულმინაციას აღწევს ქაჯეთის ციხის იერიშის ამბებით.

იშვიათი დახელოვნებით, თანმიმდევრულად და ლოგიკურად ჰკრავს და ხსნის რუსთველი სიუჟეტურ ხლართებს, თანდათანობით ართულებს და ამძაფრებს სიტუაციებს, უფრო და უფრო მბავს მკითხველის ყურადღებას, მკითხველს მონდომებით უღვიძებს ინტერესს შემდგომი ამბებისადმი. სიუჟეტური თხრობის განვითარებაზე ძალდაუტანებლად, ბუნებრივ პირობებში და მოქმედების ნიადაგზე სრულყოფილად ხსნის რუსთველი თავისი პერსონაჟების ინდივიდუალურსა და ტიპოლოგიურ ხასიათებს. პერსონაჟების ხასიათების გახსნას ემსახურება ავტორის მხატვრული აზროვნების სისტემა, ავტორის მხატვრულ-შემოქმედებითი მეთოდი.

"ვეფხისტყაოსნის" თხრობის დინამიკურობას ხელს არ უშლის, პირიქით, უხდება და სიმკვეთრეს მატებს სხვადასხვა მრავალფეროვანი ე. წ. სტატიკური ელემენტი (ანდერძები, ეპისტოლეები, დიალოგები, აღწერილობანი, ლირიკული წიაღსვლები, აფორისტული შეგონებანი და მისთანანი). ყველა სტატიკურ ელემენტში ჩაქსოვილია მოქმედების ძაფი. რუსთველს არ მოეპოვება ამბის განვითარებისა და მოქმედების შემაფერხებელი სალექსო სტრიქონები. "ვეფხისტყაოსნის" კომპოზიციის ელემენტები, დინამიკური თუ სტატიკური, უწყობს ხელს ავტორის იდეების მკაფიოდ გაშლას, ავტორის მხატვრული ჩანაფიქრის ცხადყოფას. "ვეფხისტყაოსნის" არქიტექტონიკა მთლიანად ისევე სრულყოფილია, როგორც სრულყოფილია ამ არქიტექტონიკის ყველა ცალკეული რგოლი. "ვეფხისტყაოსნის" სიუჟეტი რუსთველის ერთიანი კეთილშობილურ-დარბაისლური სტილის დამამშვენებელი კომპონენტია. პოემის მშვენიერ სიუჟეტში საუცხოოდ არის ჩაქარგული ავტორის დიადი იდეები.

ვეფხისტყაოსნის პერსონაჟები

მდიდარია და მრავალფეროვანი "ვეფხისტყაოსნის" პერსონაჟთა წრე. რუსთველს სამოქმედო ასპარეზზე გამოჰყავს სხვადასხვა სოციალური რანგისა, სხვადასხვა სახელმწიფოებრივი ქვეშევრდომობისა, სხვადასხვა ტომობრივი წარმოშობისა და სხვადასხვა ხასიათის გმირები, მარდილოსნები და მამაკაცები. პოემის სიუჟეტი მკაფიოდ განსაზღვრავს ავტორის ჩანაფიქრს თითოეული პერსონაჟის ადამიანურ რაობასა და სოციალურ თვისებებზე. "ვეფხისტყაოსნის" მოქმედება გაშლილია დიდ გეოგრაფიულ არეზე, პოემის მოქმედ პირებად გამოყვანილი არიან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელნი და სხვადასხვა ინდივიდუალობის პერსონაჟები. ამისდა მიუხედავად, რუსთველი უაღრესად ნაციონალური პოეტი-მოაზროვნეა.

"ვეფხისტყაოსნის" პერსონაჟები მე-11 - 12 საუკუნეების ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ამსახველი ცოცხალი ინდივიდუალიზებული ხასიათებია. ამ სახე-ხასიათებს ეტყობა რომანტიზაციისა და იდეალიზაციის იერი, თუმცა სახეების გამოკვეთაში მიღწეულია ნამდვილი ტიპოლოგიური განზოგადება. იმდროინდელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების მაჯისცემა ისე მკაფიოდ იგრძნობა პოემაში, რომ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბევრ მკვლევარს "ვეფხისტყაოსნის" სიტუაციები და პერსონაჟები რეალურ-ისტორიული მოვლენებისა და რეალურ-ისტორიული პიროვნებების

მნატვრულ შესატყვისობად ეჩვენება. საეჭვო არ არის, რომ რუსთველი რეალურ-ისტორიული სამყაროდან იღებდა თავისი დიდებული ნაწარმოების ასაგებად საჭირო საშენ მასალას. ეს შეეხება პოემის როგორც სიუჟეტურ სიტუაციებს, ისე კონკრეტულ პერსონაჟებს.

რუსთველს ისე მიჰყავს სიუჟეტური ამბავი, რომ ბუნებრივ ვითარებაში დამაჯერებლად ხსნის თავისი გმირების ინდივიდუალურ ხასიათებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ რუსთველს არ იტაცებს პერსონაჟთა მოქმედების გარეგნული ფორმები; პოეტი ღრმად გვახედებს გმირების შინაგანი, სულიერი ცხოვრების სამყაროში. ფსიქოლოგიზმი, პერსონაჟების სულიერი განცდების ღრმა ანალიზი, პერსონაჟების სულიერი ცხოვრების სრულყოფილად ჩვენება წარმოადგენს რუსთველის შემოქმედებითი ნოვატორობის ნიშანდობლივ მხარეს.

ვეფხისტყაოსნის მთავარი იდეურ-თემატიკური მოტივები

1. სიყვარული და ქალის თაყვანისცემა

რუსთველი მხურვალედ უმღერის ადამიანის გამაკეთილშობილებელსა და ამამაღლებელ თავისუფალ სიყვარულს. "სიყვარული აღგვამაღლებსო", აცხადებს პოეტი ავთანდილის პირით (791, 3). სიყვარულის ამ ამამაღლებელ გრძნობას ემსახურება "ვეფხისტყაოსნის" წამყვან პერსონაჟთა ორივე წყვილი - ნესტანი და ტარიელი, თინათინი და ავთანდილი. "ვეფხისტყაოსნის" მიხედვით, სიყვარული არის ადამიანის ზნეობრივი ცხოვრების მასულდგმულებელი წყარო. სიყვარული ალაშქრებს, ააზრიანებს და ახალისებს ადამიანის სიცოცხლეს, სიყვარული ქმნის გმირობისა და მამაცობის სტიმულს. ნესტან-დარეჯანი ასე აფრთხილებდა მიჯნურობისაგან გაშმაგებულ ტარიელს (377, 1-2):

ბედითი ბნედა, სიკვდილი რა მიჯნურობა გგონია?
სჯობს, საყვარელსა უჩვენე საქმენი საგმირონია.

სიყვარული აწრთობს ვაჟკაცის ნებისყოფას, მის ხასიათს, მისი მკლავის სიმკვეთრეს. სიყვარული ასაზრდოებს ვაჟკაცის აქტივობას, ფრთებს ასხამს მის მოქმედებას, მის ბრძოლისუნარიანობას. სიყვარული უმახვილებს ადამიანს საზოგადოებრივი მოვალეობის გრძნობას. მგრძნობელობითი სიყვარული აძლიერებს სამშობლოსადმი სიყვარულს. შეყვარებულ ვაჟკაცს უწინარეს ყოვლისა მოეთხოვება საზოგადო მოღვაწეობა და მშობლიური ქვეყნის სამსახური. იმავე წერილში ნესტანი ავალებდა სატრფოს (379, 2):

წა, შეეხი ხატაელთა, თავი კარგად გამაჩვენე.

სიყვარული აფაქიზებს მგრძნობელობას, ენერგიას მატებს და პასუხისმგებლობის გრძნობას უმძაფრებს როგორც მამაკაცს, ისე ქალს. ნესტანს ამოქმედებდა არა ყმაწვილქალური ჭირვეულობა, არამედ პატრიოტული შეგნება

ხატაელებმა მუხთლურად დაარღვიეს პირობა, შელახეს ინდოეთის სუვერენობა. ამის გამო ნესტანი ტარიელს ავალებდა ინდოეთის სახელმწიფოებრივი ღირსების დაცვას, მიჯნური ქალი მიჯნურ ვაჟს მოუწოდებდა საქვეყნო სამსახურისათვის (377, 3-4):

ხატაეთს მყოფნი ყველანი ჩვენნი სახარაჯონია,
აწ მათნი ჯავრნი ჩვენზედა ჩვენგან არ დასათმონია.

შეყვარებული ნესტანის ნაზი გული ამხილებდა დიდ შინაგან მღელვარებას, მაგრამ საზოგადოებრივი მოვალეობის შეგნება მას უკარნახებდა გრძნობების გონებისადმი დაქვემდებარების საჭიროებას.

მძიმე დავალება გარდაუწყვეტა თავის მიჯნურს თინათინმაც (უცხო მოყმის ძებნა). ამ დავალების შესრულებას უნდა განემტკიცებინა მათი სიყვარული. ”შენგან ჩემი სიყვარული ამით უფრო გაამყარეო”, უთხრა თინათინმა ავთანდილს (131,1).

სიყვარულმა გამობრძმედა და გააკაჟა ”ვეფხისტყაოსნის” პერსონაჟები, გმირული სული გაუღვივა როგორც მამაკაცებს, ისე ქალებს. სიყვარულმა დაახლოვა და დაამშობილა პოემის სამი შესანიშნავი ვაჟკაცი - ტარიელი, ავთანდილი და ფრიდონი. სიყვარულმა შემუსრა ხატაეთი, ქაჯეთის ციხე. სიყვარულმა შესძინა ნესტანს გოლიათური მორალური ძალა. ქაჯეთის შემზარავ ციხეში გამომწყვდეული შეყვარებული ქალი როდი მიეცა სასოწარკვეთილებას, მანგამოიჩინა განმაცვიფრებელი სულიერი მხნეობა, ფიზიკური გამძლეობა და გონებრივი სიფხიზლე. უზომოდ შეყვარებულმა ნესტანმა საკუთარი ვნებები და გრძნობები დაიმორჩილა, სატრფოს კი მოსთხოვა მიჯნურული შმაგობის დაძლევა და უმწეოდ დარჩენილი სამშობლო-ქვეყნის დასახმარებლად გამგზავრება. ნესტანი ქაჯეთის ციხიდან სწერდა თავის სათაყვანებელ ტარიელს (1307 1-2):

წადი, ინდოეთს მიჰმართე, არგე რა ჩემსა მშობელსა,
მტერთაგან შეიწრებულსა, ყოვლგნით ხელ-აღუპვრობელსა.

უდიდესი განსაცდელის დროსაც ნესტანი არ ჰკარგავდა სულიერ მხნეობას, გასაჭირისაგან გამოსავალს ეძებდა, გონებას ეკითხებოდა, ბრძნულად სჯიდა (1191, 2-4):

ვ ე ც ა დ ო რ ა ს , ნუთუ ღმერთმან მომარიოს ჩემსა მტერსა,
სიკვდილამდის ვის მოუკლავს თავი კაცსა მეცნიერსა?
რა მისჭირდეს, მაშინ უნდან გონებანი გონიერსა.

ნესტანისა და ტარიელის (ისე როგორც თინათინისა და ავთანდილის) სიყვარულს ადიადებს სრული და უყოყმარო თავგანწირულების იდეა. ნესტანი ტარიელისათვის და ტარიელი ნესტანისათვის სიცოცხლეს არ დაიშურებდა, ორივე დაუფიქრებლად გაიღებდა თავის სიცოცხლეს სატრფოს გულისათვის, თუ ამისი საჭიროება შეიქმნებოდა.

“ვეფხისტყაოსანში” ასახული სიყვარული უაღრესად ადამიანურია, მაღალზნეობრივი, მგრძნობიარე, ენგელსის გამოთქმა რომ ვიხმართო, ს ქ ე ს ო ბ რ ი ვ ი ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი . ამ სიყვარულს არაფერი აქვს საერთო არც აღმოსავლურ სუფისტურ-მისტიკურ მიჯნურობასთან ან ეროტიკასთან, არც დასავლურ უსაგნო რაინდულ ტრფიალებასთან ან ეგრეთწოდებულ პლატონურ

(სულიერ) გატაცებასთან. შემთხვევით არ გაემიჯნა რუსთველი საზეო, საღმრთო მიჯნურობას და მტკიცედ აღიარა: “ვთქვენ ხელობანი ქვენანი, რომელნი ხორცთა ხედებიანო”. ნესტანისა და ტარიელის (თინათინისა და ავთანდილის) სიყვარული ამქვეყნიური, ბუნებრივი, მიწიერი, ხორციელი სიყვარულია, ოღონდ მაღალზნეობრივი და ამაღლებული. ასეთ სიყვარულს შეჰფერის ქალ-ვაჟთა ურთიერთობაში ზომიერება, თავდაჭერილობა, სიფაქიზე. “ვეფხისტყაოსანი” ბუნებრივად თვლის შეყვარებული ქალ-ვაჟის ურთიერთისადმი ლტოლვას, სიახლოვით დატკბობას, ალერსის სიამოვნებას. პროლოგის სიტყვები “მძულს უგულო სიყვარული, ხვევნა, კოცნა, მტლამა-მტლუში” (25, 4) სწორედ უ გ უ ლ ო “სიყვარულს”, სექსუალურ აღვირახსნილობას გულისხმობს. მძიმე “თათბირისა და გამორჩევის” შემდეგ ტარიელი უნდა გამომშვიდობებოდა სატრფოს, თავდაჭერილი ნესტანი თავისმა წადილმა გასცა, მას უმძიმდა ტარიელის განშორება, ჭაბუკს აგრძნობინა დარჩენილიყო. ტარიელი გვიამბობს (546, 3-4):

მერმე ავდეგ წამოსავლად, მან დამიწყო ქვევე წვევა,
მწადდა, მაგრა გერ შევჰმართე შემოჭდომა, შემოხვევა.

რა ბუნებრივი და უცოდველი იყო ტარიელის სურვილი. ველად გაჭრილმა მიჯნურმა ერთხელ ვეფხი შეიპყრო, რომ დაეკოცნა ნესტანის სიმბოლო (“მის გამო კოცნა მომინდა, ვინ მწვავს ცეცხლითა ცხელითა”).

“ვეფხისტყაოსნის” პროლოგის მიხედვით, სიყვარულის საგანი შეიძლება იყოს მხოლოდ ერთადერთი პირი, რუსთველი მიჯნურისაგან მოითხოვს: “გული ერთსა დააჯეროს, კუმტი მიჰხედეს, თუნდა ქუში” (25, 3). ზოგი ფიქრობს, თითქოს ეს წესი ავთანდილმა დაარღვია ფატმანთან თავისებური სამიჯნურო ურთიერთობის გაბმით. უნდა ვიცოდეთ, რომ ავთანდილს სასაცილოდაც არ ჰყოფნიდა ვაჭრის ცოლის აშიკობა. თუ ავთანდილმა ფატმანს გარეგნულად მაინც თანაგრძნობა გაუწია, ჭაბუკის საქციელს ამართლებს მისი საერთო კეთილშობილური მიზანდასახულობა; ავთანდილს უნდა მოეგო ფატმანის გული და გამოეყენებია ვაჭრის ცოლი ნესტანის ძებნის საქმეში, ავთანდილი ასე მსჯელობდა (1092): “ისი დიაცი აქა ზის, მნახავი კაცთა მრავალთა, მოსადგურე და მოყვარე მგზავრთა ყოველგნით მავალთა; მივჰყვე, მიაშობს ყველასა... ნუთუ რა მარგოსო”. რუსთველი საჭიროდ თვლის ხაზი გაუსვას ავთანდილის იძულებითს მოქმედებას და მის სრულ ინდიფერენტიზმსა და გულგრილობას ფატმანის ტრფიალებისადმი. ამ მხრით განსაკუთრებით საგულისხმოა 1252-ე სტროფი.

ფატმანის ეპიზოდით რუსთველი აშიშვლებს უ გ უ ლ ო ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი ს პირფერულსა და საძრახის ხასიათს. ავთანდილი იძულებული გახდა გაეზიარებინა ფატმანის სარეცელი, მაგრამ მას არ უღალატნია რაინდული სიყვარულისათვის საზოგადოდ და სათაყვანებელი არსებისათვის კერძოდ. ფატმანთან უგულო ალერსის მომენტშიც მას “ჰკლვიდა თინათინის გონება”.

რუსთველური სიყვარული საფუძვლად ედება მ ე უ ლ ლ ე ო ბ ა ს . პოეტი აყენებს და თანმიმდევრულად ავითარებს ურთიერთსიყვარულზე დამყარებული, თავისუფალი, ძალდაუტანებელი მეუღლეობრივი კავშირის იდეას. კდემამოსილი ნესტანი უკვე პირველი წერილით უმხელდა ტარიელს (378, 1-2):

შენგან ჩემისა ქმრობისა წინასაც ვიყავ მნდომია,
მაგრა აქამდის საუბრად კვლა ჟამი არ მომხდომია.

ზრდილი და თავდაჭერილი. თინათინიც ფიცით არწმუნებდა თავის მიჯნურს (133):

ფიცით გითხრობ: შენგან კიდე თუ შევირთო რაცა ქმარი,
მზეცა მომხვდეს ხორციელი, ჩემთვის კაცად შენაქმარი,
სრულად მოვსწყდე სამოთხესა, ქვესკნელს ვიყო დასანთქმარი,
შენი მკლვიდეს სიყვარული, გულსა დანა ასაქმარი.

”ვეფხისტყაოსანში” აღწერილი ადამიანური ტრაგედიის ამბავი გამოიწვია ძალდატანებითი მეუღლეობის განხორციელების წადილმა.

ფარსადან მეფე და დედოფალი ბრძანი უნდა ყოფილიყვნენ, რომ არ დაენახათ და არ ეგრძნოთ ნესტანისა და ტარიელის ურთიერთისადმი მძლავრი სატრფიალო მიზიდულობა; მათ კი მოიწვიეს თათბირი, საბედისწერო ფაქტის წინაშე დააყენეს ზრდილი რაინდი ტარიელი და არსებითად მას მოსთხოვეს მორალური თვითმკვლელობის დასტური. ტარიელის მდგომარეობა აღემატებოდა ყოველგვარ სასჯელს. აღმზრდელისა და პატრონისადმი ერთგულების, მორიდებისა და მორჩილების რაინდული შეგნება მას უკარნახებდა თავშეკავების საჭიროებას. აუტანელი იყო ”დამწვარი”, ”დანაცრებული” ტარიელის ტანჯვა. ფარსადანმა არ დაინდო არც ტარიელი, არც ნესტანი. მან ანგარიში არ გაუწია ქალ-ვაჟის უმწიკვლო გრძნობებს, თითქოს სახელმწიფოებრივი ინტერესები უკარნახებდა მეფეს თავისი ერთადერთი ასული მიეთხოვებინა უცხოელი კაცისათვის. მეფე და დედოფალი ასე მსჯელობდნენ (509):

აწ ქალისა ჩვენისათვის ქმარი გვინდა, სად მოვნახოთ,
რომე მივსცეთ ტახტი ჩვენი, სახედ ჩვენად გამოვსახოთ,
სამეფოსა ვაპატრონოთ, სახელმწიფო შევანახოთ,
არ ამოვწყდეთ, მტერთა ჩვენთა ხრმალი ჩვენთვის არ ვამახოთ.

მეფე ფარსადანი ძველ, დრომოჭმულ თვალსაზრისზე იდგა. ამ თვალსაზრისით ქალს არ ეკითხებოდა საკუთარი ბედ-იღბლის საქმე. შუა საუკუნეებში ყველგან და, კერძოდ, საქართველოშიც ქალისათვის საქმროს არჩევა, როგორც წესი, მშობლების პრეროგატივს შეადგენდა. ნესტანის გათხოვების საკითხს ფარსადანი იყენებდა ხელსაყრელი პოლიტიკური გარიგებისათვის. ხვარაზმშაჰის შვილის ჩასიძებით ფარსადანი იძენდა ძლიერ მოკავშირესა და მფარველს. ამ შემთხვევაში რა მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა ყმაწვილ-ქალის გულისთქმასა და გრძნობითს განწყობილებებს. ნესტანი აღაშფოთა მშობლების უსულგულო დამოკიდებულებამ. სათნო ხასიათის ქალმა მაინც არ დაუშვა თავისი ადამიანური ღირსების შელახვა და დამცირება, მან განსაცვიფრებელი გამბედაობა და გონებრივი სიფხიზლე გამოიჩინა. ნესტანი არათუ არ, დაემორჩილა მშობლების გადაწყვეტილებას, არამედ იგი არ მოერიდა საქვეყნო ამბოხს. ნესტანმა ტარიელს ურჩია მოქიშპე ხვარაზმშაჰის ძის დაუყოვნებლივ მოკვლა და, საჭირო შემთხვევაში, ძალაუფლების ხელში აღება. ფარსადან მეფის წინდაუხედაობა, მისი ცრურწმენა შეიქნა მიზეზი ნესტანისა და ტარიელის უბედურებისა, ამან მიიყვანა კატასტროფის კარამდის ინდოეთის სახელმწიფო. ფარსადანი ვერ ამაღლდა ტრადიციულ ადათ-წესებზე, ვერ გადალახა

ყალბი შეხედულება ქალის მოწოდებასა და დანიშნულებაზე. იგი უსამართლო და დესპოტი მშობელი გამოდგა. სამაგიეროც მიეზღო. გახდა მსხვერპლი თავისივე ყოფაცხოვრებითი კონსერვატიზმისა და პოლიტიკური სიბეცისა. ფარსადანისა და ნესტან-ტარიელის აღნიშნული კონფლიქტი თამაშობს გადამწყვეტ როლს "ვეფხისტყაოსნის" სიუჟეტურ განვითარებაში.

ფრიდრიხ ენგელსს აღნიშნული აქვს, რომ გაბატონებული ექსპლოატატორული კლასისათვის, კერძოდ შუა საუკუნეების თავადაზნაურობისათვის, შეუღლება, ქორწინება წარმოადგენდა გამდიდრებისა და გაძლიერების წყაროს. მბრძანებელი საზოგადოებრივი კლასისათვის ქორწინება იყო ანგარებასა და ანგარიშიანობაზე დამყარებული პოლიტიკური გარიგების აქტი. ასეთი გარიგება გამორიცხავდა სიყვარულის მომენტს, ყოველ შემთხვევაში მას მხედველობაში არ იღებდა. ენგელსი ამბობს: "რაინდისათვის ან ბარონისათვის, ისევე როგორც თვით მთავრისათვის, დაქორწინება პოლიტიკური აქტია, შემთხვევა თავისი ძლიერების გასადიდებლად ახალი კავშირების შემწეობით; გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს აქ სახლის ინტერესებს და არა ცალკეული პირის სურვილს. როგორ შეიძლება, რომ სიყვარულმა ასეთ პირობებში უკანასკნელი სიტყვა თქვას დაქორწინების შესახებ?"^[35] ენგელსი შემდეგ განაგრძობს: "გაბატონებული კლასების პრაქტიკაში გაუგონარ ამბავად რჩებოდა ის, რომ მონაწილეთა ურთიერთსიმპათია დაქორწინების ისეთ საფუძვლად ყოფილიყო მიჩნეული, რომელიც ყველა სხვა მოსაზრებას გადააჭარბებდა. ასეთი რამ უკიდურეს შემთხვევაში რომანტიკაში თუ ხდებოდა ან კიდევ დაჩაგრულ კლასებში, რომელნიც სათვალავში მისაღები არ იყვნენ"^[36]. მსგავსი ვითარების გამო "მთელს შუა საუკუნეებში ქალ-ვაჟთა შეუღლებას მშობლები ახდენდნენ მათდა დაუკითხავად"^[37]. მეფე ფარსადანის ისტორია საუკეთესო მხატვრული ილუსტრაციაა ენგელსის სიტყვებისათვის. რუსთველმა გადალახა შუასაუკუნეობრივი შეზღუდულობა. "ვეფხისტყაოსნით" იგი იმ თვალსაზრისს ავითარებს ქორწინების საკითხში, რაც იმდროინდელობისათვის "გაუგონარ ამბავს" წარმოადგენდა. მე-12 საუკუნის ქართველი პოეტი ბოროტებად თვლის ქალ-ვაჟის ძალდატანებითი გზით შეუღლებას. პოეტი კატეგორიულად გმობს იძულებითს ქორწინებას, იგი პრაქტიკულად ქადაგებს იმ პრინციპებს, რაც მხოლოდ ოცნებაში, რომანტიკაში არსებობდა. რუსთველის შეხედულებით, ქალისა და ვაჟის ურთიერთისადმი ბუნებრივი მიზიდულობა, მათი სიყვარული უნდა აპირობებდეს ქორწინებას. თავისუფალი სიყვარული, სიყვარულზე დაფუძნებული ნებაყოფლობითი მეუღლეობა გულისხმობს ყოველ შემთხვევაში მეუღლეთა მორალურ თანახმობას. რუსთველი უარყოფს მეუღლეობის ცალმხრიობას. მასი თვალსაზრისით, ქორწინებით შეკავშირებული ქალ-ვაჟნი უნდა იყვნენ სწორედ მეუღლენი, ისინი ნებაყოფლობითა და თანაბარი პასუხისმგებლობით უნდა ეწეოდნენ მეუღლეობის, საერთო ოჯახის ტვირთს. ნებაყოფლობითი მეუღლეობა საწინდარია როგორც თვითონ მეუღლეთა პირადი ბედნიერებისა, ისე უცილობელი პირობაა საზოგადოებრივი კეთილდღეობისა და კეთილზნაიანობისა. რუსთველის მხრით ძალდატანებითი ქორწინების მავნებლობის დაუზოგავად მხილებას და ნებაყოფლობითი ქორწინების გატაცებით ქადაგებას არ შეიძლება კავშირი არ ჰქონდეს მე-12 საუკუნის საქართველოს ისტორიული სინამდვილის ერთ კონკრეტულ ფაქტთან. როგორც ცნობილია, ჯერ სრულიად ახალგაზრდასა და გამოუცდელ თამარს ვითომცდა სახელმწიფოებრივი ინტერესების გამო დიდებულებმა თავზე მოახვიეს უცნობი გადამთიელი კაცის ქმრობა. სულ მალე

გამოირკვა ასეთი შეუღლების დამღუპველი შედეგი. თამარიც იძულებული გახდა დაერღვია ქორწინება და გაეძევებინა საქულველი ქმარი.

”ვეფხისტყაოსანს” თავიდან ბოლომდის გასდევს ქალის, დედაკაცის, პატივისცემისა და თავყვანისცემის იდეა. რუსთველმა შექმნა ისეთი დიდი მორალური და ინტელექტუალური ღირსების გამომხატველი ქალის ემოციური სახე, როგორცაა ნესტან-დარეჯანი, “ვეფხისტყაოსნის” ცენტრალური პერსონაჟი. ნესტანი განსახიერებაა აბსოლუტური სიკეთისა და სალამიზისა. მის გარეგნულ მომხიბლავობას ამშვენებდა შინაგანი დიდბუნებოვანება, ზნეობრივი სიწმინდე და გონებრივი სრულყოფილება. მშვიდი, უწყინარი, ჩუმი ნესტანი იმავე დროს იყო მტკიცე ნებისყოფის პატრონი, პრინციპული, მხნე, შეუდრეკელი, თავმოყვარე. როცა საქმემ მოითხოვა, მან ნამდვილი ამბოხებისაკენ მოუწოდა ტარიელს (ხვარაზმშაჰის მის მოკვლის ამბავი). საზოგადოდ მშობლების დიდად მოყვარული და მორჩილი ასული არ მოერიდა უსამართლოდ მოქმედი მამის წინააღმდეგ გალაშქრებას. გააფთრებულ მუ ვეფხს დაემსგავსა ნესტანი, როდესაც სატრფოს ერთგულებაში დაექვდა. ნესტანს მიაყენეს საშინელი ფიზიკური შეურაცხყოფა, მასზე ქაჯური შური იძიეს, კიდობანში ჩაკეტეს და მონა ზანგების თანხლებით ზღვის უსაზღვრო სივრცეს მისცეს დასაღუპავად. ბედუკუღმართი ქალწული მაინც ხმას არ იღებდა, არ წუწუნებდა, არ ოხრავდა. ნესტანი ისევ შეიპყრეს, დაუწყეს დაკითხვა, ძიება (1181, 2): ”მითხარო, ვინ ხარ, ვისი ხარ, მოსრული ვისთა გვართთა?” გაუთავებელი დაკითხვები უორკვეებდა ნესტანს სულიერ ტკივილებს. ”სადაური სად მოსრულ ვარ, ვის მივჰხვდები ვისთვის ხელი, რა ვქმნა, რა ვყო, რა მერგების. სიცოცხლე მჭირს მეტად ძნელი” - ეკითხებოდა ყმაწვილ-ქალი თავის თავს. მრავალტანჯული ნესტანი მაინც არ კარგავდა მხნეობას, ინარჩუნებდა ღირსებას, მოწამებრივი სიმშვიდით მიდიოდა სამსჯავროსაკენ (1178): ”იგი მივა თავ-მოდრეკით წყნარი, არას მოუბარი”. მნახველებს ნესტანი აგონებდა დატყვევებულ ვეფხს (1159, 2): ”ვ ე ფ ხ ი - ა ვ ა ზ ა პირ-ქუშად ზის, წყრომა ვერ ვუგრძენითო”. მისი გრძნობები ხშირად გამოსავალს პოულობდა ცრემლებში, ტიროდა ”გულამოხვინჩვით” ან ”გულამოსკვნით” უბედურებამ ვერ გატეხა სუსტი ქალი. მორიგი გასაჭირის მოლოდინში თუმცა ”თვალთათ, ვითა მარგალიტი, გარდმოყარა ცრემლი ხშირი”, მაგრამ ”ადგა ასრე გულუშიმრად, ვ ე ფ ხ ი ი ყ ო ა ნ უ გ მ ი რ ი ” (1176, 1-2). რუსთველმა მოგვცა სხარტი ფორმულა თავისი პერსონაჟის დასახასიათებლად: ნესტან-დარეჯანი გ მ ი რ ი ქ ა ლ ი ა , ქალი რაინდი, გაუტეხელი, უშიშარი, შეუპოვარი. ნესტანის ქალური ბუნების ფიზიკურ სისუსტეს აწონასწორებს და ადიადებს მ ო რ ა ლ უ რ ი გ ო ლ ი ა თ ო ბ ი ს ძალა. უშფოთველი და უდრტვინველი ხვდებოდა ეს გმირი ქალი ცხოვრების ბიძგებს, ფხიზლად ეგებებოდა ყოველგვარ ხიფათს, არც უკვირდა, არც ეშინოდა, სხვებსაც ბრძნული შეგონებით არიგებდა. ფატმანი გვიამბობს (1175, 1-3):

მან მითხრა: დაო, ნუ გიკვირს, ეგე რაზომცა ძნელია.
ბედი უბედო ჩემზედა მიწყვი ავისა მქმნელია.
კარგი რამ მჭირდეს, გიკვირდეს, ავი რა საკვირველია.

სწორედ უდიდესი განსაცდელის მომენტში წარმოთქვა ნესტანმა ზემოთ მოყვანილი უბრძნესი სიტყვები (1191, 2-4):

ვ ე ც ა დ ო რ ა ს , ნუთუ ღმერთმან მომარიოს ჩემსა მტერსა?
სიკვდილამდის ვის მოუკლავს თავი კაცსა მეცნიერსა?

რა მისჭირდეს, მაშინ უნდან გონებანი გონიერსა.

ასე გგონიათ, ამ სიტყვებს ამბობს ანტიკური ქვეყნის რომელიმე ბრძენთუხუცესი და არა ნაზი ბაგენი შეყვარებული ყმაწვილ-ქალისა. ნესტანი იყო სულდიდი და სულგრძელი. იგი არ აჰყვამო შურისძიების გრძნობას, მამის უსამართლობა დაივიწყა და ქაჯეთიდან ტარიელს სწერდა "არგე რა ჩემსა მშობელსაო". რუსთველის ერთ-ერთი შემოქმედებითი მწვერვალია ნესტანის წერილები ქაჯეთიდან ფატმანთან და ტარიელთან. ამ წერილებში სრულყოფილად გამოიხატა მშვენიერი ნესტანის წარმტაცი სულიერი სამყარო. ნესტანი ასახიერებს აქტიურ საწყისს. იგი შეურიგებელია უსამართლობის მიმართ, არ კარგავს სულიერ წონასწორობასა და გონებრივ სიფხიზლეს, ყოველგვარი განსაცდელისგან პოულობს გამოსავალს, იჩენს საჭირო თაოსნობას საქვეყნო საქმეებში, ბრძოლისა და მოქმედებისაკენ მოუწოდებს თავის სათაყვანებელ მიჯნურს. ნესტანი სახეა აქტიური, მებრძოლი სათნოებისა, ხორცშესხმული სიკეთისა, მარად უჭნობი ქალური სინაზისა და სილამაზისა. ნესტანის სახე დიდი საკაცობრიო შთამაგონებელი სახეა. ეს სახე ხიბლავს ყველას, ვისაც კი იზიდავს სიკეთის გრძნობა.

თავისი სათნო ხასიათითა და გონიერებით სამაგალითოა თინათინიც^[38]. თინათინიც ინიციატივიანია, მან დაავალა ავთანდილს უცხო მოყმის მოძებნა, მან წააქეზა ავთანდილი განსაცდელში მყოფი თანამომძმის დასახმარებლად, თინათინმაც პირადი ბედნიერება დაუმორჩილა ალტრუისტულ გრძნობებს. თინათინი საუცხოოდ უძღვებოდა საქვეყნო საქმეებს. სწორედ თინათინის გამეფებასთან დაკავშირებით ურთავს რუსთველი თავის განთქმულ აფორიზმს "ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია". ამით პოეტი ხაზს უსვამს მეფის ოჯახის წევრთა სრულ თანასწორუფლებიანობას, განურჩევლად სქესისა. თინათინის გამეფების ეპიზოდით რუსთველი ასაბუთებს ქალს გამეფების კანონზომიერებასა და კეთილგონიერებას. რუსთველმა დედაკაცი მამაკაცს გაუთანაბრა მორალურად და ინტელექტუალურად, გარკვეულ პირობებში პოეტს შესაძლებლად მიაჩნია მამაკაცისა და დედაკაცის პოლიტიკურ-უფლებრივი თანასწორობაც კი. დედაკაცს რუსთველი თვლის სრულყოფილად ამიანად. ამით პოეტმა დაარღვია მუსლიმანური აღმოსავლეთის სინამდვილეში საზოგადოდ და კერძოდ პოეზიაში გაბატონებული თვალსაზრისი დედაკაცის უსრულობასა და ზნეობრივ-გონებრივ შეზღუდულობაზე. ასეთი თვალსაზრისი, მაგალითად, გაშიშვლებულად არის გამოთქმული სპარსულიდან მომდინარე რომანში - "ვისრამიანი". აქ ერთგან ვკითხულობთ: "დედანი ნებისაკენ უფრო იზიდვენ, ვირე სახელისაკენო. დედანი უსრულად დაბადებულნია, მით მიწყვი თავისა წადილი მორევს, საწუთროსა და საუკუნოსა გასწირვენ ერთისა წადილისა გასრულებისათვის და ამას აღარ გაიგონებენ, თუ ბოლოსა ჟამსა მოყვივნდებითო". წინააღმდეგ "ვისრამიანისა", "ვეფხისტყაოსნის" პერსონაჟი ქალები, ნესტანი და თინათინი, თავიანთ წადილს იმორჩილებენ, გრძნობებს უთანხმებენ გონებას, პრაქტიკულ საქმიანობაში ხელმძღვანელობენ საზოგადოებრივი ინტერესებით. საზოგადოებრივს, სახელმწიფოებრივსა და საქვეყნოს პირადულზე მაღლა აყენებენ. ნესტანი და თინათინი (განსაკუთრებით ნესტანი) დამოუკიდებელი ხასიათის პატრონნი, თავისუფლებისმოყვარული პიროვნებანია. აღსანიშნავია, რომ რუსთველმა დაგვიხატა ზნეობრივად და გონებრივად სრულყოფილი ქალი პერსონაჟები არა მარტო საზოგადოების მაღალი წრიდან, არამედ მან შექმნა უბრალო, მდაბიო წრიდან გამოსული ასმათის უზომოდ მიმზიდველი და სიმპათიური სახე. შოთა რუსთველი მხატვრული ენით ამტკიცებს,

რომ მამაკაცის მსგავსად ქალიც კაცია, ადამიანი, დედა-კაცი.^[39] ამ დებულებას რუსთველის შემოქმედებაში აქვს უნივერსალური მნიშვნელობა. შუა საუკუნეების მსოფლიო ლიტერატურის ისტორიამ არ იცის მეორე, ნესტანის შესაფარდი მხატვრული სახე. რუსთველივით ამაღლებულად შუა საუკუნეებში არავის არ უმღერია ქალის ღირსებაზე.

ქალის პატივისცემას დიდი ტრადიცია მოსდგამს ქართველ ხალხში. ილია ჭავჭავაძემ აღნიშნა, რომ: “ქართველი დედასაც კაცად ჰხადის და ამიტომ ”დედა-კაცს” ეძახის, როგორც მამას - “მამაკაცს”^[40]. თანახმად ილიას დაკვირვებისა, ქართულის ენობრივი მონაცემები საუცხოოდ ამტკიცებს ძველ საქართველოში დედაკაცისადმი (საერთოდ დედობისადმი) განსაკუთრებულ მოწიწებითს დამოკიდებულებას. ჩვენი დიდი მწერალი და მოაზროვნე ამბობს: “ქართველებისათვის დედა მარტო მშობელი არ არის. ქართველი ღვიძლს ენასაც “დედა-ენას” ეძახის, უფროსს ქალაქს - ”დედა-ქალაქს”, მკვიდრს და დიდ ბოძს სახლისას - ”დედა-ბოძს”, უდიდესსა და უმაგრეს ბურჯს - ”დედა-ბურჯსა”, სამთავრო აზრს - ”დედა-აზრს”. გუთნის გამგებელ მამაკაცსაც კი “გუთნის დედას”^[41]. აქვე შეიძლება დამოწმება ისეთი სიტყვებისა, როგორცაა: დედა-მიწა, დედ-მამა, და-ძმა, ქალ-ვაჟი, ცოლ-ქმარი და მისთანანი. ქართული ხალხური სიტყვიერება ყოველთვის აიდეალდება ზნეფაქიზ, ოჯახისა და სამშობლოს მოყვარულ ქალს. ქართულმა ლიტერატურამ კი ჯერ კიდევ მე-5 საუკუნეში შექმნა რწმენაურყევი, პრინციპული, შეუპოვარი მებრძოლი ქალის - შუშანიკის - შესანიშნავი სახე. შუშანიკს უსამართლობად მიაჩნდა ქალის დამამცირებელი მდგომარეობა ოჯახში, ის ოცნებობდა ისეთ სამყაროზე, სადაც არ იქნებოდა უფლებრივი სხვაობა ქალსა და კაცს შორის. გასაკვირი არ არის, რომ ასეთი სამყარო შუშანიკს მაშინ საიმქვეყნოდ ესახებოდა. ქართულმა ლიტერატურამ მე-9 საუკუნეში ძუ ლომს მიაძგავსა ნინო, რომელსაც მიეწერება ქართველთა განმანათლებლის (ე. ი. ქრისტიანობაზე მომქცევის) პატივი. ”არა მამაკაცებაი, არა დედაკაცებაი, არამედ ყოველნი ერთ ხართო”, ეუწყა ვითომც ნინოს.

IX საუკუნის ქართველ მწერალ გიორგი მერჩულეს თავის თხზულებაში გამოყვანილი ჰყავს გრძნობიერი, დამოუკიდებელი ხასიათისა და ძლიერი ნებისყოფის მქონე ქალთა პერსონაჟები. მერჩულეს მოთხრობის მიხედვით, ზენონის დას თვითონ გამოურჩევია თავისი საქმრო (თუ საზოგადოდ სატრფო), ოჯახი დაუტოვებია და სასურველ კაცთან შესაყრელად გაშურებულა. ამბავი აშოტ კურაპალატისა და მეჭურჭლე ქალის სიყვარულისა წარმოადგენს საუცხოო სამიჯნურო ნოველას. ადარნერსე კურაპალატის მეუღლე ბევრეულს თითქოს ტრაგიკული სატრფიალო ურთიერთობა ჰქონია ვიღაც უცნობ ჭაბუკთან. ქალები აქტიურად მოღვაწეობდნენ საქართველოში სამოქალაქო პოლიტიკურ სარბიელზე. ცნობილია, კერძოდ, თამარის თანამედროვე მანდილოსნების ხვამაქი ცოქალისა და კრავაი ჯაყელის მნიშვნელოვანი როლი. ბოლოს თვითონ თამარი. თამარის მეფობის დროს ქართველობამ მანამდის ისტორიაში არგაგონილ წარმატებას მიაღწია საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. თამარის მოღვაწეობამ უთუოდ დიდად შეუწყო ხელი ქალის ღირსების განმტკიცებას, ქალის საზოგადოებრივი როლის ამაღლებას. რუსთველი მომსწრე და მოწამე იყო თამარის სასახელო საქმეებისა, პოეტი შთაგონებული იყო ამ საქმეებით, თამარს მიუძღვნა მან თავისი დიდებული პოემა. ასეთ პირობებში სრულიად გასაგებია რუსთველის აღტაცება ქალის ღირსებით, ბუნებრივია მისი განცხადება: ”ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია.” პოეტმა არა თუ დაუშვა ქალის ტახტზე ასვლის შესაძლებლობა,

არამედ განაზოგადა იდეა დედაკაცისა და მამაკაცის მორალურ-ინტელექტუალური და გარკვეულ პირობებში პოლიტიკურ-უფლებრივი თანასწორობისა.

აღტაცებულ ჰიმნს უგალობს თამარის მოღვაწეობას რუსთველის თანამედროვე პოეტი ჩახრუხაძე. აღსანიშნავია, რომ ქალის ღირსების დასაბუთებაში რუსთველს მხარს უჭერს და გვერდს უმშვენებს საეკლესიო მწერალი ნიკოლოზ გულაბერისძე თავისი თხზულებით "საკითხავი სუეტის ცხოველისა, კუართისა საუფლოისა და კათოლიკე ეკლესიისა"^[42]. ავტორს თხზულებისათვის წარუმიღვარებია ვრცელი შესავალი, რომელშიც ცდილა გაერკვია ნინოს მოღვაწეობის საყურადღებო პრინციპულ-პრობლემური მხარე. როგორც ვიცით, ქართულმა ეკლესიამ თავის უმთავრეს წმინდანად და ქვეყნის განმანათლებლად აღიარა ტყვე ქალი ნინო. ეს ფაქტი უჩვეულო მოვლენად ჩანდა ქრისტიანობის ისტორიაში. რელიგიურ-მწვალალებლური შეუწყნარებლობის პირობებში ქართულ ეკლესიას თურმე კიდევაც სძრახავდნენ და "დამაკნინებელ" გარემოებად უთვლიდნენ ქვეყნის მოქცევას "ბუნებისა მიერ დედობრივისა". ეს გამხდარა მწვავე პოლემიკის საგნად. ნიკოლოზ გულაბერისძეს ვიწრო რელიგიურ-კონფესიური საკითხი გაუღრმავებია და ისტორიულ-ფილოსოფიურ პრობლემად უქცევია. გულაბერისძეს საგანგებოდ განუხილავს, თუ "რაისათვის უკუე დედაკაცი აჩინა და წარმოავლინა ღმერთმან ჩუენდა მომართ". ავტორს ამის ასახსნელად მოყავს სამი საბუთი (სამი "მიზეზი"): საქართველო იყო ღვთისმშობლის წილხდომილი, თვითონ ღვთისმშობელმა ვერ შეძლო სამისიონერო მოღვაწეობა, "ხოლო ვინათგან იგი დედაკაცი იყო," ღმერთმა ჩვენს ქვეყანაში "დედაკაცივე წარმოავლინა... გამოთხოვითა და ხუაიშნითა დედისა ღუთისასა". ეს არისო, ამბობს მწერალი, "უფროსდა საგონებელ და საეჭველ ერთი ჭეშმარიტი და უეჭველი მიზეზი". პირველ მოსაზრებაზე "უჭეშმარიტესად" გულაბერისძე თვლის მეორე მოსაზრებას. ქართველები "უმძვინუარესნი იყუნეს" ნათესავთა შორისო, ამიტომაც ღმერთმან სწორედ სუსტი ბუნების დედაკაცი მოავლინა, "უძლურისა ბუნებისა დედაკაცისა მიერ მოალბო ქედფიცხელობაი ულმობელთა მათ და უგლიმთა ნათესავთა", რითაც განსაკუთრებული სიცხადით "საცნაურ" ქმნა თავისი ღვთაებრივი ძალაო. მაგრამ ავტორს არც მეორე "მიზეზი" აკმაყოფილებს, მას დასახელებული აქვს "უჭეშმარიტესი" მესამე მოსაზრება ("უჭეშმარიტეს უკუე ვჰგონე სხუაცა სამიებელი") – "ღირსებისათვის დედათა პატივისა". ქართველთა განმანათლებლად დედაკაცის წარმოგზავნა ქალის განსაკუთრებულ ღირსებათა აღიარების დასადასტურებელ გარემოებას წარმოადგენსო, დიდი საპასუხისმგებლო მისიის დაკისრებით ღმერთმა უშუალოდ გამოხატაო ქალისადმი უაღრესი პატივისცემა. გულაბერისძე გამომწვევი გაცხარებით მიმართავს ქართული ეკლესიის მძრახველთ: "დაიყავნ პირი ბოროტად და ამაოდ დამაკნინებელი ქადაგებისა და მოქცევისა ჩუენისათვის ბუნებისა მიერ დედობრივისა"-ო. პირიქით - შენიშნავს გულაბერისძე - ყოველი ჯურის "მაყუედრებელთა" და "უგუნურების მომზრახთა" საყურადღებოდ, ქართველობას მართებს სიხარული, სიამაყე და სიქადული, რომ სწორედ დედაკაცმა მოაქცია იგი გზასა ჭეშმარიტებისასაო. ნინოს სახელი არათუ ამცირებს ქართული ეკლესიის ღირსებას, არამედ მას ადიადებს და აბრწყინვალებს, აღტაცებასა და სასოებას უნერგავს მორწმუნე ერსო. ნიკოლოზ გულაბერისძის სიტყვით, საქართველოში და არა სხვაგან სადმე ქრისტიანულმა ღმერთმა საგანგებოდ უკვდავყო ქალის სახელი, ქალის პატივი, ქალის ღირსება.

ნინოს კულტის ამგვარი ახსნა და ქალის ღირსების მსგავსი ამაღლებული იდეალიზაცია გასაგები გახდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ ნიკოლოზ

გულაბერისძე იყო თამარის ახლობელი თანამშრომელი, მისი საეკლესიო პოლიტიკის სულისჩამდგმელი და ფაქტიური გამტარებელი. გულაბერისძე ეკუთვნოდა თამარის უერთგულესსა და მისანდო მოღვაწეთა გუნდს, რომელსაც გულწრფელად სწამდა თამარის სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელობის გონიერება და ადამიანური ღირსების უზადოება. ეჭვი არაა, რომ თავისი "საკითხავით" გულაბერისძე არაორაზროვნად იცავს თამარის, როგორც ქალის, პრესტიჟს და ასაბუთებს იმის უფლებას სახელმწიფოს მეთაურობის საქმეში. თუკი ღვთაებამ ქრისტიანული სარწმუნოების დამწერგავად საქართველოში ქალი დანიშნა, რად უნდა ყოფილიყო საცილობელი, რომ ქალს წარემართა სახელმწიფოებრივი ცხოვრების საჭე. ნინო ზურგს უმაგრებს თამარს. თამარით აღტაცებული საეკლესიო მწერალი ნინოს კულტის მომიზეზებით ქებათა-ქებას ასხამს საზოგადოდ ქალის ღირსებას. საეკლესიო მწერალი ამით ეხმაურება თავის დიდ თანამედროვე საერო პოეტს. რუსთველი და გულაბერისძე არ შეიძლება არ ყოფილიყვნენ გამსჭვალულნი ქალისადმი მოწიწებისა და პატივისცემის გრძნობით. მათ თვალწინ, მე-12 საუკუნის საქართველოში თამარის სახით უშუალოდ შეისხა ხორცი ქალის ამაღლებულმა ზნეობრივმა და გონებრივმა თვისებებმა. თამარმა შთააგონა და აამეტყველა საეკლესიო საზოგადოების მეთაურიც და მხატვრული სიტყვის ტიტანიც. ეს გარემოება ერთხელ კიდევ გვარწმუნებს, რომ რუსთველის შემოქმედებითი შთანაფიქრი ემყარება მე-12 საუკუნის საქართველოს რეალურ ისტორიულ ნიადაგს.

2. ძმობა-მეგობრობა და ძმადნაფიცობა.

ხალხთა მეგობრობა

"ვეფხისტყაოსანში" ასახული მაღალზნეობრივი სიყვარულის გამარჯვება შეუძლებელი იქნებოდა მეგობრული თანაგრძნობისა და ძმური თავგამოდების გარეშე, ძმურ-მეგობრული თავგამოდების უკეთილშობილესი კაცთმოყვრული იდეა რუსთველს გადმოცემული აქვს ერთი თავისი უბრწყინვალესი აფორიზმის სახით (703, 1-2):

ხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჭირსა არ დამრიდად,
გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად.

რუსთველის მოძღვრების მიხედვით (854, 2):

ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია.

ძმობა-მეგობრობა გულისხმობს ყოველივე პირადულისა და საკუთარის უარყოფას, პირადულისა და საკუთარის მსხვერპლად მიტანას ძმობილის (ძმადნაფიცის, მეგობრის) საკეთილდღეოდ. რუსთველის საყვარელი გმირი განმარტავს (306, 1-2):

...ვინცა კაცმან ძმა იძმოს, თუ დაცა იდოს,
ხამს, თუ მისთვის სიკვდილსა და ჭირსა თავი არ დაჰრიდოს.

მეგობრობის იდეალური გამომხატველი, მოყმე ავთანდილი სიამაყით ამბობს (786, 1-2): "მე იგი ვარ... ვის სიკვდილი მოყვრისათვის თამაშად და მიჩანს მღერად".

ეთიკური თვალსაზრისით ძმობა-მეგობრობა, ძმური თავგამოდება, უფრო მაღალი ალტრუისტული გრძნობაა, ვიდრე ფაქიზზნეობრივი სიყვარულიც კი. ამიტომ შემთხვევითი როდია, რომ როდესაც ავთანდილმა ტარიელი გაიცნო, იგრძნო მისი გასაჭირის სიმწვავე, დაუძმობილდა მას, თავისი "სამსახური" დააგდო, თითქოს საკუთარი სიყვარულის გრძნობა დაივიწყა, რადგანაც "წესი არის მამაცისა მოჭირვება, ჭირთა თმენა" (795, 3). ავთანდილმა გადაჭრით განუცხადა ტარიელს (298):

ამა დღემან დამავიწყა, გული ჩემი ვინ დაბინდა;
დამიგდია სამსახური, იგი იქმნას, რაცა გინდა;
იაგუნდი ეგრეცა სჯობს, ათასჯერმცა მინა მინდა,
შენ გეახლო სიკვდილამდის, ამის მეტი არა მინდა.

თუმცა ავთანდილისათვის მაშინ ჯერ კიდევ უცნობი იყო ტარიელის თავგადასავლის ტრაგიკული ისტორია, მაგრამ გულმა გულს გაუგო და შეუმცდარი მსჯავრი გამოიტანა: ავთანდილი მზად იყო დაევიწყნა გული მისი "ვინ დაბინდა" (ე. ი. სატრფო, თინათინი), და დაეგდო მოყმური სამსახური პატრონების მიმართ, რადგანაც ი ა გ უ ნ დ ი , ე. ი. ძმობა-მეგობრობა, ათასწილად უფრო ფასეულია მვირფას მ ი ნ ა ზ ე ო , ე. ი. სიყვარულზეო, ფიგურალურად გამოთქვამს რაინდი. თავისი გმირების კაცად-კაცური ქველობითა და სპეტაკი რაინდული ზნეობით აღტაცებული რუსთველი აღწერს ტარიელისა და ავთანდილის დაძმობილების, ძმადშეფიცვის ამბავს და მომხიბლავად ასკვნის (668):

ამას ზედა შეიფიცნეს მოყვარენი გულ-სადაგნი,
იაგუნდნი ქარვის-ფერნი, სიტყვა-ბრძენნი, ცნობა-შმაგნი;
შეუყვარდა ერთმანერთი, სწვიდეს მიწყვი გულსა დაგნი,
მას ლამესა ერთგან იყვნეს შ ვ ე ნ ი ე რ ნ ი ა მ ხ ა ნ ა გ ნ ი .

რუსთველმა უბადლოდ გამოძერწა მ შ ვ ე ნ ი ე რ ი ა მ ხ ა ნ ა გ ე ბ ი ს , ტარიელისა და ავთანდილის ჭკუშმარტად განუმეორებელი სახეები. პოეტის შეხედულებით, ძმადნაფიცობის საფუძველს ჰქმნის და რაინდული თავგამოდებისათვის სტიმულს იძლევა მხოლოდ გაჭირვების ვითარებაში შედუღებული თანამეგობრობა (773, 4):

ოდეს კაცსა დაეჭიროს, მაშინ უნდა ძმა და თვისი.

ასეთი იყო ტარიელისა და ავთანდილის მეგობრობა და ძმობა. ასეთივე იყო ძმობა ტარიელისა და ფრიდონისა. რუსთველური ძალით არის "ვეფხისტყაოსანში" დახატული მესამე ძმადნაფიცის, ფრიდონის უალრესად ემოციური და სიმპათიური სახე. ძმადშეფიცულმა ავთანდილმა ტარიელს მართლაც გაუწია საარაკოდ თავგამეტებული სამსახური, ნესტანი დაახსნევინა გველეშაპის ტყვეობიდან. მაგრამ ნესტანის განთავისუფლების შემდეგაც ავთანდილი დასრულებულად არ თვლიდა ძმური თავგამოდების მოვალეობას. ავთანდილი ფიქრობდა ტარიელის სამშობლო ქვეყნის - ინდოეთის მტრებისაგან გაწმენდაზე და ძმობილის დაუბრკოლებლად გამეფებაზე. ქაჯეთიდან გამობრუნების შემდეგ ავთანდილმა ტარიელს შეუთვალა (1476, 1478):

მადლი რად უნდა, მეფეო, ხარ რაზომ გინდა ლმობილი?
ვარ მუცლითგანვე დედისა თქვენად სამონოდ შობილი,
ღმერთმან მუნამდის მიწა მყოს, ვირ მეფე იყო ცნობილი.
ესეა ჩემი საწადი და ჩემი მოსანდომარე:
ინდოეთს გნახო მორჭმული, საჯდომთა ზედა მჯდომარე,
გვერდსავე გიჯდეს მნათობი პირი ელვათა მკრთომარე,
მებრძოლნი თქვენნი მოგესრნეს, არვინ ჩნდეს მუნ მეომარე.

აღნიშნულის მიუხედავად, მაინც არ შეიძლება იმ დასკვნის მიღება, თითქოს “ვეფხისტყაოსნის” პერსონაჟები სხვადასხვა იდეურ საწყისებს ასახიერებენ: თითქოს, მაგალითად, ავთანდილი გამოხატავს ძმობა-მეგობრობის იდეას, ხოლო ტარიელი - სიყვარულის იდეას. რუსთველი ერთიმეორეს არ უპირისპირებს ძმობა-მეგობრობასა და სიყვარულს. პოემის მიხედვით, ავთანდილს მართლაც მეტი მეგობრული თავის გამოდება მოუხდა, ვიდრე სხვა რომელიმე გმირს, მაგრამ კოტეციურად ტარიელი ისევე ასახიერებს მეგობრობას, როგორც ავთანდილი რაინდულ მიჯნურობას. ავთანდილმა ტარიელისათვის თავი გამოიღო უწინარეს ყოვლისა როგორც მიჯნურმა. ტარიელთან შეხვედრის დროს პირველ კითხვაზე “ვინ ხარ, ანუ სით მოსრულხარ, სადაური, სით მოსრულიო” (284, 3), ავთანდილი გაუტყდა (285, 3-4):

მე ვარ არაბი, არაბეთს არს ჩემი დარბაზებია,
მიჯნურობითა დამწვარვარ, ცეცხლი უშრეტი მგზებია.

ამის შემდეგ ტარიელისათვის უფრო გასაგები გახდა ავთანდილის საქციელი. იგი კიდევაც ეუბნება ახლად გაცნობილ მოძმეს (299, 1-3):

ტარიელ უთხრა: მე შენი გული აწ მემხურვალეების,
მიკვირს, თუ ნაცვლად მაგისად შენ ჩემი რა გევალების.
მაგრა წესია, მიჯნური მიჯნურსა შეებრალეების.

სულდიდი მეგობრული თავგამოდება გამოიჩინა ფრიდონის მიმართ ტარიელმა. ნესტანის დაკარგვით გულგატეხილმა და მძიმე სულიერი დეპრესიის ვითარებაში მყოფმა ტარიელმა ფრიდონს გულითადი ძმური სამსახური გაუწია, როგორც კი მისი ამბავი შეიტყო. საზოგადოებისაგან განშორებული, უნუგეშოდ მწუხარე და გულჩათხრობილი რაინდი გამოაფხიზლა და სამოქმედოდ განაწყობა თანამოძმის განსაცდელმა, სოციალურმა უსამართლობამ. ტარიელმა ფრიდონს თავისი ტრაგიკული თავგადასავალიც უამბო, რადგან იგი ამხანაგად შეიგულა. ტარიელმა ფრიდონს უთხრა (631, 4): “აწ გიამბობ^[43], რათგან თავი გინდა ჩემად ამხანაგად”. აღარას ვამბობთ იმის შესახებ, რომ ტარიელმა ერთგვარად სამაგიერო გადაუხადა ავთანდილს და მას ძმური დახმარება აღმოუჩინა იმ საქმეში, რომელშიაც - ავთანდილის სიტყვით - მას არც ხმალი უკვეთდა და არც ენა უჭრიდა (1477). ერთი სიტყვით, ტარიელი ისევე უზადოა ძმობა-მეგობრობაში, როგორც უმწიკვლო იყო მისი სიყვარული. ძმადნაფიცი რაინდი და მიჯნური რაინდი ერთი და იმავე სახის ორი ასპექტია. “ვეფხისტყაოსნის” მიხედვით, ერთი და იგივეა ძმობა-მეგობრობისა და სიყვარულის ეთიკური საფუძვლები. ესაა მაღალადამიანური და მაღალზნეობრივი მისწრაფება ინდივიდუალური და საზოგადოებრივი სიკეთისაკენ. საგანგებოდ აღსანიშნავია, რომ რუსთველური სიყვარული და ძმობა-მეგობრობა ოდნავადაც არ

ატარებს ვიწრო პირადულს, ინდივიდუალისტურ ხასიათს. სიყვარულისა და ძმადნაფიცობის წესით შეკავშირებულ გმირებს არავიწყდებათ თავიანთი წმინდა მოვალეობა საზოგადოებისა, სამშობლოსა და სახელმწიფოს წინაშე. რუსთველმა თავისი პოემა არ დაამთავრა ნესტანის განთავისუფლებით, ნესტანისა და ტარიელის სიყვარულის გამარჯვებით. ეს იქნებოდა ავტორის საყვარელი გმირების პირადული ბედნიერებით დაკმაყოფილება, პირადული მიზნების განხორციელება. რუსთველი ერთმანეთისაგან არ თიშავს პირადულსა და საზოგადოებრივს. პირიქით, მათ ათანხმებს და ჰარმონიულს ხდის. როგორც ვთქვით, საჭირო შემთხვევაში პირადულს საზოგადოებრივს უქვემდებარებს.

ძმობის გვერდით "ვეფხისტყაოსანი" აყენებს დობას (დობილობას), დადნაფიცობას. ნესტანი და თინათინი დობის ფიციტ შეეკრნენ ერთმანეთს. ძმადნაფიცი რაინდები დებად თვლიდნენ თავიანთ მეუღლეებს, ტარიელი თინათინს ეუბნება (1548, 3): "ქმარი შენი ძმია ჩემი, აგრევე მწადს თქვენი დება". ტარიელისა და ასმათის სათუთი ურთიერთობის დახატვით რუსთველმა გვიჩვენა მსოფლიო ლიტერატურისათვის უცნობი დამძური სიყვარულის საუცხოო ნიმუში.

"ვეფხისტყაოსნის" სიდიადე ისაა, რომ აქ ასახული ძმობა-მეგობრობა ამ გრძნობის მატარებელ პერსონაჟთა ინდივიდუალური ურთიერთობის ფარგლებით არ იზღუდება. "ვეფხისტყაოსნის" პერსონაჟთა ძმობა-მეგობრობა ბუნებრივად გადაიზარდა ხალხთა მეგობრობაში. ტარიელი იყო ინდოელი, ავთანდილი - არაბი, ფრიდონი - მულღაზანზარელი (გაურკვეველი, მხატვრულად გამოგონილი ეროვნების წარმომადგენელი). ტარიელის მოღვაწეობა შეპირობებული იყო ინდოეთის საზოგადოებრივი ინტერესებით. ავთანდილის მთავარ საზრუნავს არაბეთის სახელმწიფოს კეთილდღეობა შეადგენდა. მხურვალედ უყვარდა თავისი პატარა, მაგრამ ტურფა სამშობლო - მულღაზანზარის ქვეყანა - ფრიდონს. თავიანთი სამშობლო-ქვეყნების სიყვარული "ვეფხისტყაოსნის" პერსონაჟებს არ ესმოდათ ვიწროდ, შეზღუდულად. ტარიელი გამოსახავს თავისი ქვეყნისა და თავისი ხალხის, ინდოელი ხალხის, საუკეთესო ადამიანურ თვისებებს. ავთანდილი თავის მხრით გამოხატავს არაბ ხალხს, ფრიდონი - მულღაზანზარელთ. პოემის გმირების პირადულ-ინდივიდუალური ხასიათი იმავდროულად ზოგად-ადამიანურ, ზოგად ეროვნულ-სოციალურ ელფერს ატარებს. მიუხედავად სხვადასხვა ეროვნულ-ტომობრივი წარმოშობისა და ინდივიდუალური ხასიათისა "ვეფხისტყაოსნის" გმირებს ერთგვარად უცემთ გული, მათ ერთგვარად ამოძრავებს კეთილშობილური ადამიანური მიზნები, ისინი ერთგვარი გულმოდგინებით ასრულებენ საზოგადოებრივსა და სახელმწიფოებრივ მოვალეობას, ერთგვარი გატაცებით იბრძვიან სამართლიანობისათვის, ერთგვარი სიღრმითა და სიწრფელით ამჟღავნებენ სიყვარულისა და ძმობა-მეგობრობის გრძნობებს. რუსთველის პერსონაჟები ჰარმონიულად ათავსებენ თავიანთ არსებაში უაღრესად ეროვნულ-ინდივიდუალურსა და იმავე დროს ზოგად-კაცობრიულ, ზოგად-ადამიანურ თვისებებს. რუსთველი პოეტური ენით ამტკიცებს, რომ უცხოობა, უცხოური წარმოშობილობა სრულიად არ უშლიდა ხელს გმირებს დაახლოებისა და დაძმობილების საქმეში. ტარიელისა და ავთანდილის პირველი შეხვედრის გამო პოეტი საგანგებოდ შენიშნავს (282, 1):

მათ აკოცეს ერთმანერთსა, უცხოობით არ დაჰრიდეს.

გულმხურვალედ შეეყარნენ ერთმანეთს არაბი ავთანდილი და მულღაზანზარელი ფრიდონი (088, 1):

მოეხვივნეს ერთმანერთსა, უცხოობით არ დაჰრიდონ.

ტარიელს მხოლოდ უკვირდა უცხოელი მოყმის - ავთანდილის- მისდამი არგაგონილი თავგამოდება, რის გამოც გამოტეხილად ჰკითხა მას (666, 1):

მან მიუგო: უცხო ს უცხო ეგრე ვითა შეგიყვარდი?

ავთანდილიც ფრიდონს ეუბნება ტარიელის შესახებ (1000, 1):

მე უცხო ს უცხომ მანატრა მოსმენა სანატრელისა.

როგორც ცნობილია, "ვეფხისტყაოსანს" ბევრი ინტერპოლატორ-გამგრძლებელი ჰყავდა. ისინი ხშირად ვერ ერკვეოდნენ პოემის იდეურ არსში და პრიმიტიული გააზრებით აშკარად ამჟღავნებდნენ თავიანთ ნაცოდვილარს. მაგალითად, ერთ ინტერპოლატორს დაბადებია კითხვა პოემის პერსონაჟების ს ა ლ ა პ ა რ ა კ ო ე ნ ი ს შესახებ. მსგავსი დაწვრილმანება და ჩხირკედელაობა მართლაც დამახასიათებელია ინტერპოლატორებისათვის. ამ ინტერპოლატორს ვერ გაუგია, რომ რუსთველის გ მ ი რ ე ბ ი ს ს ა ე რ თ ო ე ნ ა ა მ ა თ ი ა დ ა მ ი ა ნ უ რ ი გ უ ლ ი ს თ ქ მ ა , მათი კაცურ-კაცობა, მაღალი იდეალებისადმი მისწრაფება. ამიტომაც, რომ ინდოელ ტარიელს უფრო გაუგო არაბმა ავთანდილმა, ვიდრე მისმა აღმზრდელმა, დრომოჭმული ადათ-ჩვევების ტყვემ, ინდოელმა ფარსადანმა. არაბი როსტევანი მშვენივრად ჩაწვდა ინდოელი ტარიელის ზრახვათა სიღრმეს. თავის მხრით ტარიელისათვის გასაგები აღმოჩნდა მულღაზანზარელი ფრიდონის წყლულების სიმწარე. ავთანდილისათვის გაუგებარი არ ყოფილა გულანშაროელი ფატმანის სამიჯნურო ენა და ა. შ.

რუსთველის რწმენით, უცხოურობა, ტომობრივ-ჩამომავლობითი სხვაობა სრულიადაც არ ჰქმნიდა დაბრკოლებას ადამიანთა დაახლოების გზაზე. მთავარია მიზანდასახულობა. თუ მიზანი ნათელია, თუ მისწრაფება სამართლიანია, მაშინ სხვადასხვა ხალხის შვილს ადვილად შეუძლია საერთო ენის გამონახვა, დამეგობრება, დამძობილება.

ფრიად საყურადღებოა შემდეგი გარემოება: რუსთველმა თავისი პოემით მრავალი ხალხის წარმომადგენელი გამოიყვანა სამოქმედო ასპარეზზე. ყველა ხალხსა და ყველა ტომს იგი დიდი პატივისცემით ეპყრობა. ავტორის იდეურმა ჩანაფიქრმა და პოემის სიუჟეტურმა განვითარებამ მოითხოვა, რომ ერთ-ერთი ხალხის წარმომადგენელს უნდა დაეტყვევებინა და განსაცდელში ჩაეყენებინა ნესტან-დარეჯანი, სიკეთისა და სილამაზის სიმბოლო. ნესტანის დამტყვევებელი უნდა ყოფილიყო ბოროტი ძალის გამომხატველი. ასეთ ვითარებაში "რუსთაველმა დაზოგა მისთვის ცნობილი ყველა ტომი და თავისი პოეტური თხრობის სარბიელზე ხალხური მითოლოგიის სახეები (ქაჯები) გამოიყვანა"^[44].

როგორც აღვნიშნეთ, "ვეფხისტყაოსნის" ძმადნაფიცი რაინდები ასახიერებენ იმ ხალხებს, რომელთაც ისინი ეკუთვნოდნენ. ნესტანის განთავისუფლების სამართლიანი საქმისათვის იბრძოდნენ არა მარტო ინდოელი ტარიელი, არაბი ავთანდილი და მულღაზანზარელი ფრიდონი, არამედ ინდოელი, არაბი და

მულაზანზარელი ხალხები. მულაზანზარელთაგან ტარიელს მარტო ფრიდონი როდი დაუმობილდა. ტარიელი შეიყვარა, მას სრული თანაგრძნობა და რეალური დახმარება გაუწია მულაზანზარის მთელმა საზოგადოებამ, მულაზანზარის ლაშქარმა, მულაზანზარის ხალხმა. გულდათუთქულმა ტარიელმა სასიცოცხლო ძალები მოიკრიბა, უსამართლოდ დასჯილ ფრიდონს მიეშველა, მუხანათი მტრები შეუმუსრა და თავისი მამული დაუბრუნა. ამის შემდეგ ჭაბუკი აპირებდა თავის გზით გამგზავრებას. ტარიელის განშორებამ ძლიერ დაამწუხრა ფრიდონთან ერთად მისი ლაშქარი. ამის თაობაზე მოგვითხრობს თვითონ ტარიელი (645):

თუცა დია მოიჭირვეს, ვერცა ეგრე დამიჭირეს;
მისთა სპათა მუხლ-მოყრილთა თავი მათი ჩემ-კერძ ირეს,
მეხვეოდეს, მაკოცებდეს, ატირდეს და ამატირეს;
ნუ წახვალო, დაგემონნეთ, სიცოცხლეა ჩვენი ვირ ეს.

ტარიელი ვერ გაჩერდა, წავიდა. მას თან გაჰყვა მულაზანზარელთა გულითადი სიყვარული. ტარიელი განაგრძობს (648):

ფრიდონ გამოძევა, წავედით, ორთავე ცრემლნი ვღვარენით;
მუნ ერომანერთსა ვაკოცეთ, ზახილით გავიყარენით.
სრულად ლაშქარნი მტიროდეს გულითა მართლად, არ ენით.
გაზრდილ-გამზრდელთა გაყრასა ჩვენ თავნი დავადარენით.

შვიდი წლის შემდეგაც, როცა ავთანდილი ფრიდონის ქვეყანას ეწვია, ტარიელის მოგონებაზე ფრიდონთან ერთად ცხარე ცრემლები დაღვარა მისმა ლაშქარმა (1006, 1-2):

ლაშქართა შიგან შეიქმნა ხმა ტირილისა დიდისა,
ზოგთაგან ხოკა პირისა, ზოგთაგან სრევა რიდისა.

მეტად სამძიმო გაუხდა მულაზანზარელთ ავთანდილის გაყრაც (1021):

ზარი მის ყმისა გაყრისა გახდა, მიეცნეს წუხილსა.
მოატყდეს მოქალაქენი, ლირსა ვინ ჰყიდდა, თუ ხილსა;
ხმა ზახილისა მათისა ჰგვანდა აერთა ქუხილსა,
იტყოდეს: მზესა მოვმორდით, მო, თვალნი მივსცნეთ წუხილსა.

ქაჯეთის წინააღმდეგ გამართულ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში მონაწილეობდა სამასი მულაზანზარელი მეომარი. ამათგან თითქმის ნახევარი სახელოვნად დაეცა ბრძოლის ველზე. რუსთველს დაწვრილებით აქვს აღწერილი მულაზანზარელი მეომრების დაღუპვით გამოწვეული გლოვის ამბავი. თვისიანებთან ერთად გულწრფელი ცრემლები ღვარეს ტარიელმა და ავთანდილმა. ტარიელმა გრძნობიერად მიუსამძიმრა მულაზანზარელთ, იგი ცხარედ, აქვითინდა. ტარიელის ამ ტირილის გადმოსაცემად რუსთველს მოხმობილი აქვს ჭემშარიტად ოქროს სიტყვები (1456, 3-4):

ესე თქვა, ნელად ატირდა და წვიმა თოვლსა არია,
ნარგისთათ იძრვის ბორიო, ვარდსა ზრავს, იანვარია.

მულღაზანზარელებმა თავი იმით ინუგეშეს და გული იმით მოიოხეს, რომ მსხვერპლი არ იყო ფუჭი (1459, 3-4):

რათგან მიჰხვდა დაკარგული ლომი მზესა წარხდომილსა,
აღარა ვტირთ სატირალსა, აღარ დავსდებთ თვალთა მილსა.

ტარიელისა და ნესტანის გადაკარგვამ გამოიწვია ფარსადან მეფის ნაადრევი სიკვდილი. ინდოეთის აფორიაქებულმა ცხოვრებამ მტრები გაათამამა. რამაზმა თავისი ფიცი დაივიწყა, ინდოეთს კვლავ უმუხთლა, ვერაგულად თავს დაესხა უპატრონოდ დარჩენილ ქვეყანას. ინდოეთი აღმოჩნდა უდიდესი განსაცდელის წინაშე. თავისუფლებისმოყვარე ინდოელი ხალხი ქედს არ იხრიდა, უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იგერიებდა მოზღვავებულ მტერს.

ინდოეთი გასაჭირისაგან იხსნეს ძმადნაფიცმა ჭაბუკებმა და არაბეთის დიდმა ლაშქარმა. როგორც კი როსტევან მეფეს მოხსენდა ტარიელის დასათხოველი სიტყვები ("მტერთა აქვს ჩემი სამეფო, ვიცი მუნ შიგან მძოველად"), მან განზრახვა მოუწონა პატრიოტ ვაჟკაცს, ავთანდილიც გაატანა დამხმარედ და არაბეთის რჩეული ლაშქარიც მიაშველა (1563):

როსტევან ჰკადრა: მეფეო, რად ხართ რასაცა რიდითა?
რაცა გიჯობდეს, იქმოდით, გასჭვრეტდით, გაიცდიდითა,
ავთანდილ თანა წამოგყვეს, წადით ლაშქრითა დიდითა,
თქვენთა მტერთა და ორგულთა დაჰფრეწდით, დაცასჭრიდითა.

ინდოეთის მადლიერმა ხალხმა ჯეროვნად დააფასა ის დიდი ამაგი, რაც მის საუკეთესო შვილებს - ნესტანსა და ტარიელს - დასდევს ავთანდილმა და ფრიდონმა, არაბებმა და მულღაზანზარელებმა. პოემაში ხაზგასმით არის აღნიშნული ეს გარემოება (1647):

სრულნი ინდონი ავთანდილს და ფრიდონს მწედ ხადოდთან:
თქვენგან გვჭირს კარგი ყველაი, - მართ ამას მოიტყოდიან,
ვითა პატრონსა სჭვრეტდიან, რაც სწადდის, მას იქმოდთან,
სადარბაზობლად ნიადაგ მათ წინა მოვიდოდთან.

ძმადნაფიცობის ნიადაგზე სახელოვანმა რაინდებმა საერთო ძალ-ღონით, ურთიერთის დახმარებით გადალახეს ყოველგვარი დაბრკოლება, შემუსრეს ბოროტი ძალები, აღადგინეს სამართლიანობა, ნესტანი იხსნეს ქაჯებისაგან, დამპყრობელთაგან გაათავისუფლეს ინდოეთი, ფრიდონს დაუმკვიდრეს თავისი მამული. აღსანიშნავია, რომ ძმადნაფიცი რაინდები ერთსულოვნად მოქმედებდნენ არა მარტო განსაცდელისა და ომების დროს. საბოლოო გამარჯვების შემდეგაც მათ ოდნავად არ შეუსუსტებიათ ძველი კავშირი, ისინი მშვიდობიანობის დროს ამტკიცებდნენ და ამაგრებდნენ განსაცდელისა და ომიანობის პირობებში შექმნილი ძმობა-მეგობრობის საფუძვლებს. ძმადნაფიცნი გამარჯვების შემდეგაც შეთანხმებულად და კეთილმეზობლურად ეწეოდნენ სახელმწიფოებრივი ცხოვრების უღელს. ასეთ ვითარებაში მათ ახალ-ახალი წარმატებები მოიპოვეს - გაიფართოვეს

მიწა-წყალი, გაძლიერდნენ, “გამორჭმულდნენ”, საგარეო საფრთხისაგან თავი დაიხსნეს და საშინაო წესრიგი დაამყარეს (1663):

მათ სამთავე ხელმწიფეთა ერთმანერთი არა სძულდეს,
ერთმანერთსა ჰნახვიდიან, საწადელნი გაუსრულდეს,
ბრძანებისა შემცილენი მათთა ხრმალთა დავეწყულდეს,
მოიმატეს სამეფონი, გახელმწიფდეს, გამორჭმულდეს.

ამრიგად, რუსთველმა მხატვრულად დაასაბუთა ხალხთა ძმობა-მეგობრობის უკვდავება. რუსთველის მიერ ჯერ კიდევ მე-12 საუკუნეში წამოყენებული იდეა ხალხთა ძმობისა და კეთილმეზობლური თანამშრომლობისა თვისებრივად ახალი შინაარსით და არსებითად განსხვავებული ფორმით რეალურად განხორციელდა ჩვენს დროში, საბჭოთა წყობილების პირობებში. ამიტომაც რუსთველის პოეზია ასე მახლობელია საბჭოთა ხალხისათვის, რუსთველის პოეზია ქმედითად ეხმაურება თანამედროვეობას.

ძმადნაფიცობა, რომელსაც ასეთი დიდი ადგილი უჭირავს ”ვეფხისტყაოსანში”, ქართველი ხალხის ნაციონალური ყოფის ერთ-ერთი ნიშანდობლივი მოვლენაა. ძმადნაფიცობის ძველებური წესი ნაწილობრივ დღემდის არის შემორჩენილი საქართველოს მთიანეთში, განსაკუთრებით ფშავთა და ხევსურთა შორის. ქართული ხალხური პოეზია კარგად გამოხატავს ძმადნაფიცობის იდეის ცხოველმყოფელობას. რუსთველის ძმადნაფიცობა ქართული ხალხური ძმადნაფიცობის ტრადიციათა ფესვებით იკვებება. პატარა ქართველი ხალხი თავისი ხანგრძლივი ისტორიული ცხოვრების მანძილზე სულ მუდამ გარშემორტყმული იყო აგრესიულად განწყობილი დიდძალკობელებური ქვეყნებით. ქართველი ხალხი ქედმოუხრელად იბრძოდა თვითმყოფობისა, თავისი ეროვნობისა და თავისი კულტურის შესანარჩუნებლად. ქართველ ხალხს ყოველთვის სანუკვარად ეხატებოდა ხალხთა მშვიდობიანობა და კეთილმეზობლური ცხოვრება. ქართველი ხალხის ეს სანუკვარი იდეალი რუსთველმა მისებური სიტყვის სიძლიერით გამოთქვა. საგანგებოდ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მე-12 საუკუნეში ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების აღმავლობას მიაღწია ამიერკავკასიის სამივე ძირითადმა ხალხმა - ქართველებმა, სომხებმა და აზერბაიჯანელებმა. სამივე ამ ხალხს მაშინ მეტად მჭიდრო ურთიერთობა აკავშირებდა ცხოვრების ყველა სფეროში. ამ ნიადაგზე მათ მწერლობაში თავი იჩინა საერთო მოტივებმა, საერთო ტენდენციებმა. ხალხთა მეგობრობას საერთოდ და კერძოდ ამიერკავკასიის ხალხების - ქართველების, სომხებისა და აზერბაიჯანელების მეგობრობას უმღერა დიდმა აზერბაიჯანელმა პოეტმა და მოაზროვნემ ნიზამი განჯელმა^[45].

3. პატრიოტიზმი

რუსთველი თავის პოემაში თანმიმდევრულად ავითარებს სამშობლოს ღრმა სიყვარულის იდეას. ”ვეფხისტყაოსნის” წამყვანი პერსონაჟები, ვაჟები და ქალები, მხურვალე პატრიოტებია, რომლებიც ერთგულად და უანგაროდ ემსახურებიან თავიანთ სამშობლოს, სამშობლო ქვეყნის ინტერესებს ისინი პირადულ ინტერესებზე მაღლა აყენებენ. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ხვარაზმშაჰის ძის ინდოეთში ზედსიძედ მოყვანა წარმოადგენდა დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პოლიტიკურ აქტს. ხვარაზმშაჰის ძეს ინდოეთში იწვევდნენ არა მარტო ნესტანის

საქმროდ, არამედ ინდოეთის ნამდვილ მბრძანებლად, ინდოეთის ფაქტობრივ მეფედ. ამით საფრთხეში ვარდებოდა ინდოეთის სუვერენობა, ინდოეთის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. თავისუფლებისმოყვარე ხალხი უნდა მოქცეულიყო უცხოელთა ბატონობის მძიმე უღლის ქვეშ. მეფე ფარსადანის ბეცი პოლიტიკის გამო ეს უღელი ინდოეთს უნდა ეკისრა ნებაყოფლობით. განსაცდელის ჟამს სამშობლო ქვეყნის ინტერესების სადარაჯოზე ფხიზლად იდგნენ ნესტანი და ტარიელი. ნესტანი მტკიცედ აცხადებდა (540, 4): "ესე ამბად არ ეგების, რომე სპარსნი გაგვიხასდენ". "ვეფხისტყაოსნის" მიხედვით, ხვარაზმი იგივე სპარსეთია, ხვარაზმელები იგივე სპარსელები. ნესტანს ყოვლად დაუშვებლად მიაჩნია სპარსელების (ხვარაზმელების) ინდოეთში გაბატონება (გახასება). იგი ტარიელს ურჩევს, მოაგონოს თავის მშობელს, მეფე ფარსადანს (544, 2): "ჰკადრე, თუ: სპარსთა ვერა ვიქმ ინდოეთისა ჭამასა", ე. ი. ვერ დავუშვებ, რომ სპარსელებმა თავისუფლად იპარპაშონ ინდოეთში, მოსჭამონ და მოაოხრონ ინდოეთის მშობლიური მიწა-წყალიო. ნესტანის ეს სიტყვები გამსჭვალულია ღრმა პატრიოტული სულისკვეთებით. ინდოეთის უფლისწული ილაშქრებს უცხოელთა, კერძოდ, სპარსელთა უზურპაციისა და ტირანიის წინააღმდეგ, იგი შეგნებულად იცავს თავისი სამშობლო ქვეყნის ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ღირსებასა და პატივს. მართალია, ხვარაზმშაჰის ძის მოყვანასთან დაკავშირებული იყო ნესტანის ადამიანური, ყმაწვილქალური ღირსების შელახვაც, - აბუჩად იგდებენ მის წმინდა, უმანკო სიყვარულის გრძნობას, - მაგრამ ნესტანი გულისთქმას არ აჰყვავს, პირადული თავმოყვარეობის საკითხი მან დაუმორჩილა ბრძნულ პოლიტიკურ თვალსაზრისს, ტარიელსაც მოუწოდა პირადულ გრძნობებს მორეოდა და გადაჭრით დამდგარიყო ინდოეთის ეროვნული ღირსებისა და სახელმწიფოებრივი სუვერენობის დაცვის ნიადაგზე, "ჩემი ყოლა ნურა გინდა სიყვარული, ნურცა ნდომა, ამით უფრო მოგეცემის სამართლისა შენ მოხდომაო", ეუბნებოდა ნესტანი ტარიელს (545, 1-2). ნესტანმა კარგად იცოდა, რომ მთავარი იყო ინდოეთის სახელმწიფოებრივი პრესტიჟის საკითხი, მათი პირადული წადილიც მაშინ განხორციელდებოდა, თუ ინდოეთი აიცდენდა მოულოდნელად თავზე დატეხილ პოლიტიკურ ხიფათს. ამიტომაც პატრიოტი ქალი სწორედ ჯეროვანი პოლიტიკური მოქმედების გეგმას აწყობდა. ნესტანს ეშინოდა, ტარიელისა და ფარსადანის კონფლიქტს ზიანი არ მოეტანა ინდოეთის ინტერესებისათვის, დამაბული ვითარების დროს ყმაწვილ-ქალი სამაგალითო წინდახედულობით ბჭობდა. ტარიელი გვიამბობს (539):

მიბრძანა, თუ: გონიერი, ხამს, აროდეს არ აჩქარდეს,
რაცა სჯობდეს, მოაგვაროს, საწუთროსა დაუწყნარდეს;
თუ სასიძო არ მოუშვა, ვა თუ მეფე გაგიმწარდეს,
შენ და იგი წაიკიდნეთ, ი ნ დ ო ე თ ი გ ა რ დ ა ქ ა რ დ ე ს .

შეუძლებელი გახდა კონფლიქტის უსისხლოდ აცდენა. ნესტანმა და ტარიელმა მოაწყვეს ნამდვილი აჯანყება ფარსადან მეფის წინააღმდეგ. ტარიელმა მოკლა ხვარაზმშაჰის ძე, გამაგრდა თავის საგვარეულო ციხე-ქალაქში და მოწოდებით მიმართა ინდოეთის ლაშქარს (560, 1-2):

კაცნი გავგზავნენ, ვაცნობე ყოვლგან ლაშქარსა ყველასა:
აქა მომმართეთ, ვინცაღა ჩემსა იქმოდეთ შველასა.

ხვარაზმშაჰის ძის ამბავს ახასიათებს ხაზგასმული ანტისპარსული ტენდენცია. ნესტანი და ტარიელი ილაშქრებენ ინდოეთში სპარსელების თავაშვებული თარეშისა და ბატონობის წინააღმდეგ, ისინი ამხილებენ სპარსელთა პოლიტიკური ბატონობის დამღუპველობას. წარსულში სპარსელების ძალმომრეობისაგან შეჭირვებული ქართველობისათვის ადვილად მისახვედრი და გასაგები უნდა ყოფილიყო რუსთველის პოემის აღნიშნული ტენდენციის ხასიათი. ძალადობაში დახელოვნებული დამპყრობლებისადმი ანტიპათიის გამჟღავნებით რუსთველი გამოხატავდა ქართველი ხალხის პატრიოტულ გრძნობებს.

მგზნებარე პატრიოტიზმის სულისკვეთებით არის გამსჭვალული ნესტანის განთქმული წერილი ქაჯეთის ციხიდან. როგორც უკვე ვიცით, ნესტანმა გულში ჩაიხშო უზომო მგრძნობელობითი სიყვარული ტარიელისადმი და მას სამშობლოსადმი სამსახურისაკენ მოუწოდა (1307).

სამშობლო ქვეყნის სახელმწიფოებრივი ინტერესებისათვის იბრძოდა ტარიელი მუხთალი და გაიძვერა რამაზის წინააღმდეგ. სამშობლო ქვეყნის უმწიკვლო სიყვარულის გრძნობა ასულდგმულებდა უებრო ჭაბუკ ავთანდილსაც. მას სასახელოდ და საამაყოდ მიაჩნდა თავდადება თავისი ქვეყნისათვის. ავთანდილი გულუშიშრად ებრძოდა სამშობლო ქვეყნის მტრებს. ავთანდილს მხოლოდ ის აშინებდა, რომ მტრებს არ ესარგებლათ მისი იძულებითი გარდახვეწით უცხო მოყმის საძებნელად. ავთანდილი მუდარით სთხოვდა თავის ხელქვეითებს (167, 3-4):

გემუდარებით ამისთვის, ვარ თქვენი შემომხვეწელი,
მე დამახვედროთ სამეფო მტერთაგან დაულეწელი.

მეორედ გარდახვეწის წინ ავთანდილმა შერმადინს დააბარა (780. 1):

მტერთა ჩემთა ენაპირე, ძალი ნურა მოგაკლდების.

ქაჯეთზე გამარჯვებულსა და არაბეთში ლხინით გართულ ტარიელს არ ავიწყდებოდა თავისი სამშობლო ქვეყნის უნუგემო ხვედრი. როდესაც მან პირნათლად მოიხადა თავისი ვალი ძმადნაფიც ავთანდილის წინაშე (ავთანდილი და თინათინი შეაუღლა), მორიდებით დაეთხოვა როსტევან მეფეს (1561, 3-4):

შესთვალა: შენი სიახლე კმა ჩემად ლხინად ყოველად,
მტერთა აქვს ჩემი სამეფო, ვიცი მუნ შიგან მძოველად.

ავთანდილისა და ფრიდონის დახმარებით ტარიელმა მწარედ დაანანა გათავხედებულ მტერს უმოწყალო თარეში უპატრონოდ დარჩენილ ინდოეთის ქვეყანაში.

მხურვალედ უყვარდა თავისი მშვენიერი მულაზანზარის ქვეყანა ნურადინ-ფრიდონს. თავისი ქვეშევრდომების სასახელო ბრძოლაში დაღუპვის გამო მან ბევრი გულწრფელი ცრემლი დაღვარა. თავის მხრით მულაზანზარის ღირსებისათვის შეუპოვრად იბრძოდა ტარიელი. "ვეფხისტყაოსნის" გმირებს გრძნობით უყვარდათ როგორც თავიანთი ქვეყნები, ისე ქვეყნები ძმადნაფიცებისა, ისინი პატივისცემით ეპყრობოდნენ მშვიდობისა და თავისუფლების მოყვარე ყველა მახლობელსა და შორეულ ქვეყანას. "ვეფხისტყაოსნის" პატრიოტი რაინდები ხმლით ხელში იბრძოდნენ ძალმომრეობისა და ტირანიის წინააღმდეგ, მათ შემუსრეს მტრები და

შექმნეს შუა საუკუნეებისათვის უცნობი, ჰუმანურ საფუძვლებზე აგებული სუვერენული სახელმწიფოების ერთგვარი თავისუფალი კავშირი.

რუსთველის სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებანი

"ვეფხისტყაოსანი" ნათლად ასახავს მე-11-12 საუკუნეების ქართული სოციალური ცხოვრების იმ ინსტიტუტს, რომელსაც ეწოდება პ ა ტ რ ო ნ ყ მ ო ბ ა . პოემის კვალობაზე, პატრონყმური ურთიერთობანი ერთგვარი ფორმით არის წარმოდგენილი არაბეთის, ინდოეთისა და მულღაზანზარის ქვეყნებში. თითოეული ქვეყნის სათავეში იმყოფება მეფე, ქვეყნის უზენაესი პატრონი, მეფეს ახლავს მისი უშუალო ყმების წრე. მეფის ყმას თავის მხრით ჰყავს საკუთარი ყმა, ე. ი. ასეთი პირი ერთდროულად ყმაც არის (მეფის მიმართ) და პატრონიც (თავისი ხელქვეითი ყმის მიმართ). ავთანდილი და ტარიელი იყვნენ თავიანთი მეფეების ყმები, მაგრამ ამასთანავე ითვლებოდნენ დიდი მამულების მფლობელებად და მრავალრიცხოვანი საკუთარი ყმების პატრონებად. ავთანდილს ჰქონდა გამაგრებული ს ა ნ ა პ ი რ ო ციხე-ქალაქი (149, 1-2):

ქალაქი ჰქონდა მაგარი საზაროდ სანაპიროსა,
გარე კლდე იყო, გიამბობ ზღუდესა უქვიტკიროსა.

ავთანდილი იყო მონაპირე დიდებული. ტარიელის სამებრად გამგზავრების წინ ავთანდილი ეწვია თავის ქალაქს, ითათბირა თავის უახლოეს ხელქვეითთან (შერმადინთან), თადარიგი დაიჭირა და საჭირო განკარგულებანი გასცა. საკარგემო მამულისა და ციხე-ქალაქის მფლობელი იყო ტარიელიც. მეფე ფარსადანთან კონფლიქტის დროს ტარიელმა ამ ციხე-ქალაქს მიაშურა და იქ შეაფარა თავი. თვითონ გვიამბობს (559, 3 - 4):

ქალაქი მქონდა მაგარი, მტერთაგან მოურევარი,
მუნ შიგან შევე მშვიდობით, ამოდ იგივე მე ვარი.

თავის ციხე-ქალაქიდან მიმართა ტარიელმა მოწოდებით დახმარებისათვის ინდოეთის ლაშქარს (560, 1-2):

კაცნი გავგზავნენ, ვაცნობე ყოვლგან ლაშქარსა ყველასა,
ა ქ ა მ ო მ მ ა რ თ ე თ , ვინცალა ჩემსა იქმოდეთ შველასა.

როგორც შეძლებულ შემამულებსა და ციხე-ქალაქის პატრონს, ტარიელს ჰყავდა მრავალრიცხოვანი ხელქვეითები, ანუ ყმები. ესენი ჭირსა და ლხინში თან ახლდნენ თავიანთ პატრონს. ყმების ერთი ჯგუფი ტარიელმა თან წაიტანა ნესტანის სამებრად.

თავის სამფლობელო ციხე-ქალაქში ავთანდილს ჰქონდა "საჯდომი და ტა ხტი მისი" (176, 2). მას ჰყავდა საკუთარი ლაშქარი (155, 3; 779, 3), საკუთარი დიდებულები. ეს დიდებულები ძღვენით მიეგებნენ თავის მამულში მომავალ ავთანდილს (148, 2): "მოეგებნეს დიდებულნი, ძღვენსა სძღვნიდეს იეფოსა". ავთანდილს სამი წლით უნდა დაეტოვებინა თავისი სამფლობელო, მონაცვლედ

დატოვა შერმადინი. ავთანდილმა საგანგებო წიგნით აუწყა თავის ქვეშევრდომებს (168, 1):

მე შერმადინ დამიგდია, ჩემად კერმად პატრონობდეს.

შერმადინმა "ერთგან შეჰყარნა ხასნი და დიდებულნი", გააცნო საქმის ვითარება, "უჩვენა იგი უსტარი, ამბავი მისი თქმულები" (175, 1-2). ავთანდილსა და შერმადინს ერთმანეთთან აკავშირებდა პატრონყმური საზოგადოებრივი ურთიერთობის წესი და რიგი. მადლიერმა პატრონმა გრძნობიერად გამოუცხადა თავის მორჩილსა და ერთგულ ყმას (155, 1):

ვართ უმოყვრესნი მე და შენ ყოველთა პატრონ-ყმათასა.

"ვეფხისტყაოსანში" შერმადინი ზოგჯერ იწოდება მონად. "ესეა მონა შერმადინ, ზემოთცა სახელდებული"-ო, აცნობს ავტორი თავის მკითხველს (150, 1). მიუხედავად ამისა, შეუძლებელია აქ ტერმინი მონა ნახმარი იყოს თავისი პირდაპირი სოციალური მნიშვნელობით. არაბეთის დიდი სპასპეტისა და დიდი ფეოდალის "გაზრდილი მისი შერმადინ", პატრონის ვაზირი და მრჩეველი, მისი სრულუფლებიანი მონაცვლე, "ხასთა" და "დიდებულთა" თუგინდ დროებით მზრძანებელი პირი არ შეიძლება ყოფილიყო უბრალო მონა. ავთანდილს ბევრი დიდებული ჰყოლია ყმად და ხელქვეითად, "ხვაშიადი" მაინც მხოლოდ შერმადინს გაანდო, მხოლოდ შერმადინი დატოვა მოადგილედ (163 1-2):

ვისმცა ვუთხარ ხვაშიადი? შენგან კიდე არვინ ვარგა,
უშენოსა პატრონობა ვის მივანდო, ვინ იქმს კარგა?

ავთანდილის "ხასნი და დიდებულები" ერთხმად აღიარებენ შერმადინის ღირსებას, პატრონის მონაცვლედაც მას ცნობენ დამსახურებულად, ერთხმად ალუ თქვამენ მოოჩილებას (176, 1-3).

ცხადია, საკუთარი ყმები ეყოლებოდა შერმადინსაც, თავის ყმების მიმართ შერმადინი იქნებოდა პატრონი.

"ვეფხისტყაოსნით" დამოწმებულია პატრონყმური ურთიერთობის რამდენიმე რგოლი: მეფე როსტევანი, მისი ყმა ავთანდილი, ავთანდილის ყმა შერმადინი, შერმადინის ყმა... პატრონყმური რკალის უაღრესად კოლორიტული ფიგურაა ავთანდილი. როსტევან მეფის ამ ერთგულ კარისკაცსა და მხედართმთავარს თავის სამფლობელო მამულში ჰყავს საკუთარი ლაშქარი. შერმადინს, მის მონაცვლეს, ეკისრებოდა პატრონის შესაფერისი "ლაშქრობა და ნადირობა", მტრების შესაძლებელი შემოსევის მოგერიება, წერილობითი განკარგულების გაცემა ("წიგნსა სწერდი ჩემ მაგიერ"), დარბაზთან კავშირის დაჭერა ("დარბაზს კაცსა გაჰგზავნიდი და ამბავსა მათსა სცნობდი"), ძღვნობა. ერთი სიტყვით, ავთანდილი ყოფილა თავისი სამფლობელო მამულის სრული და განუკითხავი ბატონ-პატრონი. რუსთველი გადაჭრით უარყოფს ფეოდალურ გათიშულობას, განკერძოებასა და კარჩაკეტილობას. თავისი მამულის შეუვალი განმკითხავი ავთანდილი იყო თავისი მეფის უერთგულესი ქვეშევრდომი, მისანდო კარისკაცი - მოხელე და მსახური.

ავთანდილსა და ტარიელს რუსთველი ზოგჯერ უწოდებს ყმას, ზოგჯერ მოყმეს. ეს ტერმინები არსებითად ერთი და იგივეა. ყმა უდრის უფრო

გავრცელებულ სიტყვას ვასალს, მოყმე იგივე ვასალია, ოღონდ ჩვეულებრივად იგი იხმარება იმ მნიშვნელობით, რასაც გამოხატავს -სიტყვა რაინდი (рыцарь, витязь). პატრონი სენიორია, სიუზერენი.

რუსთველი თანმიმდევრულად ავითარებს და იცავს გაერთიანებული, შემჭიდროებული და ცენტრალიზებული ერთმეფობის პრინციპს. ინდოეთის მაგალითზე იგი აჩვენებს ასეთი პრინციპის გონივრულობას. ადრე ინდოეთი დანაწილებული ყოფილა შვიდ სამთავროდ ("სამეფოდ"), ექვს სამთავროს ფლობდა ფარსადანი ("ინდოეთს შვიდთა მეფეთა ყოვლი კაცი ხართ მცნობელი, ექვსი სამეფო ფარსადანს ჰქონდა, თვით იყო მპყრობელი", 311, 1-2), მეშვიდე კი ჰკუთვნებია ტარიელის მამას სარიდანს. ტარიელი გვიამბობს (312, 1-2):

მამა ჩემი ჯდა მეშვიდედ, მეფე მებრძოლთა მზარავი,
სარიდან ერქვა სახელად, მტერთა სრვად დაუფარავი.

სარიდანს ნებაყოფლობით უთქვამს უარი დამოუკიდებლობაზე და შეწყნარებია (313, 4) ფარსადანს, ინდოეთის ძირითადი ნაწილების მფლობელს. სარიდანი ფარსადანის ვასალი გამხდარა. ფარსადანს სიხარულით შეუწყნარებია სარიდანი, მფარველობა და პატრონობა გაუწევია, სპეციალურად მისთვის გამოუყვია ცალკე სამფლობელო მამული და საპატიო სახელოც უბოძებია (316, 1-3):

ერთი სამეფო საკარგემო, უბოძა ამირბარობა,
თვით ამირბარსა ინდოეთს აქვს ამირ-სპასალარობა.

აღწერილ შემთხვევაში დამოწმებულია პატრონყმური ფეოდალური წეს-წყობილების დამახასიათებელი ტიპიური მოვლენა. გარკვეულ უფლებრივ ნიადაგზე მსხვილი მფლობელი მემამულე იკედლებს, ან "იწყნარებს" და მფარველობას უწევს შედარებით წვრილ მემამულეს. ფეოდალური საზოგადოებრივი ურთიერთობის პირობებში მსგავსი "შეწყნარება" ხდებოდა გარკვეული სოციალურ-პოლიტიკური ინტერესების კვალობაზე. სარიდანის მანამდის განკერძოებული პატარა სამეფო შეუერთდა ინდოეთის დიდ სახელმწიფოს. ამის შედეგად ინდოეთი მთლიანად გაერთიანდა, გაძლიერდა, გაფართოვდა. ინდოეთის მთელ მიწა-წყალზე განმტკიცდა ერთმეფობა, ერთი მეფის სუვერენული უფლებები; შეიქმნა ინდოეთის ერთიანი, მძლავრი ცენტრალიზებული ფეოდალური სახელმწიფო. ინდოეთის ცენტრალურმა ხელისუფლებამ შეიძინა ძლიერი, ერთგული ქვეშევრდომი. ერთმეფობა, მმართველობის სისტემის ცენტრალიზაცია შუა საუკუნეების ფეოდალური ომებისა და ფეოდალური გათიშულობის ვითარებაში წარმოადგენდა უდავო პროგრესულ პოლიტიკურ მოვლენას. რუსთველი შესტრფის გაერთიანებულს, შემჭიდროებულს და ჰუმანური მმართველობის ნიადაგზე განმტკიცებულ ძლევამოსილ სამშობლო ქვეყანას. ფეოდალური განდგომილებისა და პარტიკულარიზმის წინააღმდეგ რუსთველი ავთანდილის პირით აცხადებს (154, 2):

ხამს მეფეთა ერთგულობა, ყოფა გვმართებს ყმასა ყმურად.

ბრძოლა პარტიკულარიზმისა და ფეოდალური გათიშულობის წინააღმდეგ.
ბრძოლა ქვეყნის გაერთიანებისა და მმართველობის სისტემის

ცენტრალიზაციისათვის შეადგენდა მე-11-12 საუკუნეების საქართველოს მთელი მოწინავე საზოგადოების საერთო პოლიტიკურ პლატფორმას. ამას ასახავს მე-12 საუკუნის ქართული მოწინავე მწერლობა.

პატრონყმური ნებაყოფლობითი შეწყნარების ის წესი, რომელიც აღწერილი აქვს რუსთველს, დამახასიათებელი იყო ქართული სოციალური და სახელმწიფოებრივი ცხოვრებისათვის მე-10-12 საუკუნეებში. იმ დროის საქართველოს სოციალური ცხოვრების სურათს გამოხატავს "ვეფხისტყაოსანში" ასახული წესები პატრონყმური ურთიერთობისა. ივ, ჯავახიშვილის სიტყვით. მაშინდელ საქართველოში "ყმებსაც შეიძლება თავიანთი საკუთარი ყმები ჰყოლოდათ, რომელთათვის ისინი "პატრონები" იყვნენ. ამნაირად, თითქმის მთელი საქართველო მეფისაგან მოყოლებული უბრალო მდაბიომდე "პატრონყმობის" უღელში იყო შეხმული და ცხოვრების ტვირთს ეზიდებოდა"^[46].

"ვეფხისტყაოსანში" ისეთი თვალსაზრისია გატარებული, რომ ყოველი ქვეშევრდომი, მოყმე, ვალდებულია პატივითა და მოწიწებით ეპყრობოდეს, ემორჩილებოდეს და ერთგულად ემსახურებოდეს თავის უზენაეს პატრონს, თავის მეფეს. "ვინცა მოკვდეს მეფეთათვის, სულნი მათნი ზეცას რბიანო", ეუბნებოდა ტარიელი თავის მოლაშქრეებს ხატაელებთან ბრძოლის დროს (440, 3). ავთანდილმა კი შერმადინს დაუბარა (778, 1-2):

აწ მეფეთა სამსახურად პირველ თავი დაამზადე,
სიკეთე და უკლებლობა შენი ერთობ გააცხადე.

"ვეფხისტყაოსანით" მეფე დასახულია ღვთის სწორ არსებად. ტარიელის დასახმარებლად გაპარვის გამო ავთანდილმა შენიშნა (856, 3): "გამოპარვით წამოსლვითა ღმრთისა სწორნი^[47] მოვიმდურვენ". "ღმრთისა სწორს" უწოდებენ ქვეშევრდომები გულანშაროს მეფესაც (1172, 1). ღვთის სწორ არსებადაა მიჩნეული საისტორიო წყაროების მიხედვით თამარ მეფეც^[48].

რუსთველის შეხედულებით, ყმა-ქვეშევრდომებს მოეთხოვებათ თავიანთი პატრონის ურთგული, თავგამეტებული ს ა მ ს ა ხ უ რ ი . თინათინმა მძიმე დავალება მისცა ავთანდილს და ამ შემთხვევისათვის იგი გააფრთხილა (130):

ასრე გითხრა, ს ა მ ს ა ხ უ რ ი ჩემი გმართებს ამაღ ო რ ა დ :
პ ი რ ვ ე ლ , ყ მ ა ხ ა რ , ხორციელი არვინა გვყავს შენად სწორად,
მ ე რ მ ე , ჩ ე მ ი მ ი ჯ ნ უ რ ი ხარ, დასტურია, არ ნაჭორად;
წადი, იგი მოყმე ძებნე, ახლოს იყოს, თუნდა შორად.

ეჭვი არაა, რომ ავთანდილი თავს არ დაიშურებდა და წარბშეუხრელად შეასრულებდა სატრფოს ყოველგვარ დავალებას ყმურ-სამსახურებრივი ვალდებულების გარეშე. თინათინმა ეს კარგად იცოდა, მაგრამ მან მაინც საჭიროდ ჩათვალა გაეხაზა პირველ რიგში ავთანდილის სწორედ ყმური ს ა მ ს ა ხ უ რ ე ბ რ ი ვ ი მ ო ვ ა ლ ე ო ბ ა . ავთანდილიც შერმადინს უმტკიცებდა (154, 1):

პირველ ყმა ვარ, წასლვა მიხდა პატრონისა სამსახურად.

ტარიელმა შეუქო ავთანდილს მამაცობა სამსასურებრივი მოვალეობის შესრულების საქმეში (300, 1-2):

წამოსრულხარ ჩემად ძებნად, პატრონისა სამსახურად,
ღმერთმან ქმნა და გიპოვნია, შენცა ცდილხარ მამაცურად.

"ვეფხისტყაოსნის" მიხედვით, პატრონყმური ურთიერთობა თავის გამონატულებას პოულობს და თავის გარკვეულ ელფერს აძლევს სამიჯნურო ურთიერთობასაც. სატრფო თავისებური მბრძანებელი-პატრონია გრძნობის საკითხში, მეტრფე კი მორჩილი, ერთგული და თავგამოდებული მსახური-მოყმე. ანალოგიურ მოვლენას ადგილი ჰქონდა დასავლეთ ევროპის სარაინდო ლიტერატურაშიც. ოღონდ ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ "ვეფხისტყაოსნის" გმირი ქალები - თინათინი და ნესტანი - ფაქტობრივად, ე. ი. სოციალური მდგომარეობითაც, იყვნენ პატრონები, მეფეების ასულები; კერძოდ, თინათინი მეფედაც იქნა დასმული, ავთანდილი კი იყო თინათინის ხელქვეითი მსახური-მოყმე. იქნება ამითაც აიხსნება ვაჟების მხრით გარკვეული პასიურობა სატრფოებთან სამიჯნურო ურთიერთობაში. შემთხვევითი როდია, რომ ორივე შემთხვევაში ქალები იჩენენ თაოსნობასა და სითამამეს, ქალები პირველი უმხელენ ვაჟებს სიყვარულს (არაფერს ვამბობთ ფატმანის შესახებ, რადგანაც იქ სხვაგვარ ვითარებასთან გვაქვს საქმე), თუმცა ისინი საზოგადოდ არიან კდემამოსილების, მორცხვობისა და კრძალულობის სრული განსახიერებანი. პატრონყმური ურთიერთობა ისეთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს "ვეფხისტყაოსნით" ასახული საზოგადოების ცხოვრებაში, რომ ამაღლებული მგრძნობელობითი სიყვარულის უდიდესი მომღერალი პოეტი ასმათის პირით აცხადებს (1453, 47): "სჯობან ყოვლთა მოყვარულთა პატრონ-ყმანი მოყვარულნი". ვის ასმია პატრონისა ჭირსა შიგან ყმისა რიდი", ამბობს ავთანდილი (782, 2). იმავე ავთანდილის სიტყვით, "პატრონისა სამსახური არაოდეს არ წახდებისა" (780, 4). ავთანდილის გაპარვის გამო მისი ერთგული შერმადინი ცხარედ ტიროდა და მკერდზე იცემდა ისე, რომ "სისხლმან მისმან კლდენი ღარნა" (812, 3). რუსთველს აღწერილი აქვს ეს სცენა, აღწერილობას ავტორი ხურავს აფორისტული შეგონებით (812, 4):

პატრონისა ვერა-მჭვრეტმან ყმამან რამცა გაიხარნა.

ზრდილი, წესიერი, გაწაფული ყმა როდი ჰკადრებს პატრონს შეუფერებელ სიტყვას, "ვინცა კაცმან კადნიერად პატრონსა რა მოახსენოს" (762, 3) მით უმეტეს წარმოუდგენელი იქნებაო პატრონის ხელყოფა, ყმის მხრით პატრონისადმი უჯერო მოპყრობა. "ვით მოიხმაროს მონამან პატრონსა ზედა ხრმალია", პათეტიკურად გაიძახის პატრონყმური სიწმინდის დამცველი მოყმე ავთანდილი (1458,4). ავთანდილის სიტყვები არაპირდაპირ ამტკიცებს, რომ სინამდვილეში ყმები ხშირად იყენებდნენ ხმალს პატრონების წინააღმდეგ, რომ პატრონყმური ურთიერთობის იდილია ირღვეოდა, პატრონებსა და ყმებს შორის იშვიათი როდი იყო არათუ უბრალო უთანხმოება და უკმაყოფილება, არამედ სისხლისმღვრელი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლები. რუსთველის მოწმობით, ზოგჯერ პატრონები არღვევდნენ პატრონყმური წესრიგის ნორმებს, ივიწყებდნენ თავიანთ მოვალეობას ყოფილიყვნენ ყმების მიმართ გულშემატკივარნი, მოწყალენი, მზრუნველნი, მფარველნი. პატრონის

იდეალურ სახედ პოემაში მიჩნეულია როსტევეანი, რომელსაც ავთანდილი ასე ახასიათებს (857,1-2):

პატრონი ჩემი გამზრდელი, ღმრთისაგან დიდად ცხოველი,
მშობლური, ტკბილი, მოწყალე, ცა, წყალობისა მთოველი.

უსულგულო და უსამართლო პატრონის ტიპს კი ასახიერებს ფარსადანი.

რუსთველმა ფარსადანს დაუპირისპირა როსტევეანი. არაბთა მეფემ თავისი ხელით დაადგა თინათინს გვირგვინი, მან სამაგალითო სულგრძელობა და კეთილშობილება გამოიჩინა თინათინისა და ავთანდილის შეუღლების საკითხში. თუმცა ქალი და ვაჟი არ იყვნენ ერთგვარი სოციალური რანგის წარმომადგენელი, გულკეთილმა როსტევეანმა უყოყმანოდ დალოცა მათი შეუღლება, როგორც კი სიყვარულის ამბავი შეიტყო. ამ შეუღლებით ყმა ავთანდილი უნდა გამხდარიყო არაბეთის სახელმწიფოს ფაქტობრივი მბრძანებელი. როსტევეანს წარბი არ შეუხრია, შეჰყარა დიდებულები, წარუდგინა სასიძო და შეკრებილთ ოფიციალურად გამოუცხადა (1546, 2-4):

ესეაო მეფე თქვენი, ასრე იქმნა ღმრთისა ნება,
დღეს ამას აქვს ტახტი ჩემი, მე - სიბერე ვითა სნება,
ჩემად სწორად ჰმსახურებდით, დაიჭირეთ ჩემი მცნება.

ავთანდილის, როგორც თინათინის მეუღლის. ხელში გადადიოდა ტახტი და ქვეყნის მართვა-გამგეობა, ე. ი. ნამდვილი ბატონ-პატრონობა, თუმცა უფლებამოსილ მეფედ რჩებოდა თინათინი. როსტევეანს კარგად ჰქონდა გათვალისწინებული საქმის რეალური ვითარება. ავთანდილისათვის თინათინის ხელის სათხოვნელად მისულ ტარიელს მოხუცმა მეფემ მკაფიოდ განუმარტა (1526, 1 - 2):

მე სიძესა ავთანდილის უკეთესსა ვჰპოვებ ვერა,
თვით მეფობა ქალსა ჩემსა მივეც, აქვს და მას
ეფერა.

მაშასადამე, როსტევეანმა იმთავითვე მკაცრად განსაზღვრა საქმის უფლებრივი და ფაქტობრივი მხარე: ავთანდილი მან მიიღო სასურველ სიძედ, ოღონდ სამეფო მემკვიდრეობის წესები არ დაარღვია, არ შეეხო ქვეყნის კანონიერი მეფის - თინათინის უფლებას. ავთანდილი ამიერიდან გახდებოდა მეფე-ქალის მხოლოდ მოსაყდრე, ამდენადვე დაეკისრებოდა მას საქვეყნო საქმეებზე ზრუნვა. შესანიშნავ მოყმესა და გამოცდილ მხედართმთავარს დიალაც შესწევდა ძალა არაბეთის სახელმწიფოებრივი ღირსების დასაცავად. განსაკუთრებული სიმპათიით ასახავს რუსთველი საზოგადოების იმ ფენას, რომელსაც მოყმეთა წრე ეკუთვნოდა. როგორც ვთქვით, მოყმე ნიშნავს რაინდს. "ვეფხისტყაოსნის" მიხედვით, მოყმე-რაინდს ამშვენებს გარეგნული სილამაზე, ფიზიკური ძალ-ღონე, ზნეობრივი სიწმინდე და გონებრივი სისრულე.

"ვეფხისტყაოსანში" გარკვეულად იგრძნობა სილამაზის კულტი. ფაქიზი სულისა და მაღალი ინტელექტის პატრონებად რუსთველს დასახული ჰყავს ლამაზი სხეულით დაშვენებული პერსონაჟები (ეს თანაბრად შეეხება ქალებსა და

კაცებს). საგულისხმოა, რომ "ვეფხისტყაოსნის" მიხედვით სილამაზე დამამშვიდებელ გავლენას ახდენს ადამიანზე დიდი სულიერი მღელვარების მომენტში.

განსწავლულ, მოხდენილსა და გაწაფულ მოყმე-რაინდს, დახვეწილი გემოვნების პატრონს, ზრდილს, თავდაბალსა და თავაზიანს სჩვევია დარბაისლური ქცევა. მოყმე-რაინდი მოკრძალებასთან ერთად ზომიერად ამაყია, თავმომწონე, თავმოყვარე და პატივმოყვარე. რა თქმა უნდა, მისთვის უცხოა უკმეხობა, ბაქიობა და გულზვიადობა. მოყმე-რაინდი პატრონის ერთგული მსახურია და სატრფოს მიმართ თავგამეტებული მიჯნური. მოყმე-რაინდები წარმოადგენენ სახელმწიფოს საიმედო სამხედრო ძალას, ისინი მამაცურად ებრძვიან მტრების წინააღმდეგ, საგარეო უშიშროებასა და საშინაო მყუდროებას უქმნიან ქვეყანას. მოყმე-რაინდი საზოგადო მოღვაწეა და გატაცებული მამულიშვილი, ქვეყნის გაერთიანებისათვის მებრძოლი და მეფის უფლების დამცველი. მოყმე-რაინდი პატრონის მრჩეველი-მესაიდუმლეა, მისი ჭირ-ვარამის მოზიარე, მისი სუფრის მონაწილე. მოყმე-რაინდს ასულდგმულებს საგმირო საქმე. "ვეფხისტყაოსანს" თავიდან ბოლომდის გასდევს ჰეროიკული სული. ჰეროიკულია მოყმე-რაინდის მთელი ყოფითი სინამდვილე, პეროიკულია მისი სიყვარული, მისი ძმობა-მეგობრობა, მისი თავგამოდება სამშობლო ქვეყნის კეთილდღეობისათვის.

"ვეფხისტყაოსნის" ჰეროიკული სული გამოხატულია როგორც სახელოვანი მოყმე პერსონაჟების (ტარიელის, ავთანდილის, ფრიდონის) მოქმედებით, ისე ავტორის სპეციალური რემარკებით, განსაკუთრებით ბრწყინვალე აფორიზმებით. სანიმუშო მაგალითები:

ჭირსა შიგან გამაგრება ასრე უნდა ვით ქვიტკირსა (875, 3).

ხამს, მამაცი გაგულოვნდეს, ჭირსა შიგან არ დაღონდეს (785, 3).

ხამს, თუ კაცი არ შეუდრკეს ჭირს, მიუხდეს მამაცურად (154, 4).

მოყმე-რაინდს შვენის ფიცხელი ომი და მახვილთა კვეთანი (597, 2);

არ შეუდრკების ჭაბუკი კარგი მახვილთა კვეთასა.

მოყმე-რაინდს ამოქმედებს მამულისა და საზოგადოების კეთილდღეობის სურვილი. იგი იბრძვის არა ნივთიერი სარგებლიანობისა და მოხვეჭისათვის, არამედ კეთილი სახელის მოსაპოვებლად. "სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსაო", ამბობს რუსთველი (799, 4). მოყმე-რაინდს სიკვდილი ვერ აშინებს, მას გაცნობიერებული აქვს, რომ (800): "ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი; მისგან გასწორდეს ყოველი, სუსტი და ძალ-გულოვანი", "ბოლოდ შეყარნეს მიწამან ერთგან მოყმე და მხცოვანი".

ამიტომაც:

სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი.

რუსთველი სასტიკად კიცხავს მხდალსა და ლაჩარ მეომარს (799, 1 - 2):

რა უარეა მამაცსა ომშიგან პირის მხმეჭელსა,

შედრევილ-შემინებულსა და სიკვდილისა მეჭველსა.

მშიშარა, ჯაბან კაცს პოეტი უდარებს "ქსლის მბეჭველ" დიაცს (799, 3).

სულდიდი და თავდაჭერილი მოყმე-რაინდი შეუბრალებელია და ულმობელი მოღალატეებისა და გამცემლების მიმართ. "კაცი ცრუ და მოღალატე ხამს ლახვრითა დასაჭრელადო", გვასწავლის რუსთველი (162, 4). პოეტი მიწასთან ასწორებს გაიძვერა ფარისევლებს და შენიღბულ შინაგამცემლებს, ანუ მოყვარე-მტრებს. რუსთველის სიტყვით, "მოყვარე მტერი ყოვლისა მტრისაგან უფრო მტერია" (1211, 2). საერთოდ პოეტი ძლიერ ამახვილებს ყურადღებას ყოველი ჯურის .მოღალატეების, ჯაშუმების, ქვემძრომებისა და მისთანათა წინააღმდეგ. იგი ულმობელია ორგულთა, მუხთაღთა და მუხანათთა, საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ცხოვრების დეზორგანიზატორთა მიმართ. დიდ კაცთმოყვარეობასთან ერთად რუსთველი ქადაგებს მტრის დაუზოგავ სიძულვილს. რუსთველი გმობს უპირო კაცს, მატყუარას, ფიცის გამტებს. "ვკგმობ კაცსა აუგიანსა, ცრუსა და ღალატეანსაო" ამბობს პოეტი (798, 2). იგი სიცრუეს თვლის მანკიერების ერთ-ერთ ყველაზე საზიზღარ მხარედ. რუსთველი გვარწმუნებს, რომ "ყოვლი ცრუ და მოღალატე ღმერთსა ჰგმობს და აგრე ცრუობს" (776, 2). პოეტი პათეტიკურად კითხულობს: "მამაცისა სიცრუესა ნეტარ სხვანი რამცა ჰგვანდეს" (526, 3). სიცრუე თავია "ყოვლისა უბედობისა" (790, 1). რუსთველი იმოწმებს პლატონისადმი მიწერილ ბრძნულ სიტყვებს(789. 3-4):

მე სიტყვასა ერთსა გკადრებ, პლატონისგან სწავლა-თქმულსა:
სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე სულსა.

დიდი თანაგრძნობით შეხვდა თინათინი ავთანდილის გადაწყვეტილებას, თავი გამოედო მმადნაფიცი ტარიელისათვის. თინათინმა მოუწონა ავთანდილს სიტყვამტკიცობა და პირიანობა (706,1- 2):

შენ არ-გატეხა კარგი გჭირს ზენაარისა, ფიცისა.
ხამს გასრულება მოყვრისა სიყვარულისა მტკიცისა.

ავთანდილის სიტყვით (736, 4), "რამცა სადა გაუმარჯვდა კაცსა, ფიცთა გამტეხელსა. "

მოყმე-რაინდი უხვია, უშურველი, ხელგაშლილი, პურადი. განთქმულია რუსთველის აფორიზმი (50, 4):

რასაცა გასცემ, შენია; რაც არა, დაკარგულია.

დიდი განმაზოგადებელი მნიშვნელობა აქვს ამავე ხასიათის მეორე აფორიზმს (549, 4):

უხვად გავსცემდეთ, ვავსებდეთ, სიძუნწე უმეცრულია.

პატრონყმურ ურთიერთობაში უხვობა-უშურველობა დაკავშირებული იყო გარკვეული სოციალური ფუნქციის შესრულებასთან და პრაქტიკული ამოცანების გადაჭრასთან. საგნის ამ მხარეს კარგად აშუქებს მეფე როსტევეანის შეგონებანი თინათინისადმი:

უხვი ახსნილსა დააბამს, იგი თვით ების, ვინ ების.

უხვად გასცემდი, ზღვათაცა შესდის და გაედინების (49, 3-4).
მეფეთა შიგან სიუხვე, ვით ედემს ალვა, რგულია,
უხვსა ჰმორჩილობს ყოველი, იგიცა, ვინ ორგულია (50, 1-3).

უხვობა-უმურველობა გამოხატულებას პოულობდა საჩუქრების ხელგაშლილად გაცემაშიც, ძღვნობაში. ძღვნობა დიდ როლს თამაშობდა ფეოდალური საზოგადოების ყოფიერებაში. "ვეფხისტყაოსნის" მიხედვით, ძღვენსა და სხვა საჩუქრებს უგზავნიან უმცროსები უფროსებს, უფროსები უმცროსებს, ყმები პატრონებს, პატრონები ყმებს, რაინდები თანამომძმეებს, მიჯნურები სატრფოებს. ძღვნობის სიდიადე ჩვეულებრივად ჰიპერბოლურ სახეებშია წარმოდგენილი. თუმცა ნამდვილად გულითადი საჩუქრის ფასი, პოემის მიხედვით, არის ამ საჩუქრის პრინციპული მხარე და არა მისი რაოდენობა და ნივთიერ-მატერიალური ღირებულება. ტარიელმა ხატაეთიდან მეფე ფარსადანს გაუგზავნა აურაცხელი ძღვენი, ნესტანისათვის კი ("საძღვნოდ მისად") შეარჩია მხოლოდ "ყაბაჩა და ერთი რიდე".

ქაჯეთში შეძენილი ზღაპრული სიმდიდრე ტარიელმა ძღვნად გასცა გულანშაროსა და მულღაზანზარის ქვეყნებში, არაბეთში იგი ხელცარიელი მივიდა და გასაჩუქებელი აღარაფერი დარჩა, მაგრამ გამჭრიახ მოყმეს გააზრებული ჰქონია საოცრად სანატრელი და მართლაც ფასდაუდებელი საჩუქრის მიძღვნა არაბთა მეფისათვის. ტარიელმა როსტევანს შეუთვალა (1506, 3-4):

ძღვენი არა მაქვს, მმოწმობენ ფრიდონ და მისნი ყმანია,
ოდენ ძღვნად თქვენი ავთანდილ
მე თქვენთვის მომიტანია.

აბა რა ნივთიერი ძღვენი აამებდა და გაახარებდა როსტევანს ისე, როგორც ის გაახარა ავთანდილის "მიძღვნამ?" ეს იყო ჭეშმარიტად ძღვნობის უმაგალითო ნიმუში. ენით გამოუთქმელია რუსთველის მხატვრული უბრალოებისა და მხატვრული გამომგონებლობის ძალა. "აი, ჩვენი აზრით, ჩინებული მაგალითი მხატვრული ამოცანის გენიალური ამოსხნისაო" წერს ამ შემთხვევის გამო პროფ. მ. გოგიბერიძე^[49].

მოყმე-რაინდი სტუმართმოყვარეა, მომლხენი, მონადიმე. ასპარეზობა, ბურთაობა, ნადირობა მისი პროფესიული საქმეა. მოყმე-რაინდს უყვარს ლაღი, მხიარული დროსტარება. უყვარს ცხოვრება მთელი თავისი ლამაზი, მიმზიდველი მხარეებით. მოყმე-რაინდისათვის უცნობია და უცხო ასკეტიკური გაკიდევანება, ხორცის განზრახი წამება, სალოსური ხეტიალი. რუსთველის მოყმე-რაინდი შესტრფის და შეხარის მრავალფეროვან მატერიალურ სამყაროს, ბუნების მშვენიერებას, ბუნებაში პოულობს იგი თანაგრძნობას, თანამეგობრობას, თავშესაფარს. რაინდისათვის ბუნება არის აქტიური ცოცხალი ძალა.

თუმცა მოყმე-რაინდი გულადია, მამაცი, ქედმოუხრელი, მაგრამ ამასთან იგი გულჩვილიცაა, მგრძნობიერი, შემზრალეხელი. კეთილშობილი რაინდი არასოდეს არ აჰყვება მდაბიო შურისძიების გრძნობას. ტარიელმა დამარცხებული რამაზი შეიცოდა და შეიწყალა. "ორგული და მოღალატე ნამსახურსა დავამგვანე, ესე არის მამაცისა მეტის მეტი სიგულღვანე" ამის გამო ამბობს სულგრძელი მოყმე (468, 3-4). მოყმე-რაინდი მფარველი და შემწეა ქვრივ-ობოლთა, გლახაკთა, უპოვართა, დავრდომილთა, სნეულთა... მოყმე-რაინდი კეთილი გულის მქონეა. ქველმოქმედია, უანგაროა, ალტრუისტი. მოყმე-რაინდი, უპირველეს ყოვლისა, თავისი ქვეყნისა და

თავისი ხალხის გულშემატკივარი და თავდაუზოგავი მსახურია. იმას უმდერის რუსთველი თავისი მშვენიერი პოეტური ხმით.

"ვეფხისტყაოსანი" საკმაოდ ფართოდ ასახავს ვაჭართა სოციალური წრის ყოფაცხოვრებას. ამ წრის ცხოვრების ამბავი ბუნებრივი უშუალოდით არის დაკავშირებული პატრონყმური საზოგადოების გარემოსთან. პოემის სიუჟეტის განვითარებას შევყავართ გულანშაროში, საზღვაო-სააღმოსავლეთო ქალაქში, სადაც გაშლილი იყო ვაჭართა სამოღვაწეო სარბიელი. რუსთველი რეალისტურად ასახავს ამ სავაჭრო ქალაქისა და იმის მკვიდრთა თავისებური ცხოვრების რიტმს (1067):

დიდ-ვაჭარნი სარგებელსა ამის მეტსა ვერ ჰპოვებენ:
იყიდიან, გაყიდიან, მოიგებენ, წააგებენ;
გლახა თვე ერთ გამდიდრდების, სავაჭროთა ყოვლგნით ჰკრებენ;
უქონელნი წელიწდამდის საქონელსა დაიდებენ.

თუ პატრონყმურ წრეში საზოგადოებრივი ცხოვრების რეგლამენტაცია დამყარებულია სოციალური კიბის მკაცრად განსაზღვრული საფეხურების ადგილზე, სავაჭრო ქალაქში გადაძვრეტი როლს თამაშობს საზოგადოების წევრთა არა სოციალური ჩამომავლობა, არამედ ნივთიერი მდგომარეობა. ერთი მხრით, შესაძლებელია რომელიმე მდიდარი და გავლენიანი სოციალური ერთ მშვენიერ დღეს სრულიად დაგლახდეს, ეკონომიურმა წარუმატებლობამ იგი ერთბაშად ჩამოაგდოს დიდების მწვერვალთან და მიწაზე დაანარცხოს; მეორე მხრივ, ასევე შესაძლებელია უპოვარი და უჩინარი გლახაკის ანაზღაურული აღზევება და გადიდკაცება სარფიანი სააღმოსავლეთო საქმიანობის შედეგად. ვაჭართა ქვეყანაში დაწინაურებისა და საზოგადოებრივად წარმატების საფუძველს ქმნის სიმდიდრე, ფული. ვაჭრული ქალაქის ცხოვრების რიტმი დინამიკურია, მაშინ როდესაც პატრონყმური ცხოვრების რიტმი გაცილებით უფრო დუნეა, სტატიკური.

გაწაფული, ზრდილი და განათლებული მოყმე-რაინდის ადგილს ვაჭართა სახელმწიფოში იჭერს ვაჭართუხუცესი უსენი - მხდალი, ცრუ და მატყუარა, ამასთან გონჯი. ეს ზნეწამხდარი და შესახედავად მახინჯი ვაჭარი დიდი ნივთიერი შეძლების გამო პირველი რანგის კაცია ზღვათა სამეფოში. სახელმწიფო მეჯლისის წევრი. მეფის მესაიდუმლე და მახლობელი მეგობარი (1165):

უსენ მივიდა, ხელმწიფე დაჰხვდა ნადიმად მჯდომელი, -
უსენ არიფი¹⁵⁰ მეფისა, მეფეცა მისი მნდომელი,
წინა მიისვა, შეიძღვნა, ძღვენი მიაართვა რომელი.
აწ ნახე მთრვალი ვაჭარი, ცქაფი, უწრფელი, მსწრომელი.

პირმოთნე, მლიქვნელმა და ფლიდმა უსენმა ანგარების ნიადაგზე უღალატა თავის სიტყვას, გატეხა ფიცი, სინდისი შეირცხვინა, ნესტანი გასცა. უზნეოსა და საქციელწამხდარ ვაჭარ უსენს პირიანობა და სჯულიერება ისე შეშვენისო, მოხდენილად ამბობს პოეტი, როგორც ყვავს ვარდი და ვირს რქანიო (1166, 4):

მართლად თქმულა: არა ჰმართებს ყვავსა ვარდი, ვირსა რქანი.

ავზნიანსა და ფიზიკურად მახინჯ უსენს აშკარად ღალატობდა და დასცინოდა კიდევაც სისხლ-ხორციით სავსე მისი ცოლი. "მით არ ჯერ ვარ ქმარსა ჩემსა, მჭლე არის და თვალად ნასიო".

სააღმშენებლო საქმიანობაში დახელოვნებული ვაჭრები ჩვეულებრივად უილაჯონი არიან, ჯაბანნი, მხდალნი, საომარ საქმეში უმწეონი. ავთანდილი დაუფარავად ეუბნება ვაჭრებს (1040,1):

თქვენ, ვაჭარნი, ჯაბანნი ხართ, ომისაცა უმეცარნი.

ვაჭრებს არც უთაკილნიათ ავთანდილის სიტყვები, მათ მლიქვნელურად დაადასტურეს ავთანდილის მოწმობა (1054, 1 – 2). ვაჭრები ხელმოჭერილნი არიან, ანგარიშიანნი, ძუნწნი. ერთი შემთხვევის გამო რუსთველი ირონიულად შენიშნავს(1374,3):

მუნ ვაჭარმან ოქროს ფასად ცხენი მისცა, არ უძღვანა.

ვაჭართა საზოგადოებრივ წრეში ძღვნობას საფუძვლად ჰქონია შიშველი ანგარიში და ანგარება. ფატმანმა განუმარტა ავთანდილს (1122, 1 – 2):

ჩვენ, დიდ-ვაჭართა. ზედა გვაც დარბაზს მიღება ძღვენისა,
მათ საბოძურისა ბოძება ჰმართებს მსგავსისა ჩვენისა.

სწორედ ვაჭართა ქვეყანაში გამომჟღავნდა ოქროს ყოვლისშემძლებელი ძალა, რუსთაველი თავის მკითხველს პათეტიკურად მიმართავს (1194, 4): "ნახე. თუ ოქრო რასა იქმს, კვერთხი ეშმაკთა ძირისა". რაინდული კაცურ-კაცობის მომღერალი პოეტი ამხილებს ვერცხლისმოყვარეობის (ოქროსმოყვარეობის) და სიხარბის მავნებლობას სულისა და ხორცისათვის(1197):

ვა, ოქრო მისთა მოყვასთა აროდეს მისცემს ღებნასა,
დღედ სიკვდილიამდის სიხარბე შეაქმნევს კბილთა ღრჭენასა,
შესდის და გასდის, აკლია, ემდურვის ეტლთა რბენასა.
კვლა აქა სულსა დაუბამს, დაუშლის აღმაფრენასა.

გულანშაროს მიდამოებს არ აყრუებდა სამხედრო ნაღარის ხმები. სავაჭრო ქალაქში ჩვეულებრივად სანადიმო სიმღერა გაისმოდა ("სმა, გახარება, თამაში, ნიადაგ არნ სიმღერები". 1066, 2).

ვაჭართა საზოგადოებაში თავისებურია სიყვარულიც. პატრონყმური წრის ქალის კდემამოსილებასა და ამალღებულ სიყვარულს ვაჭართა შორის უპირისპირდება დიაცური სიყვარული, რომელიც ესაზღვრება მრუშობასა და სიძვას. რუსთველმა დაგვიხატა ვაჭართა წრის ქალის ("დიაცის") შესანიშნავი რეალისტური სურათი. ეს ქალია ფატმანი, საკმაოდ ხანდაზმული, მაგრამ მიმზიდველი იერის მქონე, ტან-ხორციით სავსე, ვნებათაღელვას აყოლილი, მსუბუქი ყოფაქცევის, თამამი, ჩაცმა-დახურვის მოყვარული, ღვინის მსმელი. ტიპიური შტრიხებით ახასიათებს მას პოეტი(1977):

ფატმან-ხათუნ თვალად მარჯვე, არ-ყმაწვილი. მაგრა მზმელი.

ნაკვთად კარგი. შავ-გრემანი, პირ-მსუქანი, არ პირ-ხმელი,
მუტრიბთა და მომღერალთა მოყვარული, ღვინის მსმელი;
დია ედვა სასალუქო დასაბურავ-ჩასაცმელი.

ფატმან-ხათუნს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს "ვეფხისტყაოსნის" სახეობრივ-აზროვნებით სინამდვილეში. რუსთველი მკაფიოდ ამჟღავნებს ფატმანისადმი ირონიულ დამოკიდებულებას. იგი უპირისპირდება ნესტანსა და თინათინს. რამდენად იდეალურად ჩანს ნესტანისა და თინათინის ქალური ყოფაქცევა, იმდენად საძრახავი ხდება ფატმანის საქციელი. რუსთველმა პროლოგში აღბეჭდა სიყვარულის (მიჯნურობის) ნაირსახეობა. პოემაში ეს ნაირსახეობა მხატვრულად არის მოტივირებული. ფატმანიც გამომხატველია მაჯნურობისა, ოღონდ მდაბიო, ვულგარული, დ ი ა ც უ რ ი მ ი ჯ ნ უ რ ო ბ ი ს ა , რასაც პოეტი უწოდებს სიძვას. იდეალური (სარაინდო) სიყვარულის კოდექსის ძირითადი დებულებაა "გული ერთსა დააჯეროს, კუმტი მიჰხვდეს, თუნდა ქუმი" (25,3). იგი რა სიყვარულია, "დღეს ერთი უნდეს, ხვალე სხვა, სთმობდეს გაყრისა თმობასა" (26,2). ასეთ სიყვარულს, უკეთ ა ვ ხ ო რ ც ო ბ ა ს , არაფერი აქვს საერთო ნამდვილ მაღალზნეობრივ მიჯნურობასთან. ქმარ-შვილის პატრონი ფატმანი არათუ სისტემატურად ღალატობდა ქმარს, არამედ მას უტიფრად დასცინოდა. ფატმანმა იოლად გაიმეტა სასიკვდილოდ თავისი ადრინდელი საყვარელი, როდესაც ახალი გატაცების ცეცხლმა მოიცვა (ჭაშნაგირისა და ავთანდილის ამბავი). ფატმან-ხათუნი იმ უ გ უ ლ ო ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი ს გამომხატველია, რომლის თაობაზე ლაპარაკია "ვეფხისტყაოსნის" პროლოგში. ფატმანის სიყვარულის ნიშანდობლივია მხარეა შიშველი ხორციელი წადილი. მას ერისათვის გული ვერ დაუჯერებია, ჯერ ჭაშნაგირთან ღალატობდა თავის ქმარს, შემდეგ ავთანდილი გაიცნო და შეიყვარა, მასთან მოიწადინა ტრფიალი. სამიჯნურო უსტარიც აახლა. ავთანდილს სასაცილოდ არ ჰყოფნიდა ვაჭრის ცოლის ტრფიალება. იგი აღაშფოთა ფატმანის თავხედობამ, მაგრამ გარკვეული მოსაზრების გამო დროებით თავი შეიკავა, ვითომც კიდევაც შეიფერა ვაჭრის ცოლის სიყვარული ("ყმა ნამუსსა ინახევდა, სიყვარულსა იფერებდა"). ფატმანი ვერ მიხვდა ავთანდილის გულისთქმას, ასე ეგონა - მშვენიერი უცხოელი მოყმე დაისაკუთრა. ვარდი (ავთანდილი) რომ დაიხელთა, ყვავმა (ფატმანმა) თავი ბულბულად წარმოიდგინა. გამანადგურებელი ირონიით შენიშნავს ამის გამო რუსთველი (1254,4):

თუ ყვავი ვარდსა იშოვნის, თავი ბულბული ჰგონია.

ექვი არ არის, რომ სწორედ ფატმანის სიყვარული ჰქონდა რუსთველს მხედველობაში, როდესაც გადაჭრით ამბობდა (25, 4):

მძულს უგულო სიყვარული, ხვევნა, კოცნა, მტლამა-მტლუში.

თავის ადგილას ჩვენ უკვე შევნიშნეთ, რომ რუსთველი საჭიროდ თვლის საგანგებოდ გახაზოს ავთანდილის აშკარა უ გ უ ლ ო ბ ა ფატმანთან ინტიმური ურთიერთობის პირობებშიც კი (1252). ფატმანის მაგალითით რუსთველმა ამხილა ვაჭართა წრეში მიღებული მდაბიო, უსულგულო სიყვარულის (სატრფიალო წადილის) თავისებური ფორმა. რუსთველმა პროლოგში (24) დაუპირისპირა

ერთიმეორეს მიჯნურობა და სიძვა. ფატმანის მიჯნურობას პოეტი თვლის სიძვად.

რუსთველის მთლიან სახეობრივ სისტემაში ფატმანი უარყოფითი პერსონაჟია, იგი უპირისპირდება ნესტან-თინათინს, ისე როგორც დიაცური ავხორცული სიყვარული უპირისპირდება "ვეფხისტყაოსნის" იდეალიზებული ქალების ამადლებულ, ზნეფაქიზ მიჯნურობას.

აღნიშნულის მიუხედავად, ფატმანს ამკობს ბევრი დადებითი ადამიანური თვისება: იგი მგრძნობიარეა, სულგრძელი, კაცთმოყვარე, კეთილი, გულშემატკივარი. ფატმანმა უანგარო მორალური და მატერიალური დახმარება აღმოუჩინა ნესტან-დარეჯანს, მისთვის უცნობ ტყვე ქალს იგი სათუთი დედობრივი მზრუნველობით მოეპყრო. ტყუილად კი არ უწოდებდა ნესტანი ფატმანს “დედისა მჯობ დედას” (1141,1; 1285, 1). ფატმანს თავისებური გატაცებით უყვარდა ავთანდილი, მაგრამ, როდესაც მისი თავგადასავალი გაიგო, თავისი გრძნობები ჩაიხშო, ჭაბუკს წინ არ გადაეღობა, პირიქით, ძალ-ღონე არ დაიშურა, რომ დაექარებინა ნესტანის დახსნა, ფაქტობრივად დაექარებინა მისთვის უზომოდ სამძიმო გაყრა სატრფოსთან. ვინ იცის, როგორი შინაგანი მღელვარება დაძლია ფატმანმა, მაგრამ მგრძნობიარე ქალმა გულწრფელად შეუწყო ხელი ავთანდილს, რომ დაბრუნებოდა თავის გულისსწორს. ფატმანმა სამაგალითო სულდიდობა გამოიჩინა. ტარიელი ფატმანს აღიარებდა ნესტანის მხსნელად: “ფატმანს უხსნია ჩემი მზე, სდედებია და სდებიაო” (1429,3). ტარიელმა ურიცხვი განძი უძღვნა ფატმანს, დად იფიცა და მოკრძალებით განუცხადა (1443, 3): “დავ, ვალი შენი ჩემზედა გარდაუხდელი, დიდია”.

თუმცა რუსთველი სრულიად არ მალავს ფატმანის ხასიათის მანკიერ მხარეებს, იგი მაინც ერთგვარი სიმპათიით ხატავს ვაჭრული საზოგადოების საუკეთესო წარმომადგენელ ქალს. პოეტი ერთიმეორეს უპირისპირებს მოყმურ-რაინდული საზოგადოებისა და ვაჭრული წრის ზნეობრივი ცხოვრების ნორმებს, მაგრამ გარკვეულად აგუებს და ათანხმებს ამ ორი სხვადასხვა სოციალური ფენის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ იდეალებს. შემთხვევითი როდია, რომ პოემაში წინა რიგზეა წამოწეული ვაჭართა ქვეყნის ამბავი. ეს ეპიზოდი სიუჟეტურადაც ორგანულად და ბუნებრივად ექსოვება “ვეფხისტყაოსნის” ამბავთა ერთიან სისტემაში.

აღებმციემობის განვითარებისათვის და მისვლა-მოსვლის გაადვილებისათვის, პირველ ყოვლისა, ვაჭართა საზოგადოება საჭიროებდა ერთიანი, ძლიერი, ცენტრალიზებული სახელმწიფოს მფარველობას. თავიანთი სოციალურ-კლასობრივი ინტერესების გამო ვაჭრები, როგორც წესი, გამოდიოდნენ ცენტრალური სამეფო ხელისუფლების პრინციპულ მოსარჩლედ და ფეოდალური ჯებირების მოწინააღმდეგედ. ასე იყო ყველგან შუა საუკუნეებში. ასე იყო საქართველოში. საისტორიო წყაროებით ცნობილია, რომ მე-13 საუკუნის საქართველოში ვაჭრები (მაგალითად, ზანქან ზორაბაბელი და სხვ.) მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში. ეს გარემოება მხატვრულად ასახულია “ვეფხისტყაოსანში”, მოყმე ავთანდილი უანგაროდ იცავს მოქარავენებს (ვაჭრებს) მეკობრეთა თავდასხმისაგან, ხოლო ვაჭართა უხუცესის ცოლი (და თვითონ ვაჭარი) ფატმან ხათუნი აქტიური მონაწილეა ნესტანის გათავისუფლებისათვის ბრძოლისა. ჩვენი აზრით, ამით აიხსნება რუსთველის, ერთი მხრივ, ირონიული და, მეორე მხრივ, შემწყნარებლური დამოკიდებულება ვაჭრული საზოგადოებისადმი.

რუსთველმა ერთმა პირველთაგანმა დახატა შუა საუკუნეების მსოფლიო ლიტერატურაში ვაჭართა საზოგადოების ცოცხალი, კოლორიტული, რეალისტური სურათი. რუსთველი მშვენივრად გრძნობდა ახალი დროის მაჯისცემას, ახალი

სოციალური ძალის (ვაჭართა საზოგადოების) ისტორიულ ასპარეზზე გამოსვლის მნიშვნელობას. ამან გამოხატულება ჰპოვა “ვეფხისტყაოსანში”. დიდმა პოეტმა-მოაზროვნემ მაინც არ დაინდო ვაჭართა საზოგადოების იმთავითვე აშკარად გამომჟღავნებული ნიშანდობლივი სოციალური მანკიერებანი, (ოქროს გაღმერთება, მომხვეჭელობა, ანგარება, გაუმაძღრობა, სიძუნწე, დაწვრილმანება, ოჯახური ცხოვრების მოუწესრიგებლობა და სხვ.).

ვაჭრები სრულიადაც არ ცდილობდნენ თავიანთი მანკიერების დაფარვას. ამასთან ისინი გულწრფელად შეჭხაროდნენ რაინდული საზოგადოების ღირსეულ წარმომადგენლებს. საყურადღებო დეტალი: როგორც ცნობილია, გულანშაროში ავთანდილი თავს აცხადებდა ვაჭართუხუცესად. ბოლოს სახელოვანმა მოყმემ ნილაბი ჩამოიხსნა, გაიხადა ვაჭრული ტანსაცმელი, “მას დღე ყოვლი საჭაბუკო შეიმოსა ტანსა მხნესა”, რითაც, რუსთველის მოწმობით, “მოიმატა დაშვენება, დაემგავსა ლომი მზესა” (1256). ფატმანი ცოტა არ იყოს გააკვირვა ავთანდილის ახალმა მოკაზმულობამ, მაგრამ ასე უფრო მოეწონა (1257,3-4):

ფატმან ნახა, გაუკვირდა ვაჭრულისა უმოსელად,
შემოსცინა: აგრე სჯობსო შენთვის ხელთა სასურველად.

ამრიგად, შესამოსელის შეფასებაშიც ამჟღავნებს რუსთველი თავის სოციალურ განწყობილებას. როგორც წესი, პოეტი თავის შეხედულებას აქაც ადასტურებინებს თავისსავე პერსონაჟს.

რუსთველის ჰუმანისტური მსოფლმხედველობა

რუსთველი იყო პროგრესულად მოაზროვნე პოეტი, რომელმაც გაუსწრო თავის დროს. მაგრამ, რასაკვირველია, იგი ისტორიულად შეზღუდული იყო სოციალურ-კლასობრივი მსოფლმხედველობითა და სარწმუნოებრივი გრძნობებით. ამიტომაც რუსთველი როდი იჩენს სრულ გულგრილობას სარწმუნოებრივ-აღმსარებლობითი საკითხებისადმი. ოღონდ პოეტი გარკვეულად არ ამჟღავნებს თავის მიდრეკილებას რომელიმე რელიგიური სისტემის მიმართ, იგი გაურბის რელიგიის დოგმატიკური და საწესო ფორმების გამოხატვას. თავის დროზე ნ. მარი შეეცადა დაემტკიცებინა რუსთველის ვითომცდა მუსლიმანობა^[5]. ეს ცდა სრული მარცხით დამთავრდა. მართლაცდა, მუსლიმანობის იძულებითს გავრცელებას საქართველოში მუდმივ თან სდევდა მოსახლეობის ფიზიკურად გადაგვარების, სულიერად დამაბუნებისა და კულტურულად დაცემულობის მოვლენები. რაღაც დაუჯერებელია, რომ დამპყრობთა სჯულზე გადასულსა და დენაციონალიზაციის გზაზე შემდგარ პოეტს შეექმნა ნაციონალური შემოქმედების ბრწყინვალე შედეგრი. ამასთან, შეუძლებელია რუსთველი ყოფილიყო მუსლიმანი და მას წინასწარმეტყველის (მაჰმადის) სახელი დავიწყებოდა. “ვეფხისტყაოსანში” არის ადგილები, სადაც მუსლიმანობა და მუსლიმანების მიმდევრები დაცინვით არიან მოხსენებულნი. ტარიელი უამბობდა ავთანდილს, რომ ავადმყოფობის დროს მას გარს ეხვივნენ მუსლიმანთა მოლები და სჯულის მოძღვარნი (“მუყრნი და მულიმნი”), უკითხავდნენ მუსლიმანთა სჯულის წიგნს (“მუსაფს”); ზრდილმა მოყმემ მაინც აგდებულად შენიშნა: “არ ვიცი, რას ჩმახვიდიანო”. ირონიულად ჰკილავს “ვეფხისტყაოსანი” მუსლიმანთა შორის ღვინის სმის აკრძალვის წესს. ვაჭრებმა ავთანდილს უთხრეს (1031, 1-2):

ჩვენ ვართ მოზადადენი ვაჭარნი,
მაჰმადის სჯულის მჭირავნი, აროდეს გვისვმან მაჭარნი.

რუსთველი პირდაპირ არ ახსენებს არც ქრისტიანულ ღმერთს, ქრისტეს, ღვთისმშობელს ან წმინდანებს. იგი მხოლოდ აქა-იქ ამჟღავნებს საქრისტიანო საღვთო წერილში ნაკითხობას. ამ ნაკითხობის ნაკვალევი ალბეჭდილია პოემაში. განსაკუთრებით საყურადღებოა სააღდგომო დღესასწაულის დამოწმება. ხვარაზმშაჰის ძის ინდოეთში მიღების თაობაზე ტარიელი გვიამბობს (552, 1-2):

მოედანს დავდგი კარვები წითლისა ატლასებისა,
მოვიდა სიძე, გარდახდა, დღე ჰ გ ვ ა ნ დ ა , ა რ ს ა ღ ვ ს ე ბ ი ს ა .

აღვსება ძველი ქართულით ეწოდებოდა აღდგომას, ქრისტიანობის უმთავრეს საუფლო დღესასწაულს. ტარიელის სიტყვით, სასიძოს შესახებდრად ინდოეთში ისეთი ზეიმი მოუწყვიათ, აღდგომის დღესასწაულს მოგაგონებდათო (აღდგომის დღესასწაულს ჰგავდაო). პოემით ტარიელი იყო მუსლიმანი (“ვეფხისტყაოსანში” სიუჟეტურად აწერილია მუსლიმანური სამყაროს ამბები, ამის შესაბამისად პოემის პერსონაჟები არიან მუსლიმანები), მაგრამ რუსთველმა თავის გმირს ჩაუსახა ქრისტიანული წარმოდგენა. ეს დეტალი ჩვენ გვანიშნებს “ვეფხისტყაოსნის” ავტორის ეროვნულ-სარწმუნოებრივ მიდრეკილებას. ამის გამო მშვენივრად ამბობს ვახტანგი: “აღვსება აღდგომა არის და ქართველის კაცის გულისათვის უთქვამსო” (“თარგმანი ვეფხისტყაოსნისა”). რუსთველმა მართლაც უნებლიეთ გაგვიმჟღავნა ქართველი კაცის სარწმუნოებრივი განწყობილება, თუმცა დიდებულმა პოეტმა სავსებით დამლია კონფესიური სარწმუნოებრივ-ადმსარებლობითი შეზღუდულობა, რითაც იმთავითვე დაიმსახურა ეკლესიურ-კლერიკალური საზოგადოების რისხვა.

საგულისხმოა, რომ რუსთველი ირონიულ დამოკიდებულებას იჩენს საქრისტიანო წარმოდგენების ზოგიერთი მხარისადმი. მაგალითად, პოეტს აფორიზმის სახით გამოუხატავს, როგორც ჩანს, გავრცელებული აზრი ჯოჯოხეთის სატანჯველის ქრთამით თავდაღწევის შესახებ (764. 4):

თქმულა: ქრთამი საურავსა ჯოჯოხეთსცა დაიურვებს.

რუსთველს არ გამოპარვია სამღვდელთა წრეებში ფართოდ ფეხმოკიდებული მექრთამეობა. პოეტი დაეჭვებული ყოფილა ქრისტიანული მოძღვრებით აღიარებული საიმქვეყნო ზღვევის მიუდგომელ სამართლიანობაში.

რუსთველის ღმერთს რამდენადმე განყენებული თვისებები ახასიათებს. ოღონდ იგი არის მონოთეისტურად დასახული კეთილი შემოქმედი ძალა. “ბოროტიმცა რად შეექმნა კეთილისა შემოქმედსა?” –კითხულობს რუსთველი (113, 4). ანდა: “ღმერთი კარგსა მოავლინებს და ბოროტსა არ დაბადებს” (1492,2). რუსთველის ღმერთი მიჩნეულია “შემწედ ყოვლთა მიწიერთად” (792,2), იგი ადამიანთა მფარველ-მოამაგაა. თუ სოფელი “მვირია”, სამაგიეროდ “ნუ გემის, ღმერთი უხვია” (931, 3). თუ სოფელმა უმუხთლა ადამიანს და გაწირა, მას დამცველად და შემწედ მოევლინება კეთილი ღმერთი. ეს აზრი მკაფიოდ არის გამოხატული “ვეფხისტყაოსნის” ცნობილი სტროფით (951):

ვა, სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნვებ, რა ზნე გჭირსა?
ყოვლი შენი მონდობილი ნიადაგმცა ჩემებრ ტირსა.
სად წაიყვან სადაურსა, სად აღუფხვრი სადით ძირსა?
მაგრა ღმერთი არ გასწირავს კაცსა, შენგან განაწირსა.

“კაცსა ღმერთი არ გასწირავსო”, ირწმუნება რუსთველი სხვაგან (1362,4). თუმცა “ზოგჯერ მომცემია პატიჟთა” (809,2). ლოცვის დროს რუსთველის გმირი ამ კეთილ ღმერთს სთხოვს დახმარებას თავის სამიჯნურო საქმეში, რადგანაც თურმე მიჯნურობა ღმერთმა დაბადა და იგი “აწესებს წესსა მისსა” (810). პოემა არ უარყოფს საიმქვეყნო სამყაროს არსებობას, პოემის გმირები ზოგჯერ ფიქრობენ საიქიო ცხოვრებაზე. თვითონ პოეტი პროლოგში სთხოვს ღვთაებას “ცოდვათა შემსუბუქებას” იქ (საიმქვეყნო ცხოვრებაში) “წასატანად”. ამისდა მიუხედავად, მე-12 საუკუნის ქართველი პოეტი სწორედ ამქვეყნიურ ცხოვრებას უმღერის, ადამიანის საიმქვეყნო იდეალებს სახავს. რუსთველმა უკუაგდო ადამიანის გრძნობების ჩამხშობი და გონების გამყინავი საეკლესიო-აღმსარებლობითი დოქტრინა. რუსთველის ღმერთი ადამიანობისა და სიყვარულის ღმერთია.

“ვეფხისტყაოსანში” ვხვდებით ბედისწერის იდეის ელემენტებსაც. “ვეფხისტყაოსნის” გმირებს, მათ შორის წამყვან პერსონაჟებს, ზოგჯერ, სწამთ ბედისწერა, თუმცა ეს რწმენა მათ არასოდეს არ ხდის ბედისწერის მონად. პირიქით, რუსთველის გმირები ებრძვიან ბედის მკაცრ განაჩენს, ებრძვიან და იმარჯვებენ კიდევაც. რუსთველის შესანიშნავი ფორმულაა: “ბედი, ცდა და გამარჯვება” (903, 4). პოეტს სჯერა, რომ ცდით, მოქმედებით, ბრძოლით სავსებით შესაძლებელია ბედის განაჩენის დაძლევა. რუსთველის თვალსაზრისით, ყოველი გამარჯვების, მათ შორის ბედისწერაზე გამარჯვების პირობა და საწინდარია აქტიური ბრძოლა. “ვეფხისტყაოსნის” მთავარი გმირი ქალი ნესტან-დარეჯანი უდიდესი განსაცდელის დროს გამოსავალს ხედავდა გონიერ მოქმედებაში და გადაჭრით აცხადებდა (1191,2):

ვ ე ც ა დ ო რ ა ს , ნუთუ ღმერთმან მომარიოს ჩემსა მტერსა.

აქტიური მოქმედების წყალობით ნესტანმა საბოლოოდ მართლაც სძლია მტერს და სანეტარო გამარჯვება მოიპოვა. ამრიგად, ბედისწერის აღიარება “ვეფხისტყაოსნის” გმირებს ნებისყოფას კი არ უდუნებს, სულიერად კი არ აძაბუნებს მათ, არამედ ამხნეებს, უძლიერებს ბრძოლის წყურვილს, აქეზებს მოქმედებისათვის. რუსთველი გმობს ფატალისტურ მცონარეობასა და მჭვრეტელობას. რუსთველის საყვარელი პერსონაჟები მეზრძოლი, გმირული სულის პატრონი, აქტიური საწყისის გამომხატველი სახეებია. ამ მეზრძოლი, შეუპოვარი, გმირული სულის წყალობით მათ შემუსრეს ბოროტების ბჭენი და ქვეყნიერებაზე დაამყარეს სამართლიანობა და სიკეთე.

“ვეფხისტყაოსნის” მიხედვით, უშრომლად, გაურჯელად, უბრძოლველად შეუძლებელია წარმატების მოპოვება, შეუძლებელია ნაყოფის მოსთვლა, “ვარდნი უეკლოდ არავის მოუკრებიან” (877,4) და “მარგალიტი არვის მიჰხვდეს უსასყიდლოდ, უვაჭრელად” (162,3). გაურჯელად მიღწეულ გამარჯვებას სიტკბოს ძალა აკლია, რადგანაც ნამდვილი სიტკბოს მშობელი არის სიმწარეო (“ტკბილსა მწარე ჰპოვებს”). ყველასათვის ადვილად ხელმისაწვდენ სიტურფეს ფასი ეკარგება (“ოდეს ტურფა გაიფდეს, არღარა ღირს არცა ჩირად” (878, 4). პოემა თავიდან ბოლომდის გამსჭვალულია ბრძოლის სულისკვეთებით. რუსთველის

თვალსაზრისით, გამარჯვების სიამტკბილე მაშინ უფრო იგრძნობა, თუ მისი მიღწევა დაკავშირებულია ჭირსა და ბრძოლასთან: “მაშინ ლხინი ამო არის, რა გარდიხდის კაცი ჭირსა” (1533, 4). ეს დებულება პოეტს ჩამოყალიბებული აქვს განმაზოგადებელი აფორიზმის სახითაც: “ყოლა ლხინთა ვერ იამებს კაცი ჭირთა გარდუხდელი” (1637,4). ანდა: “მაშა ლხინსა ვინ მოიმკის პირველ ჭირთა უმუშაკო?” (879, 2).

“ვეფხისტყაოსნის” გმირებმა აურაცხელი ჭირი იგემეს, დიადი განსაცდელი გადალახეს ცხოვრების გზაზე, ბევრი მძიმე ბრძოლა გადაიხადეს, მაგრამ საბოლოოდ დაძლიეს დაუძლეველი და ბრწყინვალე გამარჯვების ნაყოფით დატკბნენ. “ვეფხისტყაოსანი” არის სამართლიანი ბრძოლისა და სახელოვანი გამარჯვების ჰიმნი.

საქრისტიანო დოგმების საპირისპიროდ რუსთველის მოძღვრებით, ს ი ც ო ც ხ ლ ე უ მ ა ლ ლ ე ს ი ს ი კ ე თ ე ა , პოეტი გადაჭრით აცხადებს (743, 3):

მომკალ, კაცსა სიცოცხლისა სწორად რაცა მოეხმაროს.

სევდიან განწყობილებაზე მყოფ თავის გმირს რუსთველი მაინც ალაპარაკებს (727, 1-2):

კვლა იტყვის: გულო, რა ზომცა გაქვს სიკვდილისა
წადება,
სჯობს სიცოცხლისა გამღება, მისთვის თავისა დადება.

რუსთველი გატაცებით უმღერის საზოგადოებრივად სასარგებლო ადამიანის ლამაზ სიცოცხლეს, სამაგიეროდ დაუზოგავად კიცხავს და გმობს სიცოცხლეს “ნაზრახსა” და “აუგიანს”.

რუსთველი ბრძნული სიმშვიდით აფასებს სიკვდილს, როგორც ბუნების მკაცრსა და გარდაუვალ კანონზომიერ მოვლენას. სწორედ ეს გარემოება გამხდარა წყარო ვაჟკაცური, ოპტიმისტური სულით გამსჭვალული უკვდავი აფორიზმისა (800):

ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი;
მისგან გასწორდეს ყოველი, სუსტი და ძალ-გულოვანი;
ბოლოდ შეყარნეს მიწამან ერთგან მოყმე და მხცოვანი.
სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი.

რუსთველის ღმერთი გონიერების სათავეა. პოემის მიხედვით, სიბრძნე და გონება მიჩნეულია სამიჯნურო “ზნეობის” თვისებათა სანორმო მხარედ (23). რუსთველი თავის გმირებს უქებს გონიერ მოქმედებას და უგუნურ მოქმედებას უძრახავს. ავთანდილის პირით პოეტი ამბობს (215, 3-4);

ზამს, თუ კაცმან გონიერმან ძნელი საქმე გამოაგოს,
არ სიწყნარე გონებისა მოიძულოს, მოიძაგოს.

ტარიელი კვერს უკრავს თავისი გონიერი ძმადნაფიცის ბრძნულ შეგონებას (904,2):

გონიერსა მწვრთნელი უყვარს, უგუნურსა გულსა ჰგმირდეს.

სხვა ადგილას ტარიელი ამბობს (347, 3): “ვაქებ ჭკუასა ბრძენთასა”. გონების პრიმატს აღიარებს ნესტანი. სწორედ ნესტანს ეკუთვნის შესანიშნავი სიტყვები (1191, 4):

რა მისჭირდეს, მაშინ უნდან გონებანი გონიერსა.

“ვეფხისტყაოსნის” გმირებისათვის გონების ქება არ არის ცარიელი სიტყვები, ისინი იმარჯვებენ მიზანშეწონილი გონივრული მოქმედების წყალობით. რუსთველის წარმოდგენით, გონება გაუთიშავია ადამიანის არსის სხვა მხარეებისაგან. გონიერება, ცნობიერება და მგრძობელობა ერთიანი ჰარმონიული მთლიანობაა, უერთმანეთოდ ფუჭი და უნაყოფო. “გული, ცნობა და გონება ერთმანერთზედა ჰკიდიათ”. ალაპარაკებს პოეტი ასმათს (848, 1). ამიტომაც თინათინის მშვენიერებამ, მაგალითად, “მისთა მჭვრეტთა წაულის გული, გონება და სული” (33,3). საღი და გამჭირახი გონება ადამიანმა უნდა გამოიყენოს პრაქტიკულ საქმიანობაში, თორემ “არას გარგებს სწავლულება, თუ არა იქმ ბრძენთა თქმულსა: არ იხმარებ, რას ხელსა ჰხდი საუნჯესა დაფარულსა? (902, 3-4).

“ვეფხისტყაოსნის” წამყვანი გმირის ტარიელისათვის ზოგჯერ ბრალი დაუდვიათ, გონივრულად ვერ იქცეოდა, გაშმაგდა, ველად გაიჭრა, უდაბურ ქვაბებში დაესახლაო. ჯერ ერთი, უნდა ვიცოდეთ, რომ “ვეფხისტყაოსნის” მიხედვით “გაჭრა ხელია მიჯნურთა” (784, 3), ე. ი. გაჭრა მიჯნურობის დამახასიათებელი სპეციფიკური თვისებაა. ამიტომაც ტარიელისათვის სრულიად ბუნებრივი იყო ველად გაჭრა. ავთანდილი არწმუნებდა შერმადინს (784,1-2):

თუ მიჯნური ვარ, ერთი ვხამ ხელი მინდორთა მე რებად.
არ მარტო უნდა გაჭრილი ცრემლისა სისხლსა ფერებად?

მინდორ-ველად იწრთობოდა გაჭრილი მიჯნურის მიჯნურული ინტენსივობის ძალა და დათმენის უნარი. რუსთველის პოეტიკით ხომ ნამდვილი მიჯნურობის დამახასიათებელია “შორით ბნედა, შორით კვდომა, შორით დაგვა, შორით ალვა” (27, 3). რუსთველი არც იმას მალავს, რომ (915, 3-4):

მიჯნურობა საჭიროა, მით სიკვდილსა მიგვაახლებს,
გასწავლულსა გააშმაგებს, უსწავლელსა გაასწავლებს.

გასწავლული და ბრძენი ტარიელი ერთგვარად დასნეულდა მიჯნურული შმაგობით (“მიჯნური შმაგსა გვიქვიან..” 22,1). ამ შემთხვევისათვის რუსთველს მომარჯვებული აქვს ბრძნული აფორიზმი (662):

რა აქიმი დასნეულდეს, რაზომ გინდა საქებარი,
მან სხვა უხმოს მკურნალი და მაჯაშისა შემტყვებარი,
მან უამბოს, რაცა სჭირდეს სენი, ცეცხლთა მომდებარი:
სხვისა სხვამან უკეთ იცის სასარგებლო საუბარი.

ტარიელის მიჯნურულმა სნებამ შეაპირობა “აქიმი” ავთანდილის მოღვაწეობა. დიდმა სიყვარულმა გამოიწვია დიდი მეგობრობა. ტარიელის ველად გაჭრა ბუნებრივი და აუცილებელი რგოლია “ვეფხისტყაოსნის” სიუჟეტისა, ამის გარეშე

დაირღვეოდა “ვეფხისტყაოსნის” მშვენიერი არქიტექტონიკა. ტარიელი რომ ველად არ გაჭრილიყო, მისი ტრაგიკული სახე რომ როსტევანსა და ავთანდილს არ შეემჩნიათ, მაშინ მოტივურად აუხსნელი იქნებოდა როსტევანის “დაღრეჯა”, თინათინის მხრით ავთანდილის გამოწვევა “უცხო მოყმის” მოსამებნად, ავთანდილის ძმური თავგამოდება... ტარიელის ველად გაჭრა ნაგულისხმევია და გამართლებული “ვეფხისტყაოსნის” იდეური შინაარსითა და სიუჟეტური წყობით. საერთოდ უამეპიზოდოდ (ტარიელის ველად გაჭრის გარეშე) ჩვენ ვერ მივიღებდით რუსთველის “ვეფხისტყაოსანს”, მხატვრული ასპექტით ვერ გავეცნობოდით რუსთველის მოძღვრებას მიჯნურობასა და მეგობრობაზე.

მეორე მხრით, ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ ტარიელის გაჭრას არაფერი საერთოდ არ აქვს არც სოფლისგან გაცლის ასკეტიკურ მორალთან და არც სალოსურ წანწალთან. ტარიელი ველად გაიჭრა სწორედ სიცოცხლის უზომოდ სიყვარულისა და მიჯნურული ურვის მოწოდის გამო. მიჯნურული შმაგობის მიუხედავად ტარიელს არასოდეს დაუკარგავს ადამიანური ცნობიერება და განსჯის უნარი, გონიერი ადამიანის სახე (როგორც ეს მოუვიდა, მაგალითად, ნიზამი განჯელის მაჯუნსს). უაღრესად მძიმე მდგომარეობაში მყოფმა ტარიელმა (ლომ-ვეფხის მოკვლის შემდეგ) განსაცვიფრებელი გონიერება და სიბრძნე გამოამჟღავნა: მმადნაფიცის საყვედურს (“ბრძენი ხარ და გამორჩევა არა იცი ბრძენთა თქმულზე”, - 876, 1) მან ბრძნულად მოუჭრა პასუხი.

რუსთველი თავისი პოემით ამტკიცებს, რომ მშვენიერია “უთვალავი ფერით” შემკობილი. ქვეყანა, რომ ეს მშვენიერი ამქვეყნიური სამყარო შექმნილია ადამიანთა საკეთილდღეოდ, ადამიანებმა სწორედ ამ ქვეყანაზე უნდა დაამყარონ საამური, ბედნიერი ცხოვრება, რომ სიცოცხლე დიდი სიკეთეა, დიდი ბედნიერება. “ვეფხისტყაოსანი” ნამდვილი გამოწვევა იყო ეკლესიურ-კონსერვატიული საზოგადოების მიმართ. რუსთველმა “ჩაახშო შუა საუკუნეების ბნელეთის მოციქულთა კაცთმოდულე ღრიანცელი და იმღერა მგზნებარე სიმღერა ადამიანზე, თავისუფლების, სიყვარულისა და ბედნიერების უფლებებზე” (გაზეთი «Правда»).

რუსთველმა შექმნა ცოცხალ პერსონაჟთა ინდივიდუალიზებული სახეები, რომელთა მოქმედება სრულიადაც არ არის შეზღუდული ან განსაზღვრული ღვთაებრივი განჩინებით, ან ბედისწერით. “ვეფხისტყაოსნის” გმირების მოქმედებას წარმართავს მათი თავისუფალი ნების ძალა. პოემის ზოგიერთი გმირი უპირატესად გულისთქმას მიჰყვება (მაგალითად, ტარიელი), ზოგიც გონებრივი განსჯის კარნახით ხელმძღვანელობს (მაგალითად, ავთანდილი), მაგრამ სამოქმედო გეზის არჩევისათვის ხსნილია მათი ნებელობა.

რუსთველის ინდივიდუალიზებული სახეები ატარებენ ზოგადობის, ტიპიურობის ნიშანდობლივ თვისებებს. როგორც დიდი ლენინი გვასწავლის, კერძო არ არსებობს ზოგადის გარეშე, ხოლო ზოგადი არ წარმოიდგინება კერძოსაგან მოწყვეტილად. მაგალითად, თუმცა ტარიელი გამოკვეთილი ინდივიდუალობის მქონე სახეა, იგი გარკვეულ თვისებათა მატარებელი მოყმე-რაინდის ტიპია. ტარიელის სახე-ტიპი განსხვავდება ავთანდილის სახე-ტიპისაგან, ისე როგორც ნესტანი განსხვავდება თინათინისაგან, ფარსადანი – როსტევანისაგან. რუსთველი აღწევს მოვლენათა და პერსონაჟთა ტიპოლოგიური განზოგადების სიმაღლეს.

რუსთველმა წამოაყენა გონების კულტი, მაგრამ მან გონება გრძნობას არ დაუპირისპირა, გონება და გრძნობა ერთიანობასა და მთლიანობაში წარმოიდგინა.

რუსთველმა იქადაგა გრძნობისა და ნებისყოფის თავისუფლება. მხურვალე ქებათა-ქება უძღვნა ჭკუასა და სიბრძნეს (“ვაქებ ჭკუასა ბრძენთასა”).

ჰუმანისტურად ხატავს რუსთველი ადამიანთათვის შექმნილსა და უთვალავი ფერებით ლამაზად შემკობილ მატერიალურ სამყაროს: ბუნებას, “ტურფა საბაღნაროს”.

ჰუმანისტურია რუსთველის მოძღვრება ზნეობაზე და მისი ეთიკური იდეალები, ჰუმანისტურია რუსთველის სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებანი. ჰუმანისტურად წყვეტს პოეტი ქალთა საკითხს. ჰუმანისტურად აისახა “ვეფხისტყაოსანში” მმადნაფიცობა, ხალხთა მეგობრობა, სამშობლოს სიყვარული. ჰუმანისტურია სიყვარულის ის სახეობა, რომლის წარმტაც ჰიმნს წარმოადგენს პოემა “ვეფხისტყაოსანი”. ჰუმანისტურად უდგება რუსთველი ენის საკითხს. ამის საბუთია პოეტის მხრით ენის ხალხურობისაკენ მიდრეკილება, საეკლესიო-სქოლასტიკური სამწიგნობრო ნორმების უარყოფა და ხალხის სამეტყველო-სასაუბრო ენის სალიტერატურო ენასთან დაახლოება.

რუსთველის ჰუმანიზმთან დაკავშირებით არ შეიძლება არ მოვიგონოთ დასავლეთ ევროპის ერთი თანამედროვე პროგრესისტი მოაზროვნის სიტყვები ჩვენი პოეტისა და ადრეული ევროპული რენესანსის უდიდესი წარმომადგენლების – დანტესა და პეტრარკას შესახებ: “როგორც დანტეს, ისე პეტრარკას ნაწარმოებნი აღსავსეა ბედნიერებისა ანდა “სინათლის” იდეალისადმი წადილით. ამავე დროს ორივეს ერთი და იგივე ამოსავალი თვალსაზრისი ჰქონდა, ნეოპლატონურ-მისტიკური იდეა. სინათლის აღმავალი საფეხურების შესაბამისად დანტე თავისი იდეალის სრულყოფას ხედავდა მხოლოდ ზებუნებრივ სამყაროში. პეტრარკაც აგრეთვე დარჩა ზეციური სინათლის ტყვე, თუმცა ის უფრო იყო რეალისტი, ვიდრე დანტე.

რუსთველი, პირიქით, რჩება დედამიწაზე. ის ამაღლებულ სიმღერას უგალობს მიწიერ სიყვარულს, ის უარყოფს სიყვარულის პლატონურ ფორმას. მას დედამიწაზე მოაქვს სინათლე, იბრძვის სიკეთისა და სინათლის ტრიუმფისათვის ამქვეყნიურ ცხოვრებაში”.

მართლაცდა, როგორც ცნობილია, ახალი პოეტური სიტყვის საყოველთაოდ აღიარებულმა ტიტანმა, იტალიელმა დანტემ (1265-1321) თავი ვერ დააღწია შუასაუკუნეობრივი პოეზიის ტრადიციებს. ამიტომაც ფრიდრიხ ენგელსი მას უწოდებდა “შუა საუკუნეების უკანასკნელ მგოსანს და ამასთან ერთად ახალი დროის პირველ მგოსანს”.^[52] დანტეს მგზნებარე, მებრძოლი პოეზია (პირველ რიგში უკვდავი “ღვთაებრივი კომედია”) გარკვევით ატარებს კათოლიკური აღმსარებლობის დაღს, დანტე აგრძელებდა სიმბოლოებისა და ალეგორიების შუასაუკუნეობრივი პოეზიის მანერებს. ბუნებრივსა და რეალურ ნიადაგზე აღმოცენებული დანტეს სიყვარული ბეატრიჩესადმი საბოლოოდ გაეხვია მისტიკურ საბურველში, ბეატრიჩეს სახე “ღვთაებრივ კომედიაში” წარმოადგენს თეოლოგიის სიმბოლოს.^[53] მისტიციზმი ვერ დასძლია და სარწმუნოებრივი, კათოლიკურ-კონფესიური თვალსაზრისი ვერ გადალახა ვერც ადრეული რენესანსის მეორე დიდმა მწერალმა პეტრარკამ.^[54] შოთა რუსთველის მთელი შემოქმედება ჰუმანისტური მსოფლმხედველობის ნიადაგზეა გაშლილი. აღნიშნულის გამო შეიძლება რუსთველი ვადიაროთ თავისებური ადრეული რენესანსის (ქართული რენესანსის) წარმომადგენელ პოეტ-მოაზროვნედ. რუსთველმა რამდენიმე საუკუნით ადრე გამოამჟღავნა ის სულიერი განწყობილებანი და გამოხატა ის იდეური მიდრეკილებანი, რაც ჩვეულებრივად ითვლება ევროპული რენესანსის დამახასიათებელ თვისებებად.

“ვეფხისტყაოსანი” შუა საუკუნეების მხატვრული ნაწარმოებია. ამისდა მიუხედავად, რუსთველი შეგნებულად გაურბის თავისი დროის მწერლობისათვის დამახასიათებელ მოჭარბებულ ფანტასტიკურობასა და ზღაპრულობას. პოეტი ძლიერ იშვიათად შორდება ობიექტურად არსებული რეალური სამყაროსა და მისი სინამდვილის ფარგლებს. ცხადლივ ზღაპრული ელემენტები “ვეფხისტყაოსანში” მეტად მცირეა. აქ ნამდვილად ზღაპრულია მხოლოდ დევებისა და ქაჯების ამბები, აგრეთვე ფატმანის გრძნეული მონის ამბავი. ოღონდ ქაჯნი რუსთველს რეალური ადამიანების სახით ჰყავს დახატული. როგორც ცნობილია, გოცბული ავთანდილის შეკითხვაზე ქაჯთა ბუნების შესახებ, ფატმანი მშვიდად უპასუხებს: “არ ქაჯნია, კაცნიაო... ჩვენებრვე ხორციელანი”. ასე რომ, ფანტასტიკურ ამბებისა და ფანტასტიკურ არსებათა აღწერის პირობებშიც რუსთველი დგას რეალისტურ პოზიციებზე. პოეტი ზოგჯერ აუცნაურებს და აზვიადებს ამა თუ იმ მოვლენას, მაგალითად, თავისი საყვარელი გმირების ფიზიკურსა და მორალურ ძალ-ღონეს, მათს გარეგნულ სილამაზეს. ამისათვის იგი ხშირად მიმართავს ჰიპერბოლის ხერხს. რუსთველი თავისუფალ გასაქანს აძლევს თავის მდიდარსა და ლალ ფანტაზიას, მაგრამ მისი მხატვრული აზროვნება მაინც ყოველთვის სინამდვილეს, რეალისტურ საფუძვლებს ემყარება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ერთგვარად რეალისტურია რუსთველის მხატვრული ასახვის მეთოდი.

რა თქმა უნდა, ჩვენ არ ვლაპარაკობთ რეალიზმზე, როგორც გარკვეული კონკრეტულ-ისტორიული ეპოქის ლიტერატურულ-შემოქმედებითს მეთოდზე ან ლიტერატურულ მიმართულებაზე. მაგრამ რამდენადაც რეალისტური მსოფლშეგრძნების ჩასახვას ჩვეულებრივ უკავშირებენ ევროპული აღორძინების (რენესანსის) პერიოდს, ხოლო რუსთველი მკაფიოდ გამოხატავს რენესანსულ განწყობილებებს, ჩვენ თამამად შეგვიძლია რუსთველი პირველ რეალისტად ჩავთვალოთ (ნიზამი განჯელთან ერთად) მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში.

რუსთველის პოეტური ენა

რუსთველის პოემის ენა სადაა, კეთილშობილური, ის ახლოს იყო ხალხის სამეტყველო ცოცხალ ენასთან. ხალხის სამეტყველო ენა რუსთველმა აიყვანა ლიტერატურული სრულყოფილობის მწვერვალამდის. “ვეფხისტყაოსნის” ენა იმდენად ახლოსაა ხალხის სამეტყველო ენასთან, რომ პოემის შინაარსი საერთოდ სავსებით გასაგებია თანამედროვე მკითხველი საზოგადოებისათვის, პოემა არ საჭიროებს თარგმნას ახალ ქართულზე. რუსთველი “ტკბილ-ქართული” ენის სწორუპოვარი გამომხატველია პოეზიაში. მან შეისისხლხორცა და ამოსწოვა სიმდიდრე, სიღრმე და სიდიადე ქართველი ერის ენობრივი საუნჯისა. რუსთველის ენა მკაფიოა, ნათელი, ლაპიდარული. დიდმა პოეტმა დახვეწა, კიდევ უფრო მეტი მოქნილობა და ბრწყინვალეობა მისცა ქართულ ბარაქიან სიტყვას. რუსთველის ენა არაჩვეულებრივად მდიდარია ლექსიკით.

“ვეფხისტყაოსნის” ლექსიკური სიმდიდრე მშვენივრად ასახავს ქართული ენის სიმდიდრეს და განვითარების მაღალ დონეს.

“ვეფხისტყაოსანს” ამკობს დარბაისლური სტილი. პოემის ღრმა იდეურ-შინაარსობლივ მხარეს შეესატყვისება მისი ნატიფი პოეტური ენა, მისი “ენამზეობა”, რუსთველის პოემის აზრის სიდიადეს ამშვენებს ამ აზრის გამომხატველი სიტყვიერი

ფორმა. პოეტურ სიტყვიერ ფორმას, სსვადასხვა მხატვრულ ხერხს რუსთველი იყენებს აზრის მკაფიოდ, ნათლად და გამჭვირვალედ გადმოსაცემად.

რუსთველის პოეტური ენის უაღრესად ნიშანდობლივი თვისებაა მეტაფორულობა. პოეტი ძლიერ ხშირად მეტაფორებით მეტყველებს და მეტაფორულად აზროვნებს. საკმარისი იქნება თუ ვიტყვით, რომ მეტაფორულადაა გადმოცემული პოემის დედააზრი – სამართლიანობის უსამართლობაზე გამარჯვების იდეა და ამადღებული სიყვარულის საზეიმო აპოთეოზი. შელენილი და შემუსვრილი ქაჯეთის ციხის ფონზე პოემით გადაშლილია იშვიათი სანახაობა (1420, 1): “ნახეს, მზისა შესაყრელად გამოეშვა მთვარე გველსა”. აქ მზე მეტაფორულად ასახიერებს ტარიელს, მთვარე ნესტანია, ხოლო გველი (გველეშაპი) ქაჯეთის ციხე, ქაჯთა სამყარო (ბოროტებისა და ბნელეთის სიმბოლო). მთვარე-ნესტანი (სიკეთის სიმბოლო) გამოიხსნეს გველეშაპის კლანჭებისაგან, რათა იგი საბედნიეროდ შეეყაროს თავის სატრფოს, რათა განხორციელდეს უმაღლესი სამართლიანობა, სიყვარულმა ამ ქვეყანაზე მოიპოვოს უკვდავება, მზე და მთვარე იქცნენ ერთსულ და ერთხორც. “ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია”.

“ვეფხისტყაოსანში” ბევრია ზოგჯერ მოკლე და სხარტი, ზოგჯერ კი ვრცელი, გაშლილი მეტაფორული მწკრივი, აქა-იქ მთელ სტროფებს რომ მოიცავს. რუსთველური მეტაფორის სანიმუშოდ მხოლოდ ერთ მაგალითს დავიმოწმებთ. ქაჯეთის ციხესთან დაიხოცნენ ფრიდონის მეომრები. ტარიელმა ამის გამო გულწრფელად მიუსამძიმრა თავის ძმადნაფიცს და უთხრა (1456, 3-4):

თუცა მე მათი დახოცა მტკივის და სატკივარია,
მაგრა მათ მიჰხვდა უკვდავი მუნ დიდი საჩუქარია.
ესე თქვა, ნელად ატირდა და წვიმა თოვლსა არია,
ნარგისთათ იძრვის ბორიო, ვარდსა ზრავს, იანვარია.

მოყვანილი ნაწყვეტის თოვლი მეტაფორულად ნიშნავს პირისახეს (თეთრ, ლამაზ, სუფთა პირისახეს), წვიმა – ცხარე ცრემლებია, ნარგისი თვალთა. მთელი მეტაფორული მწკრივის (დაყოფილად დაბეჭდილი ტაეპების) შინაარსი ასეთია: ტარიელი ატირდა, ცხარე (ცხელი) ცრემლების ღვარი მიედინა თოვლს (პირისახეს). თვალებიდან ამრული ბორიო (ცივი სიო) და თოვლნარევი წვიმა სუსხავს დაწვებს, ჭეშმარიტად იანვარია (იანვრის სუსხი). მეტაფორულად გამოხატული ცივი ზამთრის (იანვრის) სურათი კარგად ეხამება მგლოვიარე ჭაბუკის მძიმე სულიერ განწყობილებას და ამ განწყობილების პოეტურ ილუსტრაციას წარმოადგენს. ერთმანეთთან მიმსგავსებულია ბუნების ავდარობა და გმირის მწუხარება. მეტაფორული მწკრივის საშუალებით რუსთველი ამავე მიზანს აღწევს სხვა შემთხვევაშიც. განატანჯი ნესტანის მჭმუნვარების გაქარწყლებისა და “სულიერი გამოდარების” დროს (536, 2-3):

იგი წვიმა დარენელდა, რომე პირველ ვარდი აზრა;
ვნახე, მოწსა მარგალიტი გარე ტურფად მოემაზრა.

“წვიმა დარენელდა”, ნესტანს გუნება-განწყობილება შეეცვალა, დამშვიდდა, დაწყნარდა (შენელდა იგი წვიმა, ადრე რომ ვარდი, ე. ი. ნესტანის პირი-სახე, დაეზრაო). მანამდის გაკუმტებულს, ახლა გაულიმნია, გამოჩენილა მოწზე

(ღრძილებზე) კოხტად მიწყობილი (მიბჯენილი) თეთრი, გამჭვირვალე კბილები (მარგალიტები).

ვირტუოზულია ლაკონიურობითა და გამომსახველობითი ძალით ნარგიზისა და წვიმის მეტაფორული მწკრივი (975, 4):

ნარგისნი ქუხან, ცრემლსა წვიმს, ჩარცხის ბროლსა და მინასა.

თვალეში ჭექა-ქუხილი ამტყდარა, წამოსულა ცრემლების თქეში, რომელსაც ჩაურეცხია მინა-ბროლივით სუფთა და თეთრი პირისახე.

რუსთველის მეტაფორები შეიცავს ჩვეულებრივად ადვილად ამოსაცნობ შინაარსს, ზოგიერთი აღმოსავლეთელი დიდი პოეტივით იგი აზრს არ აბნელებს და არ აბუნდოვნებს. რუსთველი უხვია და ორიგინალური თავისი მრავალფეროვანი, ხშირად ანაზდეული და მოულოდნელი ეპითეტებით (მაგალითად, ხ მ ა შ ა ქ რ ი ს ფ ე რ ი , ტ ი რ ი ლ ი შ ვ ე ნ ი ე რ ი). ეპითეტების საშუალებით რუსთველი ნიშანდობლივად გვიხსნის თავისი გმირების სახასიათო თვისებებს. ეპითეტები ა მ ა ყ ი , ლ ა ღ ი , უ კ ა დ რ ი და მისთანანი თანაბრად მიეკუთვნება ტარიელსა და ავთანდილს (აგრეთვე ფრიდონს), როგორც იდეალურ მოყმე-რაინდებს. მაგრამ ტარიელის სულიერი მდგომარეობის დასახასიათებლად სპეციფიკურია კ უ შ ტ ი , პ ი რ - გ ა მ ქ უ შ ა ვ ი . ავთანდილი კი იყო ლ ა ღ ა დ მ ა ვ ა ლ ი , გ რ ა ც ი ო ზ უ ლ ა დ ტ ა ნ ი ს მ რ ხ ე ვ ე ლ ი , მ ხ ი ა რ უ ლ ი , მ ო რ ჭ მ უ ლ ი , შ ვ ე ბ უ ლ ი , “ყმა სოფლისა ხასიათი”, “ყმა ტკბილი და ტკბილ-ქართული”.

რუსთველი დიდი ოსტატია მხატვრული შედარებისა. პოემაში ბევრია რეალისტური, ეროვნული საყოფაცხოვრებო კოლორიტით აღბეჭდილი საუცხოო შედარებანი, მაგალითად:

მეტად ამოდ ვუალერსე, ერთგან დაწვნეს ვ ი თ მ ა ყ რ ე ბ ი (431, 4).

მუნ აბჯარი ყოვლიფერი ასრე იდგა, ვ ი თ ა მ წ ნ ი ლ ი (1367, 3).

ნესტან-დარეჯანს მოეჭდო, რომე ვერ გ ა ჰ ყ რ ი ს ც უ ლ ე ბ ი (1451,3).

მომხიბლავია მოყვანილი შედარებების ბუნებრიობა, უბრალოება და ერთგვარი სპეციფიკურ-ხალხური იერი. უბრალო ხალხის ყოფა-ცხოვრების კარგად მცოდნე პოეტს შეეძლო ქართველი გლეხი ქალის მიერ კოხტად ჩაწყობილი მწნილისათვის შედარებინა შესაფერისი წესრიგით დალაგებული სამხედრო საჭურველი (აბჯარი). გარკვეულ სოციალურ-პოლიტიკურ ელფერს ატარებს რიგი შედარებანი, რომელთა წარმოშობა დაკავშირებულია ჩვენი ქვეყნის მძიმე ისტორიულ სინამდვილესთან, მაგალითად:

ალაფობდეს საჭურჭლესა მისსა, ვ ი თ ა ნ ა თ უ რ ქ ა ლ ს ა (55, 1).

ლარსა ჰხვეტდიან ლაშქარნი, მართ ვ ი თ ა მ ე კ ო ბ რ ე ნ ი ა (54, 4).

ძლიერი სოციალური აქცენტი აღუბეჭდავს შემდეგ შედარებას (1196, 2):

დაჰვიწყდა შიში მეფისა, ვითა ერთისა გზირისა.

ქართული ნაციონალური სულისკვეთება უდევს საფუძვლად ზემოთ უკვე გააანალიზებულ ამ შედარებას (552, 1-2):

მოედანს დავდგი კარვები წითლისა ატლასებისა,
მოვიდა სიძე, გარდახდა, დღე, ჰგვანდა, არს ა დ ვ ს ე ბ ი ს ა .

“ვეფხისტყაოსნის” რიგი შედარებანი გამოირჩევა არაჩვეულებრივი ექსპრესიულობით. ტარიელის ამბის გამოსაძიებლად ავთანდილმა დაიხელთა ასმათი და “ყმა გარდაიჭრა, დააბა, ვითა კაკაბი მახესა” (231, 3). ასმათიც ღირსეულად დაუხვდა ავთანდილს, თუმცა ფიზიკურად სუსტი ქალი მძლავრი რაინდის ხელში წააგავდა არწივის მიერ შეპყრობილ კაკაბს (232, 2):

ვითა კაკაბი არწივსა ქვეშე მი და მო ძრწებოდა.

ტარიელის მამებარმა ავთანდილმა ქედიდან თვალი მოჰკრა შამბის პირას სადავე-უკუყრილ ტაიჭს, სადმე ახლოს უნდა ყოფილიყო მისი პატრონიც. ავთანდილმა არ დააყოვნა, “ვით გრიგალმა ჩაირბინა” და მიაშურა განსაცდელში მყოფ ძმობილს. სწრაფი მოძრაობის მომენტი პოეტურ ენაზე უკეთ ვერ გადმოიცემა.

ექვებისაგან გამძვინვარებული ნესტანის სულიერი მდგომარეობის გარეგნული გამოხატულება სკულპტურული გამოკვეთილობით აქვს რუსთველს მოცემული ცნობილი მხატვრული შედარების საშუალებით (522, 1):

ქვე წვა, ვით კლდისა ნაპრალსა ვეფხი პირ-გამეხებული.

გაგულისებული მშვენიერი სატრფო ტარიელს წარმოესახა კლდის პირას მწოლარე გააფთრებულ ძუ ვეფხად. ეს წარმტაცი სურათი წარუხოცლდ აღიბეჭდა მის მეხსიერებაში. ამ მომენტიდან ნესტანი და ვეფხი განუყრელი ასოციაციებით დაუკავშირდნენ ერთმანეთს. აქედან მოდის პოემის უკვდავი სახე და პოემის მშვენიერი სათაური – “ვეფხისტყაოსანი”. ასეთია რუსთველის მხატვრული შედარების წარმოსახვითი ძალა. რუსთველის შედარებანი ხშირად ჰიპერბოლურია, ოღონდ ჰიპერბოლები ფანტასმაგორიაში არ გადადის. რუსთველის ჰიპერბოლური შედარებების საფუძველიც სინამდვილეა.

რუსთველის ერთ-ერთი უსაყვარლესი ხერხია განმეორებანი. პოემაში გვხვდება განმეორებათა მრავალი სახეობა. ავილოთ უბრალო განმეორების ნიმუში (27, 3):

შორით ბნედა, შორით კვდომა, შორით დაგვა, შორით ალვა.

ამ ტაეპში ოთხჯერ არის განმეორებული სიტყვა შორით. ამისდა მიუხედავად, პოეტი თავს აღწევს ტავტოლოგიას. აქ განმეორება გამოყენებულია შინაარსობლივ-აზრობრივი მხარის გასაძლიერებლად. ტაეპის ემოციური ინტონაცია ქმნის დიდ მხატვრულ ეფექტს. რუსთველი მკითხველს დაბეჯითებით უნერგავს იმ აზრს, რომ შორით ტრფიალი და მხოლოდ შორით ტრფიალი არის ნამდვილი, ჭეშმარიტი სიყვარულის ნიშანდობლივი თვისებაო. ნაწყვეტში გვაქვს აგრეთვე მხატვრული ჩამოთვლის მაგალითიც: ბნედა, კვდომა, დაგვა, ალვა. ამ სიტყვებს დაჰკრავს სინონიმური იერი. საანალიზო ტაეპში არსებითად დამოწმებულია განმეორების ორი რიგი: პირველი რიგის განმეორება ხასიათდება სიტყვაუცვლელობით (შორით), მეორე რიგს ახასიათებს, სიტყვაცვალეობა და

სინონიმურობა. დასახელებული ტიპის განმეორებანი “ვეფხისტყაოსანში” უამრავია. მოვიყვანოთ მხოლოდ ერთ მაგალითს (1090, 4):

რ ა უთქვამს, რ ა მოუჩმახავს, რ ა წიგნი მოუწერია.

“ვეფხისტყაოსნისათვის” სპეციფიკურად დამახასიათებელია შემდეგი სახის განმეორებანი:

1. ნ ა ხ ე ს და ნ ა ხ ვ ა მოუნდა უცხო სასახავისა (85, 4).
2. ცხენსა შეჯდა, გაემართა, და რ ბ ა ზ ს მი ვ ა ს ა და რ ბ ა ზ ო დ (141, 4).
3. ერთსა წავსწვდი უტევანსა, წ ა ვ გ რ ძ ე ლ დ ი და წ ა ვ ე გ რ ძ ე ლ ა დ (445, 3)
4. ფატმან რა ნახა, შეშინდა, ძ რ წ ი ს და მი ე ც ა ძ რ წ ო ლ ა ს ა (1100, 1).
5. მ ა ნ გ ა ა ხ ა ფ ო ს ხ მ ა ხ ა ფ ი, კვლა უფრო გ ა ს ა ხ ა ფ ა ვ ი (1315, 3).

ამგვარ განმეორებათა მაგალითები “ვეფხისტყაოსანში” ძალიან ბევრია. “ნახეს და ნახვა მოუნდა უცხო სასახავისა”, ამბობს რუსთველი. ამ მოკლე ფრაზაში პოეტი სამჯერ იმეორებს ერთსა და იმავე სიტყვას (მართალია, სხვადასხვა ფორმით), მაგრამ ქართული გენიოსი პოეტის მიერ მოხმობილი, ამ, ერთი შეხედვით, უცნაური განმეორებით მიღწეულია სასწაულებრივი მხატვრული ეფექტი: გამძაფრებულია ფრაზის მხატვრული ინტონაცია, გაღრმავებული და გამკვეთრებულია მისი შინაარსობლივ-აზრობრივი მხარე. სიტყვათა მოულოდნელი შეწყობით, უჩვეულო განმეორებით პოეტურ ფრაზებს ეძლევა იშვიათი გარეგნული სილამაზე და დიდი შინაგანი გამომსახველობითი ძალა. ეს რუსთველის საკუთარი პოეტური ხერხია. დიდი პოეტური კულტურისა და დახვეწილი გემოვნების პატრონმა შექმნა პოეტური ენის, პოეტური მეტყველების ორიგინალური სისტემა. რუსთველმა ახლებურად ააჟღერა და აამეტყველა ქართული სიტყვა.

უხვადაა “ვეფხისტყაოსანში” შერჩეული სინონიმური სიტყვები. ამ სიტყვებს ავტორი მოსწრებულად იყენებს მხატვრული განმეორების მიზნით, მაგალითად:

1. მოდით და ნახეთ ყოველმან შე მ ს ხ მე ლ მ ა ნ , შე მ ა მ კ ო ბ ე ლ მ ა ნ (43, 4).
2. მოართვეს. გასცა უ ზ ო მ ო , უ ა ნ გ ა რ ი შ ო , უ ლ ე ვ ი (52, 4).
3. ამილახორო, მოასხი რ ე მ ა , ჯ ო გ ი და ც ხ ე ნ ი ა (64, 2).
4. მეფე გ ა წ ყ რ ა , გ ა გ უ ლ ი ს და , ლაშქარნიცა შეუზახნა (55, 1).
5. მეფე საწოლს შემოვიდა ს ე ვ დ ი ა ნ ი , და დ რ ე ჯ ი ლ ი (101, 1).
6. და ა ლ ე ბ ა , და ა ლ უ რ ჯ ა , მედგრად პირნი მოიქუშნა (579, 2).
7. შენ არ-გატეხა კარგი გჭირს ზ ე ნ ა ა რ ი ს ა , ფ ი ც ი ს ა (706, 1).
8. ვა, საწუთრო ბოლოდ თავსა ა ს უ და რ ე ბ ს , ა ზ ე წ ა რ ე ბ ს (716, 4).
9. მისის კითხვით წამოსრულვარ, ა რ მ თ რ ვ ა ლ უ რ ა დ , ა რ მ ა ხ მ უ რ ა დ (933, 3)
10. მაგრა მოსრული თქვენს წინა ვარ შე მ ო მ ხ ვ ე წ ლ ა დ , მ ქ ე ნ ე ბ ლ ა დ (1520, 2)

სინონიმური სიტყვების ორგზისი და სამგზისი განმეორებით რუსთველი ამახვილებს მკითხველის ყურადღებას, ის ხაზს უსვამს და აძლიერებს გარკვეულ აზრს. ემოციურ-ინტონაციური მახვილით პოეტი მკაფიოდ გამოყოფს აზრობრივ მომენტს და მას ფორმის მხრივაც მოხდენილ სახეს აძლევს.

სინონიმებად რუსთველი იყენებს ქართულ მდიდარ ლექსიკას (“შემსხმელმან, შემამკობელმან”; “გაწყრა, გაგულისდა”; “გაიღიმა, გაიცინა”; “შემოჭდომა, შემოხვევა”

და სხვ.). ზოგჯერ პოეტი მიმართავს არქაული და მოქმედი სინონიმური სიტყვების შეპირისპირებას (“ნუ პატრონსა, ნუ უფალსა”, “ვარ შემომხვეწლად, მქენებლად”). აქა-იქ გვხვდება ქართულ სალიტერატურო ენაში დამკვიდრებული უცხოური წარმოშობის სიტყვები (“ს ე ვ დ ი ა ნ ი , და ღ რ ე ჯ ი ლ ი”; “უ ც ხ ო და ღ ა რ ი ბ ი”; “ზ ე ნ ა არ ის ა , ფიცისა”; .არ მთრვალურად, არ მ ა ხ მ უ რ ა დ ” და მისთანანი). ჩამოთვლა-განმეორების დროს ყოველ ახალ სიტყვას რაღაც ახალი შინაარსეული ნიუანსი ემატება, რაც აზრს აძლიერებს და სრულყოფილს ხდის. “მოართვეს, გასცა უ ზ ო მ ო , უ ა ნ გ ა რ ი შ ო , უ ლ ე ვ ი ”. თავიანთი ძირითადი მნიშვნელობით უზომო, უანგარიშო და ულევნი ერთისა და იმავე შინაარსის მქონე სიტყვებია, მაგრამ თითოეულს ცალკე აქვს ნიუანსური თავისებურება; ყველა ერთად კი ჰქმნის რაოდენობრივი უსაზღვროების გრანდიოზულ შთაბეჭდილებას. შთაბეჭდილებას არაჩვეულებრივად აძლიერებს ამ სინონიმური სიტყვების ბგერული ჟღერადობა: უზომო, უანგარიშო, ულევნი. პოეტური ფრაზების ასაგებად რუსთველი სიტყვებს ირჩევს როგორც შინაარსობლივ-აზრობრივი, ისე ბგერული ჟღერადობის კვალობაზე. ამას ასაბუთებს შემდეგი შესანიშნავი მაგალითიც (1330, 2 - 3):

ტარიელისკენ იარნა მან გზანი საწყინარენი,
უ და ბ უ რ ნ ი და უ გ ზ ო ნ ი , უ ც ხ ო ნ ი რამე არენი.

ინტონაციური მახვილი პოეტური ფრაზის გარკვეულ ნაკვეთს, და ამავე დროს კი მთელ ფრაზას ანიჭებს მეტ გამოკვეთილობას, მაგალითად:

კ ვ ლ ა საბრალოდ ამიტირდა, კ ვ ლ ა მოედვა ამით ალი (570, 2).

კვლა მოვიდე შე ნ ა დ ნახვად, შე ნ თ ვ ი ს მოვკვდე, შე ნ თ ვ ი ს ვირო (665, 3)

“ვეფხისტყაოსანში” შეინიშნება ფ რ ა ზ ე ბ ის გ ა ნ მ ე ო რ ე ბ ა ც , მაგალითად (247, 3):

სხვაგნით ყოვლგნით უღონო ვარ, არვინ არის ჩემი ღონე.

რუსთველის მხატვრული მეტყველებისათვის დამახასიათებელია გ ა ნ მ ე ო რ ე ბ ა - მ ი მ ა რ თ ვ ა ნ ი :

1. ცრემლით მითხრა: შ ვ ი ლ ო , შ ვ ი ლ ო , ცოცხალ ხარ და? სიტყვა თქვია (350, 2).
2. ღ მ ე რ თ ო , ღ მ ე რ თ ო , გეაჯები, რომელი ჰფლობ ქვენათ ზესა (810, 1).
3. ღ მ ე რ თ ო , ღ მ ე რ თ ო , მოწყალეო, არვინ მივის შენგან კიდე (811, 1).
4. გ ვ ი შ ვ ე ლ ე თ ო , გ ვ ი შ ვ ე ლ ე თ ო , მეკობრეთა ამოგწყვიდნეს (1378, 3).

ზოგჯერ პოეტი განსაკუთრებული დაჟინებით უსვამს ხაზს სიტყვას ან სიტყვის ნაწილაკს. ამ დაჟინებითი ხაზგასმულობით ფრაზის იერი იცვლება, მისი გამომსახველობითი ძალა მატულობს. მაგალითად (783, 4):

გული დადევ, დაიჯერე, ვ ე რ წ ა გ ი ტ ა ნ , ვ ე რ ა , ვ ე რ ა .

ქაჯეთიდან გამოგზავნილი ნესტანის ყოველმხრივი ბრწყინვალე წერილის შინაგან სიტბოსა და ინტიმურობას უთუოდ აორკეცებს ხალხურ-სასაუბრო მიმართვა ჩ ე მ ო , რომელიც მრავალ სტროფში მეორდება:

- ჰე, ჩ ე მ ო , ესე უსტარი არს ჩემგან მონაღვაწები. (1293, 1).
- ჰხედავცა, ჩ ე მ ო , სოფელი რათა საქმეთა მქმნელია (1294, 1).
- ჰხედავ, ჩ ე მ ო , ვით გაგვყარნა სოფელმან და ჟამმან კრულმან? (1295, 1).
- სხვად, ჩ ე მ ო . ჩემი ამბავი ჩემგან არ მოგეწერების (1298, 1).

მ ხ ა ტ ვ რ უ ლ ი გ ა ნ მ ე ო რ ე ბ ი ს გვერდით უნდა დავასახელოთ მ ხ ა ტ ვ რ უ ლ ი ჩ ა მ ო თ ვ ლ ა . მაგალითად:

1. დღე ერთ გარდახდა: პ უ რ ო ბ ა , ს მ ა -ჭამა იყო, ხილობა (56, 1).
2. გლახაკთა მიეც საჭურჭლე, ო ქ რ ო , ვ ე რ ც ხ ლ ი დ ა რ ვ ა ლ ი ა (158, 4).
3. ჩემთა მჭვრეტელთა მოეცვა ქ ა ლ ა ქ ი , შ უ კ ა და ბ ა ნ ი (478, 1),
4. სრულად ნათლითა აევსო ს ა ხ ლ ი , შ უ კ ა და უ ბ ა ნ ი (480, 3).
5. წა, უკუდეგ! ა ვ ი , შ მ ა გ ი , უ მ ე ც ა რ ი , შ ლ ე გ ი , წ ბ ი ლ ი (759, 3).
6. გეაჯები, საყვარელსა შ ე მ ა ხ ვ ე წ ე , შ ე მ ა ბ რ ა ლ ე ,
ნუ წამოვა ძებნად ჩემად, მ ი უ წ ე რ ე , შ ე ც ა ს თ ვ ა ლ ე (1289, 3—4).

საგულისხმოა, რომ ჩამოთვლის დროს რუსთველი იყენებს არსებით სახელებსა და ზმნებს. მეტყველების სხვა ნაწილები მსგავს შემთხვევაში ძლიერ იშვიათად შეინიშნება. რუსთველს ზოგჯერ გრადაცია, აღმავლობა მოუმარჯვებია ჩამოსათვლელი სიტყვების შერჩევისას, ზოგჯერ — დაღმავლობა. “სრულად ნათლითა აევსო ს ა ხ ლ ი , შ უ კ ა და უ ბ ა ნ ი”, - გრადაციის პრინციპზეა აგებული, სიტყვა-ცნებათა შინაარსი ჩამოთვლის პროცესში ფართოვდება და იზრდება. მეორე შემთხვევაში, პირიქით, სიტყვა-ცნებათა შინაარსი იკუმშება და ვიწროვდება, დაღმავალი გზით ვითარდება (“ჩემთა მჭვრეტელთა მოეცვა ქ ა ლ ა ქ ი , შ უ კ ა და ბ ა ნ ი”). ბევრი ჩამოსათვლელი სიტყვა სინონიმური მნიშვნელობისაა (“ლადი, შვებული”, “კრძალვით და რიდობით”, “შმაგი, შლეგი” და მისთანანი).

ცალკე უნდა აღინიშნოს ზ მ ნ ე ბ ი ს ს ი უ ხ ვ ე “ვეფხისტყაოსნის” ფრაზერში. ზმნების სიუხვე ხელს უწყობს სიტყვის დაზოგვასა და სტილურ ეკონომიას, აზრის მოკლედ და სხარტად გამოთქმას. ფატმანი ასე გადმოსცემს ზღვათა მეფის სასახლიდან გამოპარული ნესტანის ხილვის ამბავს (1199, 3—4):

გავე, ვიცან, მოვეხვიე, გამიკვირდა მეცა განა.
შინა ყოლა არ შემომყვა: “რად მაწვეო?” შემანანა.

ასეთივეა (860, 2):

ქვაბი ჩავლო, წყალსა გახდა, შამბი გავლო, ველს გავიდა.

სიტყვიერი ეკონომიის დამახასიათებელი ნიმუშია (1129, 1).

მაშორვიდა, ვერად ვიცან: მომეახლა, იყო ნავი.

პოემის ზოჯიერთი ტაეპი მთლიანად, ან თითქმის მთლიანად, ზმნებისაგან შედგება, მაგალითად:

დანა დაიცა, მოცაკვდა, დაეცა, გასისხლმდინარდა (582, 4).
მას ამსგავსებდის, ილხენდის, უჭვრეტდის, ეუბნებოდის (838, 4).
შეხედნა, იცნა, გაიქცა, მისკე მირბოდა, ხლდებოდა (1334, 4).

აქა-იქ ზმნის ფორმითაა გამოხატული მხატვრული ჩამოთვლა. მაგალითად (891, 4):

დაიმორჩილა, ეამა, არ ივაგლახა, არ ვებდა.

როგორც ენობრივი მოვლენა და სტილურ-პოეტური ხერხი განმეორებასთან ახლოსაა პარალელიზმი, ზოგჯერ განმეორებასა და პარალელიზმს შორის იგივეობის ნიშანიც კი დაისმება, მაგალითად:

შენ არ-გატეხა კარგი გჭირს ზენაარისა, ფიცისა (706, 1).
ვა, საწუთრო ბოლოდ თავსა ასუდარებს, აზეწარებს (716, 4).

ამ ტაეპში დაყოფილი სიტყვები (“ზენაარისა, ფიცისა”, “ასუდარებს, აზეწარებს”) განმეორებებსაც წარმოადგენს და პარალელიზმებსაც. მაგრამ პარალელიზმი მაინც თავისთავადი, სპეციფიკური პოეტური ხერხია საზოგადოდ. ეს ხერხი უაღრესად ნიშანდობლივია “ვეფხისტყაოსნისათვის”.

რუსთველი სარგებლობს პარალელიზმის ორი სახეობით: დადებითი პარალელიზმით და უარყოფითი (კონტრასტული) პარალელიზმით. რაოდენობრივად და თვისობრივად კონტრასტული პარალელიზმის ხვედრითი წონა პოემისათვის გაცილებით დიდია. ამასთან, ისიც აღსანიშნავია, რომ კონტრასტული პარალელიზმი შედარებით იშვიათი მოვლენაა ლიტერატურაში, დადებითი პარალელიზმი კი (არსებითად ჩამოთვლა-განმეორება) ასევე შედარებით ხშირია.

მოვიყვანთ დადებითი პარალელიზმის რამდენიმე ნიმუშს:

1. მარგალიტი არვის მიჰხვდეს უსასყიდლოდ, უვაჭრელად (162, 3).
2. ყოვლთა მზეებრ მოგეფინოს, ვარდსარზრვიდეს, არაჭნობდეს (168, 3).
3. მიჰხვდა რასმე ქვეყანასა უგემურსა, მეტად მქისსა (183, 1).
4. ქალსა ყმამან მოუსმინა, დაჰმორჩილდა, დაჰრთონება (263, 1).
5. შენი ქალი არად მინდა, გაათხოვე, გამარიდე (566, 1).
6. ნუ მაცოცხლებ, ნუ დამარჩენ, შემიხვეწე, შემიბრალე (571, 3).
7. შენ გენუკვი, შემიჯერო, დმერთი დმრთო, ცაცაიცო (664, 3).
8. სხვა მოყვარე თვალსა ჩემსა გაკიცხულა, გაბასრულა (862, 4).
9. ვაჭრის ცოლთა ვუმასპინძლე მხიარულად, ამოდ, დურად (1127, 1).
10. ესე ამბავი მასთანა ვთქვი დიაცურად, ხელურად (1206, 1).

კონტრასტული პარალელიზმის მაგალითები:

1. მერმე ჩემი მიჯნური ხარ, დასტურია, არნაჭორად (130, 3).
2. ყმამან უთხრა: მომისმინე, მართლად გითხრობ, არაჭრელად (162, 1).

3. ვინცა მიჭვრეტდის, ბნდებოდის - მ ა რ თ ლ ა დ ა რ ს , ა რ კ ა ტ ა ბ ა ნ ი (478, 4).
4. მის მოყვრისა მოშორება კვლ ა ბ ი ნ დ ე ბ ს , ა რ ა დ ი ლ ე ბ ს (713, 4).
5. კვლა შევა დარბაზს ვაზირი და დ რ ე ჯ ი თ , ა რ მ ხ ი ა რ უ ლ ა დ (820, 1).
6. მას მოვეშორვე, წამოვე ს ი ჩ ქ ა რ ი თ , ა რ ს ი წ ყ ნ ა რ ი თ ა (889, 2).
7. იგი ნავი მეკობრეთა მ ა ს დ ღ ე ნ ა ხ ე ს , ა რ ა ხ ვ ა ლ ე ს (1053, 1).
8. ნაკვთად კარგი, შავ-გრემანი, პ ი რ - მ ს უ ქ ა ნ ი , ა რ პ ი რ - ხ მ ე ლ ი (1077, 2).
9. ჩამოვჭბურე მრავალ-კეცი სტავრა მ ძ ი მ ე , ა რ ს უ ბ უ ქ ი (1143, 3).
10. მუნ ვაჭარმან ო ქ რ ო ს ფ ა ს ა დ ც ხ ე ნ ი მ ი ს ც ა , ა რ უ მ ღ ვ ა ნ ა (1374, 3).

ფუნქციონალურად პარალელიზმები მხატვრულ განმეორებათა როლს ასრულებს პოეტურ ტექსტში. როდესაც ავტორს სურს საგანგებოდ უჩვენოს, მაგალითად, ფატმანის გარეგნობის (ვაჭრის ცოლის ტიპური გარეგნობის) ისეთი მხარე, როგორცაა სიმსუქნე, მას მოჰყავს შესაფერისი შინაარსის მქონე ჩვეულებრივი სიტყვა-ეპითეტი პ ი რ - მ ს უ ქ ა ნ ი . ეს სიტყვა-ეპითეტი ზუსტად გამოხატავს საჭირო აზრს. მაგრამ პოეტი არ კმაყოფილდება გარკვეული აზრის გამოსახატავად დადებითი ფორმის გამოყენებით. აზრის გამოსაკვეთად პოეტი იშველიებს დამატებით სიტყვა-ეპითეტს, რომელიც უარყოფითი გზით აღბეჭდავს დადებითი გზით გადმოცემულ შინაარსს. ესაა ა რ პ ი რ - ხ მ ე ლ ი . ერთ შემთხვევაში ფატმანის გარეგნობას რუსთველი ახასიათებს გამოთქმით პ ი რ - მ ს უ ქ ა ნ ი , მეორე შემთხვევაში გამოთქმით - ა რ პ ი რ - ხ მ ე ლ ი . სიტყვათა ასეთი შეხამებით პოეტი ნიშანდობლივად ავლენს ვაჭრის ცოლის დამახასიათებელსა და დასამახსოვრებელ გარეგნობას. უარყოფითი პარალელიზმის საშუალებით რუსთველი აძლიერებს და აცხოველებს საჭირო აზრობრივი მხარის სიმკვეთრეს.

რუსთველი სწორუპოვარია თავისი მშვენიერი აფორიზმებითაც. აფორიზმის საშუალებით გარკვეული, დასრულებული აზრი გამოითქმება მოკლედ, სხარტად და მკაფიოდ. აფორიზმი პოეტური ფორმულაა ბრძნული აზრისა. რუსთველის აფორიზმებში სიტყვიერი ეკონომიითა და მოხდენილობით მიღწეულია აზრობრივი მაქსიმუმი. “სხვა სხვისა ომსა ბრძენია”, “სიყვარული აგვამაღლებს”, - ამბობს პოეტი და ორიოდ სიტყვით გამოხატავს ყველა ხალხისა და ყველა დროისათვის გასაგებ უქცნობ ბრძნულ დებულებას. რუსთველის აფორიზმის შთამაგონებელი ძალა უფრო იგრძნობა კონტექსტით, თუმცა მას არც კონტექსტის გარეშე ეკარგება მნიშვნელობა. რუსთველი გაშლილ აზრს ჰკრავს ან ხურავს აფორიზმით. მსგავს შემთხვევაში აფორიზმი ბუნებრივად გამომდინარეობს ავტორის წინა მსჯელობიდან, აფორიზმი ლოგიკური დასკვნაა პოეტის ნააზრევისა. რუსთველი ჩვეულებრივ ერთი სტროფის ფარგლებში ათავსებს აფორისტულად გამოსათქმელ თავის მოსაზრებას. სტროფის პირველ სამ ტაეპში პოეტი წანამძღვრების სახით ავითარებს გარკვეულ შეხედულებას, ზოგჯერ გამოკვეთილად გამოხატულ დებულებას, ბოლოს, მეოთხე ტაეპში კი ამ წანამძღვრების საბუთიანობის კვალობაზე ბრწყინვალე ფორმით აყალიბებს თავის უკვდავ აფორიზმებს. არაიშვიათად აფორისტული ხასიათისაა თვითონ წანამძღვარი მოსაზრებანი, უკეთ, წანამძღვრებიც აფორიზმებადაა გამოკვეთილი. ერთი სიტყვით, მთელი სტროფი არის აფორისტული რიგისა. ამ რიგიდან ძირითადი მნიშვნელობისაა საბოლოო, დასკვნითი აფორიზმი, რომლის შეფარდებითს ხვედრით წონას ერთგვარად განსაზღვრავს შემავალ ან წანამძღვარ აფორიზმთა რაობა.

აღნიშნული კონსტრუქციისაა, მაგალითად, განთქმული აფორიზმი (800).

ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვიშრო, ვერცა კლდოვანი;
მისგან გასწორდეს ყოველი, სუსტი და ძალ-გულოვანი;
ბოლოდ შეყარნეს მიწამან ერთგან მოყმე და მხცოვანი.
სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი.

აღსანიშნავია, რომ რუსთველის აფორიზმებისათვის უცხოა უბრალო სენტენციური შეგონება, თუმცა უდავოა მათი შთამაგონებელ-აღმზრდელობითი მნიშვნელობა. საგულისხმო ისიცაა, რომ რუსთველის აფორიზმები გადავიდა ხალხში და ფართოდ გავრცელდა როგორც გენიალური პოეტის მიერ გამოხატული ხალხური სიბრძნე. ხალხმა თავის საყვარელ პოეტს მიაწერა თავისი საკუთარი აფორიზმებიც. ასე, მაგალითად, რუსთველს მიეწერება ხალხური წარმომოხობის ისეთი აფორიზმები, როგორიცაა:

1. ათასად გვარი დაფასდა, ათიათასად ზრდილობა,
თუ კაცი თვითონ არ ვარგა, რას არგებს გვარიშვილობა?
2. წასვლა სჯობს წარმავალისა, არ დაყოვნება ხანისა.

რუსთველის პოეტური ენის უმნიშვნელოვანეს კომპონენტს შეადგენს ამ ენის ბგერითი მხარე. რუსთველი უბადლო ოსტატია პოეტური ფრაზის ბგერული ორგანიზაციისა. პოემაში სიტყვათა ბგერული ჰარმონია განუკვეთელ მთლიანობაშია ლექსის ერთიან კონსტრუქციულ სისტემასთან. “ვეფხისტყაოსანს” ახასიათებს ბ გ ე რ უ ლ გ ა ნ მ ე ო რ ე ბ ა თ ა ორივე სახეობა - ასონანსი და ალიტერაცია (ასონანსი ეწოდება ხმოვანთა განმეორებას, ალიტერაცია კი ნიშნავს თანხმოვანთა ჰარმონიულ შეწყობას), თუმცა პოემისათვის უფრო ნიშანდობლივია მეორე, ე. ი. ალიტერაცია.

ასონანსების სანიმუშო მაგალითებია:

1. მოართვეს. გასცა უზომო, უანგარიშო, ულევი (52, 4).
2. ტარიელისკენ იარნა მან გზანი საწყინარენი,
უდაბურნი და უგზონი, უცხონი რამე არენი.

თავის ადგილას უკვე აღვნიშნეთ, რომ ყურადღების გასამახვილებლად და შთაბეჭდილების გასაძლიერებლად აქ ადგილი აქვს სიტყვათა აზრობრივ-სინონიმურ განმეორებას. ფრაზების იშვიათი მუსიკალური ჟღერადობა თავის მხრივ პოეტურ ნააზრევსა და ჩანაფიქრს შესაფერისად მატებს შნოსა და სილამაზეს. დამოწმებული ტაეპები მშვენიერი ნიმუშებია აზრით მდიდარი და ფორმით უზადო პოეტური ფრაზეოლოგიისა.

“ვეფხისტყაოსნისათვის” ე ვ ფ ო ნ ი ი ს სფეროში ალიტერაცია იმავე როლს თამაშობს, რასაც მეტაფორა პ ო ე ტ უ რ ს ე მ ა ნ ტ ი კ ა შ ი . რუსთველის ფრაზებში ბგერა ბგერას, სიტყვა სიტყვას და აზრი აზრს ეჯიბრება თავისი მოხდენილობითა და დახვეწილობით. რუსთველს გადალახული აქვს პოეტური გამომსახველობის დაუძლეველი მწვერვალი. ამ დებულების საილუსტრაციოდ საკმარისია დავიმოწმოთ რუსთველის მხოლოდ ერთი პოეტური ფრაზა (ტარიელის ნაამბობიდან ხვარაზმშაჰის ძის მოკვლის თაობაზე):

კარვის კალთა ჩახლართული ჩავჭერ ჩავაკარაბაკე.

ამ ტაეპის ალიტერაციები და ასონანსები სიუხვითა და სილამაზით უძლიერეს შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე. ავტორი ბგერების საშუალებით ახერხებს

გადმოსცეს საძულველი გადამთიელის კარვის ჩაჭრის, ჩაკაფვის საუცხოო პლასტიკური სურათი. ბგერების გენიალური შერჩევით გამოხატავს რუსთველი ვერაგი მტრებისაგან მუხთლურად დახელთებული და წყლულებისაგან გამწარებული, მაგრამ ქედმოუხრელი და ამაყი რაინდის ყვილს ღამის სივრცეში (593, 1):

მოყმე ამაყად ყიოდა.

კიდევ ორიოდე მაგალითი “ვეფხისტყაოსნის” ტექსტის ბგერული ჰარმონიისა:

1. მიჰხოცდეს და მიისროდეს, მინდორს სისხლთა მიასხმიდეს.
2. მე ვარ არაბი, არაბეთს არს ჩემი დარბაზებია (385, 3).
3. მითხრა: ღმერთმან სიმგრგვლე ცისა ჩვენთვის რისხვით წამოგრაგნა (569, 4).

ბგერული განმეორება ზოგჯერ ერთი ტაეპიდან გადადის მეორე ტაეპში. მაგალითად (1217, 1 - 2):

მოვიდა სითმე ღარიბი მონა მოყვსითა სამითა,

მონა მონურად მოსილი, სხვანი მგზავრულად ხამითა.

”ვეფხისტყაოსნის” პოეტურ ფრაზებს ამშვენებს ერთი სპეციფიკური რუსთველური სახე ალიტერაციისა, ს ი ტ ყ ვ ა თ ა ნ ა წ ი ლ ა კ ე ბ ი ს გ ა მ ე ო რ ე ბ ა . მაგალითად:

1. ვითა მონა, სამსახურად განაღამცა წავე, წა, მე (134, 4).
2. თვალთა წინა წაგვივიდა ლალი, კუმტი, ამაყი, წა (209, 4).

რა თქმა უნდა, “ვეფხისტყაოსანში” სხვა ნაწილაკებიც არის გამოყენებული იმავე ალიტერაციული მიზნით. მაგალითად:

1. მისთა მჭვრეტელთა ყანდისა მირთმა ხამს მართ, მი, შერისა (3, 4).
2. ღრუბელიცა ვერ მიჰხვდების, მე მისრულვარ სადა, მი, სად (250, 3).
3. სვეს და ჭამეს, დასაწოლად ყმა გავიდა ღამით გარ, გა (1078, 4).
4. მას ადრე ვჰპოვებთ, ვისიცა მოგვკლავს ალვისა მო, ტანი (1387, 4).

“ვეფხისტყაოსნისათვის” ნიშანდობლივია ს ი ტ ყ ვ ა თ ა ა ლ ი ტ ე რ ა ც ი ა ც :

1. მზე აღარ მზეობს ჩვენთანა, დარი არ დარობს დარულად (820, 4).
2. იგი ნახნეს დაღრეჯილნი, მზე დაიღრეჯს მათის ღრეჯით (950, 4).

რუსთველის ლექსი

“ვეფხისტყაოსნის” სიდიადეს თავის მხრით ხელს უწყობს ლექსის მაღალი ხარისხი. პოემა თავიდან ბოლომდის გაწყობილია შ ა ი რ ი ს მეტრით. შაირი თავისი

წარმოშობით ქართული ხალხური საზომია. ამ საზომითაა გამართული ძველი ქართული ხალხური თქმულებანი ჯერ კიდევ წარმართული პერიოდისა.

შაირი არის ქართული ენის ბუნების შესატყვისი მოქნილი, მონუმენტური საზომი, რომელიც განსაკუთრებით ამშვენებს დიდ ეპიკურ პოემებს. შაირი თექვსმეტმარცვლოვანი ლექსია. ვრცელი პოემის შიგნით მონოტონურობისა და ერთფეროვნების დასაძლევად რუსთველი მაქსიმალურად იყენებს შაირის რიტმული წყობის ვარიაციებს. პოეტი აკანონებს შაირის ორ ძირითად სახეს - ე. წ. მაღალსა და დაბალს.^[55] სანიმუშოდ შეიძლება მოვიყვანოთ შემდეგი მაგალითები: მაღალა შაირი (84):

ნახეს უცხო /მოყმე ვინმე// ჯდა მტირალი /წყლისა პირსა,
შავი ცხენი / სადავითა // ჰყვა ლომსა და / ვითა გმირსა,
ხშირად ესხა //მარგალიტი// ლაგამ-აბჯარ / უნაგირსა.
ცრემლსა ვარდი/ დაეთრთვილა//გულსა მდულრად/ ანატირსა.

დაბალი შაირი (32):

იყო არაბეთს/ როსტევან, //მეფე ღმრთისაგან/ სვიანი,
მაღალი, უხვი, / დაბალი, //ლაშქარ-მრავალი, /ყმიანი.
მოსამართლე და /მოწყალე, /მორწმული, განგე/ ბიანი.
თვით მეომარი /უებრო, // კვლა მოუბარი/ წყლიანი.

თუმცა შაირის ორივე სახის ტაეპი თექვსმეტმარცვლოვანია, განსხვავებულია მათი რიტმული წყობა, ტერფების შედგენილობა და ურთიერთშეფარდება. ორივე სახის შაირის თითოეული ტაეპი დიდი ცეზურით იყოფა ორ თანასწორ მარცვლოვან ნახევარტაეპად (ანუ მუხლად), ნახევარტაეპებში რვა-რვა მარცვლია, განსხვავებულია ტერფების მარცვლადი შედგენილობა. დაბალი შაირის საფუძველია სამმარცვლიანი ტერფი, მაღალი შაირის ტერფი კი ორმარცვლიანია.^[56] დაბალი შაირის მაგალითი:

2 3 3 2 3 3
იყო არაბეთს /როსტევან, // მეფე ღმრთისაგან / სვიანი.

შესაძლებელია ამავე სახის შაირის ტაეპებში სიტყვათა და ტერფთა განლაგების სხვაგვარი სურათი, მაგალითად:

3 2 3 3 2 3
რომელმან შექმნა /სამყარო// ძალითა მით ძლი/ერთითა.

დაბალი შაირის ნახევარტაეპები სამტერფოვანი ერთეულებისაგან შედგება. დამოწმებულ ორივე შემთხვევაში ტაეპის სიტყვები დაჯგუფებულია სამ და ორმარცვლოვან ტერფებად (2, 3, 3 = 2, 3, 3; 2, 3, = 3, 2, 3). ნახევარტაეპების პირველი ორი სიტყვა (პირველი ორი ტერფი) ქმნის დამოუკიდებელ რიტმულ ჯგუფს (2 – 3; 3 – 2) და მომდევნო სიტყვისაგან (ტერფისაგან) იყოფა მცირე ცეზურით. მაღალი შაირის რიტმული წყობის სქემა:

2 2 2 2 2 2 2 2
ნახეს უცხო / მოყმე ვინმე, //ჯდა მტი/რალი / წყლისა პირსა.

როგორც აღვნიშნეთ, მაღალი შაირის ტერფი ორმარცვლოვანია, ორტერფოვანი ერთეულები ქმნის რიტმულ ჯგუფებს (4- - 4), მათაც ერთმანეთისაგან ჰყოფს მცირე ცეზურა.

შაირის ლექსში რიტმული და გრამატიკული მახვილი ჩვეულებრივად ერთმანეთს ემთხვევა. ზოგჯერ რიტმული მახვილი (ცეზურა) შუაზე ჰკვეთს სიტყვას /განგე/ზიანი, მით, ძლი/ერთია/, მაგრამ ლექსის მუსიკალობა ამით ოდნავადაც არ ზიანდება. ლექსის ბუნებრივად კითხვისას (ქართული ლექსი სხვაგვარად არც იკითხება) რიტმულ და გრამატიკულ მახვილთა შეფარდებითი ურთიერთდამოკიდებულება საერთოდ არ იგრძნობა.

დაბალი და მაღალი შაირების რიტმულ წყობას შესაფერისად ამკობს სათანადოდ განსხვავებული რითმები. “ვეფხისტყაოსანში” მკაცრად არის განსაზღვრული რითმების ხმარების წესი. ორივე სახის შაირის სტროფი ოთხტაეპოვანია. თითოეული ტაეპი ერთმანეთს ერთმეზა თანახმად სქემისა aaaa. დაბალი შაირის რითმა სამმარცვლოვანია (დაქტილურია) ისე, როგორც ძირითადად სამმარცვლოვანია მისი ტერფი: სვიანი, ყმიანი, განგებიანი, წყლიანი. მაღალი შაირის რითმა კი ორმარცვლოვანია (ორმარცვლოვანია მისი ტერფიც). ანუ ქალურია: პირსა, გმირსა, უნაგირსა, ანატირსა.

რუსთველის რითმები ყოველთვის სწორია და ბუნებრივია, ნაკიან რითმას რუსთველი არ იცნობს.

როგორც მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, საყრდენი თანხმოვანი რუსთველის რითმაში ჩვეულებრივ არ შედის. თუმცა პოეტი ამ მხრით ხშირად ართულებს და ამდიდრებს თავის ლექსს, სტროფის ოთხივე ტაეპის მანძილზე რითმაში აქცევს საყრდენ თანხმოვანსაც, მაგალითად (3):

ვის ჰშვენის, - ლომსა, - ხმარება შუბისა, ფარ-შიმშერისა,
მეფისა მზის თამარისა, ღაწვ-ბადახშ, თმა-გიშერისა,
მას, არა ვიცი, შევჰკადრო შესხმა ხოტბისა, შე, რისა,
მისთა მჭვრეტელთა ყანდისა მირთმა ხამს მართ, მი, შერისა.

რიტმების ხმარების წესი “ვეფხისტყაოსანში” ისე ზუსტად არის განსაზღვრული, რომ რითმის კვალობაზე თითქმის მექანიკურად შეიძლება ამოიცნოთ შაირის სახე. მაგრამ პოემაში დაშვებულია სხვადასხვა გარემოებით გამოწვეული გადახვევანი. ასეთია, მაგალითად, მ ა ჯ ა მ უ რ ი რ ი თ მ ა . თავისი სპეციფიკური თვისების გამო მაჯამური რითმა არ ემორჩილება ჩვეულებრივ ნორმებს, მაჯამების (ომონიმების) მთელი სიტყვიერ-ბგერული კომპლექსები შედის რითმაში.^[52] მაგალითად (494):

ღმერთმან თუ მცა ენა ჩემი ქებად შენდა უშენოსა,
შენთვის მკვდარი, აღარ ვიტყვი, მაშა მომკლავ უშენოსა:
მზემან ლომსა ვარდ-გიშერი ბალი ბალჩად უშენოსა:
შენმან მზემან, თავი ჩემი არვის ჰმართებს უშენოსა.

რამდენიმე ცალკეულ შემთხვევაში მაღალი შაირიც დაბალი შაირის მსგავსად სამმარცვლოვანი რითმით არის გამართული. მაგალითად (1413):

პირველ ამოდ მიდიოდეს მგზავრთა რათმე მაგიერად,
მათ შიგანთა ვერა უგრძნეს, ვერცა დაჰხვდეს გულ-ხმიერად:
გულსა შიში არა ჰქონდა, ამოდ დგეს და ნებიერად,

მიდგეს გარე, მუზარადნი დაიხურნეს ჟამიერად.

რაოდენობის მიხედვით დაბალ შაირს მეტი ადგილი უჭირავს “ვეფხისტყაოსანში”. აზრობრივი თვალსაზრისით რაიმე ზუსტად განსაზღვრული წესი მაღალი და დაბალი შაირის ხმარებისა არ ჩანს. გარკვეული ტენდენციები კი იგრძნობა. ამდენად მართებულად უნდა მივიჩნიოთ მოსაზრება: “მაღალი ანუ ჩქარი შაირი შოთას უპირატესად გამოყენებული აქვს მაშინ, როდესაც მდგომარეობა, საქმის ვითარება დაუყოვნებლივ მოქმედებას მოითხოვს; ამავე შაირით გადმოცემულია უფრო ხშირად მხიარული, სალალობო სცენები. დაბალი ანუ ნელი შაირი, პირიქით, უპირატესად გამოყენებულია მაშინ, როცა მოსაწყენი, სევდის მომგვრელი სურათებია მოცემული, აგრეთვე მძიმე, სერიოზული საკითხებია გადასაწყვეტი, ანდა ეპიკური თხრობაა გადმოსაცემი”.^[58]

რუსთველის ლექსი უაღრესად ორგანიზებულია, ტექნიკურად სრულყოფილია, მუსიკალურად სამაგალითოა. “ვეფხისტყაოსნის” ლექსის ყოველ კომპონენტს ეტყობა გენიოსი ავტორის შემოქმედი ხელი.^[59]

რუსთველის მახლობელი წინამორბედი და თანამედროვენი ქართულსა და მსოფლიო ლიტერატურაში

აშკარად მცდარია აკად. ნ. მარის მიერ ერთ დროს გამოთქმული მოსაზრება, თითქოს “ვეფხისტყაოსანი” მეტეორივით მოველინა ჩვენს კულტურას და მას არაფერი აქვს საერთო ქართულ მწიგნობრობასთან და საზოგადოებრივ აზროვნებასთან. ნამდვილად კი რუსთველის შემოქმედება არის ქართული სულიერი კულტურის ბუნებრივი მწვერვალი. რუსთველს ჰყავდა შესანიშნავი წინამორბედი ქართველი ჰიმნოგრაფების სახით, მას მხარს უმშვენებდნენ მისჟამინდელი ღირსეული თანამოკალმენი (შავთელი, ჩახრუხაძე, სარგის თმოგველი). თუმცა რუსთველმა სავსებით დაძლია და გადალახა საეკლესიო-სარწმუნოებრივი აზროვნება და შექმნა ჰუმანისტური პოეზიის უკვდავი ძეგლი, იგი სრულიადაც არ თაკილობდა ძველ-ქართულ სასულიერო მწერლობას და ერთგვარად დავალებულია კიდევაც ამ მწერლობის საუკეთესო ნიმუშებისაგან, განსაკუთრებით ეს ითქმის ძველ-ქართულ სასულიერო პოეზიაზე. იდეურობითაც და მხატვრობითაც “ვეფხისტყაოსანი” ძალიან შორს ტოვებს “ამირანდარეჯანიანსა” და “ვისრამიანს”, მაგრამ ცალკეული მომენტებით მათ ემთხვევა.^[60] რიგი პოეტური სახეებით, გამოთქმებით, ლექსიკით რუსთველი ენათესავება მე-12 საუკუნის ქართველ მეხოტბეებს. 16-მარცვლოვანი პოეტური მეტრი, რომელიც უკვდავყო რუსთველმა, ადრე გამოყენებული ჰქონდათ ქართველ ჰიმნოგრაფებს (იოვანე-ზოსიმეს, ფილიპეს, არსენ იყალთოელს), თანამედროვეთაგან ამ მეტრით ნაწილობრივ სარგებლობდა ჩახრუხაძე.

“ვეფხისტყაოსნის” ახალი გერმანული თარგმანის ავტორის ჰუგო ჰუპერტის სიტყვით, რუსთველის პოემა გარეგნული ფორმით იმ ტიპის სარაინდო რომანია, რომელიც დასავლეთ ევროპაში ჩამოყალიბდა. დასავლეთ ევროპის სარაინდო რომანების ტიპიურ ნიმუშებად ითვლებიან პარციფალი, ლანსელოტი ანუ ურმის რაინდი და ტრისტან და იზოლდა. ყველა ამათ (განსაკუთრებით პირველ ორს) ძლიერად მსჭვალავს ქრისტიანული

სარწმუნოებრივ-აღმსარებლობითი სულისკვეთება. როგორც ცნობილია, ქრისტიანულ-სარწმუნოებრივი აღმსარებლობის, საკუთრივ კათოლიკური აღმსარებლობის ძლიერი დალით აღბეჭდილია თვითონ ადრეული რენესანსის გიგანტების დანტეს (1265 - 1321) და პეტრარკას (1304 - 1374) შემოქმედება. “ვეფხისტყაოსანი” დადებითად გამოირჩევა თავისი თანამოასაკე ყველა განთქმული სარაინდო რომანისაგან. რუსთველმა სავსებით დაძლია სარწმუნოებრივ-აღმსარებლობითი დოგმატიკა. აკადემიკოს ვ. შიშმარიოვის დასკვნის თანახმად - “დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების უდიდეს პოეტთა საწინააღმდეგოდ, შოთასთვის უცხოა ყოველგვარი აღმსარებლობითი და საეკლესიო დოქტრინა”.^[61]

ქრისტიანულ-სარწმუნოებრივი დალი მეტად ძლიერად აქვს დამჩნეული ე. წ. წმინდა გრაალის ციკლის რომანებს. წმინდა გრაალი თითქოს “საიდუმლო სერობის” პინაკია, რომელშიაც ჯვარცმული ქრისტეს სისხლის წვეთები დაგროვილა. დასავლეთ ევროპის ბევრ სარაინდო რომანში, კერძოდ, ვოლფრამ ემენბახელის “პარციფალში” მოთხრობილია გრაალის მოპოვებასა და დაცვასთან დაკავშირებული ზღაპრულ-ფანტასტიკური ამბები. საგულისხმოა, რომ ისეთი სამიჯნურო-სარაინდო რომანიც კი, როგორცაა კრეტიენ დე ტრუას “ლანსელოტი ანუ ურმის რაინდი”, ვერ ასცდა გრაალის მისტიკურ ისტორიას, იქნებ ეს გარემოება აქვს მხედველობაში საფრანგეთის თანამედროვე გამოჩენილ მწერალ ლუი არაგონს, როდესაც ამბობს: “საქართველომ წარმოშვა თავისი დანტე, მაშინ როცა ჩვენ კრეტიენ დე ტრუამდე ძლივს მივაღწიეთ”.^[62]

დასავლეთ ევროპის სარაინდო რომანების არც ერთ ავტორს არ გამოუხატავს ისეთი ამაღლებული, ზნეფაქიზი და მეზნებარე თავისუფალი სიყვარული, როგორსაც აღტაცებულად უმღერა შოთა რუსთველმა. მშვენიერი ნესტანი და თინათინი სრულიად არ ჰგვანან იმ “მანდილოსნებს”, რომელთაც “ემსახურებიან” დასავლური რომანების რაინდები. გამონაკლისს თითქოს წარმოადგენს ტრისტან და იზოლდა. კ. ბალმონტის მოსაზრებით, ტრისტან და იზოლდა ევროპული ლიტერატურის ერთადერთი თხზულებაა, რომელიც შეიძლება შეუდარდეს “ქართველი მგოსნის შეუდარებელ პოემას”. მართლაცდა, ნამდვილი ადამიანური სიყვარულის სტიქია არაჩვეულებრივი სიმძლავრითაა ასახული ბრეტონულ მოთხრობაში, ოღონდ, ტრისტანისა და იზოლდას თავმეუკავებელი ეროტიკული სიყვარული შორსაა რუსთველის პოემის თავდაჭერილი, უფაქიზესი სიყვარულისგან. მეორეც, ტრისტანისა და იზოლდას სიყვარული გაიკვანძა ჯადოსნური გარემოებით (ტრისტანმა და იზოლდამ შემთხვევით შესვეს სიყვარულის სამსალა). ამიტომაც ბრეტონული რომანის პერსონაჟების მოქმედებას განსაზღვრავს ბედისწერის ბრმა კანონი და არა მათი პიროვნული ნებასურვილი. ტარიელისა და ნესტანის სიყვარული ბუნებრივ პირობებში ჩაისახა, და ბუბებრივ ნიადაგზე აღმოცენდა. “ვეფხისტყაოსნის” გმირების მოქმედებას არც ღვთაებრივი ძალა წარმართავს და არც ბედისწერის წინასწარი განჩინება. “ვეფხისტყაოსნის” პერსონაჟების პიროვნული თავისუფლება მათ სიყვარულს აძლევს რენესანსულ ხასიათს.

ხალხთა მეგობრობის იდეამდე არ ამაღლებულან რუსთველის თანამედროვე დიდი ევროპელი პოეტები. შენიშნულია პროვანსალური კურტუაზული პოეზიისა და რუსთველის სამიჯნურო კოდექსების ცალკეული მხარეების დამთხვევის ფაქტები. აღსანიშნავია ორივე შემთხვევაში ქალისადმი თავყვანისცემის მოტივი, აგრეთვე პატრონყმურ-ვასალური სამსახურებრივი მოვალეობის გადახლართვა თუ შერწყმა სიყვარულის გრძნობასთან. ოღონდ ტრუბადურულ-მინნეზინგური

პოეზიისათვის დამახასიათებელია მანერულობა, ამ პოეზიით ასახული სასიყვარულო მგრძობელობა ხშირად ფიქტიურია. ნიშანდობლივია ისიც, რომ პროვანსალური პოეზიის სამიჯნურო კონცეფციით სიყვარულის საგანი შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ ქმრიანი მანდილოსანი. სარაინდო ტრუბადურული პოეზია აიდეალებს მეუღლეობის გარეშე სიყვარულს. ეს პოეზია არსებითად უმღეროდა ოჯახური სიწმინდისა და მეუღლეობრივი ერთგულების რღვევას. ფრ. ენგელსი ამბობს: “თავისი კლასიკური სახით გამოხატული, პროვანსელებში, რაინდული სიყვარული აფრაგამილილი მიექანება ცოლქმრული ერთგულების დარღვევისაკენ და პოეტებიც ამ ღალატს უმღერიანა”.^[63]

“ვეფხისტყაოსანი” სიყვარულის ერთგულების ჰიმნია. რუსთველური მაღალზნეობრივი სიყვარული ქმნის მეუღლეობრივი კავშირის ურღვევ საფუძველს. რუსთველი ნამდვილად ბევრი მხრით განსხვავდება დასავლეთელი თანამოკალმეებისაგან.

რუსთველი კარგად იცნობდა აღმოსავლეთის პოეზიას, ის ასახელებს ფირდოუსის “შაჰ-ნამეს”, გურგანის “ვის-ო-რამინის” და ნიზამი განჯელის “ლეილი-ო-მაჯნუნის” პერსონაჟებს. განსაკუთრებით საყურადღებოა “ვეფხისტყაოსნისა” და ნიზამის პოემების (“ლეილი-ო-მაჯნუნ”, “ხოსროვ-ო-შირინ”) შეპირისპირება. “ლეილი-ო-მაჯნუნ”, ანუ “ლეილმაჯნუნიანი” მშვენიერი ნაწარმოებია, სადაც წარმტაცი პოეტური ენით ასახულია სიყვარულის ყოვლისმომცველი ძალა. მაგრამ ეს სიყვარული საიმქვეყნო ბედნიერებისათვის არის განკუთვნილი და მისტიკურ-სუფისტური სულით არის გამსჭვალული.

“ხოსროვშირინიანი” სხვა ასპექტის თხზულებაა. თუ “ლეილ-მაჯნუნიანი” აიდეალებს ცოტა არ იყოს განყენებული, მისტიკური იერის მქონე და რამდენადმე უსიცოცხლო, სუფისტურ სულიერ ტრფობას, “ხოსროვშირინიანში” ჭარბობს ხორციელი გატაცების, შიშველი ეროტიკის, დაუცხრომელი ვნებათაღელვის მოტივები. დაუოკებელი ხორციელი ჟინი ამოქმედებდა პოემის მთავარ გმირ ხოსროვს. ხოსროვის შესახებ შეიძლება მოკლედ მოვჭრათ. თვითონ ნიზამი განჯელის დახასიათებით იგი იყო ვერაგი, აუტანელი, უღმობელი, შურის მაძიებელი, დესპოტი, საშინელი ეგოისტი, ავხორცი, თუმცა გარეგნულად წარმოსადეგი, ტანადი, ახოვანი, საბოლოოდ - განებივრებული, ჭირვეული, მტარვალი შაჰი.

ხოსროვმა არაერთგზის დაამცირა შირინი, შეურაცხჰყო მისი წმინდათა წმინდა გრძობები, ბევრი აჩივლა და ბევრი ატირა. ამასთან ვიღაც უცნაური ჰკვათამყოფლის სიტყვები მოიშველია, ცოლს რომ აწყენინებ და გააგულისებ, შემდეგ ჯოხი უნდა უთაქო, ეს იქნება წყენის პასუხი და უებარი საშუალება დამშვიდებისათვისო. ამ “სიბრძნით” ხელმძღვანელობდა ხოლმე ხოსროვი პრაქტიკულად.

ხოსროვისათვის სულის სიწმინდე არ არსებობდა. ის თაყვანს სცემდა მხოლოდ თავის თავს, მხოლოდ თავის გაუმადლარ გულს ენდობოდა, მხოლოდ ავხორცულ ჟინს იყო მიყოლილი. დიდი ჰარამჰანის პატრონი (ორი ათასი კეკლუცი სეფე-ქალი და მონა-მხევალი ჰყავდა სადედოში დატყვევებული), მეუღლე ბიზანტიის მეფის ასულის მარიამისა, თანამეცხედრე ისპაჰანელი მზეთუნახავის შექერისა და გატაცებით მოტრფიალე შირინისა. ხოსროვს იზიდავდა შირინის ლამაზი სხეული, სანდომიანი ტანი. ავხორცული წადილის შესრულებისათვის მას გვერდში ედგა და ეხმარებოდა შაფური.

ხოსროვისა და შაფურის ურთიერთობას, მათ “მეგობრობას” ადარებდნენ ტარიელისა და ავთანდილის მეგობრობას. პოემის მიხედვით, შაფურს ზოგჯერ

მართლაც ეწოდება ხოსროვის მეგობარი. ნამდვილად კი შაფური იყო ხოსროვის თაყვანისმცემელი მსახური. შაფურმა კარგად იცოდა ხოსროვის გულის წადილი, მისი ბილწი ზრახვები. “ან ძალით, ან ხერხით, ან ნებაყოფლობით ჩემი გახადეო შირინი”, დაავალა ხოსროვმა შაფურს. ამ დავალების შესრულებისათვის ზრუნვას ეწირებოდა შაფურის მოღვაწეობა. გაიძვერა მაჭანკლის ხერხიანობით მოინდომა მან შირინის მონადირება, სომხეთის მეფის ასულს უტიფრად შესთავაზა ირანის შაჰის ხარჭობა, არც შერცხვენია, არც წარბი შეურხევია. გაქნილი ენის პატრონი, ცბიერი, პირფერი და მლიქვნელი, ამასთან მშიშარა და მხდალი, ძალღურად ერთგული და ლაქუცა, ნასუფრალის მოიმედე, იგი იყო ღირსეული მსახური თავისი მტარვალის პატრონისა.

ასეთი იყო შაჰისა და კარისკაცის თუ შინაყმის მეგობრობა. ტარიელისა და ავთანდალის ურთიერთობას კი ამაგრებდა და ადიადებდა თანასწორი სოციალური რანგის კეთილშობილ რაინდთა ურყევი სიყვარულისა და ქვემარტივი ძმობის მაღალი გრძნობა.

ნიზამი განჯელის ყველაზე ნათელი და სიმპათიური პერსონაჟია შირინი. შეიძლება სრულიად არ იყოს შემთხვევითი, რომ ის იყო კავკასიის მკვიდრი, ეროვნებით თითქოს სომეხი. მეცნიერთა ერთი რიგის აზრით, შირინის მხატვრული სახე ჩაგონებულია თამარით. საგულისხმოა, რომ “ხოსროვშირინიანის” მიხედვით, შირინის მამიდის ბანუ შამირას (და შემდგომში თვითონ შირინის) სამფლობელოში შედიოდა საქართველო. ბანუ შამირა დროდადრო მგზავრობდა, ნადირობდა და დროს ატარებდა აფხაზეთში (საქართველოში). როგორადაც უნდა იყოს, პროფ. ე. ბერთელსის სამართლიანი სიტყვით: «Создать образ Ширин ему (т.е. Низами) в значительной степени помогла близость к христианским кругам. При смешанном характере населения Ганджи и ее близости к Грузии поэт не мог не знать о том, что женщина там была свободна и не подвергалась тому унижению, которое было обычно в стране мусульман».^[64]

ერთი სიტყვით, შირინის პოეტურად მიმზიდველი, ღრმად იდეური ადამიანური სახე ან კონკრეტულად თამარის, ან საზოგადოდ ქართველი ქალის ანალოგიით არის შექმნილი. შირინი გამოხატავდა ჩვენი ქვეყნის მანდილოსანთა ზნეობრივ სიფაქიზესა და თავისუფლებისმოყვარეობას. მშვენიერი შირინის ბუნებას ადიადებს მისი უაღრესი პრინციპულობა და მაღალზნეობრივი სიყვარულისადმი ერთგულება. შირინი არ მიჰყვა და არ დაემორჩილა ხოსროვის ავხორცულ წადილს. ის ხოსროვს დაუახლოვდა მხოლოდ როგორც მეუღლე, როგორც დედოფალი. ამ მხრით შირინს არაფერი აქვს საერთო ირანული ტიპის სულწასულ, უნებისყოფო, ინერტულ ანდა ქვენა გრძნობების მონა დიაცთან. შირინი იყო დიდად გონიერი მანდილოსანი, სახელმწიფოებრივი ჭკუის პატრონი, გულისხმიერი და გულშემატკივარი ქვეშევრდომების მიმართ, დაუზარელი და ენერგიული პოლიტიკური მოღვაწე. შირინი სახელმწიფოებრივ სიბრძნეს ასწავლიდა ირანის მბრძანებელს.

ყოველივე ამასთან თვალში გეცემათ შირინის ხასიათის საჩოთირო მხარეებიც. შირინს აკლდა ქალური თავმოყვარეობისა და პატივმოყვარეობის ამამაღლებელი გრძნობა. იგი ყოველთვის ვერ ინარჩუნებდა სულიერ წონასწორობას, სულიერ სიმტკიცესა და თავდაჭერილობას. არსებითად შირინი იყო მისთვის საბედისწერო სიყვარულის უსიტყვო ბრმა მონა. რამდენჯერ უღალატა შირინს ხოსროვმა, რამდენჯერ შეურაცხყო მისი ქალური ღირსება, რამდენჯერ აკადრა დამამცირებელი სიტყვა. ხოსროვმა უკანასკნელი სურვილიც არ შეუსრულა შირინს, ქორწინების დღეც

გაუმწარა, საპატარძლო სარეცელიც შეუგინა. უზომოდ შეყვარებულმა ქალმა მაინც ყველაფერი აიტანა, ყველაფერი დაითმინა, ყველაფერი აპატია თავის მიჯნურს.

სულ სხვაგვარი იყო ნესტანდარეჯანი. ნესტანსაც უზომოდ უყვარდა თავისი მიჯნური ტარიელი. ნესტანიც უზომოდ ერთგული იყო თავისი მიჯნურისა. ნესტანს შესწევდა ნამდვილი თავდავიწყებისა და თავგანწირულების ძალა; მაგრამ კდემამოსილი, ნაზი და თავდაჭერილი ნესტანი იმავე დროს იყო ძუ ვეფხის ბუნების მქონე ქალი. იგი ვერ დაუშვებდა თავისი ღირსების დამცირებას, თავმოყვარეობის შელახვას, სიყვარულის საკითხში ყოყმანს, მით უმეტეს ორგულობასა და ღალატს. საკმაო იყო ნესტანის ოდნავი დაეჭვება ტარიელის ერთგულებაში, რომ შეუბრალებლად დასხმოდა თავს მიჯნურს და მას სასტიკად დამუქრებოდა.

განსაცვიფრებელი იყო ნესტანის თავმოყვარეობის გრძნობა, ნესტანის პრინციპული ქალური სიამაყე, მანდილოსნის მხრით საკუთარი ადამიანური ღირსების შეგნება და დაფასება. ნესტანი ვერ აპატიებდა თავის მიჯნურს ცრუ და მოქარგულ სიტყვას, მრუდე აზრსა და ფიცის გატეხას. ხარჭობის შეკადრების შესაძლებლობა ხომ სრულიად გამორიცხულია. ასეთი რამ ეუცხოება “ვეფხისტყაოსნის” ავტორის იდეათა სამყაროს. შირინისა და ნესტანის ხასიათების მოხსენებული სხვაობა ასე თუ ისე გამოხატავს ამ სახეთა შემქმნელი ავტორების მსოფლმხედველობრივი სხვაობის მხარეს.

მაინც განსაკუთრებულია “ხოსროვ და შირინის” ტრაგიკული აპოთეოზი. პოემაში არაჩვეულებრივი მხატვრული სიძლიერით არის აწერილი ხოსროვის მკვლელობის ამბავი. სიკვდილის ჟამს ხოსროვმა გამოამჟღავნა, როგორც ჩანს, მის არსებაში პოტენციურად ჩასახული, ოღონდ მთვლემარე კეთილშობილური ადამიანური გრძნობები. ნიზამის თვალსაზრისით, ნამდვილმა სიყვარულმა გარდაქმნა ხოსროვის ხასიათი, ხოსროვი ახლად დაიბადა, სიყვარულმა მას ახალი სული შთაბერა. მართალია, ეს მოხდა გვიან, ხოსროვი მაშინ სიკვდილის აგონიას განცდიდა. სიყვარულის გარდამქმნელმა ძალამ საბოლოოდ თავისი გაიტანა, ხოსროვი მოკვდა, როგორც თანაგრძნობისა და სიბრალულის ღირსი ადამიანი.

დიდი იდეურობით არის აღბეჭდილი “ხოსროვ და შირინის” ეს ტრაგიკული აპოთეოზი. სიკვდილმა სამუდამოდ შეაერთა და შეადულაბა ორი მოსიყვარულე გული. სიკვდილმა უკვდავყო სიყვარული. სიკვდილითვეა უკვდავყოფილი ლეილისა და მაჯნუნის სიყვარულიც. ასე ესახება სიყვარულის ბუნება ნიზამი განჯელს. “ვეფხისტყაოსანში” სხვაგვარი აპოთეოზია. რუსთველმა სიყვარულის უკვდავება სიცოცხლით დააგვირგვინა. “ვეფხისტყაოსნის” პერსონაჟებმა ამქვეყნიური ბედნიერება დაიმსახურეს საზოგადოებრივად სასარგებლო კეთილი საქმით. რუსთველის სიყვარული დედამიწაზე ზეიმობს თავის გამარჯვებას. ნიზამის სიყვარული კი საიმქვეყნო ზღვევის მოლოდინში რჩება.

ვეფხისტყაოსნის ხალხურობა

“ვეფხისტყაოსანი” ნამდვილი ხალხური ნაწარმოებია. ეს როდი ნიშნავს, თითქოს პოემის სიუჟეტი აღებული იყოს ხალხური ტარიელიანიდან. “ვეფხისტყაოსანი” ზეპირი გზითაც ფართოდ ვრცელდებოდა. სახალხო მთქმელები, ზეპირი სიტყვიერების ტრადიციების თანახმად, მათებურად ამუშავებდნენ რუსთველის პოემის მიმზიდველ ამბავს. ჩვენს დრომდის ბლომად არის მოღწეული “ვეფხისტყაოსნის” ხალხური ვარიანტები მთელი ამბებისა თუ ცალკეული

ფრაგმენტების სახით. “ვეფხისტყაოსნის” სიუჟეტი ჩვენს დროში დაამუშავეს შუა აზიის სახალხო მთქმელებმაც.

“ვეფხისტყაოსანი” არც იმიტომაცა ხალხური, რომ წარმოშობით ხალხურია შაირის მეტრი. “ვეფხისტყაოსანი” იმიტომაცა ხალხური, რომ ამ პოემით რუსთველმა მაღალი პოეტური ფორმით გამოხატა ქართველი ხალხის სანუკვარი იდეალები.

ქართველ ხალხს, უწინარეს ყოვლისა, მის მშრომელ ნაწილს, საუკუნეების მანძილზე ასულდგმულებდა თავისი მიწა-წყლის უზომო სიყვარული. ქართველ ხალხს საუკუნეების მანძილზე უხდებოდა თავგანწირული ბრძოლა სხვადასხვა მოძალადე აგრესიული ქვეყნის წინააღმდეგ თავისი არსებობის გადასარჩენად, თავისი კულტურის, თავისი ეროვნობის დასაცავად. ამ ბრძოლებით ქართველმა ხალხმა შეიმუშავა იდეალები, რაც მშვენივრად და უბრალოდ გამოთქვა რუსთველმა. იდეა ძმობა-მეგობრობისა, ხალხთა მშვიდობიანი თანამეზობლობისა, პატრიოტიზმისა, სიმართლისადმი სამსახურისა, გმირობისა და მამაცობისა, ამალღებული სიყვარულისა, გაჭირვებულის შეწყალებისა და სხვ. უცილობლად ეკუთვნის ხალხს. რუსთველმა არა მარტო სისწორით ასახა მშობელი ხალხის სულიერი ცხოვრების რთული სამყარო, მან საუცხოოდ გამოხატა მისი მებრძოლი, შემოქმედებითი სული. “ვეფხისტყაოსანი” იყო ქართველი ხალხის წმინდათა-წმინდა რელიკვია, განუყრელი თანამგზავრი ჭირსა და ლხინში. საბუთიანად ალაპარაკებს რუსთველს პოეტი არჩილი:

საქართველო სავსე არის, ჩემი წიგნი ყველგან გაჰქუხს,
ვის ლხინი აქვს, მას უბნობენ, ანუ ვისცა გული უწუხს.

ამიტომაც უყვარს და აფასებს ქართველი კაცი თავისი ხალხის შემოქმედებითი გენიის უბადლო მხატვრულ დოკუმენტს. ამიტომაცა “ვეფხისტყაოსანი” ჭემმარიტად ხალხური ნაწარმოები, თუმცა მას დაუნდობლად ებრძოდნენ და სდევნიდნენ საზოგადოების რეაქციული ელემენტები.

ვეფხისტყაოსნის საკაცობრიო მნიშვნელობა

როგორც ვთქვით, რუსთველმა უზადოდ გამოხატა ქართველი ხალხის სულიერი ზრახვანი, მაგრამ, ცხადია, ქართველობა ვერ დაიჩემებს და ვერ მიისაკუთრებს სამართლიანობისათვის ბრძოლის, ან ძმობა-მეგობრობისა, გმირობისა და მის მსგავს იდეალებს. ასეთი იდეალები ასულდგმულებდა თავისუფლებისმოყვარე ყველა ხალხს. რუსთველის პოემის საკაცობრიო მნიშვნელობა ისაა, რომ ქართველმა ავტორმა მე-12 საუკუნის პირობებში, რელიგიურ-მისტიკური აზროვნებისა და ბნელეთის მოციქულთა საყოველთაო ბატონობის პირობებში ბუმბერაზული პოეტური ხმით უმღერა გრძნობის თავისუფლებას, რელიგიურ შემწყნარებლობას, ადამიანის მატერიალურ ცხოვრებას, ამალღებულ ადამიანურ სიყვარულს, გამოსახა ადამიანთა მაღალეთიკური საამქვეყნო იდეალები. ხალხთა და ქვეყანათა ურთიერთმტრობისა და გაუთავებელი ფეოდალური შუღლის დროს რუსთველმა უმღერა ხალხთა ძმობასა და თანამეგობრობას, მათ კეთილმეზობლურ თანამშრომლობას. რუსთველმა გაცილებით ადრე და გაცილებით უფრო მკაფიოდ იქადაგა ის იდეები, რაც საფუძვლად დაედო განათლებული კაცობრიობის

ეგრეთწოდებულ რენესანსულ კულტურას. პატარა ქართველმა ხალხმა “ვეფხისტყაოსნით” მსოფლიო კულტურის სარბიელზე თქვა საკუთარი შთამაგონებელი პოეტური სიტყვა. ქართველი ხალხის თვისებრივი თავისებურებანი, ქართველი ხალხის სულიერი ცხოვრება რუსთველმა ასახა განუმეორებელი პოეტური ძალით. ამგვარად კი დიდი ქართველი ეროვნული პოეტი ხდება მსოფლიო სულიერი კულტურის დვაწლმოსილი მოამაგე. “რუსთველის წიგნი შედის მსოფლიო დიდების პანთეონში”. მსოფლიო პოეზიის საგანძურში რუსთველმა შეიტანა მნიშვნელოვანი წვლილი, რუსთველმა შეავსო და გაამდიდრა მსოფლიო პოეზიის საგანძური.

ბუნებრივადაც “ვეფხისტყაოსანი” მრავალ ენაზეა გადათარგმნილი და ფართოდ გავრცელებული მთელ მსოფლიოში. რუსულად მოიპოვება “ვეფხისტყაოსნის” სრული ხუთი და რამდენიმე ნაწილობრივი თარგმანი. სრული თარგმანები ეკუთვნით კ. ბალმონტს, კ. პეტრენკოს, გ. ცაგარელს, შ. ნუცუბიძეს, ნ. ზაბოლოცკის. ამის გარდა ნ. ზაბოლოცკიმ “ვეფხისტყაოსანი” ცალკე დაამუშავა მოზარდი თაობისათვის. “ვეფხისტყაოსანი” გადათარგმნილია საბჭოთა კავშირის ხალხთა თითქმის ყველა ენაზე, გადათარგმნილია იგი სახალხო დემოკრატიის ქვეყნებისა და დასავლეთევროპულ ენებზე (უნგრულზე, ჩეხურზე, პოლონურზე, რუმინულზე, ინგლისურზე, ფრანგულზე, გერმანულზე, იტალიურზე, ესპანურზე). ზოგიერთ ევროპულ ენაზე “ვეფხისტყაოსნის” ორგზისი თარგმანები გვაქვს (მაგ., უნგრულზე, რუმინულზე, ფრანგულზე, გერმანულზე, ინგლისურზე). “ვეფხისტყაოსანი” გამოქვეყნებულია ჩინურსა და იაპონურ ენებზეც. ერთი სიტყვით, გენიალური ქართული პოემა ამჟამად ხელმისაწვდომია მსოფლიოს თითქმის ყველა ხალხისათვის. “ვეფხისტყაოსნის” საუკეთესო თარგმანად ითვლება მიკოლა ბაჟანის უკრაინული თარგმანი. მაგრამ რუსთველის პოემის სრულყოფილი თარგმანის შექმნა მომავლის ამოცანად რჩება.

ვეფხისტყაოსნის ხელნაწერები და გამოცემები

ჩვენს დრომდის მოღწეულია “ვეფხისტყაოსნის” ასზე მეტი ხელნაწერი, ბეჭდურმა გამოცემამ კი ორმოცს გადააცილა. მარტო საბჭოთა ხელისუფლების დროს პოემა ჩვიდმეტჯერ დაიბეჭდა. ყველაზე ძველი ხელნაწერი მე-16 საუკუნის გასულისა თუ მე-17-ს დასაწყისის უადრესი არ არის. უძველესი თარიღიანი ხელნაწერები ეკუთვნის მე-17 საუკუნეს. სტამბური წესით “ვეფხისტყაოსანი” ვრცელი განმარტებით (“თარგმანით”) გამოაქვეყნა ვახტანგ მეექვსემ 1712 წელს. ესაა პოემის პირველი, ეგრეთწოდებული ვახტანგისეული გამოცემა. ამ გამოცემას უსწრებს ჩვენთვის ცნობილი მხოლოდ ოციოდე ხელნაწერი, ზოგი მათგანი დეფექტურია. ჩვენ არათუ “ვეფხისტყაოსნის” დედანი არ მოგვეპოვება, არამედ ჯერჯერობით უცნობია ავტორის დროსთან ცოტად თუ ბევრად დაახლოებული ხელნაწერი პირიც კი. მე-13 – 15 საუკუნეების ძნელბედობამ “ვეფხისტყაოსნის” ხელნაწერებიც იმსხვერპლა. ნაგვიანვე ხელნაწერებში ტექსტი წარყვნილია. ბევრი გადამწერი ცდილა ნაკლული და წარყვნილი ტექსტის აღდგენასა და გამართვას, რაც ხელს უწყობდა ტექსტის შემდგომ დამახინჯებას. პოემას ბევრი აღმოაჩნდა ინტერპოლატორი და გამგრძელებელი. ვახტანგისეული გამოცემა ან ვ ა ხ ტ ა ნ გ ი ს ვ ე უ ლ ი რ ე დ ა ქ ც ი ა “ვეფხისტყაოსნისა” ხელნაწერებით შემონახული ტექსტისაგან გამოირჩევა თავისი სიმოკლით. აქ ამბავი მოყვანილია ტარიელის ინდოეთში დაბრუნებამდე (გამეფებამდე).

ვახტანგისეული “ვეფხისტყაოსნის” რედაქციული რაობის თაობაზე აზრთა სხვადასხვაობა სუფევდა.^[65] მკვლევართა ერთი ნაწილი ვახტანგის გამოცემას თვლიდა კრიტიკულ გამოცემად, მკვლევართა მეორე ნაწილის მოსაზრებით კი ვახტანგის გამოცემა თითქოს უცვლელად იმეორებს რომელიღაც (აწ დაკარგული) ძველი ხელნაწერის ტექსტს. ახლა ეს დავა შეიძლება გადაწყვეტილად ჩაითვალოს. ვახტანგისეული გამოცემის აღმდგენელმა პროფ. ა. შანიძემ დაამტკიცა, რომ ვახტანგის “თარგმანი” გულისხმობს მე-17 საუკუნის ხელნაწერებით ცნობილი ტექსტის ვ რ ც ე ლ რ ე დ ა ქ ც ი ე ბ ს.^[66] ვახტანგი გულმოდგინედ ცდილა პოემა გაეწმინდა შემდეგდროინდელი ჩანართებისა და დანართებისაგან. მიზანი მიღწეულია მხოლოდ ნაწილობრივ. ვახტანგის გამოცემაში საკმაოდ მოიპოვება ჩანართები, მას აკლია “ვეფხისტყაოსნის” ნამდვილი ტექსტებიც.

ვახტანგის გამოცემამ საფუძველი ჩაუყარა “ვეფხისტყაოსნის ” მ ო კ ლ ე რ ე დ ა ქ ც ი ა ს . რედაქციული სიმოკლე ახასიათებს ვახტანგის შემდეგდროინდელი გამოცემების დიდ უმრავლესობას. ამათგან მეტ-ნაკლები თავისებურების მქონეა შემდეგი გამოცემები: მ. ბროსეს, ზ. ფალავანდიშვილის და დ. ჩუბინაშვილის რედაქციით (პეტერბურგი, 1841); დ. ჩუბინაშვილის რედაქციით (პეტერბურგი, 1846. 1860; ტექსტი შეტანილია ჩუბინაშვილის ცნობილ ქრესტომატიაში): გ. ქართველიშვილის მდიდრული გამოცემა (თბილისი, 1888. ტექსტი მოამზადა სპეციალურმა კომისიამ ილია ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით); დ. კარიჭაშვილის რედაქციით (თბილისი, 1903, 1920); იუსტინე აბულაძის რედაქციით (თბილისი, 1914, 1926); ს.

ფრაგმენტები, არმოდწეული ძეგლები და უცნობი ავტორები

XI — XIII საუკუნეების ქართული მწერლობა მდიდარია მსოფლიო მნიშვნელობის სასულიერო, საისტორიო და საერო მხატვრული ძეგლებით. ძველი ლიტერატურული წყაროების შესწავლა ცხადყოფს, რომ კლასიკური საერო მწერლობა არ მოიცავდა მხოლოდ ხუთ ნაწარმოებს — “ვისრამიანს”, “ამირან-დარეჯანიანს”, “ვეფხისტყაოსანს”, “თამარიანსა” და “აბდულმესიანს”, არამედ ის გაცილებით მდიდარია იყო თემატიკური მრავალფეროვნებითა და ჟანრობრივი ნაირსახეობით. როდესაც ზოგადად ვითვალისწინებთ არმოდწეული ძეგლების რაოდენობას, ნათელი ხდება, რომ საგმირო-სარაინდო და სამიჯნურო ეპოსის გვერდით განვითარებული ყოფილა მსუბუქი ჟანრის ლრიკა და სახოტბო პოეზია. ირკვევა ისიც, რომ მაშინ დიდი პოპულარობა მოუპოვებია ელინურ-ბიზანტიური და აღმოსავლური წარმოშობის საგმირო, საისტორიო, სამიჯნურო და საზღაპრო ხასიათის მხატვრულ ძეგლებს. XII — XIII საუკუნეების განათლებული ქართველები გაფაციცებით ადევნებდნენ თვალყურს დასავლეთისა და აღმოსავლეთის მეზობელ ხალხთა მწერლობას, ისინი ფლობდნენ სპარსულ-არაბულ და ბერძნულ ენებს, ორიგინალებში კითხულობდნენ მათთვის საინტერესო ნაწარმოებებს, ეწეოდნენ მთარგმნელობითს მოღვაწეობას და თავიანთი მწერლობით გავლენას ახდენდნენ მეზობელ ხალხთა კულტურის განვითარებაზე. მარტო ის ფაქტი, რომ ჩვენი მწერლობის კლასიკურ ხანაში დაიწერა რუსთველის “ვეფხისტყაოსანი”, მოწმობს იმას, თუ ქართულ საერო მწერლობას როგორი დიდი ტრადიცია უნდა ჰქონოდა და როგორ მდიდარი უნდა ყოფილიყო ის საერო მხატვრული ძეგლებით. მაგრამ მისი უდიდესი ნაწილი დღეს დაღუპულია და მხოლოდ თითოეუ ჩამოსათვლელი თხზულებანიღა მოგვეპოვება. საბედბიეროდ, კლასიკური და აღორძინების ხანის მწერლებმა შემოგვიწინახეს საყურადღებო ცნობები, რომელთა მეოხებით შესაძლებელი ხდება ზოგადად მაინც წარმოვიდგინოთ არმოდწეულ საერო თხზულებათა რაოდენობა და მათი ხასიათი. ამ მხრივ მნიშვნელოვანი ცნობები მოეპოვებათ დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის ისტორიკოსებს, ძველ ქართველ მეხოტბეებს, ჟამთააღმწერელს, არჩილ მეფეს, ანტონ კათალიკოსს, თერმურაზ და იოანე ბაგრატიონებს.

ფრაგმენტების, არმოდწეული ძეგლებისა და უცნობი პოეტების შესწავლა-განხილვა, ერთი მხრივ, აფართოებს ჩვენს წარმოდგენას ქართული საერო მწერლობის ხასიათსა და მის მნიშვნელობაზე, მეორე მხრივ, მეცნიერების წინაშე სვამს ზოგიერთ საკვანძო საკითხს, რომელიც დაკავშირებულია ამა თუ იმ მწერლის ლიტერატურულ მოღვაწეობასთან.

I. ფრაგმენტები და არმოდწეული ორიგინალური ძეგლები

1. კლასიკური ხანის ფრაგმენტებისა და არმოდწეული ძეგლების განხილვას ვიწყებთ იოვანე ფილოსოფოსი ჭიმჭიმელის (იგივე პეტრიწის) ლექსით, რომელიც სახოტბო შინაარსისაა და მიძღვნილია დავით აღმაშენებლის საქებრად. ეს ლექსი მოთავსებულია “ისტორიათა და აზმათა” ტექსტის ბოლოს:

იოანე იტყვის ჭიმჭიმელი :
თუ თალი მილისეველმან სფერო შესახა შამსისი,
მან ისტრულაბსა დასცა და მიდგა დაყიყა ჯამსისი,
დავით, - ვთქვა, - ზესთა განდიდნეს, მით ჳრმალი ჳორცსა სჳამს მისი,

ახალი ქართულით ეს ნიშნავს:

“იოანე ჭიმჭიმელი ამბობს: თუ თალი მილისეველმა (-ფილოსოფოსმა თალესმა) მზის სფერო (-სიმრგვლე) გამოსახა (ან: სფეროს სიდიდე განსაზღვრა), ასტროლაბი მოიმარჯვა და ჯიმშედ ჯამის მინუტი უჩვენა, მე (უნდა) ვთქვა: დავითი (როგორც მეფე და მეომარი) განდიდდა (ამაღლდა, აღზევდა) უზენაესად იმით, რომ მისი ხმალი (მტრის) ხორცსა სჭამს (-მტერს მუსრს ავლებს), და მას მართებს (ან: ის ჯერ-არს) აქილევსებრი ძალით ელადეთის მპყრობელი იყოს”.^[69]

ლექსი თავისი შინაარსით მეტად საინტერესოა. მასში დაპირისპირებულია თალი მილისეველი და დავითი. თუ თალესმა ბრწყინვალე ასტრონომიული დაკვირვებით მზის სფეროს სიდიდე განსაზღვრა და ასტროლაბზე ჯიმშედის მინუტი უჩვენა, დავითი, როგორც შეუდარებელი მეომარი და მტერთა მძლეველი, უზენაესად ამაღლდა და მას ელადეთის მბრძანებლობა შეშვენის. ანტიკური ფილოსოფიის ისტორიიდან ცნობილია, რომ თალესი იყო არა მარტო პირველი მატერიალისტი ფილოსოფოსი, არამედ გამოჩენილი ასტრონომიც. მან მზისა და მთვარის სფეროთა მოძრაობის განსაზღვრით იწინასწარმეტყველა მზის დაბნელება და აღმოაჩინა პოლარული ვარსკვლავი და ვარსკვლავთა ჯგუფი, რომელიც ასტრონომიაში “მცირე დათვის” სახელწოდებითაა ცნობილი. რომელი მწერალი აპულები გადმოგვცემს: ცნობილ შვიდ ბრძენთა შორის ყველაზე განთქმული იყო თალესი. მან ბერძენებს ასწავლა გეომეტრია, შეისწავლა წლის დროთა ცვალებადობა, ქართა ქროლვა, პლანეტების მოძრაობა, ვარსკვლავთა ტრიალი, მზის ყოველდღიური მიმოქცევა და აგრეთვე მთვარის ამოსვლა, დაბადება, განლევა, გაქრობა და დაბნელება. მანვე ღრმად მოხუცებულობის დროს შექმნა ღვთაებრივი მოძღვრება მზის შესახებ, ე. ი. განსაზღვრა მზის სფეროს სიდიდე და მისი მიმართება მზის მიერ შემოწირული ორბიტის სიგრძესთან. ამბობენ, რომ თალესმა თავისი აღმოჩენა გააცნო ქალაქ პრიენის მთავარს, ეს უკანასკნელი ამ ახალი და მოულოდნელი ჭემმარიტებით ძლიერ აღფრთოვანდა და თალესს წინადადება მისცა, რომ ასეთი შესანიშნავი აღმოჩენისათვის ჯილდოდ მოეთხოვა ყველაფერი, რასაც კი თვით მოისურვებდა. თალესმა უპასუხა: “ჩემთვის ღირსეული ჯილდო ის იქნება, თუ ჩემს მოძღვრებას გააცნობთ სხვებსაც და დასძენთ, რომ ეს აღმოჩენა ეკუთვნის თალესს და არა სხვა რომელიმე ბრძენს” (ფლორიდები, XVIII).

თალესის ფილოსოფიურ მოძღვრებას კლასიკური ხანის ქართველი მოაზროვნეები კარგად იცნობდნენ. ამასთანავე ირკვევა, რომ მათ თალესის ასტრონომიულ აღმოჩენებზეც ნათელი წარმოდგენა ჰქონიათ. ჭიმჭიმელის თქმა “თალი მილისეველმან სფერო შესახა შამსისი” ამისი დადასტურებაა. აქ ივარაუდება ის “ღვთაებრივი მოძღვრება მზის შესახებ”, რომელიც თალესმა ღრმად მოხუცებულობის დროს ჩამოაყალიბა.

ასტრონომიულ დაკვირვებებზეა მსჯელობა ჭიმჭიმელის ლექსის მეორე ტაეპშიც: “მან ისტრულაბსა დასცა და მიდგნა დაყიყა ჯამსისი”. “ისტრულაბი”, ანუ ასტროლაბი (სტროლაბი), საიდანაც მიღებულია სიტყვა “მე-სტროლაბ-ე”, კუთხის საზომი ასტრონომიული იარაღია. უხსოვარი დროიდან მას ბერძნები ვარსკვლავების სიგრძე-სიგანის გამოსაანგარიშებლად იყებდნენ. “ისტრულაბის დაცემა” კი ნიშნავს ასტროლაბის გამოყენებას ან მომარჯვებას (შდრ. “დროის დაცემა”). სიტყვა “დაყიყა” ტექნიკური ტერმინია, არაბულ-სპარსული წარმოშობისა, და ასტრონომიული გრადუსის ერთმესამოცედ ნაწილს შეესატყვისება. ულუღბეგირ “ზიჯის”

ვახტანგისეულ თარგმანში ვკითხულობთ: “დაყიყი - წამი. დაყიყულ - დაყიყაები, გინა წამები”.^[70] გიორგი მარის ცნობით, დაყიყა აგრეთვე გამოითქმის როგორც “დალილა” და “დალილა”, (იქვე, გვ. 34 - 35). ვახტანგ VI წერს: “დარაჯის ჯუზვი დალილა არის, დალილის ჯუზვი სანია”, ანუ თანამედროვე ტერმინოლოგიით: გრადუსის ერთეული მინუტია, მინუტის ერთეული - სეკუნდი (იქვე, გვ. 29). ხოლო სახელი “ჯამსი” ფ. გორგიჯანიძის “ისტორიაში” ნიშნავს ჯიმშიტ-ს (ე. ი. ჯიმშედს), სპარსეთის ლეგენდარულ მეფეს, რომელიც სპარსულ და ქართულ წყაროებში იწოდება როგორც “დიდი ხელმწიფე, ერანის მპყრობელი ჯიმშიტ ჯამ” (S 900). მამასადამე, ფილოსოფოს თაღესს ისტრულაბის ისრით უჩვენებია “დაყიყა ჯიმშიტისა”, ე. ი. ჯიმშედ ჯამის მინუტი.^[71]

თაღესთან შედარებული დავითის ვინაობა მკვლევართა შორის დავას იწვევს. პ. ინგოროყვას და ს. ყაუხჩიშვილის მოსაზრებით, იგი თამარის ქმარი დავითია, ივ. ჯავახიშვილისა და კ. კეკელიძის ვარაუდით — XII — XIII საუკუნეების უცნობი ორატორი, რომელსაც თამარის დასაფლავებაზე სიტყვა წარმოუთქვამს. ორივე მოსაზრება მიუღებელია. რაკი ფრაგმენტის ავტორი არის იოვანე პეტრიწი — წიჭიმჭიმელი, ცხადია, ლექსში შექცეულია მისი თანამედროვე დავით აღმაშენებელი.

2. “ისტორიათა და აზმათა” ტექსტს (გვ. 5) შემოუნახავს აგრეთვე ერთი თექვსმეტმარცვლოვანი ლექსი, რომელიც მიეწერება ვინმე მლექსავს. მისი ავტორი უცნობია. შესაძლებელია ის რომელიმე არმოღწეული სახოტბო თხზულების ფრაგმენტი იყოს. ისტორიკოსი წერს: მეფე გიორგი იყო “გორგასლიანი, აღმსრულებელი ვახტანგის ნეტარებათა” და “მისებრ მპყრობელი აღმოსავლეთისა და დასავლეთისა. ამისთვისცა ესევითარად დალექსავს მლექსავი ვინმე და იტყვის:

შენ, ვახტანგ, სანატრელი ხარ შენთვის ღმრთის მაქებარისა.
ცნამცა შენი მტერთა ძლევა, თვით მზეებრ მაშვებარისა,
მუსულმანთ ამწყვედელისა, ქრისტიანთ მშენებარისა,
ვინ დაგბადა, მანვე უწყის ბადება შენებარისა.^[72]

ლექსი მიძღვნილია გიორგი III-დმი, რომელსაც პოეტი ვახტანგ გორგასალის მსგავს გმირად სახავს, “მუსულმანთ ამწყვედელსა” და ქრისტიანთა მაშენებელს უწოდებს. საფიქრებელია, ეს მლექსავი გიორგი III-ის (1156—1184:) თანამედროვე იყოს. როგორც ჩანს, იგი ნაკლებად ცნობილი პოეტი ყოფილა. XIII საუკუნის დასაწყისში, როდესაც “ისტორიანი და აზმანი” იწერებოდა. მისი ვინაობა თამარის ისტორიკოსსაც აღარ სცოდნია. ეს გარემოება მ. ჩიქოვანს აფიქრებინებს, რომ “ვინმე მლექსავი” შერაცხოს სახალხო მთქმელად, ხოლო მისი ლექსი — პირველ ფოლკლორულ ჩანაწერად,^[73] მაგრამ ამ ლექსს აშკარად ეტყობა პოეტის ხელი. ხელოვნური სარიტმო სიტყვები (“მაქებარისა”, “მაშვებარისა”, “მშენებარისა” და “შენებარისა”), “მცა”-ნაწილაკიანი წინადადების კონსტრუქცია (“ცნამცა შენი მტერთა ძლევა”) და საერთოდ ტექსტის შინაარსობლივი ბუნდოვანება არ გვაძლევს უფლებას ის ხალხური პოეზიის ნიმუშად მივიჩნიოთ. ხალხური ლექსის შინაარსი ნათელია, ენა—მარტივი და მსუბუქი. ეს თვისებები მოყვანილ ფრაგმენტს არ გააჩნია. პ. ინგოროყვას მოსაზრებით, იგი ნაწყვეტია რომელიღაც დაკარგული სახოტბო თხზულებისა, რომელიც თითქოს “შეიცავდა იმავე ტიპის ხოტბას, როგორსაც წარმოადგენს ხოტბა-პოემა აბდულმესიანი” (რუსთ. კრ., გვ. 71). არსებული მასალებით არც ეს მოსაზრება დასტურდება, თუმცა ამგვარი ვარაუდის დაშვება არ არის გამორიცხული.

3. ძველი ცნობებით, კლასიკური ხანის საერო-მხატვრულ მწერლობას ამშვენებდა საგმირო-სარაინდო რომანი, რომელიც “დილარიანის”(თუ “დილარგეთიანის”) სათაურითაა ცნობილი. ეს თხზულება დღესდღეობით უიმედოდ დაკარგულად ითვლება. მის შესახებ ყველაზე ადრინდელი ცნობა შემოუნახავს ჩახრუხადეს. თამარიანის პირველ ოდაში (5—6) ვკითხულობთ:

მოუბარისა მის მდულარისა
დილარგეთისგან აღშფოთებულად
ბროლისა ველსა, თვალ-უწვდომელსა,
ინდონი ეყვნეს დამონებულად.^[74]

აქ ჩახრუხადე არ ასახელებს “დილარგეთიანის” ავტორს. მაგრამ მას “მდულარე მოუბარს” უწოდებს. “ვეფხისტყაოსნის” ეპილოგში კი ნათქვამია, რომ ეს თხზულება დაუწერია სარგის თმოგველს. “მას ენა-დაუშრომელსა”. ე. ი. გრძელი და დიდი ამბების მთქმელ მწერალს. ამ მხრივ საყურადღებოა “ჯიმშერიანის” (“ამირანდარეჯანიანის” გაგრძელებათა ციკლის) ცნობაც: დილარ ჭაბუკის “სიმხენი და გოლიათობანი თითოეულად აღწერილი არს სარგის თმოგველისაგან”.^[75]

თეიმურაზ ბაგრატიონი იძლევა სარგის თმოგველისა და მისი “დილარგეთიანის” შესახებ შედარებით ვრცელ ცნობებს, რომელნიც მას ძველ წიგნებში წაუკითხავს თუ თანამედროვეთაგან მოუსმენია:

“სარგის (ანუ სერგიოს) თმოგველი მდივან-მწიგნობარი ყოფილა თამარ მეფისა. თმოგვი სამცხეს, ახალციხის საზღვარში არის (ციხე და მცირე ქალაქიც ყოფილა იქა). დილარგეთისა წიგნი მშვენიერი ზღაპარი შეუთხზავს სერგის თმოგველსა. დილარ ჭაბუკი ვინმე ყოფილა ძლიერი და გვარეულობითა, ესე იგი ნათესაობით გ ე თ ი ანუ გ უ თ ი . დიახ, ჩინებული წიგნი ყოფილა დილარისა. და სხვანიცა წიგნნი აღუწერია სერგის თმოგველსა, როგორადაც რომ ვ ი ს რ ა მ ი ა ნ ი ფრიადისა ენამხეობით არს შეთხზული”.^[76]

ამ ცნობების მიხედვით, XIX საუკუნის 90-იან წლებამდე თმოგველის თხზულებას დაკარგულად თვლიდნენ^[77], მაგრამ 1896 წელს ზ. ჭიჭინაძემ ის აღმოჩენილად გამოაცხადა: “ჯიმშერ ხაზართა მეფის დილარის შვილის ამბავი” და “ჯიმშერის შვილის არმოკლა ჭაბუკის ამბავი” (ე. ი. დღევანდელი “ჯიმშერიანი”) არის სარგის თმოგველის “დილარიანის” ნაწყვეტები, რომელიც გადამწერებს “ამირანდარეჯანიანის” დამატებად ანუ გაგრძელებად ჰგონებიათ.^[78]

ქართული ლიტერატურის მკვლევარნი კლასიკური ხანის არმოდწეულ ძეგლთა შორის ასახელებენ რამდენიმე საგმირო-სარაინდო და სამიჯნურო რომანს, რომელთა შესახებ ძველ მწერლებს პირდაპირი ცნობები არ მოეპოვებათ, მაგრამ ისინი იხსენიებენ პერსონაჟთა სახელებს. ფიქრობენ, რომ მათი მოხსენიება დაკავშირებულია ჩვენთვის უცნობი ქართული რომანების არსებობასთან. ასეთ რომანებად პ. ინგოროყვა ასახელებს “ეთერიანს”, “ოსნაოზ და შაჰრიაროსს”, “რადდარსა” და “რაშენს”, შ. ნუცუბიძე კი “ამირანს” მაგრამ მათი არსებობა სხვა მკვლევრებს საეჭვოდ მიაჩნიათ. განვიხილოთ თითოეული ცალ-ცალკე.

1. ნ. მარი ფიქრობდა, რომ “თამარიანში” მოხსენებული ეთერი (VII, 21) არის რომელიღაც რომანის გმირი ქალი.^[79] ამის მიხედვით პ. ინგოროყვამ 1924 - 1926 წლებში წამოაყენა მოსაზრება: კლასიკურ ხანაში ქართველებს შეუთხზავთ რომანი

"ეთერიანი", რომელიდანაც წარმოშობილა ხალხური ზღაპარი "აბესალომ და ეთერი"^[80] 1938 წ. მან ეს მოსაზრება ვრცლად ჩამოაყალიბა ნარკვევში "რუსთაველის ეპოქის სალიტერატურო მემკვიდრეობა".

რომანი "ეთერიანი", - ამბობს პ. ინგოროყვა, - ჩვენს დრომდე არ მოღწეულა, მაგრამ ის მთლად უკვალოდ არ დაკარგულა. "ამ ლიტერატურული ძეგლის გადანაშთი ჩვენ გვაქვს ქართულ ფოლკლორში". ეს ირკვევა იქიდან, რომ ხალხურ ეთერიანს შემოუნახავს პერსონაჟთა უცხოური სახელები (შერე - შერე-ლომი, მარეხი და უშტარი), რომელნიც "ხელოვნური, წმინდა ლიტერატურული ხასიათისა" არიან. კერძოდ, სახელი "შერე-ლომი" წარმოადგენს "მე-12 საუკუნის სალიტერატურო ტრადიციის ტიპიურ მაგალითს, (რაც) იძლევა ჩვენებას, რომ ხალხური ეთერიანი მე-12 საუკუნის რომანიდან მომდინარეობს"^[81].

თამარიანის ის ტაეპი, რომელშიც მოხსენიებულია ეთერი (VII, 21), ძალიან ბუნდოვანია და მისი შინაარსი დღემდე სწორად არ არის გაშიფრული, მაგრამ აქ ერთი რამ ცხადია: ეს ეთერი ბიბლიური ესთერია, როგორც ეს სწორად მიუთითა კ. კეკელიძემ^[82]. ჩახრუხამე კარგად იცნობს ბიბლიას, მის პერსონაჟ ქალებს (დებორას, დალილასა და ეთერს) უდარებს თამარ მეფეს. რაც შეეხება ხალხურ "ეთერიანსა", იგი სამიჯნურო ხასიათის ძეგლია და მისი საწყისები "ესთერის წიგნში" უნდა ვეძიოთ. ძველად "ეთერიანი" სხვა სიუჟეტურ ქარგაზე უნდა ყოფილიყო აგებული და შემდეგ ხალხური თქმულებებისა და ლიტერატურულ სამიჯნურო თხზულებათა გავლენით მიეღო ის სახე, რომელიც მას დღეს მოეპოვება.

ხალხი ბიბლიური წიგნებიდან იღებდა ამა თუ იმ ლეგენდის ძირითად მოტივს, რომლის საფუძველზე ქმნიდა პირველ წყაროდან განსხვავებულ თქმულებას ან ზღაპარს. მაგ. ცნობილ ლეგენდას ახტალის წარმოშობაზე (უფრო სწორად, თქმულებას ქალ-ქვას შესახებ) საფუძვლად დაედო ამბავი სოდომ-გომორის დაქცევისა (შესაქმე, თ. 19). ლოთის ცოლისაგან უკან მოხედვისა და მისი გაქვავების ეპიზოდი ძირითად მოტივად იქცა ქალ-ქვას შესახებ არსებულ გადმოცემებში და ეს მოტივი მათში ისე ჩაიქსოვა, რომ ხშირად მისი წარმოშობის გარკვევა ვერც კი ხერხდება, თუ არ გავითვალისწინებთ სოდომ-გომორის დაქცევის ისტორიას. ანალოგიურ მოვლენასთან გვაქვს საქმე ხალხურ "ეთერიანშიც." მისი ძირითადი მოტივი - ახალგაზრდა მეფის მიერ ობლად გაზრდილი ღარიბი, მაგრამ ულამაზესი გლეხი ქალის ეთერის შეყვარება და ცოლად შერთვა - ბიბლიური ესთერის ბიოგრაფიულ დეტალს გვაგონებს. "ესთერის წიგნში" მოთხრობილია, რომ მეფე არტაქსარმა ნახა ობლობაში გაზრდილი პირმშვენიერი ესთერი, რომელიც მას ძლიერ მოეწონა. "შეიყვარა მეფემან ესთერ და პოვა მადლი უფროს ყოველთა ქალწულთა და დაადგა გვირგვინი სადედოფლო თავსა მისსა. და უქმნა მეფემან ლხინი ყოველთა მეგობართა თვისთა ძალთა შვიდ დღე და აღამაღლა ქორწილი ესთერისი" (ესთერი, თ. 2). ქართველმა ხალხმა ამ ამბავს ხორცი შეასხა, შეავსო ის სხვადასხვა მოტივით და შექმნა "ესთერის წიგნისაგან" არსებითად განსხვავებული სიუჟეტის მქონე სამიჯნურო ზღაპარი. რომ ხალხურ "ეთერიანს" ახლო ურთიერთობა აქვს."ესთერის წიგნთან", ამას ცხადყოფს ის, რომ "ეთერიანის" ფშავურ ვარიანტში აბესალომს ელუსამელი ეწოდება.^[83] "ელუსამელი" დამახინჯებული ფორმაა "იერუსალიმ"-იდან ნაწარმოები სადაურობის აღმნიშვნელი სახელისა. ხალხმა ვერ შეითვისა ესთერის ქმრის არტაქსარის სახელი და, რადგანაც ესთერი ჩამომავლობით იერუსალიმიდან იყო, მის მიჯნურს შეარქვა ელუსამელი (ანუ იერუსალიმელი). ამ მხრივ საყურადღებოა ისიც, რომ ელუსამელის ქვეშევრდომი და მეტოქე შერელომა, რომელმაც თავის მეფეს ცოლი წაართვა, მიემგზავრება ინდოეთის ლაშქარში:

შემიხვიე, ქალო ეთერ,
ძუმუ-მკერდსა ბროლისასა,
ხვალე ლაშქარს უნდა გავყვე
დიდის ი ნ დ უ ე თ ი ს ა სა^[84].

ირკვევა, ელუსამელი დიდი ინდოეთის ლაშქრის მპყრობელი ყოფილა. ესთერის ქმარიც "არტაქსარ ჰინდოეთისგან მფლობელობდა ასოცდაშვიდთა კერძოთა, ვიდრე ეთიოპიადმდე" (ესთ. 1,1). მაშასადამე, დიდ სიუჟეტურ ცვლილებასთან ერთად ხალხურ "ეთერიანში" შემორჩენილა ნამსხვრევებად თითო-ოროლა მოტივი ბიბლიური ესთერის წიგნიდან.

ფეოდალიზმის ხანაში "ეთერიანი" თანდათანობით შეივსო ახალი მოტივებით. ეთერის დაბადება, ორბის მიერ მისი აღზრდა, ეთერისა და დედინცვლის ურთიერთობა, მამის მიერ ეთერის დატოვება ტყეში უპატრონოდ, აბესალომისაგან სიზმრის ნახვა, ან მის მიერ ქოშის პოვნა და ამ ქოშის პატრონის ძიება, უკვდავების წყაროზე წასვლა და აბესალომის ავადმყოფობის გამოცნობა ჯადოსნური და საყოფაცხოვრებო ხასიათის ზღაპართაგან შესული მოტივებია. „ეთერიანზე“ ზეგავლენა მოუხდენია სამიჯნურო-სათავგადასავლო შინაარსის ლიტერატურულ ძეგლებსაც. მაგ., აბესალომის მიერ სიზმარში ნანახი ქალის ძიება და სურათისა და სახელის მიხედვით მიჯნურის პოვნა ლიტერატურული წარმოშობის მოტივია^[85]. ასევე მწიგნობრული წარმოშობისაა "ეთერიანის ზოგიერთი პერსონაჟის სახელიც (მაგ.. შერე-ლომა, მარეხი და უშტარნათელი)^[86]. ასე რომ, ხალხურ "ეთერიანში" შეინიშნება მოტივების რამდენიმე ფენა, რომლებიც თავდაპირველ ძეგლს არ უნდა ჰქონოდა. თუ როგორ და როდის წარმოიშვა ეს ფენები მასში, ამისი გარკვევა ძნელია. პ. ინგოროყვას მოსაზრებით, ლიტერატურული "ეთერიანიდან" ხალხმა ისესხა აბესალომისა და ეთერის ზღაპრის ძირითადი ქარგა, რომელსაც "შემდეგ დაეფონა სხვადასხვა თქმულებათა ცალკეული ხაზები, ისევე როგორც ხალხურ ვეფხისტყაოსანში შერჩენილია მხოლოდ ძირითადი ქარგა შოთას პოემისა, ხოლო მას შემდეგ დართვია დეტალები და ეპიზოდები სხვადასხვა თქმულებებიდან მომდინარე" (გვ. 40). ასეთი მოვლენა ხალხურ "ტარიელიანში" მართლაც შეინიშნება (ეს ირკვევა "ვეფხისტყაოსნისა" და "ტარიელიანის" შედარებიდან), მაგრამ ამას ვერ ვიტყვით ხალხური "ეთერიანის" მიმართ, რადგანაც შესადარებელი ლიტერატურული "ეთერიანი" არ მოგვეპოვება. პატრონყმულ და გვიანფეოდალიზმის ხანაში ხალხური "ეთერიანი" შეივსო ზღაპრებისა და რომანტიკული ჟანრის თხზულებათა მოტივებით, ე. ი. მასში კონტამინაციის გზით შეირწყა ახალი ეპიზოდები და დეტალები, რომელნიც "ეთერიანის" თავდაპირველ ამბავს არ უნდა ჰქონოდა. კლასიკური ხანის საერო მწერლობამ კი მოგვცა თუ არა თხზულება ეთერის შესახებ, არ ვიცით, არც წერილობით წყაროებს შემოუნახავს რაიმე ცნობა, რომელიც "ეთერიანის" რომანის არსებობას ადასტურებდეს.

2. "ისტორიათა და აზმათა" ტექსტში იქ, სადაც საუბარია თამარისათვის საქმროს არჩევანზე, მოხსენიებული არიან ოსნაოზი და შაჰრიაროსი. ისტორიკოსი ამბობს: თამარისათვის შესაფერისია ისეთი საქმრო, როგორც იყო. "შაჰაროს ნავაზისთვს" (ვახტანგისეული ტექსტით - "შაჰრიაროს ოსნაოზისათვის"). ამ დამახინჯებულ წანაკითხში ვაჟის სახელად ნ. მარი ვარაუდობდა ბაჰაროსს (- შაჰრიაროსს), ქალის სახელად კი - ოსნაოზს (-ოსნავაზს). ამასთანავე ის ცდილობდა ამ სახელების გააზრებას და იმ თხზულების სათაურის ამოცნობას, რომლის

პერსონაჟები უნდა ყოფილიყვნენ ოსნაოზი და შაჰრიაროსი. ხანგრძლივი ფილოლოგიური ძიების შედეგად ის მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ვაჟის სახელი "შაჰრიაროს" (იგივე "შარიელ") ნიშნავსო ტარიელს, ხოლო ქალის სახელი "ოსნაოზ" (იგივე "ოსანო"), არაბულად "ჰუსსანათ" (კეკლუცი, მშვენიერი) - სპარსულ "ნისტანდარე-ჯაჰან"-ს (მშვენიერს, რომლის მსგავსი არ არის ქვეყანაზე), ანუ ნესტანდარეჯანსო. ამის მიხედვით ნ. მარი ფიქრობდა რომ "აზმანში" დაცულია "ვეფხისტყაოსნის" მთავარ გმირთა პროტოტიპების სახელებიც^[87]. პ. ინგოროყვამ უარყო ეს შეხედულება და ყოველგვარი დასაბუთების გარეშე აღნიშნა, რომ "ოსნაოზ და შაჰრიაროს" ორიგინალური ქართული სამიჯნურო თხზულებაა და "არსაიდან არა ჩანს, რომ მას ვეფხისტყაოსანთან რაიმე კავშირი ჰქონდეს.^[88] კ. კეკელიძემ კი წანაკითხი "ვითარ ბაჰაროს ნავაზისთვის" შეასწორა "ვითარ ფრიდონ შაჰრინოზ-არნავაზისთვის" (შაჰრინოზ და არნავაზ იყვნენ ჯიმშედ სპარსთა მეფის დები, რომელნიც ცოლებად შეირთო ფრიდონმა, როდესაც მან ზააქი განგმირა ლახტი)^[89]. მკვლევარმა ამ გასწორებით საფუძველი გამოაცალა "ოსნაოზ-შაჰრიაროსის" შესახებ არსებულ შეხედულებებს, ოღონდ მას აუხსნელი დარჩა, თუ "აზმათა" ავტორს რაში დასჭირდა ზააქის ნაცოლარები შეედარებინა თამარ მეფისათვის, რომელსაც მწერალი ღმრთის სწორად სახავს^[90]. ჩვენი აზრით, შაჰრიაროს და ოსნაოზ (ისევე როგორც ვამეყ და აზრა ან შატბიერ და აინლიეთი) აღმოსავლური წარმოშობის რომელიღაც სამიჯნურო რომანის პერსონაჟთა სახელებია, რომელნიც "აზმათა" ხელნაწერებს დამახინჯებული დაწერილობით შემოუნახავთ.

3. გამოთქმებს "რადდარ" და "რაშენ" პირველად ყურადღება მიაქცია ნ. მარმა: თამარიანის ტაეპებში "შენად რ ა დ დ ა რ ა დ" (V. 19) და "ნებით რად რ ა შ ე ნ" (V, 28) შეიძლება იფარებოდეს ჩვენთვის უცნობ რომანტიკულ გმირთა საკუთარი სახელებიო.^[91] პ. ინგოროყვამ ნ. მარის მიერ ფრთხილად გამოთქმული მოსაზრება განავითარა: "რ ა დ დ ა რ ქალს ეწოდება" და "რ ა შ ე ნ ვაჟის სახელია". ირკვევა, ძველად არსებულა კიდევ ორი თხზულება რადდარ-რაშენის შესახებ, რომელნიც "რომანტიკული ეპოსის ჟანრს ეკუთვნოდნენ და მიჯნურობის სიუჟეტების დამუშავებას შეიცავდნენ".^[92] ეს შეხედულება ეჭვის ქვეშ დააყენა კ. კეკელიძემ: "რ ა დ დ ა რ ა დ, თუ ეს საკუთარი სახელია, უნდა იყოს ძალზე დამახინჯებული ბიბლიური სახელი ქალისა... ხოლო სიტყვები: "ნებით რად რ ა შ ე ნ, გემუდარა შენ" უნდა წაკითხულ იქნეს ასე: "ნებით არ აშენ", ესე იგი - ნებაყოფლობით არ გახადე შენი"^[93]. 1955 წ. სარგის ცაიშვილმა გაასწორა "თამარიანის" ის ტაეპი, რომელშიც დამოწმებულია სიტყვა "რაშენ", როგორც "ნებით რად არა შენ გემუდარა",^[94] რაც გათვალისწინებულ იქნა "თამარიანის" უკანასკნელ გამოცემებში. 1957 წ. კი გასწორდა მეორე სადავო ტაეპის სიტყვაც "რადდარად" როგორც "დორიადარა" (ზღვის მეუფე). ამ გასწორებათა შემდეგ საბოლოოდ მოიხსნა საკითხი "რადდარ-რაშენის" რომანების შესახებ.^[95]

4. ორი ათეული წლის წინ შ. ნუცუბიძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ მოსე ხონელს XI საუკუნის გასულს თექვსმეტმარცვლოვანი ლექსით დაუწერია მითოლოგიური პოემა "ამირანი", რომლის გადამუშავების შედეგად XII საუკუნეში შექმნილა პროზაული "ამირანდარეჯანიანი". ამ პოემას ჩვენამდე არ მოუღწევია, მაგრამ მისი არსებობის უტყუარი ნიშნები ფაქტიაო. რა ნიშნებია ესენი? - ა ლიტერატურული ცნობა, რომ "ამირან დარეჯანის ძე მოსეს უქია ხონელსა", ე. ი. მოსეს დაუწერია "ქება ანუ გაბმითი ლექსი" ამირანის შესახებ, **ბ.** ხალხურ "ამირანიანიში" "ზის მოსე ხონელის სტროფები", უკეთ: მოსე ხონელის პოემის

ფრაგმენტები შემოუნახავს "ამირანიანის" ვარიანტებს, და გ. პოემას ზეგავლენა მოუხდენია "ვეფხისტყაოსანსა" და "თამარიანზე".^[96]

რა ითქმის ამ მოსაზრების შესახებ?

უპირველესად უნდა აღვნიშნოთ, რომ მოსე ხონელის პოემის არსებობის შესახებ ლიტერატურული ცნობა არ მოგვეპოვება, "ვეფხისტყაოსნის" ბოლო სტროფიდან არ ირკვევა, რომ მოსე ხონელმა. "ამირანდარეჯანიანი" ლექსად დაწერა. როგორც კ. კეკელიძე წერს, "ქება არ ნიშნავს ყოველთვის მელექსეობას. ჩვენ გვაქვს არა ერთი ნაწარმოები, რომელიც ლექსით არ არის დაწერილი. მაგრამ ქების სახელს ატარებს: ქება აბოსი, სტეფანესი, სებასტიელ მოწამეთა და სხვ. თვით კლასიკურ პერიოდში გვაქვს ერთი შესანიშნავი საისტორიო თხზულება, პროზით დაწერილი, რომელსაც აწერია "აზმანი", ბერძნული სიტყვა, რაც ქართულად ქებას ნიშნავს, ეს არის "ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი", თამარის პირველი ისტორია".^[97] საეჭვოა შ. ნუცუბიძის მეორე საბუთიც, რომ მოსე ხონელის პოემის ნაწყვეტები შემონახულა ხალხურ "ამირანიანში". მკვლევრის აზრით, მაგ., "ამირანში" წმინდა ლიტერატურულ-პოეტური კონსტრუქციისაა "რე"-დან ნაწარმოები ზმნის ფორმები: "არეა", "ირე", და "რე", რომელთაც ხალხურ "ამირანიანშიც" ვხვდებით:

ხმლის სიმოკლე რას გიშველის,
ფეხი წადგი წინა-რეო^[98].

აქ თურმე ეს "რე" იმავე მნიშვნელობას გამოხატავს, როგორც "ვეფხისტყაოსანში" ზმნები: ირე (1430, 4). ვიარები (1651, 4), იარა (178, 2, 182, 2), ვარო (535, 3), არე (158, 2) და მისთანანი. ასეთი ფორმები კი წმინდა ლიტერატურული წარმოშობისაა^[99]. სამწუხაროდ, შ. ნუცუბიძე ერთმანეთისაგან არ ასხვავებს "რე"-ნაწილაკს და "რება" ("არება") საწყისიდან ნაწარმოებ ზმნებს. ტაეპი "ფეხი წადგი წინარეო" ნიშნავს "ფეხი ცოტა წინ წადგიო". ეს "რე" ნაწილაკია და არა ზმნა. "წინარე" იგივეა, რაც "ცოტა წინ". "ოდნავ წინა". "რე"-ნაწილაკიანი ენობრივი ფორმები დამახასიათებელია საერთოდ ქართული ენისთვის, გამოთქმები "მე მივეგებე წინა-რე" (568, 1), "არცაღა გამიცინა-რე" (568,4) ნიშნავს: "მე ოდნავ წინ მივეგებე", "არცაღა ოდნავ გამიცინა." გურიაში ხშირად გაიგონებთ: "ჩეიწიე ქვე-რე-ლე" (ცოტა ქვევით ჩაიწიე). "რე" შემორჩენილია თითო-ოროლა ზმნისზედაშიც. მაგ., ქვემორე (ცოტა ქვემოთ), ზემორე (ცოტა ზემოთ) და სხვა.^[100] რაკი "ამირანიანში" ვხვდებით "რე"-ს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ "ფეხი წადგი წინა-რეო" ლიტერატურულ-პოეტური კონსტრუქციისაა და ხალხურ ძეგლებში არმოდწეული პოემიდან შესულა. იგივე ითქმის "მზე ვითა"-ს შესახებ:

ბადრო, მათხოვე თეთრონი,
ზღვაში გავიდე ნგრევითა,
გავიდე, გამოვიყვანო,
ქალია თეთრი მზე ვითა^[101].

შ. ნუცუბიძის აზრით, აქ "მზე ვითა" ხელოვნური კონსტრუქციაა, ბუნებრივი (ხალხური მეტყველებისათვის დამახასიათებელი) იქნებოდა "ვითა მზე". რაკი "მზე ვითა"-ს მაგვარი ფორმები "ამირანიანში" რამდენიმე ადგილას გვხვდება, ყველა ის მოსე ხონელის პოეტური მეტყველების ნაყოფიაო. უფრო მეტიც: პოემა "ამირანიდან" ასეთი ხელოვნური კონსტრუქციები ჯერ კიდევ რუსთველს ჰქონია ნასესხებიო (მაგ., "ზედა გარდმოდგეს მზე ვითა" და "შემყრელთა დასწავს მზე ვითა").^[102] საერთოდ,

წყობას "მზე ვითა" მოითხოვს ლექსის რითმა. "ვეფხისტყაოსანში" ასეთი ფორმები თითო-ოროლა შეიმჩნევა. დამოწმებულ ორ ნიმუშს გარდა შეიძლება დავასახელოთ 1098, 2-ე ტაეპიც: "ფატმან ზის წყენით, შევიდა ავთანდილ მარტო ხე ვი თა". სამაგიეროდ.სიტყვათა ასეთ წყობას უხვად ვხვდებით ალორმინების ხანის მწერლობაში. მაგ., "როსტომიანში":

...მასთარ მნათობდა მ ზ ე ვ ი თ ა,
...იდგა ალვისა ხ ე ვ ი თ ა,
...უკან ჯარი უდგს ტ ყ ე ვ ი თ ა (1, 883),
...ელვა გამოჰკრთა მ ზ ე ვ ი თ ა,
...გრგვინავს მღელვარე ზ ღ ვ ა ვ ი თ ა (1, 287),
...სინდუხტ შინ დახვდა მ ზ ე ვ ი თ ა,
...წყარო დის ს ა მ ო თ ხ ე ვ ი თ ა (1, 1259) და სხვა.

ეს წყობა უცხო არ არის ფოლკლორისთვისაც:

მთიელთა პოეზიას შემოუნახავს .ლექსი "სეტყვა ხევსურეთში", რომელშიც სარიტმო სიტყვებია - ღორღვითა, ქოხივითა, ქოჩივითა, შოთივითა, ოვსივითა, ცოცხივითა და აგრეთვე "ბოტო ვითა" (დედამიწაზე დაყრილი სეტყვა "გაჩქუნვილა ბოტო ვითა")^[103]. ასეთსავე წყობას ვხვდებით ხალხურ "ამირანიანშიც" ძველ ქართულ მწერლობასა და ხალხურ პოეზიაში ვიპოვით "მზე ვითა"-ს საპირისპირო ("ვითა მზე"-ს მსგავს) წყობასაც. ეს უკანასკნელი, როგორც წესი, პროზაში დომინანტობს, პოეზიაში კი ხან ერთსა. აქვს უპირატესობა, ხან მეორეს. ხალხურ ლექსებში ხშირად მონაწილეობენ "ვითა"-თან-დებულებიანი სარიტმო სიტყვები. მაგ., "შავი არი შაშვივითა, იკბინება ძაღლივითა" და მისთანანი,^[104] ხოლო საპირისპირო წყობაში "ვითა" ხშირად შეცვლილია კავშირით "როგორც", რაც ახალი ქართულის გავლენით აიხსნება. ამიტომ თქმა იმისა, რომ "მზე ვითა" ხელოვნური კონსტრუქციაა, ხოლო "ვითა მზე" - ხალხური, შეცდომა იქნებოდა.^[105]

შ. ნუცუბიძის მოსაზრებით, მოსე ხონელის პოემას გავლენა მოუხდენია ჩახრუხაძეზეც. "თამარიანის" ტაეპები "ვინ .ხრმლითა ბადრობს" და "მძლეო ნოსრ ვითა" წარმოადგენს პოემა "ამირანის" გამოძახილსო. ბადრი და ნოსარი ამ პოემის პერსონაჟები არიანო. ზმნა "ბადრობს", რომელიც ნაწარმოებია საკუთარი სახელიდან "ამირანობა" - ზმნის ანალოგიით, ნიშნავს "бадрствует", ხოლო ხოლო "ვინ ხრმლითა ბადრობს" – "владеет мечом так, как Бадри"^[106]. ვინ არის ეს ბადრი? იგი ბადრი იამანის ძეა, "ამირანდარეჯანიანის" პერსონაჟი. ასევე ნ ო ს რ - ი ც "ამირანდარეჯანიანის" სახელმოხვეჭილი ფალავანია, ნოსარ ნისრელი. რა ირკვევა აქედან? ის, რომ XII საუკუნის 10-იან წლებში "ამირანდარეჯანიანი" პოპულარული საგმირო-სათავგადასავლო რომანი ყოფილა, ჩახრუსაძეს კი მის პერსონაჟთა ნიშან-თვისებით დაუხასიათებია .დავით სოსლანი და უფლისწული ლაშა გიორგი: დავითი ბადრი იამანის ძესავით ხმლით მეომარ გმირად წარმოუსახავს, ლაშა გიორგი კი შეუქია როგორც ნოსარ ნისრელივით მძლე. ასე რომ. შ. ნუცუბიძის მიერ დასახელებული სამი "უტყუარი ნიშნიდან" არც ერთი არ ადასტურებს პოემა "ამირანის" არსებობის ფაქტს.

დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ ალორმინების ხანის მწერლები მოსე ხონელს იცნობენ როგორც პროზაული "ამირანდარეჯანიანის" ავტორს. მაგ., XVII საუკუნის პოეტი სულხან თანიაშვილი წერს (გალექსილი "ამირანდარეჯანიანი", სტროფი 26 - 27):

ამირან დარეჯანის ძე და სეფე-დავლა ძმობილნი,
მხეჭაბუკ მათი შემსწორე, ჭაბუკად მათთან ხმობილნი,
მოსეს ეწერა ა მ ბ ი თ ა და ა. შ.

ეს პოეტი "ამბავს" ("ამბის წიგნს") უწოდებს პროზაულ თხზულებას: "პირველ ა მ ბ ა დ დანაწერსა, აწ ლ ე ქ ს ა დ ვიქ შეწყობილსა", ან "ვიმდურებ მოსე ხონელსა" და, აწ ა მ ბ ა ვ ს ა" ლექსად ვიწყებო. "ამირანდარეჯანიანის" ბოლოს კი მიწერილია: "აჰა, დასრულდა წიგნისა ამის თქმულება, მოსე ხონელისა მიერ ნასიტყვნი" (1896, გვ. 258). ეს ტრადიციული ცნობები სარწმუნოა, მათ გვერდს ვერ ავუვლით. მოსე ხონელი "ამირანდარეჯანიანის" ავტორია. ჯერჯერობით მისი სხვა თხზულების შესახებ არავითარი ლიტერატურული ცნობა არ მოგვეპოვება.

ჩვენს მეცნიერებაში ბევრს წერენ რუსთველის ლიტერატურული მემკვიდრეობის შესახებ. ჩვეულებრივ, როდესაც მკვლევარნი ამ დიდი პოეტის არმოღწეულ თხზულებებზე მსჯელობენ, ფიქრობენ, რომ "ვეფხისტყაოსნის- ავტორს შეუძლებელია სხვა თხზულებაც არა ჰქონოდა დაწერილი. მართლაც, რუსთველი ისეთი ძლიერი მხატვრული სიტყვის ოსტატია, რომ ის "ვეფხისტყაოსნის" სიმალემდე ვერ ავიდოდა, თუკი მისი "კალამი მავლის ფერხით არ ეტარებოდა" ქალაღდზე. ან ეს დიდი გენიოსი როგორ დაკმაყოფილდებოდა მხოლოდ ერთი თხზულებით?!

ჯერ კიდევ გასული საუკუნის 30-იან წლებში მარი ბროსე, გაკვირით შენიშნავდა, რომ "თამარიანი" თამარ მეფის საქებრად შეთხზული სახოტბო ძეგლი, შოთა რუსთველის მიერ უნდა იყოს დაწერილი და მას შეცდომით ჩახრუხაძეს მიაწერენო.^[107] შემდეგ ეს მოსაზრება განავითარა ნ. მარმა წიგნში "Древнегрузинские описцы". "თამარიანის" ოდები, ალბათ, დაწერილია შოთა რუსთველის მიერ. "ჩახრუხაძე". თუ მისი მოხსენიება სწორ გადმოცემაზეა დაფუძნებული, რუსთველის გვარია... გამოჩენილი ქართველი პოეტის სრული სახელწოდება უნდა ყოფილიყო შოთა ჩახრუხაძე-რუსთველი: ოდები ("თამარიანი") შემონახულა გვარით, პოემა-რომანი ("ვეფხისტყაოსანი") კი - პოპულარული პოეტის სახელითა და ზედწოდებით.^[108]

"თამარიანის" ავტორად რუსთველს მიიჩნევდა მ. ჯანაშვილიც. ის უფრო შორს მიდიოდა: ამტკიცებდა, რომ "აბდულმესიანიც" რუსთველის დაწერილიაო.^[109]

თანამედროვე მკვლევარნი არ იზიარებენ მ. ბროსეს, ნ. მარისა და მ. ჯანაშვილის ამ შეხედულებებს, მაგრამ რუსთველის სხვა თხზულებათა ძიებას მაინც განაგრძობენ. აქ უპირველესად მოსახსენებელია მკვლევარი პ. ინგოროყვა, რომელიც დღესაც დაბეჯითებით ამტკიცებს, თითქოს რუსთველს დაუწერია "ვეფხისტყაოსანს" გარდა ორი პოემა-რომანი - "ქებანი" და ამბავი იოსებ მშვენიერისა.

1. "ქ ე ბ ა თ ა" შესახებ ცნობას იძლევა თვით რუსთველი "ვეფხისტყაოსნის" პროლოგში:

თამარს ვაქებდეთ მეფესა სისხლისა ცრემლ-დათხეული,
ვ თ ქ ვ ე ნ ი ქ ე ბ ა ნ ი ვისნი მე არ-ავად გამორჩეული,
მელნად ვიხმარე გიშრის ტბა და კალმად მე ნა რხეული,
ვინცა ისმინოს დაესვას ლახვარი გულსა ხეული (სტრ. 4).
ჩემი აწ ცანით ყოველმან. მ ა ს ვ ა ქ ე ბ , ვ ი ნ ც ა მ ი ქ ი ა,

ესე მიჩნს დიდად სახელად, არ თავი განმიქიქია (19, 1 - 2).

ამის მიხედვით პ. ინგოროყვა აღნიშნავს: "ვეფხისტყაოსნის" გარდა რუსთველს დაუწერია "ქებანი", რომელიც მას თამარისადმი მიუძღვნია. ეს "ქებანი" ყოფილა პოეტური ნაწარმოები, იმავე ფორმისა, როგორც არის "ვეფხისტყაოსანი", ე. ი. პოემა-რომანი. ის დაწერლია ყოფილა ვეფხისტყაოსანზე ადრე, დაახლოებით 1196-1200 წლებს შორის. თხზულება ავტორისთვის საბედისწერო გამხდარა, რადგანაც რუსთველს მასში გამოუხატავს მანიქველური იდეები. ამის გამო ორტოდოქსალურად განწყობილი საზოგადოება აღშფოთებულა, რასაც პოეტის სამშობლოდან განდევნა მოჰყოლია, "ქებანი" კი მოუსპიათ.^[110]

კ. კეკელიძის მოსაზრებით, სიტყვები "ვთქვენი ქებანი ვისნი მე" ნიშნავს: "მე უკვე ვთქვი, დაწერე მისი, თამარის, ქება ვეფხისტყაოსანშია". რაც შეეხება გამოთქმას "მას ვაქებ, ვინცა მიქია" ის "უნდა იკითხებოდეს არა ტრადიციული, წარყვნილი სახით, არამედ, როგორც აკად. ნ. მარმა ნათელჰყო" - "მას ვაქებ, ვინ ცამ იქია" (ე. ი. я воспевая ту, кому небо уже отвело у себя место).^[111]

ალ. ბარამიძემ გაიზიარა "თამარს ვაქებდეთ მეფესა" - სტროფის ტრადიციული ინტერპრეტაცია^[112], მაგრამ ისიც აღნიშნა, რომ რუსთველს "მართლაც შეიძლებოდა ჰქონოდა დაწერილი სახოტბო ნაწარმოებნი (ვეფხისტყაოსანი, პროლოგი რამდენადმე ამჟღავნებს სახოტბო ტრადიციას), ოღონდ არსაიდან ჩანს, რომ საგულვებელი თხზულება მაინცდამაინც იყო ქებანი .და იგი წარმოადგენდა პოემა-რომანს"^[113]. "ქებანის" საკითხს დადებითად წყვეტს შ. ნუცუბიძე, თუმცა იმასაც დარძენს, რომ ამჟამად. ჩვენ მოკლებული ვართ შესალებლობას დავადგინოთ, თუ როგორი ხასიათისა იყო ეს ქებანიო^[114].

"ვეფხისტყაოსნის" მე-4 და მე-19 სტროფებში დაცული უნდა იყოს ცნობა რუსთველის სახოტბო თხზულების შესახებ და საჭიროა მას მეტი ნდობა გამოვუცხადოთ. პოეტი გარკვევით ამბობს:

ა. „(ჩვენ) სისხლისა ცრემლ-დათხეული ვაქებდეთ თამარ მეფეს, რომლის (ვისნი) ქებანი არ-ავად გამორჩეული. ვთქვი (დაწერე)“;

ბ. „აწ ყველამ გაიგეთ ჩემი (ნათქვამი): ვინც მე მიქია, იმას ვაქებ“ და ა. შ.

ორივე შემთხვევაში რუსთველი უნდა გულისხმობდეს არა მარტო "ვეფხისტყაოსანს", არამედ თავის ადრინდელ თხზულებასაც - ე. წ. ქებანს, რომელიც მას "ვეფხისტყაოსნის" მსგავსად თითქოს თამარისადმი მიუძღვნია.

კითხვა იბადება: რა ჟანრით უნდა ყოფილიყო დაწერილი ეს "ქებანი?" მ. ბროსე, ნ. მარი და მ. ჯანაშვილი ვარაუდობდნენ, რომ ის წარმოადგენს სახოტბო ლექსების კრებულს (თუ სახოტბო პოემას); პ. ინგოროყვა მას უწოდებს "პოემა-რომანს", ხოლო შ. ნუცუბიძე - ხან "სიმღერებს", ხანაც "ჰიმნებს", მაგრამ არსაიდან ჩანს, რომ შოთას "ქებანი" უეჭველად ლექსად იყო დაწერილი. არ არის გამორიცხული საწინააღმდეგო შესაძლებლობა. იქნებ შოთამ "ქებანი" პროზაულად დაწერა? კლასიკურ ხანაში სახოტბო თხზულებანი იწერებოდა არა მარტო ლექსად, არამედ, პროზაულადაც. ასე რომ, რუსთველის ამ არმოღწეული თხზულების შინაარსისა და მისი ჟანრობრივი ხასიათის შესახებ მსჯელობა ყოველთვის საკამათო იქნება, სანამ არ აღმოჩნდება თვით საძიებელი ძეგლი ან მის შესახებ რაიმე გარკვეული ლიტერატურული ცნობა. თვით სათურიც "ქებანი" პირობითია. რაკი რუსთველი ამბობს "ვთქვენი ქებანი", ეს არ ნიშნავს იმას, რომ საძიებელ ძეგლს უეჭველად "ქებანი" ეწოდებოდა. პროლოგის

ცნობიდან მხოლოდ ის უნდა ვივარაუდოთ, რომ რუსთველს სახოტბო თხზულება ჰქონია დაწერილი და მასში შექებული ყოფილა თამარ მეფე.^[115]

2. იოსებისა და ასენეთის სიყვარულის თავგადასავალი საფუძვლად დაედო აღმოსავლეთში ფართოდ ცნობილ სამიჯნურო რომანს - "იოსებზილიხანიანს". მარტო სპარსულ ენაზე ამ სიუჟეტის ათზე მეტი პოეტური თხზულება დაიწერა. მათ შორის .დიდად გავრცელდა ფირდოუსის (834 - 1025) სახელით ცნობილი და ჯამის (გარდ. 1492) ვერსიები. იოსებისა და ზულეიხას სიყვარულის ლეგენდა საქართველოშიც შემოიჭრა. აღორძინების პერიოდში მისი ორი სხვადასხვა ვერსია ითარგმნა ქართულად. პ. ინგოროყვამ გამოთქვა მოსაზრება. რომ ქართველებს, ორი ვერსიის გარდა, ჰქონდათ მესამეც, რომელიც კლასაკურ ხანაში ლექსად დაუმუშავებია შ. რუსთველსო, ამის შესახებ ცნობას გვაწვდის იოსებზილიხანიანის ანონიმური მთარგმნელიო. აი, ამ ცნობის ტექსტიც:

აწ, რუსთველო, გეთხოვები, რომე მომცე ნება თქმისა,
არ გასწყრე და არ ამიკლო, თხოვნა მე მაქვს ამ ჰოქმისა,
რომე გკადრე უკადრომა დაჯრა თქვენი ნასაქმისა.
თქვენვე იცით, სხვავე არგებს,

დასნეულდეს რა,

აქიმსა.

ამ სტროფს პ. ინგოროყვა განმარტავს შემდეგნაირად:

XVI საუკუნის პოეტი ეუბნება რუსთველს: "მომეცი "ნება თქმისა", ოღონდ "არ გასწყრე და არ ამიკლო": უკადრომ გავბედე "დაჯრა თქვენი ნასაქმისა", ე. ი. ლექსად თქმა იოსებ მშვენიერის ამბისა, რომელიც ადრე თქვენს მიერ ყოფილა გალექსილი. "თქვენი ნასაქმი", ანუ თქვენს მიერ დაწერილი რომანი "ნაწყვეტის სახით იყო გადარჩენილი", მე კი ის აღვადგინე, რადგანაც თქვენ იცით, რომ, რა აქიმი დასნეულდეს, მას სხვა მკურნალი არგებსო. "ამრიგად, - დაასკვნის მკვლევარი, - შოთას დაწერილი ჰქონია რომანი-პოემა იოსებ მშვენიერზე, რომელიც ჩვენ დრომდე არ მოღწეულა და რომლისაგან მე-16 საუკუნეში ნაწყვეტები ყოფილა დარჩენილი"^[116].

პ. ინგოროყვას ეს მოსაზრება საფუძვლიანად განიხილა ს. იორდანიშვილმა და ფაქტობრივი მასალებით ცხადყო, რომ ზმნა "დაჯრა" არ ნიშნავს "მიწყობას" (პირდაპირი მნიშვნელობით) და არც "ლექსად თქმას" (გადატანითი მნიშვნელობით), არამედ კონტექსტის მიხედვით ის ნიშნავს "მჭიდროდ დახურვას".^[117]

"იოსებზილიხანიანის" სადავო სტროფის შინაარსი სწორად გაშიფრა კ. კეკელიძემ. ანონიმი პოეტი მიმართავს რუსთველს: "მაპატიე, რომ მე ვიკადრე, გავბედე, როგორც პოეტმა, თქვენს ნასაქმთან ახლოს მისვლა, მისთვის ჩემი ნაშრომის გვერდში ამოყენება. თქვენი ნასაქმის :მიბაძვა, მისი მაგალითად აღება მე იმიტომ გადავწყვიტე, რომ მე, როგორც პოეტი, თქვენთან შედარებით, ვარ სნეული, სუსტი, უძლური. ამიტომ თქვენ, დიდ აქიმს - პოეტს, შეგიძლიათ, მარგოთ რამე, დამეხმაროთ, მასწავლოთ ლექსის თქმა, მიხელმძღვანელოთ".^[118]

ასე რომ, "იოსებზილიხანიანის"! ანონიმური ვერსიის პროლოგიდან არ დასტურდება, თითქოს რუსთველს დაწერილი ჰქონდეს რომანი იოსებ მშვენიერზე. როგორც ალ. ბარამიძე წერს, "გადაწყვეტით შეაძლება ითქვას, რომ უცნობი ქართველი მელექსის ტექსტი რესტავრაციის ნაკვალევს არ ატარებს და, მაშასადამე, მის ლიტერატურულ მოღვაწეობას საერთო არა უნდა ჰქონდეს რა რუსთაველის სავარაუდებელი ნაწარმოების განახლებასთან".^[119]

II. უცნობი ქართველი პოეტები

კლასიკური და აღორძინების ხანის ქართულ მწერლობას შემოუნახავს ცნობები რამდენიმე უცნობ (თუ უსახელო) ან ნაკლებად ცნობილ პოეტზე. მათგან ჩვენს ყურადღებას იპყრობენ მაგნაკორელი, ბისტიკა და ლირიკული ლექსების გამომთქმელნი.

1. მაგნაკორელის შესახებ გვიანდელი ცნობა მოეპოვება იოანე ბაგრატიონს: "მაგნაკორელი ხემშეიას ძე იასე, ესე იყო ფრიად მეცნიერი და რიტორი. ამან შეთხზნა შაირნი სხვაგვარად, უფრო უგრძელეს სტრიქონებითა, ფრიად ტკბილნი და საამო სასმენელნი, რომელსა აწ უწოდებენ ლექსისა მისისა გვარსა, ვინმე შეთხზნის, მაგნაკორულად თქმულსა. გარნა ესე ძველადვე იყო, უწინარეს შოთასა"^[120]. რა წყაროდან მომდინარეობს ეს ცნობა, არ ვიცით. დღეს ჩვენ მოკლებული ვართ საშუალებას გამოვარკვიოთ, თუ ვინ იყო მაგნაკორელი, როდის მოღვაწეობდა და რამდენად სწორია იოანე ბაგრატიონის გადმოცემა. ზ. ჭიჭინაძის ვარაუდით, მაგნაკორელი ცხოვრობდა დავით აღმაშენებლისა და დემეტრე III-ის დროს; დაბადებულია არაგვის ხეობაში, სოფ. მაგნაკორაში. დავით აღმაშენებელთან ერთად მას მონაწილეობა მიუღია მუსლიმანთა წინააღმდეგ ბრძოლებში. მეფის სიკვდილის შემდეგ ის დაბრმავებულია, მიუტოვებია საერო ცხოვრება და ბერად შემდგარა^[121]. საიდან ამოიღო ზ. ჭიჭინაძემ ეს ცნობები, გაურკვეველია. პ. ინგოროყვამ დაადგინა, რომ "მაგნაკორელი ეკუთვნოდა ძველ ქართულ ფეოდალურ გვარს, აბაზამე-მარელელთა გვარეულობას და რომ საშუალო საუკუნეებში ამ გვარის ძირითად სამფლობელოს მართლაც შეადგენდა სოფ. მაგნაკორა (არაგვის ხეობაში), საიდანაც წარმომდგარა პოეტის ეს ზედწოდება მაგნაკორელი"^[122] მის ლიტერატურულ მემკვიდრეობას ჩვენს დრომდე არ მოუღწევია. ტერმინი "მაგნაკორული" გვაგვარაუდებინებს, რომ ჩვენი პოეტი ახალი სალექსო წყობის შემომღები ყოფილა. ეს ლექსწყობა შედგება ერთრიტმიანი, ოცმარცვლიანი და ოთხტაეპოვანი სტროფებისგან, სადაც ყოველ სტროფში რეფრენის .სახით უცვლელად მეორდება მეოთხე ტაეპი. ასეთი ლექსწყობის ნიმუშებს ვხვდებით "ქილილა და დამანაში", პ. ლარაძის "დილარიანსა" და ძველ-ქართულ ლექსთა ხელნაწერ კრებულებში. მათ ყველგან "მაგნაკორული" ეწოდება. ხან ეს ლექსწყობა შერეულია ჩახრუხაულთან და იწოდება როგორც "ჩახრუხაულ-მაგნაკორული". ამის ნიმუში დაცულია "ქილილა და დამანას" საბასეულ რედაქციაში:

კაცს ვისმე ბრჭობას, მსჯავრისა ბჭობას აძლევდენ, იყო
ცრემლისა მღვრელად.
სხვამ უთხრა: სტირ რად, რადმცა ხარ მჩივრად? მოლხენა
გმაროთებს, - ეს ითქმულა ძველად.
მან თქვა: ვაიმე, მაქვსლა რაიმე? სამართლის ქმნანი
მიჩნს საზღვეველად.
ზარი დამეცა, ზარი დამეცა, ჰე გონებისა გასაკრთომელად.

მეოთხე ტაეპი ("ზარი დამეცა, ზარი დამეცა, ჰე, გონებისა გასაკრთომელად") მეორდება რეფრენის სახით ყოველ სტროფში და იქმნება ერთგვარი ლირიკული ჟღერადობა. განსხვავება "მაგნაკორულსა" და "ჩახრუხაულ-მაგნაკორულს" შორის ისაა, რომ პირველს აქვს მხოლოდ გარეგანი რითმა და ჩამოჰგავს ფისტიკაურს

(ოლონდ ურეფრენოდ), მეორეს კი გარეგანთან ერთად შინაგანი რითმებიც მოეპოვება.

2. ცნობას ვინმე ბისტიკას შესახებ გვაწვდის თეიმურაზ მეორე ლექსში “გაბაასება რუსთველთან”. რუსთველი ეკითხება თეიმურაზს: ვინ არის ჩემი მოპაექრე - საქართველოს მეფე, უფლისწული ან დიდგვარიანი ვინმე თუ ვიღაც აშული (დამკვრელი), რომელიც სტვირსა და ჭიანურზე ბისტიკა ცრუს შაირებს დამღერის? აი, სათანადო ადგილი რუსთველის მიგებიდან:

ვინ არის ჩემზედ მეტყველი, შეტყობა დია მსურისა.
თუ ვინმე დიდი კაცია, მიგდება უნდა ყურისა,
არამც რომ დამკვრელი იყოს სტვირისა, ჭიანურისა,
ზედან ემღერდეს შაირებს, ნათქვამს ბისტიკას

ცრუსა.^[123]

პ. ინგოროყვას მოსაზრებით, ეს "ბისტიკა სახალხო პოეტი ყოფილა, მდაბალი წრიდან გამოსული... (მის) ლექსებს სტვირსა და ჭიანურზე ემღერდენ აშულები... (ბისტიკა) ყოფილა მომთხრობელი არა ნამდვილი ამბავისა, არამედ მოგონილი, ტყუილი გმირების თავგადასავლისა”, რის გამოც მას "ბისტიკა ცრუს" უწოდებდნენ. ბისტიკას შემოუღია ახალი სალექსო ფორმა - "ოცმარცვლოვანი საზომის ლექსი (ოთხმუხლოვანი ხუთეული), რითმების გარკვეული განრიგებით სტროფში", მას "ფისტიკაური" (ბისტიკაური, პისდიკაური) ეწოდება. რაკი "ფისტიკაურ" ლექსწყობაში დაცულია მხოლოდ გარეგანი რითმები, ეს "სალექსო ფორმა უფრო არქაულ სახეს ატარებს" და წარმოადგენს შავთელისა და ჩახრუხაძის ლექსების პირველ სახეს. ამიტომ ბისტიკა ძველქართველ მეხოტბეთა წინამორბედი პოეტი უნდა ყოფილიყო, "არა უგვიანესი მე-11 საუკუნისა, ან მე-12 საუკუნის დასაწყისისა".^[124] ამის შემდეგ ა. შანიძემ არსებული მასალების კრიტიკული ანალიზით ნათელიყო, რომ "ფისტიკაურის" სალექსო ფორმა არქაულია. მისი ადრინდელი ნიმუში (რომელსაც მიაგნო პ. ინგოროყვამ) შემოუნახავს VI – VII საუკუნეებში ნათარგმნ აგიოგრაფიულ თხზულებას - "პროკოფის მარტვილობას". ეს არის ოთხმუხლოვანი ხუთეულით დაწერილი ოცმარცვლადი ტაეპი ჰომეროსის თხზულებიდან:

არა კეთილ არს მრავალ-უფლება,
ერთ უფალ იყავნ და ერთ მეუფე^[125].

ფისტიკაურის უძველესი ნიმუში იმავე ჰომეროსის ეპოსიდან შემოუნახავს “ელინთა ზღაპრობანსაც” (ბერძნულიდან თარგმნა ეფრემ მცირემ XI საუკუნეში).^[126] ფისტიკაური სალექსო ფორმითაა დაწერილი “თამარიანის” მერვე თავი ("ოდის" რითმიანი სტროფები). რაკი ეს სალექსო ფორმა ძველისძველი ყოფილა, როგორც ა. შანიძე წერს, საეჭვოა, მისი “პირველად შემომტანი ქართულ კაზმულ მწერლობაში ფისტიკა ანუ ბისტიკა ყოფილიყოს, რომლის ვინაობისა და მოღვაწეობის დროის შესახებ ჯერჯერობით არაფერი ვიცით”.^[127]

მნელია თქმა, თუ ვინ არის თეიმურაზ მეორის "გაბაასებაში" მოხსენებული ცრუ ბისტიკა. სახელ "ბისტიკას" პ. ინგოროყვა თვლის "ბისტი"-დან ნაწარმოებ სიტყვად. იგი წერს: "ბისტი, როგორც ცნობილია, თვალის ბლანდს ეწოდება, რაც სიბრმის დროს თვალის გუგას გადაეკვრის ხოლმე. ბისტიკა უნდა ნიშნავდეს იმასვე, რასაც ბისტი-ანი, თვალ-ბისტიანი, ბრმა. ამის მიხედვით ბისტი-კა დარქმევია ამ

პოეტს ალბათ იმის გამო, რომ იგი ბრმა იყო^[128]. ა. შანიძის განმარტებით კი "ბისტკას" ძირეული სიტყვაა სომხური "პსტიკ" (ქართული გამოთქმით - პისტკ, პირველი თანხმოვანის გაჟღერებით - ბისტკ და ფშვინვით - ფისტკ), რაც ნიშნავს პატარას, პატატას, ანუ პაწაწას^[129]. ამის კვალობაზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ბისტკა შერქმეული სახელია რომელიღაც ათვალისწინებული ქართველი აშულისა, რომელიც სტვირსა და ჭიანურზე დასამღერ შაირებსა თხზავდა.

ბისტკას ცხოვრება-მოღვაწეობის დროის დადგენა ჯერჯერობით გადაუწყვეტელ საკითხად ითვლება. ასევე ღიად რჩება საკითხი იმის შესახებ, თუ ვინ შემოიღო ან დაამკვიდრა ლექსწყობა "ფისტკაური", რომელიც აღორძინების ხანის მწერლობაში პოპულარულ სალექსო ფორმას წარმოადგენდა.

3. პ. ინგოროყვა ფიქრობს, რომ XII – XIII საუკუნეთა მიჯნაზე მოღვაწეობდნენ ქართველი მეხოტბენი - მილისეველი და ბარამან. პირველს დაუწერია ხოტბა-პოემა თამარისა და დავით სოსლანისა, მეორეს კი - ელეგია, რომელიც შეეხება ვითომდა უცხოეთში გადახვეწილ ჩახრუხაისძეს.^[130]

ამ პოეტებს ძველი ქართული მწერლობა არ იცნობს. მილისეველი არის ბერძენი ფილოსოფოსი თალესი, ძველი ქართული საბელწოდებით - თალი მილისეველი, რომელმაც ანტიკურ ფილოსოფიაში თავი ისახელა მატერიალისტური მოძღვრებითა და ასტრონომიული აღმოჩენებით, ხოლო ჰიპოთეზი ბარამან პოეტზე წარმოდგენილია "თამარიანის" ერთი ტაეპის არასწორი გაშიფრვის საფუძველზე.^[131]

XII – XIII საუკუნეებში განსაკუთრებით აყვავდა და გაიფურჩქნა სახოტბო პოეზია, რომელმაც თავისი განვითარების კულმინაციურ გამოსახულებას მიაღწია ჩახრუხაძისა და შავთელის პოეტურ მემკვიდრეობაში. რუსთველის წინამორბედ მწერალთა შორის ეს ორი მეხოტბე დიდი ვერსიფიკატორები და მაღალი მხატვრული სიტყვის გამოჩენილი ოსტატები იყვნენ, მაგრამ მათ გვერდით მოღვაწეობდნენ სხვა მგოსანნი და მელექსენიც, რომელთა სახელები და თხზულებანი ისტორიამ დაივიწყა, და დღეს მათ შესახებ მხოლოდ თამარის მემატეიანეთა ცნობებიდან მოგვეპოვება. ირკვევა, რომ ეს მეხოტბენი მონაწილეობას იღებდნენ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დღესასწაულებში, ოდებს თხზავდნენ მეფეთა და გამოჩენილ მებრძოლთა საქებ-სადიდებლად და აქვეყნებდნენ დიდებულთა საზეიმო ნადიმობისას. პ. ინგოროყვამ ყურადღება მიაქცია ერთ საინტერესო გარემოებას: როდესაც გიორგი მესამე ანისის ბრძოლებში გაიმარჯვა, თბილისში დაბრუნებამდე მან გზიდან "პირითა მხიარულითა წამოავლინა მახარობელი წინაშე ფილოსოფოსთა და პატრიარქისა" მემატეიანე ამ ფაქტს საგანგებოდ აღნიშნავს. გიორგი მეფემ კარგად იცოდა, რომ ანისის აღება ქართველი ხალხის მშვიდობიანი ცხოვრების უზრუნველსაყოფად ისეთ ისტორიულ მოვლენას წარმოადგენდა, რომ საჭირო იყო ამ გამარჯვების აღნიშვნა საზეიმო ვითარებაში. ამიტომაც მან მახარობელი გამოგზავნა ფილოსოფოსებთან (ანუ ბრძენ-პოეტებთან), რომ მათ გიორგის დაბრუნებამდე სახოტბო ლექსები შეეთხზათ, და პატრიარქთან, რათა საეკლესიო მოღვაწენი საზეიმო პარაკლისის მზადებას შედგომოდნენ. ამ მხრივ საყურადღებოა მეორე ფაქტიც: მემატეიანეს ცნობით, "სრასა დიდუბისასა, სანახებსა ტფილისისა" იმერთა და ამერთა დიდებულებმა თამარსა და დავითს 1189 წელს გადაუხადეს "ქორწილი, შესატყვისი და შემსგავსებული ხელმწიფობისა და სახელწიფობისა მათისა". ამ ზეიმთან დაკავშირებით დიდუბეში გაიმართა მგოსანთა ტურნირი, რომელში, ალბათ, მონაწილეობა მიიღეს იმ დროის გამოჩენილმა პოეტებმა და სახალხო მთქმელებმა (მელექსეებმა). ისტორიკოსი კმაყოფილდება მხოლოდ სამი სიტყვით: "იყო ზმა მგოსანთაო". ასეთივე ტურნირი გამართულა შირვან-შაჰის ამირმირმანის

ჩამოსვლასთან .დაკავშირებით თბილისში შოწყობილ ნადიმზე, რომელიც ერთ კვირას გაგრძელებულა. მემატთანე ამბობს: "შემდგომად პურობისა დაიდვეს ნადიმი, სიკეთე და სიტურფე გამოუთქმელი. იყო სიხარული და ზმა მგოსანთა და მოშაითათაო". ძველად მგოსანი მსხიობს ეწოდებოდა, მაგრამ აქ უნდა ვივარაუდოთ მომღერალი პოეტები. ჩვენ არ ვიცით, რა სახის ლექსები წარმოითქვა ამ ტურნირებზე და ვინ მოიპოვა წარმატება, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ მაშინ თამარის საქეზ-სადიდებლად არა ერთი ლექსი დაიწერებოდა და წაიკითხებოდა.

XIII საუკუნის დასაწყისის სახოტბო პოეზიაში გაბატონდა თამარის კულტი. გვირგვინოსანი ქალი მეხოტბეთა სათაყვანებელ არსებად იქცა: მისი პიროვნება ლეგენდარული შარავანდედით შემოსეს. დაიწერა "თამარიანი" "აბდულმესიანი" და სახოტბო იამბიკოები. მემატთანე ამბობს: მგოსანნი და მელექსენი "სახლთა ზედა აკროსტიხურად თამარის შესხმათა დასწერდეს, ბეჭედთა ზედა და დანათა და არგანთა შეამკობდეს, და ზედა თამარის ქებასა დასწერდეს. და ყოველთა პირნი ერთბამად მზა იყვნეს, რათა ღირსი რამე თამარის საქებლობისა სიტყვა აღმოთქვან: ყრმანი მემროწელნი, განპებასა შინა ორნატათასა, თამარის ქებათა მელექსეობდიან: ერავს მყოფნი მეებნენი, გინა მეჩანგენი თამარის შესხმათა მუსიკელობდიან; ფრანგნი და ბერძენნი, ზღვასა შინა მენავენი, ნიაკვეთილობათა შინა თამარის ქებათა იტყოდინ. ესრეთ ყოველი სოფელი სავსე იყო მის მიერთა ქებითა, და ყოველი ენა ადიდებდა, რომელსაცა სახელი მისი ასმიოსდეს".

მეხოტბე-მგოსანთაგან ზოგი პროფესიული პოეტი .იყო, ზოგიც სახალხო მთქმელი, რომელნიც თხზავდნენ სახოტბო ლექსებსა და შაირებს. ეს თხზულებანი ხალხში ვრცელდებოდა ხელნაწერებითა და ზეპირი გზით, მაგრამ მათგან "თამარიანისა" და "აბდულმესიანის" გარდა ჩვენამდე სხვა სახოტბო ძეგლებს არ მოუღწევიათ.

XII – XIII საუკუნეების პოეზიის ერთ-ერთ ძირითად დარგს წარმოადგენდა აგრეთვე მსუბუქი ლირიკის ჟანრები. მათ შესახებ ცნობას გვაწვდის შოთა რუსთველი, როდესაც მოლექსეთა სამი კატეგორიის დახასიათებას იძლევა (სტრ. 12 - 17).

მსუბუქი ჟანრის წვრილი (მცირე ზომის) ლექსები რუსთველის დროს მრავლად იწერებოდა. მათი შინაარსი და დანიშნულებაც სხვადასხვანაირი იყო: ზოგი .ნადიმზე სათქმელად ითხზებოდა, ზოგი - სამღერელად, ზოგი სააშიკოდ, ზოგი - საოხუნჯოდ და სახუმაროდ და ზოგიც - ამხანაგთა საბასრობლად ან მათი ნაკლოვანების გამოსასწორებლად. ერთი სიტყვით, ამ ჟანრის ლექსებში ისახებოდა მაშინდელი არისტოკრატიული საზოგადოების ყოველდღიური საჭირბოროტო საკითხები. რუსთველი ამ კატეგორიის ლექსებს დადებით შეფასებას აძლევს: "ჩვენ მათიცა გვეამების, რაცა ოდენ თქვან ნათელად". ე. ი. ეს მცირე ლექსები "კარგია" და საამო, თუკი ისინი დაწერილია (ან თქმულია) მხატვრულად და გამართული ქართული ენითო.

კლასიკური ხანის პოეზიიდან არც ამგვარ, მსუბუქი ჟანრის ლექსებს მოუღწევია ჩვენამდე. ეს პოეტური მემკვიდრეობაც დაღუპულია.

III. არმოღწეული თარგმნილი თხზულებანი

არმოღწეულ თარგმნილ თხზულებათა განხილვისას ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგ გარემოებას: კლასიკური ხანის ლიტერატურას: სხვადასხვა ციტატის სახით

შემოუნახავს ფრაგმენტები ელინურ-ბიზანტიური და ირანულ-მაჰმადიანური წარმოშობის ძეგლებიდან. მათგან ზოგი ფრაგმენტი ქართულში უშუალოდ ორიგინალებიდან მომდინარეობს, ზოგიც - ძველად არსებული ქართული თარგმანებიდან. რაკი ამ თარგმნილ ძეგლებს ჩვენამდე არ მოუღწევიათ, საგრძნობლად ძნელდება დადგენა იმისა, თუ ქართულ ძეგლებში დამოწმებული ციტატები ან რომელიმე უცხოური თხზულების პერსონაჟთა სახელები საიდან მომდინარეობს - ორიგინალებიდან თუ არმოღწეული ქართული თარგმანებიდან. მაგ., "ისტორიათა და აზმათა" ტექსტში, ჩახრუხადის "თამარიანსა" და შავთელის "აბდულმესიანში" აღმოსავლური და დასავლური წარმოშობის თხზულებათა პერსონაჟების მრავალ სახელსა ვხვდებით და ნებსით თუ უნებლიეთ იბადება კითხვა: თამარის პირველი ისტორიკოსი. ჩახრუხადე და შავთელი რა წყაროებით სარგებლობდნენ, როდესაც ისინი თავიანთ ნაწერებში ამ სახელებს იმოწმებდნენ? თუ ჩვენ ვიტყვით, რომ ქართველი ავტორები აღმოსავლური წარმოშობის სამიჯნურო, საგმირო თუ საზღაპრო რომანებს, ან ჰომეროსის ეპოსს და ბერძნულ საისტორიო ძეგლებს ორიგინალებში კითხულობდნენ და იმის მიხედვით იმოწმებდნენ უცხოურ ლიტერატურულ პერსონაჟთა სახელებს, მაშინ ზედმეტ სკეპტიციზმს გამოვამჟღავნებთ, ხოლო თუ ჩვენ ვიტყვით, რომ ყველა ეს თხზულება ქართულად იყო თარგმნილი და ამით აიხსნება უცხოური სახელების მოხსენიება, მაშინ უკიდურეს ოპტიმიზმს გამოვავლენთ. თანამედროვე ქართული ფილოლოგია განვითარების ისეთ დონეზე დგას, რომ შესაძლებელია არსებული ფაქტობრივი მასალის საფუძველზე მიახლოებით მაინც განვსაზღვროთ ჩვენამდე არმოღწეული ნათარგმნი თხზულებების რაოდენობა და მათი ზოგადი ხასიათი.

1. ქართულ მწერლობაში ჰომეროსის ეპოსისადმი ინტერესი დიდი იყო. ეს ინტერესი განსაკუთრებით გაცხოველდა XI საუკუნიდან, როდესაც სამწერლო ასპარეზზე გამოვიდნენ ეფრემ მცირე, იოანე პეტრიწი და არსენ იყალთოელი, ხოლო XII - XIII საუკუნეები ჰომეროსის გმირთა სახელები არ შორდება საისტორიო და სახოტბო თხზულებების ფურცლებს. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი ჰომეროსს უწოდებს "დიდსა მაქებელსა" და "სახელოვან გამომეტყველს", რომელმაც "შეამკვნა თხრობანი ტროადელთა და აქეველთანი" და აღწერა, "თუ ვითარ აღამემნონ და პრიამოს, ანუ აქილევსი და ეკტორი, მერმეცა ოდისეოს და ორესტი ეკუეთნეს და ვინ ვის მძლე ექმნა" თამარის პირველი ისტორიკოსი კი წერს, რომ გვირგვინოსან მეფეთა (გიორგისა და თამარის) "შესხმა ხამს ომეროსის მიერ" და არა ჩემგანო. ჩახრუხადე ჰომეროსს მოიხმობს თამარის საქებრად, ხოლო ერთგან მას "ყობათთა მცნელს" უწოდებს (X, 10). კლასიკური ხანის მემატეიანენი და მეხოტბენი არაერთხელ ასახელებენ "ილიადასა" პერსონაჟთა სახელებს - აქილევსს, აღამემნონს, მენელაოსს, ჰექტორს, ელენეს, პიროსს (აქალევსის ძეს) და სხვებს.

ჰომეროსის ეპოსის გავრცელებისა და გავლენის შესასწავლად ფრიად მნიშვნელოვანია აგრეთვე XII საუკუნის ერთი დღემდე უცნობი თხრობა, რომელიც დაცულია გელათურ ნუსხაში (№ 2):

"ილიადოდცა წოდებულსა ქალაქსა ტრვიასასა შინა გამეფებასა პრამოისსა თანა მონათესავით მისით ანტინორითურთ ზღაპრის-მეტყველებს ომიროს, რომელ: ამის პრამოის ძემან ალექსანდრე აიტაცა ელენი, ასული მემელაოისი, ელადით და წარმოიყვანა ტრვიადას. რომელი-ესე იქმნა რაი, განლაშქრეს მენელაოს აღამემნონითურთ და მიხდომილთა ტრვიადას შემუსრნეს და მოასრულნეს პრამეთნი. და უკუნ იქცნეს რაი მძლეველნი ელიინნი ელადს, მოწევნულისა ამის მტყებელთა პრამეთ ძლით შეაწყვნეს გოდებანი და გლოვანი. და ესევითარნი, იგი

ტკბილად იძნობებოდეს ანტინორიდელთა და სხვათა ყოველთა მიერ. ილიადო, ესე იგი არს ტრვია ქალაქის ბოროტთა მათდა ძვირთათვის შესაწევრებული.”

ეს თხრობა წარმოადგენს ეგნატე დიაკონის (IX საუკ.) თხზულების ("სიტყვა ექსორიობით აღმოყვანებისთვის სხეულისა წმიდისა ნიკიფორესსა") ერთი ადგილის კომენტარს. რაკი მთარგმნელს ამგვარი განმარტება დაურთავს, უნდა ვიფიქროთ, რომ XI საუკუნის მიწურულს თუ XII საუკუნის დასაწყისში ჰომეროსის ეპოსის (კერძოდ, ტროის ციკლისა) ამსახველი თხრობა ქართულად ჯერ კიდევ არ ყოფილა დამუშავებული.

შავთელი და რუსთველი არ იხსენიებენ ჰომეროსსა და მის თხზულებათა პერსონაჟებს, მაგრამ ირკვევა, რომ მათთვის კარგად ყოფილა ცნობილი გადმოცემა "ოდისეადან" ჯადოსნური "მოლის" შესახებ^[132]. შავთელი წერს "აბდულმესიანში":

ანდიბან მოგვმან, გრძნებითა მბორგმან,
მისნობით ხელ-ყო ზაკვით ზღაპრობა,
ემმაკს ევედრა, სული შეჰვედრა,
მით ექმნა სრულად მათთან საგრობა,
თქვენგან ქურუმთა მყის აქ ურუმთა
მოლითა ცუდ-ყვეს ბომონთ-მოთხრობა (79).

ანუ ახალი ქართულით: "გრძნებით მბორგავმა მოგვმა ანდიბანმა მისნობით მიჰყო ხელი მზაკვრულ ზღაპრობას. მან ემმაკს (საკუთარი) სული ჩააბარა და შეევედრა (რომ მისთვის ჯადოსნობა ესწავლებინა). ამით ის მთელი თავისი არსებით ემმაკების თანამოსაგრე გახდა, (მაგრამ) თქვენმა ქურუმებმა აქ (საქართველოში) ურუმთა (ბერძენთა) მოლით მყისვე გააბათილეს ბომონების მოთხრობა (გრძნეულობაზე)".

სიტყვა "მოლი"-ს ვხვდებით რუსთველის "ვეფხისტყაოსანშიც": "მან გრძნეულმან მოლი რამე წამოისხა ზედან ტანსა" (127, 3).

შავთელთან და რუსთველთან "მოლი" მოგვთა და ქაჯთა გრძნეულობის, ჯადოსნობისა და მისნობის გამაბათილებელი (გამაუქმებელი) საშუალებაა. ამასთანავე შავთელის ლექსიდან ირკვევა, რომ ეს რაღაც "მოლი" ჰქონიათ ბერძნებს (ურუმებს). მართლაც, ჰომეროსის "ოდისეას" მიხედვით, "მოლი" (Μολυ) არის მაგიური ძალის მქონე შავფესვება და თეთრყვავილიანი მცენარე, სამკურნალო წამალი (ფარმაკონი), რომლითაც ადამიანი თავს იზღვევს გრძნეულთა ჯადოსნური საწამლავებისა და სხვა რაიმე თილისმური ზემოქმედებისგან (X, 305).

რაკი ძველ საქართველოში ჰომეროსს დიდი გამოხმაურება მოუპოვებია, უნდა ვიფიქროთ, რომ XII საუკუნეში "ელიანთა ზღაპრობანის" მსგავსად ქართულ ენაზე უნდა გაჩენილიყო ჰომეროსის ეპოსის მოკლე გადამუშავებული ვერსია, "რომელშიც გადმოცემული ყოფილა უმთავრესად ომროსის ილიადის თხრობა" და "სხვა ბერძნული თქმულებები აქვეელ-ტროელთა ეპიკური ციკლის შესახებ".^[133] სავარაუდებელია, ეს ვერსია .მომდინარეობდა ბიზანტიის სკოლებში სახმარებელი რომელიმე კომპენდიუმიდან ან უშუალოდ ჰომეროსის თხზულებებიდან^[134].

2. "ივლიანე განდგომილის" წიგნში მოთხრობილია რომის იმპერატორის ივლიანესა და მისი მემკვიდრის ივბიმიანეს თავგადასავალი: კონსტანტინე იმპერატორის შვილმა ივლიანემ ქრისტიანობა უარყო და კერპთაყვანისმცემლობა მიიღო. ამიტომ მას განდგომილი ეწოდა. ივლიანე იყო ერთ-ერთი უბოროტესი იმპერატორი, რომელიც ბომონებს მსხვერპლად სწირავდა ცოცხალ ადამიანებს. გიორგი ამარტოლი ამბობს: ივლიანე "საღმრთო ტაძართა დააქცევდეს და

ქრისტიანეთა მძვინვარედ სტანჯავდეს^[135]. მან "ბევრეულნი მუცელქმულნი დედანი განაპნა სისხლის სადინელთა შინა ღვძლის მზმელობისათვის და მრავალნი ყრმანი დაკლნა და ქვეშე კერძო კერპთასა დაჰფლნა... სხვადა მრავალი სიტყვერი გუნდი თითოსახელთაგან ჰასაკთა თითოსახეთა მისცა სიკვდილთა სახელსა ზედა პოსიდონისსა".^[136] 363 წლის 24 ივნისს, როდესაც სპარსთა და ბიზანტიელთა ჯარები საბრძოლველად ემზადებოდნენ, ივლიანე მოკლეს მოულოდნელად ნატყორცნი ისრით. ამის შემდეგ მეფედ დაჯდა ივბიმიანე (იობიანე). მან ზავი დადო სპარსელებთან და ხალხისათვის ფრიადი "მოსწრაფება და ზრუნვა" გამოიჩინა, "ექსორიობასა მყოფთა ეპისკოპოსთა აღმოუწოდა" და მამის მიერ დაქცეული ეკლესიანი აღადგინა, მაგრამ მისი მეფობიდან რვა თვის შემდეგ ახალგაზრდა იმპერატორი უდროოდ გარდაიცვალა (იქვე, გვ. 387).

ივლიანესა და ივბიმიანეს ცხოვრება ვრცლად აღუწერიათ ასურულ ენაზე 502 - 503 წლებში. მის ავტორს გამოუყენებია ბიზანტიური საისტორიო წყაროები, ზოგი რამ თვითონ შეუთხზავს და ისე გაუტანია ქრისტიან ხალხთა მწერლობაში. თხზულებას გასცნობიან ქართველებიც. ივლიანესა და ივბიმიანეს ცხოვრების ეპიზოდებს მოგვითხრობენ ჯუანშერი და "აზმათა" ავტორი.^[137]

მათი ცნობების მიხედვით, კ. კეკელიძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ, რაკი ვახტანგ გორგასალისა და თამარის ისტორიკოსებს გამოუყენებიათ წყაროდ "ივლიანეს რომანი", ეს "ნახევრად ისტორიული და ნახევრად ბელეტრისტული ნაწარმოები, ... მაჩვენებელია იმისა, რომ თხზულება ქართულ ენაზე არსებობდა ჩვენი მწერლობის კლასიკურ პერიოდში"^[138]. ამავე დასკვნამდე მივიდა პ. ინგოროყვაც: "ძველიდანვე არსებულა .ივბიმიანოსის რომანის ქართული ვერსია, რომელიც ეკუთვნოდა დროს არა უგვიანეს 8 - 9 საუკუნისა".^[139] მართლაც, ივბიმიანოსის ვინაობა ძველ-ქართულ მწერლობაში იმდენად ცნობილი ყოფილა, რომ სავარაუდებელია "ივლიანეს რომანის" ქართული თარგმანის არსებობა, მისი წარმოშობის დროის შესახებ კი გარკვეული მოსაზრების გამოთქმა ჯერჯერობით შეუძლებელია.

3. თხზულება "ალექსანდრიანი" შეიცავს ალექსანდრე მაკედონელის თავგადასავალს, რომელშიც ისტორიულ ამბებთან ერთად ფართო ადგილი ეთმობა სასწაულებრივი ეპიზოდების აღწერას. საისტორიო წყაროები მის ავტორად ასახელებენ კალისტენე ოლინთიელს - არისტოტელეს ძმისწულსა და ალექსანდრეს ერთ-ერთ ყველაზე მახლობელ კაცს, რომელიც პროფესიით ექიმი, აზიაში ლაშქრობის დროს თან ახლდა მეფეს. ეს რომანი დიდხანს მისი სახელით ვრცელდებოდა, მაგრამ ევროპელმა მეცნიერებმა გამოარკვიეს, რომ ალექსანდრიანის შეთხზვაში კალისტენეს არავითარი როლი არ მიუძღვის. ამიტომ მას, ჩვეულებრივ, "ფსევდო-კალისტენს" უწოდებენ. რაკი თხზულებაში მოთხრობილია ალექსანდრეს საინტერესო ლეგენდური მოგზაურობა აღმოსავლეთში და მისი ძლევა მოსილი ლაშქრობანი, ამ რომანს ძველიდანვე დიდი გავრცელება მოუპოვებია არამარტო ახლო აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქრისტიანულ მწერლობაში, არამედ აღმოსავლურ-მაჰმადიანურშიც. შეიქმნა პროზაული და ლექსითი ვერსიები ბერძნულ-ლათინურ, სპარბულ-არაბულ, ასურულ, სომხურ, სერბიულ, სლავურ და სხვა ენებზე.^[140]

"ალექსანდრიანი" ძველიდანვე ცნობილი ყოფილა ქართველებისათვისაც, მისი კვალი შეიმჩნევა ჯერ კიდევ IX საუკუნის მეორე ნახევრის ძეგლში - "მოქცევაჲ ქათლისაჲს" ქრონიკაში.^[141]

როგორც კ. კეკელიძე შენიშნავს, ალექსანდრე მაკედონელის ქართლში ყოფნის ამბავი "შემოტანილი უნდა იყოს ჩვენს მატიანეში სწორედ ამ რომანიდან".^[142] ამის

უქველობას ცხადყოფს ლეონტი მროველის თხზულება, რომელშიც პირდაპირაა მითითებული ალექსანდრე მაკედონელის ცხოვრების შემცველი წიგნი: "ესე ალექსანდრე გამოჩნდა ქვეყანასა საბერძნეთისასა, ქვეყანასა, რომელსა ჰქვიან მაკედონი, ძე ნექტანებისა, მეგვიპტელისა, ვითარცა წერილ არს ამბავი მისი წიგნსა ბერძენთასა".^[143] აქ ალექსანდრეს მამად დასახელებულია ნექტანებ მეგვიპტელი, რომელმაც, "ალექსანდრიანის" მიხედვით, მოაჯადოვა ფილიპე მაკედონელის მეუღლე ოლიმპია და მასთან დაებადა ალექსანდრე. რომანის შემთხვევლს ეგვიპტელ მეფეთა ჩამომავლად მიაჩნია ალექსანდრე, რომლის ძარღვებში ჩქეფდა ფარაონების სისხლი. სხვა ავტორები კი ალექსანდრეს მამად ასახელებენ ფილიპე მაკედონელს. ლეონტის მიერ დასახელებული წიგნი, რომელშიც მოთხრობილი ყოფილა ალექსანდრე მაკედონელის ამბავი, არის ფსევდო-კალისტენის "ალექსანდრიანი" რომელიც, სავარაუდებელია, ამ დროს უკვე არსებობდა ქართულ ენაზე.

ქართველები იცნობდნენ ალექსანდრე მაკედონელის ცხოვრებას არისტოტულეს "ისტორიითაც".

არისტოტულე ალექსანდრე მაკედონელის ერთ-ერთი ისტორიკოსია. იგი მონაწილეობდა ალექსანდრეს სამხედრო ექსპედიციებში. პროფესიით იყო ტექნიკოსი (ინჟინერი). ალექსანდრეს გარდაცვალების შემდეგ იგი ცხოვრობდა კასანდრეაში, სადაც მან, 84 წლის მოხუცმა, აღწერა ალექსანდრეს ცხოვრება, რომელიც შეავსო საკუთარი მოგონებებით და ალექსანდრეს შესახებ არსებული მდიდარი ლიტერატურით. არისტოტულეს "ისტორია" დაკარგულია^[144]. მასზე ცნობებს გვაწვდიან ბერძენი ისტორიკოსები, გეოგრაფები, ქართველებიდან კი დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, რომელიც ჰომეროსისა და იოსებ ფლავიოსის გვერდით ასახელებს "არისტოვლის", როგორც "დიდსა და სახელოვან გამომეტყველს". მან "ალექსანდრესნი წარმოთქვნა ძლეობანი. სიმხნენი და ძლევა-შემოსილობანი".^[145] მემატიანე დავითის სახელმწიფოებრივი და სამხედრო საქმიანობის დასახასიათებლად ხშირად მიმართავს ამ "ისტორიას".^[146]

ალექსანდრეს სახელი არა სცილდება თამარის ისტორიკოსების თხზულებათა ფურცლებსაც. "აზმათა" ავტორი ერთგან ასახელებს "ისტორიას ისქანდერ მაკიდოვნელისას", ხოლო მეორე ისტორიკოსი - "ვინმე ჟამთააღმწერელს".

ერთი სიტყვით, ეს ფაქტობრივი მასალები ცხადყოფენ, რომ ძველ ქართულ მწერლობაში ალექსანდრე მაკედონელის ისტორია დიდად პოპულარული ყოფილა. ამიტომ სავარაუდებელია, რომ არა უგვიანეს XI საუკუნისა ქართულ ენაზე უკვე არსებობდა ალექსანდრიანის ვრცელი ვერსიის თარგმანი, ამავე დროს საისტორიო ხასიათის კომპენდიუმი, რომელშიც მოთხრობილი იქნებოდა ალექსანდრეს ცხოვრება და ლაშქრობანი.

* * *

კლასიკური ხანის ქართველები დიდი ინტერესით ადვნიდნენ თვალყურს აღმოსავლურ-მაჰმადიანური (სპარსული და არაბული) მხატვრული მწერლობის განვითარებასაც. ისინი ქართულად თარგმნიდნენ სამიჯნურო-სათავგადასავლო და საგმირო-საფალავნო რომანებს და მათ ხელნაწერების სახით ავრცელებდნენ ხალხში. ნ. მარი 1899 წელს ძველი ქართული საერო ლიტერატურის აღმოცენების და განვითარების შესახებ წერდა: «Совершенство литературного языка в сохранившихся памятниках, полное умение древних авторов обращаться с литературными работами и разнообразие литературных родов ставят вне сомнения вопрос об обилии светских

произведений в Грузии той поры. Достаточно сказать, что судя даже по скудным обломкам немногих сохранившихся древнегрузинских писателей, в наших руках было бы еще до десяти литературных памятников, переводов с персидского или обработок персидских сюжетов, если бы судьба пощадила их».^[147] იმის გასათვალისწინებლად, თუ XII – XIII საუკუნეებში მაჰმადიანური სამყაროდან (უპირველესად სპარსულიდან) ქართულად რომელი თარგმნილი რომანების არსებობაა სავარაუდებელი, მკვლევარნი ჩვეულებრივ მიმართავენ "ისტორიათა და აზმათა" და ძველ-ქართული სახოტბო ძეგლების ცნობებს. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს "აზმათა" ერთი ეპიზოდი, რომელშიც მოთხრობილია თამარ მეფის გათხოვების ისტორია. მწერალი ამბობს: "შეიყარნეს შემჭირნენი და ზრახვაყვეს", რათა თამარისათვის მოეყვანათ ისეთი ქმარი, როგორც იყვნენ: თაჰამთა (როსტომი) თუმიანისთვის, ამირან დარეჯანის ძე ხვარაშან ქალისთვის, ხოსროშანშა ბანუისთვის, მზეჭაბუკი ხაზართა მეფის ასულისთვის, იაკობი რაქელისთვის, იოსებ შვენიერი ასენეთისთვის, დავით წინასწარმეტყველი ბერსაბესა და აბისაკისთვის, მხნედ მებრძოლი პელოპი. იპოდამისთვის, პლუტონი პერსეფონისთვის, რამინი ვისისთვის, ფრიდონი შაჰრინოზ-არნავაზისთვის და შადბერ აინლიეთისთვის"^[148]. ამ შეყვარებული წყვილებიდან თაჰამთა და თუმიანი, ხოსროშანშა და ბანუ, რამინი და ვისი, შადბერ და აინლიეთი სპარსული სამიჯნურო-საგმირო რომანების პერსონაჟები არიან. მათგან ქართულმა მწერლობამ შემოგვინახა მხოლოდ ვისისა და რამინის ამბავი (ანუ ვისრამიანი), მაგრამ კითხვა იბადება: კლასიკურ ხანაში ქართულად არსებობდა თუ არა "შაჰ-ნამე" რომელშიც მოთხრობილია როსტომისა და თუმიანის სიყვარულის ამბავი, ონსორისა და ნიზამი განჯელის პოემა-რომანების თარგმანები და სხვა სამიჯნურო-სათავგადასავლო, საგმირო-საფალავნო და დიდაქტიკურ-საზღაპრო თხზულებანი? ამ საკითხის შესახებ ჩვენმა მკვლევარებმა (ნ. მარმა, კ. კეკელიძემ, პ. ინგოროყვამ, ალ. ბარამიძემ, გ. მარმა, დ. კობიძემ) საყურადღებო მოსაზრებანი გამოთქვეს. განვიხილოთ ისინი თითოეულ რომანთან დაკავშირებით.

1. "შაჰ--ნამე" ანუ მეფეთა წიგნი სპარსულ-ტაჯიკური მწერლობის უბრწყინვალესი საგმირო-საფალავნო და საისტორიო-ლეგენდური თხზულებაა, რომელიც ეკუთვნის აბულ-ყასიმ ფირდოუსის (935/6-1020/6). იგი ითარგმნა არაბულ, თურქულ და ქრისტიან ხალხთა ენებზე. მკითხველები ინტერესით ეცნობოდნენ თხზულების ლეგენდურ ნაწილს, რომელშიც მოთხრობილია ერანისა და თურანის ფალავანთა ბრძოლებისა და შერკინების ამბები, შეყვარებულ ქალ-ვაჟთა ურთიერთობის წარმტაცი ეპიზოდები და მეფეთა გმირული თავგადასავალი. ქართველები ამ ლეგენდური ნაწილით ადრიდანვე დაინტერესებულან. ალ. ბარამიძის სიტყვებით რომ ვთქვათ, "ქართულმა ფეოდალურმა საზოგადოებრიობამ შაჰნამეში დაინახა თავისი სოციალურ-პოლიტიკური ზრახვების საუკეთესო მხატვრული ანარეკლი".^[149] "შაჰ-ანამეს" კვალი შეიმჩნევა ლეონტი მროველის "ქართველთა მეფეთა ცხოვრებაში" (დაწერილია XI საუკუნის მეორე ნახევარში). ლეონტი აღწერს ქეკაპოსის ამბებს და იქვე დასძენს: "ვითარცა წერილ არს წიგნსა სპარსთა ცხოვრებისასა" (I, გვ. 14). აქვე მოხსენიებულია "შაჰ-ნამეს" მეფეთა და ბუმბერაზთა სახელები: აფრიდონ, შიომ ბედნიერი, ქაიხოსრო, სპანდიატ რვალი, ბაჰამან და სხვა; ფრიდონის ჭაბუკობის აღწერისას კი მემატიაწე წერს: "გამოჩნდა ნათესავთა შორის ნებროთისთა კაცი ერთი გმირი, რომლისა სახელი აფრიდონ,

რომელმან შეკრა ჯაჭვითა ბევრასფი, გველთა უფალი,
და დააბა მთასა ზედა, რომელ არს კაცთ-შეუვალი" (I, გვ. 12 - 13).

აქ ნაგულისხმევია “შაჰ-ნამეს” ის ეპიზოდი, რომელშიც აღწერილია ზააქის შეპყრობა ფრიდონის მიერ. სპარსული ტექსტით, ზააქის ზედწოდებაა “ზევრასფი”, რომელიც ფრიდონმა ჯაჭვებით დააბა მთზე.

“შაჰ-ნამეს” კვალი შეიმჩნევა დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულებაშიც. მწერალი ამბობს: “მოსიმახოს ვინმე ითქმის ებრაელი მოისრობისა და კეთილ-მმართველობისათვის ალექსანდრეს სპათა შორის მჯობად, და აქილევ კენტავროსისგან განსწავლული მოისრობისა ელინთა შორის, ხოლო ბარამ-ჯური სპარსთა შორის მოქმედად უცხოთა და საკვირველთა”(I, გვ. 348 - 349). აქ დასახელებული ბარამ-ჯური პერსონაჟია ფირდოუსის თხზულებისა. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ როსტომი ორჯერაა მოხსენიებული “ვისრამიანის” ქართულ თარგმანში, მაშინ როდესაც ორიგინალში ამის შესახებ არაფერია ნათქვამი.

XII – XIII საუკუნეების მწერლები ისტორიულ პირთა (გიორგი III-ის, თამარისა და დავით სოსლანის) დასახასიათებლად შედარების დროს სარგებლობენ “შაჰ-ნამეთი”. “აზმათა” ავტორი გიორგი მეფეზე ამბობს, რომ მამაღმერთმა “ძისა სწორად მოსაყდრედ გამოაჩინა” გიორგი მეფე - “ალექსანდრე და ქ ა ი ხ ო ს რ ო მ მყრობელთა შორის..., სპანდიარ, თაჰამთა და სიაოშ გოლიათთა შორისა (II, გვ. 3). ის “სიაოშის მოყმეობითა სდევდა” მტერს (II, გვ. 9), ხოლო თამარისათვის ისეთი ქმარი უნდა მოეყვანათ, როგორც არის “თაჰამთა თუმიანისთვის” (II, გვ. 35), თამარი “ქაიხოსროს მსგავსი ხელმწიფეა” (II, გვ.29). დავით სოსლანისა და მის მეზრძოლთა შესახებ კი შენიშნავს: “ანუ ვისმცა ქება მიხდომოდა დავითის მოყმისა, ბაყათარისა და თარხნისა, ევრემიანისა, და დიდებულთა ბუმბერაზთა და მოყმეთა, მსგავსთა როსტომისთა და გივისთა?” (II, გვ. 65). ჩახრუხადე იმოწმებს როსტომის ბრძოლის ერთ ეპიზოდს:

ყარყუმს და არანს, მით ზედა არანს
როსტომ ებრძოდა თვით შეძლებულად (I, გვ. 29).

X ოდაში კი თამარს ასე მიმართავს:

არ გვანდეს დარი ხოსრო დადარი,
საამ-აქილევ, დებორა ქველი (X, 12).

იოანე შავთელი დავით სოსლანს “შაჰ-ნამეს” გოლიათებზე მალა აყებებს მხნეობითა და ვაჟკაცობით:

უთრუთ-საამით, ზაალსა ამით
განქიქებულ-ჰყოფს ძლიერებითა.
სალიმ და თური, ძლით უკეთური
როსტომ, ვერა ვცან, სწორავს თუ რითა? (15, 3 - 4),

ხოლო ერთ სტროფში ის ყურადღებას ამახვილებს როსტომის მჭექარე ხმაზეც:

მეზრძოლთა გუნდნი ყოვლად ყვნის ცუდნ,
ხმა როსტომით-ა უმჯნე ძალთათვის (31, 4).

ასე რომ, “შაჰ-ნამეს” დიდი გამოძახილი ჰქონდა კლასიკური ხანის ქართულ მწერლობაში, დაწყებული XI საუკუნის ნახევრიდან და დამთავრებული XIII

საუკუნის 20-იანი წლებით. იმთავითვე ეს ეპიური ციკლი შეიჭრა ქართველი ხალხის სულიერ ცხოვრებაში, მან თავისი დადი დაატყო ხალხურ ზეპირსიტყვიერებასაც. ყველაფერი ეს იმაზე მეტყველებს, რომ "შაჰ-ნამე" კლასიკურ ხანაში ქართულად უკვე თარგმნილი ყოფილა, ალბათ, პროზაულად, როგორც ამას ერთხმად აღიარებენ ძველი ქართული. ლიტერატურის მკვლევარნი - ნ. მარი, იუსტ. აბულაძე, კ. კეკელიძე, ალ. ბარამიძე და კ. ინგოროყვა^[150]. სავარაუდოდ, რომ პირველ ხანებში, სანამ "შაჰ-ნამეს" ქართული თარგმანი გაჩნდებოდა, ქართველი მწიგნობარნი ფირდოუსის ქმნილებას კითხულობდნენ ორიგინალში. ზოგიერთი პერსონაჟის სახელს, იუსტ. აბულაძის მოსაზრებით, "უძველესი ზენდურ-ფაზენდური და ფალაური" ბეჭედი აზის^[151]. ეს იმით აიხსნება, რომ სპარსული ლეგენდები უძველესი დროიდან ვრცელდებოდა საქართველოში და ამიტომაც პერსონაჟთა სახელები ძველი ფორმით დამკვიდრდა ჩვენს ენაში. როდესაც XI საუკუნეში "შაჰ-ნამეს" ეცნობოდნენ დედანში, ქართველი მწერლები თავიანთ თხზულებებში პერსონაჟთა სახელებს იმავე ძველი ფორმით ხმარობდნენ^[152]. "შაჰ-ნამეს" ძველი ქართული თარგმანი XII საუკუნის ნახევრამდე სავარაუდებელი არ არის.

2. "შატბიერ და ანალათ" სპარსული სამიჯნურო-სათავგადასავლო რომანია, მისი სიუჟეტი დაუმუშავებიათ მწერლებს ჯერ კიდევ წინაისლამურ პერიოდში. 1126 წლის ცნობით. "გოსშტაბის შვილის ბეჰემანის დროს არსებობდა მოთხრობა შადრეჰრისა და აინ-ალ-ჰიათის შესახებ".^[153] ეს მოთხრობა XI საუკუნის პირველ ნახევარში გაუღიქსავს ონსორის (970/980 – 1039/40 წწ.).

ონსორი დიდად ცნობილი პოეტი იყო ძველ აღმოსავლეთში, წერდა სახოტბო და სამიჯნურო-ლირიკულ ლექსებს (ყასიდებსა და ღაზელებს). მუჰამედ ოუფის ცნობით, მას დაუწერია სამი სამიჯნურო-სათავგადასავლო შინაარსის პოემა-რომანი: "ვამეყ და აზრა" "თეთრა კერპი და წითელი კერპი" და "შატბიერ და ანალათ". უკანასკნელი ორი პოემის შესახებ თითქმის არაფერი ვიცით. დაბეჯითებით არც იმის თქმა შეიძლება, მათგან ჩვენამდე რაიმე ნაწყვეტმა მოაღწია თუ არა, ხაყანი შირვანელი (1120 - 1200 წწ.) თავის ხოტბაში გამოთქვამს მწუხარებას, რომ ონსორის ოდებისა და ღაზელების გარდა სხვა არაფერი დაუწერიაო.

მკვლევარნი ვარაუდობენ, რომ, რაკი ხაყანი არ იცნობდა ონსორის, პოემა-რომანებს, მის დროს ეს თხზულებანი უკვე დაკარგული იქნებოდაო. ე. ბერთელსის აზრით, საფიქრებელია ისინი განადგურდნენ მაშინ, როდესაც XII საუკუნის ნახევარში გურიდ ალა ად-დინ ჰუსეინ ჯაჰანსუზმა ცეცხლითა და მახვილით ააოხრა ე. ღაზნა, პოეტთა რეზიდენცია, სადაც მოღვაწეობდა. პოეტი ონსორი.^[154]

კლასიკური ხანის ქართულმა მწერლობამ ცნობები შემოგვინხა ონსორის ორი პოემა-რომანის შესახებ. ჩახრუხადისა და "აზმათა" ავტორისათვის ცნობილი ყოფილა "შატბიერ და ანალათ". ჩახრუხაძე წერს:

უგავს შატბიერს, გულად ლაყბიერს,
ანალათისა რად დაშვრა ძევად (VII, 25).

"აზმათა" ავტორი კი ამბობს: თამარისთვის ისეთი ქმარი უნდა მოეყვანათ, როგორც იყო "შადბერ აინლიეთისთვის" (II, გვ. 36).

შატბერ-შადბერ და ანალათ-აინლიეთი ონსორის მესამე პოემის პერსონაჟები არიან. რაკი ჩახრუხაძესა და თამარის ისტორიკოსს მხატვრული შედარების მიზნით

მიუმართავთ ონსორის თხზულებისათვის, XIII საუკუნის დასაწყისში "შატბიერ და ანალათ" განათლებული ქართველებისათვის ხელმისაწვდომი ყოფილა.

“თამარიანისა” და “აზმათა” ტექსტების ჩვენებათა საფუძველზე ნ. მარი ვარაუდობდა, რომ შატბიერ და ანალათ არიან რომელიღაც რომანის გმირები.^[155]

მას ისინი ესახებოდნენ ავთანდილისა და თინათინის პროტოტიპებად: "შადბეჰრ по персидски значит «жизнерадостный», и его грузинский поэт Руставели заменил именем авთანდიла, а ин-ал-ჰაიათ по арабски значит «источник жизни», и вместо него в нашей поэме Вепхისტკაოსანი народное грузинское имя თინათინ, т. е. Отражение света».^[156]

1934 - 1935 წწ. გ. მარმა დოკუმენტური მასალებით გაარკვია, რომ შატბიერ და ანალათ არიან ონსორის პოემა-რომანის გმირები. იგი წერდა: 1917 წელს, როდესაც ნ. მარმა დაბეჭდა გამოკვლევა “ვეფხისტყაოსანზე”, მაშინ არც ამ გმირების ვინაობა იცოდა ვინმემ და არც პოემა “შატბიერ და ანალათ”, მხოლოდ ამ ერთი წლის წინ ჩვენ გავარკვიეთ, რომ ასეთ სახელწოდებას ატარებდა ონსორის ერთ-ერთი დაკარგული თხზულება, რომელიც შესაძლებელია რუსთველისათვის ცნობილი იყო მაშინ, როდესაც “ვეფხისტყაოსანს” წერდაო. გ. მარს იმედი ჰქონდა, რომ ონსორის თხზულებათა ფრაგმენტების შეგროვებითა და შესწავლით გამოირკვეოდა “შატბიერ და ანალათისა” და “ვეფხისტყაოსანის” ურთიერთდამოკიდებულება. ამიტომ იგი ერთგვარი აღფრთოვანებით აცხადებდა: ნაპოვნია ძაფის ერთი ბოლო. ჩვენ უნდა ამ ძაფს გავყვეთ, რომ საკითხი მთლიანად გავარკვიოთ.^[157] შემდგომმა კვლევა-ძიებამ ნათელყო მამა-შვილის მოსაზრებათა მცდარობა.

3. “ვამეყ და აზრაც” სამიჯნურო-სათავგადასავლო რომანია. მისი სიუჟეტიც დამუშავებული ყოფილა ჯერ კიდევ წინაისლამურ ხანაში, ხოსრო I ანუშირვანის (531 - 538 წწ.) დროს.

XI საუკუნის პირველ ნახევარში ვამეყ და აზრას ამბავზე პოეტ ონსორის შეუთხზავს პოემა-რომანი “ვამეყ და აზრა”, რომელიც დიდად გავრცელებულა ახლო აღმოსავლეთის მაჰმადიანურ და აგრეთვე ქრისტიანულ ქვეყნებში. ამ პოემას ჩვენამდე არ მოუღწევია (გადარჩენილია თითო-ოროლა ბეითი, რომელიც დამეზნა ძველ სპარსულ წყაროებში და გამოაქვეყნა რუსული თარგმანით კ. ჩაიკინმა)^[158]. ზოგიერთი ორიენტალისტი ფიქრობს, რომ ონსორის პოემის სიუჟეტი შემოგვინახა თურქმა პოეტმა ლამიმ (+ 1530/31), რომელსაც მოეპოვება რამდენიმე სპარსულ-ტაჯიკური სამიჯნურო-სათავგადასავლო პოემა-რომანის თარგმანი, მაგრამ, როგორც ეს ე. ბერთელსმა გამოარკვია, ჩვენ არავითარი სერიოზული საფუძველი არა გვაქვს, რომ ლამის “ვამეყ და აზრა” წარმოადგენს ონსორას პოემის ზუსტ თარგმანს. ონსორის “ვამეყ და აზრა” დაწერილი უნდა ყოფილიყო ბერძნული სამიჯნურო-სათავგადასავლო რომანების გვარად.^[159]

ცნობა იმის შესახებ, რომ ქართველები იცნობდნენ “ვამეყ და აზრას” შემოგვინახა იოანე შავთელმა “აზდულმესიანში” (32):

ვხმობ ვამეყ-ვისსა, ართუ მეყვისსა,
როს იავარ-ყო იამან ქვეყნით,
აღმოფხვრა სული - ძე და ასული:
რაც უყო, თქმევად ვის ძალ-უც ენით?
და სხვა^[160].

ამით იოანე შავთელს სურს თქვას, რომ თამარმა და დავითმა მუსლიმანი მტრები ისევე აღგავეს დედამიწის პირიდან, როგორც ვამეყმა და ვისმა. კ. კეკელიძე შენიშნავს, რომ “ვამეყ და აზრას” შინაარსის გასათვალისწინებლად სპარსულ კუპიურებთან ერთად არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება “აბდულ-მესიანის” 32-ე სტროფს, რომელშიც გადმოცემულია ვამეყის საბრძოლო თავგადასავლის ერთი მომენტი - იამანისა და მისი სამეფოს განადგურება^[161].

თარგმნილი იყო თუ არა ონსორის პოემები ქართულად?

როგორც ითქვა, “შატბიერ და ანალათისა” და “ვამეყ და აზრას” სპარსული ორიგინალები დაკარგულა (თუ მივიწყებთ მისცემია) XII საუკუნის მეორე ნახევარში. თუ ორიენტალისტთა ეს მოსაზრება სწორია, მაშინ XII – XIII საუკუნეების მიჯნაზე მცხოვრები ქართველი მწერლები (ჩახრუხაძე, შავთელი და “აზმათა” ავტორი) ონსორის პოემებს გაიცნობდნენ ქართულ თარგმანებში, რადგანაც XIII საუკუნის დასაწყისში სპარსული დედნები მათთვის ხელმისაწვდომი აღარ იქნებოდა. ასე რომ, XII საუკუნის პირველ ნახევარში “შატბიერ და ანალათ” და “ვამეყ და აზრა” ქართულ ენაზე უკვე უნდა არსებულიყო. კ. ინგოროყვას მოსაზრებით, ეს მტკიცდება იმითაც, რომ ორივე პოემის პერსონაჟთა სახელები დადასტურებულა შუა საუკუნეების ქართულ ონომასტიკონში^[162]. “შატბიერ” (შადბეჰრ) სახელი-ეპითეტია და სპარსულად ნიშნავს “კეთილი ბედის მქონეს, ბედნიერს”. ეს სახელი-ეპითეტი გვხვდება ძველ-ქართულ წერილობით ძეგლებში. XIII საუკუნეში ჩვენ ვხვდებით მის გახალხურებულ ფორმასაც “შატბია”. ამავე სახელიდანაა ნაწარმოები გვარიც - “შატბერაშვილი. სახელი - “ვამეყი” კი გავრცელებული იყო დადიანთა საგვარეულოში^[163]. კ. კეკელიძე ითვალისწინებს რა ამ გარემოებებს, დასძენს: საკითხი ონსორის ქართულად თარგმანის შესახებ შეიძლება დადებითად გადაწყდესო^[164].

4. “ხოსროვშირინიანი” და “ლეილმაჯნუნიანი”, სამიჯნურო-სათავგადასავლო შინაარსის პოემა-რომანები, დაწერილია დიდი აზერბაიჯანელი პოეტის ნიზამი განჯელის (1141 - 1203 წწ.) მიერ: პირველი პოემა - 1180 წლის მახლობლად, მეორე კი - 1188 წელს. “ხოსროვშირინიანის” დაწერის ისტორიას მოგვითხრობენ შემდეგნაირად: 1173 - 1174 წლებში დარუბანდის მმართველმა ნიზამის საჩუქრად გამოუგზავნა ახალგაზრდა ყივჩაყი მონა-ქალი, რომელსაც სახელად ერქვა აფაქი. ქალი თავის დამცირებას ძლიერ განიცდიდა, მაგრამ ნიზამი მას მოეპყრა გულთბილად და ჭეშმარიტი სიყვარულით შეიყვარა იგი, მალე ცოლადაც შეორთო. 1174 - 1175 წლებში ნიზამის მისგან შეეძინა ვაჟიშვილი, რომელსაც სახელად უწოდეს მუჰამედი. ცოლ-ქმარი დიდად ბედნიერად გრძნობდა თავს, მაგრამ 1180 წელს აფაქი გარდაიცვალა, რამაც ძლიერ დაამწუხრა ნიზამი. 1180 - 1181 წლებში ნიზამიმ მიიღო შეკვეთა ტოლრილ მეორისგან (1177 - 1194), რომ მას დაეწერა პოემა სიყვარულის თემაზე. ნიზამიმ ამ შეკვეთის შედეგად გადაწყვიტა შეეთხზა ისეთი ამბავი, რომელშიც მთავარი გმირი იქნებოდა ქალი.^[165] ავტორმა თავის პოემას საფუძვლად დაუდო გავრცელებული ლეგენდა ხოსროვისა და შირინის სიყვარულისა და პოეტური შთაგონებით შექმნა უკვდავი პოემა “ხოსროვი და შირინი”, რომელმაც დიდი სახელი გაუთქვა ნიზამის იმდროინდელ აღმოსავლეთში.

ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, რომ შირინის პროტოტიპად ნიზამის აღებული აქვს ახალგაზრდა თამარი, რომელიც თხზულების წერის პროცესში საქართველოს მეფედ ითვლებოდა თავის მამასთან, გიორგი მესამესთან ერთად, ხოლო შამირა (დიდი ბანუ, ე. ი. ქალბატონი) არის თამარის მამიდა რუსუდანო.^[166]

“ხოსროვ და შირინი” მალე გახდა ცნობილი ქართველებისთვის. “აზმათა” ავტორი იხსენიებს ამ პოეპა-რომანის პერსონაჟებს - “ხოსრო-შანშას” (მეფეთ-მეფე ხოსროს) და ქალბატონს. - “ზანუს”, რაც იმას მოწმობს, რომ “ხოსროვშირინიანი” საქართველოშიც პოპულარული თხზულება ყოფილა.

ნიზამი განჯელს “ლეილმაჯნუნიანის” დაწერა დაუკვეთა შირვან-შაჰმა აღსართან პირველმა. პოეტს არ უნდოდა ამ პოემის დაწერა, მაგრამ მისმა შვილმა მუჰამედმა ურჩია, შირვან-შაჰის დაკვეთაზე უარი არ ეთქვა. ნიზამიმ შვილს დაუჯერა, სულ მალე პოემა დაწერა და აღსართანს გაუგზავნა.^[167] “ლეილმაჯნუნიანმა” დიდი მოწონება დაიმსახურა სამეფო კარზე და სწრაფად გავრცელდა.

ქართველ მწერალთაგან “ლეილმაჯნუნიანის” პერსონაჟებს იხსენიებენ ჩახრუხაძე და რუსთველი. ნიზამის პოემაში მაჯნუნს ეწოდება ყაირა, ხოლო ქართველი პოეტები მას უწოდებენ “კაენის”-ს. ჩახრუხაძე თამარს მიმართავს:

და სტირს კაენის - ეს, ვით კაენის
ძმის მკვლელობისა დანაზრალევად.
ამან თავი რად მართ აზავირად,
შექმნა ლეილის ნამიჯნურევად,
ნებით რად არა შენ გემუდარა,
ანუ სამონოდ მოგმართა ძლევად? (VII, 26 - 28).

ხოლო რუსთველი წერს:

მისნი ვერ გაძლნეს პატიჟნი ვერ კაენ, ვერცა სალამან (1340, 4).

მკვლევარნი (ნ. მარი, კ. კეკელიძე, პ. ინგოროყვა, ალ. ბარამიძე და სხვანი) სამართლიანად ფიქრობენ, რომ კლასიკურ ხანაში უნდა არსებულიყო “ხოსროვშირინიანისა” და “ლეილმაჯნუნიანის” ქართული თარგმანები. პ. ინგოროყვა დაბეჯითებით აღნიშნავს, თითქოს “ლეილმაჯნუნიანი” ქართულად ითარგმნა 1188 წელს, “იმავე წელს იგი პოპულარული გახდა ქართულ ლიტერატურულ წრეებში” რადგანაც “მის გამოძახილს ჩვენ ვპოულობთ თანამედროვე პოეტის ჩახრუხაძის ოდაში, რომელიც იმავე 1188 წელს დაიწერა, შირვან-შაჰის დარბაზობის დროსო”.^[168] ამ შემთხვევაში პ. ინგოროყვა გულისხმობს “თამარიანიდან” “ევად”-რითმიან ოდას, რომელიც ნ. მარს მიაჩნდა 1187 - 1188 წლებში დაწერილად, მაგრამ ბოლო დროს დასაბუთდა, რომ “ევად”-რითმიანი ოდის დაწერისას ქართველებს მოთავებული ჰქონდათ არა მარტო 1195 წლის შამქორის ომი, არამედ 1204 - 1205 წლების ბრძოლაც, მომხდარი ე. ხლათის მიდამოებში.^[169] დაბეჯითებით თქმა იმისა, რომ “ლეილმაჯნუნიანი” ამა და ამ წელს ითარგმნა ქართულად, შეუძლებელია. არსებული ცნობები მხოლოდ იმას გვაფიქრებინებს, რომ ნიზამის პოემები შეიძლება ეთარგმნათ XII საუკუნის მიწურულს ან XIII საუკუნის დასაწყისში, ალბათ, თვით ნიზამი განჯელის სიცოცხლეშივე.^[170]

5. “ვეფხისტყაოსნის” 1340, 4-ე ტაეპში კაენთან (ყაისთან) ერთად მოხსენიებულია რომელიღაც სამიჯნურო-სათავგადასავლო რომანის პერსონაჟი “სალა” (მოთხრ. ბრუნვით - “სალა-მან”). ამავე სალას იხსენიებს ჩახრუხაძე:

სალას სალმობად უჩნს-ყე დალმობად

ნ. მარმა “ვეფხისტყაოსნის” “სალმან”-ის ანალოგიით თამარიანში სახელი სალა შეასწორა “სალმან”-ად და განმარტებაში აღნიშნა, რომ “სალამან” (-სალმან) შეიძლება იყოს პერსონაჟი სპარსული რომანისა “სალმან და აბსალ” (ТР, IV, 68), ანდა «герой какого то романа» (იქვე, რდთ). ნ. მარი 1910 წელს ამ პერსონაჟის შესახებ იუსტ. აბულაძის ^[171]საკვასუბოდ წერდა: «Можно еще спорить, кого под этим Салман и Абсал, или героя другого произведения, но, что здесь речь о живом лице, сомневаться нельзя... Факт во всяком случае тот, что каენის resp. კაენი и სალიან resp. სალა - имена героев прославленных поэм. Их-то, очевидно, и имел в виду Руставский поэт в стихе (1340, 4): «его (Тариела) [любовных] терзаний не вынести бы ни Каэну, ни даже Саламану (ТР, XII, გვ. XLIII – XLIV). 1926 წელს პ. ინგოროყვამ “რუსთველიანაში” გაკვრით შენიშნა, რომ “ვეფხისტყაოსნის” დასახელებულ ტაეპში იგულისხმება “უცნობი სპარსი პოეტის რომანი “სალამან” რომელიც, “შოთას ეპოქაში უკვე თარგმნილი იყო სპარსულიდან ქართულადა» (გვ. 267). ხოლო ეს მოსაზრება ვრცლად ჩამოაყალიბა 1938 წელს (“რუსთველის ეპოქის სალიტერატურო მემკვიდრეობა”, გვ. 30 - 31): “ეს რომანი (იგულისხმება “სალამან და აბსალ”) თარგმნილი ყოფილა ქართულად და ერთგვარი პოპულარობითაც სარგებლობდა მკითხველ საზოგადოებაში”... რაკი “სალამანის სახელი ჩახრუხადის და რუსთველის თსზულებებში მოხსენებულია უბრალოდ, ყოველგვარი განმარტების გარეშე, პოეტურ შედარებაში,... ცხადია, ქართველ მკითხველ საზოგადოებას კარგად სცნობია სალამანის სახელი, რომელიც იმდენად პოპულარულ, ცოცხალ სახედ ქცეულა, რომ მათი დასახელება იწვევდა გარკვეულ პოეტურ წარმოდგენას და არ იყო უქმი და უშინაარსო სიტყვა”. პ. ინგოროყვას შეხედულება სხვა მკვლევარებმა არ გაიზიარეს. კ. კეკელიძემ 1936 წელს ნარკვევში «Руствели и Низами Гянджеви» გამოთქვა მოსაზრება, რომ თამარიანის “სალა” და ვეფხისტყაოსნის “სალამან” ერთი და იგივე პირია, ერთ-ერთი პერსონაჟი ნიზამი განჯელის პოემისა “ლეილმაჯნუნიანი”, სადაც ეს “სალა” მოიხსენიება როგორც იბნ-სალამიო^[172]. ასევე ალ. ბარამიძემ აღნიშნა. რომ “სალა” resp. სალამ-ი არის არა “სალმან და აბსალის”, არამედ “ლეილმაჯნუნიანის” გმირი” იბნ-სალამი, “რომელსაც ლეილის სიყვარულის გამო ბევრი ჭირი ხვდა წილად”^[173]. დასასრულ, ამ ორ ურთიერთსაპირისპირო მოსაზრებას შორის საშუალო პოზიცია დაიჭირა იუსტ. აბულაძემ: “თამარიანში”, - წერს იგი - “საუბარია ნიზამი განჯელის სალამზე და არა სალმან და აბსალის გმირ სალმანზე (სკანდირებით, სალამანზე), მაგრამ... ვეფხისტყაოსანში უსათუოდ იგულისხმება გაუფორმებელი მრავლობითი რიცხვის (?) ძველი ფორმა სახელის “სალამან” პოემიდან “სალამან-ო-აბსალ”^[174].

რომანს “სალამან და აბსალს” საფუძვლად უდევს ძველ-ბერძნული ნეოპლატონური მოთხრობა გარკელის შვილის, მეფე გარმანუსის შესახებ. ეს მოთხრობა არაბულად გადათარგმნა ასურელმა მწერალმა ხუნაინ იბნ-ისჰაკმა (809 - 873), შემდეგ იგი არაბულ ენაზევე დაამუშავა ავიცენამ (980-1037), 1273 წლის ახლოს ირანულად - ნასირ-ედ-დინ ტუსელმა, დაბოლოს XV საუკუნეში - სპარსელმა პოეტმა ჯამიმ^[175]. XVI საუკუნეში ჯამის “სალმან და აბსალის” პერიფრაზი მოგვცა თურქმა პოეტმა ლამიმ^[176]. ამ ვერსიებიდან არცერთი არ შეიძლება სცოდნოდათ ჩახრუხადესა და რუსთველს. სამი უკანასკნელი მათ შემდეგ დაიწერა, პირველი ორის ციტირება კი გამორიცხულია. “სალა-სალმან” განთქმული პოემების გმირთა სახელებია. დასაშვებია ერთი შესაძლებლობაც: იქნებ ჩახრუხადესა და რუსთველს ხელთ ჰქონდათ “სალამან და აბსალის” ისეთი სპარსული ვერსია, რომელიც ძველად (XII -

XIII საუკუნეებში) ცნობილი იყო და შემდეგში დაიკარგა? ნ. მარი, პ. ინგოროყვა, იუსტ. აბულაძე და სხვანი ვარაუდობენ სწორედ ამგვარ ვერსიას, რომელიც, პ. ინგოროყვას აზრით, 1188 წლის. ახლო ხანში ქართულადაც კი უთარგმნიათ, მაგრამ ეს არის ყველაზე ნაკლებად დამაჯერებელი ვარაუდი. სანამ სალა (სალმან-ის) ვინაობა არ გაირკვევა, მანამდე სხვადასხვა ფილოლოგიურ ძიებას ყოველთვის ჰიპოთეზური ხასიათი ექნება^[177].

6. "ქილილა და დამანა" ინდური წარმოშობის დიდაქტიკურ-მორალური შინაარსის თხზულებაა. იგი კლასიკური ხანის ქართველი მწერლებისთვის ცნობილი ყოფილა. ვახტანგ VI "ანვარი სოჰაილის" ქართული თარგმანის წინასიტყვაობაში ამბობს: "ჟამსა მას პატიოსნისა და ამალღებულისა და დიდებულისა, დედათ-შვენიერებისა, თვითმპყრობელისა და ღვთივ-გვირგვინოსნის მეფეთ-მეფისა თამარისსა ესე წიგნი ეთარგმნათ, რომელი "ცხოვრებასა ქართლისასა" წერილ არს... მაშინდელი ნათარგმნი ჟამთა ვითარებით დაკარგულ იყო"^[178]. ვახტანგის ცნობის სისწორეს ადასტურებს "ისტორიანი და აზმანი", სადაც ვკითხულობთ: "ვითარ ითქმის ინდოთა აღწერილსა ქილილა-დამანასა შინა იგავი ბუთა და ყვავთა"(II, გვ. 13).

"ქილილა და დამანას" ეს თარგმანი შესრულებული უნდა ყოფილიყო არაუადრეს XII საუკუნისა^[179].

* * *

აი, ყოველივე ის, რაც შეიძლება ითქვას კლასიკური ხანის ფრაგმენტების, არმოღწეული ძეგლებისა და უცნობი პოეტების შესახებ. განხილულიდან ცხადი ხდება, თუ როგორი დიდი ლიტერატურული მემკვიდრეობა გვექონია ქართული მწერლობის კლასიკურ ხანაში. სამწუხაროდ, ამ მემკვიდრეობიდან დღეს თითზე ჩამოსათვლელი ძეგლებიღა შემოგვრჩა. ზოგიერთმა მათგანმა (მაგ., "თამარიანმა") ჩვენამდე ნაკლები სახით მოაღწია. მიუხედავად ამისა, ის ფრაგმენტები და ცნობები არმოღწეული ძეგლებისა და უცნობი პოეტების შესახებ, რომელნიც შემოგვინახეს ძველმა ლიტერატურულმა წყაროებმა უძვირფასესია კლასიკური ხანის ქართული მწერლობის საერთო სურათის აღსადგენად და XI – XII საუკუნეების ქართველთა კულტურული დონის გასათვალისწინებლად.

^[1] ვეფხისტყაოსნის ყალბი ადგილები (მოამბე, 1895, XI, გვ. 8-9).

^[2] ვეფხისტყაოსანი, დ. კ ა რ ი ჭ ა შ ვ ი ლ ი ს წინასიტყვაობით, შენიშვნებით და ვრცელი ლექსიკონით, თბ., 1903, გვ. VII-VIII.

^[3] ჟურნ. "განათლება", 1913, VI, გვ. 412-424.

^[4] «Новый мир», 1934, VI, გვ. 99.

^[5] ერთ დროს "ვეფხისტყაოსნის" წარმოშობას ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე ვარაუდობდა მე-14 – 15 საუკუნეებში (ვეფხისტყაოსნის 1913 წლის გამოცემის შესავალი წერილი), ხოლო ნ. მარი მონღოლების ხანაში, მე-14

საუკუნეში (Грузинская поэма "Витязь в барсовой шкуре" Шоты из Рустава и новая культурно-историческая проблема, ИАН, 1917). შემდეგ ორივემ უარყო თავიანთი შემთხვევითი ვარაუდები და ტრადიციულ თვალსაზრისს დაუბრუნდნენ.

^[6] И. В. А б у л а д з е , Х . Г . Ш а р а ш и д з е , К вопросу об имени и родине Руставели Сообщения АН Груз. ССР, т. №7, 1941, гв. 681 – 688).

^[7] ი ქ ვ ე , გვ. 684.

^[8] კ . კ ე კ ე ლ ი ძ ი ს შენიშვნები დასახელებულ ნაშრომზე (ლიტერატურული ძიებანი, I, 1943, გვ. 275 – 277; ტ. რუხაძე, პოეტი სვიმეონ დეკანოზი შოთას-ძე (ლიტერატურული ძიებანი, III, 1946, გვ. 379 – 381).

^[9] არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა . დიალექტიზმების საკითხისათვის ვეფხისტყაოსანში (ენიმკის მოამბე, III, 1938, გვ. 209 -227).

^[10] ირ. აბაშიძე, ა. შანიძე, გ. წერეთელი - შოთა რუსთველი იერუსალიმის ჯვარის მონასტერში ("კომუნისტი", 22. XI.60)

^[11] ი ქ ვ ე .

^[12] ტიმოთე გაბაშვილი, მომოსვლა, ე. მეტრეველის გამოცემა, თბილისი, 1956, გვ.80.

^[13] ი ქ ვ ე , გვ.82.

^[14] ნ . მ ა რ ი , Синодик Крестного монастыря в Иерусалиме, 1914, гв. XXVIII, 78; ე. მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, თბილისი, 1962, გვ.75, 108.

^[15] კ . ჭ ე კ ე ლ ი ძ ე , ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1958 წ., გვ. 112.

^[16] ე. მეტრეველი, ტიმოთე გაბაშვილი, მიმოსვლა, გვ.056; მისივე, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, გვ. 52; ა. შანიძე, Поездка в Иерусалим (Вестник АН СССР, 1961, № 8, გვ.. 94); ს. ყაუხჩიშვილი. შოთა რუსთაველი და ჯვარის მონასტერი (მნათობი, 1961, № 2, გვ.117-118) პ. ინგოროყვა. თხზულებათა კრებული, I, 1963. გვ. 540 – 543.

^[17] ი. მეგრელიძე, Руставели и фольклор, 1960, გვ. 40. მ. ჩიქოვანი, მოგვითხრობს ხალხი ("კომუნისტი", 3. 6. 60).

^[18] თეიმურაზ ბაგრატიონი, განმარტება პოემა ვეფხისტყაოსნისა, გაიოზ იმედაშვილის რედაქციით, გამოკვლევითა და საძიებლით, თბილისი, 1960, გვ. 295.

^[19] Новые данные о Руставели ("Вечерний Тбилиси", 7.V. 60) მისივე, მისი ცხოვრების უკანასკნელი ფურცელი ("კომუნისტი". 15, 5. 60).

^[20] Поездка в Израиль, М., 1959, გვ. 112 – 131 (აგრეთვე, გადმოცემა რუსთველის საფლავის შესახებ, "მნათობი", 1959, № 5. გვ. 125 – 126).

^[21] წერილი ვეფხისტყაოსნის გამო (გაზ. "თეატრი", 1890, № 12).

^[22] ТР, XII, გვ.1.

^[23] Вступительные и заключительные строфы "Витязя в барсовой шкуре Шоты из Рустава, с этюдом "Культ женщины и рыцарство в поэме" (ТР, XII, СПб 1910); Грузинская поэма "Витязь в барсовой шкуре" Шоты из Рустава и новая культурно-историческая проблема (ИАН, 1917).

^[24] კ. ჭიჭინაძე. ვეფხისტყაოსნის უზბეკურივერსიები, მნათობი, 1938, № 10, გვ. 135 – 173.

^[25] Узбекский народный героический эпос, мосკოვი, 1947, გვ. 50.

^[26] ფიქრები ვეფხისტყაოსნის შესახებ (თხზულებანი, VII, თბილისი, 1956, გვ.318).

^[27] პ. ინგოროყვა, შოთა რუსთაველი, თბილისი,

^[28] განმარტება პოემა "ვეფხისტყაოსნის", გ. იმედაშვილის გამოცემა, თბილისი, 1960, გვ. 290 - 291

^[29] იქვე, გვ.292-293.

^[30] О Грузинской поэме5 Вепхис-Ткаосани или Барсова Кожа (ქართული ქრესტომატია, II, 1846. გვ. V-VIII).

^[31] ვ ა ხ უ შ ტ ი , საქართველოს ისტორია, I, დ. ბაქრაძის რედაქციით, თბილისი, 1885, გვ. 218 – 219. შენიშვნა.

^[32] შოთა რუსთველი, თბილისი, 1896, გვ. 66 -93.

^[33] ფიქრები ვეფხისტყაოსნის შესახებ (თხზულებანი, VII, გვ. 315 -330).

^[34] Древнегрузинские одописцы (ТР, IV).

^[35] კ . მ ა რ ქ ს ი , ფ რ . ე ნ გ ე ლ ს ი , რჩეული ნაწერები, ტომი II, თბილისი, 1950, გვ. 216.

^[36] დასახელებული ნაშრომი, გვ. 277.

^[37] ფრ. ე ნ გ ე ლ ს ი , ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა, თბილისი, 1938, გვ. 77.

^[38] თუმცა ნესტანთან შედარებით თინათინის სახე საერთოდ მკრთალია

^[39] ი ვ . ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ მ ა ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ " ვეფხისტყაოსანში" განსხვავებული მნიშვნელობით იხმარება სიტყვა დ ი ა ც ი (ქართული ენისა და მწერლობის

ისტორიის საკითხები, 15). შესაფერისად განსხვავებულია პოემაში დიაცური ზნეობა, დიაცური სიყვარული, რომლის თაობაზე საუბარი გვექნება ქვემოთ.

[40] პატარა საუბარი, თხზულებანი, II, 1941 წ., გვ. 294.

[41] პატარა საუბარი, თხზულებანი, ტ. II, 1941 წ., გვ. 295.

[42] გულაბერისძის შესახებ იხ. კ. კ ე კ ე ლ ი ძ ი ს ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1951, გვ. 298 – 302; ივ. ჯ ა ვ ხ ი შ ვ ი ლ ი , ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები, გვ. 97 – 109.

[43] ჩემს თავგადასავალსო.

[44] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა . ვეფხისტყაოსნის 750 ლისტავისადმი მიძღვნილი კრებულის

წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა (ენიმკის მოამბე, 1938, III, გვ. X).

[45] აღ. ბ ა რ ა მ ი ძ ე . ხალხთა ძმობა-მეგობრობის იდეა ნიჰამი განჯელისა და შოთა რუსთველის პოემების მიხედვით (ლიტერატურული ძიებანი, X, 1956, გვ. 173 – 185).

[46] ქართული სამართლის ისტორია, წიგნი მეორე, ნაკვეთი პირველი, თბილისი, 1928, გვ. 68.

[47] ეს "ღმრთისა სწორნი" როსტევანია. ავტორი აქ იყენებს ე.წ. დიდებულობის მრავლობითობის ხერხს.

[48] ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, II, 2, თბილისი, 1929, გვ. 122.

[49] რუსთაველის ესთეტიკა (მნათობი, 1957, №8, გვ. 146).

[50] მეგობარი, მახლობელი, თანამესუფრე.

[51] Грузинская поэма «Витязь в барсовой шкуре»... (ИАН, 1917)

[52] კ. მარქსი და ფ. ენგელსი, კომუნისტური პარტიის მანიფესტი, თბილისი, 1948, გვ. 36.

[53] История Западно-европейской литературы. Раннее средневековье и Возрождение. Москва, 1947, გვ. 250; А.К. Дживалегов, Данте, Москва, 1933, გვ. 151-152.

[54] История Западно-европейской литературы. გვ. 287-300

[55] დაბალ შაირს ზოგჯერ უწოდებენ გრძელ შაირს, მაღალს - მოკლეს.

[56] პ. ბერიძე, ქართული ლექსის ბუნებისათვის (მნათობი, 1944, № 3, გვ. 142—143).

[57] "ვეფხისტყაოსნის" მაჯამური სტროფები მაღალი შაირის რიგს განეკუთვნება.

[58] ვ. ბერიძე, რუსთაველის შაირისათვის (ენიმკის მოამბე, III, 1938, გვ. 190).

[59] ა. გაწერელია, ნარკვევები ქართული პოეტიკიდან, 1938, გვ. 18).

[60] ამ კარში დასმული საკითხები ვრცულად არის განხილული აღ. ბარამიძის მონოგრაფიაში, - "შოთა რუსთაველი", თბილისი, 1958, გვ. 174 – 231.

[61] შოთა რუსთაველი, "ენიმკის მოამბე", 1938, III, გვ. 242.

[62] ქართული სიმღერა (მნათობი. 1957, № 4, გვ. 141).

[63] ფრ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა, თბილისი, 1953, გვ. 93.

[64] Низами Ганджеви, Хосров и Ширин. Под редакцией В.В. Гольцева. Вступительная статья и комментарии Е.Э. Бертельса, М., 1948, стр. 16; Е.Э. Бертельс, Низами, М., 1948, стр. 130.

[65] ვახტანგისეული "ვეფხისტყაოსანი" აღადგინა და ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი გახადა პროფ. ა. შანიძემ (შოთა რუსთაველი. ვეფხისტყაოსანი. ვახტანგისეული გამოცემა 1712 წლისა, აღდგენილი აკაკი შანიძის მიერ. თბილისი, 1937).

[66] ახალმა დაკვირვებამ კიდევ უფრო განამტკიცა მოსაზრება ვახტანგისეული ვეფხისტყაოსნის კრიტიკული ხასიათის თაობაზე (ს. ცაიშვილი, ვახტანგისეული ვეფხისტყაოსნის საკითხისათვის, "ლიტერატურული ძიებანი", IX, 1955, გვ. 313-324.).

[67] ამჟამად იბეჭდება "ვეფხისტყაოსნის" მეცნიერულ-კრიტიკული ტექსტი, ა, შანიძისა და ა. ბრამიძის რედაქციით.

[68] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 114. ამ ფრაგმენტის შესწავლას ხანგრძლივი ისტორია აქვს (იხ. თ. ჟორდანიას, ქრონიკები, I, 1892, გვ. 301; ივ. ჯავახიშვილი, ძვ. ქართ. საისტორიო მწერლობა, 1945, გვ. 225 – 234; კ. კეკელიძე, ქართ. ლიტერატურის ისტორია, 1, 1960, გვ. 316 - 317. პ. ინგოროყვას წერილი, "რუსთაველის კრებული", 1938, გვ. 70).

[69] ივ. ლოლაშვილი, იყალთოელისა და ჭიმჭიმელის იამბიკოებისთვის ("ლიტ. და ხელოვნება", 1950, № 35). აქ განხილულია საკითხის გარშემო არსებული ლიტერატურა.

[70] გ. მარი, კ. დონდუა, სპარსულ-ქართული ცდანი, 1926, გვ. 18.

[71] ს. ყაუხჩიშვილი სიტყვა "ჯამსი"-ს განმარტავს როგორც "მნათობი მზე" და წყაროდ უთითებს პ. ინგოროყვას ნარკვევს, რომელიც დაბეჭდილია "რუსთაველის კრებულში" (ქ. ცხ. II, 1959, გვ. 701), მაგრამ

პ. ინგოროყვას იქ ახსნილი აქვს სიტყვა “შამსი”, რაც მისი მოსაზრებით, ნიშნავს მნათობს, მზეს, ხოლო “ჯამსის” შესახებ იგი არაფერს ამბობს (რუსთავ. კრებული, 1938, გვ. 70).

[72] მეოთხე ტაეპის ბოლო ორი სიტყვა “ზადება შენაბარისა” აღდგენილია კ. კეკელიძის მიერ (ისტორიანი და აზმანი, 1941, გვ. 56).

[73] ლიტერატურული ძიებანი, VI, 1959, გვ. 224.

[74] ივ. ლოლაშვილი, ძველი ქართველი მეხოტბენი, I, ჩახრუხადე, ქება მეფისა თამარისი, 1957; ჩვენი საუნჯე, II, 1960, გვ. 455—482. ქვემოთ თამარიანის ტექსტი დამოწმებული იქნება აღნიშნული გამოცემებიდან.

[75] მ. ხონელი, ამირანდარეჯანიანი, 1896, გვ. 259.

[76] თ. ბაგრატიონი, განმარტება პოემა ვეფხისტყაოსნისა, გ. იმედაშვილის რედაქციით, 1960, გვ. 290: თ. ბაგრატიონი ამავე ცნობას იმეორებს მარი ბროსესადმი მიმართულ წერილშიც (S ფონდის № 4797).

[77] პ. ლარაძე, დილარიანი, 1903, გვ. 10; ზ. ჭიჭინაძე, ქართული მწერლობა XII საუკ., 1887, გვ. 51

[78] მ. ხონელი, ამირანდარეჯანიანი, 1896, გვ. 259, ზ. ჭიჭინაძე, დილარიანი და სავანე გმირთა (ივერია, 1897 წ., № 12).

[79] TP, IV, 1902, გვ. რძვ.

[80] კავკასიონი, 1924, № 1 – 2, გვ. 286; პ. ინგოროყვა, რუსთველიანა, 1926, გვ. 281; მისივე თხზ., I, გვ. 189.

[81] რუსთაველის კრებული, 1938, გვ. 37 – 40.

[82] კ. კეკელიძე, ქართული ლიტ. ისტორია, II, 1958, გვ. 282.

[83] ეთერიანი, მ. ჩიქოვანის რედ., 1954, გვ. 157 – 163.

[84] იქვე, გვ. 161.

[85] ეთერიანი, მ. ჩიქოვანის რედ., 1954, გვ. 110; შდრ., მოსე ხონელი, ამირანდარეჯანიანი, 1939, გვ. 71; ჩვენი საუნჯე, II, გვ. 348 – 349.

[86] К. Д. Дондуа. Абесалом и Этер (Труды Института языка и мышления, II, Тристан и Изольда, под редакцией Н. Я. Марра, 1932, гв. 175 - 178).

[87] TP, IV, გვ. 99 – 100; ИАН, 1917, გვ. 429; შდრ.: Ю. Н. Марр, Статьи и сообщения, II, 1939, გვ. 133; მისივე, Прототип поэмы «Некто в барсовой шкуре» (сб. «Академику Н. Я. Марру», 1935, გვ. 613 – 619).

[88] რუსთაველეს კრებული, გვ. 41 – 42.

[89] რუსთაველის კრებული, გვ. 153 – 155, ისტორიანი და აზმანი, კ. კეკელიძის რედ., 1941, გვ. 29 – 31; შდრ. ქ. ცხ. II, გვ. 36.

[90] ალ. ბარამიძე, ნარკვევები, III, 1952, გვ. 281 – 282.

[91] TP, IV, 1902, გვ. 99.

[92] რუსთაველის კრებული, გვ. 40.

[93] კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1958, გვ. 282.

[94] ს. ცაიშვილი, თამარიანის ტექსტისათვის (სახალხო განათლება, 1955, № 10).

[95] ივ. ლოლაშვილი, ძველი ქართველი მეხოტბენი, I, 1957, გვ. 106 – 108.

[96] ამირანი, მითოლოგიური პოემა, განახლებული და რესტავრირებული შ. ნუცუბიდის მიერ, 1946, გვ. XXV – XXXV; III. Нуцубидзе, Руставели и вост. Ренесс., 1947, გვ. 150 – 170; მისივე, Творчество Руставели, 1958, გვ. 121 – 142.

უკანასკნელ დროს, დ. ლენგთან კამათისას შ. ნუცუბიძემ განაცხადა, რომ მის მიერ განახლებული და რესტავრირებული მითოლოგიური პოემა “ამირანი”, რომელზედაც დამყარებულია მსჯელობა მ. ხონელის არმოდწეული პოემის შესახებ, მხატვრული თხზულებაა, რომ მისი განახლება და რესტავრაცია (“აწყობა”) “არ იყო მეცნიერული საქმე” (შ. ნუცუბიძე, ლენგი და ამირანდარეჯანიანის ინგლისური თარგმანი, ლიტ. გაზეთი, 1960, № 3).

შ. ნუცუბიდის მოსაზრება რამდენიმე შესწორებული სახით გაიზიარა ს. კაკაბაძემ: “მოდწეული ამირანდარეჯანიანი, - წერს იგი, - X საუკუნის დასასრულის ახლოს უნდა იყოს შედგენილი, ხოლო მოსე ხონელის ლექსით ამირანდარეჯანიანის კი დაკარგული არის საგულისხმებელი” (საბჭოთა ხელოვნება, 1961, № 1, გვ. 41).

[97] კ. კეკელიძე, ეტიუდები, IV, 1957, გვ. 49; ა. ბარამიძე, ნარკვევები, II, 1952, გვ. 403 – 404.

[98] ამირანი, 1945, გვ. 68.

[99] III. Нуцубидзе, Творчество Руставели, გვ. 137 – 138.

[100] ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953, გვ. 612.

[101] ამირანი, 1945, გვ. 99.

[102] ამირანი, 1945, გვ. XXVIII; III Нуцубидзе, Творчество Руставели, 1958, გვ. 187.

- [103] ა შ ა ნ ი ძ ე, ქართული ხალხური პოეზია, I, 1931, გვ. 255.
- [104] იქვე, გვ. 265, 285. პ. უშიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, I, 1937, გვ. 313, 314, 328, 398, 414 და სხვ.
- [105] “-ს შესახებ იხ. აგრეთვე მ. ჩიქოვანი, მიჯაჭვული ამირანი, 1947, გვ. 259 – 261.
- [106] იხ. შ. ნუცუბიძის დასახ. შრომები.
- [107] JA, 1830, VI, გვ. 375 – 376.
- [108] TP, 1902, გვ. 76, 59.
- [109] მოამბე, 1904, 2, გვ. 6.
- [110] პ. ინგოროყვა, რუსთველიანა, I, 1924, გვ. 283 – 295; რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, პ. ინგოროყვას შესავალი წერილით, 1937, გვ. XXII – XXVII; რუსთაველის კრებული, 1938, გვ. 12 – 13; თხზ., I, გვ. 190 – 191, 194 – 200.
- [111] კ . კ ე კ ე ლ ი ძ ე, ქართ. ლიტ. ისტორია, II, 1958, გვ. 123 - 124.
- [112] ა ლ . ბ ა რ ა მ ი ძ ე, შოთა რუსთაველი, 1958, გვ. 44.
- [113] ი ქ ვ ე , გ ვ . 3 6 2 .
- [114] III. Нудзидзе, Творчество Руставели, გვ. 217 – 220. 16. ტ. II.
- [115] შდრ.: ივ. ლოლაშვილი, რუსთაველი და თამარის ისტორიკოსთა ვინაობის პრობლემა, 1961, გვ. 5 – 9. აქ გამოთქმულტა მოსაზრება, რომ რუსთველი არის ავტორი საისტორიო-სახოტბო თხზულებისა, რომელსაც ეწოდება ”ისტორიანი და აზიანი შარავანდედთანი”. როგორც უკანასკნელ დროს გამოირკვა ანალოგიური მოსაზრება ამ ათიოდე წლის წინ გამოუთქვამს მ. წერეთელს, მაგრამ მისი ნაშრომი ჩვენთვის წცობილი არ არის.
- [116] შ . რ უ ს თ ა ვ ე ლ ი, ვეფხისტყაოსნი, 1937, პ. ინგოროყვას შესავალი წერილი, გვ. XX – XXII; შდრ. რუსთაველის კრებული, 1938, გვ. 16; პ. ინგოროყვას თხზ., I, გვ. 191 – 194.
- [117] ლიტერატურის მატთანე, 1942, №3 – 4, გვ. 333 – 342, ს. იორდანაშვილი, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, 1953, გვ. 56 – 71.
- [118] კ . კ ე კ ე ლ ი ძ ე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1958, გვ. 124 – 125.
- [119] ა ლ . ბ ა რ ა მ ი ძ ე, შოთა რუსთაველი, 1958, გვ. 364 – 365.
- [120] კალმასობა, II, 1948, გვ. 185 – 186.
- [121] ზ . ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე, ქართული მწერლობა XII საუკუნეში, 1887, გვ. 13.
- [122] რუსთაველის კრებული, 1938, გვ. 79.
- [123] თ ე ი მ უ რ ა ზ II, თხზულებათა სრული კრებული, გ. ჯაკობია რედ., 1939, გვ. 123.
- [124] რუსთაველის კრებული, 1938, გვ. 75 – 77.
- [125] იქვე, გვ. 52.
- [126] ენიშვის მოამბე, X, 1941, გვ. 28. ეს ნიმუშიც პირველად დაიმოწმა პ. ინგოროყვამ (რუსთაველის კრებული, 1938, გვ. 52).
- [127] ლიტერატურული ძიებანი, II, 1945, გვ. 12.
- [128] რუსთაველის კრებული, 1938, გვ. 78.
- [129] ლიტერატურული ძიებანი, II, 1945, გვ. 13.
- [130] რუსთაველის კრებული, გვ. 70, 73; კავკასიონი, 1924, № 3 – 4, გვ. 316 – 320.
- [131] ი ვ . ლ ო ლ ა შ ვ ი ლ ი, ძველი ქართველი მეხოტბენი, I, 1957, გვ. 116 – 118. მისივე, ჭიმჭიმელისა და იყალთოელის იამბიკოებისათვის, ლიტერატურული ხელოვნება, 1950, № 35.
- [132] ი ვ . ლ ო ლ ა შ ვ ი ლ ი, ჰომეროსი, შავთელი, რუსთაველი (მნათობი, 1960, № 2, გვ. 143 – 149). მისივე, ძველი ქართველი მეხოტბენი, II, 1964, გვ. 237 – 238.
- [133] რუსთაველის კრებული, 1938, გვ. 57. შდრ., ს. ყაუხჩიშვილი, ბერძნული ლიტერატურის ისტორია, I, 1950, გვ. 90 – 91.
- [134] ვ. ბაკაშვილი წერს: “არსებული მასალები სრულიადაც არ არის საკმარისი ქართულ ენაზე ჰომეროსის ეპოსის, ან მისი გადაკეთებული ქართული ვერსის არსებობის დასადასტურებლად” (ძვ. ქართ. მწერლობის საკითხები, II, 1964, გვ. 110). ვფიქრობთ, უსაფუძვლოა ასეთი ნიჰილიზმის გამოვლენა.
- [135] ხრონოგრაფი გიორგი მონაზონისა, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, 1920, გვ. 382.
- [136] იქვე, გვ. 286.
- [137] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 160 – 161; II, გვ. 112.
- [138] კ . კ ე კ ე ლ ი ძ ე, ეტიუდები, IV, 1957, გვ. 198 – 199; ეტიუდები, II, 1945, გვ. 71 – 78; რუსთაველის კრებული, 1938, გვ. 142 – 143; ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1958, გვ. 285.
- [139] რუსთაველის კრებული, 1938, გვ. 59.
- [140] E. Э. Бертельс, Романи об Александре и его главные версии на востоке, 1948, М.
- [141] E. Такашвили, Описание, II, გვ. 708.

- [142] კ . კ ე კ ე ლ ი ძ ე , ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1958, გვ. 283.
- [143] ქართლის ცხოვრება, I, 1955, გვ. 17.
- [144] ს . ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი , ბერძნული ლიტერატურის ისტორია, II, 1949, გვ. 183 – 184.
- [145] ქართლის ცხოვრება, I, 1955, გვ. 342. დავითის მატინანეს ზოგიერთ ნუსხაში "არისტოვლის" მაგიერ წერია "არისტოტელი", რომელიც პ. ინგოროყვა ალექსანდრე მაკედონელის ისტორიის შემთხვევლად მიაჩნია (რუსთაველის კრებული, გვ. 61 – 62), მაგრამ, როგორც ს. ყაუხჩიშვილი წერს, "ისტორიოგრაფიაში ცნობილი არაა, რომ არისტოტელეს დაეწეროს ალექსანდრე მაკედონელის ისტორია" (დასახ. ნაშრომი, გვ. 185).
- [146] ქართლის ცხოვრება, I, 1955, გვ. 335, 338, 358.
- [147] Н . Я . М а р р , Возникновение и расцвет древнегрузинской светской литературы, ЖМНП, 1899, XII, гв. 230.
- [148] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 35 – 36. აქ ჩამოთვლილი საკუთარი სახელები ამგვარად აღდგენილია კ. კეკელიძის მიერ (რუსთაველის კრებული, 1938, გვ. 148 – 157).
- [149] ა ლ . ბ ა რ ა მ ი ძ ე , ნარკვევები, II, 1940, გვ. 33.
- [150] ნ. მარი, "როსტომიანი" (ორიოდე სიტყვა "შაჰ-ნამეს" ქართული თარგმანის შესახებ); შაჰ-ნამეს ანუ მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები, I, 1961, გვ. XXI – XXII, XXX – XXXIII; კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1958, გვ. 289, 323; ალ. ბარამიძე, ნარკვევები, II, 1940, გვ. 34 – 35; პ. ინგოროყვა, რუსთაველის ეპოქის სალიტერატურო მემკვიდრეობა (რუსთაველის კრებული, 1938, გვ. 47).
- [151] შაჰ-ნამეს ქართ. ვერსიები, გვ. XXXI.
- [152] ამიტომ "ხვატა-ნამაკის" ქართული თარგმანის არსებობა არ არის სავარაუდებელი (პ. ინგოროყვა, დასახ. ნარკვევი, რუსთაველის კრებული, გვ. 47; ს. კაკაბაძე, საისტორიო ძიებანი, 1924, გვ. 144 – 148).
- [153] გამოაქვეყნა გ. მარმა (Персидский прототип поэмы «некто в барсовой шкуре». Сборник «Академику Н. Я. Марру», Л., 1935, გვ. 613 – 619).
- [154] Е . Э . Б е р т е л ь с , История персидско-таджикской литературы, М. – Л., 1960, გვ. 314 – 316.
- [155] ТР, IV, 1902, გვ. რდ, ნახეთ: ალათი და შატბიერი.
- [156] ИАН, 1917, გვ. 428 – 429.
- [157] გ. მარი, ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობიდან, მნათობი, 1934, № 9, გვ. 144 – 148; Ю. Н . М а р р , Статьи и сообщения, М. – Л., 1939, გვ. 133. 17 ტ. II.
- [158] К . И . Ч а й к и н , Вамек и Азра (Хакани, Низами, Руставели, X, 1935, გვ. 41 – 52).
- [159] Е . Э . Б е р т е л ь с , დასახ. წიგნი, გვ. 315.
- [160] ი ვ . ლ ო ლ ა შ ვ ი ლ ი , ძველი ქართველი მეხოტბენი, II, 1964, გვ. 83 – 84, 193.
- [161] 32-ე სტროფის შინაარსობრივად გაშიფრვის ცდა მოგვცა კ. კეკელიძემ (რუსთაველის კრებული, 1938, გვ. 156).
- [162] რუსთაველის კრებული, გვ. 21, 32. – 34.
- [163] თ . ჟ ო რ დ ა ნ ი ა , ქრონიკები, II, 1897, გვ. 199, 291.
- [164] კ . კ ე კ ე ლ ი ძ ე , ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1958, გვ. 293.
- [165] Е . Э . Б е р т е л ь с , Низами, 1947, გვ. 100 – 103. შდრ. Низами, Хосров и Ширин, перевод К. Липскерова, Баку, გვ. 425. (თავი: «Смысл сказа о Хосрое и Ширин»).
- [166] Н и з а м и , Хосров и Ширин, გვ. 55 და შემდ.; პოემის იმ ნაწილს, რომელიც "შამირას" შეეხება, პირველად ყურადღება მიაქცია გ. მარმა ნარკვევში К вопросу о позднейших толкованиях Хакани (Хакани, Низами, Руставели, 1935, გვ. 8 – 10). ქართულად თარგმნა დ. კობიძემ (საბჭოთა ხელოვნება, 1940, № 1, გვ. 60).
- [167] Е . Э . Б е р т е л ь с , Низами, 1947, გვ. 137 და შემდ.; Низами, Избранные произведения, 1947, გვ. 96 – 158.
- [168] რუსთაველის კრებული, გვ. 21 – 26.
- [169] ი ვ . ლ ო ლ ა შ ვ ი ლ ი , ძველი ქართველი მეხოტბენი, I, 1957, გვ. 130 – 138.
- [170] შდრ. А . Б а р а м и д з е , Низами и грузинская литература, თსუ შრომები, XXXII, 1947, გვ. 139 – 144.
- [171] ძველისაქართველო, I, 1909, გვ. 182. იუსტ. აბულაძის მოსაზრებით, ვეფხისტყაოსანში მოხსენებული კაენ (1340, 4) არის ადამ და ევას შვილი, ძმისმკვლეელი კაენი, ხოლო "სალა, რომელსაც შეცდომით სთვლიან საკუთარ სახელად, ვიდაც სალად, ... კლდეს აღნიშნავსო".
- [172] თსუ შრომები, V, 1936, გვ. 163 და შემდ.
- [173] ა ლ . ბ ა რ ა მ ი ძ ე , ნარკვევები, III, 1952, გვ. 278 – 279.

^[174] იუსტ. აბულაძე, “ვერ კაენ” თუ “ვერ რამინ”, ლიტერატურული ძიებანი, XII, 1959, გვ. 233 – 234.

^[175] К . Ч а й к и н, Нур-эд-дин Абд-ор-Рахман Джами (Восток, Сборник второй, М. – Л., 1935, გვ. 423 – 426). ჯამის პოემის რუსული თარგმანი გამოაქვეყნა კ. ჩაიკინმა (იქვე, გვ. 427 – 462). ამავე პოემის შინაარსი იხ. იუსტ. აბულაძის დასახ. წერილში (ლიტ. ძიებანი, XII, 1959, გვ. 231 – 233).

^[176] Е . Э . Б е р т е л ь с, История персидско-таджикской литературы, გვ. 314 – 315.

^[177] უკანასკნელ ხანს სალა-სალამანის საკითხს შეეხო დ. კობიძე (ჯამი და ქართული ლიტერატურის ისტორიის ზოგიერთი საკითხი, თსუ შრომები, ტ. 108, 1964, გვ. 143 – 151).

^[178] სულხან საბა ორბელიანი, თხზულებანი, II¹, 1962, გვ. 38.

^[179] შდრ. კ . კ ე კ ე ლ ი ძ ე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, გვ. 290.

XV - XVIII საუკუნის მწერლობა

XII საუკუნის არაჩვეულებრივად აყვავებული ქართული მწერლობის შემდგომი განვითარება ძალზე შეაფერხა XIII – XIV საუკუნეების “ჟამთა სიავემ”. ჯერ იყო და XIII საუკუნის ოცდაათიან წლებში ჩვენს ქვეყანას დიდი უბედურება დაატეხა თავს ხვარაზმელთა შემოჭრამ ჯალალედინის მეთაურობით. ჯალალედინს მოჰყვა მონღოლთა შემოსევა. თითქმის ორი საუკუნის მანძილზე მონღოლები ძალმომრეობდნენ ჩვენი ქვეყნის მიწა-წყალზე. მონღოლებმა ქვეყანა უმაგალითოდ დაარბიეს, ააოხრეს და გაძარცვეს, მოსახლეობა მასობრავად გაჟლიტეს. ქართველი ხალხი ვერ ურიგდებოდა მონღოლთა ტირანიას, არ ცხრებოდა აჯანყებანი დამპყრობელთა წინააღმდეგ. მაგრამ უთანასწორო ბრძოლებმა, განსაკუთრებით თემურ ლენგის (1336 - 1405) მრავალგზისმა ლაშქრობამ აუნაზღაურებელი მსხვერპლი შეიწირა. ქვეყანა გავერანდა, გაუკაცრიელდა. აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი ასე ახასიათებს მონღოლთა ბატონობის შედეგებს: “თემურ ლენგის შემოსევის დროს მომხდარმა ხალხის ჟლეტამ, შემდეგ შინაურმა ბრძოლამ, ძმათაშორისმა სისხლის ღვრამ და შავმა ჭირმა საქართველოს მოსახლეობა საგრძნობლად შეამცირა. ასეთ პირობებში საქართველოს თავის მიწაწყლის წინანდებურად ინტენსიური დამუშავება აღარ შეეძლო და ბევრგან გაუკაცრიელებული ადგილები უკაცურადვე დარჩა. ამიტომაც არის, რომ ამ ხანის (XV საუკუნის, აღ. ბ.) საბუთებში ქალაქისა, სოფლისა, ფუძისა, სახლისა და ვენახის გვერდით ჩნდება და ხშირად გვხვდება ნაქალაქევი, ნასოფლარი, ნაფუძარი, ნასახლარი, ნავენახევი, პარტახი და სხვა ამის მსგავსი ტერმინები. ცხოვრების სინამდვილემ წარმოშვა ეს, ქვეყნის გაოხრების მომასწავებელი სიტყვები, ურომლოთაც საქართველოს მაშინდელი მდგომარეობისა და მეურნეობის პირობათა დასურათება შეუძლებელი იყო. რაკი ინტენსიური მეურნეობის წარმოება ვეღარ ხერხდებოდა, სასოფლო მეურნეობა და ვაჭრობა-მრეწველობაც უნდა დაცემულიყო და მართლა დაეცა კიდეც”^[1].

სამეურნეო ცხოვრების საფუძვლების შერყევამ და მძიმე პოლიტიკურმა მდგომარეობამ გააძლიერა შინათამლილობა, ფეოდალური განკერძოება და გათიშულობა. მონღოლთა მმართველი წრეები ყოველმხრივ ხელს უწყობდნენ ჩვენი ქვეყნის შინაგან უთანხმოებასა და შუღლს. ფრთები შეესხა ცენტრიდან მსრბოლი ძალების მოქმედებას. როგორც გარეგანი, ისე შინაგანი მიზეზების გამო საქართველოს უწინდელი ცენტრალიზებული სახელმწიფო დაიშალა და დანაწილდა ფეოდალურ

სამეფოებად და სამთავროებად. თავის მხრივ “საქართველოს სახელმწიფოს მრავალ ნაწილად დაქუცმაცებამ საზღვრები და საბაჟოები გაამრავლა, რამაც (ისედაც შევიწროვებული) ალებმიცემობის წარმოება და ეკონომიური ურთიერთობაც გააძნელა და საქონელიც წინანდელთან შედარებით ძვირი გახდა”^[2]. ახლა არათუ საერთაშორისო სააღმშვიდობო საქმიანობაზე არ შეიძლებოდა ფიქრი, არამედ გათიშული ქართული სამეფოებისა და სამთავროების ურთიერთობაც კი თითქმის შეუძლებელი გახდა, ყოველ შემთხვევაში ძალზე შეფერხდა.

შექმნილმა ვითარებამ გაამწვავა შინაკლასობრივი ანტაგონიზმი. ქვეყნის განსაცდელის უმთავრესი სიმძიმე თავს დაატყდა მშრომელ მოსახლეობას. მშრომელ მოსახლეობას ეკისრებოდა საკუთარი ბატონის შენახვაც, გარეშე მტრების მოგერიებაც, ხარკის გაღებაც და მონღოლური სამხედრო ბეგარის მოხდაც. თავადაზნაურები და ეკლესიის წარმომადგენლები კი შედარებით ადვილად ახერხებდნენ თავის დაძვრენას, ადვილად ეგუებოდნენ ახალ ვითარებას. საეკლესიო წრეებმა პრივილეგიური მდგომარეობაც კი მოიპოვეს მონღოლთა ბატონობის დროს. “მონღოლთა ბატონობის დროს მოსახლეობის სხვა ყველა ფენებზე უკეთეს მდგომარეობაში სწორედ ეკლესია იმყოფებოდა: ეკლესიას შეუვალობის შეღავათი ჰქონდა, ბევრგვარი გადასახადებისაგან ის განთავისუფლებული იყო”, - წერს ისტორიკოსი ივ. ჯავახიშვილი^[3]. ცენტრალური ხელისუფლების დასუსტებით სარგებლობდნენ ფეოდალები, მათ შეუზღუდავი ბატონ-პატრონის უფლებები მოიპოვეს თავიანთ სამფლობელოებში და უფრო მოუჭირეს ყმების ექსპლოატაციის მუხრუჭებს.

აღვირახსნილი ფეოდალები თავიანთი ყმების მიმართ იყენებდნენ ე. წ. “გარეეკონომიკური იძულების” ხერხებსაც^[4]. XV - XVI საუკუნეებში პატრონყმობა ბატონყმობაში გადაიზარდა. მარცხით მთავრდებოდა გლეხების არაერთგზისი აჯანყებანი არსებული სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ. ფეოდალური მონარქიის რღვევა ასაზრდოებდა ფეოდალურ რეაქციას ცხოვრების ყველა სფეროში. კერძოდ იდეოლოგიის სფეროში, საეკლესიო-ფეოდალურმა და საეკლესიო-კლერიკალურმა წრეებმა ქვეყნის გასაჭირი გადააბრალეს საზოგადოების გატაცებას ცხოვრების მატერიალური, ამქვეყნიური მხარეებით. მათ ბრძოლა გამოუცხადეს და დევნა დაუწყეს საერო მიმართულებას საზოგადოებრივ აზროვნებაში, დევნა დაუწყეს საერო პოეზიას და ამ პოეზიის გვირგვინს “ვეფხისტყაოსანს”.

XV საუკუნიდან .მონღოლები შეცვალეს ოსმალებმა და სპარსელებმა. კონსტანტინოპოლის დაცემის (1453 წ.) შემდეგ საერთაშორისო ურთიერთობისა და სატრანზიტო-სააღმშვიდობო გზებმა გადაინაცვლა სამხრეთისაკენ. ინდოეთთან კავშირი ოკეანის გზით მოეწყო. ამიერკავკასიამ, როგორც სატრანზიტო გზამ ევროპასა და აზიას შორის, დაკარგა თავისი ძველი მნიშვნელობა. ამით საქართველო მოწყდა დასავლეთის კულტურულ სფეროს და მძიმე ეკონომიურ-პოლიტიკური მემკვიდრეობით მუსლიმანური აღმოსავლეთის დამპყრობელი მოქიშპე იმპერიების ხელში ჩავარდა. სპარსელები და ნამეტნავად ოსმალები საქართველოს დასარბევად აქეზებდნენ კავკასიონის მთების მკვიდრ მოსახლეობას, განსაკუთრებით ლეკებს. ქართველი ხალხი თავგამოდებით იცავდა თავის მიწა-წყალს, თავის ეროვნებას, თავის კულტურას. მაგრამ თავდაცვის საქმეს აძნელებდა და ართულებდა შინაგანი ფეოდალური უთანხმოება და გათიშულობა. სავსებით სამართლიანად ამბობს ივ. ჯავახიშვილი, რომ: “საქართველოსთვის გარეშე მტერს იმდენი არ დაუკლია, რამდენი ვნებაც მთავრებისა და დიდგვარიან აზნაურების თავგასულობამ, უგუნურმა ქეცევამა და ქვეყნისა და ხალხის ღალატმა მიაყენა”.^[5]

XVI საუკუნიდან აღმოსავლეთი საქართველო მეტწილად სპარსეთის მფლობელობაში იმყოფებოდა, დასავლეთი საქართველო კი ოსმალეთის პოლიტიკური გავლენის სფეროში მოექცა, ხოლო სამცხე-საათაბაგო დადგა აშკარა დენაციონალიზაციის საფრთხის წინაშე. სპარსელი და თურქი დამპყრობლები ქართველობის წანააღმდეგ ბრძოლის დროს ყოველგვარ იარაღს იყენებდნენ. სპარსელები და ოსმალები ცდილობდნენ ქართველებისათვის თავზე მოეხვიათ თავიანთი ენა, თავიანთი რელიგია, თავიანთი ადათ-ჩვევები, თავიანთი სახელმწიფოებრივი და სოციალური წესწყობილება. სამწუხაროდ, მტრების საქმიანობას გასავალი ჰქონდა თავადაზნაურული საზოგადოების ზედაფენების წრეში.

მონღოლთა კირთებამ, დამპყრობელი ყიზილბაშ-სპარსელებისა და თურქ-ოსმალების მოძალებამ, მთიელი ტომების თარეშებმა, შინაგანმა განხეთქილებამ და სოციალური ცხოვრების მოუწყესრიგებლობამ რეალური საფრთხე შეუქმნა ქართველი ხალხის თვითარსებობას. მხოლოდ საკუთარ ძალებზე დამყარებით ქართველობას აღარ შეეძლო გარეშე მტრების მოგერიება, თავისი სახელმწიფოებრიობისა და კულტურის შენარჩუნება. ქართველობამ ბევრჯერ მიმართა დახმარებისათვის ქრისტიანული ევროპის ქვეყნებს, მაგრამ ამაოდ. ქართველობას დახმარება აღმოუჩინა მხოლოდ დიდმა რუსმა ხალხმა.

ქართულ-რუსულ დიპლომატიურ ურთიერთობას საფუძველი ჩაეყარა XV საუკუნის ბოლოს^[6]. XVI – XVII საუკუნეებში ამ ურთიერთობას ეძლევა ორგანიზებული და რეგულარული ხასიათი. ქართულ სამეფო - სამთავროთაგან პირველად კახეთი ამყარებს რუსეთთან კავშირს^[7]. საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობის განმტკიცებას აპირობებდა ორივე ქვეყნის საერთო სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური ინტერესები და არა მარტო მათი საერთო სარწმუნოებრივი აღმსარებლობა^[8]. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთთან მჭიდრო ურთიერთობამ ერთხანს უფრო გაამწვავა საქართველოს სამეფო-სამთავროთა საგარეო მდგომარეობა. სპარსეთსა და ოსმალეთს საქართველოს საკითხი საშინაო საკითხად მიაჩნდათ. სპარსეთი ქართლ-კახეთს, ხოლო ოსმალეთი ლიხთ იმერეთს თავიანთ სამფლობელოდ თვლიდნენ. საქართველო-რუსეთის ურთიერთობას ისინი აფასებდნენ რუსეთის ჩარევად მათს შინაურ საქმეებში. რუსეთი თანაგრძნობას უწევდა ქართველობას, არ აკლებდა მორალურ დახმარებას, მაგრამ შეიარაღებული ძალების საქართველოში დაბანდება XVI – XVIII საუკუნეებში ნაადრევად, იყო მიჩნეული. აღმოსავლეთის აგრესორები კი თავის მხრივ შეეცადნენ დაესწროთ ჩვენი ქვეყნის დამონება და მოეხდინათ მისი სახელმწიფოებრიობის ლიკვიდაცია, ვიდრე რუსეთი შეძლებდა ამიერკავკასიაში ფეხის მოკიდებას. ამის შედეგი იყო, მაგალითად, შაჰ-აბასის ორგზისი გამანადგურებელი ლაშქრობა 1614 - 1616 წლებში. ქართულ-რუსული ურთიერთობა ახალ ფაზაში შევიდა XVIII საუკუნეში. 1721 წელს სამხედრო-პოლიტიკური კავშირი იქნა დადებული პეტრე პირველსა და ქართლის მეფე ვახტანგ VI-ეს შორის, 1783 წელს აღმოსავლეთი საქართველო სრული ნებაყოფლობის საფუძველზე ოფიციალურად შევიდა რუსეთის მფარველობაში. თუმცა ამის შემდეგაც, 1795 წელს, თბილისი აიკლო და გადაწვა აღ-მაჰმად-ხანმა. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის გაღრმავებას უთუოდ თან ახლდა დიდი სიძნელები და მტკივნეული მხარეები, მეფის რუსეთმა ვერ გაუმართლა ქართველობას თავისი დიდი იმედები, რუსეთის მიმხრობამ ქართველობას მტრები მოუმრავლა და ბევრი მწარე დღეები გაუთენა. მაგრამ ჩვენი ქვეყანა იმთავითვე სრულიად შეგნებულად, გადაჭრით და განუხრელად ადგა

რუსეთის ორიენტაციის გზას. ქართველი ხალხი არც შემცდარა თავის არჩევანში. რუსეთმა ჩვენი ქვეყანა იხსნა ფიზიკური გადაშენებისაგან, რუსეთმა დაიცვა ჩვენი ხალხი ადმოსავლეთის ბარბაროსების მონობისაგან, რუსეთმა საშუალება მისცა ჩვენს ქვეყანას მოეშუშებინა წყლები, მოშენებულიყო, გაერთიანებულიყო, ჩაბმულიყო ახალი კულტურული ცხოვრების ფერხულში. რუსეთის საშუალებით საქართველო ეზიარა მოწინავე კულტურას, საქართველო შედგა განახლების გზაზე.

ჩვენი ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობა XIII – XVIII საუკუნეების მანძილზე ძლიერ აბრკოლებდა საზოგადოების კულტურულ საქმიანობას. საზოგადოებრივი ცხოვრების საერთო დაქვეითებას ბუნებრივად მოჰყვა დაქვეითება სულიერ სფეროშიც. მონღოლების კირთების შედეგად გაჩანაგდა და გამოიკეტა სწავლა-განათლებისა და მწერლობის კერები. XV საუკუნის შესახებ ივ. ჯავახიშვილი შენიშნავს: "იმდროინდელი წერილობითი ძეგლებიდან ცხადადა ჩანს, რომ წერა-კითხვის ცოდნაც უკვე საგრძნობლად დაქვეითებულა და ჩვენი ერის კულტურული დონე დაწეული იყო. დადუმდა ამ დროს მშვენიერი ქართული მხატვრული მწერლობაც და შემოქმედებითს კერაში ცეცხლი უკვე ძალზე იყო დაფერფლილი".^[9] XVI – XVII საუკუნეებში არსებითად არ შეცვლილა მდგომარეობა. XVIII საუკუნის დასაწყისისათვის საინტერესო ცნობებს გვაწვდის დავით გურამიშვილი. ის მოგვითხრობს:

... ჩემსა ყრმობაში
სულ გარს მტრად გვადგა თურქ-ყიზილბაში,
მით იკლო სწავლამა. ჩვენში ლეკთ დავლამა
წიგნი წარსტყვენა.
დარჩნენ უწიგნო ბერებ-ხუცები,
ჩემის დროს ყრმანი უწვრთელ-უცები.

საქართველოს კულტურული ცხოვრებისათვის დიდად ნაყოფიერი იყო ვახტანგ VI-ის ხანმოკლე გამგებლობა (1703 - 1712). ამ დროს თბილისში გაიხსნა სტამბა, 1712 წელს გამოვიდა "ვეფხისტყაოსნის" პირველი მეცნიერული გამოცემა. XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის ბოლოს, თურქ-ყიზილბაშების შემოსევის შედეგად ეს რსამბა დაილუპა. შემდეგ ის განაახლა ერეკლე მეორემ, მაგრამ 1795 წელს თბილისის აოხრებამ იგი კვლავ იმსხვერპლა. სწავლა-განათლების მკვიდრ ნიადაგზე დაყენება ერეკლე მეორის დახმარებით სცადა ანტონ კათალიკოსმა. თბილისსა და თელავში გაიხსნა რუსული სემინარიის ტიპის სასწავლებლები. თბილისის სასწავლებელმა ერეკლეს სტამბის ბედი გაიზიარა.

სწავლა-განათლების გავრცელების მხრით გარკვეული ღვაწლი გასწიეს კათოლიკე პატრებმა. მართალია, ისინი ხელმძღვანელობდნენ სარწმუნოებრივ-კონფესიური ინტერესებით, მაგრამ მათ ობიექტურად ხელი შეუწყვეს ჩვენში ერთგვარი ევროპული განათლების ტრადიციების დანერგვას და მეცნიერული ცოდნის გავრცელებას. სწავლა-განათლებას მანამდე საერთოდ ვიწრო, კარჩაკეტილი და თეოლოგიურ-სქოლასტიკური ხასიათი ჰქონდა. განუხორციელებელი დარჩა იოვანე ბატონიშვილის შესანიშნავი პროექტი თბილისსა, გორსა და თელავში უმაღლესი სასწავლებლების მოწყობის შესახებ.

ეს პროექტი ითვალისწინებდა აგრეთვე ბიბლიოთეკა-მუზეუმისა და გაზეთის დაარსებას. მხოლოდ ზოგიერთი შეძლებული ოჯახისშვილები ახერხებდნენ სისტემური განათლების მიღებას, თვითონ არისტოკრატიული წრის

წარმომადგენლებიც კი ხშირად უწიგნური რჩებოდნენ. ერეკლე მეორის ფართო განმახლებელი საქმიანობა დაეტყო ცხოვრების ყველა სფეროს. სწავლა-განათლების მისაღებად ის რუსეთში გზავნიდა ახალგაზრდებს, რომლებმაც შემდეგ თბილისში წამოიწყეს წარმოდგენების დადგმა და საფუძველი ჩაუყარეს პროფესიულ თეატრს.

როგორც აღვნიშნეთ, დამპყრობლები ქართველობას აძალებდნენ თავიანთ რჯულს, თავიანთ ენასა და მწერლობას, თავიანთ იდეოლოგიას. ოსმალეთს თავისი ბევრი არაფერი ჰქონდა და სხვას რას მისცემდა, საშიში იყო სპარსეთი. თავად-აზნაურული საზოგადოების ერთ ნაწილში და საკარო წრეები შეინიშნებოდა სპარსული ენითა და სპარსული სალალობო პოეზიით გატაცება. შემთხვევითი როდია, რომ სპარსეთის სამეფო კარზე აღზრდილი თეიმურაზ პირველი არ თაკილობდა განეცხადებინა: "სპარსთა ენისა სიტკბომან მასურვა მუსიკობანი"-ო და "მძიმე არს ენა ქართველთა"-ო. აღნიშნულ წრეებში ფეხს იკიდებდა მუსლიმანურ-ყიზილბაშური საყოფაცხოვრებო ჩვევები. დამპყრობლები ქართველი ხალხის სულის მონადირებით აპირებდნენ ამ ხალხის ფიზიკურად დამორჩილებასა და დამონებას. სპარსულ ენაზე ამეტყველება და სპარსულ-მუსლიმანური ადათ-წესების შემოღება. ისე როგორც საზოგადოდ მუსლიმანურ რჯულზე გადასვლა ("გათათრება"), ამლიერებდა ქართველი მოდგმის გადაშენების საფრთხეს. სპარსული სატრფიალო-სუფისტური პოეზიის ტრადიციების გადმონერგვა ზიანს აყენებდა ეროვნულ-ხალხური პოეტური კულტურის შემდგომ გაღრმავებასა და განვითარებას. სპარსული სალალობო და უიდეო პოეზიის გავრცელება თავისებური ხელშეწყობა იყო დამპყრობელთა იდეოლოგიური საქმიანობისა. მუსლიმანურ-ყიზილბაშური ზნეობისა და კულტურის ტრადიციების დანერგვა ძირს უთხრიდა ეროვნულ საქმეს.

სპარსული და თურქი ასიმილაციორები განსაკუთრებით შეეცადნენ აღმოეფხვრათ და მოესპოთ მდიდარი ქართული ენა. მაგრამ ეს მათ არ გაუვიდათ. ეროვნული ენა, როგორც ეროვნული კულტურის ფორმა ქართველობას შეუნახა უწინარესად ყოვლისა ქართულმა მწერლობამ და ქართველმა მშრომელმა ხალხმა, გლეხობამ. ტყუილად კი არ ამბობდა ქართული მწერლობის ერთი ღირსეული წარმომადგენელი, პოეტი არჩილი:

თუ ამოწყდეს გლეხი კაცი, საქართველო დამაბუნდა-ო.

პროგრესულად მოაზროვნე საზოგადოების თვალსაზრისით, გლეხობა იყო ქვეყნის ბურჯი, ქვეყნის ჯანსაღი, მაცოცხლებელი ძალა, ხოლო თავადაზნაურობის ერთი ნაწილი, როგორც ვთქვით, ადვილად მოექცა უცხოელთა გავლენის ქვეშ, ზნეობრივად დაკნინდა და გადაგვარდა.

ქართული ეროვნული კულტურის გადარჩენა შეიძლებოდა მხოლოდ სპარსულ-მუსლიმანური კულტურის დაძლევით და მშობლიური ხალხური შემოქმედებითი ტრადიციების გაღრმავებით. XV – XVIII საუკუნეების პროგრესული ქართული მწერლობის განვითარებაც ამ გზით წარიმართა. თეიმურაზ პირველის შემოქმედებით ორიენტაციას მკვეთრად დაუპირისპირდა ეროვნულ-პატრიოტული მიმართულება (არჩილის, სულხან-საბა ორბელიანისა და გურამიშვილის სახით). სპარსული სალალობო პოეზიის უიდეობასა და ზღაპრულობას ეროვნულ-პატრიოტული მიმართულების წარმომადგენლებმა დაუპირისპირეს ისტორიულ-ნაციონალური თემატიკა, ხალხურ-ნაციონალური ენა და თავისებური რეალისტური შემოქმედებითი მეთოდი. უცხოური მიმდინარეობის წინააღმდეგ ბრძოლის დროს ქართველი პროგრესისტები, უწინარეს ყოვლისა, ემყარებოდნენ ძველ ქართულ

ნაციონალურ პოეზიას და ამ პოეზიის მწვერვალს - შოთა რუსთველს. რუსთველი იყო XV – XVIII საუკუნეების მანძილზე ცოცხალი მოკავშირე და საყრდენი იდეურ-მორალური ძალა ქართული ეროვნული კულტურის თვითმყოფლობისათვის და წინსვლისათვის ბრძოლის საქმეში.

საგულისხმოა, რომ რუსთველის პოეზიის კოლოსალური შთამაგონებელი ძალის მიუხედავად ქართველი მოწინავე პოეტები მონურად და ბრმად როდი მიჰყვებოდნენ XII საუკუნის ქართველ გენიოსს. რა თქმა უნდა, ბევრნი იყვნენ რუსთველის ბრმათათყვანისმცემელნი; ესენი უხეიროდ აგრძელებდნენ უკვდავ პოემას, ურთავდნენ პოემაში თავიანთ მდარე ლექსებს და ამღვრევდნენ რუსთველის პოეზიის წმინდა წყალს (შედარება არჩილისაა), ეპიგონობდნენ და უგემურად იმეორებდნენ რუსთველის ნასიტყვს. XV – XVIII საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბდა "ვეფხისტყაოსნის" გაგრძელებათა მთელი ციკლი. XVII საუკუნის დასაწყისში დაიწერა "ვეფხისტყაოსნის" გაგრძელებათა გაგრძელება ("ომიანიანი"). რუსთველის უხეში წაბადვით არის აღბეჭდილი ზოგიერთი, ვითომცდა ორიგინალური პოემა (მაგალითად, ქაიხოსრო ანდრონიკაშვილის "მიჯნურთ ზადე"). რუსთველის ეპიგონებზე კარგად აქვს ნათქვამი XVIII საუკუნის პირველი ნახევრის მოღვაწე პოეტ იესე ტლაშაძეს:

რიტორ რუსთველო, კარგ გამომთქმელო, ენატკბილო და შაქარიანო,
ავმა მთქმელებმა, ქურდმა მელებმა, ლექსი მრავალი მოგპარიანო.

ბრძოლა რუსთველის მაღალიდეური და მაღალმხატვრული პოეტური კულტურისათვის ეხმაურებოდა, ერთი მხრივ, უცხოური მიმდინარეობის წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლას, მეორე მხრივ, ბრძოლას ქართული სალიტერატურო ენის სიწმინდისა და ხალხურობისათვის. ამ ბრძოლების შინაარსი გარკვეულ ელფერს აძლევდა XVI - XVIII საუკუნეების ქართული მწერლობის ხასიათს.

ქართველი ხალხის საუკუნეობრივი ბრძოლა სპარსელი და თურქი დამპყრობლების წინააღმდეგ საბოლოოდ ქართველობის სასარგებლოდ გადაწყდა, როგორც სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების, ისე ენისა და ლიტერატურის სფეროში. ქართველობამ საშინელ ქარცეცხლში შეუბღალავად გამოატარა თავისი ეროვნულ-ხალხური კულტურის დროშა. მაგრამ ბრძოლას უცხოური გავლენის წინააღმდეგ უკვალოდ არ ჩაუვლია, ქართულმა ენამ შეითვისა ზოგი ისეთი აღმოსავლური სიტყვა, რომელმაც სამოქალაქო უფლებები მოიპოვა. სპარსულიდან ქართულად ითარგმნა ბევრი უხეირო ნაწარმოებიც, ზოგიერთი თარგმანი აჭრელებულია უხეში ბარბარიზმებით. ეს ბარბარიზმები მეტხორცი აღმოჩნდა ქართული ენისათვის, ისე როგორც მეტხორცი იყო ქართული ლიტერატურისათვის მათი შემცველი თხზულებანი. მაგრამ ამასთან ერთად თარგმანების საშუალებით ქართულმა ლიტერატურამ შეიძინა პირველხარისხოვანი ლიტერატურული ძეგლებიც, მოცემული ეპოქისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩამოყალიბება "როსტომიანის" და "ქილილა და დამანას" ქართული ვერსიებისა.

ეროვნული მიმდინარეობის უცხოურზე გამარჯვება უცილობელი ფაქტია XVIII საუკუნის პირველ ნახევარში მაინც, თუმცა ამ საუკუნის გასულისა და მომდევნო XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართულ პოეზიაში კიდევ იგრძნობოდა სპარსული კილოს გამოძახილი. ეს კილო თანდათანობით დასუსტდა და ბოლოს სრულიად მიწყდა. XIX საუკუნის დიდმა ქართველმა კლასიკოსებმა ღირსეულად

განაგრძეს და განავითარეს ძველი ქართული ეროვნული პოეზიის საუკეთესო ტრადიციები.

XV – XVIII საუკუნეების ქართული მწერლობისათვის ნიშანდობლივია სოციალური და ნაციონალური თემატიკის დიდი ხვედრითი წონა. საპატიო ადგილს იკავებს საისტორიო პოემა, თავის პოზიციებს ინარჩუნებს საგმირო-საფალავნო ეპოსი, დიდ განვითარებას აღწევს დიდაქტიკურ-აღმზრდელობითი ლიტერატურა, განსაკუთრებული პოპულარობა მოიპოვა იგავარაკულმა ჟანრმა. გამახვილდა ყურადღება ეთიკისა და ზნეობის საკითხებზე. ეპოქის მოთხოვნილებათა მიხედვით, მწერლობის რეგლამენტაციის ცდას წარმოადგენს მამუკა ბარათაშვილის “ჭაშნიკი”.

რუსთველის ზემოქმედების შედეგად უპირატესობა ეძლეოდა ლექსს პროზასთან შედარებით. "ლექსს უფრო ყურსა უგდებენ, ამბის წიგნები^[10] ძეს ავად"- .ო, - ამბობს XVII საუკუნის პოეტი სულხან თანიაშვილი. ამასთან დაკავშირებით მთელი ეპოქის მანძილზე წარმოებდა ძველი პროზაული ტექსტების გალექსვა ("გაწყობა"). სულხან და ბეგთაბეგ თანიაშვილებმა გალექსეს "ამირან-დარეჯანიანი", არჩილმა გალექსა "ვისრამიანი", გალექსეს "შაჰ-ნამეს" ქართული პროზაული ვერსიები. ლექსავდნენ ბიბლიურ ტექსტებს, საისტორიო ძეგლებს, წმინდანთა ცხოვრებებს და სხვა. პროზისადმი საზოგადოებრივმა ინდიფერენტობამ ცუდი ნაყოფი გამოიღო, დაიღუპა მრავალი საინტერესო ძველი პროზაული ძეგლი. ლიტერატურული გემოვნების დაცემის გამოხატულებას ის, რომ ზოგიერთები "ვისრამიანისა" და „ამირანდარეჯანიანის" პროზაზე მაღლა აყენებდნენ ამ ტექსტების შედარებით მდარედ დამუშავებულ ლექსითს რედაქციებს. სულხან-საბა ორბელიანის დიდმა ნიჭმა და ოსტატობამ დაუბრუნა პროზას თავისი მნიშვნელობა.

პოეზიაში დიდხანს ბატონობდა ეპიკური ჟანრები და კლასიკური ლექსთწყობის ნიმუშები, განსაკუთრებით შაირი.

აღნიშულთან დაკავშირებით არ შეიძლება არ მოვიგონოთ აკაკი წერეთლის მოსაზრება ქართული პოეზიის განვითარებაზე რუსთველის ზემოქმედების ორგვარი ხასიათის შესახებ. თავის ცნობილ ლექციებში "ვეფხისტყაოსანზე" აკაკი ამბობდა: "აქ უნდა მოვიხსენიოთ, სხვათა შორის, რომ ვეფხისტყაოსანს ორგვარი გავლენა ჰქონდა მწერლობა-მწიგნობრობაზე. ერთი მხრით, მისი წყალობით წერა-კითხვა და მწიგნობრობის ხალისი თანდათან მტკიცდებოდა ხალხში, და, მ ე ო რ ე მ ხ რ ი თ , ს ა კ უ თ რ ა დ პ ო ე ზ ი ა ზ ე რ ა ღ ა ც ბ ა ტ ო ნ უ რ ი , მ ა ვ ნ ე ბ ე ლ ი გ ა ვ ლ ე ნ ა ჰ ქ ო ნ დ ა. მრავალ საუკუნეების განმავლობაში ქართველი პოეტები ისე ბრმათ გატაცებული იყვნენ რუსთაველისაგან, ისე ძლიერად დამონებული, რომ ვეღარც კი წარმოედგინათ, თუ კიდევ შეიძლებოდა სხვაგვარი ლექსის წერა, გარდა თექვერმეტმარცვლოვან და ოთხტაეპიან შაირისა. მიდიოდნენ რუსთაველისაგან ერთხელვე გათელილი გზით. უდგენ კვალში, მაგრამ იმოდენი ფეხმარჯვობა არა ჰქონდათ და მათი მსვლელობა შედარებით რუსთველის მსვლელობასთან, კოჭლობა იყო"^[11]. აკაკის სიტყვით. "პირველი მწერალი, რომელმაც გადაარჩინა თავი ამ მონებას და საკუთარი გზით მოინდომა მსვლელობა, იყო დავით გურამიშვილი"^[12]

ჩვენი დიდი ნაციონალური პოეტი, ვფიქრობთ, აჭარბებდა, როდესაც ასეთი მკაცრი ფორმით მსჯელობდა რუსთველის ერთგვარად მავნებლურ გავლენაზე ქართული პოეზიის განვითარების ისტორიაში. როგორც ვიცით, საუკუნეების მანძილზე ქართველი პოეტები სწავლობდნენ და იწაფებოდნენ რუსთველის მაღალ პოეზიაზე. რუსთველი იყო ქართული პოეზიის საზომი. ეს ზრდიდა ქართველი პოეტების პასუხისმგებლობის გრძნობას, რუსთველი წვრთნიდა ქართველი პოეტების ესთეტიკურ გემოვნებას. თავისი ღრმად იდეური და ფორმით ნატიფი ლექსებით

რუსთველი აღმზრდელობითს, შთამაგონებელ ზემოქმედებას ახდენდა და ახდენს ქართული პოეზიის განვითარებაზე.

მეორე მხრივ, აკაკი წერეთლის დაკვირვება უთუოდ სწორია. რუსთველი იმდენად დიდი იყო და დაუძლეველი, რომ ქართველი პოეტები ვეღარ ხედავდნენ საკუთარი გზის არჩევას. რუსთველური პოეტური ნორმები, რუსთველური პოეტიკა, რუსთველური მეტრი განუსაზღვრელად ბატონობდა საქართველოში საუკუნეების მანძილზე. ბევრი მელექსე ამჯობინებდა რუსთველური მზამზარეული სახეებით, რუსთველური ხმით, რუსთველური სიტყვებით ხელმძღვანელობას, ბევრნი გაურბოდნენ ძიებას, შრომას, ახლისაკენ არ ისწრაფოდნენ, იმეორებდნენ ძველსა და გაცვეთილს, თვითმიზნად იხდიდნენ თქმულის გადამღერებას, უგემურად ეპიგონობდნენ.

მონური მიბაძვა რუსთველისა, მისი ყოვლისმომცველი და წამლევაკი ზეგავლენა უთუოდ სახიფათო ხდებოდა ქართული პოეზიის წინსვლისა და განვითარების თვალსაზრისით. საჭირო იყო დიდი პოეტური შემართება, დიდი მოქალაქეობრივი გამბედაობა და ამის შესაფერისი ნიჭი რუსთველური პოეტური ნორმებისაგან გადასახვევად და საკუთარ ნიადაგზე დასადგომად. იდეებისა და შინაარსის, სფეროში ეს გააკეთა არჩილმა. არჩილი სათავეში ჩაუდგა "მართლის თქმის" მიმართულებას ქართულ პოეზიაში, მან დაამკვიდრა თავისებური რეალისტური შემოქმედებითი მეთოდი და ისტორიულ-ნაციონალური თემატიკა. ამ მხრით, გაემიჯნა თავის წინამორბედ მწერლებს, მათ შორის რუსთველსაც. მაგრამ არჩილს არ ეყო პოეტური ძალა, რომ ახალი იდეები და შინაარსი მათთვის შესაფერისი ახალი ფორმით გადმოეცა. ამ ისტორიული როლის შესრულება წილად ერგოთ სულხან-საბა ორბელიანსა და დავით გურამიშვილს. არჩილი, აგრეთვე, თავგამოდებით იბრძოდა ქართული სალიტერატურო ენის სიწმინდისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ ახალი ქართულის პოზიციების განმტკიცებას ემსახურებოდა თეიმურაზ პირველის შემოქმედებაც. ენის გახალხურების ტენდენციები მძლავრად იგრძნობა XVII საუკუნის უცნობი ავტორის საზღაპრო მოთხრობების დიდ კრებულში - რურუდანთანში. ხალხურთან დაახლოებისა და ახალი ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დამკვიდრების საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვით სულხან - საბა ორბელიანსა და დავით გურამიშვილს. არნოდ ჩიქობავას სიტყვით, დასახელებული მწერლების წყალობით "მეთვრამეტე საუკუნისათვის ახალი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბება უკვე დამთავრებულია"^[13] სამწუხაროდ, ახალი ქართული სალიტერატურო ენის "ბუნებრივი განვითარება შეზღუდა XVIII საუკუნის დასასრულსა და XIX საუკუნის დამდეგის ზოგიერთმა ქართველმა ლიტერატორმა (ანტონ პირველმა და მისმა სკოლამ), რომლებიც ხელმძღვანელობდნენ ძველი საეკლესიო მსოფლმხედველობით."^[14]

ზემოთ აღრიშნული ახასიათებს ქართული პოეზიის განვითარების საერთო ტენდენციას. ამასთან ირკვევა, რომ საანალიზო პერიოდში, თავის არსებობას არ წყვეტს არც იმ ლირიკული ჟანრების პოეზია, რომლის თაობაზე ლაპარაკია "ვეფხისტყაოსნის" პროლოგში. ბოლო დროს ამ მხრივ ფრიად საინტერესო მასალები გამოაქვეყნა ახალგაზრდა მკვლევარმა შერმადინ ონიანმა - "ვანის ქვაბთა მონასტრის წარწერების პოეზია"^[15] ვანის ქვაბთა მონასტრის (ვარძიის მახლობლად) კედლებზე შემორჩენილი XV-XVI საუკუნის წარწერები ადრეც იყო შემჩნეული^[16]. წარწერების ერთი ნაწილი კალკების ფოტოსურათებითა და საისტორიო ხასიათის შენიშვნებით გამოაქვეყნა ვ. ცისკარიშვილმა^[17]. მანვე მიაქცია ყურადღება წარწერების სამიჯნურო თემატიკას და ერთს შემთხვევაში სალექსო ფორმას. ერთ-ერთი წარწერის ავტორს, ანა

რჩეულიშვილს, "ჩანს, ლექსად უცდია დაეწერა თავისი გამიჯნურების ამბავი",-
შენიშნავს ვ.ცისკარიშვილი.

შ. ონიანმა ადგილზე საფუძვლიანად შეისწავლა ვანის ქვაბთა მონასტრის წარწერები. გადმოიღო მათი ფოტოსურათები, გაშიფრა ბევრი წარწერის შინაარსი, გაარკვია მათი ფორმა.ამასთან შ ონიანი შეეცადა აეხსნა წარწერების მნიშვნელობა ძველი ქართული მწერლობის ისტორიისათვის. შ, ორიანმა დაამატკიცა, რომ მცირე გამონაკლისის გარდა, ვანის ქვაბთა წარწერები ლექსებს წარმოადგენს.XV-XVI საუკუნეთა მიჯნაზე, უფრო ზუსტად XVI საუკუნის დასაწყისში (ყოველ შემთხვევაში, არა უგვიანეს XVI საუკუნის პირველი ნახევრისა) ვანის ქვაბთა მონასტერში დამკვიდრებული ყოფილან მონაზონი ქალები ანა რჩეულიშვილი, თუმიან გოჯიშვილი, გულქანი ხვარამზე და სახვ.მონასტრის კედლები აჭრელებულია ამათი წარწერებითა და ნადირთა და ფრინველთა გამოსახულების სტილიზებული ჩანახატებით წარწერათაგან ერთი შეიცავს "ვეფხისტყაოსნის" ტექსტის ორ სტროფს, მეორე - " როსტომიანის" ერთსტროფიან ნაწყვეტს, ორიოდე ხალხური ლექსია, ხოლო რამდენიმე ორიგინალური ლირიკული ლექსი. თითო ორიგინალური ლექსის ავტორებად გვევლინებიან ანა რჩეულიშვილი და თუმიან გოჯიშვილი. შინაარსის მიხედვით როგორც ორიგინალური ლექსები, ისე ფოლკლორული წარმოშობის ლექსები და პროზაული მინაწერები ერთი მხრივ გამოხატავენ ძლიერ სატრფიალო - სამიჯნურო ვრძნობებს, მეორე მხრივ ისინი გადმოსცემენ გოდებასა და ჩივილს დამწერთა უმწეო მდგომარეობისა და მტანჯველი ხვედრის გამო. ანა რჩეულიშვილი, მაგალითად, გოდებს, რომ მან ვერ გაიხარა "ვერცა სმითა, ვერცა ჭამითა, ვერცა ჩაცმითა, ვერცა ძმითა, ვერცა .დითა, ვერცა რძლითა..."- ღვთისმშობლისადმი მხურვალე ლოცვა-ვედრებითს ღაღადისს წარმოადგენს გულქანის ხელით შესრულებული ერთი საინტერესო ლექსი. აი ამ ლექსის პირველი ოთხი ტაეპი:

ღვთისმშობელო, შენ ცოდვილთა მეოხი ხარ უმურველი,
შენ აღხოცე ცოდვა ჩემი უმრავლესი და უთვლელი.
მე სამოელ ტანჯვად მაწვევს უშიში და უკრძალველი.
მწეო ჩემო,შენ მიშველე, გამოხსნასა შენგან ველი.

ხვარამზე მწარედ მოთქვამს გოზლალისაგან იძულებითი გაყრის გამო, თუმიანი გაუღევია გოდერძისადმი უიღბლო ტრფობას, სარა ბევრ მოკითხვას უთვლის თავის "დიდ იმედს". წარწერები გვიმხელს მონასტრის კედლებში გამომწყვდეული მონაზონი ქალების გულთა ძალუმ ძგერას, მათს ძლიერ სიცოცხლის მოყვარეობას, მატერიალური ქვეყნისადმი უსაზღვრო მიზიდულობას.ეტყობა, მონაზონ ყმაწვილ-ქალებს მონასტერი აგონებდა ქაჯეთის ციხეს, სადაც იტანჯებოდა ნესტან-დარეჯანი. ამიტომაც მიუწერიათ მონასტრის კედელზე უკვდავი სიტყვები რუსთველის პოემის გმირის წერილიდან:

ციხეს ვზი ეზო(მ) მაღალსა, თვალნი ძლივ შემომცდება^[18]....

უშუალობითა .და ღრმა გრძნობიერებით გამოირჩევა თუმიანის ხელით შესრულებული ლექსის შემდეგი მშვენიერი ნაწყვეტი:

ნეტავი შენთან მამყოფა, შენთან გამამლო ძილითა,

მაგ შავარდენსა თვალ-წარბსა მაკოცნა ზაგე-კბილითა^[19].

დიდად საყურადღებოა ორტაეპოვანი შერანიშნავი მაჯამური ლექრი (შესრულებული თუმიანის მიერ):

მზეო, გიშ(ვ)ენის წალკოტი ხილითა და ხევნართა,
უწყალოდ მოკლავ მიჯნურთა და გულსა დახევ ნართა.

ვანის ქვაბთა კედლების ტექსტები დიდ ყურადღებას იმსახურებენ თავისი სალექსო ფორმით. უმრავლესობა თექვსმეტმარცვლოვანი შაირებია. გვხვდება სხვა საზომებიც, კერძოდ თორმეტმარცვლედები, მაგალითად:

მე შენს სახელ ხსენებასა სადა ღირს ვარ,
კურთხეულ ხარ დიდებულო ღმრთობის ხატო.
(ანა რჩეულიშეილი)

ისტორიულ-ლიტერატურული თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ვანის ქვაბთა კედლების ლექსთა ავტორებს განუცდიათ "ვეფხისტყაოსნის", "ვისრამიანისა" და საბაშვილისეული "როსტომიანის" დიდი გავლენა.

ქართული ლექსთწყობის დარგში მნიშვნელოვანი გარდატეხა იწყება XVIII საუკუნის პირველი მეოთხედიდან. ქართული ლექსის თამამი ნოვატორები არიან სულხან-საბა ორბელიანი, ვახტანგ VI, მამუკა ბარათაშვილი და დავით გურამიშვილი. მათ გზას მიჰყვებიან ბესარიონ გაბაშვილი და "ნარგიზოვანის" ავტორი.

ბევრი იწერებოდა XV-XVII საუკუნეებში ანბანთქებანი. ახლახან აღმოჩნდა ანბანთქების უძველესი ნიმუში, რომელიც XV საუკუნეზე უგვიანესი არ შეიძლება იყოს^[20]. ანბანთქებანი უწერია ქეთევან დედოფალს (წამებით მოჰკლეს 1624 წელს). მასვე შეუთხზავს "ვედრება" ^[21]

ანბანთქება ანბანზე გაწყობილი ლექსია, მისი მრავალი სახეობა არსებობს. ეტყობა, ანბანთქებას უნდა ჰქონოდა პედაგოგიურ-აღმზრდელითი დანიშნულებაც. ასეთი ლექსები ხელს უწყობდა ანბანისა და მისი რიგის დამახსოვრებას. არჩილმა შემოიღო სპეციფიკური ხასიათის ანბანთქება "ამიცანად" სათარგმანებელი". აქ ანბანზე გაწყობილია გონების სავარჯიშო "ამიცანები" ან ამოცანები ბიბლიურ თემებზე. ამოცანების ამოხსნა შეეძლო მწერლობაში კარგად გათვითცნობიერებულ ერუდიტ მკითხველს. სწრაფ მოსაზრებასა და ფართო განსწავლულობას საჭიროებდა ანბანთქება "ანზე სით მოხვალ". აი, ასეთი ლექსის ორი ტაეპი ბესიკის მიხედვით:

ათინად ბრძენთა განზრდილი აზიად ვმგზავრობ არესა,
ამირბარს ვეყმე ავთანდილ ამოდ რა ღმობიარესა.

XVII-XVIII საუკუნეებში გავრცელებული ყოფილა ანბანთქებით გაპაექრება (გაშაირება). არჩილს, ვახტანგს, თეიმურაზ მეორეს, გურამიშვილსა და სხვებს უწერიათ იამბიკოები, აკროსტიხები და ზმები.

ზემოთ ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ეკლესიურ-კლერიკალური წრეების წარმომადგენლებმა დევნა დაუწყეს საერო პოეზიას და კერძოდ ამ პოეზიის მშვენიერებას - "ვეფხისტყაოსანს". ეს იყო ეკლესიურ-კლერიკალური რეაქციის აშკარა გამოხატულება. კლერიკალურ წრეებს მოუხერხებიათ და თვითონ "ვეფხისტყაოსნის-ხელნაწერებში ჩაურთავთ ერთი ისეთი სტროფი, რომელიც მიზნად ისახავს რუსთველის შემოქმედების აშკარად გაუფასურებას მკითხველი საზოგადოების თვალში. აი, ეს სტროფიც:

პირველ თავი დასაწყისი, ნათქვამია იგ სპარსულად,
უხმობთ ვეფხისტყაოსნობით, არსსა შეიქმს ხორცს, არ სულად;
საეროა, არ ახსენებს სამებასა ერთ არსულად,
არას გვარგებს საუკუნოს, რა დღე იქმნას აღსასრულად.

ამ ყალბი სტროფის ავტორი ცდილობს ჩირქი მოსცხოს რუსთველს: "ვეფხისტყაოსანი": სპარსულია, საეროა. არსებად აღიარებს ხორცს და არა სულს, არ .იცილობს ერთარსება ქრისტიანულ ღმერთს, ურწმუნოების გამომხატველია და საუკუნო ცხოვრებისათვის დამღუპველიო. არჩილი გვიდასტურებს, რომ გარკვეული წრეები ბოროტი განზრახვით სჩხრეკდნენ "ვეფხისტყაოსნის" ტექსტს, .რუსთველს უძებნიდნენ "ავად თქმულსა" და "ნაყისს". "ვეფხისტყაოსნისა" პირველი გამოცემის კომენტარებში ვახტანგი ამბობს: "უცოდინარობითა .და სოფლის ნივთთა შემსჭვალვითა სამეძაოდ სთარგმნიდნენ მის რიტორისა და ბრძენ მეცნიერისა კეთილად ნამუშაკვევისა სამუშაკოსო". ვახტანგი შეეცადა დაეცვა "ვეფხისტყაოსანი" „ავად მჩხრეკელთაგან“. კლერიკალური საზოგადოების ბრალდების გასაბათილებლად ვახტანგი რუსთველის პოემას აცხადებს მაღალი ზნეობის ამსახველ ნაწარმოებად, რომელიც თითქოს აღმოცენებული იყო საღვთო მიჯნურობის ნიადაგზე. ვახტანგის თვალსაზრისი მცდარია. ვახტანგმა რელიგიურ-მისტიკური განმარტება მისცა "ვეფხისტყაოსნის" ნათელ საამქვეყნო ადამიანურ იდეალებს, მაგრამ სწავლული მეფის რწმენით, მხოლოდ ასეთი განმარტებით შეიძლებოდა რუსთველის პოემის დაცვა კლერიკალების თავდასხმებისაგან. ვახტანგმა მიზანს ვერ მიაღწია. კიდევ მეტი ვახტანგის გამოცემამ და განსაკუთრებით კი მისმა კომენტარებმა მთლად გააბოროტა "ვეფხისტყაოსნის" მტრები. "ვეფხისტყაოსნის" წინააღმდეგ ბრძოლამ უფრო დაძაბული ხასიათი მიიღო. არქიეპისკოპოსი ტიმოთე გაბაშვილი ვახტანგს არ მოერიდა, უდიერად დაგმო მისი განმარტებანი, ხოლო რუსთველი გალანძღა: "ესე იყო მთქმელი ლექსთა ბოროტთა, რომელმან ასწავლა ქართველთა სიწმინდისა წილ ბოროტი ბილწება, და განჰრყვნა ქრისტიანობა. ხოლო უწანარეს ჩვენთა უმეცართა სამღვთოდ თარგმნეს ბოროტი ლექსი მისიო" არქიეპისკოპოს ტიმოთეს გამოსვლა თითქოს ნიშანი იყო. რეაქციული კლერიკალური საზოგადოება არ დაკმაყოფილდა .იდეური ბრძოლით, იდეური ბრძოლა ფიზიკურ ბრძოლაში გადაიზარდა. უტყუარი ცნობებით დასტურდება, რომ XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ჰკრებდნენ და ანადგურებდნენ, "ვეფხისტყაოსნის" ვახტანგისეული გამოცემის ტექსტებს.

როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ საეკლესიო-კლერიკალურ საზოგადოებაზე, მხედველობიდან არ ვუშვებთ .იმ გარემოებას, რომ ამ საზოგადოების გავლენას განიცდიდა საერო წრის ზოგიერთი წარმომადგენელიც. მეორე მხრივ, არა ერთსა და ორ საეკლესიო მოღვაწეს გულწრფელი სამსახური გაუწევია ქართული საერო მწერლობისათვის და კერძოდ "ვეფხისტყაოსნისათვის" (ისე როგორც საერო

მწერლებიც მონაწილეობდნენ სასულიერო-საეკლესიო მწერლობაში). მაგალითად, რუსთველის დიდი მოყვარული, მისი პოემის გადამწერ-გამავრცელებელი და გამგრძელებელი იყო XVII საუკუნის მეორე ნახევრის გამოჩენილი საეკლესიო მოღვაწე, მიტროპოლიტი იოსებ თბილელი (საკადმე) რუსთველის პოეზიის თაყვანიმცემელთა რიგს ეკუთვნოდა მღვდელი იესე ტლაშაძე რუსთველის პოეზიის კეთილი ზემოქმედება განიცადა ბერად შემდგარმა სულხან-საბა ორბელიანმა ფილიპე ალავერდელისა და ზაქარია ბოდბელის თაოსნობით “ქილილა და დამანას თარგმნა ქართულ ენაზე დაუწყია კახეთის მეფე დავითს (გარდ 1602 წ.)^[22] შემდეგ “ქილილა და დამანას” ტექსტი გააწყო და გამართა სულხან-საბა ორბელიანმა თუმცა მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, თითქოს “მონაზვნისაგან ამისთანა ამბავი უწყესოა და ურიგო” მღვდელ.- მონაზონმა პეტრე ჩხატარაის-ძემ გალექსა საგმირო პოემა "ალექსანდრიანი"^[23]. დავით გურამიშვილის მიმბაძველი იყო და მის ყაიდაზე თხზავდა ავტობიოგრაფიულ-სათავგადასავლო ლექსებს მღვდელი იოვანე მამუქაშვილი^[24]. საანალიზო პერიოდის მწერლობის ერთი პირველი მოამაგეთაგანი უნდა ყოფილიყო სვიმეონ დეკანოზი შოთას ძე (მოღვაწეობდა XVI საუკუნის პირველ მესამედშია რომელსაც რუსთველური შაირით შეუთხზავს წმ. გიორგის ქება. ეს სვიმეონ დეკანოზი ბაძავდა რუსთველის ლექსებს და თავი მოჰქონდა რუსთველის შთამომავლობით (სვიმეონ დეკანოზი თავის თავს თვლიდა შოთას შთამომავლად)^[25]. რუსთველური შაირებით წერდა იაკობ შემოქმედელი და საეკლესიო-სასულიერო მწერლობის ზოგიერთი სხვა წარმომადგენელი. რუსთველური შაირით გაულექსავს წმ. გიორგის ცხოვრება დათუნა ქვარიანს^[26].

საეკლესიო-კლერიკალური წრეების გაცხარებას ის გარემოებაც უწყობდა ხელს, რომ XV-XVIII საუკუნეების ქართველი მკითხველი საზოგადოება თურმე დიდ გულგრილობას იჩენდა საეკლესიო-სასულიერო მწერლობისადმი. სამაგიეროდ ეს საზოგადოება გატაცებული ყოფილა "საშაირო" ლიტერატურით, ე. ი. საერო პოეზიით^[27] თეიმურაზ პირველის სიტყვით, "არვის უნდა სახარება, არცა წიგნთ მოციქულთა". თეიმურაზი შენიშნავს, რომ: "თუ სამღვთო რამე მესიბრძნა, შიგ არვინ ჩაიხედევდაო" თეიმურაზის მიერ შენიშნულ მოვლენას არჩილიც ადასტურებს:

სამღვთო წიგნი ბევრი წახდა უყდოთა და უბუდობით,
საშაიროს ინახევდენ სტავრის ბუდით ან ნახლობით^[28].

საერო და სასულიერო მიმართულებათა წინააღმდეგობა დამახასიათებელი მხარეა XV - XVIII საუკუნეების ქართული მწერლობისა. საეკლესიო-სასულიერო საზოგადოება ბატონობას ვერ აღწევს, მაგრამ გარკვეულ გავლენას მაინც ახდენს საზოგადოებრივ აზროვნებაზე, კერძოდ მწერლობაზე. ამისი გამოხატულებაა ცნობილი საერო მწერლების მხრივ თეორიულად სასულიერო მწერლობის უპირატესობის აღიარება. არჩილი ამბობს:

ორი არის სიტყვის ცოდნა, სამღვდელო და საერო,
სამღვდელის მცოდინარე საეროსა მოერიო.

ამისდა მიუხედავად, ეპოქის გამოჩენილი მწერლები თუმცა თხზავენ თითო-ოროლა სასულიერო ნაწარმოებებს, მაგრამ მთელი არსებით ემსახურებიან საერო მიმართულებას. ასეთებია თეიმურაზი, არჩილი, ვახტანგი, დავით გურამიშვილი და

სხვები, მკითხველი საზოგადოების მხრივ სასულიერო-საეკლესიო მწერლობისადმი გულგრილობისა და საერო მწერლობისადმი მიზიდულობის თაობაზე შესანიშნავ ცნობას გვაწვდის პატრი ბერნარდე, რომელიც საქართველოში იყო 1670-1679 წლებში. იგი ამბობს: "ქართველები თუმცა კი ძლიერ გონიერნი, კაცთმოყვარენი არიან, ხოლო სულიერ საგნებში კი უსწავლელნი და კათოლიკე სარწმუნოებაზე ბრუდეთ ჩაგონებულნი და არც უყვართ მოსმენა სწავლადარიგებისა. არამედ მიზიდული არიან ბეჟანიანისა, ბარამიანის, როსტომიანისა და მათი მსგავსი წიგნების კითხვაზედ"^[29].

გულგრილობა სასულიერო-საღვთისმეტყველო მწერლობისადმი მაჩვენებელი იყო საზოგადოებრივ წრეებში თეოლოგიურ-დოგმატიკური აზროვნების შერყევისა. განათლებულ საზოგადოებას აღარ აკმაყოფილებდა გულუბრყვილო ბიბლიური სქემები ბუნების მოვლენებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ფაქტების ასახსნელად. კრიტიკული სული ისწრაფოდა ამქვეყნიური მატერიალური სინამდვილის შეცნობას, გაიზარდა ინტერესი ნამდვილი მეცნიერული ცოდნის შესაძენად^[30]. მეცნიერული ცოდნის შეძენასა და მის გაღრმავებას, სხვათა შორის, ხელს უწყობდა გახშირებული მოგზაურობანი დასავლეთ ევროპასა, რუსეთსა და აღმოსავლეთის ქვეყნებში, უცხოეთის ცხოვრებაზე დაკვირვება, კულტურისა და მეცნიერების მოღვაწეთა გაცნობა. ამ მხრივ მეტად ნაყოფიერი გამოდგა ნიკიფორე ირბაქის, სულხან-საბა ორბელიანის, ტიმოთე ჯაბაშვილისა და სხვ. საზღვარგარეთული მოგზაურობანი. ნიკიფორე ირბაქის დახმარებით რომში მოეწყო ქართული სტამბა, 1639 წელს ამ სტამბიდან გამოვიდა პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნი.

მეცნიერული ცოდნის გამდიდრებაზე მეტყველებს ლექსიკონების, ენციკლოპედიებისა და სამეცნიერო ხასიათის შედარებით მრავალრიცხოვანი ლიტერატურის შექმნა ქართულ ენაზე.

აღნიშნულის მიუხედავად, სასულიერო-საეკლესიო მწერლობის განვითარება XV-XVIII საუკუნეებში არათუ არ შეწყვეტილა, ზოგჯერ მწერლობის ამ დარგში დიდი წარმატებებიც კი იქნა მოპოვებული. XVI საუკუნის პირველ ნახევარში, ეპოქის აქტუალურ მოთხოვნილებათა შესაბამისად, ბაგრატ მუხრანბატონს შეუთხზავს ანტიმაჰმადიანური პოლემიკური ნაწარმოები "მოთხრობაი სჯულთა უღმრთოთა ისმაილიტთაი". ეს თხზულება XVII საუკუნის მეორე ნახევარში ლექსად შეაწყო იაკობ შემოქმედელმა (დუმბაძემ). საეკლესიო მწერლობის ასპარეზზე ნაყოფიერად მოღვაწეობდნენ ვახტანგ VI-ის თანამშრომლები - კვიპრიანე სამთავნელი, ნიკოლოზ თბილელი, სულხან-საბა ორბელიანი, გერმანე მღვდელ-მონაზონი და სხვ. სასულიერო მწერლობაში თავიანთი წვლილი შეუტანიათ თეიმურაზ პირველს, არჩილს და დავით გურამიშვილსაც კი. ძლიერ დაწინაურდა სასულიერო-საეკლესიო მწერლობა ანტონ კათალიკოსის (1730-1788) დროს. თვითონ ანტონი იყო ამ მწერლობის თითქმის ყველა ჟანრის უდიდესი წარმომადგენელი. მას მხარში უდგნენ ტიმოთე გაბაშვილი ფილიპე ყაითმაზაშვილი, დოსითეოზ ჩერქეზიშვილი, გაიოზ რექტორი ალექსიშვილი და სხვ. ბევრი რამ შესძინეს საეკლესიო მწერლობას ბესარიონ კათალიკოსმა, ამბროსი ნეკრესელმა, ანტონ ცაგერელ-ჭყონდიდელმა, იონა ხელაშვილმა და სხვ. ამ მწერლობაში გარკვეული კვალი დაუტოვებია ანტონ კათალიკოსის წინააღმდეგ მებრძოლი დასის მეთაურს, ზაქარია გაბაშვილს (1707-1783).

წინამდებარე ტომში ჩვენ არ ვეხებით სასულიერო-საეკლესიო მწერლობას, რადგანაც ის უკვე განხილულია ქართული ლიტერატურის ისტორიის პირველ ტომში.

XIII საუკუნის მეორე ნახევრიდან XV საუკუნემდე მხატვრულ მწერლობაში მნიშვნელოვანი თითქმის არაფერი შექმნილა (ყოველ შემთხვევაში ჯერ ცნობილი არაა), მეტად დარბია .იმ დროის სასულიერო-საეკლესიო მწერლობაც^[31] თუმცა ისტორიოგრაფიას XIV საუკუნეში შეეძინა ისეთი შესანიშნავი ძეგლი, როგორცაა ჟამთააღმწერელის ნაწარმოები^[32]. XIV საუკუნეს უნდა ეკუთვნოდეს „ხელმწიფის კარის გარიგებაც“^[33] XIII საუკუნის დამდეგს ან XIV-ის დასაწყისშია შედგენილი ბექას სამართლის წიგნი, ხოლო XIV საუკუნის მეორე ნახევარში - აღბუღას სამართალი^[34] გიორგი V-ის დროს (1314 -1346) დაიწერა "ძეგლის დადებაც"^[35], ხოლო 1348- 1400 წლებს შორის -ძეგლი ერისთავთა"^[36].

XV საუკუნის გასულიდან და XVI-ის დამდეგიდან ქართულ ლიტერატურას უთუოდ დაეტყო გამოცოცხლების თუ აღორძინების ნიშნები. ქვეყანამ თავი დააღწია მონღოლთა ხანგრძლივ ბატონობას, რამდენადმე მოიშუშა წყლულები და კულტურული ცხოვრების განახლებას შეუდგა. საგულისხმოა, რომ ლიტერატურის აღორძინების პარალელურად მიმდინარეობდა ხელოვნების აღორძინებაც. გ. ჩუბინაშვილის გამოკვლევის თანახმად, "XV საუკუნის საქართველოში, რომელმაც ის იყო განიცადა თემურ ლენგის გამანადგურებელი, ქვეყნის ეკონომიკის ძირგამომთხრელი. შემოსევები, მხოლოდ თანმიმდევრული აღდგენითი პოლიტიკის წყალობით იჩენს თავს უეჭველი აღორძინება ოქრომქანდაკებლობის დარგშიაც"^[37].

XIII-XVსაუკუნეების ქართულ მწერლობას ჩვეულებრივ უწოდებენ და ც ე მ ი ს პ ე რ ი ო დ ი ს მწერლობას, XV-XVIII საუკუნეების მწერლობას კი - აღორძინების პერიოდის მწერლობას. ცნებები და ც ე მ ა და აღორძინება შინაარსობლივად სწორად გამოხატავს საქმის არსებითს მხარეს (თუმცა ერთგვარ ტერმინოლოგიურ უხერხულობას ქმნის). ამიტომაც პირობითად ჩვენც ვუტოვებთ მათ უკვე მოპოვებულ მოქალაქეობრივ უფლებას.

ჩვენ უკვე შევჩერდით სპარსულ-ქართულ ლიტერატურულ ურთიერთობათა ზოგად პრინციპულ საკითხებზე, ამ ურთიერთობათა კონკრეტულ მხარეებს გზადაგზა ქვემოთ შევხებით. XVI-XVIII საუკუნეებში საკმაოდ ცხოველი გახდა რუსულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობანიც. აქ აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ XVI საუკუნიდან მოვიდებულნი თანდათანობით ძლიერდება რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული ურთიერთობანი როგორც პოლიტიკურს, ისე კულტურულ სფეროში. XV-XVI საუკუნეების რუსულ ლიტერატურაში ერთგვარად აისახა კიდევ ქართული სინამდვილე («Сказание о Вавиловском царстве», Повест о Грузинской царице Динаре»^[38] XVII ს. მეორე ნახევრიდან რუსეთის მთელ რიგ პუნქტებში ჩნდება ქართული ახალშენები და კულტურის კერები ქართველი და რუსი ხალხების დაახლოებისა და ქართულ-რუსული კულტურული ურთიერთობის განმტკიცების საქმეში განსაკუთრებით დიდი როლი შეასრულა მოსკოვის ქართულმა კოლონიებმა. ასეთივე დიდი ნაყოფი გამოიღო ქართველი და უკრაინელი ხალხების დაახლოება-დამძობილების მხრით უკრაინის ქართულმა კოლონიებმა.

XVII-XVIII საუკუნეებში, განსაკუთრებით XVIII საუკუნეში, თვალსაჩინოდ გაძლიერდა კულტურული ურთიერთობა ჩვენს მეზობელ მოძმე ხალხებთან - სომხებთან და აზერბაიჯანელებთან. შემთხვევითი არ არის, რომ XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა ქართველების, სომხებისა და

აზერბაიჯანელების მშობა-მეგობრობის მომდერალი შესანიშნავი აშული პოეტი საიათნოვა.

საანალიზო ეპოქის მწიგნობრული ლიტერატურა ცოცხალ ურთიერთობაში იყო ხალხურ სიტყვიერებასთან. ბევრი გამოჩენილი მწერალი ხალხს და მის შემოქმედებას მიმართავდა, როგორც შთაგონების წყაროს. ასეთები იყვნენ, უწინარეს ყოვლისა, სულხან-საბა ორბელიანი, დავით გურამიშვილი, მამუკა ბარათაშვილი, საიათნოვა. ხალხური მოტივები ნაწილობრივ იგრძნობა თეიმურაზ პირველის, არჩილის, ვახტანგის, ბესიკისა და სხვ. ლექსებში. ხალხური ზღაპრები წყარო გამხდარა "რუსუდანიანისათვის". ფართოდ გამოიყენა ხალხური სიტყვიერების მასალები იოვანე ბატონიშვილმა თავის "კალმასობაში". სატრფიალო-სამიჯნურო შინაარსის საუცხოო ხალხური ლექსები ჯერ კიდევ XVI საუკუნის დასაწყისში მიუწერიათ ვანის ქვაბის მონასტრის კედლებზე. თავის მხრივ მწიგნობრობაც ახდენდა გავლენას ხალხურ სიტყვიერებაზე, მწიგნობრული მოტივები და სიუჟეტები ხშირად ფართო გამოხმაურებას პოულობდა ფოლკლორშიც. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია "როსტომიანის" ვერსიები (როსტომისა და ზურაბის ამბავი, ბეჟანიანი და სხვ.).

ხალხი ქმნიდა მშვენიერ ლექსებსა და თქმულებებს იმ თემებზე, რომლებიც მწიგნობრულ პოეზიაშიც მუშავდებოდა. ამისი საუკეთესო მაგალითია ლექსების ციკლი ნუგზარ და ზურაბ ერისთავებზე^[39] "ნუგზარ ერისთავის დროსაო", სისხლის წვიმების დროსაო" ახლაც ზიზღით იგონებს ჩვენი ხალხი იმ დროს, როდესაც მტარვალ ფეოდალს უცდია თავისუფალი .მთის დაპყრობა და ყმობის უღელში შებმა. მამის უკაცური :საქმე განუგრძია მის შვილს, ზურაბ ერისთავს. ზურაბი იყო შემღებული და გავლენიანი მთავარი. ამის თაობაზე ხალხი ამბობდა: "ისპაანამდე გაითქვი, ყეენტან გაიზარდეო", "თურმე ზურაბს ჯავრი კლავს ორისა: ხევსურეთისა, .ფშავისა" თავისი წადილის განსახორციელებლად მრისხანე ფეოდალს რამდენიმეჯერ დააულამქრავს ფშავ-ხევსურეთი. მომხდური მტრისათვის თავისუფლებისმოყვარე ხალხს ჯერ უთხოვია: "დადეგ. დაგვეხსენ, ზურაბოო". თხოვნას რომ არ გაუჭრია, მაშინ მთიელებს ბრძოლის სანაქებო მაგალითები უჩვენებიათ. გამანადგურებელი ირონიით გამოხატავს ხალხი ერისთავის თანამებრძოლი აზნაურების სამარცხვინო გაწყვეტას:

უხოცავ აზნაურები დაბლა აკუმოს წყალზედა...
ერისთავის აზნაურებსა ყორნებ პწკლით ეზიდებისა.

ხალხი ამხილებდა ზნედაცემული ერისთავის აღვარახსნილ საქციელს:

ზურაბმ ხოყანა, აიფრა, ბევრს ვაჟს უტირა დედაო,
ბევრს ქალს გაუხსნა ფარაგი, უკბინა მუძუზედაო,

მთიელი ხალხი მძულვარებით ასხენებდა ზურაბ ერისთავის სახელს. ხალხმა მას "ძალი ზურაბი" შეარქვა. როცა მთაში მისულა ზურაბის მკვლელობის ამბავი (ზურაბი, როგორც საშიში მეტოქე, ღალატით მოაკვლევინა მიჩენილ კაცებს მეფე თეიმურაზ პირველმა), მთიელებს თავისუფლად ამოუსუნთქავთ. სიხარულს მისცემიან:

კაცი წავიდეს თუშეთში, ფშავ-ხევსურეთში ჩაფარი:
საფურცლეს მაკლეს ზურაბი: ძილ დააძინეს მაგარი;

ფშაველ-ხევსურთა უთხარი, წელთით დაიხსნან აბჯარი,
ფშაველ-ხევსურთა ქალ-ზალმა ძილ დაიძინან მაგარი,

როგორც ცნობილია, მთის ბრძოლა თავისუფლებისათვის ნუგზარის წინააღმდეგ დაედო -საფუძვლად ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობას "ხევსბერი გოჩა". ქართველი ხალხის ბრძოლა ყიზილბაშების წინააღმდეგ XVII საუკუნეში ასახულია. ხალხურ თქმულებებში ბახტრიონის გარშემო. ეს თემაც შთამა-გონებელი წყარო გახდა ახალი ქართული მწერლობისათვის...

XV-XVIII საუკუნეების ქართულ მწიგნობრობას მხარდამხარ მიჰყვებოდა ხალხური ზეპირი სიტყვიერება.

[1] ქართველი ერის ისტორია, IV, თბილისი, 1924, გვ. 198.

[2] ქართველი ერის ისტორია, IV, თბილისი, 1924, გვ. 198.

[3] საქართველოს ისტორია, მე-11 – 15 საუკუნეები. თბილისი, 1949, გვ. 135.

[4]

[5] საქართველოს ისტორია, მე-11 – 15 საუკუნეები, გვ. 263.

[6] ი . ც ი ნ ც ა მ ე, ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, თბილისი, 1956, გვ. 235.

[7] ი . ც ი ნ ც ა მ ე, ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, თბილისი, 1956, გვ. 246; III . А . М е с х и а и Я . З . Ц и н ц а д з е, Из истории русско-грузинских взаимоотношений, Тбилиси, 1958, გვ. 33.

[8] ი . ც ი ნ ც ა მ ე, ძიებანი... გვ. 285; III . А . М е с х и а и Я . З . Ц и н ц а д з е, Из истории... გვ. 47, 56.

[9] ქართველი ერის ისტორია, IV, გვ. 199.

[10] ე ი პროზაული ტექსტები

[11] აკაკი წერეთელი, თხზულებანი, ტომი VI, ლევან ასათიანის რედაქტორობით, თბილისი, 1957, გვ.51.

[12] იქვე, გვ. 52

[13] ქართული ენის ზოგადი დახასიათება (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი), I, 1950, გვ. 019

[14] ი ვ ქ ა ვ თ ა რ ა მ ე, ერთიანი სალიტერატურო ქართული ენა, გაზ "სახალხო განათლება", 14 III 1951

[15] " საბჭოთა ხელოვნება" 1959, № 7, გვ. 33-40; 1960 №8, გვ. 33-42 შდრ კ კ ე კ ე ლ ი ძ ი ს "კედელზე შერჩენილი სიცოცხლე" (გაზ "კომუნისტი", 24 II 1959)

[16] ვაჰანის ქვაბთა განგება, გამოსცა ლ მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ მ ა, თბილისი, 1939., გვ. 10; კ

ე ს მ ა შ ვ ი ლ ი, რუსთაველის სადაურობის საკითხისათვის (გაზ. "კომუნისტი", 4 VIII 1936)

[17] წარწერები ასპირძის რაიონიდან (მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი 30, თბილისი, 1954); ვანის ქვაბების მხედრული წარწერები, გვ. 168-180

[18] ტექსტი იძლევა საინტერესო ვარიანტულ წაკითხვას

[19] შონიანის ვარაუდით, ეს ლექსი ფოლკლორული წარმოშობისაა

[20] რ ბ ა რ ა მ ი ძ ე, უძველესი ლირიკული ლექსის ფრაგმენტი ("ლიტერატურული გაზეთი", 8 VI 64)

შონიანმა გაარკვია რომ ლექსი წარმოადგენს იმ ანბანთქების ნაწყვეტს, რომელიც მიეწერებოდა თეიმურაზ პირველს

[21] ტ რ უ ხ ა მ ე, ქეთევან დედოფლის უცნობი ლექსები (ლიტერატურული გაზეთი", 31 VIII 1956);

უკვდავთა დადადებანი, გამოცემა მ ჯანაშვილისა, თბილისი, 1900, გვ. 124-126

[22] ა ლ ბ ა რ ა მ ი ძ ე, ნარკვევები, I თბილისი, 1945, გვ. 351-357

[23] ა ლ ბ ა რ ა მ ი ძ ე, ნარკვევები, II თბილისი, 1940, გვ. 235-246

[24] საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის Q თონდის ხელნაწერი №1067.

[2 5] В А А б у л а д з е, Х Г Шарашидзе, К вопросу об имени иродине Руставели (Сообщения А Н Гruz С С Р, т II, № 1941, გვ. 681-688); ალ ბარამიძე, შოთა რუსთაველი, თბილისი 1958, გვ. 34-35.

[26] ს ი რ ა ჭ ი ჭ ი ნ ა მ ე, დათუნა ქვარიანი (" ლიტერატურა და ხელოვნება", 5 12 48); მ

ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი, უცნობი პოეტი დათუნა ქვარიანი (თბილისის პედაგოგიკის შრომები, IV, 1947, გვ. 185-200) დათუნა ქვარიანისა და ვინმე შააკა დვალის შესახებ არჩილი ამბობს (არჩილიანი, II, 35):

სხვათ მელექსეთ არ ვახსენებ, არც ბააკა დვალიძესა,
ვაც დათუნა ქვარიანსა, შოთას რად ვერ წაბაძესა?

ბააკა დვალის თაობაზე ვერაფერს ვიტყვით, დათუნა ქვარიანს კი გაულექსავს წმ გიორგის ცხოვრება, და გაულექსავს სწორედ თექვსმეტმარცვლოვანი შაირით ქვარიანს სხვაგ ბევრი ჰქონია ნაწერი, რომელთაც ჩვენამდის არ მიულწევია იქნებ არჩილს ისინი ჰქონდა მხედველობაში! ” წმ.გიორგის ცხოვრების” გალექსილ ტექსტს რუსთველის დიდი გავლენა ეტყობა ალბათ, არჩილი არ იცნობდა ქვარიანის ამ ნაწარმოებს (ან ის გვიან დამუშავდა)

[27] საგულისხმოა, რომ საერო პოეზიით გატაცებული ყოფილან მონაზონი ქალები, რაც ჩანს ვანის მონასტრის კედლების წარწერებიდან

[28] სასულიერო მწერლობისადმი ინდიფერენტიზმს უჩივის დათუნა ქვარიანიც

[29] მ . თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორი, თბილისი, 1902, გვ 682-683

[30] ა ფ რ ა ნ გ ი შ ვ ი ლ ი, ადამიანის სულიერი ცხოვრების საკითხი აღორძინების ხანის ქართული ლიტერატურაში (ფსიქოლოგია, XI, თბილისი, 1957, გვ 45-59)

[31] კ კ ე კ ე ლ ი ძ ე, ქართული ლიტერატურის ისტორია

[32] ი ვ ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბილისი, 1945, გვ 246- 263.

[33] ე თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს გამოცემა, თბილისი, 1920 (შდრ. ივ ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, V, 1953, გვ 167-224)

[34] ი დ ო ლ ი ძ ე, ძველი ქართული სამართალი, თბილისი, 1953, გვ. 40-41

[35] ი დ ო ლ ი ძ ე, გიორგი ბრწყინვალის სამართალი, თბილისი, 1957.

[36] ძველი ერისთავთა, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო შოთა მ ე ს ხ ი ა მ (მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი 30, თბილისი, 1954, გვ 303- 374) ჩვენ საექვოდ მიგვაჩნია კირილე დონაურის ”ანდერძის” ავთენტურობა შდრ კ კეკელიძე, ქართული კულტურის ისტორიისათვის მონდოლთა ბატონობის ხანაში, ეტიუდები, II, 1945, გვ 314-324

[37] ქართული ოქრომჭედლობა VIII-XVIII საუკუნეებისა, თბილისი, 1957, გვ 13.

[38] ი ც ი ნ ც ა ძ ე, რუსული თქმულების ” დინარას” საკითხისათვის (თუმ, X, 1939, გვ 59-93);

Выдающиеся деятели русской культуры о Грузии, составил в Шадური, თბილისი, 1958, გვ VIII

[39] ა შ ა ნ ი ძ ე, ქართული ხალხური პოეზია, I 1931, გვ 1-9; ქ ს ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე, ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, I, 1961, გვ 146-177

"ვეფხისტყაოსნის” გაგრძელებანი

მე-16-18 საუკუნეების მანძილზე, შესაძლებელია ნაწილობრივ უფრო ადრეც, ჩამოყალიბებულა ”ვეფხისტყაოსნის” ჩანართებისა და დამატებების, ანუ გაგრძელებათა მთელი ციკლი. რუსთველის პოემას შემატებია როგორც ცალკეული სტროფები, ისე მთელი ეპიზოდები (”ამბები”). ეპიზოდურ დამატებათაგან აღსანიშნავია ორი: ხ ვ ა რ ა ზ მ ე ლ თ ა მ ბ ა ვ ი და გ მ ი რ თ ა ს ი კ ვ დ ი ლ ი ს ა მ ბ ა ვ ი.

ხ ვ ა რ ა ზ მ ე ლ თ ა ა მ ბ ა ვ შ ი ნათქვამია. ”გრძლად ავად გახდა ტარიელიო” იგი ოთხი წელი ლოგინად წოლილა. ხვარაზმშას რომ გაუგია ტარიელის ავადმყოფობა, გახარებია, დიდი ლაშქრით შესევია ინდოეთს შურის საძიებლად, ქვეყანა დაურბევია და აუოხრებია, მოსახლეობა გაუჟღელტია. გასაჭირში ჩავარდნილ ტარიელს შემწეობა უთხოვია ძმადნაფიცებისათვის. ავთანდილი და ფრიდონი საჩქაროდ გაშურებულან ინდოეთში ლაშქრითა და მკურნალებით. ტარიელი განიკურნა. ხვარაზმშა დამარცხდა. სახელოვანი გმირები თავს დაესხენ ხვარაზმშას ქვეყანას, დაიპყრეს, შაჰი ტყვედ ჩაიგდეს, მაგრამ საბოლოოდ მაინც შეიწყნარეს, გაათავისუფლეს და სამეფო დაუბრუნეს. შემდეგ აღწერილია ძმადნაფიცების ინდოეთში დაბრუნება, საზეიმო შეხვედრა, განშორება.

გმირთა სიკვდილის ამბავი. ტარიელსა და ნესტანს უცხოვრიათ "წელნი ოთხმოცნი" ხანდაზმულობის გამო ისინი თურმე "დაბრმეს, დაღრკეს, დაცაბერდეს". მათ მოიძულეს წუთისოფელი, "სიყვარული გააცივეს, ერთმანერთსა უკუგრილდესა". ტარიელს ჰყოლია ქალ-ვაჟი. მშობლებმა შვილები გაამეფეს ("მეფედ. დასხნეს") თვითონ კი "მიწვეს მიწად, მიიძინეს", ერთი წლის განმავლობაში ორნივე "დაიხოცნესო". სიკვდილის წინ ტარიელსა და ნესტანს დაუწერიათ საგანგებო ანდერძები. "ორნი ძენი" მისცემიათ აგრეთვე ავთანდილსა და თინათინს. ორივე ძმადნაფიცი მხურვალედ დაიტირა ფრიდონმა.

ხვარაზმელთა ამბავს აქვს საკუთარი პროლოგი და ეპილოგი. პროლოგში იკითხება.^[1]

საწუთროო უსახოო, სიმუხთლისა სენი გჭირსა:
უწინ ცათა აყვანილსა ჩააგებდე დიდსა ჭირსა,
გააყვითლებ ქარვის ფერად პირველ ლაღსა განამჭირსა,
კარგად ვერვინ ვერა ნახავს კაცსა შენგან დანაჭირსა.
ესე ამბავი ნარჩომი მათ ლომთა მორჭმით მგონეთა,
გაღექსვა აკლდა ხვარაზმთა, მეტად ვერ მოვიგონეთა;
ძნელია პოვნა, გული ჰკრთა, დავვარდი, დაველონეთა,
კვლავა ვთქვი, ლექსი გავმართე, მოსმენით გაიგონეთა.
აწ, გონიერნო, სიტყვანი თქვენ ჩემნი შეიწყნარენით:
ძველი ნარჩომი ამბავი ლექსად ვთქვენ, გაიხარენით.
სარგისს დაურჩა უთქმელად, ჩვენ ესე დავაბრალენით,
ლექსი მიქენით, ამისთვის ენანი მომახმარენით.

საყურადღებო ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის ცნობა შემოუნახავს ხვარაზმელთა ამბის ეპილოგსაც:

ეს ამბავი დარჩომოდა სარგისს ლექსთა შეუწყობლად,
აგრე თმოგვი თმოგველთაგან შესავლითურთ დარჩა ოზლად,
ესე სიტყვა მოახსენეს^[2],-ვინ ჩანს გმირთა რაზმთა მწყობლად,
მან მიბრძანა, ლექსად თქვიო, მჭევრ ქართულად, დაუშრობლად.

დამოწმებული ტექსტებიდან ჩანს, რომ ხვარაზმელთა ამბის პროზაული ტექსტის ავტორი ყოფილა ვინმე სარგის თმოგველი. ამ თმოგველს თავისი ტექსტი .დარჩენია გაუწყობლად (გაუღექსავად), მას ანდერძი დაუტოვებია "ლექსი მიქენით, ამისთვის ენანი მომახმარენითო" ე. ი. პროზაული ტექსტი გამიღექსეთო. ხვარაზმელთა ამბავი თმოგველების მიერ უპატრონოდ დარჩენილ მამულში უნახავს ვიღაც ჩვენთვის უცნობ პირს და გაუღექსავს. ამბის გაღექსვა უნდა მომხდარიყო "როსტომიანის" ქართული ვერსიების ძირითადი ნაწილის ჩამოყალიბების შემდეგ, რადგანაც მას ("ხვარაზმელთა ამბავს") განუცდია უკანასკნელის ("როსტომიანის".) უცილობელი გავლენა. მაშასადამე, "ხვარაზმელთა ამბის" ლექსითი რედაქცია ვერ შეიქმნებოდა მე-16 საუკუნის მეორე ნახევარზე ადრე.

გმირთა სიკვდილის ამბავი უშუალო გაგრძელებაა ხვარაზმელთა ამბისა. გმირთა სიკვდილის ამბავი ან იმავე პირს ეკუთვნის, ვინც ხვარაზმელთა ამბავი გაღექსა, ან ის შეუთხზავს შემდეგდროინდელ მოღვაწეს. ყოველ შემთხვევაში, ხვარაზმელთა .და გმირთა სიკვდილის ამბებს იცნობს მე-17 საუკუნის პირველი მეოთხედის მოღვაწე პოეტი ქაიხოსრო, ავტორი "ომიანიანისა"(ამ ძეგლის შესახებ ქვემოთაა საუბარი). ომიანმა თავის სატრფოს უამბო "ტარიელის დასწეულება და ხვარაზმელთაგან სისხლის ძებნა. ავთანდილისა და ფრიდონისაგან მიშველება.

ხვარაზმთ მეფის ხელთ შეპყრობა და გამარჯვება. ტარიელის სიკვდილი და მისი შვილის - სარიდანის - გახელმწიფება...^[3] - "ვეფხისტყაოსნის" გმირთა სიკვდილის ამბავს იმოწმებს თეიმურაზ პირველიც თავის პოემაში "-იოსებზილიხანიანი" რომელიც დაწერილია 1629 წელზე ადრე. თეიმურაზი ამბობს "ვეფხისტყაოსნის" გმირებზე:

ბოლოდვე გავლეს საწუთრო, სოფლის საქმენი არესა,
იგ უსახონი ქალ-ყმანი მიწასა მიაბარესა.

ამრიგად, ხვარაზმელთა ამბავი და გმირთა სიკვდილის ამბავი შეთხზულია არა უადრეს მე-16 საუკუნის მეორე ნახევარსა და არა უგვიანეს მე-17 საუკუნის პირველი მეოთხედისა. შესაძლებელია ამ ამბების ავტორი იყო ვინმე მესხი მელექსე, რომელიც წერს:

გასრულდა მათი ამბავი, ვითა სიზმარი ღამისა,
გარდახდეს, გავლეს სოფელი, -- ნახეთ სიმუხთლე ჟამისა.-
ვის გრძლად ჰგონია, მისთვისცა არის ერთისა წამისა.
ვწერ ვინმე მესხი მელექსე მე რუსთველისად ამისა.

როგორც თავის ადგილას აღვნიშნეთ, გამოთქმა "ვწერ... რუსთველისად ამისა" ნიშნავს: ვწერ რუსთველის კვალობაზე, რუსთველის მიხედვით, რუსთველისათვის, ანუ რუსთველის დამატებად (გაგრძელებად). ერთი სიტყვით, ვინმე მესხი მელექსე რუსთველი კი არ არის, არამედ რუსთველის მიმბაძველი, გამგრძელებელი. ეს მესხი მელექსე იცნობს გმირთა სიკვდილის ამბავს ("გარდახდეს, გავლეს სოფელი") იგი დაუმწუხრებია წუთისოფლის სიმუხთლეს, რადგანაც წუთისოფელს არ დაუნდვია ისეთი შესანიშნავი პირები, როგორც იყვნენ "ვეფხისტყაოსნის-პერსონაჟები. "გასრულდა მათი ამბავი..." უსათუოდ გულისხმობს "ვეფხისტყაოსნის" გმირების გვიანდელ თავგადასავალსა და სიკვდილის ამბავს. ისიც საგულისხმოა, რომ ხვარაზმელთა ამბის ავტორი მესხია, მას გაუღიქსავს სწორედ მესხეთში, თმოგვში ნაპოვნი პროზაული მოთხრობა. ყველაფერი ეს ლაპარაკობს ვინმე მესხის სასარგებლოდ. ეს ვინმე მესხი "ვეფხისტყაოსნის" ერთ-ერთი ადრინდელი გამგრძელებელია.

მე-17 საუკუნეში კარგად სცოდნიათ, რომ "ვეფხისტყაოსნის" ტექსტს ავრცელებდნენ და აგრძელებდნენ. არჩილის ცნობილი პოემის "თეიმურაზისა და რუსთველის გაბაასების" მიხედვით, თეიმურაზი ასეთ "ბრალდებას" უყენებს რუსთველს:

ერთი ამბავი აიწყე, ბოლოც სხვათ შეგითავეს-ო.

ე.ი.არჩილის აზრით (არჩილი ალაპარაკებს თეიმურაზს), "ვეფხისტყაოსანი" შეთავებულია, ანუ შევსებულია, უკეთ, დასრულებულია არა რუსთველის, არამედ სხვების მიერ. არჩილი კიდევაც ასახელებს პოემის ერთ-ერთ შემთავებელს (ინტერპოლატორს) ვინმე ნ ა ნ უ ჩ ა ს :

ნ ა ნ უ ჩ ა ს რუსთველის ნათქვამში ბევრი რამ ჩაურევია,
საბრალოს ვერ შეუწყვია, წმინდა რამ აუმღვრევია.
მასთან რას სწერდა მის ლექსსა, სირეგვნე მით მორევია.
რუსთველი სიბრძნის ტბა არის, არცა თუ იგ მორევია.

ამ ნაწილს მ ა ნ უ ჩ ა რ მ წ ე რ ლ ი ს სახელით იმოწმებს მე-17 საუკუნის პირველი ნახევრის პოეტი-მწიგნობარი მამუკა თავაქალაშვილი. მამუკა მანუჩარს უწოდებს "ტკბილი სიტყვების მხმობელს". მოღვაწეობდა ეს - ნანუჩა ან მანუჩარი მე-16-17 საუკუნეთა მიჯნაზე. ნანუჩას "ვეფხისტყაოსნის ძირითად ტექსტში მართლაც ჩაურთავს ("ჩაურევია") მის მიერ შეთხზული სტროფები ზოგი რამ მას დაურთავს გმირთა :სიკვდილის ამბისათვის. ნანუჩა ვერ ყოფილა დიდი ხელოვანი-ოსტატი მოშიარე. არჩილი როდი აჭარბებს, როდესაც ამ ინტერპოლატორს უსაყვედურებს "ვეფხისტყაოსნის" ანკარა პოეზიის შერყვნას ამისდა მიუხედავად, თავის დროზე ნანუჩას ჰყოლია პატივისმცემლები და დამფასებლები.

"ვეფხისტყაოსნის" გმირთა ანდერძები განუვრცია მე-17 საუკუნის მეორე ნახევრის საეკლესიო მოღვაწესა და მწერალს იოსებ თბილელს - ს ა ა კ ა ძ ე ს .

მე-18-19 საუკუნეთა მიჯნაზე პოეტ გიორგი თუმანიშვილს შეუთხზავს 11-სტროფიანი ეპიზოდი ტარიელის ინდოეთში დაბრუნების შესახებ და ჩაურთავს ის "ვეფხისტყაოსნის" ვახტანგისეულ გამოცემაში იქ შემჩნეული ხარვეზის შესავსებად. თუმანიშვილს ერთგვარად "გაუჩარხავს" პოემის ცალკეული სიტყვები და რამდენიმე სტროფით განუვრცია ტრადიციული რედაქციის ტექსტიც.

გიორგი თუმანიშვილის ჩანართი ეპიზოდი საგანგებო ყურადღების ღირსია. "ვეფხისტყაოსნის" ვახტანგისეულ რედაქციას უცილობლად ახასიათებს შეუსაბამობანი ფინალურ ამბებში. საქმე ისაა, რომ ავთანდილისა და თინათინის შეუღლების შემდეგ ტარიელი ჩქარობდა თავის ქვეყანაში დაბრუნებას. "მტერთა აქვს ჩემი სამეფო", განუცხადა .მან როსტევან მეფეს და წასვლის ნებართვა გამოითხოვა. როსტევანმა დაუყოვნებლივ გაისტუმრა ტარიელი და თან გაატანა ავთანდილი დიდი რჩეული ლაშქრით ("ავთანდილ თანა წამოგყვეს, წადით ლაშქრითა დიდითა" თქვენთა .მტერთა და ორგულთა დაჰფრეწდით, დაცასჭრიდითა"-ო). ტარიელი გაემურა სამშობლოსაკენ. მაგრამ მოლოდინის წინააღმდეგ .თითქოს სრულიად უმტკივნეულოდ და რაიმე დაბრკოლების დაუძლეველად ავიდა ტახტზე ("ტარიელს და ცოლსა მისსა მიჰხვდა მათი საწადელი"). გიორგი .თუმანიშვილს მართებულად შეუნიშნავს ტექსტობრივი დანაკლისი, მას უცდია ამ დანაკლისის შევსება (სხვა საქმეა, რამდენად შეძლო ეს მან) თქული შეეხება "ვეფხისტყაოსნის", ვახტანგისეული გამოცემის ტექსტს. სამაგიეროდ პოემის ხელნაწერებში მოიპოვება საკმაოდ ვრცელი ამბავი საგანგებო სათაურით "ტარიელისაგან ინდოეთს მისლვა და ხატაელთა დამორჩილება". ეს აა ინდო - ხ ა ტ ა ე ლ თ ა ა მ ბ ა ვ ი . აქ შემდეგია მოთხრობილი: ინდოეთისაკენ მიმავალ ძმადნაფიცებს გზაში შემოჰყრიათ ინდოეთიდან მომავალი ვაჭრები. ჭაბუკებს გამოუკითხავთ ინდოეთის ვითარება. ვაჭრებს დაუკმაყოფილებიათ მათი ცნობისმოყვარეობა. ისინი მოჰყოლიან ტარიელისა და ნესტანის გადაკარგვის ამბავს, შემდეგ ინდოეთის საქმეები აიწეწ-დაიწეწაო (ვაჭრებმა არ იცოდნენ, თუ ვინ იყვნენ მათი მსმენელები). გარდაცვლილა ფარსადან მეფე. უპატრონოდ დარჩენილი ქვეყნის უმწეობით უსარგებლია ხატაელთა გაიძვერა მეფე რამაზს, იგი მუხთლურად შესევია ინდოეთს, დაუპყრია და დაურბევია. ამის მომსმენმა ტარიელმა არ დააყოვნა, იგი აიყარა, დაესხა მომხდურ მტერს, თავზარი დასცა, უბრძოლველად დაიმორჩილა და ხელმეორედ დაატყვევა ძველი მოღალატე რამაზი. ინდოეთი განთავისუფლდა და ტარიელი გახელმწიფდა.

მოთხრობილი შინაარსი ცხადყოფს, რომ ინდო - ხ ა ტ ა ე ლ თ ა ა მ ბ ა ვ ი "ვეფხისტყაოსნისა" ბუნებრივი ნაწილია. ოღონდ, ეტყობა, რომ პოემის ეს ნაწილი ადრე დაზიანებულია. არა უადრეს მე-15 საუკუნის გასულისა თუ მე-16-ის

დასაწყისისა ინდო-ხატაელთა ამბავი განუახლებია და ახალი ელემენტებით განუვრცია "ვეფხისტყაოსნის" რომელიღაც გამგრძელებელს, შესაძლებელია სარგის თმოგველს.

ნესტანმა და ტარიელმა რომ მოისმინეს ფარსადან მეფის გარდაცვალების ამბავი, გულმხურვალედ მოიგლოვეს. ავთანდილმაც და ფრიდონმაც მოიტირეს ინდოეთის მეფე, შემდეგ ანუგეშეს ჭირისუფლები, "ავთანდილ და ფრიდონ ტირან გულსადაგად, არა-ჭრელად, მაგრა ექმნეს სულის-მღებლად (ე. ი. მანუგეშებლად), კათალიკოზ-მაწყვერელად".-ო. მოყვანილი ნაწყვეტით ავთანდილი შედარებულია კათალიკოსთან, ხოლო ფრიდონი მაწყვერელთან (აწყურის ეპისკოპოსთან).

როგორც ვიცით, შედარება, როგორც მხატვრული ხერხი. რუსთველის პოეტური ენის დამახასიათებელი ხერხია. მაგრამ სრულიად გამორიცხულია, რომ რუსთველს თავისი საყვარელი პერსონაჟები შეედარებინა ეკლესიურ-კლერიკალური წრეების წარმომადგენლებისათვის. "ვეფხისტყაოსანს" სწორედ იმიტომ სდევნიდნენ, რომ მისი ავტორი გაურბის ქრისტიანული აღმსარებლობის საწესო ფორმებს, გვერდს უხვევს კათალიკოსებსა და ეპისკოპოსებს, აღწერს "საერო-ცხოვრების სინამდვილეს. კათალიკოს-მაწყვერელის მოხმობა შეემლო მხოლოდ "ვეფხისტყაოსნის" ინტერპოლატორს. უცნობ ინტერპოლატორს კათალიკოსის გვერდით დაუსახელებია მაწყვერელი. ამით ის ნებისთ თუ უნებლიეთ ამჟღავნებს თავის კუთხურ ტენდენციას და მაწყვერელის იერარქიულად აღზევების ისტორიულ ფაქტს. ეს ინტერპოლატორი უნდა იყოს აწყურის მხარის (ე. ი. მესხეთის) მცხოვრები, რომელიც კარგად ყოფილა ორიენტირებული მაწყვერელის განდიდების საკითხში. მაწყვერელის განდიდება კი დაიწყო მე-15-16 საუკუნეების მიჯნაზე. ინდო-ხატაელთა ამბის განმაახლებელ.- შემთხვევით ამ დროის მოღვაწეა.

ამრიგად, "ვეფხისტყაოსნის" ინტერპოლაციები თუ დამატება-გამგრძელებანი შექმნილია მე-16-18 საუკუნეების მანძილზე. "ვეფხისტყაოსნის" ინტერპოლატორთაგან ცნობილი არიან სარგის თმოგველი, ვინმე მესხი მელექსე, ნანუჩა ან მანუჩარი, იოსებ თბილელი - სააკაძე, გიორგი თუმანიშვილი. რასაკვირველია, დასახელებული პირებით არ ამოიწურება -ინტერპოლატორთა სია. თითო-ოროლა სტროფი სხვებსაც ეკუთვნით. მაგრამ ამისი გამოწვლილვა ჯერ არ ხერხდება.

გამონაკლისის სახით "ვეფხისტყაოსანში-თავისი ნაცოდვილარი ჩაურთავს რუსთველის ერთ მოძულე პირსაც. ასეთია ის პირი, რომელსაც შეუთხზავს «ვეფხისტყაოსნისა» გამაბათილებელ-გამაყალბებელი პირველი შესავალი სტროფი ("პირველ თავი, დასაწყისი."...).

ომიანიანი

ომიანიანი ან ომანიანი^[4] «ვეფხისტყაოსნის» გაგრძელებათა გაგრძელებაა. ომიანიანის ამბავი "ზედ მიემის ამბავსა ვეფხისტყაოსნისასა"

ომიანიანის მიხედვით, ტარიელს მისცემია ვაჟი, რომლისთვისაც დაურქმევიათ სარიდანი. სარიდანს "ცოლად ჰყოლია "ასული ავთანდილისა". ამათი ნაყოფი იყო ომიანი. ომიანი უხვად იყო შემკობილი ვაჟკაცური თვისებებით. ზღვათა მეფის შვილისაგან მან გაიგო მისრეთის ხელმწიფის ქალის, მშვენიერი ბურნე-მელიქის ამბავი. გამიჯნურდა. დიდი ძებნისა და სხვადასხვა დაბრკოლების შემდეგ შეირთო ბურნე-მელიქი ცოლად. ომიანმა ბევრი სასახელო ბრძოლა გადაიხადა. დაამარცხა თავისი მეტოქე, ბურნე-მელიქის ხელის მამებარი ზავარ ფალავანი, მოკლა თეთრი დევი (როსტომის მიერ მოკლული თეთრი დევის

შთამომავალი), დახოცა ორი საშინელი ბაბრი, "მარჯვენა ხელი მოჰკვეთა" ბუმბერაზ ჭაბუკ ყარაქოილს. ხელმეორედ გამიჯნურდა და შეირთო მეორე ცოლი, "ბალხი-ბუხარის ხელმწიფის ასული.. ომანის სახელი მეფეთა, დიდებულთა და ბუმბერაზთა მოწიწებას იწვევდა ყველა ქვეყანაში. მის სანახავად ინდოეთში ჩავიდნენ "ურუმთ ხელმწიფე დიდი კეისარი". და სპარსთა მეფე ანუშრევანი. ერთად შეიყარნენ და დამეგობრდნენ ხუთი ხელმწიფენი: კეისარი, ანუშრევანი, ომანის სიმამრი (ბალხი-ბუხარის ხელმწიფე, რომელიც წოდებულია ხაყანჩინად): ინდოეთის მეფე სარიდანი და ომან სარიდანის-ძე. სანაქებო ლხინ-მეჯლიში გადაიხადეს, დრო ტკბილად გაატარეს. დადგა გაყრის სამწუხარო ჟამიც. ავტორი ურთავს: "ეს არის აუცილებელის ამა მამლორებელის საწუთროს წესი, რომე სწორ გზას აღმართი და დაღმართი დაუხვდების, კეთილს ბოროტი და სიხარულს ნალველი... აწე რაზომცა ამა დიდთა ხელმწიფეთა პირველად ერთად ყოფნით გაიხარეს, ბოლოს გაყრამ ესრედვე დააჭმუნვა"

"ომანიანს" უმღვის 25-სტროფიანი შესავალი, დართული აქვს ერთსტროფიანი ეპილოგი. ეპილოგში ავტორი აღნიშნავს, რომ ფ ი რ დ ა უ ს ტ მ ა ღირსეულად შეამკო როსტომი, „ტარიელისთვის რუსთველსა უშვენის ნაუბარია“ ხოლო თვითონ "მე მათ საფერად ვერა ვთქვი, ამად ვარ საგმობარიაო" შესავალი აგებულია "ვეფხისტყაოსნის-პროლოგის ყაიდაზე. აქ ავტორი იგონებს „როსტომიანის“ ამბებს და, სხვათა შორის, შენიშნავს: "ქაიხოსროვის შედეგად შ ა ჰ ა ბ ა ზ ერანს მჯდომია, უცხო დაიპყრა ქვეყანა, ერან-თურანის ზომია". მაშასადამე, "ომანიანის" ავტორი ყოფილა შაჰ-აბასის (1587-1629) თანამედროვე, "ომანიანი": შეთხზულია შაჰ-აბასის სიცოცხლეში, არა უგვიანეს 1628 წლისა. "ომანიანის" ავტორის ვინაობის თაობაზე ცნობებს გვაწვდის არჩილი. იგი ამბობს:

ქაიხოსრომან შიგ-ჩართვით ლექსად თქვა ომანიანი,
ომანის სიმხნე, სიქველე, ჯაჭვისცმა მაემნიანი.
კარგად რამ უთქვამს, მის გამო არა ვსთქვი მისი ზიანი,
ყვავილშიც გამოერევა სულითა ქუფრი რიანი.

მოყვანილი მოწმობის მიხედვით, "ომანიანი" შეუთხზავს ვინმე ქაიხოსროს. ეს ქაიხოსრო უნდა იყოს ქაიხოსრო ომანის-ძე ჩოლოყაშვილი, რომელიც თეიმურაზ პირველმა სიკვდილით დასაჯა დაახლოებით 1614 წელს. "ომანიანის" შექმნა ვერ გადმოსცილდება მე-17 საუკუნის პირველ მეხუთედს.

არჩილის სიტყვით, ქაიხოსროს "ო მ ა ი ნ ი ა ნ ი" უთქვამს ლექსად "შიგჩართვით" მართლაც, "ომანიანი" დაწერილია ნაწილობრივ ლექსად, ნაწილობრივ პროზაულად. პოემის პირველი ნაწილი, ომანისაგან ბურნე-მელიქის ცოლად შერთვის ამბავამდე, მცირეოდენი გამონაკლისით ლექსად არის გამოთქმული. შემდეგ მოდის პოემის პროზაული ნაწილი, ამ ნაწილში მხოლოდ თითოთორთა სალექსო სტროფია ჩართული. ქაიხოსროს უფრო ეხერხება პროზა, ვიდრე ლექსი. თუმცა პროზაული ნაწილის დასაწყისის წინ ის საგანგებოდ აცხადებს (422):

ლექსი დადგეს და სიტყვები აწ სხვაებრ გაგრძელდებისა,
ვიცი, ამბავთა^[5] ჩამოჭრა უმეცრად დამედებისა.

არჩილი დადებითად აფასებს "ომანიანის" მხატვრულ მხარეს: "კარგად რამ უთქვამს, მის გამო არა ვსთქვა მისი ზიანიო"-ამბობს ქაიხოსროს შესახებ. ნამდვილად კი ქაიხოსრო რუსთველას ეპიგონია. იგი უხეშად ბაძავს გენიალური პოემის ავტორს

თავისი პოემის შესაქმნელად ფირდოუსის ჰქონია სხვადასხვა წყარო. მისი ძირითადი წყარო კი ყოფილა მისსავე მშობლიურ ქალაქ ტუსში 960 წლისათვის უკვე ლიტერატურულად ახალ სპარსულ ენაზე პროზაულად დამუშავებული ტექსტი, რომელსაც ჩვეულებრივად ხოდაი-ნამეს, ან უფალთა წიგნს უწოდებენ, ფირდოუსის არსებითად ლექსად გაუწყვია ეს პროზაული "შაჰ-ნამე (ხოდაი-ნამე). ამის გარდა ფირდოუსის განკარგულებაში ყოფილა უდროოდ დაღუპული, მისი უმცროსი თანამედროვე პოეტის დაყიყის მიერ აბუ მანსურის (976- 997) კარზე გალექსილი ნაწილები „შაჰ-ნამესი“. ფირდოუსისვე სიტყვებით, მის "შაჰ-ნამეში". შეტანილია დაყიყის ათასი ბეითი (წყვილი ლექსი) გოსტაშაბის მეფობისა და ზოროასტრის გამოჩენის ამბებიდან^[2]. ძნელია იმის თქმა, რამდენად უცვლელად გამოიყენა ფირდოუსიმ დაყიყის ლექსები. ყოველ შემთხვევაში, უდავოა, რომ მან ამ ლექსებით ისარგებლა^[3] "შაჰ-ნამე" ვებერთელა ეპიური პოემაა, რომელიც დაახლოებით 60.000 წყვილი ლექსისაგან შედგება. აქ მოთხრობილია ერანელი ხალხების თავგადასავალი ზღაპრულ-მითიური ხანიდან (სამყაროსა და ადამიანის გაჩენიდან) ჩვენი წელთაღრიცხვის VII საკუნემდე, ერანში არაბ-მუსლიმანთა ბატონობის დამყარებამდე. "შაჰ-ნამეს». მოკლე შინაარსი ასეთია:

შესავალში მოთხრობილია გადმოცემანი ქვეყნისა და ადამიანის გაჩენაზე, ამას მოჰყვება ქებანი (წინასწარმეტყველისა, აბუ მანსურისა, მაჰმუდ ლაზნელისა) და ცნობები ისტორიულ ლიტერატურული ხასიათისა. საკუთრივ ეპოსი იწყება მეფეთა ამბების აღწერით. პირველი მითური მეფის სახელია ქაიუმორასი. მისი მემკვიდრეებია: უშანგი (ჰუმენგი), თაიმურაზი (ტოჰმურასი) და ჯიმშედი (ჯემშიდი). ჯიმშედმა დაიპყრო მთელი სამყარო, გამოიგონა ფუფუნების საგნები, გადიდკაცდა, გააპარტავნდა, ღმერთობა მოინდომა. ჯიმშედის დასასჯელად განგებამ მიავლინა მტარვალი არაბი ზაჰაქი (ზოჰაქი). ზაჰაქმა დაამარცხა ჯიმშედი, დაატყვევა ის და შუაზე გაახერხვინა. თვითონ ზაჰაქს ეშმაკის (იბლისის) მიჩენით მხრებზე ამოეზარდა გველეშაპები, რომლებიც ადამიანთა ტვინით იკვებებოდნენ. ზაჰაქის გველეშაპებმა იმსხვეაპლა ერანის მოსახლეობის დიდი ნაწილი. ბოლოს, მტარვალის წინააღმდეგ სახალხო აჯანყება მოაწყო მჰედეღმა ქავამ. აჯანყებულებმა დროშად ამართეს ქავას წინსაფარი-(ქავიანური დროშა), თავს დაესხნენ ზაჰაქს და დაამარცხეს. ქავას დახმარებით ერანში გამეფდა ნაციონალური დინასტიის ჩამომავალი ფრიდონი (ფერიდუნი), რომელიც მალულად იალბუზის მთებში იზრდებოდა. ზაჰაქი შეკრეს ბორკილით და თავდაღმა დაჰკიდეს დემავენდის მთებში. ფრიდონმა დაიმსახურა კეთილი, სამართლიანი და სჯულიერი მეფის სახელი. მოხუცებისას თავისი დიდი სამფლობელო გაუნაწილა შვილებს თურს, სალიმს და ირეჯს. უფროს შვილ თურს წილად ერგო თურანი(თურქების ქვეყნები): საშუალს, სალიმს-საბერძნეთი: უმცროსს, ირეჯს-საკუთრივ მამაპაპეული ტახტი, ერანი. უფროსი ძმები უკმაყოფილი, დარჩნენ ასეთი განაწილებით, მათ შური იძიეს ირეჯზე, იგი ვერაგულად მოკლა თურმა. ამ ნიადაგზე ატყდა დიდი შფოთი და სანგრძლივი ომი ერანსა და თურანს შუა. ამ ომებში ერანელებს ზურგს უმაგრებდნენ სისტანელი ფალავნები- ნარიმანი, ნარიმანის ძე საამი, საამის ძე ზაალი და ზაალის ძე როსტომი ირეჯის მემკვიდრე მანუჩარმა სისხლი იძია, სალიმ-თური სიცოცხლეს გამოასალმა. ამით დროებით შეწყდა ერან-თურანის ომი.

მანუჩარის დროს მოღვაწეობდა ბუმბერაზი საამი, რომელსაც მიეცა თეორთმიანი შვილი (ზაალი). საამმა ეს იუკადრისა და ბავშვი გადააგდო. ის იპოვა ზღაპრულმა ფრინველმა სიმურღმა, წაიყვანა და ბარტყებთან ერთად აღზარდა იალბუზის მთის მწვერვალზე. დავაჟაცებული ზაალი მამამ დაიბრუნა ღვთის განჩინების შედეგად. თეთრი თმა-წვერის მიუხედავად ზაალი ჩინებული ფალავანი დადგა. მან შეიყვარა ზაბულელი მთავრის მერაზის მშვენიერი ასული როდამი (რუდაბე) და ცოლად შეირთო. ზაალისა და როდამის შვილი იყო ერანის უდიდესი ფალავანი როსტომი

ერან-თურანის შუღლი განახლდა, როდესაც თურანში გამეფდა ვერაგი, მაგრამ მამაცი ფალავანი და გონიერი მმართველი აფრასიობი. აფრასიობს ეომებოდნენ ერანელი მეფეები - ნოვზერი, ზავი, ქაიყუბადი, ქექაოზი (ქაიქაუსი) და ქაიხოსროვი. ომების უმთავრეს ტვირთს ეწეოდნენ სისტანელი ბუმბერაზები. განსაკუთრებით საშიში იყო მძლეობა-მძლე და უძლეველი როსტომი. ბრძოლები უფრო და უფრო დამაბული ხდებოდა. ორივე მხარეს მოსდიოდა დიდი ზარალი. გასაჭირში მყოფ თურანელებს ეხმარებოდნენ გრძნეულები, ჯადოსნები, ავსულები, დევები, კაციჭამიები და მისთანები. ერანელები უმთავრესად ფალავნების ძალას ემყარებოდნენ და უფრო იცავდნენ ომების რაინდულ-ფალავნურ წესებს. ეპიზოდურად ჩართულია მამა-შვილის, როსტომისა და ზურაბის, ტრაგიკული ბრძოლის ისტორია. ზურაბი იყო როსტომის ერთი რომანული შემთხვევის ნაყოფი, თურანელი ქალის შვილი. როდესაც დავაჟკაცდა, მამის სამებნელად გაემგზავრა. როსტომი და ზურაბი ერთმანეთს არ იცნობდნენ. სამკვდრო-სასაცოცხლოდ შეებნენ. მამამ შვილი დაამარცხა და მოკლა. როსტომმა ბევრი იგლოვა ზურაბი. ის ერთხანს ჩამოშორდა სამხედრო მოღვაწეობას და თავის მამულში ჩაიკეტა. დარდის გასაქარვებლად როსტომმა იკისრა ქაიქაუსის ვაჟის სიაოშის აღზრდა. მაღალზნობიანი სიაოში ვერ შეეგუა ავნება, ჭირვეულ და უგნურ მამას, ქაიქაუს შაჰს. უზნეო დედინაცვალმა მას (ცილი დასწამა ვითომცდა მიჯნურული წადილის გამჟღავნებაში (ნამდვილად თვითონ დედინაცვალი აპირებდა სიაოშთან მრუშობას). სიაოშმა ჯერ თავი იმართლა, მერე დასტოვა მშობლიური ქვეყანა, მიენდო აფრასიობს, ცოლად შეირთო იმისი ქალი ფარანგოზი და თურანის ერთ შორეულ კუთხეში დაემკვიდრა. ბოროტი ენების დასმენის შედეგად აფრასიობმა გატეხა თავისი სიტყვა და სიძე ღალატით მოაკვლევინა. სიაოშის მკვლელობამ კიდევ უფრო გაამწვავა ერან-თურანის ურთიერთობა. როსტომის გულშემზარავმა ღრიალმა გადააყრუა სისტანის მიდამოები. გამწარებულმა, გოლიათმა დაიქაძნა, რომ აფრასიობს არ შეარჩენდა თავისი უკანასკნელი იმედის უდანაშაულოდ დაღვრილ სისხლს. ახალი ომის პაროლი გახდა "შურისძიება სიაოშისათვის"⁴¹.

სიაოშს დარჩა ერთადერთი შვილი ქაიხოსროვი, რომელიც აფრასიობის შიშით დედამ მთებში გახიზნა და იქ მეცხვარეთა შორის აღზარდა. უკვე დავაჟკაცებული უფლისწული დიდი ვაივაგლახით გამოიყვანა თურანიდან ერანელმა ფალავანმა გივიმ. ენერგიულმა და გონიერმა ქაიხოსრომ თვითონ იკისრა, მამის სისხლის ძიება. ხანგრძლივ და მძიმე ომში დამარცხდა თურანელთა მხარე, უკანასკნელ, გადამწყვეტ ბრძოლაში პირადად მონაწილეობდნენ აფრასიობი და ქაიხოსროვი. აფრასიობმა გაქცევით უშველა თავს. ის ეხიზნებოდა თავის სხვადასხვა სამფლობელოს. ბოლოს, ყველასაგან მიტოვებულმა თავი შეაფარა ერთ მიგდებულ საკანს. იქ იგი შეიპყრო მეუდაბნოემ და გაბაწრული მიჰგვარა ქაიხოსროვს. თურანელთა დამარცხებული მეფის ღვიძლმა შვილისშვილმა საკუთარი ხელით გამოსჭრა ყელი თავის დაუდეგარ პაპას.

აღნიშნული ბრძოლის ამბებში ეპიზოდურად ჩართულია გივის შვილის ბეჟანის და აფრასიობის ქალის მანიჟავის (მანიჟეს) რომანული თავგადასავალი. ეს ამბავი ცნობილია ბეჟანისა და მანიჟის სახელწოდებითაც.

აფრასიობის სიკვდილით თითქოს ერიგვარად ბოლო მოეღო ერან-თურანის მრავლსაუკუნოვან ომებს. ქაიხოსროვის წინადადებით ერანის ტახტზე აიყვანეს უშანგის ჩამომავალი ლუარსაზი (ლოჰრასპი). ოვითონ ქაიხოსროვი მისტიკურმა განწყობილებამ შეიპყრო. ჯერ სამლოცველოში ჩაიკეტა და შემდეგ უგზოუკვლოდ გაუჩინარდა. ლუარსაზს მემკვიდრეობდა გოსტაშაზი. ახალგაზრდობისას იგი საბერძნეთში "გაყარიბდა", შეიყვარა კეისრის ქალი ქეთევანი (ქეთაუნი). გოსტაშაზს ქეთევანისაგან ეყოლა როსტომის შემდეგ ერანის უდიდესი ფალავანი სპანდიარტი (ისფანდიერი), ზედწოდებით სპანდიარტვალი. ხანში შესული გოსტაშაზი მამაცურად ვეღარ უმკლავდებოდა მტრებს. ასეთ პირობებში ის მოხარკე გახდა თურანელთა მეფის არჯასპისა.

გოსტაშაზის მეფობაში გამოჩნდა ზარდაშტი (ზოროასტრი), რომელმაც თავი წინასწარმტყველად გამოაცხადა და ახალი სარწმუნოება (ცეცხლთაყვანისმცემლობა) იქადაგა. ერანელებმა გოსტაშაზის მეთაურობით მიიღეს ახალი რჯული. ზარდაშტმა მეფეს

ჩააგონა, რომ მისი მიმდევრები ვერ იქნებოდნენ თურანელთა მოხარკენი. არჯასპის წინააღმდეგ გოსტაშაბმა გაგზავნა სპანდიატი. სპანდიატმა დაიპყრო თურანი, ინდოეთი, იამანეთი, რუმი და სხვა ქვეყნები, ყველგან მაზდეანობა (ცეცხლთაყვანისმცემლობა) გაავრცელა. ტახტის შეცილების შიშის გამო გოსტაშაბმა დააპატიმრა და ციხეში შეამწყვდია შინ გამარჯვებით დაბრუნებული უფლისწული. ამის შემდეგ გოსტაშაბი სისტანში გაემგზავრა ზაალისა და როსტომის ახალ რჯულზე მოსაქცვად. გოსტაშაბის არყოფნით ისარგებლა არჯასპმა, დაეცა სატახტო ქალაქ ბალხს და ააოხრა, მოკლა ღრმად მოხუცებული ლუარსაბი და ტყვედ წაიყვანა მეფის ორი დაი. შემფოთებულმა გოსტაშაბმა სპანდიატი გაათავისუფლა და მას დააკისრა არჯასპის დასჯა. სპანდიატმა სრულყო შვიდი სამამაცო საქმე, მოკლა არჯასპი, გამოიხსნა დები, დიდი ნადავლით დაბრუნდა ბალხში და გამოითხოვა აღთქმული ტახტი. გოსტაშაბმა სიტყვა გატეხა, ახალი მუხანათობა მოიგონა, სპანდიატს, დაავალა უდანაშაულო როსტომის შეპყრობა და ბორკილგაყრილი მოყვანა. გოსტაშაბი დარწმუნებული იყო, რომ სპანდიატი ამ დავალებას ვერ შეასრულებდა და, მამასადაძმე, უმტკივნეულოდ ჩამოიშორებდა ტახტის მოცილეს. დააწყო ერანის შინააშლილობის ხანა. მიუხედავად დავალების სიმძიმისა, სპანდიატი წავიდა ბრძანების შესასრულებლად, მან თან წაიტანა თავისი შვილი ბაამანი (ბეჰმენი). სისტანის მიდამოებში ერთმანეთს შეეჯახა ორი უმაგალითო გოლიათი, ბებერი როსტომი და ახალგაზრდა სპანდიატი. ხანგრძლივ და მწვავე ბრძოლებში სპანდიატი დამარცხდა (როსტომს ახლაც, ისე როგორც ზურაბთან შებმის დროს, დახმარება გაუწია მისი მამის, ზაალის, აღმზრდელმა, გრძნეულმა სიმურდმა). მომაკვდავმა სპანდიატმა როსტომს ფლავნური სიტყვა ჩამოართვა, რომ ბაანს არას ავნებდა, პატრონობას გაუწევდა და აღზრდიდა. როსტომმა სიტყვა შეასრულა. გოსტაშაბის შემდეგ ერანში გამეფდა ბაამანი.

ამით სრულდება «შაჰ-ნამეს» მითური ნაწილი და იწყება საკუთრივ ისტორიული ამბები (თუმცა ისიც სავსეა ზღაპრულ-ფანტასტიკური ელემენტებით). ბაამანით ერთგვარი ხიდია გადებული «შაჰ-ნამეს» მითურსა და ისტორიულ ნაწილებს შორის. შემდეგ მოდის დარას (დარიოსის) მეფობა და ალექსანდრე მაკედონელი სხანა. უფრო ვრცლად და ისტორიულ სინამდვილესთან შედარებით უფრო მიახლოებული სისწორით არის აღწერილი სასანელ მეფეთა ამბები. დიდი ყურადღება აქვს პოემაში მიქცეული ბაჰრამ - გურის (420-438), ხოსროვანუშირვანისა (531-579) და ხოსროვ ფარვიზის (590-628) მეფობას. საკმაოდ დაწვრილებით აღწერილია მეამბოხე ბაჰრამ ჩუბინის თავგადასავალი. ვრცლადაა მოთხრობილი მაზდაკის მოღვაწეობის ამბავი. მაზდაკი გამოჩნდა კავადის დროს (488-531), მან იქადაგა ახალი სოციალური იდეები, მოითხოვდა წოდებრივი უთანასწორობის გაუქმებასა და კერძო საკუთრების მოსპობას.

პოემა სრულდება მოძალადე არაბ-მუსლიმანთა ურდოების შემოსევის აღწერით.

«შაჰ-ნამე» მონუმენტური ეპიკური ძეგლია. ფირდოუსიმ დიდი მხატვრის ძალით დაამუშავა ძველი ერანის ნაციონალური გადმოცემები და თქმულებები.

«შაჰ-ნამეში» აღწერილია ერთობლივი ირანელი ხალხების (სპარსელების, ტაჯიკების, ავღანელების) გადმოცემები მათ ისტორიულ წარსულზე. აღსანიშნავია, რომ «შაჰ-ნამე» დაწერილია წმინდა პურისტული, დახვეწილი ენით, ფირდოუსი გაურბის სპარსულ მწერლობაში ძლიერად შეჭრილი არაბული სიტყვებისა და გამოთქმების გამოყენებას. «შაჰ-ნამეს» მეტრიც («მუთაყარიბი») ეროვნულია, სპარსულ-ტაჯიკური.

ფირდოუსის მთელ უზარმაზარ თხზულებას აცხოველებს და აფეროვნებს მკაფიოდ გამოხატული ჰეროიკული სული, მაღალი საფალავნო ზნეობის იდეალები, პატრიოტული განწყობილება. მტრებისადმი მძულვარების გრძნობა. ფირდოუსის პოემაში მეტად დიდი ადგილი აქვს დათმობილი სისხლის ძიების ამბებისა და პირველყოფილი ტლანქი და უხეში ადათ-წესების აღწერას. ძლიერ შესამჩნევია ზღაპრულ-

ჯადოსნური ძალების მონაწილეობა ამბების მიმდინარეობაში: თვითონ ამბები ძალზე გაჭიანურებულია, ზოგჯერ მონოტონურია და ერთფეროვანი. მაგრამ თხზულების ეს ცალკეული ნაკლოვანი მხარეები წარმატებით არის გამოსყიდული იდეური შინაარსით, ავტორის ფაქიზი პოეტური .მგრძნობელობით, მგზნებარებით, პათოსით, ლექსების შინაგანი, აზრობრივი სისავსითა და გარეგნული გამომსახველობითი უზადობით.

მეფეთა აზრების აღწერასთან ერთად ფირდოუსის თავის პოემაში შეჰყავს ხალხი, მდაბიო, მშრომელი ხალხი. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა მქედელ ქავას ამბავი. ზააქის უზურპაციისა და ტირანიის წინააღმდეგ აჯანყება ითავა ხალხის ამ ღვიძლმა შვილმა. .მქედელ ქავას ხელმძღვანელობით ერანელებმა თავი დააღწიეს უცხოელი მტარვალის ბატონობას, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა მოიპოვეს და მშვიდობიანი ცხოვრება უზრუნველყვეს ერანი სისხლიანი ძალმომრეობისაგან იხსნა მქედელმა. ფირდოუსის სიმპათიით აქვს აღწვრილი მწყემსების,-მეცხვარეების ცხოვრება, რომლებმაც შეიხიზნეს, უპატრონეს და ჩინებულად აღზარდეს მითური ერანის უგონიერესი და უმამაცესი მეფე ქაიხოსრო. გასაოცარ შემწყნარებლობას იჩენს ფირდოუსი მაზდაკის რადიკალური სოცალური მოძღვრებისადმი. ფირდოუსი დაუზოგავად .ამხელდა არაბი აგრესორების მუხანათობას, ახარებდა თავისი ქვეყნის წარმატებანი, გულს უკლავდა მშობლიური ქვეყნის დაბეჩავება. პოეტი გმობდა შინააშლილობას, უმდეროდა ერთიან, ცენტრალიზებულ, ძლევამოსილ სამშობლოს.

"შაჰ-ნამეს" დიდი ნაწილის შინაარსს შეადგენს ერან-თურანის ომების ამბები. ავტორის სიმპათია გადაჭრით ერანელების მხარეზეა. მეტიც, "შაჰ-ნამედან" აშკარად გამოსჰვივის ანტითურანული (ანტითურქული) და ანტიარაბული (არსებითად ანტიმუსლიმანური) ნაციონალურ-პოლიტიკური ტენდენციები, სამაგიეროდ ფირდოუსი აიდეალებს სასანიდების დროინდელ ერანს, განსაკუთრებული აღტაცებით აღწერს ის ხოსროვ ანუშირვანის მეფობას, მოწიწებას იჩენს ზოროასტრიული (მაზდეანური) სარწმუნოების მიმართ. რასაკვირველია, "შაჰ-ნამეს" ასეთი ნაციონალურ-პოლიტიკური ტენდენციები ვერ აამებდა წარმომობით თურქსა და სარწმუნოებით მუსლიმან მაჰმუდ ღაზნელს. მაჰმუდის გულგრილობაც (თუ აშკარა მტრობა) ფირდოუსის მიმართ აღნიშნული გარემოებით უნდა აიხსნას. მაინც ფირდოუსი სრულიად არ გამოხატავს კაცთმოდულებისა და ხალხთმოდულების განწყობილებას. არც ერანელებისადმი იჩენს პოეტი ბრმა მიკერძოებას. ფირდოუსიმ ამხილა ერანელების ბევრი საძრახისი ზნეობითი მხარეები⁵¹ ფირდოუსიმ შექმნა უგნური, უმადური, ზნეობაწამხდარი, შურიანი ერანელი მეფის ქექაოზის (ქაიქაუსის) სახე. ქექაოზმა არ დაინდო ერანელთა ქვეყნის დიდება და მისი კეთილისმყოფელი ფალავანი როსტომი (შემწეობა არ გაუწია ზურაბის გადასარჩენად), მან არ დაინდო და გაწირა თავისი საკუთარი შვილი, მაღალი ზნეობის პატრონი ტახტის მემკვიდრე სიაოში. ფირდოუსიმ ამხილა გოსტაშაბის ავადმყოფური პატივმოყვარეობა და უფლებამოყვარეობა, რომელმაც იმსხვერპლა შესანიშნავი უფლისწული და ფალავანი სჰანდიატი. .დაბოლოს, ფირდოუსიმ ამხილა თვითონ როსტომის ხასიათის ზოგიერთი საჩოთირო მხარეც. როსტომის წინდაუხედაობისა და უზომო თავმოყვარეობის მსხვერპლი გახდა ზურაბი. როსტომმა რამდენადმე დაარღვია საფალავნო ზნეობის წესები ზურაბთან და სჰანდიატთან შებრძოლების დროს. თავნება და გონებაჩლუნგ ერანელ ქექაოზს ფირდოუსიმ დაუპირისპირა მუხანათი, მაგრამ ენერგიული, გონიერი. მამაცი და შეუპოვარი თურანელი შაჰი და სარდალი აფრასიობი. დიდი სიმპათიითაა

დახატული პოემაში აფრასიობის ძმის, ბრძენი და ჰუმანური ადრიქსისა და აფრასიობის ვაზირის ფირანის კეთილშობილური სახეები. უზადო ზნეობის პატრონი ზურაბი და ქაიხოსროვი დედით თურანელები იყვნენ. თვითონ როსტომის მარღვებშიც სჩქეფდა ზაბულელი დედის სისხლი (როსტომის პაპა დედით, მერაბი, იყო ზააქის ნათესავი). ფირდოუსი არ იყო ხალხთა გათიშვისა და მტრობის მომღერალი მართალია, მან აღწერა ხალხთა გაუთავებელი ომებისა, მტრობისა, და ხოცვა-ჟლეტის შემადრწუნებელი ამბები, მაგრამ მან აჩვენა ამ ამბების მთელი დამღუპველი მნიშვნელობა. ფირდოუსი ემიჯნება ამ ამბებს. მისი იდეალია ხალხთა კეთილშობილური თანამშრომლობა.

მეფეების და გაუთავებელი ომების მომაბეზრებელი ამბების ხვედრითი წონა "შაჰ-ნამეში" დიდია. ამ ერთფეროვნებას ფირდოუსი ერთგვარად ანელებს პოემის მიმზიდველი რომანული და დრამატული ეპიზოდებით ("ზაალი და რუდაბე" "ბეჟანი და მანიჟე" "როსტომი და ზურაბი", "სიაომის ამბავი და სხვ.). "შაჰ-ნამეს" აცხოველებს ლხინ-მეჯლისების, ნადირობის, ასპარეზობის, ბურთაობისა და მისთანათა სცენები. პოემაში ხშირია ლირიკული გადახვევანი, შეგონებანი, ანდერძები, ბრძნული სენტენცია-აფორიზმები და ა. შ.

"შაჰ-ნამე" აღმოსავლეთისა და დასავლეთის მრავალ ენაზეა გადათარგმნილი. ერთ-ერთი უძველესი და უსრულესი თარგმანი მოიპოვება ქართულ ენაზე. მიუხედავად უცხოური წარმოშობისა, ქართველ ფეოდალურ საზოგადოებას იტაცებდა „შაჰ-ნამეს“ ჰეროიკული სულისკვეთება. ძველით ასახული საყოფაცხოვრებო მხარე მკითხველ საზოგადოებას აგონებდა "ძველსა ზნეობასა და ზოგადსა ჩვეულებასა ძველთა ქართველთა" ამან განაპირობა "შაჰ-ნამეს". დიდი პოპულარობა ძველ საქართველოში. იგი ითვლებოდა საინტერესო საკითხავ. მიმზიდველ წიგნად და აღმზრდელობითი ხასიათის ნაწარმოებად. შემთხვევითი როდია, რომ ჩვენში იმთავითვე დამკვიდრებულა "შაჰ-ნამეს" პერსონაჟთა ისეთი სახელები, როგორცაა როსტომი, ზურაბი, მერაბი, გივი, გოდერძი. ბეჟანი, ზაალი, თეიმურაზი, უშანგი, ფრიდონი, მანუჩარი, ნოდარი, რევაზი, ქაიხოსრო, ლუარსაბი, აფრასიონი (აფრასიობი), როდამი, ქეთევანი და სხვ.

ჰეროიკულ-ფალავნური მოტივებით უფრო მდიდარია "შაჰ-ნამეს" პირველი, მითურ-გმირული ნაწილი. მხატვრულადაც ეს ნაწილი უფრო მაღალ დონეზეა. საყურადღებოა, რომ ქართულ ენაზე შემონახულია "შაჰ-ნამეს" სწორედ ეს საუკეთესო (პირველი) ნაწილი.

"შაჰ-ნამეს" ისტორიული ნაწილი შედარებით მოკლებული უნდა ყოფილიყო ქართველი მკითხველი საზოგადოების უშუალო ინტერესს .და, შესაძლებელია, ის საერთოდ არ ყოფილა ნათარგმნი. ყოველ შემთხვევაში, დანამდვილებით ვიცით, რომ ე. წ. აღორძინების ხანაში "შაჰ-ნამეს" ისტორიული ციკლის მოთხრობები ქართულად არ გადმოულიათ, .თუმცა მოწინავე ლიტერატურულ წრეებს კარგად სცოდნიათ ამ ციკლის არსებობა. "ომინიანის" ავტორი ქაიხოსრო გვიამბობს "შაჰ-ნამეს" თაობაზე: "ბევრია მეფეთ ამბავი, არ გათავდების მშობითა; ან უ შ ი რ ვ ა ნ ის ამბავი მასმია არ ა კ ო ბ ი თ ა"-ო. ანუ შირვანის ამბავი მოთხრობილია "შაჰ-ნამეს" ისტორიულ ნაწილში. ის ამბავი ქაიხოსროს სმენია არ ა კ ა დ, მაშასადამე, ქართულად არ ყოფილა ნათარგმნი.

ფირდოუსის "შაჰ-ნამეს" პერსონაჟები, ზოგჯერ ცალკეული ამბებიც, დამოწმებულია ქართული მწერლობის კლასიკური პერიოდის თითქმის ყველა ძეგლში ("აბდულმესიანში" "თამარიანში", "ვეფხისტყაოსანში", "ვისრამიანის" ქართულ რედაქციაში, თამარის ისტორიაში). ეს გარემოება საბუთს

გვამღევს ვიფიქროთ, რომ "შაჰ-ნამე" ქართულ ენაზე უნდა ყოფილიყო ნათარგმნი XI-XII საუკუნეებში. ამ საგულვებელ პირვანდელ თარგმანს ჩვენამდის არ მოუღწევია. ხელმეორედ დამუშავდა "შაჰ-ნამე" ქართულად XV-XVIII საუკუნეების მანძილზე. "შაჰ-ნამეს" ქართული ვერსიის ტექსტები ნაწილობრივ პროზაულია, ნაწილობრივ გალექსილია, ნაწილობრივ პროზაულიც და გალექსილიც. "შაჰ-ნამეს" ზოგიერთი ამბავი ფართოდაა გავრცელებული ქართულ ზეპირსიტყვიერებაში, განსაკუთრებით პოპულარულია ფოლკლორში "როსტომისა და ზურაბის" ამბავი და "ბეჟანიანი"^[6],

ქართველები "შაჰ-ნამეს." უწოდებდნენ "ულეველ წიგნს". ეს "ულეველი წიგნი" ერთბაშად არ ჩამოყალიბებულა. ქართულად მას ამუშავებდნენ სხვადასხვა დროს სხვადასხვა პირები. ამიტომაც სხვადასხვაგვარია "შაჰ-ნამეს" ქართული ვერსიების ლიტერატურული ღირსებანი. შინაარსობლივად ქართულ ენაზე დაუმუშავებიათ "შაჰ-ნამეს" ტექსტი დასაწყისიდან როსტომის გარდაცვალებამდე. როგორც უკვე აღვნიშნეთ, "შაჰ-ნამეს" ქართულ ვერსიებს ფართო მნიშვნელობით ეწოდება "როსტომიანი" ვიწრო მნიშვნელობით კი "როსტომიანი" მოიცავს როსტომის ამბებს. ესაა საკუთრივ "როსტომიანი" (ამბები ზაალის შობიდან როსტომის გარდაცვალებამდე).

ჩვენამდის მოღწეულია "შაჰ-ნამეს" ქართული პროზაული ვერსიის დეფექტური ფრაგმენტი-ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკის იოვანე ბატონიშვილისეული კოლექციის № 50 ხელნაწერის ტექსტი^[7] აქ ამბავი იწყება ზააქის ეპიზოდისა და მიყვანილია ზაალის შობამდის (ანუ საკუთრივ როსტომიანამდის).

ქართული პროზაული ფრაგმენტი წარმოადგენს ფირდოურის "შაჰ-ნამეს" სათანადო ტექსტის თარგმანს. თარგმანი დედანთან საერთოდ ახლოს დგას, თარგმანში დაცულია დედნის თხრობის თანმიმდევრობა ყოველ წვრილმანშიც კი, ზოგჯერ მიღწეულია ტექსტობრივი დამთხვევის მხრით სრული ზედმიწევნილობა, მაგრამ უმეტეს წილად მთარგმნელი მაინც თავისი სიტყვებით გამოხატავს დედნის შინაარსს, აქა-იქ ტექსტს რამდენადმე ამოკლებს, აქა-იქ ავრცობს კიდევაც, ზოგ რამეს ხაზს უსვამს, ზოგსაც ერთგვარად გვერდს უვლის. ქართულში მოიპოვება სპარსული დედნის ვულერსისეული გამოცემით უცნობი კარები ("აქა ომი ნარიმანის შვილის საამისა და ჯუნდა დევისა" "აქა ომი საამისა და შადიდისა", "აქა გორჯასპისა და ბაქჯარ დევისა ომი"). ცხადია, ქართულს ამ შემთხვევაში შემოუნახავს სპარსული გავრცობილი რედაქციების ვარიანტული ტექსტები.

"შაჰ-ნამეს" ქართული პროზაული ფრაგმენტის შემცველი ხელნაწერი ეკუთვნის XVII საუკუნეს. ტექსტი თავის დროზე გადაწერილი ჰქონია მამუკა მდივან თავაქალაშვილს XVII საუკუნის პირველ, ნახევრის მიწურულში. როგორც ქვემოთ დავინახავთ, მამუკას გაუღიქსავს კიდევაც ამ ტექსტის ერთი ნაწილი (ზააქის ამბავი). თავის წყაროს მამუკა უწოდებს "მველის-მველ" ამბავს. ირკვევა, რომ საანალიზო ტექსტს დასტყობია კვალი "შაჰ-ნამეს" იმ ვრცელი ვერსიისა, რომელიც XV-XVI საუკუნეთა მიჯნაზე შემუშავებულა^[8] ამის მიხედვით "ქართული პროზაული ტექსტის ჩამოყალიბება საფიქრებელი ხდება არა უადრეს XVI საუკუნის დასაწყისისა (სწორედ მაშინ ხდებოდა როსტომიანის ლექსად გაწყობა^[9]).

"შაჰ-ნამეს" ქართული ვერსიებიდან მთლიანად ლექსად მოიპოვება საკუთრივ როსტომიანი^[10]. მისი დიდი ნაწილი ლექსად არის გაწყობილი პროზაული ტექსტის მიხედვით. მაშასადამე, ჯერ ჩამოყალიბებულა "როსტომიანის" პროზაული თარგმანი და შემდეგ შედგომიან მის გალექსვას. ლექსის წყარო-ქართული პროზაული თარგმანი - ატარებს "შაჰ-ნამეს" XIV-XV საუკუნეების დროინდელ ჩანართობის ნიშნებს^[11].

„როსტომიანის“ პირველი პოეტი-გამლექსავი ყოფილა სერაპიონ სოგრატის ძე საბაშვილი (კედელაური). ერთგან ის საკმაოდ თავმომწონედ აცხადებს:

ამ როსტომთა გამლექსავი სოგრატის ძე საბაშვილი,
მხატვარია ხელოვანი, ლექს-ულევი, სიტყვა-ტკბილი;
მრევლთა თავი, ხევის-ბერი, ხელმწიფეთა თანა ზრდილი.
შენდობასა მიბრძანებდეთ, ვინცა ნახოთ ჩემგან ქმნილი^[12].

საბაშვილი კედელაურის გვარით მოხსენებულია „ომიანიანის“ შესავალში:

კედელაურმან თურქნი თქვა და როსტომ ზაულებლია,
ფეშანგ, ტომერან, სალიმ, თურ, - ხოსროვთან ვერ რომელია^[13]
ერანი და თურანელი ფარმანს ქვეშე მოიქცია.
მორჩილ-ქმნილმან ააშენა, ურჩმან სახლი დააქცია.

საბაშვილის სახელს სერაპიონს ვხვდებით „როსტომიანის“. ერთ ავტორისეულ ჩანართში (სტროფები 3599-3601) და ფეშანგის „მაჰნავაზიანში“ („როსტომ აქო სერაპიონ“.). 1474 წლის ერთი დოკუმენტით კი ცხადი გახდა საბაშვილის კედელაურობა. სერაპიონ საბაშვილი XV-XVI საუკუნეთა მიჯნის მოღვაწე ყოფილა, მრევლთა თავი, ხევის-ბერი, მეფე კონსტანტინესა (1478-1505) და ბაგრატ მუხრანბატონის თანამედროვე (ბაგრატმა მუხრანბატონობა მიიღო 1512 წელს), აღრიშნულის მიხედვით, როსტომიანის გალექსვა დაწყებულია მეფე კონსტანტინეს სიცოცხლეში (არა უგვიანეს 1505 წლისა) და გაგრძელებულია ბაგრატის მუხრანბატონობის დროს, ე. ი. „როსტომიანის“ საბაშვილისეული ტექსტი უნდა ჩამოყალიბებულიყო XVI საუკუნის პირველ მეოთხედში.^[14]

შესავალში საბაშვილი აცხადებს:

თავი ეს არის როსტომთა, ბოლომდი ლექსმრავალია,
ქაიხოსრომდი გავლექსო, ღვთით ვიტყვი, რა სავალია.
ნეტარ რა გიყო^[15] სპანდიატ, სოფელი წარმავალია!

საბაშვილის ზემოთ დამოწმებული ტექსტის („ამ როსტომთა გამლექსავი...“) მეორე ტაეპი იძლევა მნიშვრელოვან ვარიანტულ წაკითხვას: „ზალის შობით ლორასპამდის ლექსი მითქვამს სიტყვატკბილი“.

ამ ვარიანტის მიხედვით, საბაშვილს თითქოს გაუღლექსავს „როსტომიანის“. ამბები დასაწყისიდან ლორასპის მეფობამდის, ე. ი. ქაიხოსროვის ამბების ჩათვლით. ჩვენ ვამჯობინებთ პირველ წაკითხვას („ამ როსტომთა, გამლექსავი სოგრატის-ძე საბაშვილი მხატვარია ხელოვანი, ლექს-ულე-ვი სიტყვა ტკბილი“). ამათ ტექსტი უფრო გამართულია, მსჯელობა უფრო ლოგიკურია და თანმიმდევრული, კონტექსტთან ბუნებრივად შეხამებული. საბაშვილს „როსტომიანი“ უნდა გაეღლექსა არა ლორასპამდის. არამედ ქაიხოსრომდის. მას სცოდნია სპანდიატის (ისფანდიერის) ამბავიც, მაგრამ არ გაუღლექსავს, ნეტარ რა გიყოო, მიმართავს გმირს.

„როსტომიანის“ ბოლო ნაწილი გადმოუთარგმნია ხოსრო თურმანიძემ საბაშვილისაგან გარსხვავეებით ხოსროს ხელთ ჰქონია არა ქართული პროზაული ტექსტი არამედ სპარსული დედანი; უთარგმნია. თურმანიძის თაობაზე როსტომიანის ეპილოგში ნათქვამია:

კურთხეულმც არის უფალი, ყოვლის მპყრობელი, ზესია,
მე ხოსროვ თურმანიძე მანამბავი ვპოვე ესია,
უცხო, ტურფა და ლამაზი, სპარსულად იყო ესია,
პატრონმან ჩემმან მიბრძანა: ქართულად სწერე ესია
სპანდიერ-ბარზუს ამბავი აწ სრულად გაიგონების,
მტერი, ორგული ყოველი, მეფესამც დაეღონების;
ცხრაასსამოცდათორმეტსა ლექსს ხოსროვ მოეგონების
ვინც ნახოთ, ჩემსა ლოცვასა ნურავინ დაეღონების.
სხვაც ბევრი აკლდა ამ წიგნსა პირველად
თარგმანულთაგან,
პატრონი ჩემი სვიმიონ სვიანმცა არის სულთაგან:
მათსამცა ძეთა მიხვდების, რომე მოირჭონ მტერთაგან,
და ძმათა მათი წყალობა ნუ მოეშლების ხმელთაგან.

მოყვანილი ბიბლიოგრაფიული მოწმობით ცხადი ხდება, რომ ხოსრო თურმანიძეს დედნისათვის შეუდარებია როსტომიანის "პირველი თარგმნული" ტექსტი და აღმოუჩენია, რომ ქართულში სრულად არ იყო სპანდიერ-ბარზუს ამბავი, ამასთან მას სხვაც ბევრი ჰკლებია. თვითონ ხოსროს განუზრახავს სპანდიერ-ბარზუს ამბის სრულყოფა ("სპანდიერ-ბარზუს ამბავი აწ სრულად გაიგონების"). მართლაც, სპანდიატ-რვალის .მოკლე ამბავი მანამდეც ყოფილა ქართულ როსტომიანში (ესაა სტროფები 5175-5186). ხოსროს კი.-ეს ამბავი სრულად უთარგმნია. "შაჰ-ნამეს" ქართული ვერსიებიდან ამ მხრივ ხოსრო თურმანიძის კუთვნილებია სტროფები 5173-5174, 5187--5663. აქედან პირველი ორი სტროფი (5173-5174) პირვანდელ ტექსტშია ჩართული. სხვათა შორის. ხოსროს უცვლელად გაუმეორებია ძველი ტექსტის თითქმის ერთი მთელი ტაეპი (შდრ. 5173, 1 და 5175, 1 ტაეპები).

ამრიგად, სოსრო თურმანიძის თაარგმანი არსებითად იწყება ზარდაშტის (ზარატუსტრას, ანუ ზოროასტრის) გამოჩენიდან, ე. ი. ქართული "როსტომიანის" 5189 სტროფიდან (5187-5188 სტროფები ერთგვარ შესავალს წარმოადგენს, 5173-5174 სტროფები კი თავისებური ჩანართია) და გრძელდება ამ ტექსტის დასასრულამდის. ამის გარდა ხოსროს მთლიანად გადმოუღია ბარზუს ამბავი, ე. ი. სტროფები 3800-4176.

უეჭველია, რომ ხოსრო თურმანიძეს ხელთ ჰქონია "შაჰ-ნამეს" სპარსული დედნის ვრცელი, ჩანართების შემცველი დედანი ხელნაწერი. როგორც ცნობილია, XVI-XVII საუკუნეების თითქმის ყველა შაჰნამესეული ხელნაწერი სავსეა ინტერპოლაციებით.^[16] ხოსროს შეუნიშნავს ქართული ტექსტის დანაკლისი ვრცელი რედაქციის დედანთან შედარებით; ზოგიერთი „დანაკლისი“ ეპიზოდი მას ახლად უთარგმნია ქართულად. ასეთია ბარზუს ამბის გარდა "აქა ქაიხოსროსაგან ჯანის ხოიშანი და ხელმწიფედ დალოცვა" (სტროფები 4929-4946),

რომელიც შეტანილია "შაჰ-ნამეს" ვულერსის გამოცემაშიც (III, გვ. 1400 - 1404), თუმცა სწავლულ გამომცემელს ის ჩანართად მიაჩნია. ხოსროს თარგმანად უნდა იქნას მიჩნეული თეთრი სპილოს ამბავი (1838-1878) და ზოგიერთი სხვა :წვრილი ნაწყვეტი. ხოსრო თურმანიძის თარგმანად ვთვლით ჩვენ ქართული "როსტომიანის" შემდეგ ტექსტებს:

1. ზავარის ამბავი, 7 სტროფი (ვერსიები, I, გვ. 700-703, სქოლიო).
2. ზურაბის რომანი, 2 სტროფი (იქვე, გვ. 718, სქოლიო).

3. ზურაბის ბრძოლის ეპიზოდიდან 5 სტროფი (იქვე, გვ. 746-747, სქოლიო).
4. თეთრი სპილოს ამბავი, 41 სტროფი (1838-1878 სტროფები ძირითადი ტექსტისა).
5. ფარემუზის ეპიზოდი, 16 სტროფი (3538, 1 - 16 პარალელური ტექსტისა).
6. ჯანის ხოიშანი, 18 სტროფი (4929 - 4946).
7. ბარზუს ამბავი, 378 სტროფი (3800 - 4176).
8. სპანდიატის ამბავი, 479 სტროფი (5173 - 5174. 5187 -- 5663).

სულ შეიცავს 946 სტროფს. ხოსრო თავისთვის მიიწერს 972 სტროფს ("ლექს"). ამ 972 სტროფიდან ჩვენ ხოსროს უეჭველ კუთვნილებად მიგვაჩნია აღნიშნული 946 სტროფი. ეჭვს იწვევს ზაალის ამბის 15 სტროფი (ვერსიები. I, გვ. 318-321, სქოლიო). დანარჩენი ათიოდე სტროფი გაბნეული უნდა იყოს "როსტომიანის" "ულეველ": ტექსტებში. ამრიგად, ძირითადად მაინც აღდგენილია ხოსრო თურმანიძის ნაღვაწი. ხოსროს ჩანართებიდან ცალკე შევეხებით ზურაბის რომანული ამბის მომთხრობ ორ სტროფს (ვერსიები, I, გვ. 718). ამ ჩანართით ერთგვარი ხიდია გადებული ბარზუს ამბავთან, ახსნილია ბარზუს მოულოდნელი გაჩენის გარემოება (ბარზუ ყოფილა ზურაბის შვილი). სხვაგარ "როსტომიანში" ამის თაობაზე არაფერია ნათქვამი. ზურაბის რომანის ჩართვით ხოსრო თურმანიძეს გაუმართლებია ბარზუს ამბის თარგმნის საჭიროება. მხატვრული თვალსაზრისით ხოსრო თურმანიძის ნათარგმნი ტექსტები დაბალი ღირსებისაა, მისი ლექსი ბლაგვია და უსუსური.

"როსტომიანის" ტექსტები ხოსროს უთარგმნია თავისი პატრონის ს ვ ი მ ი ო ნ ი ს დ ა ვ ა ლ ე ბ ი თ. ეს ის სვიმიონია, სვიმონ მეფე, რომელიც ქართლს განაგებდა 1558-1599 წლებში^[17] მამასადაძემ, "როსტომიანის" ქართული ლექსითი რედაქციის შემუშავება დასრულებულა XVI საუკუნეში.

"როსტომიანის" დასაწყისი ნაწილი დაუმუშავებია სერაპიონ საბაშვილს. ბოლო კი ხოსრო თურმანიძეს. ჩვენი ვარაუდით, "როსტომიანის" გალექსვაში წილი უნდა ჰქონდეს მესამე, ჩვენთვის დღესდღეობით უცნობ მელექსეს, ამას გვაფიქრებინებს "როსტომიანის": ეპილოგის ბიბლიოგრაფიული ცნობა (და ტექსტის ვითარებაც). ეპილოგის საბაშვილისეულ ტექსტს მოჰყვება შემდეგი სტროფი (09):

ამა წიგნსა ულეველსა,- გრძელად უთქვამს კაცსა ბრძენსა,
 თ ა ვ ი - ბ ო ლ ო ნ ა კ ლ ე ბ ი ა ქ ვ ს, რაც რომ უთქვამს ენას ჩვენსა:
 ცოტა რამე მე ვარჩივე, -- საკითხავად მოგალხენსა,
 რაც აკლია, ვინც ათავოთ,-სამოთხე ხვდეს სულსა თქვენსა.

ეს შაირი არ შეიძლება, ეკუთვნოდეს საბაშვილს. ჯერ ერთი, ის არ არის საბაშვილისეული ჩანართის ბუნებრივ ადგილას (შდრ. სტროფები 3133-3135), საიდანაც ჩანართი ტექსტი გადაუტანიათ ეპილოგში. მეორეც, "როსტომიანის" დასაწყისად საბაშვილი თვლიდა მის მიერ გალექსილი ტექსტის დასაწყისს. "დასაწყისი როსტომიანთა: ამბავი მანუჩარ ხელმწიფისა და საამ ფალავნისა".-ეწოდება როსტომიანის პირველ კარს (შაჰ-ნამეს ქართული ვერსიები, I, გვ. 302), ხოლო პროლოგშიც ავტორი საგანგებოდ შენიშნავს: "თ ა ვ ი ე ს ა რ ი ს რ ო ს ტ ო მ თ ა, .ბოლომდი ლექსს-მრავალია" (1083). 09 სტროფის ავტორი კი აცხადებს: "თ ა ვ ი - ბ ო ლ ო ნ ა კ ლ ე ბ ი ა ქ ვ ს, რაც რომ უთქვამს ენას ჩვენსა" ო-მამასადაძემ, საბაშვილისაგან განსხვავებით მანუჩარის ამბავს ის არ თვლის "როსტომიანის" დასაწყისად ("თავად"). მესამეც, საბაშვილი თავმომწონე და მოქადული პირი ყოფილა. პროლოგშივე იგი ამაყად შენიშნავს (1083, 4):

"გამომიჩნდების ლექსზედა აწ ჩემი გულმახვილობაო", სხვაგან .თავის თავზე ამბობს (3133, 5): "მხატვარია ხელოვანი, ლექსულევი, სიტყვა-ტკბილიო" ხოლო ერთგან რუსთველსაც კი ეჯიბრება (3599, 4) "ნამღვევი ვარ რუსთველისა, თუ მეტი ქნა ჩემოდნობა». არა გვგონია, ასეთ მედიდურ პირს ეკუთვნოდეს მოკრძალებული სიტყვები "ცოტა რამე მე ვარჩივეო" საბაშვილი ცოტა რამეს კი არა, ძალიან ბევრსაც იჩემებს (სხვათა, შორის, სრულიად დამსახურებულად) და, როგორც ვთქვით, ტექსტის მოცულობის მხრივ რუსთველსაც არ იტოლებს.

მართლაც, ხოსროვის .მეფობის ბოლო ნაწილში (4590, 1) "როსტომიანის" რომელიდაც გამლექსავი გამოტეხილად ჩივის: "რაცა თურქთა დაემართა, მელექსემან ვერა ვსთქუა". ჩვენ უნდა დავადასტუროთ ამ ლექსის ავტორის გულწრფელი აღსარების სისწორე. მას მიახლოებითაც კი ვერ გადმოუცია შესაფერისი ტექსტის უბრალო შინაარსი, რომ არაფერი ვთქვათ გამომსახველობითს ფორმასა და გააზრების დეტალებზე.

"როსტომიანის" თურმანიძისეული ტექსტის უსუსურობაზე არჩილიც ლაპარაკობს:

როსტომიანი უთქვამსო თურმანიძესა ხოსროსა,
სხვა წიგნი მაშინ ძვირობდა, დაუწერია მას როსა,
დიდის საქმისა უცოდნი სჯერდება საქმეს მომცროსა,
ახლა ცუდად ძევს, მაგრამე მოიხმარების ზოგს დროსა.

საგულისხმოა, რომ არჩილი, ეტყობა, მთელ "როსტომიანს" მიაწერს ხოსრო თურმანიძეს (ყოველ შემთხვევაში ის არ ასახელებს სერაპიონ საბაშვილ-კედელაურს). არჩილის ეს შეცდომა იმით უნდა აიხსნას, რომ ხოსრო თურმანიძე იყო "როსტომიანის"ბოლო ნაწილის მთარგმნელი, ქართული "როსტომიანის" ფაქტობრივი დამამთავრებელი. თურმანიძისეული ტექსტის ნაკლს არჩილი საზოგადოდ მიაწერს მთელ "როსტომიანს". ნამდვილად კი "როსტომიანის" დიდი ნაწილი, დამუშავებული სერაპიონ საბაშვილის მიერ, ქართული პოეტური კულტურის დიდი განძია. სერაპიონ საბაშვილი ტყუილად როდი იქადიდა, "ამ როსტომთა გამლექსავი სოგრატის ძე საბაშვილი, მხატვარია ხელოვანი, ლექს-ულევი, სიტყვა-ტკბილი". საბაშვილი საუცხოოდ დაუფლებია რუსთველურ შაირს, ქართული ტექსტი მას დიდი მხატვრული გემოვნებითა და ნამდვილი პოეტური ოსტატობით დაუმუშავებია^[18] არსებითს ნაწილში საბაშვილის ტექსტი დედანთან ძალიან ახლოს დგას და არაიშვიათად მიღწეულია ზედმიწევნითი სიზუსტეც კი. თქმულის საილუსტრაციოდ აქ მოვიყვანთ ერთ დამახასიათებელ ნაწყვეტს როსტომის სათავგადასავლო ამბებიდან:

აქა როსტომის რაშის ბრძოლა ლომთან^[19]
მამას განშორდა ნიმრუზით გმირი და ფალავანი, ქვეყნის მნათობი.
ორი დღის სავალს ,ერთ დღეს ვიდოდა,
მას დღედ მიაჩნდა ღამე უკუნი,
რაშის ქაჩაჩიც გზას მითელავდა ნათლიერ დღესა თუ ღამესა ბნელს.
და როს სტომაქმა საზრდო ითხოვა (და სიმშლისგან მწარედ) აღბორგდა,
წინ გაეშალა მინდორი ერთი კანჯრებით სავსე.
რაშს უთავაზა მაგრად გავაზე,
კანჯრის სიცქაფე მის სიცქაფესთან მოსჩანდა მძიმედ,
ვერ-რა ნადირი გადურჩებოდა ცხენოსან როსტომს,

იმის მშვილდ-ისარს, მისი რაშის მუხლს.
საგდები სტყორცნა ქაიანური ლომმა (ჭაბუკმა),
(იქვე) მოდრიკა კანჯარი მკვირცხლი; .
ისრის წვერიდან ცეცხლი დააგზნო,
ზედ დააყარა ბარდი, კაჭაჭი, შეშა,
და როს (ნადირი) უღონოქმნილი სულთ განეშორა,
სწრაფად შებრაწა იგი კოცონზე.
(ხორცი) მიირთვა, ძვლებს გადუმახა;
ქვაბიც ეს იყო, ხონჩა და სუფრაც.
მერანს ახადა იმან ლაგამი (და) მწვანე მოლზე ძოვნად მიუშვა,
ლერწამ-ჩალაში შექმნა საწოლი,
შიშის „კარს (გმირი) სახავდა მყუდროდ...
იქ თურმე იყო რომის ხევნარი:
(თითონ) სპილოც კი ვერ გაბედავდა ლერ-ტოტის ხლებას.
და რა ამგვარად ხანი გავიდა,
ლომი "მფრეწელი» ბუნაგში გაჩნდა ძალგულოვანად,
ჩალაში მყოფი ჭაბუკი ნახა,
მასთან ტაიჭიც აღბორგეაული,-
“ჯერ საჭიროა რაშის წახდენა”, ამბობდა (გულში)
მხედარი ჭანგებს ვერსად წაუვა”.
ბრწყინვალე მერანს ქშენით მიჰმართა,
როგორც რომ ცეცხლი ისე აენტო იმავ დროს რაშიც,
ორივე ტორი ზევით ასწია და თავში დასცა მოვარდნილ (ნადირს),
მკვეთრი კბილებით კი ზურგში ეცა.

იმდენს აწყვეტდა იმას მიწაზე, რომ მთლად დაგლიჯა;
მხეცი ამ, გვარად გახდა უღონო...
რა გაელვიდა ჭანგ-მახვილ როსტომს,
იმ მფრეწელ ლომზე ვიწროდ ეჩვენა წუთისოფელი,
ასე უთხრა რაშს: “ეჰა, უგნურო, ვინ ჩაგაგონა ლომთან რკინება?!
რომ მომკვდარიყავ იმის წყალობით, ვით წავიღებდი მაზანდარაში
მე ამ აბჯარს და საომარ ჩაჩქანს,
საგდებელს, მშვილდსა, ხმალს და გურუს მძიმეს?
მე რომ ცკბილ ძილში ესე გამეგო,
ლომთან რკინება აგცილდებოდა”.
ეს სთქვა და ჭაბუკს საქვეყნოდ განთქმულს კვლავ ჩაემინა,
გამოისვენა ხანდაყოვნებით გმირმა მამაცმა.
მზემ რა ქუფრი მთით თავი ამოჰყო,
შეჭირვებული ტკაილ ძალს განშორდა,
დაასუფთავა მერანის ტანი, ზურგს უნაგირი (მარჯვედ) შეუდგა
(და) კეთილისმყოფელ გამჩენიერსაც მადლა შესწირა.

ქართულ ვერსიაში ამ ეპიზოდის შესაფარდია (2211 – 2218):

როსტომ ზაალს ესალამნა, გაემართა გზასა გრძელსა,
ორი ეჯი ერთად უჩნდის, იარების ღამე ბნელსა
რაშსა მჯდომი გაუწყვეტლად ღამე ყოველ, დღე ნათელსა.
მოემშია, მინდორს მიხვდა უწყლოსა და მეტად გრძელსა:

შეხედნა და სავსე იყო მუნ კანჯრითა ერთი ველი,
როსტომ რაში გააფიცხა, მას შესტყორცნა საგდებელი,
წასვლის ღონე არა ჰქონდა, დაიჭირა ფიცხლად მრთელი,
გარდახდა და ცეცხლისათვის ისრის პირსა მიჰყო ხელი.

გარდახდა, ისრის პირითა მუნ ცეცხლი დააკვესა მან,
კაჭაჭი რამე შეჰყარა, ვეასად იშოვა შეშა მან,
რაშსა წაჰყარა ლაგამი, შეწვა, შეჭამა ესა მან,
შიშისა კარსა მშვიდობით ხედვიდა, დაიძინა მან.

ლომი ერთი მას ჩალასა პატრონობდის, იყვის მო და,
პილო ერთსა ჩალასაცა ვერ მოსწყვეტდის, ეშინოდა;
ერთი ჟამი როსტომ ძილად მოისვენა, - მოყვიროდა^[20],
ზედ მიადგა მძინარესა, - “ცხენსა დავნაყ” – “ესე თქო და...

თქვა: “პირველ ცხენი დავნაყო”, “ლომი ბრჭობს სახელდებული,
კაცი ხელთა მყავს მას იქით, ძილად წევს უხმარ-დებული”.
რაშმან რა ნახა, მოუხდა საომრად აღუღებული,
თავს ბასრის ტოტი ჩამოკრა საკლავად გამეხებული.

დაიხვივლნა, შეეჭიდა, ზურგსა კბილით მოეკიდა,
ახეთქებდის მიწაზედან, მოიქნივის, მედგრად ჰკვრიდა,
ვირ უსულოდ არ გახადა, ამ წესითა იმას რჯიდა;
არ გაუშვა, სადანამდის ლომი შუა არ გაწყვიდა.

ადგა როსტომ, იკვირებდა ლომსა ზედან რაშის ქნასა,
გაუწკრა და აგრე უთხრა: “შენ არა ხარ, შმაგო ჰკვასა,
თუ მოეკალ, ბარგისტანსა მე მიზემდი, მითხარ, რასა?!
ვინ მზიდევდა შეკაზმულსა მაზანდარის ქვეყანასა?”

მზემან თავი რა ამოჰყო, მან საწუთრო დაამვენა,
როსტომ ადგა ძილისაგან, შეეკაზმა, მოისვენა;
რაშსა შესდგა უნაგირი, იტყვის: “ღმერთო, გესავ შენა!”
მერმე შეჯდა, გაემართა, მისთვის დაწყდა წყალთა დენა.

როგორც ვთქვით, დამოწმებული ნაწყვეტი ტიპიურია კარგი თარგმანის თვალსაზრისით. თუმცა, რასაკვირველია, საბაშვილისეული ტექსტის მთელ მანძილზე როდი გვაქვს მსგავსი სურათი. ზოგჯერ ქართული ტექსტი საკმაოდ არის დაშორებული ორიგინალს, აქა-იქ ეს დაშორება სიუჟეტური მოტივის შაირობაშია გადაზრდილი (მაგალითად, ასეთია ახლად დაბადებული ზაალის გადაგდების ეპიზოდი)^[21]. გაზვიადებულად და თავისებურად არის აღწერილი როდამისა და ზაალის სამიჯნურო ამბავი^[22]. მთლიანად რომ ავიღოთ, ქართული ტექსტი დედანთან შედარებით უფრო შემოკლებულ-შეკვეცალია (შეინიშნება ხარვეზებიც). საბაშვილი, როგორც წესი, თანმიმდევრულად მიჰყვება ფირდოუსს “შაჰ-ნამეს” ძირითად სიუჟეტურ ხაზს, ყურადღებას ამახვილებს უფრო სასიცოცხლო მოტივებზე - საგმირო-საფალავნო ამბებზე, ბრძოლებზე, ნადიმობასა და ნადირობაზე, სამიჯნურო-რომანტიკულ ეპიზოდებზე და ა. შ. საბაშვილი ნაკლებ ჩერდება მეორე

რიგის სასიუჟეტო მასალაზე, ასე ვთქვათ, სტატიკურ ელემენტებზე, რაც ძლიერ ჭარბადაა წარმოდგენილი ფირდოუსის პოემაში. ქართველი მთარგმნელი რამდენადმე თავს აღწევს დედნისეული ტექსტის გაჭიანურება-გაზვიადებასა და განმეორებებს. ქართული ვერსიას სუჟეტურად “ზედმეტ” მოტივებს ჩვენ არამც და არამც არ ვთვლით ქართველი მთარგმნელის თავისებურებად. მსგავს შემთხვევაში სავარაუდებელია ქართული ტექსტის დამოკიდებულება ორიგინალის ვარიანტული რედაქციიდან (ამ ვარაუდს ადასტურებს ბექდურ გამოცემებზე დაკვირვებაც. მაგალითად, ქართულის ზოგიერთ განსხვავებულ სიუჟეტურ მოტივს იცნობს “შაჰ-ნამეს” კალკუტური გამოცემის ტექსტი). ამასთან ისიც უეჭველია, რომ ქართველი მთარგმნელი თვითონაც იჩენს თავისუფლებას დედანთან დამოკიდებულებაში, რამდენადაც ჩვენს ხელთ არ არის საბაშვილისეული თარგმანის ქართული პროზაული ტექსტი, მნელია საბაშვილის წვლილის ზედმიწევნით განსაზღვრა, თუმცა ზოგი საგულისხმო ფაქტის დადგენა, ვფიქრობთ, ახლაც შესაძლებელი ხდება^[23]. დავიმოწმებთ რამდენიმე სანიმუშო მაგალითს:

ფირდოუსის “შაჰ-ნამეში” ერთგან აღწერილია გვალვის საშინელება (ვულერსი, I, 280, 21 - 23):

ასე მოხდა, რომ შეჭირვებამ დაისადგურა დედამიწაზე,
გადახმა მიწა და ბალახის ღერო,
ციდან არ მოვიდა ცვარი და ნამი,
პური მიჰქონდათ ოქროს ფასებში...
ამგვარი ყოფით ორი ლაშქარი^[24] სრული ხუთი თვე პირისპირ იდგა.

ქართული რედაქციით მისი შესატყვისია (1995 - 1996):

გვალვიდა და მზისა სიცხე პირსა ქვასა გაუპობდა,
ცვარი წვიმა არ მოვიდა, მოლ-ბალახსა არ ალბობდა;
ნაფზარ^[25] მოკვდა, მას უკანით მათ^[26] შიმშილი დაამხოდა,
ღვინო ველარ იშოვნიან, პური ძვირობს, უპურობდა.

დიდი სიცხე და სიმშილი ყველასა მისჭირებოდა,
ხესა ხრევდიან ცხენები, კბილები გარდასცვდებოდა,
ცხენისა ხორცი ვერცხლთანა წონად არ იშოვებოდა.
სალს კლდესა ჰგვანდეს, ექვს თვესა ძვრა ყოლე არ ეტყვებოდა,

მოყვანილი ნაწყვეტების შეპირისპირება ცხადყოფს ქართული ვარიანტის მნიშვნელოვან თავისებურებას. სპარსულის მიხედვით, დიდმა გვალვამ შეაჭირვა მოლაშქრეები, ქართულით კი - პირუტყვებიც, კერძოდ, ბრძოლის ველზე ადამიანის უახლოესი თანაშემწე - ცხენები. ქართულში საუცხოოადაა გადმოცემული ცხენების გაშმაგება შიმშილისაგან “ხესა ხრევდიან ცხენები, კბილები გარდასცვდებოდა”. თვითონ გვალვას, დედნის მიხედვით, გადაუხმია მიწა და ბალახის ღერო; ქართულით, გვალვის საშინელება დაეტყო არა მარტო მოლ-ბალახს, არამედ ქვებს (“მზისა სიცხე პირსა ქვასა გაუპობდა”). სპარსულში ლაპიდარულად მინიშნებულია, რომ ხანგრძლივ გვალვასა და მოუსავლიანობას უნდა გამოეწვია შიმშილობა “პური მიჰქონდათ ოქროს ფასებში”. ქართულით გაშიფრულია შეჭირვების ორმაგი სახე, აუტანელი სიცხის ჩამოწოლა და შიმშილი (“დიდი. სიცხე და სიმშილი ყველასა მისჭირებოდა”). ძალიან თავისებურადაა ქართულში გამოხატული შიმშილის ამბავი.

დედნის შესაბამისად ქართული ვარიანტი ხაზს უსვამს პურის სიძვირეს (“პური ძვირობს”) და იქვე მიუთითებს მიზეზზე, “უპურობდაო”; დედნისაგან განსხვავებით ქართული არ ივიწყებს შიმშილის სხვა მხარეს, მართო პურის სიძვირე არ მიაჩნია მას შიმშილიანობის დამახასიათებელ გარემოებად: უპურობასთან ერთად ჯარს აწუხებდა ხორცის უქონლობაცო (“ცხენისა ხორცი ვერცხლთანა წონად არ იშოვებოდა”). რაც მთავარია, შიმშილობის გამოხატულებად უპურობასთან ერთად ქართულ რედაქციას უღვინობა მიაჩნია (“ღვინო ველარ იშოვნინანო”). ქართველი პოეტის წარმოდგენაში პური და ღვინო “პურობის” განუყოფელი ნაწილია. დასასრულ, დედანი მხოლოდ ზოგადად შენიშნავს: “ა მ გ ვ ა რ ი ყ ო ფ ი თ ო რ ი ლაშქარი სრული ხუთი თვე პირისპირ იდგა” უმოქმედოდო. ქართული ვარიანტი კი უძრავ სალ კლდეს ადარებს მეომართა ბანაკებს (ოდნავი სხვაობაა თვეთა რაოდენობის განსაზღვრაში): “სალს კლდესა ჰგვანდეს, ექვს თვესა ძვრა ყოლე არ ეტყვებოდა”.

ამრიგად, ქართველი ავტორ-მთარგმნელი დედნის ტექსტს ნაწილობრივ შინაარსობლივადაც ასხვავებებს. ქართველი ავტორ-მთარგმნელი ტექსტს აფართოვებს და ამდიდრებს ახალა შინაარსობლივ-აზრობრივი მასალით. ქართული ტექსტი შეემოქმედებთი თარგმანის ნაყოფია.

ქართულ ტექსტში ჩვეულებრივად უფრო გაძლიერებულია ზოგიერთი ეპიზოდის დრამატიზმი. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ზურაბის ამბავი. ქართული ვერსიის ავტორს თითქოს არ აკმაყოფილებს ამ ამბის ძლიერი დრამატიზმი; ის მნიშვნელოვნად ართულებს და ამძაფრებს ისედაც მწვავე სიტუაციას^[27].

ქართული რედაქცია ზოგჯერ ოდნავ ამოკლებს ან კვეცავს დედნის ტექსტს, მაგრამ იცავს მხატვრულ ზომიერებას, არ აზიანებს დედნის აზრობრივ-შინაარსობლივ მხარეს. პირიქით, ლაპიდარობით მეტ გამოკვეთილობასა და შნოს აძლევს მას. მაგალითად, მძლეთა მძლე როსტომის შესახებ სპარსულში ერთგან ნათქვამია: (ვულერსი, I, 346, 483 - 484):

როსტომ თქვა: ჩემი სახელი არის ღრუბელი,
ღრუბელი რომ უზაბარის ჭანგში ემწყვდევა,
შუბსა და ხმალსა წვიმად მოუშვებს.

ქართული “როსტომიანი”: (2272, 1 - 2):

როსტომ თქვა: ჩემი სახელი ღრუბელთა ზედა სწერია,
ხრმალსა და ლახტსა მძიმესა წვიმს რისხვა მონაბერია.

დავიმოწმებთ ერთ შესანიშნავ პოეტურ ფრაზას ზაალისა და როდამის ეპიზოდიდან. როდამის მამამ მერაბმა ნადიმი გადაიხადა (1467, 4):

მერაბ ნადიმი დაიდვა, დაითრო, დაღვინიანდა.

აქ ყურადღებას იპყრობს ალიტერაცია, მშვენიერი მხატვრული პარალელიზმი (დაითრო, დაღვინიანდა), გამოთქმის სპეციფიკური ქართული ფორმა “დაღვინიანდა”.

“როსტომიანის” ქართული რედაქციის ძირითადი ნაწილის ავტორს მართლაც ჰქონია უფლება სიამაყით განეცხადებინა:

ამ როსტომთა გამლექსავი, სოგრატის ძე საბაშვილი,

მხატვარია ხელოვანი, ლექს-უღევი, სიტყვა-ტკბილი.

როგორც ვიცით, ფირდოუსი აიდეალებს ძველ ერანსა და მის მაზდეანურ სარწმუნოებას. ქართულში დაშვებულია საოცარი ანაქრონიზმი. კეთილი ძალის გამომხატველი ერანელები აქ გამოცხადებული არიან ქრისტიანებად.

ფირდოუსის “შაჰ-ნამეს” ქართული პროზაული ვერსიის საფუძველზეა გალექსილ და ცალკე ამბად გამოყოფილი “ზააქიანი” (შაჰ-ნამეს ვრცელი ვერსიები, I, 1 - 103). მისი გამლექსავია მამუკა მდივანი თავაქალაშვილი, იმერეთის მეფის მდივანი. იგი ტყვედ ჩავარდნია ლევან დადიანს (1611 - 1657). ლევანის კარზე 1646 წელს მამუკას გადაუწერია “ვეფხისტყაოსნის” დღესდღეობით ცნობილ ხელნაწერთა შორის უძველესი თარიღიანი. მომდევნო 1647 წელს იქვე გადაუნუსხავს მას “შაჰ-ნამეს” ციკლის ვრცელი პროზაული მოთხრობა, ე. წ. “უთრუთიან-საამიანი”.^[28] ყველაფრიდან ჩანს, რომ მას იქვე გადაუწერია აგრეთვე “შაჰ-ნამეს” თარგმანის პროზაული ტექსტი. ყოველ შემთხვევაში, ეს ტექსტი ლექსად შეუწყვია (“ოდიშს ტყვედ ვიყავ, გავლექსეო”, - ამბობს “ზააქიანის” შესავალში და ქებათა-ქებას უძღვნის ლევან დადიანს, რომლის ბრძანებითაც სრულუყვია “ამბავნი ზააქისანი”). მამუკას ნაწილობრივ გამოუყენებია პროზაული “უთრუთიან-საამიანიც” მამუკას ზუსტად დაუცავს თავისი წყაროს სიუჟეტურ-შინაარსობლივი მხარის ყოველი წვრილმანი, ოღონდ, საერთოდ, ტექსტი მეტისმეტად შეუმოკლებია. მას თითქოს, საგანგებოდ ჰქონია დავალებული “მოკლედ ამბისა თქმისანი”.

სპარსულ-ტაჯიკურ მწერლობაში ადრიდანვე იქმნებოდა “შაჰ-ნაპეს” წაბამვა-გაგრძელებათა ციკლები. ზოგიერთ პოეტს დაუწერია ფირდოუსის თხზულების პარალელურა პოემა, ზოგსაც საგანგებოდ და ვრცლად დაუმუშავებია “შაჰ-ნამეს” ესა თუ ის ეპიზოდი, ზოგსაც “შაჰ-ნამეს” ყაიდაზე შეუთხზავს ახალი ამბები, ახალი პერსონაჟებით. “შაჰ-ნამეს” გაგრძელებანი ცალკე, დამოუკიდებლადაც ვრცელდებოდა, ხშირად გაგრძელებანი შეჰქონდათ თვით ფირდოუსის ტექსტში (თუ, რა თქმა უნდა, ისინი ლექსად იყო შეწყობილი. ზოგიერთი ავტორი პროზაულად წერდა). ასე ჩამოყალიბდა “შაჰ-ნამეს” ინტერპოლირებული ვრცელი ხელნაწერი რედაქციები. XV – XVI საუკუნეებში ჩვეულებრივი და ტიპიურია სწორედ ასეთი ვრცელი რედაქციული ტექსტები “შაჰ-ნამესი”^[29].

ქართულ ენაზე მოიპოვება ”შაჰ-ნამესა ციკლის არა ერთი და ორი თხზულება ნაწილობრივ პროზით, ნაწილობრივ ლექსად, ნაწილობრივ პროზითაც და ლექსითაც. განსაკუთრებით აღსანიშნავია “შაჰ-ნამეს” ციკლის პროზაული ვერსია, სადაც მოთხრობილია უფრო გავრცელებული და უფრო გაზღაპრებული სახით “შაჰ-ნამეს” ამბები პოემის დასაწყისიდან ზაალის გამოჩენამდის. აქ სამოქმედო ასპარეზზე გამოყვანილია “შაჰ-ნამეთი” უცნობი ბევრი ახალი პერსონაჟი ფალავანთა წრიდან. მათ შორის გამოირჩევა როსტომის დიდი წინაპარი, სახელოვანი ფალავანი უთრუთი. თხზულებისათვის უთრუთისა და საამის განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო მას ჩვეულებრივ უწოდებენ უთრუთიან-საამიანს^[30]. XVII საუკუნეს პირველ ნახევარში უთრუთიან-საამიანი გაულექსავს ბარძიმ ვაჩნაძეს^[31] (ბარძიმიც მამუკა მდივანთან ერთად ტყვედ იმყოფებოდა ლევან დადიანის კარზე, იქვეა ტექსტი გალექსილი). გალექსილი უთრუთიან-საამიანი გავრცელდა საამიანის სახელწოდებით^[32] (არჩილის მოწმობითაც “ბარძიმ ვაჩნაძემ გალექსა საამის წიგნი ოდიშსა”), თუმცა ნამდვილი სპარსული საამიანის (საამ-ნამეს) შესატყვისია ქართული “ფერიდუნ და ზოაქის წიგნი”, რომელიც XVIII საუკუნეში გადმოუთარგმნიათ პროზად^[33]. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უთრუთიან-საამიანის

ტექსტით ნაწილობრივ უსარგებლია მამუკა თავაქალაშვილს “ზააქიანის” დამუშავების დროს. პროფ. კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე მ შენიშნა, რომ ბარძიმ ვაჩნაძე, საერთოდ, სიტყვა-სიტყვით მისდევს უთრუთიან-საამიანის პროზაულ ტექსტს, ოღონდ მას შორდება ორ სიუჟეტურ დეტალში. ამ შემთხვევაში ბარძიმ ვაჩნაძეს გამოუყენებია “შაჰ-ნამეს” ქართული პროზაული თარგმანი^[34]. ასევე იქცეოდა მამუკა მდივანიც. მისი ძირითადი წყარო იყო “შაჰ-ნამეს” ქართული პროზაული თარგმანის ტექსტი, მაგრამ ზოგი რამ უთრუთიან-საამიანიდანაც აუღია. ეტყობა, მამუკა თავაქალაშვილი და ბარძიმ ვაჩნაძე ერთდროულად და შეთანხმებულად მუშაობდნენ “შაჰ-ნამეს” ციკლის ტექსტების გალექსვაზე, წყაროებიც საერთო ჰქონიათ, თუმცა სახელმძღვანელოდ სხვადასხვა ვერსია აურჩევიათ^[35]. პოეტური ხელოვნებით ბარძიმ ვაჩნაძის ტექსტი უფრო გამოირჩევა, ვიდრე მამუკა მდივანის ნაწარმოები, ამიტომაც თითქოს გაუგებარია არჩილის შენიშვნა ბარძიმ ვაჩნაძის გამო:

სხვას მელექსესთან ჯდომაში უხამს იხდიდეს ბოდიშსა!
თუ არ შეეძლო, რასთვის თქვა, რად შეიქმს საამბოდ იშსა?

არჩილი არც საამიანის (უთრუთიან-საამიანის) პროზაული ვერსიით ყოფილა აღტაცებული. ის ერთგან საყვედურით ამბობს (ასდაათნი, 58):

ოდეს ყრმა ვიყავ, მიკითხავს ამბავ იმე საამისო,
უმჯობეს არვინ მსწავლიდა, მეგონა რამ საამისო.

პროზაული უთრუთიან-საამიანი უნდა იყოს ნათარგმნი XVI საუკუნეში. დაახლოებით ამავე დროს ეკუთვნის პროზაული ბაამანიანი, სადაც მოთხრობილია ბაამანის (ისფანდიერის, ანუ სპანდიატის ძის) ვრცელი სათავგადასავლო ამბავი (შურისძიება მამის გამო). სპარსულ ენაზე ცნობილია “შაჰ-ნამეს” წაბადვით დაწერილი უზარმაზარი პოემა ბარზუ-ნამე (ბარზუ ეწოდება ზურაბის შვილს). ამ პოემის ტექსტი ხშირად შეჰქონდათ (ზოგჯერ შემოკლებულად) ფირდოუსის “შაჰ-ნამეში”. “შაჰ-ნამეს” ერთ-ერთი ვრცელი, ჩანართებიანი ტექსტიდან ბარზუს ამბავი ქართულად უთარგმნია და “როსტომიანში” შეუტანია ხოსრო თურმანიძეს. როგორც თურმანიძის ნათარგმნი სხვა ტექსტებიც, ბარზუს ამბავიც დამუშავებულია ძალიან მდარე ლექსით.

“როსტომიანს” საპატიო ადგილი დაუკავებია ქართულ მწერლობაში, “როსტომიანის”: მასალებით განსაკუთრებით ფართოდ სარგებლობდნენ ზღაპრული ხასიათის საგმირო-საფალავნო ამბავთა კომპილაციური კრებულების ავტორები (მაგალითად, “როსტომიანს” დიდი ზემოქმედება მოუხდენია “რუსუდანთანზე”^[36]). “როსტომიანის” კვალი აღბეჭდილია ვანის ქვაბთა მონასტრის წარწერათა პოეზიაზეც^[37].

“როსტომიანის” ტექსტები ქართულად გამოცემულია ორ დიდ ტომად: 1. “შაჰ-ნამეს”, ანუ მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები, I, იუსტინე აბულაძის რედაქციით, თბილისი, 1956; “შაჰ-ნამე” ქართული ვერსიები, II, იუსტ. აბულაძის, ალ. ბარამიძის, პ. ინგოროყვას, კ. კეკელიძისა და ა. შანიძის რედაქციით. თბილისი, 1934. პირველ ტომში შესულია მამუკა მდივანის ზ ა ა ქ ი ა ნ ი, ბარძიმ ვაჩნაძის ს ა ა მ ი ა ნ ი ს მეორე ნაწილი (საკუთრივ საამის ამბები) და რ ო ს ტ ო მ ი ა ნ ი. მეორე ტომში გრძელდება როსტომიანი. აქვეა დაბეჭდილი „შაჰ-ნამეს” ქართული პროზაული თარგმანის ფრაგმენტი. “შაჰ-ნამეს” ციკლის სხვა ტექსტები ჯერ გამოქვეყნებულ არ არის.

- [1] Фирдоуси, Шахнаме Том первый Издание подгатовили Ц Б Бану, А Лахути, А А Стариков М. ,1957, გვ 494; ფირდოუსის ცხოვრება-მოღვაწეობისა და ”შაჰ-ნამეს” მიმოხილვა იხ შრომებში Е Э Бертельс, Абу-Л Касим Фирдоуси и его творчество, Ленинград, 1935; მისივე История персидско- таджикской литературы, Москва, 1960, გვ 169- 238; ალ ბარამიძე , ფირდოუსი და მისი შაჰ- ნამე, 1934
- [2] “ შაჰ- ნამე” სპარსულ ენაზე, ვულერსის გამოცემა, ტ I, გვ 8-9; ტ III, გვ 1495- 1496
- [3] თ ნოელდეკე, Das iranische Nationalepos (Grnhriiss der iranischen PhilologieII, გვ 148); ა სტარიკოვი, შაჰ- ნამეს რუსული თარგმანისადმი დართული ნარკვევი, გვ, 488- 489; ალ ბარამიძე, ფირდოუსი და მისი შაჰ-ნამე, ტბილისი, 1934, გვ 12- 13
- [4] ნოელდეკეს სიტყვებია
- [5] Е Б е р т е л ь с, Абдул –Л –Касим Фирдоуси и его творчество, лენინგრადი, 1935, გვ 55
- [6] რაც შეეხება აჯეჰაკის (ზააქის) ამბავს, ის შეთხზული უნდა იყოს მწერალი ქალის ო ლ ღ ა ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი ს (ფსევდონიმით გულბათი) მიერ და მას საერთო არა აქვს რა ქართულ ფოლკლორთან (შდრ ს ყ უ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი, ლიტერატურული და ხალხური ზააქიანი, სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე , ტ XIV № 6 1953, გვ 377- 382)
- [7] ტექსტი ბეჭდურად გადმოცემულია ა ლ ბ ა რ ა მ ი ძ ი ს მიერ (“შაჰ- ნამეს” ქართული ვერსიები, II 1934, გვ 369- 445
- [8] დ კ ო ბ ა ხ ი ძ ე, “ შაჰ- ნამეს” ქართული ვერსიების სპარსული წყაროები, თბილისი 1959, გვ 137
- [9] “ შაჰ-ნამეს” ქართული პროზაული ვერსიის შესახებ იხ ა ლ ბ ა რ ა მ ი ძ ე, “ შაჰ- ნამეს” ახლად აღმოჩენილი ქართული პროზაული ვერსია (ლიტერატურული მემკვიდრეობა”I, 1935, გვ 196- 207; მისივე, ნარკვევები, II, გვ 35-51)
- [10] გამოცემულია ორ ტომად- პირველი ტომი 1916 წელს, მეორე ტომი დაიბეჭდა ფირდოუსის დაბადების 1000 წლისთავზე, 1934 წელს
- [11] დ კ ო ბ ა ხ ი ძ ე, დასახ შრომა, გვ 137- 138
- [12] დედანშია: თქმული
- [13] ოღონდ “ ომანიანი” კედელაურს (საბაშვილს) მიეწერება გარდა საკუთრივ როსტომის ამბებისა, მისი ამბებიც (ვეშანგის, თაიმურაზის ანუ ტომერანის და ფრიდონის. ს ა ლ ი მ თ უ რ ი ს -ამბები), რაც გაუგებრობის შედეგი უნდა იყოს
- [14] ა ლ ბ ა რ ა მ ი ძ ე, ნარკვევები, II, გვ 70- 74; კ კეკელიძე, II, გვ 325-333
- საგულისხმოა, რომ როსტომიანის ზემოქმედების შედეგად ქართულში შემოტანილი სახელები (მაგალითად, ქეთაონ) გვხვდება 1500- 1515 წლების წყაროებში (ქ შ ა რ ა შ ი ძ ე , საქართველოს ისტორიის მასალები, “მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის”, 1954, გვ 205- 216)
- [15] გამოცემაშია:რა გვიყო
- [16] Рукописи Шах- наме в Ленинградских собраниях, Ленинград, 1934.
- [17] კ კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია II, 1958, გვ 335- 336; ა ლ ბ ა რ ა მ ი ძ ე , ნარკვევები, II, გვ 75- 78; მ ი ს ი ვ ე, რუსუდანთანის გამოცემების გამო, ” მნათობი”, 1958, № 6, გვ 167.

[18] საბაშვილი განიცდის რუსთველის დიდ გავლენას ზოგჯერ რუსთველური ლექსის აშკარა რემინისცენციები ისე ნიშანდობლივია “ როსტომიანში”, რომ დედან- ტექსტის საკრიტიკოდაც კი გამოდგება (ალ ბარამიძე, შოთა რუსთაველი, თბილისი , 1958, გვ 384)

[19] ველერსი, I, 335- 336

[20] ლომი

[21] ალ . ბ ა რ ა მ ი ძ ე, ნარკვევები, II, გვ. 55 - 56.

[22] იქვე გვ. 53 - 55.

[23] ჩვენ თაუსაბუთებლად მიგვაჩნა პროფ. დ. კობიძის მოსაზრება, თითქოს ქართული პროზაული ტექსტის გარდა ზოგიერთ შემთხვევაში სერაპიონ საბაშვილი პირდაპირ სპარსულ დედანსაც იყენებდა (შაჰ-ნამეს ქართული ვერსიების სპარსული წყაროები, თბილისი, 1959, გვ. 135)

[24] ე. ი. ერანელთა და თურანელთა ლაშქარი.

[25] ერანელთა მეფე.

[26] ე. ი. ერანელებს.

[27] ალ . ბ ა რ ა მ ი ძ ე, ნარკვევები,II, გვ. 56 – 58; იური მარიც შენიშნავს:

«Справедливость требует отметить, ... что некоторые драматические моменты в поэм у грузинского переводчика переведены сбольшей и образностью, чем она представлена в самом шахнаме» (статьи и сообщения, М. – Л.,1939, გვ. 93).

[28] ალ . ბ ა რ ა მ ი ძ ე, შენიშვნები შაჰ-ნამეს ქართული ვერსიების შესახებ (საქართველოს არქივი.III, 1927, გვ. 89---93): მისივე, ნარკვევები, II, 45 - 49.

[29] Л. Т. Г у з а л ь я н и М. М. Д ь я к о н о в, Рукописи Шах-Намэ в Ленинградских собраниях, Ленинград,1934.

[30] საგულისხმოა, რომ უთრუთს “შაჰ-ნამეს- პერსონაჟთა წრეში საამის, ზაალის, სალიმის, თურისა და როსტომის გვერდით იხსენიებს “აბდულმესიანი” (15,3 - 4). პროფ. დ. კობიძის მოსაზრებით, უთრუთიან-საამიანი არის “შაჰ-ნამეს ერთ-ერთი ვერსია და არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ფირდოუსის მიმბაძველის ან გამგრძელებლის თხზულებად ჩაითვალოს” (დასახ. ნაშრომი, გვ.252). მეტიც, მკვლევარის სიტყვით, “ვინ იცის, შესაძლებელია, აღნიშნული თხზულების სახით ქართულ ლიტერატურაში შემონახული გვექონდეს ფირდოუსის პოემაზე ადრე შემუშავებული “შაჰ-ნამეს” რომელიმე ვერსია, რომელიც თავის დროზე, ცხადია, ფირდოუსის ერთ-ერთ წყაროთაგანს წარმოადგენდა” (იქვე, გვ. 253).

[31] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1958, გვ. 339 - 342.

[32] გადმოცემულია იუსტ. აბულაძის მიერ (შაჰ-ნამეს ქართული ვერსიები, I, 115 – 1081).

[33] დ. კობიძე, შაჰ-ნამეს ქართული ვერსიების სპარსული წყაროები, გვ. 197-233.

[34] დასახ. ნაშრომი, გვ. 341.

[35] მამუკა მდივნის ზ ა ა ქ ი ა ნ ი ს ბოლო კარი “აქა გათავდა ზააქის ამბავი და ფრიდონ გახელმწიფდა” ნამდვილად უნდა იყოს ბარძიმ ვაჩნაძის საამიანის ნაწილი, ესკარი ზააქიანში მოხვედრილია შემთხვევით, ტექსტების შერევის გამო(დ. კობიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 185 – 187; კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 346 - 347).

[36] ალ . ბ ა რ ა მ ი ძ ე, ნარკვევები, II, 93 - 99: მისივე, რუსუდანთანის გამოცემის გამო (მნათობი, 1958, № 6, გვ. 164 - 172).

[37] შ . ო ნ ი ა ნ ი, ვანის ქვაბთა მონასტრის წარწერათა პოეზია (“საბჭოთა ხელოვნებ”, 1959, № 7, გვ. 38).

თეიმურაზ პირველი

თეიმურაზი დაიბადა 1589 წელს. იგი იყო შვილი კახეთის მეფის დავითისა და ქეთევან დედოფლისა^[1]. დავითიც და ქეთევანიც ქართული მწიგნობრობის მოყვარულნი და მოამაგენი იყვნენ. დავითს უთარგმნია ქართულ ენაზე “ქლილა და დამანას” ერთი ნაწილი, ქეთევანისაგან კი ჩვენს დრომდის მოღწეულია “ანბანთქება” და “ვედრება”^[2]. თეიმურაზის მამა დავითი ადრე გარდაიცვალა (1602 წ.), მომავალი პოეტის აღზრდას ხელმძღვანელობდნენ პაპამისი (მეფე ალექსანდრე) და დედა. XVII საუკუნის დასაწყისში კახეთის სამეფო კარზე თავი იჩინა მწვავე დინასტიურმა განხეთქილებამ^[3]. ამან ქეთევანი აიძულა თავისი პირმო სპარსეთში გაეგზავნა, შაჰ-აბას პირველთან. შაჰის კარზე თეიმურაზი “ისწავებდა წიგნსა და ენასა სპარსთასა”. ვერაგ შაჰ-აბასს იმედი ჰქონდა, რომ კახეთის უფლისწულს აღზრდიდა “სჯულსა და წესსა თვისსა ზედა” მას უკვე ასე ჰყავდა აღზრდილი თეიმურაზის ბიძა, გამაჰმადიანებული კონსტანტინე. შაჰ-აბასი იყო ქართველობის საშინელი მოძულე და დაუძინებელი მტერი, იგი ოცნებობდა ქართლ-კახეთის საბოლოოდ დამორჩილებასა და დამონებაზე. თავისი მიზნის განსახორციელებლად შაჰი ცდილობდა, შეემინა მომხრეები ქართველთა შორის. სხვადასხვა მზაკვრული ხერხით მან თავის მხარეზე გადაიბირა ქართლ-კახეთის თავადაზნაურული საზოგადოების ერთი ნაწილი, აგრეთვე სამეფო გვარეულობის ზოგიერთი წევრი. 1605 წელს შაჰ-აბასმა საიდუმლო დავალებით კახეთში გამოისტუმრა თავისი აგენტი კონსტანტინე ბატონიშვილი ალექსანდრე მეფესა და ტახტის მემკვიდრეს (თეიმურაზის ბიძას გიორგის) შაჰმა კონსტანტინეს ხელით ძვირფასი ძღვენი გამოუგზავნა. ამ ძღვენის საზეიმო ვითარებაში გადაცემის დროს კონსტანტინეს მიჩენილმა ყიზილბაშებმა მუხანათურად მოკლეს მამა-შვილი (ალექსანდრე და გიორგი) და მათი ამაღლის წევრები კონსტანტინემ მძლავრებით ჩაიგდო ხელში კახეთის ტახტი, გარეწარმა არ ითაკილა ქართველთა ზნეობრივი ცხოვრების საფუძვლების შელახვა და მოინდომა ქვრივი დედოფლის, ქეთევანის, ცოლად შერთვა. კახეთში იფეთქა აჯანყებამ. აჯანყებულებმა ქეთევანის წინამძღოლობით დაამარცხეს კონსტანტინე, მისი მომხრეები ამოხოცეს და თვითონ შაჰის აგენტი აკუწეს. კახეთის ამბებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა სპარსეთის სამეფო კარზე. გაცოფებულმა შაჰ-აბასმა დროებით თავი შეიკავა, გარეგნულად ვითომც არაფერი დაიმჩნია, შურისძიებისათვის ის უკეთეს დროს უცდიდა. სპარსეთის ორიენტაციის მომხრე ისტორიკოსის ფარსადან გორგიჯანიძის სიტყვებით: “ეს ამბავი შაჰ-აბაზ ყაენს... ნამეტნავად ეწყინა, მაგრამ სოფლის საფერისად ასრე ბრძანა: «ხელიმც შერჩებისო, მამის მკვლელს უარესი უნდა დაემართოსო»”. აბასმა კახეთი ოფიციალურად უბოძა თეიმურაზს და მოჩვენებითი პატივით სამშობლოში გამოგზავნა. 1605 წლის ბოლოს თუ 1606 წლის დასაწყისში თეიმურაზი ავიდა კახეთის სამეფო ტახტზე მაგრამ ის მხოლოდ ნომინალურად ითვლებოდა მეფედ, დროს უფრო ნადირობასა. ბურთაობასა და ნადიმობაში ატარებდა. ქვეყანას განაგებდა ენერგიული და ზნეფაქიზი ქეთევან დედოფალი. საქმის ასეთი ვითარება იწვევდა შაჰ-აბასის ცხადლივ უკმაყოფილებას.

დიდი მზადების შემდეგ 1614 წელს შაჰ-აბასი რჩეული ლაშქრით მოადგა საქართველოს საზღვრებს. მიზეზიანი შაჰი არ დაყაბულდა ქეთევან დედოფლისა და თეიმურაზის შვილების (ლევანისა და ალექსანდრეს) მძევლობას, შეესია ქვეყანას და

უმოწყალოდ ააოხრა. (სხვათა შორის, მაშინ შაჰ-აბასის ბანაკში იმყოფებოდა ქართველ ფეოდალთა ერთი ჯგუფი ნუგზარ ერისთავის მეთაურობით). თეიმურაზი და ქართლის მეფე ლუარსაბი იმერეთში გადავიდნენ. შაჰაბასმა მოახერხა ლუარსაბის გამოტყუება, თეიმურაზი კი ვერ დაიყოლია. შაჰის სპარსეთში დაბრუნების შემდეგ თეიმურაზი კახეთში გაჩნდა და საქვეყნო საქმეების მოგვარებას შეუდგა. ამის გამგონე შაჰი “განძვინდა ვითარცა ვეშაპი”. ხელმეორედ შეიჭრა კახეთში, მოსახლეობის დიდი ნაწილი გაჟლიტა, ციხე-ქალაქები, ეკლესია-მონასტრები დაანგრია, სოფლები გადაწვა, ბალ-ვენახები და თუთის ნარგავები ააჭრევინა, მთელი კახეთი გაავერანა და გააპარტახა. გადარჩენილი მოსახლეობა შაჰის ბრძანებით აჰყარეს და შიდა სპარსეთში გადაასახლეს (იმ დროის გადმონაშთია ფერეიდნის ქართველობა). უპატრონოდ დარჩენილ კახეთში ჩამოასახლეს მომთაბარე თურქმანები.

კახეთის შემდეგ შაჰ-აბასი ქართლის აოხრებას აპირებდა. ეს საქმე დაკისრებული ჰქონდა გიორგი სააკაძეს, რომელიც გარკვეული მიზეზების გამო შაჰის სამსახურში იმყოფებოდა. როგორც ცნობილია, გიორგი სააკაძემ საარაკო მამულიშვილობა გამოიჩინა, სამშობლოს სიყვარულის გამო საკუთარი შვილი გაწირა, სპარსელებს განუდგა, მტრის ჯარი გაწყვიტა და ქვეყანა ხიფათისაგან იხსნა. გიორგი სააკაძემ და ზურაბ ერისთავმა ქართლკახეთი გააერთიანეს და გაერთიანებული ქვეყნის მეფობა თეიმურაზს მისცეს. თეიმურაზი სათავეში ედგა ჩვენი ქვეყნის თვითმყოფობის, დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის მებრძოლ ძალებს. შაჰ-აბასმა შური იძია მასთან ტყვეობაში მყოფი თეიმურაზის ოჯახის წევრებზე, ჯერ თეიმურაზის შვილები აწამეს (1620 წელს), შემდეგ (1644 წ.) წამებითვე მოკლეს ქეთევან დედოფალი. შაჰმა იმსხვერპლა აგრეთვე თეიმურაზის დაი და ასული. სპარსელების წინააღმდეგ ბრძოლაში დაიღუპა თეიმურაზის მესამე ვაჟიც, დათუნა ბატონიშვილი. გულწრფელი სიტყვებით გამოთქვა თეიმურაზმა სოფლის სამღურავი ამ ტრაგედიის გამო:

რად, სოფელო, სხვა არ დასწვი ჩემებრ, მე მქენ დასადაგე?!
გლახ, ლახვარი სასიკვდინე ყველა მე მკარ, დასად აგე!
დამიკარგე მე, ასული, ძმა, არ ვიცი და სად აგე!
სხვა ნაყოფი მათებრ ტურფა რა აშენე და სად აგე?

შაჰ-აბასმა ქართველობას არ აპატია განდგომა და ყიზილბაშების გაწყვეტა. მან ერთხელ კიდევ ველურად იძია შური ჩვენს ხალხზე, 1625 წლის ზაფხულში, მარაბდის ველზე, მდინარე ალგეთის ნაპირას თავისუფლებისათვის ბრძოლას შეეწირა ათიათასამდე რჩეული ქართველი მეომარი. ქართველობა მარაბდის დამარცხების შემდეგაც არ იხრიდა ქედს. ოღონდ, საუბედუროდ, იმატა შინაგანმა განხეთქილებამ. ერთმანეთს დაშორდნენ თეიმურაზ მეფე და გიორგი სააკაძე. 1626 წელს ბაზალეთის ტბის მიდამოებში ისინი ერთმანეთს შეეხნენ. დამარცხდა სააკაძე, გაიმარჯვა თეიმურაზმა. ვაი ამ გამარჯვებას! ამ დროიდან თეიმურაზს ნამდვილად მოეკვტა მარჯვენა. თეიმურაზმა მალე ჩამოიშორა ზურაბ ერისთავი და ზოგიერთი სხვა მისანდო დიდებული. მას თითქოს აღარ ჰყავდა მეტოქეები, მაგრამ განსაცდელის დროისათვის არც მაშველი ჰყავდა. განსაცდელი კი ფეხდაფეხ დასდევდა.

1634 წლიდან თეიმურაზს გაუჩნდა ახალი ძლიერი მოქიშპე, გამაჰმადიანებული ბაგრატიონი ხოსროვ-მირზა, როსტომ მეფის სახელით ცნობილი. ხანგრძლივი

ბრძოლის შემდეგ თეიმურაზი საბოლოოდ დამარცხდა. 1649 - 1656 წლების განმავლობაში ის, როგორც ლტოლვილი, გამუდმებით ცხოვრობდა იმერეთში. “უსაქმოდ მოწყენილი” მეფე თავის ნაღვლიან განწყობილებას ლექსებით გამოთქვამდა, გრძნობიერად ამბობს ის ერთგან (შამფარვანიანი, 13):

მე გასაძლებლად დავწერე ხან ისი, ხან ეს რამეო,
გული ამაზედ დავაპყარ, ბევრი დღე დავალამეო;
სრულად ფიქრშიგან ჯდომითა გული არ შევილამეო,
ჩარხი უკულმა დაბრუნდა, ბედი დამტერდა, ვა მეო!

სხვაგანაც გულისტკივილით იგონებს (იქვე 67, 1; შედარება გაზაფხულისა და შემოდგომისა, 77, 1 - 2):

ცუდად წოლით და გდებითა ეს მომაგონა რაჭამა...
მე ვიყავ უცხო ღარიბად რაჭა ჰქვიან, თუ აგარა.
იგ რამდონ რიგად სოფელმან გული ცეცხლითა დაგა რა!

ღრმად მწუხარე პოეტი ლიტერატურული საქმიანობით ერთგვარად იქარვებდა მოწოლილ ბოლმას, ხოლო განგებას სთხოვდა პატიებას (შამფარვანიანი, 68):

ღმერთო, ნუ მიწყენ ამ ცუდსა ლაყაბსა, მიდმოდებასა,
ვეღარ გაუძელ შვიდ ზაფხულ მოწყენით ცუდად გდეგასა,
შეჭირვებისა ცეცხლთა და გულსა სახმილთა დებასა.
მოველი შენგან ხსნასა და შენსავე იმედებასა!

თეიმურაზი ყურადღებას მაინც არ აკლებდა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებას. ის ყოველგვარ საშუალებას მიმართავდა, რათა მტრების იერიშების მოსაგერიებლად შეეკავშირებინა ქართული სამეფო-სამთავროები. თეიმურაზი აქტიურ საგარეო პოლიტიკასაც ეწეოდა. მას მოლაპარაკება ჰქონდა ევროპულ ქვეყნებთან შაჰ-აბასის წინააღმდეგ სამხედრო კოალიციის შესაქმნელად. ამ მოლაპარაკებამ ნაყოფი ვერ გამოიღო. განსაკუთრებულ იმედებს ამყარებდა თეიმურაზი ერთმორწმუნე რუსეთზე. მან რეგულარული მიმოწერა გააჩაღა და ელჩების საშუალებით ცოცხალი კავშირი დაამყარა რუსეთის სამეფო კართან, თეიმურაზი სწორად ითვალისწინებდა რუსეთის ისტორიულ როლს ამიერკავკასიის ხალხების დაცვის საქმეში სპარსეთ-ოსმალეთის აგრესიისაგან. მას მოქნილი დიპლომატიური სვლები ჰქონია^[4], მაგრამ იმდროინდელი რუსეთი არ იყო მზად, რომ რეალურად აესხა იარაღი აღმოსავლეთის აგრესორების შესამუსრავად. მეორე მხრივ, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ვითარება აღიზიანებდა ოსმალეთსა და სპარსეთს, რაც ძლიერ ართულებდა საქართველოს ისედაც რთულ საშინაო და საგარეო მდგომარეობას. საქართველო-რუსეთის ურთიერთობის გაღრმავების პერსპექტივით დაშინებული შაჰ-აბასი ცდილობდა საბოლოოდ გასწორებოდა ქართველ ხალხს.

1658 წელს თეიმურაზი პირადად ეწვია მოსკოვს, მეფე ალექსი მიხეილის ძეს (1653 წლიდან რუსეთის სამეფო კარზე იმყოფებოდა მისი შვილიშვილი ერეკლე, მომავალი ნაზარალიხანი). მალე უკან დაბრუნდა იმედგაცრუებული (ფინანსური დახმარება აღმოუჩინეს, ოღონდ სპარსეთთან პოლიტიკური ურთიერთობის გართულებაზე მაშინ რუსეთი ვერ წავიდოდა). ამასობაში დედოფალი ხვარეშანიც

გარდაცვლილიყო. მგლოვიარე თეიმურაზი “დაშთა ციხესა შინა სკანდას ფრიად უპოვარი”; სხვა გამოსავალს რომ ვერ ხედავდა, სოფელს ზურგი შეაქცია და ბერად აღიკვეცა. ჯანგატეხილი და სასოწარკვეთილი მოხუცი თეიმურაზი შაჰნავაზმა სპარსეთში გაგზავნა^[5], “ცრუ დაპირებით შაჰმა მიიტყუა” კახეთის ქედმოუხრელი მეფე^[6]. შაჰს იმედი ჰქონდა, რომ თეიმურაზის შემწეობით გადაიბირებდა ერეკლე ბატონიშვილს და იმასაც სპარსეთში ჩაიტყუებდა. მართლაც, “თეთმურაზ-ხანის თხოვნის თანახმად, ერეკლე-მირზას სახელზე გამოვიდა გამხნეების რაყამი, რომ ის მოსულიყო ქვეყნის საფარველის (ე. ი. სპარსეთის შაჰის, ა. ბ.) კარზე”^[7] ერეკლეს სპარსეთში ჩასვლის საქმე დაყოვნდა, თეიმურაზის პოლიტიკურმა წონამ იწყო კლება, მას შარი მოსდეს, შეურაცხევეს მისი ადამიანური ღირსებები, დასცინეს მის სარწმუნოებრივ გრძნობებს, შეიპყრეს და, როგორც განწირული, შორეულ ასტარაბადში გაგზავნეს პატიმრად. თეიმურაზმა ამდენი წვალება ვეღარ აიტანა, ასტარაბადში ჩასვლის უმაღვე გარდაიცვალა, “დადუმდა ენა რიტორი”: (არჩილი), თეიმურაზის ნემტი გადმოასვენეს კახეთში და მშობლიურ მიწას მიაბარეს ალავერდს. დიდმა პოლიტიკურმა მოღვაწემ და გრძნობიერმა პოეტმა სამარეში ჩაიტანა დამსხვრეული იმედები და სამშობლო ქვეყნის ღრმა სიყვარული. თეიმურაზის ხანგრძლივ შეუპოვარ ბრძოლას ყიზილბაშური სპარსეთის წინააღმდეგ უნაყოფოდ არ ჩაუვლია. მიუხედავად აუნაზღაურებელი მსხვერპლის გალებისა, თავისუფლებისათვის ბრძოლის საქმეში გამოიბრძმედა და გამოიჭედა ჩვენი ხალხის ნებისყოფა; ქართველობამ მტერს ქედი არ მოუხარა, შეუბღალავად შეინარჩუნა თავისი ეროვნული და სახელმწიფოებრივი ღირსება.

იმდროინდელი აფორიაქებული საზოგადოებრივი ცხოვრების ვითარება, ქვეყნის ჭირ-ვარამი, თვითონ თეიმურაზის პირადული ადამიანური მწარე განცდანი მკაფიოდ აისახა მის შემოქმედებაში. ჩვენს დრომდის მოღწეულია თეიმურაზის პოეტური მემკვიდრეობის მხოლოდ ნაწილი^[8], რამდენიმე პოემა და ლირიკული ლექსები, თეიმურაზის პოემებია: “ვარდბულბულიანი” “შამფარვანიანი” “ლეილმაჯუნნიანი”, “იოსებზილიხანიანი” (“მიჯნურთ ამბავი იოსებისა და ზილიხანისა”), “შედარება გაზაფხულისა და შემოდგომისა”, “წამება ქეთევან დედოფლისა”. ცალკეა აღსანიშნავი ერთგვარი ლირიკული პოემა “მაჯამა”. თეიმურაზის ლირიკული ლექსებიდან ცნობილია “სოფლის სამდურავი”, “გრემის სასახლეზე”, “თამარის სახე დავით გარეჯას”. ბევრი ლირიკული წიაღსვლაა დასახელებულ პოემებში, ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა პოემების პროლოგ-ეპილოგები.

თეიმურაზის ლირიკული ლექსები და პოემების ლირიკული ჩანართები გამოხატავს ავტორის ძლიერ ნაღვლიან განწყობილებას. პოეტი უარყოფითად ახასიათებს ცხოვრებას, წუთისოფელს. სამდურავს და საყვედურს უცხადებს მას. თეიმურაზს შეუთხზავს საგანგებო ლექსი, რომელსაც სწორედ “სოფლის სამდურავი” ეწოდება. პოეტი წუთისოფელს ახასიათებს როგორც მუხთალს, მიუნდობელს, ვერაგსა და ბოროტს, უკუღმართს, “მუხთლობა არის თავიდგან სულ მისი დასაწყისი, და”, გულისტკივილით ამბობს ის ერთგან და ამგვარ აზრს სხვაგანაც ბევრჯერ იმეორებს. თეიმურაზი აფრთხილებს თავის მკითხველებს:

სოფელს მყოფნო, სოფლის საქმე გასინჯეთ და გაიგონეთ,
ეს სოფელი მუხთალია, ნუ მიჰყვებით, შეიგონეთ!

თეიმურაზის სიტყვით, წუთისოფელი მბრუნავია, ცბიერი, მატყუარა, ფლიდი, მაცთური. პირველად ის ადამიანს მიიზიდავს, ასიამოვნებს, დაატკბობს, კმაყოფილების ბანგით გააბრუებს, შემდეგ კი ანაზღაურებად “უმუხთლებს, გაუავდებს”, თავზე წამოუყენებს სიკვდილს. “სიკვდილი, გულზე მიწა და ლოდები” გარდუვალი ხვედრია ადამიანისა. უმოწყალო წუთისოფელი არ ინდობს სინორჩეს, სიკეკლუცეს, სიკისკასეს, “პირსა მთვარულეზ გაესილსა დააქკნობს, დაალურჯებს”, “ზაგეთა მოშლის ეგეთსა, უკვდავებასა ღიმობდეს”, “წარბსა მშვილდურებ მოხრილსა გააყრევიანებს, წახდენს”, “ლერწამ ტანსა წაჰხრის და მოსდრეკს” ფერს უქცევს “ღაწვისა ფეროვანებას”, “დაადუხჭირებს ჯავარსა”. პოეტს კარგად ჰქონია შეგნებული წუთისოფლის ბუნება, მისი გამწირაობა, დაუდგრომლობა. ბევრი მაგალითის მოძებნა საჭირო არ არისო, ფიქრობს პოეტი და მკითხველებს ურჩევს, ასწონ-დასწონონ სოფლის ამბავი (სამდურავი, 12, 1 - 3):

გასინჯეთ საქმე სოფლისა, ნეტარ ვის გასთავებია!
ვის ჰქონდა მუდამ სრა-ტახტი, მოშლია მას თავებია,
ვინ რომ დაიპყრა ქვეყანა, დღე მასცა ასთავებია.

ასეთ ვითარებაში გასაკვირი არ უნდა ყოფილიყო თეიმურაზის ხვედრიც. მაგრამ წუთისოფელმა მას, თურმე, განსაკუთრებული ძალით უმუხთლა და იმთავითვე კაემნის მიძიმე ტვირთი აჰკიდა (“კაემნისა ტვირთი მკიდავს”-ო, სამდურავი, 19, 2), რადგანაც “კრულმან სოფელმან ჩემი დღე სრულად სიმწარით მანანა-ო” (იქვე, 20, 1). მართალია, ახალგაზრდობის დროს წუთისოფელმა ვითომც ერთგვარად აგემა ცხოვრების სიტკბოება, მაგრამ ეს იყო მხოლოდ მოჩვენებითი, მაცთუნებელი, “წამ-ერთი”-ო, განმარტავს. “წამ-ერთი” ლხინი მას გაუთავებელ ჭირ-ვარამად შეცვლია (მაჯამა, VII, 6, 16):

სოფელმან და ჟამმან კრულმან ლხინი ჩემი განაქარვა.
ლხინის სანაცვლოდ სოფელმან სულ მატირა და მაზარა.

პოეტის ხანგრძლივი სიცოცხლე ერთი გაბმული წამება და უწყვეტელი ცრემლთა ღვრა ყოფილა (იქვე, 26, 2):

მე ვიღვრებოდი ცრემლითა, აროდეს ვიყავ დართა.

სხვაგანაც ასევე იმეორებს (შ. ფ., 12, 1 - 3):

სრულ განსაცდელში დავლიე ჩემნი ჟამნი და დღენია,
სხვას ვისმე ჩემნი პატიჟნი არც ვის კი ამბად სმენია,
თვალთაგან ცრემლი უწყვეტი ნილოსის მსგავსად მდენია.

“სოფელმან თვისი სიმუხთლე ჩემზედა არა დალია”-ო, გაიძახის პოეტი (სამდურავი, 16, 1). “უწყალოდ სვამს სისხლსა ჩემსა”, რითაც გონებასაც მიხშავს და ტკბილი სიტყვების ძალას მართმევსო (მაჯამა, VIII, 23, 1 - 3):

მინდოდა ქება ქებასა სხვანიცა ბევრი წამერთო,
არ დამაცალე, სოფელო, კრულო, მოკლევ და წამ ერთო.
შენგან დამება გონება, ტკბილი სიტყვები წამერთო.

ეს არ არის ლიტერატურული რეზონერობით გამოწვეული ლიტონი სიტყვები. პოეტმა ნამდვილად იგემა უკუღმართი ცხოვრების რისხვა, დამარცხების. იმედების გაცრუების სამსალა. მან საკუთარი თვალით ნახა და გამოსცადა მუხანათური ორგულობის, ღალატისა და ათასგვარი მზაკვრობის მთელი საშინელება. თეიმურაზი მოწამე იყო თავისი ქვეყნისა და თავისი ხალხის უმოწყალოდ რბევა-აწიოკებისა და ხოცვა-ჟლეტისა. მტრებმა თეიმურაზს დაუქციეს ოჯახი. არაადამიანური წამებით დაუსახიჩრეს და მოუკლეს შვილები, უწამეს დედა და დაი, თვალწინ დაუხოცეს მახლობლები, ერთგული თანამშრომლები, ნათესავები... ჩვენ ზემოთ უკვე დავიმოწმეთ პოეტის უზომო გლოვა-წუხილის გამომხატველი ნაწყვეტი (“რად, სოფელო”...). პოეტი გულისმომკველი სიტყვებით უჩივის ამის გამო წუთისოფელს (87, 1):

მე წამართვი სიცოცხლე და სული, მერმე თვალთა ჩენა-ო.

ლხინის ჭირად შეცვლას თეიმურაზი უკავშირებდა თავისი ქვეყნის განსაცდელს, ქვეყნის დამცველი ძალის უთანასწორო ომებში დამარცხებასა და გაწყვეტას (იქვე, 88):

მე ვხედავდი ლხინსა ჩემსა სრულად ჭირად გარდაცვლითა,
იგ ერთობით სპათა ჩემთა მტერთა ხელში ჩანაცვინთა,
მივემსგავსე მე ფრინველთა, იგ მხარ-ბოლო დანაცვინთა,
მედებოდა ცეცხლი ცხელი, ვიწვებოდი მსგავსად ცვინთა.

ამდენი ჭირისა და ვაების მნახველ პოეტს მოსძულებია თავისი ყოფა (მჯამა, III, 4):

მე დამემტერა სოფელი, მტერთანა ყოფა მეყოფა,
ჩემკენ არ ბრუნავს საწუთრო, მისთვის მომძულდა მე ყოფა-ო.

დიდი პოეტური პათოსითა და მღელვარებით აქვს თეიმურაზს აღწერილი მტარვალი შაჰ-აბასის ურდოების თარეში კახეთში, მოსახლეობის ხოცვა-ჟლეტის შემადრწუნებელი სურათები, თავისი შვილებისა და დედის ტყვეობისა და მოწამებრივი სიკვდილის ისტორია (“წამება ქეთევან დედოფლისა”)^[9] აი. ერთი სტროფი ამ პოემიდან (11):

დაარბივს, ამოწყვიტეს, შექმნეს ვითა განაქარი,
შირაზ-შირვან-ხვარასნელი შიგ ჩაუშვა მან ლაშქარი.
სადაც ვინმე გარდებვქა, ან მოურჩა, მგონ, აქ არი,
სხვა დახოცა, დაატყევევა, წამოვიდა, ვითა ქარი.

თავის ყოფილ აღმზრდელ შაჰ-აბასს თეიმურაზი უწოდებს “მძლავრს”, “უწყალოს”, “მტანჯველს”, “უბრალოს სისხლთა მჩქეფელს”, ქართველების მოძულე დესპოტს ქეთევან დედოფლის შესახებ უთქვამს (39, 3):

ვირ არ შეეცვს ამ სისხლსა მისსა, არ ავიღებ დასტახანსა-
ო.

ქვთევანს საარაკო მამაცობა გამოუჩენია, არ უღალატნია ქრისტიანული სჯულისა და ქართველობისათვის, არ “გათათრებულა”, თავი კი გაუწირავს. ეს შესანიშნავი პატრიოტი მანდილოსანი სიკვდილს შეხვედრია “უშიშრად, ვითა ვეფხი და გმირია” (48, 1). “ვა მე იმ დღისა მხსენესა დამვიწყდა დღენი წინარი”-ო, ამბობს თეიმურაზი (67, 1). პოეტის ტანჯვას ის გარემოება აორკვეცბდა, რომ მისი მამულიშვილი დედა ჯვარს აცვეს, ხოლო მას კი ბიბლიური “ავაზაკის” ხვედრიც არ ერგო წილად (67, 3 - 4):

მე ავაზაკი შემცოდე ახლოს არ ვიყავ, ვინანი,
მარჯვენით ჯვარსა არ ვეცვი, ამაღ ვარ ცრემლთა მდინანი^[10]

ამიტომაც დამაჯერებელი ხდება წუთისოფლის წყევისა და გმობის ის მწარე სიტყვები, რომლებიც ერთნაირი სიმძაფრით გაისმის თეიმურაზის მიერ სხვადასხვა დროს დაწერილ ლექსებში. წუთისოფლის წყევის ორიგინალური ფორმა გამოუნახავს პოეტს „გაზაფხულისა და შემოდგომის შედარების” ბოლო სიტყვაობაში (86, 2):

ვინცა შეგქმნა, მან შენ გიყოს, რაცა ჩემზე მოაწივ-ო.

სხვათა შორის, ერთ თავის ოფიციალურ წერილშიც კი თეიმურაზი სასოწარკვეთილებით ამბობს (წერილი შენახულია რუსულ ენაზე): «Солнце уж нас не греет, и месяц нас не осветит, и день наш светлой учинился ночью... Лутчи бы у матери моей утроба пересохла, и я не родиля...»^[11]

მოყვანილი მაგალითებიდან ცხადია, რომ პოეტის მკაფიოდ გამოხატულ ნაღვლიან განწყობილებასა და ცხოვრებით უკმაყოფილების გრძნობას ასაზრდოებდა საზოგადოებრივი ხასიათის მიზეზები.

დროდადრო თეიმურაზი მოუცავს :ისეთ მძაფრ სევდას, რომ სიკვდილიც კი უნატრია (მაჯამა, VII, 16): “ნეტამცა ვინმე სიკვდილსა მიმცა”-ო. თავის განაწამებ სიცოცხლესთან შედარებით თეიმურაზს სიკვდილი დაუსახავს სიტკბოც მომგვრელ მოვლენად და ა მისათვის იმოწმებს შოთა რუსთველის ავტორიტეტს (შედ., 90, 1):

ვის სიცოცხლე მწარე ჰქონდეს, სიკვდილი თქვა შოთამ ტკბილად.

პოეტისათვის იმდენად მომაბეზრებელი გამხდარა ტანჯვით სავსე მისი სიცოცხლე, რომ სოფელს უთვლის (86, 3):

მოვკვდე, - მიწაც აღარ მინდა, ჩემზე მხეცნი მოაწივე-ო.

თეიმურაზი მაინც არ შეიძლება ჩავთვალოთ პესიმისტ პოეტად. იგი პრინციპულად დასაშვებად თვლის ადამიანის ამქვეყნიურ სიცოცხლეს, ამართლებს სიცოცხლის მატერიალური მხარეებით სარგებლობის საჭიროებას, უარყოფს სოფლისაგან გაქცევას, განდევილობას, წუთისოფლის მხოლოდ პასიურად მჭვრეტელობას. თეიმურაზი ღებულობს და იცავს ზნეობრივ სიცოცხლეს, საზოგადოებრივად სასარგებლო ცხოვრებას, ოღონდ გმობს სიცოცხლის

მაცთუნებელი სიამტკბილობით გატაცებას, სულწასულობასა და პირუტყვეული ვნებების ტყვეობაში ყოფნას. ცხოვრების მიღების აღიარებით თეიმურაზი ერთგვარად ეკამათება კიდევაც წუთისოფლის უარისმყოფელ ბრძენთ და სულიერ მამებს; მეტიც, პოეტი ვერ მალავს სიცოცხლისადმი მიზიდულობას, “გაზაფხულისა და შემოდგომის გაზაასებაში” ის გამოტეხილად ამბობს (91):

ვა, თუ მიწყინოთ ყოველთა სოფლისა სიყვარულითა!
იგ სოფლიონი ბრძენნი და ან ვინც უბნობდა სულითა,
ყველა სწუნობდა სოფელსა, არ გასაზრახოდ, გულითა.
არ ვიტყვი - სრულად გაუშვით, ნუ გიყვარსთ სულ წასულითა!

იმავე პოემაში თეიმურაზს მეორეგან უფრო პოზიტიურად აქვს გამოთქმული თავისი შეხედულება სიცოცხლის თაობაზე (106):

მაგას არ ვიტყვი, არ გვინდეს სოფლისა ნივთიარები,
ესრეთ ვიხმაროთ კეთილად, ბოლოდ არ გასამწარები;
არა გვიდგს სული მოკვდავი, პირუტყვებრ გასაქარვები.
ოდეს ეს ხელთა გაგვვარდეს, მუნ არ დაგვეხმას კარები.

ამის შემდეგ “ახალი აღთქმის” იგავზე მითითებით თეიმურაზი ავითარებს ცხოვრების ასპარეზზე აქტიური მოქმედების, სასარგებლო საქმიანობის საჭიროების თვალსაზრისს, ის გარკვეულად გმობს მცონარეობასა და უმოქმედობას (იქვე, 106):

ეგ ღმერთმან იცის, თქვენთვის ვწერ საკეთოდ, არ თუ ზიანად,
არ ვიტყვი მე, რომ კარგი მჭირს თავისა გასაზვიანად.
გვიბრძანებს: “ჩვენი სავაჭრო დადევით სარგებლიანად”.
არ ვიქმნე მონა მედგარი, განხდილი დასაწვიანად.

სხვაგან იმავე პოემაში თეიმურაზი კვლავ მოუწოდებს მკითხველს (83, 2) “სრულ ნუ მივჰყვებით სოფელსა, ცეცხლი არ მოგვებოლოსა”-ო. ისიც დიდად საგულისხმოა, რომ “შედარება გაზაფხულისა და შემოდგომისა” თეიმურაზს თუმცა დაუწერია მკითხველთა გასართობად და შესაქცევად, მაგრამ მას განზრახული ჰქონია დამინტერესებელი ამბის გამოყენება დამრიგებლობითი მიზნით, მკითხველი საზოგადოების შესაგონებლად და დასამოდგვრად. ამის თაობაზე პოეტი საგანგებოდ შენიშნავს (107):

ზოგი დავწერე სახუმროდ სალხინო საკამათენი,
ბოლოს ცოტა რამ საწვრთნელი, სულისა გასანათენი;
მცირე, რაც მქონდა, მიძღვნია, არა ვარ ბრძენი ათენი.
ყველამ შენდობა მიბრძანეთ, წყალობა მიყავთ ამთენი.

“შედარება გაზაფხულისა და შემოდგომისა” თეიმურაზის ერთი უგვიანესი ნაწარმოებია, ის საუკეთესოდ გამოხატავს ავტორის განზოგადებულ წარმოდგენას ადამიანის საამქვეყნო დანიშნულებაზე. “შედარება”, იხატავს მისი ავტორის “ცხოვრების ფილოსოფიას”.

წუთისოფლის მაგინებელი და მგმობელი თეიმურაზი გატაცებით უმღეროდა სიყვარულის გრძნობას და ლხინ-მეჯლისს. თეიმურაზის ლექსებში ერთმანეთთან

თავისებურად შერწყმულია-მძაფრი სევდა-ნაღველისა და სიცოცხლით ტკბობის მოტივები. “შემაშთო სოფლის ბრუნვამა”-ო, გაიძახის თავდავიწყებით (სოფლის სამდურავი, 10, 1), მას ვერ დაუგდია “შვება სოფლისა”. პოეტი მიუზიდავს წუთისოფელს, აპყობია ცხოვრების გამახალისებელ გზას, “გული მივუძღვენ კეკლუცთა... ვაქე ძოწი, მარგალიტი, გაურივე ბროლსა მინა”-ო (ი. ზ. 8, 2: ლ. მ., 250, 2). “ვარდბულბულიანის” შესავალში პოეტი აცხადებს, რომ მისი პოემა შეთხზულია “სალხინოდ და სალალბოდ” (6, 3). “მაჯამა” კი პოეტს დაუსახავს უბეში სატარებელ წიგნად ან სარტყელში “ჩასარქმელიად” თუ იახტანში (ხურჯინში) შესანახავად, რომ “გვერდ” ჰქონდეს “თასი, ღვინო და კულები”. შესაფერისი ხელნაწერების განმარტებით, “მაჯამა” ყოფილა “კეთილ სასმენელი და ტკბილ-საამოვნო... სუფრისა და ლხინის დიდად შემაძკობელი”. ეს განმარტება არ არის შემთხვევითი. სწორედ “მაჯამა”: შეიცავს ტრფიალების, სიყვარულის გაბმულ სიმღერასა და ბაგე-ღვინის აპოლოგიას, აქაა უადრესად კოლორიტული “გაბასება ღვინისა და ბაგისა” (როგორც თავის ადგილას აღვნიშნეთ, ამ ლირიკულ პოემაში ბევრია აგრეთვე სევდა-ნაღველის გამომხატველი სტროფებიც). პოეტს შეუქმნია კეკლუცი ქალის მიმზიდველი, თუმცა განყენებული სახე, რომელიც დახატულია ჰიპერბოლური მეტაფორიზაციის ასპექტით. ის “ტურფაა შვენიერებით” მნათობები (მთვარე და მზე) “უნათლე ჰქმნა” თვითონ “მზესა სწუნობს” ნაზია, ზარიფი, არ ჰგავს “ქვე ნამყოფთა” ამქვეყნად მოსული ზეციური არსებაა, სილამაზით მას ვერ შეედრებიან თინათინი, ნესტან-დარეჯანი და ვისი. მშვენიერი ასული ამაყია, კადნიერი, ცივი, გულქვა. მისმა “წამწამან ჰინდი ლაშქარი” რასხვად მიუსია პოეტს, კეკლუცი ქალის “ნარგისთა ლახვარმან დაქრა, დახია, ასერა” პოეტის გული, “სხივთა ცეცხლმან კი დაწვა და დაანარცხა, მაგრამ დამწვარ გულს კერპმა წვეთი წყალიც კი არ აღირსა (“დაწვი და წყალი არ მასვი”-ო). ესეც არ აკმარა უმოწყალომ, მან პოეტის სისხლიც შეიწოვა (“უწყალოდ სვამ სისხლსა ჩემსა”-ო), ხორცი რომ დაიმორჩილა და გალია, სულსაც წაეტანა, ისიც დაისაკუთრა, ოდნავი საყვედურიღა წამოცდა პოეტს (მაჯამა, IV, 7);

სულთაც გიძღვნი, უმჯობესი რაღა მოგცე ზედან წართვად.

მუდმივი ტირილისა და უზომო ტანჯვისაგან პოეტს ცრემლები შემრობია (“ამად ვტირ, მაგრამ რაზომ ხამს, ეგზომი ცრემლი სად არის?”). მას აღარ დარჩენია სხვა გამოსავალი, უნდა გაიქცეს სოფლიდან, გახელებული გაიჭრეს ველად, “ტარიელს ქვაბსა ესტუმროს, მაჯუნთან დაემყაროსა”. გმირი ტარიელი დაუბრუნდა ცხოვრებას და სიყვარულის ბედნიერება იგემა. თეიმურაზმა კი თითქოს სალოსი მაჯუნის ხვედრი უნდა გაიზიაროს. მისი ოცნება მიუღწეველია, მისი სიყვარული ცალმხრივია, დაუკმაყოფილებელი, მაგრამ დაუცხრომელი, ამდენადვე მუდმივი ტანჯვისა და წამების წყარო, უკურნებელი სენი. “დამეგრიხა ბედი მრუდად”-ო, მშვენიერი პოეტური სიტყვებით ასკვნის თეიმურაზი (მაჯამა IV, 2). აქაც უმუხთლა პოეტს წყეულმა წუთისოფელმა.

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ თეიმურაზის სატრფიალო ლექსები ყოველთვის მაინც ავტორის უშუალო გრძნობითს განწყობილებებს არ გამოხატავს. პოეტის სამიჯნურო თავდავიწყება კონკრეტულ სატრფიალო საგანს არ გამოუწვევია, იგი არ ყოფილა შთაგონებული და გატაცებული რეალური სატრფოს რეალური სიყვარულით. თეიმურაზი უმდერის უსაგნო, განყენებულ, მოჩვენებითს სატრფიალო გრძნობას. გამახელებელი კეკლუცი ქალის სახე, რომელიც პოეტს დაუხატავს, გამონაგონი ლიტერატურული ფიქციაა. თეიმურაზი თავის გამონაგონ სატრფოს

ამკობს კანონიზებული პოეტური სამკაულებით. ამიტომაც თეიმურაზის სატრფიალო პათეტიკა რამდენადმე ხელოვნურია, მშრალი, რიტორიკული. თეიმურაზის სატრფიალო დითირამებში არ იგრძნობა პოეტის შინაგანი მღელვარება, პოეტური სიტბო, სიტყვებით გამოუთქმელი ნამდვილი გატაცების ძალა. საგულისხმოა, რომ სატრფიალო ენაწყლიანობით, და ვითომცდა მგზნებარე სატრფიალო განცდებით, არის ღსავსე “მაჯამის” VIII კარი: “ქება და მკობა ხელმწიფის ალექსანდრესი და დედოფლის ნესტან-დარეჯანისა”. ალექსანდრე იყო თეიმურაზის სიძე, მეუღლე ნესტან-დარეჯანისა. “აწყა მე ვიწვი ამისთვისო”, გაიძახის თეიმურაზი თავისი ასულის, ამ ნესტან-დარეჯანის მისამართით და კანონიზებული სატრფიალო სიტყვებით განაგრძობს, მაგალითად, ასე:

მას, პირმზესა, შეუქმნია ხმელთა მნათი მისად უდრად;
შეკრებულა შუქი მზისა, საქებარად იმას უდრად;
შევეხვეწოთ გაიღიმოს, არ გაგვხადოს ხმელი უდრად,
მან არა ჰყოს მის ხელქმნილი სატირალი, შესასუდრად.

თუ თეიმურაზის სატრფიალო ლირიკას ძლიერ ეტყობა ხელოვნური მწიგნობრული კილო, სევდიანი განწყობილების გამოსათქმელად პოეტს, რასაკვირველია, აქვს სრულიად ბუნებრივი ორიგინალური და დამაჯერებელი საკუთარი ხმა. გულწრფელია და უშუალო თეიმურაზი რელიგიური გრძნობების გამოხატვის მხრივაც. წუთისოფლის მომდურავი, სიყვარულის მეხოტბე და ღხინის მომღერალი პოეტი იყო ქრისტიანული აღმსარებლობის დაჯერებული მიმდევარი და ღრმად მორწმუნე ადამიანი. თეიმურაზმა კარგად იცოდა, რომ საქართველოს მათხარი მტერი საბრძოლო იარაღად, სხვათა შორის, მუსლიმანურ სარწმუნოებას იყენებდა, მტერი ცდილობდა ჩვენი ქვეყნის “გადარჯულებასა” და გადაგვარებას. მუსლიმანურ აგრესიას თეიმურაზი უპირისპირებდა ქრისტიანულ აღმსარებლობას. მოწინავე ქართველი საზოგადოება თეიმურაზს მხარს უჭერდა როგორც ქართველთა ეროვნობისა და ეროვნული სარწმუნოებისათვის შეუპოვრად მებრძოლს. სპარსოფილი და გამაჰმადიანებული ფარსადან გორგიჯანიძეც აღიარებს თავის ისტორიაში: “ზოგს კაცს ქრისტიანობის სჯულისათვის ბატონი თეიმურაზი ერჩივნაო” (გვ. 34), სხვაგან ის უფრო კატეგორიულად ამბობს: “ყველას მეფობა ბატონის თეიმურაზისათვის უნდოდაო” (იქვე, 42). თეიმურაზისათვის ქრისტიანობა იყო პოლიტიკური ბრძოლის საჭურველიც და მძაფრი სარწმუნოებრივი განცდების წყაროც. თეიმურაზის პოეზიაში სარწმუნოებრივი განცდები ძლიერად არის აღბეჭდილი.

“შამფარვანიანის” შესავალში პოეტი აცხადებს (11, 4):

ქრისტეს მონა ვარ, მითა მძულს მეჩიტი^[12] მინარანი^[13] და.

“ოსებზილიხანიანის” დასასრულში კი წყევლა-კრულვას უთვლის მუსლიმანობას (311, 3):

წყეულმც არს ნაჯაფ, ქალბალა, მაქა, მადინა, მოლამდი.

ცხოვრებისაგან გატანჯული და განაწამები პოეტი ჭირის შემსუბუქებისათვის მხურვალე ლოცვით მიმართავდა იესო ქრისტესა და ღვთისმშობელს (წამება ქეთევან დედოფლისა, 5):

იესოვ, შენ გევედრები, მარიამ ქრისტეს დედაო,
.....
ფრიადნი სევდა-ნაღველი დამერთო ზედი-ზედაო,
იმ თქვენი ღვთის გულისათვის, მიშველეთ ამაზედაო!

განსაკუთრებულ იმედს პოეტი ამყარებდა ღვთისმშობლის თანაგრძნობასა და მფარველობაზე.

თუ მოვიგონებთ, რომ საეკლესიო გადმოცემებით საქართველო ითვლებოდა ღვთისმშობლის წილხდომილად, მაშინ გასაგები იქნება თეიმურაზის პოეზიაში (ისე როგორც ზოგიერთი სხვა მწერლის შემოქმედებაშიც) მარიამისადმი მოწიწებითი სარჩელის ხასიათი.

მორწმუნე პოეტი წუხს, რომ ის “შეაშთო სოფლის ზრუნვამ” სული “დაუჭრა” და “დაუკოდა”, წარწყმედის კარამდის მიიყვანა, სინანულს გამოთქვამს და შეწყალებას ითხოვს. თეიმურაზი დიდ ცოდვად უთვლის თავის თავს შემოქმედებითს საქმიანობას, კერძოდ, საერო თემატიკით გატაცებას. საერო თემატიკას ის უწოდებს “ლაცაბს”, “ცუდ მიდ-მოდებას”, “ცუდ ტიკტიკობას”, “განქარვებადს”, “უნდოს” “უსარგებლოს”, “ზღაპარს”. “შამფარვანიანში” შენიშნავს (65, 3 - 4):

ნათელი სინანულისა მიჯობს გულს მადგეს სვეტადო,
ეს უსარგებლო ლაცაბი მეყოფა მეტის-მეტადო.

საგულისხმოა, რომ თეიმურაზი პრინციპულად სასულიერო თემატიკას ანიჭებდა უპირატესობას საეროსთან შედარებით, მაგრამ ვერ ფარავდა თავის უდავო მიდრეკილებას საერო თემატიკისადმი. სამიჯნურო ლექსებითო, ამბობს “ცოტა რამ უკუვიყარე, სევდა ვქენ განათხელები”-ო (“შამფარვანიანი”, 15, 4). ამ საკითხს ის ბევრჯერ უბრუნდება, მაგალითად (შედარება, 9, 1):

წამლად რამე მოვიგონე სევდის ფიქრთა გამქარვებლად.

თეიმურაზის ყველა სამიჯნურო პოემა სასინანულო სიტყვებით მთავრდება.

როგორც ვიცით, იგი საგანგებოდ აღნიშნავს მკითხველი საზოგადოების მხრივ საერო ხასიათის თხზულებებით დაინტერესებასა და სასულიერო მწერლობისადმი გულგრილობას. “გაზაფხფლისა და შემოდგომის გაბაასებაში” ვკითხულობთ (5):

არვის უნდა ს ა ხ ა რ ე ბ ა , ა რ ც ა წ ი გ ნ ი მ ო ც ი ქ უ ლ თ ა ;
არ გიკვირს, რომ დაივიწყეს შემომქმედი მისგან ქმნულთა?!
განკითხვა და საუკუნო, არც სიკვდილი უძეს გულთა,
უნახავთა არა მიკვირს, ბრძენთა მიკვირს მონახულთა.

პოეტი იქვე შენიშნავს: “დალპეს ბევრი სამღთო წიგნი მიწაშიგან მოდებული”. თეიმურაზი იმასაც ამბობს, რომ მას ჰქონდა მიმადლებული “საღვთო სიბრძნე”, შეეძლო სასულიერო თემებზე წერა (მართლაც აქვს ორიოდე სასულიერო

ნაწარმოები), მაგრამ “იგ მოსწრაფე სმენად მისად ვერვინ ვნახე მოძებული”-ო (იქვე, 4, 3). თეიმურაზი გამოტეხილად აღიარებს, რომ მან ყური მიუგდო მკითხველ საზოგადოებას; როგორც მწერალმა, თავისთვის სავალდებულოდ ჩათვალა თანადროული საზოგადოებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილება (იქვე, 6, 3 - 4):

ღრმა^[14] რამე ვთქვი, დამეკარგა, იგი ვერვის მოვასმინე,
აწ მეც მივყევ ლაყაბებსა, ეგებ ამით მოვალხინე.

პოემის ბოლოსიტყვაობაში თეიმურაზი კვლავ უბრუნდება დასმულ კითხვას და ბეჯითი კილოთი აცხადებს (82):

თუ საღმთო რამე მესიბრძნა, შიგ არვინ ჩაიხედევდა,

რა ეს ლაყაბი შევკრიბე, ყველა ნახვასა ბედევდა:

“არა ესე სჯობს”, “არ, ესე”, - სიცილით ყველა ყბედევდა.

ე გ ე ბ ი ს ს ხ ვ ა ც რ ა მ ვ ა ს მ ი ნ ო , მ ე ე ს ე მ ე ი მ ე დ ე ვ დ ა .

საყურადღებოა მოყვანილი სტროფის ბოლო ტაქტის აზრი. საერო თემატიკას თეიმურაზი უსათუოდ იყენებდა საზოგადოების სარწმუნოებრივ-ზნეობრივად შეგონების მიზნით. ჩვენ ზემოთ უკვე დავიმოწმეთ ამის დამადასტურებელი ტაქტები ამავე პოემიდან (107, 1-2):

ზოგი დავწერე სახუმროდ სალხინო საკამათენი,
ბოლოს ცოტა რამ საწვრთნელი სოფლისა გასანათენი.

ზოგჯერ თეიმურაზი უფრო აშკარად გამოხატავს თავის გულისთქმას საერო თემატიკისადმი მიზიდულობის გამო. "ვარდბულბულიანის" ბოლოსიტყვაობაში აცხადებს (93, 1-3):

თქვას, თუ ვინმე: "რა არისო ცუდს საქმეზედ სიტყვის გარჯა?"

ესეც მითხარ, რა დამაკლდა, ანუ რამცა დამეხარჯა?

რიტორი ვარ, მსურის სიბრძნე, თვარ მომადგა ვისგან ბარჯა?!

ამის შემდეგ უკვე არადამაჯერებლად ისმის თეიმურაზისავე სიტყვები "იოსებზილიხანიანის" შესავალში, "ხამდა მეხმივნა სიტყვანი უხრწნელად დანამყარები, სწავლა საღმთოთა წერილთა, სულისა გამამყარები", მაგრამო,ურთავს (8, 1-2):

მ უ ნ ვ ე რ ა ვ კ ო ვ ე ს ა თ ქ მ ე ლ ი , აწ მომიძულა ზენამა,
გული მივუძღვენ კეკლუცთა, ვინებე ვარდი მენამა.

სასულიერო მწერლობის დარგში თეიმურაზი სათქმელს იპოვიდა, მაგრამ მგრძნობიარე პოეტი ყურს უგდებდა გაბატონებული საზოგადოებრივი კლასის, მკითხველი საზოგადოების გულისთქმას, თავისი კალმით ის ემსახურებოდა ამ საზოგადოებას, ამ საზოგადოების გემოვნებასა და ინტერესებს უფარდებდა პოეტური სიტყვის გამომსახველობით ძალას. "ლეილმაჯუნუნიანის" შესავალშიც (3) თეიმურაზი ამბობს, რომ "არვინ იკითხავს" სასულიერო შინაარსის წიგნებს, "მას არვინ ისმენს, ვარჩივე სოფლისა მიდ-მოდებანიო".

თეიმურაზი აქტიურად ეხმაურებოდა თავის დროს. იმდროინდელი ქართველი საზოგადოების გარკვეული წრეების სულიერი განწყობილებანი სახსრებით შეეფერებოდა მის პირადულს, ინდივიდუალურ გუნება-განწყობილებას.

ჩვენ ხაზს ვუსვამთ იმ გარემოებას, რომ თეიმურაზის პოეზია უპასუხებდა იმდროინდელი ქართველი განათლებული საზოგადოების გ ა რ კ ვ ე უ ლ წ რ ე ე ბ ი ს ესთეტიკურ მოთხოვნილებებს. თავის ადგილას ვაჩვენებთ, რომ იმავე ქართველი განათლებული საზოგადოების მეორე ფრთა უარყოფითად აფასებდა თეიმურაზის ორიენტაციას სპარსულ პოეზიაზე.

თეიმურაზ პირველი უცილობლად განიცდიდა სპარსული ლიტერატურის ძლიერ გავლენას, ის ცდილობდა ქართულ პოეზიაში დაენერგა სპარსული მწერლობის ტრადიციები. თეიმურაზი ერთგვარად უცხოური (სპარსული) ლიტერატურული მიმდინარეობის წარმომადგენელია მშობლიურ მწერლობაში. იგი არც მალავდა თავის უზომო გატაცებას სპარსული ენითა და მწერლობით."ლეილმაჯუნნიანის" შესავალში პათეტიკურად აცხადებდა (4, 1):

სპარსთა ენისა სიტკბომან მასურვა მუსიკობანი-ო.

საყურადღებოა ისიც, რომ სპარსული ენის სიტკბოთი აღტაცებულ პოეტს წუნი დაუდვია ქართულისათვის (იქვე, 2):

მძიმეა ენა ქართველთა, ვერ ძალმიც მისებრ (ე. ი. სპარსულებრ) თხრობანი.

თეიმურაზმა კარგად იცოდა, რომ სპარსულ პოეზიას სიტყვათა "შეწმასნილობა" (იქვე, 3), ე. ი. რიტორიკულობა, ენაწყლიანობა, ხელოვნურობა ახასიათებდა, თვითონ ჩემულობს "მარტივად" მბობას და თავმომწონედ შენიშნავს(აქვე, 4):

ა

წ აწგამოჩნდების ლექსითა მიჯნურთა შესხმა-მკობანი.

მთარგმნელობითი ლიტერატურული საქმიანობის გასამართლებლად თეიმურაზს შეუმუშავებია თავისებური თეორია (ვ. ბ., 2; 3-4):

ჰმართებს, კაცმან კარგი ნახოს, მანცისგან გარდმოილოს,
უგბილმან და უგუნურმან ვერა რამე წამოილოს.

თავისი თეორიის შესაბამისად თეიმურაზს ქართულ ენაზე გადმოუღია სპარსულსა და აღმოსავლეთის ზოგიერთ სხვა ხალხთა ლიტერატურაში კარგად ცნობილი პოემები: 1. "ვარდბულბულიანი", 2. "შამფარვანიანი" (ანუ სანთელი და პეპელი), 3. "ლეილმაჯუნნიანი", 4. "იოსებზილიხანიანი". ეს პოემები თეიმურაზს ქართულად დაუმუშავებია. ეს იმას ნიშნავს, რომ პოეტს სიტყვასიტყვით არ უნდა ეთარგმნა შესაფერისი სპარსული დედნები. მას გამოუყენებია სპარსული სიუჟეტები, ამბავი სწორად გადმოუცია, ოღონდ ტექსტში თავისებურებანიც შეუტანია. ეს განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს "შამფარვანიანის" მაგალითზე. თეიმურაზის "შამფარვანიანი" თავიდან ბოლომდის ძლიერად არის გამსჭვალული ქრისტიანული

აღმსარებლობის სულით. დაახლოებით იგივე შეიძლება ითქვას სპარსულიდან მომდინარე თეიმურაზისეული სხვა პოემების შესახებ. თეიმურაზი ემიჯნება პოემებში გამოხატულ სარწმუნოებრივ სინამდვილეს და წყევლა-კრულვასაც უთვლის მუსლიმანობას.

მაინც დიდი სიფრთხილით უნდა მოვეპყრათ თეიმურაზის თავისებურებათა საკითხს. უმნიშვნელო არ არის ის გარემოება, რომ "ლეილმაჯუნუიანს" (ისე როგორც სპარსულიდან მომდინარე სხვა თხზულებებს) თეიმურაზი ჩვეულებრივ თარგმანს უწოდებს. "ლეილმაჯუნუიანის" შესავალში ნათქვამია (1, 4): "ხელვჰყო წიგნებსა სპარსულსა ქართულად მეთარგმნელობით". ბოლოსიტყვაშიც თეიმურაზი გადაჭრით აცხადებს (250, 1): "უწყის ღმერთმან, ყველა ვთარგმნე, რაც სპარსთაგან მომესმინა". ერთგან, შესავალ ნაწილში (5, 1), ქართველი პოეტი თითქოს კონკრეტულადც ასახელებს თავის წყაროს: "ლეილ-მაჯუნუის ამბავსა შიხშეიდს დავეცილები", თუმცა სხვაგან ისევ ზოგადად შენიშნავს (131,1): "სპარსთა ძლივ თქვეს მისნი ჭირნი, აწ ვით ამბობს ჩემი ენა"; "მათ შეწმასნილთა სიტყვათა მინდა მარტივად მბობანიო," კვლავ ზოგადად ურთავს (4, 3).

ამგვარად, ზოგ შემთხვევაში თეიმურაზი ასე თუ ისე ასახელებს კონკრეტულ პირს, რომელსაც თითქოს შეჯიბრებია (დაცილებია) ლეილისა და მაჯუნუის ამბის გალექსვაში, სხვაგან კი თავის წყაროს მრავლობითი რიცხვით გვიმოწმებს ("სპარსთაგან მომესმინა", "სპარსთა ძლივ თქვეს" და სხვ.). არც ის არის უმნიშვნელო, რომ თეიმურაზი თითქოს გვიდასტურებს სპარსული წიგნებით სარგებლობის ფაქტსაც ("ხელვჰყო წიგნებსა სპარსულსა ქართულად მეთარგმნელობით"), ხოლო სხვაგან ლაპარაკობს მონასმენის თქმასზე ("უწყის ღმერთმან, ყველა ვთარგმნე, რაც სპარსთაგან მომესმინა"). აღნიშნულის თაობაზე უფრო გარკვევითაა თქმული პოემის დასასრულში (270, 1-2):

სიტყვათა შეთხზვნა-შეკაზმვა მელექსეს ჰმართებს, მგონია,
თვარ, უწყის ღმერთმან, უსმენლად არა რა მომიგონია.

უნდა ვერწმუნოთ პოეტის აღიარებას. თეიმურაზი უთუოდ მწიგნობრულ ნიადაგზე იცნობდა "ლეილმაჯუნუიანის" შინაარსს. ეს პოემა ქართულად დაუმუშავებია ისე, რომ სიუჟეტური მოტივები არ მოუგონია და არ შეუთხზავს. ამ მხრივ ქართველი ავტორი სისწორით უნდა იმეორებდეს თავის წყაროს (თუ წყაროებს). თეიმურაზის თავისებურება ისაა, რომ ქრისტიანული სარწმუნოებრივი "ჩაღბი" გაუკრავს უცხოური წარმომავლობის პოემისათვის, გამიჯვნია აშკარა მუსლიმანურ ტენდენციას, წყევლა-კრულვით მოუხსენიებია მაჰმადიანობის წმინდათა-წმინდა ადგილები (ქალბალა, მაქა, მადინა) და მაჰმადიანური კულტის მსახურები. ერთი სიტყვით, თეიმურაზს სისწორით გადმოუცია "ლეილმაჯუნუიანის" შინაარსი, ოღონდ იდეურ-სარწმუნოებრივად იგი შეუგუებია ქართული სინამდვილისათვის. რასაკვირველია, თეიმურაზს ეროვნულ-ქართული პოეტური სამკაულებითაც საკმაოდ მოურთავს სპარსული პოემა. დასასრულ, პოემას დართული აქვს მრავალმხრივ საინტერესო ორიგინალური პროლოგ-ეპილოგი.^[15]

"ლეილმაჯუნუიანის" თაობაზე თქმული თავისუფლად შეიძლება გავრცელდეს თეიმურაზის მიერ გადმოღებულ სხვა პოემებზედაც. ყველა ნათარგმნი პოემის

პროლოგ-ეპილოგში თეიმურაზი დიდ სინანულს გამოთქვამს, რომ სული დაიზიანა და ღვთისაგან გულმხურვალედ ითხოვს შენდობას.

თავისი თარგმანებით თეიმურაზმა ქართველი მკითხველი საზოგადოების ერთ ნაწილს გაუცხოველა ინტერესი სპარსული მწერლობისადმი. ოთხი ნათარგმნი პოემიდან სამი ("ვარდულბულიანი", "მამფარვანიანი", "ლეილმაჯუნიაანი") სუფისტური მისტიციზმის დაღს ატარებს. პოემებში ის აზრია განვითარებული, რომ ამქვეყნად შეუძლებელია სიყვარულის ნიადაგზე ბედნიერების მიღწევა.

ამქვეყნად გაწეული ტანჯვისათვის და საკუთარი მეობის უარყოფისათვის შეყვარებული საიქიო ქვეყანაში მიიღებს ჯილდოს, ლხენას, სატრფოსთან შეერთებასო. ყაისი სიყვარულის გამო გახელდა, ადამიანური იერი დაკარგა, სალოსი გახდა და თითქოს ნამდვილ მხეცად იქცა, სამაგიეროდ მან დაიმსახურა იმქვეყნიური ბედნიერება. სიყვარულს მსხვერპლად შეეწირა გრძნობიერი ბულბული და პატარა ფარვანა (პეპელა). დასახელებული პოემების მიხედვით, მხოლოდ სიკვდილის გზით შეიძლება სიყვარულის უკვდავების დამტკიცება. სიყვარული სიკვდილის შემდეგ იძლევა ნაყოფს, სიყვარულის წადილის დაკმაყოფილება მხოლოდ სიკვდილის შემდეგ ხორციელდება. ასეთი პესიმისტური იდეით არის გამსჭვალული სუფისტური თეოსოფია. სუფიზმი უარყოფს სიცოცხლის რეალურ სიამტკბილესა და ბედნიერებას, სუფიზმი ცხოვრებიდან გაქცევის ფილოსოფიაა, სუფისტური მსოფლმხედველობა უკიდურესი ასკეტიზმის გამოხატულებაა, პასიური მჭვრეტელობის, მცონარეობის იდეალიზაციაა. სუფიზმი პრინციპულად უარყოფს ადამიანის საზოგადოებრივ დანიშნულებას, მოქმედებას, ბრძოლას, ადამიანის საამქვეყნო იდეალებს. სუფიზმი ეწინააღმდეგება ქართველი ხალხის შეგნებას. სუფიზმი უარყოფს ადამიანური სიცოცხლის იმ დიდებულ ჰიმნს, რომელსაც ასე წარმტაცად უმღერა რუსთველმა. თეიმურაზმა გადაუხვია რუსთველური პოეზიის იდეურობას, თავისი პოემებითმან ნებსით თუ უნებლიეთ ქართველ მკითხველ საზოგადოებას მიაწოდა სუფისტური მსოფლმხედველების ბანგი. ამას გრძნობდა პოეტი და ამიტომაც იყო, რომ ასე გულმოდგინედ თხოულობდა პატიებას "უსარგებლოდ თქმული" "ლაცაბის"გამო.

საყურადღებოა, რომ თეიმურაზმა არა მარტო ნათარგმნი პოემებით გამოხატა მისტიკურ-სუფისტური განწყობილებანი; მისი საკუთარი სატრფიალო ლირიკაც დავალებულია სუფისტური განწყობილებებით. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ თეიმურაზი უსაზომო თავდავიწყებით ამკობს თავის სამიჯნურო ფიქციას, რომ პოეტი თითქოს მიჰყოლია სწორედ სალოსადქცეული "მაჯუნის წანავალსა და ნაგზევს". თეიმურაზის სატრფიალო განწყობილებანი უფრო მწიგნობრული რეზონერობის, ანუ სპარსული სუფისტურ-მისტიკური პოეზიის გავლენის ანარეკლია, ვიდრე უშუალო მგრძნობელობის გამოხატულება.

"იოსებზილიხანიანი" არ არის სუფისტური ნაწარმოები, მაგრამ ამ პოემაში ის აზრია განვითარებული, რომ ნამდვილი სიყვარული იბადება მეუღლეობის გარეშე. ზილიხანი იყო აზიზი მისრელის ცოლი, როდესაც მან გაგიჟებით შეიყვარა თავისივე მონა (ყული). ზილიხანი ფარულად სიძვას აპირებდა თავის მიჯნურთან. იოსები ვითომც დედად თვლიდა თავისი პატრონის მეუღლეს და მას ერთხანს შორს ეჭირა თავი, ბოლოს ის მაინც ჩაითრია საცთურმა. წადილის ჟინით შეპყრობილ ზილიხანს "ყმამ შეხედნა ტბილად რამე, ეშყი გულსა აუდუღდეს"; "შიში მკლავს და მე სირცხვილი, თვარე შენთვის ვით არ მსურდესო", უთქვამს და ვნებით ჩახვევია თავის "დედობილსა:"

ესე თქვა და მოეხვია, მათი კოცნა სულად ღირდეს (214).

მხოლოდ შემთხვევითმა გარემოებამ შეუშალა ხელი შეყვარებულებს დამტკბარიყვნენ აკრძალული ხილით. "იოსებზილიხანიანის" სიუჟეტი ნაწილობრივ ემყარება ბიბლიურ გადმოცემებს (ეს ამბავი მთხრობილია ყურანშიც). თეიმურაზი დაუფარავად აღნიშნავს თავის პოემაში:

ხელით ქმნილნი ეგვიპტისა ს ა ღ მ რ თ ო წ ი გ ნ მ ა ნ მოგახსენა (189,2).

მათ საქმესა ს ა ღ მ რ თ ო წ ი გ ნ ი მოკლედ ამბობს, და ბ ა დ ე ბ ა (308, 8,1).

თავის ადგილას მოგვიხდება საუბარი იმის შესახებ, რომ თეიმურაზს მისმა მოწინააღმდეგეებმა არ აპატიეს ს ა ღ ვ თ ო წ ე რ ი ლ ი ს "სამეძაოდ გალექსვა."

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ სპარსული პოეზიის გავლენა თეიმურაზის ორიგინალურ ლირიკასაც ემჩნევა. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა "მაჯამა", რაც ქართულ პოეზიაში ორგვარი მნიშვნელობით იხმარება: პირველი მნიშვნელობით მ ა ჯ ა მ ა ო მ ო ნ ი მ ი ს შესატყვისი ტექნიკური პოეტიკური ტერმინია; მეორე მნიშვნელობით მ ა ჯ ა მ ა გარკვეული ხასიათის ლ ე ქ ს ე ბ ი ს კ რ ე ბ უ ლ ი ა გარკვეული ჟანრის ნაწარმოები. ო მ ო ნ ი მ უ რ ი ლექსები ბლომად მოიპოვება თეიმურაზის ყველა თხზულებაში, ორიგინალურშიც და ნათარგმნშიც. ომონიმური მაჯამის ნიმუშად შეიძლება ავიღოთ ჩვენთვის უკვე ნაცნობი სტროფი:

რად, სოფელო, სხვა არ დასწვი ჩემებრ, მე მქენ და ს ა დ ა გ ე?

გლახ, ლახვარი სასიკვდინე ყველა მე მკარ, და ს ა დ ა გ ე!

დამიკარგე მე, ასული, ძმა, არ ვიცი და ს ა დ ა გ ე,

სხვა ნაყოფი მათებრ ტურფა რა აშენე და ს ა დ ა გ ე?

მოყვანილი სტროფის ყველა ტაეპი დაბოლოებულია ერთი და იმავე სიტყვით ან ერთი და იმავე სიტყვათა კომპლექსით. ესაა და ს ა დ ა გ ე. გამოთქმით, ბგერული გამოხატულებით "დასადაგე" ერთგვარია, შინაარსით კი ის ყველგან სხვადასხვაა. პირველ ტაეპში დასადაგე ნიშნავს და ს ა წ ვ ა ვ ს, და ს ა დ ა გ ა ვ ს. მეორე ტაეპში პოეტი სოფელს უჩივის, ყველა სასიკვდინე ლახვარი მე მკარ, და ს ა დ (ჯგუფად, გუნდად) შ ე წ ყ ო ბ ი ლ ი ო. მესამე ტაეპით პოეტი წუხს იმის გამო, რომ სოფელმა მას დაუღუპა მე, ასული, ძმა, არ ვიცი, თუ და ი ს ა დ წ ა ი ყ ვ ა ნ ე ო . მეოთხე ტაეპში პოეტი სოფელს ეკითხება, მათსავით ტურფა ნაყოფი სხვა რა შეგიქმნია? (აგიშენებია) და ს ა დ ა გ ი გ ი ა ო.

როგორც კრებული, მ ა ჯ ა მ ა თავისებური ლირიკული პოემაა. მ ა ჯ ა მ ა შ ი გაერთიანებულია სევდიანი განწყობილების გამომხატველი, სატრფიალო და მოსალხენი ლექსები, აგრეთვე ხოტბები. ასეთია თეიმურაზის მ ა ჯ ა მ ა. გარდა მელანქოლიკური და სამიჯნურო განწყობილების გამომხატველი ლექსებისა, აქ არის ორი სპეციალური კარი: "გაბაასება ღვინისა და ბაგისა", "ქება და მკობა ხელმწიფის ალექსანდრესი და დედოფლის ნესტან-დარეჯანისა" მ ა ჯ ა მ ი ს შემადგენელი ნაწილები შეიძლება წარმოადგენდეს მთლიან დამოუკიდებელ ნაწარმოებს (როგორც დასახელებული ორი კარი), შეიძლება ეს ნაწილები გამოკრებილი იყოს ავტორის სხვადასხვა თხზულებიდან. ოღონდ გამოკრებილი ტექსტები ჩვეულებრივ ომონიმური სიტყვებით უნდა იყოს გაწყობილი. მაშასადამე, მაჯამა არის გარკვეული

მოტივების შემცველი გამონაკრები ომონიმური ლექსების კრებული. ამდენადვე ავტორის შემოქმედების დასახასიათებლად მ ა ჯ ა მ ა ს დამოუკიდებელი მნიშვნელობაც აქვს და ის იმავე

ავტორის სხვა ნაწარმოებთან ნაწილსაც შეადგენს. ნაკრები ტექსტების გარდა თეიმურაზის მ ა ჯ ა მ ა ს უძღვის შესავალი (სამი სტროფი) და ერთვის ბოლოსიტყვაობა (2 სტროფი). თეიმურაზი თვითონ აცხადებს, რომ მ ა ჯ ა მ ა არის ცალკე წ ი გ ნ ი, თუმცა პატარა წიგნი ("ყოვლის წიგნისა უმცროსი, ჩანს მათი უფლისწულები"), რომელშიც თავმოყრილია "ლექსი აქა-იქ (ე. ი. სხვადასხვა ადგილას) თქმულები". ეს "აქა-იქ" ნათქვამი ლექსები ან "წიგნები გამოკრებული" ერთად მოიხმარებაო.

მ ა ჯ ა მ ი ს ღირსება ომონიმური სიტყვების ოსტატური შერჩევას. მოხდენილი, გამომეტყველი, შინაარსიანი ომონიმები მ ა ჯ ა მ ა ს ამშვენებს. ზოგჯერ პოეტი ამ მიზნით ნამდვილ ვირტუოზობას აღწევს. მაგრამ ყოველი ენა განსაზღვრულია ომონიმური სიტყვების მარაგით. მთელი თხზულების ომონიმური ლექსებით გამართვა მეტად ძნელი საქმეა. ამიტომაც ავტორი, კერძოდ, თეიმურაზი, იძულებული ხდება დაარღვიოს სიტყვების ბუნებრივი წყობა. პოეტი იგონებს ხელოვნურ ფორმებს, არღვევს გრამატიკულ წესებს, სესხულობს უცხოურ, სრულიად გაუგებარ სიტყვებს, იყენებს არქაულ ლექსიკას. ერთი სიტყვით, ომონიმების მისაღებად პოეტი ხერგავს მშობლიურ ენას ბარბარიზმებით, უმართებულო ნეოლოგიზმებით, დიალექტიზმებით, არქაიზმებით. მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს:

ჭირნი მოვლენ მუდამ ჩემთვის დაუკლებრად ა მ ა ს ა ლ ა (მაჯამა, 715 18).

ს ა ლ(სალა) სპარსული სიტყვაა, ნიშნავს წელიწადს, ამ წელს, ამ წელიწადს დაუკლებლად მეხვევა ჭირნიო. ს ა ლ ა პოეტს დასჭირდა ძლიერ ხელოვნური ომონიმური სიტყვის (ამასალა-ს) მისაღებად. საგულისხმო ისაა, რომ თეიმურაზს დაუმახინჯებია თვითონ სპარსული ფორმა ამ სიტყვისა (სალ). "ვინ მზეს ნახავს, მას დასახავს, იტყვიან, თუ: ალვის ხ ი ა" (იქვე, 7111, 25). ომონიმური რითმისათვის თეიმურაზი აქ ამახინჯებს სიტყვის ქართულ ფორმას. თეიმურაზის სხვა ნაწარმოებებშიც არაიშვიათად გხვდება შეუწყნარებელი ფორმები, დამახინჯებული თუ უცხოურიდან პირდაპირ ნასესხები სიტყვები მაგალითად:

ქალაქს შემოვა, ციხისა კართა გაღებად დ ა რ ა კ ა^[16]
(=დარეკა).

შეატყო, არას არგებდა მას შეგონების წ ა მ ა ლ ე^[17]
(=წამალი).

ჭმუნვით ქებას მით შეგასხამ მეცნიერთთა მწყობრთა
დ ა ს ე^[18] (=დასო)

ჰო მე, რითა მაქვს *მედი, რომ გამომიხსნას ი ს ა მ ა ნ^[19]
(=იესო ქრისტემ).

დაღამდეს, ხენი მოსანთლონ, იქმოდნენ ჩ ი რ ა ხ ო ს ნ ე ბ ს ა^[20]
(=ილუმინაციებს).

მ ა ჯ ა მ ა ს ენა მძიმე, რთული, ხელოვნური ენაა. მაჯამაში თვითმიზნადაა

ქცეული გაუგებარი სიტყვების შერჩევა აზრის გასაზრუნველად. თეიმურაზი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ მისი მაჯამური ლექსი საჭიროებდა სპეციალურ ამოხსნას, "თარგმანებას" (მაჯამა, 3, 3):

იკითხვიდენ და თარგმნიდენ, ლხინი ვერ შეედარება-ო.

მაშასადამე, მაჯამა თავისებური თავსამტვრევი პოეტური რეზუსია, ამოსაცნობი და გასაშიფრავი პოეტური შარადა. მ ა ჯ ა მ ა მანიშნებელია შიშველი ფორმით გატაცებისა. საზოგადოდ პოეტური ნაწარმოები მკითხველს გარკვეულ იდეებს უნერგავს და ესთეტიკურ სიამოვნებას აგრძნობინებს ნათელი აზრით და ამ აზრის გამომხატველი სადა მხატვრული ფორმით. მ ა ჯ ა მ ა პირიქით, მოწოდებულია ხელოვნური, გართულებული ფორმით შენიღბოს და დააბნელოს ტექსტის აზრობრივი მხარე.

როგორც ომონიმური ხერხი, მ ა ჯ ა მ ა უცნობი არ ყოფილა ძველი ქართული პოეზიისათვის. მოხდენილი ომონიმური სტროფები გვხვდება "ვეფხისტყაოსანში". ომონიმურ ხერხს ხშირად მიმართავდნენ მეხოტბეები- ჩახრუხაძე და შავთელი. თეიმურაზის პოეზიაში მაჯამას აქვს თვითმიზნური დანიშნულება, თეიმურაზმა შექმნა მაჯამის ნამდვილი კულტი. მაჯამებით გატაცების წყაროდ ის ასახელებს სპარსულ პოეზიას (მაჯამა, 2, 3):

ლექსთა ღარიბთა, უცხოთა, რომელ არს გამოკრებული,
მომინდა წერა ამისთვის: არ იქმნას დავიწყებული.
ს პ ა რ ს უ ლ ა დ ჰქვიან "მაჯამა", -შეყრილად ითარგმანება.

თავისთავად მაჯამა არ არის საკუთრივ სპარსული მოვლენა^[21], მაჯამურ(ომონიმურ) ხერხს იცნობს ყველა ქვეყნისა და ყველა ხალხის პოეზია, მაგრამ თეიმურაზის მოწმობა სწორია იმ ხრივ, რომ XV-XVIIსაუკუნეების სპარსულ პოეზიაში სწორედ ხელოვნური, მაჯამური და სხვა ამოსაცნობი ტიპის ლექსებმა მოიპოვა გაბატონებული მდგომარეობა. პროფ. ე. ბერთელსი აღნიშნავს, რომ მთლიანად. ომონიმურ რითმებზეა გაწყობილი, მაგალითად,ქ ა თ ი ბ ი ს ა და მ ა ვ ლ ა ნ ა შ ი რ ა ზ ე ლ ი ს (გარდ. 1535/6 წ.) პოემები. ამ პოემების ლექსებში გამოყებებულია განსაკუთრებული სირთულის"ტექნიკური ხრიკები" (технический трюк), რითაც ტექსტის აზრის გაგება გაძნელებულია.^[22]

XV-XVIIსაუკუნეების სპარსელმა და სპარსულ ენაზე მწერალმა აღმოსავლეთის სხვა ქვეყნების რიგმა პოეტებმა უაღრესობამდე გაართულეს პოეტური ენა, პოეზიის რეზუსებისა და შარადების ხასიათი მისცეს, ლექსებისაგან შექმნეს "თავსამტვრევი ფოკუსები". "ფოკუსების" ხერხზე აგებულ ლექსებში, რა თქმა უნდა, შინაარსობლივ მხარეს ძალიან ნაკლები ყურადღება ექცევა. კერძოდ, იმ ტიპის ლექსები, როგორცაა "მუამმა", სრულიად დაცლილია შინაარსისაგან. იქ მთელი ინტერესი გადატანილია მისანიშნებელი აზრის ამოცნობაზე, პოეტური ხრიკის გახსნაზე. "Составление и разгадывание муамма превратилось в целую сложную схоластическую науку со своими приемами и специальной терминологией"ამბობს ბერთელსი, აქ უნებლიეთ მოგვაგონდება თეიმურაზის სიტყვები: "იკითხვიდენ და თარგმნიდენ, ლხინი ვერ შეედარებაო". მუამმა არ არის ნორმალური ლექსი, მუამმაში ფორმა არათუ გაბატონებულია შინაარსზე, არამედ შინაარსი საზოგადოდ აღარ არის ანგარიშში მიღებული. იმავე ბერთელსის სიტყვებით: "Муамма ясно отражает всю основную

тенденцию литературы века: через постепенное усложнение техники довести изощрённость формы до последнего предела, полностью ликвидировав содержание. В муамма содержание окончательно сведено к нулю. Здесь нет ни мысли, ни чувства, осталась одна голая игра словами, даже частями слов и только. Уходя в муамма, литература совершала самоубийство, обрекая себя на полную утрату какой-либо общественной ценности."^[23]

ასეთ სათამაშო და გასართობ პოეზიას აყოლილი იყო უქნარა არისტოკრატიული საზოგადოება. ფორმალისტურ ვარჯიშობას თავი ვერ დააღწია ისეთმა იდეურმა პოეტმაც კი, როგორც იყო ნ ა ვ ო ი. ფორმითა და ხელოვნურობით გატაცება საერთო მოვლენაა შუა აზიისა და ირანის ხალხთა ლიტერატურაში XV-XVI საუკუნეების მანძილზე.

თეიმურაზი აღიზარდა სპარსეთში. ის გაწაფული იყო სპარსულ ენასა და სპარსულ პოეზიაში. მომავალი ქართველი პოეტი მოხიბლა და გაიტაცა იმდროინდელი სპარსული პოეზიის ენაწყლიანობამა და ხელოვნურმა პოეტურმა ხერხებმა. აღზრდამ, საზოგადოებრივმა და ლიტერატურულმა გარემომ, ყველაფერმა ხელი შეუწყო იმას, რომ თეიმურაზის პოეზიაში აღბეჭდილიყო ეპოქის ლიტერატურული ტენდენციები. ეს ტენდენციები კი ფორმას აძლევდა უპირატესობას შინაარსთან შედარებით, გართულებულ, გახელოვნურებულ ფორმას. ეს ტენდენცია ამკარად დასტყობია თეიმურაზის შემოქმედებას. თეიმურაზიც წერს სათარგმანებელსა და ამოსაცნობ ლექსებს, ზოგჯერ ისიც თვითმიზნურად აბუნდოვანებს ლექსის აზრობრივ მხარეს, თავსამტვრევ ამოცანებს უსახავს მკითხველს. ცხადია, რომ თეიმურაზი უთუოდ განიცდის სპარსული პოეზიის გავლენას, ის მართლაც გულწრფელად იყო აღტაცებული ამ პოეზიით და თავის აღტაცებას არც მალავდა ("სპარსთა ენისა სიტკბომან მასურვა მუსიკობანი"ო).

ოღონდ თეიმურაზი შერჩა პოეზიის ხერხების გართულების პირველ საფეხურს. მას არ მიუყვანია პოეზია თვითმკვლევლობამდის, მას არ უარუყვია ლექსისათვის აზრისა და შინაარსის მნიშვნელობა. თეიმურაზი მაჯამაზე (ომონიმურ ხერხზე) შეჩერდა, მისთვის უცხოა "მუამმას" ტიპის ფოკუსური ლექსები. მ ა ჯ ა მ ა ა თეიმურაზის პოეზიის ნიშანდობლივი პოეტური ხერხი, თეიმურაზის პოეტური ენის სტიქია. პოეტმა იოსებ გრიშაშვილმა მოხდენილად უწოდა თეიმურაზს "მაჯამის ამირბარი".

თავის ადგილას უკვე აღვნიშნეთ, რომ თეიმურაზმა სპარსულიდან ქართულად გადმოიღო რამდენიმე პოემა. ახლა გარკვეულია, რომ იმ პოემების წყარო არ ყოფილა სპარსული კლასიკური პოეზია. თეიმურაზი სარგებლობდა, ასე ვთქვათ, სპარსული პოეზიის დეკადანსური პერიოდის ძეგლებით. კერძოდ, "ლეილმაჯნუნის" პროტოტიპი შეუძლებელია შექმნილიყო ცნობილ სულთან ჰუსეინ ბაიყარას (1469-1506) დროზე, ე. ი. მე-16 საუკუნის დასაწყისზე ადრე;^[24] "ლეილმაჯნუნის" პირდაპირ არის ეს სულთანი დასახელებული (სტროფი 88-ე). მართლაცდა, სპარსული საღაღობო-ფორმალისტური პოეზია სწორედ მე-15-17 საუკუნეებში ჰყვარდა.

სპარსულით გატაცება ძლიერ ეტყობა თეიმურაზის ლექსიკას. არა მარტო ნათარგმნ თხზულებებში, არამედ ორიგინალურ პოემებსა და ლექსებში თეიმურაზი ანგარიშიუცემლად ხმარობს წმინდა სპარსულ სიტყვებს. როგორც ვიცით, ქართველ პოეტს ერთგან იესო ქრისტეს სახელიც კი არაბულ-სპარსული ფორმით (ისა) გამოუხატავს. თეიმურაზს რამდენიმეჯერ და თავისუფლად აქვს გამოყენებული სპარსული სიტყვა "გემტ", რაც ნიშნავს სიარულს, სეირნობას, გავლას. ასე, მაგალითად: "ადარ უნდა ბაღჩას გ ე შ ტ ი, არც ლხინი და არც შექცევა" (ლ. მ., 137, 4);

"ვა, წალკოტს მისი გ ე შ ტ ი და ბაღჩას რომ მიერხეოდა" (იქვე, 196, 3); "მან ხათუნნი წაიტანა, გ ე შ ტ-ს ა ს ე რ ნ ო დ წაეყარა" (ი. ზ., 124, 1).

უკანასკნელ მაგალითში თეიმურაზს საგანგებოდ აღუნიშნავს "გეშტის" შესატყვისი სიტყვაც (გეშტ-სასერნოდ). "ვარდბულბულიანში" ეს სიტყვა "გეშტ" თეიმურაზს მოჰყავს რითმისათვის, რის გამოც მის წესიერ ფორმას არღვევს(68, 4):

შენთვის ვიძხაი, შენს მეტი სხვა გზა არ ვიცი გ ე ჩ ი ტ ი.

"გაზაფხულისა და შემოდგომის გაბაასებაში" გვხვდება სიტყვები "ხაზალი" (შემოდგომა), "ფასლი" (დრო, სეზონი), "შაარი" (ქალაქი) და სხვა (იხ.სტროფები 19, 2; 22,2; 47-2). საგულისხმოა, რომ აქაც თეიმურაზი მიმართავს სინონიმური პარალელიზმის ხერხს ("დრო-ფასლი", დიდნი "ქალაქნი-შაარნი"). ქართული ტრანსკრიფციით გადმოცემული სპარსული სიტყვები სხვაც ბევრია თეიმურაზის ლექსებში, განსაკუთრებით სპარსულიდან გადმოღებულ პოემებში. მაგრამ მოყვანილი მაგალითებიც კმარა ამ საკითხის გასარკვევად.

თეიმურაზს შეუთხზავს გაბაასების ჟანრის ორი ორიგინალური თხზულება:

1. გაბაასება გაზაფხულისა და შემოდგომისა, 2. გაბაასება ღვინისა და ბაგისა.

გაბაასების ჟანრის ნაწარმოებებს უახლოვდება, თუმცა გაბაასების სრულყოფილი ტიპისა არ არის, თეიმურაზის მიერ სპარსული ენიდან გადმოღებული პოემები: "ვარდბულბულიანი" და "შამფარვანიანი". "გაბაასების" ჟანრის თხზულებანი ძველთაგანვეა ცნობილი ქართულ ფოლკლორში და მისი ჩანასახი ადრინდელ ლიტერატურულ ძეგლებშიც გვხვდება, მაგრამ ეს ჟანრი ქართულმწერლობაში არსებითად შემოიტანა, გაარცელა და განამტკიცა თეიმურაზ პირველმა (ამ მხრივ თეიმურაზს ბევრი წამბამძველი აღმოუჩნდა ე. წ. აღორძინების პერიოდის მწერლობაში). არავითარი ეჭვი არ არის, რომ "გაბაასების" ჟანრითაც თეიმურაზი სპარსული მწერლობისაგან არის დავალებული. ეს ჟანრი ძალიან გავრცელებული იყო სპარსულ მწერლობაში, კერძოდ, XV-XVI საუკუნეების სპარსულსა და შუა აზიის ხალხთა მწერლობაში. გაბაასებას სპარსულად მ უ ნ ა ზ ა რ ე ეწოდება, ევროპულ ლიტერატურაში ეს ჟანრი ცნობილია ტ ე ნ ც ო ნ ე ბ ი ს სახელწოდებით.

დაუსაბუთებელია დოც. ბ. ქიქოძის მოსაზრება, თითქოს გაბაასების ჟანრის წყაროდ თეიმურაზმა გამოიყენა ქართული ხალხური სიტყვიერება და (ნაწილობრივ) ძველი ქართული სასულიერო მწერლობა.^[25] დოც. მ. მახათაძის სიტყვით კი ვითომც "ვარდბულბულიანს", "შამფარვანიანს", "ლეილმაჯნუნიანსა" და "იოსებზილიხანიანს" "არაფერი აქვთ საერთო თეიმურაზის პირად ცხოვრებასთან, მ ი ს ს ა კ უ თ ა რ ს უ ლ ი ე რ ს ა მ ყ ა რ ო ს თ ა ნ"^[26]. რა თქმა უნდა,

თუ "სულიერ სამყაროდ" მივიჩნევთ მარტოოდენ სარწმუნოებრივ-აღმსარებლობითს გრძნობას, მაშინ სწორი იქნება ეს მოსაზრება. მაგრამ ეს ასე არ არის. დასახელებულ პოემებს თეიმურაზი იმიტომ ამუშავებდა, რომ ისინი სავსებით შეეფერებოდნენ მის ლიტერატურულ გემოვნებას და ეხმაურებოდნენ მის პოეტურ გულისთქმას. ამას თეიმურაზი აღიარებს სრულიად გამოტეხილად(ვ.ბ.,93):

თქვას თუ ვინმე, რა არისო ცუდს საქმეზედ სიტყვის გარჯა,
ესეც მითხარ, რა დამაკლდა, ანუ რამცა დამეხარჯა?

რიტორი ვარ, მსურის სიბრძნე, თვარ მომადგა ვისგან ბარჯა?

სამიჯნურო პოემები თეიმურაზს ერთგვარად უმსუბუქებდა თავზე დატეხილი უბედურების სიდუხჭირესა და სულიერ დეპრესიას. სალადობო პოეზია ესალბუნებოდა პოეტის მწუხარე გულს, "ცოტა რამ უკუვიყარე, სევდა ვქენ განათხელებიო" (შ. ფ., 15, 4). უცხოური პოემების გადმოქართულებით თეიმურაზი იკლავდა სულიერ წყურვილს და გულს "არ იღამებდა" (შ. ფ., 13).

საცილობელი არ არის, რომ თეიმურაზი შეეცადა მშობლიურ მწერლობაში დაენერგა სპარსული ლიტერატურის ტრადიციები. ამავე დროს მის შემოქმედებაზე უცილობელ გავლენას ახდენს კლასიკური პერიოდის ქართული ლიტერატურა, უწინარეს ყოვლისა, რუსთველი. მცირეოდენი გამონაკლისით თეიმურაზის თხზულებანი დაწერილია რუსთველური შაირით (ზოგჯერ იყენებდა ჩახრუხაულ მეტრსაც). თეიმურაზის ლექსებში იგრძნობა რუსთველის პოეტური ენის რემინისცენციები. თეიმურაზს გამოყენებული აქვს რუსთველის პოეტური ენის სპეციფიკური თავისებურებანი. ასე, მაგალითად, რუსთველი.ს ზემოქმედების შედეგად თეიმურაზის ლექსებში გვხვდება ე. წ. კონტრასტული პარალელიზმის მაგალითები:

სრულა შემოკრბნეს არაზნი სალხინოდ, არა კვნესითა (ლ.მ., 16,2)
ქალმა უთხრა მას პასუხი ტურფა რამე, არა ცუდი (იქვე, 31, 1).
ჰკვრენ ათასფერნი მუტრიბნი, არ ცუდი გუდა-სტვირები (იქვე, 98, 3).
იგ ატირდა გულ-მდუღარედ, მწარედ სულთქნა, არ თუ ღიმდეს (იქვე, 143, 3).
მიიწიყნეს სამარხოსა, ტირან, ყვირან, არ თუ მღერდეს (იქვე, 222, 1).
ხმა იყო მწუხარებისა, არ თუ ნალარა, სტვირები
(იქვე, 235, 4).
გვარჯასპისშვილმან მსახურა, არ ხუცესმან და ბერმანო
(ქეთ., 72, 3).

თეიმურაზი არაიშვიათად იმეორებს რუსთველის სახეებს, გამოთქმებს, შედარებებს, საერთოდ რუსთველის სიტყვიერ და სახეობრივ აქსესუარებს. მოვიყვანთ რამდენიმე სანიმუშ.ო პარალელურ მაგალითს.

1. ფარვანა ეუბნება სანთელს (38, 1):
გ უ ლ ი, ც ნ ო ბ ა დ ა გ ო ნ ე ბ ა წამართვი ჩემო მზეო, და.
მდრ. "ვეფხისტყაოსნის" ტექსტი (848, 1):
გ უ ლ ი, ც ნ ო ბ ა დ ა გ ო ნ ე ბ ა ერთმანერთზედა ჰკიდიო.
2. მაგრამ დ ა მ შ ლ ი ა ნ კ ა ვ შ ი რ ნ ი, მაჯა ველარ იქს ძგერასა (ლ. მ., 80, 4)
დ ა მ შ ლ ი ა ნ ჩ ე მ ნ ი კ ა ვ შ ი რ ნ ი, შევრთვივარ სულთა სირასა (ვ. ტ., 884, 4
3. ოხრად დარჩების დიდება, ს ა ხ ლ ი, ს ა მ ყ ო ფ ი, ს რ ა ვ ე ბ ი(ლ.მ., 21ა 4)
ადრე მიყიდეს მეფისა ს ა ხ ლ ა დ, ს ა მ ყ ო ფ ა დ, ს ა რ ე ბ ა დ (ვ.ტ, 1539, 4)
4. ჩემთან ჯდომა მოინდომა, გ ა ვ გ უ ლ ი ს დ ი, წ ა ვ ე კ ი დ ე(ი. ზ., 223, 4).
გ ა ვ გ უ ლ ი ს დ ი: მოვიქნიე
მომეგონა, ოდეს ჩემსა საყვარელსა წ ა ვ ე კ ი დ ე (ვ.ტ., 912,3-4)
5. აჰა ჟამი, ვისაც უნდა ჩემი თანა წამოყოლა (ქეთ., 62.21
აჰა ჟამი, ვისცა გინდა ჩემი თანა წამოყოლა (ვ. ტ., 585. 4)
6. მივიდა, დაჯდა უშიშრად, ვითა ვეფხი და გმირია (ქეთ., 48, 1)

ადგა ასრე გულ-უშიშრად, ვეფხი იყო, ანუ გმირი^[27] (ვ.ტ., 1176, 2)

7. სოფლის მპყრობელნო, სოფელი მე ამაღ არა მიქია,
მსაჯულად დაჯდეს მესია, პირველ ქადაგა მიქია,
ცოდვანი ჩემნი გვემხილნენ, მაშინ რაღა ვპყოთ იქია
კაცს არ მიინდობს ბოლოს ჟამს, ამისთვის გამიქიქია (სოფ. სამდურავი, 15).
ჩემი აწ ცანით ყოველმან, მას ვაქებ, ვინცა მიქია;
ესე მიჩნს დიდად სახელად, არ თავი გამიქიქია:
იგია ჩემი სიცოცხლე, უწყალო ვითა ჯიქია
მისი სახელი შეფარვით ქვემორე მითქვამს, მიქია (ვ. ტ., 19).

ერთგან თეიმურაზი პირდაპირ იმოწმებს "ვეფხისტყაოსნის" ტექსტს (შდრ.,90, 1):

ვის სიცოცხლე მწარე ჰქონდეს, სიკვდილი თქვა შოთამ ტკბილად-ო

თეიმურაზს აქ ნაგულისხმევი აქვს ნესტანის წერილის ცნობილი ადგილი (1305,4):

თუ სიცოცხლე მწარე მქონდა, სიკვდილიმცა მქონდა ტკბილი.

თეიმურაზი ბევრჯერ, სპარსულიდან ნათარგმნ პოემებშიც კი, თავის პერსონაჟებს უდარებს "ვეფხისტყაოსნის" პერსონაჟებს. მაგალითად:

ვით დავარ ნესტან-დარეჯან, მან დაალურჯა ცემითა (ლ. მ., 72, 2).

სცემს უწყალოდ, ურიდებლად, ვით ინდოს ქალს დავარ დების (ი. ზ., 236,-1).

ცუდად გაჭეგენ თინათინ, ნესტან-დარეჯან და ვისო (მაჯამა, 71, 6,4).

"იოსებზილიხანიანის" შესავალში თეიმურაზს ვრცლად აქვს გადმოცემული "ვეფხისტყაოსნის" მთელი შინაარსი. "ვარდბულბულიანის" ვარდი თავმომწონედ უცხადებს ბულბულს(73, 3):

რუსთველმანც მაქო, შენც იცი, ეკლიანად და ძირადო.

რუსთველის ავტორიტეტს იმოწმებს თეიმურაზი სხვა შემთხვევაშიც (შედ.,7, 3):

რუსთველმანც თქვა, ნურვინ თქვასო სიტყვა ცუდად წასახდომი.

მოყვანილი მაგალითები აშკარად ცხადყოფს, რომ რუსთველი უცილობლად იყო თეიმურაზის პოეზიის შთამაგონებელი და გამანაყოფიერებელი წყარო. მით უმეტეს გაკვირვებას იწვევს თეიმურაზის კადნიერი განცხადება "მაჯამას" ბოლოსიტყვაობაში (1, 2-3):

ლექსი ჩემი სჯობს გვარად და ტკბილად სასმენლად ყურისა,
მაშინც რუსთველსა აქებენ, მე იმან გამაგულისა.

თეიმურაზი ბევრჯერ გაიძახის ამყად და გამომწვევი კილოთი:

გამისინჯეთ ლექს-ქართული, ერთმანერთსა მოვაბე რა! (ვ. ზ., 9,41).

ნამღვევი ვარ თუ ვინმე თქვას, ჩემებრ რამე განლექსული (იქვე, 4,3).

თეიმურაზს თავი მოჰქონდა მეფობით, რიტორობითა და მწიგნობრული განსწავლულობით. მას მიზნად დაუსახავს: "სიტყვათა შესხმა რიტორად, ენის სამკაულ მკობანი" (შამფარვანიანი, 66, 2). სხვაგან ასე გამოუხატავს პოეტის დანიშნულება (ლ. მ., 270, 1):

სიტყვათა შეთხზვა-შეკაზმვა მელექსეს ჰმართებს, მგონია.

"რიტორი ვარ, მსურის სიბრძნე-ო", ამბობს პოეტი და ურთავს: "ლექსი არსად დამეხვანჯა"-ო (ვ. ბ., 83, 3-4). ამასთან იგი მოწმედ იწვევს პოეზიის ყველა მოყვარულთ და "სიბრძნის ტრფიალთ" (ვ. ბ., 3, 1):

სცანით, სიბრძნისა ტრფიალნო, ძალნი სიტყვათა თქმულისა.

"იოსებზილიხანიანის" შესავალშიც ვკითხულობთ (4, 2.-3):

სიტყვა შევმზადო შაირთა, მართ ვითა ვარდის კონები,
ბრძენთაგან შესაწყნარები, ცნობილთა მოსაწონები.

თეიმურაზს მართლაც აქვს ბევრი კარგი მაჯამა (მაგალითად, "რად,სოფელო")და ბევრი მოხდენილი პოეტური გამოთქმა (მაგალითად, "დამეგრინა ბედი მრუდად"). თეიმურაზის პოეტური აქსესუარი არ არის ღარიბი, "გაზაფხულისა და შემოდგომის გაზაფხულებში" პოეტს საუცხოოდ აქვს დახატული ჩვენი ქვეყნის მდიდარი ბუნების ლამაზი სურათები. მაინც თეიმურაზის პოეზიაში ხშირად იპოვით "დახვანჯულ" ლექსს, კოჰლ (ნაკლულ, ტავტოლოგიურ) მაჯამას, გაუმართავ სტრიქონებს, უხეირო რითმებს. ამისდა მიუხედავად, მან უთუოდ მნიშვნელოვანი ბიძგი მისცა ახალი პერიოდის ქართულ ლიტერატურას, გაამდიდრა ამ ლიტერატურის ჟანრები, გაამრავალფეროვანა მისი შინაარსი. სოფლის სამღურავის გამომხატველი ლექსები თეიმურაზისა XVII საუკუნის ქართული პოეზიის დიდი მიღწევაა. ამ ლექსებს ნამდვილად ახასიათებს ავტორის ღრმა პოეტური მგრძობელობა, განცდების სიწრფელე, სიმძაფრე და უშუალოება. თავისა პოემით "წამება ქეთევან დედოფლისა" თეიმურაზმა რეალისტურად გამოხატა ქართველი ხალხის თავდადებული ბრძოლა თვითმყოფობისა და თვისუფლებისათვის ყიზილბაში დამპყრობლების წინააღმდეგ. "ქეთევან დედოფლის წამება" თავისებური სათავეა "აღორძინების პერიოდის" ქართული მწერლობის ისტორიულ-ნაციონალური (თუ ისტორიულ-პატრიოტული) მიმართულებისა. თეიმურაზმა გარკვეული გავლენა მოახდინა ძველი ქართული პოეზიის განვითარებაზე. ამ გავლენას ვერ აცდნენ ისეთი პოეტებიც კი, რომლებიც უარყოფდნენ თეიმურაზის შემოქმედებითს გზას. XVII-XVIII და ნაწილობრივ XIX საუკუნეების არა ერთი და ორი ქართველი პოეტის ლექსში უპოვია გამოძახილი "ვარდბულბულიანური" ტრფიალების კილოს და მაჯამური რითმების სამკაულებს.

[1] თეიმურაზის ბიოგრაფიის ვრცელი მიმოხილვა იხ. წიგნებში; თეიმურაზ პირველი, თხზულებათა სრული კრებული, თბილისი, 1934, გვ. 171 – 191; ალ. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II, თბილისი, 1940, გვ. 114 - 133.

[2] უკვდავთა დაღადეაანი, გამოცემა მ. ჯანაშვილისა, თბილისი, 1900, გვ. 124-126; ტრ. რუხაძე, ქეთევან დედოფლის უცნობი ლექსები (“ლიტერატურული გაზეთი”, 31. VIII. 56).

[3] ეს ამბები უდევს საფუძვლად ლევან გოთუას რომანს “გმირთა ვარამი”.

[4] ი. ცინცაძე, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (“მიმომხილველი, II, 1951).

[5] მოჰამედ თაჰერის ცნობები საქართველოს შესახებ. ტექსტი, თარგმანი და შენიშვნები ვ. ფუთურიძისა (მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი 30, თბილისი, 1954, გვ. 395, 397).

[6] საქართველოს ისტორია, I, 1958, გვ. 304; III, М. Асхиаи Я, Цинцадзе, Из историр руско-грузинских взаимоотношений, Тбилиси, 1958, გვ. 81.

[7] მოჰამედ თაჰერის ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 398.

[8] თეიმურაზ პირველი. თხზულებათა სრული კრებული, ალ. ბარამიძისა და გ. ჯაკობიას რედაქციით, თბ., 1934.

[9] ეს პოემა ისტორიული თვალსაზრისით ვრცლად აქვს განხილული ზ. ავალისძის (თეიმურაზ პირველი და მისი პოემა - წამება ქეთევან დედოფლისა, პარიზი, 1938). პოემის მხედვით, ქეთევან დედოფლის “გათათრება” შაჰ-აბასისაგან მინდობილი ჰქონია შირაზის ხანს. თეიმურაზი ქებათა-ქებას უძღვნის ამ ხანს (“შირაზის ხანის ქებასა ვერ იტყვის ბრძენთა ენები”... 32). იგი დიდი პატივით მოპყრობია ტყვე დედოფალს. ზ. ავალიშვილმა გაარკვია, რომ შირაზის გავლენიანი ხანი შთამომავლობით ყოფილა ქართველი და თეიმურაზთან დაახლოებული პირი. სხვათა შორის, ქეთევან დედოფლის წამება დაედო საფუძვლად ანდრო გრიფიუსის (1616 - 1664) ტრაგედიას “Catharina von Georgien”, რომელიც ბეჭდურად გამოქვეყნდა 1657 წელს.

[10] სხვათა შორის, აღსანიშნავია, რომ ამ პოემაში თეიმურაზს გამოუყენებია ქეთევან დედოფლის “ვედრების” ტექსტი. ასე:

მიეც ძესა ჩემსა მეფესა თეიმურაზს ძლევაი და
რომელნი ჰყოფდენ ხსენებასა ჩემსა, მიანიჭე საუკუნო სუფევაი.

(ქეთევანი).

შვილსა ჩემსა თეიმურაზს ძლევა მიეც მტერსა ზედა,
ღვაწლთა ჩემთა აღმწერელი ედემს დასვი ტახტსა ზედა.
(თეიმურაზი).

[11] Материалы по истории грузино-русских взаимоотношений, ТБ., 1937, გვ. 44.

[12] მეჩეთი (მიზგიტა), მუსლიმანთა სამლოცველო.

[13] მინარეთი, მუსლიმანთა სამლოცველო ადგილი.

[14] გულისხმობს სასულიერო ხასიათის ნაწარმოებებს.

[15] ალ. ბარამიძე, თეიმურაზ პირველის მთარგმნელობითი მოღვაწეობის შესახებ (ლიტერატურული ძიებანი, XII, 1959, გვ.163-175); დ.კობიძე, თეიმურაზის ლიტერატურული წყაროების ძიების გზაზე (ლიტერატურული ძიებანი, III, 1946, გვ.215-223); თ. გორელიშვილი, ლეილმაჯუნუნიანის ლიტერატურული წყაროს

საკითხისათვის (ლიტ-ლი გაზეთი,11.5.56); მ.მამაცაშვილი, თეიმურაზის ლეილმაჯუნნიანის სპარსული წყაროს საკითხისათვის (ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, II,1960,გვ.111-134);მისივე,შეიხ სსდ-ედ-დინ რაჰაი ხაფელის ლეილი ვო მაჯუნნისა და ქართული ლეილმაჯუნნიანის ურთიერთობისათვის (ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე,III, 1961, გვ.87-94).

[16] ლეილმაჯუნნიანი,110, 3.

[17] იოსებზილიხანიანი,94, 2.

[18] წამება ქეთევან დედოფლისა, 4,4.

[19] იქვე, 26, 4.

[20] შედარება გაზაფხულისა და შემოდგომისა, 63,2.

[21] მაჯამას შესახებ იხ. დ. კობიძის ნარკვევი "ქართული და სპარსული პოეტიკის ისტორიიდან" (თბილისის უნივერსიტეტის შრომები, 91, 1960, გვ.144-152)

[22] Е . Э . Б е р т е л ь с , Джамии, Сталинабад,1949,გვ.32,33.

[23] Джамми, გვ.49-50.

[24] ა ლ . ბ ა რ ა მ ი ძ ე , თეიმურაზ პირველის მთარგმნელობითი მოღვაწეობის შესახებ (ლიტერატურული ძიებანი, XII, გვ.169-170).

[25] ბ. ქ ი ქ ო ძ ე , გაბაასება ძველ ქართულ ლიტერატურაში, ბათუმი,1952; გაბაასების ჟანრის ისტორიისათვის, ბათუმი,1955. შდრ. ალ. გ ვ ა ხ ა რ ი ა , გაბაასების ჟანრის ისტორიისათვის(ლიტერატურული გაზეთი,27.1.56);. ა ლ . ბ ა რ ა მ ი ძ ე ,თეიმურაზ პირველის მთარგმნელობითი მოღვაწეობის შესახებ.

[26] ვახტანგის როლის განსაზღვრისათვის რუსთაველმცოდნეობის ერთი საკითხის გაშუქებაში(ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები,XIV, 1955, გვ.120).

[27] საგულისხმოა, რომ ორივე შემთხვევაში ვეფხთან და გმირთან შედარებულნი არიან მანდილოსნები,ქეთევანი და ნესტანი.

სპარსულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობანი

თეიმურაზის შემდეგ

თეიმურაზ პირველის შემოქმედების განხილვისას უკვე აღინიშნა ლიტერატურული ცხოვრების ის ვითარება, რომელსაც ადგილი ჰქონდა სულთან ჰუსეინ ბაიყარას კარზე.

სულთან ჰუსეინმა, რომელსაც ბრძოლებში წარმატებისათვის ღაზი (გმირი) უწოდეს, სატახტო ქალაქად ჰერათი გამოაცხადა. XV საუკუნის ჰერათმა მთელ აღმოსავლეთში გაითქვა სახელი არა მარტო აყვავებულ ბაღებში ჩაფლული ულამაზესი სასახლეებით, მედრესეებითა და ხანაგებით, არამედ თავისი სწავლულებით, კალიგრაფებით, მსატკრებითა და მწერლებით. ამ დროს მოღვაწეობდნენ ცნობილი ისტორიკოსები შარაფ-ედ-დინ იაზდი, ჰაფიზი,აბრუ, მირხოზდი, მინიატურის დიდოსტატი ბეჰზადი; აქ შემუშავდა ფირდოუსის "შაჰ-ნამეს" პირველი კრიტიკული, ე. წ. ბაისუნდარისეული ტექსტი. აბდურაჰმან ჯამიმ და ალიშერ ნავოიმ ხომ მთელი ლიტერატურული სკოლა შექმნეს. "Однако специфика

феодалного Герата времени Джами-Навои заключалось именно в том, что в отличие от предшествующего времени почти каждый ремесленник-хозяйчик, каждый лавочник, мелкий мулла, писарь-чиновник и проч.-являлся или мог бы явиться более или менее активным участником и носителем блестящей культурной жизни Герата.^[1] პირველ რიგში აქ იგულისხმება ჰერათის ლიტერატურული სკოლის ურიცხვი წარმომადგენლები.

ჯამის, ნავოს, ქათების, აშრაფის, ჰათეფის, ნარგისის, აჰლი შირაზელის, ჰილალის და სხვა შეტ-ნაკლებად ცნობილი პოეტების გარდა, კალამს აწვალებდა პოეზიის მოყვარულთა მთელი რაზმი. საინტერესო ცნობებს გვაწვდის ამმხრივ ალიშერ ნავოს ანთოლოგია ("თეზქერე"), რომელშიც ყოველ ნაბიჯზე იკითხება: "თ ა ბ ი ი. ჰერათის შვილია, ჭიქებისა და თეფშების მომხატველია. ზოგჯერ თხზავს პოეტურ ჰანგებს. ჰ ა ი დ ა რ ყ უ ლ ჩ ი.^[2] მდაბიოთაგანია. თავდაპირველად ფუნთუშეულს აცხოვდა მალიქის ბაზარზე. ამჟამად განეკუთვნება ჰერათის აღიარებულ პოეტთა რიცხვს. წერს კარგ ლექსებს".

ეს ინტენსიური ლიტერატურული დუდილი იწვევდა გარკვეულ ნაირგვარობას, რომელიც ახასიათებდა ამ პერიოდის ლიტერატურულ პროდუქციას ჟანრისა თუ ხარისხის თვალსაზრისით. დიდად იყო გავრცელებული ნიზამის "ხუთეულისა" ან ჯამის "შვიდეულის" ტიპის პოემათა კრებულების შედგენა. ამასთან, ხშირად მიმბაძველნი იმეორებდნენ არა მარტო სიუჟეტებს, არამედ კომპოზიციურ დეტალსა და მხატვრულ ხერხებსაც კი. განსაკუთრებით პოპულარული იყო სამიჯნურო და საგმირო-საფალავნო თემატიკა. დიდაქტიკური

ჟანრისთვის საიმედო წყაროს ინდური თუ ფალაური ტრადიციით ნაანდერძევი ძეგლები წარმოადგენდა. ლირიკაში თავი იჩინა ფორმალისტური ვარჯიშით უსაზღვრო გატაცებამ ("ხელოვნური ყასიდები", "თარიხი" ანუ ქრონოგრამა, "მუამა" ანუ შარადა და სხვ.).

დასასრულ, აღსანიშნავია ერთი მომენტი, რომლითაც ხასიათდება კლასიკური ძეგლებისადმი დამოგიდებულება ამ, და განსაკუთრებით, უფრო მოგვიანო (XVII-XVIII სს.) პერიოდში. ორიგინალური თუ მიბაძვით შექმნილი თხზულებების გვერდით ჩნდება ხალხური გადამუშავება არსებული ნაწარმოებებისა. სიუჟეტური ხაზის გამარტივება, ენის სისადავე ხელს უწყობდა მათს მასობრიობასა და გავრცელებას.

ზემოთქმულს თუ გავითვალისწინებთ, მაშინ გასაგები გახდება ის ერთგვარი კანონზომიერება, რომლითაც ქართული ლიტერატურის ე. წ. აღორძინების ხანაში სპარსულიდან ნათარგმნი ძეგლები უკავშირდებიან სპარსულ-ტაჯიკური ლიტერატურის არა კლასიკურ, არამედ თემურიანთა და სეფიანთა დროის წარმომადგენლებს. ეს გარემოება შენიშნული აქვს ნ. მარს ერთ თავის გამოუქვეყნებელ ნაშრომში: "В эпоху возрождения с персидского языка переводились более или менее популярные в Персии литературные произведения, как "Килила и Дамана," "Вардбулбулиани" и др.^[3]"

პოპულარობის გარდა, სათარგმნ თხზულებას უნდა დაეკმაყოფილებინა ქართველი მკითხველი საზოგადოება. მის უპირველეს მოთხოვნას ისტორიული ვითარებით განპირობებული პატრიოტული სულისკვეთების მოპასუხე ნაწარმოებები შეესიტყვებოდნენ. შემთხვევითი არ არის, როგორც ზემოთ აღინიშნა, კათოლიკე მისიონერის მოწმობა: ქართველები "მიზიდულნი არიან ბეჟანანის, ბარამიანის, როსტომიანისა და მათი მსგავსი წიგნების კითხვაზედაო"^[4].

ამან გამოიწვია, "შაჰ-ნამეს" ქართულ ვერსიებს გარდა, უვრცელესი თარგმანები- "ყარამანიანი", "სირინოზიანი," "სელიანიანი" და სხვ.

თუმცა თეთმურაზ პირველამდე გაცილებით ადრე, ჯერ კიდევ "ვისრამიანით" მოკიდებული, ქართველები დიდი სიყვარულით ეცნობოდნენ სპარსულ-ტაჯიკური ლიტერატურის რომანტიკული ჟანრის თხზულებებს, მაგრამ შეიძლება ითქვას, თეიმურაზის შემდეგ სამიჯნურო თემატიკამ შვიდივე კარი შემოანგრია. თვით თეიმურაზის მიერ გადმოღებულ პოემებს გარდა, მათ კვალდაკვალ ჩნდება სამსახეობაბარამიანისა("ბარამგურიანი", "ბარამგულანდამიანი", "ბარამგულიჯანიანი), 'ხოსროვ-შირინიანი", "მირიანი", "ფირმალიანი", "ზალუმჯანიანი". სამი უკანასკნელი ჭარბად შეიცავს ზღაპრულ ელემენტს.

გმირისა და მიჯნურის ფიცხელ გონებას უცილობლად სჭირდებოდა ბრძნული სიტყვით დაუნჯება. ჭირსა და ლხინში დარიგების ძალის მცოდინარეთ არ გაუძნელდებოდათ სათანადო დიდაქტიკური მასალის დაძებნა მორალისტური ხასიათის კრებულებით უმდიდრეს სპარსულ-ტაჯიკურ ლიტერატურაში. ამ მხრივ საოცარი ინტენსივობით გამოირჩევა ვახტანგ VI, რომლის უშუალო მონაწილეობითა თუ "ბრძანებით" ითარგმნა "ქილილა და დამანა", "მეფეთა სალარო", "ზახთიარ-ნამე", "ამირნასარიანი". ამ ძეგლებს მჭიდროდ ეკვრის "თიმსარიანი", "ჩარდავრიშიანი" და სხვ.

* * *

"ი ო ს ე ბ ზ ი ლ ი ხ ა ნ ი ა ნ ი". თეიმურაზისეული ვერსიის გარდა, ქართულ ლიტერატურაში ცნობილია იოსების ლეგენდის კიდევ ერთი, შედარებით უფრო ადრინდელიდამუშავება, რომელსაც, პირობითად, "იოსებზილიხანიანის" ანონიმურ ვერსიას უწოდებენ. ჩვენამდე მოღწეული ერთადერთი დეფექტური ხელნაწერის (Sფონდის №1283) მიხედვით ტექსტი გამორსცა გ. ჯაკობიამ^[5]. ამ უკანასკნელ ხანს აღმოჩნდა ამ ვერსიის მეორე ნუსხის ფრაგმენტები, რომლებიც საინტერესო ვარიანტულ წაკითხვებს შეიცავენ^[6].

პოემის შესავალში, რომელიც „ეფხისტყაოსნის“ პროლოგის თავისუფალსა და შემოკლებულ გადმოცემას წარმოადგენს, ქართველი მთარგმნელი ახასიათებს მიჯნურობასა და შაირობას შემდეგ იგი იძლევა მცირე ცნობებს საკუთარი შრომის შესახებ და ღვთისა და რუსთვლის შეწევნით იწყებს ამბის თხრობას. კომპოზიციურად წინა პლანზე დასაწყისში ზილიხას (ზილიხანის) ისტორიაა წამოწეული. მართალია, პირველ ორ-სამ სტროფში იხსენიება იოსები, მაგრამ ძირითადი თხრობა იწყება ზილიხას მშვენიერების აღწერით; მის მიერ სიზმრად იოსების ხილვას თან მოსდევს გლოვა და ზარი, ხელისმამიებელთა გაწბილება, წუთიერი სიხარული აზიზ მისრელის (ასე უწოდა სიზმარში იოსებმა თავის თავს) შეყრის იმედით და გაასკეცებული სასოწარკვეთა, გამოწეული ამ იმედის გაცრუებით. ამ მომენტიდან პარალელურად ვითარდება იოსების თავგადასავალი, ვიდრე ბედი თუ ძმების მზაკვრობა, რომელთაც იგი გზად გამვლელ ვაჭრებს მიჰყიდეს, არ მიიყვანს მასაც მისრეთში (ეგვიპტეში). ბედნიერი ზილიხა იყიდის იოსებს, დღენიდაგ თავს დასტრიალებს, მაგრამ იოსებს აზრადაც არ მოსდის მისი გრძნობის გაზიარება. აქ ოსტატურადაა ჩართული შორით გარდმოხვეწილი მიჯნურის ბაზიყას ეპიზოდი, რომელიც იოსების უიმედო სიყვარულმა სიკვდილის კარამდე მიიყვანა. ზილიხას ვერც აქტიურმა მოქმედებამ უშველა, იოსებმა ციხე ამჯობინა მის საწოლს. ციხეში სიზმრების სასწაულებრივმა ახსნამ დაუბრუნა იოსებს არა მარტო თავისუფლება, არამედ პატივი და დიდება.

ასეთ პირობებში ის კვლავ ხვდება სიყვარულისგან დანაცრულ, დაბერებულ ზილიხას. მათი ტრაგიკული დიალოგით წყდება პოემის ტექსტი (ხელნაწერის ბოლო გვერდების დაკარგვის გამო).

ამ მეტად ზოგად ხაზებში გადმოცემული შინაარსიდან ჩანს, რომ ქართული თარგმანი წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ვერსიას როგორც სიუჟეტურ-კომპოზიციური განვითარების, ისე დეტალთა დამუშავების მხრივ. მას განსაკუთრებული ადგილი უკავია იოსებისა და ზილიხას სამიჯნურო ისტორიის სხვა უამრავ აღმოსავლურ დამუშავებათა შორის.

მას შემდეგ, რაც იოსების "უმშვენნიერესი ამბავი" პოეტურად მოუთხრო თავის მიმდევრებს მუჰამედმა ყურანში, ის მეტად პოპულარულ თემად იქცა აღმოსავლურ, კერძოდ სპარსულ პოეზიაში. ბიბლიურ გადმოცემაზე დამყარებულ ძველ აღმოსავლურ დამუშავებათაგან ამოღებული დეტალებით შევსებული ამ სიუჟეტის პირველ, ჩვენამდე მოღწეულ პოეტურ თხზულებას წარმოადგენს გენიალური ფირდოუსის სახელით ცნობილი პოემა "იუსუფო ზელიხა". მართალია, სპარსულ-ტაჯიკური ლიტერატურის ისტორია იცნობს სხვა პოეტთა სახელებს, რომელთაც კლასიკურ პერიოდში დაუწერიათ ანალოგიური სათაურის მქონე პოემები, მაგრამ ეს უკანასკნელნი უკვალოდ დაიკარგნენ.

ყველაზე დიდი გამოხმაურება და მნიშვნელობა მოიპოვა აბდურაჰმან ჯამის მიერ 1483 წელს დაწერილმა პოემამ. ჯამის "იუსუფო ზელიხამ" არა მარტო დაჩრდილა წინადროინდელი დამუშავებანი, არამედ თვით იქცა უამრავი მიბადვის საგნად. მომდევნო საუკუნეებში რიგი პოეტები, ზოგი ბრმად, ზოგი შემოქმედებითად, იმეორებდნენ ჯამისეულ დამუშავებას. აღსანიშნავია ამ მხრივ სალემის (XVს.), ბადრის (XVIს.), ნაზემ ჰარავის (XVIIს.) და სხვათა ვერსიები^[7].

ჯამის ამ პოემას დაუკავშირდა ქართული ანონიმური ვერსია, ხოლო გ.ჯაკობიას ზოგადი ხასიათის ტექსტუალური შედარების შემდეგ ქართული "იოსებზილიხანიანი" ჯამის თხზულების თარგმანად გამოცხადდა^[8].

მართლაც, "იოსებზილიხანიანის" ქართული ანონიმური ვერსიის შედარებისას ჯამის პოემის ტექსტთან ერთბაშად თვალში საცემია დიდი მსგავსება მათ შორის, ერთნაირია არა მარტო ამბის ზოგადი განვითარება, სიუჟეტური ხაზი, არამედ ხშირად დეტალბადე ემთხვევა ცალკეული ეპიზოდები. მაგრამ ამ შედარებისას ანგარიში არ ეწეოდა ერთ მნიშვნელოვან მომენტს-ჯამის მიმბამძველებს. საქმე ისაა, რომ ზოგიერთი მიმბამძველი ზუსტად, დეტალბამდე იმეორებს ჯამის, თუმც არაიშვიათად უმატებს ცალკეულ მომენტებსაც. ასეთ ვითარებაში მხოლოდ საერთო ნიშნების მიხედვით საკითხის გადაწყვეტა ძნელდება (ქართულის ესა თუ ის ეპიზოდი ერთნაირად ახლოს დგას ჯამისა და მისი მიმბამძველების ტექსტებთან).

გადამწყვეტი მნიშვნელობა, ვფიქრობთ, ენიჭება არა დამაკავშირებელ, არამედ განმასხვავებელ ნიუანსებს. რა განსხვავებებზეა აქ ლაპარაკი? ცხადია, ქართველი მთარგმნელი, ამ პერიოდის საერთო მთარგმნელთბითი ტრადიციის შესაბამისად, მონურად არ გაჰყვებოდა სათარგმნ ტექსტს. მთელ რიგ შემთხვევაში ის აქართულებს მას, უმატებს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ ნიშნებსაც. ამ მხრივ ის ისეთივე მიმბამძველია, როგორც ნებისმიერი სპარსელი პოეტი და ამდენად ისეთივე ავტორია დამოუკიდებელი ვერსიისა, როგორც რომელიმე ბადრი თუ ნაზემი. მაგრამ საკონტროლო განსხვავებებში იგულისხმება ისეთი დეტალები, რომელნიც ვერ აიხსნებიან ქართველი მთარგმნელის თავისებურებით. მათი რიცხვი, ჯამის პოემისა და ანონიმური ვერსიის მთლიანი შედარებისას, არცთუ ისე მცირე აღმოჩნდა

(ასეთებია ზილიხას ხელისმამიებელთა ჩამოთვლა, აზიზის მამაკაცური უძღურების დეტალი, იოსების სიზმრის აღწერა, იოსების გაყიდვისას წიგნის შედგენა, ბაზიყას ეპიზოდის უხვი დეტალები, სხვა მოქმედი პირები და მათი სახელები და ა. შ.). არც ერთი მათგანი ჯამისთან არ გვხვდება, მაგრამ, სამაგიეროდ დაიძებნება ჯამის მიმბაძველებთან (ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია ამ მხრივ ბადრი).^[9]

მართალია, ჯერ არსად ჩანს ისეთი ტექსტი, რომელშიც თავმოყრილი იქნებოდა ქართული ანონიმური ვერსიისთვის დამახასიათებელი ეს დეტალები. უნდა ვიფიქროთ, რომ ის ჯამის მიმბაძველთა წრეში ტრიალებს.

ქართველ მთარგმნელს რომ წინ კონკრეტული თხზულება ედო და მას თარგმნიდა, ამაზე მიუთითებს მისივე სიტყვები შესავალში:

ეს ამბავი ადრინდელი ცოტა ვპოვე დანარჩომი,
ქართულადა გარდავთარგმნე სპარსულადა მუნ ნათქომი.

ამასვე მოწმობს ქართული ვერსიის ენობრივ-სტილისტური მონაცემები^[10]. ვიმეორებთ, იგი თარგმნიდა თავისუფლად, მაგრამ წყაროს ძირითადი ხაზისა და ეპიზოდების დაცვით.

კიდევ უფრო გაურკვეველია ქართული თარგმანის შესრულების თარიღი და მთარგმნელის ვინაობა. თუ დავუშვებთ, რომ თეიმურაზისეულმა ვერსიამ, რომელიც 1629 წლამდეა შექმნილი, სავსებით გამოდევნა ანონიმური ვერსია, ცხადია, მისი გადმოღება გაცილებით ადრე უნდა ვივარაუდოთ. ანონიმური ვერსია საკმაოდ პოპულარული ყოფილა და ხშირ ხმარებაშიც, რაზედაც მიუთითებს მეორე ნუსხის ფრაგმენტები და ბრწყინვალედ შესრულებული მინიატურები. ამდენად მისი თარგმნა XVI საუკუნის შუა წლებშია საფიქრებელი. რაც შეეხება ანონიმი მთარგმნელის ვინაობას, აქ შემდეგ დეტალს შეიძლება მიექცეს ყურადღება: ერთგან იოსებისა და ზილიხას მიჯნურობის მხატვრული აღწერისას ჯამი რიტორიკულად დასძენს: "მოდი, ჯ ა მ ი, შენი ყოფიერებისაგან თავი შეიკავე..." ზუსტად ასევე გადმოგვცემს ამ ეპიზოდს ჯამის მიმბაძველი ბადრი, ოღონდ რიტორიკულ შემახილში მას უკვე თავისი სახელი ჩაუსვამს: "მოდი, ბ ა დ რ ი, ამ არსის ყოფიერებას თავი დაანებე". ქართულ ანონიმურ ვერსიაში ამ ეპიზოდის გადმოცემა ემთხვევა ორივე აღნიშნულ ვერსიას, ოღონდ თავისებურად გადაკეთებულია და უფრო მიზანშეწონილია რიტორიკული შემახილი. რაც მთავარია, შიგ ჩასმულია ახალი სახელი: "ასრე უნდა, ზ ა ა ლ ხელო, ერთმანერთის სიყვარული" (სტრ. 254). უნებლიეთ ერთგვარი შეპირისპირების სურვილი იბადება, მით უმეტეს, რომ ამ ზაალს არავითარი კავშირი არა აქვს პოემის მოქმედებასთან. ხომ არა გვაქვს აქ ქართველი მთარგმნელის სახელი? მაშინ უცნობ პოეტს შეიძლება ეწოდოს ზაალი, ანონიმურ ვერსიას კი - ზაალისეული^[11]. ჯერჯერობით რაიმე კონკრეტულის თქმა ამ ზაალის შესახებ ვერ ხერხდება^[12].

მხატვრული თვალსაზრისით ეს ძეგლი უპირველესად საყურადღებოა, როგორც "ვეფხისტყაოსნის" პოეტური სამყაროს ყველაზე ადრინდელი ანარეკლი. ყოველ ნაბიჯზე ვხვდებით შოთასთვის ჩვეულ გამოთქმებს, შედარებებს, მეტაფორებს, გამეორებებს, ლექსიკას. ყოველივე ეს გარკვეულად გადამუშავებულია და საკუთარ სათქმელთან შეხამებული. ამას ერთგვარად ხელს უწყობდა "იოსებზილიხანიანის" თემატური სიახლოვეც.

ვაჟი არ ჰყვანდა მეფესა, დია ჰმუნვიდა ამადო,

ქალი ჰყავს მეტად ლამაზი თვალად და კვლავე ტანადო,
მისის პირისა მსხიმისა იტყოდენ მზისა დარადო,
მაგრა სწუნობდა იგი მზეს, თავს ადარებდა არადო (სტრ. 14)

განსაკუთრებით საჩინოა ეს მომენტი მიჯნურთა გარეგნობისა თუ განცდების აღწერისას. უცნობი პოეტი (ზაალი?) არც მალავს ამას, პირიქით, გარკვევით უთითებს მისაბამ ნიმუშს:

თუცა ხელქმნილი რუსთველი თინათინს აქებს არ ავსა,
ნესტან-დარეჯან ბროლ-ვარდსა გიშრის მანითა სარავსა,
იგინი ამას ვადართო, რა უთხრათ დაუფარავსა
ხუდბა ეინებო არ ძალმცი, ქებითა მოუგვარავსა (სტრ. 17).

მართლაც, აქ ყოველ ნაბიჯზე ისმის "ნარგისთა ქუხილი", "მთით მოსულს წვიმის ღვარს გიშრის მანები" ჩამოაქვს, "მელნის ტბის" გარშემო "ინდონი იყრებიან", "ყმა მჭვრეტელთა ამზრზენელია", ზილიხა "პირს იხოკს ვარდთა გლეჯითა, მუხლზედა იცემს ნებითა" და ა. შ. ხშირია რუსთველური სიტყვათწარმოება:

შებრუნდი, ჩვენ დავითვისნეთ, მდობიხარ, მეცა გედები (სტრ. 388).

ზოგჯერ საერთოა არა მარტო პოუტური აქსესუარი, არამედ მისი განლაგებაც, რის შედეგად პარაფრაზის შთაბეჭდილება იქმნება:

გიშრისა ტბითა წყარო სდის, ვარდსა ასოვლებს ნამითა,
ზაფრანის ფერად შეცვალა ღაწვი მეტისა ბანითა^[13]... (სტრ. 41).

უხვად იყენებს "იოსებზილიხანიანის" ავტორი ეპიკური გამეორებების ხერხს, როდესაც მეორდება არა მარტო შინაარსი, არამედ ფრაზეოლოგიაც კი, რაც აგრეთვე "ვეფხისტყაოსნის" პოეტიკას უკავშირდება:

მოატყუვეს, წაიყვანეს იგი ალვა, ნორჩი ზდილი,
მათსა გულსა დააპირეს მის ტურფისა მართ სიკვდილი,
სანობამდი მამა სჭვრეტდა, ეუბნიან სიტყვა ტკბილი,
მერმე ხელი გასამწარო მიჰყვეს, ჰქონდათ არ სირცხვილი.

სადამდი მამას ხედვიდენ, მას ყმასა კისრით არებდენ,
ამოსა ეუბნებოდენ და თავსა შეაყვარებდენ,
რა ქალაქს გარე გავიდენ, ხელი ჰყვეს, დაამწარებდენ,
თავსა სცემდიან ყველანი, აროდეს დააწყნარებდენ.

(სტრ. 180-181.)

ანალოგიური შემთხვევა გვაქვს 226-227, 262-263 სატროფებში და სხვ. "იოსებზილიხანიანის" ანონიმური ვერსია ხასიათდება აფორისტულობით, რასაც საფუძვლად აგრეთვე შოთას ფრთიანი სიტყვა უძევს:

ასრე ნამრახსა სიცოცხლეს, თუ მოვკვდე, მოსალხენია,
თურე, ვინც ჭირსა ვარდების, სიკვდილის პოვნაც ძნელია.

(სტრ. 451).

ამასთან ერთად აღსანიშნავია, რომ მთელ რიგ შემთხვევებში ქართველი მთარგმნელი თუ ავტორი ამ ვერსიისა ქმნის ორიგინალურ მხატვრულ სახეებს, აქართულებს აშკარა სპარსიზმებს (თუმცა ეს უკანასკნელნი, როგორც ითქვა, ზოგჯერ მაინც იჩენენ თავს), მოხდენილ ფორმას უძებნის ამა თუ იმ სენტენციას (სტრ. 626, 652) და ა. შ.

რაც შეეხება ლექსის ტექნიკურ მხარეს, ცალკეული ოსტატურად შესრულებული სტროფების მიუხედავად, იგი საკმაოდ მოისუსტებს, უფრო სწორად, არაფრით არ გამოირჩევა ე. წ. აღორძინების ხანის სხვა ნათარგმნ პოეტურ ქმნილებათაგან (დაბალი და მაღალი შაირების აღრევა ერთი სტროფის ფარგლებში, ღარიბი რითმები და სხვ.).

"ზ ა ხ თ ი ა რ-ნ ა მ ე". ბახთიარ-ნამე წარმოადგენს ერთი ჩარჩოთი შეკრული არაკების კრებულს. სპარსულ-ტაჯიკურ ლიტერატურაში ცნობილია ამ თხზულების ორი ვერსია: პროზაული და პოეტური. პირველი მაგანი მიეწერება შამს-ედ-დინ მუჰამედ დაყაიყის (XIII ს.), მეორეს ავტორია ფანაჰი (XV ს.).^[14]

თავის მხრივ პროზაულმა ვერსიამ ჩვენამდე მოაღწია, თუ შეიძლება ითქვას, ორი რედაქციის სახით. ზემოთქმულის შესაბამისად, გვაქვს მისი როგორც ლიტერატურული, ისე ხალხური დამუშავება^[15]. ამ უკანასკნელმა უფრო დიდი პოპულარობა მოიპოვა და გავრცელდა როგორც მრავალი ხელნაწერის, ისე შემდეგში ლიტოგრაფიული გამოცემის სახით.

ქარგა, რომელზედაც ასხმულია ნოველები, შემდეგია:

აჯამის (ზოგი ვარიანტით სისტანის) ქვეყანაში მეფობდა სახელგანთქმულიაზადბახთი. მასჰყავდა ათი ვეზირი და ერთი სპასალარი (ზოგი ვარიანტით ერთი ვეზირი და სპასალარი, ზოგით ეს ვეზირი და სპასალარი ერთი პიროვნებაა). ერთხელ ნადირობისას მეფემ შემთხვევით იხილა სპასალარის ქალიშვილი, შეუყვარდა იგი და მამის დაუკითხავად შეირთო. სპასალარმა ვერ ტია აზადბახთს ეს შეურაცხყოფა, ხელსაყრელი დრო შეურჩია, აუჯანყდა და სამეფოდან გააძევა. გზად დედოფალს შეემინება მზისდარი ვაჟი, რომელსაც ჭასთან ტოვებენ, ხოლო ცოლ-ქმარი თავს შეაფარებს ქირმანის მეფეს. ამ უკანასკნელის ლაშქრის დახმარებით აზადბახთმა დაიბრუნა ტახტი და გვირგვინი. ამასობაში მეფისწულს წააწყდა მეკობრეთა რაზმი, რომლის მეთაურმა ფაროხსავარმა იშვილა ის და უწოდა ხოდადადი (ღვთის ბოძებული).

გავიდა ხანი. წამოზრდილი ხოდადადი თანდაჰყვებოდა მეკობრეებს. ერთხელ ისინი ტყვედ

შეიპყრეს და მეფე აზადბახთს მიჰგვარეს. მეფეს ისე მოეწონა ხოდადადი, რომელმაც თავისი დაკარგული ძე მოაგონა, რომ გაათავისუფლა მეკობრენი, ვაჟი თავისთან დაიტოვა, ბახთიარი (სვე-ბედნიერი) უწოდა და ამირახირობა უბოძა. მალე ბახთიარი ისე დაწინაურდა სამეფო კარზე, რომ აზადბახთი უმისოდ ერთ დღესაც ვერ ძლებდა. ყოველივე ამან შური აღუძრა ვეზირებს. საბაბიც იპოვეს: ერთ დღეს შემთვრალ ბახთიარს გზა აებნა და საკუთარი სადგომის ნაცვლად მეფის სა-წოლში ამოჰყო თავი. შეურაცხყოფილმა აზადბახთმა მისი შეპყრობა და სიკვდილით დასჯა ბრძანა. ვეზირებმა დედოფალიც გადაიბირეს და შეერთებული ძალით ცდილობდნენ დაერწმუნებინათ მეფე მისი ამ გადაწყვეტილების სისწორეში.

საწყალი ბახთიარი მარტო აღმოჩნდა და იარაღად გონება მოიხმარა. თხზულების ძირითად ნაწილს წარმოადგენს სწორედ ბახთიარის მიერ თავის გადასარჩენად მოყოლილი ამბები, რომლებითაც იგი ცდილობს გაიხანგრძლივოს სიცოცხლე,

გადაარწმუნოს მეფე და დაამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. ეს ერთგვარი დუელი ბახთიარსა და ვეზირებს შორის პირველის გამარჯვებით მთავრდება. ფაროხსავარის მოწმობით აზადბახთი და მისი ცოლი შეიცნობენ საკუთარ შვილს,გამამეფებენ მას, სოლო ვეზირები ღირსეულად დაისჯებიან.

როგორც ითქვა, ბახთიარ-ნამეს ძირითად ბირთვს შეადგენს ის ცხრა არაკი, რომელსაც ბახთიარი უყვება, აზადბახთს (სულ თსზულეზა შედგება ათი კარისაგან, პირველ კარად ივარაუდება ამბის დასაწყისი). არაკების უმრავლესობა მეტად საინტერესოა და საკმაოდ ძველი (ზოგი მათგანის პარალელი გვხვდება "ათას ერთ ღამეში", "თუთი-ნამეში" და სხვ.).

ქართულ ენაზე მოგვეპოვება ორივე ვერსიის, როგორც პროზაულის, ისე პოეტურის, სრული თარგმანი. შევხებით პირველ მათგანს.

ბახთიარ-ნამეს პროზაული ვერსიის ქართული თარგმანის ტექსტი დაცულია უნიკუმ ხელნაწერში (A 1787)^[16].

სამეცნიერო ლიტერატურაში გარკვეულია, რომ ბახთიარ-ნამეს ეს ქართული თარგმანი მომდინარეობს იმ ტიპის ხალხური ვერსიიდან, რომლის ნიმუში გამოქვეყნებული აქვს ე. ბერთელსს.^[17] ტექსტუალურმა შედარებამ მკვლევარები იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ ქართულს საფუძვლად უდევს აღნიშნული გამოცემისაგან მცირედად განსხვავებული ტექსტი. უნდა ითქვას, რომ ამ განსხვავებათა რიცხვი არცთუ ისე მცირეა და მათი უმრავლესობა მთარგმნელს არ ეკუთვნის. მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი.

ქართული თარგმანის მიხედვით ბახთიარ-ნამეს დასაწყისი შემდეგია: "ესე წიგნი პირველად მეფეთა ანბავი ბრძენთა ამისთვის უთქვამთ ესე ათნი არაკნი და ფილოსოფოსნიც ემოწმებიან მათგან თქმულის ყურის მიპყრობასა, და ამას იტყვიან: თუცა კაცსა ამო საუბარი უყვარს, ავისა და კარგისა მეცნიერი შეიქნების, საქმესა არ აუჩქარდების, გულსა დასდებს და სინჯვასა დაუწყებს, მას ავი არ წაეკიდების.

ქ. კარი პირველი ბახთიარისა, თუ რა წაეკიდა.

მეორე, არაკი ბედ-გარდაბრუნებულის ვაჭრისა, თუ რა გარდახდა.

არაკი მესამე, ჰალაბის ხელმწიფის შვილის აჩქარებით საქმის მოხდენა.

არაკი აბუსპორის, მეოთხე.

მეხუთე, არაკი იამანეთის ხელმწიფისა.

მეექვსე, არაკი ქამუგარის ქალის თავს გარდამხდარი.

არაკი მეშვიდე, ქალის განხრწნისა.

მერვე, არაკი თვალის გამსყიდველისა.

მეცხრე, არაკი აბუთამმის თავს-გარდასავალი.

მეათე, არაკი ჰჯაზ ხელმწიფისა საქმის მოხდენისა^[18]".

ამ მცირე შესავალსა და სარჩევს მოსდევს საკუთრივ აზადბახთის ისტორია.

ე. ბერთელსისეულ ტექსტში შესავალი არა გვაქვს, იქ თხრობა უშუალოდ იწყება აზადბახთის ამბით. ქართული ტექსტის ეს დეტალი აშკარად ნათარგმნი ჩანს (მაგ., ბედ-გარდაბრუნებული -- კალკია). მართლაც, აღმოჩნდა ხელნაწერი, რომელსაც ზუსტად დაუცავს აღნიშნული შესავლის სპარსული ტექსტი. იქ იკითხება:

"ხოლო შემდგომად უწყოდე, რომ ეს წიგნი შეუთხზავთ ათ კარად, რათა გონიერებმა ამ ათ კარში სიბრძნე და რჩევა ჰპოვონ...

კარი პირველი, ამბავი ბახთიარისა და მიზეზი დაქვეითებისა.

კარი მეორე, ამბავი ბედ-გარდაბრუნებული (ბარ გაშთე) ვაჭრისა.

კარი მესამე, ამბავი ჰალაბის მეფისა.

კარი მეოთხე, ამბავი აბუ-საბირისა.

კარი მეხუთე, ამბავი იემენის მეფისა.

კარი მეექვსე, ამბავი ქამგარის ასულისა.

კარი მეშვიდე, ამბავი ქალთა მზაკვრობისა.

კარი მერვე, ამბავი თვალის გამყიდველისა (ჯავარფურუშისა).

კარი მეცხრე, ამბავი აბუ-თამამის თავგადასავლისა.

კარი მეათე, ამბავი ჰეჯაზის მეფის თავგადასავლისა"^[19].

ეს ხელნაწერი საინტერესოა იმით, რომ ჩვენთვის ხელმისაწვდომ ტექსტებიდან ყველაზე ახლოს დგას ქართულ თარგმანთან. აბუ-საბირის არაკში ერთგან გვაქვს ვრცელი დიალოგი მამასა და შვილებს შორის: "მათ უბრძანა: "ყმაწვილნო, ამას რასთვის უბნობთ, რომენ ა ზ ა ტ ი ვართ და კაცს ჩვენთან ხელი არა აქვს? მათ ორთავ ძმათ ეგრე მოახსენეს: მამაჩვენი და დედაჩვენი მისისა სამკვიდროსა მამულსა ველარ დადგნენ, ჩვენ ორნივე ძმანი თან გვიახლეს და სხვასა ალაგსა მწირობად წავედით და ესე მეკობრე დაგვხვდა, სხვა ქონება არა გვაქდა და ჩვენ ორნივე ძმანი წაგვასეს და გაგვყიდეს". ე. ბერთელსისეულ ტექსტში შესაბამ ადგილას იკითხება: "უთხრა: თქვენ რას უბნობთ? ვაჟებმა ტირილი დაიწყეს". ცხადია, რომ ეს გავრცობა მთარგმნელს არ ეკუთვნის. მართლაც, აღნიშნულ ხელნაწერში დაცულია მთელი ამ დიალოგის შესატყვისი სპარსული ტექსტი: "აბუ-საბარმა უთხრა: თქვენ რატომ ამბობთ, რომ ა ზ ა ტ ნ ი ვართ და მონები არა ვართო? მათ უპასუხეს, რომ ერთხელ ჩვენ მამაჩვენთან და დედაჩვენთან ერთად საკუთარი ქვეყნიდან წამოვედით და ამ ორმა კაცმა ჩვენ დედას და მამას მოგვაცილეს... და გაგვყიდეს".

აღ. ბარამიძე საგანგებოდ აღნიშნავს ერთ ვრცელ ეპიზოდს, რომელიც ქართულ თარგმანს შემოუნახავს ე. ბერთელსისეული ტექსტისაგან განსხვავებით(ფაროხზადას ეპიზოდი მეშვიდე კარიდან).^[20] ზემოხსენებულ ხელნაწერში მთლიანი სახით გვხვდება როგორც ეს ეპიზოდი, ისე მოქმედი პირის სახელი (ფაროხზად).

ერთი სიტყვით, სურათი ნათელია: ქართული ბახთიარ-ნამე წარმოადგენს ზუსტ, ზოგჯერ სიტყვასიტყვით თარგმანს იმ ხალხური ვერსიისას, რომელიც საკმაოდ გავრცელებული ყოფილა XVI-XVII საუკუნეებში. ამით არის გამოწვეული ის სტილისტური თუ ლექსიკური სპარსიზმები, რაც აქა-იქ გვხვდება ქართულ ტექსტში^[21]. მთელ რიგ შემთხვევაში მთარგმნელი ოსტატურად აქართულებს ტექსტს (ხშირდ შედარების საგნად მნათობთა გამოყენება მათთან შეპირისპირებისა და უპირატესობის აქცენტით: „...ქარისაგან უმაღლედ მიდი, და რა მუნ მიხვიდე, მავარდენტა ბოლო და მხარი გამოისხი, ეგრე სწრაფით მომგვარე ასული ჩემი მზისა უნათლესი"; "ხელმწიფემ გაბრწყინებულნი მზე დაინახა კუბოთა შიგან პატიმარი"; "მზესა ეგეთი კამკამება არ აქს და მთვარე მისგან ნათელს ითხოვს" და ა. შ. არაფერი მსგავსი სპარსულ ტექსტში არა გვაქვს). აგრეთვე ხშირ შემთხვევაში ორიგინალური კომპოზიციების ხმარება ხელს უწყობს სტილისტურ სრულყოფას (მაგ., "ბრძანა ბახთიარის ხელ-ხუნდითა და ბორკილითა შენახვა"; "ენატკბილმან და ბაგე ამოდ მოუბარმან ბას-თიარ მოახსენა" და ა. შ.). ხაზგასმით აღსანიშნავია თხრობის ლაკონიზმი, რომელსაც მთარგმნელი სხვადასხვა ხერხით აღწევს (მაგ., "გზაზედან გ ა უ რ ჯ ე ლ ო ბ ი ს ა ნ ბ ა ვ ი ჰ კ ი თ ხ ა"; "შვილად შეენახა უ შ ვ ი ლ ო ბ ი ს ა თ ვ ი ს"; "ღამე ესწრა. ერთსა ქალაქში შევიდა, დაფარულთა ალაგთა დაიძინა. დილა გათენდა და ბაზრები დაადეს. მან სიარული დაიწყო. ერთსა თვალის მსყიდველთან მივიდა. მარგალიტები აჩვენა"; "ვეზირმან მოახსენა: თუ ამჯობინებთ, მოციქულნი გავგზავნოთ, ერთის ქალის გულისათვის ქვეყანასა ნუ ავსწყვედთ. შინ ქალის მოხუცებას რა ხელი ეყრება? მაინც გასათხოელია. აბაშთა დედოფლად მივსცეთ. მას ხელმწიფესთან ბოდიში მოითხოე" და სხვ.). მაგრამ

ყველაზე უფრო მეტად ქართულ იერს აძლევს ამ თხზულებას ის ბუნებრივი თქმები და ფორმები, რომელთაც უხვად იყენებს მთარგმნელი (მაგ., სპარსულშია "ბახთიარ თქვა", ქართულში ამის სანაცვლოდ გვაქვს: "ბახთიარ პირთა შინა ბულბული დაიბუდა, ენა შაქრით დაიმარილა და თქვა"; სპარსულში ნათქვამია: "მეფეთა სამსახური წააგავს წყლის სწრაფ დინებას და ანთებულ ცეცხლს". ქართულ თარგმანში გვაქვს: "ხელმწიფე ცეცხლისაგან უფრო ცეცხლი არის და წყლისაგან უმალ მდენელი"; "შეიქნა ომი საზარელი და ცემა უწყალო"; "ჩემი ძმაფიცი იყავ, მუდამ ჩემთან მოხვიდოდე"; "მისი ქონება მალვით გაზიდა და გარდიხვეწა"; "ვეზირთა თავზარი დაეცათ. დაღონებულნი ღონეს რასმე ედებოდენ" და ა. შ.).

როდის და ვის მიერ არის თარგმნილი ქართული ბახთიარ-ნამეს ეს ვერსია? თარიღის შესახებ გარკვეულ ცნობას გვაწვდის თვით ხელნაწერი, რომლის სათაურად იკითხება: "ქ. კარი პირველი აჯამისა ხელმწიფისა სპარსულისაგან ქართულად გადმოთარგმნილი ბძანებითა საქართველოს გამგის ბატონიშვილი ვახტანგისათა". როგორც აქედან შეიძლება დავასკვნათ, ბახთიარ-ნამე უთარგმნიათ ვახტანგის ბრძანებით მისი გამგებლობის დროს, ე. ი. 1703- 1711 წლებში. მთარგმნელი უცნობია, თუმც უნდა ითქვას, რომ იგი საკმაოდ კარგი ხელოვანი ყოფილა.

რაც შეეხება მეორე, პოეტური ვერსიის ქართულ თარგმანს, იგი უფრო გვიანდელია. მთარგმნელი ალექსანდრე სულხანიშვილი შესავალში მოგვითხრობს, თუ როგორ თარგმნა მან 1828 წელს ერთი სპარსელის დახმარებით ეს პოემა^[22]. აქვე ის იძლევა საყურადღებო ცნობებს სპარსელი პოეტის ფანაჰის შესახებ.

ბახთიარ-ნამეს პოეტური ვერსია და მისი ავტორის ვინაობა თითქმის შეუსწავლელია. უკანასკნელ დრომდე ცნობილი იყო მხოლოდ ერთადერთი დეფექტური სპარსული ხელნაწერი პოემისა, რომელიც აღმოაჩანა და ზოგადად დაახასიათა ე. ბერთელსმა. ამჟამად აღმოჩნდა ამ ვერსიის კიდევ ორი ნუსხა, აგრეთვე დეფექტური^[23]

ქართულ თარგმანს, რომელიც წარმოადგენს სპარსული პოემის საკმაოდ ზუსტ პროზაულ გადმოცემას, დიდი მნიშვნელობა ენიჭება თავისი სირთულის წყალობით. ამავე დროს იგი მომდინარეობს უფრო ძველი და სანდო ტექსტიდან, ვიდრე დღეს ცნობილი ნუსხებია. თარგმანის მხატვრული დონე დაბალია ენა მიმიე და არქაული.

"ბ ა რ ა მ გ უ რ ი ა ნ ი". ქართულად ამ ძეგლს უწოდებენ აგრეთვე დიდ ბარამიანს ან "შვიდ მთიებს"^[24]. მასში მოთხრობილია სასანიანთა დინასტიის(ცნობილი წარმომადგენლის ბაჰრამ-გურის (ვარაჰრანის -- 420-438 წწ.) სამიჯნურო ისტორია.

ჯერ კიდევ ხალხურ თქმულებებსა და ლეგენდებში შეიქმნა ამ მეფის, როგორც კანჯარზე (გურზე) უებრო მონადირისა და ქალების დაუცხრომელი მოტრფიალის სახე. ბაჰრამ-გურისა და მისი სატრფოს საერთო ნადირობა მეტად გავრცელებული სიუჟეტია და ხშირად გვხვდება სასანურ თასებზე. სპარსულ--ტაჯიკურ ლიტერატურაში პირველად აღწერა ეს რაინდი "შაჰ-ნამეს" ავტორმა. ფირდოუსისთვის მთავარია ბაჰრამი როგორც მმართველი, სახელმწიფო მოღვაწე. ამიტომაც მხოლოდ ეპიზოდის სახით არის ჩართული ბაჰრამისა და მხევალის, მეჩანგე აზადეს ნადირობა, სატრფოს სურვილით ბაჰრამის მიერ ოსტატობის გამოვლენა (კანჯრის ფეხის ყურთან შეერთება ისრით), აზადეს შეუფერებელი რეაქცია ("შენ ალბათ ბოროტი სული ხარო"), ბაჰრამის განრისხება და უბედური ქალის სიკვდილი. ამ ეპიზოდს მოსდევს ბაჰრამის შფოთიანი მეფობა.

ბრძოლა და შრომა ქვეყნის შენარჩუნება-აყვავებისთვის. ამრიგად, აქ არა გვაქვს არც სასახლის აგებისა და, რაც მთავარია, არც შვიდი მზეთუნახავის დეტალი, ეს უკანასკნელი მომენტი პირველად გვხვდება ნიზამი განჯელთან(XII ს.).

ნიზამის პოემის სათაური "შვიდი მზეთუნახავი" ("ჰაფთ ფაიქარ") უკვე გულისხმობს, რომ აქცენტი სამიჯნურო თავგადასავალსა და შვიდ შიგნართულ ნოველაზეა გადმოტანილი. მართლაც, სიუჟეტის საფუძველს, მის ღერძს წარმოადგენს ბაჰრამ-გურისა და მისი მხევალის ფითნეს ურთიერთობა. ნიზამიმ დახვეწა და განავითარა ეს ეპიზოდი: როდესაც ფითნე ბაჰრამის ოსტატობის ქების ნაცვლად შენიშნავს, ვარჯიშის ამბავიაო, განრისხებული ბაჰრამი ბრძანებს მის მოკვლას. მაგრამ მხედართმთავარს შეეცოდება იგი, თანაც ფითნე დაარწმუნებს, რომ ბაჰრამი ადრე თუ გვიან ინანებს ყოველივეს.

მართლაც, რამდენიმე ხნის შემდეგ ბაჰრამის სინანულს საზღვარი არა აქვს. ამასობაში მხევალი ცხოვრობდა მიყრუებულ მხარეში და ყოველდღე ვარჯიშობდა ხბოს კიბეებზე აყვანაში, ვიდრე ისე არ გაიწაფა, რომ თავისუფლად აჰყავდა მაღალ კოშკში მთელი ხარი. შემთხვევით აქ მოხვედრილი ბაჰრამი გაოცდება ამ სასწაულით, მაგრამ არ შეიმჩნევს და შენიშნავს, ვარჯიშის ამბავიაო. მაშინ ფითნემ, რომელსაც ჩადრი ებურა, უპასუხა: "ხარი ვარჯიშის ამბავია, გური კი არა?!" შეყრილ მიჯნურთა სიხარული უსაზღვროა. ამის შემდეგ მოდის ბაჰრამის ბრძოლებში გამარჯვება, რასაც ემთხვევა სიყმაწვილეში ნადირობისას ხილული ჩვენების ახდომა (ერთხელ ბაჰრამი წააწყდა კოშკს, რომლის ერთ-ერთ დარბაზში იხილა კედელზე გამოსახული თავისი თავი, გარშემორტმული შვიდი მზეთუნახავით). მან შეირთო ინდოეთის, თურქმენეთის (თურქესტანის), ხვარაზმის, რუსეთის, მაღრიბის, რუმისა და ირანის მეფეთა ასულნი. მათთვის აგებენ საგანგებო კოშკებს, რომელთა შვიდფერი გუმბათები ჰარმონიულად ერწყმის მზეთუნახავთა სამოსელსა და მათ მიერ მოყოლილ ამბებს:

1. შავი - შაბათი - შავი ქალაქის ამბავი.
2. ყვითელი - კვირა - გულქვა მხევალის ამბავი.
3. მწვანე - ორშაბათი - ღვთისმოსავი ბეშრის ამბავი.
4. წითელი - სამშაბათი - რუსთა მეფის ასულის ამბავი.
5. ცისფერი - ოთხშაბათი - მისრელი ჭაბუკის მაჰანის ამბავი.
6. ყავისფერი - ხუ.თშაბათი - ხჯ;ირისა და შარის ამბავი.
7. თეთრი - პარასკევი -- მეზადისა და მზეთუნახავის ამბავი.

ამის შემდეგ კვლავ გრძელდება ბაჰრამის თავგადასავალი. აქვე უნდა ითქვას, რომ ეს ნოველები მაინც ჩამატებულია შთაბეჭდილებას ტოვებენ, ძირითად სამიჯნურო ეპიზოდთან ორგანული კავშირი არ გააჩნიათ.

ნიზამის ამ პოემას მრავალი მიმბაძველი გაუჩნდა როგორც სპარსულ-ტაჯიკურ, ისე აღმოსავლეთის სხვა ხალხების ლიტერატურაში. სხვადასხვა ვერსიის შედარებით შესწავლას იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ მიმბაძველთა ყურადღების ცენტრად ყოველთვის რჩებოდა შვიდი ნოველა. ძირითადი სიუჟეტური ხაზი თითქმის უცვლელია, სამაგიეროდ სხვადასხვა ავტორს შემოაქვს სხვადასხვა (ხშირად ახალი) ნოველა. ზოგჯერ ადგილი აქვს უკვე ნაცნობი ამბის გადამუშავებას. ამ ტიპის მიმბაძველთა შორის უდავოდ საპატიო ადგილი უკავია ქართველ პოეტს ნოდარ ციციშვილსა და მის პოემას. "ბარამგურიანის" მოკლე შინაარსი ასეთია:

ერანის ხელმწიფეს ეზდიჯირდს შეეძინა ვაჟი ბარამი. ერთხელ, ნადირობისას, ის შეხვდა ცნობილ მხატვარს მანი ჩინელს, რომლისგანაც შეიტყო დილარამ-ჩანგის ამბავი, იხილა მისი სურათი და მოისურვა მასთან შეყრა. ბარამმა ჩინეთს გაგზავნა ერთგული ყმა, რომელმაც ხარაჯის ფასად გამოისყიდა ვაჭრისგან მხევალი და ჩამოუყვანა თავის პატრონს. ბედნიერად ატარებდნენ დროს მიჯნურნი, ვიდრე ნადირობისას არ განმეორდა ტრადიციული ეპიზოდი: დილარამის თხოვნით ბარამმა ისრით მიუბა კანჯარს ფეხი ყურზე, რაზედაც "ქალმა ჰკადრა: ბევრისქნი-თა ყოვლი

საქმე გაადვილდა". განრისხებული ბარამის მიერ მხეცთ შესაჭმელად განწირული დილარამ-ჩანგი შეიბრალა ერთმა სარპანგმა და მოათავსა იგი თავის კოშკში, სადაც მხევეალი დღენიადაგ ხბოს აყვანაში ვარჯიშობდა. ბარამი გლოვობს და ნანობს თავის საქციელს. ამ ხელსაყრელ ადგილს არის ჩართული შვიდი იყლიმის მეფეთა ასულების ხელის თხოვა, დარბაზთ აგება და მანი ბრძენის მიერ ნოველების მოყოლა:

- 1 გიშრისფერი-შავი ქალაქის ამბავი.
- 2 ყვითელი- ომინისა და ახის ამბავი.
- 3 მწვანე-ალმასისა და ჯაბირის ამბავი.
- 4 წითელი- რუსთ ხელმწიფის ასულის ამბავი.
- 5 ცისფერი- გორჯასპ ზაულელის ამბავი.
- 6 სანდლისფერი- მაამებლის და მაწყინარის ამბავი.
- 7 თეთრი- უნადვლოს მძებნელი მეფის ამბავი.

ამასობაში დილარამის რჩევით მისი პატრონი მიიპატიჟებს ბარამს სტუმრად, სადაც იგი იხილავს დილარამის მიერ მხრით ხარის აზიდვას. ბარამის სიტყვებზე- "ყოველი საქმე ქნით გაადვილდებისო", ასული უპასუხებს:

თუცა ნადირთ სრვა ქნითა და ნახვით არ ისწავლებისა,
სხვა საქმე ბევრის ქნით, ბრძანე, ადვილი ვით იქნებისა?

გაოცებული და ბედნიერი ბარამი კვლავ შეეყრება თავის მიჯნურს. ასე ლოგიკურად იკვრება რკალი ნოველების ირგვლივ. პოემის დასასრულს აღწერილია ბარამის ბრძოლა მტრებთან და მისი იდუმალი დაღუპვა.

ზემოთ ითქვა, რომ ავტორი ქართული ვერსიისა არის თეიმურაზ პირველის თანამებრძოლი ნოდარ ფარსადანის ძე ციციშვილი. ცნობებს მის შესახებ ვპოულობთ როგორც თვით "ბარამგურიანში", ისე სხვა პოეტებთან (არჩილის თქმით, "ფარსადანის-ძემ ნოდარ თქვა ქება კარგს ბარამ-გურის"). პოემა დაწერილია დაახლოებით 1655-1656 წლებში^[25]. ავტორი შესავალში მიუთითებს იმ ლიტერატურულ წყაროებს, რომელთაც ის იცნობდა თუ ეყრდნობოდა (სტრ.12-14):

ესე ამბავი სპარსულებრ, გონება-მიუწვდომელი,
ნიზამის უთქვამს განჯელსა, ბრძენთა ბრძენია რომელი;
მას ჰბამავს ხოსრო დეჰლევი, მუნ ენა-დაუშრომელი,
მას ხოსრო სჯობს თუ ნიზამი, ვართ მისი მიუხვდომელი.
ნავაის ესე ამბავი ჩალათურისა ენითა
უთქვამს, და მისებრ მელექსე სხვა ვინმცა ვიაზრენითა?
კვლა ჯამის უთქვამს სპარსულად მუნვე ჭკუითა ბრძენითა,
ილხენს ყოველი მკითხველი მათ ოთხთა ლექსთა სმენითა.

ვით გავაგო მიუმხვდარმან მათ ოთხთავე ლექსთა ქება?
მათსა ლექსსა მიასწავებს მათი სიბრძნით აღსავსება;
მწადს ქართულებრ მათთა ლექსთა გამოთარგმნა, გალექსება,
ღვთით გავბედე საქმე ძნელი, თქმაცა ჩემგან ვით ეგბა?

აქ დასახელებულ ავტორთაგან სამს მართლაც ეკუთვნის ამ თემაზე დაწერილი ვერსიები. რაც შეეხება ჯამის (1414- 1492). მის "შვიდ ტახტში" ("ჰაფთ ოურანგ") "ბაჰრამ-გური" არ შედის. შესაძლებელია, როგორც ამას კ. კეკელიძე ვარაუდობს, აქ ჯამის დისშვილის ჰათეფის (გარდ. 1521) "ჰაფთ მანზარ" ("შვიდი ხატი") აერია ჩვენს ავტორს.^[26] შესაძლებელია აგრეთვე, რომ ჯამის "შვიდეულის" სახელწოდება "ჰაფთ ოურანგ" მან "ბარამ-გურიანად" მიიჩნია, რადგან ამ დროს

ცნობილია რამდენიმე ვერსია ბარამ-გურის შესახებ, რომელთაც აგრეთვე "ჰაფთ ოურანგ" ეწოდება^[27]. ასეა თუ ისე, ჯამის დასახელება აქ უადგილო ჩანს.

ზემოაღნიშნულ ავტორთა პოემებთან შედარებისას ირკვევა, რომ ქართული პოემა უშუალოდ არ მისდევს ერთ რომელიმე მათგანს. ხოსროვ დეჰლევის (1253-1325) "ჰამთ ბეჰემთი" ("რვა სამოთხე") საინტერესოა იმით, რომ აქაც მიჯნურს ეწოდება დილარამი, რომელიც დიდად არის დახელოვნებული ჩანგზე დაკვრაში. ოღონდ ნოველები აქაც გადმოცემულია ბარამისა და დილარამის შეხვედრის შემდეგ. ხოსროვი არ იცნობს დილარამის მიერ ხარის აზიდვის დეტალს. მისი ყველა ნოველა დამოუკიდებელია და ინდური ფოლკლორიდანაა აღებული. ყველაზე ახლოს ქართული ვერსია თითქოს ნავოის „შვიდ მნათობთან" ("საბყაი საიარა") დგას. ნავოისთანაც ნოველები პოემის შუაშია ჩასმული ბარამის გასართობად, და დილარამთან შეხვედრა ბოლოშია გადატანილი. რაც შეეხება ჰათეფის, მისი პოემა ნიზამის უშუალო წაბამვაა როგორც კომპოზიციის მხრივ, ისე სახელების განმეორებაში (აქაც ასულს ფითნე ეწოდება). როგორც ითქვა, არაკებად ხოსროვსაც, ნავოისაც და ჰათეფისაც საკუთარი, სხვადასხვაგვარად დამუშავებული ნოველები ჩაურთავთ. ეგვევ ითქმის ქართულივერსიის შესახებაც. მართალია, ზოგი ამბავი ამჟღავნებს ამა თუ იმ სიახლოვეს ნიზამისთან თუ ნავოისთან, მაგრამ საერთოდ აღებულნი ისინი კიდევ უფრო დამოუკიდებელ იერს ატარებენ, ვიდრე თვით სიუჟეტის დამუშავება^[28].

ამდენად, თითქოს მართებულია ვ. კეკელიძის დასკვნა: "ნოდარის ნაშრომი არის არა თარგმანი, ამ სიტყვის გარკვეული მნიშვნელობით, არამედ გადმოკეთება, გადამუშავება და, როგორც ასეთი, წარმოადგენს თავისებურ ქართულ რედაქციას, ისეთს, როგორც არის ნიზამისგან მომდინარე აღნიშნული პოემის სპარსულ-თურქული რედაქციები". "ბარამგურიანს" გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება ამ თემის აღმოსავლურ დამუშავებათა შედარებით შესწავლის დროს^[29].

აღსანიშნავია ის დიდი პოპულარობა, რომლითაც ეს თხზულება სარგებლობდა მის თანადროულ ქართველ საზოგადოებაში. ზემომოტანილ ცნობაში, რომელიც ერთ კათოლიკე პატრს ეკუთვნის და რომელშიც ჩამოთვლილია ქართველთა საყვარელი საკითხავები, "ბარამიანი" "როსტომიანზე" უწინარეს არის დასახელებული. ამას ხელს უწყობდა შედარებით მაღალი მხატვრული დონე, განპირობებული "ვეფხისტყაოსნის" უშრეტი ნაკადის შემოქმედებითი ათვისებით. მართლაც, ნოდარ ციციშვილი შოთა რუსთველის ცალკეული ადგილების გარდათქმით კი არ კმაყოფილდება (არც ასეთი მაგალითებია იშვიათი მის პოემაში), მთელი "ბარამგურიანი" გასხივოსნებულია, თუ შეიძლება ასე ითქვას, "ვეფხისტყაოსანს" ანასხლეტი შუქით. საკმაოდ გამართულია რუსთველური ლექსიც:

ოდენ მე დავრჩი ობოლი, არ საკადრისი მამისა;
ვარ ბედთა ჩემთა მწყეველი, თვალთ ღაწვთა მფრქვევი ნამისა;
ბედი არ მარგო სოფელმან, წონა ერთისა დრამისა,
ვარ სულთა მბრძოლი, მოკვდავი, აბეზარ-ქმნილი ჟამისა (1517).

ნ. ციციშვილი მოხდენილად იყენებს და ახლებურ იერს აძლევს ნაცნობ პოეტურ სახეებს:

ორგნითვე იწყეს დადენა ბროლ-ლაღმან, ვარდმან, იამან.
იტვირთნა ცვარნი ობოლნი სადაფთა კარმან ღიამან (1353).

საერთოდ, ეს ვრცელი პოემა (ორიათასამდე სტროფი) აღორძინების ხანის მნიშვნელოვან ლიტერატურულ ფაქტს წარმოადგენს.

"ზ ა რ ა მ გ უ ლ ა ნ დ ა მ ი ა ნ ი". ბარამგულანდამიანში მოთხრობილი ბარამის თავგადასავალი თითქმის არაფრით წააგავს ლეგენდარული ბარამ-გურის ისტორიას. ეს არის ჩვეულებრივი სამიჯნურო რომანი, უხვად შემკული ზღაპრული ელემენტებით.

ურუმელთა ქვეყნის მეფეს ქიშვარს, ყოველივე სიკეთით აღსავსეს, არ ჰყავდა მემკვიდრეობა, ტრადიციისამებრ, შეეძინება ვაჟი, რომელსაც ბარამს დაარქმევენ და რომელიც ბავშვობიდანვე გამოირჩევა საარაკო გმირობით. ერთხელ, ნადირობისას, ბარამმა დაჭრა ქურციკი, დიდხანს სდია მას და წაადგა ერთ კომკს, რომლის კედელზე წააწყდა მზეთუნახავის გამოსახულე-ბას (აგრეთვე გავრცელებული მოტივი). იქვე მყოფი მოხუცისაგან მან შეიტყო, რომ ეს არის ჩინეთის მეფის ფაფხორის ასული გულანდამი. ბარამი მიემუხრება ჩინეთს გულანდამის საძებნელად. გზად ის გადალახავს უამრავ სიძნელეს, დაუძმობილდება ქაჯთა მეფეს სიფორს (ზოგი ნუსხით საიფორს), ამარცხებს დევებს, ნიანგებს და ა. შ. ბოლოს ის მიაღწევს ჩინეთს, გარეშემტრებთან ბრძოლისას გამოვლენილი სიმამაცით დაიპყრობს გულანდამის გულს და საწადელს ეწევა.

ასეთია მოკლე შინაარსი ამ მეტად საინტერესო, შიგადაშიგ ლექსნარევი პროზაული მოთხრობისა^[30].

"ბარამგულანდამიანის" თავწერილობიდან ირკვევა როგორც მისი ორიგინალის, ისე გადმოთარგმნის დროის საკითხი: "ქ. კარი პირველი ბარამის და გულანდამისა სპარსულისაგან ქართულად გამოთარგმნული ბრძანებითა საქართველოს გამგებლის ბატონიშვილის ვახტანგისათა". მართლაც, სპარსულად არსებობს "ბაჰრამ ო გოლანდამის" როგორც პროზაული, ისე ლექსითი ვერსია. ლექსითი ვერსია შედარებით გვიან გაჩნდა (XVIII ს.) და ამდენად ვერ გამოდგება ქართული თარგმანის წყაროდ. შედარებიდან ირკვევა, რომ "ბარამგულანდამიანს" საფუძვლად სპარსული პროზაული ვერსია ჰქონდა.^[31]

საინტერესოა, რომ ვახტანგის მოხსენიება უკავშირებს მას იმ თხზულებათა რიგს, რომელნიც ამ მეცენატი მეფის კარზე მისივე ინიციატივით შექმნილა ("ზახთიარ-ნამე", "ბარამგულიჯანიანი" და სხვ.). როგორც ეს ფაქტი, აგრეთვე სტილისტური ანალიზი მოწმობს, რომ "ბარამგულანდამიანი" ნათარგმნი უნდა იყოს არა უადრეს XVIII საუკუნის დამდეგისა. მთარგმნელის ვინაობა უცნობია.

"ზ ა რ ა მ გ უ ლ ი ჯ ა ნ ი ა ნ ი". ბარამგულიჯანიანი, ანუ, როგორც მას სხვაგვარად უწოდებენ, მცირე ბარამიანი ან, უბრალოდ, ბარამიანი, წარმოადგენს ბარამისა და გულიჯანის რომანტიკული ისტორიის პოეტურ აღწერას. მისი მოკლე შინაარსი შემდეგია^[32]:

ჩინეთის მდიდარსა და მძლავრ ხელმწიფეს ჯონშერს ჰყავდა ერთადერთი ასული, სახელად გულიჯანი, სილამაზით მნათობთა უბრწყინვალესი. ერთხელ მგზავრობისას ქარმა მის კუბოს შემთხვევით თავსაფარი ახადა და იგი იხილა ჯონშერის გაზრდილმა ჭაბუკმა, სპასალარმა ბარამმა. სამიჯნურო წიგნების ურთიერთგაცვლის შემდეგ გულიჯანი და ბარამი შეხვდებიან ერთმანეთს და "მამინ დადვეს ზენაარი, სიმტკიცე და ფიცი სრული". მიჯნურობის ცეცხლმა სიკვ-

დილის პირს მიაყენა ბარამი. შეიყარნენ მესტროლაბენი, მერამლენი, მუნაჯიმები და მხოლოდ ერთი მიუხვდა მისი სენის მიზეზს. განკურნებისა და თანაც საიდუმლოების დაცვის მიზნით ბარამის საწოლთან მან ჩამოატარებინა სამეფო კარის ყველა ბინადარი, მათ შორის გულიჯანი. სატრფოს ხილვამ ფეხზე დააყენა ბარამი. მაგრამ ყოველივე შეიტყო მეფემ, საშინლად განრისხდა,

ვით დავარმა ნესტან-დარეჯანს, ისე სცემა გულიჯანს, ხოლო ბარამის შეპყრობა განიზრახა. ბარამს სხვა რა დარჩენოდა, თუ არ "მხეცთა თანა სიარული, გავარდნა და ველთა რბენა". ბარამი ხანშვიდ მნათობს ესაუბრება, ხან ვარდს, რომელიც მას სატრფოს აგონებს მშვენებით, ხან მეკობრეთაგან შემშინებულ ვაჭრებს უწევს ავთანდილისებურ დახმარებას. ბოლოს, ახლადშემქნილიმეგობრების მილადისა და ნარიმან მეფის ლაშქრით, ჩინეთს გაემშურება, მაგრამ გზაში შეხვდება ბარზაბან (თუ ბარზამან) ჩინელთა მეფის დიდებულს, რომელიც ამცნობს ჯონმერის გარდაცვალებას. პოემა მთავრდება ბარამისა და გულიჯანის ბედნიერი ქორწილით. მათ შეეძინებათ სამი ძე და ოთხი ასული, რის შემდეგაც ისინი გარდაიცვლებიან.

თხზულების რაობისა და ავტორის შესახებ საინტერესო ცნობებია დაცული პროზაულ ბოლოსიტყვაობში (თუმცა ზოგი რამ თვით პოემის ტექსტშიცაა ჩართული). აქ ხაზგასმულია ნათარგმნ საერო ნაწარმოებთა პოპულარობა და თეიმურაზის კვალდაკვალ განმეორებულია: "იგი სპარსნი მეცნიერნი ტკბილისა და გემოვანისა სიტყვითა დასწერენ და გააუბნებენ მათ მოყვარეთა და მათგან სხვანი მეცნიერნი ქართულად გარდმოიღებენ" ... ერთ-ერთ ასეთ თხზულებას წარმოადგენდაო ბარამისა და გულიჯანის ისტორია, რომელიც უთქვამს ჩუბინ ბრძენს, "რომელი იყო თემისაგან ქირმანელთასა". ამ ჩუბინ ქირმანელის პოემა ნათარგმნი ყოფილა ქართულად; დიდი კვლევა-ძიების შედეგად ის ჩავარდნია ონანას, ძეს კახეთის მდივნისა და თვით მდივანს, რომელსაც გაუღექსავს ეს ამბად გადმოღებული ძეგლი ასტრახანში 1726 წელს.

თუ ავტორის სიტყვებს დავუჯერებთ, უნდა ვივარაუდოთ პროზაული ტექსტისა და სპარსული დედნის არსებობა. არც ერთი, არც მეორე ჯერჯერობით არსად ჩანს. ჩუბინ ქირმანელი, როგორც პოეტი, უცნობია სპარსულ-ტაჯიკური ლიტერატურისთვის. უარყოფილია ცდა მისი გაიგივებასა ხაჯო ქირმანელთან.^[33] რაც შეეხება ქართულ პროზაულ ვერსიას, საერთოდ მის არსებობაშიც ეჭვია შეტანილი^[34]. პოემის დაკვირვებული შესწავლა უფრო შორს წასვლის შესაძლებლობას იძლევა. საერთოდ არსებობდა კი ჩუბინ ქირმანელი და მისი პოემა? ხომ არ არის ეს ლიტერატურული ფიქცია?

მართლაც, "ბარამგულიჯანიანი" სხვა არაფერია, თუ არა შოთა რუსთველის პოემის გადამღერება. საქმე ეხება არა მარტო პოეტური სახეების უცვლელ გადმოღებას, ლექსიკისა თუ ფრაზეოლოგიის განმეორებას, არამედ მთლიან არქიექტონიკას. ძირითადი სიუჟეტური ხაზი თითქმის იდენტურია "ვეფხისტყაოსნისა" (ხანში შესული მეფე, რომელსაც მხოლოდ ასული ჰყავს; შვილად გაზრდილი სპასალარის გამიჯნურება მეფის ასულთან, მათი დამორებადა სპასალარის ველად გაჭრა; მეგობართა დახმარებით საწადლის მიღწევა). ოღონდ ერთიუნდა ითქვას, აქ შერწყმულია თითქოს ტარიელი და ავთანდილი ბარამის სახეში და თინათინ-ნესტანი გულიჯანის პიროვნებაში. ბარამი ხან ტარიელს მოგვაგონებს, ხან ავთანდილს (მნათობებთან საუბარი, მეკობრეთა დამარცხება). თვით ონანა არც მალავს ამ გარემოებას:

თქვიან: ბარამ გავს ტარიელს, არს ავთანდილის დარია,

გულიჯან- ნესტან-დარეჯანს, თინათინ მინაგვარია.

რაც შეეხება "ვეფხისტყაოსნისთვის" უცნობ ეპიზოდებს (სწეული ბარამის განკურნვა, ქარის მიერ კუბოს ფარდის ახდა, ვარდთან საუბარი და ა. შ.), ისინი იმდენად ფართოდ არიან გავრცელებული სპარსულ-ტაჯიკურ ეპოსში, რომ ონანას თავასუფლად შეეძლო სცოდნოდა ეს სხვა ორიგინალური თუ ნათარგმნი ძეგლებიდან (მაგ., "ვისრამიანიდან", "ბარამგულანდამიანიდან" დასხვ.).

საბოლოო დასკვნა ნაადრევი ჩანს. ასეა თუ ისე, ამ პოემით ონანა მდივანიგვევლინება თეიმურაზის სკოლის ნიჭიერ წარმომადგენლად. ისტორიულ-ლიტერატურული მნიშვნელობის გარდა "ბარამგულიჯანიანს" გააჩნია უდავო მხატვრული ღირსება. თხრობა მარტივია, მოქმედება ვითარდება დინამიურად, ტემპსარ არღვევს ლირიკული წიაღსვლები და ექსკურსები, რომელნიც თავის ადგილზეა ჩასმული. ეს არ არის უბრალო და მექანიკური მიმბაძველობა. ონანა კარგად იცნობს თეიმურაზის "იოსებზილიხანიანს" და "ლეილმაჯუნუნიანს", "ვისრამიანს", მაგრამ, ცხადია, ყველაზე კარგად, ზედმიწევნით იცნობს და იყენებს იგი "ვეფხისტყაოსანს":

ნარგისნი სწვიმან, ვარდისა ძირი მორწყო და დანამა
გიშრისა სახით მწვეთელმა შეყრილმა ზანგისთანამა,
ბროლზედა ფონად მდენელმა ქვე ზამბახისა ბანამა,
წალკოტი დაზრა უმზეოდ ყინულმა ხანდახანამა.

"ყ ა რ ა მ ა ნ ი ა ნ ი". ეს არის ვრცელი პროზაული თხზულება, რომელშიც აქა-იქ ლექსებია ჩართული.

იგი იწყება სპარსეთის ხელმწიფის თახმურადის ისტორიით, მის დროს ქაჯებისა და დევებისაგან "კაცთა ნათესავთა მრავალი ზიანი ეცემოდა". თახმურადმა მათ ბრძოლა გამოუცხადა.

თახმურადს ჰყავდა სამი წლის ვაჟი ყარამანი, ხოლო მის ძმას გუარჯასპს შვიდი წლის ყათრანი (ზოგი ნუსხით ყათრანი). შურისძიების მიზნით დევებმა "ყარამანი წარიტაცეს, ყაფისა მთის ძირზე ჰეთის (ზოგი ნუსხით ჰეიათის) მინდორში მიიყვანეს, რომე მათი სამყოფი იგი იყო". შვილის დარდმა ბოლო მოუღო თახმურადს, გუარჯასპის ხანმოკლე მეფობა კი შეცვალა ერან-თურანის მბრძანებლის უშანგის გახელმწიფებამ. ერთხელ, როდესაც უშანგ-შაჰი თავის ლაშქრით ინდოეთის მეფის რაჰინდის დასამარცხებლად მიემშურებოდა, ყაფის მთასთან მისი ფალავნები წააწყდნენ საარაკო გმირს ყარამანს. მას გამოემცნაურება მისი ბიძაშვილი ყათრანი, უშანგ მეფის სარდალი. ამის შემდეგ აღწერილია მთელი რიგი ფანტასტიკური ეპიზოდები, შიგ ჩართული ბარამჯიბილის გაქვავების ამბავი იქნება ეს თუ ყარამანის უთვალავი ბრძოლებისა ხან დევებთან, ხან ფერიებთან (მაგ., სარვი ხურამანთან) და ა. შ.

მთლიანად "ყარამანიანი" სხვადასხვაგვარადაა დაყოფილი ხელნაწერებსათუ გამოცემებში^[35]. ზოგადი წარმოდგენის შესაქმნელად მოვიტანთ მის დასათაურებას ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილის ნუსხის მიხედვით:

- 1) კარი, ყარამანის ქაჯთა და დევთაგან მოტაცების ანბავი.
- 2) კარი, თახმურად ხელმწიფის გარდაცვალებისა და ძმისა მისისა გორჯასპის გახელმწიფება.
- 3) კარი, გორჯასპი ხელმწიფის გარდაცვალება და უშანგმას გახელმწიფება.

- 4) კარი, უშანგ ხელმწიფისაგან ინდოთა ხელმწიფეზე გალაშქრება...
- 5) კარი, ყარამანისა და ყათრანის ერთგან შეყრის ანბავი.
- 6) კარი, გარდანქემან-აიარისაგან ყარამანთან თქმა: ანბავი ბარამ-ჯიბილისა...
- 7) კარი, გარდანქემანირგან არალ მეთილასმისა ამბისა მბობა.
- 8) კარი, გარდანქემანისაგან აზრალ მეთილისმეზე წასვლა.
- 9) კარი, გარდანქემანისაგან აზრალი მეთილისმის შეპყრობა.
- 10) კარი, უშანგისაგან ყარამანისა თანა ხლება და რაინდუზედ წასვლა...
- 11) კარი, ინდოთა ხელმწიფისა რაინდისა.
- 12) კარი, გარდანქემან გრძნეულისაგან უშანგმას გაგდებინება ინდოთა გრძნეულთაგან...
- 13) კარი, ანბავი დუზარ ავსარ გრძნეულისა და ყარამანის ომი ძლიერი.
- 14) კარი, სარვი ხურამანისა მოსვლა და მისგან ყარამანის დიდი ომი.
- 15) კარი, ერანელთა ფალავანთა და სარვი ხურამანისა ომი.
- 16) კარი, სპანდიერბარისა მოსვლა ინდოთა მოსახმარებლად.
- 17) კარი, ყარამანისა და გარდანქემანისაგან ერანთა და თურანთა ფალავანთა გამოხსნა.
- 18) კარი, გარდანქემანისაგან ბედკეთილობისა წალკოტთა ანბის მბობა.
- 19) კარი, ყარამანისაგან ბარამის მამისა მოსაშველებლად წასვლა და გზასა ზედან მრავალთა თილისმათა დარღვევა.
- 20) კარი, ყარამანისაგან და სხვათაცა ფალავანთაგან შაფალი ფერის შემწედ მისვლა და ომთა ძლიერთა ანბავი.
- 21) კარი, ათარ დევის ასულის ბამანარასაგან სიზმრის მბობა ყარამანისთანა...

მთელი ეს ციკლი მთავრდება იმით, რომ "უშანგ ხელმწიფე ამიერ სოფლით გარდაიცვალა, პირველივე ქვეყანა და ხელმწიფობა ყარამანს დაულოცა".

თხზულების სადაურობისა და მთარგმნელის ვინაობის შესახებ ცნობა დაცულია ხელნაწერთა თავწერილობაში: "წიგნი ყარამანიანი ნათარგმნი სპარსულისაგან ქართულათ ორბელის შვილის სარდალ სალთხუცის დავითისაგან, ტკბილი და ამოდ სასმენელი სავაჟკაცო".

ირკვევა, რომ ერეკლე მეორის სიძეს, განთქმულ სარდალ დავით ორბელიანს (1716-1796), რომელსაც კარგად სცოდნია სომხური და სპარსული, ირანიდან ჩამოუტანია "ყარამანიანის" ხელნაწერი და გადმოუთარგმნია 1762-1774 წლებში.^[36] თუმც ზოგ ნუსხაში იკითხება: "ამბავი ყარამანისა, თ უ რ ქ თ აენისაგან ქართულსა ენასა ზედა თარგმნილიო", მაგრამ უდავოა, რომ ქართული ტექსტი მომდინარეობს სპარსული ვერსიიდან. სხვას რომ თავი დავანებოთ, ამას თხზულებაში ჩართული სპარსული ლექსები მოწმობენ, რომელნიც დ. ორბელიანს ქართული ტრანსკრიფციით გადმოუცია და მშვენივრადაც გაუღიქსავს (დავითი ცნობილი იყო როგორც პოეტი). სანიმუშოდ მოვიყვანოთ "ყარამანიანში" ჩართულ პირველ ლექსს:

დარ ომად სალი ბა შიშაი მეი
ჩი ფანუს ხიალი შამ დარ ვეი
ბია საყი ქი ნავრუზ ეს(თ) ნავრუზ.
ბადე ჯამი ქი ამრუზეს(თ) ამრუზ.

მეღვინე მოვა შვენებით, მინა სავსე აქვს ღვინითა,
ანათებს ფანოსივითა ამა ნადიმსა ლხინითა,
მოდ, მეღვინე, საჩქაროდ, ახალი წელიწადია,

სავსე ფიალა მო(მ)ართვი, დღეს უცხო ლხინი მწადია.

დასადგენია მხოლოდ, თუ რომელი სპარსული ვერსია თარგმნა დ.ორბელიანმა^[37]. "ყაჰრამან-ნამე", ანუ "დასთანე ყაჰრამან" დაუწერია ფირდოუსის ერთ-ერთ მიმბაძველს აბუ თაჰირ ატ-ტარსუსის. მასვე ეკუთვნის "დარაბანამე, დარიოსისა და ალექსანდრე მაკედონელის ისტორია"^[38]. ეს ლიტერატურული ვერსია დაედო საფუძვლად იმ ხალხურ გადამუშავებას, რომელიც "ქეთაბე ყაჰრამანის" ("ყარამანის წიგნი") სახელით ფართოდ გავრცელდა მთელ აღმოსავლეთში და რომელიც დღესაც შეგხვდებათ ყოველ ნაბიჯზე უამრავი ლითოგრაფიული გამოცემის წყალობით.

ზოგადი შედარება თითქოს იმაზე მიუთითებს, რომ ქართული ძეგლი სწორედ ამ ხალხურ გადამუშავებას უკავშირდება. მართალია, ჩვენს ხელთ არსებულ გვიანდელ ლითოგრაფიებში არა გვაქვს ლექსითი ჩანართები, მაგრამ ისინი სავარაუდებელია იმ ხელნაწერში, რომელიც წამოუღია დ. ორბელიანს და რომლის ანალოგიური ნუსხა საფუძვლად დაედო ლითოგრაფიებს. სამაგიეროდ, ემთხვევა არა მარტო საერთო კომპოზიციური ჩარჩო და ცალკეული ეპიზოდები, არამედ მოქმედ პირთა თითქმის ყველა სახელი, აგრეთვე ლექსიკა და ფრაზეოლოგია. მოვიტანთ რამდენიმე მაგალითს:

ყარამანის მამას ხალხურ ვერსიაში ეწოდება "თალეყ-მურადი", მაგრამ იმავე ტექსტში ზოგჯერ გვხვდება "თაჰმურასი", აქედან გრაფიკულ ნიადაგზე ადვილად მისაღებია ქართული "თახმურადი". ყარამანის ბიძაშვილს "ყაჰთარან" ეწოდება, აქედან ქართული "ყათრან" ან "ყათარან". სპარსული "ყამარროხ" ("მთვარისლოცება") ქართულში ბუნებრივად იქცა "ყამარლუხად" და ა. შ. ერთგან ქართულ ტექსტში იკითხება: "ამა ლაშქართა ხორციტა ამა მთისა ნადირთა ს ე რ ი უყო". სპარსულში შესაბამ ადგილას გვაქვს "ს ი რ ქონამ", ე.ი. გავაძღვებო. ცხადია, დეტალური ტექსტუალური შედარება უფრო ნათლად გაარკვევს საქმის ვითარებას^[39].

ქართულ თარგმანს შემოუნახავს ერთი საინტერესო ცნობა: "პირველადწიგნისა ამის სპარსულად აღმწერსა თათუზ ჰაი (ზოგი ნუსხით თართუზ ჰაქიმი) სწოდებია, მისი წერილთ ასე აცხადებს". მაგრამ ეს რეალია, რომელიც უდავოდ სპარსულ ტექსტს უკავშირდება, აგრეთვე იმას მოწმობს, რომ ტარსუსი (იგივეთართუზი) პირველად აღმწერი ყოფილა, და არა უშუალო წყარო. ეს საკითხი უფრო დაწვრილებითი შესწავლის ღირსია^[40].

"ყარამანიანი" ნათარგმნია საკმაოდ გამართული ენით. მიუხედავად დედნის ზუსტი გადმოცემისა, მასში შედარებით იშვიათია უხეში სპარსიზმები, იგი მართლაც რომ ამოდ სასმენია და საკითხავი. დ. ორბელიანი ხშირად იყენებს კლასიკური ქართული ლიტერატურისთვის ჩვეულ პოეტურ სახეებს. აი, მაგალითად, როგორ არის აღწერილი მძინარე ყარამანი: "ულვაში იის მგზავსად ახლად აშლოდა, ღაწვნი ვარდისაებრ აჰყვავებოდა, ზედ ცის ნამის მგზავსი ოფლი მოსვლოდა, მეღნის ტბათა საგუბარნი თვალნი დაეხუჭნა, სიცხისაგან საზანი გადაეხადა და ბროლის მკერდი გამოსჩენოდა". ყოველივე ეს უნარჩუნებს "ყარამანიანს" როგორც ისტორიულ-ლიტერატურულ, ისე მხატვრულ მნიშვნელობასა და ღირებულებას.

"მ ი რ ი ა ნ ი". "წიგნი ჩინეთის ჭაბუკის მირისა", როგორც ის ნ. ჩაჩიკაშვილის მიერ გადაწერილ კრებულში (A 860) იწოდება, წარმოადგენს ზღაპრულფონზე გაშლილ სამიჯნურო თავგადასავალს ჩინეთის მეფე ხოსროვშას ძის მირისა და მალრიბის ხელმწიფის ილაილის ასულის ნომიავთაბისა.

თხზულებაში უხვადაა გაბნეული ფანტასტიკური ელემენტი, ჩართულია ჯადოსნური ეპოსისთვის ჩვეული ეპიზოდები.

უშვილობით შეწუხებულ ხოსროვმას დიდი ბრძოლა მოუხდება ნარგიზ-ჯადუსთან, იმისათვის, რომ შეირთოს ფერიის ასული რუხამფარი, რომლისგანაც შეეძინება ძე მირი. მირს ადრევე უწინასწარმეტყველეს საფრთხე, რომელიც მას მოელის ლამაზი ქალის სურარის ხილვით. აღმოსავლური ზღაპრისთვის დამახასიათებელი სიტუაციის შესაბამისად მირი, რომელსაც უმაღლესი ყოველგვარ გამოსახულებას, შემთხვევით ზღვის პირს წააწყდება ერთვაჭარს, ეს არის მუშთარი, მას დაეღუპა ხომალდი და მთელი ქონება, გარდა მადრიბის მეფის ასულის ნომიავთაბის სურათისა. მისი ხილვით გაოგნებული მირი გამიჯნურდება. აქედან იწყება სატრფოს ძიება მეგობრების- მუშთარისა და ნიქახტარის დახმარებით. ეს გზა აღსავსეა უთვალავი ხიფათით, ბრძოლებით დევებთან, მხეცებთან. მეგობრების (მათ შვემატა ანდალიბი) შემწეობით მირი ბოლოს მიაღწევს საწადელს.

თხზულების სადაურობის შესახებ ვარაუდი გამოთქვა კ. კეკელიძემ: "შესაძლებელია, ის გადმოკეთებული იყოს სპარსელი პოეტის ასარ ტაბრიზელის (გარდ. 1382) პოემის "მიჰრ-ო-მოშთერის" საფუძველზე, სადაც ლაპარაკია მიჰრ-მირიანისა (მზე) და მუშთარის (იუპიტერი) მეგობრობაზე^[41]." ასარის "მიჰრ-ო-მოშთარი" მეტად საინტერესო რომანტიკული ჟანრის პოემაა. მასში აღწერილია შაფურ მეფისა და მისი ვეზირის ვაჟიშვილების, მიჰრისა და მუშთარის მეგობრობა ბავშვობიდანვე. უკვე სკოლაში მასწავლებელმა მიაქცია ყურადღება მათ ზომაზე მეტად გადაჭარბებულ სიყვარულს ("ლეილმაჯუნნიანის" ანარეკლი), რის გამოც ისინი ერთმანეთს დააცილეს. მათ შორის გაიმართება მიმოწერა. შემდეგ ვრცლად არის გადმოცემული მიჰრის გაქცევა მამის კოშკიდან, მისი თავგადასავალი ხორეზმშაჰის კარზე, სადაც იგი შეუყვარდება მეფის ასულს ნაჰიდს. მიძის ტრადიციულ ჩარევას მათ საქმეში მოსდევს ერთად შეყრა მიჰრისა და მუშთარისა^[42]. როგორც ვხედავთ, თავისთავად საგულისხმო თხზულება მაინც ვერ ჩაითვლება ქართული "მირიანის" წყაროდ. მაგრამ ერთი კი ცხადია, ეს წყარო საძებარია სპარსულ-ტაჯიკურ ლიტერატურაში ცნობილ სხვა ანალოგიურ თხზულებათა შორის.

ყველა ნიშნით "მირიანი" ნათარგმნია თუ გადმოკეთებული სპარსული, დაარა თურქული, წყაროდან (თუმც ზოგ ნუსხაში "თათრულიდან გადმოთარგმნილად" იწოდება). ამის საფუძველად გამოდგება როგორც საკუთარი სახელები, ისე ჭარბი სპარსიზმები (ბიაბანი, ზარარი, ყადაღა, მასლაათი ქნეს, თავისი გზის ფიქრი ნახა და სხვ.). თარგმნის დროდ მისი სტილისტიკური ნიშნებით XVIII საუკუნის მეორე ნახევარი ივარაუდება^[43].

"ს ი რ ი ნ ო ზ ი ა ნ ი". "შაჰ-ნამეს" ქართულ ვერსიებსა და "ყარამანიანს" უკავშირდება ვრცელი სარაინდო რომანი "სირინოზიანი"^[44]. თხზულება ორი კარისგან შედგება: "მაშრიყის ხელმწიფისა და ძისა მისისა სირინოზისა ანზავი შესაქცევად სასმენი", შეიცავს 30 თავს, და "ამზავი მაშრიყთა ხელმწიფისა სირინოზისა და ძისა მისრსა მარიხისა", რომელიც 26 თავისაგან შედგება. პირველ კარში აღწერილია მაშრიყის ხელმწიფის არდაფისა და მისი ძის სირინოზის საგმირო-სამიჯნურო თავგადასავალი, მეორე კარი კი ძირითადად სირინოზის ძის მარიხის ისტორიას ეთმობა. "ისე რომ, თხზულება შეიცავს სამი თაობის -პაპის, ე. ი. არდაფის, მამის, ე. ი. სირინოზის და შვილის, ე. ი. მარიხის ცხოვრებასა და გმირულ-რომანული თავგადასავლის აღწერას რაინდული ყოფისათვის ერთნაირად დამახასიათებელი

ყველა ელემენტით, რაც ამ რომანის საერთო თვისებას შეიცავს და განსაზღვრავს მისი სტილის ტავტოლოგიურობას"^[45].

მართლაც, რომანის ორი ძირითადი სიუჟეტი - სირინოზ-ნანუჯანი და მარხ-მუშთარიჯანი მრავალი დეტალით ემთხვევა ერთმანეთს. განსხვავებას ქმნის ის უამრავი ჩართული ეპიზოდები და ამბები, რომელნიც მხოლოდ ტექნიკურად უკავშირდებიან ძირითად ხაზებს.

თავის საყურადღებო გამოკვლევაში გ. იმედაშვილს შენიშნული აქვს, რომ "სირინოზიანის" ავტორი კარგად იცნობს და იყენებს სიუჟეტებსა და ამბებს "ათას ერთი ღამისა" და "შაჰ-ნამეს" მიმბაძველების ციკლებისას ქართული "როსტომიანისა" და "ყარამანიანის" სახით. ჩანს, იგი საერთოდ გარკვეული იყო ამ ტიპის თხზულებათა შედგენის საიდუმლოებაში. მათ შეიძლება დაემატოს კიდევ ერთი ძეგლი, "მირიანი", რომლის ზოგი ეპიზოდი დეტალურად ემთხვევა "სირინოზიანს". მაგალითისათვის ავიღოთ თხზულების დასაწყისი: მაშრიყის ძლიერ ხელმწიფეს არდაფს არ ჰყავდა ცოლ-შვილი. გრძნეული სიზმრის ხილვის შემდეგ თავის ვეზირთან ერთად მოხვდა ერთ წალკოტში, სადაც ნახა ოქროს ყაფაზში დამწყვდეული მერცხალი, რომელიც გაათავისუფლა. ეს მერცხალი ყოფილა ჯინისტანის ხელმწიფის შაფურის ქალი ნანუჯანი, რომელიც თილისმით იყო შეკრული. მერცხალი მიფრინდა მამასთან და ქალად იქცა. გახარებულმა მშობლებმა მეთილისმე უპირანჯანის შემწეობით არდაფითავისთან მოიყვანეს და ქალი ცოლად შერთეს. შემდეგ ოქროს ტახტით არდაფი ნანუჯანთან ერთად მშობლიურ ქალაქში დაბრუნდა. ჯადოქრული ძალით არდაფი და მისი ვეზირი მტრებმა ძალღებად აქციეს, ნანუჯანი კი გაიტაცეს. ტყვეობაში მას შეეძინა ვაჟი სირინოზი.

ანალოგიურია "მირიანის" დასაწყისი. ჩინეთის ხელმწიფეს ხოსროვმას უშვილობა აწუხებდა. ერთხელ მან, მისმა ვეზირმა და ფილოსოფოსმა ყაფაზიდან გვრიტი გაათავისუფლეს. ეს ყოფილა მაშრიყის ქვეყნის ხელმწიფის ფარუხფალის ქალი რუზამფარი, რომელიც ნარგიზჯადუს დაემწყვდია. ქალი მიფრინდა მშობლებთან, რომელთაც ფერიებს მოაძებნინეს და თავისთან მოაყვანინეს მხსნელები. შემდეგ გახარებულმა მშობლებმა ხოსროვმას შერთეს თავისი ასული, შესვეს ცოლ-ქმარი ტახტზე და ჩინეთს გაამგზავრეს. აქ რუზამფარს შეეძინება ვაჟი, სახელად მირი (ცოტა ადრე მოხსენიებულია ხოსროვმას, მისი ვეზირისა და ფილოსოფოსის მხეცებად გადაქცევა).

ერთი სიტყვით, მთელი რიგი ნიშნებით "სირინოზიანი" ტიპიური სადევგმირო ნაწარმოებია, რომელიც უხვადაა შემკული ჯადოსნური და ფანტასტიკური ელემენტებით.

თხზულების ენა და სტილი პრიმიტიულია, თუმც გვხვდება მოხდენილი პასაჟები. პროზას ზოგჯერ ენაცვლება რუსთველური შაირით დაწერილი ლექსები.

არც თხზულების ავტორისა და არც მისი სადაურობის შესახებ რაიმე კონკრეტული ცნობა არ მოგვეპოვება. ალ. ხახანაშვილი გადაჭრით თვლიდა მას სპარსულიდან თარგმნილად, რის საბუთადაც მოჰყავდა სპარსიზმების მაგალითები^[46]. მართლაც, "სირინოზიანში", საკუთარ სახელებზე რომ არაფერი ვთქვათ, გვხვდება ასეთი გამოთქმები: "შენი სიცოცხლის ფრინველი შენი სასახლის გვამიდგან გავაფრინო", ე. ი. მოგკლა, ან "განცვიფრება მიიღო", "მოქმედება ჰქმნა" და ა. შ. უკანასკნელ ხანს ეს მოსაზრება კითხვის ქვეშაა დაყენებული. სამეცნიერო ლიტერატურაში დაისვა საკითხი ამ ძეგლის თავისუფალი გადმოკეთება-გადმოქართულების შესახებ, უფრო მეტი, მისი ორიგინალურობის შესახებაც კი^[47]. სპარსიზმებთან ერთად მითითებულია ბერძნული (თვით სახელი სირინოზი

დაკავშირებულია "სეირენოსთან" და განმარტებულია ძველშივე, როგორც "ზღვის შობილი"), თურქიზმები, რუსიციზმები. დამაფიქრებელია აშკარა ანტისპარსული ტენდენცია და ქართული ორიგინალური ძეგლების (მაგ., "ვეფხისტყაოსნის") გავლენის კვალი.

ვფიქრობთ, საკითხი მაინც შემდგომ კვლევას მოითხოვს. ჯერჯერობით ანალოგიური ნაწარმოები სხვა ენაზე არ ჩანს. ეს კიდევ უფრო ზრდის ქართული ძეგლის მნიშვნელობას.

რაც შეეხება "სირინოზიანის" შექმნის დროს, სტილის მიხედვით იგი XVIII საუკუნის მეორე ნახევარს განეკუთვნება^[48].

"ს ე ი ლ ა ნ ი ა ნ ი". "ყარამანიანისა" და "სირინოზიანის" ანალოგიური საგმირო-საფალავნო ხასიათის ეს კრებული კიდევ უფრო მოკლებულია ერთ მთლიან ფაბულას. იგი მხოლოდ პირობითად უკავშირდება მთავარი გმირის სეილან საჰიბყირანის სახელს და ფაქტიურად წარმოადგენს სხვადასხვა სიუჟეტის მქონე უამრავ ეპიზოდთა ხშირად მექანიკურ კავშირს.

...თურქესტანს იყო ხელმწიფე სარაფრაზ-შაჰი, რომელსაც უშვილობა და კარს მომდგარი სიბერე აწუხებდა. ბოლოს მესტროლაბეთა უხუცესის ახტარშინასის წინასწარმეტყველებით ის ირთავს ინდოეთის ხელმწიფის ხუდრაის ასულს ხურშითბანოს, რომელთანაც ეყოლება ძე სახელოვანი და საჰ (იბ) ყირანი სეილანი... შემდეგ აღწერილია სეილანის ურიცხვი ბრძოლები, რომელნიც ხშირად ეხმაურებიან "ყარამანიანსა" (ეიათის მინდორს წასვლა) თუ "სირინოზიანს" (ჯინისტანს ათარ დევთან შეხმა).

"სეილანიანი" არ გამოქვეყნებულა^[49]. როგორც გ. იმედაშვილმა გაარკვია, ქართული თარგმანი მოიცავს ექვს წიგნს: "სეილან-ნამე", "ჯანგ-ნამე", "არდაშერ-ნამე", "რუმ-ნამე", "მაშრიც-ნამე" და "იადა". თხზულების სადაურობისა და მთარგმნელის ვინაობის შესახებ საინტერესო ცნობა გვაქვს ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკის ნუსხის^[50] თავწერილობაში: "დინდის ენიდამ გარდმოღებული დავრიშ სეიდისაგან, რომელსაც გარდმოულია წიგნი ესე სეილან ნამა, რომელ არს ტკბილ და ამო სასმენელი სპარსულად და სპარსულიდამ მე გარდმოვიღე ბატონიშვილმა იოანემ ქართულსა ენასა ზედა, რომელიც არის შვიდწიგნად მოხსენებული. თურქთა. ინდთა. სპარსთა. სინდთა. ჯინთა. ურუმთა. ჩინელთა. აბაშთა. ჩრდილოელთა. შვიდთა ყაფისა მათათა და ეიათისა მინდორ დევთა და არაბთა იამანენთა და სხვათა მრავალთა ხელმწიფეთა ომი. რომელიც რომ ამ წიგნში მოუთხრობს და დიდნი ფალავნობისა საქმენი, რომელნიც კაცთა სასმენელად საამო არიან". ამავე ნუსხის ბოლოს ქართველი მთარგმელი იოანე ბატონიშვილი უთითებს თარიღს - 1791 წელს.

ამ ცნობიდან საყურადღებოა ჯერ თვით სპარსული ორიგინალის სათაური - "სეილან-ნამა", შემდეგ მისი ავტორის დავრიშ სეიდისა და ინდური წყაროს დასახელება, აგრეთვე შვიდ წიგნად დაყოფის აღნიშვნა. თავის დროზე ამის შესახებ აზრი გამოთქვა ნ. მარმა, რომელმაც აღწერა "სეილანიანის" ერთ-ერთი ხელნაწერი: "Повесть представляет перевод или переделку одной из многочисленных редакций персидской повести о Сагиб-Киране^[51]."

შემდეგში ეს მოსაზრება გაიმეორა ალ. ხახანაშვილმა^[52]. კ. კეკელიძემ სამართლიანად უარყო ერთ-ერთი ასეთი სპარსული დამუშავება, როგორც "სეილანიანის" წყარო^[53]. მართლაც, მოჰამად თაყი ჯაფარის "ზუსთანე ხიალ", რომელიც ერთი შეხედვით ემსგავსება ქართულ თარგმანს ფერი-ჯინებით აღსავსე გრძელი მონოტონური თხრობით, გადმოგვცემს სამი გმირის, სამი საჰიბყირანის თავგადასავალს, ამასთან არც ერთი არ ემთხვევა სეილანის ისტორიას^[54].

მართალია, ქართველ მთარგმნელს საკმაოდ თავისუფლად გადმოუღია ტექსტი, ბევრი რამ ჩაუმატებია, მაგრამ როგორც მისივე სიტყვები, აგრეთვე თხზულების სტილისტური მონაცემები, უთარგმნელად დატოვებული ქართულიტრანსკრიფციით წარმოდგენილი ერთი ლექსი, საკუთარი სახელები (რომელნიც ამ შემთხვევაში სპარსული შესატყვისების ზუსტ გადმოცემას წარმოადგენენ) მოწმობენ, რომ არსებული კონკრეტული სპარსული ძეგლი, "სეილან-ნამა", რომელიც დღეს სპარსულ ლიტრატურაში არ ჩანს. ამ ვითარებაში გასაგები ხდება ყველა მცირე დეტალის მნიშვნელობა. საფიქრებელია, რომ ამ თხზულების კვალს მიაგნო ცნობილმა საბჭოთა ირანისტმა იური მარმა. მის არქივში აღმოჩნდა მითითება, რომ XVII ს. ფრანგი მეცნიერის დერბელოს ცნობარში "აღმოსავლური ბიბლიოთეკა" იხსენიება სპარსული რომანი "სეჰელან-ნამე"^[55]. თუ გავიხსენებთ, რომ ერთ-ერთ ქართულ ხელნაწერში (№ 17) გმირის სახელი ამავე ფორმითაა წარმოდგენილი (სჰლან), ეს კავშირი უფრო ნათლად წარმოგვიდგება.

ეს საკითხი შემდგომი ძიების შედეგად თუ გადაწყდება. მანამდე ქართული თარგმანის თავისებურებათა შესახებ ბევრს ვერაფერს ვიტყვით. ყოველ შემთხვევაში, მისი ისტორიულ-ლიტერატურული მნიშვნელობა ცხადია.

"მ ე ფ ე თ ა ს ა ლ ა რ ო". "მეფეთა სალარო" დიდაქტიკურ-მორალისტური შეგონებების კრებულია^[56]. იგი ნათარგმნია სპარსულ-ტაჯიკური ლიტერატურის ისეთი ძეგლიდან, რომელსაც ერთი ჩარჩო არა აქვს. თეორიული ხასათის მასალა აქ სხვადასხვა კარშია მოთავსებული და სათანადო არაკით ილუსტრირებული. თემატიკა სათაურშივეა განსაზღვრული, მაგალითად: ღვთის ხვეწნისთვის, საბრისთვის (მოთმინებისთვის), უხვობისა და გამცემლობისათვის, სამართლისა და ადალათისთვის, შენდობისთვის და ა. შ.

სანიმუშოდ მოვიყვანოთ ერთ არაკს თავიდან "სიწყნარისა და აუჩქარებლობისთვის":

"არდაშირ ბაბექ, დიაღაც, დიდი და სამართლიანი ხელმწიფე იყო. ვაზირთ უბრძანა, სამი წიგნი დაწერეს და ერთს ერთგულს შინაყმას ხელთ მისცეს. ასრე დაარიგა, რომე როდისცა გაჯავრება შეიტყო ჩემიო, სადამდის უბრძანებდე, ერთი წიგნი ხელთ მომეცო. თუ იმან არ დამაწყნაროს, მასუკან მეორე წიგნი მაჩვენე, თუ აღარც იმით იქნას, მესამე წიგნი მაჩვენე. პირველს წიგნში ეს ეწერა: "კაცის სიკვდილს ნუ აუჩქარდები და ნუცა გაუთამამდები მეფობასა, ამაღ რომე შენ დაბადებულხარ დაღონებული და დამზადებელი ძლიერი და დაუღონებელია. სხვაც არის, რომე ხელმწიფობა შენთვის იმას მოუცემია და წართმევაც იმას შეუძლია". მეორეს წიგნში ეწერა, ვითარ: "გაიკითხე შენგან უქვედაესი კაცი და განკითხვაში არ აჩქარდე, რომელსაც მოერიო, შეიბრალე იგი, რომე რომელიც შენ მოგერევის, მის მაგიერად მას საიქიოს შენ იმან შეგიბრალოს". მესამეს წიგნში ეს ეწერა, ვითარ: "ამ ჰოქმს რომ იქ, უსამართლო არის და უსამართლოს ნუ იქ და ღმერთს ნუ გაიწყრომებ".

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ამ არაკის სპარსული შესატყვისი აღმოჩნდა XVII საუკუნის ერთ კრებულში.^[57] სხვადასხვა არაკებს შორის ერთ-ერთი ასე იწყება: "არდაშირ ბაბაქმა, რომელიც საწუთროს სულტანთაგანი და უმძლავრესი მეფეთაგანი იყო, ბრძანა, რათა სამი წერილი დაეწერათ და ერთ დაახლოვებულ მონას ჩააბარა..." ეს ფაქტი მხარს უჭერს დ. კობიძის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას, რომ "სპარსული კრებული - ძირითადი წყარო ჩვენი ძეგლისა, შედგენილი ყოფილა შამს-ოდ-დინ აჰმედ ბენ სოლეიმანის თხზულების ("ნეგარესთანის") დაწერის (1532/3 წლის) შემდეგ; მაშასადამე, იგი მეთექვსმეტე საუკუნეზე ადრე არ შეიძლება ყოფილიყო გადმოთარგმნილი^[58].

"მეფეთა სალაროს" ძირითადი წყარო სამეზარია. მანადე ძნელია თარგმანის თავისებურებათა სრული შეფასება, თუმც ერთი რამ ისედაც აშკარაა: მთარგმნელს უცდია მიეცა მისთვის ქრისტიანული ელფერი (მაგ., "რომელმანცა ქრისტიანის კაცის გული გაამხიარულოს, ყოველთა წმიდათა და წამებულთა მადლი მას მოხვდეს" და სხვ.). თარგმანის ენა მარტივია და სადა. თხზულება გადმოღებული უნდა იყოს არა უგვიანეს XVII საუკუნისა, მთარგმნელის ვინაობა უცნობია^[59].

"ხო ს რო ვ შ ი რ ი ნ ი ა ნ ი". "ხოსროვშირინიანის" პროზაული ქართული ვერსია შემოუნახავს უნიკალურ ხელნაწერ კრებულს, რომელშიც მოთავსებულია აგრეთვე "ბარამგულანდამიანისა" და "ბახთიარ-ნამეს" ტექსტი^[60].

დასაწყისში აღწერილია ხოსროს სვებედნიერი და სამართლიანი მეფობა: "ამის დროს მგელი მეცხვარეთ იდგა და ქვეყანა აავსო ბოძებით და სწავლითა". ერთხელ ბარამ ჩუბინის შესაპყრობად გალაშქრებულს გზაში შაბურმა უამბო სხვადასხვა უცხო ამბავი, მათ შორის ჩიელი მხატვრის მიერ შირინის სახის დახატვა და აჩვენა კიდეც პორტრეტი. გამიჯნურებულ ხოსროს შაბური შირინის ვინაობას ამგვარად გააცნობს: "გამიგონია, რომ არმანის ქვეყანას ერთი დედაკაცი კაის ოქმით ხელმწიფობს, იმისი საქმე დაყოველიფერი რიგი უკეთესია, ამ სახის პატრონის ტახტის ჯანიშინია, მთვარესა გავს ავსილსა... თან არის, იმისი შვილია, იმის სამსახურს თვალით იქს, იმისი მიწა-მტვერიც არის და მისის თვალის სინათლეცა". არმანისკენ გაბრუნებული ხოსრო შირინს შეეყრება. მიჯნურნი ერთმანეთს გულისთქმას გაუმხელენ. შემდეგ ხოსრო ამარცხებს ბარამს, მიჯნურნი კვლავ ერთად არიან, მაგრამ შირინი არ დაჰყვება მის ნებას, რადგან ისინი ჯერ ცოლ-ქმრად არ იწოდებიან.

განაწყენებული ხოსრო ტოვებს შირინს. სანადიროდ გასულს იგივე შაბური ამჯერად ისპანელ ლამაზმანს შაქარს აღუწერს. შაქართან შეხვედრამ ხოსროს გადაავიწყა შირინი. მან იქორწინა კიდეც და გვირგვინი იკურთხა შაქართან ერთად. სასოწარკვეთილი შირინი ერთ დღეს ფარადს შეხვდება და უბრძანებს კლდეში რუს გაყვანას მთიდან რძის ჩამოსადენად. ეს ქვისმთლელი აღმოჩნდება წარმოშობით ჩინეთის სამეფო გვარისა. იგი უგონოდ გაუმიჯნურდება შირინს. ამ ამბავმა ხოსროს ყურამდე მიაღწია და სული შეუშფოთა. მან შირინს გულისტკივილითა და სინანულით აღსავსე წერილი მისწერა. შირინმა საყვედურნარევი სამიჯნურო წერილით უპასუხა. თმენაწართმეულმა ხოსრომ მეცხვარედ გადაიცვა და ფარადის სანახავად გაემურა. მასთან საუბარმა დაარწმუნა იგი ფარადის გრძნობის სიმტკიცეში. ამიტომ ხოსრომ მზაკვრული ხერხი იხმარა, ერთი ავი დედაბერი მიუგზავნა ფარადს და ათქმევინა, თითქოს შირინი მოკვდაო. სასოწარკვეთილმა ფარადმა თავი მოიკლა.

არც შირინი კარგავდა დროს. ფარადის გამოგლოვების შემდეგ მან გრძნეული მაჰსიმა მიუგზავნა შაქარს და შაქარი მოაკვლევინა. მოიშორეს მეტოქეები მიჯნურებმა და შეერთდნენ საბოლოოდ. მაგრამ ხანგრძლივი არ გამოდგა მათი ბედნიერება. ხოსრო მოკლა ვინმე მარდქოშმა, ხოლო შირინმა სატრფოს დააკლა თავი, "აშიეობის ერთგულობა და წესი თავის სისხლით დასწერა და დააგდო". გამეფდა ხოსროს ძე შირი.

ჯერ კიდეც ფირდოუსიმ შეიტანა ცალკე ეპიზოდის სახით "მაჰ-ნამეში" ხოსროვისა და შირინის სამიჯნურო ისტორია. მაგრამ ცალკე რომანტიკული პოემის სახით იგი დაამუშავა ნიზამი განჯელმა. მას შემდეგ მრავალმა მიმბაძველმა შექმნა ანალოგიური სიუჟეტის მქონე თხზულება (მათ შორის ხოსროვ დეჰლევიმ, ნავოიმ და სხვ.).

ქართული ვერსია აშკარად თარგმანს წარმოადგენს. მთარგმნელს პროზით გადმოუღია რთმელიდაც სპარსული დამუშავება ამ თემისა. წყაროს გარკვევაში

მკვლევართ დიდად დაეხმარა მინაწერი ტექსტის დასასრულს: "ქ: ესე ნიზომიმ მოინდომა, თავის სიცოცხლეში შაირობდა. დიდი ხანია მინდოდა, რომ იმისი წყალობით (მეთქვა). ლექსები იმას ვამგზავს და "ხოსროვ-შირინი" დავარქვი. და ქორონიკონი ექვსის რვის წლისა იყო, რაჯაბს თვეს დავიწყევი"... სამეცნიერო ლიტერატურაში გარკვეულია, რომ ეს სიტყვები ეკუთვნის ხოსრო დეჰლევის.^[61] ოღონდ ქართულ თარგმანში დამახინჯებულია თარიღი (608 ნაცვლად 698-ისა). ამრიგად, ქართული ვერსიის წყაროს წარმოადგენს ხოსრო დეჰლევის პოემა "ხოსროვ და შირინი" (დაიწ. 1299 წ.).

ქართველი მთარგმნელი საკმაოდ ზუსტად მიჰყვება ტექსტს, თუმცა ალაგ-ალაგ ამოკლებს მას. თხზულების ენა ვულგარულია, მაგრამ ზოგჯერ შენარჩუნებულია დედნის ექსპრესია: "ის ბედნიერი ღამე იმისთვის ნავროზობასაც უკეთესი იყო, ამისთვის რომ ორნივე ერთმანერთის მუსაიბნი იყვნენ, ორივე ზარხოში, ორივე სიყვარულით მთვრალი, ორივე გაგიჟებული და ორნივე აშიყნი იყვნენ". ხშირია როგორც ლექსიკური, ისე ფრაზეოლოგიური სპარსიზმები. ენობრივ-სტილისტური მონაცემების მიხედვით ეს ქართული ვერსია თარიღდება XVII საუკუნის გასულითა თუ XVIII საუკუნის დამდეგით.^[62]

ლეგენდა ხოსროვისა და შირინისა თავისებურად დაუმუშავებია XVII საუკუნის ქართველ ისტორიკოსს ფარსადან გორგიჯანიძეს. მას, როგორც მისივე სიტყვებიდან ჩანს, უსარგებლია ზეპირი გადმოცემებითაც და ლიტერატურული დამუშავებითაც (საფიქრებელია, ფირდოუსისა და ნიზამის პოემებით): "ამათი არაკი და ამბავი მრავალია და ცალკე არის ლექსათ თქმული და ცხოვრებაშიაც გრძელი ამბავები სწერია, მაგრამ აქ მოკლეთ გვითქვამს^[63]". მართლაც, გორგიჯანიძე მოკლედ გადმოგვცემს ხოსროვისა და შირინის შეხვედრას, ხოსროს ბრძოლას ჩუბინის წინააღმდეგ, მარიამის შერთვას, შირუას მიერ მამის მოკვლას და შირინის თავგანწირვას. ზოგჯერ აქ გვხვდება საყურადღებო, ლიტერატურული ვერსიებისთვის უცნობი დეტალები.

ფარსადან გორგიჯანიძასეული ვერსია მოკლებულია მხატვრულ ღირებულებას.

"ჩ ა რ დ ა ვ რ ი შ ი ა ნ ი". "ჩარდავრიშიანი" ერთი ჩარჩოთი შემოფარგლული ზღაპრების საკმაოდ პოპულარული კრებულია^[64].

... კონსტანტინოპოლის ხელმწიფეს ბახტიარს ერთ დღეს სევდა შემოაწვა ხანში შესვლისა და უშვილობის გამო. ბრძენი ვეზირის როგომანრის რჩევით მან გასცა ურიცხვი საბოძვარი. მეფემ შემთხვევით ამოიკითხა წიგნში, რომ ვისაც დარდი აქვს, სასაფლაოს უნდა მიაშუროს და იქ ჰპოვებს შევბასო. ღამით მარტო აღმოჩნდა იგი სასაფლაოზე. ერთ გუმბაზში სინათლეს მოჰკრა თვალი და ოთხი მძინარე დერვიში აღმოაჩინა. ერთ-ერთის ცხვირის დაცემინებაზე დანარჩენთ გამოელვით და ერთმანეთის გასართობად საკუთარი თავგადასავლის მოყოლა გადაწყვიტეს.

ასეთია სქემატური ჩარჩო, რომელშიც ჩასმულია შემდეგი ამბები: შამის ქვეყნის დიდვაჭრის შვილის ამბავი, ირანის ხელმწიფის შაჰ მანუჩარის ძის ამბავი, თვით ბახტიარ ხელმწიფის ამბავი, რომელიც ჩართულია პირველი ორი დერვიშის თავგადასავლის შემდეგ, სპარსეთის ხელმწიფის ამბავი და ინდოთ ხელმწიფის შვილის ამბავი. ბოლოს აღწერილია ბახტიარის ვაჟის დაბადება და დერვიშთა საწადლის აღსრულება.

"ჩარდავრიშიანი" ნათარგმნია იმ სპარსული თხზულებიდან, რომელსაც "ყისაიე ჩაჰარ დარვიშ" ("ოთხი დერვიშის ისტორია") ეწოდება. ზოგადი ხასიათი და დეტალები თითქმის მის ინდურ წარმოშობაზე მეტყველებენ, მაგრამ შემდეგში მას აშკარად განუცდია სპარსული ლიტერატურული ტრადიციების გავლენა. გარკვეული

არაა არც დრო ამ ძეგლის შექმნისა, არც ავტორის ვინაობა. ზოგჯერ მას მიაწერენ ხოსროვ დეჰლევის (XIV ს.), თუმცა ეს მოსაზრება საფუძვლიანადაა ეჭვქვეშ დაყენებული. საერთოდ, ლიტოგრაფიებით ცნობილი და გავრცელებული ვერსია უფრო გვიანდელ, ხალხურ გადამუშავებას უნდა წარმოადგენდეს რომელიღაც ადრინდელი, ლიტერატურული ნიჭით დაჯილდოებული ავტორის თხზულებისა^[65].

ქართული ტექსტი ზუსტად, ზოგჯერ სიტყვასიტყვით მიჰყვება ორიგინალს. თუმცა მთარგმნელი არ ერიდება გარკვეულ შემოკლებას, უპირატესად სიუჟეტთან დაუკავშირებელი დეტალების ხარჯზე^[66]. სპარსულ ტექსტებში არსებული სხვადასხვა ვარიანტული სხვაობანი გვაიძულებენ სიფრთხილით მოვეკიდოთ იმ შინაარსობლივი ხასიათის მცირე გადახვევებს, რასაც ქართულ თარგმანში ვხვდებით. მაგალითად, ქართულის მიხედვით დერვიშები იღვიძებენ ცხვირის დაცემინების ხმაზე. ზოგ სპარსულ ვერსიაში ეს დეტალი არა გვაქვს (მეფე პირდაპირ წაადგება ოთხ მოსაუბრე დერვიშს), მაგრამ ზოგიერთებს კი დაუცავთ იგი ("ათსე ზადან"). ქართული თარგმანის სახელები როვმან-რაი, მუმ-ბარაქი ზოგ სპარსულ ტექსტში ან შეცვლილია (მხოლოდ როვმან), ან სულ არ არის; მაგრამ სხვაგან ისინი თავის ადგილზეა (როუმან-რაი, მუბარაქი). ამდენად ბუნებრივია, რომ სხვა ასეთი გადახვევებიც დაიძებნება (მაგ., ქართულით მეოთხე დერვიში ინდოეთის ხელმწიფის შვილია, ჩვენთვის ხელმისაწვდომი სპარსული ვერსიებით კი იგი ჩინეთის მეფის შვილად იწოდება და ა. შ.).

ქართული თარგმანი საკმაოდ გამართულია და ადვილსაკითხავი. მთარგმნელის ვინაობა უცნობია. "ჩარდავრიშიანი" თარიღდება XVIII საუკუნის მეორე ნახევრით^[67].

* * *

XVI-XVIII საუკუნეებში სპარსულიდან. ნათარგმნი უმთავრესი ძეგლების მოკლე მიმოხილვა ნათლად მეტყველებს ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობას ინტენსივობაზე თეიმურაზის შემდეგ. აღნიშნულ პერიოდში გაღვივებული ეს პროცესი არ შემწყდარა თვით XIX საუკუნის გასულამდე. ზემოთ უკვე ითქვა 1828 წელს ა. სულხანიშვილის მიერ ნათარგმნ ბახთიარ-ნამეს ფანაჰისეული ვერსიის შესახებ. ამავე საუკუნის შუა წლებში ითარგმნა "ყისაი ჰამზას" ერთ-ერთი სპარსული რედაქცია^[68]. მრავლად ითარგმნებოდა სხვადასხვა იგავ-არაკთა კრებულები.^[69]

[1] А. Н. Б о л д ы р е в, Зайнадин Вaсифи, таджикский писатель XVI века, 1957, გვ. 256.

[2] А. Н. Б о л д ы р е в, დასახ. ნაშრ. გვ. 262.

[3] სსრკ მეცნიერებათა აკადემიის არქივი, ფონდი 800, №2915.

[4] მ . თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი , ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, 1902წ., გვ. 683.

[5] იოსებზილიხანიანის ქართული ვერსიები, 1927, 3-98 (აქვეა ხელნაწერის აღწერილობა)

[6] ა ლ . გ ვ ა ხ ა რ ი ა , იოსებზილიხანიანის ქართული ვერსიების სპარსული წყაროები, 1958, გვ. 106-108.

- [7] ალ. გვახარია, დასახ. ნაშრომი, 20-95; დღეს ამ თემის ოცამდე მხატვრული დამუშავების დასახელება შეიძლება, თუმცა ეჭვი არაა, რომ შემდგომი კვლევისას ეს სია უფრო გაიზრდება, ამას თან ერთვის სხვა ენაზე შექმნილი ვერსიები (თურქულ, ურდულ, ქურთულ და სხვ.).
- [8] გ. ჯაკობია, თეიმურაზის თარგმანები, თეიმურაზ I, 1934, გვ.243-250; კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II 1958, გვ.379.
- [9] დაწვრილებით ამის შესახებ იხ. ალ. გვახარია, დასახ. ნაშრომი, გვ.113-143.
- [10] სპარსიზმების ჭარბი ხმარება ზოგჯერ ძნელად გასაგებს ხდის აზრს. მაგ.: ვირმა რა იცის, სიტკბილე შექარისა? ბზე უნდა, ქუნჯი რუბათი, არზუ არა აქვს ჩათრისა (სტრ.510). ხელახალი თარგმნაა საჭირო მეორე სტრიქონისა, რათა ქართულად გავიგოთ, რომ, თურმე ვირს "უნდა ბზე, თავლის კუთხე (ქუნჯი რუბათი) და არა აქვს სურვილი (არზუ) სამეფო თომარ-ჯიდასი (ჩათრი)".
- [11] ნაკლებ საფიქრებელია, რომ ეს იყოს სპარსელი მიმბამველის სახელი, რომლიდანაც ითარგმნა ქართული ვერსია.
- [12] კ. კეკელიძემ გამოთქვა ვარაუდი ამ ზაალისა და ხელნაწერ A790-ის გადამწერ ზაალ თუმანიშვილის იგივევით შესახებ (ქართული ლიტ. ისტ., ტ II, გვ.383). ქრონოლოგიურად ზაალ თუმანიშვილი მაინც საკმაოდ დაშორებული ჩანს (ხელნაწერი თარიღდება XVII-XVIII ს.).
- [13] შდრ. "ზაფრანის ფერად შეცვალა ბროლი ცრემლისა ბანამან" (სტრ.358).
- [14] Е. Э. Бертельс, Новая версия Бахтиар-намэ, Известия АН СССР, 1929წ., გვ.249-276.
- [15] Т Н. N o l d e k e , Uber die Texte des Buches von den zehn Veziren.... ZDMG, 45, გვ.97-143; Е. Э. Бертельс, Бахтиар- намэ, Ленинград, 1926.
- [16] გამოცემულია ალ. ბარამიძის მიერ: ბახტიარ-ნამეს ქართული ვერსიისათვის (ლიტ. ძიებანი, IV, 1948, გვ. 138-173).
- [17] ალ. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I, 1940, გვ.102; კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1958, გვ.478; დ. კობიძე, ბახტიარ-ნამეს ქართული ვერსიის შესახებ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. VI, №3 1945, გვ.235.
- [18] აქ და ქვემოთ ტექსტი მოგვყავს ალ. ბარამიძის გამოცემის მიხედვით.
- [19] სსრკ მეცნ. აკადემიის აზიის ხალხთა ინსტ. ლენინგრადის განყოფილების ხელნ. №C 1839 (თარიღდება XVII ს.).
- [20] ალ. ბარამიძე, ბახტიარ-ნამეს ქართული ვერსიისათვის, ლიტ. ძიებანი, IV, 1948, გვ. 134-135.
- [21] იქვე, 137; იქ წარმოდგენილ მაგალითებს შეიძლება დავუმატოთ "დეჰყანი" (მემამულე), რაც ქართულ ტექსტში საკუთარ სახელადაა გაგებული - "დიაყან ერქვა".
- [22] ამ თარგმანმა ჩვენამდე მოაღწია ორი ხელნაწერის სახით: ერთია საქ. ცენტრალური არქივის ხელნ. №367, მეორე - აზიის ხალხთა ინსტ. ლენინგრადის განყოფილების ხელნ. E58.
- [23] ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახ. საჯარო ბიბლიოთეკის ხელნ. курд. №12; აზერბაიჯანის მეცნ. აკად. ხელნაწერთა რესპუბლიკური ფონდი, ბაქო, 1963, №512. დაწვრილებითი ქართული ვერსიის შეცახებ იხ. ალ. ბარამიძე, რუსუდანთანის ლიტერატურული წყაროები, თსუ მოამბე, VIII, 1928, გვ.317; დ. კობიძე, ბახტიარ-ნამეს ქართული ვერსიების შესახებ, საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. VI, №3, 1945, გვ. 239; ტ. რუხაძე, ქართული ეპოსი "გარდამავალი ხანის" ლიტერატურაში, 1939,

გვ.217; А. А. Гвахария, О поэтической версии Бахтиар-намэ, тсუ. შრომები,91, აღმოსავლეთმცოდნეობის სერია,1960.

[24] ნო დ არ ც ი ც ი შ ვ ი ლ ი , შვიდი მთიები, კ. კეკელიძის გამოცემა,1930.სათაური გამომცემელს ეკუთვნის. ასეთი დასათაურება მიზანშეუწონლად მიაჩნიათ იუსტ. აბულაძეს (ძველი ლიტერატურული ძეგლი, მნათობი,№10-11, 1936) და გრ.

ნახუცრიშვილს ("ბარამგურიანის" ზოგიერთი ადგილის განმარტებისათვის, თბილისის უცხო ენათა პედ. ინსტ.შრომები, ტ. 2, 1959).

[25] პირველად ცნობები მის შესახებ გამოაქვეყნა ი უ ს ტ . ა ბ უ ლ ა ძ ე მ (ბარამგურიანი, "სახალხო გაზეთი"№818,1913); იხ. აგრეთვე "შვიდი მთიები", გვ. IX.

[26] კ . კ ე კ ე ლ ი ძ ე , დასახ. ნაშრომი,გვ.XIV.

[27] А , К р ы м с к и й , История Персии, ее литературы...,т.Ш №1,1914-1915, გვ.

121.შდრ. დ . კ ო ბ ი ძ ე , ჯამი და ქართული ლიტერატურის ისტორიის ზოგიერთი საკითხი, თსუ შრომები,ტ108, 1964, გვ. 129.

[28] კ . კ ე კ ე ლ ი ძ ე ზემოთდასახელებულ ნაშრომში მიუთითებს, რომ " ბარამგურიანის" პირველი, მეოთხე და მეექვსე ნოველა უკავშირდება ნიზამის პოემას, მეორე და მესამე ნოველა-ნავოსას.მეხუთე ნოველის" შაჰ-ნამეს" რედაქციებთან კავშირის შესახებ აზრი გამოთქვა დ . კ ო ბ ი ძ ე მ (ბარამგურიანის მეხუთე ნოველის წყაროს შესახებ, საქართველოს სსრ მეცნ.აკად. მოამბე,ტ.V, №9, 1944, გვ. 955). რაც შეეხება მეხუთე ნოველას, მას არაფერი აქვს საერთო არც ხოსროვ დეჰლევის, არც ჰათეფის პოემებთან. შესაძლებელია იგი მართლაც უკავშირდება იმ ხალხურ ზღაპარს, რომელიც "უნაღვლოთა მძებნელის" სახელით გვხვდება როგორც ქართულ ლიტერატურულ ("სიბრძნე სიცრუისა") და ფოლკლორულ წყაროებში (ხელნაწერთა ინსტ. H 1996), ისე სპარსულ " ჯამი-ულ-ჰეჰაიათში" ("არაკთა კრებული").

[29] უკანასკნელ ხანს გამოითქვა მოსაზრება, ხომ არ მოდის "ბარამგურიანი" რომელიმე ერთი, დღეს უცნობი სპარსული წყაროდან?

[30] ხელნ. A 860; არსებობს ამ თხზულების მოკლე და ვრცელი რედაქცია (S 3693, H 1002, ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკის № 27 და სხვ.). აგრეთვე ბექდური გამოცემები (1886წ., 1901წ.).

[31] ი უ ს ტ . ა ბ უ ლ ა ძ ე , წინასიტყვაობა "ვეფხისტყაოსნის" 1914 წ. გამოცემისა.

[32] ტექსტი დაბეჭდილი აქვს დ. ბრეგაძეს: ქართველი მწერლები რუსეთში, 1958, გვ.66-208.

[33] კ . კ ე კ ე ლ ი ძ ე , ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1958, გვ.416.

[34] იქვე, გვ.417; დ . ბ რ ე გ ა ძ ე , დასახ. ნაშრ., გვ.46.

[35] საყურადღებო ნუსხებიდან მივუთითებთ ნ. ჩაჩიკაშვილის კრებულს (საქ. სსრ. მეცნ. აკად. ხელნაწერთა ინსტ. A 860) და ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკაში დაცულ ხელნაწერს (Собр. Цар. Иоанна №53). "ყარამანიანი" რამდენჯონისმე გამოიცა (1875,1888,1902,1912წწ). გამოცემებში იგი ხან 12, ხან 16 და ხან 8 კარადაა დაყოფილი.ყველაზე უფრო გავრცელებულიყოფილა დ. ლაზარევის უკანასკნელი,მასობრივი გამოცემა. 1965წ. ა. გ ვ ა ხ ა რ ი ა მ და ს . ც ა ი შ ვ ი ლ მ ა გამოსცეს "ყარამანიანის" I ტომი, რომელიც მოიცავს საკუთრივ ყარამანის თავგადასავალს (657 გვ.). ტექსტი გაიმართა ხელნაწერთა და სპარსული დედნის საფუძველზე.

[36] კ . კ ე კ ე ლ ი ძ ე , ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ.II,1958,გვ.355.

[37] უფრო დაწვრილებით "ყარამანიანის" სპარსულიდა შესაძლო თურქული წყაროს შესახებ იხ. "ყარამანიანის"1965წ. გამოცემის წინასიტყვაობაში.

[38] H . E t h e , Neupersische Literatur, GIPh, II,გვ.318; ლენინგრადის განყ. ხელნ. B 267.

- [39] იხ. "ყარამანიანი", 1965, წინასიტყვაობა, 8.
- [40] იქვე, 4.
- [41] კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, გვ. 442.
- [42] ლენინგრადის სალტიკოვ-შედრინის სახ. საჯარო ბიბლ. ხელნ. D404.
- [43] კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, გვ. 442. "მირიანი" გამოცემულია ორჯერ (1876 და 1894წწ.). აგრეთვე თარგმნილია ფრანგულ ენაზე მ. ბროსეს მიერ: *Le Miriani, ou Histoire du roi Miri, conte géographique...*, *Nouveau Journal Asiatique*, 1835, XVI, გვ. 439-473, 559-581 *Journal Asiatique*, 1836, I, გვ. 48-75, 337-369.
- [44] სირინოზიანი დაბეჭდილი არ არის. მისი დაწვრილებითი შინაარსი, სარჩევი, რიგი საძიებლები და ხელნაწერთა აღწერილობა გამოაქვეყნა გ. იმედაშვილმა (ლიტერატურული ძიებანი, ტ. XI, 1958, გვ. 173-212).
- [45] გ. იმედაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 174.
- [46] А. С. Хаханов, *Очерки по истории грузинской словестности*, в. 3, 1901, გვ. 72.
- [47] კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ II, 1958, გვ. 353; გ. იმედაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 208.
- [48] კ. კეკელიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 353.
- [49] "სეილანიანის" შინაარსი და სარჩევი გამოქვეყნებულ აქვთ ალ. ხახანაშვილსა (დასახ. ნაშრომი, გვ. 195) და გ. იმედაშვილს (სეილანიანი და რაინდული რომანის ზოგი საკითხი, ლიტ. ძიებანი, ტ. X, 1956, გვ. 257-275).
- [50] *Собр. цар. Иоанни № 17.*
- [51] *Отчет Императорской публичной библиотеки за 1896 год*, СПб, 1900, გვ. 9.
- [52] А. Хаханов, დასახ. ნაშრ., გვ. 198.
- [53] კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, 1958, გვ. 361.
- [54] ჩ. რიოს კატალოგი, ტ. II, 1881, გვ. 770.
- [55] ცნობა მიაწოდა მას ჩაიკინმა (მიმოწერა დაცულია ცვრ კავშირის მეცნ. აკად. აზიის ხალხთა ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილებაში).
- [56] ეს თხზულება პირველად აღწერა კ. კეკელიძემ, მასვე ეკუთვნის მისი დასათაურება XIV ს. სპარსული ძეგლის "ზახირათ-ულ-მულუქის" ("მეფეთა საღარო") ანალოგიით, თუმცა მათ საერთო აგებულების მეტი არაფერი აკავშირებთ. ქართული ტექსტი გამოსცა ს. ყუბანეიშვილმა ("ქრესტომათია", ტ. II, 1949, გვ. 245-279).
- [57] საქართველოს სსრ მეცნ. აკად. ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნ. P11.
- [58] დ. კობიძე, სპარსულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობიდან, საქართველოს სსრ მეცნ. აკად. მოამბე, VI, № 5, 1945, გვ. 393.
- [59] კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, გვ. 461.
- [60] ტექსტი გამოსცა ალ. ბარამიძემ: ხოსროვ- შირინიანის ქართული ვერსიები, ლიტ. ძიებანი, I, 1943, გვ. 70-101.
- [61] კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, გვ. 392; ალ. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, III, გვ. 300; А. Генко, *Грузинская версия Хосро и Ширини Хосро Дехлеви*, Доклады РАН, 1924.
- [62] კ. კეკელიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 392; ალ. ბარამიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 303.
- [63] ხოსროვ- შირინიანის ქართული ვერსიები, ლიტ. ძიებანი, I, გვ. 105.

[64] " ჩარდავრიშიანი" ოთხჯერ არიც გამოცემული: 1876 წ., 1890 (შემოკლებით), 1899 (პირველის განმეორება) და 1913 (სრული). გვაქვს ოცდაათამდე ხელნაწერი, ზოგი ილუსტრირებულია. უძველესებია საქ.სსრ. მეცნ. აკად. ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნ. A860 (1778წ.) და ლენინგრადის სალტიკოვ- შედრინის სახ.საჯარო ბიბლიოთეკის ხელნ. Собр. цар. Иоанна № 28 (1785წ.).

[65] არსებობს "ჩარდავრიშიანის" ვერსია ურდუს ენაზე. ის ეკუთვნის XIX საუკუნის მწერალს მირ ამანს და ეწოდება "ბალ-ო ბეჰარ" ("ბალი და გაზაფხული"). ამ ძეგლის მკვლევარი გ. ზოგრაფი, ეხება რა სპარსულ "ყისაიე ჩაჰარ დარვიშს", გამოთქვამს საყურადღებო მოსაზრებას, თითქოს იგი შეიქმნა XVII საუკუნის ან XVIII საუკუნის დასაწყისში, ინდოეთში მოღვაწე მწერალთა წრეში (Мир Амман, Сад и Весна), 1957, გვ. 11).

[66] დ . კ ო ბ ი ძ ე , ყისაიე ჩაჰარ დარვიშის ქართული ვერსიის სპარსულთან დამოკიდებულების საკითხისათვის, საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ.V, №10, 1944, გვ. 1040.

[67] კ . კ ე კ ე ლ ი ძ ე , ქართული ლიტერატურის ისტორია, II, გვ. 444.

[68] ამ თარგმანის შესახებ იხ. Amiran-Darejaniani a Georgian Romance and its English Rendering by D. M. Lang and G. M. Meredith- Owens (BSOAS, vol. XXII, Part 3, 1959); ალ . ბ ა რ ა მ ი ძ ე , ამირანდარეჯანიანის გარშემო, საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე, №1, 1960, გვ.267.

[69] მაგ., აზიის ხალხთა ინსტ. ლენინგრადის განყ. ხელნაწერში E 58 "ზახთიარ- ნამეს" სულხანიშვილისეულ ვერსიასთან ერთად მოთაბსებულია ანეკდოტების კრებული შერდეგი საგულისხმო სათაურით: "სიბრძნე სიცრუისა შემოკლებულად ნაწერი სპარსულითაგან ნათარგმნი".

გარსევან ჩოლოყაშვილი

XVII-XVIII საუკუნეების ქართულ ლიტერატურაში სხვადასხვა თემებსა და ჟანრებთან ერთად ხშირად მიმართავდნენ ხილთა ქებასაც. ხილთა ქების თემა ჩვენში დაამკვიდრა გარსევან ჩოლოყაშვილმა (XVII საუკ. შუა წლები). გარსევანს იხსენიებს არჩილი "თეიმურაზისა და რუსთველის გაბაასებაში", როდესაც ასახელებს საქართველოს ძველსა და ახალ მოღეჟსეებს:

ჩოლოყაშვილსა გარსევანს უთქვამს რამე-რაებია,
კიტრი ხილად რაღას ვარგა, ვაშლი მოვა რა ე ბია.
ესევე სჯობს, რაც მასმია მისგან მონახსენებია,
გული კვდება ნარგისთათვის, თვალნი გაუშტერებია.^[1]

როგორც ვხედავთ, არჩილი ირონიულად შენიშნავს, რომ გარსევანს "უთქვამს რამე-რაებია" და შეუქია კიტრი, ვაშლი და ბიაო. არჩილი აგდებულად იხსენიებს გარსევანის თხზულებას სხვა შემთხვევაშიც. რუსთველი შემდეგნაირად მიმართავს თეიმურაზს:

მადლი რა გკადრო, თუცაღა გარსევანს ვსჯობდე, ან ბარძიმს,
ჩოლოყაშვილს და ვაჩნაძეს რადგან მადარებ, არ მიძიმს,

ერთს კოჩივარდას მქებარსა, მეორე აქებს მაშ თუ ღიშ,
ნუ ბძანებ, გაგემარჯვება, თორემ მსმენელსა გააღიშ^[2].

მართალია კოჩივარდა "ხილთა ქებაში" მოხსენებული არ არის, მაგრამ, ეჭვს გარეშეა, რომ არჩილის გადაკრული სიტყვები გარსევანის თხზულებას გულისხმობს. კოჩივარდას არჩილი მდარე ღირსების ყვავილად თვლის^[3]. ამიტომ "ხილთა ქებას" იგი "კოჩივარდობად," დაბალი ღირსების ნაწარმოებად მიიჩნევს, ხოლო მის ავტორს, გარსევან ჩოლოყაშვილს, დაცინვით "კოჩივარდას მქებარს" უწოდებს.

გარსევანისა და მისი თხზულების მიმართ არჩილის ასეთი დამოკიდებულება გამოწვეულია "ხილთა ქების" თემატიკით. არჩილს არ მოსწონდა "ხილთა ქების" მსუბუქი შინაარსი, რასაც თავისი ლიტერატურული შეხედულებების საპირისპიროდ აღიარებდა.

"ხილთა ქების" ავტორი გარსევან ჩოლოყაშვილი ზ. ჭიჭინაძეს მიაჩნია 1517-1518 წლების მოღვაწედ^[4]. ამ გარსევანს აღიარებდა პოეტად პ. იოსელიანი, რომელსაც ის "ნარგიზოვანის" ავტორადაც თვლიდა^[5]. მართალია, ამ დროისათვის ცნობილია კახთა მეფის სახლთუხუცესი გარსევან ჩოლოყაშვილი^[6], მაგრამ "ხილთა ქების" ავტორად მას ვერ მივიჩნევთ, რადგან ამ მწერალს არჩილი ასახელებს XVII საუკუნის მოღვაწეთა შორის. გარდა ამისა, არჩილის ცნობის მიხედვით, გარსევან ჩოლოყაშვილი მისი წინამორბედი მწერალია, რომელიც მოღვაწეობდა 1681 წლამდე, ე. ი. ზემომოყვანილი ლექსის დაწერამდე.

მეჩვიდმეტე საუკუნის შუა წლებში მართლაც ცხოვრობდა გარსევან ირუბაქიძე-ჩოლოყაშვილი, რომელსაც 1643 - 1649 წლებში შესაწირავი გაუგზავნია იერუსალიმში ჯვარის მამა ნიკიფორე ჩოლოყაშვილ-ირბახისთვის. სწორედ ეს უნდა იყოს "ხილთა ქების" ავტორი.^[7]

როგორც აღვნიშნეთ, გარსევანის ცნობილი ნაწარმოებია "ხილთა ქება", ანუ "ხილთა ბაასი"^[8], რომელიც იწყება შემდეგი შესავალი სტროფით:

უყურეთ ხილთა ქცევასა, რისა ამბისა მთქმელია,
ფერშვენიერი, ძირწვრილი, ცოტაი ხანს მდგომელია,
უხუცესი და პირველი მარწყვი მიწას მდგომელია,
სხვას ხილსა ასე მოუსწრობს, ვით რომ შუბ-განმწონველია.

ამას მოჰყვება ხილთა გაბაასება ანუ, ავტორის სიტყვით, "ხილთა ქცევა". კამათს იწყებს მარწყვი და პაექრობაში მონაწილეობას იღებს საქართველოში გავრცელებული 23 სახელწოდების ხილი: მარწყვი, ტყემალი, ბალი, ჟოლი, თხილი, ქლიავი, მაყვალი, კიტრი, ნესვი, ატამი, საზამთრო, ვაშლი, ნიგოზი, ნუში, ბროწეული, შინდი, მსხალი, კომში, ზეთისხილი, თურინჯი, ლეღვი, ხურმა და წაბლი. ისინი თანმიმდევრობით, რიგრიგობით წარმოთქვამენ სიტყვებს, რომლებშიც ცდილობენ გადმოგვცენ მოწინააღმდეგის უარყოფითი თვისებები და გამოაჩინონ საკუთარი დადებითი ღირსებები.

გაბაასებისას თითოეული ხილისათვის განკუთვნილია თითო სტროფი. ყოველ სტროფში შესაძლებლობის ფარგლებში აღწერილია ამა თუ იმ ხილის გარეგნული მხარე, ადამიანისთვის მისი სარგებლიანობა და ა. შ.

ხილთა ცილობა-შელაპარაკება მიმდინარეობს სხვადასხვა სახით. ერთ შემთხვევაში მოპაექრენი მიმართავენ ჯერ საკუთარი თავის ქება-დიდებას, ხოლო შემდეგ მოწინააღმდეგის ძაგებას, გაკილვას. ასე პაექრობენ, მაგალითად, მარწყვი და

ტყემალი. თავისი სიტყვის პირველ ნახევარში მარწყვი აღნიშნავს მისთვის ნიშანდობლივ დადებით თვისებებს, ხოლო მეორე ნახევარში მიუთითებს ტყემლის უარყოფით თვისებებზე. ასევე იქცევა ტყემალიც. ის თავს ესხმის მარწყვს, ჩამოთვლის მის უარყოფით მხარეებს, ხოლო შემდეგ მედიდურად აღნიშნავს თავის ღირსებებს:

მარწყვმა ჰსთქვა: "მოვალ პირველად, მე ვერა მისწრობს ხილიცა,
ფერად მსგავსი ვარ ლალისა, მერმე საჭმელად ტკბილიცა,
წინ რასა მისწრობს ტყემალი, მჟავე არის და გრილიცა,
მისგან ჩივიან ყველანი, ვსჭამეთ, მამკვეთა კბილიცა".

ტყემალმა უთხრა: "შეგარცხვენს, მარწყვო, ეგ საუბარია,
უარესი ხარ ყოველთა, არა ხარ ხილთა გვარია,
თავსა მოგჭამენ ჭიანი, ძირი გაქვს მეტად მწარია,
უჩემოდ ლხინი არ ვარგა, არცაღა სანუკვარია".

არის შემთხვევები, როდესაც ერთ-ერთი მოკამათე მხარე მხოლოდ თავისი თავის ქება-დიდებით კმაყოფილდება. მაგალითად, ნიგოზი გვერდს უვლის სხვის დამცირებას და მხოლოდ საუთარ თავს იქებს:

ნიგოზმან უთხრა: "ვიკადრო მართალი, სწორი გულითა,
მე ხე ვარ კარგი სახმარი, სავსე ლხინითა სრულითა,
მასპინძელი ვარ ნიადაგ გულითა მხიარულითა,
საჭმლისა შემამკობელი, მაცხოვნებელი სულითა".

უფრო იშვიათად კი კამათში მონაწილე ესა თუ ის ხილი მხოლოდ თავის უარყოფით თვისებებზე მიუნიშნებს. ასეთ თვითაღიარებას მიმართავს, მაგალითად, კიტრი:

კიტრმან ჰსთქვა: "რაღა ვიკადრო საქმე ჩემისა თავისა?
ტკბილი და მჟავე არა ვარ, კაცი რად მემოყვრებისა?
გრილი ვარ, კაცსა გავბერავ, თავი მე არ მექებისა,
ვინცა ჩემითა განძლება, ცივება შეეყრებისა.

ავტორი აღნიშნავს, რომ ზოგიერთი ხილი ლამაზი და ფერიანია, ზოგი გამოირჩევა თავისი სურნელებითა და გემოთი, ზოგი ხილი სუფრისა და ლხინის დამამშვენებელია, ხოლო ზოგი კი სამკურნალოდაა გამოსაყენებელი. თხზულებაში მოცემულია აგრეთვე ცნობები სხვადასხვა ხილის მოყვანისა და გავრცელების შესახებაც.

მწერალი საგანგებოდ ჩერდება ხილთა სამკურნალო თვისებებზე. ასე, მაგალითად, იგი საზამთროს შემდეგს ალაპარაკებს:

შეწუხებულსა სიცხითა კაცის გულს მოვავრილებო,
ვარ ჯანიწოზი აქიმი, სნეულსაც მოვალხინებო.

ნუშიც აღნიშნავს თავის სამკურნალო თვისებებს:

უტურფესი ვარ ყოველთა, აქიმი სახმარებელი,
მკურნალი ყოვლის სენისა, ღვიძლისა მამგრილებელი.

თხზულებაში დავიწყებული არ არის ზოგიერთი ხილის მავნებელი თვისებებიც. ნესვის თქმით, "ციების მერმე ცხელებას, ჭირს ჩემგან შეიყრიანო". თავის მავნებელ თვისებებს აღნიშნავენ აგრეთვე კიტრი და მსხალიც.

მართალია, თხზულებაში თვითაღიარებასთანაც გვაქვს საქმე, ესა თუ ის ხილი აღნიშნავს მის არასახარბიელო თვასებებს, მაგრამ ნაწარმოებში განსაკუთრებით მითითებულია იმ ნიშანდობლივ მხარეებზე, რომლებითაც ისინი გამოსაყენებელია საზოგადოებისათვის. ერთი სიტყვით, გარსევან ჩოლოყაშვილი "ხილთა ქებაში" აგვიწერს საქართველოში გავრცელებული ხილის სარგებლიანობასა და კეთილბუნებიანობას, გვიჩვენებს რომელი ხილი სად, როდის და რისთვის არის ადამიანისთვის პრაქტიკულად გამოსაყენებელი.

გ. ჩოლოყაშვილის "ხილთა ქებაში" მოცემულია გაბაასების ჟანრის არსებითი თავისებურებანი და სპეციფიკური ნიშნები. თხზულება დაწერილია დიალოგის სახით. პაექრობაში მონაწილე მხარეები საქართველოში გავრცელებული ხილია. ხილთა ბაასი, შელაპარაკება თუ გაბრჭობა, რომელიც გამართულია ერთიმეორის საწანააღმდეგო შეხედულებების, კონტრასტული ნიშნებისა და თვისებების მქონე მხარეებს შორას, მიმდინარეობს უპირატესობის გამოვლენის მიზნით. ამიტომ მოკამათენი ცდილობენ მოწინააღმდეგის მიერ გამოთქმული მოსაზრებების გაბათილებას და მათ მიერ წამოყენებული დებულებების დასაბუთებას, მოწინააღმდეგის უარყოფითი მხარეების გამოამჟღავნებას და თავისი დადებითი თვისებების აღნიშვნას.

თხზულებაში აშკარად არ ჩანს, ვის მხარეზეა ავტორი, რომელ ხილს ანიჭებს იგი უპირატესობას. მწერალი მსოლოდ მიუთითებს ჩამოთვლილი ხილის დადებით და უარყოფით ნიშან-თვისებებზე და ჭეშმარიტების გადაწყვეტას მკითხველს ანდობს.

ლექსის მიხედვით, შეიძლება ითქვას, მაინცადამაინც არ ჩანს პოეტის მხატვრული ნიჭი და გემოვნება, თუმცა ზოგჯერ გვხვდება მხატვრულად გამართული ადგილებიც. "ხილთა ქებაში" პოეტმა გამოიყენა მხატვრული ხერხი-გაპიროვნება. თხზულებაში ჩამოთვლილი ხილი-ვაშლი, ატამი და სხვ. ადამიანებისდაგვარად მეტყველებენ და კამათობენ.

გარსევან ჩოლოყაშვილი ახლოს იცნობდა ქართულ ხალხურ შემოქმედებას. ასე, მაგალითად, წაბლის სიტყვებში - "ტანსა მაცვია მრავალი, შიგნით არ ცივა, თბისაო", - აშკარად შეინიშნება ცნობილი ხალხური გამოცანის კვალი. ხალხური ანდაზა უნდა იგულისხმებოდეს აგრეთვე ხურმის სიტყვებშიც: "მე ბრძენთა საქებარი ვარ, საცნობელი ვარ ვირისა" (შდრ. ხალხური ანდაზა: "ვირმა რა იცის - ხურმა რა ხილიაო*").

ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერებიდანვე შეითვისა გარსევანმა ხილთა ქების ჟანრი. გავრცელებული მოსაზრებით, ხილთა ქება თავდაპირველად ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში ჩაისახა, ხოლო შემდეგ გავრცელდა ქართულ სიტყვაკაზმულ მწერლობაში. ის პოეტი კი, რომელმაც პირველმა გაბედულად გაილაშქრა ტრადიციის წინააღმდეგ და ხილთა ქების ჟანრი დაამკვიდრა ქართულ მწერლობაში, იყო გარსევან ჩოლოყაშვილი. სწორედ ეს არის პოეტის დამსახურება და მისი თხზულების ღირსებაც.

აღსანიშნავია, რომ გარსევანის "ხილთა ქებისთვის" დავით რექტორს დაუმატებია სამი სტროფი-ფშატის, უნაბისა და ყურძნის ქება. გარსევანს გამოუჩნდნენ აგრეთვე

მიმბაძველებიც. მომდევნო თაობის პოეტებმა (თეიმურაზ მეორემ, პაპუნა ორბელიანმა და გიორგი ჭაბუკაშვილმა) განაგრძეს გ. ჩოლოყაშვილის წამოწყებული საქმე. მათ ზოგჯერ პირდაპირ შეაქვეთ საკუთარ თხზულებებში გარსევან ჩოლოყაშვილის "ხილთა ქების" სტროფები. ასე, მაგალითად, თეიმურაზ მეორის ლექსში ხუთი სტროფია შეტანილი გარსევანის ლექსიდან (ესენია: მარწყვი, ბალი, შინდი, კომში და თხილი). გარსევანის "ხილთა ქებასთან" თემატიკურად ახლოსაა ფოლკლორული გაბაასებაც. ზოგჯერ კი ფოლკლორული გაბაასება გ. ჩოლოყაშვილის ლექსს პირდაპირ ემთხვევა კიდევაც. ახლა უკვე გარკვეულია, რომ ფოლკლორულ ლექსს გარსევანის "ხილთა ქების" გავლენა განუცდია. "გარს. ჩოლოყაშვილის "ხილთა ქებისა ოთხი სტროფი გადასულა ფოლკლორში, შერწყმია ძველ ხალხურ ლექსს და გავრცელებულა"^[9].

გარსევანს დაუწერია სხვა ლექსებიც, მაგრამ ისინი არ შემონახულა. არჩილი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ "ხილთა ქება" გარსევანის სხვა თხზულებებზე უფრო უკეთესი ნაწარმოებიაო: "ესევე სჯობს, რაც მასმია მისგან მონახსენებია". გარსევანის ერთ-ერთი ლექსიდან კი არჩილი ციტირებასაც ახდენს: "გული კვდება ნარგისთათვის, თვალნი გაუშტერებია". მოყვანილი ტაეპის გასწვრივ არჩილი შენიშნავს: "ეს ბოლოს ერთი სტრიქონი გარსევანის ნათქვამია, არ მამიპარავს, მაგრამ სიტყვამ მოახდინაო."^[10]

გარდა ამისა, ჩვენამდე მოაღწია კიდევ .გარსევანის უცნობი ლექსის ორმა სტრიქონმა. მისი "სხვა ლექსებიცა მრავალი" მკვლევართ ხელთ ჰქონიათ გასულ საუკუნეში. ამ ლექსებში ერთ-ერთი, თურმე, ასე ბოლოვდებოდა:

თვალთაგან ცრემლის მღვრელია მარადის გარსევანო,
ზემოთ ნათქვამსა ამბებსა ვერ მოსთქვამს აწ ენანო^[11].

გარსევან ჩოლოყაშვილს მიაწერდნენ აგრეთვე "ნარგიზოვანსაც", რომელიც, როგორც ბოლო დროს გამოირკვა, მას არ უნდა ეკუთვნოდეს.

[1] არჩილიანი, ტ. II, აღ. ბარამიძისა და დ. ბერძენიშვილის რედ., 1937, გვ. 4.

[2] იქვე, გვ. 11.

[3] შდრ. "სად ედრება ღანძილი და კოჩივარდა ყარამფილსა?" (არჩილიანი, I, გვ. 101, სტრ. 37).

[4] ზ . ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე , ქართული მწერლობა მეცამეტე საუკუნიდან მეთექვსმეტე საუკუნემდე, 1885, გვ. 28-30.

[5] П . И о с е л и ა ნ ი , Род княей Чолокаевых, 1866, გვ. 9-10 და 13-14.

[6] "ქართლის ცხოვრება", ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, 1959, გვ. 351-352 და 490.

[7] კ . კ ე კ ე ლ ი ძ ე , ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1958, გვ. 621.

[8] ანთოლოგია, II, 1928, გვ. 64-68.

[9] მ . ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი , ფოლკლორული ეტიუდები, II, ა. ს. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. VI, 1949, გვ. 117.

[10] არჩილიანი, ტ. II, 1937, გვ. 133.

[11] ზ. ჭიჭინაძე, ქართული მწერლობა მეცამეტე საუკუნიდან მეთექვსმეტე საუკუნემდე, 1885, გვ. 28-30.

არჩილი

არჩილი დაიბადა 1647 წელს. იგი იყო უფროსი ვაჟი ქართლის მეფის ვახტანგ V-ის, შაჰნავაზად წოდებულისა. არჩილმა მიიღო საფუძვლიანე განათლება. მას თავიდანვე დიდი გულისხმიერება და სიყვარული გამოუმჟღავნებია სწავლისადმი. იგი გატაცებით კითხულობდა წიგნებს, თვითონვე გვიმოწმებს:

ოდეს ყმა ვიყავ, მიკითხავს ამბავი მე საამისო,
უმჯობეს არვინ მსწავლიდა, მეგონა რამ საამისო.

არჩილის აღზრდაში გარკვეული წვლილი მიუძღვის მის უფროს თანამედროვე სწავლულს, ცნობილ მწერალს იოსებ სააკაძეს. მან არჩილს შეასწავლა ქრისტიანული ლიტერატურა. ერთ-ერთ ძველ ხელნაწერზე არჩილისავე ხელითაა მიწერილი: "იოსებ სააკაძემ მასწავლა წმინდა და საკვირველებითა სავსე წიგნი ესე სახელით ოდენ მეფესა არჩილსა"-ო.

ბატონიშვილი ბაქარის ცნობით, არჩილი იყო "ზედმიწვენილი სწავლითა სულიერითა და სიბრძნისა ცნობითა, და სამხედროთა და სამამაცოთა სიმხნეთა და ახოვნებათა სრული."^[11] არჩილი თავისი ფართო და ღრმა განსწავლულობით დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა თანამედროვეებზე. დიდი ქართველი გეოგრაფისა და ისტორიკოსის ვახუშტის თქმით: "არჩილი იყო კეთილად წიგნისა ორისავე ქართულისა და რუსულისა სწავლულ და მთარგმნელი. ესე არჩილი იყო ახოვნებითა, მშვენიერებითა, სიმხნითა და ყოვლითა სამხედრო-სანადიმო ზნეთა სრულ, რომლისა ისარი იბ (12) მუჭი სიგრძითა, შემმართებელი, ძლიერი, ლაღი და ამაყი, მონადიმე და მოასპარეზე წარჩინებულ და სადმთოთი აღმატებულნი"^[12].

საქართველოს გაერთიანებისათვის მებრძოლმა ვახტანგმა თოთხმეტი წლის არჩილი 1661 წელს დასავლეთ საქართველოში გაამეფა. ამან გამოიწვია ოსმალეთის პროტესტი, რის შედეგადაც ირანის შაჰის მოთხოვნით შაჰნავაზი იძულებული გახდა 1663 წ. შვილი უკანვე გაეწვია. იმერეთის ნაცვლად ყენი არჩილს მაჰმადიანობაზე გადასვლის პირობით კახეთს შეჰპირდა. არჩილი ეახლა შაჰს, გამაჰმადიანდა და შაჰ-ნაზარ-ხანად იწოდა. 1664 წ. არჩილმა მიიღო კახეთის მეფობა, თუმცა თერთმეტი წლის შემდეგ იმავე შაჰის პროვოკაციული მოქმედებისა და გავლენიან კახელ თავადთა განდგომის გამო იძულებული შეიქნა კახეთიდან წასულიყო. ამ დროიდან არჩილი ენერგიულად ცდილობს იმერეთში მოიკიდოს ფეხი, მაგრამ უშედეგოდ. ის ოთხჯერ ავიდა იმერეთის ტახტზე და ოთხჯერვე იქნა ჩამოგდებული. არჩილი ცდილობდა გაეგრძელებინა მამის პოლიტიკური კურსი - გაერთიანებინა და მით გაეძლიერებინა საქართველო. მისი მიზნების განხორციელებას წინ ეღობებოდნენ ურჩი ფეოდალები, ირანის შაჰი და ოსმალეთის სულთანი. თავის ხანმოკლე მეფობის პერიოდში არჩილი ენერგიულად მოღვაწეობდა ქვეყნის ეკონომიური და კულტურული დაწინაურებისათვის. ცნობილია, რა გულისხმიერებასა და მონდომებას იჩენდა იგი ქართული კულტურის მაშინდელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრის- გარეჯის უდაბნოს აღსადგენად. "ქართველთა მეფისა შანაოზ პირმშომან სასურველმან ძემან, კახეთის მეფედ დადგინებულმან არჩილ

კვალად შენობა ჩააგდო უდაბნოში, მღვდელ-მონაზვნები და წინამძღვარი დაუდგინა, წლითი-წლად გამოსაზრდელი საზრდო გაუჩინა"^[3], - მოგვითხრობს ისტორიული საბუთი. ასევე დიდი გულმოდგინებით ზრუნავს არჩილი სვეტიცხოვლისა თუ ქართული არქიტექტურის სხვა შესანიშნავი ძეგლებას განახლებაზე, ქართული კულტურის ცენტრების კეთილმიწყობაზე. არჩილის მიერ მრავლად გაცემული წყალობისა თუ შეწირულების წიგნებიდან ვგებულობთ, თუ როგორი გულისხმიერებით ეკიდებოდა მწიგნობარი მეფე ქართული კულტურის საკითხებს. მწვავე პოლიტიკური ვითარება არჩილს საშუალებას არ აძლევს განაგრძოს ქვეყნის კეთილდღეობაზე ზრუნვა. სპარსეთისა და ოსმალეთის აქტიური მოქმედების შედეგად მან ვერც კახეთსა და ვერც იმერეთში ფეხი ვერ მოიმაგრა, ქართლშიც მძიმე პირობები შეექმნა.

არჩილი დარწმუნდა, რომ ხსნა მხოლოდ რუსეთთან მჭიდრო კავშირის დამყარებაში იყო. 1682 წ. იგი მთელი ოჯახითა და დიდი ამალით რუსეთში გადავიდა, ჯერ დაჰყო ასტრახანს (1682-85 წ.), შემდეგ (1686-87 წ.) კი - მოსკოვს. 1688წ. დაბრუნდა საქართველოში, ხოლო 1699 წ-. საბოლოოდ დაემკვიდრა მოსკოვის მახლობლად სოფელ ვსესვიატსკოეში ("ვსესენწკაში). აქ დააარსა მან პირველი ქართული კოლონია. არჩილის კარი იქცა ქართული კულტურის დიდ ცენტრად, აქ მოღვაწეობდნენ მწერლები და სწავლულნი-დავით თურქესტანიშვილი, ბაგრატ სოლოლაშვილი, დიმიტრი კავკასიძე, გაბრიელ ჩხეიძე, პეტრე ნექაძე და სხვები.

პეტრე პირველმა პატივისცემით მიიღო არჩილი. განსაკუთრებით დაიახლოვა უფროსი უფლისწული ალექსანდრე ბაგრატიონი. ისინი ერთად იყვნენ საზღვარგარეთ. პეტრემ იმდენად დაიმეგობრა ალექსანდრე, რომ ინგლისში ყოფნისას ერთ ოთახში ეძინათ, ხოლო ინგლისის მეფის ნახვისას მხოლოდ ალექსანდრე ახლდა თან. პეტრემ ალექსანდრეს დაავალა საარტილერიო საქმეების შესწავლა. რუსი იმპერატორი თავად თეოდორე რომანდოვსკის ატყობინებს, ალექსანდრე არჩილოვი გაემგზავრა ჰააგას ბომბარდირების შესასწავლად. ალექსანდრემ წარმატებით აითვისა საარტილერიო საქმე. იგი გახდა პეტრეს უახლოესი მრჩეველი და თანამშრომელი, მას მიენდო რუსეთის არტილერიის საქმის მოგვარება და დაინიშნა გენერალფელდცეხმაისტერის თანამდებობაზე.

პეტრე საჭიროდ თვლიდა, რომ ყოველივე მნიშვნელოვანი საქმე, როგორც საგარეო ისე საშინაო, არჩილისათვის შეეტყობინებინა. შემონახულია პეტრე I მრავალი წერილი, რომლითაც არჩილს ატყობინებს რუსი ჯარის წარმატებებისა და სხვა სახელმწიფოებრივი საქმეების შესახებ, ხოლო 1709 წ.11 დეკემბერს რუსეთის იმპერატორმა მხცოვანი ქართველი მეფე თავის სოფელში ინახულა და დიდი პატივით მოიკითხა.

პეტრე პირველმა დიდი დახმარება აღმოუჩინა არჩილს ქართული სტამბის დაარსებაში. კერძოდ, პეტრემ არჩილს გაუგზავნა მხატვარი გ. ზინოვიევი სტამბის გასამართავად.

არჩილი დაუკავშირდა რუსეთში მყოფ უცხოელ სწავლულებს და, უპირველეს ყოვლისა, მათ, რომელთაც რაიმე დახმარების გაწევა შეეძლოთ სტამბის გამართვაში. განსაკუთრებით მჭიდრო კავშირი დაამყარა შვედ მკვლევარ შპარვენფელდთან, რომლის მეშვეობით შეუკვეთა ქართული (ნუსხა-მთავრული) შრიფტი ამსტერდამის ცნობილ ოსტატს ნიკოლოზ კიშს.

არჩილის მიერ დაარსებულ ქართულ სტამბაში 1705 წ. დაიბეჭდა "დავითნი". არჩილის მიერვე იქნა გამოსაცემად მომზადებული ქართული "ბიბლია", რომლის

დაბეჭდვა მხოლოდ 1743 წ. მოხერხდა ბაქარის ხელმძღვანელობით. არჩილი რუსეთში ეწეოდა დიდად ნაყოფიერ მუშაობას.

არჩილის მიზანთა მიზანი იყო პეტრეს დახმარებით საქართველოს ხსნა სპარსელო-ოსმალთა ძალადობისაგან და სამშობლოში დაბრუნება. მაგრამ ბედმა უმტყუნა. შვედებთან ომში ტყვედ ჩავარდნილი (1700 წ. 19 სექტემბერს) ალექსანდრე უცხოეთში დაიღუპა. ამან მომაკვდინებელი ლახვარი ჩასცა მხცოვან მწერალს. 1713 წ. 16 აპრილს იგი გარდაიცვალა, დაასაფლავეს დონის მონასტერში (მოსკოვს).

არჩილმა დაგვიტოვა მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობა. თავისი თხზულებები მან თვითონ ერთ კრებულად შეკრა "არჩილიანის" სახელწოდებით. არჩილმა შექმნა გარკვეული ლიტერატურული სკოლა და მისმა შეხედულებებმა წარმმართველი მნიშვნელობა იქონიეს ქართული მწერლობის განვითარებაზე.

არჩილის ეპოქაში ხდება ძველი ლიტერატურული ტრადიციების კრიტიკული გადაფასება, ახალი მოთხოვნებისა და გემოვნების შესაბამისად ყალიბდება ახალი შეხედულებები, ისახება ლიტერატურის განვითარების ახალი პერსპექტივები. ამ დიდი ლიტერატურული მოვლენების ცენტრალური ფიგურა თვითონ არჩილია.

არჩილის მხატვრულ-შემოქმედებითს კონცეფციაში საგანგებო ადგილი უჭირავს "მართლის თქმის" პრინციპს. "მართლის თქმაში" გამოსჭვივის რეალიზმის მძლავრი ელემენტები. არჩილის რწმენით, პოეზიის საგანი, ასახვის ობიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ და მხოლოდ სინამდვილე, რეალური მოვლენა. მხატვრული ნაწარმოების პერსონაჟები, სიტუაციები, ამბები, რეალურად არსებულ ისტორიულ ფაქტებს უნდა ასახავდეს. ისტორიულად არარსებული ფაქტების გამოვლენას მწერლობაში იგი ზღაპრულს უწოდებს. "არჩილისათვის სრულიად უცნობია ზოგადობისა და ტიპიურობის მომენტი, რაც შეადგენს რეალისტური მსოფლშეგრძნობის საფუძველს"^[4]. არჩილი არ ახდენს დროის ლოკალიზაციას, მისი რეალიზმის კონცეფციაში ერთნაირი მნიშვნელობა აქვს როგორც ისტორიული, ისე თანამედროვე ამბის ასახვას, რადგანაც მისთვის ამოსავალია ფაქტის ისტორიულად არსებობა, ნაცვლად გამოგონილისა, პოეტური ფანტაზიის ნაყოფისა. არჩილისათვის ერთნაირად "რეალისტურია" როგორც თამარ მეფის, ისე თავისი უფროსი თანამედროვის, თეიმურაზ პირველის დროინდელი ამბავი, ხოლო "ვეფხისტყაოსანი" გამოსახული პერსონაჟები ზღაპრულია იმიტომ, რომ ისინი ისტორიულად არ არსებობდნენ.

"მართლის თქმის" პრინციპს არჩილი აყალიბებს თეიმურაზისა და რუსთველის "გაბაასების" შესავალ ნაწილში: "სხვას ზღაპრულს ამბავს ესევ მართალი ამბავი ვარჩიე გასალექსავად; და არცა რა ამაში ტყუილი სწერია ერთის მეფისა და რუსთველის პირდაპირ გაბაასების მეტი. საქართველოს ამბავსაც კარგად და მართლა მოგახსენებს, ბატონებისა და დარბაისელთასა". როგორც ვხედავთ, "ტყუილად" პოეტს მიაჩნია ისტორიულად არარსებული, გამოგონილი ფაქტი, სიუჟეტი. თავისი პოეზიის ერთ-ერთ ღირსებად არჩილი იმას მიიჩნევს, რომ მისთვის შთაგონების წყაროს "ნამდვილი ამბავი" წარმოადგენს და არა მოგონილი, "ზღაპრული". პოეტი ერთგვარი სიამაყის გრძნობითა და ნიშნის მოგებით აღნიშნავს, რომ ის არ დაშვრა ზღაპრული ამბებს გალექსვაზე:

ვექვ ესე ჩემი ნათქვამი კარგი რამ მოსაგონარი,
არ საკიცხავი ამბავი, ამო და მოსაწონარი,
არც სხვათ ზღაპრულთა შაირთა ტყუილად გასაგონარი.

"ზღაპრულ შაირთა" დამკვიდრება ლიტერატურაში არჩილს მწერლობის ნაკლად მიაჩნია. საგულისხმოა, რომ არჩილი ლიტერატურული ჟანრის კლასიფიკაციასაც ახდენს იმისდა მიხედვით, თუ რას ასახავს იგი- ნამდვილ ამბავს თუ მოგონილს. მაგალითად, სახოტბო პოეზიისადმი სკეპტიკურადაა განწყობილი მხოლოდ იმიტომ, რომ მასში ბევრი რამ არამართალია. ის ერთგვარ დაპირისპირებასაც ახდენს, ჩემი ნაწარმოები არისო "არა ხოტბა, არამედ მართალიო". აქედან კეთდება ბუნებრივი დასკვნა, რომ სახოტბო პოეზია გამორიცხავს სიმართლეს, მაშინ როდესაც მწერლის დანიშნულებაა სწორედ სინამდვილე ასახოს. პოეტი დაბეჯითებითა და მაღალი პრინციპულობით აცხადებს:

რაც მასმოდა, ან მენახა, ამბავი ვთქვი მე მართლები,

ანუ ლხინი, ანუ ჭირი ერთმანერთზედ დანათვლები,

სიმართლე და კვლავ სიმრუდე, ვინ ბნელი ქმნა, ან ნათლები.

არჩილის რწმენით, ცხოვრება ასახული უნდა იქნას მთელი თავისი მრავალფეროვნებით, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეებით. სიმართლისადმი ღალატი შემოქმედის დიდი ნაკლია, მან უნდა ასახოს როგორც "ლხინი, ისე ჭირი", როგორც "ბნელი, ისე ნათელი", როგორც "სიმართლე, ისე სიმრუდე". არჩილი პოეტისგან მოითხოვს მაღალი მოქალაქეობრიობისა და პასუხისმგებლობის გრძნობას. არჩილის რწმენით, პოეტმა მოურიდებლად უნდა ამხილოს ყოველგვარი ნაკლოვანება და ხელი შეუწყოს თანამოქალაქეთა ზნეობრივად გაწვრთნას. "ზოგთ ვაქებ და ზოგთ ვაძაგებ, ავის საქმის დამგმობარე", აცხადებს პოეტი. არჩილი არა ერთგზის უბრუნდება "მართლის თქმის" საკითხს და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მწერალმა სინამდვილის ასახვაში უნდა გამოიჩინოს გულწრფელობა, ყოველ მოვლენას საკუთარი სახელი უნდა უწოდოს. "კარგისა ავი არ მითქვამს, არც შინაგანა ჭრელადა",- დაბეჯითებით გვაუწყებს პოეტი.

ამრიგად, არჩილის მიერ წამოყენებული "მართლის თქმის" პრინციპი გულისხმობს ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ , ისტორიულად მომხდარი ამბის, ფაქტის აღწერას. მის სწორ ასახვას, მიუდგომლობასა და სიწრფელეს, ე. ი. ისტორიული ფაქტი არ უნდა იქნას დამახინჯებულად, ცალმხრივად ან ზედაპირულად გაშუქებული.

"მართლის თქმის" არჩილისეული კონცეფციის ორგანულ ნაწილს შეადგენს ნაციონალური თემატიკის საკითხი. "საგანთა და მოვლენათა რეალისტურად ასახვის საჭიროებასთან ერთად, არჩილი მოითხოვს ისტორიულ-ნაციონალური თემატიკის დამუშავების აუცილებლობას. არჩილი გმობს მისი წინამორბედი პოეტების ამბავთა ზღაპრულობასა და უცხოურ (სპარსულ) წარმომობილობას.^[5]" არჩილი მოითხოვს მწერლებისაგან, რომ მათ ასახონ ქართული სინამდვილე, მათ ნაწარმოებებში გამოხატულებას პოულობდეს როგორც ისტორიული წარსული, ისე თანამედროვეობა. მწერლობა, უპირველეს ყოვლისა, უნდა ემსახურებოდეს ერის წინაშე დასმულ საჭირობოროტო საკითხების გადაწყვეტას. არჩილის ეს პოზიცია ერთგვარი რეაქცია იყო თეიმურაზ პირველის სპარსოფილური ტენდენციის წინააღმდეგ. არჩილი გმობს უცხოური სიუჟეტებით გატაცებას და მოითხოვს ეროვნულ თემატიკაზე ყურადღების გამახვილებას.

არჩილის ლიტერატურულ შეხედულებებში გარკვეული ადგილი უკავია მხატვრულ ნაწარმოებში შინაარსისა და ფორმის ურთიერთმიმართების საკითხს. მართალია, არჩილს არ დაუწერია საგანგებო ტრაქტატი ლიტერატურის თეორიაში, მაგრამ ქართველი პოეტის თხზულებებში არა ერთგზის ვხვდებით უაღრესად საყურადღებო მოსაზრებებს ლიტერატურის სხვადასხვა საკითხზე.

უპირველეს ყოვლისა, არჩილმა თანამედროვეთა ყურადღება მიაქცია ფორმისა და შინაარსის ურთიერთდამოკიდებულებას. ეტყობა, იმ დროისთვის, სპარსული პოეზიით გატაცების ეპოქაში, ეს ყოფილა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი. ბუნებრივად წინ წამოიჭრა ნაწარმოების გარეგნული, მხატვრული მხარე და მისი სრულყოფის ძიებაში ერთგვარად დაიჩრდილა, მეორეხარისხოვნად იქცა ნაწარმოების იდეურ-შინაარსობლივი მხარე. ეს უკანასკნელი მსხვერპლად ეწირებოდა რითმათმთხზველობას, რაც ლიტერატურის განვითარებას გარკვეულ საფრთხეს უქმნიდა. აღნიშნული საკითხის გადასაწყვეტად არჩილმა ორიგინალურად გამოიყენა თეიმურაზ პირველისა და რუსთველის გაპაექრება. ორი კლასიკოსის შემოქმედებათა გაანალიზებისა და შეფასების საფუძველზე მან შეძლო განესაზღვრა ფორმისა და შინაარსის ურთიერთმიმართება.

რუსთველი ავად, .ე. ი. ცუდად თქმულს მიიჩნევს წყლის ნაყვად, მოჰყავს შინაარსისაგან დაცლილი, არაფრის მთქმელი, ფუჭსიტყვაობისა და რითმათმთხზვის ნიმუში:

მოაბასითა, მო აბა სითა, მო ესო, მითხარ, ვით მოე კიდე,
მოაბასითა, მოაბასითა, მოესო ტვირთად, ვით მოეკიდე,
მოაბასითა, მოაბასითა მოესო ცეცხლი და მოეკიდე,
მოაბასითა, მოაბასითა, მოესო იფრდე ან მოეკიდე.

მოყვანილი ლექსი კლასიკური ნიმუშია უშინაარსო, ფორმალისტური ვარჯიშისა, რასაც რუსთველი შემოქმედის დიდ კრიზისად თვლის, იგი ერთგვარი ნიშნის მოგებით ამბობს:

ჩემს მოსწრებაში აროდეს კვლავ მე ეს არ დამემართა-ო.

არჩილი ხაზს უსვამს რა თეიმურაზის შემოქმედების მხატვრულ მხარეს, აღნიშნავს მის ნაკლსაც:

თუმც უხვია თეიმურაზ, მაგრამ სიბრძნეს კი არ გასცემს.

არჩილთს აზრით, “სიტყვით სიუხვე” სიბრძნის, ღრმა იდეური შინაარსის გარეშე შემოქმედების სისუსტის მანიშნებელია.

არჩილის ეპოქის ლიტერატურული გემოვნების, მკითხველთა მოთხოვნილების გამომხატველია ანონიმი ავტორის შემდეგი, უაღრესად საყურადღებო სტროფი:

რუსთველის ნათქვამი ზანდუკს ჰგავს, მორთულსა ოქრო-თვალითა,
იაგუნდით და აღმასით სავსესა ჩანათვალითა.
კახის ბატონის - მორთულსა ტკბილად რამ, მაგრამ ვალითა,
არაფერთა სავსესა, არც ქვითა, არცა სალითა.

რუსთველის უპირატესობა მჟღავნდება იმით, რომ მას მაღალმხატვრულ ფორმაში გადმოცემული აქვს ღრმა შინაარსი, იგი გამოხატავს სიბრძნეს. რუსთველის ნაწარმოები შინაგანად სავსეა, ხოლო თეიმურაზი, ჯერ ერთი, ნაკლებ ორიგინალურია, “სავსეა ვალით”, ე. თ. სხვისგანაა დავალებული, მეორეც, “არაფერთა სავსეა”, ე. ი. მის ნაწარმოებებს რაღაც შინაგანი სიცარიელის იერი გადაკრავს. რასაკვირველია, ეს ზომიერად მკაცრი შეფასებაა თეიმურაზის ლიტერატურული მემკვიდრეობისა, მაგრამ აქ საყურადღებოა სხვა რამ, კერძოდ, საკითხის პრინციპულ სიმაღლეზე აყვანა: მხატვრული ნაწარმოები მხოლოდ “ტკბილად მორთული” კი არ უნდა იყოს, ე. ი. მარტო გარეგანი, მხატვრული ფორმის მხრივ კი არ უნდა იზიდავდეს მკითხველს, არამედ ის უნდა იყოს ორიგინალური და მაღალმხატვრული ფორმით გადმოსცემდეს შესაფერის ღრმა იდეურ შინაარსს. ამიტომაც, რომ გაბაასების შესავალში არჩილი შთაგონებისთვის მიმართავს სიბრძნეს, აზრს, რადგანაც ამ უკანასკნელს მიიჩნევს ნაწარმოების საფუძველად:

სიბრძნესა ვითხოვ, მან მომცეს დაუშრომელი ენა და.

არჩილთ თითქოს ერთგვარ დაპირისპირებას ახდენს და მკითხველის წინაშე სვამს საკითხს, რა უფრო მნიშვნელოვანია, მოვლენის ან საგნის ფორმისეული თუ შინაარსობლივი მხარე. საილუსტრაციოდ კონკრეტულ მაგალითს ასახელებს:

ერთი მოთეთრო ქაღალდი და ვარაყ-შეფრქვეულია,
კარგ-ხელნაწერი, მაგრამე ამბავი არეულია;
სხვა მოყვითანო, ფრჩხილ-ყვავად, სასიბრძნოთ დაწერილია.
ბრძანეთ: რომელი სიკეთით ამათგან მორეულია.

ეს სტროფი გამოცანის ხასიათს ატარებს: რაა უფრო მნიშვნელოვანი. მდიდრულად გაფორმებული, კარგი კალიგრაფიით შესრულებული უაზრო ნაწერი თუ მდარედ გაფორმებული, ცუდი ხელით გადაწერილი ბრძნული შინაარსის მქონე ტექსტი. კითხვაზე თვითონ იძლევა პასუხს:

ოქრო შემკულსა ებანსა სცემს ვინმე, ავად აჟღერებს,
სხვა ლიტონისა შეშისას ჰკრავს ტკბილად, ამოდ ამღერებს.
ორისავ მცოდინარენი გულს რომელს უფრო აჯერებს?

არჩილი არ ვარდება უკიდურესობაში და ზომიერების გრძნობის დაცვით ფორმისა და შინაარსის ერთიანობაზე, შინაგან მთლიანობასა და შესატყვისობაზე მიუთითებს.

საყურადღებო მოსაზრებები აქვს გამოთქმული არჩილს შემდეგ სტროფში:

სხვა მელექსეთგან მინახავს, შესავალს სწერდეს სულ თავსა,
ეს იმასა ჰგავს, ეზოსას მაღალს იბემდეს ბჭის კარსა,
შიგან ჩალისა ქოხებსა იდგემდეს, ზრდიდეს ფუტკარსა;
რა შიგ შეხვიდე, ვერ სჭვრეტდე სიბრძნისა მას მინაკარსა.

აქ ყურადღება გამახვილებულია ნაწარმოების კომპოზიციურ მხარეზე. ნაწარმოების შესავალი და ძირითადი ნაწილი ურთიერთშესაბამისი უნდა იყოს. თუ მწერალმა შესავალშივე ამოწურა სათქმელი, შემდეგ იწყება ნათქვამის გადაღეჭვა, გაჭიანურება. ავტორს ხატოვნად აქვს წარმოსახული ის შთაბეჭდილება, რომელსაც ახდენს მკითხველზე ასეთი ნაწარმოები. ის ჰგავსო დიდი ალაყაფის კარებით შემკობილ ცარიელ ეზოს:

რა შიგ შეხვიდე, ვერ სჭვრეტდე სიბრძნისა მას მინაკარსა.

არჩილის მიხედვით, ნაწარმოები თავიდან ბოლომდე ერთნაირად უნდა იყოს აზრით დატვირთული. შინაარსი თანამიმდევრულად უნდა ვითარდებოდეს, შესავალში ჩამოყალიბებული შეხედულებები გაშლას უნდა პოულობდეს ნაწარმოების ძირითად ნაწილში. ექსპოზიციიდან კვანძის გახსნამდე ავტორს მკითხველი დატყვევებული უნდა ჰყავდეს. თუ ფინალი უვარგისი, მშრალი და ფერმკრთალია, მაშინ შესავალი ნაწილიც, თუნდაც კარგი იყოს, კარგავს ზემოქმედების ძალას, ასეთი ნაწარმოები ვერ აკმაყოფილებს მკითხველის

მოთხოვნილებას. ნაწარმოები თავიდან ბოლომდე ერთნაირი სიძლიერით უნდა იყოს დაწერილი:

სიბრძნეს თუ ვინ თავს უღებდეს, ბოლოც იმაზედ მოუღოს,
თუ კარგს სასმელზედ დასვემდეს, სულ ისევ კაი მოუღოს,
უფრო და უფრო დაუტკბოს, შემსმელთა ცნობა წაუღოს,
დახშულთა გული უგბილთა სასმელად კარი გაუღოს.

არჩილის სიტყვით, ავტორი თანამიმდევრულად უნდა ავითარებდეს თავისი თბზულების შინაარსს. ღირსეული ფინალი კი ნაწარმოებს კრავს და ქმნის მთლიან შთაბეჭდილებას:

ყოველი საქმე ბოლოსი სჯობს რასაც უკეთესდება.
თორ ერთ წამ კაი რამ არი და მას უკან კი წახდება,
იტყვიან, ცუდი რამ იყო, სასაცილოდაც გახდება.

არჩილი მსჯელობს ნაწარმოების გამართულობაზე, მისი კომპონენტების შინაგან კავშირზე. ყოველი დეტალი მოტივირებული უნდა იყოს, ერთმანეთს ორგანულად უკავშირდებოდეს და, ამრიგად, ქმნიდეს ერთ მთლიანობას. შესანიშნავად აქვს ეს დებულება არჩილს ჩამოყალიბებული თეიმურაზისა და რუსთველის “გაბაასების” შესავალში:

სწორად უნდა ლექსი ვინ თქვას, მართლად სცემდეს, განა გაჰკრას.
თავი კარგად მან აუღოს, ბოლო უხამს ზედ მოაკრას,
ვით ხუთძალსა გამართულსა ქვეიდაძე ხელი აჰკრას,
ტკბილად იყოს გასაგონი, განა თავსა ვისმე დაჰკრას.
ზოგჯერ უნდა წასავლელად, ვით კაპანმა კაცი აბას,
გული ასრე დაუყენოს, ეგონოს თუ თოკი აბას,
ერთი რამე სალადობო ზედ ხუმრობა წამოაბას,
მერმე კიდეც ძნელსა რასმე შეიქმოდენ მაზე, აბას.

როგორც ვხედავთ, აქ მინიშნებაა ნაწარმოების კომპოზიციურ მთლიანობაზე. ამბავი უნდა ვითარდებოდეს თანდათან, თითოეული ეპიზოდი მჭიდროდ უნდა იყოს ერთმანეთთან დაკავშირებული და ექვემდებარებოდეს მთლიან სიუჟეტურ ქარგას. ფინალი ექსპოზიციის ბუნებრივი განვითარების შედეგი და დაგვირგვინება უნდა იყოს.

აღნიშნულ სტროფში საუბარია აგრეთვე ნაწარმოების ემოციურ მხარეზე. ფორმისა და შინაარსის ურთიერთობის გარკვევისას არჩილი აღიარებს შინაარსის წარმმართველ მნიშვნელობას, მაგრამ სრულიადაც არ უგულვებელყოფს ნაწარმოების ფორმის დიდ მნიშვნელობას. იგი ხაზს უსვამს ნაწარმოების მხატვრული მხარის ემოციურ ზემოქმედებას მკითხველზე. მელოდიურობას გულისხმობს არჩილი, როდესაც ამბობს: ლექსი უნდა “ტკბილად იყოს გასაგონი, განა თავსა ვისმე დაჰკრას”. ლექსი უნდა იყოს საამო სასმენი, არ უნდა ჰრიდეს ყურს. ლექსის მელოდიურობას მკითხველი ერთგვარ ტყვეობაში უნდა ჰყავდეს: “ზოგჯერ უნდა წასავლელად, ვით კაპანმა კაცი აბას, გული ასრე დაუყენოს, ეგონოს თუ თოკი აბას”. არჩილის რწმენით, გამართული ლექსის წყალობით ურთულესი პრობლემები, ღრმა იდეური გააზრებანი

მკითხველისათვის ადვილად გასაგები და ასათვისებელი ხდება. ამიტომ ამბობს პოეტი:

მერმე კიდევ ძნელსა რასმე შეიქმოდენ მაზე, ა ბას.

ამ საკითხს - რთული, ძნელი პრობლემების ადვილად, ყველასთვის გასაგებად გადმოცემას მხატვრული ნაწარმოების საშუალებით - ქართველი მოაზროვნე არა ერთგზის ეხება, ეს აზრი მას განსაკუთრებით მკაფიოდ აქვს გამოხატული “ლექსნი ასეულის” ერთ ტაეპში:

ლექსად უნდა ყოვლი სიტყვა ერთი-ერთზედ გაწყობილი,
სულა ტანით სამეზარი, ერთმანერთზედ მიწყობილი.
უმეცართა უარშიო, ბრძენთა დია შეწყობილი,
ძნელოვანიც მისვე სიტყვით საამოვნოდ შეტყობილი.

თუ სხვა შემთხვევაში არჩილი ეხება საერთოდ ნაწარმოების კომპოზიციურ მთლიანობას, სიუჟეტურ შეკრულობას, ამ სტროფში ლაპარაკია უფრო კონკრეტულ გარემოებაზე - ლექსში სიტყვის ხმარების ოსტატობაზე. სიტყვის გრძნობა არჩილს პოეტის არსებით თვისებად მიაჩნია. ის საგანგებოდ მოძღვრავს პოეტებს, თუ როგორი სიფრთხილით, ცოდნითა და ზომიერებით უნდა მოეპყრან სიტყვას. მხოლოდ დიდ, ბრძენ პოეტს აქვს, არჩილის აზრით, სიტყვის გრძნობა. ხოლო “უმეცარნი” წერენ “უარშიოთ”.

ლექსში სიტყვის შერჩევის ხელოვნებას არჩილი ხაზს უსვამს არა რაიმე ფორმალისტური თვალსაზრისით, ფორმისეული მოვლენებით გატაცების გამო. მისი რწმენით, სიტყვის დაუფლება, სიტყვის ნიუანსური მნიშვნელობის შეგრძნება არის ერთადერთი პირობა აზრის ზუსტად და ადვილად გაგებისთვის. არჩილი მწერლისგან მოითხოვს, ყოველგვარი სიბრძნე ადვილად გასაგები გახადოს მკითხველისთვის. ლექსის ბუნების კარგი ცოდნის საფუძველზე პოეტი გონებამახვილურად შენიშნავს:

თქმა ლექსისას ეს ზნედა სჭირს, სიტყვას უცხოს შემოიყვანს.

რასაკვირველია, აქ ლაპარაკია არა უცხო სიტყვების, ბარბარიზმების შემოტანაზე, არამედ მწერლის მიერ ლექსიკისა და ენის სტრუქტურის ცოდნის საფუძველზე მშობლიური ენისა და პოეტური ნაწარმოების მოხდენილი სიტყვით გამდიდრებაზე. სიტყვის შემოტანა უნდა ხდებოდეს დიდი სიფრთხილით, ცოდნითა და გემოვნებით. არ უნდა დამახინჯდეს, “დაიგრიხოს” პოეტური მასალა. არჩილი სიამაყით ამბობს:

სიტყვა ნაგრეხი არ მითქვამს, მაშა, მკითხველო, რაც არი.

სიტყვას არ უნდა წვალება, ის ბუნებრივად უნდა ჟღერდეს, ხელოვნური ფორმა ლექსს ამძიმებს, აუტანელს ხდის. არჩილი სასტიკად ტუქსავს იმ მწერალთ, რომელთაც უგემურად, უადგილოდ აქვთ სტრიქონში სიტყვები განლაგებული:

ხელოვანნი უცთურთ-მწერნი, ვინ დონზედა დასვა ანი.

ასეთი დაუდევრობა აზრსაც გაუგებარს ხდის და კეთილხმოვანებასაც არღვევს, იკარგება ლექსის მუსიკალური ჟღერადობა. ლექსის მუსიკალობას არჩილი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს; რაც უფრო მელოდიურია ლექსი, მით უფრო ძლიერია მისი ემოციური ზემოქმედება.

ყურისთვის საამო სასმენელი ლექსის შექმნა პოეტის დიდოსტატობას მოითხოვს, წინააღმდეგ შემთხვევაში მივიღებთ მონოტონურად მჟღერ ლექსს:

ერთიც ხმითაც მე მინახავს უამრავნი შეყრილობდეს.
ხელთა შინა მჭედელთასა ფოლადიცა მორბილობდეს,
ჰაერთ შეცვლით მომქსინვარე იანვარი აპრილობდეს.

არჩილის აზრით, ჭეშმარიტი პოეტის წინაშე არ არსებობს დაბრკოლება; მისი ნიჭისა და ცოდნის ძალით სიტყვა იხვეწება და მშვენივდება. სანიმუშოდ იგი მიუთითებს ქართული სიტყვის ორ დიდოსტატზე, რუსთველსა და თეიმურაზზე:

სიტყვას ღრმასა ბრძნად სასმენსა შეაწყობენ, არ ირევენ,
სწორს აასხმენ მარგალიტსა, არ თუ მრუდსა გაურევენ.

თეიმურაზისა და, განსაკუთრებით, რუსთველის ქმნილებებს არჩილი თვლის პოეზიის ნიმუშად. რუსთველის პოემაში პოულობს იგი დიდი სიბრძნის შესატყვისი მაღალმხატვრული ფორმის გამოვლენას. შემთხვევითი არაა, რომ არჩილი რუსთველს ათქმევინებს: “მე ვარ ძირი ლექსის თქმისა, მელექსენი ჩემზე შენობს”. რუსთველთან დაკავშირებით არჩილი იხლავს ნოვატორობისა და ეპიგონობის საკითხს. ახალი იდეების შემოტანასთან ერთად რუსთველმა დაამკვიდრა ახალი ფორმა. მისი პოეზია იმდენად სრულყოფილი, იმდენად მაღალი და დიადი იყო, რომ ქართველმა მწერლებმა მის გავლენას ვერ დააღწიეს თავი და საუკუნეებით მის “ტყვეობაში” იმყოფებოდნენ, იმეორებდნენ როგორც მის იდეურ პრინციპებს, ისე მის სახეებს, მხატვრულ ხერხებს.

არჩილს ჩამოყალიბებული აქვს საინტერესო დებულებები მწერლობაში ნოვატორობისა და ეპიგონობის შესახებ. რუსთველი ეუბნება თეიმურაზს:

ხელოვანი იმას ჰქვიან, უნახავად შექმნას რამე,
ჩემგან უწინ ვის რამ გეთქვათ, ქართველთ ენით ვიწყე რა მე,
ჩემი თქმული სახედ გქონდა, მით რამ იტკბე, მით რამ ამე,
სხვათ მელექსეთ უმჯობესო, თუ არ სწყრები, მე კი დამე.

პირველსავე ტაეპშია წამოყენებული დებულება, რომ შემოქმედმა დამოუკიდებლად უნდა შექმნას რამე. მთავარია სიახლე, პირველი თქმა:

პირველ ხელყოფა საქმისა თქმულა შემდგომთა უძნელად,
სად არ ნათობდეს მზის შუქი, ყოველნი იქმნეს მუნ ბნელად.

რუსთველის თქმით, ყოველი სიახლე სინათლის შემომტანია პოეზიაში, ხოლო გამეორება, გადამღერება - არაფრის მოქმედი. თეიმურაზის პოეზიის სუსტ მხარედ არჩილი იმას მიიჩნევს, რომ იგი რუსთველის სახეების, მისი ვერსიფიკაციის

მიზამდევით ქმნის საკუთარს, ისე რომ სახედ, ანუ ნიმუშად რუსთველის ნათქვამი აქვს. არჩილს სიამაყის გრძნობას ჰგვრის ის სიახლე, რითაც თავად იგი განსხვავდება წინა საუკუნეების მწერალთაგან:

ეს ლექსი ჩარხებ მბრუნავი აწ მოვიგონე უსმენლად:
ერთს სტრიქონს სიტყვა რამდენ აქეს, ლექსიც იქნება იმდენად.
ნაძლევი ვარ, თუ ჩემს წინათ ეთქვას ვის, იყოთ მოსმენად.

“ჩარხებ მბრუნავი” ლექსი მეტად საეჭვო ღირსებისაა, მაგრამ ავტორს მაინც საკმაო დამსახურებად მიაჩნია ეს უცილოდ ფორმალისტური ვარჯიში მხოლოდ იმიტომ, რომ ასეთი ლექსი მას არვისგან მოუსმენია, ის მისი მოგონილია. არჩილის ლიტერატურულ შეხედულებებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სიახლის ძიებისკენ მოწოდებას.

არჩილის “მართლის თქმას” და ნაციონალური თემატიკის საკითხს ორგანიულად უკავშირდება ენის სიწმინდის საკითხიც: “სპარსული ლიტერატურული ორიენტაციის წინააღმდეგ მებრძოლი არჩილი ენერგიულად იცავს ქართული სალიტერატურო ენის სიწმინდეს”^[6].

ლიტერატურაში ნაციონალური თემატიკის დამკვიდრებისთვის მებრძოლი პოეტი ეროვნული ენის სიწმინდის დასაცავად საგანგებო სიფხიზლეს და პრინციპულობას იჩენს. არჩილის თქმით, “ცუდია გარევა ქართულს ენაში სხვას ავით”. იგი საგანგებოდ აფრთხილებს პოეტებს: “არსად წაგცდეს ცუდი ენა, ლექსობ ვინ თუ იამბიკობ”. “ცუდ ენაშ” გულისხმობს არა მარტო გაუმართავ ფორმებს, არამედ ბარბარიზმებსაც. ბარბარიზმს პოეტი მიმართავს მხოლოდ მაშინ, როდესაც მშობლიურ ენაში ვერ ახერხებს საგნისა თუ მოვლენის ამსახველი სიტყვის გამოძებნას და ამ ხარვეზის ამოვსებას ცდილობს უცხო ლექსიკის ხარჯზე. ნასესხები სიტყვა მაინც გაუგებარი რჩება მკითხველისთვის. რუსთველსა და თეიმურაზს არჩილი მძიმე ბრალდებად უყენებს იმას, რომ მათ შემოქმედებაში არაიშვიათად გვხვდება უცხოური სიტყვები, მაშინ როდესაც მათი შეცვლა შეიძლებოდა შესატყვისი ქართული სინონიმებით. ეს ბრალდება განსაკუთრებით მწვავედაა გამოთქმული თეიმურაზის მიმართ. ხოლო საკუთარი პოეზიის ერთ-ერთ ღირსებად არჩილს მიაჩნია ის, რომ სუფთა ქართული ენით მეტყველებს, რის გამოც გამომწვევადაც აცხადებს:

მითქვამს ქართულის ენითა, სხვა ენა არ ურევია.

არჩილის განცხადება მთლად სწორი არაა, რადგანაც მის ლექსიკაშიც გამოჟონავს არაქართული სიტყვები, რომლებიც არ არის აუცილებლობით გამოწვეული. ძირითადად კი, აყალიბებს რა თავის შეხედულებებს ენის სიწმინდეზე, არჩილი ცდილობს საკუთარ შემოქმედებაშიც მაქსიმალურად დაიცვას აღნიშნული თეორიული პრინციპები.

არჩილის ლიტერატურული შეხედულებების გაცნობისას ყურადღებას იპყრობს შემოქმედის დამოუკიდებლობის, თავისუფლების საკითხი. არჩილის აზრით, პოეტი დამოკიდებული არ უნდა იყოს არავიზე, თვით მეფეზეც კი, არ უნდა წერდეს სხვისი დაკვეთით, დავალებით. პოეტური ქმნილება ნაყოფი უნდა იყოს ავტორის შინაგანი მოთხოვნებისა, შთაგონებისა. ისეთ დიდ შემოქმედსაც კი, როგორც რუსთველია, თითქოს ერთგვარი ჩრდილი ადგას იმის გამო, რომ მან “ვეფხისტყაოსანი” შექმნა

თამარ მეფის დავალებით. “მას უბრძანა თამარ მეფემ, ბატონმა თქვა თავის ნებით” ესაა თითქოს თეიმურაზის უპირატესობაც. ამიტომ მოჰაქერეს სიამაყით ათქმევინებს:

ჩემოდნად შენ ვინ ჩაგაგდებს, რაცა სთქვი - იძულებითა,
თამარ მეფემან გიბძანა, ძალი გიყო თუ ნებითა.
მე ჩემის ნებით გამოვსთქვი, სხვის ვისით მეთქვა თნებითა.

სხვა საკითხია, რამდენად სამართლიანია იგი რუსთველის მიმართ. მაგრამ პრინციპულად არჩილი უდავოდ მართებულ მოსაზრებას გამოთქვამს. პოეტი თავისუფალი უნდა იყოს არა მარტო ძალდატანებისგან, არამედ შინაგან სიმართლესაც უნდა გრძნობდეს. თავისუფალი დროც უნდა ჰქონდეს შემოქმედებითი მუშაობისთვის. ამიტომაც, რომ თეიმურაზი გულისტკივილით ამბობს:

სად მეცალა ლექსისათვის, ჭირსა შინა გული იობს,
სხვას ჩემდენი განსაცდელი ვის გარდაჰხდა, არ თუ იობს.
ის მოიცლის საშაიროდ, ვინ არ ჰმუნავს, ვინ არ იობს.

რასაკვირველია, აქ როდია ნათქვამი, რომ პოეზია მოცლილთა საქმეა, პირიქით, პოეზია მოითხოვს დიდ შრომას, დაკვირვებას და ამისთვის აუცილებელია სიმშვიდე, ნორმალური პირობები. ხოლო არჩილს, ისევე როგორც თეიმურაზს, გასაოცრად ბოლოქარ ეპოქაში მოუხდა მოღვაწეობა, როდესაც “წუთი არ იყო მოცლისა”. სრულიად გულწრფელად და ბუნებრივად ჟღერს არჩილის სიტყვები:

არ გიკვირსთ ჩემთა მნახავთა, ვით მოვიცალე ამდენად.

მიუხედავად ავბედობისა და მოუცლელობისა, არჩილის დროს დიდი იყო გატაცება ლიტერატურით, მსჯელობა ლიტერატურულ მოვლენებზე, სჯაბაასი ამა თუ იმ პოეტის შემოქმედების ავ-კარგზე.

პოეზიაზე მსჯელობა, ლიტერატურის რთულ მოვლენებში გარკვევა, არჩილის აზრით, დიდ ცოდნასა და გემოვნებას მოითხოვს. ლიტერატურული ნაწარმოების ანალიზი, მისი ღირსეულად შეფასება, მეტად ძნელი და პასუხსაგები საქმეა. ქართველი პოეტი და თეორეტიკოსი იძლევა მეტად მნიშვნელოვან დაკვირვებებს არა მარტო პოეზიის, მისი რაობისა და დანიშნულების შესახებ, არამედ, აგრეთვე, ანგარიშგასაწევ რჩევა-დარიგებას აძლევს ლიტერატურის კრიტიკოსებსა და თეორეტიკოსებს:

არა ადვილ არს რიტორთა და მელექსეთა განრჩევა,
ძალთა და ლექსთა სიტკბოთა მის-მის ადგილსა შერჩევა,
ვით წალკოტს შორის ყვავილთას ერთის სხვათასა აღრჩევა,
ვა თუ ვერცერთი ისუნო, სუნთ უყნოსელი დარჩე ვა.

პოეტის შეფასება, მისი ღირსების შეცნობა მეტად ძნელი საქმეა. პოეზიის სიტკბოს შეუცდომლად შეგრძნება განსაკუთრებულ ნიჭსა და ღრმა ცოდნას მოითხოვს. დიდი ერუდიცია და პოეტური გუმანი არის საჭირო, რომ მრავალ ლექსთა შორის გამოარჩიო ჭეშმარიტად პოეტური ნაწარმოები. განსაკუთრებით საყურადღებოა არჩილის გამაფრთხილებელი დარიგება, რომ თუ მკითხველს არა

აქვს პოეტური ალღო, მას პოეზია შეუმჩნეველი დარჩება, მრავალ ლექსს შორის ვერ შეიგრძნობს და ვერ გამოყოფს აშკარად პოეტურ ქმნილებას. მოცემულ შემთხვევაში არჩილი ხაზს უსვამს რა პოეზიის სპეციფიკურ თვისებას, ესთეტიკურ-ემოციური ზეგავლენის ძალას, ამავე დროს ამახვილებს მკითხველთა ყურადღებას იმ აუცილებელ პირობაზე, რომ, თუ ადამიანს არა აქვს თანდაყოლილი პოეტური ნიჭი, ლექსის გრძნობა, უშუალოდ არ განიცდის ლექსს, ის ვერასოდეს ვერ აღიქვამს პოეტურ ნაწარმოებს.

პოეზიას ისეთივე პოეტური სმენა და შეგრძნობა სჭირდება, როგორც მუსიკას. პოეზიის არსში ასე ღრმად ჩახედული არჩილი მკვეთრად და დამარწმუნებლად წარმოგვიდგენს იმ დიდ სიძნელესა და პასუხისმგებლობას, რაც დაკავშირებულია მხატვრული ნაწარმოების ჭეშმარიტად და ღირსეულად შეფასებასთან.

არჩილს მეტად საყურადღებო შეხედულებები აქვს ჩამოყალიბებული როგორც შემოქმედებით მეთოდზე, ისე ფორმისა და შინაარსის ურთიერთმიმართებაზე, მხატვრულ ენასა და კომპოზიციასა, პოეზიის სპეციფიკასა და დანიშნულებაზე. ყოველივე ამის გამო არჩილს გარკვეული ადგილი უკავია ქართული ლიტერატურათმცოდნეობის განვითარების ისტორიაში.

არჩილის ლიტერატურულმა შეხედულებებმა კონკრეტული განხორციელება ჰპოვეს მისსავე შემოქმედებაში. არჩილის პოეზია გამოვლენაა ახალი გემოვნებისა, ახალი დამოკიდებულებისა სინამდვილისადმი. არჩილი არა მარტო თეორიულად აყალიბებდა “მართლის თქმისა” და ეროვნული თემატიკის პრინციპებს, არამედ საკუთარი შემოქმედებითი მეთოდიც ამ პრინციპზე აქვს აგებული. არჩილის პოეზიაში ჩვენ ვხედავთ ახალი თემატიკის შემოჭრას, აღმოსავლური სიუჟეტების ნაცვლად იგი ამუშავებს ეროვნული სინამდვილის საჭირობო საკითხებს. არჩილის მრავალფეროვან შემოქმედებაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი როგორც ჩვენი ისტორიული წარსულის ასახვას, ისე თანამედროვეობის პრობლემატიკას.

არჩილის მდიდარ პოეტურ მემკვიდრეობაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მის შესანიშნავ ეპიურ ქმნილებას - “გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა”. ამ ნაწარმოებში არჩილმა მოგვცა რუსთველისა და თეიმურაზის ეპოქების ისტორიული სურათი, ისტორიულ მოვლენათა ანალიზი და შეფასება, ქართული პოეზიის ამ ორი დიდოსტატის შეპაექრებითა და ურთიერთდაპირისპირებით არჩილმა შეძლო ჩამოეყალიბებინა მნიშვნელოვანი ლიტერატურული შეხედულებები. გაბაასების ჟანრი არჩილმა გამოიყენა როგორც შესანიშნავი საშუალება, რათა საჭირო სისრულით გაერკვია მწერლობის დანიშნულება და სპეციფიკა. კერძოდ, რუსთველისა და თეიმურაზის პოეზიის ღრმად შესწავლის საფუძველზე, არჩილმა ჩამოაყალიბა მათი ლიტერატურული შეხედულებები, რომელთა დაპირისპირების გზით საფუძვლიანად გაარჩია ლიტერატურის საკვანძო საკითხები. ამრიგად, რთული ლიტერატურული პრობლემების გადაწყვეტის საფუძველზე არჩილი შესაძლებლად მიიჩნევს გაირკვეს უპირატესობის საკითხი რუსთველსა და თეიმურაზს შორის. თავად პოეტი კამათის დროს თითქოს ნეიტრალურ პოზიციას იცავს, თითქოს ობიექტურობას იჩენს მოკამათეთა შეფასებაში. მაგრამ მხოლოდ ერთი შეხედვით, სინამდვილეში აშკარად იგრძნობა, რომ, მოუხუდავად თეიმურაზის ღირსების აღიარებისა, არჩილის სიმპათიები მაინც რუსთველის მხარეზეა. იგი გაბაასების შესავალშივე ამჟღავნებს რუსთველისადმი დამოკიდებულებას, მისი ქმნილება მიაჩნია ნამდვილი პოეზიის ნიმუშად:

ვინ ვერ მიჰყვება რუსთველის თქმულსა, გარდმობძანდეს ასე აქეთ.

რუსთველი “სიბრძნის ტბაა”, რომელსაც ვერვინ შეედრება, მასთან შედარებით ყველა მცირედ მოციმციმე ვარსკვლავია, რომელნიც ფერმკრთალდებიან შოთას მზის სიკაშკაშეზე:

ხედავთ ვარსკვლავთ სიმრავლესა, ვერ ედრება შუქით მზესა.

არჩილის თვალსაზრისი არ არის სუბიექტური, იგი იმდროინდელი მოწინავე საზოგადოებრივი აზრის გამომხატველია, რაც განსაკუთრებით ახელებს თეიმურაზს:

ზოგი შენ გაქებს, მე მეტყვის: შოთამ გაჯობა შენაო,
ხან კიდევ გამაგულისეს, მათი მამინდა შენაო,
საკვდავად გამოვიმეტო, ან ამოვართვა ენაო.

თეიმურაზისთვის აშკარაა, რომ რუსთველს უფრო მეტი თაყვანისმცემელი ჰყავს. “აწ შენი მქები უფროა, ბოლოს დროს ჰყოფენ ნანასა”, რასაც ვერ შეჰგუებია მეფე-პოეტი. რუსთველი მტკიცედ იცავს სოციალური მდგომარეობით გამოწვეულ ეთიკურ ნორმებს და მოკრძალებას იჩენს მეფისადმი:

მე რას ღირს ვარ თქვენს დარებას, ამხანაგი შემადარონ.

მეფესთან შედარება რუსთველს კადნიერებად მიაჩნია და თავმდაბლად ამბობს: “ცუდად ლაყბობენ, შენმა მზემ, ვინ შეადარა ბატონს ყმა”. ბატონყმური ეთიკეტის დაცვით რუსთველი ქედს იხრის მეფის წინაშე:

თქვენ ბატონობა შეგშვენის, მე ყმა ვარ შესაფერია.

ბაგრატიონთა დინასტიის წარმომადგენელს, არჩილ მეფეს, ეს სრულიად ბუნებრივად ეჩვენება. ამიტომაც ამართლებს რუსთველის მოკრძალებას და ერთგვარი სიამოვნების გრძნობით აღნიშნავს:

ნახეთ, რუსთველი მეფესა რა ტკბლად გასიტყვებოდეს,
ესათნოება, ეკრძალვის, მას უნდა ეს ეტყობოდეს,
არა ჰყრის თავსა სამონოდ, თუმცა თუ დაეტყვებოდეს.

რუსთველი დიდ მორიდებას იჩენს მეფის წინაშე, საკუთარი ღირსების სრული დაცვით იგი კრძალვით ეპყრობა მეფეს, ხოლო პოეზიის სფეროში იოტის ოდენადაც არ უთმობს თეიმურაზს. აქ უკვე თვით რუსთველია მეფე:

მე..* ვარ ძირი ლექსის თქმისა, მელექსენი ჩემზე შენობს.
სრულ მელექსეთ მიუფროსონ, ვით ისრაელთ მღვდელი არონ.

რუსთველს არა აქვს პრეტენზია საუკეთესო მხედართმთავრობაზე, არც ქვეყნის გამგებლობაზე, ის ამ სფეროში არავის ეცილება და მით უფრო თეიმურაზს, მაგრამ

პოეზიაში პირველობას არ უთმობს მეფეს, არ ერიდება მას და მტკიცედ, საკუთარი ღირსების შეცნობით ამბობს:

არც მეფედ შეგედარები და არცა ომ-სახელითა,
არც ძალად, გულად, სიფიცხით, რამე გკრა ხელსა ხელითა;
თუ მელექსედა მედრები, ჩვენა ვართ არ ერთ-ხელითა.

რამდენადაც ზრდილი და თავმდაბალია რუსთველთ თეიმურაზის, როგორც მეფის, მიმართ, იმდენად უკომპრომისოა, როდესაც საკითხი ეხება პოეტური ღირსების საქმეს:

საქართველო სავსე არის, ჩემი წიგნი ყველგან გაჰქუხს,
ვის ლხინი აქვს, მას უზნობენ, ანუ ვისცა გული უწუხს.

თეიმურაზი გრძნობს რუსთველის ძალას და ცალკეულ გარემოებათა მომიზეზებით ცდილობს თავისი უპირატესობის დამტკიცებას. ერთ-ერთ ასეთ მომენტად მას ენის საკითხი მიაჩნია, თეიმურაზი რუსთველს ბრალად დებს ენის მოუქნელობას, სიმძიმეს:

ღაზოდა სთქვი, შემოიღე ჯავახური ენა მძიმე...

რუსთველის ენის დამახასიათებლად თვლის იგი აგრეთვე ბარბარიზმებს:
რაც ენაა ყველა გითქვამს, სომხური და მეგრულიცა...

თვითონ თეიმურაზს კი თითქოს ახასიათებს სუფთა ქართულით მეტყველება, და მხოლოდ აქა-იქ ჩაურთავს სპარსულს:

მე ოდენ ქართულს ენასა მარილად ურთე სპარსული.

რუსთველთან შედარებით თეიმურაზი განსაკუთრებულად ძლიერად გრძნობს თავს სასულიერო სფეროში. ბიბლიური წიგნების, საეკლესიო ლიტერატურის ცოდნა, პოეზიაში სასულიერო თემატიკისა და მოტივების შემოტანა თეიმურაზს სიამაყის გრძნობას ჰგვრის. “საღვთოს სწავლით ვერ ამიხვალ, საეროვე მოინახე”, - ქედმაღლურად მიმართავს რუსთველს და მუქარით დასძენს:

საღვთოთ მაშინც უეჭველად შემიდლია შენი დანთქმა.

რუსთველს არც აქვს პრეტენზია “საღვთო” პოეზიაში უპირატესობისა, პირიქით საკმაო გულგრილობასაც იჩენს მის მიმართ:

საღვთო შენთვის დაიჭირე და საერო მე მიბოძე-ო.

კიდევ მეტი, თეიმურაზის მიერ სასულიერო მწერლობაზე მოჭარბებული მსჯელობა რუსთველს მომაბეზრებლად ეჩვენება და საოცარი უშუალობით ამბობს:

ერთხელ კდევ გამაგონებ, ხორცსა სული გაეყრება,

ნულარ ბძანებ მაგ სიტყეასა, შენი ჭირი შემეყრება.

ამით რუსთველმა სამუდამოდ მოკვეთა თეიმურაზის ქედმაღლობა და გაანელა მისი აღმაფრენა. თეიმურაზი თითქოს დარწმუნდა რუსთველის უპირატესობაში და ერთგვარი მობოდიშებით უხსნის, თუ რითაა გამოწვეული მისი პოეზიას შედარებითი ფერმკრთალობა:

გითხარ, სალექსე დროები აროდეს არ შემომესწრო...
ან მოსვენება მენება, ან ჯავრისათვის დამესწრო,
მაშინ ნახევდით თამამად, თუ შენთვის მე არ დამესწრო.

აქ, ერთი მხრივ, აშკარა აღიარებაა რუსთველის პოეზიის შეუდარებლობისა და, მეორე მხრივ, ისტორიული მდგომარეობის წამოყენება, როგორც გამამართლებელი საბუთისა; რუსთველის უპირატესობა უნდა აიხსნას როგორც შედეგი გარკვეული ობიექტური, ისტორიული პირობებისა:

სხვას ჩემდენი განსაცდელი ვის გარდაჰხდა, არ თუ იობს.
ის მოიცლის საშაიროდ, ვინ არ ჭმუნავს, ვინ არ იობს.

თუმცა თეიმურაზი გრძნობს რუსთველის უპირატესობას, მაინც უჭირს პირველობის დათმობა და თავისი პოზიციის შესანარჩუნებლად ისტორიული გარემოს გათვალისწინებას მოითხოვს. მიუხედავად ამისა, პაექრობის ცალკეული ადგილებით და არჩილის ზოგიერთი, ვითომდა შემთხვევითი, შენიშვნის საშუალებით მკითხველი მაინც ადვილად ამჩნევს, რომ პაექრობაში გამარჯვებული რუსთველი რჩება.

თეიმურაზისა და რუსთველის “გაბაასებაში” არჩილი მიზნად არ ისახავს მარტო მოპაექრეთა შორის უპირატესობის გარკვევას, მისი თხოვლობა წარმოადგენს დიდ ეპიურ ქმნილებას, რომელშიც ღრმად და მრავალფეროვნად აისახა სინამდვილე. აქ აღძრული და წამოწეულია თითქმის ყველა ის საკითხი, რაც ალელვებდა თანამედროვეებს. ერთი მათგანი იყო სამშობლოს თვითმყოფადობის საკითხი. არჩილი შესანიშნავ ხერხად იყენებს რუსთველისა და თეიმურაზის გაბაასებას, რათა დაპირისპირების გზით ნათელა წარმოადგენა მოგვეს საქართველოს ისტორიაზე, როგორც მისი დიდების, ასევე მისი დაკნინებისა და დამაბუნების, შინაგანი აშლილობისა და ავბედობის ეპოქაზე. არჩილი დიდი განცდითა და მამულიშვილური გულისტკივილით აგვიწერს მშობლიური ქვეყნას უმწეო მდგომარეობას თეიმურაზის დროს. “გაბაასებაში” გვხვდება სპარსელთა თარეშის ამსახველი მეტად რეალისტური სურათები, კერძოდ, თვალნათლივ არის წარმოდგენილი კახეთის აოხრება.

კახეთი იყო უკაცო კვერნაქიანად გაღმართი,
ასე მოგვეპყრნენ თათრები, ვით ისრაელთა წარმართი.

თეიმურაზი ღრმა გულისტკივილით ამბობს:

რა კახეთს ჩაველ, დამიხვდა დამწვარი, დამტვერებული.

ეს იყო შედეგი შაკ-აბასის ურდოების ველური თარეშისა:

მოვიდა მძლავრი, უწყალო, არად არ შეიბრალებდა,
დამიწვა სრულად კახეთი, სახმილსა გამიალებდა;
ვერსად დაუდგა ციხემა, სიმაგრით თუმცა სალებდა.
მას ქურუმთაგან ნასწავლსა საქმესა მე მაბრალებდა.

შაკ-აბასის სარდლებს პოეტი შაკივით მრისხანედ და ბოროტად წარმოგვიდგენს. ყორჩიბაშის ლაშქარს უწოდებს: “საქართველოს ამოწყვეტის მდომნთ, ბევრის ავის მთესავს”. სპარსელების წარმატების მიზეზად პატრიოტი პოეტი თვლის არა ქართველების სისუსტეს და სპარსელების ბრძოლისუნარიანობას, არამედ მტრების რიცხოვრივ უპირატესობას:

მათი იდგა თვალუწდომი, სიმრავლე სჭირს მათ გვარიდამ.

რიცხოვრივ უპირატესობასთან ერთად სპარსელები მუხანათობდნენ, არ ერიდებოდნენ ღალატს:

შიხი-შვილთ და ყიზილბაშთა ამბავი თუ შენ არ იცი,
მამისმინე ყველას გითხრობ, თუ როგორ სწამს იმათ ფიცი,
ძველად უთქვამთ მათ ანდერძად, სიტყვა ესე დანამტკიცი:
“რითაც მტერი მოატყუო, ნუ უზოგავ და მე ვიცი”.

მცირერიცხოვანი ქართველობა, მიუხედავად საარაკო გულადობისა და თავგანწირვისა, ვერ იგერიებდა ურიცხვ მტერთა შემოტევას, მათი მარბევი რაზმები აჩანაგებდნენ ქვეყანას, რის გამოც სასოწარკვეთილი თეიმურაზი ამბობს:
სახელმწიფო დამეკარგა, ვსჭვრეტ ოხერსა, მონაქცევსა.

მიუხედავად მტერთა მოძალებისა, ქვეყნის დამაკნინებელ ძირითად მიზეზად არჩილს მაინც შინათაშლილობა მიაჩნია. ამიტომ განსაკუთრებულ მიუკერძოებლობასა და პრინციპულობას იჩენს მოვლენათა შეფასებისას. იგი მოურიდებლად ამხელს ქვეყნის ორგულთ:

ზოგთ ვაქებ და ზოგთ ვაძაგებ, ავ საქმის მე დამგმობარე.

არჩილი აშიშვლებს ფეოდალთა მანკიერ მხარეებს. დიდი ოსტატობით ახერხებს სამიოდე სტრიქონით მეტად რელიეფურად წარმოგვიდგინოს შინა ფეოდალური აშლილობის სურათი:

ალაღდებიან თავადნი, ერთი-მეორეს აიტანს.
ერთი-მეორის სიკვდილად მოვა, ამხანაგს მიიტანს,
ერთმანერთს ხოცა დაუწყეს, თავს ამორვებენ მო-ი-ტანს.

საუცხოოდაა დახასიათებული ზნეწამხდარ ფეოდალთა ანგარებით აღსავსე ბუნება. ბევრს ავიწყდებოდა სახელმწიფოებრივი ინტერესები და ვიწრო ეგოისტური ინსტინქტებით ხელმძღვანელობდა:

ასრე სჭირს საქართველოსას დიდებულთ, გინა მცირეთა,
აზვავდებიან, იტყვიან: “უჩემოთ ვინ იმღერეთა”.
დაბალს კაცს არ ახსენებენ, იტყვიან “დამიჭირეთა”.
კაცი სჯობს საქმე კეთილი ანგაარ, მოგულძვირეთა.

აქ საოცარი სისრულითა და სიმკვეთრითაა გამოვლენილი გადაგვარებულ ფეოდალთა შინაგანი სამყარო. მათი მამოძრავებელი იმპულსი კერძო, პირადული მიზნები იყო. ისინი ზრუნავდნენ მხოლოდ ვიწრო, ეგოისტური პატივმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად, ყოფითი მხარეების მოწესრიგებაზე, პირადი განდიდებისთვის, საქვეყნო საქმე კი მათი ცნობიერების მიღმა რჩებოდა. ფეოდალების ინტერესთა შეზღუდულობა და უკიდურესი ეგოიზმი არჩილმა მეტად თვალნათლივ გამოავლინა ერთ-ერთი ეპიზოდით. მრისსანე შაჰ-აბასს შემოუთვლია ლუარსაბ მეფისთვის - ან გამოცხადდი ჩემთან, ან ავაოხრებ ქართლსო. ულტიმატუმმა დაადარდიანა მეფე. სპარსეთში წასვლას სიკვდილით დასჯა მოყვებოდა, არადა წუხდა, რომ არ წავიდე, ვაითუ, “ქართლი ყონ ცეცხლ-მოდებული”. ფეოდალები სხვა პოზიციებიდან წყვეტენ ამ დიდ საქვეყნო საკითხს: არ ურჩევენ წასვლას, შენ თუ მოგკლავს შაჰ-აბასი, მაშინ ქართლის ბედი რაღაში გენაღვლებათ:

შენ იქით ქართლსა რას ხელს ჰყრი, რა დარჩე სახლ-დავსებული?
მიხვიდე, მოგკლას, ან ტყვე გყოს, შენ იქნე დანაღვლებული.

ასე რომ, ზოგიერთი თავად-აზნაურის აზრით, მთავარია თავს უშველო, თორემ შენს შემდეგ, შენს იქით რაღა მნიშვნელობა აქვს, რა მოუვა შენს ქვეყანას.

არჩილი ვერ შერიგებია თავად-აზნაურთა ურთიერთ ქიშპსა და შინაურ ბრძოლებს, პოეტისთვის ძნელად გასაგები და აუხსნელია ფეოდალთა ასეთი სიბეცე, წანდაუხედაობა, ამიტომ მათი მოქმედების მიზეზს რაღაც ზებუნებრივ, მისტიკურ ფაქტორებში ეძებს:

მესისხლე ჰყვანდა ვინ ვისმე, მუნ სისხლსა ვით დაადენდა?
ღვთის წყრომით მოჰხდა, თეარემ და მათ ეგრე რა წაახდენდა...

მორწმუნე პოეტი თანამოქალაქეთა არამამულიშვილურ საქმიანობაში ხედავს ღვთის რისხვას, წინააღმდეგ შემთხვევაში მისთვის გაუგებარია, თუ რა წაახდენს, დასცემს ადამიანს ისე, რომ მან დაივიწყოს სამშობლო, მით უფრო, რომ მრავალსაუკუნოვან ბრძოლებში გამობრძმედილი ქართველი ხალხი შარავანდედმოსილია სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულითა და ერთგულებით. არჩილი განსაკუთრებული სიმპათიით გვიხატავს იმ პატრიოტთა სახეებს, რომლებმაც თავისი წვლილი შეიტანეს ქვეყნის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის დიდ საქმეში. მათი მხრივ წარმოუდგენელია თანამემამულეთა ღალატი.

ვით მოჰხდება ეგე აგრე, ძმა და შვილი ადვილ გავსცე,
ლიხს იქითი საქართველო ავიღო და პირქვე დავსცე? –

გაოცებით ამბობს იმერთა მეფე გიორგი, როდესაც მას შაჰ-აბასი მოსთხოვს იმერეთში გადასულ თეიმურაზ მეფის გაცემას. გიორგი მეფე არ წამოეგო შაჰ-აბასის პროვოკაციაზე, მისთვის ერთნაირად ძვირფასი და საზრუნავია ლიხს იქეთა და აქეთა

საქართველო, მას დაუშვებლად მიაჩნია ქართველთა შორის ამტყდარი შინაური ბრძოლა, რაც ასუსტებს ქვეყანას და ხელს უწყობს მტერთა მომძლავრებას. ასეთ მამულიშვილთა სახეების შექმნაში არჩილი განსაკუთრებულად მკვეთრ ფერებს ხმარობს.

“გაბაასება” დიდი პატრიოტული გზებით დაწერილი ეპიური ნაწარმოებია, რომელშიც გამოკვეთილია სამშობლოსადმი თავდადებულ გმირთა შესანიშნავი სახეები, მათ შორის ერთ-ერთი უბრწყინვალესია გიორგი სააკაძე. ბატალური სცენების ოსტატურად წარმომსახველი პოეტი დიდებულად ხატავს ბრძოლის ცეცხლით ანთებულ გიორგის. მტრის რიგებში შეჭრილი ლომგული რაინდი, მუზარადსაც კი არ იხურავს, რადგან იცის, რომ მისი იერი შიშის ზარს სცემს სპარსელებს. საკმარისია მას თვალი მოჰკრან, იცნონ, რომ მტრის რიგები იშლება, უკუიქცევა:

მოურავმან იმ ომზედა მუზარადი არ დაიდგა,
თქვა: “რა მიცნას ყიზილბაშმა, ბრძოლად ახლოს ვინ მამიდგა”.

უებრო მეომარი და დიდი სარდალი გიორგი სააკაძე გამჭრიახი პოლიტიკოსი იყო. შაჰ-აბასის წინააღმდეგ თანამზრახველთა შერჩევის მიზნით იგი მეტად ფრთხილად და გონივრულად იქცეოდა. იმისათვის, რომ მიემხრო ზურაბ ერისთავი, უფრო მეტი ზეგავლენა მოეხდინა მასზე და დიდი საქვეყნო საქმისთვის დაეთმობანებინა შაჰთან მძევლად დატოვებული ცოლი, გიორგი სააკაძემ გადაწყვიტა თავისი გულისნადები ზურაბისთვის მხოლოდ საქართველოში შემოსვლის შემდეგ გაემხილა. გიორგი ფიქრობდა: მას შემდეგ, რაც ზურაბს დაანახვებდა მტერთაგან აოხრებულ ქვეყანას, გაჟღეტილსა და აწიოკებულ მოსახლეობას, უფრო გაარისხებდა მას მტრებზე, უფრო ეფექტური იქნებოდა შეთქმულების განდობა, გაპარტახებული ქვეყნის უშუალო ხილვით გამწარებული ზურაბი უფრო ადვილად დათმობდა ცოლს. მეორე არგუმენტსაც იშველიებს გიორგი: შენ ცოლი და მე შვილი უნდა დავთმოთ, შევწიროთ ქვეყნის ხსნისთვისო:

იქ მიგიყვან, საქართველოს წახდენაზედ ცრემლს დავადენ,
მე შვილს დავსთმოთ ქვეყნისათვის, ამან ეს ყოს, იყოს აზდენ.

გიორგი ევედრება ზურაბს:

საქართველოსთვის დაცასთმე, დამხსენ ღამესა ბნელასა.

საკაძის ლოგიკა, არგუმენტთა სიძლიერე და ქვეყნის ხსნისთვის ოცნება ზურაბს ავიწყებინებს პირადულ გრძნობებს:

ზურაბ უთხრა: “შენ შვილს დასთმოთ, მეც მოვითმენ ქართლისათვინ”.

აღნიშნული ეპიზოდი არჩილს დიდი დრამატიზმით აქვს გადმოცემული. გ. სააკაძის პიროვნებაში მკითხველი გრძნობს დიდ შინაგან ჭიდილს მამაშვილურ გრძნობასა და ქვეყნისადმი მოვალეობას შორის. სააკაძის მიერ გადადგმული ნაბიჯი, ქვეყნის სამსხვერპლოზე პირმშოს მიყვანა, არჩილს ადამიანის უდიდეს და

უკეთილშობილეს ქცევად მიაჩნია. გიორგი სააკაძის გმირულ მოქმედებას არჩილი ხაზს უსვამს იმიტომ, რომ იგი თანამედროვეთათვის მისაბამ მაგალითად გახადოს:

ესე საქმე მოურავმა უცხო ქნა და საკვირვალი,
ვით შემართა ამ საქმესა, არის თუცა გულად რვალ.
ეს ყველასგან უძნელეა, სხვა სახელიც ქნა მრავალ,
უსაცილოდ მართალია, არ ტყუილი, არ საკრძალი.

სახელისთვის მათ ცოლ-შვილი ორთავ დასთმეს, ეს იცოდეთ.
ვინ არ მიჰყვეთ მათ საქმესა, არ იცით, რომ დიდად სცოდეთ?
რჯულისა და ქვეყნისათვის რა იქნების, რასაც ჰყოფდეთ.
აწც ეს ქენით, ქართველებო, ანდერძსავით შვილს ეტყოდეთ.

საგულისზნობა, რომ არჩილი ჩერდება არა მარტო ცნობილ ისტორიულ პირთა საგმირო საქმეებზე, იგი დიდი გულისხმიერებითა და სიყვარულით აგვიწერს რიგითი მებრძოლების გულადობას, მათ ბრძოლისუნარიანობასა და სულიერ მხნეობას:

ჯარის სიმრავლე რა გითხრა დიდებულთა თუ მცირეთა,
ახალ-ვაჟკაცთ სიმრავლე ვარსკვლავთა გვანდა ციერთა.

არჩილი შეხარის ყმაწვილ-კაცთა, ახალგაზრდა მებრძოლთა სილაღესა და საომარ შემართებას. ასეთ რჩეულ ვაჟკაცთაგან შემდგარი ლაშქრის წინაშე უძლური ხდებოდა მრავალრიცხოვანი მტრის ჯარი:

გაგვემარჯვა უზიანოდ, შევანანეთ წინ დახდომა,
წავიქციეთ, წინ მეოტნი, შევაქენით კლდეთა ხლდომა,
თუ კაცი მხნედ დაუხვდებათ, აგრე იცის მათმან ტომა.

მზრუნველი მხედართმთავრის მიზანია არა მარტო გამარჯვება, არამედ ბრძოლის ველიდან ნაკლები დანაკარგით გასვლა, ამიტომაც ხაზგასმული - “გაგვემარჯვა უზიანოდ”. თეიმურაზის დადებით თვისებად არჩილი მიიჩნევს აგრეთვე თანამემამულეებზე, თანამებრძოლებზე ზრუნვას, ამიტომაც, რომ ერთ-ერთი მებრძოლების შემდეგ თეიმურაზს ათქმევინებს:

ვერც ყმა დამაკლეს და ოდენ ვერცავინ დამიკოდესა.

ასეთ ჰუმანიურ დამოკიდებულებას მოლაშქრეთა მიმართ არჩილი ქართველ მხედართმთავართა ნიშანდობლივ თვისებად აღიარებს. ქართველი მხედართმთავარნი თუ სახელმწიფო მოღვაწენი ზრუნავდნენ არა მარტო თანამემამულეთა კეთილდღეობაზე, ისინი გულისხმიერებითა და თანაგრძნობით ეპყრობოდნენ უცხოელთაც. ამ მხრივ მრავლისმეტყველია თამარ მეფის დამოკიდებულება, სომხების მიმართ. ანისის აღების შემდეგ თამარმა თავისი ჯარი გააფრთხილა: “არ წახდეს ქალაქი, ამათი თემიანობაო”, თუმცა თვითონ სომხები შეუშინდნენ მტერს და მიატოვეს ბრძოლის ველიო.

თამარი დიდ სულგრძელობას იჩენს და ზრუნავს ანისის მოსახლეობაზე. ასეთი კეთილშობილება კიდევ უფრო ადიდებს ისედაც შარავანდედით მოსილ თამარის სახეს. თეიმურაზის დროინდელი საქართველოს დაკნინებული მდგომარეობის საპირისპიროდ “გაბაასებაში” ასახულია თამარის დროის გამრჯვებებით ძლევამოსილი, ერთიანი, ძლიერი სახელმწიფო. მაშინდელ მხედართმთავართა და სახელმწიფო მოღვაწეთა, პოეტთა და ფილოსოფოსთა ნამოღვაწარი იმდენად დიდი და ძნელად წარმოსადგენია, რომ რუსთველს ფიცის წარმოთქმაც კი სჭირდება, რათა ერწმუნონ ჭეშმარიტებაში. “თუ ტყუილი რამ გიამბო, მაგინე, ავად მახსენე” - ამბობს დიდი პოეტი და აგვიწერს ქართველ ვაჟკაცთა არა ერთსა და ორ ზღაპრულ გამარჯვებას დავით სოსლანისა და მხარგრძელთა მთავარსარდლობით. არჩილს უყვარს ყურადღების საგანგებოდ გამახვილება საქართველოს ისტორიის იმ მონაკვეთებზე, როდესაც ჩვენი ქვეყანა განსაკუთრებულ პოლიტიკურ სიძლიერესა და კულტურულ აყვავებას განიცდიდა, ამიტომ დაწვრილებით ჩერდება ქართველთა ჯარის სახელოვანი ბრძოლების აღწერაზე.

თანამედროვეებში საბრძოლო სულის აღსადგენად პოეტი ხშირად მოგვითხრობს წინაპართა საგმირო ამბებს, აკეთებს შორეულ ისტორიულ ექსკურსს. იგი დიდი პატრიოტული აღმაფრენით იგონებს ვახტანგ მეფის საარაკო გმირობას:

დიდმან ვახტანგ სინდ მეფისა გოლიათნი ამოსწყვიდა,
ციხე ხელში გამოუღო, მეფობისგანც გამოსწყვიდა.

თეიმურაზისა და რუსთველის “გაბაასებაში” წამოჭრილი და გაშუქებული ეროვნული საკითხი ბუნებრივ გაგრძელებას პოულობს არჩილის მეორე ნაწარმოებში “მეფეთა საქებელნი და სამხილებელნი”, რომელიც დაწერილია სახოტბო-პანეგირიკული სტილით. “გაბაასებაში” ასახული ეროვნული გმირის ვახტანგის უშუალო მემკვიდრე დიდ განმათავისუფლებელ ბრძოლაში დავით აღმაშენებელი იყო, ამიტომაც არჩილი განსაკუთრებული სიყვარულითა და პატივისცემით იხსენიებს ამ ღვაწლმოსილ მეფეს. იგი სიამაყით ლაპარაკობს დავითის მიერ მტერთა დაძლევისა და ქვეყნის განმტკიცებაზე.

მამულთა შენთა ყვინ დასამშვიდსა;
(მტერთ) განაძებდი, მკვიდრთ მოიძებდი,
თურქთა, წარმართთა, სპარსთა და მიდსა.

საქართველოს გაძლიერების საქმეში დიდი დამსახურება მიუძღვის აგრეთვე თანამემამულეთა მიერ ბრწყინვალედ წოდებულ გიორგი მეფეს, რომელსაც პათეტიური გზნებით მიმართავს არჩილი:

ეჰა, გიორგი, სიკეთე მორგი
შენს ქვეყანასა მკვიდრ, არ ეულსა.
შენ შენს მებრძოლთა, მყვირვალე ლომთა,
მარადის სძლევდი ბევრ ასეულსა...

განსაკუთრებული აღტყინებით შთაგონებულ სტრიქონებს უძღვნის პოეტი ქართველთა სათაყვანებელ მეფეს - დიდ თამარს. შემდეგ ეპიური ტონით წარმოგვიდგენს თამარის მიმზიდველ ბუნებას, მის სათნოებასა და კდემამოსილებას.

ლექსში გადმოცემულია არჩილის გულწრფელი გრძნობები, გამოძერწილია თამარის მომხიბლავი სახე:

მეფეთა შორის მთიებო, დიდო დიდებავ დედათა,
სულით ხორცამდე ბრწყინვალევ, წარჩინებულო შვებათა,
სიწმინდით, ქვეყნის მფლობლობით ვინა შესხმა თქვას ქებათა,
ფუფუნეულო სამოთხეს, განშორებულო ვნებათა.

დავით აღმაშენებლის, გიორგი ბრწყინვალისა და თამარის მოღვაწეობაზე ყურადღების გამახვილებით, მათ დიად სახეთა გამოკვეთით არჩილი აღრმავებს “გაბაასებაში” აღძრულ ეროვნულ თემატიკას. ამდენად, “მეფეთა საქებელნი” მჭიდრო კავშირშია “გაბაასებასთან”. იდეურ-შინაარსობლივი თვალსაზრისით ეს ორი ნაწარმოება შინაგან კავშირზე დაფუძნებულ ერთ მთლიანობას წარმოადგენს.

ეროვნულ საკითხთან ერთად თეიმურაზისა და რუსთველის “გაბაასებაში” არჩილი დიდ ადგილს უთმობს სოციალურ საკითხს. ქვეყნის გამგებელი და დაკვირვებული პოეტი, უპირველეს ყოვლისა, თავისი კლასის სოციალურ ინტერესებს იცავს, თავისი კლასის პოზიციებიდან წყვეტს სოციალურ საკითხებს. ეს აშკარად შეიმჩნევა ჯერ კიდევ თეიმურაზისა და რუსთველის ურთიერთ მიმართების აღწერით. შედარებით დაბალ სოციალურ საფეხურზე მდგომი რუსთველი, როგორც ვიცით, დიდ მოკრძალებას ამჟღავნებს მეფის მიმართ:

თქვენ ბატონობა შეგშვენის, მე ყმა ვარ შესაფერიო.

არჩილიც სავსებით ამართლებს თეიმურაზისადმი რუსთველის ასეთ მორიდებულ დამოკიდებულებასა, რაც განპირობებულია მათი სოციალური მდგომარეობით. რუსთველი შეგუებულია აზრს, რომ “რაც კარგია მის ქვეყნისა, ვიცი მეფეს მიერთმისა”. მეფესთან დაპირისპირება, შეპაექრება თავისთავად კადნიერებაა და ამიტომ რუსთველი ერთგვარი დანანებით ამბობს:

სხვა მონა ვინ შეეღარა ჭკვიანი თვისთა მეფეთა...

მეფე შეუვალია და მის ქვეშევრდომთ მართებთ უსიტყვო მორჩილება:

სიჩქარესა სჯობს სიწყნარე, უსმენსა გაგონებული.
პატრონის ყმისგან ურჩობას, უკეთეს დამონებული.

ე. ი. არჩილის კონცეფციით, გამორიცხულია ყოველგვარი წინააღმდეგობა-ურჩობა მეფისადმი. სოციალურად დაბალ საფეხურზე მდგომი ვალდებულია მეფის ნების უსიტყვოდ შემსრულებელი იყოს.

არჩილს აწუხებს ფეოდალური სისტემის ერთგვარი რყევა, ფეოდალური საზოგადოების მყარი მდგომარეობის შესუსტება. იგი შენატრის იმ დროს, როდესაც ფეოდალური ინსტიტუტი ძლიერი იყო:

ყმას პატრონზედ გაემარჯოს, არ გვასმია ესე ძველად.

არჩილს აფიქრებს ის გარემოება, რომ გამარჯვებული ყმა დაუნდობელია ბატონის მიმართ; ყმის რისხვა გამოწვეულია მისი უკიდურესად მძიმე

მდგომარეობით ხელსაყრელ შემთხვევაში ყმა მკაცრი შურისმაძიებელია. არჩილის დროს ყოფილა შემთხვევები, როდესაც გაწამებული ყმა ხმას იმაღლებდა უგულო ბატონის წინააღმდეგ და, თუ გამარჯვებას მიაღწევდა, მაშინ ყრუ ხდებოდა ბატონის ხვეწნა-მუდარის მიმართ:

თუ ყმა ბატონს მოერევა, აჯას აღარ გამოართომს.

ბატონზე ყმის გამარჯვება არჩილს დიდ სოციალურ უკუღმართობად მიაჩნია. მისი აზრით, ეს შემთხვევით გამოწვეული გაუგებრობაა და მას მალე მოედება ბოლო. პოეტი საკმაოდ მკაცრი მუქართაც ამბობს:

ბოლო არ გაუთავდების ბატონის სახლში მჯდომელსა.

ყმისგან ურჩობა, აშლილობა იმდენად დიდი ზიანის მიმყენებელია, რომ, პოეტის აზრით, გარეშე მტრისგან მოყენებული ვნებაც კი არ შეედრება მას:

მტერი რას უზამს იმდენსა, რომ ყმა პატრონზე მიიღებს.

არჩილი მოითხოვს ბატონისადმი და განსაკუთრებით მეფისადმი დიდ მორიდებასა და პატივისცემას. მეფეს ადარებს მკურნალს, რომელსაც ძალუძს ყოველგვარი სენისაგან განკურნება, ყოველგვარი მწვავე ჭრილობის მოშუშება. მეფის განმკურნავი ძალა გაცილებით დიდია, ვიდრე თვით მკურნალისა და მოძღვრისა ერთად. თუ მკურნალი მხოლოდ ხორციელ ტკივილს შველის, ხოლო მოძღვარი - სულიერს, მეფის მოქმედების არე უფრო ფართოა. ის ზრუნავს ქვეშევრდომთა როგორც ხორციელი, ისე სულიერი ტკივილებისაგან განკურნებაზე. არჩილს მეფე წარმოდგენილი ჰყავს ერის პატრონად, რომელიც გულისხმიერებით ეპყრობა თავის ქვეშევრდომებს, ზრუნავს და ფიქრობს მათ ბედნიერებაზე:

მეფე ჰხამს მსგავსი მკურნალის ბრძნისა მის ხელოვანისა,
ყოველს სნეულსა სხვადასხვა წამალი მოუშოვნისა,
ზოგს კიდევ წყლული გაუჭრის, იმ სხვას კი მოუწოვნისა.
მოძღვარი ცოდვის მკურნალ არს, აქიმი ხორცთა სენისა,
თუ ერთმან ხორცს არ დააკლოს, სულს ვერათ განუსვენისა;
მეორემ ხორცი განჰკურნა, რომლითა სულსა კბენისა.
ბრძენს მეფეს ორთავ წამლობა ძალუც და კარგაც შვენისა.

ბაგრატოვანთა დინასტიის ღირსეული წარმომადგენელი არჩილი ფეოდალთა კლასის პოზიციებიდან წყვეტს სოციალურ საკითხს, მაგრამ ჰუმანისტი პოეტის კონცეფციაში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი დაბალი სოციალური ფენის, კერძოდ, გლეხთა ინტერესების დაცვას. მართალია, არჩილი გლეხისგან ბატონისადმი მოკრძალებას, მორჩილებას მოითხოვს, მაგრამ ბატონებსაც აფრთხილებს, რომ გლეხობას გულისხმიერებითა და თანაგრძნობით მოეკიდონ. ცხოვრებაში ღრმად ჩახედულ არჩილს საფუძვლიანად აქვს შესწავლილი გლეხთა ყოფა, მათი საქმიანობა, მათი ხასიათი და ბუნება. ის მოხიბლულია გლეხთა თავდაჭერილი, ზრდილი და დარბაისლური ჩვევებით მათი შინაგანი კეთილშობილების მაუწყებელია მათივე

ქცევა. ამიტომ არჩილი განსაკუთრებული სიმპათიითა და კმაყოფილების გრძნობით აღნიშნავს:

გლებნი იყვნენ, მაგრამ იმ დღეს დარბაისლადაც კმარ იყვნენ.

არჩილი შესანიშნავად ხედავდა, რომ იმდროინდელი საქართველოს ძირითადი ძალა და მატერიალური დოვლათის შემქმნელი გლებობა იყო. გლებობაზე იყო დაფუძნებული ქვეყნის კეთილდღეობა, ამიტომ ამბობდა:

თუ ამოწყდეს გლები კაცი, საქართველო დაძაბუნდა.

ეს გამაფრთხილებელი განცხადებაა. ფეოდალური კლასის ეკონომიურ და ფიზიკურ დაკნინებას არჩილი გლებებისადმი უკიდურესად მკაცრ დამოკიდებულებაში ხედავს. გლებობის ამოწყვეტა არჩილს დიდ ეროვნულ უბედურებად მიაჩნია.

თეიმურაზის და რუსთველის “გაბაასებაში” ჩამოაყალიბა არჩილმა თავისი ძირითადი შეხედულებანი სოციალურ პრობლემაზე. ფეოდალური საზოგადოების პოზიციებზე მდგომი, თავისი კლასის ერთგული, მაგრამ პროგრესულად მოაზროვნე პოეტი გამოხატავს გლებებისადმი დიდ თანაგრძნობას, მოითხოვს მათდამი ჰუმანურ დამოკიდებულებას. ჰუმანურ პრინციპებზე დამყარებული ურთიერთობით სურს ხელი შეუწყოს ეროვნულ მთლიანობას, სახელმწიფოებრივ სიმტკიცეს.

არჩილის მიერ “გაბაასებაში” წამოჭრილი სოციალური საკითხი ეროვნული თვალსაზრისითაა გადაწყვეტილი. “გაბაასების” ძირითად იდეურ შინაარსს წარმოადგენს პატრიოტული მოტივი, რომელიც იშლება თეიმურაზისა და რუსთველის კამათის ფონზე. რუსთველისა და თეიმურაზის შეპაექრება არჩილმა გამოიყენა როგორც მხატვრული ხერხი, რათა დაპირისპირების საშუალებით ღრმად განეხილა მწერლობის ზოგადი საკითხები, გაეშუქებია ეროვნული და სოციალური პრობლემები, ამასთანავე მოეცა რუსთველისა და თეიმურაზის ლიტერატურული მემკვიდრეობის შეფასება.

“გაბაასებაში” მკითხველს იტაცებს ქართველთა ყოფითი მხარეების აღწერა, ბუნებისა და ბრძოლის სურათების დახატვა.

დიდი ექსპრესიითაა აღწერილი თეიმურაზის სარდლობით ქართველთა ლაშქრის ბრძოლა სპარსელთა წინააღმდეგ:

პირველ შუბი მოეიქნივე, მერმე მივჰყევ ხმალსა ხელი,
ხმალმოწვდილი გავერივე, ვაქნევინე ომ-სახელი,
კვლაცა ლახტი დავამსხვრიე, ვინ ახლოს მყვა მონახელი,
სრდლ ლაშქარნი გაცაჰკვირდეს, თქვეს: “არისო ესე ხელი”.

მიესივნეს ერთპირობით, ვითა ვეფხი კანჯრის ჯოგსა,
დახოცნეს და ამოსწყვიტნეს, არათ გვანდეს დანაზოგსა;
მოლებსაცა უწყლად ჰხოცდეს, თილისმიან მათსა მოგვსა,
ამის მთქმელი მართალს უბნობს, ნურვინ ჰგონებთ ცუდად ბორგვსა.

განსაკუთრებით მიმზიდველად აქვს არჩილს დახატული ქართული ყოფის სურათები, ქართველთა ტრადიციული ზნე-ჩვეულებები. მთელი თავისი

მომხიბვლელობით აქვს მას წარმოდგენილი ქართველი კაცის სტუმართმოყვარე ხასიათი, მისი გულკეთილი და გულუხვი ბუნება. სპარსეთიდან მომავალ მეფეს თავისი სახლის წინ გზად გადაუდგება ქართველი გლეხი და დიდ გზაგამოვლილს მოკრძალებითა და თავმდაბლობით სთხოვს მის სახლში მოისვენოს:

ჩამოხდებით, არას დავკვლავ, თავსა ვფიცავ შენის მზისას.

თავისი გულწრფელი სურვილი რომ კადნიერებაში არ ჩემოერთვას, გლეხი საკმაოდ ძლიერ არგუმენტს მიმართავს: ღარიბ გლეხთან მეფეს მით უფრო მიესვლება, რომ თვით ქრისტე ღმერთმა თავისი თავმდაბლობით პური კეთროვანის სახლშიც გატეხაო:

მეფე, უწყი, ისერებდა ქრისტე სიმონ კეთროვნისას.

გლეხი სახლთუბუცესს სთხოვს უშუამდგომლოს მეფესთან:

მან შერმაზანს სახლთუბუცესა უთხრა: “შენ ხარ ჩემი ღონე, მოახსენე ერთი სიტყვა, უფრო ნულარ დამაღონე,”

და ხელგაშლილად სთავაზობს:

თავი, სახლი, საქონელი ყველა თქვენს წინ მოვიძღონე.

განაკუთრებით ეფექტურია ქართველი გლეხის გულალალი თქმა:

ერთი ღვინო დამილივეთ.

მეფეც თანხმდება, რადგანაც: “ვსთქვი თუ, რაღა გაეწყობა ასრე გულით მოპატიჟეს”-ო, და განკარგულებას გასცემს:

“მო, ვეწივნეთ მხიარულსა, ნურას უზამთ სიპატიჯეს”.

გახარებული გლეხი გულუხვად უმასპინძლდება სტუმრებს, გაშლის შესანიშნავ სუფრას, წარუდგენს უძვირფასეს განძს - ცხრა მემკვიდრეს (“მოიყვანა ცხრა ყმაწვილი აკვნებითა შიგ ჩაკრული”) და შეავედრებს, რათა გამოიყენოს ქვეყნის სამსახურში:

ვიცი, არას არ შეიძღვნი, ძღვენი გიძღვნა თუცა სრული,
სრულამც თქვენა გენაცვლების დედმამიან თქვენთვის სრული,
შენის ჭირის ჩვენ სანაცვლოდ სული გვქონდეს ამოსული.

ეს ეპიზოდი სტუმარმასპინძლობისა ორგანულადაა ჩართული მთლიან თბრობაში და ნათელ წარმოდგენას იძლევა ჩვენი ყოფის ერთ-ერთ მხარეზე. ასევე მიმზიდველად და ცოცხლად აღწერს არჩილი ბურთაობის, თევზაობისა და ნადირობის სურათებს. საერთოდ, არჩილი კარგად იცნობდა როგორც თავადაზნაურობის, ისე გლეხობის ცხოვრებას. ამით აიხსნება, რომ “გაბაასებაში” არა ერთგზის ვხვდებით ჩვენი ყოფაცხოვრებითი მხარეების ამსახველ სურათებს.

ქართველ გლეხობასთან სიახლოვის შედეგად არჩილი საფუძვლიანად იცნობდა მდიდარ ქართულ ზეპირსიტყვიერებას, განიცდიდა მის გავლენას, ხშირად იყენებდა ხალხურ თქმებსა და ანდაზებს. ქართული ზეპირსიტყვიერების კვალი შეიმჩნევა თეიმურაზისა და რუსთველის „გაბაასებაში“.

რიგ შემთხვევაში არჩილს სიტყვასიტყვით აქვს გამოყენებული ქართული ანდაზები:

“რასა იქ, კარგო გიორგი, რას ვთესავთ, მოვიმკითია”.

ანდა:

“უთქვამს ვისმე, ძველს შარას და ძველს მოყვარეს ნუ დააგდებთ”

ასევე:

“მაგრამ ძველად ნათქვამია, ომი სამზღვარს მესაზღვრესა”.

ხალხური ანდაზა ზოგჯერ მცირედი ცვლილებებითაა წარმოდგენილი, მაგრამ ეს გამოწვეულია ლექსის სტრუქტურით, ანდაზის შინაარსი კი უცვლელად არის დატოვებული:

ნათქვამი არის, ხიდია წინ მიმავალის დანახვა.

“გაბაასებაში” შემონახული ქართული ანდაზები იმ მხრივაცაა მნიშვნელოვანი, რომ ისინი უნდა მივიჩნიოთ ადრე ფიქსირებულ ნიმუშებად.

თეიმურაზისა და რუსთველის “გაბაასება” წარმოადგენს აღორძინების ეპოქის ერთ-ერთ შესანიშნავ ძეგლს, რომელშიც არჩილმა ჩამოაყალიბა მნიშვნელოვანი ლიტერატურული შეხედულებები, ასახა ჩვენი ისტორიული სინამდვილე, აღძრა ეროვნული და სოციალური საკითხები და გამოავლინა მშრომელთა ყოფისა და ზეპირსიტყვიერების ღრმა ცოდნა.

არჩილის მდიდარ და მრავალფეროვან შემოქმედებაში ეროვნულსა და სოციალურ პრობლემებთან ერთად საგანგებო ადგილი უჭირავს დიდაქტიკას, ეთიკის პრობლემებს გარკვეულმა სოციალურ-ეკონომიურმა და პოლიტიკურმა ვითარებამ, სახელმწიფოს დაქსაქსულობამ, აფორიაქებულმა საზოგადოებრივმა მდგომარეობამ ძლიერ იმოქმედა მოსახლეობის მორალზე. უცხო ტომების მომძლავრებას თან მოჰქონდა უცხოური ზნეობრივი თვისებები, შინაურმა აშლილობამ და სოციალურმა ძვრებმა გამოიწვიეს ტრადიციული ჩვევებისა და შეხედულებების ცვალებადობა. ესაა მიზეზი, რომ არჩილის შემოქმედებაში განსაკუთრებით მწვავედ დგას ზნეობის საკითხები. მორალური სიმტკიცის ტრადიციულად ნაანდერძევი მაღალი ზნეობრივი თვისებების დაკარგვა, ანდა მათი შებღალვა პატრიოტ პოეტს ეროვნული დაცემულობის გამოხატულებად მიაჩნია. ამიტომ იგი განსაკუთრებული ბეჯითობით იხილავს ზნეობრივ პრობლემებს. არჩილი გვევლინება დიდი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის მქონე დიდაქტიკოსად. ზნეობრივი პრობლემები მთელი სიღრმით არის დასმული ძირითადად ოთხ ნაწარმოებში: “საქართველოს ზნეობანი”, “ლექსნი ასეულნი”, “ლექსნი ასნი ორმუხლნი”, “ლექსნი ასდაათნი”. ეს ნაწარმოებები, შეიძლება ითქვას,

წარმოადგენენ ერთ მთლიანს. აღნიშნულ პრობლემას ქართული განმანათლებლური სკოლის ფუძემდებელი არა ერთგზის ეხება სხვა ნაწარმოებებშიც, მაგრამ “საქართველოს ზნეობანის”, ისევე როგორც “ლექსნი ასეულნის”, “ლექსნი ასნი ორმუხლნისა” და “ლექსნი ასდაათნის” ძირითად იდეურ შინაარსს დიდაქტიკა წარმოადგენს. დარიგება, შეგონება გამოწვეულია სწორედ იმ გარემოებით, რომ ავტორი ხედავს მის თანამედროვეთა ზნეობრივ დაკნინებას. ამიტომ ზემოთ ჩამოთვლილ ნაწარმოებებში ჩვენ უნდა დავინახოთ, ერთი მხრივ, იმდროინდელი ცხოვრების რეალისტური სურათი და მეორე მხრივ, ავტორის მიზანი ამ სავალალო მდგომარეობიდან თანამედროვეთა ხსნისა. “საქართველოს ზნეობანი” ერთგვარი რეალისტური ნაწარმოებია, რომელშიც ნეგატიურად ასახულია ჩვენი ყოფა.

საგულისხმო ფაქტია, რომ არჩილმა არა მარტო ჩამოაყალიბა “მართლის თქმის” თეორიული პრინციპები, არამედ დარიგებისა თუ ყვედრება-სამდურავის სახით ასახა ჩვენი ყოფის სურათები, გაამახვილა ყურადღება თანამედროვეთა საიჭირობოროტო საკითხებზე და ზნეობრივად გადაგვარებულთა მხილებით წარმოგვიდგინა იმდროინდელი დუხჭირი სინამდვილე. ამდენად, დიდაქტიკური მოტივების შემცველი ნაწარმოებები შეიძლება განხილულ იქნას, როგორც თავისებურად რეალისტური ნაწარმოებები. ამ ნაწარმოებებში არ გვაქვს სინამდვილის ფართო ასახვა, მაგრამ იქ ვხედავთ ცხოვრების სხვადასხვა კონკრეტული მხარის ჩვენებას. პოეტის გულისწყრომას უპირველესად იწვევს თანამედროვეთა უზნეობა. არჩილი ღრმა გულისტკივილით ჩივის თანამედროვეთა ზნედაცემულობის გამო:

ვერ ხედავთ, მარტო ჩვენს ჟამში, რამდენი ავი რამ იქნა.
რა ცრუ-ფიცობა, რა ზაკვა, უნამუსობა, რა ლიქნა.

საზოგადოების მორალური დაცემა იმდენად სახიფათო გამხდარა, რომ არჩილი აღშფოთებით ამბობს:

რანი ვართ კაცნი? ცუნდრუკნი, არა თუ საწყალობელნი,
წუწკნი, მიმდონი სოფლისნი, თვისის სჯულისა მგმობელნი,
მოთნენი, თავთა ვერ მხედნი, მეგობართ მაგინებელნი.
უნდოთა ყოვლთა ბრძენთასა ან ქვე რას გვშობენ მშობელნი.

ეს უკიდურესი განზოგადებაა, მაგრამ არჩილის მკაცრი განაჩენი. გამოწვეულია იმით, რომ თანამემამულეთა ზნეობრივ მანკიერებას ის თვლის ეროვნული სიმტკიცის რყევის მიზეზად. ჭეშმარიტად დიდი მამულიშვილი პოეტი მოქალაქეობრივ მოვალეობად მიიჩნევს, რათა ყოველი მოვლენა, რაც უნდა უსიამოვნო და შემაწუხებელი იყოს, აგვისახოს თავისი ბუნებრივი ფერებით ყოველგვარი შეფერადებისა და თვალის ახვევის გარეშე: “კარგისა ავი არ მითქვამს, არც შინაგანად ჭრელადა”, - ამბობს მშობლიური ქვეყნის მოჭირნახულე პოეტი. ამასთანავე არჩილი მიზნად ისახავს თავისი წვლილი შეიტანოს თანამოქალაქეთა მორალური აღზრდის დიდ საქმეში, სწორად წარმართოს ერის ზნეობრივი ცხოვრება. ამიტომ გაიხადა მან დიდაქტიკა თავისი შემოქმედების იდეური შინაარსის ერთ-ერთ არსებით მომენტად.

ქვეყნის კეთილდღეობის ერთ-ერთ საფუძვლად არჩილი აღიარებს განათლებას. ამიტომ მხურვალედ ქადაგებს სწავლა-განათლების, “მწიგნობრობის” საჭიროებას. საგულისხმოა, რომ განსწავლული პირისგან არჩილი მოითხოვს უცხო “ენისა და

წიგნის” ცოდნას. უცხო ერთა კულტურის გაცნობა და მისი მიღწევების გადმონერგვა მშობლიურ ნიადაგზე მას საშურ საქმედ მიაჩნია, რადგანაც ეს ხელს შეუწყობს ეროვნული კულტურის აღორძინებასო. არჩილი დაბეჯითებით აცხადებს:

ენა და წიგნი რამდენი ვინც იცის, ესეც იმდენად
ჩავაგდოთ თვითო ზნეობად, სხვის ქვეყნის ამბავ მოსმენად.

არჩილის აზრით, ადამიანი მხოლოდ ქართულის ცოდნით ვერ მიიღებს ფართო.და საფუძვლიან განათლებას:

ბევრი სხვაც უნდა იცოდეს, სრულ არ უბნობდეს ქართულად.

უნივერსალური განათლების მოტრფიალე არჩილი სავალდებულოდ მიიჩნევს “გარეშე”, ე. ი. საერო წიგნების კითხვასა და შესწავლას:

გარეშე წიგნის კითხვაზედ ხმა ავად ნუ იხავადა.

დიდი პედაგოგიური ალღოს მქონე პოეტი მეტად მნიშვნელოვანი მეთოდური ხასიათის დარიგებებს იძლევა. შესანიშნავად აყალიბებს იგი სწავლების პრინციპებს:

მსწავლელი მოსწავლეებსა სასწავლოს არ გაუძნელებს,
მცირედ-მცირედის სწავლებით ძნელს საცოდნს გაუადვილებს,
ცოტა რამ კარგად ისწავლოს, გაუშვებს, მალ ასადილებს,
უწინ პატ-პატა სწავლებით ამ დიდრონს დააქადილებს.

არჩილი ყველა განსწავლულსა და მწიგნობარს მოუწოდებს, არ დაიმურონ დრო და ენერგია ახალგაზრდობის აღსაზრდელად:

ვინ მეცნიერ ხართ, გვასწავლეთ და უმეცართა ისწავლეთ,
უდებ-ყოფასა ინანდეთ, რაც წინარ ხანი გარდავლეთ.
თუ ვინ რა კაი იცოდეთ, შვილებრ სხვათაცა ასწავლეთ.

შვილების წესიერად აღზრდას არჩილი მშობელთა მოქალაქეობრივ მოვალეობად თვლის, ეს იმდენად დიდ სახელმწიფოებრივ საქმედ მიაჩნია, რომ მშობლებს ყოველგვარი დანაშაული და ცოდვა შეიძლება ეპატიოს. თუკი მათ წესიერად აღზრდილი, ღირსეული მოქალაქე მისცეს ქვეყანასო:

მისიმც დედ-მამა ცხონდების, რა გინდ რომ იყოს ცოდვილი,
ვინც შვილი კარგი დააგდოს, ზნე-სრული, კარგად გაზდილი.

ადამიანის მოქმედებაში ავტორი უმთავრეს პასუხისმგებლობას აკისრებს აღმზრდელს, რადგანაც აღმზრდელი არის აღსაზრდელის ჩამომყალიბებელი. მისი ჩვევებისა და ქცევის განმსაზღვრელი. ამიტომაც, რომ კონსტანტინეს შემზარავ მოქმედებაში არჩილი ადანაშაულებს არა თვით კონსტანტინეს, არამედ მის აღმზრდელს, მათ განაპირობეს კონსტანტინეს ველური ხასიათიო:

იგიმც დღე დაიწყებულა, როს მამამ მისცა ყაენსა,
იგ მან ეშმაკმან გაზარდა, მით დაამსგავსა კაენსა...

მწარე გამოცდილების შემდეგ სპარსეთში გაგზავნილ ყრმა თეიმურაზს აღმზრდელად გააყოლეს შერმაზანი, რათა მას ეროვნულ ტრადიციებზე გაეწავლა უფლისწული, ჩაენერგა ქვეყნის სიყვარული და სპარსული ენისა და ლიტერატურის სწავლებისას არ მოქცეულიყო უცხოელთა გავლენის ქვეშ:

მე შერმაზან თან გამომყვა ზნეობისა სასწავლებლად:
მწვრთნიდის საღვთო-საკაცობოს, თავი ჰქონდის თავსაელეზად.

არჩილის იდეალია ღრმად განსწავლული პიროვნება, იგი ჰიმნს უძღვნის სიბრძნეს:

სიბრძნეს ვერ სწორავს ვერა რა, არც ისე მოსახმარია,
მისი ნაყოფი ბევრია, ძირი აქვს არ გამხმარია,
სად წახვალთ, თან გამოგყვებათ, საგზლათაც მგონ სახმარია,
სხვა დაგრჩება და ის არა, გვერდთ გახლავს, ცათ კამარია.

სიბრძნით მის ალაგს რაც ჰხამდეს, მის საქმის მომგონებია.

...

სიბრძნე სჯობს, თორემ უთუოდ ზნეობა ყველა კაია.

...

ამად დავშურდი სიბრძნესა, მისი ვარ ესრეთ მკობარი.

სიბრძნეში არჩილი გულისსმობს არა მარტო ბუნებითს ნიჭსა და გონიერებას, არამედ ღრმა და ფართო განათლებას, რომელიც ადამიანმა სისტემური სწავლით უბდა მიიღოს:

სიბრძნე ის უფრო მტკიცეა, ვის ოსტატი ჰყავს, ასწავლის.

...

სიბრძნე არის სამუდამო, სიკვდილამდინ ვერ გააგდებ.

არჩილის მიერ ასე საგანგებოდ ყურადღების გამახვილება სწავლა-აღზრდის საკითხებზე გამოწვეული იყო ეპოქის მოთხოვნილებით. ამის შედეგია, რომ არჩილის მიერ აღძრული პრობლემა შემდეგ აითვისეს და შემოქმედებითად განავითარეს არჩილისავე აღზრდილმა სულხან-საბა ორბელიანმა და, განსაკუთრებით, დ. გურამიშვილმა.

მართებულად შენიშნავს აკად. ს. ჯანაშია: “საერთო განვითარების სისრულისათვის არჩილს მხოლოდ გონების გაწრთვნა საკმარისად არ მიაჩნია: მისი აზრით, საჭიროა აგრეთვე ერთგვარი ესთეტიკური განათლება. ამ უკანასკნელს ეკუთვნის: “სიმღერა და დასდებელი”, “კარგი ხმა და თან უსული” (ე. ი. ლამაზი) მუსიკა, სხვადასხვა ცეკვა”^[7].

არჩილის დიდაქტიკური კონცეფციით, მორალურად ამაღლებული, განსწავლული და გონებრივად მომწიფებული ადამიანი ფიზიკურად სრულყოფილი

უნდა იყოს. ჯანსაღი სხეული ჯანსაღი სულითაა შემკული. ადამიანი ფიზიკურად უნდა გაიწაფოს, დახელოვნდეს ნადირობასა და სპორტულ ვარჯიშში:

დია კარგია სხვებიცა ზნეობა-საქციელები,
მშვილდ-ისარი და ბურთობა, ორივე ცხენ-ფიცხელები,
რადაბრაგანს და გადრზედა მარჯვეთ იხმაროს ხელები,
წავლა-წამოვლა, ცხენს ჯდომა მწვედ ვარგა ნასახელები.

ფიზიკური მომზადება ბრძოლისუნარიანს ხდის ადამიანს, ხოლო მეომრობა და სარდლობა არჩილს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ზნედ მიაჩნია:

სარდლობა, ზავთი სარჯლისა, დღე და ღამ დაუზარობა;
რაზმის გაწყობა კარგვარად, აგრეთვე ნადირობისა.

მეორე ნაწარმოებში “ლექსნი ასდაათნი” რომელიც ფაქტიურად წარმოადგენს “საქართველოს ზნეობანის” გაგრძელებას, დეტალურად ჩამოყალიბებულია ის თვისებები, რომელნიც უნდა ახასიათებდეს მებრძოლს.

არჩილის ზნეთსწავლა ეხება ყველა საქმიანობას და ყოველგვარი სოციალური მდგომარეობის წარმომადგენელს. მწერალს მხედველობაში ჰყავს როგორც გლეხი, ისე თავადი, როგორც ხელოსანი, ისე ვაჭარი, როგორც მხედარი, ისე მღვდელი. “საქართველოს ზნეობანი” ერთგვარი ეთიკური კოდექსია, რომელშიც ჩამოყალიბებულია ქცევის ნორმები და რომლითაც ყოველდღიურ ცხოვრებაში უნდა ხელმძღვანელობდეს ადამიანი. არჩილის ეთიკური შეხედულებები გამომხატველია ფეოდალური არისტოკრატის თვალსაზრისისა. არჩილის ზნეობრივი მოძღვრება, უპირველეს ყრვლისა, ფეოდალური კლასის ინტერესებს ემსახურება.

პროგრესულად მოაზროვნე არჩილი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ადამიანის პიროვნულ ღირსებას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართველ განმანათლებელთა მამამთავრის, არჩილის მსოფლმხედველობაში შეინიშნება ერთგვარი წინააღმდეგობა. ერთი მხრივ, იგი გვევლინება მკაცრ ფეოდალად და იძლევა ფეოდალთა პოზიციებიდან გამომდინარე დარიგებებს, მეორე მხრივ, განმანათლებლური იდეებით აღჭურვილი ჰუმანისტი ერთგვარად უარყოფს სოციალურ შეზღუდულობას და წინ სწევს ადამიანის პიროვნებას, მის პირადულ ღირსებას. არჩილმა ერთმა პირველთაგანმა წამოჭრა პიროვნების თავისუფლების საკითხი და ამ თვალსაზრისის დაცვაში ისეთი გაბედული ნაბიჯი გადადგა და ისე შორს წავიდა, რომ თვით მეფეს დაუპირისპირა მონა. კიდევ მეტი, ამ უკანასკნელს უპირატესობასაც კი ანიჭებს, თუ ის თავისი პირადული თვისებებით აღემატება მეფეს:

სჯობს მონა ბრძენი უგუნურს მეფესა მოხუცებულსა.

არჩილის ეს უაღრესად ჯანსაღი აზრი გაიზიარა და განავითარა მისმა დიდმა მემკვიდრემ სულხან-საბამ. სულხანის აფორისტული თქმა: “მრავალნი მწყემსნი უმჯობეს არიან უგვანოთა მეფეთაო”, როგორც ვხედავთ, სათავეს არჩილთან პოულობს. საგულისხმოა, რომ არჩილის აზრით მეფეს თავისთავად უნდა გააჩნდეს ღირსებები: სიბრძნე, გამჭრიახობა და მოღვაწის თვისებება, თორემ მხოლოდ გვარიშვილობა ვერას არგებს:

მეფეს გვირგვინი ვერ ბრძენ ჰყოფს, ბუნებით თუ არ ჰქონდესა.

ასეთი აზრის განვითარება მაშინდელ დროში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. ის იყო ახალი გაბედული ნაბიჯი სოციალური პრობლემის სფეროში. მაგრამ აღნიშნული დებულებები მაინც შემთხვევით ხასიათს ატარებენ, ისინი უფრო ეთიკური პრინციპებია, გამოთქმული ჰუმანისტი მოაზროვნისგან, და არა არსებული სოციალური სინამდვილის დღის წესრიგში დაყენებული საბრძოლო პრობლემა. არჩილი იმდენად მჭიდროდ და ორგანულად, მთელი არსებით იყო დაკავშირებული თავის კლასთან, რომ მიუხედავად თავისი პროგრესული აზრებისა, შინაგანად მაინც ვერ ეგუებოდა მეფის უფლებებზე “მონის” პრეტენზიებს. უაღრესად უშუალო და გულწრფელია არჩილი, როდესაც ამბობს:

მონისაგან ვით ეგების მეფობისა ნდომა ყოლად?
როს გონებამ ეგ გიზრახოს, სცან, ეშმაკის ხარ ამყოლად,
ეგ არ არის მისაგონად, თუმც ძლივ ღირსხარ ყმურად ყოლად,
ეგებ ეგ კი მოინდომო, გვერდს იახლო კამყოლად.

აქ უკვე მოაზროვნე პოეტი ადგილს უთმობს უფლებამოყვარე ფეოდალს, რომლის აზრითაც მეფობის უნართ დაჯილდოებულთა მხოლოდ ღვთისგან განწესებული პიროვნება და მონისა თუ ყმისგან ოცნება ასეთ საგანგებო მდგომარეობაზე მხოლოდ კადნიერებაა:

ადვილი ტვირთი გგონია მეფობის უღლის დადება,
ვერ ხედავ რაზმთა სიმრავლეს საშიშრად დაექადება,
მერმე წყალობით მიხედავს, მისცემს და არ იქადება,
მეფე სიმართლის მსაჯული ღვთისაგან დაიბადება.

აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტაში არჩილი დიდ შინაგან ჭიდილს განიცდის. მასში იბრძვის სხვადასხვა საწყისი. მის წინაშე მწვავედ დგას პიროვნებისა და გვარიშვილობის პრობლემა. მაგრამ ის პოულობს ერთგვარ შემარიგებლობითს გამოსავალს. თუმცა მისთვის ამოსავალია გვარიშვილობა, დათმობაზეც მიდის, პირადულ ღირსებასაც უწევს ანგარიშს. თუ ადამიანი განსწავლულია, მას ეძლევა შესაძლებლობა დიდგვაროვანთა წარმომადგენლებთან გატოლებისათ, ამბობს არჩილი:

კაცი უნდა ან გვარად და ან სწავლში გაიზარდოს,
თუ სიბრძნეშიგ გაიწვრთნების, უგვარომანც გაივარდოს,
თვარ უგვარო გვარიანსა ცუდათ ვინმე შეუფარდოს.
უგვარო თუ არას იწვრთნის, სიკეთე ვით გაიმარდოს.

ამრიგად, გარკვეული კლასობრივი პოზიციების მტკიცედ დამცველი არჩილისთვის უცხო არ არის ჰუმანისტური თვალსაზრისი სოციალურ საკითხებში; კლასობრივი მდგომარეობა არ ზღუდავს მას განავითაროს პროგრესული აზრები და წამოჭრას პიროვნების თავისუფლების იდეა.

არჩილის დიდაქტიკა ეხება ადამიანის ზნეობის სხვადასხვა მხარეს. მის, იდეალთა გამრჯე, კეთილშობილი და მაღალზნეობიანი პიროვნება. არჩილის მოძღვრებით ადამიანის უცილობელი თვისება უნდა იყოს სიკეთე:

ისა კარგი ზნეობაა, ვინც გულით არვის ბოროტობს.

რუათველის აფორისტული თქმით: “რასაცა გასცემ, შენია, რაც არა, დაკარგულია” - არის შთაგონებული არჩილის შემდეგი შეგონება:

არც იცი, სხვისგან მიღებას მიცემა უკეთესია.

ხოლო სხვა შემთხვევაში პოეტი უფრო გაშლილად ავითარებს ამ აზრს:

არვის მართებს საქონელი სულ თავისთვის კაცს უნდოდეს;
უმურველად უნდა გასცეს, მსგავსიერად ვის მოუნდეს.
მხიარულის გუნებითა გაცემაზედ არ დაჭმუნდეს.
სიმართლისა მოღვაწებით შემოჰქონდეს და გაჰქონდეს.

გულუხვობა, ხელგაშლილობა ადამიანის დამამშვენებელი თვისებებია:

იცით, საუნჯეს უხმარსა სჯობს გაცემული ყოველი.

იქვე უმატებს:

მართებს ბრძენსა გონიერსა, რაც იცოდეს, არ მალევდეს.

ასე რომ, არჩილი ლაპარაკობს არა მარტო ნივთიერი დოვლათის უხვად გაცემაზე, არამედ საკთხს აყენებს უიფრო მაღალი პრინციპული ასპექტით: ადამიანი უნდა ცდილობდეს მორალურ-ინტელექტუალურ სფეროში სხვას დაეხმაროს. თავისი ცოდნა და გამოცდილება სხვასაც გაუზიაროს, სხვისთვისაც ხელმისაწვდომი გახადოს. ადამიანის მამოძრავებელი უნდა იყოს პატიოსნება, სიმართლე:

კიბედ მოიგე სიმართლე ყოვლისა კარკაცობისა.

სხვაზე ზრუნვა და თავდადება ადამიანის საპატიო მოვალეობაა:

კაცი უნდა ვით თავისა, სხვათაც აგრეთვე მოყვარე.

ბოროტება და შური არჩილს საზოგადოების დამღუპველ მოვლენად მიაჩნია, პოეტი სახალხო ტრიბუნის ენერგიითა და გამბედაობით უქადაგებს თანამემამულეებს:

ვერიდნეთ შურსა, ვეკრძალნეთ ცოდვასა მაკვდინებელსა;
პატრონთა ორგულობასა, სიკვდილის შემძინებელსა;
გესლოვანს ენას, უბრალოდ სისხლისა მადინებელსა.
ვამე სხვათ მწვრთნელსა კეთილად, თავისა შემგინებელსა.

დიდი ქართველი დიდაქტიკოსის ნაწარმოებები “საქართველოს ზნეობანი” “ლექსნი ასნი ორმუხლნი” და “ლექსნი ასდაათნი” წარმოადგენენ ერთგვარ ეთიკურ ტრაქტატს, რომლებშიც ჩამოყალიბებულია ზნეობრივი ნორმები და რომელთა დაცვით თითქოს ადამიანი თავს დააღწევს საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალ მანკიერ მხარეს.

ცუდ ზნეობრივ თვისებათაგან თავის დაღწევის, ადამიანის გამაჯანსაღებელ და გამსპეტაკებელ საშუალებად არჩილს მიაჩნია შრომა. შრომაში გართული ადამიანი, ერთი მხრივ, კეთილ საქმეს აკეთებს და, მეორე მხრივ, დაზღვეულია უზნეობისგან, მას აღარ ძალუმს ბოროტება:

განვიდევნოთ გულისწყრომა, ცრუი რისმე ენოვნება,
დავიშრიტნეთ გულისთქმანი, რომელს ძალუც დიდი ვნება;
მოვიძაგოთ ნაყროვნება, ცუდი, უქმი მოსვენება;
ბეჭთ ვიტვირთოთ მუშაკობა, ვით ცხედრისა განსვენება.

გარჯა, შრომისმოყვარეობა ადამიანის გამაკეთილშობილებელი თვისებაა, ამიტომ ამბობს არჩილი, “მუშაობაც კარგი ზნეაო”.

რუსთველის ტრადიციებზე აღზრდილი არჩილი ადამიანის განსაკუთრებულად ამამაღლებელ გრძნობად მიიჩნევს მეგობრობას:

მეგობრის ბრძნის და სარწმუნოს არ იპოება ნაცვალი,
არ შეაწუხებს მოყვასსა, თუმცა არ ქონდეს საცვალი,
ახარებს თვალსა და გულსა, ვით მარგალიტის მარცვალი,
ლხინად შეგიცვლის ჭმუნვასა, გემართოს ვისმე რაც ვალი.

ვასაც ეს ამამაღლებელი გრძნობა არ აქვს, მასში საეჭვოა საერთოდ ადამიანური თვისებების ძიება, ის არა მარტო საზოგადოებისთვის უსარგებლია პიროვნებად რჩება, არამედ, უპირველეს ყოვლისა, საკუთარ თავს ვნებსო:

კაცი მოყვრისა მოშურნე მისგან თავს უფრო ივნებსა.

არჩილი საერთოდ ძალიან ამახვილებს ყურადღებას ადამიანთა ურთიერთობაზე, ის დიდ მნიშვნელობას აბიჭებს საზოგადოების წევრთა ჯანსაღ ურთიერთმიმართებას, ურთიერთგამტანობასა და თავდადებას, რადგანაც ის მიაჩნია ერის კეთილდღეობის საფუძვლად. თავდაბლობა და მოკრძალება ადამიანის დიდი ღირსებაა:

ოქროსა ცეცხლი გამოსცდის, კაცსა სიმდაბლის ალია.

ადამიანი უნდა იყოს პრინციპული და მიუკერძოებელი, მას უნდა ეყოს მოქალაქეობრივი სინიდისი და გამბედაობა, რათა აღიაროს საკუთარი ნაკლი და მაშინ დაძლევს კიდეც მას. მხოლოდ ვიწრო ბუნების, სულმოკლე ადამიანის თვითება სხვისი ნაკლოვანების გაზვიადება და საკუთარის მიჩქმალვა. ამიტომ დიდაქტიკური ტონით მიმართავს ის თანამემამულეებს:

შენს ვერ ხედავ, სხვისასა ადვილად დაინახავ;

ჭკვიანი კაცი არ უნდა დაუკავშირდეს ცბიერს, თუნდაც კერძო შემთხვევაში რაიმე სარგებლობაც მოუტანოს, რადგანაც ცბიერი და ყალბი ადამიანი არაფრით არ იმსახურებს პატივისცემას. ვერაგისადმი საზოგადოებრივი ზიზღი იქცევა მისი აღზრდის, გარდაქმნის ერთადერთ საშუალებად.

არჩილმა შესანიშნავად იცოდა, რომ საზოგადოებრივ ცხოვრებას დიდ ზიანს აყენებს სიხარბე და ავი ენა, იგი დამარწმუნებლად აცხადებს:

ვინ ენას სძლევს და მუცელსა, დიდი ნიჭი აქვს მადლისა,
ვინ ბოროტსა სძლევს, ხელთა აქვს სრულყოფა მას საწადლისა.

ასეთი ზოგადი შეგონების შემდეგ იძლევა კონკრეტული ხასიათის დარიგებას:

მუშაკი დღეის საქმისა ხვალისა მდები სცდებისა,
მის-მის დღის საქმე მის დღეს სჯობს, რადგან სოფელი სცდებისა.

არჩილის ზნეთსწავლება პასუხს იძლევა ცხოვრების ცალკეულ, პრაქტიკულ საკითხებზე. იოანე ბოლნელის მსგავსად, არჩილი კიცხავს “მემთვრალეობას”:

ღვინო საშვებლად გულისა კაცთათვის ბრძნად დადებულა,
არა წარმღვნელად გონების და შფოთად დაბადებულა;
სვით ზომიერად, სალხინოდ, ვინ თქვენთვის გარდადებულა.
კარგა გასინჯეთ, ნუ ბძანებთ: რას მისდებ, ან მოდებულა.

კიდევ უფრო მეტი სიმკაცრით იბრძვის იმ დროს მეტად ფეხმოკიდებული ავი სენის - მექრთამეობის წინააღმდეგ:

კაცს უნდა სძულდეს საფასე სხვის ქრთამად შემოდლეულნი.

თვით სასულიერო წოდების წარმომადგენლები, რომელთაც აქვთ პრეტენზია ერის მოძღვრად ყოფნისა, თავს არ იკავებდნენ მექრთამეობისგან, რის გამოც არჩილი მათ აფრთხილებს:

ნურავინ ქრთამით დაიპყრობს, ნურც დიდ-გვარობით საყდარსა.

ასევე დიდ ნაკლად მიაჩნია არჩილს თავდაუქერელი, დაუფიქრებელი ლაპარაკი. ავსიტყვაობა ბევრი უსიამოვნების გამომწვევია:

ავის სიტყვის აღმოშვებად ენას შენსა ;ბილნი დაადგ;
გიჯობს, იწვრთნა, დაადუმო, გარედამეც ბაგე მიადგ.

არჩილის დიდაქტიკური პოეზია გამიზნულია სხვადასხვა სოციალური მდგომარეობის, სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენელთათვის. ის ერთნაირი გამბედაობით ტუქსავს ყმისა და ბატონის უზნეობას, ერთნაირი გულისხმიერებითა და მონდომებით არიგებს მუშასა და მხედარს, მღვდელსა და ვაჭარს, მაგრამ მისთვის

მთავარი, ერის კეთილდღეობის საფუძველთა-საფუძველი მაინც მოზარდი თაობის აღზრდის საქმის მოწესრიგებაა. ამიტომ ის ხშირად უბრუნდება აღზრდის პრობლემას. ცუდად აღზრდილი, ქვეყნისთვის გამოუსადეგარი შვილი დიდი საზოგადოებრივი უბედურებაა, ასეთის ყოლას სულ უყოლობა სჯობიაო.

უშვილოთა სჯობს სიკვდილი უკეთურთ შვილთა ყოლასა,
სჯობს მარტოდ ყოფა კაცისა ბოროტთა თან აყოლასა.

სამაგიეროდ არა მარტო მშობელთა, არამედ ერის ბედნიერებაა კარგად აღზრდილი შვილი, ის იმედია დაუძღვრებული მშობლისა:

შვილისა სიკეთისაგან იხარებს მამა ძლეული.

ასე ზოგად, ფართო საზოგადოებრივ მნიშვნელობის მქონე მორალურ სენტენციებთან, - დარიგებებთან ერთად, არჩილი აყალიბებს ყოველდღიური ქცევის სახელმძღვანელო, საკუთრივ ზრდილობის წესებს. ასე, მაგალითად: მარჯვნივ მჯდომ (სუფრაზე) ამხანაგს მონაცემი მარცხენა ხელით უნდა ჩამოართვა, და პირიქით (191 - 192); განმარტოებულად მოსაუბრეებთან მიუწვევლად მისვლა არ შეიძლება; მათ კი მართებთ გაირონ საუბარში, ვინც შემოესწროთ (217 - 220); არ შეიძლება ჯდომის დროს ფეხის ფეხზე გადადება, ზურგის კედელზე მიყუდება; უზრდელობაა ადგომის დროს ხელის დაბჯენა ან ლაპარაკი, როცა პირში რაიმე გიძევს; ყოვლად დაუშვებელია “ცხვირის გამოკრუნა” და “კბილის საჩრჩელის” ხმარება, “ავად გადუჟვა” (გაფურთხება) და “ცხვირის მოხოცვა”; სიარული სიფრთხილით უნდა, რომ “წინ მავალს უკან არ მიჰყვე, ტალახი არ მოსცხო”; ზრდილ კაცს უნდა შეეძლოს აგრეთვე “ტანსა და ფეხსა გაწყობა”.

არჩილი ასე დეტალურად იმიტომ ჩერდება ადამიანის ქცევის ნორმებზე, რომ თანამედროვენი ჩივიანო:

ბევრი კაცი იმიზეზებს, არა მყონდა მომვლელიო.

ხოლო საზოგადოებისთვის, განსაკუთრებით ახალგაზრდებისთვის დარიგება, ზნეთა სწავლება აუცილებელია, თორემ “უთუოდ მთხრებლში შთავარდეს, ვინ უაღვიროდ რბოდისა”. თანამემამულეთა ზნეობის მართებული გზით წარმართვა არჩილს დიდ მოქალქეობრივ მოვალეობად მიაჩნია. ამასთანავე, იგი იმდენად ფხიზელი და პრინციპულია თანამედროვეთა მანკიერი მხარეების შემჩნევასა და გამოაშკარავებაში, რომ უყურადღებოდ არ ტოვებს არც ერთს, თითქოსდა უმნიშვნელო დეტალსაც კი. თავისთ დიდაქტიკური პრინციპების ჩამოყალიბებისას თითქოს უხერხულობასაც კი გრძნობს ამდენი ნაკლის აღნიშვნის გამო და მობოდიშებით ამბობს:

თავსა ჩემსა ვწვრთნი უფრორე, ბოროტად ვხედავ გან ერსა.

ამ მორიდებული განცხადებით ყოველი ნაკლი, რომლის შესახებაც მის პოეზიაშია ლაპარაკი, არჩილს თავის პირად ნაკლად აქვს წარმოდგენილი და არა ქვეყნისა.

“ზნეობათა” შორის, როგორც მართებულად შენიშნულია, არჩილს ყველაზე მნიშვნელოვან და ძნელ დარგად “საღმრთო ზნეობა” მიაჩნია, და ამიტომ საჭირო იყო მას ჯერ უფრო ადვილად შესათვისებელი მასალა გადმოეცა თავისი მკითხველისათვის, რომ უფრო რთულისა და “ძნელსაცოდნის” გაგება გაეადვილებინა მისთვის”^[8].

თავსაც სამღვთო სჯობს, ბოლოსაც, კაცთა ზნე-საქმე რაც არი.

ყოველგვარი სიკეთის საფუძველთა საფუძველი არის ღრმად მორწმუნეობა:

საფუძვლად ღვთის შიშს დაუდებს, ზედ სიყვარულსა აუგებს.

მორწმუნე პოეტის აზრით, მხოლოდ ღვთის შიში და სიყვარული განაპირობებს ადამიანის ბედნიერებას:

ვინ ძრწის სამღვთოსა შიშითა, ვერა რა შეშინებსა,
უშიში ღვთისა თვისისა, ჩრდილისგან შეიშინებსა.
კაცს უყვარს ღვთისმოყვარესა ყოველი კაცი სრულებით,
ძმის მოძულარსა ღმერთი სძულს სიბოროტისა კრულებით.

ასეთ ზოგად შეგონებებთან ერთად, რომელშიც ხაზგასმულია “საღმრთო ზნეობის” უპირატესობა, არჩილის შემოქმედებაში ხშირად ვხვდებით ბიბლიური წიგნებიდან ამოღებულ სენტენციებს. მისი სასულიერო პოეზია გამოხატავს მორწმუნე ადამიანის რელიგიურ გრძნობებს, იმქვეყნიური ცხოვრებისადმი ტრფიალს. ამქვეყნიური უსამართლობითა და ბოროტებით გულნატკენი პოეტი საიქიოში ეძებს სულიერ შვებასა და სამუდამო ნეტარებას. ამდენად მის ზოგიერთ ლექსს გადაკრავს მისტიკური ელფერი. არჩილი ხშირად იყენებს ბიბლიურ სიუჟეტებსა და სახეებს^[9].

არჩილმა განსაკუთრებული სიმახვილითა და სიღრმით დააყენა ადამიანის ცხოვრებასთან, სინამდვილესთან დამოკიდებულების პრობლემა. მთელი სისრულით ეს საკითხი წამოჭრილია განსაკუთრებით პოემაში “გაბაასება კაცისა და სოფლისა”, რომელშიც მსჯელობის საგანი თვით სინამდვილე, ცხოვრებისეული წინააღმდეგობებია. არჩილმა ყოველი მოვლენა განიხილა ურთიერთსაწინააღმდეგო კუთხით, საპირისპირო პოზიციებიდან.

მთავარი ბრალდება, რომელსაც ადამიანი სოფელს უყენებს, არის უსამართლობა, უკუღმართობა. ადამიანთა კეთილმდგომარეობა წარმავალია, ნივთიერი დოვლათი საზოგადოებრს წევრთა შორის სამართლიანად არ ნაწილდება:

ზოგს ამდენს მისცემ, სოფელო, რიცხვსა არ შეაგნებინებ,
ზოგი სიყმილით მომყმარი გყავს, ნაცუნცლს მოაძებნინებ;
მრავალთა სახლს არ აღირსებ, ერთს ცამდის ააგებინებ,
ძველს თავადს ღაღანიძესა ქვეშ ჭილობს დააგებინებ.

მით უფრო გულსატკენია ის, რომ ბევრი სრულიად დაუმსახურებლად, მზამზარეულად, ყოველგვარი შრომის გარეშე აღწევს ნივთიერ უზრუნველყოფას, ფუფუნებაში იმყოფება ისე, რომ არც იცის და არც კითხულობს, თუ რა განაპირობებს ამ ფუფუნებას:

ზოგთ მიეცა დიდებანი ასეთს, რომ ვერ შეიტყვიან,
არ იმადლის, არვის მისცემს, ვინუბოძა, არ იტყვიან;
თვისი დადვეს მოუხმარად, სხვათაც იმათ გაუყვიან,
ვაიმე თუ ვით მე ვიყო, თქვიანო და არა ჰყვიან.

მეორე ბანაკს წარმოადგენენ ღარიბები, ისინი დღენიადაგ ჯაფასა და გაჭირვებაში არიან:

ვინ ღარიბობს, არ იღირსებ მოსვენებით თავს დებასა.

არჩილი ამხილებს ადამიანის სიხარბეს, გაუმაძღრობას, მაგრამ ადამიანის ამ თვისებაში ადანაშაულებს თვით სოფელს, რადგანაც ეს უკანასკნელი აყალიბებს ადამიანის ბუნებას, მის ხასიათს:

თუ მდიდარ მყოფ, კიდეც უფროს დიდებასა მომანდომებ,
რომ შემომყრი დიდს ლაშქარსა თავსა დიად მომაწონებ,
მერმე ერთ სხვას წამომჭიდებ, მომრევს, იმას დამამონებ,
გგონია, რომ შენს სიმუხთლეს ვერ ვხედვიდეთ, ამას ჰგონებ.

ასე რომ, ადამიანის კეთილდღეობა, ბედნიერება დროებითია, წარმავალი და სოფელზე დანდობა თავის მოტყუებაა. სინამდვილის ასეთი აღქმა ასაზრდოებს არჩილის პესიმისტურ განწყობილებას. პოეტი სასოწარკვეთამდე მიჰყავს სოფლის სიმუხთლეს, წარმავლობას:

ვხედავთა, ჟამნი ყოველნი დღითი-დღე იცვალეზიან,
ვინ იშვებს, ვინმე იხარებს, მეფენიც გარდიცვლებიან,
ამ საწუთოსა დღისაგან სხვის დღისად მიიცვლებიან,
სრულ ყოვლთა წელთა სიმრავლე ერთ დიდ დღედ შეიცვლებიან.

არჩილის გაგებით ყოველივე წარმავალია, სინამდვილის მკაცრი და საოცარი ლოგიკა ამსხვრევს ადამიანის აღმაფრენას, თვით ყოვლისშემძლე მეფენიც არარაობად იქცევიან ცხოვრების სასტიკ დინებაში. ღრმად მორწმუნე პოეტის თვალსაზრისით ამქვეყნიური ბედნიერება მოჩვენებითი და არარეალურია. ჭეშმარიტი და მუდმივი ბედნიერება საიქიოსაა. ადამიანისთვის ღმერთმა შექმნა სამოთხე და იქ ჰპოვებს ის რეალურად შვებას, ამისთვის კი საჭიროა, რომ ადამიანმა იხელმძღვანელოს რელიგიური პრინციპებით, მაშინ სამოთხის კარი მისთვის ღია იქნება:

სამოთხე დასხა ედემსა კაცთა ენითა უთქმელი,
ეგზომ ტურფა და სამდომი, ვერცალა მე ვარ სრულ მქნელი,
მუნ გაფუფუნა შვებითა, არ იყო ურვით სულთქმელი;
თუ მორჩილ იყო იმისი, ვინ იყო შენი დამნთქმელი.

არჩილი უკიდურესობამდე როდი ავითარებს რელიგიურ პრინციპებს, ასკეტობამდე როდი მიდის. ის რეალისტურად უყურებს სინამდვილეს. მას ესმის ადამიანის ჯანსაღი, ბუნებრივი მოთხოვნილებები და რელიგიურად გამოკვეთს ამ

მოთხოვნები. მართალია, შუა საუკუნის მოქალაქის ცნობიერებაში რელიგიას გარკვეული ადგილი უჭირავს, მაგრამ ეს როდი თრგუნავს მასში ცხოვრებისეულ გრძნობებს. არჩილს კარგად აქვს გამოვლენილი მის თანამედროვეთა გულწრფელი სურვილი: მოიპოვონ სასუფეველი არა ცხოვრებისგან ხელის აღების ხარჯზე, არამედ სარწმუნოებრივი პრინციპების ამქვეყნიურ ბედნიერებასთან შეფარდებით.

მინდა ყოველი სიკეთით, ყოფა სიმდიდრით, სოფელო,
სახელით განვლა შენ მიერ, ცრუ ხანის წამ საყოფელო,
ზეცის ქალაქსა მკვიდრ ყოფა, მის წილად არ სამყოფელო,
არამედ შენვე მაცდუნებ, ტკბილადრე შემომყეფელო.

რეალურ სამყაროში “სიკეთით და სიმდიდრით მყოფს” გარკვეული პრეტენზიები აქვს საიქიოში კეთილმოწყობაზედაც. მიუხედავად ასეთი მიზანსწრაფვისა, მიუხედავად იმისა, რომ ამქვეყნიური ბედნიერება თითქოს პირობითი და წარმავალია, არჩილი სინამდვილესთან დამოკიდებულების საკითხს მაინც ჯანსაღად, ამქვეყნიური თვალსაზრისით წყვეტს. არჩილის მსოფლმხედველობაში პესიმისტური საწყისები ადგილს უთმობს ქმედით პრინციპებს. ადამიანის მოვალეობაა არა პასიური და მოწუწუნე დამოკიდებულება ცხოვრებისადმი, არამედ მოქმედება, მოღვაწეობა:

მოღვაწეობა სჯობს სულისა უდებებითა გდებასა,
რა ძალუც უქმად ყოფასა, კაცობის სულ დადებასა,
უსარგებლოსა ტირილსა, მოთქმასა ან გოდებასა.

კაცობრიობის მამოძრავებლად არჩილს აქტიური იმპულსები მიაჩნია, ადამიანის ერთადერთ დანიშნულებას ის ხედავს შემოქმედებით მოღვაწეობაში. ადამიანი მთელი არსებით უნდა ჩაერთოს ცხოვრების დუდილში და, ხელი შეუწყოს კაცობრიობის წინსვლას. ამ ზოგადკაცობრიული პრობლემის - ადამიანის ცხოვრებასთან დამოკიდებულებისა და დანიშნულების ასე პროგრესულად. მეზრდოლი, ოპტიმისტური გადაწყვეტილებით არჩილი წინამორბედი ბარათაშვილისა.

არჩილი, ისე როგორც შემდეგ ნ. ბარათაშვილი, რეალისტურად წყვეტს სოფელთან დამოკიდებულების საკითხს, ადამიანმა უნდა გამოიჩინოს თაოსნობა, ჩაერიოს ამსოფლიურ საქმიანობაში და სოფლის სიმდიდრე თავის სასარგებლოდ გამოიყენოს:

რადგან ჩვენია სოფელი, მამ, გვიხამს კარგა ხმარება.

ადამიანი სრულიად გულწრფელად აღიარებს თავის ჯანსაღ, ბუნებრივ მოთხოვნებს სოფლისადმი:

სოფელო, კიდეც გიზრახავ, არც გაგვეძლება უშენოთ,
არას ვარგვივართ შენ არ გვეყვე, ვით სახლის ხე-ტყე უშენოთ.

ამავე აზრს ავითარებს არჩილი ნაწარმოებში “ლექსნი ასდაათნი”.

სოფელს ვაგინებ, მაგრამე მიყვარს და ვერ ვეხსნებია.

არჩილი დამაჯერებლად გამოხატავს ადამიანის სოფლისადმი, სიცოცხლისადმი ტრფიალს. ადამიანი არ იზიარებს სოფლის რჩევას, რომ მას არაფერი არ დარჩება, რომ თვით მისი სიცოცხლეც ამქვეყნად მხოლოდ დროებითია; კიცხავს სოფელს განყენებული მორალის ქადაგებისთვის:

საწუთროვ, დაგიჟინია: “ცრუ ვარ და არ შეგრჩებო;
შენ გაქვსო, ეისცა არ ჰქონდეს, მიეც, ნუ ეურჩებო”.

ამის საწინააღმდეგოდ აყალიბებს თავის უაღრესად პრაქტიკულ ამოცანებს:

რაც მიშოვნია, სხვას მივცე, უმისოდ რით დავრჩებო.
რაცა მაქვს ერთპირ გავფანტო, სალარო ჩემი ქონება,
მე ვინლა მომცემს, პატრონო, ამას გაავლე გონება?

აქ უკვე გამოვლენილია ადამიანის ვიწრო ბუნება, ეგოისტური მიზანსწრაფვა. არჩილი აღწერს ადამიანის შეზღუდვას ყოფითი ინტერესებით:

რა ვქნა, სოფელო, შვილები მყავს, მიყვარს, მებრალეებისა,
მინდა დაუგდო მრავალი სალარო-საუნჯებისა,
მე ძლივ შევკრიბე, დაობლდენ, ამათ სად ეშოვებისა.
მოვკვდე ეს მინდა, მით მიყონ წესები რამ სულელებისა.

ეს ერთგვარი მობოდიშებაა იმის გამო, რომ ადამიანი მოქმედებაში მეტად შეზღუდულია, მის ქცევას განსაზღვრავს მრავალი ფაქტორი, ის თითქოს იძულებულია ერთგვარი ხარკი გაიღოს ოჯახის, შვილების წინაშე, რის გამოც უხდება საჭირო პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა. სოფელიც შემარიგებლურ პოზიციაზე დგება, არც ის მოითხოვს ხელის აღებას ამქვეყნიური ბედნიერებისგან:

ნუ გეშინიათ, არ გიშლით, სოფელი ნურვის გინდაო.

ეს სტრიქონი საყურადღებოა იმ მხრივაც, რომ არჩილის აზრით, ქრისტიანობა როდი უგულვებელყოფს ადამიანის ამქვეყნიურ ინტერესებს, როდი მოითხოვს ცხოვრებისგან განდგომას და სასიცოცხლო მოთხოვნილებებისგან ხელის აღებას.

ამრიგად, კაცის და სოფლის “გაბაასებაში” არჩილმა დასვა ადამიანის ცხოვრებასთან დამოკიდებულებისა და დანიშნულების საკითხი, განავითარა ოპტიმისტური იდეა. თუმცა არჩილისეულ კონცეფციას სარწმუნოებრივი ელფერი გადაკრავს, მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ არჩილი ცხოვრების, სინამდვილისეული მოვლენების ანალიზისას ავითარებს ჯანსაღ, მოწინავე თვალსაზრისს. ადამიანის მოწოდებას ხედავს სოფელთან უშუალო კავშირში ყოფნასა და შემოქმედებითს საქმიანობაში.

არჩილის მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობიდან შედარებით მკრთალად გამოიყოფება სატრფიალო ლირიკა. არჩილის “სამიჯნურონი” უფრო გონების ძალით ნაკარნახევი წიგნური ზეგავლენით შექმნილი თხზულებაა. არჩილისეული მიჯნურის სახეც უფრო ზოგადი და განყენებულია, ლექსიკაც ნაწილობრივ რუსთველური და ნაწილობრივ თეიმურაზისეულია.

სპარსული მწერლობის წინააღმდეგ მებრძოლ არჩილს თვითონაც გარკვეული ხარკი გაუღია ამავე მწერლობის წინაშე. გაუღექსავს “ვისრამიანი”. “არჩილი ტექსტს სიტყვასიტყვით არ ლექსავს. ზოგ შემთხვევაში ტექსტს ჰკვეცს, ზოგ შემთხვევაში კი ახალი დეტალებითაც ავრცელებს, ცალკეული ადგილების თავისებურ ინტერპრეტაციას იძლევა. ზოგ შემთხვევაში ებრძვის და ეკამათება ძეგლის იდეურ მხარეს. ერთი სიტყვით, გამლექსავი თავისუფლად და თავისებურად ამუშავებს მასალას, ოღონდ საერთოდ არ შორდება დედნის შინაარსულ მონაცემებს, არ არღვევს სიუჟეტურ წყობას და თანმიმდევრულად მიჰყვება ამბის განვითარებას”^[10].

რამდენადაც მნიშვნელოვანია არჩილის შემოქმედება ღრმა აზროვნებით, ცხოვრების რთულ, მრავალფეროვან და საჭირობოროტო საკითხების გარკვევით, მრავალი აქტუალური პრობლემის წამოჭრითა და პროგრესულად გადაწყვეტით, მოწინავე შეხედულებებისა და თვალსაზრისის ჩამოყალიბებით, იმდენად შედარებით მკრთალია მისი ნაწერების მხატვრული მხარე. თუმცა ავტორი ბეჯითად აცხადებს: “სიტყვა ნაგრები არ მითქვამსო”, მის სტრიქონებს მაინც აკლია სიმსუბუქე და პოეტური სინარნარე, სისადავე, მომხიბლაობა და ჟღერადობა. მიუხედავად ამისა, აქა-იქ მის ლექსებში ვხვდებით ორიგინალური სახეების გაელვებას. გარკვეულ შთაბეჭდილებას ახდენს არჩილის მიერ ოსტატურად გამოყენებული განმეორებები:

ავის მქნელო, ავის მთქმელო, შენ უღირსო სულთქმისაო.

ასევე სოფლისადმი მიმართვა:

შენვე გვყვედრი, შენვე გვკიცხავ, შენვე გვმძლავრობ ვით ეგება.
ხე ხილისგან, ხილი ხისგან - ნათქვამია - იცნობება.

თუ პირველ სტროფში სამჯერ მეორდება ერთი და იგივე სიტყვა, მეორე სტროფში ბგერათა ოთხგზის გამეორებით მიღებულია ალიტერაცია. ალიტერაციითა და ასონანსებით შესამჩნევია არჩილის “მეფეთა საქებარნი და სამხილებელნი”:

ვისი ვის ვისდა, რასა საქმისდა
ვიყავ და აწე სად მივიბარე.

რიგ შემთხვევაში არჩილი ალიტერაციისა და ასონანსის მთელ რიგს ქმნის:

ავ არაკი, აგარაკი, ვერ მოიგო სრასა სწორად,
იგ ავია, იგავია, ვერვინა თქვას, უთქვამსო რად.

ალიტერაციისა და ნაწილობრივ რითმის გულისთვის არჩილი ბარბარიზმსაც მიმართავს:

თვით პეტრე ცარი, ვნახე რაც არი.

პოეზიაში იშვიათია საალიტერაციო ბგერად ჟ-ს გამოყენება, ხოლო არჩილი ამ მხრივ ქმნის სასიამოვნოდ მჟღერ ტაეპს:

რად ვართ მიმდონი ჟამისა, ჟამიერს ჟამნივ დახსნიან.

ალიტერაციებს განსაკუთრებულად ხშირად მიმართავს ანბანთქებაში, მაგრამ იქ ისინი თვითმიზნური და ხელოვნურია.

სიტყვათა წარმოების თვალსაზრისით არჩილი არაიშვიათად იყენებს რუსთველურ ფორმებს:

ვინ ძმა იძმო, ან და იდო...

სიცრუვე შერთო, იძმო და იდო...

ორიგინალური სახეები აქვს არჩილს რუსთველისთვის ნიშანდობლივი ხერხის, ენთიადისის გამოყენებით. კერძოდ, ერთსა და იმავე თვისებას, მოვლენას გამოხატავს დადებითი და ნეგატიური ცნებებით.

მამილოცვიდეს, მასხმიდეს ქებასა, არ გინებასა.

რუსთველურია ერთი და იმავე ცნების სხვადასხვა სინონიმური სიტყვებით გამოხატვაც:

უფრო არის, ვერ მოთვალოს სამოცხუთმან, ვერც სამასმან.

ბრძოლების აღწერაშიც არჩილი რუსთველის კეთილმოქმედ გავლენას განიცდის. ტარიელისებური შემართებითაა წარმოდგენილი თეიმურაზის მხნეობა:

პირველ შუბი მოვიქნივე, მერმე მივჰყავ ხმალსა ხელი,
ხმალმოწვდილი გავერივე, ვაქნევინე ომ-სახელი,
კვლაცა ლახტი დავამსხვრიე, ვინ ახლოს მყვა მონახელი,
სრულ ლაშქარნი გაცაჰკვირდეს, თქვეს: “არისო ესე ხელი”.

ორიოდე სტრიქონით ახერხებს არჩილი პერსონაჟის მკაფიოდ გამოსახვას. მაგალითად, ლუარსაბ მეფის პორტრეტი თუმცა ზოგადია, მაინც დამარწმუნებელია:

ლუარსაბ მეფეს ადამის ერთი არ სჯობდა ნაყოფი,
თვალად და ტანად უცხო რამ, მართ მზისა გამონაყოფი,
უხვი, ზნე.სრული, მამაცი ლახვრულეზრ მტერთა ნაყოფი.

კონტრასტულ ფერებში, მაგრამ დამაჯერებლად და რელიეფურად აქვს წარმოდგენილი საქართველოს არა ერთგზის ამოხრებელი, აღმოსავლელი დესპოტი - შაჰ-აბასი:

პირცეცხლიანი, უწყალო, ვეშაპი განძვინებული,
მრავალჯერ გამარჯვებული, მტერზედან ალაღებული,
მომსრველი, ამომწყვეტელი, დამწველი ცეცხლ-მოდებული.

ძირითადი ნიშნების ჩამოყალიბებით, არჩილი რამდენიმე სიტყვით ქმნის ისტორიულ პირთა მხატვრულ სახეებსა და მკითხველზე ახდენს ემოციურ

ზემოქმედებას. ღრმა შთაბეჭდილების მომხდენია გაზაფხულის აღწერა, რომელიც მოწმობს პოეტის მიერ ბუნების უშუალო განცდას:

მაისი დადგის - ტურფა თვე, ვარდი აყვავდის ბაღებსა,
ველნი ყვავილით შეიმკის, ჰგვანდის წითლითა ნაღებსა,
ბულბულთა ყეფა ისმოდის, ვერ ვსჭვრეტდით სულდანაღებსა.

მკითხველის წინაშე იშლება თვალწარმტაცი სურათი გალალებული ბუნების სიმშვენიერისა.

ან:

მზე გარდეფარა გორს სამე, ქვეყანა იქმნეს აჩრდილი.

ფასდაუდებელია არჩილს ღვაწლი ქართული კულტურის ისტორიაში. ის არის პირველი დიდი ქართველი განმანათლებელი, რომელიც დაუმრეტელი ენერგიით იღვწოდა ქვეყნის აღორძინებისათვის და ოცნებობდა სამშობლოს დიად მომავალზე. მიუხედავად ჟამთა სიავისა, არჩილი ბევრს ზრუნავდა ქართული კულტურის ცენტრების აღდგენა-გაშენებაზე. მან დააარსა პირველი ქართული სტამბა, შექმნა სამწერლობო კერა მოსკოვში, მის კარზე იყვნენ თავმოყრილი ქართველი სწავლულნი და მწერალნი. არჩილის მოსკოვის კოლონიის საშუალებით ქართველი საზოგადოება დაუკავშირდა რუსეთისა და ევროპის მოწინავე კულტურას. არჩილას განმანათლებლური მოღვაწეობა გამოიხატა როგორც პრაქტიკულ საქმიანობაში, ისე ახალი მოწინავე იდეების განვითარებაში.

არჩილმა პირველმა წამოაყენა გონების, “სიბრძნის” პრიმატის პრობლემა, მასვე ეკუთვნის პიროვნების თავისუფლების იდეის წამოჭრა. არჩილმა ჩამოაყალიბა ჩვენს მწერლობაში რეალისტურობის, “მართლის” თქმის პრინციპები.

არჩილის განმანათლებლურმა იდეებმა გამოხატულება პოვეს როგორც ეთიკის, ისე სოციოლოგიის სფეროში. მისი დიდაქტიკა მიზნად ისახავდა საზოგადოების ზნეობრივად დახვეწას და ამაღლებას. ის იბრძოდა მეცნიერული და ფილოსოფიური ცოდნის გავრცელებისათვის. განმანათლებლურმა იდეებმა განაპირობეს აგრეთვე მისი პროგრესული შეხედულებები სოციალურ საკითხებში.

არჩილი, როგორც განმანათლებელი, იყო ქართული ჰუმანიზმის ტრადიციების აღმდგენი და გამგრძელებელი.

ფრანგი განმანათლებლებისაგან განსხვავებით არჩილი არ ებრძოდა ეკლესიას, პირიქით, მის შემოქმედებაში გარკვეული ადგილი ეჭირა რელიგიურ მოტივებს. მაგრამ ეს თავისებურება განპირობებული იყო ეროვნულ-ისტორიული სინამდვილით. აგრესიულ მაჰმადიანურ სამყაროსთან ბრძოლის გარემოში სარწმუნოებრივი მოტივი ეჯაჭვებოდა ეროვნულს და თურქ-სპარსთა შემოტევის გამო ერში ქრისტიანული მოძღვრების განმტკიცება ეროვნული თვითმყოფობის შენარჩუნების ერთ-ერთი ფორმა იყო. ამით აიხსნება ქართული განმანათლებლობის ფუძემდებლის, არჩილის, მსოფლმხედველობაში ერთგვარი კომპრომისი რელიგიასთან.

არჩილი მნიშვნელოვანი ფიგურაა ქართული მწერლობის ისტორიაში. მან გაბედულად დაიწყო ლიტერატურული ტრადიციების გადაფასება: ჩამოაყალიბა საინტერესო და პროგრესული შეხედულებები მწერლობის არსზე, მის სპეციფიკასა და მიზანდასახულობაზე, აღძრა მრავალი რთული და საჭირობო საკითხი.

დაგვიხატა საქართველოს ისტორიული წარსული და თანამედროვე ცხოვრება. დამარწმუნებლად აღწერა როგორც რთული ისტორიული მოვლენები, ისე ყოფითი სინამდვილის საინტერესო დეტალები, სიღრმითა და სიმწვავეთ წამოაყენა სოციალური პრობლემები და გამოთქვა მოწინავე შეხედულებები ამ საკითბებზე.

ღრმა პატრიოტული გზნებითაა დაწერილი მისი თხზულებები. ბრძნული შეგონებებითაა გამსჭვალული მისი დიდაქტიკური პოეზია. არჩილის ზნეთსწავლება მოიცავს ადამიანის ქცევის ყველა სფეროს. არჩილთან უნდა ვეძიოთ გურამიშვილის დიდაქტიკის სათავე. არჩილმა დიდი სიღრმით წამოაყენა ადამიანის ცხოვრებასთან დამოკიდებულებისა და დანიშნულების საკითხი და მეტად პროგრესული თვალსაზრისით განავითარა იგი. ყოველივე ამის გამო არჩილის ნააზრევმა დიდი ზემოქმედება იქონია ქართული ლიტერატურის განვითარებაზე.

[1] ბაქარისეული ბიბლიის წინასიტყვაობა.

[2] ქართლის ცხოვრება, II, პეტერბურგი, 1849, გვ. 126.

[3] თ. ჟორდანიას, ქართლ-კახეთის მონასტრების და ეკლესიების ისტორიული საბუთები, 1903, გვ. 9.

[4] ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, 1954 (ალ. ბარამიძე, არჩილი, გვ. 366).

[5] ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, 1954 (კ. კეკელიძე, ალ. ბარამიძე, გვ. 366).

[6] კ. კეკელიძე, ალ. ბარამიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, გვ. 367.

[7] ს. ჯანაშია, შრომები, ტ. I, 1952, გვ. 502.

[8] ს. ჯანაშია, შრომები, II, 1952, გვ. 508.

[9] კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, 1959, გვ. 587.

[10] ალ. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. II, გვ.

ფეშანგი

“შაჰნავაზიანი” ისტორიული პოემაა. ავტორი, მსგავსად მემატიანისა, აგვიწერს მისი დროის და, მეტწილად, მის მიერ ნახულ ამბებს. აქ გადმოცემულია ვახტანგ V-ის, ანუ შაჰნავაზის მოღვაწეობის ერთი პერიოდი, კერძოდ, გამეფებიდან (1658 წ.) დაახლოებით (1658 წ.) დაახლოებით 1665 წლამდე. ამისთან, ავტორი ვრცლად ჩერდება შაჰნავაზის უფროსი ვაჟის არჩილის ცხოვრებაზეც.

პოემის მოკლე შინაარსი ასეთია: ქართლში როსტომის შემდეგ გამეფდა ვახტანგ V, რომელიც ბაგრატიონთა მუხრანბატონების შტოს ეკუთვნოდა. მან ცოლად შეირთო ლევან დადიანის ასული (?) მარიამი და მორჭმით განაგებდა ქვეყანას. გამეფებისას

ვახტანგი შაჰის მიწვევით სპარსეთში გაემგზავრა. შაჰმა დიდი პატივით მიიღო და უწოდა შაჰნავაზი.

იმერეთში ამ ხანებში დიდი არეულობა დარწყო. ალექსანდრე მეფის გარდაცვალების შემდეგ ტახტის მამიებლები ერთმანეთს დაერივნენ. ბოლოს სძლია ალექსანდრეს მეუღლემ ნესტან-დარეჯანმა და თავის მეტოქეს ბაგრატ ალექსანდრეს ძეს (ალექსანდრეს ვაჟი პირველი ცოლისაგან) თვალები დასთხარა. იმერეთის დასამშვიდებლად, და უფრო კი დასანაწილებლად, გაემურნენ დადიანი და შაჰნავაზი. ვახტანგმა დაამარცხა ტახტის მიმტაცებელი და, თითქოსდა იმერელთა თხოვნით, ქუთაისში დასვა თავისი პირმშო არჩილი. ამან ოსმალთა ხონთქრის გულისწყრომა გამოიწვია და, ბოლოს, ვახტანგი იძულებული გახდა არჩილი კვლავ ქართლში დაეხარებინა. იმერეთში ვახტანგმა ისევ ბრმა ბაგრატ ალექსანდრეს ძე გაამეფა.

შემდეგ აღწერილია კახეთის ამბები. კახეთის სამეფო ტახტისათვის თუშების დახმარებით იბრძოდა თეიმურაზ I-ის შვილიშვილი ერეკლე, რომელიც შემდეგ ნაზარალიხანის სახელით იწოდებოდა. ვახტანგმა აქაც გაიმარჯვა და მუსრი გაავლო ერეკლეს მომხრეებს. არჩილი მამამისის მსგავსად ერთხანს შაჰის კარზე გაიწვიეს და, როგორც ავტორი გვაუწყებს, დიდ პატივში ყოფილა. ბოლოს შაჰმა არჩილიც გამოისტუმრა და ხელთ მისცა კახეთის ბატონობა. ერთხელ ვახტანგი ესტუმრა კახეთში გამეფებულ არჩილს. გახარებული არჩილი უჯარმას შემოხვდა სასურველ სტუმარს და ერთად გადავლეს გომბორის მთა. ირტოზას მახლობლად გაიმართა დიდი ლხინი და პურობა. ამით ისარგებლა ერეკლემ და თუშების დახმარებით მოულოდნელად თავს დაესხა მამაშვილს. ვახტანგმა და არჩილმა მაინც დაამარცხეს მომხდურნი და მტკიცედ დაუფლნენ კახეთის ტახტს. პოემა ამით მთავრდება.

ავტორი არაერთგზის შენიშნავს, რომ იგი აგვიწერს მის მიერ ნახულ მართალ ამბებს, მაგრამ ირკვევა, რომ იგი ხშირად ამახინჯებს ისტორიულ ფაქტებს. ჯერ მ. ბროსემ, ხოლო შემდეგ კ. კეკელიძემ აღნიშნეს პოემის მრავალი ადგილას შეუსაბამობა ისტორიულ სინამდვილესთან. ვახტანგ V ავტორს გამოჰყავს ტახტის პირდაპირ მემკვიდრედ, მაშინ როცა იგი ბაგრატიონთა გვერდით შტოს ეკუთვნოდა. ისტორიული წყაროებიდან ცნობილია, რომ როსტომ მეფემ, როცა მას დაეღუპა შვილობილი, ტახტის მემკვიდრე ლუარსაბი, მემკვიდრედ ვახტანგ მუხრანბატონი შეარჩია და დასამტკიცებლად შაჰს გაუგზავნა. ვახტანგი (რომელმაც სპარსეთში რჯულიც გამოიცვალა) კარგა ხანს იყო ქართლის გამგე და როსტომის თანაშემწე. როსტომის გარდაცვალების შემდეგ იგი გამეფდა ქართლში. პოემაში, გარჯვეული მოსაზრებით, ეს მომენტი სრულიად მიჩქმალულია. ვახტანგი იმთავითვე კანონიერ მემკვიდრედაა აღიარებული და, წამოიზარდა თუ არა, ქართველებმა დიდი ამბით ტახტზე მიიწვიესო. მიჩქმალულია აგრეთვე ვახტანგის მიერ რჯულის გამოცვლა და ქორწინების ამბები. ავტორის სიტყვით, ვახტანგმა ცოლად შეირთო ლევან დადიანის ასული მარიამი. ნამდვილად კი, როგორც ცნობილია, ვახტანგი დაემორჩილა იძულებით ქორწინებას. შაჰის ბრძანებით მან დათმო პირველი ცოლი და დედოფლად მოიყვანა როსტომ მეფის ნაცოლარი, ლევან დადიანის დაი (და არა ასული) მარიამი. ყოველივე ეს არც არის გასაკვირი, რადგან პოემის ავტორი კარის მეხოტბეა და ცდილობს იდეალური სურათი დაგვიხატოს. ამასთან, ყურადღებას იქცევს სხვა მხარეც. ფეშანგი უბრალო, შეიძლება ითქვას, ნეიტრალური ფაქტების გადმოცემის დროსაც უზუსტობას იჩენს და, არჩილისა და იოსებ თბილულისგან განსხვავებით, ზოგჯერ ვერ ახერხებს ისტორიული სურათის აღდგენას. აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ, თუ არჩილისა და თბილელის თხოვრებები ერთ-

ერთ პირველწყაროდ გადაიქცა მომდევნო ხანის საისტორიო მწერლობისთვის, “შაჰნავაზიანი” თითქოს შეუმჩნეველიც კი დარჩა.

რაც შეეხება თხზულების ავტორს, როგორც პოემიდანვე ირკვევა, იგი მეფის კარზე მიღებული კაცი ყოფილა და თითქოს ყველა შემთხვევაში თან ახლდა ვახტანგ V-ს, უფრო კი არჩილს. იგი ერთგან თავის თავზე გვესაუბრება:

ხელვყაე მიწამან ფეშანგიმ, ამა წიგნისა წერასა,
სიტყვა დავხვანჯე ცთომითა, ვერად ვაუბენ ენასა;
სად მივსწვდებოდი საქებრად ამა ციერთა ზენასა?
თქმა რუსთველს დარჩა ლექსისა, ცუდად ვუბენ მე რასა? (1051).

კახეთს ვეახელ მეფესა, მზეებრ მცხინარედ ტკბილისა,
მიბძანა მათად საქებრად ლექსთა თქმა გამოვლილისა,
რაცა მენახა, ვიუბენ მონამა მათის ჩრდილისა,
ვარდი მოვჰკრიფე უეკლო, ცვარით ავსილი დილისა. (1053).

აწ შემასმინეთ მეფესა - სარჯელი გამიგონოსა,
საუბარნი და სიტყვანი ერთმანეთს შეაწონოსა,
წყალობა რამე უბძანოს, მონა არ დააღონოსა,
სულზე მამასწრას, რაცა სწადს, საქმე არ დააყონოსა (1056).

ფეშანგის, როგორც პოეტს, ახსენებს არჩილიც, მაგრამ იგი იმოწმებს არა “შაჰნავაზიანს”, არამედ სხვა თხზულებას, რომელიც ფეშანგის გაულექსავს:

ფეშანგი ფაშვი ბერტყაძემ ახლა თქვა ფ ი რ მ ა ლ ი ა ნ ი,
სომხისგან კარგად ჩააგდეთ სიმძიმით, ვით ლიტრიანი,
გებრალეზოდეს საბრალო ცხვირ-მოჭრით თვალცრემლიანი,
მე ვათქმევინე, მაგრამე ვერა თქვა მარილიანი^[4].

არჩილი იქნებ იმიტომ არ ახსენებს “შაჰნავაზიანს”, რომ თხზულების დიდი ნაწილი სწორედ მის ხოტბას შეიცავს^[2]. მაგრამ ამ ერთ სტროფში არჩილი მაინც გადმოგვცემს საინტერესო ცნობებს: ფეშანგის ნართაული გვარია ფაშვიბერტყაძე, იგი ტომით (ან შესაძლოა სარწმუნოებით) სომეხი ყოფილა რაღაც მიზეზის გამო დაუსჯიათ (ცხვარის მოჭრით) და, ბოლოს, მას ჰკუთვნებია “ფირმალიანი”.

ფეშანგის ცხოვრებას საყურადღებო ნარკვევი მიუძღვნა გიორგი ლეონიძემ “შაჰნავაზიანის” გამოცემის წინასიტყვაობაში. დიდძალი ცნობების შესწავლა-გამოვლილების შედეგად მკვლევარი აღადგენს ფეშანგის ცხოვრების ძირითად მომენტებს. ფეშანგი გვარად ხითარაშვილი ყოფილა და მის მამას ამირა უნდა რქმეოდა, რადგან ზოგან იგი ამიროვადაც იხსენიება. წარმოშობით იგი გორელია. როგორც ჩანს, ვაჭართა წრიდან უნდა იყოს გამოსული. როცა როსტომ მეფემ თეიმურაზ I იმერეთს განდევნა, სწორედ ამ ხანებში უნდა წასულიყო ფეშანგი ქართლიდან. იმერეთში იგი, როგორც რუსი ელჩების ცნობებიდან ჩანს, ჩხარში დასახლდა და მდივან-მწიგნობრობას ეწეოდა ალექსანდრესა და შემდეგ არჩილის კარზე^[3]. არჩილის იმერეთიდან იძულებით წამოსვლის შემდეგ ფეშანგიც ქართლში გადმოჰყვლია თავის პატრონს და კვლავ ეწეოდა მდივან-მწიგნობრობას ქართლისა

და კახეთის სამეფო კარზე. ეს ამბავი აღწერილია “შაჰნავაზიანში”, მისი ცხოვრების უკანასკნელი წლები ჩვენთვის უცნობია.

რაც შეეხება “შაჰნავაზიანის” დაწერის თარიღს, ეს კარგად ჩანს თვით პოემიდან. პოემის პირველი ნაწილი, როგორც 1053 სტროფიდან ირკვევა („მიბძანა მათად საქებრად ლექსთა თქმა გამოვლილისა“), დაწერილია მაშინ, როცა ვახტანგ შაჰნავაზის შემწეობით არჩილმა დაიკავა კახეთის ტახტი, ე. ი. 1664 წელს, შემდეგ მოთხრობილია შაჰნავაზის მეორე ჩასვლა არჩილთან და ერეკლე პირველის მოულოდნელი თავდასხმა. ამას პირდაპირ გვიმოწმებს ერთ-ერთი თავის სათაური “აქა ამ უსწოროს ხელმწიფის გამარჯვება და ყაენთან თავების გაგზავნა ზემოთ დავსწერეთ, მაგრამ საქმისაგან უცალოდ ვიყავით და გაგზავნის რჩევა და თუშთა ზედა გამარჯვება და თავების გასტუმრება აქ შეიქნა ყველასი” (გვ. 189).

მაშასადამე, დაახლოებით 1664 წლის ბოლომდე უნდა იყოს დასრულებული “შაჰნავაზიანი”. აქედან ჩანს, რომ ეს თხზულება თითქმის ოცი წლით უსწრებს როგორც “არჩილიანს”, ისე თბილელის “დიდმოურავიანს”, რაც თავისებურ ადგილს ანიჭებს ფეშანგის ნაციონალური თემატიკის დამკვიდრებისათვის ბრძოლაში.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ფაქტების თავისებური გადმოცემა კარგად ამხელს “შაჰნავაზიანის” ავტორის სახეს. იგი ტიპური საკარო პოეტია და თხზულებაც თავიდან ბოლომდე გამსჭვალულია ხოტბის ელემენტებით. ქება-გაზვიადების ნაკადი ქმნის პოემის ინტონაციას (და, ასე ვთქვათ, მის მთელ მხატვრულ სისტემას). პოემაში იშვიათია ისეთი ადგილი, რომ პატრონი მეფეების ქებადიდება არ იყოს მოცემული ან გაზვიადებით დახასიათებული მათი საქმეები მაგალითად, პოეტი გვეუბნება, რომ ვახტანგის “მსგავსი არა ნახულა ადამითგან დღედამდე”. საოცარ ამბებს აგვიწერს პოეტი, როცა ვახტანგის ჭაბუკობას გვიხატავს. სპარსეთის შაჰის გამოგზავნილი მხატვარი ხელცარიელი დაბრუნდა უკან, რადგან ვახტანგის სახის ნათელმა დააბრმავაო. ასევე ზღვარდაუდებლად არიან შემკობილი პოემის სხვა გმირებიც: ამ ხანებში უკვე საკმაოდ მოხუცებული მარიამი, თურმე, მზესა და მთვარეს სჯობნიდა სილამაზით, არჩილის მსგავსი ვაჟკაცი ხმელეთზე არ დადიოდაო. ფეშანგის იდეური პოზიციაც ვახტანგ V-ის შექებით არის განსაზღვრული. იგი ყველაფერში ამართლებს შაჰნავაზს და საქართველოს მხსნელად წარმოგვიდგენს მას. უფრო მეტიც, ავტორი ქება-დიდებას ასხამს ვახტანგის სპარსოფილურ მიდრეკილებებს და, ამდენად, სპარსეთის შაჰსაც ზოგჯერ საქართველოს მეგობრად გვისახავს: სპარსეთის ყაენი არის. თურმე, “ციერთა პატრონი, მოსამართლე და მოწყალე” და “ცისა სწორი”.

პოემის ავტორი, ერთი შეხედვით, თითქოს საქართველოს გაერთიანების დიდი მოტრფიალეა, მაგრამ მისი კონცეფცია აქ არაჯანსაღ საფუძველზეა დაყრდნობილი. სპარსოფილურ ტენდენციებთან ერთად ფეშანგი აშკარად ამჟღავნებს ერთგვარ კუთხურ პატრიოტიზმს, მისი გაკილვის საგანი გამხდარა არა მარტო იმერული დიდკაცობა, არამედ იმერეთის მთელი მოსახლეობა.

“შაჰნავაზიანი” მხატვრულად სუსტი ნაწარმოებია. ფეშანგი არსებითად რუსთველის უსუსური ეპიგონია. მისი პოემა გადატვირთულია “ვეფხისტყაოსნის” სახეებითა და პოეტური ფრაზებით, თუმცა ფეშანგის ვერ მოუხერხებია მათი ჯეროვანი დამუშავება. იგი აშკარად ბაძავს სხვა ავტორებსაც. ამ მხრივ ერთ-ერთი პირველი ადგილი ქართულ “როსტომიანს” უკავია.

გ. ლეონიძეს შენიშნული აქვს, რომ ფეშანგი ზოგ შემთხვევაში დამოკიდებულია თეიმურაზ პირველსა და ნოდარ ციციშვილზეც. სუსტია პოემის ენაც. ავტორი ზოგ შემთხვევაში უხემ გრამატიკულსა და სტილისტურ შეცდომებს უშვებს.

მიუხედავად აღნიშნულისა, “შაჰნავაზიანი”, გარკვეული მოსაზრებით, მაინც იწვევს ლიტერატურის ისტორიკოსთა ყურადღებას. ფეშანგიმ ერთ-ერთმა პირველთაგანმა სცადა თემატიკის სფეროში გაერღვია გაბატონებული ტრადიცია და მართალი, ნამდვილი ამბები გაეხადა თავისი შემოქმედების საგნად. ამასთან, რიგ შემთხვევაში, პოემაში არის მოცემული იმდროინდელი საქართველოს ყოფითი სურათები, განსაკუთრებით საინტერესოა ფეშანგის მიერ კლასობრივი დიფერენციაციის შემჩნევა და დაბალი ფენების (მათ შორის ვაჭართა) მძიმე მდგომარეობის აღწერა შინათაშლილობის სენით დაავადებულ ფეოდალურ საქართველოში.

“შაჰნავაზიანი” ჩვენამდე მოღწეულია ერთადერთი, დაზიანებული ხელნაწერით. 1935 წელს “შაჰნავაზიანის” ტექსტი გამოსცეს გ. ლეონიძემ და ს. იორდანიშვილმა.

^[1] არჩილიანი, ალ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის გამოც. 1936, II, გვ. 34.

^[2] გავიხსენოთ არჩილის სიტყვები იოსებ შემოქმედელზე, რომელსაც აგრეთვე არჩილის,

ხოტბა დაუწერია. “სრულად ამისთვის არვაქე, რომ იყო ჩემი მკობარი” (არჩილის თხზ. ტ. II, გვ. 4.)

^[3] სტოლნიკ ტოლოჩანოვის და დიაკ იევლევის ელჩობა იმერეთში 1650 - 1652 წწ., 1926, გვ. 81.

დიდმოურავიანი

არჩილის სკოლის პოეტებს შორის ერთი პირველი ადგილი უჭირავს პოემა “დიდმოურავიანის” ავტორს იოსებ სააკაძეს. მისი ცხოვრების მთლიანი სურათის აღდგენა ჯერ კიდევ ვერ ხერხდება, მაგრამ იმ ფრაგმენტული ხასიათის ცნობებითაც, რაც ამჟამად მოგვეპოვება, კარგად ჩანს, რომ იოსებ სააკაძე თავისი დროის გამოჩენილი მოღვაწე ყოფილა.

პირველი საკითხი, რომელიც განსაკუთრებით აინტერესებდათ პოეტის ბიოგრაფებს, არის თვით იოსების ურთიერთობა მისი პოემის გმირთან - სახელგანთქმულ სარდალ გიორგი სააკაძესთან. პლატონ იოსელიანი ამბობდა: “შწერალი ლექსათ წიგნისა ამის იოსებ თბილელი - მიტროპოლიტი გვარია სააკაძე, იყო მის-ძე დიდისა მოურავისა”^[1] ალექსანდრე ხახანაშვილი თითქოს ამ ცნობის წყაროზეც მიუთითებდა, როცა ამბობდა, რომ იოსებ თბილელი თავის თავს დიდი მოურავის ძის-ძეს უწოდებდაო. ამ მოსაზრებას იზიარებდა თითქმის ყველა მკვლევარი, ვინც კი დიდი მოურავის ან მისი ცხოვრების აღმწერის იოსებ თბილელის ბიოგრაფიას შეხებია (დავით ჩუბინაშვილი, ანტონ ფურცელაძე, ექვთიმე თაყაიშვილი, მოსე ჯანაშვილი და სხვ.).

ზოგ წყაროში იოსებს ეწოდება თბილელი ბაბათაშვილი, რის გამოც პ. იოსელიანი შენიშნავს: “ბაბათა არს ლექსი (სიტყვა. - რედ.) თათრული და ეწოდა მამასა მისსა სიაუშს მას ჟამსა, ოდეს ჰცხოვრობდნენ უცხოებასა შინა აზრუმსა და

ოსმალისა სამმღვართა ძენი და ასულნი დიდისა მოურავისა. განდევნილი მეფისა როსტომისაგან (sic)”^[2]. ვ. კეკელიძე შენიშნავს, რომ გიორგი სააკაძის მრავალრიცხოვან ძეთა შორის (პაატა, ავთანდილი, ზურაბი, ივანე, იორამი) არ ჩანს სიაუში^[3] გ. ლეონიძემ, რომელმაც ვრცელი გამოკვლევა უძღვნა “დიდმოურავიანსა” და მის ავტორს, ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ ალ. ხახანაშვილის ზემომოტანილი ცნობა (თითქოს იოსები გიორგი სააკაძის ძის ძეა), რასაც უკრიტიკოდ იღებდნენ მკვლევარები, უბრალო ზეპირი განცხადებაა. არც ერთ ისტორიულ წყაროში და არც თვით დიდმოურავიანში არ არის ნათქვამი, რომ იოსები მოურავის შვილიშვილია^[4] ამავე ნაშრომში გ. ლეონიძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ იოსები მოურავის არა ძის ძე, არამედ ძმის შვილი უნდა ყოფილიყო. მკვლევარი ანალიზს უკეთებს თვით იოსებ სააკაძის სიტყვებს: “ნათესავ-მოდგამ გვარ-ტომიან მისიან ეს ვიწყე წერებად”, ე. ი. იოსები ნათესავია მოურავსა, მაგრამ არა პირდაპირი შტოს წარმომადგენელი. “მოდგამი” ისე უნდა გავიგოთ, როგორც ეს ქართლ-კახურ მეტყველებაშია დამკვიდრებული. იგი თავისებური სოციალური ტერმინია და მოზიარეს, განაყოფს უნდა ნიშნავდესო. ამასთან უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მოურავის პირდაპირი შთამომავლობა პირველ ხანებში მოურავის შვილებად იხსენიებოდა^[5]. მართლაც, იოსებ სააკაძე, როგორც ვთქვით, ბაბათაშვილად იხსენიება, რაც სააკაძეთა სხვა შტოზე უნდა მიუთითებდეს. გ. ლეონიძე ასეც ვარაუდობს: გიორგის ერთ-ერთ ძმას სიაუში ანუ შიოში რქმევია (შიოში სააკაძეთა გვარის ტრადიციული სახელია, გიორგი სააკაძის მამასაც შიოში ერქვა), ხოლო როცა სააკაძეთა მთელი ოჯახი დროებით არზრუმში ცხოვრობდა, მისთვის მეტსახელად ბაბათა შეურქმევიათო^[6]. ვ. კეკელიძემ ყურადღება მიაქცია, რომ სწორედ აღნიშნულ ხანებში (1636 წ.) ერთ-ერთ საბუთში იხსენიება ბაბა-შიოშ სააკაძე, რომელიც შესაძლოა იოაების მამად ვიგულოთო^[7].

გ. ლეონიძის ზემოაღნიშნული გამოკვლევის შედეგად ნათელია, რომ იოსები არ არის მოურავის ძის ძე, მაგრამ არც ახალი მოსაზრება (იოსები მოურავის ძმის შვილია) არის საბოლოოდ დამტკიცებული. საქმეს ართულებს თუნდაც ის, რომ გარდა ქაიხოსროსი (რომელიც ჯერ კიდევ 1614 წელს მოკლეს ბაღდადის აღების დროს^[8]) ჩვენ არ ვიცით გიორგი სააკაძის ძმების სახელები (და საერთოდ ჰყავდა თუ არა მას სხვა ძმები^[9]) ყველაზე საგულისხმო მომენტს მაინც პოემა არკვევს. იოსები გიორგი სააკაძის ახლო ნათესავია (“მოდგამი”, “გვარ-ტომი”).

იოსებ სააკაძის მოკლე ბიოგრაფიულ ცნობებს გვაწვდის პ. იოსელიანი. “არა ჰსჩანს წერილთაგან წელიწადი შობისა მისისა, მხოლოდ გუჯარი ერთი თბილისის სიონის ეკლესიისა გვაუწყებს, რომელი წოდებოდა იგი თფილელ მიტროპოლიტად 1662 წელსა. სიყრმიდგან აღიზარდა იგი ქვათახევის მონასტერსა და, მუნ აღკვეცილი მონოზანად, წარვიდა იმერეთად და აქთ აღჰყვანილ იქმნა მღვდელმთავრად ნიკორწმინდის ეპარხიისა რაჭას. აქა დაჰყო მცირედსა ჟამსა და გარდმოვიდა ქართლსა თხოვითა როსტომისა და დედოფლისა მარიამისა, რომელთაც წარგზავნეს საათაბაგოს განზრახვითა მით, რათა ჰსდგეს მღვდელმთავრად აწყურება თურქთაგან გაუქმებულისა ეპარხიისა. მისრული ახალციხეს, კეთილად იქმნა შეწყნარებულ მის ჟამის როსტომ ფაშისაგან, ნათესავისავე თვისისა. ჰგონებდნენ თვითცა და მეფეცა, რომელ ესრეთსა ნათესაობითისა დამოკიდებისა ძალითა განამტკიცებდა ქრისტიანებისა ნეშტთა სამესხოსა ქვეყანასა, გარნა ჰაზრი ესე დაჰშთა უნაყოფოდ; ფაშამან, შერისხულმან მაჰმადიანთაგან, დაითხოვა იგი მუნით და უკმოიქცა თფილისსა. მაშინ მეფემან როსტომ უბოძა მას სამიტროპოლიტო კათედრა თფილისისა”...^[10]

თუმცა პლ. იოსელიანი წყაროს არ გვისახელებს, მაგრამ მეტი წილი აქ მოთხრობილი ამბებისა სხვა საბუთებიდანაც დასტურდება. გ. ლეონიძემ სწორად შენიშნა, რომ “დიდმოურავიანში” აღწერილი ამბები სამცხე-საათაბაგოს შესახებ საოცარი უშუალოებით არის აღბეჭდილი და სარწმუნოს ხდის პლ. იოსელიანის ზემომოტანილ მოსაზრებას იოსების მესხეთში ყოფნის შესახებ. რაც შეეხება იოსების ჯდომას თბილისის კათედრაზე, ამაზე მრავალი ცნობა მოგვეპოვება.

ამჟამად გამორკველია, რომ იოსებ თბილელმა თბილისის კათედრა დაიკავა ელისე მიტროპოლიტის შემდეგ (გარდ. დაახლ. 1658 წ.), ე. ი. ყოელ შემთხვევაში 1660 წლიდან (იხსენიება მიტროპოლიტად 1661, 1662, 1665, 1666, 1670, 1671, 1681, 1682, 1683, 1685, 1686... წლებში^[11]) და ამის შემდეგ იგი ცხოველ მონაწილეობას ღებულობდა ჯერ ვახტანგ-შაჰნავაზისა და შემდეგ გიორგი-შაჰნავაზის სამეფო კარზე გაშლილ კულტურულ ცხოვრებაში. როგორც ჩანს, მას არა ერთი საგანგებო დავალება შეუსრულებია. საქართველოში მყოფი კაფუცინების წერილებიდან ჩანს, რომ იოსებ თბილელი მათ დიდ მფარველობას უწევდა და შუამდგომლობდა მეფე შაჰნავაზთან^[12]. შარდენი გადმოგვცემს, რომ შაჰნავაზის სახელით ევროპასთან კულტურულ-ეკონომიური კავშირის დასამყარებლად მასთან მოლაპარაკება უწარმოებია ცნობილ საეკლესიო პირს იოსებ თბილელს^[13]. როგორც ჩანს, ცნობილ მეცენატ მარიამ დედოფალთან ერთად იოსებმა თავი გამოიჩინა აგრეთვე მეფის კარზე მწიგნობრობის გაჩაღების საქმეში. ერთი ხელნაწერის ცნობით, იოსებს უთავებია სიონის აწ დაკარგული წიგნსაცავის დაარსება^[14].

იოსები იყო ცნობილი კალიგრაფიც და მდივან-მწიგნობარი. სამეფო კარზე იგი აწარმოებდა მიმოწერასა და სიგელ-გუჯრების შედგენას. იოსების გადაწერილია, მაგალითად, “ვეფხისტყაოსნის” ისეთი მნიშვნელოვანი ხელნაწერი, როგორიცაა ე. წ. “ზაზასეული” ნუსხა^[15].

იოსების ცხოვრების უკანასკნელი წლებიც მჭიდროდაა დაკავშირებული ქართლის სამეფო კართან. იგი მხარში ედგა შაჰნავაზის შვილს გიორგი XI-საც. ერთ-ერთი ბრძოლის დროს იოსებ თბილელი მოკლეს დუშეთთან არაგვის ურჩი ერისთავის მეთოფურებმა.

ამგვარი ფრაგმენტული სახით არის ჩვენამდე მოღწეული თავისი დროის გამოჩენილი საეკლესიო მოღვაწისა და პოეტის ცხოვრების ამბები. თანამედროვეთაგან იგი დიდად მცოდნე და განსწავლულ პირად იყო მიჩნეული. სხვათა შორის, საინტერესოა ერთი თეოლოგიური კითხვა-პასუხი, იაკობ შემოქმედელსა და იოსებ თბილელს შორის^[16].

იოსების დიდ ავტორიტეტსა და განსწავლულობას მაღალ შეფასებას აძლევს ანტონ კათალიკოსი, თუმცა, ალბათ, საერო ხასიათის თხზულების “დიდმოურავიანის” დაწერის გამო ერთგან საყვედურით იხსენიებს.

იოსებ თბილელის ლიტერატურული მემკვიდრეობიდან ჩვენამდე ყველაფერი არ უნდა იყოს მოღწეული. იოსები ერთ ადგილას აღნიშნავს („დიდმოურავიანი“, სტრ. 484), რომ “ზოგი რამ საღმრთოც დავსწერე, სიტყვაც ვთქვი წმინდა ქებისა”. მართლაც, ცნობილია მისი რამდენიმე სასულიერო ხასიათის თხზულება. მაგალითად, 1) “ცხოვრება და მოქალაქეობა ალექსი კაცისა ღმრთისა, ახლად შაირად გადათარგმნილი სააკაძისაგან იოსებ ტფილელისა”^[17]. აქ ავტორს გაუღექსავს აგიოგრაფიული ნაწარმოები ალექსის შესახებ; 2) ქება და წამება წმინდა მარინასი (s-1512) და 3) წმინდათა კრებათათვის (s-281). პ. იოსელიანს გამოქვეყნებული აქვს ერთი ანბანთქება, რომელსაც მიწერილი აქვს: “ანბანთქება, თქმული ბაბათაშვილის იოსებ ტ.ფილელის მიერ”^[18]. ზ. ჭიჭინაძე თავის ნარკვევში “ქართული მწერლობა და

ქართველი მწერლები მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნეებში” ასახელებს იოსების კიდევ რამდენიმე სასულიერო თხზულებას: 1) მოგზაურობა თბილისიდან ახალციხემდე, სადაც ავტორი, თურმე, აღწერდა მესახეთის ეკლესია-მონასტერთა მდგომარეობას, 2) ლუარსაბ მეფის ცხოვრება და 3) სასურველი ვენახი. ჩვენამდე ამ თხზულებებს არ მოუღწევიათ და არც ჩანს, თუ საიდან აიღო ზ. ჭიჭინაძემ ეს ცნობები. როგორც ვიცით, იოსებ თბილელს თავისი წვლილი შეუტანია აგრეთვე “ვეფხისტყაიასნის” გაგრძელებებში. ამჟამად დადგენილია, რომ იოსებს “ვეფხისტყაიასნისათვის” დაურთავს 67 სტროფი^[19].

იოსებ თბილელის შემოქმედებაში უპირველესი ადგილი უჭირავს მის ისტორიულ პოემას “დიდმოურავიანს”. სწორედ ამ პოემის გამო შემორჩა იოსებ სააკაძე ქართული ლიტერატურის ისტორიის ფურცლებს. იოსებ თბილელმა თავის პოემაში დაგვიხატა საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი მძიმე ეპოქა, XVII საუკუნის პირველი მეოთხედი, როცა მართლაც რომ ბეწვზე ეკიდა საქართველოს ყოფნა-არყოფნის საკითხი. მძვინვარე შაჰ-აბასს გადაწყვეტილი ჰქონდა ქართლ-კახეთის საბოლოო განადგურება, მოსახლეობის აყრა-გადასახლება და სამაგიეროდ მაჰმადიანური სახანოების შექმნა. ქართველი ხალხს ფიზიკური განადგურების ხარჯზე უკვე დაუძღვრებულ სპარსეთს სურდა თავისი შერყეული პოზიციები განემტკიცებინა. ასეთი განსაცდელის წინაშე ქართველი ხალხი იშვიათად მდგარა. საკმარისია გავიხსენოთ კახეთის სისხლიანი ეპოპეა 1614 წლისა, როდესაც საქართველოს ამ შესანიშნავმა კუთხემ თავისი მოსახლეობის თითქმის ორი მესამედი დაკარგა და აყვავებული მხარე ნასახლარებად, ნაფუძარებად და ნასოფლარებად გადაიქცა. მაგრამ შაჰ-აბასის ბარბაროსულ ზრახვებს განხორციელება არ ეწერა. ქართველმა ხალხმა არა ერთი მწარე დამარცხება აგემა მოძალადე მტერს. მრავალი მამულიშვილისა და ვაჟკაცის სახელი ამშვენებს ამ ძნელბედობის ეპოქაში საქართველოს ისტორიას. მათ შორის ერთი პირველთაგანია გიორგი სააკაძე. გიორგი რთული და ტრაგიკული პიროვნებაა. მასში გამოხატულება ჰპოვა ამ ეპოქის ხიფათითა და განსაცდელით სავსე ცხოვრებამ. ისტორიულმა სინამდვილემ განსაზღვრა წინააღმდეგობებით აღსავსე მოღვაწეობა. ამიტომ იყო, რომ სხვადასხვა დროს, სხვადასხვა თაობათა მიერ სრულიად სხვადასხვაგვარი შეფასება ეძლეოდა სააკაძის ღვაწლს. თუ იოსებ თბილელი და ნაწილობრივ არჩილი აღფრთოვანებული მოგვითხრობენ მოურავის საგმირო საქმეებზე, “ქართლის ცხოვრების” ფურცლებზე მკაცრადაა შეფასებული სააკაძის პიროვნება. ქართლის ცხოვრების გაგრძელების ავტორი ამბობს: “იყო ესე მოურავი კაცი გულსრული და კარგი სარდალი, ჭკვიანი და გონიერი”, მაგრამო, დასძენს, მოურავმა საქართველოს ღალატი გადაწყვიტა, ხოლო შაჰის წერილის ხელში ჩაგდება (წერილით ყორჩიხანს ნაბრძანები ჰქონდა მოურავის სიკვდილი) სრულიად შესცვალა მისი განზრახვა და მოურავი ქართველ შეთქმულთა მოთავედ აქციაო. ვახუშტიმ უკიდურესობამდე განავითარა ეს თვალსაზრისი: თუ არა მოურავი, შაჰ-აბასი საქართველოსკენ პირსაც კი არ იზამდაო^[20]. მიუხედავად ახოვანებისა - ვახუშტის თქმით - მოურავი იყო “ცბიერი, მჩურჩნელი და უნდი”^[21]. ვახუშტის ამ შეხედულებამ მყარად გაიდგა ფეხი ქართულ საისტორიო მწერლობაში. ლუარსაბ მეფის მარტვილობის ერთ-ერთი რედაქციის ავტორი შენიშნავს: “იტყვიან მიმთხრობელნი სომეხთანი, განზრახვითა გიორგისათა შაჰ-აბაზ, თვესა შინა დეკემბერს მკსინვარისა და მათათა თოვლთა აღვსებისა, განიმხედრა შაჰ-აბაზ კახეთსა ზედა ეტიკობითა გიორგისათა”^[22]... ასევე მძიმე ბრალდებას უყენებს პ. იოსელიანიც: “გიორგი სააკაძემ შეიტანა შაჰ-აბაზთან საჩივარი მეფე ლუარსაბზედა ამის სამეფოზედ, სადაც მოახსენა, რომ მეფეცა და მის სამეფოცა არიან მისი მოღალატენი.

აცნობა შაჰს საიდუმლო მიწერ-მოწერა რუსეთთან და მოახსენა ეგრეთვე, რომ საქართველოს მეფენი აპირებენ თავის მეერთჯულე რუსეთოს მფარველობა მიიღონ” და ამის შემდეგ წამოვიდა შაჰი ქართლ-კახეთზე^[23]. ამ შეხედულებას სხვადასხვა ვარიაციით იმეორებდნენ მ. ბროსე, მ. ჯანაშვილი, ს. ლოღობერიძე და სხვ. ჩვენი თანამედროვე ისტორიოგრაფია, რასაკვირველია, უფრო ფართო თვალთახედვით იხილავს გიორგი სააკაძის პრობლემას. გიორგი სააკაძის იდეალი იყო ძლიერი და ერთიანი საქართველოს სახელმწიფოს შექმნა. დიდგვარიანთა წინააღმდეგობის შედეგად ეს იდეალი მაშინ განუხორციელებელი ოცნება გამოდგა. გიორგიმ სახიფათო ნაბიჯი გადადგა და დახმარებისათვის მიმართა უცხო ძალებს (სპარსეთი, ოსმალეთი). გიორგი სააკაძის მიზნებსა და ამ მიზნების განსახორციელებელ საშუალებათა შორის უფსკრული იდო. ამაში უნდა ვეძიოთ ამ დიდი პიროვნების ტრაგიზმი. მაგრამ უდავოა, რომ გიორგი სააკაძემ გარკვეული სამსახური გაუწია თავის ქვეყანას. ნ. ბერძენიშვილი შენიშნავს: “სააკაძის ხელმძღვანელობით გადახდილ ომებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა: მარტყოფისა და მარაბდის ომებმა აღმოსავლეთი საქართველო იხსნა შაჰის მძიმე განაჩენისაგან - ქვეყნის გადაშენებისა და აქ ყიზილბაშური სახანოების შექმნისაგან”^[24].

როგორც ჩანსა, უკვე სააკაძის სიცოცხლეშივე საპაექროდ იყო ქცეული მისი მოღვაწეობის შეფასება. იოსებ თბილელს, სააკაძის თაყვანისმცემელს, მიზნად დაუსახავს თავისი სახელოვანი წინაპრის ერთგვარი რეაბილიტაცია. ეს ჩანს მთელი პოემის მანძილზე. პოემის პროლოგი არჩილ მეფისადმია მიძღვნილი, არჩილს უთხოვია იოსებისთვის, რომ მას მოეცა “განმარტება” სააკაძის მოღვაწეობაზე:

“ცოტა სიტყვა განმიმარტე” - გებრძანა თუ: “ჩემო ჩრდილო”...

ან

“ამ ამბისა განმარტებით არა გქონდა მოხსენება”^[25].

სწორედ ამ კონკრეტულმა მიზანდასახულობამ განსაზღვრა პოემის მხატვრული სტრუქტურა. ავტორმა უარყო ეპიკური თხრობა-მოყოლის ჩვეულებრივი ხერხი და პირდაპირ მძაფრი სიტუაციით დაიწყო ამბის გაშლა. პოემაში გადმოცემულია გიორგი სააკაძის მთელი ცხოვრება და საგმირო საქმეები: ჭაბუკობის ჟამიდან დიდი მოურავი ვაჟკაცურ საქმეთა მოქმედა. თათარხანის ომიდან მოკიდებული, მან არა ერთხელ გადაარჩინა თავისი სამშობლო. განსაკუთრებით თავი გამოიჩინა მარტყოფში სპარსელთა განადგურების დროს, როცა საქართველოს ბედი სასწორზე იყო. მოურავმა შვილიც კი შესწირა ქვეყნის ხსნის საქმეს. მაგრამ სააკაძის ხვედრი, - გადმოგვცემს ავტორი, - მძიმე და ფათერაკიანი იყო. იგი ხშირად ხდებოდა თურმე მახეზლარი კაცების, ანუ მოშურნე დიდებულების უდანაშაულო მსხვერპლი. ჯერ იყო და ლუარსაბს გადაამტერეს, სააკაძე იძულებული შეიქნა სპარსეთს გადახვეწილიყო. ბოლოს, როდესაც ქართლ-კახეთი, თვით სააკაძისავე თაოსნობით, კვლავ გაერთიანდა, მეფე თეიმურაზს წაჰკიდეს. ამჯერად ოსმალეთს მიაშურა, სადაც უსახელო სიკვდილით დაიხოცნენ დიდი მოურავი და მისი თანმხლები ქართველები. მოთხრობილ ამბებს ავტორი თანმიმდევრობით არ გადმოგვცემს. მას უნდა, რომ შთამომავლობის წინაშე გაამართლოს გიორგი, ახადოს მას მოღალატის სახელი. პოეტი ათქმევინებს სააკაძეს:

ჩემს ჭირნახულსა ქართლზედა მიკვირს, ვერავინ ხედავსა.

ავტორმა სწორედ ამიტომ აირჩია მონოლოგის ფორმა და თვითონ გიორგი სააკაძეს მოათხოვინა თავისი თავგადასავალი. ეს მომენტი მეტ უშუალობას ანიჭებს თხოვას და, ამასთან, საშუალებას აძლევს ავტორს .გმირის სიტყვებითვე ეკამათოს მის ავადმხსენებელს. აღნიშნულ თავისებურებებთან ერთად პოემა კომპოზიციურად ორ ნაწილად იყოფა. პირველი მონოლოგი იწყება მძაფრი სიტუაციით: სააკაძე მოულოდნელად იგებს, რომ თეიმურაზ მეფე მას სიკვდილს უპირებს. სააკაძე მოციქულების პირით თავს იმართლებს და ჰყვება თავის თავგადასავალს ლუარსაბის დროიდან თეიმურაზის ქართლ-კახეთში გამეფებამდე. პირველი მონოლოგი აქ თავდება, ამის შემდეგ ავტორს გამოყენებული აქვს მონოლოგის უფრო სხვაგვარი ხერხი. პირველი მონოლოგის დროს პოემის გმირი ცოცხალია და თანამიმდევრობით, ეპიკური თხრობით გვიყვება თავის თავგადასავალს. ამდენად პოემის პირველი ნაწილი დატვირთულია კონკრეტული, ცხოვრებისეული სურათებით. ეს არ ითქმის პოემის მეორე ნაწილზე. აქ ავტორს შეურჩევია XVI - XVII საუკუნეების ქართულ მწერლობაში საკმაოდ გავრცელებული ხერხი ე. წ. გმირთა ანდერძებისა^[26]. ოსმალეთს გადახვეწილი და ღალატით დაღუპული მოურავი ანდერძით გვესაუბრება თავის განუხორციელებელ მიზნებზე, სამშობლოსთვის თავდადებაზე და დაუშლად უნებურად ხვედრზე. ავტორი ასე ამთავრებს სააკაძის ანდერძს:

გავათავე ჩემი სიტყვა, წავალ თქვენგან სალამითა...
უკანასკნელ ანდერძს მოგცემ, საქმე იმას ალამითა. (474)

პოემის ეს მეორე ნაწილი ბევრად უფრო რიტორიკულ შთაბეჭდილებას ტოვებს და გადატვირთულია პოლემიკური ადგილებით. მოურავი თავს იმართლებს, ეკამათება ცილისმწამებლებს და იძლევა შეგონებებს. ხშირად საკმაოდ გაჭიანურებული სახით მოცემულია აგრეთვე მსჯელობა ბატონყმობაზე, მეფეებთან.დამოკიდებულებაზე და რელიგიურ საკითხებზე.

მონოლოგის ფორმა (ეს განსაკუთრებით პირველ ნაწილზე ითქმის) საშუალებას აძლევს პოემის ავტორს მეტი უშუალობით წარმოგვისახოს თავისა გმირი, დაგვიხატოს ცოცხალი და რეალისტური სურათები. საკმარისია გავიხსენოთ შესანიშნავი ბატალური სცენები თათარხანის შემოსევის დროიდან. მტრის გატყუება თევდორე მღვდლის მიერ და მთელი ქართლის დარაზმვა მომხდურთა წინააღმდეგ. მტერი იძულებულია ქვემო ქართლის გაშლილი ველების მაგიერ, სააკაძის ენერგიული ზომების შედეგად, მტკვრის ვიწროებს აჰყვეს. აი, ტაშისკარში შემწყვდეულ თათარხანის ლაშქარს უკან მისდევენ ქართველები, რომელთა რიგებს განუწყვეტლად ემატება შორეული სოფლებიდან ჩამოსული ახალ-ახალი მამველი რაზმები. სააკაძე ძლივს იკავებს ფიცხელ ქართველ ვაჟკაცებს, ჯერ არ იყო დამდგარი გადამწყვეტი შეტაკების ჟამი:

წყნარა მიდიან რაზმ-წყობით, ჩვენ უკან მივსდევთ ნელაო,
მათი შებმა და შეტევა არავინ გაიძნელაო,
მე სადავენი შევტაცი, ვინ შუბი წაიგრძელაო,
სამოციათასს კაცზედა როგორ არ გვინდა შველაო? (47).

საკაძის სარდლობით ტაშისკართან თათარხანის ლაშქარი სასტიკად დამარცხდა. ეს ადგილი ერთი საუკეთესოა პოემაში. როგორც ვთქვით, თხოვას უშუალობას სწორედ ის აძლიერებს, რომ გმირისავე სიტყვებით არის გადმოცემული

მოვლენათა მსვლელობა. პოემაში საინტერესოა აღწერილი სპარსელთა განადგურების ამბები მარტყოფის მახლობლად და სააკაძის მიერ ყორჩიხანთან ორთაბრძოლა. კარგადაა გადმოცემული სააკაძის მძიმე სულიერი განცდები. მისი საყვარელი პირმშო პაატა მტარვალ შაჰ-აბასის ხელშია, საქართველოში კი უმაგალითო სისხლისღვრაა მოსალოდნელი. მტერი მის სამშობლოს აოხრებას უპირებს:

ქართლისათვის რა ძე დავსთმე, როგორ ტურფა სასურველი,
ჩემთვის ვარდი მაისისა, აღარვინ ჰყავს მას იქ მშველი. (181)

სააკაძე მიხვდა, რომ შაჰ-აბასი მისი ხელით აპირებდა ქართლის განადგურებას (“ჩემი ხელითა ეკალსა მოგლეჯს, მიძახდენ: “ზედ-ავსა”, სტრ. 179). მან მტკიცედ გადაწყვიტა პირადი კეთილდღეობა მსხვერპლად მიეტანა სამშობლოს გადარჩენის დიადი საქმისათვის.

მთავარი გმირის მონოლოგი დიდ შესაძლებლობას იძლევა ლირიკული წიაღსვლებისთვის. პოემაში არის, მართლაც, რამდენიმე შესანიშნავი ადგილი, სადაც მძაფრი ლირიკული ინტონაციით გადმოცემულია სამშობლოსთვის თავდადებული რაინდის სულიერი განცდები. საკმარისია აქ გავიხსენოთ რამდენიმე ადგილი მეთერთმეტე კარიდან:

თაო ჩემო, ვით გასრულო, სევდიანო, როგორ წყლულო,
საქართველოს რჯულისათვის ათას ფერად წამებულო;
მეფეთათვის რა ნასაჯო, ნამსახურო, რა ერთგულო,
აღარ შეგრჩა ნოსტეს ლხინი, ალაბ, სტამბოლს დაკარგულო. (294).

თაო ჩემო, სად მოჰკვდები, ანუ ვისსა სამარებსა?
რას დალახავ ქეყანასა, იარები სამ არებსა;
მოშორდები მოყვარეთა; შენ ხარ ვისსა სამარებსა? -
სამყოფთაგან გააბეზრდი, კარსა გავლი გასარებსა: (2977)

ავტორს მიზნად დაუსახავს გიორგი სააკაძის, როგორც ისტორიული პაროვნების, რეაბილიტაცია, რამაც ერთგვარად განსაზღვრა პოემის როგორც ძლიერი, ისე სუსტი მხარეები (განსაკუთრებით მეორე ნაწილში) და მას, შეიძლება ითქვას, ზედმეტად პოლემიკური ტონი მიანიჭა. თუმცა, მიუხედავად ერთგვარი გადაჭარბებისა, იოსებ თბილელმა ძირითადად სწორად წარმოგვადგენია გიორგი სააკაძის მხატვრული სახე. პოემის მიხედვითა, დიდი მოურავი სამშობლოსთვის თავგანწირული რაინდია. ავტორი გვამლევს საყურადღებო კონცეფციას: მოლიპულ, გზებზე იძულებითი სიარულის მიუხედავად, გიორგი სააკაძის პიროვნებაში ყოველთვის ძვერდა მამულიშვილის გული. დიდგვარიან თავადთა შურისძიებამ სააკაძე აიძულა გადახვეწილიყო სპარსეთში, რაც მას სასინანულოდ შეექმნა. “ესე მე ვიცი იქ წასვლა ვერა ვქენ კაი ცნებითა, დგომა და წასვლა ორივე შექმნია ბოლოს ვნებითა” (სტრ. 160). საქართველოში შექმნილმა ვითარებამ აიძულა გმირი, ხლებოდა მოსისხლე მტერს - შაჰ-აბასს. არც თავის დახსნა იყო ადვილი: “ველარ დავეხსენ ადვილად, თავი მახესა განება”-ო (სტრ. 170). სააკაძე ხელსაყრელ შემთხვევას ელოდა. დადგა კიდეც ეს ნანატრი ჟამი. მისი მეთაურობით ქართველები სასტიკად ამარცხებენ ქართლ-კახეთში შემოჭრილ ყორჩიხანის მრავალრიცხოვან ლაშქარს. ამას

მოსდევს მარაბდის სისხლისმღვრელი ბრძოლები და სააკაძის დაუღალავი მოქმედება, რამაც აიძულა სპარსეთის მეორე სარდალი ყორჩიბაშიც გასცლოდა საქართველოს მიწა-წყალს. სააკაძის თავდადება კარგადაა გამოკვეთილი პოეტური ფრაზით: “ქვა არსად არის ქართლშია, რომ ჩემი სისხლი არ სცხია”. თეიმურაზთან კონფლიქტის დროსაც იოსებ თბილელი დადებითად წარმოგვიდგენს სააკაძის მორალურ სახეს. აქაც იგივე მიზეზები მოქმედებდნენ. დიდგვარიანი თავადები, რომლებიც ამკარად იბრძვიან ძლიერი საქართველოს შექმნის წინააღმდეგ, კიდევ ერთხელ აუმხედრებენ მეფეს (ამჯერად თეიმურაზს) გიორგი სააკაძეს. ავტორი აქაც შენიშნავს, რომ ესეც იძულებითი ნაბიჯი იყო მოურავისთვის. ”რაცა მოხდა სრულ ვიცოდი, არ მინდოდა ესე ომიო”, - ამბობს ბაზალეთის ძმათა სისხლისმღვრელი ომის შემდეგ გადახვეწილი სააკაძე. ავტორი ბედისწერის უცნაურ განაჩენს მიაწერს ამ ამბავს. ოსმალეთში გამეფებული გმირი რაინდი ღრმა სინანულით აცხადებს, რომ კვლავ დაიღუპა საქართველოს ერთიანობის საქმე:

უჩემობით მებრალეები, ვამე, ქართლო, სუსტობისთვის,
გალავანი დაგექცევა, გადგებიან ზოგნი თვისთვის;
ეგ ზომ ჩემი ჭირნახული აწ დავაგდო როგორ სხვისთვის?
ოდეს მტერი წამოგატყდეს, მომიგონეთ ამა თქმისთვის!

გიორგი სააკაძის ტრაგიკული სახის გამოკვეთას ავტორი ოსმალეთის ამბებით ასრულებს. სამშობლოდან იძულებით გადახვეწილი გმირი სხვათა ინტერესების ბრმა აღმსრულებელი ხდება და აქაც უმადურობისა და ვერაგობის მსხვერპლი შეიქნება. ბედისწერის უკუღმართობას გამოხატავს სააკაძის სიტყვები:

ჩემთვის დარმა მოიღრუბლა, აღარ არის მზიანია?
ვიზედაც რომ კარგი ვქენი, მე შემექნა ზიანია.

თავის დროის მოწინავე აზრების მატარებელ მოღვაწედ სახავს ავტორი გიორგი სააკაძეს და მრავალგზის შენიშნავს, რომ იგი საქართველოს ერთიანობისა და ძლიერებისათვის თავდადებული მებრძოლი იყო. იგი ვერ ეგუებოდა დიდგვარიანთა გათიშულობას. ეს იყო ერთი უმთავრესი მიზეზი ქართლ-კახეთის სისუსტისა. სააკაძე შეუპოვრად იბრძოდა დიდგვარიანთა წინააღმდეგო. იოსებ თბილელი ამის გამო მაღალ შეფასებას აძლევს თავის გმირს და მას ქართლის გალავანის შემკვრელს უწოდებს (“ქართლს მოვავლე გალავანი, აწ ვინ აქცევს ზღუდეებსა? ჩემად ნაცვლად ჩემს სამკვიდროს ვინ დაიდებს ბუდეებსა”).

იოსებ თბილელს მართებულად აქვს შემჩნეული, რომ სააკაძე, რომელიც წარმოშობით აზნაურთა წოდებას ეკუთვნოდა (“ვექვ, ზოგ თავადსაც მოსწადდეს ჩემებრივ აზნაურობა”, სტრ. 344), დაბალ ფენებზე იღებდა ორიენტაციას და მათ უპირისპირებდა გათიშულობის მოტრფიალე დიდგვარიან თავადებს. იოსებ თბილელი გვიჩვენებს კიდევ ხალხის წიაღიდან გამოსულ გმირებს და მათ სააკაძის თანამებრძოლებად სახავს. საკმარისია გავიხსენოთ ლომი ჩრდილელი, რომელმაც დიდი თავგანწირულობა გამოიჩინა მარაბდის ომში, ბააკა ხერხეულიძე და პაპუნა ჩივაძე, რომლებმაც წავკისში მეფე ლუარსაბის რისხვისაგან იხსნეს გიორგი, თამაზ ქარციძე და პაპუნა ვაშაყაშვილი, რომელსაც თავგანწირულ ვაჟკაცად იხსენიებს თვითონ სააკაძე. მოურავის მჭიდრო კავშირი დაბალ ფენებთან დამოწმებულია პოემაში: “დაბალს კაცს ბევრი შევმატი, არ უყვი დიად მცრობანიო” (სტრ. 346).

იოსებ თბილელი უეჭველად შორს გასცდა კონკრეტულ მიზანდასახულებას (სააკადის რეზილიტაცია) და შექმნა სამშობლოსათვის თავდადებული გმირის მხატვრული სახე, რაც ნიმუშად და მაგალითად უნდა გადასცემოდა შთამომავლობას. საინტერესოა, რომ არჩილსაც სწორედ ასე ჰქონდა წარმოდგენილი სააკადის მოღვაწეობის მნიშვნელობა და მის თავდადებას შთამომავლობისთვის მისაბამად თვლიდა.

იოსებ თბილელი ამ შემთხვევაში უშუალოდ აგრძელებს არჩილის ხაზს. შთამომავლობამ უნდა შეაფასოს სააკადის საქმეები და, რაც კარგია, ის უნდა გაიხადოს სახელმძღვანელოდ. მოურავის პირით ავტორი ესაუბრება მომავალ თაობებს:

ეს სიტყვები რად მოვიდე, გასინჯეთ და ყურად იღეთ,
კარგნო კაცნო, საანდაზოდ ჩემი საქმე გარდაიღეთ,
ჩემგან ქმნილი რაცა სჯობდეს, ზოგნი დევით, ხან აიღეთ,
ავი-შორად განუტევეთ, კარგნი-თქვენკენ წამოიღეთ! (448)

იოსებ თბილელმა შექმნა მხატვრულად დამაჯერებელი სახე სამშობლოსთვის თავდადებული გმირი-რაინდისა. და ეს არის პოემის უმთავრესი ღირსება. ამის გამო “დიდმოურავიანი” მკვეთრად გამოირჩევა XYI - XYII საუკუნეების ქართულ ისტორიულ ეპოსში.

თბილელი კარგად ამჩნევდა მისი დროის სოციალურ უთანასწორობას და, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, სოციალურ შემწყნარებლობას უჭერს მხარს. ამავე დროს იგი მეტისმეტად ბრძადა უყურებს ბატონყმობის ინსტიტუტს და მკრეხელობად მიაჩნია ყმისგან პატრონის ურჩობა, თუნდაც რომ პატრონი იყოს დამნაშავე. პოემაში ამის თაობაზე აფორისტული ფორმულებითაა გამოკვეთილი ეთიკის ნორმები: “ბატონი რომე ტყუოდეს, ისრევ ყმას დამარცხებია”, “პატრონის შებმა არა ჰხამს, ყმას ხმალი მოუცვილდების”, “ბრძანება არის ბატონზე ყმასა არ გამარჯვებია” და ა. შ. მაგრამ ეს სენტენციები (რაც გამოხატავს ავტორის შეხედულებას) ხშირად წინააღმდეგობაშია თვით პოემის სინამდვილესთან. ავტორი ხომ სიმპათიით უყურებს სააკადის მოღვაწეობას, თუმცა ზოგჯერ სწორედ სააკაძე გამოდიოდა თავისივე პატრონის მეტოქედ. იოსებ თბილელი მწარე საყვედურს ათქმევინებს სააკაძეს:

ზოგთ ბაგრატოვანთ ასრე ჭირს, არ ახსონთ სამსახურია,
რაგინდ რომ ბევრი აამო, ბოლოს არ გიგდონ ყურია.
მაბეზღარს სიტყვას უსმენენ, ვის ვისთვის რომ აქვს შურია.

ობიექტურად თბილელი აქ აკრიტიკებს მის მიერვე შექმნილ პატრონყმურ ინსტიტუტს.

პოემაში აშკარად შეიმჩნევა აგრეთვე ქრისტიანულ-მორალური ტენდენციების საკმაოდ მძლავრი გავლენა. ეს განსაკუთრებით ითქმის სოფლის ამაოების აღიარებაზე. ავტორი უკუღმართსა და გაუტანელს უწოდებს ცხოვრებას და ერთადერთ ხსნად საიქიო ქვეყანა მიაჩნია, რასაც მკვეთრად აძლიერებს მთავარი გმირის - გიორგი სააკადის ტრაგიკულ პიროვნებად წარმოდგენა და ქვეყნის ძნელბედობის მძიმე სურათები. საგანგებოდ შენიშნულია თბილელის კლერიკალურ-ეკლესიური განწყობილებები^[27] პოეტი ასე მსჯელობს: “თუ სულსა რამე უღვაწოთ,

ყველას ეს უკეთესია”. ასეთი შეგონება პოემის თითქმის ყოველ გვერდზე გვხვდება. საგულისხმოა, რომ პოემაში უხვად გადმოსულა ბიბლიური და საეკლესიო მწერლობის მზამზარეული სახეები. ისინი ზოგჯერ სრულიად უადგილოდ ჟღერენ რაინდი-გმირის ამქვეყნიურ ვნებათაღელვით სავსე ცხოვრების აღწერის დროს (იხ. სტრ. 255, 334, 446, 452, 303 და სხვ.). თბილელის პოემას მკვეთრად ამჩნევია XVII - XVIII საუკუნეების ქართული მწერლობის კიდევ ერთი ტენდენცია. ავტორი მძლავრ მიდრეკილებას ამჟღავნებს ბედის, ბედისწერის აღიარებაში. მიუხედავად იმისა, რომ ავტორი საკმაოდ ნათლად გვიხატავს მთავარი გმირის უკუღმართი ხვედრის ობიექტურ მიზეზებს (შინათამლილობა, დიდგვარიანთა ქიშპი, მამუზდართა მიერ გახელებული მეფეების უმადურობა, სააკაძის იდეალების განუხორციელებლობა და ა. შ.), იგი მაინც იქით იხრება, რომ თვით ბედისწერამ განსაზღვრა სააკაძის განწირული მოღვაწეობაო. “ბედმა მიყო, რაღა გკადრო. აწ თქმის ჟამი გადასულა”... “სამსახურის საპასუხოდ მე ეს მომცა ეტლმან ბედად”. ხოლო ერთ სტროფში ავტორი ლოცვასავით აღავლენს ბედისწერის გარდუვალობაზე:

რა მოვა კაცზედ განგება, ეტლი არ ბრუნავს ბედადო,
შუქურ მასკვლავი დახვდების პირდაპირ შემომხედადო!
ჩარხებსა ფრთანი დასცვივის, ზე მყოფი იქმნას ქვედადო,
დღე მოეწურვის, სვისაგან გახდების უიმედადო. (468).

იოსებ თბილელი თავისი მიმართულებით არჩილის ყველაზე ერთგული მიმდევარია. ამაზე მეტყველებს “დიდმოურავიანის” პროლოგი, საიდანაც ჩანს, რომ არჩილია შთამაგონებელი პოემის შექმნისა. მაგრამ მთავარი ის არის, რომ მთელი პოემა განხორციელება არჩილის პოეტური კონცეფციისა: შემოქმედმა მწერლობის საგნად მართალი ამბები უნდა გაიხადოსო. თბილელმა აიტაცა არჩილის თეორიული მრწამსი და თავის წინამორბედთან ერთად საისტორიო ეპოსის საგულისხმო ნიმუში შექმნა. მაგრამ, თუ თბილელი არჩილის მიმდევარია თემატიკის სფეროში, თემის პოეტურად დამუშავების დროს იგი რუსთველის განუზომელ გავლენას განიცდის (ისევე, როგორც არჩილი) და ესეც, სხვათა შორის, XVII საუკუნის ქართული მწერლობის ტიპიურ წარმომადგენლად ხდის მას. პოეტურ სახეთა დიდი ნაწილი იოსებ თბილელს “ვეფხისტყაოსნიდან” აქვს აღებული (იხ. სტრ. 81, 106, 208, 267 დასხვ.). ზოგჯერ იგი მზამზარეულ პასაჟებსაც კი იღებს “ვეფხისტყაოსნიდან” და თაისი მიზანდასახულებისამებრ ამუშავებს. სანიმუშოდ ერთი მაგალითიც კმარა, ლტოლვილ მოურავს ვინმე კოლოტაური დადევნებია საზღვარზე, ახლა, ვიშოვე დროო. მოურავი ჯერ თავს იკავებს და აფრთხილებს, თუ ვისთან აქვს საქმე, მაგრამ კოლოტაური წერას აუტანია. ამის შემდეგ მოურავის განრისხება და კოლოტაურის დაბნედა სწორედ ისეა აღწერილი, როგორც ტარიელია და როსტევიანის ყმების შეტაკებაა გადმოცემული “ვეფხისტყაოსანში”. თბილელი არა მარტო ბამავს, არამედ პირდაპირ უთითებს “ვეფხისტყაოსნის” ანალოგიურ პასაჟზე:

გავს, ტარიელ სად ტიროდა, წყაროსთან დგა ხისა ჩრდილი,
წავა, მიმწევთ გზაზე დაჰხოცს, ვედარ მისწვდა ავთანდილი.(155)

ეს ავტორის ტიპიური ხერხია და კიდევ ერთხელ გვიჩვენებს რუსთველის გავლენას. ჩვენი აზრით, იოებ თბილელთან უფრო მიტიც, უნდა დავინახოთ. “დიდმოურავიანის” კომპოზიციური გადაწყვეტა დიდად გვაგონებს ჩვენ

“ვეფხისტყაოსნის” ზოგ კომპოზიციურ თავისებურებას. როგორც ცნობილია, რუსთველმა პოემაში გაშლილი თხრობის დიდი ნაწილი მთავარი გმირის მონოლოგით გადმოგვცა. ტარიელის ამბავი, თვით ტარიელისაგან ნაამბობი, პოემის კომპოზიციის ერთ-ერთი თავისებურებაა. “დიდმოურავიანის” პირველი ნაწილი (ზუსტად მეთერთმეტე კარამდე) ასეთივე პოეტური ხერხითაა დაწერილი და მთავარი გმირის - სააკაძის თავგადასავალს შეიცავს. რაც შეეხება “დიდმოურავიანის” მეორე ნაწილს, სადაც სააკაძე ანდერძის ფორმით გადმოგვცემს თავისი ცხოვრების პერიპეტეებს, ჩვენ უნებურად გვაგონდება “ვეფხისტყაოსნის” გაგრძელებათა ერთ-ერთი თავისებურება: გმირთა თავგადასავლის გადმოცემა ანდერძების სახით. იოსებ თბილელის დროს ვრცელი “ვეფხისტყაოსანი” უკვე კარგა ხნის ჩამოყალიბებული იყო და უეჭველად შეინიშნება მისი გავლენა “დიდმოურავიანის” მეორე ნაწილზე (“ვეფხისტყაოსნის” ინტერპოლაციების პოეტური ენის გავლენაც განსაკუთრებით მეორე ნაწილზე მოდის). აქვე უნდა აღინიშნოს “დიდმოურავიანის” ერთი თავისებურება, რაც აგრეთვე “ვეფხისტყაოსნის” გავლენა უნდა იყოს, მიუხედავად არჩილისეული “მართლის თქმის” პრინციპების აღიარებისა, თბილელის მიერ დამუშავებული მთავარი სახე იდეალურადაა გადმოცემული. გიორგი სააკაძის ტრაგიკულ ფიგურას ავტორმა მოუნახა რომანტიული საღებავები და ამით ავტორმა უეჭველად ბევრად უფრო მაღალ პოეტურ ეფექტს მიაღწია. “დიდმოურავიანზე” შეინიშნება სხვა ეპიკურ თხზულებათა ზემოქმედების კვალიც (მაგ. “შაჰ-ნამე”, “ამირანდარეჯანიანი” და სხვ.). ეს იყო ე. წ. აღორძინების ეპოქის ძირითადი ლიტერატურული სტილი და აქ არც “დიდმოურავიანის” ავტორია გამონაკლისი. როგორც აღვნიშნეთ, იგი ზოგჯერ ტენდენციურია და იდეალურად გვიხატავს თავის პერსონაჟს, გიორგი სააკაძეს, მაგრამ ძირითადად ეს სახე მაინც გადაწყვეტილია სწორი პოზიციიდან^[28].

“დიდმოურავიანის” ავტორის პოეტური ენა არ არის ღარიბი გამომსახველობითი ხერხებით. მის თხზულებებში ჩვენ ხშირად გავლენათა გამოძახილს ვამჩნევთ, მაგრამ ამასთან არცთუ იშვიათად გაივლივებენ სრულიად ორიგინალური სახეები. ორიგინალური პოეტური ენით არის წარმოსახული, მაგალითად, ქართლის მძიმე მდგომარეობა მას შემდეგ, რაც სააკაძე სამშობლოს გამორდა. ერთმანეთზე უფრო მეტყველი და გამოკვეთილი სახეები მონაცვლეობენ მაჯამურად გაწყობილ სტროფში:

გული ჩემი სევდით სავსე შეჭირვებას გავს ებასა,
მთვარე ბადრად აღარა ზის, აღარც ელის გავსებასა,
დაშრტა სანთელთ სინათლენი, მიეწურა გავსებასა,
ქართლის ბაღი მოიკრიფა, აღარ ვეჭობ გავს, ებასა: (325)

თავისთავად შესანიშნავ სტრიქონებში, თუ პირველი და მეორე სახე (ბადრი მთვარე - სააკაძე, სანთელთ სინათლე - სააკაძის საქმენი) საერთოდ ცნობილია ძველ ქართულ პოეზიაში, მესამე სახე “მოკრეფილი ქართლის ბაღი” უეჭველად თბილელისეული სახე-მეტაფორაა და მეტად ორიგინალურია. თბილელის პოეტურ ენას მეტაფორულ მეტყველებასთან ერთად ხშირ შემთხვევაში ახასიათებს ტენდენცია აფორისტული ფორმულების სახით ჩამოყალიბოს ეთიკურ-მორალური შეხედულებები. თბილელისეული ზოგი თქმა-აფორიზმი ხალხის კუთვნილებად გადაიქცა. ანტონ ფურცელაძე თავის წიგნში “გიორგი სააკაძე და მისი დრო”... შენიშნავდა, რომ მას ქართლში ხშირად შეხვედრია თბილელის აფორიზმები, თუ

მათი ვარიაციები^[29]. XVII – XVIII საუკუნის ე. წ. აღორძინების მწერლობის მსგავსად იოსებ თბილელსაც ხშირად ზედმეტად იტაცებს მაჯამურ-ომონიმური გარიტმის ხერხები, მაგრამ ზოგ შემთხვევაში პოეტი წარმატებითაც იყენებს მას. ნიმუშად ზემომოტანილი 325-ე სტროფიც იკმარება.

საყოველთაოდ აღიარებული შეხედულებით, “დიდმოურავიანი” დაწერილია 1681 - 1688 წლებში. ეს არის მონაკვეთი არჩილთს “თეიმურაზიანის” დაწერისა და იოსებ თბილელის სიკვდილს შორის. “დიდმოურავიანის” პროლოგიდან ვიგებთ, რომ სწორედ არჩილმა უბრძანა ავტორს “განმარტებით” ეთქვა სააკაძის თავგადასავალი. ამასთან, “დიდმოურავიანში” არის ადგილი სადაც თბილელი პირდაპირ ასახელებს არჩილს “თეიმურაზიანს”:

მეფესა ქართლის ცხოვრება ებძანა გალექსულობით,
ზოგი რუსთველისა ბაასი, კახთ მეფის საქმე სრულობით. (2)

მაშასადამე, ჩანს, რომ “დიდმოურავიანის” ჩამოყალიბების დროს უკვე დამთავრებული ყოფილა არჩილის “გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა”. არჩილის გაბაასება დასრულდა ასტრახანში არა უგვიანეს 1682 წლის სექტემბრისას მაშასადამე, 1683 - 1688 წლებში უნდა იყოს შექმნილი იოსებ თბილელის “დიდმოურავიანი”. გ. ლეონიძე ეჭვს გამოთქვამს ამ დათარიღების გამო. ამ წლებში არჩილი რუსეთში იმყოფებოდა და მხოლოდ 1688 წლის შემოდგომაზე დაბრუნდა რაჭაში (ხოლო იოსები იმავე წლის გაზაფხულზე მოკლეს). მაშასადამე, არჩილი ვერ სთხოვდა თბილისში მყოფ იოსებს “ცოტა სიტყვის განმარტებას” დიდმოურავის შესახებ”-ო^[30]. გ. ლეონიძე აყენებს მოსაზრებას, რომ “დიდმოურავიანი” იქნებ მაშინ იყოს შექმნილი, როცა არჩილი საქართველოში იყო და აგროვებდა მასალებს თეიმურაზის თანამედროვეთა შორის (“რამეთუ ათორმეტ წელს კახეთს ვმეფობდი, მისნი დაზრდილნი და ნამსახურნი დარბაისელნი გვერთს მახლდნენ, ვკითხავდი ნაქმარსა მეფისასა და მიამბობდეს”) იქნებ ამ ხანებში სწორედ თავის პოემისთვის დასჭირდა არჩილს გიორგი სააკაძის ამბების დაწვრილებითი ცოდნა და ამიტომაც იოსებს შეუკვეთა “განმარტებით” მისი თავგადასავალის მოთხრობა. კ. კეკელიძემ მართებულად შენიშნა, რომ სრულიად შესაძლებელია არჩილის თხოვნა “განმარტების” შესახებ იოსებს რუსეთიდან მიეღოს და თანაც ზემომოყვანილი სიტყვები - “მეფესა ქართლის ცხოვრება ებძანა გალექსულობით” უკვე თავისთავად გულისხმობს “თეიმურაზიანის” არსებობას. ამასთან, ყურადღება უნდა მიექცეს სხვა მომენტებსაც. პოემიდან ჩანს, რომ “დიდმოურავიანის” დასრულების დროს არჩილი საქართველოში არ იმყოფებოდა. ამისთვის ყურადღება უნდა მივაქციოთ “დიდმოურავიანის” ეპილოგის ერთ ადგილს. პოემის დასასრულს თბილელი კვლავ მიმართავს არჩილს:

ეს არის ლექსად ნათქვამი, მნატრე ვინ თქვენის ხლებისა,
ზოგი რამ საღმთოც დავსწერე, სიტყვა ვჰთქვი წმინდათ ქებისა... (484).

მაშასადამე, როგორც ჩანს, იოსები პოემის დასასრულს ნატრობს არჩილთან გვერდს ხლებას, მასთან ყოფნას. ამდენად გარკვეულია, რომ პოემის დასრულების დროს არჩილი საქართველოში არ იმყოფება. აღსანიშნავია ისიც, რომ არჩილი და იოსებ თბილელი ზოგ შემთხვევაში ერთნაირად აფასებენ გიორგი სააკაძის მოღვაწეობას, როგორც ეს ზემოთაც დავინახეთ. არჩილი “თეიმურაზიანში”

დეტალურად აგვიწერს მარაბდის ომს. ცნობილია, რომ “არჩილიანი” არის ერთ-ერთი უმთავრესი წყარო როგორც “ქართლის ცხოვრების” გაგრძელებებისთვის, ისე ყველა თხზულებისა თუ, ქრონიკისთვის, რაც კი მარაბდის ამბებს შეეხება. მარაბდის ამბებს მოკლედ გადმოგვცემს “დიდმოურავიანის” ერთი დეტალი ნათლად არკვევს, რომ იოსებ თბილელი კარგად იცნობს არჩილის პოემას. მარაბდის ომის აღწერისას არჩილი ახსენებს თავდადებულ მებრძოლებს და აქ გადმოცემულია ასეთი ამბავი: ზურაბ ერისთავის ძმამ დათუნამ და ავთანდილმა უკუაქციეს მტრის რაზმი და ბოლომდე სდიეს მათ: “ზურაბ ადრე დაგვიკოდეს, თურე სისხლმან შეაწუხეს, იმისმა ძმამ დათუნამა და ავთანდილ დაიქუხეს, რაზმი განვლეს, უკან სდივეს მუნამდისი, სად დგა მუხეს”. ზუსტად ასევე ამბობს იოსებ თბილელი და დასძენს, რომ შორს წასული ვაჟკაცები იმ დღეს მათ ვერ უპოვნიათ: “ავთანდილ და დავით ორნიც იმა დღესა ვერ ვიპოვნეთ” ...და “მეორე დღესა მოვიდნენ, გაევლოთ იქით რაზმია” ამკარაა, რომ თბილელი კარგად იცნობდა “თეიმურაზიანს”. რაც თავის მხრიდან “უდავოს ხდის “დიდმოურავიანის” დამოკიდებულებას “თეიმურაზიანზე”^[31]. ამასთან, როგორც 484-ე სტროფი ცხადყოფს, არჩილი ამ დროს თბილელისგან შორს იმყოფება. ამ მასალების მოშველიებით ასეთი დასკვნა უნდა გამოვიტანოთ: არჩილს, რუსეთში წასვლის და “თეიმურაზიანის” დასრულების შემდეგ, იოსებ თბილელისთვის შეუკვეთია მოურავის ამბების დაწვრილებით გალექსვა. იოსები ამ დროს უკვე იცნობდა არჩილის პოემას (ნაწილობრივ თავის წყაროდაც გამოუყენებია იგი) და შეუსრულებია არჩილის თხოვნა. მაშასადამე, “დიდმოურავიანის” დაწერის თარიღად ზუსტად 1683 - 1688 წლები უნდა ვივარაუდოთ.

^[1] “დიდმოურავიანი”, 1851 წ., გვ. 3.

^[2] იქვე, გვ. 75.

^[3] ქართ. ლიტ. ისტორია, II, გვ. 525.

^[4] მხედველობაში თუ არ მივიღებთ “დიდმოურავიანის” მე-14 სტროფს, სადაც ნათქვამია მოურავის სიტყვებით, რომ ჩემი ცხოვრება მომეცა “შვილიშვილის დასადგინად, სანატრელად ან იმედად”. აქ, ჩვენი აზრით, სიტყვა შვილიშვილი ზოგადი მნიშვნელობითაა ნახმარი და შთამომავლობას ნიშნავს, რომლის სანატრელი და იმედი ვარ მე, გიორგი სააკაძეო.

^[5] რასაკვირველია, შემდეგ ესენიც სხვადასხვა შტოებად დაიშალა, როგორიცაა თარხან-მოურავები, საამიშვილები და სხვ.

^[6] ბაბა, რაც თურქულად მამას (ან ზოგჯერ პაპასაც) ნიშნავს, გავრცელებული სახელია საქართველოს გამაჰმადიანებულ კუთხეებში (მაგ., სამცხეში, აჭარასა და საინგილოში). იხ. გ. ლეონიძე, გამოკვლევები და წერილები, I, 1958, გვ. 84.

^[7] საქართველოს სიძველენი, II, გვ. 83.

^[8] იხ. “დიდმოურავიანი”, სტრ. 35, 163.

^[9] “დიდმოურავიანის” მე-8 სტროფის მიხედვით გ. ლეონიძე ფიქრობს, რომ მოურავს მეორე ძმაც უნდა ჰყოლოდა.

^[10] დიდმოურავიანი, 1851, გვ. 2 - 3.

- [11] გ. ლეონიძე, გამოკვლევები, გვ. 87 - 90; კ. კეკელიძე, ქართ., ლიტ. ისტ. II⁴, გვ. 526.
- [12] მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 223 – 224.
- [13] შარდენი, გვ. 199 - 200.
- [14] საქართველოს სახელმ. ლიტერატურული მუზეუმი, ხელნაწ. № 6334/4.
- [15] გ. ლეონიძე, ვეფხისტყაოსნის ახალი ხელნაწერი, გამოკვლევები და წერილები, I, გვ. 187, 205; ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქცია, 1957 წ., გვ. 112-116.
- [16] დიდმოურავიანი, 185, გვ. 75.
- [17] ძველი ქართ. ლიტერატურის ქრესტომათია, შედგ. ს. ყუბანეიშვილის მიერ, I, გვ. 395 - 406.
- [18] დიდმოურავიანი, 1851, გვ. 75.
- [19] ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქცია, გვ. 116.
- [20] ვახუშტი ამბობს: ”მიერთგანა (ე.ი. სააკაჯის ქათლიდან გადახვეწის შემდგომ, - რედ.) აზრახებდა მოურავი ყეენის დაპყრობად ქართლისა”. ქარლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 57.
- [21] იქვე, გვ. 53.
- [22] დ. ჩუბინოვი, ქართული ქრისტომათია, I, 1846, გვ. 333. “მარტვილობის” ავტორია ანტონ კათალიკოსი.
- [23] ა. ფურცლამე, გიორგი სააკაძე და მისი დრო, გვ. 21.
- [24] საქ. ირტორია, I, 1956, გვ. 298
- [25] ტექსტები ციტირებულია გ. ლეონიძის გამოცემის მიხედვით (დიდმოურავიანი, თბილისი, 1939).
- [26] როგორც ცნობილია, იოსებ თბილელს “ვეფხისტყაოსნის” გაგრძელებებში თვითონაც ჩაურთავს რამდენიმე ანდერძი.
- [27] გ. ლეონიძე, გვ. 50.
- [28] შდრ. გ. ლეონიძე, “დიდმოურავიანის” შესავალი, გვ. 52.
- [29] გ. ლეონიძე, წერილები და გამოკვლევები, I, გვ. 116 - 117.
- [30] ალ. ბარამიძე, ნარკვევები, II, 1940, გვ. 232.
- [31] ხოლო არჩილი არ იცნობდა “დიდმოურავიანს”, იგი სხვა თხზულებების ხსენების დროს არ ასახელებს არც იოსებ თბილელს და არც მის “დიდმოურავიანს”.

ბაქარიანი

იესე ტლაშაძე არსებითად არჩილის მიმდევარია ქართულ მწერლობაში. იგი მე-18 საუკუნის პირველი ნახევრის მოღვაწეა. იესე ტლაშაძეს დაუწერია პოემა “კათალიკოზ-ბაქარიანი”¹. აქ აღწერილია ვახტანგ VI-ისა და მისი შვილის ბაქარის ამბები, ქართლის აოხრება სპარსელებისა და ოსმალებისაგან, ვახტანგის რუსეთში გარდახვეწა, ხოლო მისი ძმის, კათალიკოს დომენტის სტამბოლში გაწვევა და იქაური თავგადასავალი. ეტყობა, იესე ტლაშაძე ჯერ კიდევ 1724 წლამდე ყოფილა რუსეთში². მაგრამ მალე უკან დაბრუნებულა და კათალიკოს დომენტის გაპყოლია სტამბოლში.

¹ კთოლიკოზ-ბაქარიანი, ე. თაყაიშვილის გამოცემა, თბ., 1895; ბაქარიანი. გამოსაცემად მოამზადა სოლ. ყუბანეიშვილმა. თბ., 1962.

² ბაქარიანი, გვ. 11.

“კათალიკოზ-ბაქარიანი” სტამბოლშია დაწერილი 1727 წელს. იესე ტლაშაძეს საკმაოდ ცოცხლად აქვს მოთხრობილი სპარსელებისა და განსაკუთრებით ოსმალების ველური თარეში ქართლის ქვეყანაში. ერთგან მწერალი ასე ახასიათებს ქართლის მდგომარეობას ოსმალთა უღელქვეშ:

ადარ მოვიდა ქართლში მზე, აივსო ღრუბლით, ნისლითა,
ურუმნი³ ხელსა იბანენ ქართველებისა სისხლითა.

დიდი აღშფოთებითა და მძულვარებით მიმართავს იესე ტლაშაძე მოძალადე ოსმალების სისხლის მსმელ მეთაურ რაჯაბ-ფაშას:

რა ჯავრი გჭირდა, წყეულთ, ქართლი რომ გაათავია?
მდივნისშვილს დავითს და ზურაბს დააყრევინე თავია,
უბრალო კაცნი დაჰხოცე, რა გიყვეს იმათ ავია?
შენს ცოლსაც ის დღე მოუვა, რაც იმათ ცოლთ თქვან ვაია.

იესე ტლაშაძეს, ისევე როგორც გურამიშვილს, აღუწერია ქართველთა მამაცური ბრძოლა გორთან, ზედაველაზე (საარწივეს):

ატენის ბოლოს ქედია, ეტყვიან საარწივესა,
იქ შეუტივეს ერთმანერთს, შეიბნეს, შეერივესა,
უწინ აჯობეს ქართველთა, გადრიკეს, გააქცივესა,
მრავალი სისხლი კაცისა იმათ იქ დააქცივესა.

როგორც ცნობილია, ქართველობა აქ დამარცხდა “შინათვე ნადალატევით” (დავით გურამიშვილი). იესე ტლაშაძე აღნიშნავს, რომ “რაც ქართლს დამართეს (ოსმალებმა), დაწერა არ შეუძლია კალამსაო”. ფეშანგის მსგავსად იესე ტლაშაძეც ამჟღავნებს ერთგვარ კუთხურ, ქართლურ მიკერძებას. ქართლის უბედურებას იგი აბრალებს კახელებს. კახეთის მეფის კონსტანტინეს ამბების გამო ტლაშაძე შენიშნავს:

სულ კახნი დარბაისელნი ქართლის დაჭერას ჩქაროდეს,
ორთავ⁴ დაკარგეს ჯავრითა, ქართლზე ურუმნი ხაროდეს.

პერსონალურად კონსტანტინეს თვლის მწერალი ყოველგვარი უბედურების მიზეზად და წყევლა-კრულვას უგზავნის მას:

ეს შენ ქენ, კახო ბატონო, დაწყევლილო და ბედ-აო,
სამჯერ ყათლანი⁵ ქართველთა დამართე ზედი-ზედაო,
ლეკს ახოცინე, ურუმსა, ღმერთს რატომ არ შეხედაო?

ეჭვი არაა, პიროვნული განდიდებისა და გამორჩენის, აგრეთვე კუთხური პარტიკულარიზმის ნიადაგზე მდგარმა გამაჰმადიანებულმა კონსტანტინემ დიდი

³ ე. ი. ოსმალნი.

⁴ კონსტანტინემ და ვახტანგმა.

⁵ აწყვეტა, ხოცვა-ჟღჭტა.

ზიანი მოუტანა ქართლისა და კახეთის მოსახლეობას, მაგრამ არც ქართლის დიდკაცობას დაუყრია ხეირი ჩვენი ქვეყნისათვის. ფეოდალურ-კუთხური გათიშულობისადმი მავნე მიდრეკილება თანაბრად იგრძნობოდა როგორც კახეთის, ისე ქართლის თავად-აზნაურთა შორის. იესე ტლაშაძე ტენდენციურია, ხოლო მართალი იყო დავით გურამიშვილი, როდესაც აღიარებდა:

რაც მოგახსენე, მოგვგვარა ჩვენ ერთმანერთის ბრძოლამა,
ქართლი ოსმალომ დაიპყრა, კახეთი ლეკთა მოლამა.

მე-17 - 18 საუკუნეების საქართველოს მოწინავე მოაზროვნენი სამართლიანად ფიქრობდნენ, რომ ქვეყნის განსაცდელის უმთავრესი მიზეზი იყო შინაგანი უთანხმოება, კუთხური განკერძოება, ანუ ფეოდალური გაუტანლობა და აშლილობა. იესე ტლაშაძეს ეს ვერ შეუმჩნევია (ან განგებ იბრმავებს თვალეხს), მას ცალმხრივად აქვს გაშუქებული საქართველოს ისტორიული კატასტროფის ამბავი. ტლაშაძის ღირსება ისაა, რომ იგი სისწორით გადმოსცემს ცალკეულ, კონკრეტულ ისტორიულ ფაქტებს. განზოგადების ალღოთი იესე ტლაშაძე ძლიერ ჩამორჩება ისტორიულ-ნაციონალური სკოლის ისეთ წარმომადგენლებს, როგორც იყვნენ არჩილი და დავით გურამიშვილი.

საყურადღებოა, რომ იესე ტლაშაძე თითქოს პრინციპულად წინააღმდეგი ყოფილა უცხოეთში გარდახვეწისა, ყოველ შემთხვევაში ის დიდ საყვედურს ეუბნება თავის თავს:

შენ, ჩემო თავო, რა ჰქენი, სტამბოლს წამოხველ რათაო?
რატომ მოშორდი სამყოფსა, შვილთა, ძმათა და დათაო?

იესე ტლაშაძე თავყანს სცემდა შოთა რუსთველის პოეტურ გენიას, აუგად იხსენიებდა რუსთველის უნიჭო ინტერპოლატორებსა და ეპიგონებს, თუმცა თითონაც ძლიერ ბაძავდა “ვეფხისტყაოსნის” ავტორს. იესე ტლაშაძის პოემაზე დიდი ზემოქმედება მოუხდენია იოსებ სააკაძის “დიდმოურავიანს”. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ორივე ავტორის თითო სტროფს:

ზოგთ ბაგრატოვანთ ასრე სჭირს, არ ახსონს სამსახურია,
რაგინდ რომ ბევრი აამო, ბოლოს არ გიგდონ ყურია;
მაბეზღარს სიტყვას უსმენენ, ვის ვისთვის რომ აქვს შურია.
ვის რა გაოდა, ქართლშია მეც რომ მეჭამა პურია?
(დიდმოურავიანი, 279).

ზოგსა ბატონსა ესე სჭირს, არ ახსოვს სამსახურია,
რაგინდ რომ ბევრი მსახუროს, მან მას არ უგდოს ყურია,
როსცა გაკეთდეს, გადიდდეს, აღარ აჭამოს პურია.
თუ არ წამოხვალ, აქ იყავ, ჩვენ მოგვეც აწ დასტურია.
(კათალიკოზ-ბაქარიანი, 310).

რუსუდანია

რუსუდანის გვიანი შუა საუკუნეების ქართული ლიტერატურის მნიშვნელოვანი ძეგლია. თხრობის დიდი ნაწილი შეიცავს ე. წ. საღვთმშობლის ხასიათის ზღაპრებს, რომელთა ფანტასტიკა თხზულებას უდავოდ აახლოვებს საზღაპრო ეპოსთან. “რუსუდანისში” გამოყენებულია აღმოსავლურ ლიტერატურაში ფართოდ გავრცელებული კომპოზიციური ხერხი. თხრობა მიმდინარეობს ფაბულური ჩარჩოს ფარგლებში, რომელიც აწესრიგებს თხზულებაში წარმოდგენილ სხვადასხვა ხასიათის სათავგადასავლო, საღვთმშობლო თუ თავშესაქცევარ ზღაპრებს.

ფაბულური ჩარჩო შემდეგ ამბავს მოგვითხრობს:

იყო ერთი დიდებული და მორჩმული კაცი, რომელიც აღმოსავლეთისა და დასავლეთის საზღვარზე ცხოვრობდა. ამ კაცს, რომლის სახელია აფთვიმიანე, ჰყავდა თორმეტი ვაჟი და ღმერთს სთხოვდა, რომ ასული მიეცა. უსმინა მაღალმა ღმერთმა და ეყოლა მშვენიერი ასული - რუსუდანი.

მთხოვნელები აწუხებდნენ მეფეს, მაგრამ მას ფრიად უმძიმდა საყვარელ ასულთან განშორება და ყველას უარით ისტუმრებდა.

ამ ხანებში იამანეთის ქვეყანაში ცხოვრობდა მოხდენილი ჭაბუკი მანუჩარი. მისი მშობლები ერთ დროს იამანეთის მფლობელნი ყოფილან, მაგრამ ახლა იამანეთი სხვებს ჩაეგდოთ ხელში და მანუჩარი ფარულად იზრდებოდა ერთი დიდებულის ოჯახში. მანუჩარი მშვენიერი ჭაბუკი გახდა და მეფეთა კარზე დიდი სახელიც მოიხვეჭა. მალე იგი შეიტყობს რუსუდანის ქებას და მისი ხელის სათხოვნელად აფთვიმიანეს ეახლება. დიდი ხვეწნა-მუდარის შემდგომ იგი დაითანხმებს აფთვიმიანეს.

მანუჩარმა და რუსუდანმა კარგი ოჯახი შექმნეს. ეყოლათ შვილები, მაგრამ ისინი ვერ დატკბნენ ოჯახური ბედნიერებით. იამანეთის ახალი მფლობელები შურით უცქერიან მანუჩარის წარმატებებს და ერთ დღეს გამოიძახებენ თავიანთ კარზე. მალე არც ეს იკმარეს და მანუჩარს მისი ასულის, მშვენიერი როდამის მიყვანაც უბრძანეს. ქმრისა და ასულის განშორებით სასოწარკვეთილ რუსუდანს ეახლენ თვისიანები, რათა ანუგეშონ იგი. მტარვალნი ახლაც არ ცხრებიან და ამჯერად თავის კარზე მანუჩარისადა რუსუდანის ვაჟის ფრიდონის მისვლას მოითხოვენ. ფრიდონი იძულებულია დაემშვიდობოს თავის ქვეყანას, დედას და ეახლოს მათ.

რუსუდანი ენით აუწერელმა მწუხარებამ მოიცვა. ძმები იგებენ რუსუდანის უბედურებას და გამოემშურებიან იამანეთის ქვეყანაში.

მწუხარებაში ჩავარდნილი რუსუდანის საწუგემებლად ძმებმა ასეთ ხერხს მიმართეს: ისინი რიგრიგობით უყვებიან ზღაპრებს და ამით უნდათ გაართონ სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი დაი. ამასთან, ზღაპრები ისეა შერჩეული, რომ, მიუხედავად ათასნაირი ფათერაკისა, მისი გმირები ბოლოს მაინც აღწევენ თავს განსაცდელს.

ამ მაგალითებით უნდათ ძმებს, რომ სულიერი მხნეობა დაუბრუნონ რუსუდანს. მართლაც, მეათე ზღაპრის მოყოლის შემდეგ რუსუდანი სასიხარულო ამბავს შეიტყობს. იამანეთის მეფედ დანიშნული ფრიდონი მალე დაბრუნებას აპირებს. ქმარსა და ასულს განშორებული რუსუდანისთვის ფრიდონის დაბრუნება მაინც დიდი ნუგეშია და იგი მოუთმენლად ელის ამ დღეს. ახლა ძმები ცვლიან ზღაპრების კილოს და, როგორც ამბობენ, “შესაქცევარი” თხრობით ცდილობენ რუსუდანის გაართობას. მალე ფრიდონიც დაბრუნდება აფთვიმიანე თავისი ვაჟებითურთ გამოეთხოვება რუსუდანსა და გახელმწიფებულ ფრიდონს. ბოლოს გადმოცემულია გარდაცვალება რუსუდანისა, რომელსაც არ ეღირსა ქმრის ნახვა. ახლა კი, როგორც

იქნა, მანუჩარსაც შეეღვევიან მეფის კარზე და ისიც ბრუნდება სამშობლოში.

ამ ფაბულურ ჩარჩოში ჩართულია თორმეტი ზღაპარი, რომელთაც ერთი მთავარი მიზანდასახულება აახლოებს. აქ გადმოცემული ამბები ნუგეშად უნდა მოეფინოს სასოწარკვეთილ რუსუდანს. საკმარისია მოვიტანოთ ზღაპრების სათაური და ის მორალური შეგონებები, რომლებიც მათ თან ახლავს.

1. **“აქა პირველისა ამბვისა დასაწყისი: ამბავი ხელმწიფისა ზოსტერ ზოსიმეს ძისა და ძისა მისისა ზავისა”** [კარი პირველი]. ზღაპარს ახლავს ასეთი მორალური შეგონება, რომელიც რუსუდანს მიემართება: “აწ მომიხსენებია მათ უცხოთა ხელმწიფეთა ლხინიცა და ჭირიცა და შეაწონე საქმესა შენსა, ცოტად შენც აცადე მოწევნასა განსაცდელთასა” (გვ. 159)⁶.

2. **“აქა ამბავი ხათაელთა ხელმწიფისა ტომერანისა და ძისა მისისა ჯიმშედისა”** [კარი მეორე] შეგონება: “თუ ჯიმშედს დედა არ მოუკვდა, მოიცადა იმდენის გრძნებით გამოხსნა, შენ რად მოიკლავ თავსა და რად არ მოიციდი, ბძანებასა ღმთისასა შენთვი რა სწადია?!” (გვ. 245).

3. **“აქა ანბავი ყვითლის ქალაქისა და ხელმწიფის ნუმრევანისა და ძისა მისისა ხოსროსი”** [კარი მესამე]. შეგონება ანალოგიურია: “თავს რისთვის მოიკლავ? მოიცადე, ღმთისაგან წყალობა რა იქნება შენზე” (გვ. 321).

4. **“კარი პირველი დასაწყისი ურუმის ხელმწიფისა ყარამანისა და ძისა მისისა ყაისარისა, სასმენელად ამო და შვენიერი, რომელსა ყაისარიანი ეწოდების”** [კარი მეოთხე]. შეგონება ანალოგიურია: “მე ეს გამიგონია მეცნიერთა კაცთაგან და აწ თქვენ ბძანე: თუ მის ერთისა შვილისა მშობელნი არ დაიხოცნენ იმისი ისრე უცნაურად დაკარგვისათვის და ამდენი მოაცადნეს თავსა თვისსა, რომე ამდენსა ღმთის წყალობასა ღირს იქმნეს, შენ ხომ იცი, რომ დიდებისა და სიკეთისათვის წაიყვანეს მე შენი, შენ რად არ მოიცილო?” (გვ. 403).

5. **“აქა ანბავი გლახათა ხელმწიფისა ნოდარისა და ძისა მისისა გვარჯასპისა”** [კარი მეხუთე]. ზღაპარი სრულდება ასეთი მიმართვით: “ამდენი ხანია, გომზერ მწარესა სევდასა შინა მყოფსა, რომე თვალით არ მინახავ და ყურით არ მასმია. აწ მომიხსენებია ეს ანბავი. შეაწონე საქმე შენი და, რაც იმათ ექნას, ის შენ ქენ”: (გვ. 501).

6. **“აქა ხელმწიფის იბრეიმის ანბავი”** [კარი მეექვსე]. შეგონება ანალოგიურია და განგების მოლოდინზე ამყარებს იმედს: “რაც მას დაემართა, უკეთუ აცადო უფალსა, შენცა მას მოელოდე და, თუ არა და - მაგისთანათა საქმითა და ღმთის დავიწყებითა ვერცა რას შენ იშოვებ, ვერცა რას სხვაო” (გვ. 514).

7. **“აქა ანბავი ბერძენთა მეფისა კოსტასი”** [კარი მეშვიდე]. შეგონება მოთმინებასა და განგებაზე დაყრდნობას ქადაგებს: “რად მოიკლავ თავსა? არცა მოწყენითა და არცა სიხარულითა უფალი თავის ნაბძანებსა არ მოშლის და ვერცა ვის ძალუც შეცილება და მინდობითა მისითა ყოველი კეთილი შეეძინება კაცსა” (გვ. 519).

8. **“ანბავი ამირყასუმისა”** [კარი მერვე]. შეგონება ანალოგიურია: “ჩვენ არა სოფლისა გაშვებად გაწვევთ, არცა დიდებისა დატევებად, არამედ მოცდასა გენუკვით ღმთის წყალობისასა და შეტყობასა სიხარულისასა, რომე არა საყვარელთა შენთა უნახავად მწუხარებითა მოიკლა თავიო” (გვ. 527).

9. **“აქ ანბავი დუშმანქამანაქის ხელმწიფის გოსტამისა”** [კარი მეცხრე]. შეგონება ანალოგიურია: “სოფელი ასე მქნელია, რომე არცა ვინ ჩვენს წინათ ყოფილა

6 რუსუდანიანი, ილ. აბულაძის და ივ. გიგინეიშვილის რედაქციით, თბილისი, 1958. ქვემოთ მითითებულია ეს გამოცემა.

ჭირუნახავი და განსაცდელისაგან დაუცდელი და არც ჩვენს უკან იქნება” (გვ. 564).

10. “აქა შამისა ხელმწიფის ბარნაოზის ანზავი” [კარი მეათე]. შეგონება მოთმინებას გვასწავლის: “აწ ამაღ მოგახსენე, რომე, თუ შვიდი წელიწადი მისთანასა ღარიბობასა მისთანამა მძღავრმა და მაღალმან ხელმწიფემან დაუთმო, რომ თვისითა თვალითა ხედევდა მისსა მორჭმა-დიდებასა სხვათა ხელში და მისთა ნასყიდთა მონათგან გაკითხვა არ ეღირსებოდა და არცა თავის სიმდიდრესა ჰკვებდა და არცა მათსა უწყალოებასა ამაგებდა... შენ რად არ დაუთმო მცირესა მაგას განსაცდელსა და არა დააცადებ მოწვენაო მრავალსა კეთილსა, რომელი განუმზადებია შენთვის ღმერთსაო?” (გვ. 5711.).

11. “აქა ხაზართ მეფის ანზავი და სამთა ძმათა დელამთ მეფის ძეთა” [კარი მეთერთმეტე]. შეგონება კვლავ მოთმინებას ქადაგებს, ამავე დროს, რუსუდანის ვაჟის ფრიდონის მომავალ დაბრუნებასა და გახელმწიფებასთან დაკავშირებით, გვარიშვილობის ლეგიტიმისტურ მოტივს შეიცავს: “ხელმწიფეთა ნათესავთა ჭირი და სიღარიბე მრავალი გარდაუხდია(თ) და კიდევ მრავალი გარდიხდიან, მაგრამ ღმერთი ბოლოს მათს გვარიშვილობას არ დაკარგავს, ვითა დელამ მეფის ძეთა არ დაუკარგა”⁷.

12. “აქა ანზავი იტიტინესი და ილაპარაკესი” [კარი მეთორმეტე]. აქ ზღაპრის დანიშნულება სხვაა. ფრიდონის მოლოდინში რუსუდანს “შესაქცევარ” ამბავს უყვებიან. რუსუდანი თვითონვე მიმართავს ძმებს: “აწ მოლხენათა შესაქცევარი რამ გეცოდინებათო” (გვ. 574). შეგონებათა ძირითადი ლეიტმოტივი აქაც უცვლელია: “შენ ღმთისაგან ამას რისთვის არა სჯერხარ, რომე ყოვლის ბოროტისაგან ადრე იხსნის მოსავსა და მინდობილსა მისსა და რა საკვირველია ღმთისაგან შენთა განსაცდელთაგან გამოხსნაოს” (გვ. 595).

აღსანიშნავია, რომ წინააღმდეგ ტიპიური ჩარჩოიანი თხზულებისა, “რუსუდანიანში” მთავარი ამბავი (ქარგა) დასრულებული და მხატვრულად საინტერესო ნაწარმოებია. ამ ნაწილში რუსუდანიანის ავტორი სრულ დამოუკიდებლობას ამჟღავნებს. იამანეთის სახელმწიფოს ბედი უნებურად გვაგონებს საქართველოს ისტორიულ ცხოვრებას. თხზულების მთავარ გმირთა თავგადასავალიც ბევრ ანალოგიას ჰპოვებს ჩვენი ქვეყნის მძიმე წარსულში. “რუსუდანიანში” ალეგორიულად მინიშნებულია იამანეთის სახელმწიფოზე, რომელიც შევიწროვებულია ძლიერი მეზობლისაგან. იამანეთის თავკაცები იძულებული არიან ეახლონ დამპყრობლებს (ზოგი ხელნაწერით სპარსეთის მეფეს), აკეთონ მათი საქმეები და შემდეგ მათივე ვერაგობის მსხვერპლი შეიქმნენ. ასეთია რუსუდანიისა და მანუჩარის ქალის როდამის ბედი, როცა ის იძულებათ წაიყვანეს მტარვალ მეფეთა კარზე. საკმარისია აქ გავიხსენოთ თხზულების ერთ-ერთი მთავარი სიუჟეტური მოტივი. მემკვიდრთა გაწვევა უცხო მეფეთა კარზე და ამასთან დაკავშირებული რუსუდანიის სულიერი განცდები. ეს აშკარად შთაგონებულია ქართველი უფლისწულების არაიშვიათი ხვედრით (ჯერ კიდევ მონგოლთა ეპოქიდან მოკიდებული), თითქმის ყველა ქართველ ტახტის მემკვიდრეს გაუვლია ეს სახიფათო გზა. ძნელია აქ მოინახოს ზუსტი პარალელები, მაგრამ ერთი რამ ფაქტია: “რუსუდანიანის” ავტორი მთელი თხზულების მანძილზე შესანიშნავად ახერხებს დიდი ეროვნული ტკივილების გამომჟღავნებას.

რაც შეეხება თორმეტ ზღაპარს, რომლითაც გაფორმებულია თხზულების სრულიად ორიგინალური ფაბულა, ისინი უდავოდ კომპილაციურ ხასიათს

⁷ ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, ნარკვევები, II, გვ. 89.

ატარებენ. თხზულების ავტორს, როგორც ჩანს, სხვადასხვა ზეპირი და წერილობითი წყაროს მოშველიებით საფუძვლიანად გადაუმუშავებია ცნობილი სიუჟეტები თუ ხალხში გავრცელებული მოარული ზღაპრები (არის ისეთი შემთხვევებიც, როცა ავტორი ზედმიწევნით ეყრდნობა თავის წყაროს). თხზულების სწორედ ამ ნაწილზე მოდრს ზედმეტი გატაცება სადევგმირო ფანტასტიკით, რაც ძალაუნებურად გვაფიქრებინებს კლასიკური ეპოსის დაკნინების ნიშნებზე. რასაკვირველია, “რუსუდანიანი” აქ განცალკევებით არ დგას გვიანფეოდალური ხანის ქართულ ლიტერატურაში.

ავტორი მეტწილად თვითონვე შენიშნავს, რომ “რუსუდანიანის” ზღაპრები სხვადასხვა წყაროდან მომდინარეობს. რუსუდანსო “ძმანი რომელიმე ნახულთა, რომელიმე ნასმენთა, რომელიმე ძველთა წიგნთაგან აღმოკითხულთა ამბავთა უამბობდიან”. მე - 4 ზღაპარზე ერთ-ერთი ძმა პირდაპირ შენაშნავს: “მათის ენითა მე ქართულად მითარგმნია და მას მოგახსენებო”, ან იქვე: “ეს ამბავი სარკინოზთაგან მოგვესმა, მათის ენითა ჩვენ ქართულად ვთქვითო”. რასაკვირველია, ავტორი ამ ზოგადი შენიშვნების იქით არ მიდის და არ ჩანს კონკრეტულად, თუ, რა წყაროებით სარგებლობდა იგი.

“რუსუდანიანის” წყაროების გამოკვლევა ამ თხზულების შესწავლას ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა. ამ საკითხის კვლევა ჩვენში ჯერ კიდევ XIX საუკუნეში დაიწყო. ყველაზე მკვეთრად “რუსუდანიანის” წყაროების შესწავლის საკითხი ნ. მარმა დააყენა. მისი აზრით, “რუსუდანიანის” წყაროები უნდა დაიძებნოს არა მარტო ძველ ქართულ მწერლობაში, არამედ ფოლკლორსა და აღმოსავლურ ლიტერატურაშიც.⁸ ამჟამად ძირითადად გარკვეულია “რუსუდანიანის” ავტორის მიერ როგორც წყაროების გამოყენების ხასიათი, ისე ზოგი მისი წყაროც. ამ მხრივ აღსანიშნავია ალ. ბარამიძის ნარკვევი “რუსუდანიანის” ლიტერატურული წყაროები, რომელშიც სპეციალურად განხილულია ეს საკითხები⁹ “რუსუდანიანის” პირველი ზღაპარი “ამბავი ხელმწიფისა ზოსტერ ზოსიმეს ძისა და ძისა მისისა ზავისა” მოდის “ვარშაყიანის” ერთ-ერთი ეპიზოდებიდან. ამ ორი თხზულების შედარებამ ცხადყო, რომ “საერთოდ და მთლიანად ზავისა (რუსუდანიანიდან) და ზაბრჯათის (ვარშაყიანიდან) მოღვაწეობა და გმირული თავგადასავალი აშკარა გამეორებაა. ეს გვაძლევს საბუთს დავასკვნათ, - აღნიშნავს ალ. ბარამიძე, - რომ ”რუსუდანიანის” პირველი ზღაპარი უშუალოდ “ვარშაყიანის” გადამუშავებას წარმოადგენს¹⁰. “რუსუდანიანის” მესამე ზღაპარი აგრეთვე კომპილატური თხზულებაა. სპეციალურმა შედარებამ გამოარკვია, რომ ამ ზღაპრის ბევრი ეპიზოდი “შაჰ-ნამეს” ქართულ ვერსიების გადაკეთებას წარმოადგენს. მაგალითად, ნიშანდობლივია ამ ზღაპრის ეპიზოდი “აქა მეორე ომი ხოსროსი და ბარზინისა და ხოსროსგან ბარზინის სიკვდილი”, რომელიც აშკარად “შაჰ-ნამეს” ცნობილი ეპიზოდის “აქა ომი როსტომისა და ბარზუსის” უბრალო გარდათქმაა¹¹ მე-4 ზღაპრის უშუალო წყარო ამჟამად გამოურკვეველია, მაგრამ თვით “რუსუდანიანის” ავტორი არ მალავს მის წარმომავლობას: “ეს ამბავი სარკინოზთაგან მოგვესმა, მათის ენითა ჩვენ ქართულად ვთქვითო”. მე-6 ზღაპარზე ალ. ბარამიძე შენიშნავს, რომ იგი ძალიან ჰგავს ე. წ. “დიფნის ქალაქის ამბავს”, რომელიც გამოაქვეყნა ალ. ხახანაშვილმა¹². მე-6 ზღაპარი,

⁸ Восточные заметки, 1895, გვ. 229 – 240.

⁹ ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, ნარკვევები, II, გვ. 93 - 113.

¹⁰ ი ქ ვ ე, გვ. 113.

¹¹ ი ქ ვ ე, გვ. 97 - 99.

¹² ი ქ ვ ე, გვ. 113.

ნ. მარის აზრით, უნდა მომდინარეობდეს აგიოგრაფიული თხზულებიდან “ცხოვრება წმ. ევსტატესი და მოყვასთა მისთა”¹³. ეს აზრი გაიმეორა ალ. ხახანაშვილმაც¹⁴.

ამჟამად გარკვეულია, რომ ეს ზღაპარი იბრიმ ხლმწიფის შესახებ, გადმოკეთებულია “ბახთიარ-ნამეს” ფანაისეული რედაქციიდან, რაც ექვმიუტანლად დაამტკიცა ალ. ბარამიძემ¹⁵. მე-7 ზღაპარი ეხება ბერძენთა მეფეს კოსტას ამბავს და, როგორც კ. კეკელიძე შენიშნავს, აქ “უნდა გვექონდეს ერთ-ერთი მოარული ლეგენდა კონსტანტინე დიდის შესახებ”¹⁶. მკვლევარი დასძენს, რომ მე-10 ზღაპარიც პარალელს პოულობს ერთ თხზულებაში, რომელსაც ანგია ლალი ეწოდება და რომელიც გამოქვეყნებული აქვს ალ. ხახანაშვილს¹⁷.

გავრცელებულ სიუჟეტს შეიცავს მე-12 ზღაპარიც, რომელსაც “იტიტინე და ილაპარაკე” ეწოდება. ეს ზღაპარი გაუღიქსავს, მაგალითად, ხოსროვ დეჰლევის თავის პოემაში “ჰაფთ ბეჰიშთი” (რვა სამოთხე, პირველი ნოველა)¹⁸ მსგავსი სიუჟეტი მოგვეპოვება ქართულ ფოლკლორში და ამავე ზღაპრის ჩონჩხი, როგორც კ. კეკელიძე აღნიშნავს, სომხურ მწერლობაშიც ყოფილა ცნობილი¹⁹. ამ შემთხვევაში “რუსუდანიანის” ავტორი რომელს ეყრდნობა უშუალოდ, ჯერ არ არის გამორკვეული. როგორც ვხედავთ, ჯერ არ ვიცით აგრეთვე მე-2, მე-8 და მე-11 ზღაპრის პირდაპირი წყაროები, მაგრამ “რუსუდანიანის” საერთო ხასიათი და წყაროებთან დამოკიდებულების შესწავლა ნათელს ხდის, რომ ეს ზღაპრებიც კომპილაციური დამუშავების ნაყოფი უნდა იყოს.

“რუსუდანიანის” წყაროებზე მუშაობისას ალ. ბარამიძემ გამოიტანა შემდეგი დასკვნა: თხზულების ავტორი ხშირ შემთხვევაში ზუსტად იმეორებს თავის წყაროს და ეს ქმნის დიდ სტილურ სიჭრელეს, რაც აგრე თვალში საცემია “რუსუდანიანის” კითხვის დროს. უფრო მეტიც, ეს მომენტი განსაზღვრავს არა მარტო ენობრივ მასალას, არამედ თვით მთელი თხზულების ეკლექტიკურ ხასიათსაც. “რუსუდანიანი” წარმოადგენს როგორც სადევეგმირო, ისე საზღაპრო და სახასიათო ამბებისა და ნოველების კრებულს. მაგრამ ამასთან სწორადაა შენიშნული სამეცნიერო ლიტერატურაში: მიუხედავად წყაროებზე ასეთი დამოკიდებულებისა, “რუსუდანიანის” ავტორი ხშირ შემთხვევაში თავის უმთავრეს იდეურ ხაზს წარმატებით ავლენს ამ კომპილაციურ ნაწილშიც. მსგავსად პირველი მონაკვეთისა (თხზულების ორიგინალურთ ქარგა), აქაც ავტორი გადმოგვცემს ეროვნულ ტენდენციას და იძლევა დამახასიათებელ დიდაქტიკურ-მორალურ შეგონებებს. “რუსუდანიანის” ზღაპრების პერსონაჟები მეტწილად სამართლიანობისა და თავის ქვეყნისთვის თავდადებულ გმირებად გვევლინებიან. “რუსუდანიანის” ავტორი ძალიან მჭიდრო კაჯშირშია მდიდარ ქართულ ფოლკლორთან და ამაში უნდა დავინახოთ თხზულების ერთ-ერთი ძირითადი თავისებურება. სამეცნიერო ლიტერატურაში საგანგებოდ შენიშნავენ “რუსუდანიანის” შედარებით მსუბუქ, ხალხური მოქცევებით მდიდარ ენას, რაც მას უეჭველად აახლოებს ქართულ ხალხურ საზღაპრო ეპოსთან. ხალხურ საზღაპრო ეპოსთან მჭიდრო კავშირშია აგრეთვე

¹³ Восточные заметки, გვ.29.

¹⁴ Очерки, III, გვ. 8 – 9.

¹⁵ დასახ. ნაშრომი, გვ. 100 – 105.

¹⁶ კ ე კ ე ლ ი ძ ე, ქართული ლიტ. ისტორია, ტ. II, გვ. 428.

¹⁷ Очерки, III, გვ. 52.

¹⁸ დ. კ ო ბ ი ძ ე, სპარსულ-ქართული ლიტ. ურთიერთობანი, საქ. მეცნ. აკადემიის მოამბე, , III, № 5, გვ. 393 - 394.

¹⁹ ზემოთ აღნ. შრომა, გვ. 428.

“რუსუდანიანის” მრავალი მოტივი, რომლებიც პარალელს პოულობენ ფოლკლორულ მასალებში. როგორც ძველ ქართულ მწერლობაში, ისე განსაკუთრებით ფოლკლორში თითქმის .დამოუკიდებელ ჟანრამდე იყო განვითარებული ე. წ. გოდება-დატირების მოტივი. “რუსუდანიანის” უბრალო გადათვალთვლება კი არა ერთ შესანიშნავ ნიმუშს იძლევა აღნიშნული მოტივის თვალსაზრისით. აქ პირდაპირ, მთელი თავისი უშუალოებით გადმოსულია ხალხური გლოვა-დატირება და თხზულების ავტორს თავის მიზანდასახულებისამებრ გადაუმუშავებია ისინი. კ. კეკელიძეს თავის სპეციალურ ნარკვევში “გოდების ჟანრი ძველ ქართულ ლიტერატურაში” (ეტიუდები, I) არა ერთი ადგილი მოაქვს ძველქართული მწერლობის ძეგლებიდან, რომლებშიც ხალხური დატირების გამოყენებით ძველი ქართველი მწერლები ამ ჟანრის საინტერესო ნიმუშებს იძლევიან. ამ თვალსაზრისით საყურადღებო მასალას შეიცავს “რუსუდანიანიც”. მისრეთის დედოფალი ასე დასტირის გმირ-ფალავან ზავს: “ჰე, ლომკაცო და უძლეველო, ედემს ნაზარდის ალვისა ხევ და სამოთხისა სურნელაყვავებულ ვარდო, ჩემის თვალისა დაუდამებლო ნათელო და გულისა მოუკლებლო სიხარულო... განა ძმაო, ჩემო ღმერთო და ცამდი ამადლებულო, ქვეყნის მპყრობელო ხელმწიფევ, სახელოვანო და სახელშეწიერო, მეფეთა სიქადულო ზავ! სად არის შენი ლამაზად მოხდომილი ნაქეთიანი ტანი და შავი თმა, ბროლის ბურჯდულზე სწორად შემოკვეცილი, ან შენთა უდრეკთა მკლავთა სიმაგრე და მზეებრ შუქმოვანება? ნეტარ ვით დაიტივა მიწამან შენი ღრუბელთა შესწორებული თავი ან ვით დაფარა ყველგან მოწონებული შენი სახელი?! აწ რა ვქნა მზედავსებულმან, ცა ჭეხით მეხდატეხილმა, ზღვა აღვირით ნავდანთქმულმა და უფსკრულად შთავრდომილმა”... (გვ. 150). ხალხური დატირების მოტივი აქ შეზავებულია მწიგნობრული მქვერმეტყველების ელემენტებით. ამგვარი ადგილები “რუსუდანიანში” ხშირად გვხვდება.

როგორც ფოლკლორთან, ისე ძველ-ქართულ მწერლობასთან დამოკიდებულების თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს, სხვათა შორის, ერთი მოტივიც. ეს არის მემკვიდრე-უფლისწულის აღზრდა-გაწვრთნილობის ტრადიციული წესები. სხვას რომ თავი დავანებოთ, “რუსუდანიანში” არის ერთი ადგილი, რომელიც აშკარა პარალელს პოულობს სულხან-საბა ორბელიანის “სიბრძნე სიცრუესთან”. ზავ-ფალავანი სიკვდილის წინ ასე მიმართავს თავის შვილს: “ბევრ რიგად მიწვრთნიხარ და მრავალფერად მიმსახურებიხარ: ყმაწვილურად გააზიზებდი და ბრძნულად გკითხავდი, შვილურად მიყვარდი და მტრულად გაწყენდი, თავადურად გაილერსებდი და ხელმწიფურად გაგაცემინებდი, აზნაურშვილად გასაქმებდი და უფლისწულივით გაქცევდი, მონურად გიმსახურებდი და გლეხურად გამუშავებდი, ვაჟკაცურად გათამაშებდი და ბერკაცულად საფილასოფოსოში დაგსვემდი, გმირულად გაბრძოლებდი და უსუსურივით მოგასვენებდი” (გვ. 144). ლეონის მიერ ჯუმბერის აღზრდა თავისი პრინციპებით უეჭველად ახლოს დგას “რუსუდანიანის” აქ გადმოცემულ ეპიზოდთან.

“რუსუდანიანი თავის დროზე ფრიად დიდი პოპულარობით სარგებლობდა. XIX საუკუნის 50-იან წლებში ჟურნალი “ცისკარი” აღნიშნავდა, რომ საქართველოში ადგილს ვერ იპოვის კაცი - მიკიტან-ხანას თუ საფეიქროს, სადაც ყველასთვის ცნობილ “რუსუდანიანს” არ კითხულობდნენო. მიუხედავად ამისა, “რუსუდანიანს” წილად საოცარი ხვედრი ერგო. XVIII საუკუნეს თავი რომ დავანებოთ, ისე ჩაიარა მთელმა XIX საუკუნემ და ჩვენი საუკუნის პირველმა ნახევარმა, რომ სერიოზული ცდაც კი არ ყოფილა ამ თხზულების მთლიანად გამოცემისა. დ. ჩუბინაშვილმა 1846

და 1863 წლებში თავის ქრესტომათიაში დაბეჭდა მეორე და მეცხრე ზღაპრის ნაწყვეტები. მეთერთმეტე ზღაპარი 1895 წელს რუსული თარგმანითა და გამოკვლევითურთ გამოაქვეყნა ნ. მარმა²⁰ 1928 წელს ალ. ბარამიძემ „ანთოლოგიაში“ მოათავსა მე-6 ზღაპარი, ბოლო სასკოლო ქრესტომათიაში (ი. აბულაძე, ალ. ბარამიძე, ა. შანიძე) ახლაც იბეჭდება მე-12 ზღაპარი. “რუსულდანიანის” მთლიანი სახით გამოცემა ახლახან განხორციელდა.²¹

“რუსულდანიანის” თარიღის საკითხი იმთავითვე იწვევდა მკვლევართა ცილობას. დ. ჩუბინაშვილსა და ალ. ხახანაშვილს “რუსულდანიანი” XIII საუკუნის თხზულებად მიაჩნდათ, მაგრამ რაიმე ხელმოსაჭიდი საბუთი მათ არ წარმოუდგენიათ გარდა იმისა, რომ “რუსულდანიანში” აღწერილი ამბები თითქოს ანარეკლი უნდა იყოს რუსულდანი დედოფლისა და მისი ვაჟის დავითის ცხოვრების ზოგი მომენტისა. მარი ბროსე ფიქრობდა, რომ თხზულება XV საუკუნეში უნდა იყოს დაწერილი.²² ექვთ. თაყაიშვილი “აღწერილობათა” პირველ ტომში უფრო XVI საუკუნისკენ იხრებოდა.²³ “რუსულდანიანის” დათარიღების საკითხი მკვიდრ საფუძველზე დაამყარეს ნ. მარმა და შემდეგ კ. კეკელიძემ. ნ. მარმა თხზულებაში შენიშნა ისეთი ლექსიკური ფაქტები, რომლებიც მის ადრეულ წარმოშობას ამკარად ეწინააღმდეგება. “რუსულდანიანში” იხსენიება, მაგალითად. თოფი, მექანიკური საათი და სხვ. გვიან შემოსული იარაღები. უფრო მეტიც, აქ იხსენიება ფულის ისეთი ცნობილი ერთეული, როგორცაა აბაზი. მისი მოჭრა კი, როგორც ცნობილია, შაჰ-აბასის სახელს უკავშირდება (გარდაიცვალა 1629 წ.). კ. კეკელიძემ კვლავ უფრო კონკრეტული რეალიები წარმოგვიჩინა თხზულებაში. “რუსულდანიანში” იხმარება ისეთი სამოხელეო ტერმინები, რომელთა საქართველოში შემოტანა და დანერგვა მიეწერება ცნობილ სპარსოვლ მეფეს როსტომს (1632 - 1658). მაგალითად, მოლარეთუხუცესი, ეშიკალაზი, ყორჩიბაში და ა. შ.

გარდა ლექსიკური ფაქტებისა და სამოხელეო ტერმინებისა, რაც უეჭველად ამხელს ძეგლის ნაგვიანვე წარმოშობას, ჩვენ ამ საკითხს სხვა თვალსაზრისითაც უნდა შევხედოთ. “რუსულდანიანი” თავისი იდეური შინაარსით (განსაკუთრებით ქრისტიანულ-სარწმუნოებრივი სულისკვეთებით) და მთელი მხატვრული სისტემით ამკარად ე. წ. აღორძინების ხანას შეეფარდება (XVI - XVII სს). ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ამაზე მეტყველებს ის წყაროები, რომლებიც გამოუყენებია ზღაპრებისთვის “რუსულდანიანის” ავტორს. მნიშვნელოვანია ამ თვალსაზრისით “შაჰ-ნამეს” ქართული ვერსიებისა და “რუსულდანიანის” პარალელები, რასაც ყურადღება მიაქცია ალ. ბარამიძემ. მთელი პასაჟები ემთხვევა ერთმანეთს და, რაც აღსანიშნავია, აქ გამორიცხულია ამ ორი თხზულების საერთო წყაროს საკითხი. საქმე ისაა, რომ ზოგად დამთხვევასთან ერთად “რუსულდანიანი” პირდაპირ იმეორებს ლექსიკურ-სტილისტურ ფაქტებს და მთელს გამონათქვამებს “შაჰ-ნამეს” ქართული ვერსიიდან. სანიმუშოდ იკმარებდა ერთი ადგილი ეპიზოდებიდან: “აქა მეორე ომი ხოსროსი და ბარზინისა”...

“რუსულდანიანი”: “ბარზინმა უთხრა ხოსროს “ჩემს ომს ნუ ეძებო. თვარამ ამ მინდორში შენი აბჯარი სუდარად მოგექცევა და ჩემის ლახტით კინწსა მოგცეხო”.

“შაჰ-ნამე” (ქართულ ვერსია): ამ მინდორში სუდრად მოგცე შენ აბჯარი ტანისაო,

²⁰ Восточные заметки, гв. 221 - 239

²¹ რუსულდანიანი, ილ. აბულაძისა და ივ. გიგინეიშვილის რედაქციით,

²² კვლიძე, ქართ. ლიტ. ისტ., II⁴, გვ. 425.

²³ Описание, ტ. I, გვ. 405.

მძიმის ლახტით კინწსა მოგტეხ, დაგანარცხებ მიწასაო.
“რუსუდანიანი”: ესე თქვეს და მათ ისარი ერთმანერთსა დაასხესა,
რომ მათი ხვაფთანი სისხლით აივსო. ორნივ ლაშქარნი
გაკვირვებულნი უმზერდეს.

შაჰ-ნამე: ესე თქვა და მათ ისარი ერთმანერთსა დაასხესა...

ხვაფთანი და ბარგისტანი ორთა სისხლით აავსესა,
ორნივ ლაშქარნი უჭკვრეტდეს, მათსა ომსა გაკვირდესა.

თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ “შაჰ-ნამე” აქ თავის სპარსულ დედანს იმეორებს, სურათი სრულიად ცხადი იქნება: “რუსუდანიანი” “შაჰ-ნამეს” ქართული ვერსიის გავლენას განიცდის. როგორც ცნობილია, ქართული “შაჰ-ნამეს”, ანუ “როსტომიანის” ამ მონაკვეთის თარგმანი მიეკუთვნება ხოსრო თურმანიძეს, რომელიც XVI საუკუნის მიწურულს მოღვაწეობდა სალიტერატურო ასპარეზზე. მამასადაძე, ამაზე უადრეს “რუსუდანიანის” დათარიღებაზე საუბარი ამკარა ანაქრონიზმი იქნება. ახლა თუ ჩვენ ზემომოტანილ ლექსიკურ და სამოხელეო ტერმინებს მოვიშველიებთ (ნ. მარი, კ. კეკელიძე), “რუსუდანიანის” თარიღი კიდევ უფრო გვიან გადმოიწევა, ყოველ შემთხვევაში იგი ვერ დაიდება 1630-იან წლებზე ადრე. ამასთან, გავიხსენოთ, რომ 1732 წელს “რუსუდანიანის” ერთი თავი გაულექსავს მამუკა ბარათაშვილს. ამავე ხანებში “რუსუდანიანიდან” ამოკრეფილი მასალებით შეუვსია სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონი ვახტანგ VI²⁴. მამასადაძე, “რუსუდანიანის” ჩამოყალიბება უნდა ვივარაუდოთ დაახლოებით 1630 - 1730-იან წლებში²⁵.

“რუსუდანიანის” ხელნაწერებში და არც სხვა წყაროებში არ ჩანს ამ ძეგლის ავტორის ვინაობა. კ. კეკელიძემ წამოაყენა ჰიპოთეზა, რომელიც ემყარება “რუსუდანიანის” ხელნაწერის ზოგ მინაწერს, ან სათაურებში დაცულ ცნობას ვინმე ელენე დედოფალზე და როდამ ფაღავას ქალზე. კ. კეკელიძე ფიქრობს, რომ ელენე დედოფალი, სვიმონ მეფის ასულია და იგი 1658 წელს მისთხოვდა ვამეყ მესამე დადიანს, რომელიც იყო მემკვიდრე ცნობილი მეცენატის ლევან დადიანისა. შესაძლოა, რომ ეს როდამ ფაღავას ქალიც ელენეს თანამედროვეა და მათი ინიციატივით და მათი მონაწილეობით შეიქმნა ეს თხზულება²⁶. ამას მხარს უჭერს ზემომოტანილი დათარიღებაც და ის საგულისხმო გარემოება, რომ ძეგლი მართლაც დასავლეთ საქართველოში უნდა იყოს ჩამოყალიბებული. ივ. გიგინეიშვილმა თავის გამოკვლევაში. რომელიც უძღვის “რუსუდანიანის” სრულ გამოცემას, საფუძვლიანად განიხილა თხზულების გრამატიკული ფორმები და გამოიტანა ერთი ფრიად საყურადღებო დასკვნა: “რუსუდანიანის არა მარტო არსებული ხელნაწერები, არამედ სავარაუდებელი დედანიც დასავლურ ქართული კილოების გავლენას ატარებდა. რუსუდანიანი ძველი მწერლობის ერთადერთი ძეგლია, რომელსაც ასე კარგად დაუცავს ქართული ენის დასავლური კილოების თავისებურებები”. ეს მომენტი უფრო აძლიერებს კ. კეკელიძის ჰიპოთეზას და “რუსუდანიანის” წარმოშობას უკავშირებს დადიანების მწიგნობრობით ცნობილ სამთავრო კარს, სადაც, სხვათა შორის, დამუშავდა სხვა ლიტერატურული ძეგლებიც, როგორცაა, მაგალითად, “საამიანი”

²⁴ ლ. ქვთათელაძე, სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის რედაქციები, 1957, გვ. 99 - 138. როგორც ნ. მარი შენიშნავდა, თვით სულხან-საბა ორბელიანი არ იყენებდა თავის ლექსიკონისთვის რუსუდანიანს.

²⁵ რუსუდანიანის ამ დათარიღების გადასინჯვა სცადა ივ. გიგინეიშვილმა თხზულების გამოცემის შესავალ წერილში. მაგრამ ვერ შეძლო ზემომოტანილი საბუთების დარღვევა. ამის შესახებ იხ. წერილები ალ. ბარამიძისა (“მნათობი”, 1958, № 6) და ს. ცაიშვილისა (“ცისკარი”, 1958, №5).

²⁶ კ. კეკელიძე, ქართული ლიტ. ისტორია II⁴ გვ. 430 -431.

და “ზააქიანი”.

სულხან-საბა ორბელიანი

სულხან-საბა ორბელიანი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა მეჩვიდმეტე საუკუნის მეორე ნახევარში და მეთვრამეტის პირველ მეოთხედში. როგორც პოლიტიკური, საზოგადოებრივი და კულტურული მოღვაწე, ის გამომხატველია ქართლის რეალური მდგომარეობისა აღნიშნულ ეპოქაში; ამიტომ მისი მოღვაწეობა რომ უფრო გასაგები იყოს ჩვენთვის, მოკლედ განვიხილოთ ეპოქა, რომელშიც ცხოვრობდა სულხან-საბა ორბელიანი.

პოლიტიკურად ქართლის მდგომარეობა არ იყო ამ დროს მაინცდამაინც სახარბიელო. როსტომ მეფის დროიდან მოყოლებული თეიმურაზ მეორემდე უზენაესი ხელისუფლების წარმომადგენლებად ჩვენში იყვნენ ისეთი პირები, რომელნიც, თუ წარმოშობით არ იყვნენ მაჰმადიანები, ძალდატანებით უნდა გამაჰმადიანებულიყვნენ. ვახტანგ V შაჰნავაზის გამჭრიახობამ და ირანთან დამოკიდებულებაში პოლიტიკურმა ტაქტმა, როქელიც შესაძლებელს ხდიდა ოცნებას საქართველოს გაერთიანებაზედაც კი, ირანში ეჭვი გამოიწვია, აქ ეჭვმა კი არასასურველად წარმართა საქმეთა შემდგომი მსვლელობა ჩვენში. ამ დროიდან დაიწყო, უმთავრესად ირანის ზეგავლენით, შინაური არევ-დარევა ბაგრატიონთა გვარში: არჩილ II-ისა და გიორგი XI-ის ეროვნულ პოლიტიკას ებრძვის ერეკლე პირველის ავანტიურისტული სულისკვეთება. დინასტიური კინკლაობა ქართლისა და კახეთის მემკვიდრეობისათვის, რომელმაც თავი იჩინა ჯერ კიდევ ვახტანგ მეხუთის მეფობაში, უფრო გამწვავდა ვახტანგ მეექვსის დროს ვახტანგისა და კონსტანტინე კახელის ურთიერთობაში. პოლიტიკური მდგომარეობა უფრო გააღრმავა გამაჰმადიანებული იესეს ინტრიგებმა და შინაგანი ფეოდალური ძალების პატრიოტულმა ნიჰილიზმმა, ეს ძალები შეგნებულად უწყობდნენ ხელს გარეშეთა ბატონობის განმტკიცებასა და გაძლიერებას ბედშავ ქვეყანაში. არც ის იყო უმნიშვნელო, რომ ჩვენი იმდროინდელი მესვეურები პოლიტიკური ორიენტაციის საკითხში დიდ მერყეობას იჩენდნენ: ერთსა და იმავე დროს ისინი მეგობრობას ჰპირდებოდნენ ირანს, ოსმალეთს, რუსეთს და დასავლეთ ევროპას. ერთი სიტყვით, ჩვენს იმდროინდელ პოლიტიკურ სფეროში ერთგვარი ანარქია ბატონობდა.

ამას მოჰყვა არეულობა საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც. გამაჰმადიანებულმა ერეკლე I როსტომ მეფესაც კი გადააჭარბა სპარსულ-ყიზილბაშური წესების შემოტანასა და გავრცელებაში. სპარსელების ზეგავლენით, როგორც ვახუშტი ამბობს, “შეერთათ ქართველთა განცხრომა, სმა-ჭამა ყიზილბაშური, სიძვა, მრუშობა, ვიდრე სოდომიადმდე, ტყუილი, ხორცთ-განსვენება, უგვანი კეკლუცობა. რამე.თუ ამა საქმეთა მოქმედთაგან კიდე არავის სცემდნენ პატივსა, მდდელთმთავარნიცა ჰყოფდნენ უჯეროთა”. უმწეო შეიქნა მდგომარეობა გლეხ-კაცობისა, რომელსაც კისერზე დააწვა სიმძიმე არა მარტო შინაური ფეოდალების უღლისა, არამედ გაბატონებული გარეშე ძალებისაც. ფეოდალურმა არისტოკრატამ არ იკმარა გლეხების მატერიალური ექსპლუატაცია, მათ ჩაგრავდნენ, ადამიანურ უფლებას ართმევდნენ და, როგორც პირუტყვს, შინაურ თუ გარეშე ბაზარზე, ჰყიდდნენ. ვინც შინაურ საშინელებას გადაურჩებოდა, მათ საომრად მიერეკებოდნენ ირანსა და

შორეულ ავღანისტანში, სადაც ისინი მასობრივად იჟლიტებოდნენ. ერთი სიტყვით, გლეხკაცობა, დამცველი სამშობლო ქვეყნისა, მშობლიური ადათ-წესებისა, ზნეობისა, სარწმუნოებისა და დედა ენისა, გადაშენების პირზე იყო, იქამდე, რომ არჩილ II პირდაპირ აფრთხილებს თანამედროვეთ: “თუ ამოწყდა გლეხიკაცი, საქართველო დაძაბუნდაო”.

ამ საშინელ ქაოსში დროდადრო რჩდებოდნენ შეგნებული, პატრიოტული ცეცხლით აღვზნებული და ჰუმანისტური იდეებით აღჭურვილი პირები, რომელნიც ახერხებდნენ ზეპირი სიტყვით თუ ლიტერატურული გზით შებრძოლებოდნენ ეპოქის სიდუხჭირეს. ამ პირებმა საფუძველი ჩაუყარეს იმ კულტურულ ადმავლობას, რომელსაც ჩვენ “აღორძინებას” ვუწოდებთ. ასეთები იყვნენ განსაკუთრებით მარიამ დედოფალი (როსტომის მეუღლე), არჩილ II, გიორგი მე-11, მათი ძმა ლევანი, ვახტანგ IV და სხვანი. მათ წრეს ეკუთვნის სულხან-საბა ორბელიანიც.

I

სულხან-საბა ორბელიანი იყო შთამომავალი დიდად შეძლებული და გავლენიანი ფეოდალის - ყაფლანისა, და ძე “საქართველოს ბჭეთ-მთავრის და მოსამართლეთ უხუცესის”, ყაფლანის შვილისა, ვახტანგისა²⁷. დედამისი თამარი იყო ასული ანტისპარსული მოძრაობის მეთაურის და სულისჩამდგმელის ზაალ, არაგვის ერისთავისა. სულხანის პაპა და მამა ძალიან დაახლოებულნი იყვნენ სამეფო ოჯახთან, რადგანაც ასული ყაფლანისა და დაი ვახტანგისა, როდამი, მეუღლე იყო ვახტანგ V შაჰნავაზისა. ვახტანგ V -ის შვილები: არჩილი, გიორგი, ლევანი და სხვანი არიან სულხანის მამიდაშვილები. ხოლო სულხანი - მათი ბიძაშვილი, სულხანს დოკუმენტებში ეწოდება ბ ი ძ ა მეფის ვახტანგ მეექვსისა²⁸, რადგანაც, თოსკანას არქივის ერთი დოკუმენტის ცნობით, ვახტანგი ვითომც იყო დისშვილი სულხანისა.²⁹ ეს ცნობა შეუწყნარებელია: შეუძლებელია ვახტანგ მეფის მამას ლევანს შერთო სულხანის და, რომელიც მას ბიძაშვილად ხვდებოდა, ანდა ვახტანგ ორბელიანს მიეთხოვებინა თავისი ქალი დისშვილისათვის. თან ისტორიიდან ცნობილია, რომ ვახტანგის დედა იყო ქაიხოსრო გურიელის ასული თუთა და არა ორბელიანის ქალი (შეად. ვახტანგ მეექვსის მიერ დაბეჭდილი წიგნების წინასიტყვაობა). სულხანს ბიძა ვახტანგისა ეწოდება როგორც ვახტანგის მამის - ლევანის ბიძაშვილს³⁰.

დაბადებულა სულხანი დმანისის ახლოს, ს. ტანძიაში “ქართულსა ქორონიკონსა ტმვ (1658), ოქტომბერსა კდ (24), რომელი ლათინურად ოთხი ნოემბერი იქნება,

²⁷ ეს ხაზი ორბელიანებისა იწოდებოდა აგრეთვე ორბელიშვილადაც. ყოველ შემთხვევაში საბას ძმა ნიკოლოზ თბილელი ერთს თავის შრომაში წერს: “ღმერთო, აცხოვნე ამ წიგნის ქართულ ენაზე გამწყობი ტვილელი მიტროპოლიტი ნიკოლოზ ორბელიშვილი” (A 586, გვ.119).

²⁸ იხ. მისიონერის რიშარის წერილი მინისტრ ტურსისადმი: გორში “დამხვდა სულხან-საბა, ბიძა საქართველოს მეფის” (ვახტანგისა), “მოგზაურობა ევროპაში”, გამოცემა ს. იორდანიშვილისა, 1940 წ., გვ. 158.

²⁹ მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 328.

³⁰ წინანდელ სამეცნიერო ლიტერატურას სულხანის ცხოვრება-შემოქმედების გარშემო (შრომები გ. ლეონიძისა, ალ. ბარამიძისა, ს. იორდანიშვილისა, ლ. მენაბდისა და სხვ.) ახლა შეემატა შინაარსობრივად მდიდარი ორი საიუბილეო კრებული, გამოცემული 1959 წ.: ა) საქ. მეცნიერებათა აკადემიისა და ბ) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა; აგრეთვე - ალ. ბარამიძისა, სულხან-საბა ორბელიანი, 1959წ.; ი. აურგულაძისა, სულხან-საბა ორბელიანის პოლიტიკური და იურიდიული შეხედულებანი. 1959 წ.; ივ. ლოლაშვილისა, სულხან-საბა ორბელიანის ლიტერატურული მოღვაწეობიდან (1696 - 1713), 1959 წ.

დღეს კვირიაკესა, შუაღამის ჟამსა”. 1658 წელს 24 ოქტომბერი მართლაც კვირა დღეს მოდიოდა, მაგრამ ლათინურად, ესე იგი, ახალი სტილით უდრიდა არა ოთხს, არამედ სამს ნოემბერს (24+10-31=3).

სულხანის სწავლა-აღზრდაზე დიდი გავლენა ჰქონდა სამეფო ოჯახს, განსაკუთრებით მის მამას ვახტანგს და ბატონიშვილს, შემდეგ მეფეს, გიორგი მე-11-ს. ესენი, ალბათ, ზოგად ხელმძღვანელობას უწევდნენ და სათანადო მიმართულებას აძლევდნენ მისი აღზრდის საქმეს. ამა თუ იმ კერძო დისციპლინაში მას საგანგებო მასწავლებლები უნდა ჰყოლოდა. მისი სწავლა-აღზრდის საქმის მსვლელობასა და ხასიათს შუქსა ჰვენს ერთი მისი ანდერძი, რომელიც მას საკუთარი ხელით მიუწერია მის მიერ შექმნილ ძლისპირთა ხელნაწერზე (ქუთაისის მუზეუმი, № 564, 1481 წ.). აი ეს ანდერძი: in extenso:”ქ. მე,ბარათიანთ დიდის ორბელიშვილის, ყაფლანის ძის, საქართველოს ბჭეთმთავრის და მოსამართლეთუხუცესის, პატრონის ორბელ ვახტანგის პირშომან ძემან, ჯერეთ ყმაკაცმან სულხან დავიწყე ძლისპირთა და გალობითა სწავლა წადილთა (ხელნაწერში - წდინითა) იესოსითა და ბრძანებითა მის უსწოროსა მამისა ჩემისთა. ვიწყე თვესა აპრილსა კ. მწვრთნიდა მცხეთელი ზედგენიძეთ სახლის ძე ბერუკა, და სიმღერის სრულობას მწვრთნიდა იაშვილი გიორგი. მზდიდა სათუთად და ნებიარად, ვითარცა შვენის თავადთა ძეთა, და მასრულებდა ყოვლით ზნითა³¹. აწ... ევედრენით ღმერთსა ლოდბრად შექმნისა და ცოდვათა მოტევებისა ჩემთვის და სწავლისა აღსრულებასათვის, რამეთუ ვიყავ სწავლისა ფრიად მოყვარე”. სულხანის ეს “ანდერძი” დაწერილია მაშინ (1679 წ.), როდესაც ის 21 წლის იყო. მის “მწვრთნელად” და მასწავლებლად “ანდერძში” დასახელებული არიან მცხეთელი ბერუკა ზედგენიძე და გიორგი იაშვილი, უკანასკნელი მას სიმღერა-აგალობას ასწავლიდა. სულხანის სურვილი ყოფილა გამხდარიყო “ლოდბარი” (ლოტბარი), რაც, თვით სულხანის განმარტებით ლექსიკონში, ნიშნავს “სრულ მაგალობელს”. ბერუკა ზედგენიძე წვრთნიდა და “ასრულებდა” მას “ყოვლითა ზნითა” ესე იგი, უნდა ვიფიქროთ, ის მას ასწავლიდა ყველაფერს იმას, რაც ცოტა ხნის შემდეგ არჩილმა აღნუსხა თავას შრომაში “საქართველოს ზნეობანი”.

ანდერძში სულხანი ამბობს, რომ მას სწავლა დააწყებინეს, როდესაც არ 21 წლისა გახდა. სწავლა-აღზრდის იმ სისტემას გათვალისწინებით, რომელსაც ჩვენში ჰქონდა ადგილი, ეს არ მართლდება. რაღაც ექვსი წლის შემდეგ, 1685 წელს, ის ხელს ჰკიდებს ისეთი სერიოზული შრომის შედგენას, როგორცაა მისი ლექსიკონი. ეს შრომა ამჟღავნებს ავტორის ისეთ ღრმა განათლებას, რომელსაც ის ექვსი წლის განმავლობაში ვერ შეიძენდა³² უნდა ვიფიქროთ, 1679 წელი გამოსავალია სულხანის მიერ არა “სწავლის” ზოგადად დაწყებისა, არამედ გარკვეული სასწავლო დისციპლინისა, სახელდობრ, გალობისა; ის ხომ თვითონ ამბობს: “დავიწყე ძლისპირთა და გალობათა სწავლაო”. საკმარისია გადავიკითხოთ იოანე ბატონიშვილის “კალმასობა”, რომ დავრწმუნდეთ, რა დიდი ყურადღება ექცეოდა მე-18 საუკუნეში საგალობელთა, კერძოდ, ე. წ. “ჭრელთა” (რომელ არს, იოანეს სიტყვით, “კონცერტი”) შესწავლას, რამდენი ოსტატი და სკოლა იყო ამ ხაზით ცნობილი. თუ ამას გავითვალისწინებთ, არ გაგვიკვირდება, რომ სულხანი, რომელიც ოცნებობდა, მისი “ანდერძის” მიხედვით, “ლოდბარი” გამხდარიყო, საგანგებოდ ხაზს უსვამს მის

³¹ ხელნაწერში თითქოს “მნითა”.

³² თუ ერთ “ანბანთქებას” დავუჯერებთ, რომელსაც გ. ლეონიძე საბას მიაკუთვნებს, ეს ანბანთქება მას დაუწერია, როდესაც ის 13 წლის იყო(კომუნისტი, 1959, № 238).

მიერ ძლისპირთა და გალობათა შესწავლას.

სულხანის განათლებას ფართო დიაპაზონი ჰქონდა. როგორც მისი თხზულებებიდან ჩანს, მან კარგად იცოდა ღვთისმეტყველება და სასულიერო მწერლობა, ფილოსოფია, ბუნებისმეტყველება, გეოგრაფია, ასტრონომია, მათემატიკა, ფილოლოგია და ენები. ჩვენში ძველად სათანადო ყურადღებას აქცევდნენ უცხო ენების შესწავლას, განსაუთრებით იმ ხალხთა ენებისას, რომლებთანაც მჭიდრო ურთიერთობა გვქონდა. ეჭვი არაა, სულხანის აღმზრდელებსაც უნდა ეზრუნათ ამისათვის. მართალია, სულხანი თვითონ აღიარებს, რომ, ქართულის გარდა სხვა ენა არ ვიცოდით, მაგრამ ეს არის, ასე ვთქვათ, თავისებური თავმდაბლობა; ყოველ შემთხვევაში მან თურქული ენა კარგად იცოდა, უნდა სცოდნოდა მას აგრეთვე სომხურიც. რაც შეეხება ევროპულ ენებს, ის თვითონ ამბობს: ერთმა კარდინალმა მაჩვენა ჯვარი, რომელზედაც სახარების თავები იყო წვრილად დაწერილი; “მე ხომ სხვას, ასოს მეტს, არას ვიცნობდიო” (მოგზაურობა, გვ. 37). ერთი ცნობის მიხედვით (გრანდუკა კოზიმო მესამის არქივიდან), სულხანმა “ქართულისა და თათრულის მეტი სხვა ანა არ იცის” (მოგზაურობა, გვ. 172). ერთი სიტყვით, მან ევროპული ენები არ იცოდა, ევროპაში მოგზაურობისას ის თარჯიმანის (პატრები: რიშარი, სილიბისტრო და ანჯელო) მეშვეობას მიმართავდა ხოლმე. და თუ მას ამ ენებას სიტყვებიც შეაქვს თავის ლექსიკონში, ეს სხვების დახმარებით. მოვიგონოთ, მაგალითისათვის, მღვდელმონაზონი სერგიოსი, რომლის დახმარება ლექსიკონის შედგენისას, როგორც თვითონ სულხანი ამბობს, სავალალო აღმოჩენილა. გაუგებარია სულხანის ბიოგრაფიაში ერთი რამ. ცნობილია, რაოდენ გავრცელებული იყო ჩვენში სპარსული ენის ცოდნა, განსაკუთრებით მაღალ წრეებში და ისეთ მოღვაწეთა შორის, როგორც საბა იყო; ეს ცოდნა პოლიტიკურ-დიპლომატიური თუ კულტურულ-ლიტერატურული საჭიროებითაც იყო გამოწვეული. სულხანმა სპარსული ენა თითქოს არ იცოდა. ეს მოულოდნელი და გაუგებარი იქნებოდა. საბამ, უნდა ვიფიქროთ, სპარსული ენა იცოდა, იცოდა არა ნაკლებ, ვიდრე სხვა რომელიმე უცხო ენა, ამას ადასტურებს მისი რედაქტორული მუშაობა “ქილილა და დამანას” ვახტანგისეულ თარგმანზე. ვახტანგს თავის ტექსტში უთარგმნელად შეუტანია მრავალი სპარსული სიტყვა; საბას “უმრავლესობა ასეთი სიტყვებისა ისეთი სიზუსტით უთარგმნია, რომ, საფიქრებელია, სპარსული ენის კარგი მცოდნის დახმარებას მიმართავდა, ის მათ თარგმნის, ხშირ შემთხვევაში, ენის კარგად მცოდნე პირის მეშვეობით”³³. რასაკვირველია, საფიქრებელი არაა, რომ საბას ეს გაეკეთებინოს სპარსულის კარგად მცოდნე სხვა პირის მეშვეობით და დახმარებით, ამას გამორიცხავს ლიტერატურული მხარე მის მიერ რედაქტირებული თარგმანისა.

იმ ცნობების მიხედვით, რომელნიც დღეს ჩვენს ხელშია, ირკვევა, რომ სულხანს ორი მეუღლე ჰყოლია.³⁴ პირველი - “ბაგრატიონთ ასული დარეჯანი”, გარდაიცვალა 1683 წელს,³⁵ ხოლო მეორე - სამცხის ათაბაგის ასული თამარი, 1709 წელსაც ცოცხალი ყოფილა, როგორც ჩანს საბას წერილიდან კლემენტი პაპისადმი³⁶ მიუხედავად ამისა, 1698 წლის 18 მარტს სულხანი ბერად აღკვეცილა გარეჯის მრავალმთის

³³ ე. მეტრეველი და ალ. გვახარია, სულხან-საბაორბელიანის მთარგმნელობითი მეთოდის შესწავლისათვის, საიუბილეო კრებული, 1959 წ., გვ. 184 - 185.

³⁴ მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 328.

³⁵ გ. ლეონიძე, წინასიტყვაობა “სიბრძნე სიგრუსის” ს. იორდანიშვილისეული 1938 წლის გამოცემისა, გვ. LX.

³⁶ მ. თამარაშვილი, იქვე, გვ. 311.

ნათლისმცემლის მონასტერში, ალბათ ცოლ-ქმრის ურთიერთ შეთანხმებით, როგორც ეს ხშირად ხდებოდა ხოლმე, და არა მათ “შორის რაიმე კონფლიქტის გამო, რომელსაც მათი განქორწინება უნდა მოჰყოლოდა. რამ გამოიწვია სულხანის ბერად შედგომა? საფიქრებელია, სულხანის ბერად შედგომა, რასთან დაკავშირებითაც მან სახელი სულხანი საბად შეიცვალა, გამოწვეული იყო სულხანას პოლიტიკური იდეალების და მისწრაფებათა კატასტროფით. ეს იყო ის დრო, როდესაც გამწვავებული ბრძოლა წარმოებდა ქართლის ტახტისათვის გიორგი XI და ერეკლე I შორის. სულხანი ამ ბრძოლაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა თავისი მამიდაშვილის და აღმზრდელის სასარგებლოდ, რისთვისაც დიდი რეპრესიები განიცადა მამულების კონფისკაციითა და სამშობლოდან გაძევებით (იმერეთსა და ახალციხეში) გათავებული. ეს ბრძოლა გიორგის დამარცხებით გათავდა; 1696 წელს ის იძულებული შეიქნა სპარსეთში შაჰს ხლებოდა და იქ დარჩენილიყო. სულხანი, ალბათ, მოლოდინში იყო, იქნებ გიორგიმ სპარსეთში საქმე გამოასწოროსო, მაგრამ, როდესაც დაინახა, რომ შაჰი გიორგის სამშობლოში დაბრუნების მაგიერ თავის საკუთარ საქმეებს აკეთებინებდა, ხოლო ერეკლე საბოლოოდ განმტკიცდა ქართლში, ყოველგვარი იმედი დაკარგა, პოლიტიკურ საქმიანობასა და სამოქალაქო ცხოვრებაზე ხელი აიღო, თავისი ქონება - ადგილ-მამული, - მშებს დაუტოვა და მონასტრის კედლებს შეაფარა თავი.

სულხანმა, შეიძლება ითქვას, აჩქარებული ნაბიჯი გადადგა, რამდენიმე წელიწადი რომ დაეცადა, მას ჩვენ ბერად ვერ ვიხილავდით. საქმე ისაა, რომ მალე გიორგის საქმეები გამოსწორდა, შაჰმა მას ქართლის ტახტი დაუბრუნა, რაც ერეკლეს აცნობა კიდევ. თუმცა გიორგი უკან აღარ დაბრუნდა, მაგრამ ტახტის გამგედ დაინიშნა მისი ძმისშვილი და სულხანის მამის დისშვილი ვახტანგი (1703 წ.), ესე იგი სულხანის იდეალი გაცოცხლდა, მკვდრეთით აღდგა. ამით აიხსნება, რომ მან უმალვე დატოვა მონასტრის კედლები და პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების მორევში ჩაიძირა. სულხანის ჭკუა-გონებას, განათლებას და გამოცდილებას დიდად აფასებდა მისი მონათესავე სახლი ვახტანგ მეხუთის მემკვიდრეებისა, კერძოდ, ვახტანგ VI. ჯერ იყო და 1710 წლის 1 დეკემბერს ის გაიწვია ხვარასანში ვახტანგის ძმამ ქაახოსრომ საჭირო საქმეების გამო, უკან დაბრუნდა 1711 წლის 20 თებერვალს. 1712 წლის 23 აპრილს ის მიჰყვება ისპაჰანს ვახტანგს და უკან ბრუნდება იმავე წლის 20 დეკემბერს. გამოუვალ მდგომარეობაში მყოფ ვახტანგს ევროპის ორიენტაცია აუღია, საფრანგეთთან დიპლომატიური მიწერ-მოწერა გაუმართავს, ალბათ აღმოსავლეთში მყოფი მისიონერების საშუალებით. შემონახული დოკუმენტებიდან ჩანს, რომ მას საფრანგეთის მეფის ლუი მე-14 წერილები მიუღია.³⁷ გადაუწყვეტია გაგზავნა ელჩისა, რომლის როლში საბას ვხედავთ. 1713 წლის 18 აგვისტოს საბა გაჰყვა კიდევაც რიშარს და ლუი მე-14-ს ვახტანგის წერილები წაუღო. ევროპაში ის დიდი პატივით მიიღეს როგორც პაპმა, ისე ლუი მე-14, რომელსაც ის ორჯერ წარუდგა. ამას ხელს უწყობდა ისიც, რომ საბა ამ დროს კათოლიკე იყო.

როდის გაკათოლიკდა საბა? არსებობს კათოლიკე მისიონერთა ორი ცნობა; ერთის მიხედვით, საბამ 1687 წელს აღიარა კათოლიკობა, მეორეთი კი - 1692 წ. არც ერთია მართალი, არც მეორე. საბას კეთილგანწყობილება და მიდრეკილება კათოლიკობისადმი, რომელსაც ის იჩენდა მისიონერთა წინაშე, უკანასკნელებმა, ალბათ, ისე გაიგეს, რომ ის უკვე ფორმალურად კათოლიკეა. მაგრამ საბას ამ შემთხვევაში შეეძლო ეთქვა ის სიტყვები, რომელთაც მისი “სწავლანის” მიხედვით, ამბობდა, თურმე, ზოგიერთი მაჰმადიანობაში გადასული პირი: “გულითა არ

³⁷ მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, ისტორია კათოლიკობისა, გვ. 314, 315, 317.

მიყოფიეს უარი, ოდენ ბაგითა ვთქვით”. ფორმალურად საბა 1701 წელსაც “მართლმადიდებელია”; ამ წელს მას დაუწერია “სამოთხის კარი”, რომელშიაც არავითარი კვალი კათოლიკობისა არაა, ის წმიდა მართლმადიდებლობითი თხზულებაა. არაა არავითარი კვალი კათოლიკობისა არც მის .”სწავლანში”³⁸, რომელიც ყალიბდებოდა 1698 - 1710 წლებში და რომელიც საკითხავი წიგნი იყო ნათელისმცემლის უდაბნოში. ამ შემთხვეულებაში არის ერთი ქადაგება “უდროოდ და ურგებად სინანულისათვის”, რომელშიაც გაკიცხული და უარყოფილია უდროო, ესე იგი, დაგვიანებული სინანული. ასეთი სინანული კათოლიკურმა ეკლესიამ არ იცის, აქ მისაღებია ყოველი დროის სინანული, არა მარტო წარსულისა თუ აწინდელისა, არამედ მომავლისაც.

საბას კათოლიკობა უნდა მიეღო ფორმალურად დაახლოებით 1713 წელს, როდესაც მან გამოაქვეყნა კათოლიკური რედაქცია “სამოთხის კარისა”; აქ უკვე პაპისტური დოგმატები გაშიშვლებულადაა წარმოდგენილი. მაშასადამე, 1712 - 13 წელზე ადრე საბა ფორმალურად კათოლიკე არაა, ასეთად უნდა გამხდარიყო ის 1712 წლის 23 აპრილიდან, როდესაც ის ვახტანგს მიჰყვება ისპაანს, სადაც საბოლოოდ გადაწყდა მისი ევროპაში წარგზავნა, 1713 წლის 18 აგვისტომდე, როდესაც ის მართლაც გაუდგა შორეულ გზას.

გამორიცხული არაა, რომ ფორმალური ცერემონია საბას კათოლიკობაში გადასვლისა შეასრულა სპარსეთში რომელიმე იქ მყოფმა მისიონერმა, შეიძლება რიშარმაც, რომელიც, როგორც ცნობილია, მისი მესაიდუმლე იყო. ქართლში ამ ცერემონიის შესრულებას საბა უთუოდ მოერიდებოდა, რათა ზედმეტად არ გაეღიზიანებია ისედაც მის წინააღმდეგ ამრეხილი საზოგადოებრივი აზრი და განწყობილება. საბას გაკათოლიკება გამოწვეული იყო არა კათოლიკობის, როგორც გარკვეული რელიგიური სისტემის, უპირატესობის შეგნებით, არამედ პოლიტიკური მოსაზრებით. ამ აქტით საბას უნდოდა თავისი საქმისადმი (ან უკეთ ქართული საქმისადმი) უფრო მეტად მიექცია პაპისა და აღმოსავლეთის კათოლიკეთა მფარველის საფრანგეთის ყურადღება. პოლიტიკური მოსაზრებით ჩვენი ცხოვრების მესვეურნი არა მარტო ბერძნული და რუსული მართლმადიდებლობის წინაშე იხრიდნენ ქედს, ხშირად მაჰმადიანობასაც იღებდნენ. რა გასაკვირველია, თუ ისანი ამ მოსაზრებით კათოლიკობასაც უცხადებდნენ თანაგრძნობას.

საბა თავის თავს უწოდებს “წმიდის ბასილის მონაზონთაგანს”³⁹ ერთი კარდინალი მას თავის წერილში “წმიდა ბასილის მონაზონად” აცხადებს (გვ. 163). საბა საგანგებოდ იგონებს იმასაც, თუ როგორ მიიყვანეს ის ქ. მისინაში “ბასილიანი მონაზვნების” მონასტერში (გვ. 119)⁴⁰. ასეთ სახელს ატარებდნენ ბერები, რომელნიც ბასილი კესარიელის (IV ს.) წესდებით ხელმძღვანელობდნენ თავიანთ ცხოვრებასა და პრაქტიკაში. ასეთები იყვნენ უმთავრესად ბერები, მართლმადიდებლობიდან კათოლიკობაში გადასულნი. ეს გადასვლა გამოიხატებოდა იმაში, რომ ისინი სცნობდნენ კათოლიკურ ეკლესიის ორ მთავარ დოგმატს: filioque-სა (სული წმიდის მისაგანაც გამოსვლას) და პაპის პრიმატობას, სხვა მხრივ ისინი ინარჩუნებდნენ

³⁸ მართალია, ერთ ქადაგებაში ის ამბობს: “ვერძი, პირველიზოდიაქო, ემსგავსების მშეიდსა თავსა მოციქულთასა პეტრეს”, მაგრამ ესარაა კათოლიკობის მაჩვენებელი, ეს ნათქვამია სახარების სიტყვების ზეგაელენით (მათ. XVI, 18, 19). თან, ასეთი გამოთქმა ჩვენ გვხვდება უძველეს ქართულ ხელნაწერებშიც: “თავთა მოციქულთა პეტრესი და პავლესი” (A 19, 95).

³⁹ მოგზაურობა ევროპაში, გამოცემას. იორდანიშვილისა, გვ. 160.

⁴⁰ ეს სახელწოდება ხშირად გვხვდება მისიონერთა რელაციებში (მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის). ამ სახელით საბას ვახტანგ მეექვსეც მიმართავს.

მართლმადიდებელთა ტიბიკონის ყველა წესს, წვერ-ულვაშის, გრძელი თმისა და ტანისამოსის ტარებამდე.

საბას კათოლიკობა მდგომარეობდა იმაში, რომ ის რწმენით აღიარებდა დასახელებულ ორ დოგმატს, სხვა მხრივ კი ცხოვრობდა ისე, როგორც მართლმადიდებელი ბერ-მონაზონი. ამით აიხსნება, რომ 1710 წლამდე საბა, მიუხედავად კათოლიკობისადმი თავისი სიმპათიებისა, იოანე ნათლისმცემლის მონასტრის ბერ-მონაზონთა შემადგენლობაში ითვლებოდა.

საბა კათოლიკობას ბოლომდე არ შერჩენია. როდესაც ის დარწმუნდა, რომ კათოლიკობამ ვერ გაამართლა ის მისწრაფებანი და იდეალები, რომელთა გულისათვის მან რომის პრიმატობა აღიარა, უკანვე დაუბრუნდა ის მამაპაპეულ აღსარებას. განა ასე არ მოიქცა ანტონ I კათალიკოსი, განა ცოტაა იმის მაგალითები, როდესაც პოლიტიკური მოსაზრებით გამაჰმადიანებული მეფეები ხშირად ისევ ქრისტიანობას უბრუნდაებოდნენ (არჩილი, ვახტანგი და სხვ.)? ეს უნდა მომხდარიყო 1722 წლის ივლისის შემდეგ, როდესაც რუსეთის მეფემ, პეტრე დიდმა, ვახტანგ VI მიიწია მასთან ერთად სპარსეთის წინააღმდეგ გასალაშქრებლად. ეს მიწვევა ვახტანგს, თავისთავად იგულისხმება. ძალიან გაეხარდა. იმწამსვე მან საჯაროდ უარყო მაჰმადიანობა და ქრისტიანობა აღიარა. ამის შემდეგ მოსალოდნელი იყო, რომ საბაც შესაფერ ნაბიჯს გადადგამდა და კათოლიკობიდან მართლმადიდებლობაში გადავიდოდა. ეს რომ ასე არ მომხდარიყო, ქართველები, რომელთაც კარგად იცოდნენ, რომ იმ დროს რუსეთში კათოლიკობას აღმაცერად უცქეროდნენ (მოვიგონოთ, თუ როგორ უყურებდა პეტრე დიდი მის წარმომადგენელს, სტეფანე იავორსკის), მოსკოვში წასვლისას მას საპასუხისმგებლო პოლიტიკურ დავალებას ვერ დააკისრებდნენ. თან გარდაცვალების შემდეგ ვსახსრავთსკოეში, ქართველთა მართლმადიდებელ, ეკლესიის გალავანში ვერ დაასაფლავებდნენ, ეს ეკლესიის კანონით აკრძალული იყო.

ევროპიდან საბა გამობრუნდა ცარიელი დაპირებებით. საქართველო მეტად მიმზიდველი და საინტერესო იყო საფრანგეთისათვის როგორც აღმოსავლეთში, კერძოდ სპარსეთში, გასავლელი გზა მისი სავაჭრო კაპიტალისათვის, ამიტომ იმ საქმეების მოგვარება, რასაც საბა მოითხოვდა, იმისთვის ხელსაყრელი იყო; მაგრამ საფრანგეთს ეს არ შეეძლო, რადგანაც ის უფრო დაინტერესებული იყო სპარსეთთან 1708 წელს დადებული ხელშეკრულების რატიფიკაციის საკითხით; ამ ხელშეკრულების მუხლები განსაკუთრებულ შეღავათებს ანიჭებდა ფრანგ ვაჭრებს სპარსეთის ტერიტორიაზე. ამ რატიფიკაციის დასაჩქარებლად შედგა გ ა რ დ ა ნ ი ს ელჩობა სპარსეთში; ალბათ, ამავე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული საკითხების მოსაგვარებლად საფრანგეთს, როდესაც საბა იქ იყო, ეწვია სპარსეთის ელჩი მოჰამედ რიზა-ხანი, რომელსაც პარიზში საზეიმო შეხვედრა მოუწყვეს და რომელსაც საბას იქ ყოფნას უმაღლავდნენ. ერთი სიტყვით, საფრანგეთს არ შეეძლო მაშინ საქართველოს გულისთვის დაეთმო თავისი სავაჭრო და პოლიტიკური ინტერესები სპარსეთში⁴¹

ევროპიდან გამობრუნებული საბა გზადაგზა ჩერდებოდა სტამბოლს, ტრაპიზონს და სხვა ქალაქებში, ბევრი ვაი-ვაგლახის შემდეგ, 1716 წლის ივლისში, სამშობლომდე მოაღწია. საქართველოში მან ჩამოიყვანა სამი კაპუცინი და ერთი

⁴¹ ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, სულხან-საბა ორბელიანი როგორც დიპლომატი; სულხან-საბა ორბელიანი, 1658 - 1958, საიუბილეო კრებული, საქართვ. მეცნ.აკადემიის გამოცემა, გვ. 61 - 76.

იეზუიტი (შირვანისათვის)⁴².

სამშობლოში დაბრუნებულ საბას დაუწყეს დევნა და ძლიერ აწუხებდნენ. ამას რომ მართლმადიდებლობის წარმომადგენელი სჩადიოდნენ, გასაკვირი არ არის - საბამ კათოლიკობა მიიღო, კათოლიკე მისიიანერები ჩამოიყვანა თან და საქართველოში კათოლიკობის სასარგებლოდ იბრძოდა. მაგრამ რა დაუშავა მან იესე მეფეს, რომელიც, საბას სიტყვით, “ვერც იმაზე იყო კაის გულითა” (გვ. 152). მისთვის, როგორც მაჰმადიანისათვის, სარწმუნოების თვალსაზრისით თითქოს სულ ერთი უნდა ყოფილიყო, საბა კათოლიკე იქნებოდა თუ მართლმადიდებელი, ეს ერთი შეხედვით, ნამდვილად კი სულ ერთი არ იყო. კათოლიკობის გავრცელებას ჩვენში მოჰყვებოდა ირანის საწინააღმდეგოდ ევროპაზე პოლიტიკური ორიენტაცია, ეს კი მიუღებელი და შეუწყნარებელი იყო იესესათვის, როგორც მაჰმადიანური ირანის მომხრესთვის. ამასთან, იესემ იცოდა, რომ საბა იბრძოდა ვახტანგის ინტერესებისათვის, რაც მას მოსვენებას არ აძლევდა. უფრო საინტერესოა ის, რომ საბასა და ვახტანგს შორის წარმოიშვა კომფლიქტი, რომლის შედეგი იყო ის, რომ მეფემ ჩამოიშორა თავისი აღმზრდელი, ღვაწლმოსილი თანაშემწე და მესაიდუმლე, რომელიც ოდესღაც “საქართველოს მამად” იყო აღიარებული. საბას სიტყვით, ეს მოწყობილი იყო “ჩხუბიანი კაცების” მიერ, მაგრამ დუმს მის მიზეზებზე. არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ საბამ თავისი პირადი ცხოვრებით და მოქმედებით მისცა მეფეს საბაბი უკმაყოფილებისა. მაშ რაშია საქმე? საბა უმედეგოდ დაბრუნდა ევროპიდან, მან ვერ შეძლო იმის გაკეთება, რისთვისაც ის გაგზავნილი იყო იქ. “ჩხუბიანმა კაცებმა” მეფე, ალბათ, დაარწმუნეს იმაში, რომ საბამ არ მოინდომა, როგორც საჭირო იყო, მეფას დავალება შეესრულებინა, მან არ გააკეთა ყველაფერი, რაც საჭირო იყო ამ საქმისათვის, ის არ მოქმედებდა ისე, როგორც უნდა ემოქმედნა ნამდვილ დიპლომატს. იმედგაცრუებული და გაჭირვებაში მყოფი მეფისათვის ესეც საკმარისი იქნებოდა, რომ გული აეყარა თავის გამზრდელზე და თავიდან მოეშორებინა იგი, რამაც სასტიკად ატკინა გული საბას, როგორც ეს აღნიშნა მან იმ სამ იგავარაკში, რომელიც დაურთო მან მის მიერ რედაქტირებულ “ქილილა და დამანას”. საბედნიეროდ, გაუგებრობა მეფესა და საბას შორის დიდხანს არ გაგრძელებულა; მალე ვახტანგმა ის კვლავ დაიახლოვა და პოლიტიკურ-საზოგადოებრივ და კულტურულ მოღვაწეობაში ჩააბა. როდესაც ვახტანგი იძულებული შეიქნა რუსეთში გადახიზნულიყო, მის ამაღაში, სხვათა შორის, მნიშვნელოვანი ადგილი საბამაც დაიჭირა. გარდაიცვალა ის 1725 წლის 26 იანვარს ვსეხსვიატსკოეში არჩილის ასულის დარეჯანის სასახლეში და დასაფლავებულ იქნა იქვე, მართლმადიდებელი ეკლესიის გალავანში.

ასეთია მთავარ მომენტებში ცხოვრება ამ ღირსშესანიშნავი ადამიანისა, რომელმაც საქართველოს სახელი გაიტანა სამშობლოს გარეთ, შორეულ ევროპაში

II

სულხან-საბა ორბელიანმა დაგვიტოვა დიდი ლიტერატურული მემკვიდრეობა, მიუხედავად იმისა, რომ, როგორც თვითონ ამბობს, ის “სოფლისა საქმისაგან უცალო იყო” და მწერლობისათვის თითქო დრო არ უნდა ჰქონოდა. მისი ლიტერატურული მუშაობის ნაყოფიერებას ხელს უწყობდა დიდი ნიჭი და განათლება, აგრეთვე ის

⁴² მ თამარაშვილის სიტყვით, საბა თითქოს 12 კაპუცინი მოიყვანა (ისტორია კათოლიკობისა, გვ. 327, 334).

გარემო, რომელშიაც ის ცხოვრობდა და მოღვაწეობდა.

აბას ლიტერატურულ საქმიანობას იგივე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მიზნები ჰქონდა, რაც დიპლომატიურს. ის ხედავდა, რომ პოლიტიკური განთავისუფლება ქვეყნისა ვერ ხერხდებოდა, ამიტომ მან განიზრახა ლიტერატურული გზითაც ებრძოლა ქართველთა ეროვნული მეობის გადასარჩენად და გადაგვარების თავიდან ასაცილებლად. საბამ ამ მიზნით მიმართა მამხილებელ, - იგავარაკულსა და ჰომილეტიკურ ჟანრს. იგი დაუნდობლად ამხელდა და ჰკიცხავდა ცხოვრებაში, უფრო მაჰმადიანობის ზეგავლენით, გავრცელებულ საზოგადოებრივსა და პირად სიდუხჭირეს, რაც ფესვებს უღრღნიდა სახელმწიფოებრივს და ეროვნულ ორგანიზმს.

სულხან-საბა ორბელიანის შრომები სამ ჯგუფად შეგვიძლია დავყოთ: მხატვრული ნაწარმოებები, საეკლესიო-სასულიერო და სამეცნიერო თხზულებები. მხატვრული თხზულებებიდან საყურადღებოა იგავარაკული ჟანრის ძეგლები.

იგავარაკული ჟანრის ჩანასახი ჯერ კიდევ სასულიერო მწერლობაში გვაქვს (სახარების იგავები და ბალავარიანის არაკები), ეს ჟანრი განსაუთრებით “აღორძინების” პერიოდში განვითარდა. “ეზოპეს ენის” განვითარებას ხელს უწყობდა ეპოქის “ჟამთა სიავე” და აღრევა. დამოდვრა, დარიგება, ჭკუის სწავლება, ალეგორიულ ფორმაში გაკიცხვა ცხოვრების უხეირო მოვლენებისა და ხელმძღვანელებისა, საერონი იქნებიან ისინი თუ სასულიერონი, ეპოქის აუცილებელი მოთხოვნილებაა.

სიბრძნე სიცრუისა

საუკეთესო ნიმუში სულხანის იგავარაკული ჟანრის თხზულებისა არის ს ი ბ რ ძ ნ ე ს ი ც რ უ ი ს ა; ის შეიცავს 110 იგავ-არაკს ამ ტერმინის ზუსტი გაგებით და 60-მდე სენტენცია-აფორიზმს, ანექდოტს და ამოცანას⁴³; ყველაფერ ამას აერთიანებს შემდეგი მოთხრობა:

იყო ერთი დიდებული მეფე ფინეზი, რომელსაც ჰყავდა მეტად ბრძენი ვეზირი სედრაქი და გულითადი საჭურისი რუქა. მეფეს შვილი არ ჰყავდა, მაგრამ ლოცვა-ვედრებისა და უხვი შეწირულება-მოწყალების გაცემის შემდეგ შეეძინა ვაჟი ჯუმბერი, რომლის სწავლა-აღზრდა მან, რუქას სურვილის წინააღმდეგ, მიანდო ახალგაზრდა ბრძენს ლეონს. ლეონი მეტად მოურიდეblად და სასტიკად, სპარტანულად, როგორც იტყვიან, ზრდიდა ჯუმბერს: ლეონი სამი დღე-ღამე ნადიმობდა, ჯუმბერი თავზე დაიყენა, არც ასვა, არც აჭამა, ფეხზე დგომითა და შიმშილით მას გული წაუვიდა. მხოლოდ ამის შემდეგ მისცა დაჯდომისა და პურის ჭამის ნება. მეორეჯერ ის სანადიროდ წაიყვანა, თვითონ ცხენზე შეჯდა, ჯუმბერი კი უკან დაიდუნა ფეხით დასაღამომდე აძუნბულა, ასე რომ, მას.ფეხები სულ ერთიანად დაუსვიდა და დაუსკდა. ერთხელ კადევ 50 როზგი დაჰკრა მას. რუქამ ლეონი დააბეზდა მეფესთან ასეთი სისასტიკისათვის, მაგრამ მან თავი იმართლა ასე: ”მეფე ესეთი ხამს: გლახაკთა, მონათა, გლეხთა, მსახურთა, აზნაურთა, თავადთა, დიდებულთა, მეფეთა და ხელმწიფეთა წესი, რიგი, შრომა, ქირი, მუშაკობა, საქმე, ვაჭრობა, სმა-ჭამა და მიცემა იცოდეს. თუცა ეგოდენ ხანს ფეხზე არ მდგარიყო, რამცა იცოდა მონათა, მსახურთა და მწდეთა ქირი, თუ ზემდგომსა რა გარჯა აქვს?.. თუცა შიმშილით არ მომყმარიყო, რამცა იცოდა გლახაკთადა უღონოთა შიან, ანუ სხვათა

⁴³ ვსარგებლობთ ს. იორდანიშვილის 1938 წლის გამოცემით.

ვისმე საჭმელი აკლია?.. თუცა უცხენოდ სვლადა ფეხშიშელობა არ გამოეცადა, ბაზიერთა, შიკრიკთა და ყოველთა მკვირცხლთა ჭირნი რითა ეცნა, რომლითა სიბრალულითა შეიბრალებდა?.. არგნისა სიმწარე არ ენახა, რა გამწყრალიყო მონათა ზედა, ებმანა ასისა და ორასისა არგნისა კვრა, სხვათათვის მეტი და სხვათათვის ნაკლები, თვით მცირე სატანჯველი ეგონებოდა. აწ ყოველთა გლახაკთა, უღონოთა და მდაბალთა ჭირნი მისწავებია და ამის შემდგომად ნახეთ თქვენცა, რა არის სასწავლოდ მისდა?” (გვ. 30). სწავლის დამთავრების შემდეგ მეფემ გამოსცადა თავისი შვილი და მეტად კმაყოფილი დარჩა მისი ცოდნით და ლეონის შრომით.

ეს მოთხრობა აერთიანებს იმ იგავ-არაკებს, სენტენცია-აფორიზმებს, ანეკდოტებსა და ზღაპრებს, რომელთაც ეუბნებიან და უყვებიან ერთმანეთს ფინეზი, სედრაქი, რუქა, ლეონი და ჯუმბერი.

როდესაც იგავ-არაკთა ამ კრებულის განხილვაზე გადავდივართ, პირველ ყოვლისა, უნდა შევხვთ მის ზუსტ სახელწოდებას. ჩვენამდე არ შენახულა ისეთი ხელნაწერი, რომელზედაც აღნიშნული იყოს ავტორის მიერ ზუსტი სახელწოდება ამ კრებულისა. ჩვეულებრივ მას უწოდებდნენ “წიგნი სიბრძნე სიცრურსა” ან “სიბრძნე სიცრუისა”.: პროფ. ა. ც ა გ ა რ ე ლ მ ა, რომელმაც რუსულად თარგმნა ეს კრებული, მას “Книга мудрости и лжи” დაარქვა. ჯერ კიდევ 1924 წელს იყო აღნიშნული, რომ ასეთი სათაური კრებულისა არაა სწორი, იქ კავშირი ი ზედმეტია და კრებულის ხასიათით არ ივარაუდება⁴⁴. ამის შემდეგ, სათაურმა “სიბრძნე სიცრურსა” უფრო გაიდგა ფესვი სამეცნიერო ლიტერატურაში. მხოლოდ უკანასკნელ წლებში ზოგიერთებმა (გ. იმედაშვილი, დ. მ. ლენგი) მოინდომეს ა. ცაგარელის სახელწოდების რესტავრაცია იმ მოსაზრებით, რომ კრებულში არის არა მარტო ჭკუის მასწავლებელი (სიბრძნე), არამედ პირდაპირ ფანტასტიური, სიბრძნისაგან დაცლილი, სულელური იგავ-არაკებსაც, რომელთაც, გართობის გარდა, არავითარი ფუნქცია, მით უმეტეს ბრძნული, არ მოეპოვებათო. სამწუხაროდ, გათვალისწინებული არ არის, რომ იმ იგავ-არაკებსაც, რომელთაც ფანტასტიკურს და სულელურს ეძახიან, აქვთ დამრიგებლობითი, ჭკუის მასწავლებლობითი ფუნქცია. ეს ფუნქცია ასეა გამოთქმული ამ იგავ-არაკებში: “მტერი რა კაცსა მტერობით ვერას დააკლებს, დაემოყვრების და მით გაუსრულებს მტრობასო”. ასე რომ, ძალაში უნდა დარჩეს სახელწოდება “სიბრძნე სიცრუისა: ან “წიგნი სიბრძნე სიცრუისა”.

“სიბრძნე სიცრუისა” ორგვარ მიზანს ისახავს: ერთი მხრივ, მას სურს ამხილოს ცხოვრების სიღუბჭირე და უარყოფითი მხარეები. ამ მიზნით ის დაუზოგავად ამხელს მეფესა და მის მოხელეებს, საეროსა და სასულიეროხ, მამაკაცსა და დეაკაცს. მასში გაკიცხულია სიძუნწე, ფარისევლობა, სიამაყე, ცბიერება, ანგარება, უმადურობა, სიცრუე, სხვისი ყვლეფა, სარწმუნოებრივი პირმოთნეობა, მრავალცოლიანობა (გვ. 25) და იმდროინდელი ცხოვრების სხვა ამგვარი უარყოფითი მხარეები. მეორე მხრივ, ნაკლულოვანებათა გამოსწორების მიზნით, კრებული იძლევა მორალური დებულებების მთელ კოდექსს; მისი მიზანია - დაგვიხატოს ნამდვილი, ღირსეული ადამიანი, რა ასპარეზზედაც არ უნდა მოღვაწეობდეს ის.

რადგანაც იმ დროს ფიქრობდნენ, რომ ცხოვრებაში ყველაფერი პიროვნებაზეა დამოკიდებული, იქამდის, რომ, თუ ქვეყნის მმართველნი, კერძოდ მეფე, კარგია, ცხოვრებაც კარგია, თუ ის არ ვარგა, ცხოვრებაც არ ვარგა, “სიბრძნე სიცრუისა” უფრო მეტად ლაპარაკობს იმაზე, თუ როგორი უნდა იყოს მეფე და მისი მმართველ-მოხელნი. აქეთკენაა გამიზნული პედაგოგიურ-აღმზრდელთბითი ტენდენცია

⁴⁴ კ. კ ე ლ ი ძ ე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, გვ.301., შდრ. გამოცემა 1924 წ.

მთელი კრებულისა, რომელიც გამოიხატება ლეონისა და ფინეზის ზრუნვაში ჯუმბერის სახით გაზარდონ ღირსეული მემკვიდრე ტახტისა. ლეონი, რომელიც იცავს თავის აღმზრდელობითს პრინციპს, ეკითხება მეფეს: “შენი ძე სამეფოდ გინდა თუ მწყემსად? მრავალნი მწყემსნი უმჯობეს არიან უგვანთა მეფეთა. მწყემსი ხამს ცხოვართათვის იჭირვოდეს, კეთილთა ბალახთა აძოოს, ამოდ ატაროს, დაკოდელი შეუხვიოს და მპარავს არიდოს. ესე თუცა ვერა ჰყოს, სამწყსო შეუმცირდეს. ეგრევე მეფე ესეთი ხამს: გლახაკთა, მონათა, გლეხთა, მსახურთა, აზნაურთა, თავადთა, დიდებულთა, მეფეთა და ხელმწიფეთა წესი, რიგი, შრომა, მუშაობა, საქმე, ვაჭრობა, სმა-ჭამა და მიცემა იცოდეს” (გვ. 30). კრებულში გაკიცხულია და დაგმობილი, შირვანშაჰის სახით, “უსამართლო, კაცთა უწყალო და მათხარი ქვეყანათა” მეფე, რომელიც, სადაც კი ნახავდა მომჩივანს ან გლახაკს, წამსვე ჰკლავდა; ამის გამო “აოხრდა ყოველი სამეფო მისი” (31). აქ გაკიცხულია გაუმადლარი ხელმწიფე, რომელიც მზადაა გლახაკსაც კი წაართვას ის, რაც მას გააჩნია⁴⁵.

თვისებანი, რომელნიც უნდა ამკობდეს მეფეს, ასეა შეჯამებული:

- მეფეთაგან სამნი უყვარან ღმერთსა: სიმშვიდე, სიმდაბლე და სულგრძელობა.
- მეფეთაგან სამს დაიმადლებს უფალი: სამართალსა უქრთამოსა, მოწყალებასა და დიდსა სიყვარულსა ყოველთასა.
- მეფეთაგან სამს ინატრიან ქვეყანანი: ზავთა მართებულსა, სიმართლე საუზაკველსა და სიუხვესა მოუკლებელსა.
- მეფეთაგან სამს იქენებენ დიდებულნი: სიტკბოსა წესიერსა, ნადიმსა ამოსა და ჭირში - ჭირსა და ლხინში - ლხინსა
- მეფეთაგან სამს ნდომობენ მხედარნი: ცხენსა მალსა, საჭურველსა მაგარსა და დანახვასა ნამსახურისასა.
- მეფეთაგან სამს იღვწიან გლახაკნი: კარსა ღიასა, თხოვისა ბოძებასა და სიხარულით წარვლენასა.
- მეფეთაგან სამს ითხოვენ მონანი: სავსესა ტაბლასა, ჯამაგირთა მოუკლებლობასა და მალე შეუბეზლებლობასა.
- მეფეთაგან სამს ინდომებენ ვაზირნი: ყურისა მიპყრობასა, სიტყვის გაგონებასა და რჩევის დაჯერებასა.
- მეფეთაგან სამს ინებებენ მოჩივარნი: საჩივრის სმენასა, აუჩქარებლობასა და დაუფერებლობასა.
- მეფეთაგან სამს ინატრებენ ვაჭარნი: თვალთა და ლალთა ცნობასა, ღირებულების მიცემასა და უფასურად ვაჭრობასა.
- მეფეთაგან სამს ევედრებიან მოგზაურნი: მეკობრეთაგან მორჩენასა, ზვერის წესად აღებასა, ფუნდუკთა უშულართა დგომასა.
- მეფეთაგან სამს იხვეწებიან შესმენილნი: მობეზდარის წაყენებასა, ურისხველად ბრძანებასა და მართლებასა თავისასა.
- მეფეთაგან სამს ითხოვენ პატიმარნი: შეცოდების შენდობასა, რისხვის წყალობად შეცვლასა და ხილვასა პირისა მისასა.

ესე არს წესი მეფეთა, ესე არს საბოძვარი თემთა, ესე არს გოდოლი სპათა, ესე არს ზღუდე ქალაქთა. რომელმან ყოს, იგი და ქვეყანა მისი დაემყაროს” (გვ. 43 - 44).

⁴⁵ შეიძლება ვიფიქროთ, რომ დიალოგი მელსა და ოფოფს შორის - ვინ მისცა უკანასკნელს და ვისი მოწმობით სამეფო თომარ-ჯილა (გვ 26), ჰკიცხავს ისეთ მეფეს, რომელიც კანონიერი გზით, უფლებამოსილ პირთა მოწმობით და თანხმობით კი არ ღებულობს მეფობს, არამედ მოხერხებით და მზაკვრობით.

ეს ბრწყინვალე დეკლარაცია იდეალური მეფის თვისება-მოვალეობისა, რომელსაც მისი მხატვრული ფორმის გამო “სამეფო სამეული” შეგვიძლია ვუწოდოთ, დამაბასიათებელია იმდროინდელი საქართველოს შეგნებისა და ჰუმანიზმისა.

პოლიტიკაში სულხანი აბსოლუტური მონარქიის მომხრეა, მაგრამ ეს არ გამოირცხავს იმის შეგნებას, რომ მეფისათვის საჭიროა ღირსეული თანამემწენი: კარისკაცები, ვეზირები, მოხელენი. ამათი მნიშვნელობა, სულხანის აზრით, დიდია. “თუცა ყმანი ჭკუათმყოფნი გყვანან, იგინი ამეფე და შენ მათ დაემონეო” ურჩევს ავტორი მეფეს. “ერთი ჭკუა და რჩევა უამხანაგოდ სწორედ არ იქმნების, რაგინ ბრძენი იყოს: ერთიც არის - საქმე არ დაიცდინოს. და ერთის საქმის დაცდენითა ბევრი წახდება. ამისათვის ორისა და სამის კაცის რჩვა სჯობსო”(გვ. 48).

სულხანი გვიხატავს კარისკაცის ასეთ იდეალს: “ერთი ასეთი მხედველ უნდა იყოს, რომე ასის თვალისაგან უმეტეს ხედვიდეს, და მეორის თვალით ბრმისაგან უბრმესი იყოს. აგრეთვე ცალი ყური ასმინოს და ერთი ყური დაიყრუვოს. გული ფუნდუკისაგან უდიდე ჰქონდეს, რაც ყურიდან შევიდეს, დაიგროვოს და შეინახოს, რომელიც არ ვარგიყოს, გაგონილი არ თქვას, და რომელიც კარგი და ჭკუით საფერი იყოს, იგი გამოიღოს და თქვას; ასეთი ენა ჰქონდეს, თაფლი და სამსალა ორივე სდიოდეს”. მას უნდა ახასიათებდეს საზრიანობაც; ამის საილუსტრაციოდ მოყვანილია არაკი “ლაოდიკიის ცალთვალა მეფის და საზრიანი მხატვრისა შესახებ, რომელმაც პრობლემა - როგორ დახატოს მეფე: ცალთვალა თუ ორთვალა, - გადაჭრა ასე: მეფე ირემზე ნადირობს თოფით ხელში, თვალდახუჭული (გვ. 22). ცოტა არ იყოს, საჩოთიროა სულხანის შემდეგი თეორია: კარისკაცმა “რომელი კაცი მეფესა უყვარდეს, არ შეასმინოს, თვარა სიყვარულით არ შეისმენს; ვისიც სიტყვა იამება, ის უნდა უქოს, თორემ შერისხავს, მეფის გულითად პირს უნდა დაუახლოვდეს” მაგრამ ეს თეორია განხილული უნდა იქნეს შემდეგ დებულებასთან .დაკავშირებით: “პატრონსა თუცა მონა უყვარს, ადრე არ უნდა შეიბეზლოსა”, “მეფის საყვარელსა კაცსა სხვანი სძულობენ და ხრიკითა მასცა შეაძულებენ”. ამის ილუსტრაციაა საბას შეძულება და სასახლიდან დათხოვა ვახტანგის მიერ “მოჩხუბართა კაცთა” შესმენით.

დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სულხანი ვეზირის საქმიანობას სახელმწიფო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მას შეუძლია აქ ბევრი კარგიც გააკეთოს და ცუდიც. ვეზირს, მისი სიტყვით, უნდა ახასიათებდეს სიტყვა ტკბილი, მან გამწყრალი უნდა დააწყნაროს, პირიდან ავი სიტყვა არ წაიცდინოს, სიტყვის თქმის ჟამი იცოდეს, ნათქვამი ყოველ კაცს მოაწონოს. ვეზირებს ერთი პირი უნდა ჰქონდეთ და ერთმანეთის მოყვარულნი იყვნენ, ქიშპობასა და მტრობას არ უნდა ეტანებოდნენ, ხვაშიადის შემნახველნი, პატრონის და ღმერთის მოყვარული უნდა იყვნენ; სიტყვის აწონ-დაწონვა და გამორჩევა უნდა იცოდნენო. ყველა ამ თვისების უარყოფაა რუქა, რომელიც ცინიკურად ეუბნება სედრაქს: “შენ მაგ ბუნების პატრონი ხარ, რომე ყოველი კაცი გიყვარს და მე ყველანი მძულანა: (გვ. 139). ამიტომაცაა, რომ სახელი რუქა გამხდარა ჩვენში სინონიმად ყოველგვარი ბოროტებისა და სისაძაგლისა.

სულხანი არ ინდობს წვრილ მოხელეებს, განსაკუთრებით ცრუ მსაჯულებს (ყადი), გზირებსა და მამასახლისებს, რომელთაც თავიანთი მოვალეობა დავიწყნიათ და ხალხს ავიწროებენ, აწუხებენ და ყვლეფენ. ისინი ალეგორიულად გამოყვანილი არიან უფრო ხშირად მგლისა და მელიის სახით (თხა და მელა, მაოხრებელი მკვდარი).

სულხან-საბა ორბელიანი მქადაგებელია ფეოდალურ საზოგადოებრიობაში წოდებრივი საფეხურების აუცილებლობისა, ესე იგი, ბატონისა და ყმა გლეხისა, უფროსისა და უმცროსისა, წარმომშობის თვალსაზრისით, მდიდრისა და ღარიბისა.

მაგრამ ურთიერთობა მათ შორის, მისი აზრით, უნდა იყოს ჰუმანური, სიბრალულსა და ფეოდალურ სამართლიანობაზე დამყარებული. ამ მხრივ მისი სოციალური იდეები ზუსტი გამეორებაა არჩილის სოციალური კოდექსისა, რომელიც თავს იჩენს არა მარტო საბასთან, არამედ შემდეგშიაც - ვახტანგ VI და დ. გურამიშვილთანაც. არჩილის იდეალები ,და სოციალური “ამხილებანი” ტრაფარეტი გახდა მე-17 - 18 სს. პროგრესულ მწერლობაში. რა თქმა უნდა, ასეთი ჰუმანიზმი ყველასათვის გასაგები არ იყო: “მამლარი კაცი მომემარს პურს წვრილად უფშენეტდა და ზედა აყვედრიდა, რად ღორულად სჭამო” (30). ამიტომ სულხანი სასტიკად ამათრახებს ფეოდალთა მედიდურობას და კაციჭამია მდიდრებს, მისი სიმპათიები საწყალი გლეხის, ღარიბი კაცის მხარეზეა. ის კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ “ღმერთს მდიდრისათვის წაურთმევია და საბრალოკაცისათვის მიუცემია” (129).

“სიბრძნე სიცრუისა” უყურადღებოდ არ ტოვებს არც ვაჭრებს, რომელნიც უკვე შესამჩნევი არიან მაშინდელ საზოგადოებრივ ცხოვრებაში; ისინი აქ უარყოფითად არიან წარმოდგენილი, როგორც მოსახლეობის მყვლეფავნი, გაუმაძღარნი და ძუნწები, რომელნიც ხშირად მსხვერპლნი ხდებიან თავისთ სიძუნწისა (უბედური დიდვაჭარი, გვ. 12 - 14). ძუნწი ვაჭარი, რომელმაც, მიუხედავად დიდი სიმდიდრისა, არც ჭამა, არც სვა და არც შეიმოსა, კარგავს თავის ქონებას, რადგანაც, “არც .თვითონ იხმარა და არც ცოლსა და შვილს ახმარა” (გვ. 9). მეორე ვაჭარმა თავისი ყვეყობისა და წინდაუხედველობის გამო თავისი სიმდიდრეც დაკარგა და ლამაზი ცოლიც (გვ. 40 - 41).

სულხანი არ ზოგავს არც უპატიოსნო ხელოსნებს. ასეთია არაკი “ქურდი მკერვალი” (გვ. 23), რომელიც მაკრატელს ისე არ გაშლიდა, რომ რამე არ მოეპარა გამოსაჭრელი მატერიიდან, ეს მანკიერება ისე მაგრად ჰქონდა გამჯდარი ძვალსა და რბილში, რომ, მიუხედავად სურვილისა და მიღებული ზომებისა, მისგან ვერ განთავისუფლდა.

სულხან-საბა ორბელიანი უღირს სამღვდელო პირთა წინააღმდეგაც ილაშქრებს; ის შეუბრალეზლად ამათრახებს სამღვდელო პირებს, მართლმადიდებელნი იქნებიან ისინი თუ სხვა რომელიმე რელიგიის წარმომადგენელნი, იმდროინდელ სამღვდელოებაში უღირსი პირების სიმრავლეს შემდეგ დავით გურამიშვილიც აღნიშნავდა. სულხანი ხაზს უსვამს სამღვდელო პირთ - მალლისა თუ დაბლის - მსუნაგობას, გაუმაძღრობას, ფარისევლობას, ცბიერებას, ურთიერთ შორის მტრობა-შუღლიანობას და გაუტანლობას, მრუშობა-სიბილწეს და ყოველივე სხვა საძაგლობას.

ასეთი დაუნდობელი მხილება უღირსი სამღვდელო პირებისა კიდევ არ ნიშნავს, რომ სულხანი “დაეჭვებული იყო სარწმუნოების საკითხებში” და “რელიგიური ნიჰილიზმის და ანტირელიგიური მოძღვრების მქადაგებელია”, ისევე, როგორც მეფეთა სასტიკი მხილება მის მიერ არ ნიშნავს მეფობის ინსტიტუტის უარყოფას. წარმოდგენელია ბერი საბა, ავტორი ღრმა რელიგიურ ქადაგებათა და სწავლათა, ანტირელიგიური მოძღვრების მქადაგებლის როლში. შეუძლებელია ასეთი რამ დავწამოთ საბას, რომლის “მოგზაურობა ევროპაში” სავსეა გულუბრყვილო რელიგიური ფაქტების და მოვლენების აღწერით, რომელთა სინამდვილეში მას ეჭვი არ ეპარება.

ასეთი დებულების დასამტკიცებლად უჩვენებენ, პირველ ყოვლისა, “ბერად შემდგარი მელიას” იგავს (გვ. 24 - 27). უნდა გვახსოვდეს, რომ ამ იგავში, რომელსაც არა ერთი საგულისხმო პარალელი მოეპოვება ქართულ საზღაპრო ეპოსში და

რომლის ძირითადი მოტივი საერთაშორისო ხასიათისაა⁴⁶, საზოგადოდ რელიგია კი არაა უარყოფილი, არამედ გაკიცხულია ქრისტიანთა საზოგადოების ის წევრები, რომელნიც “თავის დღეებს ცოდვათა ქმნით აღამებდე” და მათ მიტევებას ლამობდნენ მოხუცებულობაში ბერად შედგომით (შეად. მის ქადაგებას “უდროოდ და ურგებად სინანულისათვის”), იერუსალიმში პილიგრიმოებით და “სამოწმოდ გამხდარი” ფორმალური აღიარებით, რომელსაც გამოსწორება არ ახლავს.

მეორე, რასაც უჩვენებენ ამ აზრის დასამტკიცებლად, ესაა იგივე, რომელშიაც ცოდვილი კაცი სთხოვს ანგელოზს: თუ ღმერთი სამოთხეში არ შემიშვებს და ჩემთვის ჯოჯობხეთი აქვს გამზადებული, “ესრე დიდი შემქნას” მაინც, რომ “ჩემს მეტი ჯოჯობხეთში ვერგ-ინ დაეტიოსო”: (გვ. 18). ეს ვერ შეუსრულა ღმერთმა და ისევ სამოთხეში მისცა მას ადგილი. ერთი სიტყვით, ცოდვილმა კაცმა დაამარცხა ყოვლისშემძლე ღმერთი. მაგრამ აქ ღმერთის “დამარცხებაზე” როდია ლაპარაკი (აბა რა დამარცხებაზე შეიძლება ლაპარაკი, როდესაც ის, ცოდვილი კაცი, თავის “სათხოვართა შესრულებას” ანგელოზისა და იმავე ღმერთისაგან თხოულობს?). არაკი მიმართულია დ ი დ ე ბ ი ს მ ო ყ ვ ა რ უ ლ (“დიდი შემქნას”) ადამიანთა წინააღმდეგ, რომელნიც სულ იმაზე ოცნებობენ, რომ ყოველგვარ პირობებში, მათ გარდა და მათზე დიდი არავინ იყოს. ეს, საბას აზრით, იეთი ცოდვაა, რომ მოწყალე ღმერთი სხვაგვარ ცოდვილს (მით უმეტეს, თუ ის “დიდად მლოცველია და მტირალი ცოდვებისათვის”) უფრო ადვილად სამღთხეში მოათავსებს, ვიდრე დიდების მოყვარულს სურვილს შეუსრულებს. მესამე იგავი: ერთმა მეფემ თავი ღმერთად გამოაცხადა და თავისი ვეზირი ანგელოზად, მაგრამ სასწაული ვერ მოახდინეს. ეს იგავი მიმართულია იმ “ცრუწმიდანების” წინააღმდეგ, რომელნიც საზოგადოებაში დახეტიალობდნენ და სხვადასხვა თვალთმაქცობით გულუბრყვილო ხალხს ატყუებდნენ, სასწაულის შესრულებაც კი შეგვიძლიაო. ასეთი პირები, რომელნიც სხვაგანაც და სხვა დროსაც ყოფილან საქრისტიანოში⁴⁷, ჩვენშიაც მოიპოვებოდნენ. თან, არაი ამხელს არა ღმერთსა და ანგელოზს, არამედ ჩვეულებრივ ადამიანს, რომელიც ღმერთობას იჩემებს. შემდეგ: ერთი გლახაკი მიმართავს ღმერთს: “დიდად მოწყალე ბერძანდები, მაგრამ ვინემ კაცს სისხლს არ დაანთხევინებ, არას მისცემო”. თუ ამგვარი საყვედური ანტირელიგიურია, მაშინ ასეთად უნდა ჩაითვალოს მთელი ბიბლიური “წიგნი იობისა” რომელიც თავიდან ბოლომდე წარმოადგენს არა უბრალო საყვედურს ღვთისადმი, არამედ პირდაპირ გამოხატავს. რაც შეეხება იმას, რომ, საბას აზრით, ქველმოქმედებას ადამიანის სიცოცხლეში უნდა ჰქონდეს ადგილი და არა სიკვდილის შემდეგო, ეს არამც თუ არ ამტკიცებს საბას რელიგიურ ნიჰილიზმს, არამედ გვიჩვენებს, რომ მან კარგად იცის ბიბლიის სიტყვები: თუ შენს ძმას ან დას, რომელიც შიშველია და დღიურ საზრდოს მოკლებული, ეტყვი: წადი მშვიდობით, გამეხი და გათბი, ხოლო არ მისცემ იმას, რაც მისთვის საჭიროა, რა სარგებელია? სარწმუნოება უსაქმოდ მკვდარია (იაკობ II, 15 - 17). თან ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ, თუმცა საბა ბერი იყო, მაგრამ მისი მორალი არაა ამ ქვეყნისაგან მოწყვეტილი, ის ადამიანსა და ამქვეყნიურ სინამდვილეს არ ივიწყებს. ამას ადასტურებს მთელი მისი მოღვაწეობა ბერად შედგომის შემდეგ: ეს მოღვაწეობა იყო უფრო ამქვეყნიური, ვიდრე იმქვეყნიური. მისი მორალი ძირითადად ქრისტიანულია, ის სცნობს სიკეთესა და

⁴⁶ ქ ს ი ხ ა რ უ ლ ი მ ე ს ი ბ რ მ ნ ე ს ი ღ რ უ ს რ ა მ დ ე ნ ი მ ე არაკის პარალელი ქართულ ეპოსში (უნივერსტეტის საიუბილეო კრებული, გვ. 195 – 200, 1959 წ.).

⁴⁷ მაგალითად, სიმონ მოგვი (საქ, მოციქ. VIII, 9 - 24), რომელიც იქადიდა სასწაულმოქმედებას, მსხვეპალი გახდა ასეთი პრეტენზიებისა; აგრეთვე აპოლონ ტიანელი, რომლის სასწაულმოქმედებითი პრეტენზიები ასევე უშედეგო აღმოჩნდა.

ბოროტებას არა მარტო რელიგიურ ასპექტში, არამედ ამქვეყნიურშიც: ”კეთილი”, მისი აზრით, არის ყველაფერი ის, რაც ხელს უწყობს ამქვეყნიური ცხოვრების გაუმჯობესებას და კეთილმოწყობას, “ბოროტი” კი რაც ამას ხელს უშლის. ამ მოსაზრებიდან გამომდის მისი აღზნებული პატრიოტული სულისკვეთება, მისი ღვაწლმოსილი, მრავალტანჯული ცხოვრება, რომელიც მას ხან ირანში ამოაყოფინებდა თავს, ხან თურქეთში, ხან დასავლეთ ევროპაში, ხან კიდევ რურეთში. მისი მორალი შემოზღუდული რომ ყოფილიყო მარტო საიქაო ცხოვრების, ასკეტიზმის ფარგლებით, ჩვენს ისტორიას არ ეყოლებოდა ის სულხან-საბა ორბელიანი, რომელიც მან იცის. მაგრამ, კვლავ ვიმეორებთ, უღირს სამღვდელო პირთა მხილება და ამქვეყნიური ცხოვრების კეთილმოწყობასა და გაუმჯობესებაზე ზრუნვა კიდევ არ ნიშნავს, რომ ის რელიგიურ საკითხებში დაეჭვებულია და ანტირელიგიური მოძღვრების მქადაგებელია. ამის დასამტკიცებლად უნდა გავითვალისწინოთ საბას მთელი ცხოვრება და შემოქმედება და არა ცალკეული ადგილები მისი ამა თუ იმ თხზულებისა, ისიც უნდა გვახსოვდეს, თუ როდის დარწმუნდა ასეთი ადგილები.

სულხანის იგავ-არაკებში ცხოვრების მარტო უარყოფითა, ნეგატიური მხარეები კი არაა დახატული; აქ გამოყვანილია დადებითი პერსონაჟებიც, უმთავრესად გლეხთა წრიდან, ნაჩვენები და რეგლამენტირებულია ისეთი მოვლენები, რაც კეთილმოწყობილ საზოგადოებაში საჭირო და აუცილებელია. ამ მხრივ ყველაზე მეტად სულხანი ხაზს უსვამს სწავლის, ცოდნის შეძენის და აღზრდა-განათლების საჭიროებას. როგორც პროპაგანდისტი სწავლა-აღზრდის საჭიროებისა, სულხანი თამამად შეგვიძლია გვერდში ამოვუყენოთ არჩილსა და დავით გურამიშვილს. სწავლა-განათლება, მისი აზრით, აკეთილშობილებს ადამიანს და საზოგადოებას, ის უფრო მაღლა დგას, ვიდრე გვარიშვილობა, სიმდიდრე და სამსახურებრივი მდგომარეობა. განსაკუთრებით საჭიროა ცოდნა და სწავლა-აღზრდა მეფისათვის, რადგანაც მეფე თვითონ უნდა იყოს თავის ქვეშევრდომთა მასწავლებელი და აღმზრდელი, ის მაგალითი უნდა იყოს სხვებისათვის. წავლა-აღზრდის საქმეში დიდ როლს თაბაშობს აღმზრდელი, მწვრთნელი, ოსტატი, მასწავლებელი, მასწავლებლის მნიშვნელობას ასე გვისურათებს ჯუმბერი მამასთან საუბარში: “არაკად თქმულა: ქორი ქორსა სჩეკს, ძერა ძერუკასაო. ჩემს სიტყვებს მე ნუ მაკვებებ და ნურც მე მადებ. კალატოზმან, რომელმან ნატიფად სახლი აღაშენა, სახლის სიკეთეა ანუ მაშენებლისა? მხედარმან, რომელმან კვიცი კარგა სადავედ გაწვართოს, კვიცის საქმეებელია თუ მხედარისა? შენი ხორცი ვარ და ლეონის გაზრდილი. ჩემი სიკეთე ჩემგან არს, აგებულობის საქმე - შენგან, და წვრთილობა - ლეონისაგანა” (77). სულხანი მქადაგებელია ე. წ. სპარტანული აღზრდისა, იმას არ მოსწონს, რომ მას ზრდიდნენ “სათუთად და ნებიერად, ვითარცა შვენის თავადთა ძეთა”. (მისი “ანდერძი”). სულხან-საბას პედაგოგიური იდეები ყურადღების ღირსია მეცნიერული თვალსაზრისითაც.⁴⁸

ნორმალური ცხოვრების მეორე აუცილებელი ელემენტი არის, სულხანის აზრით, ძმობა, მეგობრობა, ამხანაგობა. აი როგორ აფასებს სულხანი მეგობრობა-ამხანაგობას:

-კარგი ამხანაგი ადვილად არ იშოვების, გზაზედ ცუდად არ იპოვების იაფად ვერავინ იყიდის.

⁴⁸ გ. თ ა ვ ზ ი შ ვ ი ლ ი , სულხან-საბა ორბელიანის პედაგოგიკა. საიუბილეო კრებული, უნივერსიტ. მიერ გამოცემული, 1959 წ., გვ. 91-117.

-ამხანაგი ციხე წყლიანია, ზღუდე მაღალია, სიმაგრე დაურღვეველია.

-ამხანაგი ლხინი ფრიადია, სიხარულთა გამამდიდრებელია, სუფრათა შემამკობელია.

-ამხანაგი გულთა ნათელია, თვალთა ჩინია, მკლავთა ძალია და ზურგთა მომბმელია.

-ამხანაგი მტერთათვის მაზიანებელია, მოყვარეთათვის საიმედოვნია, უცხოთა თანა გამოსაჩენია და მეცნიერსა თანა მოსამსახურეა.

-ამხანაგი მარტოსათვის ხმის გამცემია, ჯართათვის მარგებელია და ცოტას კაცთა შემაქვეველია.

-ამხანაგი ჭირში მომხმაროა, სნეულებაში მკურნალი, სიკვდილში თავის წამებია.

-ამხანაგის უკეთესსა შენ რას იშოვნის? რად გძულან, რად ეშუღლვი, რად ეკამათები? მე მრავალი კარგი კაცი მინახავს, მამაშვილობასა და ძმობას გაჰყროდეს და ამხანაგს შესწყობოდეს.

-ამხანაგი თუ არ სიყვარული, საქიშპარი არა არის რა. (138).

იმ ხანაში, როდესაც ფეოდალური პარტიკულარიზმი, შინაური გაუტანლობა და გარეშე მტრების რბევა-თარეში ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობას ძირს უთხრიდა, საჭირო იყო გაერთიანება, სოლიდარული მოქმედება. ამას ენერგიულად ქადაგებდა “აღორძინების” ხანის პროგრესული მწერლობა ჩვენში, ამ ქადაგებას სულხანმა შეუერთა თავისი ხმა. ამ მხრივ მეტად დამახასიათებელია იგავი “ძალა ერთობისა”: “მეფე ვინმე იყო დიდებული. ოცდაათი ვაჟი ჰყვა. რა მოიწია დრო სიკვდილისა მისისა, მოუწოდა ძეთა თვისთა, მოაღებინა ოცდაათი ისარი, შეკრა მაგრა ერთად და მოზიდა, რათა გატეხოს, და ვერ გატეხა. მერმე თითო-თითო მოზიდა და ყოველივე დაღეწა. უთხრა შვილთა თვისთა: თუცა ერთად ხართ და ერთსა პირსა ზედა სდგებართ, მტერი ვერ ვერა გაგტეხსთ, ვითა მე წელან შეკრული ისარი ვერ გავტეხე. თუ გაიყრებით, ესრეთ თითო-თითოდ დაგლეწოსთ მტერმან, თავიცა მოსთხაროთ და მოყვარეცა” (გვ. 47-48).

როდის დაწერა სულხანმა “სიბრძნე სიცრუისა”? პროფ. ა. ც ა გ ა რ ე ლ ი ფიქრობდა, რომ სულხანს ეს წიგნი უნდა დაეწერა მოხუცებულობაში, სახელდობრ, ევროპიდან მობრუნების შემდეგ⁴⁹, რაც, სხვათა შორის, თითქოს იქიდანაც ჩანს, რომ კრებულში მოხსენებულია დუკა, გრანდუკი, მაგისტროსი, რომი. საფრანგეთი, კონსტანტინოპოლი, ოქროს ქვა, ოქროს ქიმია და სხვა ამგვარი, რასაც ის ევროპაში მოგზაურობისას შეითვისებდა მხოლოდ. ამასთან, თხზულებაში გველაპარაკება ჩვენ ადამიანი, ცხოვრებაში გამოცდილი და გამობრძმედილი, რომელსაც ბევრი განუცდია და გაუგონიაო. ასეთი მოსაზრებით ამის დამტკიცება არ შეიძლება, ვინაიდან ყველაფერი ეს სულხანმა, ეჭვი არაა, ევროპაში გამგზავრებამდეც იცოდა. ხელნაწერებში, რომელთაც შემოუნახავთ ამ თხზულების სათაური, ნათქვამია: “წიგნი სიბრძნე სიცრუისა, ნათქვამი ს უ ლ ხ ა ნ ორბელიანისაგან ჟამსა “ს ი ჭ ა ბ უ კ ი ს ა მ ი ს ი ს ა ს ა”. ამ სიტყვების მიხედვით შეგვიძლია ვთქვათ, რომ თხზულება⁵⁰ დაწერილია ავტორის ბერად შედგომამდე, ესე იგი, 1698 წლამდე. ამას გვაფიქრებინებს შემდეგი გარემოება: 1) თხზულების ავტორად ამ სათაურში

⁴⁹ ამ აზრს ემხრობოდნენ ნ. მარი (Сборник притч Вардана, I, 346) და ა.ხახანაშვილი (Очерки, III, 236), ახლა მისი აღდგენა მოინდომა არა საკმაო საბუთებით თ. კუკავამ (სულხან-საბა ორბელიანის ”სიბრძნე სიცრუის” დაწერის თარიღისათვის, ”მნათობი,” 1957, N 9, გვ. 149-152).

⁵⁰ ამის შესახებ იხ. ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ი ს ” სიბრძნე სიცრუისა”, კრებული სულხან-საბა ორბელიანი, 1658-1958, მეცნ. აკადემიის გამოცემა, 1959 წ., გვ. 38-40.

დასახელებულია ს უ ლ ხ ა ნ და არა საბა, თუგინდ საბა-სულხან, ესე იგი ავტორის საერისკაცო სახელი. 2) დაწერილია ის “ჟამსა სიჭაბუკისა მისისასა”. თავისი “ლექსიკონის” ანდერძში სულხანი ამბობს, რომ ამ ლექსიკონს ის წერდა “ჟამსა ჭაბუკობისა და სიყრმისა” გიორგი მეფის ბრძანებით. მაშასადამე, ჭ ა ბ უ კ ო ბ ი ს ჟამად მას მიაჩნია დრო 1685 წლიდან, როდესაც დაიწყო მუშაობა ლექსიკონზე, 1696 წლამდე (ამის შემდეგ გიორგი მეფეს აღარ შეეძლო ებრძანებინა მისთვის ასეთი რამ, რადგანაც ის სპარსეთშია). 3) “ქილილა და დამანას” წინასიტყვაობა-ანდერძში საბა ბოდბის იხდის და ბერისათვის შეუფერებლად თვლის იმ სქმეს, რომელსაც ის ასრულებს, ჯერ ერთი, ვახტანგის ბ რ ძ ა ნ ე ბ ი თ , და, მეორე, რომელიც მდგომარეობს არა შედგენა-შეთხზვაში, არამედ მეფის შრომის რედაქციულად “გაჩაღხვაში”. როგორ მისცემდა ის ნებას თავის თავს ბერობაში თვითონ დაეწერა და შეეთხზა ანალოგიური თხზულება? 4) იგავი “ბერად შემდგარი მელი”, მართალია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ანტირელიგიურ პროპაგანდას არ შეიცავს, მაგრამ ისეთი ი რ ო ნ ი ო თ ლაპარაკობს აღსარების, პილიგრიმოზისა და ბერად შედგომის შესახებ, რასაც, რა თქმა უნდა, ადგილი არ ექნებოდა მას შემდეგ, რაც საბა თვითონ აღიკვეცა ბერად. ამრიგად, შრომა დაწერილია 1698 წლამდე, უნდა ვიფიქროთ, მე-17 საუკუნის ოთხმოციან, ოთხმოცდაათიან წლებში.

მეორე საკითხი: ორიგინალურია თუ არა “სიბრძნე სიცრუისა”? პროფ. ა. ცაგარელს ამ თხზულების იგავ-არაკები შეუდარებია “პანჩატანტრასა”, “ჰიტოპადეშას”, “ანვარი სოჰაილის”, “ათასერთლამიანის”, მხითარ გოშისა და თუთინამეს არაკებისათვის და იმ დასკვნამდე მისულა, რომ “სიბრძნე სიცრუისა” არაა დასახელებული კრებულების არც თარგმანი, არც მიბაძვა, არამედ ორიგინალური ქართული ნაწარმოებია, მისი შინაარსი ამოღებულია ხალხის წიაღიდან და, თუ ზოგიერთი არაკი სხვა ხალხთა არაკებში პოულობს შესატყვისს, ის, ყოველ შემთხვევაში, ლიტერატურული გზით არ უბდა იყოს შემოსულიო⁵¹, ზოგადად ეს შეხედულება მისაღებია, კრებულის ფორმა იმის მაჩვენებელია, რომ სულხანი იცნობდა ამ ჟანრის ლიტერატურას: ის გეგმა და ქარგა, რომელზედაც გამოყვანილია იგავ არაკები, მოგვაგონებს “ბალავარიანის”, “ანვარი სოჰაილის” და “თიმსარიანის” გეგმასა და ქარგას. გამორიცხული არაა, რომ თვით სახელწოდება კრებულისა “ს ი ბ რ ძ ნ ე ს ი ც რ უ ის ა” მოგონილია “ს ი ბ რ ძ ნ ე ბ ა ლ ა ვ ა რ ი ს” ან “ვარლაამისა და იოასაფის” წიგნის მიხედვით. შემდეგ, ასეთი ფრაზები: “თქვა არაკი მეფემან”, ვაზირმან, ლეონმან და სხვ., გვაგონებს “ქილილა და დამანას” ფრაზებს: “თქვა არაკი ამა და ამ პირმაო. ამა თუ იმ პირთა (მეფე, მისი მოხელენი და მახლობელნი) და მოვლენათა თვისებებს საბა ასე აღნიშნავს: პირველად, მეორედ, მესამედ... (გვ. 19, 43, 63, 64, 86-88). ეს მანერა გვხვდება “ქილილა და დამანაშიც” (გვ. 87, 93, 104, 335, 350 .და სსვ.). სენტენციათა დალაგებისას საბა ზოგ შემთხვევაში (მაგ., ვაზირი, მტერი, ამხანაგი ვინ არის, გვ. 48, 48, 78, 138)

იყენებს იმავე “ქილილა და დამანას” ფორმას (მაგ., გვ. 429 სხვადასხვა ადამიანთა შესახებ).

რაც შეეხება იგავ-არაკებს, არც ერთი მათგანი საბას მოგონილი ან უცხო კრებულიდან უცვლელად ამოღებული არ უნდა იყოს, ისინი ამოღებულია მართლაც ხალხის წიაღიდან. არსებობს აზრი, რომ საბაზე გავლენა მოუხდენია ლაფონტენს,

⁵¹ «Книга мудрасти и лжи», стр. XI; შდრ. ალ. ბარამიდის ”სიბრძნე სიცრუისა”, საიუბილეო კრებული, 1959წ., გვ. 41-46.

რომელიც მას საფრანგეთში ყოფნისას უნდა გაეცნო.⁵² მაგრამ ეს მართალი არაა: საბა ევროპაში 1713-1716 წლებში ვერ გაიცნობდა ლაფონტენს, რომელიც 1694 წელს გარდაიცვალა. არაა მოსალოდნელი არც ლიტერატურული ნაცნობობა მასთან, რადგან საბამ ფრანგული ენა, ყოველ შემთხვევაში თავისი კრებულის დაწერისას, ევროპაში გამგზავრებამდე, არ იცოდა. შეიძლება საბასა და ლაფონტენის კრებულებში მსგავსი არაკები მოიძებნოს, მაგრამ ასეთი მსგავსება საბას კრებულს სხვადასხვა კრებულებთანაც აქვს, ასე, მაგალითად: არაკი “მუნწი ვაჭრის” შესახებ (გვ. 9-11) როგორც მთავარი მოტივით, ისე დეტალებით გვაგონებს “ათასერთლამიანის” არაკს. არაკი იმის შესახებ, თუ როგორ მარხავენ ცოცხალ ქმარს მკვდარ ცოლთან (გვ. 113-117), გვაგონებს იმავე “ათასერთლამიანისა” და სინდბადის იგავს (А. Цагарели, გვ. 194, შენ. 99)⁵³: დათვისა და მონადირის დამძობილების არაკი (88 -89) -პანჩატანტრას (ბენფეი, I, 354). არაკი ვირის, ვეფხვის, მელიასა და მგლისა (66-68) გამოხმაურებას პოულობს იმავე პანჩატანტრაში (იქვე, 506-510), გლახაკი და ქილა ერბო (140) - ჰიტოპადემას, პანჩატანტრას, ქილილა და დამანას არაბულსა და ახალ სპარსულ ქაშიფის რედაქციაში (ალ. ბარამიძე, სულსან-საბა ორბელიანი, საიუბილეო კრებული, გვ. 42-44). არაკი სპარსელი ვაჭრისა, რომელმაც თავისი ლამაზი ცოლი არამც თუ მიათხოვა ედესის მეფეს, უკანასკნელის ვერაგობით, რასაკვირველია, არამედ მაყრობაც კი გაუწია მას (40 41), გვაგონებს “შვიდვეზირიანის” მეშვიდე არაკს: “ერთი ხელმწიფისათვის, რომელსაცა ჰყვანდა საყვარელი დიდებული, რომ შეერთო დედოფალი და გააქცია” (გამოც. 2, გვ. 132-147). “ბროწეულის წვენი” (გვ. 100) გვაგონებს “მეფეთა სალაროს-არაკს “ბარამგური და მეზაღე” (ანთოლოგია II, 95). არაკი “უნადვლოთა მძებნელი” (35-48) თემატიკურად და “სასოწარკვეთილის” ამბით (38) უახლოვდება “ბარამგურიანის” მეშვიდე ზღაპარს (გამოც. კ. კეკელიძისა, გვ. 165-203)⁵⁴. არაკი “სოფლის მშენებლის” ძაღლისა და მამლისა (28-31) მთავარი მოტივით უახლოვდება ეზოპეს იმავე სათაურის არაკს, განსხვავება მხოლოდ დეტალებშია. ეზოპეს არაკებს რამდენადმე უახლოვდება არაკი: “მუნწი და ოქრო” (53), “მელი და წერო” (81), “ვირი, კაჭკაჭი და მგელი” (156); არაკი “ნალბანდი და მგელი” (49) გვაგონებს ეზოპესა და “მელის წიგნის” არაკს (“მელის წიგნი”, გვ. 82-83). “კუ და მორიელი” (73) გამოძახილს პოულობს “ქილილა და დამანაში” (გამ. ი. ჭყონიაში, გვ. 122-123), პანჩატანტრასა (ბენფეი, I, 223) და ეზოპეს კრებულში. “კაცი და გველი” (126-127) _პანჩატანტრაში (ბენფეი, I, 113-118), ეზოპეს კრებულსა და “ქილილა და დამანაში” (გვ. 341 -245). არაკი “მთიელი და კაკლის ხე” (გვ. 2) _ “მელის წიგნში” (გვ. 114). იგავი “ძაღლები და მგელი” (163-164) პარალელს პოულობს ქართული “ბალავარიანის” ვრცელ რედაქციაში, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ “ზომზე შემოკრებილი ძაღლები”. არაკი “მგელი, თხა და თივა” (70) ძალიან ახლოს დგას ერთ სომხურ თხრობასთან საბავშვო მოხერხებულობა⁵⁵. არაკი “დიდ ვაჭარი და მეფუნდუკე” (131) მთავარი მოტივით გვაგონებს ლეგენდას კეთრით შეპყრობილი იმპერატორის კონსტანტინე დიდის განკურნებისას საგანგებოდ ამისთვის დაკლულ მცირეწლოვან ბავშვთა სისხლში ბანაობით. ამ ლეგენდას ახსენებს საბა “მოგზაურობაშიც” (გვ. 23). იგავი “ორი მოლა” (23-24) სიუჟეტურად გვაგონებს აგიოგრაფიული ლიტერატურიდან თეოდორასა და დიდმოსის “ცხოვრების”

⁵² А. Хаханов Очерки, III, 233; “აკაკის კრებული”, IX 1898წ., გვ. 29-30.

⁵³ შეად. მ. ჩიქოვანის-“ერთი იგავის სათავეები”, გაზ. “თბილისი,”1959წ., N253.

⁵⁴ კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე , ეტიუდები,II-83-86

⁵⁵ რაც გამოვლინებულია ილ. აბულაძის მიერ (საიუბილეო კრებული “სულხან-საბა ორბელიანი” 1959წ., გვ. 9-10).

ანალოგიურ ამბავს ციხეში (უფრო მეტი ანალოგია ნაჩვენებია გერმანული თარგმნის წინასიტყვაობაში). ამას გარდა ჟურნალ Atheneum-ში (1895 წ. 16 თებერვალი), რომელშიაც მოთავსებულია რეცენზია ო. უორდროპის ინგლისურ თარგმანზე, და გაზეთ “ივერიაშია” (1895 წ. N60), სადაც ამ რეცენზიის, შესახებაა ლაპარაკი, მოყვანილია პარალელები სერბიული არაკებიდან და მოლდავური თქმულებებიდან.

როგორ უნდა შევხედოთ ამ მსგავსებასა და სიახლოვეს, პარალელებს? აქ ჩვენ საქმე არ უნდა გვქონდეს ლიტერატურულ სესხებასთან, დასახელებული წყაროების უდიდესი ნაწილი საბასთვის ხელმიუწვდომელი იყო. შესაძლოა, დავუშვათ, რომ “სიბრძნე სიცრუის” დაწერამდე საბა იცნობდა “ქილილა და დამანას” (დავით მეფის თარგმანს), “მელის წიგნს” (დედანში), “ბარამგურიანს” (თარგმანში), “შვიდევიზირიანს” (დედანში), მაგრამ ამ წყაროებთან საერთო მასალა მას სულ სხვა რედაქციით აქვს მოყვანილი. მაშ რაშია საქმე? საქმე ისაა, რომ არსებობს მოარული სიუჟეტები, ერთი და იგივე იგავარაკული სიუჟეტი შეიძლება მოიძებნოს ისეთ ხალხებსა და ტომებს შორისაც, რომელთაც ერთმანეთთან არავითარი ურთიერთობა არ ჰქონიათ.

უკანასკნელ წლებში გამოვლინებულ იქნა საგულისხმო პარალელები სულხანის იგავებისა ქართულ ხალხურ სიტყვიერებაში (გ. ლეონიძის, მ. ჩიქოვანის, ე. ვირსალაძის, ა. ლლონტის, ა. ცანავას),⁵⁶ განსაკუთრებით ქ. სიხარულიძის შრომები, აგრეთვე ორბელიანის დაბადებიდან 300 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, 1959 წ.), რომელნიც გვითვალისწინებენ, რომ სულხანი ფართოდ იყენებდა ქართული ხალხური სიტყვიერების ნიმუშებსაც, მათ ის თავის შემოქმედების ბრძმედში აწრთობდა. ამასთან ერთად ისიც უნდა გვახსოვდეს, თავის მხრივ ორბელიანის იგავ-არაკებიც ხალხში გადადიოდა და ხალხურ სიტყვიერებაზე გავლენას ახდენდა.

ენა “სიბრძნე სიცრუისა” არის მარტივი, დარბაისლური, ადვილად გასაგები, ბარბარიზმებისაგან განტვირთული და შესამჩნევად დაახლოებული ხალხურ მეტყველებასთან. შესაძლებელია, ეს იმაზედაც იყოს დამოკიდებული, რომ მასალა ამოღებულია, როგორც ვთქვით, უპირატესად ხალხის წიაღიდან. ყოველ შემთხვევაში, “სიბრძნე სიცრუისა” ის მიჯნაა, საიდანაც ქართულ მხატვრულ პროზაში დიდი და მნიშვნელოვანი გარდატეხა ხდება მისი ენის ხალხურ მეტყველებასთან დაახლოვებით. მის ენას ახასიათებს ლაკონიურობა, ზედმეტი ენობრივი დეტალებისაგან განტვირთვა, მოტივაცია მოქმედებისა, მოვლენების თანდათანოვანი განვითარება, რომელიც მკითხველს წინასწარ ანიშნებს მოსალოდნელ ეფექტს. მიუხედავად იმისა, რომ სულხანი მხატვრული აქსესუარის გამოყენებაში დიდ ზომიერებას იჩენს, აღმოსავლური ყვავილოვნობა მაინც თან სდევს ამ ენას. ამის მაჩვენებელია ისეთი ადგილები, როგორც, მაგალითად: “ოდეს გათენდა და შავთა უფსკრულთა ფარდაგი ცეცხლის ალისა მსგავსისა მზისა შუქით დაიხია, მისი ელვარე მოციქული ხმელეთს გამოგზავნა”. ჯუმბერის გარეგნობა ასეა დახატული: “სინათლითა მზე მოშურნეობდა, ათხუთმეტისა დღისა მთვარე მისგან ნათელსა ითხოვდა, ვარსკვლავნი მისსა კამკამებასა გაეცვიფრებინა, შავნი მერცხლის მხარნი ბროლთა ზედა განპობით დაემშვენებინა, მელნის გუბენი გიშრის ლერწმით შემოესარა, ვარდი და ზამბახი ერთმანერთში აეყვავებინაა” (გვ. 6)⁵⁷. “ქილილა და

⁵⁶ წიგნი “სიბრძნე სიცრუისა” და ქართული ხალხური მახვთილსიტყვაობა, 1959.

⁵⁷ სულხან-საბა ორბელიანის ენის შესახებ იხ. რევაზ ბარამიძის “სულხან-საბა ორბელიანის მხატვრული ენის ზოგიერთი თავისებურებების შესახებ” (საიუბილეო კრებული, გვ. 49-60, 1959 წ.);

დამანას” სტილთან შედარებით, რომელიც საბოლოოდ საბას კუთვნდოვდა, გინა თუ “სწავლა-მოდვრებათა“, “სიბრძნე სიცრუისა” მაინც სულ ახალსა და არაჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს ქართულ მწერლობაში.

უნდა აღინიშნოს ერთი გარემოება. როგორც ვიცით, “აღორძინების” ხანაში პროზა იმდენი ყურადღებით არ სარგებლობდა, რამდენითაც პოეზია. პროზას თითქოს გაურბოდნენ კიდევაც, დაწინაო პროზით დაწერილ თხზულებებს ხშირად ლექსავდნენ ხოლმე. სულხან-ასაბა ორბელიანი, მიუხედავად იმისა, რომ ჩინებული პოეტი იყო, რაც მან “ქილილა და დამანას” ლექსებით დაამტკიცა, თავის საკუთარ შრომებში არ გაჰყვა ამ ტრადიციას და ისინი პროზის სამოსელში დაგვიტოვა. მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ წინა ხანის პოეზიასთან მან კავშირი გაწყვიტა. რუსთველის გავლენას ვერც ის ასცდა. თუმცა სიტყვასიტყვით რუსთველს ის არსად არ იმეორებს, მაგრამ, როგორც შენიშნულია სამეცნიერო ლიტერატურაში, ზოგიერთი სიუჟეტური მომენტი “სიბრძნე სიცრუისა” “ვეფხისტყაოსნის” ეპიზოდებს მოგვაგონებს, შინაარსობლივად საბა ნათესაურ კავშირს ამჟღავნებს არჩილის პოეზიასთან.

იგავ-არაკთა შინაარსობლივი ღირებულებით, სენტენცია-აფორიზმების სიუხვით “სიბრძნე სიცრუისა” იგავარაკული ჟანრის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია არა მარტო ქართული, არამედ მსოფლიო ლიტერატურის მასშტაბითაც, ამიტომ გასაკვირი არაა, რომ ის დღეს სხვა ენებზედაცაა ცნობილი; არსებობს მისი შემდეგი თარგმანები: რუსული ა. ცაგარლისა_ Книга мудрости и лжи, 1878 г. ეს რედაქცია განმეორდა თბილისში 1939 წელს ს. იორდანიშვილისა და ი. ტინიანოვის მიერ. მეორე რუსული თარგმანი შესრულებულია ე. დოლობერიძის მიერ (О мудрости вымысла, Москва, 1948, 1951 гг.) ინგლისური თარგმანი ეკუთვნის ო. უორდროპს (The book of Wisdom and Lies, ლონდონი, 1894), გერმანული _ მ. წერეთელს (Die Weisheit der Lüge, ბერლინი, 1933), ნაწილობრივი თარგმანი ჟ. მ უ რ ი ე ს ი არსებობს ფრანგულ ენაზედაც (1885 წ.). უკანასკნელ წლებში ეს თხზულება ითარგმნა უნგრულ, უკრაინულ, სომხურ, პოლონურ და ჩეხურ ენებზე.

იგავარაკული ჟანრის ლიტერატურიდან, რომელიც სულხანის სახელთანაა დაკავშირებული, დასახელებული უნდა იქნას მის მიერ რედაქტირებული ”ქილილა და დამანა” ვახტანგ VI-ის მიერ თარგმნილი. ამჟამად ჩვენ არ ვჩერდებით ამ თხზულებაზე, რადგანაც ქვემოთ ის საგანგებოდ არის განხილული.

იგავარაკული მემკვიდრეობიდან შეიძლება მოვიგონოთ კიდევ სულხანისავე, დღეს უკვე დაკარგული, ”სწავლა კიდობანთა” (თუ “კიდობანი სწავლათა). 1888 წელს გაზეთი “ივერია” (№ 175) იძლეოდა შემდეგ ცნობას:”ამ რამდენიმე წლის წინად ტფილისში აღმოჩნდა ერთი ფრიად საყურადღებო ხელნაწერი წიგნი ზღაპართ კრება, სახელდობრ “სწავლა კიდობანთა” (საბა-სულხან ორბელიანისა. ეს თხზულება ქართულ მწერლობაში სრულიად უცნობია და ახალი რამ არის. ეს კრებული შეიცავს 172 პატარ-პატარა ზღაპარს. ამ წიგნის ერთი ეკზემპლარი 1872 წ. წარმოუგზავნიათ ტფილისს, ჟურნალ ”კრებულის” რედაქციაში. ამ ჟურნალის დახურვის შემდეგ ეს ხელნაწერი დაკარგულა. 1883 წელს ისევ აღმოჩენილა და ეხლა აქვს ბ-ნს მ.

სიბრძნე სიცრუის სტილის მხატვრულობის შესახებ იხ. დ. შენგელაია, წიგნი სიბრძნე სიცრუისა, “ცისკარი”, 1959, №10, გვ. 110-111; ზოგადად სულხან-საბა ორბელიანის ენის შესახებ იხ. ივ. გიგინეიშვილი, უნივ. საიუბ. კრებ., გვ. 39-43.

ნასიძესო”.⁵⁸ შეიძლება ეს ცნობა გაუგებრობის ნაყოფი იყოს და აქ უცნობი რამ ნაწარმოები კი არ იგულისხმებოდეს, არამედ იგივე “სიბრძნე სიცრუისა”. საქმე ისაა, რომ კრებულში ყოფილა მოთავსებული ”პატარ-პატარა ზღაპრები”, რიცხვით 172. “სიბრძნე სიცრუეშიც” ჩვენ გვაქვს ”პატარ-პატარა ზღაპრები”, რიცხვით 110. და 60 სენტენცია-აფორიზმი და ანეკდოტი.

III

მოგზაურობა ევროპაში

საბას ევროპაში მოგზაურობის შედეგად დაიწერა საყურადღებო თხზულება “მოგზაურობა ევროპაში”⁵⁹, რომელიც ამ ეპოქაში აღმოცენებული მემუარული ჟანრის საუკეთესო ნიმუშია. სამწუხაროდ, ამ შრომას ჩვენამდე მთლიანი სახით არ მოუღწევია, დაკარგულა პირველი ნაწილი, სადაც აღწერილი უნდა ყოფილიყო მისი საფრანგეთში ყოფნა. ეს შემდეგიდან ჩანს. საბა ამბობს: საბას მეფის “ქალი იყო სპანიის მეფის ცოლი, რომ ზეით სიკვდილი დავსწერეთ არსად ეს ფაქტი აღნიშნული არაა, მაშასადამე, ”ზეით” გულისხმობს სწორედ პირველ, დაკარგულ ნაწილს. ერთი ეკლესიის შესახებ საბა ამბობს: “მისთანა არც ფრანციაში მინახავს” (გვ. 97). ”წალკოტები, როგორც პარიზისა დავსწერე, ესეც მისთანა იყო“-ო. “მისის წალკოტის ამბები ფრანციცისა დამიწერია, მაგრამ ამისი ასე სჯობდაო”. “მათს წალკოტს ღობეთ სულ ნარინჯი და თურინჯი ევლო, როგორც ფრანცისულს წალკოტში ბზა დაგვიწერია”. “ჟენევიას ზოგი ასეთები რამ ვნახეთ, არც ფრანციცის მეფის სახლში მინახავს”. საფრანგეთის მინისტრს საბა სწერს: “დიდ ქალაქს ფარიზს მოვედით” (გვ. 162). აქ პირდაპირაა აღნიშნული, რომ საფრანგეთის დედაქალაქის, პარიზის, წალკოტებიც კი აუწერია მას, მაგრამ ასეთ რამეს შგმონახულ ნაწილში ვერ ვპოულობთ. არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს ნაწილი თვით საბამ ჩამოაშორა თავის შრომას, მაშინ დარჩენილ ნაწილში არც მოიხსენებდა მას. არც ისაა სავარაუდებელი, რომ ეს ნაწილი კონფესიური მოსაზრებით მოსპეს მართლმადიდებელმა ქართველებმა, ამ მოსაზრებით ისინი უფრო მოსპობდნენ პაპთან ურთიერთობის ამბავს იტალიაში მოგზაურობის დროს. კონფესიური მოსაზრებით ქართველ ორთოდოქსებს საბას კათოლიკური კატეხიზმოც კი არ მოუსპიათ, პირიქით, ის, როგორც ნაჩვენები იქნება, მათ გაწმინდეს კათოლიკური ტენდენციებისაგან და ორთოდოქსურ ნაწარმოებად აქციეს. უფრო საფიქრებელია, რომ ეს ნაწილი შემთხვევით დაიკარგა, ისე, როგორც ყოველ ხელნაწერში, რომელიც ხელიდან ხელში გადადიოდა, უფრო ხშირად ზიანდებოდა და ისპობოდა კიდევ მისი პირველი ან უკანასკნელი ნაწილი.

რადგანაც დასაწყისი ნაწილი არ შენახულა, არ ვიცით, რა სასელი უწოდა ამ თხზულებას თვით საბამ; ის დასათაურება, რომელსაც ხელნაწერებში ვპოულობთ, გადამწერთა მიერ არის შეთხზული, ამიტომ “მოგზაურობა ევროპაში”, როგორც დღეს ამ ნაწარმოებს ვუწოდებთ, პირობითია.

საბას ევროპაში მოგზაურობა გამოწვეული იყო მაშინდელი პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობით. დასავლეთ ევროპის წარმომადგენელნი, კომერსანტების თუ მისიონერების სახით, ჯერ კიდევ მეცამეტე რაუკუნიდან აბამენ

⁵⁸ გ. ლ ე ო ნ ი ძ ე , ს. იორდანიშვილის 1938 წ. გამოცემის წინასიტყვაობა, გვ. XXIII შეად. ი. ლ ო ლ ა შ ვ ი ლ ი , ს. ორბელიანის დაკარგული თხზულების შესახებ, ლიტერატ. გაზეთი, 1957 წ.

⁵⁹ ვსარგებლობთ ს. იორდანიშვილის 1940 წლის გამოცემით.

კავშირს საქართველოსთან, რადგანაც ამ მხარეს თვლიან საუკეთესო გზად აღმოსავლეთის ქვეყნებისაკენ, სადაც მათ სავაჭრო ინტერესები იზიდავდა. ეს ურთიერთობა განსაკუთრებით გაძლიერდა ე. წ. აღორძინების ხანაში, როდესაც კომერსანტები და მისიონერები მეტი რაოდენობით ჩნდებიან ჩვენში და თავისი საქმიანობით ერთგვარ ინტერესს აღვიძებენ ქართველებში. ამით აიხსნება, რომ თვით ქართველი მეფეები, მაგალითად, ვახტანგ V შაჰნავაზი, სხვადასხვა შეღავათებს ჰპირდებიან მათ, ოღონდ ისინი თავის ქვეყანაში მოიზიდონ. მე-17-18 საუკუნეებში ქართველები უფრო მეტად დაინტერესდნენ ევროპით, რადგანაც მათი ქვეყანა საცილობელი საგანი გახდა ირანსა და თურქეთს შორის, რომელნიც გამუდმებით არბევდნენ და აწიოკებდნენ მას. საჭირო შეიქნა საიმედო მოკავშირის და დამხმარის ძებნა. რუსეთმა, რომელზედაც ქართველები მე-15 საუკუნიდან დიდ იმედებს ამყარებდნენ, ფაქტიურად ვერ შეძლო ამ იმედების გამართლება. ამიტომ წამოჭრილა საფრანგეთის ორიენტაციის საკითხი. როდესაც სპარსეთში მყოფ ვახტანგისაგან შაჰს გამაჰმადიანება მოუთხოვია და, უარის გამო, ის ქირმანში გადაუსახლება, მას, ვახტანგს, დაბადებია აზრი საფრანგეთში ლუი XIV-თან ელჩად გაეგზავნა საბა, რომელიც 1713 წელს მისიონერ რიშართან ერთად მართლაც “გაპარულა” ევროპაში. რომის პროპაგანდის დასკვნით, საბა საფრანგეთში მიდის, რათა იქაურ “ხელმწიფეს მოსთხოვოს თავისი უძლიერესი მფარველობა საქართველოს მეფისათვის, რომელიც სპარსეთის მეფის წინაშე არის დატყვევებული”⁶⁰. თავისი საქმის წარმატებისათვის მას უნდა მოეგო რომის პაპის გული, რადგანაც დარწმუნებული იყო – “თუ უფროსად წმიდა მამა თავის შვილს, ფრანცისის მეფეს, ტკბილად ასწავლის და ფრანცისის მეფე მოინდომებს, ჩვენს მეფეს ეშველებაო”. საბამ დიდი შთაბეჭდურლება მოახდინა საფრანგეთშიც, სადაც ის ორჯერ წარუდგა ლუი XIV-ს, და რომშიც პაპ კლიმენტი XI-ზე, რომელიც მას ეუბნება: “ჩემი სისხლიც რომ მთხოვო ვახტანგისა და შენის ქვეყნის სასარგებლოდ, იმასაც დასაქცევად მოგცემო”. ტკბილი სიტყვებით, უნიადაგო დაპირებებით და რელიგიური რელიკვიებით დატვირთული საბა უშედეგოდ დაბრუნდა სამშობლოში.

პოლიტიკურად უშედეგო, ლიტერატურულად ნაყოფიერი გამოდგა ეს მოგზაურობა. ამის შედეგად დაიწერა ქართული დოკუმენტური პროზის ცნობილი ნაწარმოები “მოგზაურობა ევროპაში”, რომლის ავტორი გასაოცარი დაკვირვების ნიჭსა და უნარს ამჟღავნებს.

საბა, პირველ ყოვლისა, დაინტერესებულია იტალიის სარწმუნოებრივ-საეკლესიო ცხოვრებით. ის დაწვრილებით აგვიწერს ამ ქვეყნის ეკლესიებს, მონასტრებს, მათ არქიტექტურას, მათში დაცულ რელიკვიებს, პაპის კარზე მიღებულ ყოველდღიური ცხოვრების განაწესს, ზოგიერთი წმინდანის ცხოვრებიდან საყურადღებო ეპიზოდს, სასულიერო პირთა, კერძოდ კარდინალის, საეკლესიო ხარისხზე აყვანას და სხვ. ეს, რასაკვირველია, მოსალოდნელია საბასაგან, როგორც სასულიერო პირისაგან. მაგრამ მისი ინტერესები მარტო ამით არ ამოიწურება. საქრისტიანო რელიკვიებთან ერთად საბა ყურადღების გარეშე არ ტოვებს არც წარმართულ ძეგლებს, როგორც, მაგალითად, რომში ე. წ. “საკერპოს”, რომელსაც “სიმართლის ღმერთს” ეძახოდნენ თურმე. ამ, ეკლესიად გადაკეთებულ საკერპოში იყო ქვისაგან გამოჭრილი პირღია კაცის თავი, რომელიც, თუ მტყუანი შეყოფდა

⁶⁰ მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი , კათოლიკობის ისტორია საქართველოში, გვ. 319.

ხელს, მოუჭერდა და მოსტეხდა. ფოლკლორის მოყვარულ საბას ამასთან დაკავშირებით მოჰყავს თქმულება ქმრისაგან შემჩნეული ბოზი დედაკაცის შესახებ, რომელსაც, თავისი ვითომცდა უდანაშაულობის დასამტკიცებლად, ამ “სიმართლის ღმერთის” პირში უნდა ჩაეყო ხელი, ეს კი მას ხიფათს უმზადებდა (გვ. 70-71)⁶¹. საბას ინტერესი მრავალმხრივია. რა არ აინტერესებს მას, რას არ აქცევს ყურადღებას, რას არ აგვიწერს ის თავისი მხატვრული კალმით? მისი შრომა საყურადღებოა იმდროინდელი პოლიტიკური ცხოვრების გასათვალისწინებლად როგორც დასავლეთ ევროპაში, ისე საქართველოში და თურქეთში. თუ რამდენად აინტერესებდა მას პოლიტიკური მხარე ცხოვრებისა, ჩანს შემდეგიდან: ჯენევის დუკას “ორ წლამდინ დასმენ, მერე გამოსცვლიან. პოპლიად ეწოდება ამ გამოცვლისათვის. დიდრონი თავადები სახლობენ, ხან ერთს დასმენ, ხან მეორეს” (გვ. 8).

პოლიტიკურ ცხოვრებასთან ერთად საბა უყურადღებოდ არ ტოვებს არც სოციალ-ეკონომიურს, დიდებულ და შეძლებულ პირთა ყოფა-ცხოვრებას, ღარიბთა და გლახაკთა უმწეო მდგომარეობას, იმ საქველმოქმედო ღონისძიებას, რომელსაც იღებენ უკანასკნელთა მდგომარეობის ვითომდა გასაუმჯობესებლად. მაგალითად, აშენებენ საერთო საცხოვრებლებს ღარიბთა შვილების, უფრო ქალების, აღსაზრდელად. ინტერესს არაა მოკლებული აღწერა იმისა, თუ როგორ უმასპინძლებდა პაპი თავის ტაბლაზე ყოველდღე ქუჩებიდან შეგროვებულ გლახაკებს. სოციალური ყოფის სურათებიდან ის ხაზს უსვამს ტყვეთა სყიდვა-გაყიდვის ჩვეულებას. რამდენი გაყიდული ქართველი შეხვედრია მას ხმელთაშუა ზღვის კუნძულებზე და ქალაქებში ან გამოსყიდული გულშემატკივარი ქრისტიანების მიერ, ან გამოქცეული და გამოპარული ტყვეობიდან?

საბას “მოგზაურობა” მდიდარ მასალას იძლევა იტალიის, კერძოდ რომის, ისტორია-არქეოლოგიიდან⁶². ამ მხრივ საბას მიერ მოწოდებული ცნობები ძვირფასია მეცნიერებისათვის და, სამწუხაროა, რომ ეს ცნობები სხვა ენებზე ჯერ გამოუქვეყნებელია, შეიძლება ითქვას-უცნობიც.

ისტორიულ-არქეოლოგიურ ცნობათა გარდა ამ თხზულებაში ჭარბადაა მოცემული პალეონტოლოგიური, ზოოლოგიური, ბოტანიკური, კლიმატოლოგიური, ეთნოგრაფიული, სტატისტიკური, ყოფაცხოვრებითი და პროფესიული ხასიათის ცნობები, აგრეთვე ცნობები სოფლის მეურნეობის, მრეწველობის და ვაჭრობის შესახებ. აქ აღწერილია ქსენონები და მათში მიღებული წესები, საზოგადოებრივი დანიშნულებისა და კერძო წიგნთსაცავები (რომლებშიაც, სამწუხაროდ, მან ერთი ქართული წიგნიც ვერ იპოვა, გვ. 52), ნაჩვენებია მათში წიგნებით სარგებლობის წესი; არაა დავიწყებული არც სტამბა.

ამ თხზულებაში ჩვენს ყურადღებას იპყრობს მდიდარი გეოგრაფიული ცნობები, აღწერილობა ქალაქებისა და სხვადასხვა ადგილებისა., ქალაქებიდან აღწერილია რომი, გენუა, ალიკორნა, ფლორენცია, მონაკო, სირაკუზი, მესინა,

⁶¹ ეს თქმულება, რომლისთვისაც თავის დროზე აკად.ა. ნ. ვესელოვსკისაც მიუქცევია ყურადღება(Славянские сказания о Соломоне и Китоврасе, Собрание сочинений, т. VIII, в. I, стр. 393) და რომელიც ანალოგიებს პოულობს სხვა ხალხთა თქმულებებშიც, განხილულია კ. კველიძის მიერ” ორაზროვანი ფიცის” მაგალითებში.(ორი მოხეტიალე სიუჟეტისათვის ქართულ ფოლკლორსა და მწერლობაში, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II, 1945, გვ. 89-90.

⁶² ეკლესია-მონასტრების გარდა ის აგვიწერს დიდებულ პირთა სასახლეებს, მათ არქიტექტურას, შინაგან მოწყობილობას და სიმდიდრეს.

კონსტანტინოპოლი, ტრაპიზონი და სხვ.⁶³ გეოგრაფიულ სახელებს მიწერილი აქვს გრძედებისა და განედების მაჩვენებელი ცნობები, რომელნიც საბას მოუპოვებია ევროპაში მოგზაურობის დროს.

როგორც დიდს, მგზნებარე პატრიოტს, დასავლეთ ევროპის კულტურა, სიმდიდრე და კეთილდღეობა საბას აგონებს მისი პატარა სამშობლოს იმდროინდელ გაჭირვებულ მდგომარეობას და მელანქოლიურ სიტყვებს წარმოათქმევინებს: “ჩემს უკან, ღმერთმან ქნას, ჩემს ქვეყანაში უკეთესობა შეიქმნასო (37). მას ერთ წამსაც არ ავიწყდება მისი სათაყვანებელი ვახტანგი, რომლისთვის ის თავს არ ზოგავს. ერთი პატარა, ლამაზი და მდიდარი ეკლესია, ამბობს საბა, “ვახტანგის კარის ეკლესიად დავნატრე, მე მიმამღნობინა მეთქი” (42). ერთი საუცხოო ტილოს შესახებ, რომელსაც ცეცხლი არ ეკიდება, ამბობს: “მე რით შევძლებდი სყიდვას, თვარა ვახტანგ მეფისათვის კაი ძღვენი იყო” (79). მის მიერ აღწერილი ობიექტი ზოგ შემთხვევაში ქართულ სახეებს აგონებს მას; მაგალითად, გეოგრაფიული პუნქტები: “მოვედით მონაკო ქალაქსა, ზღვაში ერთი კლდე შესულიყო, თბილისის მეტეხსავითა” (4). “ალიკორნის საზღვარში რომ შევედით, დავაკება შეიქნა, ოდიშის მსგავსი ადგილი, ტყიანი”. “მთის ადგილს მივედით, სხალნარი დიდგორი რომ არის, იმგვარი ადგილები იყო” (87). ერთ ადგილს “ასეთი ღვინო იყო, ატენურის ღვინის მსგავსი” (123). მალთის “ზღვის პირს: ერთი კლდეა, ვაკე, უფლისციხის მსგავსი, ადვილი საჭრელი”. (126). ქართლს აგონებდა მას გაქვავებული სოკო (38), სიონის ღვთისმშობლის ტოლა ხატი (53), შეუნიშნავს მას, კედელში ორი წითელი იაგუნდი, რომელიც “ხახულის ღვთისმშობლის თვალს უფროსი არის და უკეთესიცა” (90), აღტაცებით ლაპარაკობს ქართველებზე, სადაც კი ამის საბაბი ეძლევა, მაგალითად, იგონებს ის ქართველ ქვრივ ქალს, რომელსაც “მაზმანური აცვია (10); ერთი საჯარო შეკრებილობისას, რომლის დროს აღმოსავლეთის სხვადასხვა ქრისტიანების ახალგაზრდები ქადაგებას წარმოსთქვამდნენ, ეპისკოპოსს უთქვამს საბასთვის: “ქართველი გვაკლია, ყმაწვილები გამოგზავნე, ასე ვასწავლი და იქავ გამოგზავნიო” (75). მალთის კუნძულზე მას უნახავს ბევრი ტყვე; სხვათა შორის “ქართველებიც ვნახე: ზოგი აფხაზი, ზოგი იმერელი, გურიელი, მეგრელი, რომ თათრისათვის წაერთმიათ; ენა ისევ კარგა იცოდნენ, აფხაზმა რატომ იცოდა, ის გამიკვირდა, ქართული” (129) საკითხავია, რად გაუკვირდა, რომ აფხაზმა ქართული იცოდა? ოთხიოდე ქართველი მოქალაქე მას ალიკორნაშიც უნახავს (14). “ერთი აფხაზი, ოთხი გურიელი, ერთი გეგუნავა სეხნიას შვილი იყო; დედაკაცებიც გურიელი, მეგრელი დარჩომოდათ, წამოსვლა უნდოდათ, მე დაუშალე” (40).

საბა ისეთსა და იმდენ ამბავს აგვიწერს დასავლეთის ცხოვრებიდან, რომ ისინი ქართველი მკითხველისათვის დაუჯერებელი იყო. ამიტომ მას საჭიროდ დაუნახავს განეცხადებია: “ვინც დამიჯერებთ, ეს ჩემი თვალთ მინახავს, ვინც არადა, თქვენ იცით”, “რაც არ მინახავს, არ დავწერო”. განსაკუთრებით საინტერესოა, რას წერს ის რომის შესახებ: “დაიჯერეთ, რომი ასეთია, ას წელს სულ იაროს კაცმა, მის საკვირველობას ვერც გაუვიდეს, ვერც დაასრულოს. მაგრამ მე რასაც შევიძლებ, ჩემს ნახულს მართალს დავსწერ. ეგება გეგონოსთ. ქებისათვის ნამეტნავი დავწერო.

⁶³ დ. დონდუა, სულხან-საბა ორბელიანის ევროპაში მოგზაურობის გეოგრაფიული მნიშვნელობა, საიუბ. კრებული “საბა-სულხან ორბელიანი” 1658-1958, 1959 წ., გვ. 77-106.

გ. ზარდალიშვილი, სულხან-საბა ორბელიანი როგორც მოგზაური და გეოგრაფ-კარტოგრაფი, უნივერსიტეტის საიუბილეო კრებული, 1959 წ., გვ. 71-91.

უსაცილოდ დაიჯერეთ, რასაც ვწერ, ნაკლებია და მასაც თავს გაუსვლელსა და შეუძლებელსა. დაიჯერეთ, ნახევარს მაშინაც ვერ მივსწდები, რომ ვერ შევიძლო დასწავლა და დაწერა ნახევრისა” (30). სხვების ნათქვამიდან თუ რამე საეჭვოდ ეჩვენება, ამასაც გვეუბნება; ერთი ხატის საკვირველ მოქმედებათა შესახებ შენიშნავს: “მე მართალი არ ვიცი, ამათ ასე თქვესო” (120). მოგზაური გაურბის გრძელ, გაჭიანურებულ აღწერას, რადგანაც მას ახსოვს, რომ “გრძელი ამბავი თავის საწყენია”. ზომიერი ლაკონიურობა, აი მისი თხრობის დამახასიათებელი თვისება.

“მოგზაურობა ევროპაში” პირველი, ასე ვთქვათ, სახელმძღვანელო იყო ქართულ ენაზე, რომლის საშუალებით ქართველები ეცნობოდნენ დასავლეთ ევროპას. მან საფუძველი ჩაუყარა ჩვენში მემუარული ჟანრის მწერლობას, რომელსაც შემდეგ არა ერთი გამაგრძელებელი და მიმბაძველი გამოუჩნდა.

* * *

“სიბრძნე სიცრუისა” და “ევროპაში მოგზაურობის” გარდა სულხან-საბა ორბელიანის მხატვრულ ნაწარმოებთაგან უნდა დავასახელოთ სამი სტროფი, რომელიც მას ჩაუმატებია თეიმურაზის “ქეთევანიანში”. მათი მიზანია ზედმეტად გაამახვილოს და გაამლიეროს სურათი სამშობლოსათვის თავგანწირული დედოფლის ტანჯვა-წამებისა. ჩანს, ეს შემზარავი ეპიზოდი ჩვენი ისტორიისა დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა საბაზე, რომელსაც თავი ვერ შეუკავებია, რომ არ შეეცსო თეიმურაზის ნაწარმოები. საბას დარჩენია რამდენიმე “ანბანთ ქება”; ეს ჟანრი იმ დროს ჩვენში დიდი პოპულარობით სარგებლობდა. მაგრამ საბას ვერ მივაკუთვნებთ ყველა იმ “ანბანთ ქებას” რომელიც გ. ლეონიძეს უპოვნია ერთ ხელნაწერ “ანთოლოგიაში”. ამათგან შეიძლება პირველი სამი მართლაც ეკუთვნოდეს მას, დანარჩენი კი საეჭვოა (გაზ. “კომუნისტი” 1959 წ., № 238).

IV

საბას ლიტერატურული მემკვიდრეობის მეორე ჯგუფს განეკუთვნება საეკლესიო-სასულიერო შინაარსის თხზულებანი. აქედან ზოგი ბიბლიოლოგიური ხასიათისაა, ზოგი ჰომილეტიკური, ზოგი კანონიკური და ზოგი დოგმატიკური. უკანასკნელი, დოგმატიკური შინაარსის შრომები, მიზნად ისახავენ შეაგნებინონ მკითხველს კათოლიკური მოძღვრების დებულებანი და ხელი შეუწყონ მის გავრცელებას ჩვენში.⁶⁴ ისინი უმეტეს ნაწილად ნათარგმნი თუ გადმოკეთებულნი არიან ლათინურიდან. ლიტერატურის ისტორიისათვის ამ ჯგუფის ნაწარმოებთაგან უფრო საინტერესო და საყურადღებოა შემდეგი:

ბ ი ბ ლ ი ა . არსებობს წერილობითი ცნობები იმის შესახებ, რომ საბამ შეასწორა ქართული ბიბლია, რომელიც მას თითქოს დაუწვეს იმ პირებმა, რომელნიც მას კათოლიკობისათვის სდევნიდნენ. ჯერ კიდევ სამიებელია, საბამ მთელი ბიბლია შეასწორა თუ ცალკეული მისი ნაწილები. ყოველშემთხვევაში ცნობილია, რომ საბა თავს უყრიდა და დასაბეჭდად ამზადებდა ბიბლიურ ტექსტებს, რომელნიც

⁶⁴ საბა რომ ზოგიერთი თავისი შრომით კათოლიკურ პროპაგანდას ხელს უწყობდა, ეს საეჭვო არაა; შესაძლოა ისიც, რომ ის ასეთი პროპაგანდით გავლენას ახდენდა, კერძოდ, ორბელიანთა გვარშიც, მაგრამ ცდება მ. თამარაშვილი, რომელიც ამის დასამტკიცებლად მიუთითებს ფაქტზე, რომ ამ გვარში ატარებდნენ სახელს ბ ე ნ ე დ ი ქ ტ ე (ისტორია კათოლიკობისა, გვ. 347). ეს სახელი მართლმადიდებელთა შორისაც ისე იხმარება, როგორც კათოლიკურ ეკლესიაში.

თბილისიდან მოსკოვს გადაეგზავნა არჩილ მეფეს.

ს ი მ ფ ო ნ ი ა ან კონკორდანსი ბიბლიისა. თუ საბამ მართლა შეასწორა ბიბლია, მით უფრო უნდა დაემზადებინა მას ასეთი შრომა. მართლაც, როგორც, დღეს გარკვეულია⁶⁵, ეს სიმფონია დართული ჰქონდა კათოლიკურ ვულგატასთან შეჯერებულ ბიბლიას და გადმოთარგმნილი იყო სომხურიდან⁶⁶.

“ს ა მ ო თ ხ ი ს კ ა რ ი ს” რომელსაც მისი კათოლიკური ტენდენციის გამო, ანტონ კათალიკოსი უწოდებდა “ბჭენი ჯოჯოხეთისანი”. ავტოგრაფულ ნუსხაში მას ასეთი სათაური აქვს: “საქრისტიანო მოძღვრება, პირველად სასწავლო ყრმათათვის, აღწერილი სულხან-საბა ორბელიანისაგან, რომელსა ეწოდების სამოთხის კარი”. ბოლოში ასეთი წარწერაა: “ესე არს მართალი და უბიწო საქრისტიანო მოძღვრება, სულხან-საბა ორბელიანისაგან აღწერილი, რომელსა ეწოდების სამოთხის კარი”. აქედან ირკვევა, რომ “სამოთხის კარს” ეწოდება აგრეთვე “საქრისტიანო მოძღვრება”. საბას -სახელთან დაკავშირებულია მეორე თხზულება, რომელსაც აგრეთვე “საქრისტიანო მოძღვრება” ეწოდება; ეს არის, მისიონერთა ცნობით, პატრი ჯუსტინე ლივორნელის მიერ, თარგმნილი თხზულება, რომელიც თითქოს საბას შეუსწორებია. დღესდღეობით ამ თხზულების კვალი არსადა ჩანს. “სამოთხის კარს” ნ. ჩაჩიკაშვილის ნუსხაში (295) ეწოდება “სწავლა მეცნიერთათვის თქმული ა დ ვ ი ა რ ე ბ ა , რომელ არს ღმერთი ან სჯული”. ეს ორიგინალური შრომა საბასი, იგი მას დაუწერია მე-17-18 საუკუნეთა მიჯნაზე, თითქოს 1701 წელს, ხოლო 1713 წელს მოუცია მისი კათოლიკური რედაქცია. თხზულება წარმოადგენს ე. წ. “კატეხიზმოს” ტიპის ნაწარმოებს, დიალოგური ფორმით მოძღვარსა და მოწაფეს შორის. ეს შრომა საბას შემდეგ გადაუმუშავებიათ: ამოუგდიათ კათოლიკური მოძღვრების ორი მთავარი დოგმატი-სული წმიდის მისაგან გამოსვლისა (Filioque) და პაპის პრიმატობის შესახებ, და მიუციათ იმისათვის ისეთი ხასიათი, რომ ის მისაღები და შესაწყნარებელი გახდა მართლმადიდებელ ქართულ ეკლესიაშიც. ამ ხაზით ყველაზე მეტად გარჯილან საბას ძმა ნიკოლოზ თბილელი და ვახუშტი ბატონიშვილი⁶⁷.

“წ ა მ ე ბ ა ნ ი წ ი ნ ა ს წ ა რ მ ე ტ ყ ვ ე ლ თ ა ნ ი” -ბიბლიიდან ამოკრებილი ციტატები ქრისტეს შესახებ. დასახელებულ ნაწარმოებთაგან ყველაზე უფრო საინტერესოა ჰომილეტიკური კრებული, რომელსაც შეგვიძლია უწოდოთ “სწავლანი”.

სწავლანი

ეს თხზულება აღმოჩენილ იქნა 1899 წელს. მას არა ერთი მკვლევარი შეხებია,

⁶⁵ ი ლ . ა ბ უ ლ ა ძ ე , სულხან-საბა ორბელიანის სომხური წყაროები, გვ. 26(ცალკე ამონაბეჭდი). –

⁶⁶ ქ რ . შ ა რ ა შ ი ძ ე , პირველი სტამბა საქართველოში, 1959 წ. გვ. 172-177.

⁶⁷ ი ვ . ლ ო ლ ა შ ვ ი ლ ი , სულხან-საბა ორბელიანის “სწავლანი” და “სამოთხის კარი” (საიუბილეო კრებული, სქართ. მეცნ. აკადემიის გამოცემა, 1959. გვ. 135-150). კრებულში A 303 “სამოთხისკარის” გარდა მოთავსებულია სულხან-საბა ორბელიანის მიერ შედგენილი 17 მოკლე ევქოლოგიურ, ლიტურგიკული კანონიკური, აგიოგრაფიული და ისტორიული სტატია, რომელთა შესახებ აქ ლაპარაკი საჭიროდ არ მიგვაჩნია, რადგანაც მათ ლიტერატურული მნიშვნელობა არ აქვთ; მ ი ს ი ვ ე , სულხან-საბა ორბელიანის ლიტერატურული მოღვაწეობიდან, თბილისი, 1959.

მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერ არ გამოცემულა⁶⁸. ის მეტად საინტერესო და მნიშვნელოვანი თხზულებაა იმ დროის საქართველოს პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიური და კულტურულ-მორალური ცხოვრების გასათვალისწინებლად. ერთადერთი სრული ცალი ამ თხზულებისა გადაწერილია მოსკოვში 1729 წ. საბას ძმის ზოსიმეს მიერ (A 479) და შეიცავს 46 მოძღვრება-ქადაგებას. კრებული შედგენილია მაშინ, როდესაც საბა იოანე ნათლისმცემლის უდაბნოს ბერად ითვლებოდა, ესე იგი, 1698-1710 წლებში.

ეს სწავლა-ქადაგებანი წარმოთქმული უნდა იყოს საბას მიერ იოანე ნათლისმცემლის უდაბნოს ბერ-მონაზონთა წინაშე, რაც იქიდან ჩანს, რომ ამ ქადაგებებში ავტორი განსაკუთრებით ხაზს უსვამს იოანე ნათლისმცემელს, რომლისადმი განკუთვნილია სპეციალურად სამი მოძღვრება: შობის, თავის კვეთისა და პოვნის. მქადაგებლის აუდიტორიას ბერ-მონაზვნები შეადგენენ: ერთი ქადაგება ნათლისმცემლისა პირდაპირ ბერებისადმი მიმართული. აქ ვკითხულობთ: “მონაზონთა საქმეა წიგნი და ხელსაქმური, ერისკაცთა-ხვნა-თესვა, მკა, ბარვა და შრომა”. საბა ამბობს: “გვიხარის არა მხოლოდ ერისკაცთა, არამედ ჩვენ, მონაზონთაცა”; “რაისათვის შეგვიმოსიეს სამოსელი სხვა და არა მსგავსი ერისკაცთა გინა ფერთა, გინა ქმნილებისა?” ქადაგებანი არაა ექსპრომტად წარმოთქმულნი: ისინი აგებულია გარკვეული ჰომილეტიკური გეგმით, შემკულია მეტად მოხდენილი ბიბლიური ციტატებით, რომელნიც მოყვანილია თავებისა და მუხლების ჩვენებით, და წმიდა მამათა თხზულებებიდან მოტანილი ექსცერპტებით; ასეთი არიან იოანე კლემაქსი, იოანე ოქროპირი, ალექსანდრიელი ათანასე და კლიმი ანკვირელი, ყველაფერს ამას სჭირდებოდა წინასწარი დაგეგმვა, ამოკრება და აკინძვა.

ზოგი ქადაგება განყენებული, დოგმატური ხასიათისაა, უმეტესობა კი გამსჭვალულია ღრმა და ფართო საზოგადოებრივი ინტერესებით, რამდენადაც ისინი მიმართული არიან იმ ნაკლთა და სიდუხჭირეთა წინააღმდეგ, რომელნიც ჩვენი პოლიტიკური, საზოგადოებრივი და ოჯახური ცხოვრების ორგანიზმს ღრღნიდნენ და მშობლიური ქვეყნის კეთილდღეობას ძირს უთხრიდნენ. საბა ამ ქადაგებებში გვიხატავს ქვეყნის არასასიამოვნო მდგომარეობის სურათს და, მსგავსად ბიბლიური წინასწარმეტყველისა, შეუბრალებლად ამათრახებს საზოგადოების უღირს პირებს და სამშობლოს მოღალატეებს. მისი მხილების ობიექტს წარმოადგენენ უმთავრესად ფეოდალური საზოგადოების მაღალი ფენები, “სოფლის უფალნი” და “ქვეყნის მეპატრონენი”. ასეთებად საბა გულისხმობს არა მარტო წარჩინებულ არისტოკრატებს, არამედ ისეთ მეფეებსაც, რომელთაც ხელიდან გავარდნიათ საქე სახელმწიფოებრივი გემისა და, ამა თუ იმ მოსაზრებით, ხელს უწყობენ სამშობლოს გადაგვარებას ირანელთა ბატონობის დანერგვით და გაძლიერებით. ასეთ მეფეებს დავიწყნიათ, რომ მათი დიდება და სიძლიერე დროებითია, დღეს შიშის ზარსა ჰგვრიან ყველას, ხვალ კი სამარეში ჩააგდებენ და ნიჩბით მიწას მიაყრიან. დაუნდობლად, შეუბრალებლად ჰკიცხავს საბა იმ პირებს ფეოდალური საზოგადოებიდან, რომელნიც არ ერიდებოდნენ არავითარ სისამაგლეს, არავითარ საშუალებას თავისი ბილწი და გაუმაძღარი ბუნების დასაკმაყოფილებლად. ის განაქიქებს მათ უსაზღვრო ფუფუნებას, უსულგულობას, მლიქვნელობას, ყმათა შეუბრალებლობასა და განუკითხველობას, შურიანობას, მტაცებლურ ინსტინქტებს, ორგულობას, ლოთობას,

⁶⁸ამჟამად იგი გამოცემულია ივ. ლოლაშვილის რედაქციით (სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, III. თბილისი 1963). რედ.

ვერცხლისმოყვარეობას, ტყვეთა სყიდვა-გაყიდვას, ერთი სიტყვით, ყველაფერ იმას, რამაც მეჩვიდმეტე-მეთვრამეტე საუკუნეში ჩვენი ქვეყანა მიიყვანა ისეთ მდგომარეობამდის, რომ მოსალოდნელი იყო ქართული სახელმწიფოებრიობის ლიკვიდაცია და ეროვნული გადაგვარება. ამ მხრივ ყველაზე სახიფათოდ საბა თვლის სარწმუნოებრივ რენეგატობას, გათათრებას; თქვენო, მიმართავს მქადაგებელი მათ, “წარხვალთ მცირისა ნიჭისათვის, გინა მეზობელთა შურისათვის და ნებსით თვისით დაუტევებთ სჯულსა ქრისტესსაო”. საბა არ ერიდებოდა ფეოდალური კლასის განქიქებას, იმ კლასისას, რომელსაც თვითონ ეკუთვნოდა, ის ებრძოდა ამ კლასის უარყოფით მხარეებს, მაგრამ რა მიზნით მისი გამოსწორების, გაუმჯობესების და “აღშენების” მიზნით. ამით აიხსნება, რომ ამ კლასის წინაშე ის ერთგვარად ბოდიშსაც კი იხდიდა მწვავე და მოურიდებელი მხილებისათვის: “მრცხვენიან, საყვარელნო, ვინაითგან ესოდენი ბოროტი ვთქვი თქვენდა მიმართ. მეშინის, უფალნო ჩემნო და მთავარნო, ვინაითგან ვიკადრე მე უდარესმან თქვენმან, უაღრესისა მიმართ ჩემთასა ესეთი კადნიერება, მაგრამ არა სიძულვილისათვის თქვენისა მიქმნიეს, არცა მტერობისა შურითა. თქვენცა უწყით, რამეთუ აღშენებისა თქვენისათვის ვიტყვი, ნუ უკვე რომელმანცა სიტყვამან შეგაკდომნეს”.

ფეოდალური კლასის უარყოფითი მხარეების დახასიათებასთან ერთად და მის პარალელურად საბა გვიხატავს აღმაშფოთებელ სურათს გლახაკის, გლეხიკაცის ან ყმის ყოფა-ცხოვრებისას, მისი უმწეო, დამამცირებელი, შეურაცხყოფილი და უუფლებო მდგომარეობისას. უნებლიეთ აგიჩუყებს გულს სურათი შიშველ-ტიტველის, უსმელ-უჭმელის, ნაცემ-ნაგვემის, უსახლკარო გლეხისა რომელსაც გვისატავს საბა. დავუგდოთ ყური საბას: “თქვენ სდევნით გლახაკთა, რომელიმე სცემთ მოყვასთა ხელითა, რომელიმე წიხლითა. არცაღა თუ ესოდენთა ბოროტთა იკმაებთ, არამედ, ოდეს მოგადგეს გლახაკი, შენ ამპარტავნად ზი და განსცხრები, და იგი, მშიერი და მწყურვალი, სიცივეთა ანუ სიცხეთა მზისათა დგას და ვერარასა იკადრებს, არამედ იურვინ გულსა შინა თვისსა და მწუხარედ არიედ”. აი ჩვენს თვალწინ საწყალი გლეხი, რომელიც მხართა თვისთა ზედა ატარებს “მსოფლიოთა დიდებულთა ცოლებს, რომელნი არა თავს იდებენ ცხენთა აღკაზმულთა ზედა აღჯდომასა ზუაობისათვის”. “მერე რა არისა”, კითხულობს საბა, “რომ ის გლახაკია, ისიც შენებრ კაც არ არისო”. აი როგორ აგვიწერს საბა გლეხთა აუტანელ შრომას: “იხილე, მომკალი ყანათანი ვითარ მოითმენენ სიცხესა მზეთასა და სიგრძეთა დღეთასა: მუშაკობენ ცხელთა და ურწყულოთა ველთა, შვრებიან, ბოროტსა ჰაერსა არა რიდებენ, რამეთუ მაშინ არს დრო სნეულებისა და ცხრო-ხურვებისა, მაშინ არს გესლოვნება ბოროტი გველთა და მკბენარობა ღრიანკელთა, არამედ არა განეკრძალებიან და არცა წამისა განსვენებასა მისცემენ თავთა თვისთა”. ერთი სიტყვით, საბა სიმპათიურადაა განწყობილი გლეხებისადმი, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ის გლეხებს ფეოდალების წინააღმდეგ ამხედრებს, არა, ფეოდალიზმი, მისი აზრით, ცხოვრების ურყევი მოვლენაა, საბას უნდა მხოლოდ ის, რომ ფეოდალები ჰუმანურად ეპყრობოდნენ გლეხებს.

საბას მხილებისაგან თავი ვერ დაუღწევია ვერც სამღვდელოების უღირს წარმომადგენლებს. ქრისტიანობა საბას მიაჩნია პოლიტიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების ურყევე საფუძვლად. ქრისტიანობის ღალატი, მისი უარყოფა და გამაჰმადიანება სამშობლოს მტრობააო. ამიტომ ის მოუწოდებდა “მწყემსებს” ესწავლებინათ მრევლისათვის, განემტკიცებინათ იგი, შეეგონებინათ მისთვის, თუ რა უპირატესობა ჰქონდა ქრისტიანობას, ებრძოლათ მაჰმადიანობის შემოჭრის წინააღმდეგ. საბა შემდეგნაირად ამხელს სამღვდელოების უღირს

წარმომადგენლებს: “არა რომელმან მწყემსმან განისვენა, არა შვებიო ილხინა, არა უდებებით დაიხსნა, არა მძინარეობით დამძიმდა, არა ღვინითა მებრუჯებოდა, არავინ შეიმოსა ჭიჭნაური და ჩვილი სამოსელი, არავინ იყო მტაცებელი და მხვეჭელი, არავინ განიმრავლნა ცხენნი და ჰუნენი ოქროაღვირდენი და ჯართა მწყობრობათა საკიდობანი; არავინ ისხვაგემოვნა დამზველავებითა, არავინ დაალამნა დღენი ღვინისა სმითა და არცა განათენა ღამე მემთვრალობითა, ვითარ ესე თქვენ”. საბა გრძნობს თავისი მამხილებელი ენის სიმწვავეს, ამიტომ აქაც, როგორც დიდებულთა წინაშე, ის თითქოს ბოდიშსაც იხდის: “შემინდვენით, უფალნო ჩემნო, კადნიერება ამისთვის, რომელ კადნიერ ვიქმენ წინაშე თქვენსა არადირსი, რამეთუ გრწყილნიცა უკბენენ კაცთა მძინარეთა ღამესა შინა, რათა განაღვიძონ ძილისაგან, და აღდგენ ლოცვად. კვალად ძალღნიცა რა შეშინებულ იქმნენ მხეცისა მიერ, მოირბენენ მწყემსისა მძინარისა და უკბენენ, რათა განაღვიძონ მწყედ მათდა. რათა არა იავარ იქმნას ცხოვარი”.

მხილებასთან ერთად საბა იძლევა მსმენელთ და მკითხველთ დარიგებას, როგორ და რისაგან შეიკავონ თავი, როგორ იცხოვრონ და იმოქმედონ, რომ ზიანი არ მიაყენონ არც თავის თავს, არც საზოგადოებას. მისი მორალური კოდექსი ქრისტიანულია. შეიძლება მოთხოვნილება ამ კოდექსისა ზოგიერთს მძიმე ტვირთად მოჩვენებოდა, და წამოჭრილიყო ღვინისმოყვარისებული საკითხი: “რად გააჩინა ღმერთმა ღვინო, თუ მას არ დავლევთ?” ამგვარ მოსალოდნელ შეკითხვებზე საბა იძლევა შემდეგ პასუხს: “არა გეტყვი არა სმასა, არა ჭამასა ანუ შიმშილითა მოყმობასა, არამედ გეტყვი ღვინისა არაბრალოვანსა, ჭამასა უნაყროვნოსა და სმასა დაუთრობელსა, ნუ ჰგონებთ თუ გეტყოდე არა ჩაცმასა, არა დახურვასა, არა კეთილშემოსვასა, არამედ გეტყვი ჩაცმასა უცოდველად, დახურვასა არა ვალით, მოკაზმასა არა ნატაცებითა, შემოსვასა არა ქვრივთა და ობოლთა ნაძარცვითა”. ერთი სიტყვით, საბა არ მოითხოვს ადამიანისაგან ასკეტურ პრინციპებზე ააგოს თავისი ცხოვრება, ის მოითხოვს მხოლოდ ზომიერებას ყველაფერში და ყველასაგან.

ასეთია მოკლედ შინაარსი და ხასიათი ამ თხზულებისა, რომელიც ნათესაურ კავშირში იმყოფება “სიბრძნე სიცრუესთან”, იქამდის, რომ ორივენი იმეორებენ ერთსა და იმავე იგავს ქველმოქმედი და მოწყალე მაგისტროსის შესახებ; ორივეს ერთი და იგივე მიზანდასახულობა აქვს, ორივე საზოგადოების თითქმის ერთსა და იმავე ნაკლს ამხელს (მხოლოდ არა ერთნაირ ენობრივ-სტილისტიკურ ფორმაში); თუ “სიბრძნე სიცრუეში” ეს მხილება იგავარაკული ფორმითაა წარმოდგენილი, “სწავლანში” ის გაშიშვლებული, აშკარა სახითაა მოცემული.

“სწავლათა” მიხედვით საბა ჩვენ გვევლინება უდიდეს ჰუმანისტად და პატრიოტად, მისი იდეალია სამშობლოს კეთილდღეობა, ადამიანური ცხოვრების დამყარება და მორალური სიფაქიზის განმტკიცება.⁶⁹

ენა ამ თხზულებისა არის დინჯი, დარბაისლური, საეკლესიო მწერლობის, იერით მოსილი, განსხვავებული “სიბრძნე სიცრუისა” და “ევროპაში მოგზაურობის” ენისაგან და, მიუხედავად მისი საეკლესიო შინაარსისა, მეტად სურათოვანი. აქ, განყენებული დოგმატიკური ხასიათის ქადაგებებშიაც კი, ისეთ სახეებთან, შედარებებთან და პოეტურ აქსესუართან გვაქვს საქმე, რომ ის მხატვრული პროზის საუკეთესო ნიმუშად შეგვიძლია ჩავთვალოთ. მქადაგებელი არ გაურბის ისეთ ანდაზასაც კი, როგორიცაა, მაგალითად: “ხეთა ჰრქვეს ცულსა: თუცა ტარი შენი

⁶⁹ შეად. ივ. ლოლაშვილის “სწავლანი” და “სამოთხის კარი”, გვ. 135-150. მისივე: სულხან-საბა ორბელიანის ლიტერატურული მოღვაწეობიდან, 1959.

რტოსაგან ჩვენთა არა გესხნეს, არა ძალ-გიც მოკვეთა ჩვენიო”.

* * *

საბას მონაწილეობა თითქოს ჰიმნოგრაფიულ მწერლობაშიაც მიუღია. ხელნაწერში A 160, რომელიც გადაწერილია 1699 წელს დავით გარეჯის უდაბნოს წინამძღვრის ონოფრე მაჭუტაძის შეკვეთით, მ. ქავთარაძის 493-501 გვერდებზე უპოვნია ლიტურგიკული ”კანონი” დავით გარეჯელის მიძინების ან გარდაცვალების დღესასწაულისა. ხელნაწერი წარმოადგენს კრებულს, რომლის შემდგენელი და რედაქტორი უნდა იყოს ცნობილი ონოფრე მაჭუტაძე, რომელსაც აქ შეუტანია მის მიერ დაძეგნილი საკითხავები ე. წ. “ასურელ მამათა”. მამასადამე, საკვირველი არაა, რომ აქ დავით გარეჯელის სახელობის ”კანონიც” მოხვედრილა. ”კანონი” შეიცავს ცხრა ”გალობას” და შედგენილია დავითის ”ცხოვრების” საფუძველზე. ის შეუძლებელია მივაწეროთ ამა თუ იმ მწერალს და ჰიმნოგრაფს, სამაგიეროდ მას ახლავს აკროსტიხი (“თავნი იტყვიან”), რომელიც ნებას გვაძლევს მოსაზრება გამოვთქვათ მისი შედგენილობის შესახებ. ეს აკროსტიხი ასე იკითხება: “ ბ ე რ ს ა ს ა ბ ა ს ვ ხ ა დ ე და მ ა ნ მ ყ ო ხ ე , ქ ა დ ა გ ძ ა ლ თ ა შ ე ნ თ ა ” . აქ რამდენიმე საყურადღებო მომენტი: 1) ბერი საბა, 2) მიმართვა მისდამი (ვხადე), 3) საბამ ის, მიმართველი, აქცია (მყო) ხედ, 4) რომელიც “ქადაგებს”, გვაუწყებს დავითის (შენთა) ძალს, საქმიანობას. აქ მოხსენებული ბერი საბა უნდა იყოს სულხან-საბა ორბელიანი, რომელიც 1698 წელს გარეჯაში ბერად აღიკვეცა. მას, როგორც განათლებულსა და მომზადებულ კაცს, ვიღაცამ მიმართა (ვხადე) თხოვნით დაეწერა დავითის სახელობის ”კანონი”. მას ეს თხოვნა, როგორც ეტყობა, შეუწყნარებია, მაგრამ ”კანონი” დაუწერია არა საკუთარი ხელით, არამედ უკარნახებია მთხოვნელისათვის. ამას ადასტურებს გამოთქმა: “მან მყო ხე, ქადაგ ძალთა” დავითისათა. რას ნიშნავს ”მყო ხე”, ან როგორ შეიძლება ხე მქადაგებლად გახადოს ვინმემ? ”ხე” აქ უნდა გავიგოთ მისი პირდაპირი მნიშვნელობით: როგორც ხისაგან გამოსჭრიან ხოლმე რომელიმე მუსიკალურ საკრავს, ვთქვათ-სტვირს⁷⁰, რომელიც გადმოგვცემს დამკვრელის ჰანგებს, ისე ამ უცნობ მწერალს, რომელიც თავის თავს ხეს ადარებს, გადმოუცია, საბას კარნახით თუ შთაგონებით, დავითის ”ძალნი”. ხედ შეგვიძლია ვივარაუდოთ რომელიმე გარკვეული მისი სახე, მაგალითად, ლერწამი⁷¹. ვინაა ეს მწერალი, დანამდვილებით ვერ ვიტყვით, შეიძლება ის თვით ონოფრე მაჭუტაძეც იყოს, რომელიც ამ დროს აწესრიგებდა გარეჯაში ცხოვრების ყოველ მხარეს.

V

სულხან-საბას ლიტერატურული მემკვიდრეობის მესამე ჯგუფს განეკუთვნება სამეცნიერო ხასიათის შრომები. სამეცნიერო ხასიათს არაა მოკლებული, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, არც ”სიბრძნე სიცრუისა”, არც ”ევროპაში მოგზაურობა”, მაგრამ ისინი მაინც სხვა ჟანრის ნაწარმოებებია. საბა კარგად იყო მეცნიერულად

⁷⁰ არჩილ მეფე ამბობს, რომ სამღვდლო პირს უნდა ”წვრთნილება და ქადაგება ხელთა ეპყრას მუდამ სტვირად” (არჩილიანი, I, 51).

⁷¹ ბიბლიაში ჩვენ ვკითხულობთ: ”ენა ჩემი-საწერელი მწიგნობრისა” (ფსალ. 44,2), რაც სლავურად ასეა ნათარგმნი: ”язык мой-трость книжника скорописца;» საწერელი- трость. რასაც არ უნდა ნიშნავდეს ”ხე”, ერთი ცხადია ეს უცნობი მწერალი მქადაგებლად, ხმამაღლა მაუწყებლად დავით გარეჯელის ძალთა სასწაულთა.

გაწვრთნილი, ამას ის ადასტურებს ისეთ ნაწარმოებებშიც კი, როგორც არის მისი “სწავლანი”. აქ ერთ ქადაგებაში ჩვენ ვკითხულობთ: “რამეთუ დასაბამსა შექმნა ღმერთმან სამყარო და ორნი სფერონი და ერთი ცა ვარსკვლავთა და შვიდნი სარტყელნი ცისანი შვიდთა მათ ცთომილთანი, რომელ არიან ვარსკვლავნი მოძრავნი: კრონოსი, დია, არია, მზე, აფროდიტი, ვერძი, მთვარე, და დასასრულსა მათსა ეთერი... კვალად შექმნა ათორმეტნი ზოდნი: ვერძი, კურო, ტყუბი, კირჩხიბი, ლომი, ქალწული, სასწორი, ღრიანკალი, შვილდოსანი, თხის რქა, წყლის საქანელი, თევზი, რომელთაც შინა ვალს მზე, და მიეცემის ქუეყანასა წვიმა, თოვლი, ქარი, დარი და ნაყოფიერება”.

მეცნიერული ღირებულებისაა გეოგრაფიული რუკა ამიერკავკასიისა; ეს რუკა 1714 წლის გაზაფხულზე საბამ წარუდგინა საფრანგეთის მეფეს ლუი XIV-ს, რადგანაც უკანასკნელს დიდად აინტერესებდა ამიერკავკასიის გეოგრაფიული ვითარება. მას მიზნად ჰქონდა ვაჭრობის გაჩაღება აღმოსავლეთის ქვეყნებთან, კერძოდ ირანთან, ამიერკავკასიისა და კასპიის ზღვის გზით. რუკის მინაწერი ადასტურებს, რომ ის შედგენილია სულხან-საბა ორბელიანის მიერ საფრანგეთის მეფისათვის. 1723 წელს ფრანგ გეოგრაფს გ. დეილს ამ რუკის საფუძველზე შეუდგენია ამიერკავკასიის და კასპიის ზღვისპირეთის რუკა, რომელიც გამოუცია კიდეც. საბას რუკა მაჩვენებელია საბას გეოგრაფიულ-კარტოგრაფიული ერუდიციისა⁷².

ყველაზე მნიშვნელოვანი სამეცნიერო შრომა საბასი არის მისი “ლექსიკონი”.

ლექსიკონი

უძველესი კულტურა და მდიდარი ლიტერატურა, რომელიც ქართველებს შეუქმნიათ, თავისთავად გულისხმობს, რომ მათ ლექსიკონიც უნდა ჰქონოდათ ჯერ კიდევ საბამდე. მართლაც, თვითონ საბა ადასტურებს, რომ მის დროს “ქართულთა ენათა ლექსიკონი აღარ იპოებოდა, რომელიც ჟამთა ვითარებითა უჩინო ქმნილ იყო”. დაკარგვა ასეთი წიგნისა იწვევდა ენის გარყვნა-დამახინჯებას, ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ ამნელებდა წაკითხული წიგნების ჯეროვან გაგებას. ამას ყველაფერს გრძნობდნენ მშობლიური კულტურის მოამაგენი, პირველ რიგში თვითონ საბა.

საბა აღნიშნავს თავის ლექსიკონში: “ვახტანგ მეფის ბიძამ, გიორგი მეფემ, მიბძანა ამისი ხელყოფაო”. სხვა ადგილას ის ამბობს: “მეფის არჩილისა და მეფის გიორგისა და ბატონის ლეონის... ბრძანებით აღიწერა” ეს ლექსიკონიო. ამ სიტყვებში, რასაკვირველია, წინააღმდეგობა არაა; ქართული ენის მოწესრიგებისა და სიწმინდისათვის ზრუნავდა არა მარტო გიორგი, არამედ მისი ძმებიც, საერთოდ მთელი სამეფო კარი, ამიტომ საბას შეეძლო ლექსიკონის შემკვეთელად დაესახელებინა ყველა ზემოაღნიშნული პირი. მაგრამ ჩანს, ამ საქმით განსაკუთრებით დაინტერესებული ყოფილა გიორგი მეფე. ლექსიკონის შედგენაზე სულხანს მუშაობა დაუწყია ბერად შედგომამდე, ის თვითონ გვატყობინებს ამას: ლექსიკონის შედგენის “შემდგომად ის (სულხანი) მონაზონ იქმნაო”. ჩვენამდე გადარჩენილა სულხანისაგან შემდეგი ცნობა 1715 წლიდან: “ქართლისა ქვეყანასა

⁷² ამ რუკის 1745 წლის გამოცემის ერთი ცალი ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტის Q 958 მანუსკრიპტში. საბას რუკის შესახებ იხ. ე. მეტრეველი, სულხან-საბა ორბელიანის მონაწილეობით შედგენილი რუკა (საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ. XIX B, 1956, გვ. 227-232).

ლექსიკონი აღარ იშობოდა და ოცდაათს წელიწადს ძლივ შეაწყო განმარტებით”, “მაშინ ქორონიკონი იყო ჩქპე”. ამრიგად, ლექსიკონზე მუშაობა საბას დაუწყია 1685 წელს და დაუმთავრებია 1715 წ.

სულხანის ეს შრომა ორი სახელითაა ცნობილი: “ლექსიკონი” და “სიტყვის კონა”. რომელია აქედან თავდაპირველი, ავტორის ხელიდან გამოსული? ინგლისელი მკვლევარი ლენგი ამბობს, რომ სახელი “სიტყვის კონა” თვით საბამ მოიგონაო, მაგრამ ეს სიმართლეს არ შეესაბამება, რადგანაც ჩვენ გვაქვს თვით ავტორის, სულხანის, შემდეგი მოწმობა: “მე, სულხან-საბა ორბელიანს, ჭაბუკობისა ჟამსა და სიყრმესა ფრიადი შრომა დამიცს ამა წიგნსა ზედა, რამეთუ ქართულთა ენათა ლექსიკონი აღარ იშობოდა... რომელსა მეხუთე ვახტანგ (მე-6) მეფემან ქართულად “სიტყვის კონა” უწოდა”. ამგვარად, “სიტყვის კონა” უწოდა ამ წიგნს ვახტანგ მეექვსემ, ავტორი კი მას “ლექსიკონს” უწოდებდა. შემდეგში, ალბათ, საბაც შეეჩვია ვახტანგის მიერ შერქმეულ სახელს და თვითონაც ხმარობდა მას.

საბა ოცდაათი წლის მანძილზე თანდათან ავსებდა და აუმჯობესებდა თავის შრომას, მას ავსებდნენ და ასწორებდნენ სხვებიც, როგორც საბას სიცოცხლეში, ისე მისი გარდაცვალების შემდეგ. შესამჩნევი დამსახურება ამ მხრივ მიუძღვის ვახტანგ მეფეს, რომელიც განმარტებას უწერს აუხსნელად დატოვებულ სიტყვებს, ახსნილ სიტყვებს უმატებს ახალ მნიშვნელობას და ზედმეტ ცნობებს, უფრო ნათლად წარმოგვიდგენს გრამატიკულ ფორმებს, გვითვალისწინებს ზოგიერთი სიტყვის წარმოშობას, ზოგიერთ შემთხვევაში ასწორებს კიდევაც სულხანის ახსნა-განმარტებას. ამით აიხსნება, რომ დღეს ცნობილია სამი რედაქცია და უამრავი ნუსხა ამ შრომისა, დამზადებული და გადაწერილი, როგორც თვით ავტორის, ისე სხვების მიერ (განსაკუთრებით მისი ძმის ზოსიმეს მიერ). ამ სამი რედაქციიდან პირველი შედგენილი ყოფილა სულხანის ბერად შედგომამდე, ესე იგი, 1698 წლამდე, საბოლოოდ ის ჩამოყალიბებულია მესამე რედაქციაში (A), რომელიც 1716 წელს ეკუთვნის.

ლექსიკონის შედგენისას სულხან-საბა ორბელიანს უსარგებლია სხვადასხვა ენაზე არსებული ლექსიკონით, მაგალითად, სომხურით და, ბოლო ხანს, ბერძნულ-ლათინურით. ამ შემთხვევაში ის იყენებდა, რასაკვირველია, უცხო ლექსიკონების გარეგნულ, ტექნიკურ მხარეს. შინაარსის სახით მას გამოუყენებია, როგორც თვითონ ამბობს, ყველაფერი, რაც “წერილთა შინა უნახავს”. გარდა წერილობითი ძეგლებისა მას უსარგებლია აგრეთვე ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში გაგონილი გამოთქმებით და სიტყვებით (დიალექტიზმებით) და ცოცხალი მეტყველების ნიმუშებით. წერილობითი ძეგლებიდან მას გამოყენებული აქვს სასულიერო, ფილოსოფიური და მხატვრული მწერლობის ძეგლები. სასულიეროდან: ბიბლიური, აგიოგრაფიული (ზოგადი და ქართული) და პატროლოგიური თხზულებები. ფილოსოფიურიდან: თხზულებანი ნემესიოს ემესელისა, იოანე დამასკელისა, ფსევდო-დიონისე არეოპაგელისა, “კავშირნი” პროკლე დიადოხოსისა, კათიგორიები არისტოტელისა და პორფირისა და სხვ⁷³. საერო მხატვრული ლიტერატურიდან

²⁶ პროკლეს შრომით სარგებლობსას ავტორი უფრო მეტად ეტანება იოანე პეტრიწის კომენტარებს; იოანე დამასკელი გამოყენებულია არსენ იყალთოელის თარგმანში და მისი “ცოდნის წყაროს” პირველ ნაწილს იყენებს “კატელორიის” სახელით. აქ ნასარგებლევია ფილოსოფიური ლიტერატურის გამოყენებით და ფილოსოფიურ ტერმინთა და დებულებათა განმარტებით ლექსიკონს დიდი მეცნიერული ღირებულება ენიჭება. ლექსიკონი ყველაზე მეტად გვითვალისწინებს სულხან-საბას მსოფლმხედველობასა და შეხედულებათა სისტემას.

გამოყენებულია: “ვეფხისტყაოსანი”, “ამირანდარეჯანიანი”, “ვისრამიანი”, “როსტომიანი”, “ქართლის ცხოვრება” და სხვ. ლექსიკონში გამოყენებულ წყაროთა სიმდიდრესა და ნაირნაირობაზე თვით სულხანი ამბობს: “რაოდენ ძალმედვა, ვეცადე ელენთა, ლათინთა, სომხურთა, რუსთა და არაბთა წიგნებისაგან და მით გადმოვიღე... ამა ენათა რომელნიცა სწორედ თქვეს, გინა რომელმაც დამაჯერა, იგი დავწერე”. ეს ენები, ყველა მაინც, საბამ არ იცოდა, მაგრამ, ჩანს, ის იყენებდა სათანადო ლიტერატურას სხვების დახმარებით. ერთი მათგანის შესახებ ცნობა თვით სულხან-საბას შემოუნახავს: “ამა წიგნთა შინა რაოდენთა ადგილთა ბერძნულნი სიტყვანი სწერია, რომელიც წიგნით შევიტყვევ, სწორე დავსწერე, და ერთი ბერ-მონაზონი იყო ბერძენი, სერგიოს ერქვა, ცოდნას იჩემებდა, რომელნიმე მისის სიტყვებით დავწერე; შემდგომად ვცანი: არა იცოდა რა, ვინც მისწვდეთ, გასინჯეთ, ასე მომიხდა”⁷⁴.

სულხანის ლექსიკონი ძირითადად განმარტებითია, ეს თვითონ ავტორის მიერაა დადასტურებული: ავტორმა ის ”შეაწყო განმარტებითო”. შეზავებულია ის ენციკლოპედიური ლექსიკონის ელემენტებით, არაა მოკლებული არც მთარგმნელობითს ხასიათს, განსაკუთრებით თურქული (2000-მდე სიტყვა), სომხური (2000-მდე სიტყვა) და იტალიური (1500-მდე სიტყვა) სიტყვების ახსნისას.

სულხანი სიტყვებს ალაგებს ანბანის რიგზე; აქ გვხვდება ბუდეებიც, ისინი ემყარებიან გვარეობითს ცნებას, რომელთანაც თავს უყრის სახეობითს ცნებებს⁷⁵. ჯერ მოტანილია ერთი რომელიმე სიტყვა. მერე მისი ცალკეული სახეობა. გეოგრაფიული პუნქტები ხშირად მოჰყავს მათი განედისა და გრძედის ჩვენებით, წყაროების ჩვენებისას ასწორებს მათ შეცდომებს, თუ ასეთს აღმოაჩენს.

როდერაც ჩვენ მოვიგონებთ, რომ ფრანგული ენის ლექსიკონზე საფრაგეთის მეცნიერებათა აკადემია 36 წელს (1638-1674) მუშაობდა, გაკვირვებას ვეძლევი, როგორ შეძლო ერთმა კაცმა, სულხან-საბა ორბელიანმა, 30 წლის განმავლობაში შეედგინა ქართული ენის ლექსიკონი, რომელიც პირველ ფრანგულ ლექსიკონს არაფრით არ ჩამოუარდება, შეიძლება კიდევაც აღემატებოდეს. ეს საუცხოო და ქართული ენათმეცნიერებისათვის საამაყო წიგნი პირველად ოფიციალურად მეფე გიორგი მე-11 შეაფასა. როდესაც მას, ყანდაარში ყოფნისას, ხელთ ჩაუვარდა ერთი ცალი ამ წიგნისა, მის ავტორს მისწერა: ”ღიახ, კარგი წიგნია, და კარგადაც გავეწყვე.

* * *

როდესაც საუბარია სულხან-საბა ორბელიანის ისეთ საენათმეცნიერო შრომაზე, როგორცაა მისი “ლექსიკონი”, არ შეგვიძლია არ მოვიგონოთ ამასთანავე მისივე გრამატიკული ცდები, რომელსაც “ღრამატიკათა რომელობანი” ეწოდება. შემონახულია შრომა A კოლექციის ხელნაწერებში 1113, 1157. ავტორი ჯერ აქ უჩვენებს ბრუნვათა მხოლოდობით (სინგულარ) ფორმებს: ნომენატიო, ჯენეტიო, დატიო, აკუზატიო, ვოკატიო, აბლატიო-სიტყვისა “მამა”. აბლატიოს შემდეგ მოჰყავს უსახელოდ თითქოსდა დამოუკიდებელი ბრუნვები: მამად, მამიდამ, მამით, მამამან,

⁷⁴ ეს ის სერგიოსია, რომელიც 1709-1713 წლებში კვიპრიანე სამთავნელთან ერთად თბილისის სტამბაში დასაბეჭდ წიგნებს ბერძნულიდან ქართულად თარგმნიდა (ქრ. შარაშიძე, პირველი სტამბა საქართველოში, გვ. 125, 159).

⁷⁵ ა . ჩ ი ქ ბ ა ვ ა , ს ა ბ ა ს “სიტყვის კონა” როგორც ლექსიკოგრაფიული ნაშრომი (მეცნ. აკადემიის საიუბილეო კრებული, 1959 წ., გვ. 259-276.).

მამობა, მამობით, მამურად. მერე ნაჩვენებია ამ სიტყვის მრავლობითი (პლურალე) ფორმები. შემდეგ ავტორი გადადის ზმნაზე და უჩვენებს მის ფორმებს. ეს შრომა ქართული გრამატიკული აზროვნების განვითარების ისტორიაში უმნიშვნელო არ უნდა იყოს. საბას ლექსიკონის ყველა ნუსხაში ის არაა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ის საბას არ ეკუთვნის; საბას ხელს აქ ამჟღავნებს ლათინურ-იტალიური ფორმები გრამატიკული ტერმინებისა. ამ შრომას საბა შეასრულებდა ან საქართველოში, მისიონერების დახმარებით, ან ევროპაში, იქ მოგზაურობის დროს.

ასეთია ზოგად ხაზებში ცხოვრება, პოლიტიკურ-საზოგადოებრივი მოღვაწეობა და კულტურულ-ლიტერატურული საქმიანობა სულხან-საბა ორბელიანისა, ამ, თავის დროისათვის, დიდად განათლებული კაცისა, უბადლო პატრიოტისა, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი მესვეურისა, უაღრესად ნიჭიერი მწერლისა და ჰუმანისტისა. თუ შევაჯამებთ ყველაფერს, რაც ითქვა, მისი ადგილი ქართული ლიტერატურის ისტორიაში შემდეგნაირად წარმოგვიდგება:

1. მიდხედავად იმისა, რომ ის იყო საუკეთესო პოუტი, როგორც ეს ჩანს განსაკუთრებით მის მიერ რედაქტირებული “ქილილა და დამანადან”, სულხან-საბა თავის შემოქმედებაში არ გაჰყვა ბოლოდ პოეზიის გზას და თავის უფლებებში აღადგინა პროზა, რომელსაც ე. წ. აღიარდინების პერიოდში ისეთი მოწონება არ ჰქონდა, როგორც პოეზიას.

2. ქართული სალიტერატურო ენა მან დააყენა გამარტივების, ხალხურ მეტყველებასთან დაახლოების გზაზე, რამაც თავი იჩინა განსაკუთრებით მის თხზულებაში, რომელსაც “მოგზაურობა ევროპაში” ეწოდება.

3. ის ფუძემდებელია იგავარაკული ჟანრისა ჩვენს ლიტერატურაში; თუ წინათ ამ ჟანრის მხოლოდ ელემენტები გვხვდება, მან შექმნა ისეთი ძეგლი (“სიბრძნე სიცრუისა”), რომელიც მაგალტად შეიძლება ჩაითვალოს არა მარტო ქართულს, არამედ მსოფლიო ლიტერატურაშიც.

4. ის შემქმნელია სრულიად ახალი, მემუარული ჟანრისა, რომლის ნიმუშია მისი “მოგზაურობა ევროპაში”. ეს თხზულება მიუწვდომელი ნიმუში გახდა საბას მომდევნო ლიტერატურული თაობისათვის (ტიმოთე გაბაშვილი, იონა გედევანიშვილი და სხვ.).

5. მან, როგორც თავისი დროის მეცნიერული ცოდნით შეიარაღებულმა კაცმა, საფუძველი ჩაუყარა ქართულ ლექსიკოგრაფიას და შექმნა განმარტებითი ლექსიკონი, რომელიც არ კარგავს თავის მნიშვნელობასა და ღირებულებას.

6. როგორც მგზნებარე პატრიოტმა, რომელსაც გულს უკლავდა ნაკლულევანებანი თანამედროვე ცხოვრებისა, თავის “სწავლა-მოძღვრებათა” სახით შექმნა მამხილებელი ჟანრი ჰომილექტიკური მწერლობისა, რომელიც გამიზნულია ამ ნაკლულევანებათა წინააღმდეგ, მამასადამე, არაა მოწყვეტილი რეალურ ცხოვრებას, როგორც ანტონ პირველის, ანტონ ცაგერელ-ჭყონდიდლის და სხვათა ქადაგებანი.

ქილილა და დამანა⁷⁶

⁷⁶ ძ ი რ ი თ ა დ ი ს ჰ ე ც ი ა ლ უ რ ი ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა :

1) ა ლ . ბ ა რ ა მ ი ძ ე , ანვარი სოჭაილის ანუ ქილილა და დამანას ქართული ვერსიები (ნარკვევები, I, 1945, გვ. 236-372).

2) მისივე, ქილილა და დამანას საბასეული რედაქციის ლექსები (ლიტერატურული ძიებანი, XI,

ქილილა და დამანა მსოფლიოში ფართოდ გავრცელებული იგავ-არაკთა კრებულია. ეს კრებული მოიპოვება მწიგნობრობის მქონე თითქმის ყველა ხალხის ენაზე. ერთი ცნობილი ფრანგი სპეციალისტი პირდაპირ ამბობს: “ქილილა და დამანა უფრო გავრცელდა, ვიდრე ბიბლია, ვიდრე ყურანი, ვიდრე ბუდას მოძღვრება”⁷⁷. მას კვერს უკრავს გამოჩენილი გერმანელი მეცნიერი, რომელიც თავის მხრივ დასძენს: “ქილილა და დამანა მსოფლიო ლიტერატურის ძვირფასი მარგალიტია... რომლითაც საუკუნეების განმავლობაში მდიდრდებოდა აღმოსავლეთისა და დასავლეთის თითქმის ყველა ხალხის სულიერი საგანძური”⁷⁸. განთქმული საბჭოთა ორიენტალისტის აკადემიკოს ე. კრაჩკოვსკის მოსაზრებით: «Мировое влияние (Калилы и Димны) можно признать и счастливым и плодотворным»⁷⁹.

”ქილილა და დამანა” შეიქმნა ხალხური სიტყვიერების ნიადაგზე. მისი ცალკეული მოტივები, ზოგჯერ მთელი იგავ-არაკების სიუჟეტები, საანდაზო გამოთქმები, აფორიზმები, სენტენციები, მოსწრებული სიტყვები და მისთანანი ახლაც არის შემონახული სხვადასხვა ხალხის ზეპირსიტყვიერებაში. რასაკვირველია, “ქილილა და დამანას” ლიტერატურულად ჩამოყალიბების შემდეგ იგი თვითონაც გახდა ხალხურის წყაროდ.

“ქილილა და დამანა” ძლიერ პოპულარული იყო საქართველოშიც. ვახტანგ მეექვსის მოწმობით: “რაოდენსაცა საქართველოსა შინა ანუ არაკსა, ანუ იგავსა, ანუ ზეპირს მუნასიბსა ლექსსა იტყვიან, უფროსი ერთი ამაში სწერია”.

“ქილილა და დამანას” თავდაპირველი სამშობლო ინდოეთია. ინდურ (სანსკრიტულ) ენაზე ახლაც მოიპოვება ისეთი ძეგლები, რომლებიც ნაწილობრივ მაინც მოიცავს ამ განთქმული იგავარაკული კრებულის შინაარსს. ასეთებია, მაგალითად, “პანჩატანტრა” და “ჰიტოპადეში”. ინდური წარმოშობის “ქილილა და დამანა” კულტურულ კაცობრიობას გააცნო, უწინარეს ყოვლისა, ძველმა სპარსეთმა.

ჩვენი წელთაღრიცხვის VI საუკუნეში “ქილილა და დამანა” დამუშავდა ფალაურ (შუა სპარსულ) ენაზე, იმავე საუკუნეში იგი ითარგმნა სირიულად. VIII საუკუნეში ჩამოყალიბდა “ქილილა და დამანას” არაბული რედაქცია. ეს არაბული რედაქცია

1958, გვ. 23-54).

3) ვ. კ ე კ ე ლ ი ძ ე , ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1958, გვ. 462-471.

4) ე . მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი , ა ლ . გ ვ ა ხ ა რ ი ა , სულხან-საბა ორბელიანის მთარგმნელობითი მეთოდის შესწავლისათვის (სულხან-საბა ორბელიანი, მეცნიერებათა აკადემიის საიუბილეო კრებული, 1959, გვ. 177-202).

5) მ . თ ო დ უ ა , ქილილა და დამანას დავითისეული თარგმანი (ს. ს. ორბელიანი, უნივერსიტეტის საიუბილეო კრებული, 1959, გვ. 117-135).

6) ქილილა და დამანას გამოცემები-ილ. ჭყონიას რედაქციით (თბილისი, 1886), ალ. ბარამიძისა და პ. ინგოროყვას რედაქციით (თბილისი, 1949); სულხან-საბა ორბელიანის თხზულებათა სრული კრებული, ტ. II (ორ ნაკვეთად), ალ. ბარამიძის და ე. მეტრეველის რედაქციით, თბილისი, 1961-1962.

⁷⁷ ჟ. დარმსტეტერი, სპარსული პოეზიის წარმოშობა, ლ. ჟირკოვის თარგმანი, მოსკოვი, 1925, გვ. 21

⁷⁸ ჰერმან ეთე, ახალი სპარსული ლიტერატურა (გერმანულად), გვ. 326.

⁷⁹ Калила и Димна, перевод с арабского И. Ю. Крачковского и И. П. Кузьмина. М.-Л., 1934, стр.23.

დაედო საფუძვლად თხზულების შემდეგდროინდელ მრავალ თარგმანს სხვადასხვა ენაზე. ქართულად “ქილილა და დამანა” თარგმნილი უნდა ყოფილიყო ყოველ შემთხვევაში არა უგვიანეს XI-XII საუკუნეებისა.

“ქილილა და დამანას” ძველ-ქართულ თარგმანს ჩვენს დრომდის არ მოუღწევია, ვახტანგის სიტყვით რომ ვთქვათ, ის “ჟამთა ვითარებით დაკარგულიყო”. ტექსტის ხელახალი ქართული თარგმანები ეკუთვნის XVI-XVIII საუკუნეებს. ყველა ისინი იმ რედაქციისაა, რომელიც ცნობილია “ანვარი სოჰაილის” სახელით. ამიტომაც ქართულ “ქილილა და დამანას” ან ვ ა რ ი ს ო ჰ ა ი ლ ი ც ეწოდება (ანვარი სოჰაილი ნიშნავს მნათობ კანოპუსს, ანუ მნათობ თავთირს. სოჰაილი, კანოპუსი, სამხრეთის ცის კამკაშა ვარსკვლავია). “ქილილა და დამანას” “ანვარი სოჰაილის” რედაქცია ჩამოყალიბდა სპარსულ ენაზე XV საუკუნის მიწურულში. მისი ავტორია ვაიზ ქ ა შ ი ფ ი (გარდ. 1505 წ.).

“ქილილა და დამანა”, როგორც აღვნიშნეთ, ი გ ა ვ - ა რ ა კ თ ა კ რ ე ბ უ ლ ი ა . კომპოზიციურად მიეკუთვნება ჩარჩოს თხრობათა პრინციპზე აგებულ თხზულებებს. “ქილილა და დამანაში” ფაბულური ჩარჩო არ თამაშობს დიდ როლს (როგორსაც, მაგალითად, “სიბრძნე სიცრუეში”). ამასთან, “ქილილა და დამანას” ძირითად ფაბულურ ჩარჩოში ჩასმულია უფრო მომცრო მოცულობის სხვა ჩარჩოებიც, რომლებიც თავიანთი იდეურ-მხატვრული დანიშნულებით გაცილებით მეტი მნიშვნელობისაა, ვიდრე მთავარი ფაბულური ჩარჩო. საილუსტრაციოდ საკმაო იქნება, თუ მოვიყვანთ საკუთრივ “ქილილა და დამანას” შინაარსობლივ სქემას. ვამბობთ ს ა კ უ თ რ ი ვ ს იმიტომ, რომ კრებულის მრავალრიცხოვან იგავ-არაკებში მოცულობით ყველაზე დიდია იგავ-არაკი “ქილილა და დამანა”. კრებულისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ამ კერძო იგავ-არაკმა თავისი სახელწოდება მისცა მთელ თხზულებას.

საკუთრივ “ქილილა და დამანას” ამბავი მოთხრობილია კრებულის პირველ ორ კარში (სულ კრებული 14 კარისაგან შედგება). ქილილა და დამანა ერქვა ტურებს, რომლებიც ერთად მეგობრულად ცხოვრობდნენ. ხასიათით ისინი ძლიერ განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. ქილილა იყო მშვიდი, თავმდაბალი, გამჭრიახი გონების პატრონი, კეთილზნიანი, უწყინარი. დამანა კი პატივმოყვარე, ცბიერი, ხარბი, შურიანი, განდიდების მანიით შეპყრობილი, გაიძვერა. ქილილა გამოხატავს კეთილ საწყისს, დამანა კი-ბოროტ საწყისს. შემთხვევითმა გარემოებამ ბიძგი მისცა და სამოქმედო ასპარეზზე გამოიყვანა პატივმოყვარე დამანა...

ერთი ვაჭარი შორეულ ქვეყანაში სავაჭროდ გაემგზავრა, “თანა ორნი აზავერნი⁸⁰ ჰყვეს ერთისა ფურისა ნაშობნი” ერთსა ერქვა შ უ თ უ რ ბ ა , მეორეს მ ა ნ დ ა ბ ა . ერთმანეთის მოყვარული იყვნენ. გზად შუთურბა ტალახში ჩაეფლა, დიდი ვაი-ვაგლახით ამოიყვანეს, მაგრამ “სვლისა ღონე არა ჰქონდა”. მიატოვეს. შუთურბამ კარგი სამოვარი იპოვა, მოსულიერდა, “პოხილად გასუქდა”, ბღავილი მორთო. იმ არემარეში თავისი ბუნაგი ჰქონდა ერთ ლომს, “მას არც აზავერი ენახა, არც ხარის ხმა ასმოდა”. შუთურბას ბღავილმა ლომი შეაშინა, კარი ჩაიკეტა და ბუნაგიდან გარეთ აღარ გამოდიოდა. ეს ამბავი გაიგეს მხეცებმა, მათ შორის დამანამ. უფლებამოყვარე დამანამ გადაწყვიტა ესარგებლნა შემთხვევით და საქმეს შეუდგა, თუმცა ქილილა ურჩევდა ლომის საქმეში არ ჩარეულიყო, თავი ხიფათში არ ჩაეგდო, დაკმაყოფილებულიყო თავისი მდგომარეობით. დამანა წარუდგა ლომს, აღუთქვა

⁸⁰ აზავერი-მეზარგული, მეტვირთე ხარია.

უცხო ნადირის დამორჩილება და მის წინაშე მიყვანა. დამანამ დანაპირები შეასრულა და მეფის მადლობა დაიმსახურა. ლომს ძალიან მოეწონა და შეუყვარდა შუთურბა, დაიახლოვა და მესაიდუმლედ გაიხადა, დამანა კი დაივიწყა. დამანა ანგარიშში მოტყუვდა, მეფის კარზე საპატიო ადგილი ვერ დაიკავა, ხელცარიელი დარჩა. მაშინ დამანა შურისძიების გზას დაადგა, თუმცა კეთილი ქილილა ბევრს უშლიდა. დამანამ ინტრიგის ქსელი გააბა, თავისი გაქნილი ენის წყალობით მოახერხა ლომისა და ხარის დაშორება, ისინი ერთმანეთს დააჯახა და შუთურბა დაღუპა. შუთურბას დაღუპვამ ლომი გამოაფხიზლა და საგონებელში ჩააგდო. დამანას არც ახლა გაუმართლდა იმედები, ლომის გული ვეღარ მოიგო, სანუკვარი პატივი ვერ მოიპოვა, პირიქით, მისი ავსაქციელობა გამომჟღავნდა. ვეფხის რჩევით ლომი გამოძიებას შეუდგა, დანიშნა სასამართლო. მოწმეების ჩვენებით დამანას დაუმტკიცდა ლომის ორგულობა და შუთურბას მუხთლური სიკვდილი. ბოროტმოქმედ დამანას სიკვდილი მიუსაჯეს. ამქვეყნიურ სასჯელს ზედ დაერთო იმქვეყნიური სასჯელიც, “საპყრობილეს ჯოჯოხეთით ჯოჯოხეთის საპყრობილეში ჩაიჭრა”. ყოველი ვერაგი და გაიძვერაო, - ასკვნის “ქილილა და დამანას” ავტორი, - “ორთავე სოფელს სატანჯველს მიეცემაო”.

როგორც მოყვანილი შინაარსიდან ჩანს, აქ მხეცთა სამყაროს საშუალებით გადმოცემულია ადამიანთა საზოგადოებრივი ცხოვრების სურათები. დახატულია მკაფიო ხასიათების მქონე ალეგორიული სახეები: კაცთმოყვარე, მაგრამ გამოუცდელი და გულუბრყვილო მეფე (ლომი), უწყინარი და მიამიტი ქვეშევრდომი (აზავერი), გაიძვერა ინტრიგანი კარისკაცი (დამანა) და ა. შ.

“ქილილა და დამანას” იგავ-არაკში მოთხრობილია დანაშაულებრივი ქმედობის კოლორიტული ამბავი, აღწერილია დაწვრილებითი ისტორია სასამართლო ძიებისა და სასამართლო პროცესისა...

“ქილილა და დამანას” იგავ-არაკებს საზოგადოდ, კერძოდ კი ამ იგავ-არაკს გარკვეული, მორალისტური ტენდენცია ახასიათებს. გულზვიადობამ გაიძვერა დამანა მოღალატედ აქცია და ღირსეულადაც დაისაჯა. ავტორი აზოგადებს იგავ-არაკის ამბავს, დაუნდობელი სასჯელით ემუქრება ყველა მოღალატესა და ბოროტმოქმედს.

“ქილილა და დამანას” სოციალური მოძღვრება თავისი საფუძვლით ფეოდალური საზოგადოების ინტერესებს ემსახურება. ამისდა მიუხედავად, თხზულება არსებითად ავითარებს საზოგადოდ ადამიანობისა და კაცთმოყვარეობის იდეალებს. ჰუმანისტური თვალსაზრისი სჭვალავს როგორც განხილულ იგავ-არაკს, ისე იგავ-არაკთა მთელ კრებულს. “ქილილა და დამანა” მმართველი საზოგადოებისაგან მოითხოვს მშრომელი მოსახლეობის, კერძოდ გლეხობის მიმართ შემწყნარებლურ დამოკიდებულებას. თხზულებაში ერთგან გადაჭრით არის ნათქვამი: “რომელსაცა მეფეთაგანსა საიქიოს განსვენება უნდა, აქა ხამს გლეხთ მოსვენებას ეცადოსო” (გვ. 188). ეს აზრი ხშირად ლექსებითაც არის გამოთქმული, მაგალითად (გვ. 28):

პატივის ხელთა გლეხთაგან ნუ განიშორებ, მეფეო,
მდაბიოთ საქმე პატივთა მიახდე, აიეფეო.

კაცობრიობის გარდაუვალ ზნეობრივ კანონად ამ თხზულების მიხედვით აღიარებულია პატრონებისა და საერთოდ გაბატონებული საზოგადოებრივი კლასის წარმომადგენლების მხრივ ხელქვეითების მიმართ ღმობიერი და კაცთმოყვრული

დამოკიდებულების გამოჩენა. ამ აზრს ნათლად გამოხატავს ორტაეპიანი ლექსი (გვ. 36):

ადამისითგან აქამდე წესად მეს ესე მცნებანი,
ყმათ თუ შესცოდეს პატრონთა, თანა აცს მიტევებანი.

“ქილილა და დამანა” გმობს ძლიერთა ამა ქვეყნისათა გულქვაობას, სოციალურ გაუტანლობასა და კაციჭამიობას, ზნეობრივ დაცემულობას.

“ქილილა და დამანა” შრომას აღიარებს ადამიანის საპატიო დანიშნულებად. მშრომელის პრაქტიკულ საქმიანობას მეგლი ბრძენთა სწავლაზე მაღლა აყენებს. თვითონ ხმელთა მპყრობელი მეფეებიც კი საზრდელს მშრომელებისგან ღებულობენ, მათი კეთილდღეობა მშრომელთა გარჯასა და ნებაზეა დამოკიდებული (ხვათა შორის, შევნიშნავ, რომ ეს მოტივი გაძლიერებულია “ქილილა და დამანას” ქართულ თარგმანში). მეგლის შეგონება და მოწოდებაა (567):

დაშვერ, მუშაკო, უნჯს ჰპოებ, ნუ რად ნუ მოგწყინდებიან,
ბრძენთა სწავლანი შენთანა გაცაცვდებიან, დნებიან.
მეფენი ხმელთა მპყრობელნი, ვინ მტერთა უმაგრდებიან,
საზრდოს მუშაკთა შესთხოვენ, საძიოვრად ექენებიან.

თუ მეფეები თავიანთი კეთილდღეობით არ კმაყოფილდებიან, მოხვეჭის მიზნით ქვეშევრდომებს ყვლევენ და არბევენ, მშრომელები, პირიქით, სოციალურ სამართლიანობას იცავენო (568):

მუშაკნი ქვრიეთა არ სძვრცვიან, არცა ობოლთა არბევენ,
მეფენი მდღევარს არ ჯერან, მათ ჭირად ცხენთა არბევენ.

“ქილილა და დამანა” აშიშვლებს ადამიანთა ისეთ მანკიერ თვისებებს, როგორცაა სიხარბე, შური, ანგარება, უსაქციელობა და ა. შ.

ძლიერი პოეტური სიტყვებითაა “ქილილა და დამანას” ქართულ (საბასეულ) რედაქციაში გაკიცხული შურის მავნებლობა და სისაძაგლე (205):

უკურნებელი სენია, შური თუ კაცსა ეცისა,
ემშაკთ წესია, ქაჯისა, საქმე მძვინვარე მხეცისა.
თქმულა: მემურნე მტერია ქვეყანისა და ზეცისა,
თვისსავე სულსა უწყალოდ მოჰკლავს და ქვე დაეცისა.

“სიხარბე, შური და ქიშპოპა თავისუფალსა მონად და ნასყიდად შეიქმსო”, ამბობს “ქილილა და დამანა” (გვ. 140). “ქილილა და დამანა” უდიდეს ბოროტებად თვლის უპირობას, ფიცის გატეხას, ორგულობას, ღალატს. გაუტანლობა, კინკლაობა, ქიშპი და შუღლი, შინათაშლილობა აღიარებულია საზოგადოებისა და ქვეყნის დამაბუნების მიზეზად. მორალური დაცემულობა, ზნეობრივი აღვირაბსნილობა, გარყვნილება და მათი მსგავსი მოვლენები “ქილილა და დამანას” ავტორის დაუზოგავი მხილების საგანია. იგი განსაკუთრებულად ამახვილებს ყურადღებას მამუზღრობის და ცილისმწამებლობის წინააღმდეგ. “სიფრთხილე გიჯობს, ნუთუმცა კედელთა ყურნი ეხსნესაო”, შენიშნულია ერთგან (200). თბზულება არ ფარავს

ხელოვნების დარგის მუშაკთა ნაწილის სიხარბით გატაცებასა და სულწასულობას, მათ საყურადღებოდ ამბობს (186):

ხარბად ნუ ითხოვ ხმოსანი, მუტრიბი ხარ თუ მეგოსანი.

“ქილილა და დამანა” ქადაგებს ხალხთა შორის მშვიდობიანობას, გაბედულად უარყოფს და გმობს ომიანობასა და ძალმომრეობას.

იშვიათად მოიძებნება ძველი დროის ლიტერატურაში ასეთი პრინციპული გალაშქრება მშვიდობიანობის სასარგებლოდ და ომიანობის საწინააღმდეგოდ (280):

თუ იყო გმირთა უხნესი მისისა მის საზომისა,
პილოსა უძლიერესი, მჯობი მებრძოლად ლომისა,
მაშინც მშვიდობა სჯობია, იმედი სულთა დგომისა.
არ ვიცით, ბრძოლა რასა იქმს, რა გაგება არს ომისა.

იგივე თვალსაზრისი გატარებულია პროზაულ ტექსტშიც: “ჭკვიანთა საუკეთესოდ ესე უთქვამთ”: ომსა და ბრძოლასა კაცი მოერიდოსო” (გვ. 279).

“ქილილა და დამანა” მკაცრად ტუქსავს მეშფოთეთა გამხრწნელ საქმიანობას ომების გასაჩაღებლად, სახელმწიფოებისა და ქვეყნების ერთიმეორეზე წასაკიდებლად, მშვიდობიანობის დასარღვევად, მოსახლეობის დასარბევად და ასაკლებად. ძეგლი გვაფრთხილებს (გვ. 26):

მეშფოთე კაცსა ერიდე, ნუ ისმენ მეშურნისასა,
რადგან შურითა დაბნელდა, სძულობს ნათელსა დღისასა,
ერთ წამზედ აშლის თემსა და მას მშვიდობასა ღვთისასა.
დიდი ქვეყანა მოუწვავს ენასა მახეზღრისასა.

გაუსწორებელი მტრების მიმართ “ქილილა და დამანა” მოითხოვს შეუბრალებელ მოპყრობას, ხანდაუხმელ მოქმედებას და ელვის სისწრაფით მკაცრი დამსჯელი ღონისძიების გატარებას (120):

რა უწყალოსა მტერზედა ჟამნი მოგვეცნეს, დრონია,
რადმცა აყოვნებ, დაქოლვად მისიმცა საადრონია.

მტრებისა და მტრობისადმი ულმობელი მოპყრობის საჭიროება “ქილილა და დამანას” ბეჯითი მოთხოვნაა (248):

თუცა ერთი ასო შენი დაემოყვროს შენსა მტერთა,
ორკვეც მტერად შეირაცხე, ორად გაჭერ, შერთე მტვერთა.

მტერთა შორის ყველაზე ბიწიერად მიჩნეულია “საქვეყნო მტერი” (185). თხზულების ავტორის განსაკუთრებულ მძულვარებას იწვევს შინაგამცემი, შენიღბული მოყვარე-მტერი. ავტორი აღიარებს (247):

ეგრე მტრისა არ მეშინის, რადგან ცხადად მაწყინარობს,
მოყვარესა მტერსა ვუფრთხი, მემოყვრება, მოცინარობს...

“ქილილა და დამანა” მოითხოვს შეუბრალებელ მოპყრობას საკუთარი ოჯახის წევრ მოყვარე-მტრისადმი, თუგინდ იგი მამიდაც იყოს. “მოყვასი მტერი მამიდაც

მყვანდეს, ყოლე გავამებ მიღმა ნაპირსა” (247). თხზულება გონიერ მტერს მაღლა აყენებს უგუნურ მოყვარეზე.

ბევრი შთამაგონებელი სტრიქონია “ქილილა და დამანაში” მეგობრობასა და ამხანაგობაზე. თხზულება ხაზს უსვამს სწავლა-აღზრდის მნიშვნელობას საზოგადოების ზნეობრივი ცხოვრების განსამტკიცებლად. აქ შექმნილია ადამიანის პირადი ღირსებანი, გაკვირებულია შთამომავლობით თავმომწონეობა, ბაქიობა და ყოყოჩობა. თბილ სიტყვებს უძღვნის ავტორი თავმდაბლობას, სულგრძელობას, სჯულიერებას, სიბრძნეს. ხოტბის საგანია ერთგულება, გამტანიანობა, უმფოთველობა, ვაჟკაცობა. “ქილილა და დამანას” მოძღვრების თანახმად, “ყოველთა კაცთა პატიოსნება ცოდნაა და არა საქონელი” (264). “ქილილა და დამანა” მკითხველებს უქადაგებს გულისხმიერად მოეპყრან რჩევა-დარიგებას, რადგანაც (280):

ერთი ხრმალი გამკვეთელი ორმოცს მოჰკლავს, ანუ ასსა,
ერთი რჩევა სულ დასთრგუნავს სიმრავლესა ლაშქრის დასსა.

თხზულებაში გვხვდება იმედიანობის მომცემი, ოპტიმისტური მსოფლ-შეგრძნებით გამსჭვალული შეგონებანი, როგორც მაგალითად (232):

სასოწარკვეთა არა სჯობს, სჯულშია დაყენებული,
მრავალგზის ქმნილა, იმედი ბოლოს მოსდევდეს ქებული.

აქ მოკლედ აღნიშნული მოტივები “ქილილა და დამანას” ანიჭებს დიდ ღირსებას და მას ხდის უჭკნობი ძალის მქონე იდეურ-მხატვრულ ნაწარმოებად.

“ქილილა და დამანას” ძველად დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა ჰქონდა. ის წარმოადგენდა პრაქტიკული ცხოვრებისათვის საჭირო ცოდნის ენციკლოპედიას. თხზულება ვრცლად ასახავს სამეფო კარის გარემოს. საკარო ცხოვრების რთული ეთიკეტი, სოციალური იერარქია, საზოგადოებრივი ურთიერთობანი, სახელმწიფოს საერთაშორისო და საშინაო ვითარება, ომი და ზავი, სტრატეგია და ტაქტიკა, დიპლომატია, მართვა-გამგეობის წესები, სამართალი, ზნეობრივი ცხოვრების ნორმები, ოჯახი, სიყვარული და მისთანანი შეადგენს იგავ-არაკთა ამ იშვიათი კრებულის თემებს.

მრავალი მეფე ვაზირი, დიდებული, კარისკაცი, მოსამართლე და სხვანი “ქილილა და დამანას” საშუალებით ეცნობოდნენ ცხოვრების პრაქტიკულ ფილოსოფიას, ამ თხზულებაში ეძებდნენ პასუხს საყოველღეო საჭირობოროტო საკითხებზე. “ქილილა და დამანას” სიბრძნესა და ზნეობრივ პრინციპებზე აღზრდილა და განსწავლულა სხვადასხვა საზოგადოებრივი წრის თაობები. “ქილილა და დამანას” ზნეობრივი მოძღვრების გამაკეთილშობილებელ გავლენას საუკუნეთა მანძილზე განიცდიდნენ სხვადასხვა ფერის, სხვადასხვა მოდგმის, სხვადასხვა სარწმუნოებრივი აღმსარებლობისა და სხვადასხვა კულტურის ხალხები. ამის პირობას ქმნიდა ის საკაცობრიო ჰუმანისტური იდეალები, რომელიც საფუძვლად უდევს იგავ-არაკთა სახელგანთქმულ კრებულს.

“ქილილა და დამანას” აღმზრდელობითი მნიშვნელობა კარგად ჰქონია გათვალისწინებული ამ თხზულების ქართული რედაქციის ავტორს, სულხან-საბა ორბელიანს, იგი ამბობს: “კაცმან ესე წიგნი ბოლომდე გაჩხრეკით უნდა წაიკითხოს, რამდენი რიგი კაცია და რამდენი რიგი საქმე უნდა, ესევე ასწავლის”.

როგორც ჩვეულებრივად იგავ-არაკებში, “ქილილა და დამანაშიც” მთავარი მოქმედი პირები ცხოველებია, რომლებიც ალევორიულად გამოხატავენ ადამიანთა საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ურთიერთობის რეალურ ვითარებას. თითონ ქილილა და დამანას მოწმობით “ამა ზღაპრისა ამბავსა შინა გამოჩენილი საუბარი მრავალრიგთა გამოცდილებათაგანი იპოვებიან და რაოდენი სხვადასხვა სწავლანი გამოჩნდებიან” (262). ეს აზრი კარგად არის გამოთქმული ლექსითაც (499):

ამ ჭრელს დაფარულ სადაფთა, რომელსა ამევს ზე ბნელი,
ბევრს კარგს მარგალიტს იპოვებს იგავთა გამომძებნელი.

ძველი საუკუნეების დესპოტური სოციალური ცხოვრების პირობებში დიდი გასავალი ჰქონდა ე. წ. ეზოპურ, ანუ ალევორიულ ენას, სწავლა-დარიგების გადაცემას იგავურად. ეს გარემოება აპირობებდა იგავარაკული ჟანრის დიდ წონას შუა საუკუნეების მხატვრულ ლიტერატურაში. ალევორიული ენით უფრო მოსახერხებელი იყო მოწინავე, ცოცხალი აზრების გავრცელება. ცხოველებისა და ფრინველების პირით შედარებით უხიფათოდ შეიძლებოდა ძლიერთა ამა ქვეყნისათა შეგონება. “ქილილა და დამანაში” აღნიშნულია, რომ მრისხანე და მწყრომელი ხელმწიფის “წვრთა” ჯერ არს “გაწყობილისა იგავებითა და მართებულის არაკთა შემჭვერებითაო” (გვ. 343). მართალია, ცხოველებისა და ფრინველების გრძელი ჭკვიანური შეგონებანი და თავისუფალი მსჯელობანი რთულ თეოლოგიურსა და საყოფაცხოვრებო საკითხებზე მოქმედების მიმდინარეობის ტემპს ძლიერ ანელებს და მოთხრობას აჭიანურებს, მაგრამ იგავარაკული ჟანრის ძეგლებისათვის საქმის ამ მხარეს არ აქვს დიდი მნიშვნელობა. მოსწრებულად ამბობს “ქილილა და დამანას” შესახებ აკადემიკოსი ე. კრაჩკოვსკი: «Здесь звери еще слишком напоминают людей; они не столько действуют, сколько говорят и рассуждают, рассуждают длинно и обстоятельно, так как именно в этих рассуждениях, а не в действии и лежит центр всего произведения»⁸¹.

“ქილილა და დამანას” იგავ-არაკები წარმოადგენს მსჯელობის გზით გამოთქმულ ამა თუ იმ მოსაზრებისა თუ დებულების დამახასიათებელ საილუსტრაციო მხატვრულ მასალას. სწორედ მახვილგონივრული იგავ-არაკები აძლევს შნოსა და ლაზათს “ქილილა და დამანას” კრებულს. ამასთან დაკავშირებით ინტერესს იწვევს თხზულების კომპოზიციური მხარე. პირველი კარი იწყება დიდვაჭრის შეგონებით. დიდვაჭარსა და მის სამ შვილს შორის იმართება საუბარი იმის თაობაზე, თუ რა გზით უნდა მოიპოვოს ადამიანმა ცხოვრების სახსარი. თითოეული თავის აზრს გამოთქვამს და საბუთად იმოწმებს ამა თუ იმ ამბავს. მოსაუბრე კითხულობს, ეს ამბავი “როგორ ყოფილაო”. საპასუხოდ იწყება იგავ-არაკი. დიდვაჭრის უხუცესმა შვილმა ირჩია შორეულ ქვეყანაში მგზავრობა და ვაჭრობის წამოწყება. ბარგი ორ აზავერს აჰკიდა. ესაა საკუთრივ “ქილილა და დამანას” იგავ-არაკის შინაარსის სათავე. ქილილა და დამანას საუბრები, ისე როგორც საუბრები დამანასი ლომთან, შუთურბასთან, მოსამართლეებთან და სხვებთან მიმდინარეობს იგავ-არაკების ენით. იგავ-არაკებითაა მოტივირებული სამოსამართლო ძიების ამბები და თვითონ სამოსამართლო პროცესის მნიშვნელოვანი მხარეები. ამრიგად, ერთი იგავ-არაკი იწვევს მეორეს, მეორე-მესამეს, მესამე -მეოთხეს და ა. შ. სულ თხზულების

⁸¹ Калила и Димна, 1934, გვ. 2.

პირველ ორ კარში, ე. ი. საკუთრივ “ქილილა და დამანაში” 37 იგავ-არაკია (მთელ კრებულში კი 100).

მსჯელობითი ელემენტები “ქილილა და დამანაში” მეტად ჭარბადაა წარმოდგენილი. ეს ართულებს, ამწელებს და ზოგჯერ აბუნდოვნებს აზრს. “ქილილა და დამანას” ანვარი სოჰაილის ვერსია ძალზე ღვლარჭნილი სტილის მქონეა. ტექსტი შეზავებულია მრავალრიცხოვანი ციტატებით სხვადასხვა საკულტო და დიდაქტიკური ხასიათის თხზულებებიდან (უმეტეს წილად არაბულ ენაზე). თხრობა გართულებულია და დამძიმებული ვრცელი გაბმული თეოლოგიურ-ფილოსოფიური მსჯელობებით, ზნეობრივი ცხოვრების ნორმებზე მითითებით და ა. შ. ცნობილი რუსი ირანისტი პროფ. ე. ბერთელსის სიტყვებით რომ ვთქვათ: «Анвары Сухайли... цветиста и вычурна до последней степени, запутанные периоды, пересыпанные стихами разных авторов, арабскими поговорками, цитатами из корана и т. д. могут довести до отчаяния самого терпеливого читателя»⁸².

ქართველი მკითხველი საზოგადოების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ის ყოველთვის დიდ ინტერესს იჩენდა “ქილილა და დამანასადმი”. ქართველი განათლებული საზოგადოება გატაცებით ეწაფებოდა იგავ-არაკთა ამ ვეებერთელა კრებულს.

როგორც აღვნიშნეთ, თავისი დროისათვის “ქილილა და დამანა” წარმოადგენდა ზნეთსწავლულების სამაგალითო წიგნს, სიბრძნისა და ცოდნის წყაროს, რომელსაც დღემდის არ დაუკარგავს თავისი ლიტერატურული მნიშვნელობა. ამიტომაც ვრცელდებოდა ასე ფართოდ კულტურულ ხალხთა შორის, მკითხველი საზოგადოების შეუწელებელ ინტერესს იწვევდა და ითარგმნებოდა სხვადასხვა ენაზე. “ქილილა და დამანას” ერთ-ერთი უძველესი სრული თარგმანი მოიპოვება ქართულ ენაზე. მართალია, პირველი ქართული თარგმანი, შესრულებული არა უგვიანეს მე-12 საუკუნისა, ჩვენამდის მოღწეული არ არის. სამაგიეროდ ე. წ. აღორძინების ხანიდან გვაქვს “ქილილა და დამანას” რამდენიმე დამოუკიდებელი ვერსია.

ქილილა და დამანას “ანვარი სოჰაილის” რედაქციის თარგმნა ქართულ ენაზე წამოუწყია ვახეთის მეფე დავითს, თეიმურაზ პირველის მამას. დავითი გარდაიცვალა 1602 წელს. მას მოუსწრია ტექსტის თარგმნა მხოლოდ კუ და მორიელის (ღრიანკალის) არაკამდის. დავითის თარგმანის ტექსტი ხელთ ჩავარდნია ვახტანგ VI-ს. ვახტანგის დავალებით დავითის წამოწყებული საქმე განუგრძია და დაუსრულებია 1710-1714 წლების მანძილზე ორ უცნობ მწიგნობარს. “ქილილა და დამანას” თარგმანი ვახტანგს დედნისათვის შეუდარებია, შეუსწორებია და რედაქციულად გაუმართავს. ამ მუშაობას სწავლული მეფე ეწეოდა 1712-1714 წლების განმავლობაში, ისპაჰანში (ირანში) ყოფნისას. როგორც ცნობილია, ირანის მთავრობა ვახტანგისაგან მოითხოვდა ქრისტიანული რჯულის დაგდებას და მაჰმადიანობაზე გადასვლას. ვახტანგმა ეს მოთხოვნა არ შეასრულა, რის გამოც ქირმანში გადაასახლეს (1714 წ.) და ცხოვრების მძიმე რეჟიმი შეუქმნეს.

“რა მიველ მუნ (ე. ი. ქირმანს),-მოგვითხრობს ვახტანგი,-წიგნი სარგონი არ მახლდა, და ცუდად ყოფნა სულისაც მაზიანებელად ვნახე და ხორცის საწუხრადაც. სხვა საქმე არა მქონდა რა, ამის (ე. ი. ქილილა და დამანას) შექცევას გამოვეკიდე”-ო. ვახტანგს გადუსინჯავს და დაუწუნებია “ქილილა და დამანას” ქართული თარგმანი, “ლექსი, სიტყვა და გაწყობა ბევრი აკლდაო”. სწავლული მეფე არ მორიდებია მძიმე

⁸² Очерки истории персидской литературы. Ленинград, 1928, стр. 71.

შრომას, თვითონ პირადად მიუყვია ხელი ახალი თარგმანისათვის. თუმცა “დიდი ჭირი” უნახავს, მაგრამ საქმე ბოლომდის მიუყვანია. 1714-1716 წლებში ქირმანში ვახტანგს დაუმთავრებია “ქილილა და დამანას” საკუთარი თარგმანი.

ვახტანგის თარგმანი შესრულებულია საქმის ცოდნით, გულისხმიერებითა და სიყვარულით. ვახტანგს ქართულად ჩამოუყალიბებია განთქმული იგავ-არაკთა კრებულის სრული, სწორი და საზოგადოდ კარგი თარგმანი, ოღონდ ვახტანგის თარგმანი ერთგვარ შავს წარმოადგენს. ტექსტს ჯერ კადევ სჭირდებოდა რედაქციული ჩალხი. “ქილილა და დამანას” ტექსტში ბევრი ლექსია ჩართული, ვახტანგს ლექსებიც პროზაულად უთარგმნია. შემდეგ მთარგმნელი შედგომია სალექსო პროზაული ტექსტების გაწყობასა და მთელი თხზულების რედაქციას. მაგრამ იმ დროს შეიცვალა პოლიტიკური სიტუაცია. სხვადასხვა მიზეზის გამო ვახტანგი იძულებული გახდა გარეგნულად დაეკმაყოფილებინა შაჰის მოთხოვნები და მაჰმადიანობაზე გადასულიყო. ამ ნაბიჯით მან აღიდგინა პოლიტიკური პრესტიჟი და სახელმწიფოებრივ საქმიანობაში ჩაება. “ქილილა და დამანას” კი გაუწყობელი და გაუჩაღხავი დარჩა. თარგმანის გამართვა ვახტანგს ჯერ მიუხდვია ონანა მდივნისათვის. ხოლო, როდესაც ევროპიდან დაბრუნდა სულხან-საბა ორბელიანი, ტექსტი იმისთვის გაუგზავნია და მიუწერია: “ეს ჩემი ჭირნახული გაჩაღხე გემოანად და სადაც ლექსები ჩართული იყოს, აგრევე ქართულად ლექსები ჩაურთეო”.

ვახტანგსა და საბას შორის მაშინ განხეთქილებას ჰქონია ადგილი, სულგრძელ საბას ვახტანგის დავალება მაინც პირნათლად შეუსრულებია.

ამრიგად ჩამოყალიბებულა “ქილილა და დამანას” ქართული თარგმანის სამი ვერსია:

1. მეფე დავითისა და ვახტანგის უცნობი თანამშრომლებისა, 2. საკუთრივ ვახტანგისა, 3. სულხან-საბა ორბელიანისა⁸³. ლიტერატურული თვალსაზრისით მესამე ვერსია, ე. ი. სულხან-საბა ორბელიანის ვერსია შეუდარებლად მაღლა დგას პირველ ორ ვერსიაზე. ვახტანგის თანხმობით ამ ვერსიამ კანონიკური სახე მიიღო, ფართოდ გავრცელდა და პოპულარობა მოიპოვა. პირველი ორი ვერსია კი რჩება როგორც საყურადღებო მასალა ქართული თარგმნითი მწერლობისა.

სულხან-საბა ორბელიანს “ქილილა და დამანას” ვახტანგისეული თარგმანი საფუძვლიანად გადაუმუშავებია როგორც ლექსითს, ისე პროზითს ნაწილში. გამოჩენილ ქართველ მწიგნობარს ვახტანგის ტექსტი მართლაც “გემოანად გაუჩაღხავს” და მისი სრულიად ახალი რედაქცია მოუცია. რედაქტორს კარგად ჰქონია გათვალისწინებული, რომ “სხვას ენის წიგნი სხვას ენაზედ, თუ არ კაი მცოდინარისაგან, გამოთარგმნა ძნელია: ზოგან წინა უკან უნდა მოიყვანოს, და ზოგან ართრონი⁸⁴ ან მოუმატოს, ან დააკლოს, თვარამ სწორადრე უგემური მოვა”. ე. ი. საბა პრინციპულად უარყოფს ტექსტის პედანტურ სიტყვასიტყვითს თარგმანს, ის მოითხოვს ტექსტის დამუშავებას ენის ბუნების კვალობაზე. ვახტანგის ტექსტს

⁸³ ამას გარდა ქართულად არსებობს “ქილილა და დამანას” კიდევ ორი რედაქცია, რომელთაც ნაკლები მნიშვნელობა აქვთ ქართული მწერლობის ისტორიისათვის. ესენია ონანა მდივნისა და ვინმე მელიგზად ბებუდოვის რედაქციები. ონანა მდივანს სრულიად უცვლელად დაუტოვებია ვახტანგის თარგმანის პროზაული ნაწილი, მას გაუღუგუგავს მხოლოდ თხზულების გაუწყობელი ტექსტი. მელიგზად ბებუდოვს ვითომც გამარტივების მიზნით შეუმოკლებია და თავისებურად გაუმართავს, არსებითად კი დაუმახინჯებია “ქილილა და დამანას” საბასეული რედაქციის ტექსტი.

⁸⁴ ართრონს საბა უწოდებს სიტყვის ნაწილაკს, თავსართს, ბოლოსართსა და მისთანათ.

მლიერ ეტყობა სიტყვასიტყვითი თარგმანის ნაკვალევი. ქართულ ფრაზებს აქ ხშირად უცხოური კონსტრუქციის სახე აქვს. საკუთარი მთარგმნელობით-რედაქტორული პრინციპისდაგვარად საბას ახლებურად გაუმართავს ვახტანგის თარგმანის ტექსტი. რედაქტირებისას მას ხელთ ჰქონია ”ქილილა და დამანას” მარტოოდენ ქართული ვერსია, სპარსული დედნით მას არ უსარგებლია, ის არ ყოფილა შეზღუდული უცხოური მასალით. ტექსტის გამართვის დროს რედაქტორს უმთავრესი ყურადღება მიუქცევია თხზულების ენობრივ-სტილისტიკური მხარისათვის, შინაარსი- როგორც წესი-არ შეუცვლია. თუმცა აქა-იქ მნიშვნელოვანი კორექტივი შეუტანია ტექსტის იდეურ გააზრებაში. კერძოდ, ქართველი მწერლის ქრისტიანულ-სარწმუნოებრივი გრძნობა ვერ შერიგებია “ქაილილა და დამანას” ამკარად მუსლიმანურ აღმსარებლობითს ტენდენციას. “სადაც სჯულის წინააღმდეგ ჩნდა, ცოტა რამ ჩაღხი ვკარო” — შენიშნავს რედაქტორი. ეს იდეურ სარწმუნოებრივი ჩაღხი ქართულ ტექსტს კარგად ემჩნევა. აღსანიშნავია, რომ “ქილილა და დამანას” სპარსულ რედაქციაში უარყოფითად არის დახასიათებული ქალი, განსაკუთრებით დამამცირებელ როლშია ხოლმე გამოყვანილი ხანში შესული მანდილოსანი. ქართული რედაქცია გადაჭრით ებრძვის სპარსულის ამ ტენდენციას და საპირისპირო თვალსაზრისს ავითარებს. საზოგადოდ “ქილილა და დამანას” საბასეულ რედაქციას როგორც იდეურად, ისე ენობრივ-სტილისტურად ნაციონალური ქართული იერი აქვს მიცემული.

საყურადღებოა შემთხვევა, როდესაც სულხან-საბა ორბელიანს მეტად მკაცრი მორალური მსჯავრი გამოუტანია სარედაქციო ტექსტის ეპიზოდიდან. ერთგან მოთხრობილია, რომ ბებერ დედაკაცს ჰყოლია ერთადერთი ავადმყოფი ასული. დედაკაცი თურმე დღე-ყოველ ლოცულობდა, ღმერთს თავის სულს სთავაზობდა შვილის სანაცვლოდ. თითქოს ნატვრა აუსრულდა. ერთხელ მას მოეჩვენა სულთამხუთავის სახე, შეეშინდა, ღრიალი მორთო და უცხო სტუმარს მომაკვდავი ასულის სარეცელზე მიუთითა.

ეს იგავ-არაკი აშიშვლებს ბრმა ეგოიზმის საშინელ გრძნობას. იგავ-არაკისათვის საბას დაურთავს საგანგებო შენიშვნა: “ესრე არს, რა ჭირი კაცსა მიადგების, მაშინ გამოჩნდების პირველი იგი სიყვარული, თუ მას დედასა ვითა უყვარდა (თავისი ასული) და თავს ანაცვლებდა: და რა ჭირი მიადგა, იგივე მისაცემელად გაიმეტა... მ ე ესე მინდა რომე სცნათ: ესეთი კაცი არ არის, რა ჭირი მიადგეს, თავი გასცეს და სხვა, თუ შეიძლოს, სანაცვლოდ თავისის თავისთვის იგი არ გაიმეტოსო”.

ასეთი მწარე და უაღრესად პესიმისტური დასკვნა საბას, როგორც ჩანს, მიაღებინა საკუთარმა გამოცდილებამ და მისდროინდელ უკუღმართ საზოგადოებრივ ცხოვრებაზე დაკვირვებამ. სულხან-საბა ორბელიანი საზოგადოდ არ ყოფილა პესიმისტურად მოაზროვნე მწერალი, მისი “სიბრძნე სიცრუისა” ჯანმრთელი და საზოგადოებისათვის სასარგებლო ადამიანური ცხოვრების წარმტაცი ჰიმნია, მაგრამ “სიბრძნე სიცრუისა” შეთხზულია ავტორის “ქამსა ჭაბუკობისასა”. შემდგომ დრონი იცვალნენ. საბა მოწამე გახდა ქვეყნის დამაბუნებისა, მმართველი საზოგადოებრივი კლასის ზნეობრივად დაცემისა და ათასგვარი უკეთურებისა. ყოველივე ამან საბას გული გაუტეხა. ამ გულგატეხილობის კვალს თავი უჩენია საბას გვიანდელ ნაწარმოებში. “ქილილა და დამანას” საბასეულ რედაქციას აკლია სიცოცხლის მოყვარულობის ის ცხოველმყოფელობა, რაც ასე ახასიათებს “სიბრძნე სიცრუეს”.

სულხან-საბა ორბელიანის ამდროინდელი ლიტერატურული შრომების სტილიც

სხვაგვარია. თუ “სიბრძნე სიცრუისა” დაწერილია სადა, მარტივი სასაუბრო ენით, “ქილილა და დამანა” გამართულია მაღალფარდოვანი, რიტორიკულ-მწიგნობრული, ღვლარქნილი სტილით. ეს კია, “ქილილა და დამანას” სწორედ ამგვარი სტილი შეეფერებოდა. ვახტანგის თარგმანის ენა შედარებით უფრო სადაა და ამდენადვე დაშორებულია დედნის ენამჭყევრობას. საბამ აღუდგინა “ქილილა და დამანას” შესაფერისი ენობრივ-სტილისტიკური ზვიადობა და ბრწყინვალეობა, ამასთან, თხზულებას მისცა ეროვნული ქართული კოლორიტიც. “ქილილა და დამანას” ენაწყლიანი სტილის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ერთ ფრაზას: “თუცა კაცთა საწადლის ფერხნი სატანჯვლის ეკლითა არ დაიწერება, სახმართა ხელითა სატრფიალოსა ვარდსა კრეფად ვერ მისწვდება”.

“ქილილა და დამანა” ძირითადად პროზაული ნაწარმოებია, მაგრამ პროზაულ ტექსტებში ბლომდაა ჩართული ლექსები. ეს ლექსები ჩვეულებრივად პოეტური სხარტულობით აზოგადებს პროზაული ენით გამოთქმულ მოსაზრებებს. ლექსები სპეციფიკურ იერს ამღევეს და ამშვენებს “ქილილა და დამანას” ტექსტს. ამ თხზულების პირველი ქართული ვერსია ვახტანგმა იმიტომ დაიწუნა, რომ მთარგმნელებმა თავი ვერ გაართვეს ტექსტის სწორედ ლექსითს ნაწილს. თავის საკუთარ თარგმანში ვახტანგი დიდი პასუხისმგებლობით მოჰკიდებია ლექსებს. ტექსტები მას უთარგმნია ზუსტად, სიტყვასიტყვით და სტრიქონ-სტრიქონ. ვახტანგს მოუცია ასე ვთქვათ, კეთილსინდისიერად შესრულებული პ ჯ კ ა რ ე დ ი თ ა რ გ მ ა ნ ი. შემდეგ იგი შედგომია პწკარედი ტექსტების ლექსებად გაწყობას, მაგრამ საქმის გასრულება არ დასცლია. როგორც ვიცით, “ქილილა და დამანას” მთელი ტექსტის საბოლოო გაჩაღხვა და ლექსებით გაწყობა ვახტანგმა მიანდო საბას. საბას თავიდან ბოლომდის მთლიანად დაუმუშავებია კრებულის ლექსები იმ ნაწილშიც კი, რომელიც ვახტანგს ჰქონდა გაკეთებული. საბას დაუტოვებია ვახტანგის მხოლოდ რამდენიმე ლექსი (ისიც საკმაოდ შეცვლილი) და თავისი ავტოგრაფული დედნის სათანადო არშიებზე მიუწერია “მეფის თქმულიაო”.

პწკარედის ლექსებად გაწყობისას საბას გამოუჩენია დიდი თავისუფლება. მას ზოგჯერ უცვლელად დაუტოვებია დედნის ტექსტების ტაეპობრივი მოცულობა, ზოგჯერ დაურღვევია ეს მოცულობა, ტაეპების რიცხვი დედანთან შედარებით ხან გაუზრდია, ხან შეუმცირებია. ეს მაინც ფორმალური მომენტია. მთავარი ისაა, რომ საბას დიდი პოეტური ნიჭითა და ტემპერამენტით სრულუყვია საქმე, “ქილილა და დამანას” ტექსტი შეუმკია საუცხოო ლექსებით. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ “ქილილა და დამანას” ქართული ლექსები ღირსეულად უსწორებს თვალს სპარსულ დედანს, ზოგჯერ ქართული სპარსულზე უკეთესიცაა. საბას ლექსები შინაარსობლივ-აზრობრივად მკაფიოა და ფორმით ნატიფი.

ჯერ მოვიყვანთ იმის მაგალითებს, სადაც საბას უცვლელად დაუტოვებია დედნის ტექსტის შინაარსი, რამდენადმე მისი სახეობრივი სისტემაც და ტაეპობრივი შესატყვისობაც (ე. ი. ქართული ტექსტი დედნის სრული ადეკვატური ვარიანტია):

მზეს ამ სიმაღლით
ერთი პატარა ღრუბელი დაფარავს.
(ვახტანგის პწკარედი).
დიდსა, მაღალსა, ნათელსა მზესა
მცირე ღრუბელი შეუცვლის ზნესა.
(საბა).

საილუსტრაციო ნაწყვეტით სულხან-საბა თუმცა სავსებით იცავს დედნის ტაეპობრივ მოცულობას და ძირითადად ტექსტის შინაარსის ფარგლებში რჩება, აღწევს განსაცვიფრებელ მხატვრულ ეფექტს. თუ დედნის მიხედვით, “ერთი პატარა ღრუბელი და ფარავს” მაღლად მყოფ მზეს, საბათი “მცირე ღრუბელი” სრულიად “შეუცვლის ზნეს” დიდსა, მაღალსა, ნათელსა მზესა. ჯერ ერთი, სიტყვების ოსტატური შერჩევითა და დალაგებით, დედნისათვის უცნობი, ახალი და ზუსტი ეპითეტების მოხმობით ქართულში პოეტურად ხაზგასმულია მზის სიდიადე (“დიდსა, მაღალსა, ნათელსა მზესა”), ამასთან მხატვრული ენით დასაბუთებულია, რომ ამ დიდს, მაღალსა და ნათელ მზეს ერთი პატარა ღრუბელიც კი “შეუცვლის ზნესა”, გარდაქმნის მის ძალას. კონტრასტის მომენტი მშვენივრად არის ქართულში დაჭერილი და გაშლილი. საგულისხმოა, რომ კერძობითი ხასიათის ფაქტი სულხან-საბა ორბელიანს პოეტურად განუზოგადებია და შესანიშნავი აფორიზმის სახით ჩამოუყალიბებია (განზოგადებისა და აფორისტულობისაკენ მიდრეკილება სულხან-საბა ორბელიანის ტექსტებს საერთოდ ახასიათებს). ერთი სიტყვით, დედნის ტაეპობრივი შესატყვისობის დაცვითა და შინაარსობლივი მხარის დაუზიანებლად სულხან-საბა ორბელიანს შეუქმნია არსებითად ორიგინალური, საუცხოო პოეტური ნაწყვეტი. “ქილილა და დამანას” საბასეული რედაქციის ამ მშვენიერ აფორიზმს თავისი მხატვრული მიზნებისათვის იყენებდა ილია ჭავჭავაძე. საბა ორბელიანს ძლიერი პოეტური სიტყვით დაუზოგავად უმხელია როსკიპი დედაკაცივით უზნეო და მიუნდობელი წუთისოფელი:

ურცხვია ესე სოფელი, ვითა როსკიპი დედანი:
ყოველსა ქმარსა მის გამო ეწოდებოდა მცვედანი;
ბაგე მიუპყრის შაქრისა, სასხვისოდ შესკვნის მკვედანი,
მისი ტრფიალი არ დარჩა, არ გაუმრუდდა ბედანი!

აქ აღებულია დედნის მხოლოდ მოტივი, სხვა მხრივ ტექსტი თავისუფლად არის გააზრებული. მოყვანილ შაირთან შედარებით უსახურია მისი პწკარედი დედანი:

უსირცხვილო დედაკაცია ეს სოფელი,
რომ მიდღეში არამ ქმარმა მისგან მოსავალი ვერა სჭამა;
ვინც მისის ტახტის საფეხურზე ფეხი დასდგა,
როდის იქნა, რომ მისი ხელისაგან ხმალი თავზე არ დაესო?

სულხან-საბა ორბელიანი თუ ზოგჯერ იცავს დედნის მიმართ ფორმალურ ტაეპობრივ შესატყვისობას, სამაგიეროდ შინაარსობლივად და აზრობრივად ტექსტს აძლევს სხვაგვარ ხასიათს, ახალი სიცოცხლის ძალას უნერგავს მას, მსჭვალავს ახალი პოეტური სულით. სანიმუშოდ მოვიყვანთ ორ მაგალითს:

მორეგია ერთი ზღვასავითა,
ერთი ზღვა არის რომ უთავბოლო.
(პწკარედი).
მორევი იგი ზღვათა ჰგავს მართოდენ სივრცე-სიგრძისა,
თევზთა სიმრავლე მსუქანნი, ნაწოვნთა გვანან თხის რძისა.
(ს ა ბ ა).

სიტყვის მცოდნე გაფიქრვით იტყვის სიტყვას,
რა უფიქროდ ითქმის სიტყვა, უთაო არი.
(პწკარედი).

სიტყვისა მთქმელი სიტყვას სჩხრევს, სიტყვას ძალი აქვს თუ რისა,
გაუსინჯავსა სიტყვასა ჩხავილი სჯობან ტურისა!
(ს ა ბ ა).

უკომენტაროდაც ცხადია, რომ ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს სულხან-საბა ორბელიანის დამოუკიდებელი შთანაფიქრის ნაყოფთან. ორივე შემთხვევაში გამლექსავს აუმოქმედებია თავისი ლალი შემოქმედებითი ფანტაზია. მეორე ლექსის მეორე ტაეპი აფორისტულია.

მრავალზე მრავალ შემთხვევაში სულხან-საბა ორბელიანი არღვევს (ავრცელებს ან ამცირებს) დედნის ლექსების ტაეპობრივ შესატყვისობას და შესაფერისადვე ათავისებურებს ტექსტის შინაარსსა და მხატვრულ აქსესუარს.

ვახტანგის თარგმანით გვაქვს ორტაეპოვანი პწკარედი:

ვინც ღრუბელსავით რომ სტირის,
ყოველთვის უსწოროს ამხანაგისაგან არის.

ორტაეპოვანი პწკარედის ტექსტი საბას განუვრცია ოთხტაეპოვანი შაირის ლექსად, შინაარსობლივად გადაუსხვავერებია, შემოუტანია ახალი მოტივი (ენით დაკოდვად), მასალა თავისებურად გაუაზრებია და ბოლოს ერთი მოხდენილი აფორიზმიც გამოუკვეთია. დედნისაგან განსხვავებით საბას ლექსის პათოსია ენით დაკოდდილობის სიმწარისა და უკურნელობის ხაზგასმა (ეს მოტივი “ქილილა და დამანაში” სხვაგანაც გვხვდება). ენით დაკოდდილობის სიმწარის აღნიშვნა შემთხვევითი არ არის. პირად ცხოვრებაში საბამ ბევრჯერ იწვნია მისი შხამი. ამიტომაც უსვამს მწერალი ამ გარემოებას ხაზს ასე დაბეჯითებით:

კაცსა ღრუბლურად მტირალსა, ზედი-ზედ ცრემლ-მდინარესა,
მუხთლის მოყვისითა სტკივიან, უცია გულის არესა;
თუ ენით დაჰკოდს, ვით ჰკურნებს, ქვიშას ადებდეს გარესა!

ენ ა ა ლ უ გ ი მ ა ხ ვ ი ლ ი , ს ჯ ო ბ ს ბ ა ს რ ს ა
გ ა მ კ ვ ე თ ა რ ე ს ა .

ერთ-ერთი იგავ-არაკის სიუჟეტის განვითარებასთან დაკავშირებით “ქილილა და დამანაში” შეგონების წესით აღნიშნულია:

ნაღველი, კვნესა და ჭირი ნუმცა გაქვს,
რომ გულის მომსვენებელი და სულის მოსაწყინარის ნაღვლის
მომშორებელი ხარ.

(პწკარედი).

ეს ტექსტი საბას გაუწყვია მშვენიერი შაირის სახით:

მოწყენა, სულთქმა, ნაღველი ოდენ ნუმცა გაქვს, ურვანი,
რად დაღრეჯილხარ, რა გიმძიმს, სენი შვიდი გჭირს, თუ რვანი?

შენით ხარობენ იგიცა, ვის აქვან ცრემლში ცურვანი,
შენ შეგნატრიან ყოველნი, არსად მასმია მდურვანი!

ტაეპობრივი შესატყვისობის დარღვევისა და ტექსტის გავრცობის კიდევ ერთი საგულისხმო მაგალითი. “ქილილა და დამანას” ერთ-ერთი პერსონაჟი თავის ქალაქს ტოვებს და სამგზავროდ მიდის, გამგზავრების წინ ის მელანქოლიურად ამბობს:

ჩემის ქალაქისაგან მომწყენია და მგზავრობის ნდომა მაქვს,
შენი ნაღვლის მეტი, არ ვიცი, რა სარგებელი წავიღო.
(პწკარედი).

მოგშორდი, სამკვიდრებელო, ვირჩიე მგზავრთა რიგია,
ვეღარ დავდგები, წაცავალ... სად მივალ, ვერ გამიგია;
ჭმუნვანი ნუზლად შემიკრავს, ურვა საგებლად მიგია,
სულთქმის მახვილსა ლესულსა, გლახ, გული ზედ ამიგია.
(საბა).

მგზავრობის მიზეზად დედანი ასახელებს უბრალო მოწყენილობას. საბას განზე დაუტოვებია ეს შაბლონური მოტივი, საკითხი კონკრეტულ ნიადაგზე გადაუტანია. ამასთან ზოგადი ქალაქი შეუცვლია სამკვიდრებელით (სამკვიდრებელი ნიშნავს სამშობლოს). უკვე სიტყვათა ამგარი შენაცვლებით შექმნილია ეფექტური სიტუაცია. სამკვიდროს დატოვება და უცხოეთში გამგზავრება გამოუწვევია არა უბრალო მოწყენილობას, არამედ რაღაც მძიმე იძულებითს გარემოებას, რაც თავის მხრივ მძაფრი კაეშნის წყარო გამხდარა. უცხოეთისაკენ მიმავალ მგზავრს სამშობლოდან ნუზლად ჭმუნვანი, ხოლო საგებლად — ურვანი წაუღია. მას აფორიაქებული ჰქონია სული და გრძნობა, ისიც კი არ სცოდნია, თუ სად მიდიოდა, რა გზას უნდა დადგომოდა, სად უნდა მოეძებნა ნავთსაყუდარი. უბედურ მგზავრს ისღა დარჩენოდა, რომ სულთქმის წამახულ მახვილზე წამოეგო საკუთარი გული...

აშარაა, რომ სულხან-საბა ორბელიანს ძირიან-ფესვიანად გარდაუქმნია დედნის შინაარსიცა და გააზრებაც, თავის ლექსში ქართველ მწერალს ორიგინალურად ჩაუქსოვია სამშობლოს ღრმა სიყვარულის სპეტაკი გრძნობა. ყურადღებას იქცევს ამ იშვიათი პოეტური ნაწყვეტის უშუალო ლირიზმი. ყველაფრიდან ჩანს, რომ სულხან-საბამ საკუთარი მჭმუნვარება, საკუთარი გულისტკივილი გაგვანდო. სამშობლოდან გარდახვეწილი მგზავრი თვითონ სულხან-საბა ორბელიანია. სამშობლოს უანგაროდ სამსახურისათვის მან ბევრჯერ ატარა ჭმუნვის საგზალი და ურვის საგებელი. საბას ბევრი ნაღველიც უსვამს და ოხვრის მახვილითაც ხშირად გაუგმირავს თავისი კეთილშობილური გული.

დასასრულ, უნდა მოვიყვანოთ ერთი, შედარებით მოზრდილი პარალელური ტექსტი. ამ ტექსტს დამოუკიდებელი ნაწყვეტის ხასიათი აქვს და შინაარსის მიხედვით შეიძლება პირობითად შევარქვათ მას ქალი. ტექსტი ნათარგმნია ჩვეულებისამებრ ვახტანგის სიტყვასიტყვითი სიზუსტით. სულხან-საბა ორბელიანმა კი ამ ნაწყვეტის დამუშავებით ცხადყო დიდი პოეტური ნოვატორობა და სამაგალითო შემოქმედებითი ნიჭი:

კარგი დედაკაცი, სიტყვის გამგონი და კარგგუნება
ღარიბ კაცს გაამდიდრებს.
თუცა დღედაღამე ნაღველსა სჭამ, ნაღველს ნუ სჭამ,

რადგან ნაღვლის მაქარვებელი ღამით უბეს გაკრავს.
თუცა კარგულია და კარგენა,
მის სილამაზესა და ავთვალადობას ნუ ეძებ.
ქალი ავგული თუ გინდა კეკლუცი იყოს,
როდის ექნება გულში ადგილი?
ყაზის საპყრობილეში გაბმა სჯობს იმას,
რომ სახლში მისი წარბის ნასკვი ნახო.
ფეხშიშველობა სჯობს ვიწროს მაშინაც,
და მგზავრობაში ბრძოლა სჯობს სახლში შუღლს.
სიმხიარულის კარი იმ სახლისა დაკლიტე,
რომ ქალის მაღალი ხმა გარეთ გამოვიდეს.
უცხოსაგან ქალის თვალი ბრმა ხამს,
თუ სახლიდამ გამოვიდეს, საფლავში ჩავიდეს.
(ვახტანგის პწკარედი).

კარგ ქალს ვინ ღირსა, მოარჩენს ჭირსა,
ზრუნვას მოილხენს, ვინ უჭვრეტს პირსა.
ნუმცა შეხვდები ანჩხლსა და ძვირსა;
ჰქვიან მას უგლიმი, გლისპი, სარცხვინელია!

ავგულნი ქალნი — სახმილის აღნი,
რაგინდ ჰშვენოდენ როგორცა ლალნი,
მაშინც არ ვარგან, ვითა კლდე სალნი:
ჰქვიან მას უგლიმი, გლისპი, სარცხვინელია!

ურცხვია დიდად, ქმარს გახდის ფლიდად,
ზედ სვლას დაიწყებს, გაიდებს ხიდად,
არად შეირცხვენს შვილის გასყიდად;
ჰქვიან მას უგლიმი, გლისპი, სარცხვინელია!

თვისსა ნაქმარსა აბრალებს ქმარსა,
დღე-ყოველ თვალში აწურებს ძმარსა;
მალ-მალ აგინებს: ”ვა, შენს ამარსა”!
ჰქვიან მას უგლიმი, გლისპი, სარცხვინელია!

ქმარს ზედა სხენან, დეზითა სჩხვლენან,
ხელტართა ასთვენ და ჩქარად ვლენან,
ზედ დაჰყვედრიან: “რად ასრე ჰქენან?”
ჰქვიან მას უგლიმი, გლისპი, სარცხვინელია!
(საბა)

მოყვანილ პარალელურ ტექსტებს ძალიან ცოტა აქვს საერთო. ვახტანგისა და საბას ტექსტები ერთმანეთთან დაკავშირებულია მხოლოდ საერთო შინაარსობლივი სქემით: ზნეფაქიზი ქალი ქმრისა და ოჯახის ნუგეშია, მაგრამ ვაი, ავ ქალთან კავშირსო! ლექსის შინაარსობლივი სქემაც კი საბას ძლიერ თავისებურად დაუმუშავებია და თავისებურადვე გაუაზრებია. მას მთლიანად განუდევნია

ტექსტიდან მუსლიმანური ტენდენციით აღბეჭდილი ადგილები, მორიდებია შიშველ დიდაქტიკას, გამოუტოვებია ზოტი სენტენცია-აფორიზმი, ტექსტში შეუტანია ახალი თემატიკური ელემენტები, საკითხი განუზოგადებია და ყურადღება გაუმახვილებია უგლიმი და გლისპი ქალის ჭირვეულ ბუნებაზე. ერთი სიტყვით, შინაარსის მხრივ სულხან-საბა ორბელიანის ქალი ორიგინალურად მოფიქრებული და ორიგინალურად გააზრებული პოეტური ნაწარმოებია. საგანგებო ინტერესს იწვევს ქალის სალექსო ფორმა.

ქალის სტროფების პირველი სამი ტაეპი ათმარცვლოვანია, მეოთხე — ცამეტმარცვლოვანი. ტაეპების განსხვავებული მეტრული წყობა ბუნებრივად იწვევს განსხვავებულ რიტმსა და რითმას. მეტრული ნაირობითა და რიტმული ვარიაციებით შექმნილია არაჩვეულებრივი ჟღერადობა. სულხან-საბა ორბელიანს შეგნებულად დაუშვია რიტმული დისჰარმონია, რაც გამხდარა წყარო მუსიკალური ჰარმონიისა.

ფართოდ არის გამოყენებული აქ პარალელიზმის ხერხი. მთელი ლექსი აგებულია სტროფული პარალელიზმის პრინციპზე. პირველი სტროფის ბოლო ტაეპი, რომელიც მეტრულად განსხვავდება წინა ტაეპებიდან, რეფრენად მოუდის ყველა დანარჩენ სტროფს (ამ მხრივ ქალი უახლოვდება მუხამბაზური ტიპის ლექსს). ტაეპები პარალელიზმის კვალობაზეა გაწყობილი შინაარსობლივადაც და ფრაზეოლოგიურადაც. სტროფის პირველი ორი ტაეპი იძლევა ერთ შინაარსობლივ კომპლექსს, მეორე შინაარსობლივ კომპლექსს ქმნის სტროფის მეორე ნახევარი (მესამე და მეოთხე ტაეპები). ლექსის შინაარსი თანმიმდევრულად ვითარდება ერთიანი გეგმით. ლექსის ყოველი სტროფის პირველ ტაეპს ამკობს შინაგანი რითმა, მეორე და მესამე ტაეპებს კი აქვთ მხოლოდ გარეგნული რითმები. მეოთხე ტაეპი, როგორც ვთქვით, რეფრენს წარმოადგენს.

ასეთი რთული და ამასთანავე ზუსტად მოწესრიგებულია საანალიზო ლექსის ფორმა. ამ ლექსით სულხან-საბა ორბელიანმა ახალი ფურცელი ჩაწერა ქართული ლექსთწყობის ისტორიაში.

ქალის მეტრი და კომპოზიცია პრინციპულად განსხვავდება ძველ-ქართული სავერსიფიკაციო ნორმებისაგან. ესაა პირველი მაგალითი ძველი ქართული პოეზიის ისტორიაში არქაული პოეტური სალექსო ნორმების სრული დეფორმაციისა. ამავე დროს პირველი შემთხვევაა ვერსიფიკაციული ნოვატორობისა ძველ ქართულ პოეზიაში კლასიკური პერიოდის შემდეგ.

სულხან-საბა ორბელიანს “ქილილა და დამანაში” გამოყენებული აქვს კიდევ ზოგიერთი სხვა ახალი სალექსო ფორმა, როგორცაა მრჩობლელი, წყობილი, შეწყობილი, რვული. აქ ხშირია ძველ-ქართული ტრადიციული საზომებიც (შაირი, ჩახრუხაული, ფისტიკაური, მაგნაკორული, იამბიკო). ძველ საზომებში შეტანილია გარკვეული სიახლე. აშკარა ხდება, რომ სულხან-საბა ორბელიანი ყოფილა დიდად დახელოვნებული პოეტი-მოაზროვნე. მას მაღალ პოეტურ დონეზე გაუმართავს “ქილილა და დამანას” როგორც პროზა, ისე წყობილი ნაწილი. სულხან-საბა ორბელიანი ოდნავადაც არ მიჰყოლია დედნის ტექსტს ფორმალური სიახლოვის ნიშნით, დახვეწილი პოეტური ალღოს წყალობით მას ბევრჯერ დაურღვევია დედნის ტექსტის ტაეპობრივი შესატყვისობაც და შინაარსობლივ-აზრობრივი მხარეც. “ქილილა და დამანას” მთელი ტექსტი სულხან-საბა ორბელიანს გაუწყვია არა სპარსული რიგით (რაზედაც მას სპეციალური მითითება ჰქონდა), არამედ ქართული ლექსის ბუნების მიხედვით.

სულხან-საბა ორბელიანი ნოვატორი პოეტია. ფრიად საგულისხმოა სულხან-საბა ორბელიანის მიერ “ქილილა და დამანას” გაწყობაზე გაწეული შრომის შეფასება პირველი ქართული ნორმატიკული პოეტიკის ავტორის მამუკა ბარათაშვილის მხრივ. მამუკა ამბობს: “სულხან-საბა ორბელიანმა ქილილა და (და)-მანა გალექსა. თუმცა რუსთვლის ნათქვამი არ არის, მაგრამ ნაკლებად სათქმელიც არ არი. იმაში ბევრი ხმა მოუყვანია, ამისთვის რომ სპარსულში მრავალ ხმათ იყო და რამთონ ხმათაც, რამდონ სტრიქონად იმაში იყო, ისეთ ქვაცა”⁸⁵.

მამუკა ბარათაშვილი აღტაცებით აფასებს სულხან-საბა ორბელიანის ღვაწლს, სულხან-საბას იგი თითქმის რუსთველს უტოლებს (“თუმცა რუსთვლის ნათქვამი არ არი, მაგრამ ნაკლებად სათქმელიც არ არიო”), მაგრამ სისწორით მაინც ვერ აღნიშნავს დიდი ქართველი მეიგავის მუშაობის ხასიათს “ქილილა და დამანას” ტექსტზე და შესაფერისადაც ვერ ითვალისწინებს მის ღვაწლს ქართული პოეზიის ისტორიაში.

მამუკა ბარათაშვილს ჰგონია, თითქოს სულხან-საბა ორბელიანმა “ქილილა და დამანას” ლექსების ხმა შეუწყო სპარსული დედნის ხმას (ე. ი. ტექსტი გააწყო “სპარსული რიგის” მიხედვით) და თითქოს სტრიქონ-სტრიქონ მიჰყვა სპარსულ ლექსებს). ნამდვილად კი, სულხან-საბა ორბელიანს “ქილილა და დამანას” პწკარედი სრულიადაც არ გაუღექსავს სიტყვასიტყვით და სტრიქონ-სტრიქონ, მით უმეტეს მისთვის ამოსავალი არ ყოფილა სპარსული ლექსის ხმა, სპარსული ლექსის რიგი.

მამუკა ბარათაშვილის მოწმობა მაინც მრავალმხრივ არის საინტერესო. მამუკა თვითონ იყო ქართული ლექსთწყობის ისტორიაში დამსახურებული ნოვატორი, ბოლო დრომდის იგი ითვლებოდა პირველ მოამაგედ ქართული ლექსთწყობის რეფორმის საქმეში. არსებითად კი მამუკა ბარათაშვილი აგრძელებს სულხან-საბა ორბელიანის გზას. ქართული ლექსის “ხმების” გადახალისების მხრივ მამუკა ბარათაშვილი არის სულხან-საბა ორბელიანის ბეჯითი მიმდევარი. თავის “ჭაშნიკში” მამუკას შეტანილი აქვს სარეკომენდაციოდ “ქილილა და დამანას” საბასეული ლექსების ყველა ნიმუში⁸⁶. პირადად მასაც ამ ნიმუშების მიხედვით შეუთხზავს საკუთარი ლექსები, კერძოდ ლექსი “უცხო”, სულხან-საბა ორბელიანის “ქალის” კვალობაზე. საბას ლექსსაც მამუკა უწოდებს უცხო ს, როგორც ახალს, ორიგინალურს, სამაგალითოს.

სულხან-საბა ორბელიანის სავერსიფიკაციო ნოვატორობის ისტორიული მნიშვნელობის დასაფასებლად მხედველობაში უნდა ვიქონიოთ აკაკი წერეთლის შენიშვნები.

მონური მიბაძვა რუსთველისა, მისი ყოვლისმომცველი და წამლევავი ზეგავლენა მართლაც სახიფათო ხდებოდა ქართული პოეზიის წინსვლისა და განვითარების თვალსაზრისით. საჭირო იყო დიდი პოეტური შემართება, და ამის შესაფერისი შემოქმედებითი ნიჭი რუსთველური პოეტური ნორმებისაგან გადასახვევად და საკუთარ ნიადაგზე დასადგომად. იდეებისა და შინაარსის სფეროში ეს შეასრულა არჩილმა. მაგრამ არჩილს არ ეყო პოეტური ძალა, რომ ახალი იდეები და შინაარსი მისთვის შესაფერი ახალი ფორმით გამოეხატა ამ ისტორიული როლის შესრულება წილად ხვდა ვახტანგ მეექვსის წრის მოღვაწეებს, პირველ რიგში

⁸⁵ გ. მ ი ქ ა ძ ე, მამუკა ბარათაშვილის “ლექსის სწავლის წიგნი”, თბილისი, 1950, გვ. 137.

⁸⁶ სულხან-საბა ორბელიანის ნიმუშები ბლომად აქვს მოყვანილი იოანე ბატონიშვილსაც “კალმასობის” იმ ნაწილში, რომელსაც ეწოდება “პოეზიისა და მოლექსეობისათვის” (კალმასობა, I, კ. კველიძისა და ალ. ბარამიძის რედაქციით, თბილისი, 1936, გვ. 272 – 282).

სულხან-საბა ორბელიანს. სულხან-საბა ორბელიანმა “პირველმა შეანგრია ქართული ლექსის ძველი ნორმების ციხე-სიმაგრე”. სულხან-საბა ორბელიანი ქართული ლექსის დამსახურებული რეფორმაზატორი. სულხან-საბა ორბელიანის გზას მიჰყვნენ თვითონ ვახტანგი, მამუკა ბარათაშვილი და დავით გურამიშვილი. ვახტანგი საპატიო ადგილს უთმობს სულხან-საბა ორბელიანს ქართულ პოეზიაში რუსთველის, ჩახრუხადისა და არჩილის გვერდით:

რუსთელისა ლექსი მეფეა ტახტზედ გვირგვინით მჯდომელი,
კვლავ ჩახრუხადე აგრევე სხვსა რიგისა მდომელი,
მეფის არჩილის სარჯელი სწავლაა დაუცხრომელი,
საბა თავადი მჯდომელი, მამუკა ბოლოს მდგომელი⁸⁷.

მართლაც, დიდია სულხან-საბა ორბელიანის ისტორიული როლი ქართული პოეზიის განვითარებაში. აღსანიშნავია, რომ სარწმუნოებრივ-კონფესიურ ნიადაგზე საბას მოძულე ანტონ კათალიკოსი, რომელიც საგანგებოდ აცხადებს “საბას არ ვაქებო”, მაინც დიდი ქებით ამკობს მის “პიიტიკას”. ანტონი ამბობს: “შაირნი მისნი საქებელობენ, შაირთა ვაქებ... უცხო არს იგი საქებელ პიიტიკა, რაცა სოფლით ტამოთქვა სულხან-საბა”⁸⁸. იოანე ბატონიშვილის დახასიათებითაც, სულხან-საბა ორბელიანი იყო “უცხო პიიტიკოსი და ქებული, ძველთა მოშაირეთა შესადარი”⁸⁹.

სულხან-საბა ორბელთანის, როგორც პოეტის, დიდი დამფასებელი იყო ილია ჭავჭავაძე. სულხან-საბას ლექსებს კეთილი ზემოქმედება მოუხდენია ილიას შემოქმედებაზეც.

ვახტანგ VI

გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე, სწავლული და პოეტი ვახტანგ ლევანის ძე ბაგრატიონი დაიბადა 1675 წელს. ამ დროს შინაურ და გარეშე მტერთა გამოსობით ქვეყანა მშვიდობიანობას იყო მოკლებული. მიუხედავად ამისა, ვახტანგმა კარგი განათლება მიიღო, ზედმიწევნით დაეუფლა ქართულ და სპარსულ ენებს, საფუძვლიანად შეისწავლა სასულიერო და საერო მწერლობა და თანამედროვეთა ქებაც დაიმსახურა: მას “ზრბენს”, “ღრმად მცოდინარესა” და “ცოდნის მოყვარეს” ეძახდნენ.

კულტურული გარემოცვის გარდა, ვახტანგის განათლებას ხელი შეუწყო იმანაც, რომ მისი აღზრდა ცნობილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწე სულხან-საბა ორბელიანის უშუალო მეთვალყურეობათა და ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა.

1703 წ. შაჰმა ჰუსეინმა ვახტანგის ბიძა გიორგი XI ქართლის მეფედ დანიშნა და ირანის სპასალარობა უბოძა. ქართლის გამაგებლად გიორგიმ თავისი ძმა ლევანი გამოგზავნა, მაგრამ იგი მალე ისევ სპარსეთში გაიწვიეს .და ქართლის გამგებლად 1704წლის დამლევს ვახტანგი დაინიშნა.

1709 წ. დალატით მოჰკლეს გიორგი XI სულ მალე გარდაიცვალა ლევანიც. შაჰმა ქართლის მეფედ დანიშნა და ირანის სპასალარობა უბოძა ვახტანგის ძმას ქაიხოსროს (1709 - 1711). ქაიხოსროც შაჰის კარზე მოღვაწეობდა. ამიტომ ქართლის გამგებლად

⁸⁷ სიბრძნე მაღალბეელი (ვახტანგ VI, ლექსები და პოემები, აღ. ბარამიდის რედაქციითა და შენიშვნებით, თბილისი, 1947, სტროფი 812).

⁸⁸ წყობილსიტყვაობა, პ. იოსელიანის გამოცემა, თბილისი, 1853, გვ. 287 - 288.

⁸⁹ კალმასობა, II, კ. კეკელიძისა და აღ. ბარამიდის რედაქციით, თბილისი, 1948, გვ. 188.

ისევ ვახტანგი დარჩა.

გამგებლობის დროს, 1704 - 1712 წლებში, სამეურნეო და პოლიტიკურ საქმიანობას ვახტანგი კარგად უთავსებდა კულტურულ-ლიტერატურულსა და სამეცნიერო მუშაობას. იგი შეეცადა ქვეყნის ხელახლა აღორძინებას, .რისთვისაც დასჭირდა მთელი რიგი სახელმწიფოებრივი ღონისძიებების გატარება. ასე, მაგალითად, ვახტანგმა ბრძოლა დაუწყო ლეკიანობას, დაასახლა “ძველთაგან აოხრებული” ადგილები, “მოშალა ტყვის სყიდვა... აღამაღლნა ქართველნი, აღაშენა მრავალნი დაბნები”, ააგო გზები და ხიდები, მთელ რიგ ადგილებში გაიყვანა სარწყავი არხები, აღადგინა და განაახლა ძველი ტაძრები, სამეფო კართან შექმნა დაქირავებული ჯარი, ანუ “როქის სპა”, შემოიმტკიცა ეკლესია თავისი ძმის დომენტის ქართლის კათალიკოსად არჩევით.

რადიკალურ ღონისძიებებს .მიმართა ვახტანგმა კულტურული საქმიანობის გასაჩაღებლად. საქართველოს ისტორიის საკიხების დასამუშავებლად მან შეადგინა “სწავლულ კაცთა” კომისია და მასთან ერთად შეიმუშავა “ქართლის ცხოვრების” ახალი რედაქცია. სახელმწიფო კანონმდებლობის მოწესრიგების მიზნით ვახტანგმა შეკრიბა ქართული და ბერძნულ-სომხური საკანონმდებლო კოდექსები, ერთმანეთს შეაჯერა და მეცნიერულად დაამუშავა, რის შედეგადაც შეადგინა სამართლის წიგნი, ცნობილი “ვახტანგის კანონების” სახელწოდებით, რომელიც დიდხანს მოქმედებდა მთელ საქართველოში; სახელმწიფო ადმინისტრაციულს.ამეურნეო წყობილების განსასაზღვრავად და მოხელეთა ფუნქციების გასარკვევად მანვე დაწერა “დასტურლამალი”; 1709 წელს თბილისში გახსნა ქართული სტამბა, რომელშიც დაიბეჭდა არა ერთი საყურადღებო წიგნი, მათ შორის “ვეფხისტყაოსნის” პირველი გამოცემა, რომელსაც დართული ჰქონდა მისივე კომენტარები.

ვახტანგის დავალებითა და ხშირად მისივე უშუალო მონაწილეობით დაიწერა და ითარგმნა მთელი რიგი ისეთი მხატვრულ-მეცნიერული თხზულებანი, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული ლიტურასა და მეცნიერების აღორძინებისთვის. მაგ., ჯანთშინობის დროს არის გადმოთარგმნილი სპარსული ენიდან “ზარამგულანდამიანი” და “ზახთიარ-ნამე”, “ამირნასარიანისა” და “ქილილა და დამანასა ნაწილობრივი თარგმანები და .სხვ. ამავე დროს ვახტანგმა ჩვენს ლიტერატურას შემატა თავისი ლირიკული ლექსები.

დიდხანს არ დასცალდა ვახტანგს ფართოდ გაეშალა თავისი მრავალმხრივი და ნაყოფიერი მუშაობა. ცხრა წელიწადი განაგებდა იგი ქართლს, მაგრამ ეს მოკლე დროც მეტად შანაარსიანი აღმოჩნდა მის მოღვაწეობაში. ვახტანგის მიერ გატარებულ სახელმწიფო ღონისძიებათა შედეგად ქართლი განმტკიცდა ეკონომიურად და პოლიტიკურად. შაჰს არ მოსწონდა ვახტანგის აქტიური განმაახლებელი საქმიანობა. ამასთან, ქართლში თანდათან იზრდებოდა დაუსრულებელი ბრძოლების გამო სპარსეთის შორეულ პროვინციებში ქართველთა დაღუპვით გამოწვეული უკმაყოფილება. ყოველივე ეს კი აშინებდა ირანს მბრძანებელს. შექმნილი მდგრადობის გამო ცბიერმა შაჰმა 1712 წ. ვახტანგი ისპაჰანში გაიწვია. მას თან ახლდა მისი აღმზრდელი სულხან-საბა ორბელიანიც.

ირანის მბრძანებელმა ვახტანგს გამაჰმადიანება მოსთხოვა და სამაგიეროდ აღუთქვა ქართლის მეფობა. ვახტანგმა არ შეასრულა შაჰის წინადადება, შეთავაზებულ პატივზეც უარი განაცხადა. ვახტანგის საქციელით გამძვინვარებულმა შაჰმა სასტიკ რეპრესიებს მიმართა. გჭირვებაში მყოფმა ვახტანგმა კი სულხანი სასწრაფოდ ქართლში გამოაბრუნა, რათა აქედან დახმარების საძებნელად

საიდუმლოდ ევროპაში გამგზავრებულიყო. როგორც ვიცით, საბას დიპლომატიური მისია უშედეგო აღმოჩნდა.

ორი წლის განმავლობაში ცხოვრობდა ვახტანგი ირანის სატახტო ქალაქში, შემდეგ კი, 1714 წ. ქირმანში გადასახლეს. ქირმანში ვახტანგი იმყოფებოდა როგორც ტყვე, იგი არა ერთხელ აღნიშნავს: “ღამესა ვარ უნათლოსა, მივემსგავსე მე მას წოსა”, “აღსა ვზივარ ცეცხლისასა, სანამ გაქრეს, უნდა მწოსა”, “ჩემნო გულის შემტკივარნო, იწუხეთ და ჩემთვის ახეთ”.

ამ დროს ქართლს განაგებდა ვახტანგის გამაჰმადიანებული ძმა იესე, რომელმაც სახელმწიფო საქმეებს თავი ვერ გაართვა და ქვეყანა დაღუპვამდე მიიყვანა. შაჰი გამოსავალს ეძებდა. ვახტანგიც ბოლრს იძულებული გახდა (1716 წ) ფორმალურად, ელიარებინა მაჰმადიანობა. სამაგიეროდ მას უბოძეს ქართლის სამეფო ტახტი და ირანის სპასალარობა. მართალია, ირანის მზრძანებელმა ვახტანგი ქართლის შეფედ დთნიშნა, მაგრამ, როგორც ირანის სპასალარს, მას ევალებოდა შაჰის კარზე ყოფნა. ქართლის გამგებლობა კი ვახტანგის დაბრუნებამდე დაეკისრა მის შვილს ბაქარს.

ტყვეობაშიც ვერ ისვენებდა ქართული მწერლობის ეს დიდი მოამაგე. აქ მან ხელახლა გააჩლა ლიტერატურული საქმიანობა და ქართულად გადმოიღო არა ერთი სამეცნიერო თუ მხატვრული ძეგლი. ამ ლიტერატურული საქმიანობით იქარვებდა ნაღველს სპარსეთში დატყვევებული მეფე-პოეტი, რომელიც “ჭილილა და დამანას” წინპსიტყვაობაში გულდასევდიანებული გვატყობინებს: “სხვა საქმე არა მქონდა რა, ამის შექცევას გამოვეკიდე... თუცა დამეკლოს რამე, ნუ დამგმობთ, ჩემი ჭირი ქვას ჰქონებოდა, დადნებოდა; ჩემი ფიქრი და ნაღველი ზღვის ალაგს აავსებდაო”. ირანში ყოფნისას უნდა ეთარგმნა ვახტანგს სპარსული “აიათი”, რომელსაც ქართულად “ქმნულების ცოდნის წიგნი” ეწოდება (დაიბეჭდა თბილისში 1721 წ.). ამავე დროს არის გადმოთარგმნილი ხოჯა ნასირ თუსელის “თალა მასალა” ანუ “სტროლაბის სასწავლებელი წიგნი”⁹⁰, “ჰიდაათ ილ-ნუჯუმი”⁹¹ და ულუღ-ბეგის ვრცელი ასტრონომიული ნაშრომი “ზიჯი” რომელსაც ლექსიკონიც დაურთო⁹². ტყვეობაშივე თარგმნა ვახტანგმა “ქილილა და დამანა” და დაწერა რამდენიმე მაღალმხატვრული ლირიკული ლექსი.

სამშობლოში ვახტანგი მხოლოდ 1719 წ. დაბრუნდა. იგი მაშინვე შეუდგა მისთვის ჩვეულ ენერგიულ მუშაობას. ვახტანგს მხარში ამოუდგა მისი აღმზრდელი სულხან-საბა ორბელიანი. ქართლის ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული აღორძინებისთვის ვახტანგს უნდოდა განეხორციელებინა მთელი რიგი ღონისძიებები. ამ გრანდიოზული სამუშაოების საბოლოო მიზანს შეადგენდა დაქსაქსული საქართველოს გაერთიანება და თურქ-ირანელ დამპყრობელთაგან ქვეყნის განთავისუფლება, მაგრამ ამის შესრულება ვახტანგს აღარ დასცალდა შექმნილი პოლიტიკური ვითარების გამო.

ამ დროისთვის თურქეთის პოლიტიკური გავლენა საკმაოდ შერყეული იყო. უკეთესად არც ირანს ჰქონდა საქმე. შინაგან ამბოხებათა შედეგად იქ მიმდინარეობდა სწრაფი დაშლა-დაქუცმაცების პროცესი. ირანში ნამყოფი ვახტანგი კარგად ხედავდა, რომ ახლოვდებოდა ირანელთა ბატონობისგან განთავისუფლების ჟამი, მაგრამ ანგარიში უნდა გასწეოდა იმასაც, რომ დასუსტებული და დაქუცმაცებული ქვეყანა

⁹⁰ А. Цагареишвили, Сведения, I, XL – XLI, შენ.

⁹¹ გ. მარი და კ. დონდუა, სპარსულ-ქართული ცდანი, I, ლენინგრადი, 1926.

⁹² გ. მარი, ულუღ-ბეგის “ზიჯის” ვახტანგისეული თარგმანი სპარსულ-ქართული ლექსიკონით, სპარსულ-ქართული ცდანი, I.

ვერ შესძლებდა მასთან შედარებით ჯერ კიდევ ძლიერი სახელმწიფოების წინააღმდეგ გალაშქრებას. ამიტომ მათთან საბრძოლველად საჭირო იყო მოკავშირის გამოძებნა. ამ საქმის გადაწყვეტა ასეთ რთულ პოლიტიკურ სიტუაციაში ადვილი არ იყო. რაც შეეხებოდა რუსეთს, XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა ერთგვარად შენელებული იყო, რადგან ამ დროს რუსეთი ზრუნავდა ბალტიისპირეთის შემოერთებაზე და აღმოსავლეთის საკითხი ამჯერად მას არ აინტერესებდა.

ირანში შექმნილი მდგომარეობით გათამაშებულმა თურქეთმა უკვე აშკარად დაიწყო სამზადისი ამიერკავკასიისა და ირანის ხელში ჩასაგდებად, რაც საფრთხეში აყენებდა რუსეთის სამხრეთ-აღმოსავლეთის საზღვრებს. რუსეთმა თავის მხრივ კასპიისპირეთის შემომტკიცება განიზრახა. კასპიისპირეთით რუსეთის დაინტერესება, გარდა სამხედრო-პოლიტიკური მოსაზერებისა, ეკონომიური ინტერესებითაც იყო გამოწვეული. რუსეთ-ირანისა და რუსეთ-თურქეთის ურთიერთობამ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა სხვა გზით წარმართა⁹³. ამ ორი დიდი სახელმწიფოს წინააღმდეგ საჭირო გახდა სანდო მოკავშირის გამონახვა. ამ მხრივ დახმარების გაწევა შეეძლო საქართველოს. თავის მხრივ იმდროინდელი მდგომარეობა საქართველოს უკარნახებდა, რომ რუსეთის მოკავშირე გამხდარიყო. რუსეთ-საქართველოს პოლიტიკურ ინტერესთა ასეთი თანხვედრა ორივე ქვეყნის ერთობლივ მოქმედებას მოითხოვდრ პეტრე პირველმა წინადადებით მიმართა ვახტანგ VI-ს, რომ სპარსთა წინააღმდეგ შეერთებული ძალით ემოქმედათ. რუსეთის მოწოდებას ვახტანგი სიხარულით შეეგება, რაც დაავით გურამიშვილმა პოეტურად ასე გადმოგვცა:

ვითარ ირემსა მაშვრალსა წყაროსა წყალი სწყუროდა,
ეგრეთ მეფესა რუსეთის ხელმწიფის ნახვა სუროდა.

“პეტრე ხელმწიფის გამოჩენამ ამიერკავკასიის სარბიელზე ადვილად შეცვალა ვახტანგის და მის თანამოაზრეთა დასავლეთავეროპული გეგმები. რუსეთი პეტრეს სახით პირველი დიდი სახელმწიფო იყო, რომელიც ამიერკავკასიის მიწაზე მოვიდა, ირანსაც და ოსმალეთსაც. დაუპირისპირდა და კავკასიის ქრისტიან ხალხებს კავშირი და მფარველობა შესთავაზა”⁹⁴.

პეტრე პირველმა ვახტანგს გამოუგზავნა ირანის წინააღმდეგ გალაშქრების გეგმა, რომლის მიხედვითაც რუსთა და ქართველთა ლაშქარი ერთმანეთს შირვანში უნდა შეხვედროდა. ვახტანგი შეუდგა სამზადისს, შევიდა განჯაში, და იქ დაელოდა რუსეთის ჯარს. პეტრემ კი სხვადასხვა ვითარების გამო ლაშქრობა შემდეგი წლისთვის გადადო. ვახტანგი იძულებული შეიქნა პთრი საქართველოსკენ ებრუნა. ამრიგად, აღნიშნული სამხედრო-პოლიტიკური გეგმა განუხორციელებელი დარჩა.

განრისხებულმა შაჰმა ვახტანგი ტახტიდან გადააყენა და ქართლის მეფედ კახეთის მმართველი, გამაჰმადიანებული კონსტანტინე, დსვა. ვახტანგმა უბრძოლველად არ დათმო ტახტი. 1723 წ. მაისში კონსტანტინემ ლეკთა ჯარის დახმარებით თბილისი აიღო. ივნისში კი თბილისში შემოვიდა თურქეთის ჯარი არზრუმის ფაშის მეთაურობით. ერთი წლის შემდეგ რუსეთმა და თურქეთმა კონსტანტინოპოლში ხელი მოაწერეს საზავო ხელშეკრულებას, რომლის მიხედვითაც საქართველო თურქეთს მფლობელობაში დარჩა. ვახტანგს და მის მომხრეებს

⁹³ ი. ცინცაძე, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიოგრაფიიდან, მიმოხილველი, III, 1953, გვ. 87.

⁹⁴ ნ. ბერძენიშვილი, XVIII საუკუნის საქართველოს ისტორიიდან, მასალები საქართველოსა და ამიერკავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. I, 1944, გვ. 185.

ქართლში აღარ ედგომებოდათ და აღარც სხვა გამოსავალი ჰქონდათ რუსეთში გარდჰხვეწის გარდა.

ასეთი იყო იმდროინდელი პოლიტიკური ვითარება, რამაც გამოიწვია ვახტანგისა და მისი მომხრეების იძულებითი გამგზავრება რუსეთში.

მართალია, რუსეთ-საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური გეგმა განუხორციელებელი დარჩა, მაგრამ ნიადაგი მომზადდა შემდგომისთვის ამ ორ ქვეყანას შორის ურთიერდკავშირის განსამტკიცებლად. მოწინავე ქართველი საზოგადოება საბოლოოდ დარწმუნდა, რომ “რუსეთ-საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური კავშირი წარმოადგენდა რუსეთისა და საქართველოს ინტერესთა ერთიანობის კონკრეტულ გამოხატულებას”⁹⁵ და, მიუხედავად პოლიტიკური დამოუკიდებლობას დაკარგვისა, შექმნილ ვითარებაში საქართველოსთვის რუსეთზე ორიენტაცია უფრო გამართლებული იყო, ერთი მხრივ, იმიტომ, რომ თავისი ეკონომიურ-კულტურული მდგომარეობით რუსეთი ბევრად მაღლა იდგა თურქეთ-ირანთან შედარებით, ხოლო, მეორე მხრივ, რუსეთ-საქართველოს აკავშირებდა ქრისტიანული სარწმუნოება⁹⁶.

ვახტანგ VI დიდი ამალით, ღაახლოებით 1200 კაცით, 1724 წ. 15 ივლისს რაჭის გზით რუსეთს წავიდა იმ განზრახვით, რომ რუსეთის წყალობით მალე გაათავისუფლებდა თავის ქვეყანას თურქი დამპყრობლებისგან.

პეტრე .დიდის მიწვევით პეტერბურგში გამგზავრებულმა ვახტანგმა ცარიცინში გაიგო იმპერატორის გარდაცვალება. რუსეთის დედოფალმა ვახტანგი ღირსეულად მიიღო .და ასტრახანში დარჩენილი ქართველების მოსკოვში ჩასვლის ნება დართო. რუსუდან დედოფალთან ერთად ქართველები ასტრახნიდან მოსკოვში ჩავიდნენ 1726 წელს.

რუსეთში ყოფნისას ვახტანგი ცხოვრობდა ხან პეტერბურგში და ხან მოსკოვში. იგი აქაც განაგრძობდა შეუწელებელ კულტურულ-ლიტერატურულ მოღვაწეობას. ვახტანგის გარშემო დარაზმულმა ქართველობამ მეფე-პოეტის მეთაურობით შექმნა ქართული კულტურის მნიშვნელოვანი კერა. იქ, რუსეთში, ორიგინალური მწერლობის განვითარებასთან ერთად, თანდათან გაიშალა მთარგმნელობითი საქმიანობაც. ერთი სიტყვით, მშობლიურ ქვეყანას მოშორებული ქართველები იქაც განაგრძობდნენ მეცნიერულ და ლიტერატურულ მუშაობას თავისი ხალხის საკეთილდღეოდ.

მალე ვახტანგი დარწმუნდა, რომ რუსეთის მხრივ სამხედრო დახმარების შესაძლებლობა უდროოდ ჩანდა. თავისი მიზნების მიუღწევლობის გამო იმედგაცრუებული ვახტანგი სამუდამო საცხოვრებლად ასტრახანში გადასახლდა. ამის შემდეგ მან თავისი პოლიტიკური გეგმების განხორციელებაზე საბოლოოდ აიღო ხელი და, საზოგადოებრივი ცხოვრებისგან გამდგარმა, კარჩაკეტილი ცხოვრება დაიწყო. მიუხედავად ამისა, დიდბუნოვანი და გულწრფელი პატრიოტი, სამშობლო ქვეყნის უსაზღვროდ მოსიყვარულე ვახტანგი, დავით გურამიშვილის გადმოცემით, მუდამ “თავისას, თავის ქვეყნისას უბედურებას ჩიოდა”.

თავის მიწა-წყალს მონატრული მეფე-პოეტი გარდაიცვალა 1737 წ. 26 მარტს. ვახტანტის გარდაცვალება ქართველმა ემიგრანტებმა გამოიტირეს დავით გურამიშვილის სიტყვებით: “ვაი, რა ბოძი წაიქცა, სახლ-კარი თავს დაგვექცაო!”

ვახტანგის დიდი ამაგი ქვეყნისა და ხალხის წინაშე ჯეროვნად დააფასეს ჯერ

⁹⁵ გ. პაიჭაძე, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, 1960, გვ. 80.

⁹⁶ В. Лысцов, Персицкий поход Петра I, 1951, гв. 234.

კიდევ მისმა თანამედროვეებმა. ვახტანგის საზოგადოებრივი თუ კულტურული-ლიტერატურული საქმიანობის ერთგვარი შეჯამება მოცემულია მისდამი მიძღვნილ ეპიტაფიაში, რომელიც ეკუთვნის კარის მდივნის გივი ზურაბის ძე თუმანიშვილის კალამს:

მე უმცირესი ძმათაგან ვახტანგ-ყე სახელდებული,
ოთხს წელს ვქენ მცხეთა, ურბნისი, სადგრის კამარა გებული,
ტვილისს სიონი ხელახლად შევძერწე ქანდაკებული,
ჩემთვისაც სახლი სარკისა, შიგ ლხინი მოწონებული.

სტამბა მოვიღე ელახეთით, ვამრავლე წიგნთა მელანი,
ქციის რუ ხუნანს ჩავიღე, გაღმითაც მოვრწყე ველანი,
მაშავერის რუ ტბას შევრთე, შიგ ჩავსხი თევზნი ყველანი,
ესე მთა მოვინადირე, ვბოცე ირემნი, შველანი.

სამართლის წიგნი აღვსწერე სამსჯავროდ, არა ცილობა,
“ვეფხისტყაოსნის” თარგმნობა, სხვას წვრილთ რაღა ვქნა თქმულობა,
ჩემთანა მყოფთა ჭაბუკთა უქნია კარგა ზრდილობა,
ბოლოდ მიმიღო სოფელმან სიმდიდრე, მეფეთ შვილობა.

მიუხედავად იმისა, რომ ვახტანგმა თავისი ცხოვრების მესამედი მწირობასა და ტყვეობაში გაატარა, არ ჰქონდა მოცალეობა და მუშაობისთვის სათანადო პირობები, მან მაინც შეძლო გადაეღაზა ყოველგვარი სიძნელე და დაუღალავი, შეუპოვარი მუშაობის შედეგად დაგვიტოვა ქართული მეცნიერებისა და ლიტერატურისთვის მეტად ყურადსაღები არა ერთი ნაშრომი. განსაკუთრებით საგულისხმოა მისი მუშაობა ქართული მწერლობის დარგში. ვახტანგმა ქართულ ენაზე გადმოთარგმნა მთელი რიგი სპარსული მხატვრული ნაწარმოებნი, მაგრამ კიდევ უფრო მეტი მან დაგვიტოვა ორიგინალური თხზულებანი⁹⁷. ის ლირიკული ლექსები, რომლებმაც ვახტანგის სახელით მოაღწიეს ჩვენს დრომდე, უფლებას გვაძლევენ მათი დამწერი მივიჩნიოთ XVIII საუკუნის პირველი ნახევრის ერთ-ერთ გამოჩენილ პოეტად.

ვახტანგის ლექსების უმეტესი ნაწილი დაწერილია უცხოეთში ყოფნის დროს, როცა მეფე-პოეტი სამშობლოსა და დიდების დაკარგვის გამო შეპყრობილი იყო მძაფრი სულიერი განცდებით. რა თქმა უნდა, ძირითადად ამ გარემოებამ განაპირობა ის განწყობილებანი, რომლებიც ვახტანგმა თავის ლირიკულ ლექსებში ჩააქსოვა.

ვახტანგის ლექსებში გადმოცემულია სამოშლოდან გადახვეწილი ადამიანის მწვავე ტკივილები:

დავემონე კაემანსა, სევდა მომხვდა მისთვის წამლად,
მელნად ნაღველს მოვიხმარებ, აღმოვაწებ გულსა კალმად.

პოეტის სევდა-კაემანი გამოწვეულია თავისი ქვეყნისა და ხალხის მოშორებით:

დაუტევე სახლ-სამყოფი, თვისნი ტომნი, მონა, ძები,
დავკარგულვარ უცხოს თემსა, ვარ არვისგან მონაძები.

“სამშობლოდან კიდევანქმნილ” მეფე-პოეტს ისპაანში დაუწერია საკმაოდ მოზრდილი ლექსი, რომელსაც “სალბუნად გულისა” ეწოდება. ავტორი სათაურშივე შენიშნავს, რომ დასახელებული ლექსი მას შეუთხზავს სამშობლო ქვეყნის

⁹⁷ ვახტანგ VI, თხზულებათა კრებული, აღ. ბარამიდის რედაქციითა და შენიშვნებით, 1947. ლირიკული ლექსების ნაწილი დაბეჭდილია “ანთოლოგიასა” (ტ. II, 1928, გვ. 136 - 142) და “ჩვენ საუნჯეში” (ტ. V, 1960, გვ. 179 - 198). ვახტანგის უცნობი ლექსების ფრაგმენტები გამოაქვეყნა თ. ჭყონიამ (ლიტერატურული ძიებანი, VI, 1950, გვ. 269 - 2921).

მოშორებით გამოწვეული სევდის გასაქარვებლად და ამდენად ის არის, მისივე თქმით, დაწყლულებული გულის მალამო. “სალბუნად გულსა” პოეტს დაუწერია “თანამხლებელთა” რჩევით: “ლექსი თქვი, ნუთუ ჯავრისა არ იყო განამგებელიო”. მასაც დაუჯერებია კეთილმსურველთათვის და შეუთხზავს ლექსი, რის გამოც მას ნაწილობრივ მოშვებია გულის დარდი: “ამითი გავლე.ცოტას ხანს სოფელი დაუდგრომელიო”.

შრნაარსის მიხედვით თხზულება ორი ნაწილისგან შედგება. პირველ ნაწილში (სტრ. 1 - 67) პოეტი გადმოგვცემს “კეკლუცთ ხელმწიფისა სილამაზე სიმშვენიერეს და მისი ტრფიალებით გამოწვეულ უნაზე.საგრძნობებს. ამ მშვენიერ არსებას პოეტის გულიც დაუკოდავს: “მანდით ნასროლმა ისარმა გული გამიპო მალ ამითო”. აი როგორი ფერებით აგვიწერს პოეტი ამ “კეკლუცის” მოხდენილობას:

მას პირი უგავს ბროლსა და შიგ ლალი გამჭვირვალობსა,
ბაგე-ვარდისა ფურცელსა, კბილნი მარგალიტს ძალობსა,
ტანი - ალვასა მრხეველსა, მჭვრეტელნი მწვე საბრალობსა;
მე გაუხდივარ ქარვად და ტან-ლერწამ რომ უწყალობსა.

თვალი მიგიგავს ჯერანსა, წარბი ზანგუბრელს, სულო, და,
შენმა ბაგისა ციმციმმა ფერი ყაყაჩოს სულ ოდა,
ალმასის პირის სადართი ხამს მზისა სხივი სულ ოდა,
საბრალოს შენთა ტრფთლთა, სიცოცხლევ, გული სუ ლოდა.

ღაწვ-წითელი და თმა-გრუზი, კბილ-თეთრი, თვალი შავია,
შვიდთა მნათობთა ვარსკვლავთა არ ძალუცს მისი დავია,
სუფაა, წყნარი და სათუთი, კეკლუცთა მოსართავია,
უკვდავებისა ბაგები ვარდ-შაქრით შენაზავია.

პოეტის მიერ აღწერილი “კეკლუცია არის მისი ქვეყანა, ქარილი, თუმცა ამის შესახებ პირდარირი მინიშნება ლექსში არ გვხვდება. შემდეგ ვახტანგი განაგრძობს ქართლის სხვადასხვა კუთხის აღწერას, იგონებს იქ გატარებულ დროს, აღწერს ნადირობას, თევზაობას და სხვ. პოეტის თქმით, “მუნებური შექცევანი ვინ აღრიცხოს, ან ვინ წეროს?”.

უცხოობაში მყოფ პოეტს აგობდება თავისი ქვეყანა, მისი ხალხი, მისი თვალწარმტაცი ბუნება, ახსენდება წარსულში გატარებული ბედნიერი დღეები და, უცხო მიწა-წყალს შეკედლებული, სიხარულითა და დიდი აღტყინებით უმღერის ვარდობისთვეში აყვავებულ თბილისს:

რა სჯობს მაისში ტფილისსა, ვარდი ვარსკვლავებრ ესხასა!
მწვანედ ღელევდეს გარემო, ცვარი ცის მაზედ ესხასა,
თუ არ უშმაგო, ვინცა ქნას, მაზედა რითმე ესხასა?

სამშობლოდან გადახვეწის გამო ვახტანგი დიდ სულიერ დეპრესიას განიცდის. მას თავისი ქვეყანა ალეგორიულად წარმოდგენილი ჰყავს სატრფოს სახით, რომელსაც დაეპატრონენ მზაკვრები და მოღალატენი. პოეტს ძალა არ შესწევს მშობელი ქვეყანა იხსნას ამ გასაჭირიდან, რის გამოც ერთგვარად სასოწარკვეთილებას ეძლევა.

ლექსის მეორე ნახევარში (სტრ. 68 - 105) ვახტანგი ჩერდება მასზე მოწვენილ უბედურებათა აღწერაზე: “აწ გავათავე ლხინი და ვთქვა ჭირი შეუწონარიო”. პოეტი აღნიშნავს, რომ მას სიყრმიდანვე წილად ხვდა მწირობა, სიღლახაკე, სიმშილი. შემდეგ აღწერს, თუ. რანაირად გაუკეთეს თანამემამულეებმა “უცხო ხლათი” და როგორ ჩააგდეს იგი “მტერთ სახრალად იქით-აქეთ მონაწევი”. ვახტანგის სიტყვით,

“დაუნაშავლად შემექნენ უწყალოდ ძვლისა მხარავიო” “გამომიმეტეს საკვდავად, რაც მქონდა, განიწილესო”, “განმადეს ასე უბრალოდ თვალთ ცრემლთა მომაწურებო”.

იგი მოაშორეს მშობელ მიწას და სპარსეთში გაიწვიეს. ვახტანგი იძულებული იყო მიეტოვებინა მისთვის ყველაზე უფრო ძვირფასი, რის გამოც გრძნობს სულის ობლობას. პოეტი გადმოგვცემს, რომ იგი მოიძულეს თავისიანებმაც, რომლებმაც ჩააგდეს ამ მდგომარეობაში. გასაოცარიყო, დასძენს ვახტანგი, რომ თანამემამულენი, რომლებმაც მე გამაძევეს, მისაყვედურებენ სამშობლოდან გადახვეწასო:

მეფეს არჩილსა სძრახევდენ, სხვას თემს რომ იყო მგლელია,
იგ ანთებულსა სახლ-კარსა შეექნა დამანელია;
მეც მასვე მძრახვენ, აქ მოველ, მაშ, რა ექნათ, რა საქნელია?
მას ლომსა, ვეფხებერ კისკასსა, ჭკუა ჰქონია მთელია.

ერთი მხრივ, რამდენი სასიამოვნო მოგონებაა მშობლიურ მხარესთან და თავისიანებთან დაკავშირებული, ხოლო, მეორე მხრივ, რაოდენი სევდისმომგვრელი და გულისშემძწუხებელი ამბებია გადმოცემული ამ ლირიკულ ლექსში. ასეთი კონტრასტული მოვლენების შეპირისპირებით ვახტანგი მოხდენილად ახერხებს უფრო ნათლად და მგრძნობიარედ გადმოგვცეს თავისი გულისნადები, თავისი გულისთქმა. აი, მაგალითად, რაოდენი გულისტკივილი და წუხილია ჩაქსოვილი შეჭირვებაში მყოფი ვახტანგის გულწრფელად წარმოთქმულ სიტყვებში:

ჰე, თაო, პირველ შვებულო, აწ უცხო ჭირსა ვარდია,
საკვრელსა ძნელად სახსნელსა, მთხრებლსა მოღრმოსა ვარდია;
მკვიდრი უმკვიდრო შევიქენ, სამყოფთგან გარე ვარდია,
ლაწვი შემქნია ზაფრანად, ვის ვერა მდრიდა ვარდია.

ვერ მივეც, რაცა მემართა, ხარკი სოფლისა მე ცადა,
მოვიდა ქარი ხორშაკი, ანაზდად სამე მეცა და,
ვერ მოვიფარე საფარი, დამწვა სხვებთანა მეცა და,
რა მწვე მიჯობდა სიბრძნითა თავი სხვარიგად მეცადა!

“სალბუნად გულისა” ავტობიოგრაფიული ხასიათის ლექსია. მასში კარგად არის ასახული ვახტანგის თანადროული სოციალურ-პოლიტიკური ვითარება.

ვახტანგის შემოქმედებაში განსაკუთრებულად გამოირჩევა პატრიოტული მოტივი. მის თითქმის ყოველ ლექსში გამოსჭვივის სამშობლოსა და თავისი ხალხის დაუცხრომელი სიყვარული, მათზე შეუნელებელი ზრუნვის სურვილი: ასე, მაგალითად დიდი პოეტური შთაგონებით არის გამსჭვალული ლექსი “სატრფიალონი”. ამ ლექსში პოეტი მომხიბვლელით გადმოგვცემს სამშობლოს სიყვარულსა და თავისი ქვეყნის ლამაზმანების ტრფიალებას სურათს:

წავალ, მეცხვარეთ დავდგები, ვივლი მთებსა და ბარებსა,
ნარგიზს თვალთ ნაცვლად უყურებ, თმისათვის სუმბულთ არებსა,
ტანად საროსა მრხველსა, ვარდსა ღაწვთ მაზიარებსა,
მოვრჩები, ზამბახს უმზერი, თეთრ პირით არამდარებსა.

პატრიოტული ურვით არის აღბეჭდილი ვახტანგის ელეგიური ლექსი “რანი და, მოვაკანი და”. მასში გადმოცემულია პოეტი-პატრიოტის მწვავე განცდები სამშობლო ქვეყნის უნუგემო მდგომარეობის გამო. აღნიშნული ელეგია ერთ-ერთი შესანიშნავი ლექსია ქართულ პოეზიაში. სპეციფიკური მხატვრული ხერხების გარეშე, მაგრამ სიტყვიერი მასალის მოხდენილად გაწყობა-გამოყენების გზით, თანაც ცხოველი მგრძნობელთბით, დიდი უშუალობითა და ოსტატობით, ვახტანგმა შეძლო გადმოეცა თავისი უზომო ტრაგიკული განცდა:

რანი და, მოვაკანი და, სახლი და, კარი, ბანი, და,

გათავდა ყოვლი წერილი, ანი, ბანი, და, განი, და...
ვიარე ყოვლი ქვეყანა, სიგძე და სივრცე, განი, და,
ვერა ვპოვე რა მის მეტი, დავყარე ძმა და დანი, და...
ხორცსა მრავალი დავაკლე, სულს მივეც იქი რჯანი, და,
ვაი-ვამ, მსაჯეს უბრალოდ, არ მომცეს მე აჯანი, და!

სამშობლოზე ფიქრმა და მისი პირადი ცხოვრების წარუმატებლობამ ვახტანგის შემოქმედებაში შესამჩნევი გახადა სოფლისადმი მდურვის კილო. პოეტის თქმით, “სოფელი - ჩვენი მესისხლე - ზღაპარი არის, ყბედია”. სოფლისთვის ნიშანდობლივია სიმუხთლე, მზაკვრობა, გაუტანლობა:

სოფლის ხლათის დაფაცვრითა ჭირს დავები გაუგებსა,
უცხო რამ სჭირს: ზოგს ლხინს მისცემს, ზოგს ლახვარსა გაუგებსა;
ზოგს აგორებს ეკალზედა, ზოგსა ვარდსა გაუგებსა,
ზოგს ძირამდის სახლს დაუქცევს, ზოგს ქორედად გაუგებსა.

პოეტი ამაგებს სოფლის მზაკვრულ ხასიათს, მის ვერაგ ბუნებას. ცვალებად და მერყევ წუთისოფელს იგი ადარებს უზნეო, უნამუსო, გარყვნილ დედაკაცს:

ეს სოფელია, დიაცი სიძვისა მიმყოლეელი,
თავსა კეკლუცად გაჩვენებს, ბოლო აქვს დასაქოლეელი,
ხან შენს უბეთა მძინარი, ხან სხვასთან არი მწოლეელი.

მუხთალი საწუთრო ვახტანგისთვისაც კრული აღმოჩნდა. ერთ-ერთ თავის ელეგიაში პოეტი ჩივის: “რაები მიყო სოფელმან სიცრუვით ანასდეულმაო”, ხოლო სხვა შემთხვევაში შენიშნავს: “დამწვა სოფლრა საცთურმაო” ლექსში “სალბუნად გულისა” პოეტი შესაბრალისად გვატყობინებს, რომ სოფელმა მის მიმართ დაუნდობლობა გამოიჩინა, არ შეიბრალა იგი და ცრემლები აფრქვევინა:

გამსაჯა მიწყვი სოფელმან, უფრო ყველასგან აჯამა,
არ შემიწყალა არათი, არ გამომართვა აჯა-მა,
ამავსებინა ცრემლითა კალთა, ფიალა, ა ჯამა,
მწვე მომწყინა სოფლისა ასე უბრალოდ გარჯამა.

წუთისოფელმა მასაც გაუმწარა ბედნიერება. ჯერ ცხოვრების სიტკბო აგემა, ხოლო შემდგომ ერთბაშად ყველაფერი გამოაცალა და მწირობაში სხვის ხელისშემყურედ დატოვა:

მიუნდობო საწუთროო, მოყვისისთვისც ხარ მიწყვი კრული,
ჩალხისებრივ ბოლოს თავსა, თავს ბოლოს ჰყო მოარული;
თვით ეს ყოფა კაცსა ჰქონდეს და შეჰქნოდეს დაკარგული,
როგორ გასძლოს მან სიცოცხლე, თუ არ ჰქონდეს სალებრ გული?

პირველ მალხინა სოფელმა შამბიანთ არე-მარებსა,
ყარაიას და სომხითში, დიდგორის გასახარებსა,
სხვას რას შექცევას, რას შვებას, არ კაცთა დასაზარებსა,
აწ დამსვა მარტო, გასჭვრიტეთ, ქუჩუქას სახლსა, სარებსა!

ვახტანგი დასევდიანებულია, რომ წუთისოფელმა მას სამეფო ხელიდან გამოაცალა და შორს გადახვეწა: “ვა, სოფელმან დღენი ჩემნი აწე ცუდად სა გალია!” წარსულის დიდება მხოლოდ მოგონებების სახითღა შემორჩენია პოეტს: “ის დიდება პირველ ჩემი აღარა მაქვს წარმონარცხითო”. იგი გულსაკლავად აღნიშნავს:

სულ დამიქცია სამყოფი, სახლი, სართული, ბანია,
მეფობის ნაცვლად სოფელმან მიბობა ლექსობანია.

პოეტის სიტყვით, წუთისოფლის ვერაგობით არის გამოწვეული მისი ასეთი მდგომარეობა. იშვიათი პოეტური სიძლიერით გადმოგვცემს ვახტანგი თავის ტრაგიკულ განცდას:

მზე აღმოვიდა, მიადგა, ბარი იყო თუ მთებია,
მაგრამ მე მისი მწვერვალი, არსით არ მომნათებთ,
ამისთვის სევდა-ნაღველი, გლახ, გულსა გამერთებთ.

წუთისოფლის გაუტანლობა პოეტს უკვე იმდენად ბუნებრივად, ჩვეულებრივ
მოვლენად მიაჩნია, რომ იგი თავის თავს უსაყვედურებს, რათა ამაზე აღარ იწუხოს:

სოფლის სიმუხთლე ასეა, რად ვინ სდევს, მიკვირს, მეფეო,
აწ შენ ამისთვის რად სწუხარ, უცხოდ მჩანს, ვახტანგ მეფეო!

საბოლოოდ პოეტი მიდის იმ დასკვნამდე, რომ მისი უბედურების მიზეზი მარტო
წუთისოფელი არ არის, რომ გარკვეული დანაშაული ამაში თვითონვე მიუძღვის:

რას ვაბრალებ საწუთოსა, ვამბობ, მიყო ამან ესო,
რაც მე შეესვი შესასმელი, ესე ხელსა ვისცა ესო?
ვარდი მედგა ბაღსა ჩემსა, ართუ რამე ნარი ესო,
მე აღმთვფხვარ, სხვას ვის ეძლო მისთვის რამე ძირსა ესო?

მიუხედავად იმისა, რომ ვახტანგს ლექსებისთვის უცხო არაა ძლიერი
მჭმუნვარება, სევდა-ნაღველი, პოეტი მაინც არ მიდის სასოწარკვეთილებამდე,
უიმედობამდე:

მაინცა გწერ, თუცა სევდით ვარცა მწარედ შეგვარლული,
ხან მოვილხენ სოფლისაგან, ხან ჯავრით მაქვს თვალთა ლული.

საერთოდ ვახტანგის პოეზიისთვის ნიშანდობლივი არ არის პესიმისტური
მსოფლშეგრძნება. პოეტი საბოლოოდ არ კარგავს უკეთესი მომავლის იმედს.
მართალია, ცრუ სოფელმა “დღე ჩემი წინათ წარსრული ყრმათ ჩიკორისებრ აგორაო”,
მაგრამო, დასძენს პოეტი, “მაინც მოველი ღვთისაგან დროს რასმე გასახარებსაო!”
ზოგიერთ ლექსში კი აშკარად შეიმჩნევა მეფე-პოეტის შეუპოვარი სული:

საწუთოა საცთურითა, ვარ საქმისა უნაწილო,
მოყვარეთა ცრემლი სცვივა, მტერთა გავზე სასაცილო.
ჭაში ვზივრ, უსაბლოსა არვინა მყავ ამაცილო,
თუ ღმერთსა სწადს, ადრე იქნას, რომ, სოფელო, გაგაწბილო!

ვახტანგი ბედს ურიგდება. მისი სიტყვით, ადამიანმა ამქვეყნად სასარგებლო
საქმე უნდა გააკეთოს. ამიტომ პოეტი მიდის ერთგვარ დათმობაზე და
წუთისოფელთან შერიგებას ქადაგებს. უფრო მეტიც, იგი ადამიანს აქტიური
მოქმედებისკენ მოუწოდებს:

კაცმან უნდა თავის საქმე ყველა ღვთითა მოივარგოს,
ამ სოფელსა ხელი ჰყაროს, იქაც ბარგი დაიბარგოს,
მოყვარეთ და ამხანაგთა თავის რიგით რამე არგოს,
სახელის ხე საჩრდილებლად წყლისა პირსა სამე დარგოს.

ანდა:

რადგან კაცია მოკვდავი, უნდა დაურჩეს რამე და,
სახელისაგან უმჯობე რამცა ჰქენ, რამც იამე და?
მოგიგონებენ ყოველნი ამითი ჟამით-ჟამედა,
მოლექსობაცა იქნება ამის რამ შესაწამედა,

ვახტანგის შემოქმედებაში არცთუ ისე იშვიათად გვხვდება სატრფიალო
მოტივზე დაწერილი ლექსები. პოეტის გაგებით, მიჯნურობა ძლიერი გრძნობაა,
სატრფოსთვის ადამიანს “ცეცხლი ბანზად მიაჩნია”. ამიტომ მან შეთხზა სატრფიალო-
სამიჯნურო ლექსები. “ლექსსა მივყევ სამიჯნუროს, ვარ ტრფიალი, განა ხელი”, -
აცხადებს პოეტი.

ვახტანგი დიდი მგრძნობიარობით გადმოგვცემს ქალ-ვაჟის სიყვარულს. მისი
თქმით, სიყვარულის გრძნობა უჩნდება არა მარტო ჩვეულებრივ ადამიანებს, არამედ,
თვით მეფეებსაც, რომლებიც ქვეყნის მპყრობლები არიან:

ქალ თუ ყოვლისა მხედველი ვერა დროს ვერა ნახავსა,
მეფე ხანდიხან, მაგრამე ზოგჯერ იმათგან ახავსა,
სხვა კაცნი ყოვლთვის უყურებს და მათსა სახეს სახავსა,
ბრძენად ჩავაგდე, ვინც ამას მის მსგავსად განიზრახავსა.

პოეტმა აგვიწერა ვარდისა და ბულბულის მიჯნურობაც, თუმცა ამ მხრივ მას ახალი არაფერი მოუცია:

ვარდს ეტრფის მიწყივ ბულბული, სული უყვარს და ფერები,
რომ იმისთანა შეიქნას, ქონდეს ასეთი წერები,
იგ უგუნური მას ცდილობს, კარგ იყოს შესამზერები,
სახედ უქმნია მოქმედსა ვიყოთ მის შესაფერები.

ვახტანგს აქვს აგრეთვე სატრფიალო შინაარსის, მაგრამ ალევგორიული ხასიათის ლექსები. ამ ლექსების ჯგუფს ეწოდება “ტრფიალისაგან სატრფოსათვის შაირობა”, ანუ “სატრფიალონი”. ლექსში მოცემულია პოეტის შეხედულებანი მიჯნურობაზე. სხვათა შორის, აქ ნათქვამია, რომ “კაცსა მართებს, სატრფიალოს დაემბდეს ტურფად კარგსაა, მიჯნურმა უნდა დათმოს სოფლის შვება და დიდება, მუდამ უნდა მუშაობდეს და ირჯებოდეს, “არ იყოს ხორცთა მონა”, “გრძლად იცოდეს სიყვარული”, სატრფოს არ უნდა შორდებოდეს, რადგან “ისიც მისგან უკურიდებს” და სხვ. დასასრულ, პოეტი დაასკვნის, რომ “ნუ გგონიათ მიჯნურობა, დიად, ადვილ შესამართიო!”

პოეტს სურს იხილოს და შეაქოს თავისი სატრფო: “ჩემსა სატრფოსა ვაქებდე, ვისი მსურს ხილვა გულითაო”. მაგრამ ვინ არის ეს სატრფო, ამაზე ლექსში არაფერია ნათქვამი. თხზულების ზედწარწერილში კი ვკითხულობთ: “მკითხველთა უხამს[თ] გულისხმიერება, თუ ვისდამი ტრფიალებს მეფე. სახმარ არს ყური სმენად და გული გამოკვლევადო”. სხვა ხელნაწერის მიხედვით უფრო ნათელი ხდება ამ წარწერის შინაარსი: “აქა შაირობანი ფრიად პპატიოსანი უფლისა და ყოველთ აწმინდათა მიმართო”.

როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში, ვახტანგის ტრფიალების ობიექტი რეალური ქალი არ არის. ეს სამიჯნურო ლექსები მიძღვნილია ღვთაებისა და წმინდანებისადმი. პოეტს სატრფოს სახით გამოყვანილი ჰყას ღმერთი და მთელი გრძნობით ეტრფიალება მას. მიუხედავად ამისა, ლექსში შექმნილია სატრფოს სილამაზე, მისი სხეულის სანარნარე და მოხდენილობა. პოეტი გვაგრძნობინებს სატრფოსთან ახლოს ყოფნის ძლიერ სურვილს:

ტურფაო, კეკლუცობითა მოსანდომელო არევ და,
შენამხედველსა მიჯნურსა საკვირველობით არევ და,
ნარნარი მიხედ-მოხედვა სატრფიალოთა არევდა,
კიპაროზისა საგვანსა მიდამოებით არევდა.

ღაწვი ვარდად, პირი შროშნად, ტუჩებია გასალაღად,
თვალ-მელანი, წარბი სათი, თმა სუმბული, კბილი სრალად,
ყელი ვერცხლი, მუძუები ბროლისაგან განათალად,
ტანი ალვად, ხელ-მკლავები შოლტებია დასაკრალად.

პოეტის ტრფიალებდის საგანი ჩვეულებრივი ქალი როდია, ის არის ზეციური არსება, თვითონ ღმერთი, ამდენად ვახტანგის მიერ აღწერილი მიწიერი სიყვარული სინამდვილეში მიძღვნილია ზეციური, მისტიკური არსებისადმი. “ვახტანგის პოეზიაში კეკლუცი ქალის შნო და ლაზათი სიმბოლურად ასახიერებს ღვთაებრივ სიწმიდესა და სინატიფეს. სატრფოსადმი გატაცებული ლტოლვის წადილი კი აღნიშნავს სულის ლტოლვას ღვთაებისადმი (ალ. ბარამიძე). აღნიშნულის

მიუხედავად, ვახტანგმა საუცხოოდ აღწერა ქალის სიკეკლუცე და, საღვთო მიჯნურობის საბაბით ობიექტურად რეალური სატრფიალო განწყობილებანი გამოხატა.

აღსანიშნავია, რომ “სატრფიალონში”: ჩართულია “სულისა და ხორცის გაბაასება” (სტრ. 63 - 65). ე. წ. აღორძინების ხანის ქართულ ლიტერატურაში მეტად გავრცელებული იყო ამგვარი სახის ლექსები. ვახტანგსაც უცდია თავისი კალამი. სულისა და ხორცის დაპირისპირებისას პოეტი პირველს (სულს) ანიჭებს უპირატესობას. მისი თქმით, სული “მეფეა”, “უკვდავად შექმნილია”, ხოლო ხორცი - “ჭურია”, “სამყოფელია”:

უთხრა სულმან: “რადგანა ვარ პატრონი და შენი მეფე,
ჩემი ხარო ჭური რამე, სამყოფელი, გასასეფე,
მოვდეგ შენსა სანდომელსა, რაცა გწადდეს, გიიეფე,
ნივთთა შენთა შეეერთვი, მე გავხდები მტერთ საყეფე”.

ვახტანგს დჭწერილი აქვს აგრეთვე მცირე ზომის ნაწარმოებები და ფრაგმენტები. ვახტანგის უცნობი ლექსების ფრაგმენტებში უმთავრესად გადმოცემულია პატრიოტული და სამიჯნურო განწყობილებანი.

მცირე ზომის თხზულებათაგან აღსანიშნავია ხუთსტროფიანი ლექსი, რომელშიც ჩამოთვლილია მთიებთა არაბულ-ქართული სახელწოდებანი და მოკლედ აღნიშნულია მათი თვისებები: “ვთქვათ შვიდ მთიებთა ბუნება არაბთ და ქართველთ ენითაო”. ლექსის დამაბოლოებელ სტროფში კი გადმოცემულია სოფლის სამდურავი:

ვაქო მომგონი საქები, ჩემთვინ მოწყალედ თქმულია,
მამცემი ლხინთა დიდ-დიდთა, ვარ მისთვინ სულწასულია,
მაგრამ გარჯილო სოფლისგან, თაო, ხარ დადაგულია,
ღამე უმილო, დღე მშრომი, მრახვისგან გაბასრულია.

ვახტანგს ერთი სტროფი მიუწერია მამუკა ბარათაშვილის გალექსილ “ჯიმშედიანზე”. ეს ლექსი, რომელსაც ეწოდება “სიკვდილი ჯიმშედის ცოლისა”, შემდეგნაირად იკითხება:

მზე და მთვარე სიტურფისა ვისი იყო ბაძის მქნელი,
ბალთა შიგან მისთა მჭერეტთა ვარდი ექნა გასაქნელი,
მუშკსა სადღა ახსენებდა მისი შუბლთა გამომქნელი,
ბოლოდ დაჭკნა ეს ყვავილი, მოუვიდა ეს საქნელი.

მეფე-პოეტს ერთი სტროფი მიუწერია აგრეთვე წმ. შიოს “ცხოვრებაზეც”. ლექსი გაწყობილია ომონიმური რითმებით:

ცოდვისაგან უხამური გევედრები მამა შიო,
ბოროტითა ნაყროვანი შენთა ღვაწლთთვის მამაშიო,
ვის არ გწადდა საზდო რამე, ორ კაკალი მამაშიო,
ფარვას ვითხოვ ეშმაკისას, მჭურო (!) მადლთა მამაშიო.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ვახტანგის ანბანთქებები. ეს ანბანთქებები სამი სახეობისაა. ერთ მათგანში სიტყვები სტრიქონში დალაგებულია ანბანის რიგზე, ისე რომ ყოველი სიტყვის დასაწყისსა და ბოლოში ერთი და იგივე ასო უზის: “არა ბრძანებ გიორგ დედად, ესე ვიყავ ზეზ ზთერად”. მას შეუთხზავს სხვა სახეობის ანბანთქებაც, რომელშიც ყოველი სიტყვა ერთ ასოზეა გაწყობილი:

აჰა ბრძენთ გესმასთ და ესე ვინა ხართ ზოგთ ზე თქმულია,
იმ კარგის ლუკას მორჩილი, ნუმც ორ-პირ ჟრჟოლა რთულია,
სიკუდილით ტანჯვად უფლისთვის ფრიად ქმნეს ღირსთ ყრმათ შთულია,
ჩანს ცოდვილთ ძნიად წრწოლა ჭირს ხელ ჳუნდ ჯრით ჰაი ზგულია.

ვახტანგს დაუწერია აგრეთვე ისეთი სახის ანბანთქება, რომლის ყოველი

სტროფის ყოველი სიტყვა იწყება ქართული ანბანის რომელიმე ასოთი (ანბანის რიგის დაცვით). ასე, მაგალითად, პირველ სტროფში ყველა სიტყვა ანით იწყება, მეორე სტროფში - ზანით, მესამე სტროფში - განით და ა. შ. “ასრე არის აგებული, ამგებელსა აქ აქებდეს”. ამ სახეობის ანბანთქების შემომტანად პოეტი თავის თავს თვლის, მაგრამ სინამდვილეში ეს სახეობა პირველად არჩილ მეფემ გამოიყენა.

ვახტანგთან ვხვდებით ე. წ. აღორძინების ხანაში მეტად გავრცელებულ მაჯამასაც. ვახტანგის “მაჯამა” არის მის მიერ შეთხზული სხვადასხვა თხზულებიდან (“კაემანი”, “სალბუნად გულისა” და “სატრფიალონი”) საგანგებოდ გამოკრებილი სტროფების კრებული. მაგრამ ეს სტროფები მექანიკურად როდია ერთმანეთთან დაკავშირებული, მასში გაერთიანებული სტროფების ჯგუფს ერთი გარკვეული შინაარსი აქვს. ამისდა მიხედვით მკვლევართა მიერ “მაჯამა” დაყოფილია ცხრა თავად, რომლებიც სხვადასხვა რაოდენობის სტროფებს შეიცავს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ “მაჯამაში” ერთად შეკრებილია თუ გაერთიანებულია მარტოდენ ომონიმური რითმების მქონე სტროფები. გამონაკლისს წარმოადგენს “მაჯამის” მარტო ბოლო, მეცხრე თავი, რომელიც არ არის ომონიმური ლექსი⁹⁸ ამგვარად, ვახტანგის “მაჯამა” წარმოადგენს ომონიმური სტროფების შემცველ გამოკრებილ თხზულებას და ის ცალკე, დამოუკიდებელი ნაწარმოების მნიშვნელობას მოკლებულია. ამიტომ მკვლევარ აქ აღარ შევჩერდებით.

ვახტანგის პოეტურ მემკვიდრეობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს დიდაქტიკურ ლექსებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი .დარიგებანი სწავლა-აღზრდის შესახებ. ამ მხრივ ვახტანგი არჩილის კვალს მიჰყვება.

ვახტანგს დიდი დამსახურება მიუძღვის აგრეთვე დიდაქტიკურ-მორალისტური თხზულებების ქართულად გადმო-თარგმნაში. ვახტანგმა თარგმნა მსოფლიო ლიტერატურის შედევი “ქილილა და დამანა”. მანვე სპარსულიდან გადმოთარგმნა XI საუკუნის მწერლის ქეი-ქაუსის დიდაქტიკურ-მორალისტური ხასიათის თხზულება “ყაბუს-ნამე”, რომელსაც თარგმანში “ამირნასარიანი” ეწოდება. ვახტანგმა “ყაბუს-ნამე” გადმოიღო ჯერ პროზაულად⁹⁹ შემდეგ კი გალექსა¹⁰⁰.

პროზაული თარგმანი ვახტანგს შეუსრულებია ქართლში გამგებლობის დროს, ე. ი. 1704 - 1711 წლებში, ხოლო ეს თხზულება მას გაუღიქსავს უკვე მოსკოვში ყოფნისას, როგორც ამას სათაურიდან ვგებულობთ: “წიგნი პირვე-ლი. ამირნასარიანი, სპარსულისაგან ქართულად ნათარგმნი მეფეთ მეფის ვახტანგისაგან და, ბოლოს, მოსკოვს მეფისაგანვე გალექსულიო”¹⁰¹

აი რას წერს ამის შესახებ თვითონ ვახტანგი:

ამირ-ნასარნის ნათქვამი გათავდა სპარსთა თქმულები,
ჯერ გამოვიღე ამბავად ვარდი-კოკობი რგულები,
აწ, სევდის მოსაქარვებლად, ლექსად ვარ განმაგულები,
ყველას დარჩება სოფელში გაუკურნებლად წყლულები.

თხზულების თარგმნისას ვახტანგი კრიტიკულად მიდგომია ტექსტს. “ყაბუს-ნამეს” მთელი რიგი თავები სიტყვასიტყვით როდი უთარგმნია სპარსულიდან, არამედ ზომიერების ფარგლებში თემატურად შეუკუმშავს და თავისებურად

⁹⁸ გ მიქაძე, თილოლოგიური ძიებანი, I, სსრ მეც. აკად. საზ. მეცნიერებათა განყოფილების მოამბე, 1963, № 4, გვ. 190 – 192.

⁹⁹ გამოცემულია გ. იმედაშვილის მიერ (ლიტერატურული ძიებანი, ტ. XI, 1955, გვ. 351 – 373).

¹⁰⁰ ვახტანგ VI, თხზულებათა კრებული, 1949, გვ. 67 - 91.

¹⁰¹ S 171, ფ. 107 – 130.

შეუცვლია კიდევაც. უფრო მეტიც, ზოგ შემთხვევაში მას ტექსტი შეუვსია სხვა თხზულებებიდან ამოღებული მასალით და ძველი ქართული სინამდვილის მოთხოვნებისთვის შეუფარდებია. აღსანიშნავია ისიც, რომ ქართული ტექსტი განთავისუფლებულია სპარსული ნაციონალური ნიშნებისგან და, განსაკუთრებით, მუსულმანური რელიგიური დოგმების შემცველი მოტივებისა და აფორიზმებისგან.

როგორც ვხედავთ, ვახტანგი ბრძალ არ მიჰყეცხა ორიგინალს, არამედ ქმნის სპარსული ტექსტისგან მნიშვნლოვნად განსხიავებულ ვერსიას, რომელიც გამოირჩევა თავისი სისადავითა და ლაკონიურობით. ამდენად, “ამირნასარიანი” არ წარმოადგენს “ყაზუს-ნამეს” თარგმანს ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, ის უფრო გადმოქართულებული ტექსტია. “ამ გადმოქართულებულ თარგმანში გამოკვეთილად იგრძნობა ვახტანგის, როგორც მწერლისა და საზოგადო მოღვაწის დამოუკიდებელი პიროვნება განსაზღვრული ქართული სინამდვილითა და იდეალებით. ქართულად თარგმნილია უმეტესად ისეთი ამბები, რომლებიც ხასიათდებიან მკვეთრი ფაბულით, გამოხატავენ რაიმე გარკვეულ აზრს და ამა თუ იმ შეგონების გააზრებისათვის ზოგადი, საკაცობრიო მნიშვნელობა ენიჭებათ”¹⁰²

ვახტანგ VI-ის დავალებით მოსკოვის ქართული კოლონიის ერთ-ერთმა მოღვაწემ ერასტი თურქესტანიშვილმა (გარდ. 1735 წ.) რუსულიდან თარგმნა “აპოვთემატა”. დასახელებული თხზულება წარმოადგენს დამრიგებლური და გასართობი ხასიათის პროზის კრებულს, რომელშიც თავმოყრილია ცნობილ მოღვაწეთა, მწერალთა და ფილოსოფოსთა გამონათქვამები და დარიგებანი.

ე. თურქესტანიშვილმა ქართულად გადმოიღო “აპოვთემატას” სამივე წიგნი. შემდეგ ვახტანგ მეფისთვის საგანგებოდ დაამუშავა “აპოვთემატის” თავისებური მოკლე რედაქცია, რომელიც ვახტანგმა გალექსა “სიბრძნე მალაღობელის” სახელწოდებით¹⁰³. დროთა განმავლობაში ე. თურქესტანიშვილის თავდაპირველი თარგმანი დავიწყებას მიეცა. შემოგვრჩა მხოლოდ ის რედაქცია, რომელიც ვახტანგ VI-მ გამოიყენა.

ვახტანგს მიუმართავს მხოლოდ ქართული თარგმანისთვის, რუსული ტექსტით მას არ უსარგებლია. თანაც თურქესტანიშვილისეული თარგმანი მან გალექსა რამდენიმე რედაქციით და დაუმატა მას პროლოგ-ეპილოგი. ვახტანგს ძირითადად სიტყასიტყვით გაულექსავს პროზაული დედანი, თუმცა ადგილადგილ შეუმოკლება ან განუვრცია ცნობილ მოღვაწეთა ზოგიერთი გამონათქვამი და სათანადო დასკვნებიც მოუცია. ერთი სიტყვით, ამ შემთხვევაშიც ნათლად ჩანს ვახტანგ VI-ის შემოქმედებითი ნიჭი და მხატვრული ალღო.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ვახტანგი დიდი პასუხისმგებლობით ეცილებოდა თავის მხატვრულ-შემოქმედებითს საქმიანობას. დამაბული და ხანგრძლივი მუშაობის შედეგად მან არაერთგზის გადაამუშავა თავისი თხზულებები, მათში შეიტანა მნიშვნელოვანი ცვლილებები და შესწორებები. ვახტანგი მრავალნაირად ასწორებს თავის ლექსებს, ცვლის სიტყვებს, სიტყვათა ფორმებს, ახდენს სიტყვათა გადაჯგუფებას ტაეპებსა და სტროფებში, მიმართავს ტაეპთა და სტროფთა მონაცვლეობას, რის შედეგადაც ხშირად იძლევა უკვე დაწერილის სრულიად ახალ, განსხვავებულ რედაქციას. ასეთი პოეტური ძიებით მას სურს რაც შეიძლება უფრო ნათლად და ლაკონიურად გადმოგვეცეს აზრი, უფრო

¹⁰² გ. იმედაშვილი, ყაზუს-ნამეს ქართული ვერსია ამირ-ნასარიანი, ლიტერატურული ძიებანი, ტ. IX, 1955, გვ. 341.

¹⁰³ “ცისკარი”, 1853, № 3, 4 და 6: ვახტანგ VI, თხზულებათა კრებული, გვ. 92 – 168.

გასაგები გახადოს მისთვის საინტერესო საგანი თუ მოვლენა, უფრო მხატვრულად აგვისახოს თავისი ჩანაფიქრი.

ვახტანგის ლექსების ენა დაახლოებულია სასაუბრო ენასთან. ჩანს, პოეტი დიდ ყურადღებას უთმობდა ენის საკითხებს, რადგან მწერლობის საშუალებით მას სურდა ხალხში ცოდნა და განათლება შეეტანა. თავისი თარგმანების ენის შესახებ “ქილილა და დამანას” ანდერძში წირს: “მე კაცის შეუტყობრობისა და მოუძაგებლობის გულისათვის ადვილისა და მსოფლიოს სიტყვით დავსწერე, რომ მკითხველთ სამძულვაროდ არ უჩნდესთ და ეს სწავლა გაუგონებელი არ დარჩესო”.

ყურადსაღებია ვახტანგის დამსახურება ქართული ვერსიფიკაციის დარგშიც. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში არის აღნიშნული, ქართულ პოეზიაში ვახტანგმა დაამკვიდრა ელევაური ლექსი, რომელიც შემდგომ უფრო სრულყო და განავითარა დავით გურამიშვილმა. თავისი ელევებისთვის პოეტმა მოახდინა ჩახრუხაული ლექსისა და რუსთველური შაირის გადახალისება. რუსთველური შაირის სრულიად ახალ ფორმას მიმართა ვახტანგმა ლექსებში “ლექს-ამბავი” და “რანი და, მოვაკანი”. ძველი ქართული კლასიკური ლექსებიდან მან აიღო მხოლოდ საზომები, შეუცვალა მათ საერთო კონსტრუქცია, გამოიყენა განსხვავებული რიტმი და ახალი სტროფიკა. ახალი პოეტური ფორმებით მეტად მოხდენილად გადმოგვცა მან თავისი განწყობილებანი.

ქართული მწერლობის კერები რუსეთსა და უკრაინაში

XVII - XVIII საუკუნეები მრავალმხრივ არის მნიშვნელოვანი საქართველოს პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ ცხოვრებაში. პოლიტიკური ორიენტაციის ხანგრძლივი ძიება საქართველოს რუსეთთან დაკავშირების გზით წარიმართა, რამაც გაახშირა ამ ორ ქვეყანას შორის მიმოსვლა და ურთიერთობა. საგარეო პოლიტიკის გართულებების გამო კი საქართველოს მმართველი წრეების წარმომადგენლებს თავიანთი მხლებლებით ხშირად უხდებოდათ ამ მხარეში არა მარტო გამგზავრება, არამედ ხანგრძლივად ყოფნა და ცხოვრება.

სამშობლოს მოცილებული ქართველობა შორეულ მხარეშიც განაგრძობდა ლიტერატურულ-შემოქმედებით და მეცნიერულ საქმიანობას. ასე თანდათანობით ეყრებოდა საფუძვლები ქართულ კულტურულ-ლიტერატურულ კერებს რუსეთსა და უკრაინაში: მოსკოვში, პეტერბურგში, ასტრახანში, კრემენჩუგში, მირგოროდში, ლისკოვოში (ნიჟნი-ნოვგოროდში), მოზდოვში, ყიზლარში და სხვ. ამ კერებში სხვადასხვა დროს კულტურულ-ლიტერატურულ მუშაობას ეწეოდნენ გამოჩენილი ქართველი მწერლები და მოღვაწეები, ცნობილი სასულიერო პირები, მთარგმნელები და კალიგრაფები. ასე წარმოიქმნა XVIII საუკუნის ქართული ემიგრანტული მწერლობა.

ქართული ემიგრანტული მწერლობას წარმოშობა რუსეთსა და უკრაინაში ერთგვარი მოვლენა იყო ქართული აზროვნების ისტორიაში და წარმოადგენდა ქართული ლიტერატურის კანონზომიერი განვითარების ახალ საფეხურს.

რუსეთში არსებულ ქართულ კულტურულ-ლიტერატურულ კერებს შორის თავისი სქმიანობით განსაკუთრებით გამოირჩეოდა მოსკოვის ქართული ახალშენი (კოლონია), რომელსაც საფუძველი ჩაეყარა ჯერ კიდევ XVII საუკუნის შუა წლებში,

როდესაც იქ ჩავიდა კახეთის მეფის თეიმურაზ I -ის შვილიშვილი ერეკლე ბატონიშვილი (ანუ, როგორც მას რუსეთში ეძახდნენ, ნიკოლოზ დავითის ძე). ქართველი ბატონიშვილის ამალის ზოგიერთი წევრი სამუდამოდ დარჩა მოსკოვში საცხოვრებლად და .რუს დიდებულებს დაუმოყვრდა.

XVII საუკუნის მიწურულში მოსკოვში გაემგზავრა არჩილ მეფე. თავისი ოჯახითა და მახლობლებით იგი სამუდამოდ დასახლდა მოსკოვში და სათავეში ჩაუდგა ქართულ ახალშენს. არჩილსა და მის შვილს ალექსანდრეს პეტრე დიდმა სამემკვიდრეოდ უბოძა მამულები. არჩილმა საცხოვრებელ ადგილად ვსესვიატსკოე აირჩია.

რუსეთის ხელისუფლებამ ერთგულება აღუთქვა ქართველ ემიგრანტებს, გამოუყო საცხოვრებელი ადგილები და ფულადი დახმარება მისცა. პეტრე პირველის ზრუნვა ქართველობაზე გამოწვეული იყო გარკვეული პოლიტიკური მიზნებით. ქართველი ემიგრანტები დაუახლოვდნენ რუსეთის სამეფო კარს, ურთიერთობა დაამყარეს მოწინავე რუს პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეებთან. მოსკოვის მახლობლად მდებარე ვსესვიატსკოეში მათ დააარსეს ქართული ახალშენი, რომელიც შემდეგში ერთგვარი თავშესაფარი გახდა საქართველოდან ჩასულთათვის.

ქართველებს რუსეთში ჩასვლა მოუხდათ მეტად მღელვარე ეპოქაში. იმ დროს იქ ვითარდებოდა ახალი კაპიტალისტური საწარმოო ურთიერთობანი. რუსეთის მთავრობის მთელი პოლიტიკა მიმართული იყო მემამულეებისა და ვაჭრების სახელმწიფოს განმტკიცებისკენ. ქვეყნის წინაშე წამოიჭრა ეკონომიური ჩამორჩენილობის დაძლევის, განათლებისა და მეცნიერების განვითარების საკითხები. აი ასეთ პირობებში მოუხდათ ცხოვრება ქართველ ემიგრანტ მოღვაწეებს.

მოსკოვში მცხოვრები ქართველებისთვის კულტურის კერას თავდაპირველად წარმოადგენდა წმ. ნიკოლოზის ბერძნული მონასტერი, ხოლო როდესაც პეტრე I-მა არჩილს განკარგულებაში გადასცა დონის მონასტერი, არჩილმა იქ მიიზიდა განათლებული ქართველი საეკლესიო პირები, რომლებთან ერთად იგი ეწეოდა დაუცხრომელ და მრავალფეროვან მოღვაწეობას. შემდეგში კი, არჩილის სიცოცხლეშივე, ქართველების კულტურულმა საქმიანობამ თანდათანობით გადაინაცვლა სოფ. ვსესვიატსკოეში, ანუ, როგორც მათ შეარქვეს, “სესენწკაში” თუ “ვსესეწკაში”, ხოლო არჩილის გარდაცვალების შემდეგ ქართული სტამბაც აქვე იქნა გადმოტანილი. მოსკოვის ქართული კოლონიის წევრები მრავალმხრივ კულტურულ-ლიტერატურულ მოღვაწეობას ეწეოდნენ, ძირითადად კი მათი საქმიანობა მთარგმნელობით მუშაობაში გამოიხატებოდა. ალექსანდრე არჩილის ძე, პეტრე ნეჟაძე, გაბრიელ ჩხეიძე, მელქისედეგ კავკასიძე, ბაგრატ სოლოდაშვილი, დავით თურქესტანიშვილი და ქართული ახალშენის სხვა წევრები, არჩილის უშუალო მონაწილეობითა და ხელმძღვანელობით, აქტიურად ჩაებნენ სამშობლოს საკეთილდღეოდ წამოწყებული ლიტერატურულ-შემოქმედებით საქმიანობაში. თვითონ არჩილი ენერგიას არ იშურებდა ქართული კულტურის განვითარებისთვის. მან საფუძველი ჩაუყარა მოსკოვში წიგნის ბეჭდვის საქმეს, რედაქციას უკეთებდა წიგნებს და თარგმნიდა რუსული ენიდან. არჩილმა შეაგროვა ქართული ბიბლიის სხვადასხვა ნუსხა, შეუდარა ისინი სლავურ ტექსტს და იქიდან ხელახლა გადმოთარგმნა ისო ზირაქისა და მაკაბელთა წიგნები, რომლებიც ქართულ ენაზე არ აღმოჩნდა. მისა დამზადებული მასალა შემდეგ საფუძველად დაედო ბიბლიის ბაქარისეულ გამოცემას (1743 წ.). 1705 წელს არჩილმა სახაზინო სტამბაში დააბეჭდინა ქართული “დავითნი”. არჩილმა რუსულიდან თარგმნა პეტრე მოგილას “მართლმადიდებელი აღსარებაჲ სარწმუნოებისა”, “ხრონოღრაფის” მეორე ნაწილი

პირველი ნაწილი ბერძნულიდან გადმოიღო მღვდელ-მონაზონმა ბაგრატ სოლოლაშვილმა, ათონის ივერიის მონასტრის მოღვაწემ, რომელიც არჩილს საქართველოდან მოსკოვში გაჰყვა) და “ალექსანდრიანი”. არჩილ მეფეს თუ მის შვილს ალექსანდრეს რუსულიდან გადმოუთარგმნია ასკეტიკურ-მისტიკური ხასიათის კრებული - “წიგნი სასურველი”, რომელიც შედგენილი ყოფილა რუსთა მეფის მიხეილ თევდორეს ძის დროს და მისი ინიციატივით. ალექსანდრე ბატონიშვილმა რუსულიდან თარგმნა სიმეონ პოლოცკის თხზულება და “ტესტამენტი”; გაბრიელ ჩხეიძემ 1707 წ. რუსულიდან გადმოიღო დიმიტრი როსტოველის(ტუპტალოს) თხზულება და ა. შ.

მოსკოვის ქართული ახალშენის კულტურულ-შემოქმედებითი ცხოვრება კიდევ უფრო ინტენსიური გახდა 1725 წლიდან, როდესაც ვახტანგ VI დიდი ამალით მოსკოვს ჩავიდა. მომავლის იმედით ჩრდილოეთისკენ გამგზავრებულ ქართველობას “უთუოდ ჰქონდა დასაბუთი სამხედრო-პოლიტიკურს გარდა, აგრეთვე სასწრვლო-კულტურული ამოცანები, რუსული კულტურის მიღწევათა ადგილზე გაცნობა და შეთვისება. უამისოდ გაუგებარი იქნებოდა იმდენი განათლებული კაცის ისე შორს გამგზავრება”¹⁰⁴.

ვახტანგთან ერთად საქართველოდან რუსეთში ჩავიდნენ საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწეები, მეცნიერები, პოეტები, მწერლები, მთარგმნელები, კალიგრაფები, საეკლესიო პირები. ერთი სიტყვით, იმდროინდელმა რჩეულმა ქართული ინტელიგენციის დიდმა ნაწილმა რუსეთში მოიყარა თავი. მათ შორის იყვნენ: სულხან-საბა ორბელიანი და მისი ძმები - ნიკოლოზ, დიმიტრი და ზაალ-ზოსიმე ორბელიანები, ვახუშტი და ბაქარ ბაგრატიონები, ონანა ქობულაშვილი, გაბრიელ გელოვანი, ოტია ფავლენიშვილი, მამუკა და თომა ბარათაშვილები და სხვ. შემდეგ მათ კვალს მიჰყვნენ დავით გურამიშვილი (1729 წ.), დიმიტრი სააკაძე (1734 წ.), ვახტანგ ორბელიანი (1737 წ.) და ა. შ. ამრიგად, მოსკოვის ქართული ახალშენი შეივსო და გაიზარდა ახალი შემოქმედებითი ძალებით. ახალშენი თითქმის XIX საუკუნემდე განაგრძობდა შევსებას სამშობლოდან გადახვეწილთა ახალ-ახალი თაობებით.

ვახტანგისა და მისი თანამოღვაწეების მოსკოვში ჩასვლის შემდეგ ვსუზვიატსკოე ქართველებისთვის კულტურის ძლიერ ცენტრად იქცა. აქ ფართოდ გაიშალა კულტურულ-ლიტერატურული და სამეცნიერო მუშაობა. ლიტერატურის სიყვარულსა და მეცნიერული მუშაობის მაგალითს თვითონ ვახტანგი იძლეოდა. პოლიტიკაში დამარცხებული მეფე-პოეტი მთელ თავის ცოდნასა და დაუღალავ ენერტიას ქართული ლიტერატურისა და მეცნიერების აყვავების საქმეს ახმარდა. ვახტანგმა მოსკოვში გალექსა ერასტი თურქესტანიშვილის მიერ რუსულიდან გადმოთარგმნილი აპოკრიფების კრებული - “მოკლედ სიტყვის გება სოგრატისი” რომელსაც “სიბრძნე მალაღობელი” უწოდა. აქვე გალექსა მან დიდაქტიკური თხზულების “ამირნასარიანის” პროზაული ვერსია, რომლის სპარსულიდან გადმოთარგმნა მასვე ეკუთვნის. იქ, რუსეთშივე დაწერა ვახტანგმა ლექსების დიდი ნაწილი.

უშუალოდ ვახტანგის მითითებებით, ხოლო ზოგჯერ კი მისივე თანამონაწილეობით, მიმდინარეობდა სამეცნიერო-ტექნიკური შრომებისა და მხატვრული ნაწარმოებების შეთხზვა ან თარგმნა. ასეთ თხზულებებს საგანგებო წარწერაც აქვთ

¹⁰⁴ ვ. დონდუა, ვახტანგ VI-ის დროინდელ საქართველოს პოლიტიკური ისტორიიდან (1712-1745), მიმომხილველი, III, 1953, გვ. 46.

ხოლმე: “ოდეს მობრძანდა მეფე ვახტანგ ქალაქსა მოსკოვს, მან მიბრძანა და თვითონ მანვე ქართულის ენით გაასწორა და ვრცლად დასწერაო”.

ვახტანგის დავალებით მამუკა ბარათაშვილმა გალექსა პოემა “ჯიმშედიანი” და დაწერა პირველი ქართული პოეტიკური ნაშრომი - “ლექსის სწავლის წიგნი” (“ჭაშნიკ”), ერასტი თურქესტანიშვილმა რუსულიდან თარგმნა “აპოვთეგმატა”, მიხეილ ელივიჩმა თარგმნა “სივაკის ზომა ანუ პლანიმეტრია”, მელქისედეგ კავკასიძემ გადაწერა ვახტანგის თხზულებათა შემცველი ცნობილი ხელნაწერი და სხვ.

თავიანთი შრომებითა და თარგმანებით ქართველმა ემიგრანტმა მწერლებმა გაამდიდრეს ქართული მეცნიერული ლიტერატურა და ქართველებისთვის ხელმისაწვდომი გახადეს მოწინავე რუსული მეცნიერების იმდროინდელი მიღწევები.

ვახტანგ VI-ის გარდაცვალების (1737 წ.) შემდეგ მალე ქართველი ემიგრანტების “ბედნიერებას” ფრთები შეეკვეცა. ვახტანგის სახით მოსკოვის ქართველობამ დაკარგა არა მარტო ყოველგვარი კულტურულ-ლიტერატურულ წამოწყებათა სულისჩამდგმელი, მეთაური და ორგანიზატორი, არამედ ის დიდი იმედიც, რომელიც მათ ანუგეშებდა, მომავლისადმი რწმენას უნერგავდა და სამშობლოში დაბრუნებას ჰპირდებოდა. გარდა ამისა, რუსეთის მთავრობამ ქართველ ემიგრანტებს შეუწყვიტა ის ნივთიერი დახმარება, რომელსაც მანამდე აძლევდა და აიძულა ისინი რუსეთის ქვეშევრდომობა მიეღოთ.

1738 წ. ჩამოყალიბდა ქართველ ჰუსართა შენაერთი, რომელიც შემდეგ პოლკად გადაკეთდა. რუსეთის მთავრობის სამხედრო და სამეურნეო ინტერესებმა განაპირობა ქართველების დასახლება უკრაინაში. სამხედრო სამსახურში შესულ ქართველებს რუსეთის ხელისუფლებამ უკრაინაში გამოუყო სამოსახლო ადგილები, რის გამოც ისინი უკრაინის ქალაქებში დასახლდნენ. მოსკოვში დარჩნენ ძირითადად ის ქართველები, რომლებმაც უარი განაცხადეს სამხედრო სამსახურში შესვლაზე. რუსეთის ხელისუფლებამ მათ ნივთიერ დახმარებაზე უარი უთხრა. ამიტომ ქართველი ემიგრანტები შემდგომში დიდ ეკონომიურ სივაწროვეს განიცდიდნენ.

ერთი მხრივ ვახტანგის გარდაცვალებამ, ხოლო მეორე მხრივ ქართული ემიგრაციის მიმართ რუსეთის ხელისუფლების მიერ გატარებულმა ღონისძიებებმა, უარყოფითად იმოქმედა მოსკოვის ქართულ ახალშენზე. ვახტანგის გარდაცვალებით გამოწვეულ ემიგრანტთა სულიერ კრიზისს დაემატა მათი ძირითადი ბირთვის დაქსაქსვა-დანაწილება და რუსეთის იმპერიის სხვადასხვა მხარეში, უმეტესად უკრაინაში, გაფანტვა. ყოველივე ამან დაასუსტა ახალშენის შემოქმედებითი ძალები. მიუხედავად ამისა, მოსკოვის ქართულმა ახალშენმა მაინც შეინარჩუნა თავისი სახე, არ დაიშალა და, მართალია შედარებით სუსტად, მაინც ძველი საქმიანობა განაგრძო. მოსკოვის ახალშენი არსებობას განაგრძობდა სხვადასხვა დროს საქართველოდან გადახვეწილი, მოსკოვში სხვა-დასხვა მოვალეობისთვის ჩასული თუ იქ დაბადებული ქართველების შევსებით.

ვახტანგის შემდეგ ქართული ემიგრაციის საქმიანობას სათავეში ჩაუდგნენ მისი მემკვიდრეები: ბაქარი, ვახუშტი და გიორგი ბაგრატიონები, ისინიც, სახელოვანი მამის მსგავსად, ძალ-ღონეს არ ზოგავდნენ ქართული მეცნიერების, კულტურისა და ლიტერატურის აღორძინებისთვის. ამ პერიოდში მოსკოვის ქართული ახალშენის კულტურული საქმიანობის მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ქართული სტამბის ამუშავება. 1737 - 1744 წწ. ამ სტამბაში დაიბეჭდა თერთმეტი დიდტანიანი წიგნი, რომელთაგან ოთხი რუსულიდან არის ნათარგმნი. მოსკოვის ქართული სტამბის

გამოცემებიდან აღსანიშნავია: “დავითნი” (1737), “ტესტამენტი” (1739), ბიბლია (1743), იოანე დამასკელის “გარდამოცემა უცილობელი მართლმადიდებელისა სარწმუნოებისა” (1744), სტეფანე იავორსკის “კლდე სარწმუნოებისა” და სხვ. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ამ წიგნების შემკულობანი ნასესხებია რუსული სტამბის გამოცემებიდან¹⁰⁵.

მოსკოვის ქართული ახალშენის საგამომცემლო მუშაობა წარიმართა ბაქარ ბატონიშვილის უშუალო მეთვალყურეობით. სასტამბო-საგამომცემლო სამუშაოებში კი აქტიურად მონაწილეობდნენ ამ საქმის გამოცდილი პირები და მდივან-მწიგნობრები: იოსებ თამაზის ძე ქობულაშვილი (იოსებ სამებელი), ქრისტეფორე გურამიშვილი, მელქისედეგ კავკასიძე, ბაქარის კარის მღვდელი ფილიპე, არქიმანდრიტი გერმანე და სხვ.

1745 წლიდან მოსკოვის ქართული სტამბის მუშაობა დროებით შეწყდა. 1762 წ. კი თბილისის მიტროპოლიტის ათანასე ამილახვარის ინიციატივითა და ხარჯით მოსკოვში განახლდა ქართული წიგნის ბეჭდვა. 1762 - 1768 წლებში აქ დაიბეჭდა ცხრა გამოცემა. განახლებულ ქართულ სტამბაში წიგნები იბეჭდებოდა დიმიტრი ციციშვილის “ზედამხედველობითა და მოურნეობითა” და “ხელითა მესტამბე აბრამ ურიაყოფილისათა”.

მოსკოვის ქართული გამოცემების ანდერძები მდიდარ კულტურულ-ისტორიულ მასალას წარმოადგენენ და მეტად საინტერესო ცნობებს შეიცავენ ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიის შესასწავლად.

მოსკოვის ქართული ახალშენი განაგრძობდა არსებობას საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგაც. “ქართული კოლონია მოსკოვში ამის შემდეგაც (რუსეთთან საქართველოს შეერთების შემდეგ - რედ.) დიდხანს არსებობდა როგორც ქართული კულტურის კერა და წარმატებით აგრძელებდა თავის საქმიანობას. ამ კოლონიის შემწეობით რუსული განათლებული საზოგადოება ეცნობოდა საქართველოს წარსულსა და აწმყოს. კოლონიის განსწავლული მოღვაწენი შემდგომშიაც განაგრძობდნენ მშობლიური კულტურისადმი სამსახურსა”¹⁰⁶.

მოსკოვის ქართული ახალშენის დაარსებას დადებითთან ერთად უარყოფითი მხარეებიც ჰქონდა. სხვას რომ თავი დავანებოთ, რუსეთში, გადასახლდა იმ დროინდელი ქართველი ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილი. ამასთან, ვახტანგის ამაღამ საქართველოდან გაიტანა მდიდარი სამეფო ბიბლიოთეკა, უამრავი ქართული ხელნაწერი და თბილისის სტამბის ნაწილები. ყოველივე ამან კი დიდი ხნით საგრძნობლად შეაფერხა საქართველოში გაჩაღებული კულტურულ-მეცნიერული და შემოქმედებითი მუშაობა. სამაგიეროდ, სამშობლოს ბედის მაძიებლებს უცხო მხარეშიც არ შეუწყვეტიათ სასარგებლო და ნაყოფიერი მუშაობა. “სთარგმნიდნენ რუსულიდან სამეცნიერო-სასწავლო წიგნებს, კვლავ აღადგინეს არჩილის მიერ გამართული სტამბა, სადაც ბეჭდავდნენ ქართულ წიგნებს, განაგრძობდნენ სამშობლოში დაწყებულ სამეცნიერო შრომებს, თხზავდნენ ლექსებს და სხვ. მაგრამ მათი ეს მოღვაწეობა საქართველოს შედარებით მცირეს რგებდა. მათი ნამუშევრები სამშობლოში მცირედ აღწევდა და აქ კულტურული მოღვაწეობის მოდუნების გამო ვერც სათანადო გამოძახილს პოულობდა და, რაც უმთავრესი იყო, დიდი ინტენსიური მუშაობის შედეგად შექმნილი ქართული კულტურის ეს კერა იქ,

¹⁰⁵ დაწერილებით იხ. ქართული წიგნი, ბიბლიოგრაფია. ტ. I, 1629-1920, თბ., 1941, გვ IX - XI.

¹⁰⁶ Н. Бердзенишвили, Путеводитель к выставке «Грузинская колония в Москве», მიმოხილველი, III, 1953, გვ. 285.

რუსეთში გადახიზნული, უმემკვიდროდ გადასაშენებლად იყო განწირული.

საქართველოს ნიადაგს მოწყვეტილი მოსკოვის კოლონია მშობლიურ კულტურულ მოღვაწეთა ახალ თაობებს არ ქმნიდა. მიუხედავად ამისა, ქარ-თველთა კოლონიის დადებითი მნიშვნელობა მაინც დიდი იყო. მან ძლიერად შეუწყო ხელი საქართველოს კულტურულ დაახლოებას რუსეთთან¹⁰⁷. გარდა ამისა, ქართული ახალშენი მოსკოვში ნამდვილი ცენტრი იყო პოლიტიკური ემიგრანტი-პატრიოტებისა, რომლებიც დაუცხრომლად იბრძოდნენ თურქი და სპარსელი მოძალადეებისგან სამშობლოს გასათავისუფლებლად¹⁰⁸.

მოსკოვის ქართული ახალშენის შემდეგ ქართული კულტურული-ლიტერატურული საქმიანობა ყველაზე უფრო გაჩაღებული იყო ასტრახანში. მოსკოვ - პეტერბურგში მიმავალ ქართველებს გაჩერება უხდებოდათ ქ. ასტრახანში (“ამტარხანში” თუ “ამტარხანში”), სადაც იღებდნენ გამგზავრების ნებართვას. ასტრახანის გეოგრაფიული მდებარეობა მეტად მოსახერხებელი იყო რუსეთის შიდა მხარეებში ნაოსნობისათვის. ამასთან, ქართველებისთვის ასტრახანი წარმოადგენდა ხელსაყრელ ადგილს რუსეთთან ვაჭრობის გასაძლიერებლად. ყოველივე ზემოთქმულის გარდა, რაც მთავარია, “ქართველ ემიგრანტთა პოლიტიკური ინტერესები მოითხოვდნენ სისტემატური ცოცხალი ურთიერთობის შენარჩუნებას საქართველოსთან. ასტრახანი იყო ის პუნქტი, საიდანაც ხორციელდებოდა ეს ურთიერთობა. ამიტომ არ შეიძლებოდა ასტრახანში ქართველთა გარკვეულინაწილი არ ყოფილიყო დამაგრებულია”¹⁰⁹.

1682 – 1685 წლებში ასტრახანში მოუხდა ცხოვრება რუსეთში მიმავალ არჩილ მეფეს. მან აქ გააჩაღა აქტიური შემოქმედებითი მუშაობა და დაწერა შემდეგი თხზულებანი: “საქართველოს ზნეობანი”, “სიტყვა სანათლისღებო”, “სამიჯნურონი”, “რვათა გვამისა ასოთა” და სხვ. ასტრახანშივე დაასრულა არჩილმა “გაბაასება თეიმურაზ პირველისა და რუსთველისა”

დაახლოებით ოთხი ათეული წლის შემდეგ რუსეთში გაემგზავრა ვახტანგ VI. ლტოლვილი მეფე თავისი ამალით ასტრახანში ჩავიდა 1724 წ. 8 ნოემბერს, ხოლო აქედან, აველაზე უფრო ახლობლებით, 1725 წ. 2 თებერვალს პეტერბურგს .გაემგზავრა. ვახტანგის ამალის დიდი ნაწილი კი, რუსუდან დედოფალთან ერთად, დროებით ასტრახანში დარჩა.

ასტრახანიდან ვახტანგის გამგზავრების შემდეგ იქ დარჩენილ მეფის ამალას ადგილობრივმა ხელისუფლების წარმომადგენლებმა ყურადღება მოაკლეს და ეკონომიური პირობებიც გაუუარესეს. რუსუდან დედოფლის წასაყვანად პეტერბურტიდან ჩასული ოფიციალური პირი საგარეო საქმეთა კოლეგიისადმი წარგზავნილ ცნობაში წერდა: « Наги и голодин, которые себе пропитание имеют работою у Астраханских обовителей, на что князья их и архиерей не уважают»¹¹⁰.ამაღის ერთ-ერთმა წევრმა, ნიკოლოზ ორბელიანმა, დაწერა იამბიკო, რომელშიც აღწერილია ასტრახანში მყოფი ქართველების მძიმე მდგომარეობა. იგი პეტერბურგში მყოფ ვახტანგს ატყობინებს, რომ არა გვაქვს “არ წამალ სენტა, არ საზრდელ გვამთაო”, “გვხმობენ ქირდებით და ვიბრუნებთ სულსა ესრეთ მცირით

¹⁰⁷ ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, ნ. ბერძნიშვილი, საქართველოს ისტორია, 1948, გვ. 327.

¹⁰⁸ Н. Бердзенишвили, Путеводитель к выtavке «Грузинская колония вМаскве» მიმოხილველი, III, 1953, გვ. 283.

¹⁰⁹ გ. პაპავა, ქართველების დასახლება რუსეთსა და უკრაინაში (XVIII ს.). ცალკე ამონაბეჭდი, გვ. 144.

¹¹⁰ ს. ყუბანეიშვილი, სულხან- საბა ორბელიანის გამგზავრება მოსკოვში, ლიტერატურული ძიებანი, ტ. XI 1958, გვ. 73.

დიდებითო”. ასეთი მდგომარეობის გამო იგი უსაყვედურებს ვახტანგს: “თუ სულიერ ხარ, ესრეთ ვითარ ვისჯებითო”. გამწარებული ასეთი ცხოვრებით, ნიკ. ორბელიანი დასძენს: “მქეპი წაწყმდეს აქ უცხოთ შეწყნარებისათ”.

მიუხედავად იმისა, რომ ასტრახანში ლიტერატურულ-შემოქმედებითი საქმიანობისთვის სათანადო პირობები არ იყო შექმნილი, იქ დარჩენილ ამაღლის წევრებს, უსაქმოდ ყოფნას გამო და სამშობლოს დატოვებისგან გამოწვევდელი კაემნის გასაქარვებლად, განუგრძვიათ სამშობლოში დაწყებული ინტენსიური ლიტერატურულ-კულტურული მუშაობა. აკი აცხადებს მამუკა ბარათაშვილი “წამებულში”: “ცუდ ყოფით, ფიქრით შეკრულმან და უსაქმობით მარემან, მამ რა ქმნას მწირმან მწირს ალაგს... არც იკითხოს და არც წეროს?”

ასტრახანში დარჩენილ ქართველობას პოლიტიკურ და კულტურულ ხელმძღვანელობას უწევდა უფლისწული ვახუშტი. ასტრახანის ლიტერატურულ წრეში ამ დროს ირიცხებოდნენ: ონანა ქობულაშვილი, ნიკოლოზ და დიმიტრი ორბელიანები, მამუკა და თომა ბარათაშვილები, ოტია ფავლენიშვილი, ჯავახიშვილი და სხვები. ქართული კულტურის ეს უანგარო მოამაგენი დიდი მონდომებით ამრავლებდნენ ძველ ქართულ ხელნაწერებს, მრავლად თარგმნიდნენ ლიტერატურულ-მეცნიერულ წიგნებს, თხზავდნენ მხატვრულ ნაწარმოებებს. ონანა ქობულაშვილმა გალექსა “ბარამგულიჯანიანი”, მამუკა ბარათაშვილმა აქ მიიღო თავისი პირველი პოეტური ნათლობა და დაწერა “წამებული”, ნიკოლოზ ორბელიანმა შეთხზა იაბიკო. იოსებ კლდიაშვილმა გადაქანუსხა იოანე დამასკელის “მოკლე წინამძღვარია და ა. შ. უფრო მოგვიანებით ასტრახანში ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ გაიოზ რექტორი (გარდ. 1821), ალექსანდრე დიმიტრის ძე ამილახვარი (1750 - 1802), ზაქარია გაბაშვილი (გარდ. 1783) და გრიგოლ იოანეს ძე ბაგრატიონი (1789-1830).

ნაყოფიერი ლიტერატურული მუშაობა მიმდინარეობდა უკრაინის ქალაქ კრემენჩუგში. აქ 1785 - 1790 წლებში მოღვაწეობდა გაიოზ რექტორი. კრემენჩუგში დაწერა მან “გრამატიკა” “ქრისტიანობრივი სწავლა ანუ ჭემმარტი სიტყვა ღმრთისა: და რუსულიდან თარგმნა ამბროსი მედიოლიანლის თხზულებანი, “საეკლესიო ისტორია”, “დილის ლოცვანია და სხვ.

1787 - 1789 წლებში კრემენჩუგში იმყოფება ბესარიონ გაბაშვილი (ბესიკი), რომელიც გენერალ პოტიომკინთან იყო წარგზავნილი იმერეთის მეფის დავითის მიერ. აქ ბესიკს არ შეუხელებია ლიტერატურულ-შემოქმედებითი მუშაობა და დაუწერია ლექსები.

ქართლ-კახეთის საქმეებთან დაკავშირებით 1787 წელს კრემენჩუგში ზავიდა მირიან ბატონიშვილიც (1767 - 1834). სწორედ აქ, კრემენჩუგში, მას უნდა შეხვედროდა მირგოროდიდან ჩამოსული დავით გურამიშვილი, რომელმაც მიართვა თავისი ნაწერების კრებული; პოეტი და მწიგნობრობის მოყვარული უბფლისწული უახლოვდება კრემენჩუგში მყოფ ბესიკსა და გაიოზ რექტორს და მათთან ერთად აქტიურად ებმება ლიტერატურულ საქმიანობაში. ამ ამაგდარი სამეულის გარდა, კრემენჩუგში მოღვაწეობდნენ სხვა ქართველებიც, რომელთა საქმიანობაც, უმთავრესად, მთარგმნელობით-კალიგრაფიული ხასიათისა იყო.

საგამომცემლო-ლიტერატურული მუშაობა გაჩაღებული იყო ქ. მოზდოკშიც, სადაც ახლად დაარსებულ ეპარქიას (1793 წ.) განაგებდა გაიოზ რექტორი. მან თავისი ცხოვრება უმეტესად რუსეთში გაატარა. იგი ცხოვრობდა მოლდავეთში, პეტერბურგში, სარატოვში, ასტრახანსა და პენზაში. ამიტომ გაიოზის ლიტერატურული საქმიანობა რუსული მწერლობის ზეგავლენით წარიმართა. მისი

თანამედროვის სიტყვით, “ესე იყო ფრიად განსწავლული რუსულისა... ამან თარგმნა რუსულიდან უმრავლესნი წიგნნი ვითარცა სამოქალაქო, აგრეთვე საეკლესიონი, ვიდრე 400-მდე”.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს გაიოზ რექტორის ინიციატივითა და ხარჯით ქართული სტამბის მოწყობა მოზდოვში. აღნიშნული სტამბა მუშაობდა 1796 - 1801 წლებში სტამბის ოსტატის რომანოზ რაზმაძე-ზუბაშვილის თაოსნობით. მოზდოვის სტამბის გამოცემებიდან ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ ოთხმა: რომანოზ ზუბაშვილის წერილი გაიოზისადმი (1796), გაიოზის “გრამატიკა” (1796 - 1800), მისივე “ანბანი, ლოცვანი, მოკლე საქრისტიანო სწავლა” (1797) და “განწესება შინაგანისა საქართველოსა მართვისა” (1801).

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, მეცნიერულ-ლიტერატურული და მთარგმნელობით-კალიგრაფიული საქმიანობა წარმატებით იყო გაშლილი რუსეთის დანარჩენ ქართულ ახალშენებშიც. ქართული კულტურის დაუღალავი მუშაკნი წლითიწლობით ერთგულად ემსახურებოდნენ ჩვენს მწერლობას. მათი ორიგინალური თუ ნათარგმნი თხზულებანი ქართული ლიტერატურის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

ქართული ემიგრანტული მწერლობა ძირითადად განაგრძობდა ძველი ქართული ლიტერატურის მდიდარსა და მრავალსაუკუნოვან ტრადიციებს. მაგრამ, ამასთანავე, ქართულ ლიტერატურაში ემიგრანტმა მწერლებმა შეიტანეს ბევრი ახალიც, პოეზია გაამდიდრეს ფინაარსობლივად ჟანრობრივად, გადაახალისეს მანამდე გამოყენებული პოეტური ფორმები, შემოიტანეს ახალი ლექსიკა და სხვ. ახალი ცხოვრება, ახალი ურთიერთობის დამყარება იწვევს ლიტერატურის შინაარსისა და ფორმების განახლებას. ემიგრანტთა სოციალურპოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობის გავლენით ლიტერატურა იძენს ახალ თვისებებს.

რუსეთში შექმნილი იმდროინდელი სოციალურ-პოლიტიკური ვითარების გამო ქართული ემიგრაცია აღმოჩნდა არასასურველ მდგომარეობაში: სამშობლოდან გადახვეწას დაემატა ნივთიერი სივიწროვეც. პოლიტიკური და ეკონომიური პირობების შეცვლამ ემიგრანტ მწერლებში გამოიწვია ცხოვრების უარყოფითი შეფასება. ეს მოტივი საკმაოდ ძლიერადაა წარმოდგენილი მათს ლირიკულ ლექსებში. მათი ლექსებიდან მკვეთრად მჟღავნდება იმედგაცრუებული ემიგრაციის მდგომარეობა და მათი სულიერი მღელვარება, სასოწარკვეთილებისა და გულგატეხილობის განწყობილება. ისინი უჩივიან ამ სოფლის მუხთლობას, ცრუობას, გაუტანლობას, დაუნდობლობას. ამ გარემოებამ კი, თავის მხრივ, ხელი შეუწყო ემიგრანტთა შემოქმედებაში რომანტიზმის საწყისების გაჩენას.

ემიგრანტმა მწერლებმა ნათელი ფერებით გადმოგვცეს მათი თანადროული ცხოვრება, სოციალური და პოლიტიკური მდგომარეობა. მათ თხზულებებში უკვე აშკარად შეიმჩნევა თანდათანობითი დაშორება საეკლესიო-რელიგიური ინტერესებიდან სამოქალაქო, ამქვეყნიური, ყოველდღიური ინტერესებისაკენ. ემიგრანტი მწერლები გვიხატავენ რეალისტურ-საყოფაცხოვრებო სურათებს, მათს თხზულებებში თავს იჩენს ახალი, საერო მსოფლმხედველობა.

ემიგრანტთა ნაწერებში განსაკუთრებით ძლიერად ჟღერს დიდაქტიკური ელემენტი. ამ დროს ვითარდება დიდაქტიკური ლიტერატურა. ამ თხზულებებში საკმაოდ გვხვდება ჯანსაღი აზრები და განმარტებები, რომლებიც მოწმობენ მათი ავტორების დიდ განსწავლულობას.

ემიგრანტულ ლიტერატურას ნაკლებად ახასიათებს სადევემდრო და საზღაპრო შინაარსის თემები, ან სატრფიალო-სამიჯნურო პოემები. მათი შემოქმედების საგანი

ყოველდღიური ამბებია, ისინი ახლოს დგანან ცხოვრებასთან და ცხოვრების ყოველდღიური სინამდვილით სულდგმულობენ. ალბათ, ნაწილობრივ ამიტაც არის გამოწვეული, რომ ემიგრანტმა მწერლებმა თავიანთ შემოქმედებაში უხვად გამოიყენეს ავტობიოგრაფიული ხასიათის მასალები. მეორე მხრივ, საპატიო ადგილს იჭერს მათს შემოქმედებაში ეროვნული მოტივი.

“რუსეთისა და უკრაინის ქართულ კოლონიებში შექმნილ ნაწარმოებებში იგრძნობა ერთი გარცვეული კილო, სამშობლოდან იძულებითი გარდახვეწით გამოწვეული სევდა-ნაღველი, სპეციფიკური ემიგრანტული მჭმუნვარება. ამიტომაც აღნიშნული კოლონიების მწერლობას XVIII საუკუნის ემიგრანტულ ქართულ მწერლობასაც უწოდებენ”¹¹¹.

ემიგრანტი მწერლების შემოქმედების სპეციფიკურმა კილომ, მოტივმა გამოხატულება ჰპოვა შესატყვის ფორმაში. ახალი თემების .დასამუშავებლად, რომლებშიც გადმოცემული იყო პიროვნების ინტიმური გრძნობა-განწყობილებანი, საჭირო გახდა ლექსის ახალი სახეები, ფორმები. ვრცელი და გრძელი ლექსების ნაცვლად, თავისი განწყობილებების გადმოსაცემად, ემიგრანტი მწერლები მიმართავენ მოკლე ლირიკულ ლექსებს.

ახალი ფორმების ძიებით ემიგრანტი მწერლები ქართულ ლიტერატურას ამდიდრებენ ახალი გამომსახველობითი საშუალებებით. მართალია, ზოგჯერ ამ ლექსებში უფრო მეტია ფორმალური ვერსიფიკატორობა, ვიდრე ნამდვილი ცხოველმყოფელი პოეტური აღტყინება, ხშირად მათი ენაც შედარებით მძიმეა, მაგრამ ამ პოეტური ქმნილებებით ემიგრანტმა მწერლებმა ქართულ ლიტერატურაში შემოიტანეს ლექსის ახალი ფორმები და ჟანრები.

ემიგრანტი მწერლები მშობლიურ ლიტერატურას ამდიდრებენ თარგმანებითაც. რუსეთსა და უკრაინაში ქართული ახალშენების ჩამოყალიბებამ ხელი შეუწყო ნათარგმნი ლიტერატურის მასობრივად წარმოშობას და გავრცელებას. რუსეთის გზითვე გავრცელდა ჩვენში დასავლეთ ევროპის ლიტერატურა. თარგმანების მეშვეობით ქართველი მკითხველები ეცნობიან რუსული და ევროპული მწერლობის სხვადასხვა დარგს. რუსულ-სლავურიდან ქართველები თარგმნიდნენ როგორც სასულიერო ძეგლებს, ისე იმ დროს რუსეთში გავრცელებულ საერო ხასიათის წიგნებსაც. პირველ ხანებში თარგმნილი ლიტერატურა უმთავრესად შეადგენდა მორალურ-ფილოსოფიური და დიდაქტიციური ხასიათის ნაწარმოებებს, რომელთა მიზანს წარმოადგენდა ზნეობრივი დარიგებანი. ამ სახის თხზულებათა თარგმანი ქართველ მკითხველს უნერგავდა ცოდნის საჭიროებას, უვითარებდა ლტოლვას განათლებისკენ. შემდეგ კი მხატვრულთან ერთად ითარგმნებოდა მეცნიერული, ტექნიკური, სამხედრო თუ სხვა სახის წიგნები და შრომები. ნათარგმნმა ლიტერატურამ ქართველ მკითხველებს გააცნო ზოგიერთი ახალი ჟანრი და მხატვრული საშუალებანი.

ზუსტ, ზედმძწევნით თარგმანთან ერთად ქართველი მთარგმნელები ხშირად გვამღევენ ტექსტის არაზუსტ, უფრო სწორად, თავისუფალ თარგმანს. თავისი შეხედულებებისდა მიხედვით ისინი თავისებურად ცვლიდნენ, კუმშავდნენ და ავრცობდნენ თარგმანის ადგილებს, აქართულებდნენ ადამიანთა რუსულ, ეროვნულ სახელებს, ცვლიდნენ გეოგრაფიულ სახელწოდებებს, რუსეთის გეოგრაფიულ პუნქტებს საქართველოს ადგილმდებარეობით ასხვაფერებდნენ. ერთი სიტყვით,

¹¹¹ ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I. კ. კეკელიძე, ალ. ბარამიძე, ძველი ქართული ლიტერატურა (V – XVIII სს.), 1954, გვ. 426 - 427.

გვამღევდნენ გადამუშავებულ ტექსტებს. ამით ისინი ცდილობდნენ ნაწარმოების “გადმოქართულებას”, რათა თხზულების შინაარსი უფრო გასაგები და მისაწვდომი გაეხადათ ქართველი მკითხველისთვის.

რუსეთ-უკრაინის ქართული ახალშენები ხელს უწყობდნენ რუსი და ქართველი ხალხების ლიტერატურის ურთიერთ გაცნობას. მთარგმნელობითი პროცესი არ იყო მხოლოდ ცალმხრივი — არა ერთი თხზულება იქნა გადათარგმნილი ქართულიდან რუსულ ენაზე. ასე, მაგალითად, ქართული ენიდან რუსულად უთარგმნიათ პოლტავაში შვედებზე ძლევამოსილი გამარჯვების აღსანიშნავად არჩილ მეფის მიერ საგანგებოდ დაწერილი ლექსი, “ზარამგულანდამიანი” (მთარგმნ. სიმონ ეგნატაშვილი), ალექსანდრე ამილახვრის “გეორგიანული ისტორია”, მისივე “ასტრახანში” და სხვ.

ქართველი ემიგრანტი მწერლები თავიანთი შემოქმედებითა და პრაქტიკული მოღვაწეობით ხელს უწყობდნენ რუს და ქართველ ხალხებს შორის კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობის განმტკიცებას. მათ შეითვისეს მოწინავე რუსული კულტურის საუკეთესო ტრადიციები და ორგანულად შეუკავშირეს ის თავის მრავალსაუკუნოვან კულტურას. რუსულმა მოწინავე კულტურამ კეთილნაყოფიერი გავლენა იქონია ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებასა და ლიტერატურაზე. სწორედ ამ კულტურის ზემოქმედებით არსებობას განაგრძობს აღორძინებული ახალი ქართული თეატრი და დრამატურგია და XVIII საუკუნის მეორე ნახევარში დასასრულ, რუსეთის ქართული ახალშენების მოღვაწეთა წარმატებითი პოლიტიკური და კულტურულ-ლიტერატურული საქმიანობით ნიადაგი მომზადდა საქართველოს შესასვლელად რუსეთის სახელმწიფოს მფარველობაში. “თვით ის ფაქტი, რომ რუსეთში ქართული საქმის კეთებას ხელს არავინ უშლიდა და თვით რუსულ მაღალ კულტურასთან ურთიერთობაში საქმე წინ მიდიოდა, იმის აშკარა მაჩვენებელი იყო, რომ რუსეთი სხვა მეზობელთაგან განსხვავებული “ქართველობისათვის” ნაკლებ საშიში, მყუდრო და განათლებული თავშესაფარი იყო”¹¹².

ქვემოთ განხილულია XVIII საუკუნის ქართული ემიგრანტული მწერლობის წარმომადგენელთა ცხოვრება-შემოქმედება.

მამუკა ბარათაშვილი

მამუკა ბარათაშვილის შესახებ მეტად მწირი ცნობები მოგვეპოვება. ეს აიხსნება, ალბათ, იმით, რომ თავისი სიცოცხლის უკანასკნელი წლების გატარება მამუკას რუსეთში მოუხდა და მის შესახებ ცნობები უკვალოდ დაიკარგა¹¹³.

მამუკა ავთანდილის ძე ბარათაშვილი დაახლოებული იყო სამეფო კართან. თანამდებობით ყოფილა მეფის ხმლის მჭერელი. როდესაც ვასტანგ VI დიდი ამალით 1724 წელს რუსეთს წავიდა, მამუკა თავისი ძმებით გაჰყვა მას. ვახტანგის ამალა ასტრახანში გაჩერდა, თვითონ ვახტანგი კი ახლობლებით პეტერბურგისკენ

¹¹² ი. ბარათაშვილი, ბარათაშვილი ბარათაშვილი ი. ბარათაშვილი ბარათაშვილი (1752 — 1754), ბარათაშვილი ბარათაშვილი, ი. 6, 1952, ი. 133.

¹¹³ კ. კ. ე. ლ. ი. ძ. ე., ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1958, გვ. 627 — 638; ალ. ბ. ა. მ. ი. ძ. ე., ნარკვევები, II, 1940, გვ. 456 — 461; გ. მ. ი. ძ. ე., მამუკა ბარათაშვილი (ცხოვრება და შემოქმედება), 1958.

გაემართა. მამუკაც ასტრახანში დარჩა. ასტრახანში დარჩენილმა მხლებლებმა დაიწყეს ინტენსიური ლიტერატურული მუშაობა. ვახტანგის ლიტერატურულ წრეში ამ დროს შედიოდნენ: დიმიტრი ორბელიანი, ონანა მდივანი (ქობულაშვილი), დიმიტრი სააკაძე, მამუკა გურამიშვილი, მამუკას ძმა — თომა ბარათაშვილი და სხვები. ამ წრეში აქტიურად ჩაბმულა მამუკა ბარათაშვილიც.

1728 წელს მამუკა მონაწილეა იმ დიპლომატიური მისიისა, რომელიც რუსეთის მთავრობამ გაგზავნა ვახტანგ მეფის მეთაურობით შაჰ-თამაზთან კასპიის ზღვის სანაპიროთა საქმეების შესახებ მოსალაპარაკებლად.

1730 წელს მოსკოვში მყოფ ვახტანგის ამაღას შეუერთდა დ. გურამიშვილი. ჩასვლისთანავე დავითს ლიტერატურული ურთიერთობა დაუმყარებია მამუკასთან და მისი ლიტერატურული შეხედულებების ცხოვრებაში გამტარებელი გამხდარა. ადვილად საფიქრებელია ისიც, რომ მამუკა, დავით გურამიშვილთან ერთად, აქტიურად მონაწილეობდა სამეფო კარზე გამართულ ლიტერატურულ პაექრობებშიც.

1731 წელს მამუკამ მოსკოვში დაწერა თავისი ცნობილი “ლექსის სწავლის წიგნი” (“ჭაშნიკი”). 1732 წელს მამუკამ გალექსა “რუსუდანის” მეორე თავი, რომელსაც “ჯიმშედიანი” ეწოდება. 1733 წელს დ. გურამიშვილთან ერთად მამუკა მდ. ვოლგით კავკასიისკენ მიჰყვება ვახტანგ მეფეს საქართველოს გამოსახსნელად. იმედგაცრუებული ვახტანგი საქართველოში ვეღარ ჩამოვიდა. იგი საცხოვრებლად ასტრახანში დასახლდა. მამუკა ასტრახანიდან მოსკოვში გადავიდა ბაქართან და იქ 1734 წ. დაწერა “ქება მეფის ბაქარისა”.

1736 წლის ახლო ხანებში ქართველი თავადაზნაურების დავალებით მამუკა პეტერბურგში წარუდგა რუსეთის დედოფალს ანა იოანეს ასულს (1693 — 1740) და სთხოვა ლტოლვილი მეფე სამშობლოში დაებრუნებინა.

1737 წელს ვახტანგი გარდაიცვალა, რის შემდეგ რუსეთის მთავრობამ ქართველ ემიგრანტებს წინადადება მისცა: ან რუსეთის ქვეშევრდომობა მიეღოთ, ან სამშობლოში წასულიყვნენ. ვახტანგის ორიენტაციის მომხრეებს ქართლში არ მოესვლებოდათ. მათ პირველი წინადადება აირჩიეს — რუსეთში დარჩენ. რუსეთში დარჩა მამუკაც...

დღემდე არ არის ცნობილი, თუ როდის გარდაიცვალა მამუკა. 1750 წ. იგი ჯერ კიდევ ცოცხალია. ამ წელს გარდაიცვალა მისი პატრონი ბაქარი, რის გამოც მამუკამ მანამდე დაწერილ თავის ლექსს “ბაქარის ქებას” დაუმატა კიდევ ორი სტროფი, რომელშიც აღწერა რუსეთში მყოფი ქართველების მიერ ბაქარის დატირების სურათი.

* * *

მამუკა ბარათაშვილი ემიგრანტული მწერლობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. მისი პოეზია გამსჭვალულია თითქმის ყველა იმ ნიშნით, რომლებიც ახასიათებს მაშინდელ ქართულ ემიგრანტულ ლიტერატურას.

მამუკა ბარათაშვილის შემოქმედების მთავარი მოტივია მდურვა სოფლისადმი, გამოწვეული სამშობლო ქვეყნის უნუგემო მდგომარეობითა და პირადი ცხოვრების ტრაგიკულობით. მისი ლირიკული ლექსები¹¹⁴ დაწერილია უცხოეთში. ბუნებრივია, ამ გარემოებას არ შეეძლო თავისი კვალი არ დაეჩნია მამუკას შემოქმედებისთვის.

¹¹⁴ ლირიკული ლექსები ნაწილობრივ გამოქვეყნებულია “ანთოლოგიასა” (ტ. II, 1928, გვ. 187 — 193) და “ჩვენ საუნჯეში” (ტ. 5, 160, გვ. 217 — 220).

ერთ ლექსში პოეტი ამბობს: “ვეღარ გავძეღ უთქმელობა გულთა ჩემთა განზრახვისაო” (“შაირის ტაეპი”). ასტრახანში ჯერ კიდევ ახლად დასახლებული პოეტი გულისტკივილით უწინასწარმეტყველებდა თავის თავს: “აწ სოფლისაგან სიმუხთლე, ვიცი, არ ამცილდებისაო” (“წამებული”). “მრჩობლედში” კი მამუკას გადმოცემული აქვს “მწირობა სხვათა თემისა, უხმარ და უქმად გდებანი”. უცხოობაში მყოფი პოეტი განიცის გაჭირვებას, უთვისტომობასა და უნუგემობას. მისი თქმით, უცხოეთში მყოფი ადამიანისთვის სიტკბო შექმნილია სიმწარედ, შხამად. “შაირში” მამუკა შემდეგნაირად გადმოგვცემს თავის ბედის უკუღმართობას:

ჰე, სოფელო, შენთა მსგავსი, ვითა გწადდა, დამემართა,
სიცრუვითა აღლესილი გულთა მკარ და დამემართა,
ჰსჯობდა შენდა მიმედრიკა, სხვაგან სითმე დამემართა,
მაგრამ მიჰხსნის შენგან კიდევ მარიამის და მე მართა.

ამ ნიადაგზე წარმოიშვა პოეტში ცხოვრებით გამოწვეული უკმაყოფილების გრძნობა, რომელმაც პოეტს სევდიანად წარმოათქმევინა: “ნუმცა ვის მოგხვდეს ჩემებრივ, გული მკვნეს აღმომტირებადო” (“მრჩობლედი”).

პოეტის თქმით, სოფელი მუხთალია, გაუტანელი, ჭრელი. სოფლის მდურვის თემაზე დაწერილ ლექსებში მოცემულია ადამიანისა და სინამდვილის კონტრასტი და შეუთანხმებლობა.

ფეოდალური კლასის მარცხმა და სამშობლო ქვეყნიდან მოშორებამ გააღრმავა პოეტის გულგატეხილობა. “მოკლე შეწყობილში” მამუკა წუთისოფელს უსაყვედურებს, რომ “წყეულ ხარ, — ბევრი ჩივისა, მაქებრად არვინ გივისა”, და დასძენს: “ბევრი ჰყავს ჩემებრ მდურავიო”.

ლექსში “ცრუ და მცბიერი წუთისოფელი” პოეტი ამბობს, რომ წუთისოფელი ადამიანს “პირველ ახარებს, ბოლოდ ამწარებს”, მხიარულებას მწუხარებით შეუცვლის, ანუ, მამუკას პოეტური თქმით, “შვებისა ჟამად სიბნელე მოგცის, არ გაგითენდა”. წუთისოფლად “ოხვრა და ახი უწონელია”, ამიტომ “გმობა სჯობს მისი”. ცხოვრებისგან გატანჯულმა პოეტმა ასეთი სიტყვებიც კი წამოისროლა წუთისოფელზე: “წყეულ არს იგი და მისი ქნაცი”.

“ლექსი მოკლემში” პოეტი გადმოგვცემს წუთისოფლის სიმუხთლეს და, ტანჯვა-გაჭირვება გამოვლილი, სხვებს არიგებს, რომ არ მიენდონ ამაო წუთისოფელს:

ვინ ენდო მცირედ მყოფელსა,
შეიქმს ჩემებრივ მყოფელსა..

დავგმე და სული უხარი
მათ, ვინცა მისგან უხარი.

მიწყვი ვემდურით წყეულსა,
მაგრამ მოგვაგებს წყეულსა.

.....
.....
საწუთო ერთის წამისა,
განეშორენით წამისა.

მიუხედავად სოფლის ასეთი გაუტანლობისა, მამუკა საბოლოოდ მაინც არ

მიდის წუთისოფლის სრულ უარყოფამდე. ერთ-ერთ ლექსში იგი მიუთითებს სინამდვილესთან შერიგების აუცილებლობაზე:

რადგან ვიყავ მისი მდომი, არა მმართველს მისთვის ომი,
ჭმუნვა მომცეს თუ რაზომი, უნდა ვიყო მუდამ მთმომი,
მაგრამ ჩემებრ კაცთა ტომი არ უქმნია ჭირთა მწდომი,
ურიცხვი და განუზომი ჩემთვის ჰბადა მოსარჩომი.
(“რვული”)

პოეტს საქებრად მიაჩნია ის ადამიანი, რომელიც ამქვეყნიური ცხოვრების სიამოვნებას არ ეურჩება: “იქებიან, რომელიცა ეურჩების სიამოვნეს ამ წუთისა არასდროსა” (“გრძლელი შაირი სამკვეთი”). ხოლო ლექსში “მრჩობლელი”, აღწერს რა უცხოეთში მყოფი ადამიანის უნუგეშო მდგომარეობას, პოეტი დაასკვნის, რომ ადამიანი სასოწარკვეთილებას არ უნდა მიეცეს, პირიქით, მან ახალგაზრდული გატაცებით უნდა იმხიარულოს, დრო ატაროს, უარყოს ზედმეტი ვაება:

ვითა ყრმა, წამად შვებული, წამ ურვამოპოვნებული,
გულს უყვავებდეთ, ალხენდეთ, რა გერგოსთ იგი ვნებული.

უხვად ვხვდებით მამუკასთან სამიჯნურო თემაზე დაწერილ ლექსებს. სატრფიალო-სამიჯნურო ლექსებში მამუკამ პრაქტიკულად გადადგა ნაბიჯი რეალური ქალის სადიდებლად. მის პოეტიკურ ტრაქტატში გამოთქმული შეხედულება ღვთიური სიყვარულის შესახებ, რომლის თაობაზეც “ლექსის სწავლის წიგნის” მიმოხილვისას გვექნება საუბარი, მისთვის მხოლოდ მოწოდებად დარჩა.

მამუკას შემოქმედებაში ასახული სიყვარული ამქვეყნიური და რეალურია. სწორედ ამაში მდგომარეობს უმთავრესად მამუკა ბარათაშვილის სატრფიალო-სამიჯნურო ლექსების ღირსება. სატრფიალო თემაზე დაწერილი მისი ლექსები გამოირჩევა თავისი მაღალმხატვრულობითაც. შემოქმედებითი შესაძლებლობა და ნიჭი მამუკამ სწორედ სატრფიალო ლირიკაში გამოავლინა.

თავისებურად ესმის მამუკას სიყვარული. სიყვარულის გრძნობა მას სხვა გრძნობებზე უფრო ძლიერად მიაჩნია. სიყვარულის პრობლემას მამუკა სილამაზის საკითხს უკავშირებს. ფიზიკური მშვენიერება, პოეტის აზრით, ადამიანში აღმძვრელია სულიერი განცდებისა. მამუკას სატრფიალო-სამიჯნურო ლექსების მნიშვნელოვანი ნაწილის საგნად გამხდარა ქალის გარეგნული მშვენიერების აღწერა. სატრფოს სხეულის ყოველი ნაკვეთი მისი პოეტური ქების საგანია. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით ყურადსაღებია ლექსი “ვიხილე შენი შვენება”, რომელშიც პოეტი მხატვრული პარალელიზმების საშუალებით ოსტატურად ახერხებს ქალის გარეგნული სიმშვენიერის გადმოცემას.

მამუკა აგვიწერს არა მარტო სატრფოს გარეგნულ სილამაზეს, არამედ იმ შინაგან განცდებსაც, რომლებიც ახასიათებს შეყვარებულთ. აღნიშნულთან ერთად მამუკა გვითვალისწინებს თავის დამოკიდებულებას ამ გრძნობისადმი, რის გამოც ზოგიერთი მისი სატრფიალო ლექსი ინტიმური გრძნობისა და პირადი განცდების ხასიათს ატარებს და გვაცნობს შემოქმედის შინაგან სამყაროს.

მამუკას ზოგიერთი ლექსის მიხედვით ქალი ცხოვრების მამოძრავებელი ძალაა და ბედნიერების მომტანი. ამიტომ მის ლექსებში მოცემული სიყვარული ყოველთვის წმინდაა, ფაქიზი. მამუკას ლექსებში ნაკლებადაა წუთიერი, ხორციელი სიყვარული.

მამუკას ყურადღების გარეშე არ დაუტოვებია ცოლქმრული ურთიერთობის

საკითხიც. ამ მხრივ საგულისხმოა ლექსი “უცხო”, რომელშიც პოეტი ჩამოთვლის ზოგიერთი მამაკაცის უარყოფით თვისებებს და დაასკვნის, რომ ასეთი თვისებების მქონე მამაკაცი ცოლისთვის “იქნება... დასაყვედრელი!” დასახელებულ ლექსში მამუკამ მაღალი ზნეობა და წმინდა ოჯახის სიყვარული იქადაგა. ლექსი “უცხო” მამუკას ზნეობრივი მოძღვრების გამომხატველია. ამ ლექსში პოეტი გვევლინება ჯანსაღი ზნეობის ადამიანად, მიუთითებს რა პატიოსან ოჯახურ დამოკიდებულებაზე.

თავისი დამოკიდებულება რელიგიისადმი მამუკამ გამოხატა “ლექსის სწავლის წიგნში”. მამუკამ როგორ მოხდა, მორწმუნე პოეტი ასე უხვად რომ ამუშავებს სატრფიალო-სამიჯნურო ხასიათის ლექსებს. საქმე ისაა, რომ რელიგიურად განწყობილ პოეტს სიყვარულის პრობლემა გადაწყვეტილი აქვს ქრისტიანული მორალის მიხედვით. ამიტომ მამუკა უარყოფს ისეთ მიჯნურობას, რომელიც “კაცსა დასვრის”.

მამუკას დასაშვებად მიაჩნია ქალ-ვაჟის ლტოლვა ზნეობრივად გამართლებული ოჯახის შესაქმნელად, რადგან მას სწამს, რომ ოჯახი ერთადერთი პირობაა კაცობრიობის ზრდისა და შენარჩუნებისთვის. თანაც პოეტისთვის უცხო არ იყო ის შეხედულება, რომელიც გამოთქმულია ვახტანგ მეფის მიერ “ვეფხისტყაოსნის” კომენტარებში: “ესეც (ცოლქმრული სიყვარული. — რედ.) იმისივე სასუფევლის მიჯნურის მდომის მიბაძვა არისო”. ამიტომ მამუკას დადებითად აქვს გადაჭრილი ცოლქმრული სიყვარულის პრობლემა და “ცოლ-ქრმოზის სიყვარულზე” თქმას პოეტი ახორციელებს თავის პრაქტიკულ მოღვაწეობაში.

მ. ბარათაშვილს საკმაო უნარი შესწევს, რომ გადმოგვცეს სიყვარულის ძალა. სატრფიალო-სამიჯნურო ლექსებში პოეტი გვევლინება ღრმა განცდებისა და შეყვარებული გულის პატრონად, უკეთესი მერმისით დაიმედებულ ადამიანად.

მამუკასთვის უცხო არ არის სახოტბო მოტივებიც. როგორც ვიცით, მამუკა ბარათაშვილი ჯერ ვახტანგ VI-ის, შემდეგ კი მისი შვილის ბაქარის კარის პოეტად ითვლებოდა. სწორედ ამ გარემოებამ გამოიწვია მის შემოქმედებაში ძველი ქართული საკარო პოეზიის ტრადიციის განახლება. ამან განსაზღვრა მამუკას სახოტბო ლექსების კილო. ამ ლექსებში მამუკა აქებს, ადიდებს თავის პატრონებს, რადგან, მისი თქმით, “მონათაგან პატრონისა ხამს სიტყვანი საქებელნი”.

მამუკას შეუთხზავს ვახტანგ მეფის ქება, რომელსაც “იამბიკო” ეწოდება. პოეტი სურათოვნად აგვიწერს ვახტანგის გარეგნობას და მის ზოგიერთ თვისებას.

მამუკას დაუწერია აგრეთვე “ქება მეფის ბაქარისა”. ეს ოდა 63 სტროფს შეიცავს და დაწერილია ჩახრუხაული ლექსით. “ქებაში” პოეტი აღნიშნავს, რომ იაკობ დუმბაძემ შეაქო არჩილ მეფე, ჩახრუხაძემ — თამარი, ხოლო “დავრჩი ბაქარის მე მონა მქებადო”. თავისი ფიზიკური მონაცემებით, დაასკვნის პოეტი, “ვერვინ უდარებს, ვინ მასთან დარებს, სწორნი უსწოროდ მისთვის მქენელიო”. ბაქარი აგრეთვე არის “სიბრძნითა სრული, მართ ვითა პლატონ”.

“ქების” 23 — 24-ე სტროფები პეტრე პირველს შეეხება. მასში პოეტი აღწერს პეტრეს სახელმწიფოებრივ და მხედრულ გამჭრიახობას, აქებს მის საქმიანობას, ახასიათებს რუსთა ხელმწიფეს, როგორც შეუდრეკელ მებრძოლს, სპეტაკსა და ქველს.

“ქების” ბოლო სტროფები სამგლოვიარო ხასიათისაა, მასში გადმოცემულია ბაქარის დატირება რუსეთში მყოფი ქართველების მიერ. ბაქარის გარდაცვალებით მამუკას დღე დაუბნელდა, დაობლდა, რის გამოც პოეტი ტირის. ქართველები შეკრებილან “თვალ ცრემლით სველნი”, ღრმად დამწუხრებულან ბაქარის სიკვდილით. ბაქარის გარდაცვალების გამო “დაირღვა თემი”. ობლად დარჩენილმა ქართველებმა აღარ იციან ვის მიმართონ, როგორ მოიქცნენ.

“ბაქარ მეფის ქებაში” პოეტი ადგილ-ადგილ იმეორებს “აბდულმესიანის” პოეტურ ხერხებსა და საშუალებებს. მიუხედავად ამისა, მამუკას დასახელებული ლექსი უცილო ბლადორი გინა ლურია.

“ბაქარ მეფის ქებით” მამუკა ბარათაშვილმა ადადგინა ძველი ქართული საკარო პოეზიის ტრადიცია და პირველმა გამოიყენა ახალი ქართული ოდა.

მამუკას დაუწერია დიდაქტიკური ხასიათის ლექსებიც. თვითონ პოეტი ამის შესახებ ამბობს: “ვჰსწერ მრავალთა სასწავლოსა, თუმც არ ქარტამ გაისვა ისო” (“შაირის ლექსი”). მართალია, ისეთი სიმკვეთრით არა, როგორც ამას ვხედავთ არჩილის, ვახტანგისა და დ. გურამიშვილის შემოქმედებაში, მაგრამ მაინც შეინიშნება მამუკას ნაწერებში დიდაქტიკური მოტივი. ამ მხრივ საინტერესოა ლექსები: “შაირის ტაეპი”, “ლექსი მოკლე”, “გრძელშაირის ლექსი”, “გრძელშაირის ტაეპი” და სხვ. ზნეობრივი დარიგებანი საკმაოდ არის მოცემული პოემა “ჯიმშედიანშიც”.

“ლექსის სწავლის წიგნში” მამუკას გატარებული აქვს ის მოსაზრება, რომ პოეზიის საგანს უმთავრესად საღვთო, საეკლესიო თემები უნდა შეადგენდეს. ამასვე იმეორებს მამუკა “ჯიმშედიანის” შესავალშიც: “ლექსი აქებდეს მაღალსა ღმრთისა ტრფიალთა ნდომასაო”. თავის პრაქტიკულ მოღვაწეობაში კი პოეტი-თეორეტიკოსი ნაკლებად ახორციელებს ამ შეხედულებას. საღვთო თემაზე მან მხოლოდ ერთი თხზულება დაწერა. ეს არის საკმაოდ ვრცელი ლექსი, რომელსაც პოეტმა “წამებული” უდოდა. “წიგნს წამებული ვუწოდე, ვისა მრწამს მათი მზერანიო”. “წამებული” მამუკამ დაწერა ქ. ასტრახანში 1725 წელს. ეს მამუკას პირველი ნაწარმოებია.

“წამებული” შედგება 108 სტროფისგან. თხზულებაში ჩამოთვლილია მთელი წლის წმინდანთა სახელები. საეკლესიო ტრადიციისდა გვარად თხზულება იწყება სექტემბრის თვით. “წამებული” იმავე ხასიათის “გალექსილი კალენდარია”, როგორც იოანე პეტრიწს გადმოუღია ქრისტეფორე მიტილენელის შრომიდან.

“წამებული” მამუკას გაულექსავს “ჟამნის” მიხედვით. უფრო სწორად, მამუკას “ჟამნიდან” აუღია ის თავი, რომელსაც “თთვეთა” ეწოდება. მამუკას “წამებული” მხატვრულობის თვალსაზრისით მდარე ნაწარმოებია.

მართალია, მამუკას “წამებულის” გარდა რელიგიურ თემაზე სხვა თხზულება არ დაუწერია, მაგრამ მისი შემოქმედების გაცნობისთანავე იგი აშკარად ქრისტიანული სარწმუნოების მიმდევრად და მქადაგებლად გვევლინება. ლექსში “შერეული” მამუკას გატარებული აქვს ის აზრი, რომ “არ მიჰსცა ღმერთმან ბოროტი, ვინ მისი მინდობილია”. მორწმუნე პოეტი სავსებით დარწმუნებულია განგების მფარველობის ძალაში: “შემწევს მე ძალი მაღლისა, ჩემ ბრძოლად ძალ-გიძთ, ჰე, ვისაო”. პოეტის რელიგიური განწყობილებანი მკაფიოდ მოჩანს პოემა “ჯიმშედიანის” იმ სტრიქონებში, რომლებიც დამოკიდებული არ არის პროზაული ტექსტისგან. პოეტს სწამს, რომ “ბოროტით გასრულებულსა რისხავს მფლობელი ზენარი”. ამიტომ იგი პოემის ერთ-ერთ გმირს ათქმევინებს: “ემშაკისა ბოროტება ღმრთისა ძალით განვაქარეო”.

მამუკას მსოფლმხედველობისთვის ნიშანდობლივია ბედისწერის მიმდევრობაც. პოეტის თქმით, განგების მიერ მოცემული ბრძანება ადამიანს არ ასცილდება:

ვერვინ შესცვალოს ბრძანება ზეგარდმო ძალთა მწყობისა,
მოკლეა უღმრთო სიმაღლე ძალი ლახვართა სობისა,

არვის მიეცეს სიმტკიცე რომელთა თავთა მნდობისა,
ამაღლდეს გული მდაბალი, ზეჰარი დაიმხოზისა.

“ლექსის სწავლის წიგნში” მამუკა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საგმირო-სარაინდო თემებს. იგი მოითხოვს მხატვრული ნაწარმოების საშუალებით სამშობლოსთვის გამოსადეგი ფალავნებისა და გმირების აღზრდას, რაც ეპოქის მოთხოვნითაა გამოწვეული. იმდროინდელ საქართველოს მართლაც ესაჭიროებოდა გმირები. მიუხედავად ამისა, საფალავნო ამბებზე მან გალექსა მხოლოდ ერთი თხზულება “ჯიმშედიანი”.

“ჯიმშედიანი” მამუკას გაულექსავს ვახტანგ მეფის ბრძანებით: “მიბრძანეს ლექსთა შემკობა ქებად ჯიმშედის გმირისაო”. მამუკა თითქმის ზედმიწევნით იმეორებს პროზაულ ტექსტს, მისი არც ერთი მნიშვნელოვანი დეტალი არ გამოუტოვებია, მოხერხებულად სარგებლობს ტექსტის სიტყვებითა და გამოთქმებით. გამლექსავი არ იძლევა არც ერთ ახალ ეპიზოდს, არ გამოჰყავს ახალი მოქმედი პირები.

მართალია, პროზაული ტექსტი და გალექსილი “ჯიმშედიანი” ზოგად ხაზებში ერთნაირია, მაგრამ მამუკა ბრძანდ არ მიჰყვება ორიგინალს, გალექსილი “ჯიმშედიანი” პროზაულისგან განსხვავდება. ხშირად მამუკა მიმართავს შექმნილი სიტუაციების უფრო დაზუსტებით აღწერას. პროზაული ტექსტი მამუკას გაუმდიდრებია თავისი დიდაქტიკური ხასიათის სტროფებით, ზოგჯერ ფაქტების უფრო ზუსტად გადმოცემით ზოგიერთი ეპიზოდი მამუკასთან გავრცობილია, ალაგ-ალაგ კი შეუმოკლებია თხზულების მხატვრული ადგილები.

პროზაული ტექსტისა და მამუკას თხზულების შეჯერების შედეგად ირკვევა, რომ უმეტეს შემთხვევაში მამუკა გაურბის ორიგინალის მხატვრულ ადგილებს: ან სულ არ ლექსავს მას, ან ძალზე შემოკლებულად გადმოგვცემს. ხოლო როცა პროზაულ ტექსტთან შედარებით თავისი ქმნილების ადგილებს ავრცობს, ასეთ შემთხვევებში იგი მას აპოეტურებს, სულ სხვა მხატვრულ სამოსელში იძლევა. მთელ რიგ შემთხვევებში მამუკა ორიგინალს უმატებს საკუთარ სტროფებსაც, და მამუკას მსოფლმხედველობის გასარკვევად განსაკუთრებით საყურადღებოა სწორედ ეს დანამატი სტროფები.

პოემაში ვხვდებით ფეოდალური საქართველოს ყოფისა და სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობისათვის დამახასიათებელ ბევრ საყურადღებო და საინტერესო ცნობას. მამუკას უხვად აქვს მოცემული სამეფო კარის აღწერა, არისტოკრატიული წრის ყოფა-ცხოვრება, დროსტარება. იგი ხშირად ზედმიწევნით გვისურათებს ადამიანის სოციალური თუ ოჯახური ცხოვრების ამა თუ იმ მხარესაც.

პოემისთვის დამახასიათებელია მორალისტური ტონი. მამუკა სენტენცია-აფორიზმების საშუალებებით მიმართავს დარიგებას. აფორიზმები ზოგჯერ შიგ თხრობაშია ჩართული, ზოგჯერ კი ცალკე სტროფადაა გამოყოფილი.

მამუკას სოციალურ იდეალს წარმოადგენს პატრონყმური, ანუ ბატონყმური ინსტიტუტი. ფეოდალურ საზოგადოებაში განსაზღვრულია საზოგადოების წევრთა ფუნქციები, სადაც, მამუკას სიტყვებით რომ ვთქვათ, “ მ ო ნ ა მ ი წ ა ა , პ ა ტ რ ო ნ ა დ ვ ე რ უ ზ ა მ ს თ ა ვ თ ა ხ მ ო ბ ა ს ა ”. სოციალურ განსხვავებულობაზე მიუთითებს მამუკა, როცა პოემის ერთ-ერთი გმირის პირით აცხადებს:

სხვა არს მეფე და სხვა — მონა, სხვადასხვა მათი ზდილობა,
ერთია მეფე, მრავალი — ქვეყანათ აღმოსილობა,

ბევრთა ვერა ქნან მეფობა, იქნება შენაცილობა.

პოეტის მოსწრებული თქმით, სოციალური განსხვავების ზღვარი იშლება მხოლოდ ომის დროს, ბრძოლაში, სადაც სიკვდილი თანაბრად იღებს ყველას — ამ დროს უკვე მნიშვნელობა არა აქვს ადამიანის წოდებრივ წარმომავლობას:

ომსა არა აქვს გარჩევა აზნაურება, გლეხება,
ხელმწიფესა და მონასა მახვილი სწორად ეხება.

უდავოა, რომ მამუკა გვევლინება გაბატონებული სოციალური უკუღმართობის დამცველად და განმამტკიცებლად. მოითხოვს რა ქვეშევრდომისგან ერთგულებასა და მორჩილებას, პატრონისა და ყმის ურთიერთობის შესახებ პოემის ერთ-ერთ გმირს ალაპარაკებს: “თუ მსახურებად მიბრძანებთ, მონასა მმართვეს მონება”, ანდა: “...ყმა მართებს პატრონთა ნებამყოფელიო”.

მხატვრული თხზულებების გარდა, მამუკას კალამს ეკუთვნის აგრეთვე პოეტიკური ტრაქტატი, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია “ჭაშნიკის” სახელწოდებით, ხოლო ახალ გამოცემაში ეწოდება “ლექსის სწავლის წიგნი”¹¹⁵. აღნიშნული შრომა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მამუკას ნაწერებიდან, რადგან ის წარმოადგენს ქართული ლექსის ბუნების შესწავლის პირველ ცდას.

თხზულება არის ნორმატიკული პოეტიკის სახელმძღვანელო, რაც ნათლად ჩანს სათაურიდან და თვით მამუკაც თავისი შრომის დანიშნულებას ასე განსაზღვრავს: “ეს სწავლა დავსწერე, რომ ლექსი ურიგოდ არავის მოუვიდეს”. წიგნი შედგება ორი ნაწილისგან. პირველი ნაწილი წარმოადგენს შრომის თეორიულ ნარკვევს, ხოლო მეორე ნაწილში თავმოყრილია ქართული ლექსის სხვადასხვა ნიმუში.

შრომის დასაწყისში მამუკა მოგვითხრობს პოეზიის შინაარსისა და ლექსის დანიშნულებაზე, აღნიშნავს პოეზიის დიდაქტიკური ფუნქციის შესახებ. მამუკას აზრით, პოეზიამ უნდა დაგმოს ყოველივე ავი და განადიდოს კეთილი. მამუკას შეგნებული აქვს ლიტერატურის დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა, ამიტომ შემოქმედის ამოცანას აღმზრდელობითი დანიშნულებით განსაზღვრავს. იგი ამბობს: “თუ კარგს იტყვი სიტყვის სიმარჯვითა და ცოდნის ძალითა, სულიერის ცოდნითა და სამხედროს ცოდნით, მთქმელი მოიგონება და მსმენი ისწავლის... მაგრამ თუცა ავზედა თქვა, ურიგოდ თქვა, ქებისა და მოგონების ნაცვლად, საძრახავი და საგმობელი იქნება და ცოდვაც მიმიე, რომე კაცსა ცოდვაზედ აღძრავს და ავს ასწავლის”.

მამუკა განსაზღვრავს პოეზიის თემატიკურ ნორმებსაც. ნაწარმოების ფორმის სრულყოფილობასთან ერთად სათანადო ყურადღებას აქცევს ნაწარმოების შინაარსობლივ მხარეს. იგი შემოქმედისგან მოითხოვს აქტუალურ თემებზე წერას. აი, პოეტმა რაზე უნდა წეროს: “მართებს, კაცმა ავი ამბავი არ გალექსოს: თუ სააშიყო ლექსი უნდა, ღმრთის სააშიყო, ეკლესიისა წმინდათა “ამბავი გალექსოს”, როგორც რუსთველს უთქვამს... და თუ ქალის აშიყოზაზე გინდა, ცოლ-ქრმობის სიყვარულზედა თქვი და იმის გზებზე, როგორც პავლე დიდი მოციქული ისწავლება

¹¹⁵ მეგლი პირველად გამოსცა ალ. ხახანაშვილმა (მოამბე, 1900, № XII), მეორედ — გ. ლეონიძემ (ჭაშნიკი მამუკა ბარათაშვილისა, 1920), მესამედ — გ. მიქაძემ (თბ. სახელმწ. უნივ. სამეცნიერო შრომების კრებული, წ. V, 1950, გვ. 125 — 144; ქართული პოეტიკის ქრესტომათია (XVIII — XIX სს.), 1954, გვ. 7 — 23).

და რუსთველი ცოლ-ქრმოვის სიყვარულს ისწავლება და აქებს... ან კარგი იგავები მოიყვანე და იმაზედა თქვი, ან კაი სწავლის ამბებით კაი ამბები გალექსე, ან ომსა და ფალავნების ამბავზედა თქვი, ამისთვის, რომ კაცს გააგულოვნებს, ომს მოანდომებს, ომისა და იარაღის ხმარებას ასწავლის, და რჯულისა და მეფის და ქვეყნის მტერზე გამოსაყენებელია”.

როგორც მოყვანილი ციტატიდან ჩანს, პოეზიის მიზანი მამუკასთვის უაღრესად პრაქტიკულია, რაც, სხვათა შორის, იმაშიც მდგომარეობს, რომ სამშობლოსთვის აღზარდოს მეზრძოლი ადამიანი. პოეზიის უტილიტარული ხასიათის განსაზღვრა მამუკას ესთეტიკურ შეხედულებათა ქვაკუთხედაა.

შემდეგ მამუკა აღნიშნავს იმას, თუ ამა თუ იმ თემას რა ზომის (“ზმის”) ლექსი შეეფერება. მაგალითად, “გძელშეწყობილი, გინა მდენარი და შეწყობილი, კაის სწავლის იგავებისათვის არის”... და სხვ. მამუკა ილაშქრებს ერთ ნაწარმოებში მეტრული მრავალფეროვნების წინააღმდეგ. მისი აზრით, მწერალმა ამბის თხრობა უნდა გადმოგვცეს ერთი ზომით დაწერილი ლექსით.

მამუკა ეხება აგრეთვე იმას, “თუ ლექსი როგორ უნდა თქვას ვისცა უნდა”. ლექსის თქმა ორგვარია: ლექსის წერა შეიძლება ან ნიჭით, ან სხვა პოეტების ლექსების მიბადვით. მეორე შემთხვევაში პოეტი თავისი აზრის სიტყვებს შეუფარდებს უკვე არსებული ლექსის ზომას. ამგვარად, მამუკა ანსხვავებს ორგვარ შემოქმედს: ერთი არის პოეტი-ნოვატორი, რომელსაც თავისი ნიჭით ლექსის შეთხზვაში სიახლე შეაქვს: მეორეა — პოეტი-ეპიგონი, რომელიც ლექსს “გააწყობს” უკვე არსებული ზომის მიხედვით. აი, რას ამბობს ამის შესახებ მამუკა: “ლექსის თქმა ორია: ერთი — თავის აგებულებით ექნება კაცს ლექსის გაწყობა, მეორე — აგებულებით რომ არა ქონდეს, იქნება, რომ ლექსი დაიდვას წინ და რამთონათ ლექსი გაიყოფა, თითოს სანაცლოდ, ისე სიტყვა გააწყოსო”. დროთა ვითარებაში, დაეუფლება რა ლექსის წერის ტექნიკას, მამუკას აზრით, მიმბადველი შეიძლება გახდეს დამოუკიდებელ პოეტად (“მერმე თავისითაც შეძლოს თქმა”). შესაძლებელია პოეტს არ შესწევს უნარი დამოუკიდებლად ახალი ზომის ლექსის შეთხზვისა (“იქნება ულექსოთ ვერა თქვას”), მაგრამ მას ევალება ლექსში გადმოგვცეს ისეთი შინაარსი, რომელიც ორგვარი მნიშვნელობის იქნება. მამუკას საილუსტრაციოდ მოცემული აქვს ერთი ტაეპი “ვეფხისტყაოსნიდან” (“მას უშმაგო ვით მიენდოს”...), რომელიც, მისი აზრით, ორგვარად შეიძლება გაგებულ იქნეს.

მ. ბარათაშვილი იძლევა დარიგებას პოეტური მეტყველების სტილის შესახებ. ძნელი გამოსათქმელი და გრძელი სიტყვა ლექსის შთაბეჭდილებას აფუჭებს. პირიქით, “გვარიანი, ენაზე ტკბილათ სათქმელი და მოკლე სიტყვა”, ერთიმეორეზე თანამიმდევრობით დალაგებული და შეწყობილი, “დიაღ, გვარიანი იქნება, როგორც რუსთველის ლექსი”. ლექსის ეს სრულყოფილობა “ღრამატიკის და რიტორიკის უცოდინარს ცოტათ გაუმნელდება”.

მამუკას ყურადღების გარეშე არ დაუტოვებია ტაეპის დაბოლოებათა შეთანხმების საკითხიც. “ლექსის ბოლოებს”, ანუ რითმას, იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. მამუკა წერს: “ლექსის ბოლოები, ბევრი ასო რომ ერთმანერთის ტოლი იყოს, იმითი არ გაეწყობა. ასე უნდა: სიტყვა სიტყვას ეწყობოდეს, თვარემ ორი და სამი ასო ეყოფა”. და იქვე დასძენს: “მაგრამ სპარსის მოლექსენი ამას მაგთონს არად მიიჩნევენო”.

ამთავრებს რა ლექსის გარეგან მხარეებზე საუბარს, მამუკა ეხება ფორმისა და შინაარსის ურთიერთობის საკითხს. შესაძლოა ლექსი კარგად იყოს გაწყობილი

რომელიმე სალექსო ზომაზე, მაგრამ შინაარსის გარეშე ის გამოუსადეგარი იქნება. და პირიქით, კარგი შინაარსის მქონე ლექსი კარგად უნდა იყოს გაწყობილი შესაფერი სალექსო ზომის მიხედვით. “იქნება ლექსი გემრიელი და წყობილი იყოს, ეს ამბის გაუღიქსავათ სხვაში არად მოსახმარია, მაგრამ იმაშიაც თუ კაი სწავლის სიტყვა მოვა და იქ ლექსს არ ავსებს, მოლექსობაში ნაკლებობა არი”, —დასძენს მამუკა.

შემდეგ მამუკა არჩევს შაირის, გრძელშაირის, ჩახრუხაულის, გრძელ-ჩახრუხაულის, შეწყობილის, მდენარის, წყობილი მრავალმუხლის, გრძლედ შაირი სამკვეთის სალექსო ზომებსა და აგებულებას. დასახელებული ლექსების ანალიზის დროს საილუსტრაციოდ მოაქვს საკუთარი ლექსებიც. იქვე აღნიშნავს, თუ რატომ თვითონ არ დაწერა ყველა საზომზე ლექსი: “ესენი უმჯობე იყვნენ ჩემისა და ამისთვის ესენი დავსწერე და ჩემი ნათქვამიც ამათ ვაახელო”. დასასრულ, მამუკა ითხოვს, რომ იგი არ გამოირიცხონ პოეტების რიცხვიდან.

“ლექსის სწავლის წიგნი” შეიქმნა ვახტანგ მეფის ლიტერატურულ წრეში, სადაც გამიჯნული იყო სასულიერო და საერო მწერლობა. საეკლესიო-რელიგიური განწყობილება მამუკას შრომაში მკაფიოდ იჩენს თავს განსაკუთრებით “ღვთიური სიყვარულის” თეორიის დასაბუთებისას. მამუკა პირდაპირ მიუთითებს პოეტს, რომ თუ იგი სატრფიალო-სამიჯნურო ლექსების დაწერას მოინდომებს, თავის ლექსებში უნდა ღვთისა და წმინდანების სიყვარული იგულისხმოს, სატრფოს სახით მან ღმერთი უნდა წარმოიდგინოს, ე. ი. მამუკას პოეტური ტრაქტატის მიხედვით სატრფიალო ლირიკა ალეგორიულ-მისტიკური უნდა იყოს.

საფიქრებელია, რომ მამუკა ყოველთვის საკუთარი მსოფლმხედველობრივი თვალსაზრისიდან არ გამოდიოდა, როდესაც აყალიბებდა “ლექსის სწავლის წიგნში” მოცემულ ნორმებს. ერთი მხრივ, ესეც უნდა იყოს მიზეზი, რომ ზოგჯერ შეთანხმება არ არის მწერლის თეორიულ მოსაზრებებსა და მის პრაქტიკულ მოღვაწეობას შორის. კერძოდ, მამუკას ზემომოყვანილი სამიჯნურო თვალსაზრისი არ შეესაბამება პოეტის მხატვრულ შემოქმედებას. ნაცვლად ალეგორიულ-მისტიკური ხასიათისა, მამუკას სატრფიალო ლირიკა ძირითადად რეალისტურია.

“ლექსის სწავლის წიგნში” შეინიშნება ბრძოლა უცხოური ლიტერატურული მიმართულების წინააღმდეგ. კერძოდ, მამუკა იბრძვის სპარსული ლიტერატურული მიმდინარეობის წინააღმდეგ. პოეტი-თეორეტიკოსი “ლექსის სწავლის წიგნში” გმობს იმ პოეტებს, რომლებსაც “თათრის ზღაპრები გაუღიქსავს, მსმენთ საზიანოდ და მთქმელთ საურიგოდ”.

როგორც ვხედავთ, მამუკამ გაბედულად გაილაშქრა სპარსული მწერლობის წინაშე ქედის მოხრის წინააღმდეგ. ამასთან, მან წამოაყენა მოთხოვნა, რომ ქართველმა მწერლებმა წერონ ისტორიულ სინამდვილეზე და ისეთ აქტუალურ, საჭირობოროტო თემებზე, რომლებიც “რჯულისა და მეფის და ქვეყნის მტერზე გამოსაყენებელია”. ამ მხრივ საინტერესოა ნაშრომის ის ადგილი, სადაც მამუკას ჩამოთვლილი აქვს, თუ რაზე უნდა წეროს პოეტმა. სხვათა შორის, აქ ნათქვამია, რომ შემოქმედმა “ეკლესიისა წმინდათა” ამბავი უნდა გალექსოსო. “ეკლესიის წმინდანებში” კი, ეჭვს გარეშე, მამუკა გულისხმობს არა მსოფლიო, არამედ ნაციონალურ, ქართველ წმინდანებს.

მეტად საინტერესოა მამუკას შრომა მეტრიკის თვალსაზრისით.

ქართული ლექსის საზომის ძირითად ერთეულად მამუკას მიაჩნია სიტყვა ან სიტყვების განსაზღვრული ჯგუფი (“მუხლი”), რომლებიც მიიღება ტაეპის “გაჭრის” თუ “გაყოფის” შედეგად, ხოლო ლექსის მეტრი კი მას გაგებულ აქვს, როგორც

გარკვეული წესით “სიტყვების გაწყობა” ან “მუხლების” განლაგება ტაეპში.

მამუკას მოსაზრებით, ტაეპის ცეზურით დაყოფილ საზღვრებში (“გაჭრილში”, “გაყოფილში”) სიტყვების სხვადასხვაგვარად “გაწყობა” განსაზღვრავს საზომის თავისებურებას. სწორედ ამით არის გამოწვეული, რომ 16-მარცვლიან ლექსში მამუკა განარჩევს “შაირსა” და “გრძელშაირს”. შაირში “პირველი მუხლი და სამი სხვა ტოლ-ტოლი არიან. ეს ერთი სტრიქონი ხომ ოთხად გაიყო, იმაში სიტყვის მეტ-ნაკლებობა არ არის, ოთხივე სწორე არის”. ხოლო გრძელშაირში კი არის “...პირველი მუხლი მეტი, მეორე ნაკლები, მესამე პირველის ოდენი და მეოთხე კიდევ ნაკლები”. შაირისა და გრძელშაირის განსხვავებაზე მამუკა დაასკვნის: “ამ თვითოს მუხლების მეტ-ნაკლებობით ეს ორივე შაირი სხვადასხვა ხმები შაიქნაო”.

როგორც აღვნიშნეთ, საზომის ძირითად ერთეულად მამუკას “მუხლი” მიაჩნია. ტერფის რაობა მისთვის უცნობია. სავსებით ბუნებრივად, უცნობია მისთვის აგრეთვე საზომის ტერფებად დაყოფა და მისი გრაფიკულად გამოხატვა. ამიტომ ლექსის საზომის გადმოცემისას გრაფიკული სქემების ნაცვლად მამუკა მიმართავს ე. წ. ლოგომეტრულ სქემებს — სიტყვის თუ სიტყვების ჯგუფის საშუალებით ლექსის მეტრის ჩვენებას. ამისთვის მამუკას საგანგებოდ აქვს შერჩეული სიტყვა “მიჯნური”, რომელსაც შეკვეცის თუ გავრცობის საშუალებით ცვლის მარცვლობრივად.

ასე, მაგალითად:

მიიჯნური | მიჯნური | მიიჯნური | მიჯნური,

ან:

მიჯნური მიჯნურ | მიჯნური | მიჯნური მიჯნურ | მიჯნური.

მოყვანილი “ხმების” (ზომის) მეტრული სქემები გრაფიკულად ასე გადმოიცემა:

‘ს ‘ს | ‘სს | ‘ს | ‘სს

და

‘სს ‘ს | ‘სს | ‘სს ‘ს | ‘სს

უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ როდესაც მამუკა იძლევა ე. წ. ლოგომეტრულ სქემებს, საილუსტრაციოდ იქვე მოჰყავს შესაბამისი “ხმის” (ზომის) ტაეპი ან სტროფო. მაგალითად, გრძელჩახრუხაულის ანალიზისას მამუკა იძლევა ჯერ სანიმუშო საზომს:

მიჯნურთათვისგან / მიჯნურთათვისგან / მიჯნურთათვისგან / მიჯნურთათვისგან,

ხოლო შემდეგ კი ცნობილ სტროფს “თამარიანიდან”: “მო, ფილოსოფნო, სიტყვითა არსნო...”

როგორც მოყვანილი ე. წ. ლოგომეტრული სქემებიდანაც ჩანს, ტაეპს მამუკა ყოფს “მუხლებად”. ამ პროცესს იგი “გაჭრას”, “გაყოფას” უწოდებს, ხოლო გაყოფის შედეგად მიღებულ ერთეულს — “გაჭრილს”, “გაყოფილს”, რაც სავსებით შეესატყვისება “მუხლს”. ცეზურის აღმნიშვნელი ტერმინი მისთვის უცნობია. ზემომოყვანილი სიტყვებით თუ ვიმსჯელებთ, ცეზურას “გამყოფი”, “გამჭრელი” უნდა რქმეოდა. გაყოფის თუ გაჭრის გრაფიკულ გამოსახულებად მამუკას მოცემული აქვს ორწერტილი (:) და შვეული ხაზი (/).

ამრიგად, მამუკას პოეტიკური ტრაქტატი “არის სილაბურ-ლოგომეტრული

თეორიის ნიმუში, რომელიც ქართულ ლექსს განიხილავს სიტყვების გაწყობის მხრივ. საზომი მას მიაჩნია სიტყვიერ ჯგუფებს შორის არსებული პაუზების მიხედვით დაყოფილ სტრიქონად და არა ტერმინების კომბინაციად”¹¹⁶.

“ლექსის სწავლის წიგნი” ბევრ ახალ და ყურადსაღებ ცნობას შეიცავს ძველი ქართული პოეტიკის ცნებებისა და ტერმინების დადგენის თვალსაზრისით, თუმცა, უნდა შევნიშნოთ, რომ VIII საუკუნეში ქართული პოეტიკის ცნებებისა და ტერმინების სიჭრელემ და გაურკვეველობამ მამუკას შრომაზეც მოახდინა გავლენა. ამით უნდა იყოს გამოწვეული, სხვათა შორის, რომ “ლექსის სწავლის წიგნი” ერთი და იგივე ცნებისთვის პარალელური ფორმებია გამოყენებული (მაგ., ტაეპი — მუხლი — სტრიქონი) ან, პირიქით, რამდენიმე ცნებისთვის ერთი საერთო ტერმინია ნახმარი (მაგ., ტ ა ე პ ი ლექსის ერთ-ერთი სახეობის მნიშვნელობით და ტ ა ე პ ი სალექსო სტრიქონის გაგებით).

“ლექსის სწავლის წიგნი” წარმოადგენს საინტერესო ლიტერატურულ-ბიბლიოგრაფიულ წყაროსაც. მაგალითად, ცნობილია, რომ მხოლოდ ამ ძეგლმა შემოგვინახა ვახტანგ მეფის რამდენიმე ლექსი. საყურადღებოა მასში დაცული ცნობაც, რომლის მიხედვით საბას მიეწერება “ქილილა და დამანას” ლექსების გაწყობა.

* * *

მამუკას ლექსები ძირითადად დაწერილია ახალი სალიტერატურო ენით, მაგრამ მისი ლექსიკური მარაგი საკმაოდაა დატვირთული ძველი მწიგნობრული ენისთვის ნიშანდობლივი სიტყვებითა და გამოთქმებით. პოეტის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს, რომ იგი ცდილობს ცოცხალი, ხალხური სასაუბრო ენით გაამდიდროს თავისი პოეტური მეტყველება. მამუკა ხშირად იყენებს ნეოლოგიზმებსაც.

აზრის სრულყოფილად გამოხატვის მიზნით, მხატვრული სახის შესაქმნელად და პოეტური ენის გასამდიდრებლად მამუკა მიმართავს სხვადასხვა მხატვრულ ხერხს. ლექსის მუსიკალობისა და ჟღერადობის მისაღწევად კი მამუკა იყენებს ბგერწერას, რომლის დროსაც ის არჩევს არა მარტო ბგერებს, არამედ სიტყვებსაც. ამ მხრივ ის მდიდარი ქართული ლიტერატურული ტრადიციების მემკვიდრეა.

მამუკა ბარათაშვილის შემოქმედება მეტად მრავალფეროვანი და მრავალწახნაგოვანია ქართულ ლექსთა სახეების გამოყენების მხრივ. ქართული ლექსების გამოყენებისას პოეტს ზოგჯერ ცვლილებები შეაქვს მათში და მის თანამედროვე თუ შემდგომ თაობას ამ მხრივაც უკაფავს გზას. განსაკუთრებით აღსანიშნავია მამუკას დამსახურება ახალი ზომისა და კომპოზიციის ლექსების შემოღების საქმეში.

მამუკასთან ვხვდებით აგრეთვე ისეთ ლექსებსაც, რომლებსაც არანაკლები მნიშვნელობა აქვს ქართული ლექსის ბუნების შესასწავლად. ამ ლექსებს სპეციალური ქართული სახელი არა აქვს და შეთხზულია რომელიმე “ხმაზე”. ყველა ეს ლექსი დაწერილია რუსულ-უკრაინული და აღმოსავლური ხალხური სიმღერების ცოდნით. აღნიშნული ლექსებით ქართულ პოეზიაში მამუკამ პირველად გამოიყენა რუსულ-უკრაინული ხალხური სიმღერების “ხმები”. მამუკამ ამ დროისთვის პირველმა ისარგებლა აგრეთვე ქართული ხალხური სიტყვიერების მასალითაც.

თავის ლექსებში მამუკა იყენებს მრავალნაირ მეტრსა და რიტმს. რიგ ლექსებში

¹¹⁶ აკ. გ ა წ ე რ ე ლ ი ა, ქართული კლასიკური ლექსი, 1953, გვ. 48.

კი პროექტი მიმართავს ახალ საზომსა და რიტმს. სხვადასხვაგვარი მეტრისა და რიტმის გამოყენება უმეტესად განსაზღვრულია შესაბამისი შინაარსის მოთხოვნით.

მამუკა საფუძვლიანად ფლობს გართიმვის იმ ხერხებსა და საშუალებებს, რომლებიც გამოიმუშავეს მისი წინა დროის პოეტებმა. ამ მხრივ მას ახალი არაფერი შეუქმნია. უნდა აღინიშნოს, რომ ქართველ პოეტთა შორის მამუკა პირველია, რომელიც თავის ლექსებში იყენებს გაურთიქმავად დატოვებულ ტაქტებს.

მამუკამ თავისი წვლილი შეიტანა ლექსის კომპოზიციურ სიახლეშიც. მისი ლექსები ყურადღებას იქცევს სტროფული აღნაგობის მხრივ. პოეტმა გაბედულად მიმართა სხვადასხვა ზომის სტროფების შეერთებას. ამგვარად, თავისი ლექსებისთვის მამუკამ დაამუშავა ორიგინალური სტროფული სტრუქტურა, რაც ცხადყოფს მამუკას ნოვატორულ როლს ქართული სტროფიკის შეცვლის საქმეში.

მამუკა ბარათაშვილმა თავის შემოქმედებაში განაგრძო და განავითარა ემიგრანტული მწერლობის ტრადიციები, ხოლო პრაქტიკული მოღვაწეობითა და თეორიული ნაშრომით გზა გაუკაფა ემიგრანტი პოეტების შემდგომ თაობას.

დავით გურამიშვილი

ძნელია, მსოფლიო ლიტერატურაში მოძებნო დავით გურამიშვილისთანა ტრაგიკული ბედის პოეტი, რომელსაც თავის თავზე გადაეტანოს ორგზის საშინელი ტყვეობა ლეკებისა და პრუსიელების ხელში, სამშობლოდან სამუდამო გადახვეწა, მწირობა, ხეტიალი, ომები, სიღარიბე, უნუგემო მოხუცებულობა, ტანჯვა უსამშობლოობით, უიმედობა, მარტოობა:

ვარ ბერიკაცი დიდად ნასაჯი,
საწუთროსაგან მწარედ ნატანჯი,
შიშველის ფეხებით
აქა-იქ ხეხებით
ტყვეობისაგან...

ბიბლიური იობივით ტანჯული, “საწუთროს სოფლისაგან ბევრის გზით ვნებული, მრავალ განსაცდელსა შინა შეყვანებული, სხვის ქვეყნად სამკვიდროს ქვეყნით გამოძებული, დაკარგული”...

დავით გურამიშვილის სამშობლო საგურამოა, რომელზედაც ვახუშტი იტყვის: “გარნა არს ესე საგურამო ნაყოფიერი ხილით, ვენახით, მარცვლით, თვინიერ ბრინჯ-ბამბისა, პირუტყვითა, ნადირითა, ფრინვლითა, ტყითა, ველითა და მთით შემკობილი” (საქართველოს გეოგრაფია, თბ., 1941, გვ. 94)¹¹⁷.

საგურამო უძველესი ისტორიული კუთხეა, ძველად ცნობილი “ხერკის”, “ხერგის”, “ზანავის”, “თეზმის-ხევის” სახელწოდებით.

მრავალი ისტორიული ქარიშხალი გადაუტანია “ქართლის ჭირის” მომღერალის მამულს.

საგურამო, როგორც თბილისთან ახლოს მდებარე, მუდმივ მტერთა აოხრებისა და აკლების სარბიელი იყო.

¹¹⁷ “საგურამოში” ხშირად დღევანდელ სოფელს “საგურამოს”, ანუ “გურამიანთ კარს” გულისხმობენ, მაშინ როცა მაიორატი საგურამო მოიცავდა ზედაზნისა და ერწოს შუა მდებარე ტერიტორიას.

გურამიანთ მამული — საგურამო ჯერ კიდევ პოეტის დაბადების ახლო წინა ხანებში მოხრდა ერეკლე I-ისა და გიორგი XI-ის “ორიანობის” ბრძოლების დროს. შემდეგ, როცა შინაურმა მტრებმა და სპარსეთის ინტრიგამ ერთმანეთს წაჰკიდეს ქართლისა და კახეთის მმართველები, საგურამო თვით ვახტანგ მეფემ მოარბევინა კახეთის მეფის კონსტანტინეს გამოჯავრებით, როგორც მისი სამფლობელოს სანაპიროს ალაგი. 1723 წლის მაისში თბილისი კონტანტინემ ლეკებს ააკლებინა, ხოლო იმავე წლის ივნისში თბილისი თურქებმა დაიჭირეს, მათ მოათავეს ლეკთაგან ამოწყვეტილი, დატყვევებული ქართლ-კახეთი. “ქვეყანა ეზომ გააოხრეს, — სწერდა ვახტანგი პეტრე პირველს, — ხუთ ადაჯზე ქალაქის გარშემო სოფლები სულ გააოხრეს და შენობა მოშალეს. ტყვე მრავალი დაატყვევეს. ენით არ მოიხსენება აქაური ჭირი. კახეთი ხომ სულ ლეკმა დაიჭირა, არღარა დაშთა მსახლობელნი მუხრანს, ქართლს და საციციანოს და ადგილი საბარათიანოს, სომხითსაცა, თვინიერ სიმაგრეთა, რამეთუ მუშაკობადცა პარვით, მალვით ჩამოვიდიან და მათნი (ლეკ-ოსმალთა) მხილველნი ივლტოდიან” (ვახუშტი).

პოეტის თანამედროვე იასე ტლაშაძეც ხომ გადმოგვცემს:

“სამცხეთო სულ დაიკარგა,
მათ (ე. ი. ოსმალთ) გაადინეს მტვერიო”.

საგურამო მთელი საუკუნის მანძილზე “ლეკს ეჭირა”. იგი აღმოჩნდა არა მარტო “ლეკის გზაზე”, არამედ იქცა ლეკთა ბუნაგად, თვით 1795 წელს, კრწანისის ტრაგიკულ დღეებში, საგურამოში ლეკის ჯარი იდგა.

გურამიშვილთა ახალ სამყოფელად ს. ზემო ავჭალა გახდა, მაგრამ ვეღარც აქ მოიკიდეს ფეხი მისმა პატრონებმა. 1778 წლისათვისაც კი ავჭალა ისევ უკაცური იყო.

მე-18 საუკუნის საშინელ აოხრებათა შედეგად განთქმული საგურამოსა და წიწამურის ზვრები 1803 წელსაც ისევ “ნავენახობებად” იყო გადაქცეული.

ასეთი აოხრება, ატიალება ერგო “ქართლის ჭირის” მოზარის სამკვიდროს. პოეტისა და მისი მამულის ბიოგრაფია ერთნაირი გამოდგა.

გურამიშვილები ზევდგინიძეთა ძველი გვარის წამონაყარი არიან. გურამიშვილთა გვარის დამწყები უნდა იყოს სწორედ ის “პატრონი გურამ” ზევდგინიძე — ამილახორი, რომელიც 1401 — 1413 წ. მცხეთის გუჯარში იხსენიება. ზევდგინიძეები იხსენიებიან გორის მოურავად და ჩუხჩერახად. 1431 წლისათვის ცნობილია დიდი ფეოდალი თაყა ზევდგინიძე. ისტორიამ იცის აგრეთვე ზევდგინიძე იოთამ, თავშეწირული ქვეშევრდომი გიორგი VIII-ისა.

საქართველოს სამეფოს გაყოფის შემდეგ გურამიშვილები კახეთის თავადებად ირიცხებიან. გვარი “გურამიშვილი” ვახუშტის მიერ ნახსენებია კახეთის თავადიშვილთა შორის. პოეტი სამსახურეობრივ მიმოწერაში თავის თავს “კახელ თავადიშვილად” აცხადებს, ხოლო მირიან ბატონიშვილისადმი 1787 წ. მიწერილ განცხადებაში პოეტი მისი ოჯახის “ყმაყოფილად” იხსენიება. 1783 წ. ტრაქტატისათვის შედგენილ ჰერალდიკაშიც გურამიშვილები მოხსენებული არიან “კახეთის თავადის შვილების” განყოფილებაში.

ამგვარად, დავით გურამიშვილი “კახთ-თავადია”. ამას ერთგვარი მნიშვნელობა ენიჭება “ქართლის ჭირის” ავტორის კონცეფციისათვის, როდესაც იგი კახთა მეფის კონსტანტინეს საქმიანობას ეხება.

საგურამო ღონიერი ფეოდი იყო და მისი მეპატრონეები თავადი გურამიშვილებიც საკმაოდ ძლიერი მამულის მფლობელები. მათ მამულებს

შეადგენდა, მთისა და ბარის გარდა, სოფლები: წიწამური, ახალციხე, მჟავი, ღურო, მანკავერი, ახალდაბა, გორისუბანი, ზემო და ქვემო ავჭალა და მრავალი სხვა. გურამიშვილთა მფლობელობა შიდა კახეთსაც უწევდა. მათ ჰქონდათ ყმა და მამული ნაფარეულში, საბუეში, ენისელში. როგორც “ერთგულნი და წესისაებრივ თავდადებით ნამსახურნი ყმანი” კახთა მეფეებისა, გურამიშვილები მეფეებს არაერთხელ დაუჯილდოვებიათ ყმით და მამულით. მათ მფარველობდნენ მეფეები: ლევანი, თეიმურაზ I, როსტომი, კონსტანტინე, ერეკლე, გიორგი. როგორც დიდგვაროვან ფეოდალებს, ანგარიშს უწევდნენ სპარსეთის შაჰები — აბას I, შაჰ-სეფი.

მე-17 საუკუნეში ცნობილი იყვნენ გურამიშვილი ზაალ და მისი ძმა გივი გურამის ძენი, რომელთაც თეიმურაზის, როსტომისა და არჩილის დროს ეჭირათ “სუფრაჯის” თანამდებობა.

პოეტის დროს გურამიშვილთა გვარი უკვე ჩამოქვეითებული ყოფილა. უკანასკნელად მათ შედარებით დაბალი თანამდებობანი ეჭირათ — “ბოქაულთუხუცესისა”, “მილახვრისა”.

დავით გურამიშვილის კერის ახლო წევრებად ჩანან — ფარემუზისშვილი ზაალ, ქაიხოსრო, ავთანდილ, მათი განაყოფები — ზურაბ, ბაქარ (პოეტის მამუკა გურამიშვილის მამა), დავითი¹¹⁸, ბოქაულთუხუცესი გურამ, ფარემუზ, ქაიხოსრო, მანუჩარ, დურმიშხან, სეხნია, ზურაბ, დავით. იორამაშვილები — ლევან, დოლენჯი, ამილღაბარ, ბერი, ფარსადან, სეხნია, იოთამ, გივი, გურამ, დავით, ომან. პოეტის გვარეულობას მფარველობს დავით მეფე (იმამ-ყული-ხანი). იგი სპარსეთიდან საგანგებო განკარგულებით (1712 წელი) აწესრიგებს მათს სამამულო საოჯახო საქმეებს¹¹⁹.

პოეტის მამას ჰყოლია ძმა ლუარსაბი. მისი შვილი უნდა იყოს მერაბ გურამიშვილი, რომელიც შემდეგ დავითთან ერთად ცხოვრობდა მირგოროდში.

ჩვენ არა ვიცით რა პოეტის დედის შესახებ. რაც შეეხება მამას, ეს არის ის “შიოშიშვილი გიორგი”, რომელიც მოხსენებულია კახთა მეფის დავითის 1715 წლის სიგელში¹²⁰. დავითი შესწრებია პაპა შიოშს, როგორც ესა ჩანს “ქაცვია მწყემსიდან” (“მე მომითხრობდა პაპა-ბებია”).

პოეტის ძმა ქრისტეფორე (ქაიხოსრო) ქართული სტამბის დიდი მოღვაწე იყო რუსეთში. დავით გურამიშვილის ბიძაშვილი გიორგი გურამიშვილი იყო ქართული არტილერიის უფროსი ერეკლე II-ის დროს. იგი სპარსელებმა ზედ ზარბაზნებზე აკუწეს კრწანისში.

დავით გურამიშვილი დაბადებულია 1705 წელს, ს. საგურამოს, ანუ “გურამიანთ-კარს” გორისუბანში¹²¹.

პოეტი ღრმა სიბერემდე არა ერთხელ დიდი გულისტკივილით იგონებს თავის სახლ-კარს, “მკვიდრად აგებულ სახლს” გორისუბანში, რომელსაც ამშვენებდნენ თურმე “ბაღთ-ხეივანი”, “გარს გაღავანი”.

პოეტის ოჯახი კაცთმრავალი ყოფილა. დები და ძმები რომ ჰყოლია პოეტს, ეს მისი ლექსებიდანაც ჩანს. “დედ-მამა, ძმანი დაგვარგე, არ ვიცი, დანი სად არი?” — ამბობს იგი ტყვეობაში.

პატარა დავითი, ძველი ფეოდალური ჩვეულებისამებრ, მიუზარებიათ

¹¹⁸ ცასსა, კოლ. 1450, წ. 19, № 109.

¹¹⁹ ც. არქ. ფ. 1450, წ. 26, საბუთი 105.

¹²⁰ საქ. სიძგ., III, 410.

¹²¹ გორისუბანი საგურამოს, ანუ გურამიანთ კარის თავზეა, მისი სამხრეთ-დასავლეთით გორის კალთაზე მდებარე. ამიტომ ამ ადგილს “გორისუბანი” ეწოდება.

მიძისათვის, რომელსაც შემდეგ უწოდებდნენ: “ბევრჯერ მატირის მუცლითა მშვივრითო”.

დავით გურამიშვილს იმ დროის მიხედვით განათლების მიღება შეეძლო მცხეთაში, “სვეტი-ცხოველში”, რომელიც განათლების მუდმივ კერას წარმოადგენდა.

დ. გურამიშვილი ბევრგან ჩივის “სწავლის სიმოკლეს”, “უწვრთნელობას”, “ცოდნა-მცირობას”, მაგრამ მისივე ლიტერატურული მემკვიდრეობა გვაფიქრებინებს, რომ იგი არ უნდა ყოფილიყო მოკლებული საჭირო აღზრდას.

გარეშე მტერთა შემოსევამ და შინაურმა უთანხმოებამ ხელი შეუწყო გურამიანთა ოჯახის დაქვეითებასაც. მაგრამ მთავარი რისხვა, როგორც გურამიშვილებისა, ისე მაშინდელ ქართლ-კახეთისათვის მაინც ლეკების მუდმივი შემოსევა იყო. სწორედ დავით გურამიშვილის ყრმობისა და სიჭაბუკის დროს, “ლეკმა ძალი წამოატანა კახეთს”, “დღე არ გამოვსა, რომ არსად მოუხდეთ და ყოველთვის ომი არ იქნას, — ჩივის კახეთის მეფე დავითი, — ხან ჩვენი ჯარი პასუხს აძლევს და ზოგან ჩვენს ჯარს გაემარჯვება ხოლმე, მაგრამ ამოდენი ომი და ხმალის ქვეშ ყოფა, კაცისაგან არ გაიძლება და ამაში ამ ქვეყნის (კახეთის) კაცი დიად შესჯერდა. გლებმა კაცმა სამუშაოდ ვეღარ მოიცალა და ყანა რაც მომკეს, ისინი (ლეკები) სწვენ”. იგივე დავით ჩივის, რომ გაღმა კახეთი გალევდა, რომ 1720 წელს “ქიზიყი სულ დაწვეს, აყარეს და შენობა აღარა გაუშვეს რა”.

სიჭაბუკის დღეებში დავით გურამიშვილს შეეძლო ერთობის ერთი ნათელი დღე მოეგონებინა (სახელდობრ, 1719 წ.), როცა კახთა მეფე დავითი მოვიდა საგურამოს ქართლის მეფე ვახტანგთან შესახვედრად და ლეკების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა გამოსამუშავებლად. მეფეებმა ერთი პირის დასადგენად “განაახლეს სიყვარული და ჰქმნეს პირი. და მოხსნა სპანი ვახტანგ და წარვიდენ” (ვახუშტი). ეჭვი არაა, ერთობის ამ სახელოვანი აქტის მოწმე უნდა ყოფილიყო ახალგაზრდა დავით გურამიშვილი.

ჩვენ თითქმის არა ვიცით რა დავით გურამიშვილის ყრმობასა და სიჭაბუკეზე. “ქაცვია მწყემსის” მიხედვით, 16 წლის დავითს ცოლი შეურთავს (1721 წ.). პოეტის მეუღლე გარაყანიძეების ქალი ყოფილა, სოფ. ლამისყანიდან, რასაც იმეორებს გარაყანიძეთა საგვარეულო ტრადიციული გადმოცემაც.

გურამიშვილის დრო ყველაზე ტრაგიკულია საქართველოს ისტორიაში, როცა, ერეკლე II-ის სიტყვით რომ ვთქვათ, “ოსმალნი პირამკმულნი ვეშაპებრ და სპარსნი მბრდღვინავ ლომებრ და ლეკნი განძვივნებულ მგლებრ კბილ-მოღრჭენით” თავს ესხმოდნენ საქართველოს. პოეტის სიჭაბუკეში ქართლ-კახეთი, ამ უწყალო დაუძინებელ მტერთა მეოხებით, ერთს დიდ “ნატიალევს” წარმოადგენდა. “კახეთი იყო მარად ხდომა-ტყვეობა-ოხრებასა შინა ლეკთაგან” (ვახუშტი). პირად კეთილდღეობას აყოლილი ფეოდალების უგუნურებით, არა იშვიათად, ძმათა ომები წარმოებდა. ვახტანგზე შემომწყრალმა კონსტანტინემ 1722 წ. “მოიყვანა ლეკნი”, წარუძღვნა კახნი და მოსტყვევნეს სრულიად ლილოები” (ვახტანგის სახასო სოფელი). მალე ვახტანგმა სამაგიერო გადაუხადა კონსტანტინეს: ვახტანგის ბრძანებით, მისი შვილი ბაქარი და ძმა იესე მივიდნენ მცხეთას და საგურამო მოარბიეს, როგორც კონსტანტინეს სანაპირო მამული. ამნაირად, ძმათა ბრძოლის პირველ მსხვერპლად დ. გურამიშვილის სამშობლო კუთხე გამხდარა. ამ ბრძოლებში გურამიშვილთათვის საბედისწერო გამოდგა კონსტანტინეს მიერ ქვეყნის მოღალატე ორბელიანებისა და ქსნის ერისთავების მხარდაჭერით, ლეკებისა და ყიზილბაშთა ჯარების დახმარებით 1723 წლის 4 მაისს თბილისის აღება. სწორედ ამავე ზაფხულს გადაუწვავთ პოეტის სოფელი და დამწვარა მისი სახლ-კარიც. ისე რომ, საბოლოოდ აინგრა მათი საცხოვრებელი ბუდე — გორისუბანი, რომელიც ამის შემდეგ სრულიადაც გაქრა

რუკაზე. თვით დავითი გვიმოწმებს, რომ მისი სახლი “მტრით დაცემული, ცეცხლს მიცემულია”. მეორეგან დავითი გმინვით ამბობს:

მე დამწვარსა და დაგულსა,
სახლ-სამკვიდრო დაკარგულსა,
.
ცეცხლმა დამიწო სახლკარი,
ვამე, ჯავრი მჭირს მის სრისა!

იმავე წლის ივნისს ვახტანგმა ოსმალთა დახმარებით თბილისი ისევ დაიჭირა და ლეკთაგან უკვე აკლებული ახლა ოსმალთ მოაოხრეს. საქართველო “მტერთაგან შეიწროებული და მრავლის ჭირისაგან დამძიმებული ქვეყანა”, ანუ როგორც ვახტანგ მეფემ განაცხადა რუსეთში: “საწყალი, დაღუპული საქართველო”, ქედს მაინც არ იდრეკდა და ბრძოლას განაგრძობდა. ქართველთა გადარჩენილმა ნაწილმა მტერთან გამკლავება გადაწყვიტა. 1723 წ. 14 ოქტომბერს ქართლ-კახეთ-თუშ-ფშავ-ხევსურნი შემოერთებულნი გორის ციხეს, სადაც ოსმალთა დიდი ჯარი იდგა, მაგრამ იერიში ვეღარ მოასწრეს, რადგან თბილისიდან მტერს დიდი მამველი ჯარი შეემატა, რომელსაც წინ მოუძღოდნენ რენეგატები — იესე ნამეფარი და სულხან-საბას ძმა ერასტი ორბელიძევილი. მოხდა სისხლისმღვრელი “ატენის ომი”. გამარჯვება ჯერ ქართველების მხარეზე იყო, ბოლოს კი ქართველი პატრიოტები ღალატით დამარცხდნენ. ამგვარად, “ქართლი ისევ ქართველებს დააქცევინეს”.

ატენის ომის, ალბათ, მონაწილე იყო პოეტი-პატრიოტი, რომელიც ამ ამბავს ასე გადმოგვცემს:

ვაიმე ამის სათქმელად
პირი გამიხდა წკალტევით,
არ იმართოდა ლაშქარი
ზედაველაზე დატევით,
მათ ჩვენმა ჯარმან აჯობა
პირველ მისვლაზე შატევით,
მაგრამ ბოლოს კი დამარცხდა
შინათვე ნაღალატევით.

“ატენის ომმა” საბოლოოდ გატეხა ქართლ-კახეთი და ოსმალთ “დაიპყრეს ყოველი ქართლი”.

შინა გამცემლური ომებისა და უგუნურად სისხლის ღვრისათვის პოეტი ვახტანგსაცა და კონსტანტინესაც ერთნაირი მოურიდებლობით უკიჟინებდა:

მეტად უზომოდ გაჯავრდენ,
ვერ გასძლეს გულის ჯავრნია,
აჩქარდენ, ვეღარ გასინჯეს
მათ საქმე სასინჯარნია,
მტერს ნებით კარი განუღეს
მაგროვნად დანაჯარნია,
კახთ იხმეს ლეკნი სამველად,
ქართველთ — ოსმალს ჯარნია.

წინააღმდეგ ვახუშტისა და სხვათა შეხედულებისა, დ. გურამიძევილს

კონსტანტინე ამავე დროს გამოჰყავს გონიერ, შორსმჭვრეტელ პოლიტიკოსად, რომელსაც, პოეტის აზრით, კარგად ესმის ძალა ერთობისა და მიზეზებიც საქართველოს დაქსაქსვისა.

გურამიშვილი კონსტანტინეს ათქმევინებს:

თუმცა მიბოძა ყენმა,
არ მხამს მიღება ქართლისა,
ამად, რომ მტერთგან დამდნარნი
ვართ ვით ნაღვენთი სანთლისა.
მე მტრად სხვანიც მეყოფიან,
ძმასა რადლა დავმტერდები;
იმას ისევ ქართლი ჰქონდეს,
მე ჩემს კახეთს დავჯერდები¹²².
ყენს შიშით თავიდგანვე
გაუხდივართ ერთი — ორად,
ახლა როდის შეგვაერთებს,
საქმე გვიგდო მოსალორად,
ქართლი მომცა ძმათ საჩხუბრად,
ამხანაგთა მოსაშორად.

პოეტის სიტყვით, კონსტანტინემ მტკიცედ გადაწყვიტა ყენის ბრძანების გატეხა და ვახტანგს ერთობის წერილი გაუგზავნა:

თუმცა მიბოძა ყენმა,
მე ქართლსა არ გეცილები.
გარს მტერთა ცეცხლი გვედების,
შუვა ჩვენ ვსდნებით ცვილები,
სჯობს, რომ ჩვენ ერთნი შევიქნათ,
ეგებ გვეღირსოს ძილები.

მაგრამ კახელმა ფეოდალებმა ხელახლა გაილაშქრეს თავისი მეფის წინააღმდეგ და ვახტანგისა და კონსტანტინეს მოსალაპარაკებელი “შეყრა ჩაშალეს” ალავერდელის და ვახტანგის ძმის იესეს მეთაურობით.

მალე “ურუმთა დაიჭირეს” ქსნის საერისთაო, “ქსანი მოარბიეს”. საკითხავია, როცა ქსანში მყოფ კონსტანტინეს “დაუბვირნეს ყოველნი საზრდელნი ქსნის ხეველთა”, როცა მან “ვედარა იტვირთა უპატრონობა შანშესაგან და მოვიდა ფშავს და წარიყვანა ძმაცა თვისი თეიმურაზ დედა-წულითურთ“ — იახლა თუ არა შემომარცულმა მეფემ გურამიანთ ოჯახიდან თავისი ახალგაზრდა მხლებელი მეომარი დავით გურამიშვილი ფშავს, სადაც კონსტანტინე იმყოფებოდა, “წელთა ერთსა იწრობითა დიდითა”, საამისო ცნობა არ მოგვეპოვება, მხოლოდ საქმის ახლოს მცოდნესავით კი აგვიწერს დ. გურამიშვილი კახელებისა და კონსტანტინეს გაჭირვებულ ყოფას ს. თვალივში (ფშავი):

კახმა ბატონმა მიმართა

¹²² ასევე გადმოგვცემს ვახუშტი. როცა ყენმა ქართლი მისცა კონსტანტინეს, სამეფო თათბირზე უკანასკნელმა განაცხადა: “ფიცვართ მყოფ და ვჰგონებ იმყოფის ამის შფოთი დიდი. აწ მნებავს, რათა წარუგზავნო რაყამი და ვაცნობო ვახტანგს, ამითი იქმნას უმეტესი სიმტკიცე ჩვენ შორის”.

ფშავ-ხევსურეთის კიდესა,
კახთა ცოლ-შვილით თვალივსა
ძლივს ფეხი მოიკიდესა.
რაც ხანი იყვნენ, სარჩოსა
ვერც სთესდნენ, ვერცა მკიდესა,
რაც ახლდათ თვისი საუნჯე,
სულ პურ-ღვინოზე ყიდესა.

თბილისის ომის და დატყვევების შუა ხანებში დავითი შეხიზვნია ლამისყანას, — ცოლეურის სოფელს, რომელიც ძველთაგანვე “ერისთავების მამული”, აზნაურ გარაყანიძეების ადგილ-სამყოფელი იყო.

როგორც ჩანს, ლეკიანობისა და ურუმობის გამო, გურამიანთ ოჯახიც ჯერ ქსნის ხეობაში გახიზნულა, ისე როგორც ლტოლვილ კახელთა უმეტესობა. მემატიანეს ნათქვამი აქვს, რომ ქსნის სიახლოვეს, გრემის ხევს, ლეკები დაეცნენ, “მოსტყვევენს და აღიდეს ალაფი კახთა ხიზანთა”-ო. ამ “კახელებში” გურამიანნიც უნდა იგულისხმებოდნენ. “ატენის ომის” შემდეგ თვით პოეტის პატრონი კახთა მეფე კონსტანტინე ქსნის ხეობას შეეხიზნა, რადგან კახეთი უკვე ლეკს ეჭირა.

ეჭვი არაა, კარის ერთგული მოხელე გურამიშვილებიც ამ დროისათვის კონსტანტინესთან უნდა ყოფილიყვნენ. ვფიქრობთ, ჭაბუკი დავით გურამიშვილიც, ატენის ბრძოლის მონაწილე, ვერ დაშორდებოდა თავის პატრონს, რადგან სხვა გასაქანი, როგორც კონსტანტინეს ქვეშევრდომს, აღარ ექნებოდა. სწორედ ამიტომაც უნდა მოხვედრილიყო გურამიშვილი ქსნის ხეობაში და არა მხოლოდ გარაყანიძეებთან დამოყვრების საბაბით. ვახტანგ მეფე თბილისის დაცემის შემდეგ ლამისყანის მიდამოებში იმყოფებოდა და აქ, მუხრანსა და წილკანში გამაგრებულ ლეკებს ებრძოდა. აქ, ლამისყანასთან, ოკამს, ვახტანგს შეჰფიცეს მეფობის მოუშლელიობა. ლამისყანის გარემო, სადაც პოეტი ცხოვრობდა, დაუცხრომელი ბრძოლების ველად იყო ქცეული და, ეჭვი არაა, დავით გურამიშვილიც უნდა ყოფილიყო ამ ბრძოლების მონაწილე. აქ, ლეკებთან ერთ-ერთ ბრძოლაში, ვახტანგს “იძულებულსა წამოსვლად უბრკმა ცხენმა და დაეცა... და იხილა მეფემან ესე ვითარებანი ქართველთა, იწყო სხვისა განზრახვა”, ე. ი. რუსეთში წასვლა.

ძალაგამოლეული, დამარცხებული ვახტანგი 1724 წ. რაჭის გზით რუსეთს გაემგზავრა, ორი ათასამდე მხლებლით. ვახტანგს გაჰყვა მთელი სამეფო კარი, რჩეული თავადაზნაურობა, მაშინდელი ქართული ინტელიგენციის “ნაღები”— დიდნი თუ მცირენი.

დარბეულ და გაჩანაგებულ ქართლ-კახეთში ოსმალთ ფეხი მტკიცედ მოიკიდეს. ისინი საშინელი სისასტიკით სძარცვავდნენ და აოხრებდნენ ქვეყანას. მათ აღწერეს ქართლი, დაადვეს ხარკი, კაც-სულზე — დრაჰკანი, ცხვარზე — ორი შაური, ძროხაზე — აბაზი, კამეჩსა და ცხენზე — ექვსი შაური, მოსავალზე, ხილზე — “ხუთის თავი” და ამის გამო “იქმნა ჭირი დიდი”.

იმდროინდელ საბუთებში ხშირად შეხვდებით მონობით შეწუხებულ ქართველთა ჩივილსა და კვნესას “ავი დროს, მწარის ტყვეობისა და აოხრების” შესახებ. “დაიწერა წიგნი, ურუმთ რომ ქართლი დაიჭირეს და ბევრი ავი ქნეს. ტყვე და საქონელი ბევრი წაიღეს ვახტანგის მეფობაში ლეკმა, ურუმმა”.

ლეკებმა გაახშირეს ყოველდღიური თავდასხმები, აოხრება, დატყვევება. “თვინიერ ამათ ჭირთა შინა, რომელი იყო ოსმალთაგან, გაზაფხულ-შემოდგომას, მარადის ატყვევებდნენ ლეკნი, რამეთუ ჯარად და ჯარად გამოვიდნან”,

“განძლიერდნენ ესრედ, რამეთუ უწყეს სამცხე-ჯავახეთს რბევა და ტყვევნა ლეკთა”.
“დიახ ავი დრო და დაჭირვებული საქმე იყო ყველგნით” — ამბობს თანამედროვე.
ლეკების თავდასხმებისა, თურქების ხარკისა და მტარვალობისაგან შეწუხებული
მოსახლეობა თავზარდაცემული და გზააბნეული გარბოდა: “ქართლი აირივა, ქვეყანა
სულ დაიფანტა, ზოგი იმერეთს გარდაცვივდა, ზოგი ჯავახეთს, ზოგი კახეთში, რომ
მტერმა შეაწუხა”.

პოლიტიკურ დაცემასთან ერთად დაიწყო საზოგადოების ზნეობრივი
შერყვნაც. მემატინეს სიტყვით, სწორედ ამ დროს “შემოხდა უმეტეს პირველისა ქცევა
და ზნენი ყიზილ-ბაშთა. და დაუტევებდნენ ქართულთა, იწყეს კეკლუცობა,
განცხრომა, მათებრ სმა-ჭამა, სიბილწე, ტყვის სყიდვა, მრუმება ვიდრე სოდომიამდე”,
ხოლო დ. გურამიშვილი უმატებს:

შეიქნა დიდი მტერობა,
ქმნა ერთმანერთის ძვირისა,
ამპარტავნება და შური,
ურცხვად გატეხა პირისა.

გურამიშვილის კარის მეზობლები მცხეთელებიც აღიარებდნენ თავისი პირით:
“დიაღ, ეშმაკი მოგვერია და ჩვენის ცოდვისაგან ერთმანეთის დიდი შური და მტრობა
გვქონდა, რომ რასაც დღეს ერთმანეთს დავახელებდით, არც საჩხუბრად
დავეშურებოთით, არც საბეზღარად”-ო. საერთო დემორალიზაციის დროს
გურამიშვილთა გვარშიც “შფოთი და შერყეულობა” ყოფილა, — ერთმანეთთან დავა,
კინკლაობა, ინტრიგა, “სარჩელი, საჩივარი”.

ამ საშინელი არეულობის დროს, 1727 წ. მომხდარა დავით გურამიშვილის
ტყვეობაც, როდესაც “მოყვრის ყანას” თავს ადგა, ივლისს, ლამისყანაში:

არ შეყრილიყო ჯერ მუშა,
იყვნენ მოსასვლელ შორითა.

მაშასადამე, მუშა “შორიდან” ყოფილა მოსასვლელი. რაკი დავითი
გარაყანიძეების მამითადში იყო, ცხადია, ყანის მკის მუშებადაც მათი ყმები უნდა
ყოფილიყვნენ. ადგილობრივ ყმებს გარდა გარაყანიძეებს ჰყავდათ გლეხები ზემო
ავჭალაში, ბიწმენდში (საგურამოს მეზობლად) და ერწოში (სოფ. თოლუეჯი, გორანა,
ნოტოკრა). ვფიქრობთ, რომ მამითადის მუშები სწორედ ერწოდან უნდა
ჩამოსულიყვნენ, “შორი” მთის მაგარი ადგილიდან, რადგან ბარად მუშახელი
აწყვეტილი და სრულიად გაფანტული იყო ლეკიანობისა და ოსმალობის გამო.

ჩვენში მიღებულია აზრი, რომ ლეკებმა პოეტი მარტოდმარტო დაატყვევეს,
მაგრამ მისი პოემის მიხედვით, ამ საბედისწერო დღეს მამითადის მოსამზადებლად
დავითი ორი კაცით წასულა:

დილაზე ავდექ, წინასწარ
წაველ კ ა ც ი თ ა ო რ ი თ ა.
ჩვენ თურმე გვნახეს, მ ო გ ვ მ ა რ თ ე ს
ლეკთა ირტოზის გორითა.
მუნ ახლოს წყარო დიოდა,
მასთან ტყე იყო ხშირადო,
იქ მ ო გ ვ ე კ ა რ ნ ე ნ, და გ ვ ი ს ხ დ ე ნ

თხუთმეტი კაცი მზირადო.

ამრიგად, ლექსში პოეტი მარტო თავის თავზე არ ლაპარაკობს, აქედან აშკარაა, რომ დატყვევების მომენტში დავითი მარტო არ იყო, რომ დავითთან ერთად იმ წყაროზე მასთან კიდევ ორი კაცი ყოფილა.

მამასადამე, თხუთმეტი ლეკი თავს დაესხა სამ კაცს და, ცხადია, დავითთან ერთად, ის ორი კაციც ვერ გადაურჩებოდა ლეკის ტყვეობას. ახლა საკითხავია, ვინ იყვნენ ის ორნი? ეჭვი არაა, დავითის, ანუ დავითის მოყვრის ახლობელი ადამიანები, შეიძლება ოჯახის წევრებიც, ვფიქრობთ, მისი მოყვარე ან ცოლის ძმა, რომლის შესახებაც ამბობს პოეტი:

აწ ნუ გამყარე კ ა ი მ ო ყ ვ ა რ ე,
მისთვის მწუხარე აწ გამახარე.

ისიც შესაძლოა, რომ ამ “ორში” თვით გურამიანთ ოჯახის რომელიმე წევრიც იგულისხმება, ყოველ შემთხვევაში, საცნაურია, რომ დავითის ბიძაშვილი (და არა ბიძა, როგორც დღემდე აღიარებულია) მერაბ გურამიშვილი მოსკოვს ჩასულა სწორედ დავითის რუსეთში ჩასვლის ხანს, სახელდობრ, 1729 წელს. ხომ არ იყო მერაბ გურამიშვილი ერთ-ერთი იმ “ორ კაციდან”, რომელნიც ლამისყანის წყაროსთან დაატყვევეს პოეტთან ერთად?

თუ ეს ასეა, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ დავითთან ერთად ლამისყანაში გახიზნულან გურამიანთ ოჯახის სხვა წევრებიც და მათ შორის მერაბ გურამიშვილიც.

ამრიგად, შესაძლებელია, რომ დავითთან ერთად დაატყვევეს მისი ბიძაშვილი მერაბ გურამიშვილი და მისი ცოლისძმა, “მოყვარე” — გარაყანიძე, თვით წევრი იმ ოჯახისა, რომელსაც მამითადი ჰყოლია მოწვეული.

ლამისყანიდან ხელმხარშეკრული დავით გურამიშვილი ლეკებს ქსანზე უნდა გადაეყვანათ, ალბათ, გაატარებდნენ ილტოზის ხევს, მერე მჭადიჯვრის ველით, ბერთა-მთით, ნაოზის მიდამოთი — არაგვზე და შემდეგ გაღმა, — ჭოპორტის მთით ტყე-ტყე ზედაზნის მთის შესართავამდის, იქიდან ერწოთი თუშეთის მთით — დაღესტანში.

პოეტი ჩაუყვანიათ ოსოქოლაში, რომელიც კავკასიის უმთავრეს ქედზე მდებარეობს. “დიდათ მიაჩნდათ სოფელი ესე ოსოქოლა, სადგური ხანთა, — ამბობს პლ. იოსელიანი, — შეუვალი მტერთათვის, ექვსასისა კომლისა შეჭურვილისა ლეკისა ბოლაზი და ნაყოფიერებითა მდიდარი მათათა ადგილთა შორის”.

დაღესტანში დ. გურამიშვილი ხაროში ჰყოლიათ “ზნელში მდებარედ”, როგორც ირკვევა მისივე სიტყვებიდან:

ზნელსა ვზივარ,
გიაჯები სასინათლო ამიხვრიტო.

ლეკებს დავითის გაყიდვა დაუპირებიათ, ალბათ, ყირიმელ თათრებზე. “უსასყიდლოდ მიღებული, გასასყიდლად დამაშურეს”-ო, გადმოგვცემს პოეტი; და, მართლაც, შესაძლებელი იყო დავით გურამიშვილი, მოსკოვისა და მირგოროდის ნაცვლად, კონსტანტინოპოლისა თუ ალჟირის ტყვეთა ბაზარზე მოხვედრილიყო. დავითი დიდხანს არ უნდა ყოფილიყო ტყვეობაში.

ქართველი ემიგრანტი მოსკოვში, ვახტანგის ამაღლის ყოფილი წევრი და

შემდეგში რუსთა მოხელე, საგარეო საქმეთა სახელმწიფო კოლეგიის წევრი დავით აბაზაძე 1748 წ. კოლეგიას მოახსენებდა, რომ “ლეკები უამრავ ქართველებს ატყვევებენ მაგრამ სიღარიბის გამო მათი შენახვა არ ძალუძთ, არც მათი დასახლება, მიწის სიმწირის გამო. ცხვრებივით შეკრულები ქვეითად მიჰყავთ თავის მებატონეებთან და ჰყიდიან ყირიმელ თათრებზე. ხოლო მათ ბატონებთან და მათ სამფლობელოში ყირიმიდან და ყუბანიდან მოდიან თათრები და შემოაქვთ ტილო, ყუმაში, ჩითეული, ქაღალდი, მატერიები, აგრეთვე ხმლები, ტყვია, თოფის წამალი, კაჟი და სხვა. აგრეთვე ცხენები, რაც მათ ძალზე სჭირდებათ, ამიტომ ტყვეებს სცვლიან ზემოხსენებულ საქონელზე სულ მცირე ფასად, ხოლო თათრებს ის ტყვეები ხელშეკრულები, დაჭედილები მიჰყავთ ყირიმში, ყუბანში და იქ მათ ტირანულ წამებას აყენებენ”¹²³.

პოეტი გადაურჩა ამ ტირანიას. მან გაპარვა მოახერხა, თუმცა პირველ გაპარვაზე დაიჭირეს და სცემეს. “დამიჭირეს, რათ წახველო, დამპაღურეს”.

დავითი ხელმეორედ გაპარულა, ახლა უკვე სხვა გზით. მან გეზი რუსეთისაკენ აიღო.

იგი შეგნებულად მიდის ამ გზაზე და ისიც იცის, რომ ვეღარ დაბრუნდება საქართველოში;

გული ტიროდა ცრემლითა, თვალები მეგუბებოდა,
ვიტყოდი, ვაი მოყვასნო, ჩემთვის დაკარგულებო და!

ზოგს შეიძლება ეგონოს, რომ გურამიშვილის ლექსები ტყვეობაზე დაწერილია დაღესტანში ტყვეობის დროს, მაგრამ ეს რომ ასე არ არის, თვით ლექსის რეალიიდან ჩანს. მაგ., ლექსში “სამების ვედრება, გზის წარმართვის თხოვნა დავითისაგან”, პოეტი ღმერთს ევედრება: “დამმარხველს, დამტირებელსა ვითხოვ მიბოძეო”. ცხადია, ეს უკვე მოხუცის ნატვრა იყო და არა დაღესტნის ორმოში ჩამწყვდეული ჭაბუკისა.

ლექსში “მზეთამზის ვედრება”, რომელიც იმავე დროს ტყვეობის განწყობილებებისა და სულთქმის გამომსახველია, დავითი ღალატებს გამჩენისადმი:

თვალთა დამაფარე ბადე,
მიხილე მე ბრმასა თვალი.

დავითი კი მხოლოდ სიბერეში დაბრმავდა. ამას გარდა, ამ “ლექსის ხმას”, ანუ მოტივს, გურამიშვილისავე სიტყვით, ეწოდება რუსულად “მასონ”, ჩვენ კი ვიცით, რომ დაღესტანში მყოფმა პოეტმა არც რუსული იცოდა, არც “მასონობა” და არც “მასონის” სიმღერა.

ტყვეობიდან გაპარვის შემდეგ დავითს უნდა ევლო გუმბეთდილიძის მიმართულებით, ხასავ-იურტისაკენ, შესაძლოა გასულიყო “ანდრეის აულში” (თერგის ოლქი), რომელსაც რუსები «Андреева деревня»-ს ეძახდნენ. ეს აული, რომელსაც დღეს “ანდრეი აული” ეწოდება (ქართულ საბუთებში ცნობილია “ანდრიას” სახელწოდებით), ქართველი ტყვეებით განთქმული სავაჭრო პუნქტი იყო. სხვათა შორის, “ანდრეის აულში” დღესაც ცხოვრობს მთელი გვარეულობა “აზნაური” გვარწოდებით, რომელიც ქართულ წარმოშობას ჩემულობს.

თერგიდან გურამიშვილი ასტრახანს წასულა, რომ იქიდან ცარიცინ-ვოლგით

¹²³ АВПР, 1748, г10, r II, ф. ф. 34 — 35.

მოსკოვს ჩასულიყო, სადაც, ვახტანგის ამაღლებაში, მას ამდენი ნათესავი და ნაცნობი უნდა ჰყოლოდა. ვფიქრობთ, ასტრახანში მას შემთხვევით ხელსაყრელი პირობები უნდა აღმოსჩენოდა მოსკოვში გამგზავრებისათვის, რუსეთისაკენ მგზავრობა კი იმ დროისათვის მეტად ძნელი საქმე იყო. ეტყობა, ამ საქმეში პოეტს ვინმე დიდად გავლენიანმა პირმა უშველა. საყურადღებოა, რომ სწორედ 1728 წელს, გილანიდან ასტრახანზე გამოვლით, მოსკოვს დაბრუნდა ვახტანგ მეფე და ბუნებრივად იზადება კითხვა, ხომ არ შეიერთა ვახტანგმა გურამიშვილი თავის ამაღლებაში? ისიც საგულისხმოა, რომ სწორედ ამ დროს ასტრახანში მოსკოვიდან ჩასულა ბაქარის ამალის ნაწილი. ისიც ვიცით, რომ 1729 წელს, ე. ი. პოეტის მოსკოვში ჩასვლის წელს, ნოემბერს, ასტრახანიდან მოსკოვში დაბრუნდა ვახტანგის ძმა სვიმონ ბატონიშვილი. აღსანიშნავია ისიც, რომ 1729 წელს, ოქტომბერს, ასტრახანიდან მოსკოვს ჩავიდა არაგვის ერისთავის ძე არქიმანდრიტი რომანოზი თავისი ამალით. ერთი სიტყვით, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ტყვეობიდან ასტრახანში ჩასული დ. გურამიშვილი ერთ-ერთ ამ ზემოთ დასახელებულ დიდ გავლენიან პირთა თანამგზავრი უნდა გამხდარიყო ასტრახანიდან მოსკოვამდე.

მოსკოვში ჩასული პოეტისათვის ვახტანგსა და ბაქარს “ჯაბადარ-ბაში“-ს თანამდებობა, ანუ “სახელო” მიუციათ, როგორც თვითონვე ამბობს:

მიწყალობეს მათ სახელო, მომცეს ჯაბადარ-ბაშობა.

ვახტანგ მეფე და მისი ამაღლება რუსული იარაღით ენერგიულად ემზადებოდნენ საქართველოს დასახსნელად. და, ცხადია, მათი არსენალის არსებობას მოსკოვში მნიშვნელობა ჰქონდა. გურამიშვილის “ჯაბადარბაშობით” ორი რამ უნდა ირკვეოდეს: ერთი, რომ დ. გურამიშვილი ვახტანგს თავის ერთგულად მიუჩნევია და მეორე, რომ პოეტი, ჯერ კიდევ საქართველოში ყოფნისას, სამხედრო საქმეებში გაწვრთნილი ყოფილა. ამრიგად, გურამიშვილმა თავისი ბედი შეუერთა მეფესა და მის ამაღლას. ეტყობა, არა მარტო მწერლობითი გავლენა უნდა ჰქონოდა ვახტანგს ახალგაზრდა დავითზე, არამედ ზნეობრივიც, პირად-ადამიანური.

პოეტი იგონებს მოსკოვში, ემიგრანტ მეფის კარზე, ლხინებს — ზმითა, შაირით, გალობით, მღერით, ჩანგით, ცეკვით. ამ პოეტურ ტურნირებზე მას არაერთხელ გამოუჩენია თავი და ყურადღებას აქცევდნენ როგორც უბადლო პოეტს, მოშიარეს და სატირიკოსს, სწორედ ვახტანგის კარზე ჩამოყალიბებულა დავითის პოეტური რეპუტაცია. პოეტის სახელი პირველად მოსკოვში უნდა გახმაურებულიყო, ვახტანგის კარზე გამართულ სამგოსნო ტურნირებში.

განათლებული მეფე, რომელიც თვით რუსეთში გარდახვეწის დღეებში შეჭირვების ჟამს მთარგმნელობასაც ეწეოდა (ლექსების წერის გარდა, გეომეტრიის, პლანიმეტრიის სახელმძღვანელოს რედაქციას უკეთებდა), დიდ ყურადღებას აქცევდა ახალგაზრდობის აღზრდასაც. “გვწყალობდის, უხვად გვაძლევდის, სწავლით შვილურებრ გვზრდიდისა”-ო, — გადმოგვცემს თვით გურამიშვილი.

დავით გურამიშვილმა ვახტანგის სიახლოვეს სულ ხუთი წელიწადი დაჰყო, 1729 — 1734 წლები. ამ ხანებში იგი თუმცა იღვწოდა პოეზიის ასპარეზზე, მაინც 1760 წლამდის მას არ ეცალა ლიტერატურული შრომისათვის სამხედრო სამსახურის გამო.

ამ პერიოდის ლექსებიდან მხოლოდ რამდენიმე ნიმუშილა შემორჩენია თვით პოეტს.

ვახტანგის კარზე ყოფნის პერიოდის ლექსები, ალბათ, “სანადიმოდ, სამღერელად, სააშიკოდ, სალაღობოდ, ამხანაგთა სათრეველად” ნათქვამი

ექსპრომტები უნდა ყოფილიყო. ჯერ კიდევ რუსთველი იტყოდა ამ ჟანრის პოეტებზე: “ჩვენ მათიგა გვეამების, რაცა ოდენ თქვან ნათელად”-ო და შემდეგშიც, ქართულ სამეფო კარზე, მეფეთა ზეიმისა და მეჯლისის დროს, ასეთ ექსპრომტად, ანუ “მუნასიბად” ნათქვამ ლექსებსა და თქმებს ხომ დიდი გასავალი ჰქონდა.

დ. გურამიშვილის სარგო და ჯამაგირი მცირე უნდა ყოფილიყო. პოეტი, როგორც თვით ამბობს, “გაუბედავი” ადამიანი ყოფილა, მაგრამ ეტყობა, მოთმინების ფიალა მასაც აევსო, როცა ერთ-ერთ მეჯლისზე მეფეს პირდაპირ მიახალა საყვედური:

აქ ათი ბიჭი გახლავართ, მარტო მე გულნაკლულადო!

პოეტისათვის სამშობლოში დაბრუნებაზე ფიქრიც კი შეუძლებელი იყო, ქართლ-კახეთი მთლიანად ნატიალევს წარმოადგენდა, ხოლო პოეტის სახლ-კარი დამწვარი, “ცეცხლს მიცემული”. უნუგემო ამბები ჩადიოდა საქართველოდან მოსკოვში. ოსმალთა, სპარსთა და ლეკთა “ასწყვიტეს ქვეყანა”, “ტყვისაგან დასცალეს”, “წარტყვევნეს და მოაოხრეს და იავარ ჰყვეს”.

თავქუდმოგლეჯილი მოსახლეობა გარბოდა ტყესა და ღრეში, კახეთის გამგებელი მეფე ალექსანდრე ამოდ იხვეწებოდა: “ისევ თქვენს ალავს დაგროვდით და რაც სამსახური გიბრძანოთ, გარიგებდეთ”-ო, მაგრამ თავზარდაცემული მოსახლეობა არ ენდობოდა და არც ემორჩილებოდა ამ ბრძანებას.

ვახტანგისა და ბაქარის საქართველოდან წასვლის შემდეგ ქართლი უთავადოდ და უწინამძღვაროდ დარჩა. ქართლის აოხრების მიზეზს მოწინავე ქართველები სწორედ ამ უპატრონობაშიც ხედავდნენ: “ჩვენი ქვეყანა თავად მომცრო ალაგი არის და მერმე უბატონოთ კაცს არა შეუძლიან რა”. 1724 წ. რუსეთის მთავრობას სთხოვდნენ დაჟინებით — თუ ვახტანგის არა, ბაქარის უკან დაბრუნებას, რათა იგი მაინც ჩასდგომოდა მეთაურად ბრძოლას დამპყრობელთა წინააღმდეგ. “ერთი ქვეყნის მომლელი რომ იყო, ეს მეფე ვახტანგ იყო, ესეც დაგებარებინა და მაინდ წამოვიდა და ასე დავრჩით. ჩვენი საიმედო ამის მეტი აღარ არის რა, რომ ეგება მაგათგან ერთი ზურგი მოებას და ამ ქვეყანას მოემველოს, თვარამ ეს ქვეყნები გაუთათრებელ არ დარჩება”, სწერდნენ რუსეთის ხელმწიფეს. დიდი ფეოდალები, “ერთმანეთის მტერნი და ქიშპნი იყვნენ, თორემ თუ ამათ ერთი პირი ექნებოდათ, მტერი ვერას გვავენებდა”, გულისტკივილით ამბობს მაშინდელი პატრიოტი.

როგორც იყო, ემიგრაციის ნატვრა ასრულდა. 1734 წლის ზაფხულში ვახტანგისა და ბაქარის მეთაურობით გადახვეწილი ქართველობა ბრუნდებოდა სამშობლოს გასათავისუფლებლად, სამხედრო მოქმედება შემახადან უნდა დაეწყოთ, რომელიც ყიზილბაშებს ეჭირათ. შემახის ასაღებად წამოსულ ვახტანგს იარაღი ქალაქ ტულის ცნობილ სამხედრო ქარხანაში ჰქონია შეკვეთილი. სწორედ საქართველოში გამომგზავრების წინა დღეებში ბატონიშვილი ბაქარი ობერ-ჰოფმეისტერ სალტიკოვს სწერს, რომ 6 ივნისს მან, ბაქარმა, ტულაში გაგზავნა თავისი კაცები იარაღის შესაძენად. ექვსი დიდი ნავით წამოვიდა ქართული ლაშქარი, რუსული იარაღით შეჭურვილი და სამი თვე იარა ვოლგაზე, ამასობაში შემახა ნადირშაჰმა დაიჭირა. “მეფეს ესმა, თავში ხელი შემოიკრა” — “რალა ვქნა და რა ვივარგო, სევდით გულღვიძლ-დანაყულმა”? ვახტანგმა დარუბანდში გაიგო, რომ რუსები იძულებული ხდებიან დაიხიონ ყიზლარისკენ. ვახტანგი თავისი ამალით, რომელშიაც ერია დავით გურამიშვილიც, ასტრახანში დასახლდა, წინააღმდეგ ქართველობის სურვილისა. იმედგაცრუებული ვახტანგი, უკვე სახელმწიფო საქმეებს ჩამოცილებული, მიიცვალა ასტრახანში — 1737 წელს. მისმა სიკვდილმა თავზარი დასცა ქართულ ემიგრაციას.

მოგვწყდა წელ-გული, შევქენით, ვით უმხრომ ჩიტმან ფრტიალი,
დავიწყეთ ვითა წიწილმა უკრუხობითა წრტიალი!

ვახტანგის სიკვდილის შემდეგ მის ამაღლას რუსეთის მთავრობამ მოუსპო სარჩო და ჯამაგირი და შეჰპირდა დახმარებას, თუ ემიგრანტები ფიცის ქვეშ რუსეთის სრულ ქვეშევრდომობას მიიღებდნენ და სამუდამოდ რუსეთში დარჩებოდნენ.

“ან წადით, ანუ დადექით”-ო. მოსკოვს მყოფი ბაქარი, უცდიდა რა ხელსაყრელ პოლიტიკურ ამინდს, ემზადებოდა დაკარგული ტახტის დასაბრუნებლად და თავის გარშემო საიმედო ხალხს იკრებდა.

ეტყობა, მათ შორის იყო ნაგულისხმევი დავითიც, როგორც ნიჭიერი ადამიანი, მისანდო, საყვარელი და კეთილშობილი პიროვნება. მაგრამ რუსეთში გადახვეწილი ქართველობის უმეტესობამ გადაწყვიტა რუსეთის ქვეშევრდომობის მიღება და სამსახურში შესვლა. მათში გაერია პოეტიც, რომელიც ნანობდა სამშობლოს დატოვებას:

“შევსცდი და მწყემსსა წაუველ, გაუდექ მრუდათ მოვნასა”.

“ავად მომიხდა უმხროდა გაფრენა, ქმნა ნავარდისა”.

ამრიგად, გურამიშვილმა საკუთარი არჩევნით, “საქმე ქნა თავის ნებისა”. იგი გულწრფელი მომხრე იყო რუსეთის გზით სიარულისა, იწონებდა ვახტანგის პოლიტიკას და იმავე დროს უწუნებდა საქმიანობას, რომ ვახტანგის ბრძოლით წახდა, დაგვიანდა საქმე კარგი, დასაშური, რომ “ვერც მამამ და ვერცა შვილმან (ბაქარმა) მოსახმარი ვერ იხმარა”.

ვიდრე ქართველობა გადაწყვეტილებას მიიღებდა, რუსთა მთავრობამ მათ ჯამაგირი შეუწყვიტა. ვახტანგის მეუღლე რუსუდან დედოფალი თავის გაჭირვებული მდგომარეობის შესახებ ატყობინებდა საიმპერატორო კარს, რომ მან თავისი დიდი ამაღა უკვე დაითხოვა, დაიტოვა მხოლოდ მცირე რიცხვი მხლებლებისა და ფარეშებისა უკიდურესი საჭიროებისათვის — სულ 46 კაცი. “ახლა პეტერბურლიდან მოსკოვს ვაპირებ წასვლას, მაგრამ არავითარი განსაზღვრული ულუფა არა მაქვს, დიდ ვალსა და სიღარიბეში ჩავარდით, ყველაფერი გავყიდე, დავაგირავე და აღარ ვიცი, მწარე სიღარიბეში ჩავარდნილმა რით ვისაზრდოვო და რით გადავიხადო ვალებიო, გთხოვთ, მომცეთ საზრდო ჩემთვისა და ჩემი ამაღლისათვის, ვალები მომაშორეთ, რომ ცოტათი მაინც ვისაზრდოვო”-ო.

თუ დედოფალი ასეთ გაჭირვებაში იყო ჩავარდნილი, გასაგებია მისი ამაღლის რიგითი წევრების ნივთიერი მდგომარეობაც, კერძოდ, დავით გურამიშვილისა. მასაც რუსთა სამსახურში შესვლამდის (1738 წ. მარტი) სრული წელიწადი, ისე როგორც სხვას, ჯამაგირი არ მიუღია. გურამიშვილს მოსკოვში დამხმარედ უნდა ჰყოლოდა უცოლშვილო ძმა ქრისტეფორე, სტამბის მოღვაწე, მისიონერი, რომელიც შესაფერ ჯამაგირს იღებდა სინოდიდან.

სწორედ იმ დროს, როდესაც გურამიშვილი ეყრებოდა ბაქარის კარს ახალი ცხოვრების საძიებლად, საქართველოდან კვლავ მოისმა სახვეწარი ხმა ბაქარის დასაბრუნებლად. 1738 წ. ქართველი დიდებულები და თავკაცები ეხვეწებოდნენ რუსეთის სამეფო კარს: “ერთს ამას მოგახსენებთ, მეფეს ბაქარს წყალობა უყოთ და გამოისტუმროთ და ცოტა რამ ჯარი უზოპოთ და ამ ქვეყნის საქმე ჩვენგან ითხოვოსო”.

დ. გურამიშვილი სასტიკი წინააღმდეგი უნდა ყოფილიყო ძმათა იმ ხელახალი სისხლის ღვრისა, რომლის ატეხას აპირებდა ბაქარი ქართლის ტახტის

დაბრუნებისთვის. ცნობილია, რომ ბაქარი ენერგიულად მოქმედებდა და შემდეგში მან კიდევ მოასწრო აემხედრებინა ყაბარდო, ჩერქეზეთი და დაღესტანი თეიმურაზ II-ისა და ერეკლეს წინააღმდეგ.

“ქართლის ჭირის” ავტორის, საქართველოს აღდგენისა და განთავისუფლების მღალადებელი პატრიოტის კონცეფცია, რასაკვირველია, ვერ შეურიგდებოდა ახალ ინტრიგებს ქართველი ხალხის წინააღმდეგ, ახალ სამოქალაქო ომის გაჩაღებას საქართველოში და თვითონ ძმათა ომის მსხვერპლი აღარ ისურვებდა ქართლში იმ ამბების მოხდენას, რის შემსწრეც თვითონ იყო სიჭაბუკეში.

ჩვენი აზრით, ეს მომენტიც უნდა ყოფილიყო იმის მიზეზი, რომ გურამიშვილმა თავისი ნებით და არჩევანით გაცვალა სასახლის ცხოვრება ბრძოლის ველზე.

დანარჩენი ამბები ცნობილია თვით გურამიშვილის პოემიდან “ჭირი ქართლისა”. ქართველი ემიგრანტების მიერ რუსთა ქვეშევრდომობის მიღებამ მალე სტიქიური ხასიათი მიიღო იმდენად, რომ ლამის ბაქარი და რუსუდან დედოფალი უამალოდ დარჩნენ. გვაქვს ცნობები იმის შესახებ, რომ ბაქარ, ვახუშტ და სვიმონ ბატონიშვილებმა სცადეს კიდევ წინ გადაღობებოდნენ ქართველი ემიგრანტების ასეთ დაჟინებულ მისწრაფებას, მაგრამ არა გამოუვიდათ რა. დიდი თუ მცირე, დიდებული, თავადი, მსახური თუ ფარეში ყველა ისწრაფოდა რუსეთის ქვეშევრდომობითა და სამსახურის წყალობით მიეღო მამული და ჯამაგირი. მალე ბაქარის ირგვლივ ერთი მუჭა ქართველობადა იყო შემორჩენილი: როცა 1749 წ. ბოლოს ბაქარმა დააპირა საქართველოში წამოსვლა, მის ოდესღაც ორიათასიან ამაღაში, ახლა, ქალიან-ბავშვიანად მხოლოდ ასი სული ქართველიდა ირიცხებოდა, დანარჩენი უკვე რუსეთის სამსახურში იყო შესული და დაბინადრებული უკრაინასა თუ სხვა ადგილებში (პეტერბურგი, მოსკოვი, ყაზანი, სიმბირსკი, ნიჟნი ნოვგოროდი და სხვ.). რუსთა სამსახურში შესვლისას ქართველმა ემიგრანტებმა ფიცი დადეს, რომ ისინი თავის ოჯახებითურთ მოვალენი არიან, სამუდამოდ დარჩნენ რუსეთის იმპერიაში და უპასპორტოდ საზღვარგარეთ არ წავიდნენ, “საზღვარგარეთად” კი საქართველოც იგულისხმებოდა. ეს იყო იმის მიზეზი, რომ ფიცმიღებულ ქართველობას გზა მოეჭრა საქართველოში დაბრუნებისა.

ქვეშევრდომობის ფიცის მიღების შემდეგ ქართველობას დაუნიშნეს ჯამაგირი და მისცეს მამულები უკრაინაში — საუკუნო მფლობელობით.

1738 წ. უმაღლესი “უქაზით” დავითს ერგო 30 კომლი გლეხი, ქ. მირგოროდსა და ზუბოვკაში, სულ 43 ოჯახი¹²⁴.

რა იყო მაშინდელი ქ. მირგოროდი და ზუბოვკა? უპირველესად მწირი ადგილი ბუნებრივი მდებარეობით. მისი სახნავ-სათესი ფართობიც მეტად უხეირო იყო, უმეტესად ჭაობიანი. ამნაირად, სამკვიდრო —საგურამოს მაგიერ დიდი ქართველი პოეტის ადგილსამყოფელი გახდა მირგოროდი. უკრაინაში ჩასვლისას გაუბედავ პოეტისათვის ძლიერ მოქიშპეებს უჯობნიათ და მისთვის მეტად მწირი მამულები

¹²⁴ ვახტანგის ამაღა მხოლოდ უკრაინაში როდი ჩასახლდა, ჩვენ გვაქვს ცნობები, რომ ქართველობა რუსეთის სხვა ადგილებშიც დაქსაქსულა და გაფანტულა. მაგალითად, პუგაჩოვის ამბოხების დროს, ციმბირსა და აღმოსავლეთ ურალში, პუგაჩოვის მიერ დაზარალებულ მოქალაქეთა სიაში ქართველებიც იხსენიებიან: მაგ., ყაზანში — ერასტი ანდრონიკაშვილი, სარატოვში — არტილერიის კაპიტანი ანდრია ბარათაშვილი (მგოსნის თომა ბარათაშვილის ძე), სპირიდონ მამიაშვილი, ნიჟეგოროდის მაზრაში — არტილერიის კაპიტანი — პეტრე დადიანი, ალაგირის მაზრაში — პრაპ. სერგი ბედაურიშვილი ცოლით, ივანე მაჭავარიანის (თარჯიმანის) ქალი, მისივე ახლო ნათესავი, ვინმე ნინო იაგორის ასული და სხვ. ყველა ესენი დავით გურამიშვილის მეგობრები და ნაცნობები არიან ვახტანგის ამაღიდან, შემდეგ თანამოსამსახურენი — ქართულ ჰუსართა პოლკიდან.

ურგუნებიან. არანაკლები მონაწილეობა უნდა მიეღოს პოეტის დაჩაგვრაში მოხელეებს, რომლებიც იყვნენ დანიშნული მამულების დასარიგებლად. მოხელეები, როგორც საბუთებიდან ჩანს, ხშირად უკანონოდ იქცეოდნენ, ქრთამს იღებდნენ და ავიწროვებდნენ ქართველებს. ქართველების საჩივრების გამო ზოგიერთი მათგანი კიდევაც გადააყენეს.

უნდა აღვნიშნოთ, რომ დ. გურამიშვილს უკრაინაში ქართული გარემოცვა ჰქონდა. დავითთან ერთად მირგოროდში ცხოვრობდნენ: ზაალ ხერხეულიძე, აბრამ კობიაშვილი, პაპუნა ბეჟანიშვილი, დავით ჩახარიძე, იაკობ ოდიშელიძე, კაცურა ინასარიძე, ივანე საგინაძე, ნიკოლოზ ხაჭაპურიძე, ანტონ ოთარაშვილი, შიო პავლიაშვილი, ოთარ პავლიაშვილი, დავითის ბიძაშვილი მერაბ გურამიშვილი და სხვ. ესენი იყვნენ პოეტის პირველი “მსმენელები”, მეზობლები და მეგობრები. როგორც ირკვევა, დავითის მეზობლები ვახტანგის პირადი ამალიდან არიან, მისი მსახურნი და შინაყმები (ზოგი მათგანი ბოლოს პოეტის მსახური გამხდარა), ზოგნი ლეკების და ოსმალთა ტყვეობიდან გამოქცეული ნატყვევარები არიან.

* * *

“დავითიანი” ნამდვილი ენციკლოპედიაა ცხოვრების ცოდნისა და ზნეობისა. გურამიშვილი უდავოდ განათლებული პიროვნება იყო. იგი ახსენებს ეპიკურესა და მის მოძღვრებს; რაკი მან ბერძნული და ლათინური არ იცოდა, ხოლო ყრმობაში არ შეეძლო ფილოსოფიური ცოდნის მიღება საქართველოში, ცხადია, რომ მან ფილოსოფიაც და საერთო განათლებაც აითვისა რუსული ლიტერატურის, რუსული კულტურის გზით ჯერ მოსკოვში ყოფნის და შემდეგ უკრაინაში ცხოვრების დროს.

ცხადია, მასზე გავლენა მოახდინა რუსულმა მწერლობამ, რომელიც სწორედ გურამიშვილის დროს დაადგა ევროპეიზაციის გზას. კერძოდ, შეუძლებელია გურამიშვილს არ სცოდნოდა მ. ლომონოსოვის დიდი პრაქტიკული და ლიტერატურული მოღვაწეობა. გურამიშვილი იცნობდა რუს მწერალთა შემოქმედებას, რომელიც ფრანგ განმანათლებელთა გავლენით რუსეთში ნერგავდა დასავლეთის მეცნიერებას. გურამიშვილის ეპოქის ამ ახალმა მწერლებმა შექმნეს ახალი რუსული კულტურა.

მეფე ვახტანგი და მისი შვილები, ისე, როგორც მისი ამაღლის რიგი წევრები მოსკოვში, სამხედრო სამზადისთან ერთად, თავისუფალ დროს რუსულიდან სხვადასხვა თხზულებათა თარგმნას და წიგნების ბეჭდვას სწირავდნენ. კერძოდ, ვახტანგი და მისი შვილი — ცნობილი მეცნიერი ვახუშტი მუშაობდნენ საქართველოს ისტორიაზე, საქართველოს რუკების შედგენაზე, ხოლო მეფის ამაღლის მგოსნები, მათ შორის დ. გურამიშვილი, ნაყოფიერ პოეტურ მუშაობას ეწეოდნენ.

საქართველოს რუსეთთან კულტურულსა და პოლიტიკურ დაკავშირებაში დიდი როლი ითამაშა ქართულმა ემიგრაციამ რუსეთში, რომლის მთავარი მარღვი იყო ჯერ არჩილ მეფესთან ერთად და მერე, 1724 წ., ვახტანგ მეექვსესთან ერთად გადახვეწილი ქართველობა და მისი შთამომავლობა.

ამ ბრწყინვალე პლედამ მოგვცა არა ერთი მეცნიერი, პოეტი, პოლიტიკოსი, მათ ეკუთვნის დავით გურამიშვილი.

ვისგან შესდგებოდა მოსკოვისა და ვსესვიატსკოეს წრე, სადაც ტრიალებდა დ. გურამიშვილი? უპირველესად უნდა ვახსენოთ დიდი ქართველი მეცნიერი ვახუშტი ბაგრატიონი, მისი ძმები: ბაქარ ბაგრატიონი, პაატა ბაგრატიონი, რომელიც იყო

“ფრიად მეცნერ” და რომელმაც “შეისწავლა გეომეტრია”, განსწავლული რუსეთსა და ინგლისში, ვახუშტის შვილი იოანე — “აღზრდილი ფრიად სწავლულებასა შინა ლათინთასა”, ბაქარის ძე ლევან “სიბრძნის ტრფიალი”, რომელმაც ლათინური, ფრანგული და გერმანული ენებიდან გადმოთარგმნა ქართულად მსოფლიო ისტორია. სხვებიც იყვნენ “რუსულისა, ლათინ-ფრანცის-გერმანთა” ენების მცოდნენი, რომელთა შორის არა ერთმა და ორმა იცოდა სხვათა და სხვათა ენათა სწავლანი და საფილოსოფოსო ხელოვნება, მათემატიკა და სხვ. საკმარისია დავასახელოთ ცნობილი დიმიტრი ციციშვილი “მასწავლებელი სიბრძნის მოყვარებისა”, რომელიც “თუთხმეტისა წლისა ჯერ არ იყო”, როცა ფრანგულიდან გადმოთარგმნა არითმეტიკის სახელმძღვანელო. “ამან მოიღო უცხოდ სხვადასხვა ენათა სწავლანი და საფილოსოფოსო ხელოვნება, ისწავლა მათემატიკა და სთარგმნა ქართულად დეომეტრია და სხვებიცა”.

მოსკოვსა და პეტერბურგში ეუფლებოდნენ მეცნიერებას ნიკ. ვაჩნაძე, რატიშვილი, ჩოლოყაშვილი, ანდრონიკაშვილი, სვიმონ ბაგრატიონის შვილები, სტეფანემ და დიმიტრიმ განათლება მიიღეს ჰოლანდიაში¹²⁵. 1738 წ. ვახტანგის კარზე მოხსენებულა პასტორი იონუსი, რომელიც მეფის შვილებს ასწავლიდა ლათინურს, ფრანგულს და გერმანულ ენებს.

ამრიგად, მოსკოვში შექმნილი იყო ევროპულად განსწავლული ქართველი ინტელიგენციის საიმედო ბირთვი, რომელმაც დიდი ისტორიული როლი შეასრულა როგორც ქვეყნის განათლების, ისე საქართველოს რუსეთთან დაკავშირების საქმეში.

მოსკოვის კულტურულ გარემოში ტრიალებდა გურამიშვილი. ეჭვი არაა, მოსკოვში შეივსო მან ქართლში გამოტოვებული განათლების ხარვეზი. სწავლას მოწყურებულ, ცნობისმოყვარე გურამიშვილზე გავლენა უნდა მოეხდინა მოსკოვის პერიოდს, იმ ათ წელს (1729 — 1739), რომელიც მან მოსკოვში გაატარა. პრესნაში მდგარი ვახტანგის სასახლე მისი უნივერსიტეტი უნდა ყოფილიყო.

დ. გურამიშვილი იმ ემიგრანტთა რიცხვში იყო, რომელთაც “გატეხეს ვახტანგის მცნება”, “მეც გავერივე, მეკეთა, რაკი მას მოვკარ ყურია”. პოეტიც წასულა “სწორედ იმ გზაზედ, საითაც იყო სნებაო”. “შევსცდი და მწყემსსა წაუველ, გადუდექ მრუდათ მოვნასა”, რაც პოეტს მუდმივ სანანურად გაუხდა მთელ სიცოცხლეში:

ავად მომიხდა უმხროდა გაფრენა, ქმნა ნავარდისა!

.

ვითა ცხოვარი გზა შეცდომილი
მგელთ წარსატაცად ფარებთა გარე,
ეგრეთ შენ, თაო, ხარ გახდომილი,
ასეთი საქმე მე მოგიგვარე.

ქართველობის ერთმა ნაწილმა, მართალია, ქვეშევრდომობა 1738 წ. მარტში მიიღო, მაგრამ უკრაინაში გავრცელებული “საშიშ ავადმყოფობის” გამო იქ წასვლა ქართველ ემიგრანტებს ზოგს მხოლოდ 1739 წ. გაზაფხულზე მოუხდა და ზოგსაც უფრო მოგვიანებით. კერძოდ, დავით გურამიშვილი მოსკოვიდან უკრაინაში 1739 წლის 2 აპრილს გამგზავრებულა.

მაგრამ ქართველობამ ჩასვლისთანავე ვერ ჩაიბარა კუთვნილი მამულები, რადგან ოსმალეთთან ატეხილი ომის გამო პირდაპირ ბრძოლის ველზე უკრეს თავი.

¹²⁵ ჯერ კიდევ არჩილ მეფის ვაჟი ალექსანდრე ბატონიშვილი ხომ ჰააგაში სწავლობდა საარტილერიო მეცნიერებას.

ოფიციალურ საბუთებში აღნიშნულია, რომ ქართველთა ოჯახები მოსკოვში დიდ სიღარიბესა და გაჭირვებაში არიან ჩაცვივულნიო, რომ ომში წასულმა ქმრებმა ცოლ-შვილი უპატრონოდ დატოვესო.

ასეთივე მძიმე მდგომარეობაში უნდა ჩავარდნილიყო დავით გურამიშვილის ოჯახიც. მძიმე ნივთიერი მდგომარეობა იმიტაც იყო გამოწვეული, რომ ქართველობამ უკრაინაში წასვლის მზადებაში გაყიდა თავისი სახლ-კარი მოსკოვში, სარჩო-საბადებელი, მაგრამ გამგზავრება დროზე კი ვეღარ მოუხდა.

33 წლის დ. გურამიშვილი ჩაირიცხა ქართულ ჰუსართა პოლკში (1738 წ.) ჯერ რიგით ჰუსარად, შემდეგ ვახმისტრად, მერე კვარტირმეისტერად.

ქართული პოლკი მხნედ ეომებოდა ახლად აღორძინებული რუსეთის სახელმწიფოს მტრებს — თურქებს, შვედებს, პრუსიელებს. თურქებზე შურისძიებით აღძრული ქართველები ვაჟკაცურად ეკვეთნენ თავის მოსისხლე მტერს, ვისი მიზეზითაც ისინი გამოძევებულ იქნენ საყვარელ სამშობლოდან და ჯავრი იყარეს.

ქართველთა გმირობამ ათქმევინა რუსეთის სარდლობას:

«Онные грузинцы службу свою весьма храбро оказывают». «Грузинцы поступили так, как надлежит храбым и надежным людям, так что более требовать невозможно... Грузинцы весьма потребны, дабы более таких людей было весьма потребно». სარდლობა დასძენდა, რომ საჭიროა უფრო მეტი ქართველობა იქნესო მოწვეული არმიამი. ამიტომ ქართულ ჰუსართა პოლკის ახალი ნაწილების ჩამოსაყალიბებლად სარდლობამ სასწრაფოდ გაგზავნა სწორედ დავითის ნათესავი (შეიძლება მოყვარე) ბერი გარაყანიძე ყიზლარსა და ასტრახანში, რომელმაც მაშინვე ჩამოიყვანა 150 ქართველი. ამის შემდეგ ხსენებული პოლკი ყოველწლიურად ივსებოდა უმთავრესად ნატყვევარი ან საქართველოდან ლტოლვილი ქართველებით.

თურქებთან პირველ შეტევაშივე ბრძოლაში დაიხოცნენ პოეტის ამხანაგები ვახტანგის ამალიდან: ომან თარხან-მოურავი, დავით ერისთავი, ზაალ ხერხეულიძე და სხვები.

მაგრამ უმთავრესი, როგორც დავით გურამიშვილისა, ისე მისი თანამომხმეებისათვის იყო მაინც მორალური ხასიათის ტანჯვა გამოწვეული იმით, რომ, რაც დრო გადიოდა, მით უფრო ქარწყლდებოდა სამშობლოში დაბრუნების იმედი. რუსეთის მთავრობა ჯერ კიდევ არ აპირებდა დახმარება გაეწია საქართველოსათვის, რათა მას საშუალება მისცემოდა თურქთა უღლისაგან თავი გაეთავისუფლებია და ბოლო მოეღო შინაური შუღლისა და არეულობისათვის.

ოსმალებთან ბრძოლის შემდეგ ქართულმა პოლკმა და კერძოდ დავით გურამიშვილმა მონაწილეობა მიიღო ჩრდილოეთში, ფინეთის სრუტის ნაპირებზე, შვეციის წინააღმდეგ ბრძოლაში.

1741 წ. დ. გურამიშვილს თავის თანამემამულეებთან ერთად შვეციასთან ომის დროს დაუცავს «Петровский Олонецкий завод» (კარელიის ტერიტორია).

1742 წ. დავითი ებრძოდა შვედებს ფრიდრიხ-ჰოვენთან და ჰელსინგფორსთან. შვეციის ომიდან დაბრუნების შემდეგ დავითი ისევ თავის მეურნეობას მოუბრუნდა მირგოროდ-ზუბოვკაში, ვიდრე არ ატყდა ”შვიდწლიანი ომი” (1756 — 1763). ამ დიდ ომშიც თავი ისახელა ქართულმა პოლკმა¹²⁶. დ. გურამიშვილი მონაწილეობდა ეგერსდორფის, ციურნდორფის სასტიკ ბრძოლებში. კიუსტრინთან ბრძოლაში დავითს ცხენი ლიაში ჩაეფლა, იგი დატყვევდა მალდებურგის ციხეში, საიდანაც

¹²⁶ დაწვრილებით იხილეთ სოლ. ყუბანეიშვილის წიგნი ”გურამიშვილი და ჰუსართა პოლკი”, სადაც მრავალი საბუთია გამოქვეყნებული გურამიშვილის სამხედრო სამსახურის შესახებ.

გამოვიდა (1759 წ. 7 დეკემბერს) საკმაოდ შერყეული ჯანმრთელობით. კიუსტრინის ომში გურამიშვილი თავში დაიჭრა, ამის გამო მან ცალი თვალის მხედველობა დაკარგა და ცხენიდან ჩამოვარდნის გამო მხარი მოიტეხა. პეტერბურგის სამხედრო კოლეგიის სამედიცინო შემოწმება (1760 წ.) აღნიშნავს, რომ პოეტი მოცულია იპოხონდრიით. ყოველივე ეს იყო მიზეზი, რომ დავითმა სთხოვა ხელმწიფე ელისაბედს, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, გაეთავისუფლებინა იგი სამხედრო სამსახურისაგან. თხოვნა შეწყნარებულ იქნა და პეტერბურგში, ჰოსპიტალში სამედიცინო შემოწმების შემდეგ იგი განთავისუფლდა, როგორც უკვე უვარგისი სამხედრო სამსახურისთვის, პოდპორუჩიკის ჩინით, 1760 წ. 26 ივლისს. ტყვეობიდან დაბრუნების შემდეგ დავითი შესდგომია მეურნეობის აღდგენას:

მადღებურხის ციხეშიგან დამსვა კარებ-დანაკლეტი,
მუნით ვიხსენ, შინ წამოველ, ქერი ვხან და ყანა, ფეტი.

დავითის მეურნეობა მირგოროდსა და ზუბოვკაში მალე ისევ მოღონიერებულა. მეურნეობის წინ წასაწევად მან გამოიგონა "სარწყავი და წისქვილის მოხაზულობა". ღრმა მოხუცებაში უპატრონობის გამო პოეტი მაინც სიღარიბეში ჩავარდნილა, იმდენად, რომ იგი ოც თუმანს თხოულობდა მთავრობისაგან თავის გამოგონებათა განსახორციელებლად.

გურამიშვილი პეტერბურგიდან მოსკოვს ჩასულა, სადაც პრესნაზე და სვენწკაში მრავალი ახლობელი, ნათესავი და მეგობარი ეგულეობდა. ამას გვაფიქრებინებს დიმიტრი სააკაძის სიტყვები დიმიტრი ბაგრატიონისადმი:

დავით გახლავსთ, ეგ შეგაქცევთ;
მესმის, იცის ჩანგთა ჟღერა.

მოსკოვის ქართულ ემიგრაციაში, სხვა პოეტი "დავითის" სახელით, ვისაც შეეძლო "ჩანგთა ჟღერა", ჩვენ არ ვიცით. მიუხედავად იმისა, რომ ქართული ემიგრაციის დიდი ნაწილი გადასახლდა უკრაინაში და რუსეთის სხვა ქალაქებში, მოსკოვში ქართველობის საკმაო რიცხვი იყო დარჩენილი.

1760 წლისათვის ისევ არსებობს "პრესნის" ქართული კოლონია. მარტო "სვენწკაში" (ვსესვიატსკოე) ასზე მეტი მოზინადრე ქართველია. მათ შორის არა ერთი უნდა ყოფილიყო დავით გურამიშვილის ახლობელი, ნათესავი თუ მეგობარი. ცხადია, პეტერბურგიდან დაბრუნებულს, სამსახურიდან გადამდგარ გურამიშვილს თავისუფლად შეეძლო დაყოვნება მოსკოვში, სადაც არსებობდა ვახტანგის შვილის გიორგი ბატონიშვილის კარი, აქ ხომ ისევ იღვწოდნენ დავითის მეგობარი პოეტები.

რამდენი ხანი დაჰყო პოეტმა მოსკოვში, არ ვიცით. ვიცით მხოლოდ, რომ 1760 წელს პეტერბურგს ჩავიდა 113 კაცის თანხლებით თეიმურაზ II, რომელსაც გურამიშვილი ახალგაზრდობიდანვე იცნობდა. ცხადია, სამშობლოს და ქართველი კაცის ნახვას მოწყურებულ გურამიშვილს 113 ქართველისა და თავისი მეფის ნახვა მეტად უნდა გახარებოდა.

საფიქრებელია, დავით გურამიშვილია ნაგულისხმევი იმავე დიმიტრი სააკაძის ლექსში ვახტანგის მემკვიდრის გიორგი "ცარევიჩისადმი" ვინმე "დათუჩი"-ს სახელით:

დათუჩი შეჩვეულია ახლავ სალდათთა ქაშებსა,
ღმერთმან ქნას, გახლდეს მემარჯვენედ, თავთ სჭრიდეს

ხვანთქრის ფაშებსა,
ფეშქაშად წარმოგივლენდეს უცხოს და უცხოს რამებსა,
მე მივეგებო ზეიმით, ვსცემდე ქოსსა და ტაშებსა.

“დათუჩი” საალერსო კნინობითი სახელი უნდა იყოს დავით გურამიშვილისა. “საღდათთა ქაშებს შერვეული” ვინ უნდა იყოს, თუ არა ჯარისკაცი, მხედარი გურამიშვილი, რომელმაც ამდენი ხანი გაატარა სამხედრო სამსახურში?

დ. სააკაძის ლექსში ლაპარაკია ოსმალებთან ომის სამზადისის შესახებ (“ღმერთმა ქნას, გახლდეს მემარჯვენედ, თავთ სჭრიდეს ხვანთქრის ფაშებსა”). ცხადია, აქ ლაპარაკი უნდა იყოს იმ სამხედრო სამზადისზე, რომელიც რუსეთმა დაიწყო 1768 — 69 წლებში ოსმალთა წინააღმდეგ. ოსმალთა და ყირიმის თათრების მხრივ აგრესიის აღსაკვეთად, რუსეთის საზღვრების გასამაგრებლად, ფელდმარშალმა პ. რუმიანცევმა დაიწყო რუსეთის სამხრეთ ადგილების (უკრაინაში) გამაგრება, ზოგან მოსახლეობის აყრა და ადგილთა გასამხედროვება. გურამიშვილის სამყოფელი მირგოროდიც ხომ საზღვარზე იყო და, ალბათ, ისიც აჰყარეს, როგორც საზღვართან ახლოს მყოფი. როგორც ვიცით, რუსეთის არმიამ სამხედრო მოქმედება ოსმალეთისა და ყირიმის წინააღმდეგ დაიწყო 1769 წ. 15 აპრილს. აი, სწორედ ამ დროს უნდა ეკუთვნოდეს გურამიშვილის დრტვინვა — “დავით გურამისშვილისაგან საწუთროს სოფლის სამდურავი”.

მე მომიტხრეს: მანდედამე ახლა ადექ, სხვაგან წადი!
ძალუნებრივ წამიყვანეს, სადაც არა ვიყავ მწადი.

ამნაირად, “ქართლის ჭირის” წერის დროს გურამიშვილს დროებით უნდა დაეტოვებინა თავისი სამყოფელი — მირგოროდი. შემდეგ კი, 1769 — 1772 წ. რუსების გამარჯვებათა გამო, პოეტი ისევ უნდა დაბრუნებოდა თავის კერას.

უკრაინის ქართველობა სამშობლოს მთლიანად არა ყოფილა მოწყვეტილი, მას მუდმივი კავშირი ჰქონია საქართველოსთან. თუმცა ძალზე იშვიათად, საქართველოდან ჩადიოდნენ უკრაინაში ნათესავების სანახავად. უკრაინის ქართული ემიგრაცია საქართველოს პოლიტიკურ საქმიანობაშიც იღებდა მონაწილეობას. მას თავისი წონა და გავლენა ჰქონია, რასაც ანგარიშს უწევდნენ მაშინდელი ქართლ-კახეთის მფლობელები.

ამ დროისათვის დ. გურამიშვილი უკვე განთავისუფლებული იყო სამხედრო სამსახურიდან. ეტყობა დავითს არ შეუწუხებია თავისი ყმები გასყიდვითა და სხვადასხვანაირი შევიწროვებით. ყმათა რიცხვი ბოლომდე შერჩენია და ბოლოს კიდევ გამრავლებულა. როგორც მისი ლექსებიდანაც ჩანს, დავითი ადამიანური სათნოებით ეკიდებოდა მოყმე გლეხებს და თითონაც ქადაგებდა მათთან ჰუმანურად მოპყრობას:

ყმა მოგცეს ბევრი, გლეხი, მდაბიო,
გამონოს ნებით, რომ არ არბიო,
გქმნას კეთილ მსაჯულად,
არვინ ჰყოს ტანჯულად
უსამართლობით!

ამბობს პოეტი. და კიდევ:

ამისთანას ბატონს ვაქებ,

მან ერთი ყმა განახუთოს,
არ თუ ხუთი ადარც ერთ-ქნას,
ასე საქმე თავს მოუერთოს.

ამ ლექსებიდან კარგად ჩანს მემამულე პოეტის ფიზიონომია¹²⁷.

1774 წ. სიბერეში შესული გურამიშვილი აცხადებდა, რომ მას ამ ქვეყნად “დარჩა სასყიდელი სისხლისა, ოფლისა”, ე. ი. ქონება მონაპოვარი სისხლითა და ოფლით. აქ იგულისხმება ომებში დაღვრილი სისხლი (იგი დაჭრილი ყოფილა რამდენჯერმე), და ის ოფლი, რომელიც პოეტს, როგორც ენერგიულ მუშაკსა და მეურნეს, დაუღვრია თავის მამულში, მირგოროდსა და ზუბოვკაში.

სამხედრო სამსახურში მყოფს, ყმისა და მამულის პატრონ უშვილო პოეტს თავისი სამყოფი სარჩო უნდა ჰქონოდა უკრაინაში. იგი თვით აღნიშნავს თავისი ქონების ”სიმსუქნეს”, ”შოვნას”, რომ მან ”საწუთრო მოიანგარა”, რომ “გვადრუცი ვერცხლით აავსო და ყელამდინ მოყარა”, რომ მას ჰქონდა მორთული საცხოვრებელი ”ზე-ქვე-სავანე”, რომ მისს ქონებას შეადგენდა ”ყმა, სახლი, ბად-ბოსტანი, თეთრი თუ ფარჩა”. პოეტი იგონებს ჰუსარის ”ფერად საცმელთა, ოქროსა და ვერცხლის დილებსა”. მაგრამ ყოველივე ეს დაეკარგა. პოეტს ჯერ კიდევ პრუსიაში ტყვეობისას, თუ რამ თავის საცხოვრებელი ჰქონდა, ისიც დაეკარგა, ”მწარეთ გაცრცვილი” იგი მოსთქვამს: ”მტერმან განმცარცვა მე შესამკელი“-ო.

ვარ ცარიელზე მე დაჯდომილი
საუნჯისაგან კარს გარეთ მდგარე.

.

მე საწუთრომან მიმილო, რაც საბადისი მეზადა-ო.

პოეტის მონაგრებული, ნამუშაკვეი შინაურ მტერს, მეზობლებს თუ მოყვარეს გაუნიავებია. შესაძლოა, პრუსიაში ტყვეობის დროს მეზობლებს იგი მკვდარი ეგონათ ან დაკარგული, არ ჰქონდათ იმედი მისი დაბრუნებისა და მიესივნენ მის უპატრონო მამულს.

პრუსიაში ტყვეობის შემდეგ დავითს დასჩემდა ”შავი ნაღველი”, იპოხონდრია, რომელსაც, მედიცინის სიტყვით, სხვა მიზეზებთან ერთად ღვიძლის და ტყირპის სენიც ავითარებს, მის შემოწმებაში ნათქვამია, რომ ”მარჯვენა მხარეში, ელენთასთან ახლოს შენიშნულია ტკივილის გამომწვევი”.

ამ ავადმყოფობის გამოძახილი უნდა იყოს პოეტის ნაწარმოებები, სოფლის ამოებისა და წარმავლობის გრძნობით აღბეჭდილი:

ვა, რა მაქვს დიდი მოწყენა,
სადა არს ჩემი მოლხენა?
მწარედ სახმილით დაგულსა,
ლახვარი დამსმია გულსა.
ნაწლევნი, ღვიძლი და გული,

¹²⁷ 1782 წ. პოეტის ღრმა სიბერეში, მის ყმათა სიაში ქართველებიც იხსენიებიან, მაგალითად, ანტონ ოთარაშვილი, ივანე საგინაძე შვილებით (მიხეილ, ლევანი) და სხვ. ეს შინაყმანი, ალბათ, დადესტნიდან და ყირიმიდან გადმოხვეწილ-გამოქცეული, გამოხსნილი ქართველები იქნებოდნენ, რომელთაც გაიგეს უკრაინაში ქართული ახალშენის არსებობა, დიდი წვალეებით ჩააღწიეს და ეყმნენ იქაურ ქართველ მეზატონეებსა და მემამულეებს. ცხადია, მათ ჩასვლას უკრაინაში, მათ თავგადასავალს უფრო მეტად უნდა დაეწვა პატრიოტი პოეტის გული.

შემქმნია ცეცხლით დაგული,
პირი შემკვრია წყენითა,
ვერა მითქვამს რა ენითა!

და სამშობლოს, მშობლიურ ოჯახს, ნათესაობას სამუდამოდ და უიმედოდ დაშორებული ”მწირი” პოეტი ნატრობს არყოფნას:

ნეტავი ისევ მიწადა მე ვყოფილიყავ, არ კაცად,
აგების აღარ ვიწოდდი, რომ ვიქნებოდი აღარსად!

1747 წ. დ. გურამიშვილის თანამოსამსახურე ქართველი ოფიცრები ერთხმად აღნიშნავდნენ მის ერთგულ სამსახურსა და კეთილშობილებას, ხოლო ატესტატში 20 ქართველი ოფიცერი ერთხმად ადასტურებს დავითის ”კეთილშობილებას”¹²⁸.

იმპერატრიცა ელისაბედის სახელზე თვით გურამიშვილი აღნიშნავს თავის ”ხანგრძლივს, ერთგულსა და უბიწო სამსახურს”¹²⁹.

1747 წ. ქართულ ჰუსართა პოლკის ინსპექტორის მოხსენების თანახმად დასტურდება გურამიშვილის ერთგული სამსახური: იგი სხვათა შორის დასძენს, რომ დავით გურამიშვილს სამსახურში არავითარი წუნი და შემჩნევა არა ჰქონდაო და არც ერთხელ არც დასჯილა და არც დაჯარიმებული ყოფილაო.

დავით გურამიშვილის პოეტური შემოქმედების ნაყოფიერებას თავისი დალი დააჩნია სამხედრო სამსახურმა. პოეტმა 22 წელიწადი შეაღია ომიანობას (შვეციის, ოსმალეთის, პრუსიის ფრონტებზე). მუდმივ ომიანობაში მონაწილეობა იყო მთავარი მიზეზი იმისა, რომ დ. გურამიშვილმა ვერ შეისრულა საწადელი, რომ ისე ემუშავნა მწერლობაში, როგორც თვით მას სურდა:

თუმცა ენა გასარეკლდა,
გული მისთვის გამი-ზარ-და,
მაგრამ მეფეთ სამსახურით,
ეს საზრდელად გამიზარდა!

ამის მიზეზით გურამიშვილის მთავარი ნაწარმოებები — მისი პოემები, როგორც მათი რეალიებიდან ჩანს, სიბერეში უნდა იყოს დაწერილი. მაგ., პოემაში ”ჭირი ქართლისა” პოეტი ჩივის სიბერეზე, ასევე სიბერეშია დაწერილი ”ქაცვია მწყემსიც”, როცა ავტორი ყოფილა ”ბერი-კაცი დიდათ ნასარჯი”, ”ბრმა ცალთვალა”. 1787 წ. პოეტი ჩივის ”ცალის თვალთ სულ ბრმა ვიყავ, მეორითაც ავად ვხედავდი”-ო. ვფიქრობთ, დაუმთავრებელ ”ქაცვია მწყემსის” დაწერის დროს დიდად არ უნდა იყოს დაშორებული მის მიერ დამუშავებული სარწყავის პროექტი, რომლის მინაწერშიც იგი ჩივის მხედველობის ნაკლებულობას.

ამრიგად, დ. გურამიშვილის მთავარი ნაწარმოებნი მისი სამხედრო სამსახურის მერეა დაწერილი. პოეტი სამხედრო სამსახურში დახარჯულ დროს მწარედ ნანობდა:

რაც დამრჩა, ვერ ვსთქვი, მეწადა მეთქვა გრძლად, თავი მეცადა,
ვერა ვსთქვი, მოცლას უცდიდი, ნეტამცა არა მეცადა!

¹²⁸ ს ო ლ . ყ უ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი, დავით გურამიშვილი ჰუსართა პოლკში. გვ. 178, 180.

¹²⁹ ს ო ლ . ყ უ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი, დავით გურამიშვილი ჰუსართა პოლკში. გვ. 178, 180.

და თუ რამ სთქვა პოეტმა, ისიც მხოლოდ მისთვის, რომ “სულ არა ვსთქვა რა, ის უფრო არ ევარგება”. ასეთი ტრაგიკული იყო შემოქმედებითი პირობები დიდი ქართველი პოეტისა.

როგორც ზემოთ ვთქვით, გურამიშვილს 1721 წელს უნდა შეერთო ცოლად გარაყანიძის ასული “ლელა” (ელენე) სოფ. ლამისყანიდან.

1737 წ., ჯერ კიდევ რუსთა სამსახურში შესვლამდე, დავითთან ერთად მის ოჯახში ნაჩვენებია რვა სული: ცოლი, სიდედრი, მსახური, მსახურის ცოლი, მისივე ქალიშვილი, კიდევ ორი მოახლე. ასევე, 1738 წელს სამხედრო სამსახურის “უწყებაში” დავითი იხსენიება “შინაურებით”.

საიდან გაჩნდა დავითის მთელი ოჯახი მოსკოვში? (მასთან ერთად მისივე ბიძაშვილი მერაბი). შესაძლოა გვეფიქრა, რომ პოეტი მოსკოვში ახალ ოჯახს მოეკიდა, მაგრამ “უწყების” გრაფაში ოჯახის წევრები ნაჩვენებია არიან როგორც საქართველოდან ჩამოსულები.

დავითის ცოლი ასევე იხსენიება პოლკის ჯამაგირის გასაცემ უწყისში 1739 წ. 19 ნოემბერს.

მაშასადამე, უნდა ვიფიქროთ, რომ ქართლში ნათხოვი ცოლი მოსკოვში ჩაუყვანია. ჩვენი აზრით, ან თვითონ დავითია ჩამოსული საქართველოში ოჯახის წასაყვანად, ან ამ საქმეში გავლენიანი ქართველები დაეხმარნენ. სავარაუდოა გარაყანიძის ოჯახის დახმარებაც. ჩვენ ვგულისხმობთ “ბერი გარაყანიძეს”, რომელიც 1724 წ. ოთარ არაგვის ერისთავმა გაგზავნა წერილით პეტრე დიდთან; რომელსაც საკმაო ავტორიტეტი უნდა ჰქონოდა და რომელიც, ალბათ, სულ ახლო წევრი იყო გურამიშვილის ცოლის ოჯახისა.

უკრაინაში პოეტს მეორე თუ მესამე ცოლი შეურთავს — ტატიანა¹³⁰ (თამარი) ვასილის ასული ავალიშვილი, რომელიც 20 წლით ახალგაზრდა ყოფილა ქმარზე (დაბადებულია 1726 წ.) და რომელთანაც, როგორც ყრუდ ნათქვამი უნდა იყოს დავითის ლექსებში, პოეტს უთანხმოება ჰქონია და, ვფიქრობთ, კიდევ უნდა განშორებოდა მას¹³¹.

პოეტს შვილი არ ჰყოლია. სიბერეში იგი ხშირად ჩივის “ბერწოვნებას”, უშვილობას და მით სახლ-კარის დამხობას, “არ მომცა ძე, არც ასული, არვინ მიძახის მამასო”, “მე მსურდა, ერთი არ მომცა, ვის არ სურს, მისცა ტყუპია”. უშვილობირო გურამიშვილს სიბერეში განსაკუთრებით ის ფიქრი აშფოთებდა, რომ “მომხსენებელი” არა რჩებოდა. 1776 წ. დავითს უნდა ეშვილნა “ობოლი დარია”, ანუ დარეჯანი, რომელიც ერთი წლის ასაკში გარდაცვლილა. უშვილობა, ნაშვილევის დაკარგვა აორკეცებენ პოეტის სულიერ ობლობასა და სევდიანობას.

ცოცხალიც არვის ვახსოვარ,
მკვდარს ვინღა მომიგონებსა!

ჩივის იგი სიბერეში. მარტოობით განწირული, სასოწარკვეთილი პოეტი მხოლოდ სიკვდილთან შეხვედრას ელოდა. რაკი აღარვინ დარჩა ცოცხალი, აღარც და-ძმა,

¹³⁰ იმ დროის რუსეთში მყოფ ქართველ ემიგრანტთა შესახებ ოფიციალურ მიმოწერაში ქართული “თინათინი” და “თამარის” შესაბამისად “ტატიანა” იხსენიება.

¹³¹ გიორგი ვახტანგის ძის ამაღამი 1727 წ. მაისის 31 ირიცხება აზნაური მამუკა ავალიშვილი, ერთი მსახურით. ხომ არ არის ტატიანა მამუკას შვილიშვილი? არც ვახტანგის ამაღამი, არც საქართველოდან გადახვეწილთა სიებში ავალიშვილის გვარი არსად იხსენიება, მით უმეტეს, უკრაინაში ქართველთა დასახელების სიებში.

ადარც ნათესავი და მეგობარი (“სულ დამიხოცნე მოყვასნი, ერთიც არ დალინდილებსა”), ხოლო მისი პირადი ტრაგედია უშვილობამ გაამძაფრა, ამიტომ მან “იშვილა” თავისი “ობოლი” წიგნი, “გაზრდილი დიდის ჭირით”, “ვინც გამოთქვა, ის იშვილა, მტერი ამით მოიგერა”. თავის ხელნაწერ წიგნს გურამიშვილმა დაურთო საკუთარი სურათიც: გულხელდაკრეფილი, თვალაპყრობილი, მელოტი, წვერ-ულვამშობარსული, ბაკენბარდებიანი მოხუცი ჰუსარის ტანისამოსში, — ასეთია მისი პორტრეტი.

მრავალ განსაცდელგამოვლილ პოეტს, “სახლ-სამკვიდრო დაკარგულს, ნაომარს, დაჭრილს, ორჯერ ხელშეკრულსა და ნატყვევარს, ბრმასა და ავადმყოფს და “მამულისა ვერ მხედველს” წილად ერგო “გრძლად ყოფნა ხორცად”. მან 87 წელი იცოცხლა. 1792 წ. 21 ივლისს მირგოროდის ტაძრის მიცვალებულთა იადგარში წერია: ”მიიცვალა თავადი დავით გურამიშვილი მონანიებით”. პოეტი სრულ გონიერებაში მომკვდარა, აღსარებაც უთქვამს.

1949 წ. 1 აგვისტოს, პოეტის გარდაცვალების სახსოვარ დღეს, დაიდგა ძეგლი მის საფლავზე, მირგოროდში. გურამიშვილის საფლავი, რომელიც 150 წლის განმავლობაში უცნობი იყო, პოეტის მადლიერ შთამომავალთა და თაყვანისმცემელთა წმინდა ადგილად იქცა.

* * *

გურამიშვილის პოეზია მეტად მრავალფეროვანია და მდიდარი: ის შეიცავს მატთანეს, საღმრთო გალობას, დამოძღვრას, ზნეობითს სწავლას, იუმორს, მოსწრებულ სიტყვას, ლირიკას (“ლექსი — გულისა”), ეპოსს, მცირე ჟანრს. ჩვენს წინაშე დგას მომხიბლავი სახე — მომღერლისა, ისტორიკოსისა, დიდაქტიკოს-მორალისტ-ფილოსოფოსისა, ჰუმანისტ-განმანათლებლისა, პატრიოტი მხედრისა, ხალხთა მეგობრობის მაუწყებლისა და მახარობლისა.

“დავითიანში” აჟღერებულია ქართველი ხალხის გულისთქმა, მისი ზნეობრივი შეხედულებანი, დაუმრეტელი პატრიოტიზმი და სწრაფვა განათლებისადმი.

გურამიშვილის წიგნი¹³² საუკეთესო თანამგზავრი იყო ქართველი ადამიანისა. იგი ხშირად იყო პირველ წიგნთაგანი, რომლითაც ანბანსაც სწავლობდნენ და რომელიც გოგებაშვილის “დედაენის” როლსაც ასრულებდა. დავითიანი ყოველდღიურ სახმარ წიგნად ითვლებოდა ქართულ ოჯახში. უპირველესად ის იყო აღმზრდელი წიგნი, ზნეობის მასწავლებელი და იმავე დროს მატთანის შემცველი და ქართული მეობის გამაღვიძებელი.

დავით გურამიშვილი — დიდი ეროვნული გზების პოეტი თვითონვე უსვამდა ხაზს შემოქმედების ეროვნულობას, ქართულობას, როდესაც ითხოვდა თავისი წიგნის შესახებ:

ბრძენსა კაცსა ვეხვეწები, ეს ობოლი მამინათლოს,
თუ რამ იყოს სხვის სჯულისა, მომიქციოს, გამიქართლოს.

“დავითიანის” შინაარსია პოეტის პირადი და მისი ქვეყნის უბედური თავგადასავალი — აკლებული ერის ღაღადისი, სამშობლოს დაშორებით

¹³² გურამიშვილის ტექსტი მეცნიერულად გამოცემულია ალ. ბარამიძის მიერ ორჯერ (ციტატები მოგვყავს 1955 წლის გამოცემის მიხედვით).

გამოწვეული ნოსტალგიური ტკივილები, გოდება ძმათა შუღლისა და წუთისოფლის ამაოების გამო.

პოეტის დროის ქართველი ხალხი ძმათა შინაგანმა უთანხმოებამ, პარტიკულარიზმმა დაღუპა, ამას აშკარად ხედავდა გურამიშვილი, რომელმაც თვითონვე იწვინა ძმათა შორის ბრძოლის ნაყოფი. პოეტი ყველგან ხაზგასმით აღნიშნავს ზნეობის დაცემას, ძმათა შუღლის საშინელებას, და ქადაგებს ზნეობის ამბლებსა და ერთობის საჭიროებას, როგორც ერის განმკურნავ წამალს.

გურამიშვილი მქადაგებელია ჭეშმარიტების, სიმართლის, კაცთმოყვარების, ამიტომაც იგი თავის შემოქმედებაში არა ერთხელ ილაშქრებს უვიცობის, ბნელი გონების, მონობის, სიმკაცრის, ტირანიის, ხალხის ჩაგვრის წინააღმდეგ. პოეტი ამათრახებს სიხარბით გატაცებულ სამღვდელოებას და, საერთოდ, მისი დროის ცხოვრების უკუღმართობას, აგვიწერს რა "საქმესა თვალთ ნახულსა, არ მოგონილსა".

მოხუცი და თითქმის უსინათლო, ბიბლიური წინასწარმეტყველივით ამხელს მათ, ვისაც ცოდვა მიუძღოდა სამშობლოს წინაშე: "თუმცა ბრმა ვარ, კიდევ ვხედავ, ქვეყნად ჩემგან უფრო ბრმათა". ასეთია "ქართლის ჭირის" მღალადებლის პოეზიის მთავარი შინაარსი.

"თესლ-ტომთ", "ძირით ქოქით ამოგდებული", სამშობლოდან გადახვეწილი "მწირი" პოეტი ისევ სამშობლოსათვის იღვწოდა. გურამიშვილი უპირველესად ეროვნულ თვითშეგნებას აღვიძებდა ემიგრაციაში, რომელსაც არა ერთი "გზაშეცდომილი" ქართველი "ამშვენებდა". "დავითიანი" მეზრძოლი წიგნი უნდა ყოფილიყო ემიგრაციის გადაგვარების წინააღმდეგ. ემიგრაციას უმთავრესად თავადაზნაურობა შეადგენდა, ხოლო მათი შვილები, სამხედრო სკოლებსა და კორპუსებში განათლების მიღების შემდეგ მალე რუსდებოდნენ. გვაქვს ცნობები, რომ ჩასულ ქართველთა მეორე თაობიდან, რუსეთში დაბადებულთაგან, ქართული ბევრმა უკვე აღარ იცოდა¹³³.

პოეტმა მათ მოსაქცევადაც და შესაგონებლად, მათში ეროვნული მეობის აღსადგენად დაწერა "დავითიანი".

ყმაწვილი უნდა სწავლობდეს საცნობლით თავისადაო:
ვინ არის, სიღამ მოსულა, სად არის, წავა სადაო!

რომ "ვით რემა ხნარცვს არ ჩავარდეს, ულაგმო და უსადაო".

ამიტომაც გურამიშვილმა თავისი წიგნი უპირველესად ქართველ ყრმათათვის განკუთვნა: "ყრმათ შევავედრე ეს წიგნი-ო", "მოსახსენებლად ჩემდა ყრმათ უმზადე ტკბილი მაჭარი". პოეტმა ხალხურ კილოზე აამღერა თავისი ლექსი, ააცილა სქოლასტიკურ მუხრუჭებს, რათა იგი ყრმათათვის ადვილად გასაგები ყოფილიყო:

ამისთვის მე არ შევსძებვე,
რაც დავრგევ იგავთ ხე ველად,
უფრო ადვილად აღვლიან
ზედ ყრმანი დასარხვევლად.

¹³³ შემთხვევითი არ არის ცნობილი დეკაბრისტის ალექსანდრე განგებლიშვილის ცნობა: Мой отец родного своего языка уже не знал, и наше семейство совершенно обрусело (об. Воспоминания, 1888 წ. გამოც., გვ. 226). განგებლიშვილის პაპა — გიორგი ვახტანგ მეექვსეს გადაჰყვა რუსეთში, ხოლო მისი შვილი სვიმონი 1751 წ. დაიბადა რუსეთში. მამასადამე, ქართლიდან გადასახლების 27 წლის შემდეგ ახალი თაობა ხშირად ქართულს ვეღარ ლაპარაკობდა.

დ. გურამიშვილმა საგანგებოდ დაწერა "სწავლა მოსწავლეთა", "ათთა სახმართა საქმეთა ჩაგონება ყრმათათვის", რაც ზნეობის მთელ კოდექსს წარმოადგენს.

ამიტომ "დავითიანი" უპირველესად აღმზრდელიობითი, პედაგოგიური მნიშვნელობის წიგნია, ზნეობის, ცოდნისა და სამშობლოს სიყვარულის მლაღადებელი.

"დავითიანის" უპირველესი ადრესატი უნდა ყოფილიყო უკრაინის თუ მოსკოვის ქართული ემიგრაცია, ანუ მაშინდელი "გარექართველობა", რომელთაც პოეტი მოუწოდებს:

აწ დავიწყო თქმა მართლისა, მომსმენელნო, შემოკრებით,
ზოგნი შინა აქ ბრძანდებით, ზოგნი გარეთ, შემო, კრებით,
მოვითროთ ჩვენ სამკვიდრო, თავში ხელის შემოკრებით,
ვით დავკარგეთ ჩვენ ქვეყანა, ჩვენდა გარეშემო მტრებით.

დაკარგულ სამშობლოზე ტირილის გარდა, პოეტი "მართლის თქმით" სჩხრეკს სამშობლოს დაცემისა და განადგურების მიზეზებს და მისი უკეთესი მომავლის ძიებაშია.

გურამიშვილი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ისეთ ეპოქაში, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ ისტორიული გზაჯვარედინი საქართველოს ისტორიაში. მე-18 საუკუნემ განსაზღვრა ჩვენი ქვეყნის ახალი პოლიტიკური ორიენტაცია, მისი მისწრაფება ჩრდილოეთის დიდ მეზობელთან რუსეთთან მჭიდრო კავშირის დამყარებისაკენ, რომელსაც შეეძლო თურქთა და სპარსთა გაუთავებელი შემოსევებისაგან ილაჯგაწყვეტილი, ფიზიკური მოსპობის მიჯნაზე მყოფი მამაცი ხალხის შემდგომი ნაციონალური არსებობის უზრუნველყოფა. მაგრამ იმ საუკუნის შუა წლები საქართველოსათვის მართლაც რომ ტრაგიკული იყო, ვინაიდან, რაც უფრო ღრმა და გულწრფელი იყო მისი მისწრაფება რუსეთთან კავშირის დასამყარებლად, მით უფრო დაუნდობელი და სისხლიანი ხდებოდა აღმოსავლური აგრესია.

გზაჯვარედინზე იმყოფებოდა ქართული ლიტერატურაც. აქ უნდა მომხდარიყო არჩევანი. ან დეგრადაციის გზაზე მყოფი აღმოსავლური პოეზიის ეკლიანი ძეძვნარი, რომელიც ქართული პოეზიის ძველთაძველ ღონიერ შტოს გადათელვასა და მოსპობას უპირებდა, ანდა ახალი გზები, რომელთაც ქართული ლიტერატურა უნდა გამოეყვანათ მსოფლიო კულტურული პროგრესის ფართო ასპარეზზე. ახალი, ჯერ კიდევ გაუკვლეველი გზით სიარულს ქართული ლიტერატურა შესძლებდა მხოლოდ თავის საუკეთესო ნაციონალურ ტრადიციებზე დაყრდნობით, რომელიც პირველ რიგში დაკავშირებული იყო ქართული აღორძინების ტიტანის შ. რუსთველის სახელთან.

გურამიშვილი ქართული მაგისტრალური ხაზის პოეტია. იგი მისდევს ქართული პოეზიის საუკეთესო ტრადიციებს. თავისი შემოქმედებით იგი შეებრძოლა სპარსულსა და, საერთოდ, აღმოსავლურ დაბანგულ ეროტიკულ პოეზიას, აღმოსავლურ ავადმყოფურ ფანტასტიკას.

გურამიშვილის პოეზია ქართულ ძირებზეა დამყნობილი, დავითიანი ქართული ეროვნული პოეზიის დიდი ძეგლია. დ. გურამიშვილის პოეზიის სიტყვიერი და რიტმული სიმდიდრე ხალხის წიაღიდან მომდინარეობს. ამით აიხსნება მისი პოეზიის სიღრმე და თვისება აზრის სადად გამოთქმისა.

გურამიშვილის ლექსი გამოირჩევა პლასტიკურობით, მუსიკალურობით, მელოდიურობით. მისი ნათელი სიტყვა, ღრმა აზრის გადმომცემი, ხალხურად არის აჟღერებული. გურამიშვილის ლექსი მელოდიურობით აღემატება ქართული პოეტური სიტყვის თითქმის ყველა შემოქმედს რუსთველის შემდგომ.

დავით გურამიშვილის ღვაწლი შესამჩნევია ქართული პოეზიის დემოკრატიზაციაში და ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც ”სიბრძნე სიცრუის” ავტორისა ქართულ პროზაში.

ლირიკოსი და ეპიკური მთხრობელი, მართალი, ჭეშმარიტი მხატვარი ფართო აზრით და ადამიანობით აღჭურვილი ფილოსოფოსი ოლიმპიდან მიწაზე დაშვებული პოეტია, რომლის მთავარი იდეალია ”მართლის თქმა” და არა ”არაკობა”.

ამ პრინციპზეა აგებული მისი ბრწყინვალე პოემა ”ქართლის ჭირი”, ეს მართლაც მწვერვალე გურამიშვილის შემოქმედებისა.

გურამიშვილის კრედიო ”მართლის თქმა”. სიმართლე გურამიშვილის შემოქმედებითი პრინციპია. მხოლოდ ერის სამსახურში ხედავს პოეტი თავისი ცხოვრებისა და შემოქმედების მიზანს.

გურამიშვილის ესთეტიკურ ხედვას შეიძლება ვუწოდოთ ხალხურობისა და რეალიზმის პროგრამა. სიმართლის ხელოვნების უმაღლესი პრინციპი, რომელსაც საქვეყნოდ აცხადებს პოეტი, ხალხისადმი პირუთვნელი სამსახური, — აი, მისი მთავარი მიზანი:

მართალია, მძრახველს ძრახვა თვით კი ავად მოუხდების,
მაგრამ ფარვა სიავისა ქვეყანას არ მოუხდების!

. . . .

აწ რომ ავი არ ვაძაგო, კარგი როგორ უნდა ვაქო?
ავს თუ ავი არ უწოდო, კარგს სახელად რა დავარქო?
კარგს კაცს ვითარ დაუკარგო, რაც რამ სიკარკაცე აქო?
ავს კაცს კარგი ვით უძებნო, ორმოს ჩამსვა, თავს დამარქო?!
პირს-ფერობა, უკან ძრახვა არა თქმულა საფარსაგო,
სჯობს ტყუილით ქვე ყოფნასა, ზე სიმართლით ავიბარგო.

. . . .

მართალს ვიტყვი, შევიქნები ტყუილისა მოამბე რად?

. . . .

მე, თუ გინდა, თავიც მომჭრან, ტანი გახდეს გასაბერად,
ვინც არა ჰგავს კახაბერსა, მე ვერ ვიტყვი კახაბერად!...

ამ პრინციპზეა დაფუძნებული დავით გურამიშვილის ყველა საუკეთესო ნაწარმოები და, მით უმეტეს, მისი მონუმენტური ”ჭირი ქართლისა” რომელშიც სიმართლისათვის არ ინდობს ”ძლიერთა ამა ქვეყნისათა”, ქვეყნის მმართველთა, რომელთა უგუნურმა ქცევამ ქართლს ნაადრევი სამარე გაუთხარა. ამ შემთხვევაში პოეტი არ ზოგავს თვით თავის მეცენატს, მფარველსა და აღმზრდელს ვახტანგ მეფეს, რომელიც იმ ტირანიისა და ბარბაროსული გარემოცვის დროს, სინდისის იმ დაღამების დროს, ნათელ ვარსკვლავად მოჩანს მაშინდელ შავ ფონზე. თუმცა დავითი დიდად იყო დავალებული ვახტანგისაგან, რომელიც პოეტს ”წყალობდის, უხვად აძლევდის, სწავლით შვილურებ ზრდიდისა”, მაინც პოეტი მკაცრად აკრიტიკებს მოწყალე პატრონის პოლიტიკურ მოღვაწეობას და მის შესახებ ასე ათქმევინებს ბაქარს:

ვერა ვნახე რა მაგისი ღრმად საქმე მონაწევდომარე,
რაზედაც მიდგა, არ დარჩა ის საქმე წაუხდომარე.

კონსტანტინე მეფის პირით გურამიშვილი სძრახავს ვახტანგს:

გაქვს ნართი ავად დასთული,
ტარის ტარებით მძახაო!

და თვითონაც დასძენს: "მწყემსი უფრთხილი სამწყსოსი ადვილად დამკარგველია!"

და ბოლოს, თვით მას ათქმევინებს, რომ მან, ვახტანგმა, თავის ხალხს "წაუხდინა ქვეყანა": "მე წაუხდინე ქვეყანა, შვილიც გაუცე მამასა?" ასეთია პირუთვნელი, დაურიდებელი ბრალდება პოეტისა "დიდ ცხებული" მეფისადმი.

გურამიშვილმა "სიმართლე", "პირში თქმა" დაუდო საფუძვლად შესანიშნავ პოემა "ქართლის ჭირს", რომელიც იმავე დროს დიდებულ ისტორიულ და პოლიტიკურ დოკუმენტს წარმოადგენს. გურამიშვილი მოჩანს როგორც დიდი მორალური ძალის ფიგურა, როგორც მამხილებელი თავისი თაობისა, რომელმაც სამშობლო ასეთ განწირულებამდის მიიყვანა:

ვინც რომ ისრე უკულმართად, მრუდად ხნას და თესოს, ფარცხოს,
ის მე პურსა ნულარ მაჭმევს, რაც იმ ფქვილით გამოაცხოს,
ვინც ძმის სისხლი გამოიცხოს, ან თვით ძმასა გამოაცხოს,
მისი სული სატანამა, თუ არ კუპრში, რაში გარცხოს?

. . .

მე კი ვჰფარავ, მაგრამ ჩემი სატკივარი არა ჰფარავს.
მეტად მწარედ გული მტკივა, მაჟრჟოლებს და ტანში მზარავს!
ვერ მოვითმენ, რომ არ დავგმო, აღმა მხვნელსა, დაღმა მზარავს.

პოემაში "ქართლის ჭირი" სიმართლით, უბრალოდ და ამაღელვებლად, პათეტიკური და ნაღვლიანი ინტონაციით მოთხრობილია საქართველოს ისტორიის — XVIII საუკუნის პირველი ნახევრის ტრაგიკულ პერიოდზე, ირანელ და თურქ ბარბაროსთა სისხლისმღვრელ შემოსევებზე, ლეკების დამარბეველ თარეშებზე, ფეოდალთა შფოთსა და შინაურ ძმათამკვლელ ომებზე.

გურამიშვილის პოეზია, რომელიც მკვეთრად ამხილებს ფეოდალური საზოგადოების ბიწიერებას, ღრმა დრამატიზმითა და ლირიზმით არის გამსჭვალული. იგი ცხადყოფს, რომ გურამიშვილი იყო არა მარტო თავისი ეპოქის მცოდნე, დაკვირვებელი, ფხიზელი და გულისხმიერი ჟამთააღმწერელი, არამედ პოეტი-მოქალაქე, მხურვალე პატრიოტი, რომელსაც თავდავიწყებით უყვარდა თავისი სამშობლო.

დ. გურამიშვილი არა მარტო ალაღმართლად აშუქებს საქართველოს მიერ გადატანილ ამბებს, ისტორიულ პირთა მოღვაწეობას, არამედ მათს გარკვეულ პოლიტიკურ შეფასებასაც იძლევა.

გარდახვეწილ პოეტს, სევდით დამწვარს და დადაგულს, თვით მირგოროდის მყუდროებაში, ჩრდილოეთსა თუ პრუსიაში ლაშქრობის დროს, ყველგან, თვალწინ ედგა კვამლადენილი სამშობლო, მისი ტრაგიკული სახე:

ნაწლევნი, ღვიძლი და გული შემქმნია ცეცხლით დაგული!

. . .

მით დღე მაქვს არ სახარელი, მომიკლეს მე საყვარელი!

. . . .

ვაი, ჩემს თვალთა ჩენასა, შენს უკან ჩემს დარჩენასა!

პოეტს შორიდან ესმოდა საქართველოს ყოველდღიური აკლების, აოხრებისა და დამხობის შემზარავი ხმები: ”შევაკვდიოთ, ამოვწყდიოთ, დავტყვევდიოთ, წავხდიოთ”! სისხლით გაბასრულ სამშობლოს, პოეტი, როგორც ნამდვილი მამულიშვილი, მისთვის დამწვარი და ჯვარცმული, მიმართავდა უკანასკნელი თავგანწირვით:

მსურს განვილესო, წამლად, სასმელად,
წყულულზე სასმელად — მე სისხლი შენი!

პოეტი გულმოკლულია, რომ ვერ დაეხმარა სამშობლოს, თუმცა ”გულით სურს მისი სამსახური”, მაგრამ დამხობილის, ჯვარცმულის და ნაწამების იმედი მაინც აქვს, იცის, რომ არ გასწირავს მშობლიური მიწა:

სიკვდილის დროს, მე მის მეტი არავინ მყავს მშველი!
იმედი მაქვს, რასაცა ვთხოვ,
მომცემს, არა შურსა!
უკვდავების წყალს მიბოძებს,
ცხოვრებისა პურსა!

სამშობლოს სევდით დამწვარი, ჩაფერფლილი პოეტის ნატვრა ერთი იყო, სამშობლოსთან შეხვედრა:

გულითა მართლითა,
პირითა ნათლითა,
შეურცხვენელად!

იგი ბიბლიურ ლაზარეს მსგავსად ნატრობდა მისებრ აღდგინებას სამშობლოს სანახავად. პოეტის ყველაზე დიდი ვედრებაა ღვთისადმი საქართველოში დაბრუნება:

შემყარე მე ჩემს საყვარელს,
ჩემი გულის გასახარელს.
. . . .
შენ გახსენ ჩემი კრულება და წარმავლინეო,
ვით გამყარე სამკვიდროსა, ისევ შემყარეო.

ეტყობა, სამშობლოსთან შეყრას ასაზრდოებდა რაიმე პოლიტიკური ამინდი, უფრო კი ოსმალეთთან ბრძოლა 1769 — 1774 წლებში და ბოლოს ყირიმის რუსეთთან შეერთება.

ქართლში დაბრუნების იმედი გურამიშვილს ღრმა სიბერემდის უნდა ჰქონოდა. მაგრამ ნატვრა არ აცხადდა და მოხუცმა, უსინათლო პოეტმა თავი იგრძნო დავიწყების ზღვაში:

აწ დავკარგულვარ თავთათვის
აღარ მოველი პოვნასა!

გურამიშვილის სენტენციებსა და აფორიზმებს დღემდე მხოლოდ ლიტერატურულ-ისტორიული მნიშვნელობა არა აქვთ, მის რეზონერულ ლირიკას, ზოგჯერ კი თანაგრძნობას ასკეტიზმისადმი მკითხველისათვის უფრო ცხოვრებისეული მორალის მნიშვნელობა ჰქონდა.

ამ მხრივ გურამიშვილის პოეზია უსათუოდ გამომსახველია ეპოქის მბრძანებელი იდეოლოგიისა. აქედან არის წარმოშობილი მისი რელიგიური ექსტაზიც, რომელიც უფრო გასაგები იქნება ჩვენთვის, თუ გავიხსენებთ, რომ გურამიშვილის ის ნაწარმოებნი, რომელშიც რელიგიური მოტივებია მოჭარბებული, ღრბა სიბერეში იწერებოდა.

სამშობლოს მდგომარეობითვე არის გამოწვეული გურამიშვილის ღრმა პესიმიზმი, რომლის წარმოშობის მიზეზს ერთვის საწუთროს შინაგანი წინააღმდეგობა:

თუ ხარ ღვიძილი, რაღა არს ძილი?
თუ ხარ სიმაძღრე, რა არს შიმშილი?
თუ ხარ სიცოცხლე, რა არს სიკვდილი?

რასაკვირველია, პოეტის პირადი ბიოგრაფიაც თამაშობს თავის როლს და გასაგებია გურამიშვილის მწარე გამოძახილი: "ფუ, შენ ცრუო საწუთროო, ხარ არაფერი!"

ამად ვსწუნობ საწუთროსა,
სულ ბნელია, რასაც ელავს.

პოეტის დიდი სევდა ხშირად ირონიაში გადადის. თვით პოეტი გაორებას განიცდის და შემთხვევითი როდია, რომ მას მხოლოდ ერთადერთი ფილოსოფოსი ჰყავს მოხსენებული თავის წიგნში — ეპიკურე. პოეტი ვერ თმობს საწუთროს მშვენიერებას, მისი გული სავსეა ბუნებისა და სიცოცხლის სიყვარულით. თვით რელიგიურ-ასტრალურ ჰიმნებში ის სიცოცხლის მზეს მოუწოდებს:

მზევ, სიშორითა შენითა
ვსტირ გულზე კვნესით, ქშენითა...
მზეთა-მზევ, მზემან მომნახოს,
მითხრას მშვიდობა, სალამი!..
განთიადისა ვარსკვლავო,
მის მზეთა-მზისა მთიებო,
ვიკარგვი ბნელის ღამითა,
დღევ, რად არ მომიძიებო...
შენ გევედრები, ცისკარო,
საიდუმლოსა დღისაო,
ნათელო შარავანდედო,
საცნაურისა მზისაო.

გურამიშვილი მართლაც "ნათლის მიჯნურია". "მზევ, მზისა მამზევებელო, მიუხდომელო ნათელო", "მზევ, მახარე შენი მოსვლა, ახლით მმოსე შესამოსლით", "მზეთა-მზევ, მზემან მომნახოს, მითხრას მშვიდობა, სალამი"... "მზევ, მომეშველე" —

დადადებდა პოეტი, მისი "დამძრალი გული" სიბერეში ნატრულობს "მზის ყუდროში დასმას". "სათბუნებლად ხელის დასმას". "მზე დამილამდა მზიანი, მით მომივიდა ზიანი".

სხვათა შორის ლექსს "მზეთა-მზის ვედრება დავითისაგან, მზის თხოვნა დასათბობლად ტირილითა თუ სიმღერის ხმითა" აქვს მინაწერი. "ამის ხმას ეწოდების რუსულად: მასონ". და მართლაც, იგი მასონური ჰიმნია. ხომ არ თანაუგრძნობდა გურამიშვილი მასონთა ლოჟას, როგორც არა ერთი მისი თანამედროვე ქართველი რუსეთში? მაგ., დავითის მეგობარი მგოსანი დიმიტრი სააკაძე ფრანკ-მასონობას სწამებდა პოეტს დიმიტრი ბაგრატიონს: "თქვენი მოგვესმა, პატრონო, შექმნილხარ ფარმაზონია, ქრისტეს უარისმყოფლობა, მე თქვენგან არა მგონია" და სხვ. თუ დადებითად გაირკვა ეს საკითხი, მაშინ ციკლი "მზეთა-მზის" ლექსებისა მასონური მონაბერი უნდა იყოს. ყოველ შემთხვევაში, მასონური მოძრაობა შემჩნეულია გურამიშვილის დროინდელ უკრაინის მოწინავე საზოგადოებაშიც.

გურამიშვილი ბოლომდის სიცოცხლის მომღერალი დარჩა. ეკლესიური დიდაქტიკოსი იმავე დროს "წარმართულ" მგზნებარე გულს ატარებდა, მას უყვარდა ადამიანი და ეს გასაგები იქნება, თუ კარგად ჩავუკვირდებით მის ბიოგრაფიულ ლირიკას, სადაც ცხოვრების ამდენ ტანჯვასა და სიტკბოებაზეა ლაპარაკი, სადაც ამდენი ცრემლია დაღვრილი, გინდაც იმიტომ, რომ საწუთრომ მას ძე არ მისცა და რომ იგი "თესლ-ტომითურთ წარწყმიდა", "ძირით, ქოქით ამოაგლო", სადაც ლაპარაკია ოცნებაში წარმოდგარ სამშობლოზე და მის ბუნებაზე. თვით "ქაცვია მწყემსი", რომელიც მიღებულია ასკეტიზმისაკენ მოწოდებად, იმავე დროს მიწიერი სიხარულის მატარებელია, იგი ხორცის და სიყვარულის ჰიმნია.

სწორია პოეტის განცხადება, რომ იგი განშორდა "საღმრთოს ბაღნარსა", რომ მან დათმო ამ ბაღნარის "ბულბულთა ოსანი". აქ ბაღნარად ეკლესია იგულისხმება და მისი იდეოლოგია. გურამიშვილი უპირველესად საერო პოეტია. "აწ მე საერო წალკოტი მგონია პატიოსანი, მიყვარს და მალმალ მსურიან მისთა ყვავილთა ყნოსანი". მიუხედავად ზოგიერთი რელიგიური ჰიმნისა, გურამიშვილი დიდი რეალისტია. მრავალტანჯულმა ცხოვრებამ მას ბევრი გამოცდილება მისცა, გაუფართოვა მსოფლმხედველობა და ცხოვრებას დაუახლოვა.

როგორც ვიცით, გურამიშვილმა კარის მგოსნიდან დაიწყო პოეტის კარიერა, მაგრამ იგი არ ყოფილა ტიპური სასახლის პოეტი, ყალბი პათოსის მეხოტბე, მისი ძლიერი და ღრმა გზნება ვერ დაეტეოდა შეზღუდულ ჩარჩოებში და ამიტომაც, გასაგებია, რომ მისი კარის პოეზიიდან არაფერი დარჩენილა, გარდა ორიოდ მოსწრებული კალამბურული ფრაგმენტისა.

გურამიშვილი თავისი დროის პირველი პოეტია, რომელმაც ფართოდ გახსნა თავისი დიდი ადამიანური გული:

გულზედ მქონდა მოხაზული
ცხოვრებისა წყაროს ღარი,
ვიტირე და გადვადინე
მე იმაზე ცრემლთა ღვარი.

ქართულ ლირიკაში იშვიათია პოეტი "თვალთა" "ცრემლთ წანწკარით", როგორც იყო გურამიშვილი. მან "გულს მოსწყვიტა მუწუკი" და ათქმევინა ის, რაც სტკიოდა: თავისი სიოზლე, სამშობლოს დამწვარი სიყვარული, "ღვთიური მიჯნურობა". მისი ეპოქის პოეტებში მხოლოდ მას აქვს დიდი სიახლოვე მიწასთან,

რომლისადმი მოსალოდნელ განშორებას იგი მწარე ტკივილით განიცდის:

ვაი, თუ მოვკვდე ცოდვილი
კაცი ავის ზნით მე ზრდილი,
წამერთოს დღენი მზიანი,
ღამენი — ცა-მოწმენდილი,
მდგომარეს ზღვისა ჭვრეტანი,
ცა ვარსკვლავ-მთვარით ჭედილი,
უკეთეს ვნახავ ვეღარას
ხორც-მკვდარი, სულ-წარწყმენდილი...

ჩვენში მიღებულია აზრი, რომ დავით გურამიშვილის შემოქმედება ხალხში პოპულარული გახდა იმ ერთადერთი ხელნაწერი ეგზემპლარის წყალობით, რომელიც პოეტმა მიუძღვნა ბატონიშვილს მირიანს 1787 წ. რასაკვირველია, ეს ფაქტია, მაგრამ ამ ერთადერთ ეგზემპლარს გარდა, საქართველოში ფრაგმენტების სახით ხანდახან დამოუკიდებელივ აღწევდა დავითის ზოგი ლექსი. ამას გვიდასტურებს ზოგი ხელნაწერი მე-18 საუკუნისა. განსაკუთრებით ის ერთი ხელნაწერი, რომელშიც მოთავსებულია ლექსი "ეეო მეოს" მოტივზე. იგი სულ სხვა ვარიანტს წარმოადგენს, ვიდრე ეს ჩვენთვის ცნობილია მირიანისეული წიგნიდან.

ხსენებული ლექსი, რომელიც მოთავსებულია ამ ხელნაწერში (გადაწერილი მე-18 საუკ. ბოლოს ან ცოტა ადრე, ამბროსი ნეკრესელის მიერ) პირველ ვარიანტს უნდა წარმოადგენდეს.

მირიანისეული კრებულის (დავითის ავტოგრაფის) გარეშეც საქართველოს რომ აღწევდა გურამიშვილის შემოქმედება, ამისი დამადასტურებელი, სხვათა შორის, არის ის ხელნაწერი "დავითიანისა", რომელიც მოხსენიებულია იოანე დოლენჯიშვილის ქალის ანას მზითვის წიგნის სიაში, 1796 წელს¹³⁴. რაც შეეხება მირიანისეულ კრებულს, იგი საქართველოში მხოლოდ 1860-იან წლებში ჩამოვიდა და არც ისე ადვილი უნდა ყოფილიყო ამ ცალიდან პირების გადმოღება.

სანიმუშოდ მოგვყავს ამ ცნობილი ლექსის უცნობი ვარიანტის დასაწყისი. ათი სტრიქონი და ბოლო ოთხი სტრიქონი:

ეო, მეო, აქეთ მომხედო,
რას მოგიტხრობ სიყვარულსა, ყური მომიგდეო,
არავინ არის უფროსი, ღმრთისგან უდიდეო,
მღვთისა სიტყვა კაცსა ზედა სიტყვის მამსმინეო,
გზასა რომელსა ხვიდოდე, წინ დაიხედეო,
ფათერაკსა და საფრთხესა, არსად შთავარდეო,
თავს ასეთზედ ნუ ახარებ, ბოლოს ინანდეო,
ასეთს ნურას მოივაჭრებ, რომ დაზიანდეო,
ცან მე ვარ შენი მოყვარე, შენ მე გიყვარდეო,
ნურაოდეს დამივიწყებ, მუდამ გახსოვდეო.
.
ისევ ხორციტ შეინანე, რაც ხორციტ სცოდეო,
თორემ სულიტ ვერას ირგებ, შენ ეს იცოდეო,
რაც რომ დავით შენ გასწავლა, მაზე აბიჯეო,

¹³⁴ საქ. სიძველენი, I, 403, 406.

აქ დაგებით არ იჯერეთ, ახლა გალექსო!¹³⁵

სიცოცხლის სიხარულის მომასწავებელია გურამიშვილის ლექსის დიდი რიტმული ძალა, მისი მუსიკალური ამღერება. რუსთველის შემდეგ გურამიშვილამდე ქართულმა პოეზიამ არ იცოდა მისებრ მომღერალი: ”მე ლექსად სიტყვებს ამაღ ვაწყობდი, უფრო ტკბილად მჩნდა“-ო. ამით გურამიშვილი ხაზს უსვამს თავისი ლირიკის მუსიკალურ ხასიათს. მეორეგან ის ამბობს: ჩემს წიგნს ”ვზრდი მომღერლადო“ და განა შემთხვევით უწოდა თავისი ლექსების კრებულს ”დავითის საგალობელი?“ გურამიშვილის პოეზიის ფუძე იყო მუსიკა. მგოსნის პიროვნული ინტონაცია მუსიკალურია. მისი მელოდია ბუნებრივია. დავითის ლექსები თვით ავტორისაგანაც იმღერებოდა ისე, როგორც მკითხველის მიერ იკითხებოდა რეჩიტატივით. ეს ლექსები ქართული ტრადიციით ”სამღერალი“ რომ იყო, ამას გვიდასტურებს თვით გურამიშვილის შენიშვნები, რომელიც დართული აქვს ზოგიერთ ლექსს. ამ შენიშვნებით ზოგი ლექსის სტრიქონი მეორდებოდა, იმიტომ რომ სასიმღერო იყო. პოეტი აძლევდა მკითხველს შესაძლებლობას სხვა ”ხმაზედაც გაეწყო“ ლექსის კითხვა. მაგ., ”ეს ბოლოს სტრიქონი ორჯელ უნდა“ (გვ. 76), ”ეს ბოლოს სიტყვა ორჯელ უნდა“ (გვ. 136), ”წინწილს ქვეით სამჯერ უნდა“ (გვ. 154), ”გოდება დავითისა“-ს ყოველ ტაქსს მოსდევს მოძახილი. ამ ლექსის ვარიანტს აწერია: ”თუმცა სიტყვა და ძალი ისივ არის, იქნების კაცი ამ რიგს ხმას უფრო გაეწყოს“ (165), ”ეს ციფრი ამისთვის არის, რომ რაც გასწვრივ ლექსია, ორჯელ უნდა ითქვას ბოლომდის“ (179). ”ქაცვია მწყემსის“ კიდევ ერთ თავს შენიშვნა აქვს: ეს ციფირნი ამისთვის არის, მესამე სტრიქონი კიდევ მეორედ უნდა ითქვას ბოლომდის“ (გვ. 229).

გურამიშვილის პოეზია ხალხური სულის პოეტური ანარეკლია. გურამიშვილმა ხალხური, ცოცხალი სიტყვა აღიარა ლიტერატურის საფუძვლად. მან პირველმა გამოიყენა ფორმა ხალხური სიმღერებისა და ხალხური სიმღერის ჟანრი ასწია პოეტურ სიმაღლემდე. მისი ლექსების უმრავლესობა შეწყობილია ქართულ-რუსულ-უკრაინულ ხალხურ მოტივებზე: ”ახა წმინდა კოპალეს“ სანაცლოდ სამღერალი”, ”ეეო, მეეო, ქალო, ქალთა-მზეო“-ს სანაცლოდ სათქმელი”, ”სიმღერა ქალ-კახეთის ჯვარობის სანაცლოდ სათქმელი“, ”სიმღერა ფერხისული“ ”აგერ მიღმარ ახოს“ სანაცლოდ სათქმელი”, ”პატარა ქალო თინაო“-ს სანაცლოდ სათქმელი”, ”რუსული სიმღერა“, ”ნე დამ პოკოიუ, პოიდუ სთობოიუ“, ”ჩტო ზა პრიჩინა, ვსელდა კრუჩინა“, ”პოლშის სიმღერის ხმა“ და სხვა. თვით გურამიშვილის კაპიტალური პოეტური ნაწარმოები - პოემა ”მხიარული ზაფხული“ (”ქაცვია მწყემსი“ მკითხველმა უწოდა) პოეტს დაუწერია უკრაინული სიმღერის ”ვესელა ვესნა“-ს ხმაზე.

ერთ ქალს რუსული ”ვესელა ვესნა“
ჩემთვის სახმილად ჩამოეკვესნა...

(სხვათა შორის ”რუსულში“ გურამიშვილი ”უკრაინულსაც“ გულისხმობს).

რასაკვირველია, შეუძლებელია, 54 წლის განმავლობაში უკრაინაში მცხოვრებ გურამიშვილზე თავისი გავლენა არ მოეხდინა უკრაინულ ხალხურ პოეზიას,

¹³⁵ ს.ც.არქივი კოლექცია 1446, № 201, გვ. 218 — 220. საიდან შეეძლო ამბროსი ნეკრესელს ეშონა გურამიშვილის ლექსი? შესაძლოა თვით ავტორისგან, თუკი 1760 წ. პეტერბურგში ჩასულ თეიმურაზის ამაღში მოხსენებული ”ამბროსი მღვდელი“ (ამბროსი კი ეპისკოპოსობამდე ჯერ მღვდლად იყო) მართლა ნეკრესელი გამოდგა. იმჟამად პეტერბურგში მყოფ გურამიშვილს, ცხადია, უნდა ენახა თავისი მეფე, რომელსაც ახალგაზრდობიდანვე იცნობდა და რომლის ამაღში 113 კაცი იმყოფებოდა.

უკრაინის კობზარებს, ლირნიკებს, რომელთაც იგი უსათუოდ იცნობდა. ცხადია, დავით გურამიშვილის პოეზიაში ერთგვარი კვალი უნდა იყოს უკრაინული ხალხური პოეზიისა.

გურამიშვილის შესანიშნავი ლექსი ”ზუბოვკა” (“ზუბოვკიდან მომავალმან”) დაწერილია უკრაინულ მოტივზე ”კაზაკ დუმა პრავდივია”. ამ უკრაინული სიმღერის პროტოტიპი ზაპოროჟელი კაზაკის ივანე ვინოგურას აღსარება გამოდგა:

...Казак душа правдивая,
Сорочка не мае,
Колы нее, так ньо
Таки не гуляе¹³⁶.

ასევე, მე-18 საუკუნეში დ. გურამიშვილის დროის უკრაინაში ცნობილი ყოფილა ნაწარმოები სწორედ გურამიშვილისეული სათაურით: (“სიკვდილისა და კაცის შელაპარაკება და ცილობა”) «Прения живота со смертью»¹³⁷. ზოგი მკვლევარის აზრით, ეს ნაწარმოები პოლონური რედაქციიდან მომდინარეობს და დასავლეთევროპული წარმოშობისაა. თუ ასეა, გურამიშვილის კაცისა და სიკვდილის “ცილობამ” შეიძლება სახელგანთქმულ ფრანგ პოეტ ფრანსუა ვიონის (დაიბ. 1431 წ.) “ანდერძებსა” და ზალადებთან მიგვიყვანოს. ანდერძები ხომ მბრძანებელი ჟანრი იყო საფრანგეთის მე-15 საუკ. პოეზიისა.

ვიონისა და გურამიშვილის “ანდერძებს” შორის ერთგვარი ნათესაობა არსებობს, როგორც დიდაქტიკური და სატირული, ისე საერთო ტონით. სიკვდილის თემა ორივე პოეტს აღიზიანებს, ორივენი ირონიული ტონით ელაპარაკებიან სიკვდილს, ორივეს შესანიშნავად ჰყავს სიკვდილი დახატული. ეს უკვე “ახალი ადამიანის” თამამი ტონია.

დავით გურამიშვილის პოეზიაში ზოგან საოცარ სიახლოვეს ვხვდებით ქართულ ხალხურ პოეზიასთან.

¹³⁶ П. Ж и т е ц к и й, Мысли о народных малороссийских думах, Киев, გვ. 115.

¹³⁷ ამ შემთხვევაში საყურადღებოა უცნობი პოეტის გოჩას გაბაასება სიკვდილთან. ვფიქრობთ, გოჩაც გურამიშვილის ეპოქას ეკუთვნის.

ხ ა ლ ხ უ რ ი:
ორლობეს ქალმა ჩამოიარა,
გავიქე და დავემალე,
როგორც ხობობს უგდე მახე,
გეერდზე რომ გამომიარა,
წამოვდექ და გავეზრახე,
გზის ქვა სულ ჩემზე მოილო,
აღარ შემარჩინა სახე¹³⁸.

. . . .

ცოლი შევირთო ლამაზი
ვაჰ, თუ არ შემეყვაროსა.
სამეზობლოდ რომ წავიდეს,
ულვამ-კოკობი ნახოსა,
მას გაუშალოს ბუმბული,
მე ჩალა გამიქექოსა;
მას შეუწვას ერბოკვერცხი
მე მხალი მომიწახოსა¹³⁹.

დ. გ უ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი:
ზუბოვკი დამ მომავალმან
ვნახე ერთი ქალი.

. . .

ვკითხე, მზეო, სიდამ მოხვალ,
ხარ სად წამავალი?

. . . .

აილო და დამიშინა
თავში დიდი კეტი.

კუროს უმზადებს კარგსა სადილსა,
და აღუსრულებს გულის წადილსა...
კუროს მიათმევს ქადა- ნაზუქებს,
გატენილ ყვერულს, კარგათ ნასუქებს...
როდესაც რომე ქმარს გაიტყუებს,
ქვემაგებს გამლის, ბალიშებს, ყუვებს...
საბრალოს ქმარს ქვემა
მიწა, ქვა და შეშა
ეგების ხმელად. (“ქაცვია მწყემსი”).

¹³⁸ პ. უ მ ი კ ა შ ვ ი ლ ი, ხალხური ზეპირი
სიტყვაობა, I, 215.

¹³⁹ ძველი საქართველო, ტ. II, 305. მესხეთში
ჩაწერილი კ. გვარამამისაგან.

გურამიშვილის პოეზია, როგორც ჭეშმარიტად დიდი პოეტისა, ხალხშია გადასული. ამ ფაქტს გვიდასტურებს ქართული ფოლკლორი. მაგ., გაიხსენეთ “ქართლური სუფრული”:

ცუდი გაუშვათ სათქმელად, რაცა რომ სჯობდეს ისა ვთქვათ,
ჰარალალი და ჰარალე!
სმა უმღერალი არ ვარგა, ჭაბუკი დაუთრობელი,
არალალი, ვარხი ვარალო!
მიჰყე დავითის მცნებასა, ჯერ მწარე ჭამე, კვლავ ტკბილი,
თუ ეძებ გემოვნებასა!
ჭირს მყოფი ლხინში შესული შვებით მოისთვლის ლხენასა,
თავს სინანული სჯობია, ბოლო ჟამს დანანებასა!
არუ-არალო-ო!¹⁴⁰

გურამიშვილის აფორიზმებსა და სენტენციებში ხალხი ნახულობდა თავის აზრებსა და გრძნობებს და თავის ოცნებათა ხორცშესხმას ზნეობის შესახებ.

ასევე ხშირია ხალხური მოტივები გურამიშვილის ლექსებში, განსაკუთრებით მის “გოდებებში”, “სიკვდილისა და კაცის შელაპარაკება და ცილობა”-ში, “კაცისა და საწუთროსაგანა ცილობა და პჭობა, ერთმანერთის ძვირის ხსენება”-ში.

დავით გურამიშვილი უღრმესი ხალხურობით გამსჭვალული პოეტია ქართულ ნიადაგზე აღზრდილი და აღმოცენებული. მისი ლექსი გასაგებია, ხალხურია. მისი მხატვრული უბრალოება, მკაცრი სიმართლე და პატრიოტული სიმამაცე მომხიბლავია.

დ. გურამიშვილის პოეზიის სიმბოლური გამოსახულებაა ქნარი და სტვირი, როგორც თვით აცხადებს:

ვმღერი თუ ვსტვირი, ქნარი მაქვს თუ სტვირი.

ქნარი შედარებით რთული საკრავია, ე. ი. “ქნარში” იგულისხმება მწიგნობრული მწერლობა, ხოლო სტვირი — მდაბიოთა საკრავი, ხალხური პოეზია. ამრიგად, გურამიშვილის შემოქმედებაში პოეზიის ორივე ნაკადია. დიდ ხალხურობასთან ერთად დავითიანში შეინიშნება მწიგნობრული მოტივებიც (განსაკუთრებით ლექსებში, რომლებიც დაწერილია რუსულსა თუ უკრაინულ მოტივებზე).

გურამიშვილი ქართული ენის ღრმა მცოდნეა. მისი ენის ინვენტარი ვრცელია და მდიდარი.

კოლორიტისთვის პოეტი მცირედ ხმარობდა არქაულ ფორმებს (განსაკუთრებით სასულიერო თემატიკაში), მთლიანად კი იგი ხალხურ მეტყველებას არის დამყარებული, მას გამოყენებული აქვს “ქართულის”, არაგვის ხეობის (მამასადაძე, ნაწილობრივ “მთიულურის”) ლექსიკური თავისებურებანი, დიალექტიზმები.

პოეტი უხვად სარგებლობს ტიპიური გამოთქმებით, სიმღერებით, შაირებით, მოსწრებული სიტყვებით.

გურამიშვილის ცოცხალ სასაუბრო ენას არა აქვს რიტორული სამკაულები, რომელნიც ხელს უშლიდნენ თემის სიმწყობრესა და ერთიანობას.

¹⁴⁰ გერმანაშვილის მიერ ჩაწერილი, ქართლში, სოფ. ბერშუეთში.

ქართული ენის დიდმა რეფორმატორმა დ. გურამიშვილმა გაარღვია არა მარტო არქაული ენის შაბლონი, მან აგრეთვე დაარღვია მეტრული ერთფეროვნება, გაამდიდრა ქართული ლექსი ახალი მეტრითა და რიტმით, ბრწყინვალე რითმით. ამ მხრივ გურამიშვილს უდიდესი დამსახურება მიუძღვის¹⁴¹.

დავით გურამიშვილი ლექსის ტექნიკის მხრივ ბრწყინვალე ნოვატორია ქართული პოეზიისა. ხალხური პოეზიის საფუძველზე მან დაამუშავა და შემოიტანა ახალი რიტმები. გურამიშვილმა მოახდინა ქართული პოეზიის რიტმული რეფორმა, რასაც დიდი მნიშვნელობა მიეცა ჩვენს პოეზიაში.

თუ რითმა არის ლექსის ჰარმონია, ეს უნდა ითქვას გურამიშვილის რითმაზე, რომელსაც ბადალი არა ჰყავს მისი დროის პოეზიაში. გურამიშვილი რითმის შესანიშნავი რსტატია, მან ააღორძინა და გაჭედა ქართული რითმა, მისცა მას ფართო ასპარეზი საკუთარ ლირიკაში. “ქორწილი”, “ირგო წილი”, “მიყარონ წილი”, “ქრისტე — დავქიშტე”, “გამცეო — დედაკაცს მეო”, “სიტყვანი — სეტყვანი”, “წინწინ ეს — იქორწინეს”, “უფლება — უკუეფლება”; “დავით მე — მედავით მე, დავითმე”, “პატრუქი — უბადრუკი”, “უფესო — მეუფესო”. ისიც საგულისხმოა, რომ გურამიშვილმა პირველმა შემოიღო ქართულ პოეზიაში ჯვარედინი რითმა:

ვამე ცოდვილსა და უბადრუკსა,
მე ვინ მადირსებს ასეთს მაზმანსა,
რომ დამიგრებდეს სანთლის პატრუქსა,
ან ზეთს მისხემდეს ჩემს მქრალს ბაზმანსა!

. . . .

და ვით¹⁴² გალად დანერგული
ვარ უშრტო და მე უფესო,
აწ მომძებნოს დაკარგული
ვედრებ, ქრისტეს მეუფესო!

ცალკე აღსანიშნავია დიდი ოსტატობით შესრულებული გურამიშვილის “მაჯამები”, — ნამდვილი სამკაული ძველი ქართული პოეზიისა.

ოდეს ადამ იქმნა კაცად, ცვად სამოთხე მოებარა,
მისმან ხილმან ამოგვწყვიტა, ნეტამც არა მოება რა!
მას დღეს აქეთ ვალად გვამეს, ჩვენზედ არის რაც ეს სესხი,
ნეტამც ვინმე ძირით გჭრიდეს, ჩემთვის, შხამო, რას ხეს ესხი!

.

ნახეთ, სესხმან მამისამან შვილს მოჰგვარა მოვალე სით?
ცელი ხელთა უჭერია, პირს მოუწყობს, მოვა ლესით.
ცუდი რამ ხარ, საწუთროვო, შენ ზნეთა გჭირს რადგან ასე,
მე ეს მიკვირს, რომ ვერა გთმობ, თუ კარგი ხარ, რად განასე!

საინტერესოა, რომ დავით გურამიშვილისათვის უცხოა ამ ეპოქის ტექნიკური მელექსეობით, მაგ., “ანბანთქებით” გატაცება. გურამიშვილს აქვს მხოლოდ ერთი ნაკვთიანი ანბანთქება (“აღდგომის დღეს ყრმათაგან სამღერალი”), ისიც დაუმთავრებელი (“ნარამდე”) და ორი თითოსტროფიანი “პირველი თავიდან და მეორე ბოლოდამ”. ეს კი იმას ნიშნავს, რომ გურამიშვილს, ჭეშმარიტ პოეტს, დიდ

¹⁴¹ დაწვრილებით იხ. კ. კეკელიძის, ალ. ბარამიძისა და ა. გაწერელიას შრომები.

¹⁴² აკადემიურ (1955) გამოცემაში შეცდომით დაბეჭდილია ”დავით”.

ოსტატს, არ ეცალა პოეტური ეკვილიბრისტიკისათვის, თუმც იგი ლექსის ბრწყინვალე არტისტი იყო.

“ქაცვია მწყემსში” შეინიშნება აგრეთვე რომანტიული პასტორალების გავლენა, რომელიც ძლიერი იყო იმ დროის რუსულ პოეზიაში ფრანგული მწერლობის წყალობით.

გურამიშვილმა მშვენივრად დაგვიხატა ქართლისა და უკრაინის ბუნება, მისი პეიზაჟები, ორივე ქვეყნის ბუნება განსაკუთრებით შესანიშნავად შერწყმულია პოემაში “ქაცვია მწყემსი”, სადაც მოცემულია არაგვის ხეობისა და მდ. ხოროლის ნაპირების ცოცხალი ბუნების პოეტური აღწერილობანი, მიუხედავად იმისა, რომ ამავე პოემაში იგრძნობა ანტიური ალეგორიული სტილი კლასიციზმისა (ევროსი, კეკია, ლიფსი, ზეფიროს, ფვინიქსი, ბორია, თრასკე, ერდასტი, ლივონტოს და სხვ.).

მაგრამ “ქაცვია მწყემსი” ძირითადად დაწერილია ქართული ეროვნული საღებავებით, ხალხური ელფერით და სახეებით. პოემაში უმთავრესად ქართული ყოფა-ცხოვრებაა მოცემული, შეზავებული ქართულ-ხალხური იუმორით. ამ მხრივაც გურამიშვილი მტკიცედ დგას ქართულ ნიადაგზე¹⁴³. რაც შეეხება მხატვრულ აზროვნებას, მხატვრულ სახეს, დავით გურამიშვილის პოეზიაში გვხვდება ისეთი კონკრეტულ-აღწერითი მხატვრული სახე, როგორც იშვიათია მაშინდელ ქართულ პოეზიაში:

დასალამოვდა, მზეც ჩაეწურა.
სიდამეც მოვიდა,
იქითვე წავიდა
სირბილ-ძუნძულით.

იმ დროის პოეზიისათვის მეტად რთული, მოულოდნელი მხატვრული სახეა, აგრეთვე:

აბელის თავის ნახეთქი ცას მოხვდა ანასხლეტია,
მისგან ცის მშვილდზედ სისხლი სწვეთს, ჯერაცა არ შესწყვეტია.

მიუხედავად დიდი მოკრძალებისა “ვეფხისტყაოსნის” ავტორის წინაშე, გურამიშვილს მხოლოდ ერთგან შევნიშნეთ პირდაპირი რუსთველური სახე: “თვალნი საწვიმრად მას აუქუხდა”. რუსთველთან ერთად გურამიშვილის პოეტური მასწავლებლები არიან არჩილი და ვახტანგ მეექვსე.

გასაოცარია გურამიშვილის ლექსიკის სიმდიდრე. სამშობლოდან გადახვეწილმა, როგორ შეინარჩუნა ასეთი მარაგი? ამ შემთხვევაში გურამიშვილზე დიდი გავლენა მოუხდენია სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონს.

შეიძლება მოვიყვანოთ კონკრეტული ნიმუში იმის დასამტკიცებლად, რომ პოეტს უკრაინაში თან ჰქონია საბას ლექსიკონი და იქიდან უსარგებლია თავისი ლექსიკის გამდიდრებისათვის:

¹⁴³ ვ. კ ე კ ე ლ ი ძ ე , ზოგიერთი საკითხი დავით გურამიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების ისტორიიდან, “ლიტერატურული ძიებანი”, X, 163. ეტიუდები, IV, გვ. 165 — 166.

დ. გურამიშვილი: საწუთროს მზის თინათინი

მოგიტხრა რაცა ფერია:

სარკის მზის შუქით ციალსა

უწოდენ ქართველთ ერია.

დ. გურამიშვილი: მე ვარ, ვითა აღდაჭი, ბიცი და მლაშობი.

დ. გურამიშვილი: მეტად დრანჯობით

სიძვა-მრუშებას.

დ. გურამიშვილი: მე თიხის კოკა — ზნოანი

ჭური.

საბა: თინათინი — სარკითა თუ მისთანათა

საბა: თინათინი-სარკითა თუ მისთანათა

რათამე მზის შუქი კედელზე ციალებდეს.

საბა: ბიცი — ესე არს მიწა, სადა სიმლაშით

ნაყოფი არა იქმნების, რომელ არს აღდაჭი.

საბა: დრანჯობა ურცხვი აშიყოზა,

სიძვის მოყვარება.

საბა: ზნოანი ჭური ღვინის

ამაყროლებელი.

საბას ლექსიკონიდანვე გურამიშვილს აქვს აღებული მითოლოგიური სახელები ქარებისა (“ქაცვია მწყემსი”).

თუ მოსკოვში ვახტანგის კარზე დ. გურამიშვილს წარჩინებული პოეტის სახელი ჰქონდა მოხვეჭილი, სიბერეშიც, უკრაინაში ყოფნის დროს, ქართველ ემიგრაციაშიც მას დიდი სახელი ჰქონია. გურამიშვილს მისი მკითხველები სთვლიდნენ გამოჩენილ ქართველ პოეტებს შორის, როგორც თვითონ ამბობს: “მეც მრევენ მერანთ ჯოგშიგან”-ო.

დ. გურამიშვილის პოეზიამ აღზარდა მთელი რიგი თაობანი, იგი უყვარდათ და ზეპირად იცოდნენ იმათაც, ვინც წერა-კითხვაც კი არ იცოდა. “დავითიანი” საქართველოში ანბანის მაგიერობას სწევდა. იგი ყოველდღიური თანამგზავრი, სახელმძღვანელო და საგალობელი, სიმღერების კრებული იყო.

ხალხი აფასებს გურამიშვილს აგრეთვე როგორც თავის ისტორიკოსს, ჰუმანისტს, ფილოსოფოსს, განმანათლებელს. სწორად ამბობს პოეტი, რომ ეს წიგნი მან ხალხის საკითხავად დაწერა, რათა ხალხმა მოიხმაროს ეს წიგნი წიგნად: “მოსახსენებლად ჩემდა “ხილად ვსთქვი სიტყვა”, “ამ წიგნს წიგნად მოიხმარებს, ვინც სხვა წიგნსა ვერ მიხვდება”-ო. როდესაც მწირი და მოხუცი ჩიოდა: “ვინ დამიტირავს, ვინ დამმარხავსო”, “ცოცხალიც არვის ვახსოვარ, მკვდარს ვინლა მომიგონებსო”, და ღმერთს ეხვეწებოდა დამმარხველს, დამტირებელს ვითხოვ მიბოძეო. მას, ალბათ, არ ჰქონდა წარმოდგენილი, რომ იგი ასე მალე იპოვიდა ბინას საქართველოს გულში. ქართველმა ხალხმა დააფასა გურამიშვილის ცრემლები. მიუხედავად იმისა, რომ გურამიშვილის

ლექსებმა საქართველოში მხოლოდ მე-19 საუკუნის პირველ ათეულ წლებში პოვეს გავრცელება (ფაქტიურად, გურამიშვილი გრ. ორბელიანთან და ნ. ბარათაშვილთან ერთად გამოვიდა მკითხველი მასის წინაშე), და რომ გურამიშვილის ლექსის ნიმუში პირველად მხოლოდ 1852 წ. დაიბეჭდა, ხოლო ლექსთა კრებული პირველად 1870 წ. გამოიცა. “გურამიანმა”, ანუ “დავითიანმა”, რომელიც მანამდე ხელნაწერ ნუსხებად ვრცელდებოდა, იშვიათი გამოხმაურება პოვა ქართველ საზოგადოებაში. იგი მაშინვე საყვარელ წიგნად იქცა, როგორც ინტელიგენციის, ისე მთელი ქართველი ხალხისათვის.

დ. გურამიშვილი დიდი ნაციონალური თვითშეგნების პოეტია. მისი ლირიკული და ეპიური შემოქმედება დიდი ნაციონალური გრძნობის რომანტიკაა.

დიდი მხატვარ-მოაზროვნის სიწმინდემ და გულწრფელობამ, სიყვარულის, ერთგულებისა და სიმამაცის ქადაგებამ, იდეურმა სიღრმემ, მონუმენტურობამ, სიმღერების მელოდიურობამ და პლასტიკურობამ, მაღალმა პოეტურმა ოსტატობამ გურამიშვილი ქართველი ხალხის საყვარელ პოეტად აქცია. მან ხელი შეუწყო ქართული პოეზიის ხალხურობას. იგი ახალი ლიტერატურული ქართული ენის ერთ-ერთ შემქმნელად იქცა.

მე-19 საუკუნის დიდი ქართველი პოეტები მისი მემკვიდრეები არიან. ნ. ბარათაშვილის “ზედი ქართლისა” ეხმაურება დავით გურამიშვილის ეპოპეას “ქართლის ჭირს” (“ჭირი ქართლისა”, “ზედი ქართლისა”).

უნდა აღინიშნოს დავით გურამიშვილის გავლენა ილია ჭავჭავაძის “აჩრდილზე” და განსაკუთრებით მისი ბოლო პერიოდის პუბლიცისტურ პოეზიაზე, რომელიც დავალებულია გურამიშვილის სიტყვითა და სტილით.

ასევე ითქმის აკაკი წერეთელზე, რომლის ლირიკაში არა ერთგან გვხვდება ერთგვარი “გადამახებანი” გურამიშვილთან. აკაკი წერეთლის პოეზია ისევე დამყნია ხალხურ ძირებზე, როგორც გურამიშვილისა.

ვაჟა-ფშაველამ გურამიშვილს თავისი “წინამორბედი” უწოდა და სრულიად ჭეშმარიტადაც. ვაჟა-ფშაველას და დავით გურამიშვილის პოეზია ეროვნულ-ხალხური საწყისებიდან მომდინარეობს. ეროვნული პოეზია ორივემ დიდ სიმაღლეზე აიყვანა და განავითარა ახალი სამკაულებით.

რაც შეეხება თანამედროვე ქართულ პოეზიას, დავით გურამიშვილი მისი სახელოვანი წინამორბედია. ახალი ქართული მწერლობა გურამიშვილისაგან სწავლობს სიმართლეს, იდეურობას და ხალხურობას, ხალხის საუკეთესო მისწრაფებათა ასახვას და ხალხის ინტერესების სამსახურს, ღრმა პატრიოტიზმსა და ხალხის ცხოვრებასთან ცოცხალ კავშირს. ამიტომ ახალმა ქართულმა მწერლობამ ღირსეულად მიიღო დავითის ანდერძი:

მე დავით ესე,
ვხანი და ვთესე,
ვინ ხართ ჭკვამყოფნი,
ესე ნაყოფნი

ბრძნად მოიმკევით.

და სწორედ მისთვის გამართლდა დავით გურამიშვილის ნათქვამი:

ვითა დავდამდი,
ისე გავთენდი!

1787 წელს, ღრმად მოხუც პოეტს შეუგროვებია თავისი ნაწერები და შეუდგენია ერთ წიგნად, რომელიც მიუერთმევია ერეკლე მეორის შვილის მირიანისთვის. უკანასკნელი იმყოფებოდა ქ. კრემენჩუგში ფელდმარშალ პოტიომკინის რეზიდენციაში.

საყურადღებოა, რომ კრემენჩუგშივე 1787 — 1788 წლებში პოტიომკინის შტაბში იმყოფებოდა აგრეთვე პოეტი ბესიკი, ვითარცა დესპანი იმერეთის სამეფოსი. საკითხავია, დ. გურამიშვილმა თავისი ხელნაწერი წიგნი მირგოროდიდან კრემენჩუგს თუ ელისავეტგრადში გამოუგზავნა ბატონიშვილ მირიანს, თუ თვითონ გადასცა? ვფიქრობთ, რომ პირადად უნდა ხლებოდა, შეიძლება მირიანის ახლო მეგობრის ბესიკის შუამავლობითა და დახმარებით. თავის ირიგაციულ პროექტებს დავითი დიდ საიდუმლოებაში ინახავდა. როგორც პროექტის მინაწერში ამბობს, მიუხედავად ცალთვალთანობისა და მეორე თვალთაც დიდად დასუსტებულ მხედველობისა, მე თვითონ მოვხაზე, სხვას ვერავის ვანდევ ამის მოუპარაობის მიზეზითო. ცხადია, რომ წიგნთან დართული საიდუმლო პროექტის გატანებასაც სხვას, მით უმეტეს უცხოს, არ ანდობდა¹⁴⁴.

გურამიშვილის არქივი უნდა განადგურებულიყო მისი პრუსიაში ტყვეობის დროს. უკრაინაში დაბრუნებულს სახლ-კარი აკლებული დახვედრია, როგორც თვით გადმოგვცემს, ჩაუწერელი უნდა დარჩენილიყო და დავიწყებას მისცემოდა დავით გურამიშვილის ექსპრომტები, კალამბურები და წვრილი ლექსები მოსკოვის პერიოდისა და შესაძლოა ზოგიც სიჭაბუკეში დაწერილი, საქართველოში ცხოვრების დროისა.

პოეტმა ბატონიშვილ მირიანისათვის მისართმევად შეამზადა თავისი რჩეული, რაც მას მიაჩნდა ღირსად, ანუ რისი შეკრებაც მოასწრო დაძაბუნებულმა, ცალთვალა მოხუცმა. ყოველ შემთხვევაში, ეს ხელნაწერი უნდა იყოს გურამიშვილის უფრო “რჩეული”, ვიდრე “სრული” კრებული.

¹⁴⁴ კრემენჩუგში და ელისავეტგრადში, ბესიკისა და მირიანის გარდა, იმ დროს იმყოფებოდნენ სხვა ქართველი სახელმწიფო მოღვაწენიც და ლიტერატორები, როგორც, გარსევან ჭავჭავაძე, სულხან თუმანიშვილი, სოლოლაშვილი ქვლივი, გრიგოლ ხარჭაშენელი, მწერალი ვასილ კოტეტიშვილი, პირველი ქართული თეატრის ორგანიზატორი გაბრიელ მაიორი, სვიმონ და ზაზა (მგოსანი) გაბაშვილები და ცნობილი ქართველი მეცნიერი და მთარგმნელი გაიოსი. ცხადია, ამ წრეს უსათუოდ კავშირი ჰქონდა დავით გურამიშვილთან.

ონანა ქობულაშვილი

ონანა ქობულაშვილი წარმომადგენელია იმ ქართველ მწერალ-მოდერნიზატორებს, რომლებიც საქართველოს კულტურულ-ლიტერატურულ გარემოში აღიზარდნენ და ჩამოყალიბდნენ, ხოლო შემდეგში რუსეთის ქართულ ახალშენებში განაგრძეს თავისი ლიტერატურული საქმიანობა.

ონანა გიორგის ძე ქობულაშვილი წარმოშობით კახელი თავადია. იგი დაიბადა 1657 — 1658 წლებში¹⁴⁵. ონანას მამა იყო კახეთის სამეფოს მდივანი. კახეთის მეფის კარზე მდივან-მწიგნობრად მოღვაწეობდა თვით ონანაც. “ქილილა და დამანას” ანდერძში იგი წერს: “ვსწერ მე, კახეთის მდივნის შვილი და თვით მდივანი ონანაო”. ამასვე იმეორებს ონანა “ზარამგულიჯანიანზე” დართულ ანდერძშიც: “მემან კახეთის მდივნისამან და თვით მდივანმან ონანამ გავლექსე მათ მიჯნურთა სატრფიალონი ამბათ ნათქვამნიო”.

ონანა ერეკლე პირველისა და შემდეგ მისი შვილების, თეიმურაზისა და კონსტანტინეს, კარის მდივანია. სანამ ვახტანგ VI-სა და კონსტანტინეს შორის კარგი განწყობილება სუფევდა, ონანა ხშირად იმყოფებოდა ქართლის მეფის კარზე და აქტიურად მონაწილეობდა ვახტანგის თაოსნობით გაჩაღებულ კულტურულ-ლიტერატურულ საქმიანობაში. ადვილად შესაძლებელია, რომ იგი ვახტანგის კარის მგოსანთა ჯგუფის წევრიც იყო. ვახტანგი ხომ მას თავისი კარის მონას ეძახის: “მერმე უბრძანეთ მდივანსა, ჩვენსა კარისა მონასაო”. ხოლო როცა 1723 წელს კონსტანტინემ ვახტანგის წინააღმდეგ გაილაშქრა, მას თან უნდა ხლებოდა ონანაც¹⁴⁶.

შექმნილი პოლიტიკური ვითარების დროს ონანას სიმპათიები ვახტანგის მხარეს უნდა ყოფილიყო. ვახტანგის რუსეთში გამგზავრებისას კი ისიც თან გაჰყვა მეფე-პოეტს. ვახტანგის ამაღლის 1724 წლის სიაში “კახი თავადი ონანა გიორგის შვილი” მოხსენიებულია ბაქარის თანმხლებად, ასტრახანში დარჩენილ ვახტანგის ამაღლის სახელობით სიაში კი ნახსენებია “თავადი ონანა კახი”¹⁴⁷.

ასტრახანში ონანამ განაგრძო ქართლში დაწყებული ლიტერატურული საქმიანობა. იქ გალექსა მან “ზარამგულიჯანიანი”, დაწერა რამდენიმე ანბანთექება და სხვ. ასტრახანში ყოფნისას ონანას მუშაობისთვის არ ჰქონდა ნორმალური პირობები. აღნიშნულ გარემოებაზე ჩივის ის, როდესაც “ზარამგულიჯანიანის” ანდერძში აცხადებს: “ბევრი რამე დამიშთა ამაღ, რომე ჩვენად დასახედავად ბევრნი ვინმე თავადნი, დიდებულნი თუ მცირებულნი

¹⁴⁵ დ. ბ რ ე გ ა ძ ე, ქართველი მწერლები რუსეთში, წ. I, 1958, გვ. 40.

¹⁴⁶ იქვე, გვ. 39.

¹⁴⁷ ს. ყ უ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი, სულხან-საბა ორბელიანის გამგზავრება მოსკოვში, ლიტერატურული ძიებანი, ტ. XI, 1958, გვ. 90.

მოზრძანდიან და საუბართა შეექცეოდიან, ზოგნი ლაღობდიან და იცინოდიან, ზოგნი ნარდსა და ჭადრაკსა ზედან იმღეროდიან და მათმან ტკბილმან საუბარმან გული მიმიღის და წერაში ლექსი ვერღარ გავსჩაღხიო”.

ონანა ასტრახნიდან მოსკოვს გაემგზავრა რუსუდან დედოფალთან ერთად 1726 წელს. ამ დროს იგი უკვე ხანში შესული ყოფილა. მოსკოვში ონანას დიდხანს აღარ უცხოვრია, გარდაიცვალა 1728 წელს⁴

ონანას ლიტერატურული მოღვაწეობა ჯერ კიდევ მისმა თანამედროვეებმა შეაფასეს. აღსანიშნავია, რომ დიდი პოეტური ალღოსა და გემოვნების მქონე ვახტანგ მეფეს მოეწონა ონანას გალექსილი “ქილილა და დამანას” ადგილები: “მანცა არ ცუდად მონასაო”. დავით გურამიშვილი კი სხვა პოეტებთან ერთად ონანასაც ასახელებს რუსთველის ბანის მიმცემად: “... ონანა ბანს ეშურებაო”.

ონანას კალამს ეკუთვნის ვრცელი პოემა "ბარამგულიჯანიანი", რომლის შესახებაც უკვე იყო ზემოთ საუბარი.

მხატვრობის თვალსაზრისით საყურადღებოა ონანას მიერ გალექსილი “ქილილა და დამანას” ადგილები¹⁴⁸. მართალია, იგი ზედმიწევნით მისდევს ვახტანგის პროზაულ თარგმანს, მაგრამ ამ შემთხვევაშიც ონანა სათანადოდ ავლენს თავის პოეტურ შესაძლებლობას.

ვახტანგმა “ქილილა და დამანას” მთელი ტექსტი თითქმის პროზის სახით თარგმნა. შემდეგ მას აღარ დასცალდა, რომ ტექსტზე მუშაობა განეგრძო. თავისი თარგმანი ვახტანგმა ქართლში გამოუგზავნა ონანას და დაავალა ტექსტის “გაჩაღხვა” და პროზით თარგმნილი ადგილების გალექსვა. ონანას გადმოცემით, “ეს ძლიერი და ამაღლებული მეფე დროსა და ჟამთა იწროებისაგან უცალოდ იქმნა და თვისის სიბრძნით გახალისებული სამეცნიერო წიგნი თვით აღარ გალექსა და მათის უფსკრულის სიბრძნისაგან მეორედ აღარ აავსო და ჩვენ გვიბძანა ეს ძნიად მისახდომი სამსახური და, თუცა ძალგვიძეს, შემართვა გვენებავს”. ონანამ კეთილსინდისიერად შეასრულა მასზე დაკისრებული მოვალეობა. მას თხზულების პროზაული ნაწილისთვის ხელი არ უხლია, არ შეხებია აგრეთვე ვახტანგის გალექსილ სტროფებსაც (ვახტანგს “პირველ ამის ნუსხის წერაში შიგადაშიგ ლექსები ჩაერთო და მუნით იგივე დავსწერეთო”). მან გალექსა მხოლოდ ვახტანგის მიერ პროზაულად თარგმნილი სპარსული ლექსები. ამრიგად, ონანას ეკუთვნის “ქილილა და დამანას” ვახტანგისეული ვერსიის მხოლოდ ნაწილობრივი გალექსვა.

ონანამ თავისი თარგმანი, როგორც ვახტანგმაც შენიშნა, “შეჰკრა და ტურფად შეაწყო”, მაგრამ ის სულხან-საბა ორბელიანის გაწყობილმა ტექსტმა

¹⁴⁸ დაბეჭდილია დ. ბ რ ე გ ა ძ ი ს ზემოდასახელებულ წიგნში (გვ. 214 — 252). გამოქვეყნებულია აგრეთვე ონანასეული “ქილილა და დამანას” ანდერძიც (ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, ნარკვევები, II, 1940, გვ. 349 — 350; ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, ტ. II, შედგ. ს. ყ უ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი ს მიერ, 1949. გვ. 341; კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1958, გვ.466 – 467).

დაჩრდილა. ონანას თარგმანი სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია “ქილილა და დამანას” ონანა მდივნისეული ვარიანტის სახელწოდებით¹⁴⁹.

ონანას დაუწერია აგრეთვე ანბანთქებანი. სულ დაწერილი აქვს 18 ანბანთქება¹⁵⁰. თემატიკისა და ფორმის მიხედვით ისინი მრავალფეროვანია. მათში მოცემულია ეკლესიურ-სარწმუნოებრივი მოტივები, ბუნების აღწერა, სატრფიალო-სამიჯნურო განწყობილებანი, ბიბლიოგრაფიული ცნობები და სხვ. “ონანა ანბანთქებების შექმნაში დიდ თავისებურებას და ოსტატობას იჩენს... შეიძლება თამამად ითქვას, რომ ონანა არამცთუ არ ჩამოუვარდება აღორძინების ხანის ანბანთქებათა დამწერ პოეტებს, არამედ ბევრს კიდევაც სჯობნის”¹⁵¹.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ონანა ქობულაშვილი ვახტანგ VI-ის ლიტერატურული წრის ერთ-ერთი აქტიური წევრი იყო. ვახტანგის ლიტერატურულ წრეში კი დაკანონებული იყო აღორძინების ხანის მწერლობაში განმტკიცებული შეხედულება სასულიერო და საერო მწერლობის გამიჯვნის შესახებ. “ბარამგულიჯანიანის” ბოლოსიტყვაობაში ონანაც საეროზე უფრო მაღლა სასულიერო მწერლობას აყენებს. იგი ასეთ მკაცრ შეფასებას აძლევს საერო მწერლობას: ”ვითარცა იაგუნდთა შორის კენჭნი, ანუ მთოვარეთა შორის ვარსკვლავნი, ნათელსა შორის ბნელი და ვარდთა თანა ასკილნი, ესრეთ შორს არიან საერონი საღმრთოთა წერილთა მიერ, ვითარცა ესე ესრეთ”.

ამ პერიოდის მწერლები საერო ლიტერატურას თვლიან უსარგებლო საქმედ. და თუ მას მაინც მიმართავენ, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ, მათი სიტყვით, სასულიერო მწერლობა ყველასთვის არ არის ხელმისაწვდომი და საჭიროა ერისკაცებსაც ჰქონდეთ საკითხავად გასართობი ამბები. “მათ სამღდელოთა წერილთა ყოველთა კაცთა ბუნება ვერსადა მისწვდებოდა და [ერისკაცთა წერილნი] მისთვის მოიგონეს, რომე ერისკაცნი უსწავლელნი და ცოდნადაკლებულნი არ დარჩნენ და ამაზედ იხალისებდენ და საჭაბუკოსა საქმესა ყურს მიუპყრობდენო”,— გადმოგვცემს ონანა.

ონანას თქმით, ზოგიერთებმა დაწერეს ამქვეყნიურ თემებზე, კერძოდ, ქალ-ვაჟის მიჯნურობაზე, მაგრამ მათი თხზულება სულთმარგებელი არ არის, ის მხოლოდ მოწყენილთა საამებლად და სევდის გასაქარვებლად არის შეთხზული:

ზოგნი რიტორნი არიან სოფლის მიჯნურთა მქებელად,
შეამკვეს მათნი სიტურფე, იქმნიან მადიდებელად,

¹⁴⁹ დაწვრილებით იხ. კ . კ ე კ ე ლ ი ძ ე , ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1958, გვ. 465 – 469; ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ე , ნარკვევები, I, 1945, გვ. 348 – 350.

¹⁵⁰ A 1164, ფ. 21v — 29 v; H 479, ფ. 1r და სხვ.; ანბანთქებების ნაწილი გამოქვეყნებულია დ. ბ რ ე გ ა ძ ი ს მიერ (ქართველი მწერლები რუსეთში, წ. I, 1958, გვ. 209 – 213).

¹⁵¹ გ. ჯაკობია, ონანა მდივნისათვის, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, X – B, 1940, გვ. 135 – 136.

არა სარგებლად სულთათვის, არც მადლის შემომკრებლად,
მაგრამ მოწყენილთ საამოდ, სევდისა მაქარვებლად. (40).

დასასრულ, პოეტი გულისტკივილით შენიშნავს, რომ “ზღაპარი და უსარგებლო” ამბების გალექსვის მაგივრად, სჯობდა მასაც სასულიერო თემისათვის მოეკიდა ხელი:

იგ უჯობდა სულსა ჩემსა, სამდთო ნიჭი მომეწადა,
მას ვერ ხელვჰყავ სიტყვამცდარმან, კეთილი რამ დამექადა,
აქ შევამკვე ბრძენთა თქმული, მოწყენილი სადით სადა,
ზღაპარი და უსარგებლო, მიკვირს, გულმან რად მე ხადა. (47).

თეიზურაზ პირველის მსგავსად ონანაც სპარსული ენის პრიმატს აღიარებს. ერთ-ერთ ანბანთქებაში იგი აცხადებს: “ჰოიმე, სპარსთა ენასა ვერ ვაგრძნო მე ქართულებიო”. ონანა სპარსული პოეზიის თაყვანისმცემელია. მისი თქმით, “მათსავე (სპარსთა. — რედ.) სიბრძნე-უფესკრულსა ვერვინ დაადვას ფასებო”. პოეტი არა ერთხელ უძღვნის ქებას “სპარსულ სიბრძნეს”. იგი ქება-დიდებას ასხამს სპარსული ძეგლების ქართულად მთარგმნელებსაც: “გარდმოიდიან ქართულად, რომელთა ჰქონდეს მცნებანიო”.

ონანასთვისაც დამახასიათებელია ქართველ ემიგრანტთა შეხედულებანი წუთისოფელზე. მისთვისაც ეს ქვეყანა უხანო და გაუტანელია. პოეტი თვითონვე მიუთითებს, თუ რითია გამოწვეული მისი მწუხარება, დარდი:

მოვშორდი საგაზრდილოსა, სახლი მაქვს ოსერ-ვერანი,
აწ მმართვეს მისსა მგონესა ძაძა და ამო წერანი.

პოეტის სიტყვებით, სოფელი არის უხვაიშნო, მიმდო, წყეული, ბოროტი და დაუნდობელი (958). მან იცის, რომ “საწუთრო ლახვრად დაგვესმის სიმუხთლით გალესულისაა (7). წუთისოფელზე ონანას შეხედულებანი ნათლად არის გადმოცემული შემდეგ სტროფში:

არ იცი, ესე სოფელი ხან ასეა და ხან ისა,
წამ ერთ ლხინს ჭირად, ჭირს ლხინად მაქცევლად მცირეს ხანისა,
ამმალღებელი მდაბალთა, არ სევდით შემწუხანისა,
მდაბლად შემქმნელი მეფეთა, ხელმწიფისა და ხანისა. (714).

მართალია, საწუთრო უხანო და ცვალებადია, მაგრამ სამაგიეროდ ღმერთი გვყავს მოწყალე, “მისი განგება გრძელია” და საბოლოოდ არ გაგვწირავს:

სოფელმან მისი სიმუხთლე არ დაიშალოს აროსა,

ლხინისა ნაცვლად პატიჟით რა კაცი გაამწაროსა,
მაგრამ ღმერთია მოწყალე, ვინ ხმელნი დაამყაროსა,
მისი განგება გრძელთა, არ ოდეს დაიფაროსა. (687).

პოეტი გაკვირვებულია, რომ მიუხედავად წუთისოფლის ვერაგობისა და გაუტანლობისა, მას მაინც აქებენ:

ესე მიკვირს, ბრძენი ვინმე აპირებენ ამა პირსა,
ვინცა მიჰყვა საწუთროსა ერთმანეთის დანაპირსა,
რად იტყვიან, რად აქებენ, მე, უგბილსა, ეს მიკვირსა,
ამ სოფლისა შემსჭვალული ჩავარდების კაცი ჭირსა. (39).

ონანას შემოქმედებას გარკვეული გავლენა მოუხდენია რუსეთში მყოფ ქართველ მწერლებზე (მამუკა ბარათაშვილი, დიმ. სააკაძე)¹⁵².

თომა ბარათაშვილი

მეთვრამეტე საუკუნის ქართველ პოეტთა შორის ცნობილი ყოფილა თომა ავთანდილის ძე ბარათაშვილის სახელი, თუმცა მასი ცხოვრება-მოღვაწეობის ამსახველი ცნობები მეტად ძუნწად მოგვეპოვება.

ერთ-ერთი ხელნაწერიდან ირკვევა, რომ თომა ბარათაშვილს ზედმეტ სახელად “კანჭა თომას” ეძახდნენ. ამ ზედმეტი სახელით უნდა იყოს გამოწვეული, რომ თომა მეორენაირად კ ა ნ ჭ ა შ ვ ი ლ ა დ ა ც იხსენიება.

1721 წ. აღწერილობით, თომა კანჭაშვილ-ბარათაშვილი მებატონეა. იგი ცხოვრობს ალგეთში და ჰყავს ყმები. თომა დაახლოებული ყოფილა სამეფო კართან. თავის ძმასთან, ცნობილ პოეტ მამუკა ბარათაშვილთან ერთად ისიც წაჰყოლია ვახტანგს რუსეთში. 1724 წ. ამაღლის სიაში თომა მოხსენიებულია ბაქარის მხლებლად. შემდეგ იგი ახლო ურთიერთობაშია ვახტანგ VI-ის ძესთან — გიორგი ბატონიშვილთან.

გიორგისთან თომას რაღაც უსიამოვნება მოსვლია, რასაც მოჰყვა მისი განდევნა ქართველთა სამეფო კარიდან. განდევნილი თომა საქართველოში წამოსულა. ვახტანგ VI-ის ამაღლის 1737 წ. ნუსხაში აღნიშნულია, რომ თომა ბარათაშვილი თავის მსახურთან ერთად რუსეთიდან საქართველოში წამოსულა 1736 წ. მართლაც, აღნიშნულ წელს თომა საქართველოში იმყოფება.

¹⁵² სავარაუდებელია, რომ როგორც სამეფო კარის მდივან-მწიგნობარი, ონანა კალიგრაფიულ სამუშაოებს ასრულებდა. მკვლევართა მოსაზრებით, მისი გადანუსხულია თეიმურაზ პირველის თხზულებათა კრებული S 403 (თეიმურაზ I, თხზულებათა სრული კრებული, აღ. ბარამიძისა და გ. ჯაკობიას რედ., 1934, გვ. 011).

ამას ადასტურებს 1736 წლის 20 თებერვლით დათარიღებული ყმისა და ნასყიდობის წიგნი, რომელზეც მას ხელი აქვს მოწერილი: “ქ. თომა ბარათაშვილი ამის მოწამე ვარ”. როგორც ვხედავთ, თომა თბილისშია უკვე 1736 წ. თებერვალში.

თომა საქართველოში დიდხანს არ დარჩენილა. 40-იან წლებში იგი ისევ წასულა რუსეთს. 1744 წლის საქმეებში დაცულია თომას თხოვნა მისი მიღების შესახებ საგარეო საქმეთა კოლეგიაში ან პორუჩიკად ქართულ ჰუსართა პოლკში. თომას თხოვნა შეუწყნარებიათ და იგი მიუღიათ საგარეო საქმეთა კოლეგიაში. მალე თომა გამხდარა საგარეო საქმეთა კოლეგიის დიპლომატ-შიკრიკი და კაპიტნის ჩინამდე მიუღწევია. საგარეო საქმეთა კოლეგიას იგი საგანგებო დავალებით სპარსეთშიც გაუგზავნია¹⁵³.

1748 წ. თომა ბარათაშვილმა სენატს მოსთხოვა ასტრახანში დასახლების უფლება, რაზედაც მას ნება დართეს¹⁵⁴, მაგრამ, როგორც ჩანს, შემდეგში მას გადაუფიქრია თავისი გადაწყვეტილება და ასტრახანში აღარ წასულა.

1754 წ. თომა ისევ მოსკოვში იმყოფება და თავადობას ეძიებს. ამავე წელს მას საქართველოში აგზავნიან ქართულ ჰუსართა პოლკისთვის ცხენების სასყიდლად. საქართველოში თომას ჩამოსვლა და მისი საქმიანობა დაწვრილებით აქვს აღწერილი XIII საუკუნის ისტორიკოსს პაპუნა ორბელიანს.

სხვათა შორის, თომას აუწერია საქართველოსა და ახალციხის საფაშოში ნანახი და განაგონი ამბები და საგარეო საქმეთა კოლეგიისთვის გადაუცია.

თომა ბარათაშვილი თავის ძმასავით დაჯილდოებული ყოფილა პოეტური ალღოთი. მოსკოვში იგი ვახტანგის კართან არსებულ ლიტერატურულ წრეში მიღებულ პოეტად ითვლებოდა. უთუოდ ამითაა გამოწვეული, რომ დავით გურამიშვილი მას დასესხებია სასიმღერო კილოს (“ხმას”). თომასთვის დავითს ლექსიც მიუძღვნია:

თომავე, დავით მეო, ამ წიგნს მოგართმეო!
წაიკითხე, შენ გამინჯე, კარგად შეიტყეო,
რომელიც ხმა შენ შეგეწყო, მეც ის შევაწყო,
თუ რამ შენთვის მამეპაროს, შენთვის გარდიწყო.

თომას პოეტური მემკვიდრეობიდან ჯერჯერობით ცნობილია სულ რამდენიმე ლექსი. ერთი სტროფი მას მიუწერია თავისი ძმის — მამუკა ბარათაშვილის — “ჯიმშედიანის” თავისუფალ ფურცელზე¹⁵⁵, ხოლო ორი სტროფი ჩაუწერია ერთ-ერთ ხელნაწერ კრებულში¹⁵⁶. თომას კალამს ეკუთვნის

¹⁵³ ს. ყუბანეიშვილი, დავით გურამიშვილი ქართულ ჰუსართა პოლკში, 1955, გვ. 72.

¹⁵⁴ გრ. პ ა პ ა ვ ა, ქართველების დასახლება რუსეთსა და უკრაინაში (XVIII ს.), ი. გოგებაშვილის სახ. თელავის სახელმწ. პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. II, 1957, გვ. 144.

¹⁵⁵ გამოაქვეყნა გ. ლეონიძემ (“ჭაშნიკი” მამუკა ბარათაშვილისა, 1920).

¹⁵⁶ დაბეჭდა ალ. ბარამიძემ (ნარკვევები, III, 1952, გვ. 295).

აგრეთვე თორმეტსტროფიანი ლექსი “ექსორიანი”¹⁵⁷.

“ექსორიანში” პოეტი უჩივის თავის ბედს. მას რაღაცა დანაშაული ჩაუდენია, რის გამოც გიორგი ბატონიშვილს გაუძევებია. უცხო ქვეყანაში ახლობლებს მოკლებული პოეტი “ცრემლთა მღვრელია”. თავისიანებისგან გარიყულს ბევრი სიმწარე და გაჭირვება შეემთხვა. “ვინ აღრიცხოს ჩემნი ჭირნი, რომ ვთქვა, ყური დავალდეზაო”. ცხოვრება თომასთვის გაუტანელი და დამტანჯველი აღმოჩნდა, თავისი საქციელისთვის დაისაჯა. მას ისეთი პირობები შეექმნა, რომ იძულებულია თვალცრემლიანმა ატაროს შავბნელი დღეები. “გულამოსკნით, მალ-მალ მოთქმით, თვალი ჩემი ცრემლსა ღვრისა”, “ღაწვი მაქვს ცრემლით სწყულეზიო”, — დასძენს იგი. ცხოვრებით გამწარებულ თომას გამოსავალი ვერ უპოვნია. ამიტომ იგი გატანჯულ სიცოცხლეს სიკვდილს ამჯობინებს: “სჯობს მიმიზაროს მიწამან, რადგან სიკვდილი მმართვესა”.

თომა ბარათაშვილის უიმედო განწყობილება, მისი სევდანარევი სტრიქონები ანარეკლია უცხოობაში გადახვეწილი ადამიანის სულიერი ტკივილებისა.

თ. ბარათაშვილის ლექსების ენა უახლოვდება სასაუბრო მეტყველებას, ის არ არის დამძიმებული მხატვრული სამკაულებით, მაგრამ პოეტი მაინც ახერხებს მთელი სიმძაფრით გადმოგვცეს თავისი გულისნადები.

ოტია ფავლენიშვილი

ვახტანგ VI-ის ლიტერატურულ წრეში შეიქმნა პოემა “ვახტანგიანი”¹⁵⁸. ეს პოემა საყურადღებო ცნობებს გვაწვდის XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობისა და ვახტანგის ამალის რუსეთში გადასახლების შესახებ.

პოემა “ვახტანგიანი”, რომელიც სამასამდე სტროფს შეიცავს, შედგება ვრცელი წინასიტყვაობისა და შვიდი კარისგან. წინასიტყვაობის შემდეგ აღწერილია ბაგრატიონთა ჩამომავლობა, ყენსა და ხონთქარს შორის ჩამოვარდნილი შუღლი, რუსეთის ხელმწიფის — პეტრე პირველის მიერ ვახტანგის რუსეთში მიხმობის ამბავი, ვახტანგის რუსეთში გადასახლება და რუსეთის დედოფლის მიერ ვახტანგ მეფის გილანში გაგზავნა.

“ქართლის ცხოვრებასთან” შედარებით მასში უფრო ვრცლად და

¹⁵⁷ გამოაქვეყნა გ. მიქაძემ (თბ. უნივერსიტეტის გაზეთი, 1957, № 20).

¹⁵⁸ გამოცემულია ს. ყ უ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი ს მიერ (ლიტერატურული ძიებანი, IV, 1948, გვ. 184 — 219).

სისწორით არის გადმოცემული ვახტანგისა და მისი ამაღლის მგზავრობის ეპიზოდები. პოემის ზოგიერთი ცნობაც განსხვავდება მათიანის ცნობისგან. ამდენად ის მნიშვნელოვან თხზულებას წარმოადგენს ისტორიოგრაფიული თვალსაზრისით.

პოემის ავტორი თავის ვინაობას პირდაპირ არ ამჟღავნებს, თუმცა ზოგიერთ ცნობას მის შესახებ თხზულებაშივე ვპოულობთ. იგი ყოფილა ვახტანგის ერთ-ერთი მხლებელთაგანი ფ ა ვ ლ ე ნ ი შ ვ ი ლ თ ა გვარიდან.

ამ ფავლენიშვილს ჰყოლია სამი ძმა. მას გამოუთქვამს სურვილი ვახტანგს რუსეთში გაჰყოლოდა, რაც შეუსრულებია კიდეც. ვახტანგის ამაღლას გაჰყენენ თუ არა მისი ძმები, ეს თხზულებიდან არ ჩანს.

ვახტანგ VI-ის ამაღლის 1724 წ. ნუსხაში დასახელებულია ოთხი ფავლენიშვილი. მამის სახელების განსხვავებით ირკვევა, რომ ისინი ძმები არ არიან. უეჭველია, ერთ-ერთი ამ ფავლენიშვილთაგანი არის “ვახტანგიანის” ავტორი.

ს. ყუბანეიშვილის მოსაზრებით, პოემის ავტორია ო ტ ი ა ფ ა ვ ლ ე ნ ი შ ვ ი ლ ი. ოტია მოღვაწეობდა ვახტანგის სამეფო კარზე და როდესაც ვახტანგი რუსეთში წავიდა, ისიც თან გაჰყვა, როგორც სვიმონ ბატონიშვილის მხლებელი. ამაღლის სხვა წევრებთან ერთად ოტიაც დროებით დარჩა ასტრახანში, საიდანაც მოსკოვში წავიდა 1726 წლის თებერვლის მერე.

ვახტანგის გარდაცვალების შემდეგ ოტია გახდა რუსეთის ქვეშევრდომი და 1738 წ. 28 ივნისს რიგით ჰუსარად ჩაერიცხა ქართულ ჰუსართა ასეულში, რისთვისაც საცხოვრებლად 1739 წ. უკრაინაში (სოფ. ნოვოსანჟაროვში) ადგილი უბოძეს.

ოტია მონაწილეობდა ყირიმისა და შვეციის წინააღმდეგ გამართულ ბრძოლებში. 1745 წლამდე იგი განთავისუფლდა სამხედრო სამსახურიდან და საცხოვრებლად დაემკვიდრა უკრაინაში, თავის მამულში.

ამით ამოიწურება ოტია ფავლენიშვილის ბიოგრაფიული ცნობები.

პოემის დაწერის თარიღი ცნობილი არ არის, მაგრამ თხზულება შეიცავს ზოგიერთ ისეთ ფაქტობრივ მონაცემს, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი ხდება მიახლოებით განისაზღვროს მისი დაწერის დრო.

პოემის თხრობა მთავრდება რუსეთის დედოფლის მიერ ვახტანგის გილანში გაგზავნით, რასაც ადგილი ჰქონდა 1727 წლის გაზაფხულზე. ამის მომდევნო ამბებს პოემა არ იცნობს. მაშასადამე, აღნიშნულ თარიღზე ადრე თხზულება ვერ დაიწერებოდა.

“ვახტანგიანს” იცნობს და იმით უხვად სარგებლობს ისტორიკოსი სეხნია ჩხეიძე, რომელმაც თავისი საისტორიო შრომა 1739 წელს დაწერა. ესე იგი “ვახტანგიანის” დაწერის თარიღი 1739 წელს ვერ გადმოსცილდება. ამგვარად, პოემა დაწერილია 1727 — 1739 წლებში.

“ვახტანგიანის” ავტორისთვისაც ნიშანდობლივია ის განწყობილება და სულისკვეთება, რომელიც ასულდგმულებდა ჟამთა ვითარებისგან სამშობლოდან გადახვეწილ ქართველობას. თხზულება დაწერილია

პატრიოტული აღტყინებით. რუსეთის მიწა-წყალზე მშვიდობიანობისა და კეთილდღეობის მნახველ პოეტს ძალაუნებურად ახსენდება თავისი ქვეყნის “აშლილობა” და უბედურება, რის გამოც გულმოკლული შენიშნავს: “კურთხევიტამც არს ის რიგი, თავის ქვეყანას ვინ არსა” (სტრ. 112).

სამშობლო ქვეყნის გაუხარელი მდგომარეობა და გამწარებული პირადი ცხოვრება გახდა ის მთავარი მიზეზი, რამაც აღუძრა ავტორს წუთისოფლისადმი სამდურავი. პოემის მიხედვით, წუთისოფელი არის მუხთალი, გაუტანელი: “ცრუ სოფელსა სჭირს ხან ლხინი, ხან უყვის სახმილთ დებანი”. წუთისოფელი მუხანათია, დაუდგომელი, რომელიც “მაღალს მდაბლად ჩამოიყვანს, ააშფოთებს ქვეყნით წყნარსა”. მას არ შეიძლება მიენდო, რადგან “სოფლის სიტკბომ თუ გიტყუა, სწორედ მთხრებლსა ჩავარდები”.

თხზულებაში გადმოცემულია უსიხარულო ცხოვრებით გამოწვეული უკმაყოფილების გრძნობა, საწუთროსადმი გულისწყრომა:

გაშინჯეთ, ბრძენო, სოფლისა, ვით სჭირს სიმუხთლე ჟამისა,
ერთს პირზედ დაუდგომლობა, ჟინად აქვს ესე წამისა.
ნუ მივენდობით, მცნებაა ჩამომავლობით მამისა,
ყოვლთათვის მუხანათია, არათუ ერთ, ორ-სამისა.

არ გაიკითხავს დიდსა და მცირესა ასაკობითა,
არად ეწყაღვის ხელმწიფე, ქვეყნის მპყრობელი ბრძნობითა,
ჩვილთათვისც რადად მბრუნავი, მჭვრეტელს გახდის ვაობითა,
წყეულმც არს, მისთვის სიტკბოს ჟამს გვექნების ლახვარ-სობითა. (134 —135).

ასეთი გაუტანელია საწუთრო. ის ადამიანს “ბოლოს აკმევს მეტად მწარსა”. ამიტომ არის, რომ ცხოვრებაგატანჯული ავტორი სხვებს არიგებს: “დამიგმევით ეს სოფელი, არ მიენდოთ სამაგელსაო”

თავის სოციალურ შეხედულებებს ავტორი გამოხატავს პატრონყმური ურთიერთობის განსაზღვრაში. იგი მოითხოვს პატრონისადმი მორჩილებას, მეფის ერთგულ სამსახურს, რითაც გვევლინება არსებული ურთიერთობის დამცველად:

ამ სოფელს, მღრთის ლოცვას გარდა, მერმე უნდა პატრონყმობა,
ვინ მსახუროს მეფეს გულით, მას ლახვარი არ ესობა,
სჭირს პატრონსა გულითადის წყალობა და ხშირად ხმობა,
რომ არ შერჩეს გასაჭირსა, დაედების მღრთისა გმობა. (34).

ასეთივე აზრია გატარებული პოემის სხვა ადგილას:

ხემწიფეთ სამსახურისას დიდათ ეცადე ამებას,
არ დაეკარგვის, პატრონზე ვინცა იქს თავის წამებას. (290).

მელექსე გადმოგვცემს, რომ ჩვენმა წინაპრებმა ანდერძად დაგვიდეს “ემსახურეთ პატრონს ნებადო” (სტრ. 84) და იქვე დაასკვნის: “პატრონზედ ერთგულობისა რაღა უკეთესია!” (სტრ. 85).

“ვახტანგიანის” ავტორი მორწმუნეა. ქრისტიანული რელიგიის დოგმები მისი შეხედულებების ქვაკუთხედეა. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა პოემის შესავალი, რომელშიც ზოგადად მოთხრობილია ქვეყნის შექმნის ისტორია და მოცემულია სარწმუნოებრივ-ზნეობრივი ხასიათის მსჯელობა-დარიგებანი.

ქვეყნის გაჩენისა და შენი მრავალი უშურველი წყალობისთვისო, მიმართავს ავტორი შემოქმედს, “გვმართებს თუ გული არ გვიბრმეს, ვიცოთ სულ ქების ხსენებითო” (სტრ. 22). ამასთან, “უნაკლულოა ის კაცი, ვის სწამხარ მამა-ძეობით” (სტრ. 20). ამიტომ თავის თავს მიმართავს: “ღმერთი სრულადა სცან სამხატოვნად სამეზანიო” (სტრ. 23).

ავტორის დამოკიდებულება რელიგიისადმი ნათლად არის გამოხატული ღვთიური სიყვარულის შესახებ გამოთქმულ შეხედულებაში:

გულს არ აჯერებრ სიმართლეს, სთქვამ: მიჯნურობა მინდება,
ამისთვის წამალს მოგიძღვნი, აროდეს შეგიშინდება,
გაუმიჯნურდი მღრთის ლოცვას, უფრო და უფრო გინდება,
ამითი ნათელს იშოვნი, აროდეს დაგიბინდება. (28).

პოემაში ვხვდებით დიდაქტიკურ-მორალისტურ აზრებს. ავტორი იძლევა მთელ რიგ ზნეობრივ დარიგებებს. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მოწოდება სწავლა-განათლების მიღების აუცილებლობაზე. სწავლის შესახებ მას გატარებული აქვს ის შეხედულებანი, რომლებიც საერთოდ გაბატონებული იყო ქართულ ემიგრანტულ მწერლობაში.

ფავლენიშვილი ერთ-ერთი პირველთაგანი იძლევა რუსეთის ჯარის სამხედრო მომზადებისა და მისი მკაცრი დისციპლინის აღწერას. მას მოსწონს რუსეთის ლაშქრის შეიარაღება, მისი გაწვრთნილობა, უფროს-უმცროსის ურთიერთდამოკიდებულება (სტრ. 1141).

პოემაში დაწვრილებითაა აღწერილი ვახტანგის მისვლა მეფის სასახლეში და იქაური ამბები. ავტორს პეტერჰოფის შადრევნებიც კი აქვს აღწერილი (სტრ. 180). რა თქმა უნდა, ამ ამბავთა აღწერას ავტორი იძლევა მოსმენილის თუ წაკითხულის მიხედვით, რადგან იგი პეტერბურგში არ ყოფილა. ასე, მაგალითად, პეტერჰოფის ბაღის შადრევნები მას აღწერილი უნდა ჰქონდეს ვახტანგ ორბელიანის “პეტერჰოფის” მიხედვით, ხოლო “დიდისა რუსეთის მპყრობელი” პეტრე დიდი (სტრ. 49) დახასიათებული ჰყავს მის შესახებ გაგონილის მიხედვით.

მხატვრული თვალსაზრისით “ვახტანგიანი” სუსტი ნაწარმოებია. შედარებით დახვეწილია პოემის ის სტროფები, რომლებშიც აღწერილია ვახტანგ VI-ის ამაღლის წევრთა მისვლა არჩილ მეფის საფლავზე და მისი ცხარე

ცრემლებით დატირება. რუსუდან დედოფლის გლოვა არჩილის სამარესთან ავტორს ასე აქვს გადმოცემული:

ოი მენ, კვალად ოი მენ, რის დღის შემსწრე ვარ ამისა!
არჩილ, გიორგის, ლევანის დამკარგველი ვყოფ სამისა,
აღარვინ მივის პატრონად ჩემად გულთ დასაამისა,
დაბნელდი, თვალო, მწუნველ ვარ დღისა და ამა ჟამისა.

ენავ, რაღად ხარ მოძრავი, ჰყოფ სამყოფელსა თქმულობით,
დადუმდი სიბრძნე-გონებით, მეცნიერობის გულობით;
სასმენო, მექმენ უსმენათ, ხელო, ნუ იძვრი სულობით,
სულო, შეიქენ ანაზდათ გვამიდამ აღმოსულობით.

ვა ჩემად ცოცხლად ყოფასა, ნეტარძი თქვენს მაგ დღესადა,
იხარებ სასუფეველსა, ჟამსა ვერ ნახავ მკვლესადა.
გიტევებიათ ასული, რომელი შეჰგავს მზესადა,
პატრონო ჩემო, მამიდღვენ, ნულარ გამიშვებ მე სადა. (236 — 238).

პოემა დაწერილია 16-მარცვლიანი შაირით. ლექსი ხშირად გაუმართავი და ნაძალადევი. ალაგ-ალაგ მოიკოჭლებს რითმებიც. თხზულების ენა ყოველთვის არ არის გამართული, გვხვდება გრამატიკულ ფორმათა ნაირსახეობანი, შეიმჩნევა ლექსიკური სიჭრელეც. ავტორს შეთვისებული აქვს რუსული სიტყვები და ტერმინები, ყოველგვარი საჭიროების გარეშე მოჭარბებულად მიმართავს რუსიციზმებს.

“ვახტანგიანი” საინტერესო ძეგლია. მისი ავტორი, ვახტანგ VI-ის პოლიტიკური თავგადასავლის თანამედროვე და უშუალო მონაწილე, უმეტეს შემთხვევაში აგვიწერს თავისი თვალით ნანახ ამბებს და გვაწვდის წარსულის მივიწყებულ ბევრ საინტერესო ცნობას.

გაბრიელ გელოვანი

XVIII საუკუნის პირველი ნახევრის ქართულ გეოგრაფიულ და სამოგზაურო მწერლობაში თავისი წვლილი შეიტანა გაბრიელ გელოვანმა. მას ეკუთვნის მსოფლიო გეოგრაფიის პირველი ქართული თარგმანი.

გაბრიელი წარმოშობით სვანეთის თავადი იყო. მამიდამისმა, ოდიშის მთავრის ბეჟან დადიანის (1715 — 1728) მეუღლემ თამარმა, გაბრიელი სასწავლებლად მიაბარა იმერეთის მეფის — ბაგრატის ასულ ნინოს, რომელიც მონაზვნად იყო შემდგარი გელათში. როდესაც ვახტანგ მეფე თავისი ამალით რუსეთს გაემგზავრა, მას თან გაჰყვა ნინო და, მისი შუამდგომლობით, გაბრიელი. ვახტანგ მეფის ამალის 1737 წ. ნუსხაში გაბრიელი დასახელებულია სვიმონ ბატონიშვილის მხლებლად.

რუსეთში ჩასვლისას გაბრიელმა შეისწავლა რუსული ენა. ”შევეგენ მცირესა ენასა რუსთასაო”, — გადმოგვცემს იგი. გ. გელოვანს რაღაცა თანამდებობაც მიუღია, რადგან 1748 წ. 18 ივლისს მას გადაეცა სინოდის დადგენილება ქართველი მღვდელმთავრებისთვის ჩასაბარებლად. შემდეგ იგი შევიდა რუსეთის სამსახურში და 50-იან წლებში უკვე იხსენიება მთავარ საპოლიცემისტერო კანცელარიის კაპიტნად.

გეოგრაფიის სახელმძღვანელო, რომლის სრული სათაურია “ღეოღრაფია ანუ მოკლედ ქვეყნის სიმგურგვლისათვის”, გ. გელოვანმა 1727 წ. გადმოთარგმნა რუსულიდან. თარგმანი შესრულებულია 1710 წ. გამოცემული წიგნიდან — “География или краткое земного круга описание”¹⁵⁹. მართალია, ქართული თარგმანი არ დაბეჭდილა, მაგრამ ხელნაწერის სახითაც მან გარკვეული მნიშვნელობა იქონია ქართველთა შორის გეოგრაფიული ცოდნის გავრცელების საქმეში.

ისტორიულ-ლიტერატურული თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს სახელმძღვანელოს ბოლოსიტყვაობა — “მცირე ანდერძი”¹⁶⁰. ის წარმოადგენს მემუარული ხასიათის თხზულებას. მასში ავტორი იძლევა ავტობიოგრაფიულ ცნობებს და, როგორც ვახტანგის ამალის ერთ-ერთი წევრთაგანი, აგვიწერს ქართული ემიგრაციის გადასვლას კავკასიონის ქედზე. ეს აღწერილობა საინტერესოა თუნდაც იმიტომ, რომ მისი საშუალებით შესაძლებელი ხდება ემიგრაციის მარშრუტის უფრო სიზუსტით გარკვევა. გარდა ამისა, თხზულება, მართალია, პოემა “ვახტანგიანთან” შედარებით უფრო მოკლეა, მაგრამ მოგზაურობის ზოგიერთ ეპიზოდს ზოგჯერ უფრო ზედმიწევნით გადმოგვცემს. ამასთან, აქ დამოწმებულია “ვახტანგიანით” უცნობი არაერთი ფაქტი. ასე, მაგალითად, გაბრიელი აგვიწერს ნინო მონაზვნის გაპარვას ვახტანგთან, აღნიშნავს პეტრე პირველის მიერ ვახტანგთან გამოგზავნილი ელჩის ვინაობას (რომლის გვარი ყოფილა ტოლსტოვი), ასახელებს იმ სარდალს (გაბრიელ კროპოტოვს), რომელიც მიეგება ვახტანგს სოლადის ციხეში მისვლისას, იხსენიებს ვახტანგის მიერ პეტერბურგში წარგზავნილ ქართველ ელჩს — ვახტანგ ამილახვარს და სხვ.

გაბრიელ გელოვანს ვახტანგის ამალასთან ერთად ასტრახანამდე უმოგზაურია, ამიტომ იგი აგვიწერს ემიგრანტთა მგზავრობას მხოლოდ ასტრახანამდე. მოსკოვისა და პეტერბურგის ამბებს არ გადმოგვცემს, ვინაიდან იგი არ ყოფილა მეფის შემდეგი თავგადასავლის თვითმხილველი და არც უშუალო მოწამეთაგან გაუგონია იქაური ამბები, სხვებისგან გაგონილი

¹⁵⁹ ლ. მ ა რ უ ა შ ვ ი ლ ი, XVIII საუკუნის ქართველი გეოგრაფები და მოგზაურები, 1954, გვ. 24; მ ი ს ი ვ ე, Вахушти Багратиони, его предшественники и современники, М., 1956, გვ. 115 — 116.

¹⁶⁰ დაბეჭდილია რამდენჯერმე: “ივერია”, 1879, № 5 — 6, გვ. 196-200; М. Д ж а н а ш в и л и, Описание... III, 1908, გვ. 261 — 265 (აქვე მოცემულია მისი რუსული თარგმანიც); ს. ყ უ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი, დავით გურამიშვილი ქართულ ჰუსართა პოლკში, 1955, გვ. 117 — 120.

ცნობებისთვის კი შეგნებულად არ მიუმართავს, რადგან, მისი სიტყვით, “უხილავთა კაცთაგან ესოდენი უსაზღვრო პატივი არა ირწმუნებოდა”.

მემუარების ენა სადა და მარტივია. ავტორს ემარჯვება წერა. მაგალითად, იმის საჩვენებლად, თუ რა ძნელი გზა განვლო ვახტანგმა რუსეთისკენ მგზავრობისას, გაბრიელი წერს: “მაშინ აღდგა მეფე და განვლო მდინარე რიონისა და შეუდგნენ მთასა მაღალსა კავკასიისასა მსგავს ჯოჯოხეთისა, სადაცა იყო ჯურღმული მრავალი გამომდინარე თოვლთა და ყინულთაგან. ესრეთ ძნიად განსასვლელ იყო კაცთათვის, უკეთუ შთავარდნილ იყოს ქვესკნელსა მას შინა უფსკრულსა ყინელისასა ორბი, გინა არწივი, მასცა ვერღა ეძლო მუნით აღმოსვლად, არცაღა თუ ესეოდენთა ურიცხვთა დედაწულთა”.

გაბრიელ გელოვანის მემუარები დაწერილია 1730 წელს.

ჯავახიშვილი

დავით გურამიშვილის გადმოცემით ვიცით, რომ მოსკოვში ვახტანგ VI-ის კარზე იგი შეაჯიბრეს ვიღაცა მოშიარე ჯავახიშვილს. დავითს გაუმარჯვნია ამ სამეჯლისო პოეტურ შეჯიბრში, რითაც, ეჭვს გარეშეა, დაუმსახურებია მეფის ყურადღება. ამის შესახებ დავითი წერს:

ჯავახიშვილს გამალექსეს, მოშიარეს ჩემებრ ცუდსა,
პირად მჭლესა, ტანად ხმელსა, ვით ნუჟრიანს ხესა მრუდსა;
რაც მე უთხრი, მას მიაჩნდის ვით ნარცეცხლა უკან კუდსა,
ბევრჯერ ასე იმწვიტინის, კოტვით ძირს დასცემდის ქუდსა.

ეს ჯავახიშვილი, რომლის სახელს დავითი არ ასახელებს, რა თქმა უნდა, აღიარებული პოეტი იყო, რადგან იგი სამეფო კართან იმყოფებოდა და სამეფო მეჯლისებში მონაწილეობდა. სხვა მხრივ უაზრო იქნებოდა მისი გაჯიბრება ახალგაზრდა ნიჭიერ პოეტ გურამიშვილთან.

ვახტანგის კარზე მოღვაწე პოეტ ჯავახიშვილის შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება. მისი ლიტერატურული მემკვიდრეობიდან ჩვენამდე არ მოაღწია არც ერთმა სტრიქონმა.

ჯავახიშვილთან დავითის გაპაექრებას ადგილი ჰქონდა ვახტანგის მოსკოვში ყოფნისას, ე. ი. 1730 — 1734 წლებში. აღნიშნულ დროს კი, როგორც პოემა “ვახტანგიანიდან” ვიცით, ვახტანგ მეფესთან ყოფილა “ჯავახიანთ ორი ძმანი”. ვახტანგის ამაღლის 1724 წლის ნუსხის მიხედვით ესენი არიან შიომ და ერასტი ჯავახიშვილები. ისინი ირიცხებიან ბაქარ ბატონიშვილის ამაღაში.

ქართველ ჰუსართა ასეულის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით 1738 წ. 17 მაისს ბატონიშვილ ბაქარს წარუდგენია ამ ასეულში ჩასარიცხ მსურველთა

სია. აღნიშნულ სიაში შეტანილია შიომ ჯავახიშვილიც¹⁶¹. ასეულში შიომი ჩაურციხავთ რიგით ჰუსარად¹⁶² და საცხოვრებელ ადგილად მიუჩენიათ უკრაინა (ს. ბელიკი)¹⁶³.

ქართულ ჰუსართა პოლკში მსახურობდა აგრეთვე ერასტი ფარემუზის ძე ჯავახიშვილი. დასახელებული პოლკის 1753 წ. სიის მიხედვით ერასტი ჯავახიშვილი ("Ерасти Жевахов") დაიბადა 1708 წ. 1738 წლიდან პორუჩიკად ირიცხება ქართულ ჰუსართა პოლკში. საცხოვრებელ ადგილთან ერთად "მალოროსიაში" მისთვის გამოუყვიათ 30 კომლი¹⁶⁴. 1747 წ. იგი ხელს აწერს დავით გურამიშვილის პრაპორშჩიკის თანამდებობაზე წარდგინების საბუთზე¹⁶⁵. 1753 წელს ერასტი უკვე პოლკის კაპიტანია.

მკვლევარმა თ. ჟორდანიამ გამოთქვა მოსაზრება, რომ პოეტი უნდა იყოს შიომ ჯავახიშვილი¹⁶⁶. შემდეგში ეს მოსაზრება გაიზიარეს სხვებმაც¹⁶⁷. თუმცა არსაიდან ჩანს, რომ პოეტი ჯავახიშვილი, რომელიც გურამიშვილს გააღუქსეს, სწორედ შიომ (resp. შიომი) იყო. ერთი კი ცხადია, ერთ-ერთი ამათგანი არის პოეტი, სახელდობრ რომელი, ამისი თქმა, საბუთების უქონლობის გამო, ჯერჯერობით ვერ ხერხდება.

დიმიტრი ორბელიანი

ქართული კულტურისა და ლიტერატურის განვითარების საქმეში დიდი დამსახურება მიუძღვით სულხან-საბა ორბელიანის ძმებსაც. ამ მხრივ საგანგებო აღნიშვნის ღირსია სულხანის უმცროსი ძმის დიმიტრი ორბელიანის ლიტერატურული მოღვაწეობა.

დიმიტრი (დემეტრე) ვახტანგის ძე ორბელიანი დაბადებული უნდა იყოს XVII საუკუნის 80-იანი წლების დამდეგს სოფ. ტანძიაში (ბოლნისის რაიონი). დიდი კულტურულ-ლიტერატურული ტრადიციების მქონე ოჯახში მან ბავშვობიდანვე შეისწავლა ქართული მწიგნობრობა და ლიტერატურა. ძმებთან ერთად დიმიტრიც აქტიურად ჩაება სამეურნეო საქმიანობაში და ენერგიულად დაიწყო საგვარეულო მამულების გაფართოება. მას გვერდი არ აუქცევია პოლიტიკური ცხოვრებისთვისაც. ხანგრძლივი დროის

¹⁶¹ ს. ყუბანეიშვილი, დავით გურამიშვილი ქართულ ჰუსართა პოლკში, 1955, გვ. 39.

¹⁶² იქვე, გვ. 43.

¹⁶³ М. П л о х и н с к и й, Поселение грузии в Малороссии, отд. оттиск из "Сборника Харьковского Историко-филологического Общества", Харьков, 1893. გვ. 6; ს. ყუბანეიშვილის დასახ. შრომა, გვ. 43.

¹⁶⁴ ს. ყუბანეიშვილის დასახ. შრომა, გვ. 260.

¹⁶⁵ იქვე, გვ. 181.

¹⁶⁶ "ივერია", 1882, № 1, გვ. 40.

¹⁶⁷ ალ. ბარამიძე, კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, 1954, გვ. 181.

განმავლობაში ქართლის სამეფო კარზე დედოფლის სახლთუხუცესის მოვალეობას ასრულებდა.

დიმ. ორბელიანს მოღვაწეობა მოუხდა მეტად მძიმე ხანაში. იგი ვახტანგ მეფეს მიემხრო და თავისი ცოლ-შვილით ვახტანგს გაჰყვა რუსეთში.

დიმ. ორბელიანი, რუსუდან დედოფლის ამაღლასთან ერთად, მოსკოვში ჩავიდა 1726 წ. თავისი ცხოვრების შემდგომი წლები მან მოსკოვში (პრესნაში) გაატარა. იგი დიდად ზრუნავდა სამშობლო ქვეყანას მოშორებულ თანამემამულეთა მატერიალურ კეთილდღეობაზე, რის გამოც არაერთხელ შეუწუხებია რუსეთის ხელისუფლების ორგანოები. როდესაც იმედგაცრუებული ვახტანგ მეფე ასტრახანში გადასახლდა, დიმიტრი მოსკოვში დარჩა. ვახტანგის გარდაცვალების შემდეგ კი, თანახმად მისი თხოვნისა, იგი ჩარიცხეს ქართულ ჰუსართა ასეულში პრაპორშჩიკის ჩინით¹⁶⁸. ამასთან, უკრაინაში, ლუბენსკის ოლქში, გამოუყვეს საცხოვრებელი ადგილი და უბოძეს 30 კომლი¹⁶⁹. დიმ. ორბელიანმა, როგორც დიდგვარიანმა თავადმა და ვახტანგ VI-ის ქვისლმა, მინიჭებული პატივი იუკადრისა და ანა დედოფალს მოსთხოვა განეწესებია ყიზლარში, სადაც, თავისი დაპირებით, პირდაპირი მოვალეობის გარდა, სხვა საქმიანობასაც შეუდგებოდა. დედოფალმა დიმიტრის თხოვნა არ შეიწყნარა, რის გამოც იგი იძულებული გახდა უკრაინაში დასახლებულიყო. დიმიტრის უკრაინაში ცხოვრება აღარ დასცალდა, გარდაიცვალა 1739 წ. 6 თებერვალს¹⁷⁰ (დიმიტრი ორბელიანის გარდაცვალება აღნიშნა დავით გურამიშვილმა: ”შურმან დაჩაგრა და მოკვდა ყაფლანის შვილი ტეტიაო”).

დიმიტრი ორბელიანის თხოვრებებიდან საყურადღებოა “ცოლთან მოწერილი ალერსი გაყრისათვის”¹⁷¹. ამ თხოვრებაში გადმოცემულია მეუღლის მოშორებით გამოწვეული განცდები. უცხო მხარეში მყოფი პოეტი მწარედ მოსთქვამს სამშობლო ქვეყნისა და მისი ცხოვრების უახლოესი მეგობრის — მეუღლის მოცილების გამო. “მდულრად მტირალსა ვინც მნახავს, დამამჰსგავსებენ მე ჭასაოა, — დასძენს იგი. საყვარელი ადამიანი პოეტისგან შორს იმყოფება. მას არ შეუძლია სხვასავით უყურო მას და დატკბეს ბუნებისგან მონიჭებული ბედნიერებით. სატრფოზე ფიქრმა პოეტი საგონებელში ჩააგდო: “რა ჰქმნას შავ გულმან, რომ მაისის ღრუბელივით არ იწვიმოს? ეგების წვიმის სიხშირემან ნავი გააჰსწრაფოს!” ბედს მინდობილი პოეტი ელოდება წვიმის სიხშირესა და მქროლავ ქარს, რომელიც დააკავშირებს თავის უნაზეს არსებასთან: “ახლა მე ქარის მაქებელი ვარ! ჩრდილოეთის ქარი შენისა ზილფისაგან სუნს მოიპარავს... ჩემს ამბავს შენ მოგაწვდენსო”. მაგრამ

¹⁶⁸ ს. ყ უ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი, დავით გურამიშვილი ქართულ ჰუსართა პოლკში, 1955, გვ. 41.

¹⁶⁹ М. П л о х и н с к и й, Поселение грузии в Малороссии, отд. оттиск из ”Сборника Харьковского историко-филологического Общества”, Харьков, 1893, გვ. 7.

¹⁷⁰ ს. ყ უ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი ს დასახლებული შრომა, გვ. 44; გ. ლ ე ო ნ ი ძ ე , ბოლო ფურცელი სულხან-საბა ორბელიანის ბიოგრაფიისა, ლიტერატურული გაზეთი, 1955, № 4.

¹⁷¹ ქართული სიტყვა-კაზმული მწერლობის ანთოლოგია, ტ. II, 1928, გვ. 227 – 229.

მოლოდინი არ გაუმართლდა პოეტს. თვითონ კი უძლური აღმოჩნდა, რომ შებრძოლებოდა მდგომარეობას და აქტიური მოქმედებით გამოსავალი ეპოვნა.

დიმ. ორბელიანს სწამს, რომ “სოფელი ხან ლხინია და ხან ჭირი, ჭირს ლხინი არ დააკლდების და ლხინს ჭირი”. ამიტომო, დასძენს იგი, “ხან იმედი მაქვს სოფლისა, ხან კი დავიწყებ ხმეჭასაო”. მან კარგად იცის, რომ “სოფელს მრავალნი მოყვარენი გაუყრია”, მაგრამ თავის მდგომარეობას, საყვარელ მეუღლესთან დაშორებას, იგი მაინც ვერ შერიგებია. მას შემდეგ, რაც მის “სასმელად სოფელმან სევდის შარბათი მოლესა”, პოეტი უნუგემო მდგომარეობაში ჩავარდა, მისთვის “ღამეს ვინ ჰსჩივის, დღეცა შავია”.

ახლობელ ადამიანთან დაცილების გამო სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილ დიმ. ორბელიანს კიდევ უფრო გულს უკლავს სამშობლოს დაშორება და შორეულ მხარეში გადახვეწა: “მონა უფლისა შორს ქმნილი ყოვლთაგან საძაგელია”. პატრიოტული ურვით შეპყრობილ პოეტს ყველაფერი თავის მხარეს აგონებს: “პრესნის სახლი ჩემი მგონია და ედილის დეღვა — წინა-ტბის მჩქერვალობა”.

დიმიტრი ორბელიანი ამ ნაწარმოების მიხედვით გვევლინება უპერსპექტივო ადამიანად, რომელიც იმაზე ფიქრობს, თუ “მოვჰკვდე, დავეფლა სადა მე?”

როგორც ვნახეთ, “ალერსში” პოეტი შესტრფის მისთვის ძვირფასსა და უახლოეს ადამიანს. ეს გარემოება შემთხვევითი არ უნდა იყოს. დიმ. ორბელიანი ამ შემთხვევაში პრაქტიკულად ახორციელებს მამუკა ბარათაშვილის “ლექსის სწავლის წიგნში” გატარებულ შეხედულებას: “თუ ქალის ამიყობაზე გინდა, ცოლქმრობის სიყვარულზედა თქვი და იმის გზებზეო”. რადგან ნაწარმოებში გადმოცემულია ცოლქმრული სიყვარული, ეს ნაზი და ფაქიზი გრძნობა, მასში წინა პლანზეა მოცემული სიყვარულის სულიერი მხარე. ეს ფაქტი კი საყურადღებოა XVIII საუკ. ქართულ ლიტერატურაში.

დიმ. ორბელიანის “ალერსი” გამოირჩევა თავისი ფორმის მხრივ. ის დაწერილია ”ლექსთა შიგ ჩართვით”, ლექსნარევი პროზით, ე. ი. თხზულების პროზითს ნაწილს მოსდევს ლექსი და ასე მეორდება ბოლომდე. ასეთი სახის ნაწარმოები კი მანამდე გამოყენებული მხატვრული ფორმების დარღვევისა და ახლის შემოღების მაუწყებელია.

სატრფო ქალის სილამაზის გადმოსაცემად პოეტმა გამოიყენა აღმოსავლურ ლიტერატურაში მიღებული ასოთა სიმბოლური მნიშვნელობა. დიმ. ორბელიანი შემდეგნაირად მიმართავს თავის სათაყვანებელ არსებას: “მელანი შენთა თვალთა წყალი მგონია. ო-ნს წარბად ვუწოდ, ს-ანს წამწამად, მ-ანი ყურად მეჩვენება და ტ-არი წინამოსავით დაგრეხილა, ხოლო რ-აე შენს მიხრა-მოხრით სლვას მაჩვენებს”. მსგავსი სახის მხატვრული ხერხი მანამდე მხოლოდ საბასეულ “ქილილა და დამანაში” გვხვდება, რომლის გავლენითაც, საფიქრებელია, დიმ. ორბელიანსაც გამოუყენებია თავის თხზულებაში.

თხზულების ენა დამძიმებულია მწიგნობრული გამონათქვამებით,

მაღალფარდოვანი ფრაზებით, არქაული ლექსიკით. ასე, მაგალითად, ნაწარმოები შემდეგნაირად იწყება: “აღვიძრობ შუბლოზედა კანსა და ჩინურისა ეტრატსა შევმზადებ, მოვიდგამ შენისა სიშორითა ბნელქმნულსა გულსა ჩემსა მელნისა ჭურჭლად, აღვიღებ ლელწამსა შენისა ტანისა მოხარულსა, აღმოვაწებ ნადველთა შინა ჩემთა და ორენას კაცსავით ვალაპარაკებ კალამსა, და ვჰსწერ შენსა და ჩემსა გაყრისა შეჭირვებასა”. მიუხედავად იმისა, რომ თხზულების პროზაულ ნაწილში ენა ზოგჯერ ღვლარჭნილიცაა, ლექსებში აქა-იქ შეინიშნება ხალხური მეტყველების კვალიც:

ჩემო აია, მომხვდა ვაია,
შენსა გაყრილსა მათრევს ნავია,
დამეს ვინ ჰსჩივის, დღეცა შავია,
რასათვის მტანჯავ, დაჰსცხერ, კაია.

მწერალი ხშირად მოხდენილად იყენებს მხატვრულ ხერხებს. განსაკუთრებით მიმართავს იგი შედარებებს, კონტრასტებს, მეტაფორებსა და ეპითეტებს. დიმ. ორბელიანისთვის უცხო არ არის ომონიმური რითმებით (მაჯამებით) სტროფების გაწყობაც. აი, სანიმუშოდ, თხზულების დამაბოლოებელი მაჯამური სტროფი:

ვინ მომიძულეს, აწ დავჰსწერ, ეს არის მისი შ ე ს მ ე ნ ა,
რისთვის განუდგნენ, გაბჭევით, თუ ვისმე გაქვნდესთ შ ე ს მ ე ნ ა,
ეს მიკვირს: დიდებულები მის დალიქს ვისა შ ე ს მ ე ნ ა?
ემშაკის ნაწდევს სასმელსა განურჩევლობით შ ე ს მ ე ნ ა.

შინაარსის მიხედვით, თხზულება დაწერილია მოსკოვში (“პრესნის სახლი ჩემი მგონია”... და სხვ.), დაწერილი უნდა იყოს ის 1737 — 1739 წლებს შორის¹⁷².

აღსანიშნავია, რომ დიმიტრი ორბელიანს დაუწერია ორი ლექსი თავისი ძმის სულხან-საბას ლექსიკოლოგიური მუშაობის შესახებ. ერთი ლექსი, რომელიც ოთხტაეპიან მაჯამას წარმოადგენს და გაწყობილია შაირით, დაწერილია 1715 - 1716 წლებში. აღნიშნულ ლექსში პოეტური საღებავებით გადმოცემულია საბას ღვაწლი, ლექსიკონის შექმნისას მისი ენერგიული და დაუღალავი საქმიანობა:

ვის ძალუმს საბას სწორება, თუ ვსტყუი, ასე ამარტოს,
კითხვა, წერა და გამოთქმა სრულად მას ჰქონდა ა მარტოს,
სირვანდად ასხის სიტყვანი, ვით მძივი ძაფზე ამარტოს,

¹⁷² ლ. მ ე ნ ა ბ დ ე , დიმიტრი ორბელიანი, “სულხან-საბა ორბელიანი. 1758 – 1958 (საიუბ. კრებ.)”, 1959, გვ. 174.

ხეს ძირნი მიწას არ ებნეს, ნაყოფს ვით ისთვლი ამა რტოს?¹⁷³

მეორე ლექსი — “სიბრძნის ტრფიალით დამზირონ, რასა სწერს სულხან-საბანი” დიმიტრის დაუწერია საბას გარდაცვალების შემდეგ. ლექსი შედგება ოთხი სტროფისგან და გაწყობილია შაირით. ეს ლექსი პირველად გვხვდება ზოსიმე ორბელიანის მიერ 1728 წ. გადაწერილ “ლექსიკონში”.

აღნიშნულ ლექსში გადმოცემულია ის სულიერი განცდა, რომელიც გამოწვეულია უახლოესი ადამიანის გარდაცვალების გამო. “რადგან მომშორდა, ჭმუნვა მაქვს და ზრუნვა გულთა საბანი”, — დასძენს პოეტი.

აღნიშნული ლექსის ლექსიკონში ჩაწერის შემდეგ დიმიტრი ორბელიანს თავისი ძმისთვის, ლექსიკონის გადამწერის ზოსიმესთვის, მიუწოდებია კიდევ ორი ორტაეპიანი ლექსი¹⁷⁴. ერთში გადმოცემულია ძმის გარდაცვალებით გამოწვეული მწვავე მწუხარება:

ამ სიტყვის კონის მწერალი ძმა და მოწაფე მისივე,
საბავ, დააგდე ზოსიმე, მე გული ნავლით მისივე.

მეორე ლექსში კი აღნიშნულია ლექსიკონის მნიშვნელობა და ორიოდ სიტყვით შეფასებულია სულხან-საბას ღვაწლი და დამსახურება თავისი ქვეყნის წინაშე:

თუ ვისმეს გწადის ეს წიგნი, ეგრე გმატს, ვითა რუსთველსა,
ფრიად მამვრალი მუშაკი მოკვდა, დაეფლა რუსთ ველსა.

დიმ. ორბელიანის პოეტური მემკვიდრეობისთვის უცხო არ არის იმ დროისთვის მეტად გავრცელებული ანბანთქებაც. ანბანთქების ჟანრი, როგორც ვიცით, ჩნდება ე. წ. აღორძინების პერიოდის ქართულ ლიტერატურაში. არ დარჩენილა თითქმის არც ერთი მნიშვნელოვანი პოეტი, რომ არ შეეთხზა ახალი ტიპის ანბანთქება. გატაცებული ამ პოეტური ფორმით, აღორძინების ხანის მწერლები ანბანთქების შეთხზვისას ერთმანეთს იწვევდნენ შეჯიბრში. ამ პოეტურ შეჯიბრში ჩაბმულა დიმიტრი ორბელიანიც და მასაც შეუთხზავს ახალი სახის ანბანთქება. “აწ ეს ვინებე, ანბანთა ვინ უკეთ ვიტყვით თქმულობითო”, — აცხადებს იგი.

დიმ. ორბელიანის მიერ შემოღებული ანბანთქება 36 სტროფისგან შედგება. პირველი სტროფის ყველა ტაეპი იწყება ა-ნით, მეორე სტროფის ყველა ტაეპი — ბ-ნით, მესამე სტროფისა — გ-ანით და ასე ბოლომდე. ყოველ ტაეპში შესაბამისი ასო გამოყენებულია ორჯერ, ერთით იწყება ლექსის პირველი ნახევარი, მეორეთი — ლექსის მეორე ნახევარი¹⁷⁵:

¹⁷³ ლ. ქ უ თ ა თ ე ლ ა ძ ე, სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის რედაქციები, 1957, გვ. 50.

¹⁷⁴ ლ. ქ უ თ ა თ ე ლ ა ძ ე, სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის რედაქციები. 1957, გვ. 278.

¹⁷⁵ გ. მ ი ქ ა ძ ე, ანბანთქება ძველ ქართულ ლიტერატურაში (ცალკე ამონაბეჭდი), 1948, გვ. 219.

დაოჯახებულა. იგი დაქორწინდა ცნობილი ისტორიკოსის სეხნია ჩხეიძის ასულ ანახანუმზე.

როცა ვახტანგ მეფე რუსეთს გაემგზავრა, მას თან გაჰყვნენ ორბელიანებიც. ვახტანგ ორბელიანი საქართველოში დარჩენილა. თავის ძმასთან, ელიზბართან, ერთად იგი ჩაება სამეურნეო საქმიანობაში. მაგრამ მალე ისიც დაადგა ვახტანგის გზას და 1735 წელს მოსკოვში ჩავიდა, ხოლო 1736 წ. იგი უკვე პეტერბურგშია.

ვახტანგ ორბელიანი რუსეთში დიდხანს არ დარჩენილა. 1738 წ. ისევ საქართველოშია და თავის ქალიშვილს ქეთევანს აქორწინებს ერეკლე მეორეზე¹⁷⁹. წინასწარი მოფიქრებით ცოლ-შვილის დატოვება საქართველოში და საგანგებოდ ჩასვლა პეტერბურგს, რუსეთის სამეფო კარის რეზიდენციაში, იმაზე მეტყველებს, რომ ვახტანგის გამგზავრების მიზეზი პოლიტიკური იყო.

ლიტერატურული მოღვაწეობა ვახტანგ ორბელიანს რუსეთში დაუწყო. მას აქ დაუწერია თავისი პირველი თხზულება — ”პეტერგოფის აღწერა¹⁸⁰. დასახელებული თხზულების შინაარსი მარტივია — მასში გადმოცემულია რუსეთის მეფეთა საზაფხულო რეზიდენციის ნახვით გამოწვეული მწერლის შთაბეჭდილებები და განცდები.

პეტერჰოფის გარემომ და სანახაობებმა განცვიფრებაში მოიყვანა ქართველი მწერალი. ვახტანგ ორბელიანი ზედმიწევნითი სიზუსტით აღწერს სასახლის მორთულობას, ბაღის სილამაზეს, ქანდაკებებიდან აღმომდინარე შადრევნებს, თევზებით სავსე აუზებს, სხვადასხვა გასართობს, მრავალგვარ საკრავებს, წარჩინებულთა დროსტარებასა და ლხინს და სხვ. აღწერაში ვლინდება მწერლის დაკვირვების უნარი, მისი პოეტური გემოვნება და ნაზი ლირიული განცდები.

მთელი თავისი მოგზაურობის მანძილზე მწერალი დატყვევებულა ბუნების სილამაზით, რასაც სათანადო ასახვა უპოვნია თხზულებაშიც. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ვახტანგ ორბელიანი ბუნების აღწერას იძლევა არა განყენებულად, ადამიანისგან დამოუკიდებლად, არამედ ადამიანთან მიმართებაში, ხაზს უსვამს ბუნების ზემოქმედებას ადამიანზე, თხზულებაში ბუნება უშუალო კავშირშია ადამიანის სულიერ სამყაროსთან. “ამათი გულისა გამხელებელნი ადგილ[ნ]ი და მიდამონი ორისავე სოფლისა ტრფიალებისა მასწავლებელნი. ვინცა ედემისა ტრფიალი არს, მას მისთვის ტრფიალებასა მოაწადებს და ვინცა სოფლისა მოყვარეა — საყვარელთანა სვლა-ალერსსა მოანდომებსო”.

პეტერჰოფის ბაღების თვალწარმტაცი სანახაობით მოხიბლული

¹⁷⁸ დ. ბ რ ე გ ა ძ ე, ქართველი მწერლები რუსეთში (XVIII ს.), წ. I, 1958, გვ. 306.

¹⁷⁹ იქვე, გვ. 313.

¹⁸⁰ ჟურ. “ცისკარი”, 1857, № 9, გვ. 27 – 44; დ. ბ რ ე გ ა ძ ე ს დასახ. შრომა, გვ. 322 – 341; ქართველი მწერლები რუსეთის შესახებ. შემდგ. ვანო შადური. თბ., 1962, გვ. 99 – 109; ნაწყვეტი გამოქვეყნებულია “ანთოლოგიაში”, II, 1928, გვ. 225 – 226.

დამსწრენი, მწერლის სიტყვით, “რომელნიმე ვარდისა შესაგვანისა ტუჩებითა გულისა მონაცემთაებრ ალერსობდიან, ზოგნი ლალისა მსგავსისა ზაგე-პირთა შვენიერად სიცილითა მდიმარობდიან, სხვანი ლხინობდიან და ნადიმობდიან, სვადასხვა სასმელსა მრავალგვარის ჭიქა-ფარჩებითა სმოდნიან და ნიშატობდიან”. მხიარულებასა და განცხრომაში მყოფნი, ვ. ორბელიანის გადმოცემით, თურმე, ამქვეყნიურ ჭირ-ვარამს ივიწყებდნენ: “ესრედ სიხარულ გამრავლებულნი და საწუთროსა სიმწარე მოუგონარნი, სოფელსა მართებულად ხელსა ჰყრიდიან და გულისაგან შეჭირვებასა კარგევდიანო”.

საინტერესოა ის გარემოება, რომ მწერალი შეუმჩნევლად ამჟღავნებს თავის განწყობილებებსაც. პეტერჰოვის ბაღში იგი შესწრებია მხიარულებას, დროსტარებას, თუმცა თვითონ, ალბათ, სამშობლოზე ფიქრით დადარდიანებული, გაცეხებული შეჰყურებდა მათ მხიარულებას: “მათსა ეგრე ყოფაქცევასა მე, დია მჭმუნვარე, გაკვირვებითა ვსინჯევდი და უყურებდიო”.

სამშობლო ქვეყნის დარდი მწერალს არც მაშინ მომორებია, როდესაც უნახავს პეტერჰოვის მშვენიერი ნაგებობანი: “ვინ იქნებოდის ესრეთ სევდისაგან შეპყრობილი და მწუხარებისა ქლამინდ-მოსხმული, რომელ მისგან კეკლუცად შენებობამან ყოველივე სევდა-ჭირი არ დაუკარგოს! კინალამ ამის მწერალსაცა გულში სიამოვნე შეუიდა”.

უთუოდ თავისი ქვეყნის სიყვარულმა, პატრიოტულმა გრძნობამ გაიღვიძა მწერლის გულში, როდესაც პეტერჰოვში ნანახი ხილის შესახებ წარმოთქვა: “ესეცა მოგახსენო, ქვეყნისა ხის მხრის კაცი ვიყავ და საქართველოს შინა აღზრდილი და მუნ უცხო მდგართა ვაშლთა გამაკვირნესო”.

ვახტანგ ორბელიანის “პეტერგოვის აღწერა” “თავისი შინაარსითა და მხატვრულობით მშვენიერი ძეგლია, გამომაჩინებელი პეტრეს დიდი ღვაწლისა რუსეთის ხალხთა წინაშე — და რუსთა და ქართველთა კულტურული ურთიერთობისა და მეგობრობისა საუკუნეთა მანძილზე”¹⁸¹.

პეტერჰოვის აღწერით ვახტანგი გაჰყვა თავის ბიძის — სულხან-საბა ორბელიანის კვალს, რომელმაც ქართულ მწერლობაში პირველმა დაამკვიდრა მოგზაურობის ჟანრი. მართალია, ვ. ორბელიანის თხზულება მოკლებულია საბას თხზულებისთვის დამახასიათებელ განზოგადებას, ლაკონიური თხრობის მანერასა და სისადავეს, მაგრამ მასში ჩანს ავტორის მხატვრული ალღო.

მხატვრული ხერხებიდან მწერალი უმეტესად მიმართავს შედარებებსა და ეპითეტებს. არცთუ ისე იშვიათად შეიმჩნევა არქაიზმები და რუსული ლექსიკის გამოყენება.

ვახტანგ ორბელიანი კარგად იცნობს ქართულ სასულიერო და საერო ლიტერატურას. იგი არაერთგზის ასახელებს ბიბლიურ გმირებს. შედარების მიზნით მას დასახელებული ჰყავს ქართულ ლიტერატურაში გავრცელებულ

¹⁸¹ ვ. დონდუა, ვახტანგ VI-ის დროინდელი საქართველოს პოლიტიკური ისტორიიდან (1712 – 1745), მიმოხილველი, III, 1953, გვ. 51.

თხზულებათა გმირებიც.

“პეტერგოფის აღწერა” მეორე თხზულებაა აღწერითი პროზის დარგში. ის დაწერილი უნდა იყოს მოგზაურობისთანავე, 1736 წელს, რადგან, თხზულების მიხედვით, ავტორი ჯერ კიდევ ახალი შთაბეჭდილებების ქვეშ იმყოფება.

ვახტანგ ორბელიანი ლექსებსაც წერდა. მის კალამს ეკუთვნის “ეპიტაფია შაირ-სიტყვაობით”, რომელიც ასე იწყება:

არ შემიწყალა სიკვდილმან, უხანომ, დაუნდობელმან,
სწრაფად მიმიღო შვენება, მხეცმან მძვინვარედ მხმობელმან...

მასვე დაუწერია ორი ანბანთქება. ერთი ანბანთქების პირველი ტაეპის ყველა სიტყვა ა-ნზე აწყება, მეორე ტაეპისა — ბ-ანზე, მესამესი გ-ანზე და ასე შემდეგ:

აჰა, ამბად აღვამაღლოთ აწ ალვისა აღნაგობა,
ბეწვ-ბნელობა, ბროლ-ბადრობა, ბაგებისა ბადახშობა,
გულთ გარემო, გიშრის გრუზვამ განგაცადოს განშვენობა,
დიდებით დავლა დამვრამა დაგიმტკიცოს დღეთ დროობა.

მეორე ანბანთქება ერთსტროფიანია. მასში მოცემულია ქართული ანბანის ყველა ასო ა-ნიდან ჟ-მდე. ეს ანბანთქება შემდეგნაირად იწყება: “ალალებს ბაგებს, გულთ დასადაგებს, ელვარებს, ვჰფუცავ, ზე ჭეთერულად”.

მხატვრული ნაწერების გარდა, ვახტანგ ორბელიანს ეკუთვნის აგრეთვე სამეცნიერო ხასიათის შრომაც. ვახტანგ VI-ის კვინკლოსისთვის მას შეუდგენია “კვინკლოსით სარგებლობის წესი”¹⁸².

დიმიტრი სააკაძე

მოსკოვის ქართული კოლონიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია დიმიტრი სააკაძე.

დიმიტრი სააკაძე დაბადებული უნდა იყოს XVII საუკუნის ბოლო წლებში¹⁸³. თავისი მშობლიური კუთხე მას ლექსებში აქვს მოხსენიებული: “მე მექადის ეს სოფელი, ვედარ მიხვალ ბობნავშიო” (ს. ბობნევი ატენის ხეობაშია).

საქართველოში შექმნილი რთული პოლიტიკურ-ეკონომიური მდგომარეობის გამო იგი იძულებული გახდა დაეტოვებინა მშობელი ქვეყანა

¹⁸² საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (Q კოლექცია), ტ. I, 1957, გვ. 237.

¹⁸³ დ. ბრეგაძე, ქართველი მწერლები რუსეთში (XVIII ს.), წ. I, 1958, გვ. 256.

და თავი შეეფარებინა მოსკოვის ქართულ ახალშენისთვის. ვახტანგ VI-ის ამაღლის 1737 წ. ნუსხის მიხედვით, დიმიტრი მოსკოვში ჩასულა 1734 წ.

რუსეთში დიმ. სააკაძე სამხედრო სამსახურში შევიდა 1741 წელს¹⁸⁴.

სამხედრო ცხოვრებასთან უნდა იყოს დაკავშირებული მისი დილეგში ჯდომაც: "დილეგში ხანგრძლივ ჯდომითა სრულ ცნობა გამომელია"...

რუსეთში ყოფნისას მას ახლო ურთიერთობა დაუმყარებია ვახტანგის თანამოღვაწეებთან. განსაკუთრებით დაახლოებულია იგი ვახტანგის ძესთან — გიორგისთან და პოეტ დიმიტრი ბაგრატიონთან.

დიმ. სააკაძეს ჯერ უნდა ეცხოვრა უკრაინაში, ქართველი ჰუსარებისთვის გამოყოფილ ადგილებში, ხოლო შემდეგ, სიბერის ჟამს, როგორც მისივე ნაწერებიდან ჩანს, პრესნასა და ვსესვიატსკოეში.

გიორგი ბატონიშვილისადმი მიწერილი ბარათებიდან ვგებულობთ, რომ პოეტი საცხოვრებლად პრესნიდან ვსესვიატსკოეში გადასულა: "გებრძანათ მოსკოვს რას ხელს ვყრი, ან ვსესვიატსკის ფიჭვებსაო..." ვსესვიატსკოეს სილამაზით მოხიბლულმა პოეტმა მისი აღწერაც კი დაგვიტოვა:

აღმოსავლითკენ ხევნარი, ჩრდილი და ტურფა მწვანები,
დასავლით სჭვრიტეთ სამოთხეს, უცხოდ შემკული ვანები.
შუა-ტბა თევზით სავსეა, გასინჯეთ სიგრძე-განები,
თავ-ბოლო მაგრა დახშული, მპარავს არვისა ვანები.

ესე არს მტილი. რომელი მეფის ძემ თვისად ინება,
შეამკო სრა და წალკოტი, მჭვრეტთა არ მოეწყინება,
წყარონი, ტურფა მცენარნი, ტბას შესდის, გაედინება,
სევდისა მაქარვებელად მეც ამ ტბის პირზედ მინება.

ვსესვიატსკოეში დასახლებული პოეტი უკვე ხანშიშესული ყოფილა. გიორგი ბატონიშვილს სწერს: "დავბერდი, მშვილდი ქვე დავდე, ახლა თქვენ გაიხარეთაო". დიმიტრი სააკაძე უნდა გარდაცვლილიყო ღრმად მოხუცებული XVIII საუკუნის 80-იან წლებში¹⁸⁵.

დიმიტრი სააკაძის შემოქმედების ძირითადი ნაწილი წარმოადგენს

¹⁸⁴ Сенатский архив, т. III, 1890, გვ. 56, 139.

¹⁸⁵ ალ. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II, 1940, გვ. 462.

მეგობრებთან მიწერილ ბარათებს¹⁸⁶. მათში ასახულია ყოველდღიური ცხოვრების ჭირ-ვარამი. ამ ლექსად დაწერილი ბარათებისათვის ნიშანდობლივია უაღრესად გულწრფელი ტონი, მათი ფორმა კი გამოირჩევა უბრალოებითა და სისადავით.

დიმ. სააკაძის ლექსები უმთავრესად მოხუცებულობის ხანას განეკუთვნება. პოეტი ხშირად უჩივის თავის ხანდაზმულობას: "სიბერით მოვუსუსურდიო", "თმა გამითეთრდა, კბილნი დამცვივდაო".

დიმ. სააკაძის პოეზიაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს მოქალაქეობრივ მოტივებს, რომლებიც გაპირობებულია იმდროინდელი სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობისა და პოეტის ცხოვრების ვითარებით. თავის ლექსებში პოეტი გადმოგვცემს ემიგრანტთა ცხოვრებასა და მათს საქმიანობას. ცხოვრებაგამოვლილი სიბერის ჟამს უკვე სხვა თვალთახედვით უდგება პოლიტიკური მიზნით სამშობლოდან გადახვეწილი ქართველობის ბედს:

რუსეთს მოვედით, ყინვითა გულს გაგვაჩნია წყლულები,
აქაც შევცდით და დავკარგეთ გული, ცნობა და სულები.

უბედურების გამომწვევ ერთ-ერთ მიზეზად მწერალს ქართველი საზოგადოების უგვანო საქციელიც მიაჩნია. უმოქმედობისთვის იგი სასტიკად ჰკილავს და ჰკიცხავს ვახტანგ VI-ის ძეს გიორგი ბატონიშვილს:

მე შენგან გავკვირვებულვარ, ზურგი აქცივე ბრძოლასა...
.....
ჯობდა სახელის მოხვეჭა, ნიადაგ გვერდზე წოლასა!.

პოეტის სულიერ ტკივილებს კიდევ უფრო აღრმავებს და აძლიერებს ის ნივთიერი სივიწროვე, რომელშიც ჩავარდნილა იგი. ემიგრაციაში მყოფი დიმ. სააკაძე უკიდურეს ხელმოკლეობასა და გაჭირვებას განიცდის. თავისი მდგომარეობის შესახებ წერს:

ვეღარ გახლავარ, პატრონო, ვეღარ ვჭამ თქვენთან სუპებსა,
აღარვინ მიწდევს ტკბილ ღვინოს, არც მიდგმენ სირჩა-
რუნკებსა,
კაპუსტასა ვკებ, შეშას ვჭრი, ვიზახი ეპი-უპებსა,
სიბერით დასუსტებული, ცრემლსა ვღვრი დაპა-ღუპებსა.
აღარც შეშა მაქვს, ზამთარმან წამომაცარა ბუქია,
გაჭირვებაში სიმხნე ჰხამს, რუსთველსაც ასე უქია,

¹⁸⁶ დიმ. სააკაძის ლექსები მთლიანად არის გამოცემული: დ. ბ რ ე გ ა ძ ე, ქართველი მწერლები რუსეთში, I, 1958, გვ. 275 – 300; ნიმუშები დაბეჭდილია "ანთოლოგიაში", II, 1928, გვ. 221 – 224.

ეს სწავლა მისთვის კარგია, ვინც უფრო ყმა-ჩაუქია,
არ ჩემებრ მოხუცებულსა წარსვლოდეს სიყმის შუქია.

ფერხთაც არ შემრჩა, რალა ვქნა, თქვენი წყალობა ნალები,
დავხედავ, შოვნა არ ძალმიძს, ცრემლით მევსება თვალები,
ჩულიც არა მაქვს საზამთროდ, გულსა მედება ალები,
ნახეთ, სოფელმან რა მიყო, პრესნას მწუნობენ ქალები!

ასეთმა მწარე ცხოვრებამ პოეტი აიძულა დაეწყევლა თავისი გაჩენის
დღე:

წყეულმც არის ის საათი, რასაც ეტლზედ დავებადე,
სიყმაწვილით სიბერედმდე სიკვდილისა ვიყავ მწადე;
მუხანათმა ამ სოფელმა მე მომიდგა ესრეთ ბადე,
კლდეს არ ძალუძს ის დათმენა, რაც რომ ჭირი გარდვიხადე.

პოეტი გარკვეულ პერსპექტივებს ვერ ხედავს, რის გამოც
სასოწარკვეთილებაში ვარდება. მის წინაშე ისმება კითხვა: რატომ წამოვიდა
რუსეთში და რას აკეთებს იგი აქ. საბოლოოდ იმ დასკვნამდე მიდის, რომ
ემიგრაცია უაზრობას წარმოადგენს და საჭიროა დაუბრუნდეს ძველ
ცხოვრებას.

დიმ. სააკაძეს სურს სამშობლოში დაბრუნება: “ნეტავ მოხდეს ეს წადილი
და აქედან გავებარგო”. მაგრამ სამშობლოში დაბრუნების ნატვრა მას
მხოლოდ ოცნებად რჩებოდა. იმედდაკარგული პოეტი თავის ბედსა გმობს:

მდუღარის ცრემლით მტირალი, ვემდურვი ეტლთა რბენასა,
ბედსა ვეშუღლვი, რად მიყავ, ვკითხავ, მიაშობს ვერასა,
ნაღველში ამონაწები კალამი, რას იქმს წერასა...

რამდენი მწარე განცდაა ჩაქსოვილი მის ნაღვლიან სიტყვებში:

მე ესე მიყო სოფელმან, გამხადა უნაწილოსა,
სამკვიდროსაგან აღმომფხვრა, მომაგდო აქა ჩრდილოსა,
ვერსითა ვპოვნებ წამალსა, რომ სულსა მოუგრილოსა,
ლოთსავითა ვსვამ სამთვრალოს, ეგების მომაღხინოსა.

განსაკუთრებით მტკივნეულად განიცდის პოეტი სამშობლოს
უნახაობას. იგი ხომ ახალგაზრდა იყო, როცა სამშობლო დატოვა: “სიყრმით
ჩემით ბედით კრული სამყოფთაგან გამომამქესო”. ახლა კი უცხო მხარეში
მოხუცდა და მოუძღურებელი ყოველდღე სიკვდილის მომლოდინეა. პოეტი
იმას ნატრობს, რომ სიკვდილამდე ნახოს თავისი ქვეყანა და დატკბეს მისი

ყურებით: “მუნით განვახლდე, ცოცხალმან ნუთუ კვლავ ვნახო წამითაო” (“უბედობისათვის გოდება”). ამიტომ იგი მუშთარს ეხვეწება: “მომეც წადილი გულისა, ნუ გამხდი ცრემლთა დენითაო”.

ერთ-ერთ ლექსში პოეტს ძვირფასი თვლების სახით ალევგორიულად თავისი ქვეყანა ჰყავს წარმოდგენილი. პოეტს დაეკარგა ძვირფასი თვლები — ანთრაკი და იაკინთე, რის გამოც გოდებს. იგი სიცოცხლესაც არ იშურვებს, ოღონდ ნახოს ისინი: “ნეტამცა სული წამართვათ, ოღონდ გნახავდეთ თვალითაო”. ეს თვლები მისთვის ძვირფასია და მარად დაუვიწყარი: “ვერ დავივიწყებ ცოცხალი, თვალით მიდგას გონებისასაო”.

ცხოვრებამ დაუნდობლობა გამოიჩინა პოეტის მიმართ. მწვავე ტკივილები მიაყენა და მდუღარე ცრემლები აფრქვევინა. “სოფლის სიმუხთლემ” მოღალა და მოტეხა, დაარწმუნა მისი სურვილის განუხორციელებლობაში. ცხოვრების უკუღმართობისგან დაჩაგრული გამოსავალს ვერ პოულობს და ურიგდება თავის სასტიკ ბედს:

მე აღარც არას მოველი, არცა მაქვს მოსალხინები,
წარსულვარ, გამოგსალმივარ, ღმერთმან თქვენ მოგცეს ლხინები.

დიმ. სააკაძე წერდა სატრფიალო-სამიჯნურო ლექსებსაც. პოეტის ცრემლებით მონაჟურ სტრიქონებში გამოკრთის საყვარელ არსებასთან ურთიერთობით გამოწვეული განცდებიც. “შენმან სურვილმან მომტაცა ცნობა, გონება და გული”, — მიმართავს სატრფოს. ამიტომო, “გლახ, შენთანავე ამყოფე ცეცხლით დამწვარი, დაგულიო”. მაგრამ არც სატრფო აღმოჩნდა მისი შემბრალე. მაშინ, როდესაც “ყველას ჰყოფ მოცინარესა”, “მე ქაცვსა მიძღვნი ნიადაგ, სალხენად საწყინარესა”, — დასძენს გულდაკოდილი პოეტი.

დიმ. სააკაძე პოეტური საღებავებით გადმოგვცემს სატრფოს მოხდენილობასა და სილამაზეს.

დიმ. სააკაძის ლექსები ძირითადად დაწერილია შაირით. გამონაკლისის სახით რამდენჯერმე მას გამოუყენებია 20-მარცვლიანი საზომი შიდა რითმებით. პოეტი ხშირად მიმართავს ომონიმურ რითმებსაც (მაჯამებს). დიმ. სააკაძის ლექსებში ჭარბად ვხვდებით რუსიციზმებს.

პოეტს გამოყენებული აქვს უაღრესად რეალური საღებავები. მისი ლექსების თითოეული სტრიქონი მართალი სიტყვაა ქართული ემიგრაციის მდგომარეობისა და მათი სულიერი განწყობილების შესახებ. ამდენად, დიმ. სააკაძის ლექსების ღირსება ისტორიული თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანია.

მამუკა გურამიშვილი

მამუკა გურამიშვილი XVIII საუკუნის მეორე ნახევრის მოღვაწეა. ის ახლო ურთიერთობაში იყო ვახტანგ VI-ის თანამოღვაწეებთან, განსაკუთრებით დიმიტრი სააკაძესთან. ბოლოს დაუმეგობრდა რუსეთში გადახვეწილ პოეტ დიმიტრი ბაგრატიონს (1746 — 1826).

მამუკა გურამიშვილი ერთხანს მოსკოვში (პრესნაში) ცხოვრობდა. მას რაღაც უთანხმოება მოსვლია იქ მყოფ ქართველებთან და საცხოვრებლად პეტერბურგს გადასულა. მამუკას სახლთუხუცესის თანამდებობა ეჭირა.

მამუკა გურამიშვილი გარდაიცვალა პრესნაში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მ. გურამიშვილი სალიტერატურო ასპარეზზე მოღვაწეობდა XVIII საუკუნის მეორე ნახევარში. მირიან ბატონიშვილის დაკვეთით მას შეუთხზავს ვრცელი ლექსი “მზეთა-მზე”, რომელიც დაწერილია დ. გურამიშვილის მიზაძვით:

ეო, მეო, დავითს მივბაძეო,
გამიგონე რას მოგითხრობ, ყური მამიგდეო,
ყველას მოგწონდესთ შვენებით ჩემი მზეთა-მზეო,
არავინ არის სახითა მისგან უკეთეო,
დიდად არის საყვარელი, ჩემგან იცოდეო.

ვინ არის ეს მზეთა-მზე, რომელიც ასე უყვარს პოეტს? ამას თვითონ მამუკა გვამცნობს:

ასეთი შვენიერია კიდით-კიდემდეო,
ანათებს უფსკრულამდინა მიუწთომლადმდეო.
შენ ესე მზე ნუ გგონია, ამას ვამბობდეო,
რომელიც აქა ანათებს, ქვეყანათამდეო!
მაგისი შუქის მიმცემი არის მალლა, ზეო.
არავინ არის მისთანა, ამაღ ამკობდეო,
ცასა და ქვეყანაშია ყველას უდიდეო,
გამოგიცხადო ამბავი, აქეთ მამხედეო,
ვინც არის ჩემი მზეთა-მზე, მოდი გეტყოდეო:
ღმერთია ყოვლის მპყრობელი უკუნისამდეო.

სატრფოს სახით პოეტს ალეგორიულად წარმოდგენილი ჰყავს ღმერთი.

მამუკა გურამიშვილს ეკუთვნის აგრეთვე მირიან ბატონიშვილის საქებრად დაწერილი ლექსი “კაფლანის კაბის მაგიერ” და მოკლე ეპისტოლე დიმიტრი ბაგრატიონისადმი¹⁸⁷. მ. გურამიშვილის ლექსები სიახლისა და

¹⁸⁷ თეიმურაზ ბატონიშვილის წიგნთსაცავში დაცული ყოფილა “თავადის მამუკა გურამიშვილის ლექსნი, დიახ, მცირედნი, მაგრამ ფრიად საქებელნი” (თეიმურაზ ბატონიშვილის წიგნთსაცავის კატალოგი, ს. იორდანიშვილის გამოც., 1948, გვ. 40).

მხატვრობის თვალსაზრისით არაფრით გამოირჩევა. მამუკა ეპიგონი პოეტია.

ადმოსავლეთი საქართველო ვახტანგ მეექვსის რუსეთში გადახვეწის შემდეგ

ვახტანგ მეექვსის რუსეთში წასვლის შემდეგ ადმოსავლეთ საქართველოში განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა შეიქმნა, აუტანელი გახდა ქვეყნის პოლიტიკური ვითარება. უცხოელთა, კერძოდ, ოსმალთა დამკვიდრება ქართველი მოსახლეობის კანონიერ უკმაყოფილებას იწვევდა. ხალხი გმინავდა მონობის მძიმე უღლის ქვეშ.

ოსმალებმა ქართლში მეფობის ინსტიტუტი გააუქმეს და ოსმალური წესწყობილება დაამკვიდრეს. მოძალებული მტრის ვერაგული პოლიტიკა, ქართველი მოსახლეობის მძიმე საყოფაცხოვრებო პირობები იწვევდა სახალხო აჯანყებებს, რასაც, თავის მხრივ, დამპყრობელთა დამსჯელი საექსპედიციო ჯარების მოსვლა და დაძაბული მდგომარეობის კიდევ უფრო გართულება სდევდა. ოსმალთა ბატონობით გამწარებული ქართველი საზოგადოების დიდი ნაწილი ნადირ-შაჰს მიემხრო და სპარსელთა ბატონობა ირჩია.

1735 წლიდან ოსმალთა (“ურუმობა”) შეცვალა ყიზილბაშთა ბატონობამ. ნადირ-შაჰმა ახალი გადასახადები შემოიღო და ყიზილბაშური წესების დამკვიდრება დაიწყო. ამან გამოიწვია ქართლისა და კახეთის მოსახლეობის თავგანწირული ბრძოლა მტრის წინააღმდეგ. ამ გარემოებამ სპარსელ დამპყრობლებს ადრინდელ განზრახვაზე ხელი ააღებინა. ნადირ-შაჰი იძულებული გახდა ადმოსავლეთ საქართველოში ქართული წესწყობილება აღედგინა. 1744 წ. მან ქართლში თეიმურაზი, ხოლო კახეთში მისი ძე ერეკლე გაამეფა. მამა-შვილი ენერგიულად შეუდგნენ ქვეყნის მართვას.

მას შემდეგ, რაც ნადირ-შაჰი მოკლეს (1747 წ.) და სპარსეთი ანარქიამ მოიცვა, თეიმურაზმა და ერეკლემ გააჩაღეს ბრძოლა პირველობისთვის ამიერკავკასიაში, რის გამოც 1748 — 1750 წლებში მათ რამდენჯერმე მოუხდათ შეტაკება ხანებთან. ქართველთა გამარჯვების შედეგად ქართლ-კახეთის სახელი და საერთაშორისო ავტორიტეტი გაიზარდა.

თეიმურაზმა და ერეკლემ ერთიმეორის მიყოლებით დაამარცხეს და უკუაქციეს თავრიზის მფლობელი აზატ-ხანი (1751 წ.), შაქი-შარვანის ხანი აჯი-ჩალაბი (1752 წ.) და სხვა მომხდური მტრები. მათ გადამწყვეტი ბრძოლა გააჩაღეს ლეკიანობის წინააღმდეგ.

როგორც ცნობილია, ისედაც მძიმე მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებდა ლეკთა თარეში. მთიანეთიდან შემოჭრილი მოთარეშე ბრბოები ერიდებოდნენ ქართველთა ლაშქართან პირისპირ შეყრას, ისინი ქურდულად

მარცვადნენ ქვეყანას, დაუნდობლად ესხმოდნენ თავს მშვიდობიან მოსახლეობას, სასტიკად არბევდნენ და აწიოკებდნენ ხალხს.

საგულისხმოა, რომ მოქიშპე ფეოდალები ზოგჯერ ერთმანეთის ჯიბრით იწვევდნენ ლეკებს ერთიმეორის ასაკლებად. უგუნური დიდებულები ამით დიდ ვნებას აყენებდნენ სამშობლოს, თავის ხალხს. ასეთ განუსჯელ მოქმედებას ერთობ სამწუხარო შედეგი სდევდა: ქვეყანა დლითი დღე სუსტდებოდა, ეკონომიური გაჩანაგება სულ უფრო და უფრო შესამჩნევი ხდებოდა. ლეკთა რაზმები ზოგჯერ დამპყრობელ უცხოელებსაც მოჰყავდათ აჯანყებულ ქართველთა წინააღმდეგობის გასატეხად და მემამბოხე მხარეების დასათრგუნავად.

ლეკიანობამ მძიმე დაღი დააჩნია ქართველთა ცხოვრებას. კულტურული მეურნეობა დაეცა, მოსახლეობის რიცხვი საგრძნობლად შემცირდა. აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთი კუთხე (თრიალეთი, სომხით-საბარათიანო, ტაშირი და სხვ.) თითქმის სულ დაიცალა ადგილობრივი მოსახლეობისაგან და გაუკაცრიელდა. ადრე იქ მოსახლე გლეხთა ნაწილი მტრებთან ბრძოლას შეეწირა, ნაწილი ტყვედ გაიყიდა უცხოეთში, ნაწილმა სამკვიდრო დატოვა და სხვა მხარეს მიაშურა.

აღნიშნულ სავალალო მდგომარეობას თეიმურაზმა და ერეკლემ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს და ლეკთა მოთარეშე ბრბოებზე გადამწყვეტი იერიში მიიტანეს. ერეკლემ შექმნა მორიგე ლაქარი, რომლის ძირითად მიზანს ლეკიანობასთან ბრძოლა წარმოადგენდა.

1762 წლიდან ერეკლე მეორე მართავდა მთელ აღმოსავლეთ საქართველოს. მან დიდი ნიჭი და გამჭრიახობა გამოიჩინა, სახელი გაითქვა როგორც შორსმჭვრეტელმა სახელმწიფო მოღვაწემ, უებრო სარდალმა, გონიერმა მმართველმა. მან გააერთიანა ქართლ-კახეთი, დაიმორჩილა ერევანი და განჯა, მოიგო სპარსეთის მბრძანებლის ქერიმ-ხანის გული. ამ უკანასკნელმა აღიარა ერეკლეს უპირატესობა აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში.

ერეკლემ ენერგიული ბრძოლა გამოუცხადა სათავადოების ჩამორჩენილ სისტემას, ამხილა და გაანადგურა რეაქციონერი თავადების შეთქმულება (1765 წ.). მან გადაწყვიტა გლეხთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებაც.

ვახტანგ მეექვსის რუსეთში წასვლის შემდეგ მშრომელთა შეუზღუდავი ექსპლოატაცია და კლასთა ანტაგონიზმი კიდევ უფრო გაძლიერდა. დიდებულთა ნაწილი ადვილად პოულობდა ენას უცხოელ დამპყრობლებთან. ჩამომდგარი უცხო მტერი და შინაური მებატონე ერთად ყვლეფდნენ და მარცვადნენ მშრომელ მოსახლეობას. მნელბედობის ხანაში კიდევ უფრო სავალალო შეიქნა საზოგადოების დაბალი ფენების ცხოვრება, გლეხობის საზოგადოებრივი და ქონებრივი მდგომარეობა განუსაზღვრელად გაუარესდა. ფეოდალთა თავაშვებულობა და ცენტრალური ხელისუფლებისადმი დაუმორჩილებლობა, მათი გაუმაძღრობა და მტაცებლობა ყოველგვარ ზღვარს გასცდა და გლეხთა სამართლიან გულისწყრომასა და ზოგჯერ აჯანყებასაც კი იწვევდა. კლასობრივი ბრძოლა თანდათან სერიოზულ ხასიათს იღებდა.

დაუნდობელი ძარცვა-გლეჯით გამწარებული და მებატონეთა თავხედობით აღშფოთებული გლეხობა იარაღსაც ჰკიდებდა ხელს და თავგანწირვით ილაშქრებდა არსებული სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ. გლეხობა იარაღით ცდილობდა უმართებულო ბეგარისაგან გათავისუფლებას, მაგრამ სასურველ შედეგს ვერ აღწევდა. მემბოხე გლეხი ან უღმობელი მებატონის მსხვერპლი ხდებოდა და უცხოეთის ბაზარზე იყიდებოდა, ან თავისი სამოსახლოდან იყრებოდა და სხვა მხარეში იხიზნებოდა, ხოლო მის ქონებას მებატონე ითვისებდა. ხიზანთა და ბოგანოთა რიცხვი მკვეთრად გაიზარდა, ინტენსიური მეურნეობა დაეცა. ეკონომიურად განადგურებული და დასუსტებული გლეხობის თავდაცვისუნარიანობამ და სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ხალისმა იკლო.

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების, ეკონომიურად და პოლიტიკურად გაძლიერების მიზნით ერეკლემ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია გლეხთა საკითხს. გლეხთა უფლებრივი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად მან გაატარა სპეციალური რეფორმები. ერეკლეს საგლეხო პოლიტიკა მიზნად ისახავდა გლეხთა მძიმე მდგომარეობის შემსუბუქებას, ინტენსიური მეურნეობის მუშაკთა გამრავლებას, ქვეყნის დამცველთა რიგების ზრდას. ამით ერეკლე თავადების გულისწყრომას იწვევდა, მაგრამ ფართო მასების სიყვარულს იმსახურებდა.

მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში ერეკლემ საფუძველი ჩაუყარა სამთომადნო მრეწველობას, ახტალასა და ალავერდში ვერცხლისა და სპილენძის ამოღება-გამოდნობა დაიწყო, რითაც საგრძნობლად გაზარდა სახელმწიფო შემოსავალი. ამავე პერიოდში შეინიშნება საქარხნო-საფაბრიკო წარმოების დანერგვის ცდებიც. შესამჩნევად განვითარდა ვაჭრობა, მოწესრიგდა საბაჟო სისტემა. ქართლ-კახეთი ეკონომიურად დაუახლოვდა რუსეთს. ამას დიდად შეუწყო ხელი დარიალის სავაჭრო გზის გახსნამ. ყურადღება მიექცა მოქალაქე ვაჭარ-ხელოსანთა უფლებრივ მდგომარეობას. მტკიცედ განისაზღვრა ქალაქის მოხელეების უფლება-მოვალეობანი, გადახალისდა სახელმწიფო წესწყობილება...

ვახტანგის რუსეთში გადახვეწის შემდეგ საქართველოში საგრძნობლად შეფერხდა კულტურულ-შემოქმედებითი მუშაობა. ვახტანგს რუსეთში გადაჰყვა მრავალრიცხოვანი ამალა. მას ახლდნენ ცნობილი ქართველი მწიგნობრები, მწერლები, მეცნიერები, კალიგრაფები. რასაკვირველია, ასეთ მოღვაწეთა რუსეთს გამგზავრება ერთობ მძიმე დანაკლისს წარმოადგენდა საქართველოსთვის. არსებითად ვახტანგს რუსეთში გადაჰყვა საქართველოს შემოქმედებითი მუშაკების მოწინავე რაზმი, ქართული კულტურულ-საზოგადოებრივი მუშაობის მრავალი მოთავე. ასე რომ, ჩვენში თითქმის შეწყდა ინტელექტუალური მუშაობა. ადრე დიდი ძალით გაჩაღებული კულტურულ-შემოქმედებითი მუშაობის ნაცვლად შეინიშნება კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის დასუსტება, შემოქმედებითი მუშაობის მოდუნება, დამაბუნება. ამასთანავე, რუსეთს გადახვეწილი ქართველების

მხატვრულ-ლიტერატურული და მეცნიერული პროდუქცია სამშობლომდე მხელად თუ აღწევდა.

მას შემდეგ, რაც ქართლ-კახეთს სათავეში თეიმურაზი და ერეკლე ჩაუდგნენ, მდგომარეობა არსებითად შეიცვალა. განახლდა, გაცხოველდა შეწყვეტილი კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობა.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სახალხო განათლებას. მოწინავე ქართველთა ენერგიული მოქმედების შედეგად სასკოლო საქმეს გაუმჯობესება დაეტყო. ამ პერიოდის საგანმანათლებლო პოლიტიკის ერთ-ერთი გამოვლინება იყო საღვთისმეტყველო-ფილოსოფიური სემინარიების დაარსება თბილისსა (1756 წ.) და თელავში (1782 წ.). ეს სემინარიები ემსახურებოდნენ თეორიული და პრაქტიკულ-გამოყენებითი ცოდნის გავრცელებას. მათ თვალსაჩინო მეცნიერები და მწერლები ხელმძღვანელობდნენ (ანტონ I, ფილიპე ყათმაზაშვილი, იოანე ოსეს ძე, გაიოზ და დავით რექტორები). სახალხო განათლების საქმე მტკიცე სახელმწიფოებრივ ნიადაგზე დადგა, ეკლესია-მონასტრებში გაიზარდა რიცხვი პირველდაწყებითი სკოლებისა (სიონი, მეტეხი, ანჩისხატი, კალოუბანი, ნეკრესი და ა. შ.).

1749 წ. განახლდა და ამუშავდა ქართული სტამბა, გაჩაღდა საგამომცემლო საქმიანობა. ამას უდიდესი კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა. მეფეები თეიმურაზი და ერეკლე მას ჯეროვან ყურადღებას აქცევდნენ. განახლებულმა სტამბამ, რომელმაც 1795 წლამდე იარსება, ფრიად დიდი როლი შეასრულა ქართული კულტურის ისტორიაში. ქართული წიგნების გამოცემაზე იღვწოდნენ იმ დროს ცნობილი მწიგნობრები (იოანე ოსეს ძე, ქრისტეფორე კეჟერაშვილი და სხვ.).

ერეკლეს კარზე საფუძველი ჩაეყარა თეატრს, რამაც, თავის მხრივ, განაპირობა ეროვნული დრამატურგიის განვითარება.

თეიმურაზი და ერეკლე დიდად იყვნენ დაინტერესებული კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობის გაცხოველებით და ყოველმხრივ ხელს უწყობდნენ ქართული კულტურის აღმავლობას, ქართული ლიტერატურის განვითარებას. აღსანიშნავია, რომ მათ დროს თბილისი წარმოადგენდა საკმაოდ მძლავრ კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრს, სადაც თავს იყრიდნენ არა მხოლოდ ქართველი მწერლები, არამედ მეზობელი ქვეყნების მგოსნებიც. ასე, მაგალითად, ერეკლე მეორის კარზე ერთ ხანს მოღვაწეობდნენ ცნობილი აზერბაიჯანელი პოეტები ვიდადი (1709 - 1809) და ვალიფი (1717 - 1797).

მე-18 საუკუნის შუა წლებიდან აღმავლობის გზას ადგება ქართული ლიტერატურა. ამ ხანის წერილობით ძეგლებში შეინიშნება ეროვნული მოტივის გაძლიერება, პატრიოტული განწყობილების წინა პლანზე წამოწევა, რეალისტური ტენდენციების ზრდა, თემატიკის გაფართოება, ვაჭრულ-ხელოსნური მოტივების შემოჭრა, რომანტიზმის ელემენტების წარმოჩენა, სატირის განვითარება და ცხოვრების მანკიერ მხარეთა მხილება, მგრძნობიერი ლირიკის აყვავება, ქართული ვერსიფიკაციის გასამდიდრებლად ხალხური

სიმღერების კილოს გამოყენება. შესამჩნევად ვითარდება ეპოსი, როგორც საგმირო (სირინოზიანი, ყარამანიანი, სეილანიანი), ისე რომანტიკული (მიჯნურთ ბადე), საზღაპრო (ჩარდავრიშანი, ვარშაყიანი) და დიდაქტიკურ-მორალური (თიმსარიანი, მელის წიგნი). გარკვეული წინსვლა ეტყობა საისტორიო მწერლობას (პ. ორბელიანი, ო. ხერხეულიძე), ლირიკას (თეიმურაზ მეორე, საიათნოვა, ბესიკი), დრამატურგიას (გ. ავალიშვილი, დ. ჩოლოყაშვილი).

ამ პერიოდში ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას ეწეოდა თეიმურაზ მეორე — ქართული საერო-მხატვრული ლიტერატურის თვალსაჩინო წარმომადგენელი. “რუსთველისებრ ხმატკვილობით” ამღერებდა თავის ლექსებს ბესიკი. ამავე ხანაში მოღვაწეობდნენ ლიტერატურულ ასპარეზზე სარდალი დავით ორბელიანი, მდივანბეგი მზეჭაბუკ ორბელიანი, მსაჯული სოლომონ ლიონიძე, მდივანბეგი ქაიხოსრო ანდრონიკაშვილი, მწერალი ქალი მანანა და სხვანი.

მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში მომრავლდნენ მგოსნები და მეხოტბენი, კარის ისტორიკოსები და მომღერლები. კარის მგოსნები გარს ერტყნენ თეიმურაზ მეორეს, ხოლო ერეკლეს საკუთრად ჰყოლია მგალობელ-მწიგნობრებიც. განვითარდა სახოტბო პოეზია. მეფეთა თუ ბატონიშვილთა ქებას თავი იჩინა როგორც მემატიანეთა (პ. ორბელიანი, ო. ხერხეულიძე), ისე პოეტების (ბესიკი, ამბროსი წილკნელი, დავით რექტორი და ა. შ.) შემოქმედებაში.

არისტოკრატიულ-მწიგნობრული ლიტერატურის გვერდით ვითარდება აშუღური პოეზიაც, რომლის შესანიშნავი წარმომადგენელი იყო საიათნოვა.

თეიმურაზისა და ერეკლეს დროს დამკვიდრებული ლიტერატურული ტრადიციის გავლენა გვიან ხანამდე შეინიშნება. მე-18 საუკუნის მიწურულისა და მე-19 საუკუნის დამდეგის ბევრი ქართველი მწერალი არსებითად ამ სახელოვან ტრადიციაზე აღიზარდა. გასაგებია, რომ მათს ლიტერატურულ ნაწერებში ასე ძლიერად იჩენს თავს ძველი ქართული მწერლობის ცხოველმყოფელი გავლენა.

მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში საკმაოდ გამოცოცხლდა და განვითარდა სასულიერო-საეკლესიო მწერლობაც, რომლის მეთაური ანტონ პირველი იყო. გაცხოველდა ქართულ-სომხური ლიტერატურული ურთიერთობა როგორც სასულიერო-საეკლესიო მწერლობის (ფ. ყაითმაზაშვილი, დ. ჩერქეზიშვილი), ისე საერო-მხატვრული ლიტერატურის სფეროში. მომრავლდა კალიგრაფთა სკოლები, გახშირდა ძველი ხელნაწერების აღდგენა და ახალი ნუსხების დამზადება.

რუსეთ-საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიური ურთიერთობის გაძლიერების შესაბამისად გაცხოველდა რუსულ-ქართული კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობა, გაიზარდა ინტერესი რუსული კულტურისადმი, რუსული ლიტერატურისადმი.

თეიმურაზ მეორე

თეიმურაზ მეორე დაიბადა თბილისში 1700 წელს. მამამისი იყო ქართლის მეფე ერეკლე პირველი (1688 — 1703), ხოლო დედა — ანა ჩოლოყაშვილი.

1703 წ. სპარსეთის შაჰმა ერეკლე ქართლის მეფობიდან გადააყენა, გაიწვია ისპაჰანს და ძველი სამფლობელოს ნაცვლად კახეთი და ყულარაღასობა (სასახლის გვარდიის სარდლობა) უბოძა. ერეკლე ბედს შეურიგდა და სპარსეთის დედაქალაქში დარჩა, ხოლო კახეთის მმართველობა მისმა ძემ დავითმა (იმამ-ყული-ხანმა) მიიღო. იმამ-ყული-ხანი იმთავითვე შეუდგა ლეკთა თარეშის ალაგმვას.

პატარა თეიმურაზი კახეთში იყო და იქაურ კულტურულ-ლიტერატურულ გარემოში იზრდებოდა. მართალია, თეიმურაზი თავის თავს “უსწავლელს” უწოდებს (“დღისა და ღამის გაზასება”, “გაზასება რუსთველთან”), მაგრამ ეს თავმდაბალი პოეტის მორიდებული განცხადებაა. თეიმურაზის ლიტერატურული მემკვიდრეობა საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ მას საკმაოდ კარგი განათლება მიუღია, კერძოდ, ღრმად შეუსწავლია ძველი ქართული სასულიერო-საეკლესიო მწერლობა და საერო-მხატვრული ლიტერატურა, ღვთისმეტყველება და საეკლესიო ისტორია, გაუვლია საერო-სარაინდო წვრთნა, გაწაფულა სამხედრო ხელოვნებაში, ახლოს გასცნობია ხალხის ცხოვრებას, მის ადათებსა და ზნე-ჩვეულებებს.

თეიმურაზმა ცოლად შეირთო ვახტანგ მეექვსის ასული თამარი, რითაც, რამდენადმე, გაუმჯობესდა ურთიერთობა ქართლსა და კახეთს შორის.

თეიმურაზი ადრევე ჩაება ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. სპარსეთში მყოფი ერეკლე I მალე გარდაიცვალა. დავითი ისპაჰანის გზას გაუდგა (1711 წ.), ხოლო კახეთის გამგედ თეიმურაზი დატოვა. უფლისწულის მცირეწლოვანების გამო ერთ ხანს სამეფოს დედამისი განაგებდა.

1715 — 1722 წლებში კახეთს ისპაჰანიდან დაბრუნებული დავითი მართავდა. თეიმურაზი მხარში ედგა თავის ძმას და აქტიურად მონაწილეობდა საქვეყნო საქმიანობაში.

დავითის გარდაცვალების შემდეგ კახეთის ტახტის გამო ცილობა შეიქნა, ზოგი თეიმურაზს უჭერდა მხარს, ზოგი მის ძმას კონსტანტინეს (მამად-ყული-ხანს).

1723 წელს შაჰმა კახეთის მეფედ კონსტანტინე დანიშნა. მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა. ლეკთა თარეშმა იმატა. თავგასულ მეზატონეთაგან შევიწროებული და გამწარებული გლეხობა ზოგჯერ თავისი მოსახლე ლეკების მხარეზეც კი გადადიოდა. ქვეყანა ნადგურდებოდა. ოსმალნი მიეძალნენ კახეთს, მოკლეს კონსტანტინე, დაარბიეს მოსახლეობა. თეიმურაზი ფშავს გაიხიზნა და რუსეთს წასვლას აპირებდა, მაგრამ კახელებმა თელავს დააბრუნეს (1731 წ.). მან მოახერხა ოსმალთა მეთაურთან საერთო ენის მოძებნა:

ისაყ-ფაშამ თბილისს მოიწვია, “კეთილად შეიწყნარა და წარავლინა კვალად კახეთსავე, რათა დაადგრეს ერთგულებასა ზედა და იყოფებოდეს თელავს”.

ამასობაში სამოქმედო ასპარეზზე გამოჩნდა ნადირ-შაჰი, რომელმაც ოსმალთა წინააღმდეგ აქტიური ბრძოლა გააჩაღა. თეიმურაზი ნადირ-შაჰს მიემხრო. თეიმურაზსა და მის დასს, ოსმალთაგან შევიწროებულ ქართველობას სპარსეთის ბატონობა, შედარებით, მსუბუქ უღლად და ნაკლებ ბოროტებად მიაჩნდა, მაგრამ მალე გამოვლინდა “ყიზილბაშობის” ნამდვილი სახე, რის შედეგად გაძლიერდა ქართველთა ბრძოლა თვითმყოფობისათვის.

1737 წელს თბილისისა და ქართლის სპარსელმა მმართველმა სეფი-ხანმა თეიმურაზი მზაკვრულად მიიწვია გორში, შეიპყრო და უცხოეთის შორეულ გზას გაუყენა. მწარედ მოტყუებული, სამშობლოსა და ოჯახს დაშორებული თეიმურაზი გულისტკივილითა და მწუხარებით მოგვითხრობს: ნადირ-შაჰის მიერ “საქართველოს მცველად” დადგენილმა სეფი-ხანმა “ზაკვით მიგვინდო”; შეგვიპყრო მე, ამილახვარი, ერისთავი და სხვანი და “ხელ-ხუნდებით” სპარსეთს გაგვისტუმრა. ჩაგვიყვანეს ისპაჰანს. სიკვდილს ველოდით, მაგრამ გადავრჩით; “ღმერთმან დაგვდვა საფარველი”, თუმცაღა მცირე ხანს გაგრძელდა ჩემი სიხარული; “სოფელმან უარესი მოაწია განსაცდელი”, შაჰმა შვილები მომთხოვა, კახეთში ჩაფარი გაგზავნა და ჩემი ქალ-ვაჟი დაიბარა. გულის სიღრმიდან ამოხეთქილი სიტყვებით გოდებს თეიმურაზი:

სხვა ძე არ მყვანდა, გასინჯეთ, ვინც იყოთ კაცი ბრძენია,
აღარვინ მრჩება ოჯახში, ვით მოვითმინო, ძნელია?!¹⁸⁸

ნადირ-შაჰმა თეიმურაზი ყანდაარს წაიყვანა, აჩვენა “ავი გზებია”, განაცდევინა “გზაზედა სიცხე და სიცივებია”. მალე მამათს მისი შვილები ქეთევანი და ერეკლე ჩაიყვანეს. მამას თავზარი დაეცა, “დაუწყლულდა გული მრთელია”. მას განსაკუთრებით ის აწუხებდა და აღელვებდა, რომ “უმკვიდროდ გახდა კახეთი”. შაჰმა ქეთევანი თავის ძმისწულს მიათხოვა, ხოლო ერეკლე თან იახლა ინდოეთის ლაშქრობაში...

მძიმე მდგომარეობა მალე შეიცვალა: 1738 წელს ნადირ-შაჰმა თეიმურაზი გამოისტუმრა და მისცა კახეთი. ამ ფაქტს გულისხმობს პოეტის სიტყვები: “ჯერ მფლობელ მყო კახეთისა, მერმე ქართლში მემკვიდრობით”.

თეიმურაზმა ენერგიულად მიჰყო ხელი კახეთის მართვას, წარმატებაც მოიპოვა — ქართლის ტახტი მიიღო. ქართველთა აჯანყებებით თავმობეზრებულმა და რუს-ქართველთა ურთიერთობის გაცხოველებით შემფოთებულმა ნადირ-შაჰმა 1744 წელს ქართლი თეიმურაზს მისცა, ხოლო

¹⁸⁸ ვსარგებლობთ თეიმურაზ მეორის თხზულებათა სრული კრებულით, რომელიც 1939 წელს გამოაქვეყნა გ. ჯაკობიამ.

კახეთი — მის ვაჟს, ერეკლეს დაუმკვიდრა. ეს იყო ქართველ მამულიშვილთა დიდი გამარჯვება. “ყიზილბაშობა” დამარცხდა, ნადირ-შაჰმა თავის ჯიქურ პოლიტიკაზე ხელი აიღო და ქართული წესწყობილება აღადგინა, “ქართველობა შეიქმნა”. ამ ფაქტს პოეტი ორიოდ სიტყვით გვაუწყებს:

ღმერთმან მომცა ეს სიმაღლე ნადირ-შაჰის მიზეზობით,
ჯერ მფლობელ მყო კახეთისა, მერმე ქართლში მემკვიდრობით,
კახეთშია ჩემს ძეს დასვამს, — ერეკლესა, — მეფედ ხმობით.

ქართველთა სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. კარგა ხნის მანძილზე ქართლის ტახტზე ქრისტიანი მეფე აღარ ასულა, თითქმის საუკუნის განმავლობაში ქართლი სპარსეთიდან თუ ოსმალეთიდან მოსულ მაჰმადიან მმართველებს ან გამაჰმადიანებულ ქართველ ბაგრატიონებს ეპყრათ. ამიტომაც თეიმურაზის ქართლის მეფედ კურთხევა ეროვნულ დღესასწაულად გადაიქცა.

აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიაში ახალი ხანა დაიწყო, ქართლ-კახეთი არსებითად გაერთიანდა მამა-შვილის ხელში. თერმურაზისა და ერეკლეს ბრძნული პოლიტიკით, შეთანხმებული საქმიანობითა და გონივრული მმართველობით მდგომარეობა საგრძნობლად გამოსწორდა, ქვეყანა აღმავლობის გზას დაადგა. თავდაცვისუნარიანობის გაზრდამ და მოძალებული მტრის მრავალგზისმა დამარცხებამ ქართლს, ნაწილობრივ, აღუდგინა ძველი სახელი.

ვიყავ ქართლშიგან, მტრისაგან ერთს ალაგს ვერ დავდგებოდი,
იქით და აქით მუდამით ვლამქრობდი, ვიარებოდი,
ავისა დროს და ჟამისგან ჯარშიგან ვიარებოდი, —

აღნიშნავდა პოეტი და, მართლაც, დღენიადაგ ქართლის კეთილდღეობის სადარაჯოზე იდგა და მის დაცვასა და ძლიერების განმტკიცებაზე ზრუნავდა.

ქართველთა ორიენტაცია რუსეთზე სულ უფრო და უფრო შესამჩნევი ხდებოდა. თეიმურაზი და ერეკლე გარეგნულად სპარსული ორიენტაციის გზას ადგნენ, სინამდვილეში კი რუსეთისაკენ ისწრაფოდნენ. წინააღმდეგ რეაქციული წრეებისა, რომლებიც სპარსეთსა თუ ოსმალეთს ემხრობოდნენ, ქართლ-კახეთის მეფეები საქართველოს დამხმარედ მხოლოდ რუსეთს თვლიდნენ. მათ კარგად იცოდნენ, როგორ დაისაჯა კახეთი ალექსანდრე მეორისა და თეიმურაზ პირველის რუსეთისაკენ სწრაფვის გამო, ნათლად ახსოვდათ, რა დღე დაადგა რუსეთთან კავშირისათვის ვახტანგ მეექვსეს, მაგრამ, მწარე გაკვეთილების მიუხედავად, თეიმურაზმა და ერეკლემ სპარსეთ-ოსმალეთის გარემოცვის პირობებში კვლავ რუსეთი აღიარეს საიმედო ძალად. მათი სამართლიანი დასკვნით, ქართველთა თვითმყოფლობის შესანარჩუნებლად აუცილებელი იყო რუსეთთან მჭიდროდ დაკავშირება. თეიმურაზი და ერეკლე გრძნობდნენ, რომ კულტურულად და ეკონომიურად

ჩამორჩენილი მაჰმადიანური აღმოსავლეთის საპირისპიროდ რუსეთი ერთადერთი ძალა იყო, რომლის მფარველობითაც ქართველობას შეეძლო ეროვნულ-კულტურული თვითმყოფობის შენარჩუნება.

თეიმურაზმა ადრევე დაამყარა კავშირი ჩრდილოეთის ერთმორწმუნე ქვეყანასთან და არა ერთი ელჩი გაგზავნა რუსთა სამეფო კარზე (1736 წელს — როსებ გიორგის ძე, 1752 წელს — ათანასე ამილახვარი და ა. შ.), ხოლო 1760 წელს თვითონ გაემურა პეტერბურგისაკენ.

ქართლის მეფის რუსეთის საზღვრებში გამოჩენამ პეტერბურგის სამეფო კარზე დაბნეულობა გამოიწვია: რუსეთი შვიდწლიან ომში იყო ჩაბმული და ოსმალეთის გაღიზიანებას ერიდებოდა; ქართლის მეფესთან კეთილ დამოკიდებულებას შეეძლო უარყოფითი გავლენა მოეხდინა რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობაზე... თეიმურაზი კარგა ხანს ყიზლარში გააჩერეს, შემდეგ ასტრახანში გადაიყვანეს და მთელი შემოდგომა იქ აცდევინეს.

დიდი წვალეების შემდეგ თეიმურაზი ჩავიდა პეტერბურგში და რუსეთის სამეფო კარს სპარსეთის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის გეგმა წარუდგინა, მაგრამ ამას სასურველი შედეგი არ მოჰყოლია...

ელისაბედ პეტრეს ასულმა პატივით მიიღო ქართლის მეფე. თეიმურაზი ახლოს იყო სამეფო კართან, მონაწილეობდა იქაურ საზეიმო შეკრებულებებში, ესწრებოდა სპექტაკლებსაც (პეტერჰოფში) და ა. შ. 1761 წლის 21 ივნისს იგი სწვევია რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სტამბას, სადაც მისი თანდასწრებით ქართულად და რუსულად აუწყვიათ და დაუბეჭდავთ მცირე ზომის ტექსტი — მისალმება თეიმურაზისადმი¹⁸⁹.

თეიმურაზი მოულოდნელად გარდაიცვალა პეტერბურგში 1762 წლის 8 იანვარს. მისმა მხლებლებმა ცხედარი “წარმოსვენეს მცხეთას დასაფლველად”, მაგრამ მგზავრობა გახანგრძლივდა. ამან გამოიწვია თავდაპირველად მიღებული გადაწყვეტილების შეცვლა. ქართლის მეფის ნეშტი დაკრძალეს ასტრახანის იმ ტაძარში, რომელშიც ადრე (1737 წ.) ვახტანგ მეექვსემ პოვა სამუდამო განსასვენებელი.

თეიმურაზ მეორე ქართული ლიტერატურის თვალსაჩინო წარმომადგენელია. მართალია, მას ერთობ რთულ ხანაში მოუხდა მოღვაწეობა, მაგრამ კულტურულ-ლიტერატურული ინტერესები არასოდეს შენელებია. ერთ თავის თხზულებაში თეიმურაზი მართებულად შენიშნავს: “ვსწერდი ცხენს მჯდომი, ვლაშქრობდიო”. მართლაც, მას სულ ლაშქრობა და ბრძოლა უხდებოდა. მიუხედავად ამისა, მაინც პოულობდა დროს ლიტერატურულ-შემოქმედებითი მუშაობისათვის.

თეიმურაზის სახელით ჩვენამდე მოღწეულია მრავალფეროვანი ლიტერატურული მემკვიდრეობა. მართალია, მისი ყოველი ნაწარმოები ერთნაირი მხატვრული ღირსების არაა, ყველა ერთგვარად არ იზიდავს მკითხველს, მაგრამ მისი ცალკეული ლექსები, უფრო კი პოემები გარკვეულ

¹⁸⁹ ქართული წიგნი, I, 1941, გვ. 53.

ინტერესს იწვევს¹⁹⁰.

თეიმურაზის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს “დღისა და ღამის გაბაასება”, ანუ “სარკე თქმულთა”. ესაა თეიმურაზის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწარმოები. პოემაში 800-ზე მეტი სტროფია. ის არსებითად ორ ნაწილად იყოფა, ერთია საღმრთო (1 — 429 სტროფები), ხოლო მეორე — საერო (430 — 825 სტროფები). პირველ ნაწილში გალექსილია ბიბლიური ეპიზოდები და სხვა სასულიერო-საეკლესიო ამბები, ხოლო მეორეში საკმაო სისრულითა და ზედმიწევნითი სიზუსტით აღწერილია საქართველოს ზნე-ჩვეულებანი.

“სარკე თქმულთას” წინ უძღვის პატარა შესავალი, რომელშიც ავტორი ვრცლად მსჯელობს ღვთისმეტყველების საკითხებზე, ავლენს ჯეროვან განათლებასა და მომზადებას ამ სფეროში, გვაცნობს თავის რელიგიურ განწყობილებას. ავტორი ძალზე მორიდებითა და კრძალვით იწყებს მეტყველებას:

მით ხელგჳყო აღძრვად სიტყვათა ვერ სიბრძნის ღირსმან სწავლობით,
ვერცა ღრმად გამომეტყველი რიტორებრ ენა მრავლობით?
ვბედავ კრძალვით და რიდობით გამოთქმად, ართუ მძლავრობით,
ვადიდებთ ერთ-არსებითა ჩვენ ღმერთსა სამ-ბრწყინვალობით.

მწერალი გრძნობს, რომ მისთვის ძნელია საღმრთო საკითხებზე მსჯელობა და წერა, რომ მას არ ძალუძს სამების ჯეროვანი შექება და შესაფერისი შესხმა, მაგრამ სურს, შეძლებისდაგვარად, გამოთქვას თავისი აზრი, ლექსად გააწყოს საღმრთო ისტორიის მოთხრობანი:

მე უსწავლელმან ვითა ვსთქვა აწ შესხმა სამებისანი?
მის სიმაღლესა ვერ მისწვდეს სრულ ბრძენნი ხმელეთისანი,
რაც მეძლოს, მით ვსთქვა, ვით მესმნეს, წერილთა მოთხრობისანი.

როგორც ვთქვით, თეიმურაზი ძალზე ბოდიშობს და მოტყვევებს ითხოვს ღვთისმეტყველების საკითხებზე მსჯელობის გამო, თავი ერთობ უღირს და შეურაცხ პირად მიაჩნია, მაგრამ ის დამაკმაყოფილებლად ძლევს თავის ამოცანას, ამჟღავნებს საღმრთო წერილის საფუძვლიან ცოდნას. პოეტი გრძნობდა თავისი ნაწერის ნაკლს და მკითხველის ყურადღებას მისი მუშაობის პირობებზე მიაქცევდა:

მინდა აღმოვსთქვა მცირე რამ არა სიბრძნისა სადარი,
თუცა დამცალდა სოფლისგან, ან დღე მომეცა სადარი,
არ მოგეწონოსთ, იკითხეთ: “ესე ნათქვამი სად არი?”
ვსწერდი ცხენს მჯდომი, ვლამქრობდი იქით და აქეთ, სად არი!

¹⁹⁰ ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, ნარკვევები, II, გვ. 466 — 473; ვ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ქართული ლიტერატურის ისტორია, 114, გვ. 472 — 476, 605 — 616.

თეიმურაზმა ერთმანეთს გააბაასა დღე და ღამე და მათი ღირსება-
ნაკლოვანებანი გამომზეურა, მათი დადებითი და უარყოფითი მხარეები
გამოავლინა:

აწ დაიწყებს თეიმურაზ არ კახურად ტრაბახებსა,
ვინც ყურს უგდებს ამ ლექსებსა, ნახავს კაის სანახებსა,
შურს ჩაუგდებს დღე-ღამესა, ერთმანეთზე აჯახებსა.

იწყება დღისა და ღამის კამათი და პაექრობა, ბაასი და შერკინება. დღე
მედიდურად მიმართავს ღამეს: მე ღმერთმა გამაჩინა და მითხრა: “იყავნ
ნათელი”, მანვე მიწოდა სახელად დღე, შენ კი ძველთაგანვე ბნელი ხარ
 (“ყოფილხარ პირველ ბნელობით”). კამათის მთავარი თეზაა: “დღეს დაეწესა
ნათელი, ღამეს — სიბნელის წესობა”.

ღამე არ უარყოფს, რომ ღმერთმა დღე “ნათლად დაბადა” და თვით “შავი
ნაღებია”, მაგრამ ისიც “ღვთისაგან გამონაღებია” და “არ ეთქმის უდარესობა”.
თუმცა დღეს წილად ხვდა მზე, ღმერთმა მე ექვსი და მომცაო (მთვარე,
ოტარიდი, მუშთარი, ზუალი, ასპიროზი, მარიხი), აგრეთვე “სხვანი მრავალნი
ვარსკვლავნიო”.

დღე არ უთმობს, “მზესა სხვათ მნათობთ რით ადრიო”, აქებს და
ადიდებს მზეს, რადგან ის “ბნელს განანათლებს, ადღეებს ბრწყინვალეებითა
თვისითა”. დღე კატეგორიული ტონით მიმართავს ღამეს:

უზესთაესი მზე არის, ნუ ხარ ამაზე წყენითა,
რიტორნი, ფილოსოფოსნი აქებენ შუქთა ფენითა.

ციური მნათობების შეფასებაში დღე და ღამე ვერ თანხმდებიან და ამ
საკითხზე კამათს წყვეტენ. ამის შემდეგ ისინი მორიგეობით ყვებიან “რაც
ღვთისგან კეთილი მომხდარა დღით თუ ღამით”, კერძოდ, ჩამოთვლიან
საღმრთო ისტორიის მნიშვნელოვან ფაქტებს, რომელთაც დღისით ან ღამით
ჰქონიათ ადგილი.

დღე იგონებს ადამის გაჩენას, ევასა და ადამის შეცდომას, წყლით
რღვნას, ისაკის შეწირვას, იაკობის კურთხევას, იობის ამბავს, ელიას
ამაღლებას, ზაქარიას დადუმებას, უფლის მირქმას, ლაზარეს აღდგინებას,
იერუსალიმს შესვლას, სერობას, ჯვარცმას, აღდგომას, განრღვეულისა და
ბრმის განკურნებას, ამაღლებასა და სულისწმიდის მოსვლას; ღამე იგონებს
კაენისაგან აბელის სიკვდილს, ლამექისაგან კაენის სიკვდილს, ისრაელთ
ამბავს, ხარებას, უფლის შობას, ნათლისღებას, ფერისცვალებას, ვნებას,
გარდამოხსნასა და დაფლვას, გვერდის განხილვას, ღვთისმშობლის
მიცვალებას.

საგულისხმოა, რომ დღე და ღამე არა მხოლოდ ჩამოთვლიან

ზემოდასახელებულ ამბებს, არამედ ზოგჯერ საკმაოდ მკაცრად ჰკიცხავენ ერთმანეთს და ბრალს სდებენ ამა თუ იმ დანაშაულში. მაგალითად, ღამე დღეს შენიშნავს დღისით მომხდარი დადებითი ფაქტების განდიდებას და იმავე პერიოდში ჩადენილ დანაშაულობათა მიჩქმალვას:

მართლა თქვი, დღეო, დღისითა ადამ შეიქმნა ღვთისაგან,
ისევ დღისით სცთენ ორნივე, ჭამეს მის ნაყოფისაგან,
დღით დაემართათ ღვთის წყრომა, განვარდენ სამოთხისაგან.

ადგილი აქვს თავის მართლებასაც. მაგალითად, დღე მიიჩნევს, რომ მას არავითარი დანაშაული არ მიუძღვის კაენის მიერ აბელის მოკვლაში. ის აღშფოთებით ეუბნება ღამეს:

ბნელო, დღისა რა ბრალია — კაენ იყოს ძმისა მკვლელი?
იცი ბევრი ნაცილები, შენ ხარ, დიად, ავის მთქმელი,
რამდენიც სთქვა, ვერ იქნები შენ სიტყვათა ჩემთა მშლელი.

დღე დარწმუნებულია თავის უპირატესობაში და ღამის მსჯელობა დროს დაკარგვად მიაჩნია. ის ერთგვარი დაცინვის კილოთი ესაუბრება ღამეს:

ღამევ, თუცა შენი საქმე ჩემს საქმესთან ვერ მისწვდების,
ენა ცუდად დაგიშვრების ბევრის ლიქნით, დაგიდგების,
რამდენიც სთქვა ბევრი სიტყვა, ჩემთან ვერა გამოჩნდების.

ამის შემდეგ კვლავ დღე ბაასობს შვიდი საიდუმლოს, ათი მცნებისა და ცხრა ნეტარების შესახებ, საკმაო სისრულით გვაცნობს შვიდივე საეკლესიო კრების ისტორიას. სასულიერო-საეკლესიო საკითხებზე მსჯელობის დასასრულს დღე აცხადებს:

მე დავასრულე საღმრთო და სიტყვა ვთქვი მოსაწონიო,
მართალი, სულ ჭეშმარიტი, კარგი რამ გასაგონიო,
მთლივ მითქვამს სიტყვა სწორეთა, რა დამრჩა მოსაგონიო,
საღმრთო გათავდა, აწ, ღამევ, მოგიყვე საერონიო.

კამათი გრძელდება. დღე თავის სიკეთეს წარმოაჩენს, დღისით წარმოებს მართლმსაჯულებათ. დღისით “მსაჯული დაჯდების სამართალშია”, გულდასმით განიხილავს საქმეს, “მართალს არ გარევეს ბრალშია”, ღამით კი ადგილი აქვს ბოროტებას და დანაშაულებრივ ქმედობას:

ბევრი ქურდობა და სიძვა, რამდენი ქმნილა ბნელობას,
სისხლი უბრალო კაცისა დათხევით მისცენ მკვლელობას,
დღისით ამაებს სამართლით გაწმინდენ ახალს ძველობას.

ღამე თავს იმართლებს: დღისითაც არანაკლები ბოროტება ხდება და მე რა შუაში ვარო:

დღეო, რას მოჰკვებ, მსაჯულმან დღითა ქნას სამართლობანი?
დღისით იქნების ჩხუბი და ყოვლფერი ავკაცობანი,
შური ასტყდების ღვინისგან, რა შეიქნება თრობანი,
დღით მოვა, დღითვე განწმდება, ეს არის სწორე თხრობანი.

ღამე საგანგებოდ აღნიშნავს თავის უპირატესობას: დღისით შრომით გადაღლილი მუშაკი ღამით ისვენებსო (“ღამით დაწვების მაშვრალი, ძილი აქვს, მოსვენება-და”).

დღე ამაყად განაგრძობს კამათს. მისი მტკიცებით, “დღისით იქნების განცხრომა, ლხინი და ნადირობანი”, დღისით აქვს ადგილი გალობას, ზმობას, სიმღერას, ფალავანთა ჭიდებას, ჯამბაზობას, ბაღში სეირნობას, ყვავილთა მშვენებითა და სურნელებით დატკობას და ა. შ.

ღამე კვლავ თავს იქებს და თავმომწონედ აცხადებს: “ღამით აღსრულდეს კურთხევით ყმა-ქალის ქორწინებანი”, რაც ყველაზე დიდი ბედნიერებააო. ის დეტალურად აღწერს ქორწინების წესებს (ნიშნების მირთმევა ქალისათვის, სიძის მოპატიჟება, საპატარძლოს მორთვა, სიძისა და პატარძლის ერთად დასხდომა, ღამის ლხინი, სასიძოს შინ წასვლა, საქორწილო მზადება, სიძის მოსვლა მაყრებით, ჯვრისწერა, ქორწილი, ლხინი, ზმობა, შაირობა, გალობა, დედოფლის პირის ახდა, მზითვის წიგნის კითხვა, ქალის წაყვანა, ვაჟის სახლში მისვლა და ქორწილი და სხვ.). აღნიშნული წესების ვრცელმა აღწერილობამ შეაწუხა დღე:

მეცა მომიგდე აწ ყური, რა არის ცუდი მზობანი?
უდღეოდ, მარტო ღამითა, რით იქნას ქორწილობანი?
უჩემოდ როგორ მოხდების ქორწილი ან ძეობანი?

ქორწილისა და ძეობის “რაც რომ რიგია”, “დღისით მოხდების”. ვიდრე დაღამდება, “მათი საქმე მე გავარიგია”, “ლხინსა და გაჭირვებაში კაცისთვის ბევრი მირგიაო”, — ურთავს დღე. მართალია, ქორწილი ღამითაა, მაგრამ დღისითაც ბევრი რამ კარგი ხდება.

როდის იყო, თუ არ დღისით, ვაჟკაცთ ცხენზე ზნეობანი?
გითხრა სროლა ყაბახისა, მოჭირვებით ბურთობანი.

ამის შემდეგ დღე აღწერს ყაბახსა და ბურთაობას, აშფაშაგის სროლას, ნადირობას და ა. შ. ხოლო ღამე თავს იწონებს იმით, რომ მიჯნურობა უფრო ღამით იბადება, სიყვარულს, მეტწილად, ღამით ეყრება საფუძველი. აქ ის

მოკლედ გადმოგვცემს ცნობილ საერო-მხატვრულ ნაწარმოებთა (“ვეფხისტყაოსანი”, “ვისრამიანი”, “იოსებზილიხანიანი”, “ლეილმაჯუნუნიანი”, “ვარდულებულიანი”, “შამფარვანიანი”) გმირების სამიჯნურო-სატრფიალო თავგადასავალს.

მოპაექრენი არ ცხრებიან, ბაასი და ურთიერთის კილვა კვლავ გრძელდება. დღე კიდევ აძლევს ღამეს სიტყვის თქმის შესაძლებლობას:

მე დამიცლია, თქვი, ბნელო, რაც დაგრჩომოდეს ყველათა,
რაც იცი, სრულ დაასრულე, მოჰყევ ამბავსა გრძელათა.
როს გაათავებ, ერთს კიდევ გეტყვი, ვიხმარებ ენათა,
სულ გაგამტყუენებ, ბოლოს დროს შეიქნა თავშეწყენათა.

დღე თავს გამარჯვებულად თვლის და სიამაყით აცხადებს: “მე ნათელი ვარ, შენ — ბნელი, — ეს ჩემად ქებად კმარია”.

თხზულების ავტორი თითქოს გვერდზე დგას და მოწინააღმდეგეთა კამათში არ ერევა, თითქოს მიუდგომლობის დაცვას ცდილობს და მკითხველს ანდობს მსჯავრის გამოტანას, დღისა და ღამის უპირატესობის გარკვევას, მაგრამ მისი პოზიცია ზემომოტანილ სიტყვებში ნათლად მჟღავნდება — თეიმურაზი უპირატესობას დღეს ანიჭებს. ამ თვალსაზრისით საინტერესოა აგრეთვე მისი სხვა გამონათქვამიც: “დღე მზიანი შვენებითა, ვით ესწოროს ღამე ბნელსა”.

ნაწარმოები სრულდება შემდეგი სტროფით:

აწ დავასრულოთ დღისა და ღამისა ბაასობანი,
ეს კმარა საჩხუბავადა, ისევ მათ უჯობს წყობანი,
მეც მომეწყინა ლაყაფი ბევრი, ამ სიგრძე თხრობანი,
გავათავე და კიდევცა მეყო ამ ლექსთა მბობანი.

“დღისა და ღამის გაბაასება” მრავალმხრივ საყურადღებო ნაწარმოებია. მართალია, მისი პირველი ნაწილი (საღმრთო) თემატურად და იდეურად დღეს საინტერესო აღარაა, სამაგიეროდ მეორე ნაწილი, რომელშიც ძველ ქართველთა ყოფაცხოვრებითი მხარეები, მათი წეს-ჩვეულებანია აღწერილი, ერთობ მნიშვნელოვანია. ქართველი საზოგადოებისათვის ცნობილი იყო ანალოგიური საკითხებისადმი მიძღვნილი თხზულება, — “საქართველოს ზნეობანი”, — მაგრამ ის, რაც არჩილის ნაწარმოებში მხოლოდ მოხსენიებული, აღნუსხული და სქემატურად ჩამოთვლილი იყო, თეიმურაზის “გაბაასებაში” ხორცმესხმული, დასრულებული სახითაა წარმოდგენილი და ვრცლადაა აღწერილი.

თეიმურაზი გულდასმით ჩაჰკვირვებია და გასცნობია თავისი ხალხის ცხოვრებას, თავის თანამემამულეთა წეს-ჩვეულებებსა და ზნეობრივ კანონებს და დეტალურად აღუწერია ქართველი საზოგადოების ყოფაცხოვრებითი

ვითარება. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ასე უხვად და ასე სრულად ქართველთა შესახებ ეთნოგრაფიული მასალა არც ერთ სხვა ძეგლში არა გვაქვს. ამდენად ამ ნაწარმოების მნიშვნელობა ძველ ქართველთა ყოფა-ცხოვრების შესასწავლად, ძალზე დიდია. “გაბაასება” ამ მხრივ პირველხარისხოვანი წყაროა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თეიმურაზი, უმთავრესად, ფეოდალური საზოგადოების ზედა ფენის წეს-ჩვეულებებს გვაცნობს და მის ყოფა-ცხოვრებას გვიხატავს. ესაა ის ფენა, რომელიც ნადირობასა და ნადიმში, ლხინსა და თამაშში ატარებდა დროს, სწორედ ამ ფენისათვისაა დამახასიათებელი “გაბაასებაში” აღწერილი ზოგიერთი წეს-ჩვეულება (გაუთავებელი ლხინი და ნადირობა, დიდებული ქორწილი, მდიდრული მზითვი და სხვ.).

საგულისხმოა, რომ თეიმურაზი, მეტწილად, კახეთის ეთნოგრაფიულ-ყოფაცხოვრებით სურათებს იძლევა. ამას ის თვით გვანიშნებს ნადირობის ერთი სახის აღწერისას:

არვინ იცის სხვას ქვეყანას, თუ არ კახეთს, კნავილობა,
კახეთშიგან შემოსულა ეს, ამგვარი ნადირობა.

თეიმურაზის “გაბაასება” ორიგინალური, ეროვნული, ქართულ ნიადაგზე აღმოცენებული ნაწარმოებია. შეიძლება მისი ავტორი იცნობდა სპარსულ ენაზე არსებულ ანალოგიურ თხზულებას, რომელიც ასადი ტუსელს (XI ს.) ეკუთვნის, მაგრამ ეს გარემოება “გაბაასებას” ოდნავადაც არ აყენებს ჩრდილს. თეიმურაზის ნაწარმოების სპეციფიკური თავისებურება (ქრისტიანული ტენდენცია, საეკლესიო ისტორია, ეთნოგრაფიული მასალა) უცილობლად ადასტურებს მის ორიგინალობას. არაა გამორიცხული, რომ თეიმურაზი იცნობდა ბიბლიური ეპიზოდების გალექსვის სხვა ქართულ ცდებსაც (მაგალითად, დ. ორბელიანისა და სხვ.), მაგრამ გავლენაზე ლაპარაკი აქაც ზედმეტია: თეიმურაზის უშუალო წყარო ბიბლიაა, მას უფრო სრულად და უფრო ვრცლად აღუწერია ბიბლიური ეპიზოდები, ვიდრე მის წინამორბედებს.

“გაბაასების” დათარიღებაში ერთგვარ სამსახურს გვიწევს ტექსტის სრული სათაური, რომელიც ზოგიერთ ხელნაწერშია შემონახული: “დღისა და ღამის გაბაასება, თქმული მეფის ერეკლეს ძის, მეფის თეიმურაზისაგან, რომელი იქმნა ცხებული შემდგომად წელიწადისა ცხრისა თქმისა ამისა. აწ წიგნსა ამას ეწოდების სარკე თქმულთა”. მართალია, ეს არაა ავთენტური ცნობა და გვიანდელი ხანისა ჩანს, მაგრამ მას მაინც აქვს გარკვეული მნიშვნელობა. აქედან ვგებულობთ, რომ “გაბაასებას” შემდგომში “სარკე თქმულთა” ეწოდა. აქედანვე ირკვევა, რომ აღნიშნული ნაწარმოები დაწერილია თეიმურაზის “ცხებამდე” (1. X. 1745) ცხრა წლით ადრე, ე. ი. 1736 წლის ბოლოს.

აქვე უნდა მოვიხსენიოთ ერთი პატარა ლირიკული ფრაგმენტი, რომელიც ზოგიერთ ხელნაწერში მოსდევს “გაბაასებას”. ესაა 14-სტროფიანი ლექსი, რომელიც თეიმურაზის ავტობიოგრაფიული ხასიათის ცნობებს

შეიცავს, კერძოდ, გვაცნობს სეფი-ხანის მიერ თეიმურაზის შეპყრობას (1737 წ.) და მასთან დაკავშირებულ ამბებს. აღნიშნული ნაწარმოები თეიმურაზს დაუწერია ყანდაარში ყოფნის დროს, 1738 წელს, როგორც ეს ირკვევა ავტორის უკანასკნელი სტროფით:

ვიყავ ყანდაარს მჭმუნვარე, არა გულითა ლხინობით,
ვსთქვი ლექსი მცირე რაიმე სევდისა მოსათმინობით;
იქ დავასრულე, ვინც ნახოთ, ნუ ვინ იქნებით წყინობით,
მაშინ ჯდა ქორონიკონი: უნი, კანი და ვინობით.

გარკვეულ ინტერესს იწვევს თეიმურაზის “ქება სრისა”. ნაწარმოებს უძღვის პატარა შესავალი, რომელშიც ავტორი კვლავ სასულიერო-საეკლესიო თემებზე მსჯელობს და თავს ღვთისაგან დიდად დავალებულად აცხადებს (“რაც ამ სოფელსა ღმრთისაგან მომეცა წყალობანია, არ ძალმიცს მისად სანაცვლოდ შევსწირო მადლობანია”). კერძოდ, ღვთის წყალობად მიიჩნევს ის ქართლის ტახტის მიღებას და მცხეთაში კურთხევას. ქართლში მოსვენებული არ ვიყავ, ხშირად ბრძოლა მიხდებოდა მომხდურ მტერთან, მაგრამ ზოგჯერ მშენებლობას ვეწეოდი, სასახლეებს ვაგებდი და იქ ვილხენდი კიდევო. მას, თითქოს, “სევდისა მოსაქარვებლად” დაუწყია სასახლის შენება. პოეტი წერს:

ავაშენებდი სასახლეს, საწოლსა აივანებით,
შემკული ზევით-ქვევითა ლამაზად ბალახანებით,
შუაზედ აინახანა დახატვით მიჭვრიტანებით,
ეს შევასრულე სალხინოდ, შიგ ვსვემდი დოსტაქანებით.

თეიმურაზი სიყვარულით იგონებს და დეტალურად აღწერს ქართლის მეფეების — როსტომის, ერეკლე პირველისა და ვახტანგ მეექვსის სასახლეებს. მის აღწერილობაში ერთობ მრავლადაა საინტერესო და საყურადღებო ცნობები.

თეიმურაზმა თავისი ცხოვრების გზაზე მრავალი უსიამოვნება აიტანა, მან კარგად გაიცნო წუთისოფლის არსი, რის შედეგად სასახლე, დიდება და პატივი ეპიზოდურად, წარმავალად და არამარადიულად მიიჩნია:

ამ ცრუმ სოფელმან არ იცის ბოლოსა გატანებაო,
მეფენიცა და სრებიცა სრულ ყველა განქარდებაო,
ვითარებისა ჟამთაგან სამნივე მოიშლებაო.

თეიმურაზს თვითაც აუგია სასახლე, მაგრამ ის ხელოვნების მდარე ნიმუშად მიაჩნია და არც კი უდარებს ზემოხსენებულ ქართველ მეფეთა სასახლეებს. მას საკუთარი მშენებლობის გაზვიადება ფიქრადაც კი არ მოსვლია:

იმ სრებსა რის გზით შევადრი ამ ჩემსა აგებულსაო?
მართლისა თქმა სჯობს ტყუილსა, ვერ დაუმძიმებ სულსაო;
სახლებთან ბოდის მოვითხოვ — ნუ დააკლდებათ გულსაო:
იმათი ერთი კედელი სჯობდა სულ აქა დგმულსაო.

თეიმურაზი შემდეგ რამდენადმე არბილებს თავის სიტყვას, ამსუბუქებს მსჯავრს და შედარებით უკეთ იხსენიებს თავის საკუთარ სასახლეს, რომლის აგებას 1753 წლით ათარიღებს.

თეიმურაზს დაუწერია თავშესაქცევი, გასართობი ლექსები (“ხილთა ქება”, ზმები განჯაფზე, ნარდსა და ჭადრაკზე, მგრძნობიარე ლექსი ერეკლე ბატონიშვილის საყვარელი შვილის მასაზრდოებელ თხაზე და ა. შ.). ამ ლექსებში ნათლად ჩანს ავტორის ინტერესი თამაშობა-გართობისადმი, საქართველოს ფაუნისა და ფლორისადმი. განსაკუთრებით საყურადღებოა “ხილთა ქება”.

ხილთა ქება, ანუ ხილთა ბაასი საკმაოდ გავრცელებული იყო ქართულ ხალხურ ზეპირსიტყვიერებასა და ლიტერატურაში. ამ თემაზე უწერიათ ჯერ კიდევ ადრე გარსევან ჩოლოყაშვილს, ხოლო თეიმურაზის შემდეგ — პაპუნა ორბელიანს, დავით რექტორს, გიორგი ჭაბუკაშვილსა და სხვ. ხილთა ქების ასეთი პოპულარობა მოწმობს, რომ ფეოდალური საზოგადოებრიობა გარკვეულ ინტერესს იჩენდა ამ თემისადმი, მით ერთობოდა და თავს იქცევდა.

თეიმურაზის “ხილთა ქება” 40-სტროფიანი ნაწარმოებია. მასში ჩამოთვლილი, დახასიათებული და შექებულია 37 ხილი და პურ-ღვინო.

თითოეული ხილი თავს იქებს და იწონებს. მაგალითად, ბალი სიტკბოთი ამაცობს: “შაქრის მსგავსად გარდვიქცევი, რა ჩამიდებს კაცი პირსა”. ბროწეულს თავი სილამაზით მოაქვს: “ჩემს უტურფესი ნაყოფი არვის უნახავს თვალითა” და ა. შ.

აქა-იქ შეინიშნება საკუთარ უარყოფით თვისებათა აღიარებაც. მაგალითად, თავიანთ უარყოფით თვისებებს აღნიშნავენ მაყვალი (“ზედან მასხია ეკალი, ვარ მისთვის დაწუნებული”), ატამი (“მე და ნესვი ვართ ყოვლისა ამშლელი სენთა თავისა”) და სხვ. საგულისხმოა, რომ ზოგჯერ ესა თუ ის ხილი მეორის ნაკლოვანებას ავლენს და საგანგებოდ აღნიშნავს. მაგალითად, ტყემალი უყიჟინებს მარწყვს: “თავსა მოგჭამენ ჭიანი, — ძირი გაქვს მეტად მწარია”.

“ხილთა ქების” დასასრულს პურ-ღვინო აცხადებს:

ორივ ერთად შევიყარნეთ, ყოვლს სულდგმულს ჰშვენის ფერია,
ხელმწიფენი და გლახაკნი — ჩვენგნით იხარებს მთელია,
ბალი, ბაღა და ხილები სახსენებელად ჩვენია,
ჭკვიანი ხელად გარდიქცეს, უჭკვოს მიეცეს სენია.

თეიმურაზს ჭარბად უსარგებლია მისი წინამორბედის გ. ჩოლოყაშვილის “ხილთა ქებით”.

თეიმურაზის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში საკმაო ადგილი უჭირავს სასულიერო-საეკლესიო თემატიკას. ჩვენ უკვე მოვიხსენიეთ მისი ორი ნაწარმოები (“დღისა და ღამის გაბაასება”, “ქება სრისა”), რომლებშიც ვრცლადაა მოცემული მსჯელობა ღვთისმეტყველების საკითხებზე, მაგრამ ამით არ ამოიწურება თეიმურაზის რელიგიურ განწყობილებათა ამსახველი მემკვიდრეობა. მას დაუწერია სასულიერო-საეკლესიო შინაარსისა და ხასიათის სხვა ნაწარმოებებიც; კერძოდ, აღსანიშნავია მისი პროზაული თხზულება “განზრახვანი და ვედრებანი”, რომელშიც ავტორს შეუკრებიან “წმიდათა წერილთაგან ლოცვანი ღმობიერმყოფელნი გულთანი”. მასვე დაუწერია ორი “ანბანთქება ამიცანად ნათქვამი” (“აღვძრათ სიტყვა საცნობელი...”, “არის რამ უცხოოდ საცნობელ, გამოუთარგმნელ ენათა...”), რომლებშიც ამოცანების სახით გაულექსავს ბიბლიური ეპიზოდები. აღნიშნულ ორ ანბანთქებაში თეიმურაზს მიზნად დაუსახავს ბიბლიის პოპულარიზაცია, გასართობის შექმნა ამოცანების სახით და საკუთარ პოეტურ შესაძლებლობათა დემონსტრაცია. საგულისხმოა, რომ თეიმურაზი სავალდებულოდ მიიჩნევს ბიბლიის შინაარსის საფუძვლიან ცოდნას (“ხახამც გაუხმეს, ვინც იყოს უცნობი ამ სიტყვისასა”).

ცალკე უნდა მოვიხსენიოთ თეიმურაზის სამი ლირიკული ნაწარმოები: კ ი დ უ რ წ ე რ ი ლ ო ბ ა (“ვითა ფერობს სიკეთესა შენსა, ეგრეთ საქებელ ხარ დიდათ ევროპიასა შინა დასავით საყვარელო ჩემო”), ა ნ ბ ა ნ თ ქ ე ბ ა (“ადივსო გულიცა ჩემი...”) და გ ა ბ ა ა ს ე ბ ა რ უ ს თ ვ ე ლ თ ა ნ (“ყოველთა მელექსეთა უმჯობესსა, დიდსა ფილოსოფიისა მცოდნესა, ბრძენს რუსთველსა ზედა ბაასი პეტერბურდს”). სამივე პეტერბურგშია დაწერილი 1761 წელს, სამივეში ერთი და იგივე ქალი — ბარბარე ალექსანდრეს ასული ბუტურლინაა შექმნილი და შემკული. აღნიშნული გარემოება არსებითად ერთი ციკლის ნაწარმოებად წარმოგვიდგენს დასახელებულ სამიჯანსა-სატრფიალო ლექსებს.

თეიმურაზი მოუჯადოებია და მოუხიბლავს მზეთუნახავ ქალს, რომლის მშვენებას ახალგაზრდული აღტყინებითა და ჭაბუკური გატაცებით აღწერს ხანდაზმული მგოსანი.

ბარბარეს მშვენებით გონდაკარგული პოეტი რუსთველს მიმართავს და თავის უსასოებას უჩივის. “მე უსწავლელსა ვით მეძლოს”, “ბრძენს უნდა ექო იმისი ციმციმი და ბრწყინვალეზანი”. ასეთ ბრძენად მას რუსთველი მიაჩნია. თეიმურაზი რუსთველის თაყვანისმცემელი და ღირსეული დამფასებელია, მისი უკვდავი პოემით შთაგონებული და აღფრთოვანებულია, მაგრამ ეს არ უშლის ხელს რუსთველის თემატიკის კრიტიკულ განხილვასა და სათანადოდ შეფასებაში. ის პირდაპირ, მიუდგომლად მიმართავს “ვეფხისტყაოსნის” ავტორს და უყიჟინებს მას მონაჭორი, ზღაპრულ-ფანტასტიკური ამბების გალექსვას:

არ გაგონილა ინდოეთს ნესტან-დარეჯან ქალადა,
არც ტარიელ კაცს ერქვას, — გიწოდებია ძალადა!
არაბისტანში თინათინ არ იყო ბროლ-ფიქალადა,
ვერც ჰპოებთ ავთანდილსაცა მის ემყით დანამთვრალადა.

არა ყოფილა ფარსადან ექვს სამეფოზედ მჯდომელად,
არცა განთქმული ინდოეთს, რომ ყოფილიყოს მფლობელად...

არ თქმულა მეფედ არაბეთს როსტევან სახელდებულად,
არც მის ასულად თინათინ, რომ სხვას ვის ეთქვას ქებულად,
ვერც ავთანდილზედ მემოწმნენ იმისთვის თავდადებულად —
დაგისახავსა ტყუილად მიჯნურებ ცეცხლ-მოდებულად!

თეიმურაზის მოსაზრებით, რუსთველი “დამვრა ტყუილზედ”, “რაც სთქვა, არ იყო წესია”, ის ამაოდ გაისარჯა (“ტყუილის ტარიელისთვის სტირს ცრემლის შეუმრობელად”); მის პოეტურ მემკვიდრეობას კიდევ უფრო მეტი ღირსება და მნიშვნელობა ექნებოდა, რუსთველს რეალური ცხოვრება რომ აღეწერა და მონაჭორი ამბების გალექსვაზე არ გარჯილიყო:

თქვენი ღრმად მეტყველებანი უცხო რამ, საკვირველია,
თუმცა მართალზე თქმულიყო, რა ტკბილი საკითხველია!
“ვეფხისტყაოსნის” ლექსები სხვას ლექსთა გამკიცხველია,
საქართველოსა კაცთათვის სატრფო და სასურველია.

თეიმურაზის სიტყვით, რუსთველს უნდა შეექო არა გამოგონილი გმირები, არამედ რეალური არსებანი, მაგალითად, ბარბარე ბუტურლინა:

შენი ნათქვამი საღმრთოდ, თუ საეროდ მოიხმარების,
სჯობდა მას ზედა თქმულიყო, ვის მზე არ შეედარების,
ვეროპიაში რომელსა ბნელი არ მიეკარების,
ვინც რომე ნათლობს ნიადაგ, შუქი არ დაემალების!

რუსთველი უპასუხებს: “ექვსასის წლის მკვდრის ბაასი აროდეს გაგონილა”, ვინ არ მასვენებს, “მოდავედ ჩემზედა ვინ ატეხილა?” ალბათ, პოეტია. ვიცი “მელექსე მელექსისაგან არას დროს დანდობილა”. მე იმ დროს ვმოდვაწობდი, როდესაც საქართველო იყო ერთიანი. თამარს ვემსახურებოდი, მას ვერთვლებდი, მანვე დამავალა ლექსთა წერაო.

რუსთველი თეიმურაზ მეორის ყურადღებას მიაქცევდა იმ გარემოებას, რომ სამიჯნურო თავგადასავალი თეიმურაზ პირველსაც აღუწერია, მონაჭორი, ზღაპრულ-ფანტასტიკური ამბების თხრობაზე ისიც დამაშვრალა:

პაპაშენს — შენგან უკეთესს, ჰქონდა მას სიბრძნე გულისა, —
მასაცა უთქვამს შაირი მიჯნურთა დადაგულისა,
ვინც წაიკითხავს ჩემს ნათქვამს, — მიგდება უნდა ყურისა, —
ჩემმან ლექსებმან ერთს ჟამსა პაპაცა გაგიგულისა.

მოისმენს რა ბარბარეს ქება-დიდებას, რუსთველი ასკვნის, რომ ამ ქალს
ის მართლაც ღირსეულად შეამკობდა, ცოცხალს რომ ეხილა:

თუ მე მაგ დროსა მეცოცხლა, გაგიმარჯვებდი მე დია,
ვისაც შენ აქებ, მაგაზედ კარგს ლექსებს გამოვთქვემდია,
რას სიტყვით შევამკობდი-და! — შენ კარში გაგაგდებდია!
რადგან შენს საქებრად დარჩა, მას არ ჰქონია ბედია!

ამ სიტყვებით თეიმურაზი კიდევ დასცინის თავის საკუთარ პოეტურ
უნარს.

თეიმურაზი მკაცრად აკრიტიკებს რუსთველს არარსებულ პირთა
შექებისა და ზღაპრულ-ფანტასტიკური სიუჟეტების დამუშავების გამო.
მსგავსად არჩილისა და მისი სკოლის სხვა წარმომადგენლებისა, თეიმურაზი
უარყოფს და გმობს ზღაპრული სიტუაციების აღწერასა და გამოგონილ პირთა
თავგადასავლის გადმოცემას, ის კატეგორიულად წინააღმდეგია ასეთი
გამომგონებლობისა და თხზვისა. მისთვის კონკრეტულ-ისტორიული პირის
(მაგალითად, ბარბარე ბუტურლინას) შექება, რეალური პიროვნების შემკობა
უფრო მიზანშეწონილი და გამართლებულია, ვიდრე ნესტანისა თუ ტარიელის
ქება-დიდება. თეიმურაზი თავგამოდებით ილაშქრებს რუსთველის დიადი
ფანტაზიისა და გამომგონებლობის წინააღმდეგ. ამ მხრივ ის არჩილის
ერთგული მიმდევარი და “მართლის თქმის” პრინციპის ენერგიული
დამცველია. ამასთანავე ის, როგორც აღვნიშნეთ, რუსთველის პოეტური გენიის
თაყვანისმცემელია. საგულისხმოა, რომ “ვეფხისტყაოსანს” ის (მსგავსად
ვახტანგისა) “საღმრთო და საერო” ნაწარმოებად მიიჩნევს.

მიუხედავად ზღაპრულ-ფანტასტიკური თემატიკის წინააღმდეგ
გაბედული გალაშქრებისა, თეიმურაზმა ერთგვარი ხარკი გაიღო ასეთი
თემატიკის წინაშე, კერძოდ, სპარსულიდან თარგმნა ზღაპრული შინაარსის
იგავ-არაკთა კრებული “თიმსარიანი”.

თეიმურაზ მეორის თხზულებათა მხატვრული მხარე რამდენადმე
დაბალია. მისი ლექსი ზოგჯერ გაუმართავია, ავტორის პოეტური აღმაფრენა
იშვიათად იჩენს თავს. მხატვრულობის მხრივ, შედარებით, გამოირჩევა
თეიმურაზის სატრფიალო-სამიჯნურო ლექსები.

ამგვარად, თეიმურაზ მეორე ნაყოფიერი მწერალია. მან, ეპოქის
მოთხოვნილების შესაბამისად, გარკვეული ხარკი გაიღო სასულიერო-
საეკლესიო მწერლობის წინაშე, მაგრამ იგი ძირითადად საერო-მხატვრული
ლიტერატურის ტიპიური წარმომადგენელია. მის მემკვიდრეობაში ნათლად

შეინიშნება რეალისტური ტენდენციები.

თეიმურაზმა გულდასმით აღწერა მშობლიური ხალხის ყოფა-ცხოვრება, მისი წეს-ჩვეულებანი. თემატურად და იდეურად თეიმურაზი არჩილის ლიტერატურული სკოლის წარმომადგენელია, იგი არჩილის მომხრე, მიმდევარი და მიმბაძველია, უხვად იკვებება მისი მემკვიდრეობით, ავრცობს, აზუსტებს და სრულყოფს მის ნააზრევს. თავის მხრივ თეიმურაზმაც მოახდინა გავლენა მომდევნო ხანის ლიტერატურაზე (დიმ. ბაგრატიონი).

საიათნოვა

XVIII საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში არისტოკრატიულ-მწიგნობრული ლიტერატურის გვერდით განვითარდა და აყვავდა აშუღური პოეზია, რომელიც სათავეს მეჩვიდმეტე საუკუნიდან იღებს.

აშუღურ პოეზიას სპეციფიკური დანიშნულება და საკმაოდ თავისებური ხასიათი ჰქონდა.

აშუღები ქალაქის დაბალი სოციალური ფენებიდან, ვაჭარ-ხელოსანთა წრეებიდან, გამოსული მგოსანი-იმპროვიზატორები იყვნენ. ისინი თხზავდნენ ლექსებს, საგანგებოდ ურჩევდნენ მათ ჰანგებს და თვითონვე ამღერებდნენ საზოგადოებას თუ სხვა მუსიკალურ საკრავზე. ი. გრიშაშვილის სიტყვით, ისინი „ზეპირად წერდნენ ლექსებს გონების ფირფიტაზე, ზეპირადვე აშალაშინებდნენ, ქლიბავდნენ, აკობტავებდნენ, ამუსიკალებდნენ ლექსის ზომა-წყობილებას და ზეპირადვე ფანტავდნენ ხალხში “თესლსა კეთილსა” — მღეროდნენ და სიმღერის საშუალებით ავრცელებდნენ ჭკვიანურ სიტყვა-აზროვნებას”.

თბილისელი აშუღები თხზავდნენ და მღეროდნენ, თავიანთი ლექსების შესრულებით გამოდიოდნენ არა მხოლოდ სახელოსნოებში, არამედ ქუჩებსა და მოედნებზეც კი. რადგან აშუღური პოეზია ძირითადად ხალხის წიაღში ვითარდებოდა და საზოგადოების დაბალი ფენების სულიერ განწყობილებას გამოხატავდა, ქალაქის მოსახლეობა მას დიდად აფასებდა.

თბილისელი აშუღები ჩვეულებრივ სხვადასხვა ენაზე თხზავდნენ და მღეროდნენ, კერძოდ, ქართულზე, სომხურზე, აზერბაიჯანულსა და სპარსულზე. ეს გარემოება კიდევ უფრო უწყობდა ხელს მათ პოპულარიზაციასა და ხალხთა მასებთან დაახლოებას. თბილისელი აშუღები, მართალია, მეტწილად არაქართველები იყვნენ, მაგრამ ისინი აღიზარდნენ თბილისის მოსახლეთა შორის, შეესისხლხორცნენ აქაურ საქალაქო ცხოვრებას, ეზიარნენ აქაურ კულტურულ-ლიტერატურულ ტრადიციებს, შეიყვარეს ქართველთა დედაქალაქი და მშობლიურ ადგილად მიიჩნიეს იგი.

ამიერკავკასიის სხვადასხვა ენაზე მთხზველი და მომღერალი აშუღები უგალობდნენ თბილისს, ქება-დიდებას ასხამდნენ მას, შეხაროდნენ მის ნათელ

მომავალს. თბილისელმა აშულებმა დაძლიეს ნაციონალისტური ტენდენციები და ხალხთა ძმობა-მეგობრობის, კეთილმეზობლობისა და ურთიერთთანამშრომლობის ქადაგება იწყეს. ამით მათ დიდი წვლილი შეიტანეს ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი ხალხების დაახლოება-შეკავშირების საქმეში.

აშულებმა გამოიყენეს და განავითარეს თბილისის ქალაქური ჟარგონი, მეტწილად, ვაჭარ-ხელოსანთა წრეების ენობრივი მეტყველება. მათ ლექსებში უხვად გვხვდება ვაჭარ-ხელოსანთა საქმიანობასთან დაკავშირებული სპეციფიკური ტერმინოლოგია, მათი ლექსიკა სავსეა ქალაქში დამკვიდრებული უცხო სიტყვებით (სომხური, აზერბაიჯანული, სპარსული და სხვ.).

თბილისელი აშულები, ხშირად, უსწავლელნი ან მცირედ წიგნიერნი იყვნენ, მათ უმრავლესობას სისტემური განათლება მიღებული არ ჰქონდა, ზოგიერთი ძლივს ახერხებდა წერა-კითხვას. ეს გარემოება არ ამცირებდა მათ ინტერესსა და სიყვარულს პოეზიისადმი. მართალია, აშულურმა პოეზიამ უშუალო კონტაქტი და მჭიდრო კავშირი ხალხურ სიტყვიერებასთან, ქალაქურ ფოლკლორთან დაამყარა, მაგრამ ის საკმაოდ დავალებული იყო მწიგნობრული ლიტერატურისგანაც, მან მძლავრად განიცადა მწიგნობრული პოეზიის ცხოველმყოფელი გავლენა როგორც თემატურ-იდეური, ისე ფორმის მხრივაც. ამასთანავე, მან შეინარჩუნა თავისი სპეციფიკური ნიშან-თვისება — ის მწიგნობრულ პოეზიაზე უკეთ, უფრო სრულად, და საფუძვლიანად გამოხატავდა ვაჭარ-ხელოსანთა წრის იდეოლოგიას, მის სოციალურ განწყობილებას, მის აზრებსა და მისწრაფებებს.

აშული (აშიყი, აშიკი) არაბულიდან მომდინარე სიტყვაა და მოტრფიალეს, შეყვარებულს, მიჯნურს ნიშნავს. აშულებმა მგრძნობიარე ჰიმნი უმღერეს სიყვარულს, ერთგვარად გააღრმავეს და განავითარეს მსუბუქი სატრფიალო ლირიკა. ზნეფაქიზი სიყვარულის მქადაგებელი, ადამიანის ამამაღლებელი და გამაკეთილშობილებელი გრძნობის დაუცხრომელი მეხოტბე და მომღერალი აშული მონაწილეობდა სხვადასხვა სახალხო დღესასწაულებში, დღეობებსა და საზეიმო შეკრებულებებში.

აშულური პოეზიის ყველაზე თვალსაჩინო და ტიპური წარმომადგენელია შესანიშნავი მეოსანი-იმპროვიზატორი, მგრძნობიარე პოეტი, დახელოვნებული დამკვრელი და საუცხოო მომღერალი საიათნოვა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ასეთი ორიგინალური შემოქმედი აშულურ პოეზიას არ ჰყოლია. საიათნოვამ აშულური პოეზია გაასხივოსნა და არნახულ სიმაღლეზე აიყვანა, შემატა მას შინაგანი სიღრმე, გამომსახველობითი ძალა და მხატვრული ელვარება. სახალხო მეოსნის ხელობა მან პოეტის საპატიო მოწოდებად აქცია.

საიათნოვა (საათლამა, საოთნამა, სავათნამა, სავათნოვა, სადათნოვა და ა. შ.) მეოსნის ფსევდონიმია. საიათნოვა მომდინარეობს სეიდნოვადან, რაც, თავის მხრივ, ჰანგის უფალს, ჰანგის პატრონს ნიშნავს. ასეთი პოეტური

ფსევდონიმი სავსებით შეეფერება ჩვენს მგოსანს.

საიათნოვას ნამდვილი სახელი არუთინა ყოფილა. სათანადო ცნობებს პოეტი თვით გვაწვდის როგორც ქართულ (“საიათნოვა მევიან, არუთინა ვარ”, “საიათნოვას, არუთინას იტყვიან”), ისე სომხურ ლექსებში, აგრეთვე სომხური ლექსების ქართულ შენიშვნებში.

საიათნოვას დაბადების თარიღი დადგენილი არ არის. არაპირდაპირ ჩვენებათა მიხედვით მის დაბადებას 1711 — 1722 წლებში ვარაუდობენ. საფიქრებელია, ის მეთვრამეტე საუკუნის პირველ მეოთხედში დაიბადა, ზოგი ცნობით, 1722 წელს თუ მის ახლოს.

საიათნოვა¹⁹¹ იყო სანაინელი სომეხი, “მეფის გიორგი მეცამეტის საბატონისშვილოს სოფლისა, საქართველოს სომეხთაგანი”¹⁹². მამამისი ალექსოდან (სირია) ჩამოსული სომეხი იყო, ხოლო დედა — თბილისელი სომხის ქალი, ავლაზრელი. ერთ აზერბაიჯანულ ლექსში პოეტი გვაუწყებს, რომ მისი

სამშობლო თბილისია, მხარე ქართლისა,
დედა — ავლაზრელი, მამა — ალაზელი.

სოციალური წარმოშობით საიათნოვა გლეხია, გიორგი ბატონიშვილის (შემდეგ ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის) საუფლისწულო ყმა. ამას პოეტიც გვაუწყებს (“საიათნოვას გურგენ-ხანის ყმას ამბობენ, მართალია”) და მისი შვილიც ადასტურებს (“საიათნოვას გიორგი მეფის ყმას ამბობენ, მართალია”). ჩვენთვის საინტერესო საკითხზე საგულისხმო ცნობას გვაწვდის თეიმურაზ ბაგრატიონი: “საადნამა (რომელსა ქართველნი სავათნამას უხმობენ) იყო ჟამსა მეფისა ირაკლი მეორისა, მეფის გიორგი მეცამეტის ბატონიშვილობაში საკუთრად, საბატონიშვილო ყმა იყო მეფის გიორგისა და იმას ახლდა”¹⁹³.

საგულისხმოა, რომ თავისი სოციალური წარმოშობა, გლეხობა, სახელოვან აშუღს სრულებით არ ეთაკილებოდა, პირიქით, ის ერთგვარი სიამაყის გრძნობით აცხადებდა:

მე გლეხი ვარ, თავადობა არ მინდა.

¹⁹¹ საიათნოვას ქართული ლექსების კრებული 1918 წელს გამოაქვეყნა ი. გ რ ი შ ა შ ვ ი ლ მ ა. ზოგიერთი ლექსი მიკვლეულ და დაბეჭდილ იქნა შემდგომ ხანაში. სომხური ლექსების ქართული თარგმანი 1935 წელს დაბეჭდა ლ. მ ე ლ ი ქ ს ე თ-ბ ე გ მ ა. 1963 წელს გამოვიდა საიათნოვას ქართული ლექსების კრებული ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ი ს რედაქციით.

¹⁹² თეიმურაზ ბატონიშვილის წიგნთსაცავის კატალოგი, დაამზადა გამოსაცემად, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ს. ი ო რ დ ა ნ ი შ ვ ი ლ მ ა, 1948, გვ. 40.

¹⁹³ თეიმურაზ ბატონიშვილის წიგნთსაცავის კატალოგი, დაამზადა გამოსაცემად, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ს. ი ო რ დ ა ნ ი შ ვ ი ლ მ ა, 1948, გვ. 40.

მგოსანი სხვა შემთხვევაშიც აღნიშნავდა:

არ მყავს მეუღლე, არცა მძახალი,
მე გლეხი ვარ მიწაზე დასახალი.

საიათნოვას მამა ეკლესიის უბრალო მსახური, მნათე ყოფილა. მცირე შეძლებისა და ხელმოკლეობის გამო მას არ შეეძლო შვილისთვის შესაფერისი სწავლა-განათლება მიეცა. მომავალმა პოეტმა სასკოლო განათლება ვერ მიიღო, მისი მომზადების დონე წერა-კითხვის ცოდნას ვერ ასცილებია, წერა-კითხვაშიც შინ გაწაფულა. აღსანიშნავია, რომ იგი წერა-კითხვის ცოდნას საამაყოდ თვლიდა.

ნურგინ იტყვით — ეს ყმაწვილი ვინა ვარ!
ანა-ბანა ვიცი, სიტყვით წინა ვარ.
საიათნოვა მქვიან, არუთინა ვარ.
სიტყვას ვიტყვი, ცამ ქუხილი დაიწყოს! —

საკუთარი ძალის შეგრძნებითა და კანონიერი სიამაყის გრძნობით აცხადებდა სახელოვანი აშული.

ანბანის დაუფლებასა და წერა-კითხვის შესწავლას საიათნოვა გვამცნობს როგორც აზერბაიჯანულ, ისე სომხურ ლექსებშიც.

საიათნოვამ რამდენიმე ენა იცოდა. ის თხზავდა და მღეროდა ქართულად, სომხურად და აზერბაიჯანულად, წერდა ქართულად და სომხურად. ალბათ, მას უკეთ ეხერხებოდა ქართული წერა-კითხვა, რადგან ქართული ასოებით წერდა სომხურ ლექსებსა და შენიშვნებს.

ზუსტად არ ჩანს, თუ სად გაატარა ბავშვობა მომავალმა აშულმა. საფიქრებელია, ის თბილისში აღიზარდა, აქაურ კულტურულ-ლიტერატურულ გარემოში ჩამოყალიბდა მისი პოეტური სახე და საზოგადოებრივი ფიზიონომია. როგორც ვთქვით, საიათნოვა თბილისს თავის სამშობლოდ თვლიდა, ქართველთა მეფეს — თავის მეფედ, ქართულ ენას, — სომხურთან ერთად, — მშობლიურ ენად. მართლაც, ის განუყრელადაა დაკავშირებული თბილისთან, აქაურ გარემოსთან, აქაურ მწიგნობრულ საზოგადოებასთან. მის ლექსებში ჭარბად იგრძნობა თბილისური სურნელება, ნათლად შეიმჩნევა აქაური კოლორიტი. საიათნოვა ორგანულად შეესისხლხორცა ქართულ სამყაროს, მაგრამ სარწმუნოებრივ-კონფესიონალური თვალსაზრისით ეროვნულ პოზიციაზე დარჩა (“საიათნოვა არ უღალატებს სარწმუნოებას — იგი სომეხია!”).

თორმეტი წლის ასაკში საიათნოვას ხელობის შესწავლა დაუწყია და ორიოდე წელიწადში კიდევ დაუფლებია გარკვეულ სპეციალობას. ერთ აზერბაიჯანულ ლექსში ვკითხულობთ:

თორმეტი წელი შემისრულდა რა, მიმაბარეს ოსტატსა,
ცამეტი წელი შემისრულდა — ხელობა სავსებით შევისწავლე,
თოთხმეტი წელი შემისრულდა — ოსტატს მივართვი ხალათი.

მაინცადამაინც ნათლათ არ ჩანს, თუ რა პროფესია შეიძინა მან, რა სპეციალობის ხელოსანი დადგა. მკვლევარნი მას მიიჩნევენ ფეიქრად, ბაზაზად, დერციკ-მკერვალად, მღებავად, დურგლად. უკანასკნელის სასარგებლოდ, თითქოს, საიათნოვას ერთი სალექსო ტაეპიც მეტყველებს: “მრუდ შემას რანდა ვერ გაასწორებს, ვაი, დურგალო საიათნოვა”, თუმცა გამორიცხული არაა ამ გამონათქვამის ალეგორიულობა.

საიათნოვას ძირითადი ხელობა და საყვარელი პროფესია იყო აშუღობა. მას ადრევე კარგად შეუსწავლია დაკვრა და დამღერება სხვადასხვა მუსიკალურ ინსტრუმენტზე. ერთი სომხური ლექსის შენიშვნაში ის საგანგებოდ გვაუწყებს: “მე, მიღდისას შვილმა, არუთინ, ყმაწვილობიდან ვიდრე ოცდაათ წლამდე თავი დავუდე ყოველ სიმღერას და... ვისწავლე ქამანჩა, ჩონგური და თამბურაო”.

საიათნოვა ადრე სხვების ლექსებს ამღერებდა, ხოლო შემდეგ საკუთარი ლექსებიც შეუთხზავს და ხალხში გაუვრცელებია. დათარიღებული ლექსებით ის აშუღად ჩანს 1742 წლიდან. თავისი მოხდენილი გარეგნობითა და ბუნებრივი ნიჭით, შესანიშნავი ხმითა და დიდებული სმენით, მახვილგონივრული ლექსებითა და ოსტატური დამღერებით საიათნოვამ ხალხის დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. ხალხის სიყვარულს მან სათანადოდ უპასუხა: თავის ძირითად საქმედ და მოწოდებად ხალხის სამსახური, ხალხის ღირსების დაცვა, მისი ინტერესებისთვის თავგამოდება მიიჩნია. სახალხო მომღერალი თავის თავს ხალხის მსახურად (“ნოქრად”) მიიჩნევდა და საქვეყნოდ აცხადებდა:

ნიადაგ საზი ხელში მაქვს, ნოქარი ვარ, იგი განა?

ასეთსავე აზრს ატარებდა იგი აზერბაიჯანულსა და სომხურ ლექსებშიც (“მოდი, საამოდ გვემსახურე, ხალხის ნოქარო, საიათნოვა!”).

აშუღმა იცის, რომ ხალხის სამსახური ადვილი არაა, ყველას არ ძალუძს, ის ერთობ საპატიო და საპასუხისმგებლო საქმეა. საიათნოვას სურდა თავისი მისია კარგად შეესრულებინა, სახელი არ შეერცხვინა, პირადი ღირსება არ შეებღალა, სასაყვედურო არა ჩაედინა რა.

საიათნოვას “ნოქრობა”, ხალხის სამსახური, მეტწილად, მის აშუღობაში გამოიხატებოდა. თავისი ბრძნული შეგონებებით, მოხდენილი სენტენციებითა და აფორიზმებით ის ხალხს მოუწოდებდა მორალური სიწმინდისკენ, ზნეობრივი სისპეტაკისკენ, ცდილობდა საზოგადოების სულიერად გაჯანსაღებას. მისი მხატვრული სიტყვა, რომელიც ელვის სისწრაფით

ვრცელდებოდა, ნაყოფიერ თესვს წარმოადგენდა და კარგად ემსახურებოდა ხალხის ზნეობრივი სრულყოფის საქმეს.

საიათნოვას თავის აუცილებელ მოვალეობად მიაჩნდა ხალხის წიაღში ყოფნა, ხალხში ტრიალი. მისი სიტყვით, იგი უნდა ყოფილიყო იქ,

სადაც ქორწილი, სადაც გლოვა, ანდა თამაში სადაც ხდება,
სადაც ჟამნი, სადაც წირვა, ანდა სიმღერა სადაც ხდება.

მართლაც, იგი ყოველთვის ხალხში იყო და მის ლხინსა და ჭირს იზიარებდა.

საიათნოვამ აშუღობა თბილისში დაიწყო. XVIII საუკუნის ორმოცდაათიანი წლების დამდეგს იგი თელავშია და ბატონიშვილებს უახლოვდება. სწორედ თელავში ყოფნისას, 1751 წ. წარმოუთქვამს მას თავისი ბრწყინვალე ლექსი “ზღვას ვით გააშრობს ვარსკვლავის სხივი”. როგორც ჩანს, ამ დროს საიათნოვა საკმაოდ სახელმძღვანელო მგოსანი-მომღერალი ყოფილა. მისმა სახელმა მალე ერეკლე მეორემდე მიაღწია. სახელოვანმა ქართველმა მეფემ იგი შეიყვარა და დაიახლოვა, სასახლეში მიიღო და დააწინაურა.

საიათნოვას სასახლეში მიღების შესახებ საყურადღებო ცნობები აქვს შემონახული იოანე ბაგრატიონს. თავის “კალმასობაში” ი. ბაგრატიონი საიათნოვას ათქმევინებს: “მე ვიცოდი ჩონგური კარგად და, ამასთან, სპარსულ ხმებზედ გავაკეთე ქართული ლექსები; ჯერ არ იყო შემოღებული, და როდესაც მეფემან ირაკლი ინება მეჯლიში, და მიგვიყვანეს მოსაკრავენი, მაშინ მე სპარსულის ხმით ქართულად ვიმღერე; ბატონს დიდად იამა და ხალათიც მიბოძა. და მერე სხვათაც მრავალთა თქვეს და მომბაძეს”¹⁹⁴.

მრავალმხრივ საყურადღებო ცნობაა. აქედან ჩანს, რომ საიათნოვას პირველად გაუწყვია სპარსულ ჰანგებზე ქართული ლექსები; ერეკლე მეფეს სახალხო მომღერალი მოსწონებია და დაუსაჩუქრებია. პოეტს მიმბაძველები მაშინვე გასჩენია. სხვათა შორის, ი. ბაგრატიონი მეორე შემთხვევაშიც გვაწვდის მსგავს ცნობას სპარსულ ჰანგებზე ქართული ლექსების დამღერების თაობაზე: “პირველ შემომღებელნი ამა (სპარსთა — რედ.) ხმისანი ქართულად იყვნენ სომეხთ მოსაკრავენი საათლამად წოდებული და სხვანი”¹⁹⁵. მაგრამ საიათნოვას დამსახურება მხოლოდ ქართული ლექსების სპარსულ ჰანგებზე დამღერებაში კი არ მდგომარეობს, არამედ იმაში, რომ მან ქართული აშუღური პოეზია თელავისა და თბილისის სასახლეებში შეიყვანა, სამეფო კარისკენ გზა გაუხსნა და ფეოდალური საზოგადოების ზედა ფენებს გააცნო და დაუახლოვა.

ბუნებრივი ნიჭით უხვად დაჯილდოებული სახალხო მგოსანი ერეკლე მეფემ წყალობით აავსო, მას თავისი მფარველი კალთა გადააფარა. 1762 — 1765

¹⁹⁴ იო ა ნ ე ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, კალმასობა, I, კ. კ ე კ ე ლ ი ძ ი ს ა და ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ი ს რედაქციით, 1936, გვ. 227.

¹⁹⁵ იო ა ნ ე ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, კალმასობა, I, გვ. 296.

წლებში საიათნოვა კვლავ თბილისშია, აქაური სასახლისათვის შნოსა და ლაზათის მიმცემია, ქართველი მეფის საზანდარია.

საქართველოს მეფის საზანდარი ვარ,
საიათნოვას, არუთინას იტყვიან! —

აღტაცებით აცხადებდა მგოსანი. ი. ბაგრატიონის ცნობით, საიათნოვა სახელგანთქმული იყო “არათუ მხოლოდ სიმღერით, ხუმრობითაც და სოფლიურს საქმეშიაც”¹⁹⁶. ჩვენ არ შეგვიძლია ზუსტად ვთქვათ, თუ რაში გამოიხატებოდა მისი “სოფლიური” საქმიანობა, მაგრამ, უცილობელია, რომ საიათნოვა საზოგადოებრივ ცხოვრებაში გარკვეულ მონაწილეობას იღებდა.

ერეკლე მეფის ყურადღებასა და მფარველობას მგოსანი მხურვალე სიყვარულით უპასუხებდა და მას საუცხოო პოეტურ სტრიქონებს უძღვნიდა.

მეფის აღტაცებული მეხოტბე, სწორუპოვარი მომღბენი, თავდავიწყებული მიჯნური და დაუნდობელი სატირიკოსი თბილისმა შეიყვარა და გული გადაუშალა, ხალხმა მისი სიმღერები აიტაცა. აშულისავე სიტყვით, იგი იყო “მეფეთაგან მეჯლიშს მიწოდებული, თავადებთან პატივცემით შვებული, ალისფერის კაბით განშვენებული”. უიმისოდ იშვიათად თუ ჩატარდებოდა დიდი ღვინო და წვეულება. “სუფრაში ნაქები” მგოსანი ყველას გულს უხარებდა, ხალისს მატებდა.

“რახან სოფელს ასე მოსდევს, უღბენოთაც არ იქნებაო”, — აცხადებდა პოეტი და იღბენდა, მღეროდა, უკრავდა. ქართულ სუფრაზე დიდებულად ჟღერდა მისი აღტაცებული შემახილი:

დავლით ღვინო, არაყი ჩვენია
მეჯლიშ-საზანდარი, საზი ჩვენია!
გავაგდოთ მეზაღე, ბადი ჩვენია!
ღვინი კარგი... დრო კარგი... დღე კარგი...

ცეცხლოვანი ლექსების ავტორის “ქება საზანდრობასა და შექცევასა შინა” საქვეყნოდ გახმაურდა.

სიცოცხლისა და სიყვარულის მომღერალი, ღვინ-მეჯლისის მეხოტბე და შემამკობელი აშული დარბაისლური ქეიფის, ტკბილი შექცევისა და საამო მოღბენის მოტრფიალე ყოფილა, იგი გმობდა ღვინის დროს აყალ-მაყალს, ჩხუბს:

საიათნოვა მეჯლიშებში შავიდეს,
ღვინი უყვარს, აყალ-მაყალს დაიწუნებს.

საიათნოვას შემოქმედებაში ამ დროს განსაკუთრებული ადგილი ეჭირა

¹⁹⁶ ი თ ა ნ ე ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, კალმასობა, I, გვ. 227.

სამიჯნურო-სატრფიალო ლირიკას. ადრე მას თავდავიწყებამდე უყვარდა ნორაშნისუბნელი კათოლიკე, ქურქჩის ქალი ტალითა, რომელსაც უძღვნა თავისი პოეტური შედეგები, ხოლო 1759 — 60 წლებში შეირთო შავერდაანთ ქალი მარმარა, რომელთანაც ოთხი შვილი შეეძინა.

1765 წლის ახლოს საიათნოვას ერეკლე მეფე გასწყრომია. სახალხო მომღერალი სასახლიდან დაუთხოვიათ. კონფლიქტის კონკრეტული მიზეზი ჯერ გამოურკვეველია, უცნობია გაძევების ნამდვილი ვითარება. საფიქრებელი ხდება, რომ აშუღის სასახლიდან გაძევება სოციალურ გარემოებას უნდა გამოეწვია.

საიათნოვას წარმოშობა ყველასთვის ცნობილი იყო. გლეხის დაწინაურება და სასახლეში მიღება, მისი სატირული ნიჭი და ოხუნჯობა, გამკილავი კილო და პირდაპირობა ბევრ დიდებულს აღელვებდა და გულს უსერავდა. ქართველი თავადების ნაწილი მას იწყნარებდა და ანგარიშს უწევდა მხოლოდ მეფის დასანახად და აშუღის მძაფრი სატირისგან თავის დასაზღვევად! თავისთავად, საიათნოვას გლეხური წარმოშობა, აშუღური გამბედაობა და ხალხური მეტყველება დიდებულთა მოწონებას ვერ დაიმსახურებდა. ალბათ, ფეოდალური საზოგადოებრიობის ზედა ფენების შეუწყნარებლობამ, შურმა და ცილისმწამებლობამ გადამწყვეტი როლი შეასრულა ერეკლე მეფისა და მისი ერთგული მეხოტბის კონფლიქტში.

მტრებმა ჩამოაშორეს საიათნოვა მწყალობელ მეფეს. ამ ტრაგიკულ აქტს მეოსანი დიდი შინაგანი გულისტკივილითა და მწვავე განცდით გვაუწყებს:

ხელმწიფეს ვეახელ უცხოდ მორთული,
საზი ხელთ მეჭირა მე გამართული,
მათასავით დამაბრუნეს დართული...
ნეტამც არ შემეტყო მე ის ქართული:
“წადი, ჭუჭყიანი ხალიჩა ხარო!”
ნათქვამია: ერთხელ მთა მთას ეცემა,
ღვთის ნებაა წყალობისა გაცემა!
შენის ხელით იყოს ჩემი გაცემა...
ნეტა არ გაგეგდე, კარგად გეცემა, —
ჩემი სულიერი დედ-მამა ხარო!

განწირულ საზანდარს ვერ წარმოუდგენია მეფის მოშორება:

თუ გინდ დამიმტვრიონ წიბო-გვერდები,
ცოცხალი თავით არ მოგმორდები!
თუ მტკვარი ვერ მომსპობს, ზღვას ჩავვარდები...

სხვა შემთხვევაში საიათნოვა გულის სიღრმიდან ამოხეთქილი სიტყვებით მიმართავს თავის თავს:

ენით მოიმატე შენი დარდები,
საიათნოვა, ნაღველისთვის მზა ხარო.

აღნიშნული სიტყვებიდან ნათლად ჩანს, რომ მათი ავტორი მახეზლარი და ცილისმწამებელი ენების მსხვერპლი გამხდარა.

საიათნოვა თავს იმართლებდა, უდანაშაულობის დამტკიცებას ცდილობდა, მეფეს მიმართავდა, მდგომარეობის გარკვევას სთხოვდა, გონივრულ განსჯას ევედრებოდა:

სამართალი მიყავ, ხელმწიფე ხარო,
მთელი საქართველოს გულისა ხარო!

შერისხულ მგოსანს ღრმად სწამდა თავისი სიმართლე და უდანაშაულობა. სურდა მეფეც დაერწმუნებინა ამაში; ის მთელი სიწრფელითა და გულმხურვალებით ამბობდა:

დამეხსენი, ავკაცობა არ მინდა,
ქვეყანაზე გაფენობა არ მინდა,
ავი სიტყვის შენთან მბობა არ მინდა,
ერთგული ვარ, ორგულობა არ მინდა,
მე გლეხი ვარ, თავადობა არ მინდა!

ესაა უდანაშაულო აშულის აღსარება, მოზღვავებული გრძნობის გულღიად გადმოცემა. გაძევებული საზანდარი ერთგვარად აფრთხილებს მეფეს:

თიხის ჯამი არ გახდება ჩინათა,
მუხის ქერქი კიდევ — დარიჩინათა!
საიათნოვა შეინახე ჩინათა,
ვერ იშოვი იმისთანა კარგ ყმასა!

მეფის მრისხანებამ, მახეზლართა და ცილისმწამებელთა გამარჯვებამ, მტრების ზეიმმა საიათნოვას საბედისწერო ნაბიჯი გადაადგმევინა, ის ჯერ მღვდლად ეკურთხა სტეფანეს სახელით, ხოლო მეუღლის გარდაცვალების (1768 წ.) შემდეგ ბერად შედგა ახპატის მონასტერში.

საიათნოვა ბუნებით არ იყო სასულიერო-საეკლესიო მოღვაწე, მას ნაკლებად ჰქონდა წმინდა სარწმუნოებრივი მიდრეკილებანი და თუ მაინც შეაღო ეკლესიის კარები, ეს არა იმიტომ, რომ იზიდავდა იქაური ცხოვრება, არამედ იმიტომ, რომ საზოგადოების გარკვეულ ნაწილზე გულაყრილმა სხვა ვერაფერი მოისაზრა და მოიმოქმედა. უცილობელია, ამ ნაბიჯის გადადგმა განაპირობა იძულებითმა გარემოებამ და არა მგოსნის შინაგანმა წადილმა. საგულისხმოა, რომ მასაც არ მოსწონდა თავისი ბერული სამოსი და

სამონასტრო ატმოსფერო, მეტიც, ის ვერ თავსდებოდა მონასტრის კედლებში. ამ მხრივ მეტად საინტერესოა ი. ბაგრატიონის ცნობა. თურმე, იონა ხელაშვილი სწვევია ახპატის მონასტერს, უნახავს ბერად შემდგარი საიათნოვა და მოუსმენია მისი სიმღერა და დაკვრა. ყოველივე ამას გაუოცებია მოკალმასე ბერი. საიათნოვას მისთვის ასეთი განმარტება მიუცია: “ოდეს მაკურთხეს მე ბერად, ეს სიმეზი დამრჩომოდა, და ესეც ჩემთან ეკურთხა და ამ ნაკურთხს სიმეზიზედ ვუკრავ ხმებსო”. სწორედ მაშინ, ი. ხელაშვილის თანდასწრებით, მას უთქვამს თავისი მგრძნობიარე ლექსი “შე საწყალო, ჩემო თავო”, რომელშიც მწარედ დაუცინია საკუთარი თავისთვის¹⁹⁷.

საყურადღებოა, რომ ამ ლექსში ავტორი ნაწილობრივ მაინც გვაგრძნობინებს, თუ რად გადადგა მან საბედისწერო ნაბიჯი, ვის აბრალებს ამას — “ესე ხვედრი ჩემის მოძღვრისგან არი”. სხვათა შორის, ი. ბაგრატიონიც ათქმევინებს საიათნოვას: “მე თუ ჩემი მოძღვარი დამხსნოდა, ის ერობა მერჩივნა ამ ბერობას”¹⁹⁸. საფიქრებელია, მოძღვრად აქ ერეკლე მეფეა ნაგულისხმევი.

საიათნოვა სხვა ლექსებშიც მწარედ დასცინის თავის თავს, დასტირის თავის ბედს, ვედრებით მიმართავს მოძღვარს:

მოდი, სისხლსა ნუ დამიღვრი თასითა,
ნასყიდი ვარ შენის ძვირის ფასითა,
გეახლები ერანელთა წესითა,
შემინახე ატლასითა, ხასითა,
შავი კაბა, შავი ქობა, არ მინდა!

ეს შავი კაბა, შავი სამოსი ძალზე აწუხებდა და აფორიაქებდა მგოსნის მღელვარე სულს, მაგრამ მან სიკვდილამდე ვერ მოიშორა ბერის კუნკული. თუმცა მის სასახელოდ უნდა შევნიშნოთ, რომ თვით მონასტრის კედლებშიც არ შეუწყვეტია საყვარელ ინსტრუმენტებზე დაკვრა და დამღერება. როგორც ჩანს, ახპატის მონასტერმა ვერ ჩაკლა მისი ხალასი ნიჭი. ის ზოგჯერ ტოვებდა მონასტერს და თბილისის აშულთა წრეს უბრუნდებოდა, რითაც უკმაყოფილებას იწვევდა საეკლესიო მოღვაწეთა შორის.

ახპატის მონასტრის ბინადარი ზოგჯერ აშულად იქცეოდა, თბილისის ქუჩებსა და მოედნებს მოველინებოდა, აქაურ მოსახლეობას ახარებდა და ატკბობდა თავისი ცეცხლოვანი პოეზიით, თავისი მგზნებარე ლექსებითა და მომხიბვლელი ჰანგებით. სახელოვანი მომღერალი დროდადრო კიდევ ამცნობდა თბილისს თავის არსებობას, თავისი ჭაბუკობის დროინდელი ლექსებით კვლავ აფორიაქებდა თაყვანისმცემელთა დასს და შემდეგ უბრუნდებოდა თავის სენაკს. როგორც ჩანს, მას ბოლომდე შეუნარჩუნებია

¹⁹⁷ კალმასობა, I, გვ. 226 – 227.

¹⁹⁸ კალმასობა, I, გვ. 227.

მგრძობელობა და დაუცხრომელი სიყვარული აშუღური პოეზიისადმი.

საკმაოდ გავრცელებული ლეგენდით, საიათნოვა დაიღუპა 1795 წლის სექტემბრის მშფოთვარე დღეებში, როდესაც ალა-მაჰმად-ხანის ლაშქარი უმოწყალოდ არბევდა თბილისს. სპარსელთა შემოსევის წინ საიათნოვა, თითქოს, თბილისში ჩამოსულა და ციხის ეკლესიაში დაბინავებულა. მოძალებულ მტერს მგოსანი ჯვრით შეხვედრია, რჯულის გამოცვლაზე უარი განუცხადებია და მოწამეობრივი გვირგვინი დაუდგამს თავს — გამხეცებულ სპარსელებს იგი იქვე მოუკლავთ.

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში (გ. ლეონიძე, ლ. მელიქსეთ-ბეგი) კარგა ხანია გარკვეულია, რომ ეს ლეგენდური ცნობა სარწმუნო არ არის. საგულისხმოა, რომ ის ქართველი (დავით ბაგრატიონი, თეიმურაზ ბაგრატიონი და სხვ.) და სომეხი (არტემ არარატელი, სერობი, შამში მელქო და სხვ.) ავტორები, რომლებიც საგანგებოდ აღწერენ ალა-მაჰმად-ხანის შემოსევას, არაფერს გვაუწყებენ საიათნოვას მკვლელობაზე. ეს გარემოება კი საფიქრებელს ხდის, რომ ასეთ ფაქტს ადგილი არა ჰქონია. მეორე მხრივ, ფრიად საყურადღებოა, რომ, იოანე ბაგრატიონის ცნობით, საიათნოვა ცოცხალი იყო გიორგი მეთორმეტის მეფობაშიც (1798 — 1800). პ. იოსელიანის სიტყვით, საიათნოვა გარდაცვლილა 1801 წელს¹⁹⁹. საფიქრებელია, საიათნოვამ ღრმა მოხუცებულობამდე მიაღწია და გარდაიცვალა მე-18 საუკუნის მიწურულსა თუ მე-19 საუკუნის დამდეგს²⁰⁰.

საიათნოვა ქართული აშუღური პოეზიის ბრწყინვალე წარმომადგენელია, მისი უმაღლესი და უდიადესი მწვერვალი. შინაარსობლივად მისი პოეზია მრავალმხრივი და მრავალფეროვანია. ადრეულ ხანაში მგოსანი თხზავდა სამიჯნურო-სატრფიალო და სახოტბო, ხოლო შემდეგ დიდაქტიკურ-მორალური ხასიათის ლექსებს, რომლებშიც ზოგჯერ სასულიერო-საეკლესიო მისტიკური ჰანგიც იჩენდა თავს. მას დაუწერია ავტობიოგრაფიული და სატირული ლექსებიც.

საიათნოვას შემოქმედების ძირითადი მოტივი სიყვარულია, მის მემკვიდრეობაში მთავარი ადგილი სამიჯნურო-სატრფიალო პოეზიას უჭირავს. სატრფიალო განწყობილებითაა აღბეჭდილი საიათნოვას ქართული ლექსების უმრავლესობა (“სოფელსა და სოფელს შუა”, “მტკვარო ამღვრეულო”, “გიხდება ზარი”, “საყვარლის ბაღში”, “კოკობი ძუძუთ გაზრდილო”, “რა იქნება”, “შუადამის ვარსკვლავივით”, “სამოთხიდან გამოსული ვარდი ხარ”,

¹⁹⁹ პ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, ა. გაწერელიას შესავალი წერილით, რედაქციითა და შენიშვნებით, 1936, გვ. 263.

²⁰⁰ საიათნოვას ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ იხ. საიათნოვას თხზულებათა კრებულის წინასიტყვაობა (ი. გრიშაშვილი); კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II⁴, გვ. 678 – 683; გ. ლეონიძე, ძიებანი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I, გვ. 262 – 303; ლ. მელიქსეთ-ბეგი, საიათნოვას ვინაობა, 1930; ალ. ბარამიძე, ნარკვევები, II, გვ. 348 – 366 და სხვ.

“არვის უარი არ უთქვამს” და სხვ.).

საიათნოვა ინტიმური გრძნობების ნაზად გამომხატველი წმინდა ხმის ლირიკოსია. აშუღურ სამიჯნურო-სატრფიალო პოეზიას მან შინაგანი სიძლიერე და გარეგნული მომხიბვლელობა, პოეტური ელვარება და მუსიკალური სინაზე შემატა. საიათნოვამ სიყვარულს დიდების ჰიმნი უმღერა. მისი სამიჯნურო-სატრფიალო ლექსები არაა დაწერილი სხვათა თხოვნისა თუ დავალების საფუძველზე, აშუღის ოფიციალური მდგომარეობა და დანიშნულება სრულებითაც არ უკარნახებდა და აიძულებდა მას ეწერა ესოდენ დიდი განცდებით აღსავსე ლექსები. უცილობელია, ის თვით იყო მგრძნობიარე მიჯნური.

საიათნოვა ჭეშმარიტად დიდებული წარმომადგენელია ქართული სამიჯნურო-სატრფიალო პოეზიისა, ის სიყვარულის ტრუბადურია და მართებულადაა მიჩნეული “სიყვარულის მგოსნად”, საიათნოვამ ისეთი მგზნებარებით აღსავსე ჰიმნი უმღერა სიყვარულს, რომ სრული უფლება ჰქონდა ხმამაღლა ეთქვა:

სიყვარულით ლაპარაკი თუ გინდა,
საიათნოვამ იცის სიტყვა ქებული!

საიათნოვა გრძნობამორეული მიჯნურია. სიყვარულის სნებით შეპყრობილი მგოსანი უმღერის თავის სატრფოს, მის მშვენიერებასა და სიკეკლუცეს და აშუღური სიტყვებით ამკობს მას:

შუალამის ვარსკვლავით ცაში ხარ,
ლალის ვარდო, ყანაში ხარ, მკაში ხარ,
გაზაფხულის იასავით მთაში ხარ,
სანთური ხარ, ქამანჩა ხარ, ტაში ხარ,
ზღვის პირველი ჯეირანი, რაში ხარ!

საიათნოვას სატრფო ისე ლამაზი და ჰაეროვანია, რომ მის “ქებას ვერ იტყვის ენა”, მისთანა “ანგელოზი ამ ქვეყანას არ მოსულა”; ის ვარდი და ნარგიზია, სუმბული და სოსანია, “ოქრომკედში ამოსხმული მარგალიტის კრიალოსანია”, გადამდნარი ოქროა. მას არა მხოლოდ “ხელმწიფენი დანატრიან”, არამედ მთელი ქვეყანა შეხარის:

შენსა ქებას საწერელი ზღვა უნდა,
შენს შემხედავს თავში რაღა ჭკვა უნდა!
განა საყვარელი სხვადასხვა უნდა?
სულ ქვეყანას შენი ნახვა მოუნდა,
გამოდი ღრუბლიდამ, მზევ ნაზიანო!

აღსანიშნავია, რომ საიათნოვა თავის სატრფოს ხშირად ამკობს აშუღური

პოეზიის დამახასიათებელი სიტყვებით, მეტად სპეციფიკური, ორიგინალური გამონათქვამებით:

გიხდება ოქროს ფიცრები, მარმარილოს კოშკიანო,
პატარა ციხეც ლამაზო, შენ ქურდის კარი ნუ გინდა!

საიათნოვას კლავს ძლიერი ტრფობის წადილი, ის უზომოდ შეყვარებული და გატაცებულია, მაგრამ სატრფოს გულცივობით გულშეღონებული და დამწუხრებულია. ის სატრფოს ეუბნება — “შენ ვარდი ხარ, მე ბულბულიო” და მასთან დაახლოებას ლამობს, მაგრამ მიზანს ვერ აღწევს. მეტიც, იგი კარგავს სატრფოს, შემდეგ გულმოდგინედ ეძებს მის კვალს, მაგრამ ამაოდ:

ბულბულივით ვარდს ვეძებდი, ავდეგ, ჭალას ჩავიარე,
ვარდის კვალი ვერ ვიპოვე, სულ უბრალოდ გავიარე.

მგოსანი ოცნებობს სატრფოსთან შეხვედრაზე, მასთან ახლო ყოფნაზე, მის მეზობლად ცხოვრებაზე. მისი ნატვრა გულუბრყვილო უშუალოებითაა აღბეჭდილი და შორსაა ყოველგვარი პრეტენზიისგან. მისი სურვილი ფაქიზია და მორიდებული:

ყოველ დილას გამოვიდე, მზე ვიყო,
თქვენს ეზოში გადარგული ხე ვიყო,
მოგინდები, ცულს ნუ დამკრავ, დე, ვიყო!
შენი კარის მეზობელი მე ვიყო,
შენს სახლსავით ჩვენს სახლშია შახვიდე!

სიყვარულის მეხოტბე მგოსანი მორიდებით მოუწოდებს სატრფოს ერთად ყოფნისა და მეგობრობისკენ:

მოდი, საყვარელო, ბაღში შავიდეთ, —
ბაღი კარგი, ვარდი კარგი, ხე კარგი!
სიკვდილამდინ გარეთ აღარ გავიდეთ, —
სახე კარგი... მთვარე კარგი... მზე კარგი!

მგოსანმა ვერ მიაღწია საწადელს, ვერ მოიპოვა საყვარელი არსების გული, მან “ვარდი დაკრეფილი” პოვა:

შენმა ძებნამ გამათავა, სისხლი ოფლად მამედინა,
ვარდი ვნახე დაკრეფილი, ბულბულივით დამეძინა.

მწარე განცდით გამოწვეული სიტყვებით მიმართავს იგი სატრფოს:

“ზევრი მოგიკლავს, მეც მომღალე შენის ქებითაო”, მაგრამ ეს არაა მკაცრი საყვედური და რისხვა, ეს დიდი სიყვარულის კიდევ ერთი დადასტურება და ნათელი გამოხატულებაა. მგოსანი გონივრულად აფრთხილებს სატრფოს: “სილამაზე წავა, არც შენ დაგრჩება, ვარსკვლავივით თუგინდ ცაში ახვიდე!”

საიათნოვა მწვავედ და მტკივნეულად განიცდის სატრფოს გულცივობასა და მიუკარებლობას, ვერ ივიწყებს მას; გულმოკლულ მგოსანს მოსვენებას არ აძლევს მისი მომაჯადოებელი სილამაზე:

ჩემი სიცოცხლე უშენოთ ძნელია,
რაზედ გამათავე, რისა მქნელია?!
შენი ეშხი ბორკილია, წნელია!

წრფელი განცდით, ადამიანური მწუხარებითა და ბუნებრივი უბრალოებით მოახსენებს აშული შეუბრალებელსა და უმოწყალო მიჯნურს:

შეგცოდე, ხელი გაწვდინე, დამჩხვლიტე მაყვალივითა,
თითებზედ სისხლი ჩამომდის, ფერწითელი ლალივითა,
მე ამ ნაღველს ვერ გაუძლებ, გული მაქვს მისხალივითა,
რაც მოგმორდი შენ, ლამაზო, თვალები მაქვს წყალივითა.

უყურადღებობით გამოწვეული სევდა და მძაფრი გულისტკივილი გამოსჭვივის სატრფოსადმი მიმართულ სიტყვებში:

შენი წიგნი მამივიდა, ჩემი რათ არ წაიკითხე?
აგრე როგორ მამიძულე, ერთხელ აღარ მამიკითხე?
ავად ვიყავ, დასაბურად შენი საბანი მინდოდა!

სატრფოს გულცივობამ აღაშფოთა სახალხო მომღერალი, მისმა უყურადღებობამ იარა დაუმძიმა და გულისტკივილი გაუღვივა.

დაუცხრომელი მოტრფიალე სევდას შეუპყრია, გულმოკლული მიჯნური გოდებს და ტირის:

მე, საწყალი საიათნოვა, დღე და ღამე შენთვის ვსტირი,
უძილოდ ღამე ვათიე, ვით ვარსკვლავმან მთვარისათვის!

დიდი მგრძნობელობითაა აღბეჭდილი მისი სიტყვები:

საიათნოვა ამას ვჩივი, სამალი ვერ მიშოვია,
მინდა გული ზედ ავაგო და ხმალი ვერ მიშოვია,
შენი უბის ბროწეულის წამალი ვერ მიშოვია,
თავი მტკივა, გული მტკივა, წამალი ვერ მიშოვია!

აღელვებული და გამწარებული მგოსანი ნაღვლიანად კითხულობს: “ნეტა რომელ ერთის დარდი გასწიო, ბეჩავ საიათნოვავ, თავაზიანო”, “რა დავჯდე და რა ვიტყო, რომელ ერთ ნაღველისათვისინ?”

საიათნოვას სამიჯნურო-სატრფიალო პოეზია ქართული კლასიკური მწერლობის ორგანული ნაწილია. საიათნოვა სიყვარულის მგზნებარე მეხოტბე და დაუცხრომელი მადიდებელია.

ყურადღებას იმსახურებს საიათნოვას სახოტბო ლირიკა (“ხარ ტურფა საკრავი”, “ბადი ბულბულით ავსილა” და სხვ.). მგოსანმა თავის მწყალობელ მეფეს, ერეკლე მეორეს, რამდენიმე ლექსი უძღვნა და დიდების ჰიმნი უძღერა მის სახელმწიფოებრივ სიბრძნესა და პოლიტიკურ-საზოგადოებრივ საქმიანობას. ერეკლეს პირადი ღირსებებით შთაგონებული და აღტაცებული პოეტი აქებს და ხოტბას ასხამს მას:

ტურფა ტანი ლერწამს გიგავს, მორთულხარ ქირმანშალშია,
კბილები მარგალიტში გაქვს, ინდის პილპილი ხალშია;
ფალავანთა მომრევი ხარ, ნაქები როსტომ-ზალშია,
თუ ჩვენსა არ მობმანდები, წავიდეთ სამართალშია!
საიათნოვას ხელმწიფე ყენ-შაჰბაზი ირაკლია!

საიათნოვას ალაფრთოვანებდა ერეკლეს სამხედრო ნიჭი, პოლიტიკური გამჭრიახობა, გონივრული მმართველობა, ადამიანური კეთილშობილება და დიდბუნებოვნება. განსაკუთრებით საინტერესოა მისი ლექსი “ხარ ტურფა საკრავი”, რომელიც თავისებურ ოდას წარმოადგენს და ყურადღებას იქცევს ორიგინალური შედარებებით:

ხარ ტურფა საკრავი, საზებიანო,
მიჯნურისა მკვლელი, ხაზებიანო,
აღვის ხევ გასულო, ვაზებიანო,
დაუშრელი ზღვა ხარ, მაზებიანო,
ოქროს თვალში ზიხარ, რაზებიანო!

ნადირში ნაქებო რაშო, ჯეირანო,
ვარსკვლავსავით ბრწყინავ ლალო, მარჯანო,
უსანთლოდ ანათებ, ბროლის შამდანო,
ხმალი ხელთ გიჭირავს, ერეკლე-ხანო,
ფეჰლის ფანჯის ოინზაზებიანო!

ანათებ ქვეყანას, მთვარე და მზე ხარ!
ნეტავი არ დაღამდე, რა კაი დღე ხარ,
შტოები ასული, რა ტურფა ხე ხარ,
ტრიალი მინდორი, რა შავი ტყე ხარ,
შიგ ნადირი სავსე, ბაზებიანო!...

თავისი სახოტბო ლექსებით საიათნოვა გვევლინება როგორც ქართული საკარო პოეზიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი. ამასთანავე, მის ლექსებში, ტრადიციული საკარო-სახოტბო პოეზიის კილოს იქით, შეიგრძნობა და შეინიშნება სახალხო მგოსნის გულწრფელი სიყვარული მეფისა და პატრონისადმი.

აქვე უნდა მოვიხსენიოთ ის ლექსები, რომლებშიც ღვინის, ლხინის, დროს ტარების ხოტბაა მოცემული (“მოდო საყვარელო”, “ზალი ბულბულით ავსილა” და სხვ.). მართალია, საიათნოვას სპეციალურად არ უწერია ლხინისა და ღვინის სახოტბო ლექსები, მაგრამ მის შემოქმედებაში გარკვეული ადგილი ეთმობა ქეიფის, მეჯლისისა და დროსტარების მოტივებს.

საიათნოვას ეკუთვნის რამდენიმე ლექსი დიდაქტიკურ-მორალური ხასიათისა (“ზღვას ვით გააშრობს ვარსკვლავის სხივი”, “ზოგ-ზოგი კაცი”, “დამიჯერე”, “მეზობელზედ რა კაცს”... და სხვ.). ხალხის წიაღიდან გამოსული მომღერალი დაუნდობლად ამხელს საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა მანკიერ მხარეს, ააშკარავებს ვერაგობასა და მუხანათობას, გაუტანლობასა და ავადმყოფურ პატივმოყვარეობას. მას აღელვებს ზოგიერთი ადამიანის მედიდური ქცევა და გვარიშვილობით თავის მოწონება. მას აღშფოთებდა, რომ ზოგი გვარიშვილი თავისი უღირსი ქცევით არცხვენდა გვარსა და ოჯახს (“ავ კაცს რაში უნდა გვარიშვილობა, შეაგინებენ კაი მამასა”). სახელოვანი აშული ადამიანში მის პირად თვისებებს, მის სულიერ სიწმინდესა და კეთილშობილებას აფასებს. მას სძაგს და ეზიზღება ავი და ბოროტი, საზოგადოებისთვის ვნების მიმყენებელი პიროვნება; მას აწუხებს ზოგიერთი ადამიანის ცუდი მოქმედება, ავკაცობა და ქედმაღლობა, არ ავიწყდება ის სავალალო გარემოება, რომ

ზოგი კაცი დადის ჭიაყელასავით,
გველის შხამი უძევს პირში იმ თავით!

მგოსანმა იცის, რომ ზოგი “მეტად უღონო, ღონიერ კაცისა ძალს დაიწუნებს”, ზოგს “ჯიბეში არა აქვს ჟანგიანი დანა, ხორასნის ჯავარდენ ხმაღს დაიწუნებს”, ზოგს “ინდის ხურმა მუხის რკო ჰგონია, ბაღში შევა, მწიფე ბაღს დაიწუნებს!” საიათნოვა მწარედ დასცინის ასეთ ადამიანებს, სასტიკად გმობს მათ მოქმედებას და მკაცრი, მაგრამ სამართლიანი განაჩენი გამოაქვს მათთვის:

ღორი ხეზე როგორ უნდა ავიდეს?
ავი კაცი ამ ქვეყნიდან გავიდეს!

საიათნოვას, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სისტემური სასკოლო განათლება არ მიუღია, მაგრამ ის ხალხის წიაღში ტრიალებდა და ბევრი რამ ისწავლა ცხოვრებისგან. მან კარგად გაიცნო ხალხი, გაიგო მისი გულისთქმა, შეისწავლა მისი სიბრძნე, მისი მსოფლგაგება. ცხოვრებაში გამობრძმედილმა

მომღერალმა ხელი მიჰყო ხალხის სწავლებას, მის ზნეობრივ წვრთნას. ამის შედეგად მის ლექსებში ჭარბად გვხვდება აფორიზმი, სენტენცია, დამოძღვრა, დარიგება. თითოეული მათგანი დასრულებულ შეგონებას შეიცავს და სხარტად და მკაფიოდ გადმოგვცემს ავტორის ნააზრევს. საიათნოვას ბრძნულ გამონათქვამთა გასათვალისწინებლად საკმარისია მოვიგონოთ მისი ლექსი “ზღვას ვით გააშრობს ვარსკვლავის სხივი”.

ზღვას ვით გააშრობს ვარსკვლავის სხივი!
მტკვარი ცხრილით როგორ უნდა აირწყოს?
ქარი რას დააკლებს ქვითკირის კლდესა,
თუგინდ წლის-წლობამდის ქროლვა დაიწყოს?
თუგინდ გაათეთრო სპილენძის თასი,
სპილენძი ერთია, ვერცხლი — ათასი!
ჭიქას არ ედება ალმასის ფასი,
თუგინდ ოქროს ბეჭედშიაც გაიწყოს!

გოგრა არ გახდება შირაზის შუშა,
რაგინდ მაღლა თახჩაშიაც შაიწყოს!
თუგინდ თევზი დაკლა, არ დაიყვირებს,
ფეხთ ჰინის დადება რათ უნდათ ვირებს?
ქვიშა ბამბის ალაგს ვერ დაიჭირებს,
თუგინდ ყუთნის საბანშიაც ჩაიწყოს!

ბრძნული გამონათქვამები გვხვდება სხვა ლექსებშიც, მაგალითად, “მეზობელზედ რა კაცს თვალი უჭირავს”:

თიხის ჯამი არ გახდება ჩინათა,
მუხის ქერქი კიდევ — დარიჩინათა!

ანალოგიური ხასიათის გამონათქვამებს ვხვდებით საიათნოვას აზერბაიჯანულსა და სომხურ ლექსებშიც (“ქვეყანა სულ ფანჯარაა”, “ემხის სახმილს მე შევედი” და სხვ.).

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საიათნოვას მახვილ თვალს არ გამოჰპარვია ამქვეყნად არსებული სოციალური უთანასწორობა. ერთ თავის სომხურ ლექსში ის საგანგებოდ ამახვილებს ყურადღებას ამ საკითხზე:

ათასი და მეტი წელი გავიდა,
ღარიბი და მდიდარიცა არსებობს.
სხვადასხაა მათი სუფრა-მაგიდა,
სიკვდილიცა უსასწოროდ ჰასასობს.

მართალია, პოეტი ამჩნევს ყოველივე ამას, მაგრამ იგი ეგუება არსებულ ვითარებას, უგულვებელყოფს კლასობრივ ბრძოლას და მორჩილებას ქადაგებს

(“ყული აღაზე არ ჩივის, კვლავ შეჰფერის ითმინოს”).

სამოქალაქო-სოციალური მოტივი განსაკუთრებით მძლავრად იჩენს თავს საიათნოვას იმ ავტობიოგრაფიულ ლექსებში, რომლებიც ჩვენ უკვე მოვიხსენიეთ და დავიმოწმეთ ზემოთ (“შე საწყალო, ჩემო თავო”, “სამართალი მიყავ”). გლახის შვილი და ვაჭარ-ხელოსანთა იდეოლოგი ამაყობდა თავისი სოციალური წარმოშობით და ამ სიამაყით აღიზიანებდა ფეოდალური საზოგადოებრიობის ზედა ფენებს. განაწყენებულმა დიდკაცობამ სასტიკად დასაჯა თამამი საზანდარი და ცხოვრების გზა-კვალი აურია მას. როგორც აღვნიშნეთ, დიდებულების გაუტანლობის შედეგად საიათნოვა სასახლიდან გააძევეს და მეგობრებს დააცილეს. ყოველივე ეს სათანადოდ აისახა მის ლექსებში. შექმნილმა მდგომარეობამ გარკვეული კვალი დააჩინა მის პოეზიას. შერისხულსა და განწირულ პოეტს გულს უკლავდა ახლობლების უმადურობა და გაუტანლობა, მისი ღვაწლისა და ამაგის დავიწყება:

ვის წინაც გავცარე გულის ხახალი,
ყველამ მითხრა, ურგებელი მთა ხარო!

საიათნოვას ლექსებში თავი იჩინა ნალველმა, მის ხმას სევდა შეეპარა, გალალებული მგოსანი ჭორმა დაჩაგრა:

მოთმინება დამელია, ვედარ ვუძღვებ ხალხის ჭორს,
მოყვასნი მტრად გადაიქცნენ, მოძულენო, ჩემგან შორს!

საიათნოვას პოეზიაში თვალნათლივ შეიმჩნევა რელიგიურ-მისტიკური განწყობილებაც. მის ლექსებში, აქა-იქ ადრეულ ხანაშიც გვხვდება სასულიერო-საეკლესიო მსოფლმხედველობის ანარეკლი, იგი ხშირად იხსენიებს ღმერთს, ანგელოზს, ხატს, მონასტერს და ა. შ. ყოველივე ეს უფრო დასრულებულ სახეს იღებს სომხურ ლექსებში, რომლებიც ქართულ და აზერბაიჯანულ ლექსებთან შედარებით რამდენადმე გვიან ხანას ეკუთვნის.

დროთა განმავლობაში საიათნოვას ადრინდელი ხალისიანი სიმღერა სევდიანმა კილომ შეცვალა, ოპტიმისტური განწყობილებით აღბეჭდილი ლექსები — უიმედობისა და დაცემულობის განწყობილების გამომხატველმა ლექსებმა. მისი ცხოვრების გზა ერთობ რთული და წინააღმდეგობით აღსავსე იყო. სატრფოს გულცივობას მეფე-პატრონის უმადურობა და დაუფასებლობა და მეგობარ-ახლობელთა გულგრილობა დაემატა. საიათნოვამ ხელი ჩაიქნია, ცხოვრებაზე გული აიყარა, სახელგანთქმულმა მომღვინმა ქეიფსა და დროს ტარებაზეც ხელი აიღო.

საიათნოვა იწყებს ღვთისმორჩილებისა და ღვთისმსახურების ქადაგებას. ის სასულიერო-საეკლესიო წიგნების (სახარება, მამათა ცხოვრება და სხვ.) კითხვისკენ მოუწოდებს საზოგადოებას. საგულისხმოა, რომ ზოგჯერ მის სამიჯნურო-სატრფიალო ლექსებსაც კი დაჰკრავს სასულიერო-საეკლესიო

იერი.

მიუხედავად აღნიშნულისა, სარწმუნოებრივი მიდრეკილება საიათნოვას პოეზიაში არასოდეს არ ყოფილა არსებითი და ძირითადი, საიათნოვა არასდროს არ ყოფილა ფანატიკოსი.

ერეკლეს სახელოვან საზანდარს ოხუნჯობაც ეხერხებოდა და იუმორისტული ნიჭიც ამკობდა. მის მემკვიდრეობაში გარკვეული ადგილი ეთმობა გასართობ-საოხუნჯო სატირას.

ერთხელ საიათნოვა მზეჭაბუკ ორბელიანს დასხმია თავს და სასტიკად დაუცინია. მზეჭაბუკი განსწავლული მწიგნობარი, პოეტი და ფილოსოფოსი იყო და ერეკლეს კარზე საპატიო ადგილიც ეჭირა, მაგრამ ავი ენისა და ბოროტი ბუნების გამო მას ბევრი მტრობდა. მასზე სატირული ლექსები უწერიათ ბესარიონ გაბაშვილს, დავით რექტორსა და სხვ. როგორც ჩანს, საიათნოვასაც არ მოსწონდა გულზვიადი მდივანბეგი. ერთი ბიბლიოგრაფიული ცნობით, “ჭაბუა დიანბეგს ყაფლანიშვილს ქორწილი რომ უყვეს მუხრანბატონის ქალზედ... საათნავა იქ იყო, გიორგი ბატონიშვილს ახლდა”. ქორწილშიც არ დაუნდვია და მოურიდებლად გაუკილავს მას კუზიანი და უსახური ჭაბუა (“არაგვსა გავსდვით ხიდია, აქლემს ხურჯინი ჰკიდია...”). ცნობილია მისი სხვა კალამბურებიც.

დასასრულ უნდა აღვნიშნოთ, რომ მკვლევარები ზოგჯერ მიუთითებენ საიათნოვას ქართული ლექსების ტექნიკურ ნაკლზე. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საიათნოვა იყო იშვიათი ლირიკული ხმის მგოსანი-მომღერალი, პოეტი-იმპროვიზატორი და თავისი ოსტატური შესრულებით აჯადოებდა ყველას. საიათნოვას პოეზია დღესაც გვხიბლავს ავტორის მდიდარი ფანტაზიით, უშუალოებითა და გულწრფელობით, აშუღური სულის უმანკოებით, ხალისიანობითა და მგრძნობელობით, სატრფიალო გულისთქმითა და პოეტური ხმის დიაპაზონით.

“საიათნოვას ლექსების შინაარსი, ერთი შეხედვით, ერთფეროვანია. ერთფეროვნად გვეჩვენება მისი ლექსების ფორმაც, მაგრამ რა დაუმრეტელი მრავალფეროვნების მოთავსება შეძლო პოეტმა ამ მოჩვენებითს მონოტონობაში. ის თითქმის ყველგან ლაპარაკობს სიყვარულზე, მაგრამ რამდენად მრავალფეროვანია ამ სიყვარულის ნიუანსები მის სხვადასხვა ლექსში, რა მრავალფეროვანია ყველა მისი გადასვლა — მშვიდი სინაზიდან ცეცხლოვან ვნებაზე, სასოწარკვეთილებიდან — აღფრთოვანებაზე, თავის თავში დაეჭვებიდან — მხატვრის ამაყ შეგნებაზე” (ვ. ბრიუსოვი).

საიათნოვამ ქართულ პოეზიაში შემოიტანა არა ერთი მხატვრული სახე, თავისებური ლექსიკა და ტერმინოლოგია, ორიგინალური სტილი და რიტმიკა; გამოიყენა არა ერთი სალექსო ფორმა (თეჯლისი, თახმისი, ყაფია და სხვ.), შემოიტანა და დაამკვიდრა მუხამბაზი, რომელმაც საერთო აღიარება პოვა ქართულ პოეზიაში. ქართული მუხამბაზი (არაბ.— ხუთეული) ხუთსტროფიანი ლექსია. თითოეული სტროფი ოთხიდან ცხრამდე ტაეპს შეიცავს. პირველი სტროფის ყველა ტაეპი გაწყობილია ერთ რითმაზე,

დანარჩენ სტროფებს თავისი საკუთარი რითმა აქვთ, მხოლოდ ყოველი მომდევნო სტროფის უკანასკნელი ტაეპი პირველი სტროფის ტაეპებს ერთმემა, რაც ქმნის თავისებურ რიტმიკას და ლექსს მატებს მუსიკალურ ჟღერადობასა და გამომსახველობით ძალას. საიათნოვას წყალობით მუხამბაზი ფართოდ გავრცელდა ქართველ საზოგადოებაში.

საიათნოვას ლექსებში ხშირად გაიელვებენ ცნობილი ლიტერატურული სახეები, რაც საფიქრებელს ხდის, რომ მგოსანი იცნობდა შესაბამის თხზულებებს (“როსტომიანი”, “ლეილმაჯუნუიანი”, “ვარდბულბულიანი” და სხვ.). როგორც ჩანს, ის იცნობდა სასულიერო-საეკლესიო შინაარსის ძეგლებსაც (ბიბლია, მამათა ცხოვრება და სხვ.). საფიქრებელია, ბევრი რამ საიათნოვამ გაიცნო არა მწიგნობრული, არამედ ზეპირსიტყვიერების გზით. საიათნოვა არა მარტო იყენებდა ხალხურ სიტყვიერებას, არამედ თვითონაც ამდიდრებდა მას. ცნობილია არა ერთი ფოლკლორული ჩანაწერი, რომელშიც საიათნოვას ლექსების ანარეკლთან გვაქვს საქმე (“ზოგი კაცია — ჟანგიანი დანა ჰკიდია”, “მეცხვარეს რათ უნდა აღმასი ძველი” და სხვ.). კიდევ უფრო მეტი იყო საიათნოვას გავლენა მის თანადროულსა თუ მომდევნო ხანის ქართულ ლიტერატურაზე. მისი ლექსებით საზრდოობდა ბესარიონ გაბაშვილი, მის ლექსებს ეწაფებოდნენ ალ. ჭავჭავაძე და გრ. ორბელიანი, რომელთაც კიდევ უფრო აამაღლეს და სრულყვეს მუხამბაზის ფორმა, მის ლექსებს დიდად აფასებდნენ ი. ჭავჭავაძე და ა. წერეთელი. საყურადღებოა, რომ მუხამბაზით გატაცება ჩვენში იქამდე მივიდა, რომ არისტოკრატიულ-მწიგნობრულმა ლიტერატურამ კატეგორიულად გაილაშქრა მის წინააღმდეგ (ვ. ორბელიანი).

საიათნოვას პოეზიამ ერთგვარი ზემოქმედება მოახდინა ქართულ საბჭოთა ლიტერატურაზეც.

დიდია საიათნოვას დამსახურება ჩვენი ლიტერატურის წინაშე. თავისი ლექსებითა და ჰანგებით მან ჭეშმარიტად დაიმსახურა დიდი მგოსანი-იმპროვიზატორის, სახალხო მომღერლის სახელი. მახვილი პოეტური სიტყვა, განვითარებული სმენა, მშრომელ ხალხთან მჭიდრო კავშირი სრულ უფლებას აძლევდა მას ამაყად განეცხადებინა:

მე, საიათნოვას, ხმაში მაქვს ძალი!
სიტყვას ვიტყვი, ცამ ქუხილი დაიწყოს!
კლდეა ჩემი საფუძველი, ქვიშა არ გეგონოთ!

ხალხის წიაღიდან გამოსულმა მგოსანმა ქართული პოეზია მეფე-დიდებულთა სასახლეებიდან გამოიყვანა და უშუალოდ ხალხს დაუახლოვა და დაუკავშირა.

საიათნოვა თხზავდა და მღეროდა ქართულად, სომხურად და აზერბაიჯანულად. ის მთელი მგზნებარებით აჟღერებდა თავის ჩანგს და კიდევ უფრო ამტკიცებდა და ადულაბებდა ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი ხალხების მრავალსაუკუნოვან მეგობრობას. თავისი

ლექსებით ის გამოხატავდა სამივე ხალხის გარკვეული ფენების აზრებსა და მისწრაფებებს, ზრახვებსა და ოცნებებს, მსოფლმხედველობასა და იდეოლოგიას და ამით გარკვეული წვლილი შეჰქონდა სამივე ხალხის კულტურის ისტორიაში. აღნიშნულის გამო საიათნოვას მართებულად მიიჩნევენ საერთაშორისო პოეტად ამიერკავკასიის მასშტაბით.

საიათნოვას ლიტერატურული მემკვიდრეობა არცთუ ისე დიდია. მისი სახელით მოღწეულია 30-მდე ქართული ლექსი, 60 სომხური და 115 აზერბაიჯანული. განსაკუთრებით ნაკლები სახითაა მოღწეული მგოსნის ქართული

ლექსები. საიათნოვა ქართველთა შორის ტრიალებდა, ქართულ სასახლეებში მოღვაწეობდა, “საქართველოს მეფის საზანდარი” იყო. უცილობელია, ის, მეტწილად, ქართულად თხზავდა და მღეროდა, მაგრამ, სამწუხაროდ, მისი ბევრი ქართული ლექსი დაიკარგა ან, ჯერჯერობით, გამომზეურებული არ არის.

ბესარიონ გაბაშვილი

ბესარიონ გაბაშვილი (ბესიკი) ძველი ქართული მწერლობის უკანასკნელი დიდი წარმომადგენელია. მისი შემოქმედება თუმცა ეხება იმავე საკითხებს (სოციალურს, ეთიკურს და სხვ.), რომლებიც წამოაყენეს არჩილმა, ვახტანგ VI, დავით გურამიშვილმა, მაგრამ მისი პოეზია მაინც სხვა მხრივ არის მიმართული. იგი სილამაზისა და ადამიანის მშვენიერ გრძნობათა დიდი მომღერალია. ბესიკს არაჩვეულებრივად აქვს გამახვილებული სილამაზის, მხატვრული ფორმის გრძნობა, ხოლო მისი ლირიკული შედეგები სიყვარულის რომანტიული განცდის შედეგია. თავის ლექსებს მან თითქოს დაუბრუნა ძველი ლირიკის თვისებები და იგი კვლავ სიმღერა-მელოდიას დაუკავშირა. ამ მომენტმაც განაპირობა ბესიკის დიდი პოპულარობა მის თანამედროვეთა შორის. საკმარისია გავიხსენოთ იოანე ბატონიშვილის სიტყვები: "ბესარიონ გაბაშვილი იყო მეცნიერებასა შინა გამოცდილი და უცხო პიტიკოსი. მოშაირე მჰსგავსი რუსთვლისა, რომელმანც მრავალი საამო შაირნი დასწერა სპარსთა ხმათა ზედა სამღერალი ქართულისა ენითა... გააკეთა სხვათა და სხვათა ხმათა ზედან სიმღერისა ლექსები"²⁰¹, მაგრამ არსებითად ბესიკმა სრულიად გააქართულა სპარსულ-არაბული "მუხამბაზები" თუ "მუსტაზადები" და ახალი ფორმები შესძინა მშობლიურ პოეზიას. ბესიკის სახელი ერთგვარ საზომად გადაიქცა მის თანამედროვეთა შორის და მას უამრავი ნიჭიერი თუ უნიჭო მიმბაძველი გაუჩნდა. უნდა აღინიშნოს, რომ ბესიკის დიდი პოეტური სახელი შემდეგაც ცოცხლობდა, ვახტანგ ორბელიანი ერთ თავის ლექსში ამბობს: " აქა ისმენენ ბესიკისას მღერას ციურსა", ხოლო

²⁰¹ კალმასობა, II, გვ. 20.

გიორგი ერისთავის დროინდელ ქართულ ლიტერატურულ სალონებში ექვსაც კი გამოთქვამდნენ, გამოუჩნდება თუ არა ბესიკის ღირსეული მემკვიდრეო:

ბესიკის ნაცვლად ვინ არისო
ვთქვათ მომღერალი!

როგორც ვიცით, აღმოსავლეთ საქართველოს ცხოვრებაში მნიშვნელოვანი თარიღია 1744 წელი. ამ დროს ფაქტიურად მოხდა ქართლ-კახეთის გაერთიანება. თეიმურაზისა და განსაკუთრებით ერეკლეს ენერგიული მოქმედების შედეგად ქვეყანამ ჭრილობების მოშუშება დაიწყო და აღორძინების გზას დაადგა. სამეფო კარზე კვლავ გაჩაღდა დიდი კულტურული ცხოვრება.

სწორედ ამ ხანებში ქართლის სამეფო კარზე მოღვაწეობდა ბესარიონ გაბაშვილის მამა ზაქარია, რომელსაც კარის მოძღვრის საპატიო თანამდებობა ეკავა. თანამედროვეთა გადმოცემით, იგი ფრიად განათლებული მწიგნობარი ყოფილა: "მველთა ფილოსოფიისა სწავლათა შინა გამოცდილი და ღვთისმეტყველებისაცა მიწვენილი, მშვენიერი რიტორი და უცხო მოქადაგე. ეს იყო მშვენიერი მწერალი და მთხზველი მაღალსა ფრასსა ზედა, უცხო პიტიკოსი და მღვდლობითა სრული, რომელიცა იქმნა მეფეთა მოძღვარიცა"²⁰² მის მაღალ ფილოსოფიურ განსწავლულობას აღიარებდა მისი მოწაფე და შემდეგ იდეური მოწინააღმდეგე ანტონ კათალიკოსიც.

ზაქარიას მამა და თვით ზაქარიაც მანამდე მოღვაწეობდნენ სამხრეთ საქართველოში, საორბელოში. მაშინ ლეკიანობა ძალზე მომძლავრებულა კახეთის სხვადასხვა კუთხეში, კერძოდ, ქიზიყში. მოლები ძალით ამაჰმადიანებდნენ თურმე ხალხს და საჭირო გახდა ენერგიული ზომების მიღება. როგორც ჩანს, ზაქარია ქიზიყში გადასულა და ბევრი გადარჯულებული კვლავ მოუქცევია ქრისტიანობაზე. იოანე ბატონიშვილი გვიამბობს, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ამაჰმადიანობისაგან გამიჯვნას და დასძენს: "ამან (ზაქარიამ) იღვაწა ქიზიყსა შინა ქადაგებითა, რომელთა შორის შვიდა მცირედ ლეკიანობა და მალე მოაქცივნა იგინი"²⁰³. როგორც ერთი საბუთიდან ჩანს, ზაქარია თეიმურაზ II-ის კარის მოძღვრად ინიშნება²⁰⁴ და იგი უშუალოდ ექცევა მაშინდელი კულტურული ცხოვრებისა თუ პოლიტიკური ქმედობის ცენტრში. ზაქარიას, როგორც სარწმუნო წყაროები გვაცნობენ, სულ მოკლე დროში დიდი ავტორიტეტი მოუპოვებია. მართლაც, წერს გიორგი ლეონიძე, ჩვენ ვხედავთ ზაქარიას სასახლის საქმიანობაში გართულს, როგორც ფავორიტი, იგი შუამდგომელია მეფესთან სხვადასხვა პირთათვის დახმარების აღმოსაჩენად, მონაწილეობს სხვადასხვა სახელმწიფო საქმეში და, ბოლოს, მან

²⁰² კალმასობა, II, გვ.195.

²⁰³ იქვე,

²⁰⁴ საქართველოს სსრ ცენტრარქივის სიგელი, ფონდი № 1861.

დიდი როლი შეასრულა თეიმურაზ მეორის ოჯახურ ცხოვრებაში. ცნობილია, რომ დედოფალ თამარის გარდაცვალების შემდეგ თეიმურაზმა შეირთო ცოლი ზაქარიას "მრავლითა შრომით და ღვაწით"²⁰⁵. ამ ხანებს ემთხვევა ზაქარიას თბილისში დაფუძნება.

ზაქარიას შემდგომი ცხოვრება მრავალ პერიპეტიებს შეიცავს და მჭიდროდ უკავშირდება მისი შვილის ბესარიონის ბიოგრაფიას. ზაქარია მოძღვარი დაუპირისპირდა ანტონ კათალიკოსს, რომელიც საქართველოს მთელ სულიერ ცხოვრებას ხელმძღვანელობდა. მათ კონფლიქტს მრავალი მიზეზი განაპირობებდა. გარდა წვრილმანი ოჯახური თუ სამეფო კარზე დატრიალებული ჩვეულებრივი ინტრიგებისა, ამ ბრძოლის წამოწყებას უფრო სერიოზული საფუძვლებიც ჰქონდა. ანტონის საგანმანათლებლო პოლიტიკას ვერ შეეგუა ძველი კონსერვატიული საზოგადოება, რომელსაც ზაქარია მეთაურობდა. კონფლიქტის ერთგვარ საბაზად გადაიქცა ანტონის დაახლოება საქართველოში მოღვაწე კათოლიკურ მისიონთან. ფაქტია, რომ ანტონ I ამ დაახლოებას პრაქტიკულ მიზნებს უკავშირებდა და საქართველოში ევროპული ცივილიზაციის გავრცელებას უწყობდა ხელს²⁰⁶. ზაქარია სათავეში ჩაუდგა ანტონის წინააღმდეგ მებრძოლ ბანაკს და ეს საბაზი გამოიყენა ანტონის დასამხობად. ანტონი გადააყენეს მღვდელმთავრის მაღალი თანამდებობიდან და კარგა ხანს პატიმრის მდგომარეობაში იმყოფებოდა სოფ. კავთისხევს. 1756 წელს საეკლესიო კრებამ მოსთხოვა ანტონს საჯარო მონანიება. ანტონმა შეასრულა კრების დადგენილება, მაგრამ მაინც ვერ ასცდა სასტიკ განაჩენს. ამავე წელს იგი გაძევებულ იქნა რუსეთში. ზაქარია ზეიმობდა გამარჯვებას და "შეუდგა ეკლესიის გამოჯანსაღებას"²⁰⁷. უნდა ითქვას, რომ ზაქარია, მიუხედავად მის შეხედულებათა ერთგვარი კონსერვატიზმისა, უეჭველად ენერგიული და საქმის კაცი იყო. ამ ხანებში საქართველოში გაიხსნა რამდენიმე სკოლა და სემინარიაც. გარდა სკოლების გახსნისა, რომლებშიც ზაქარია უშუალოდ მონაწილეობდა, უნდა ვიფიქროთ, რომ იგი დიდად თანაუგრძნობდა 1756 წ. ტფილისში სემინარიის დაარსებას და სხვა კულტურულ წამოწყებებს. ზაქარიას ავტორიტეტი უზომოდ გაიზარდა. "კარის მოძღვარს" დიდ ანგარიშს უწევდნენ საერო ხელისუფალნი, მათ შორის არა მარტო თეიმურაზ II, არამედ თვით ერეკლეც, რომელიც ამავე დროს ანტონის დიდი მეგობარი და თანამზრახველიც იყო.

ზაქარიას ბატონობა დიდხანს არ გაგრძელებულა. მისი დიდი მფარველი მეფე თეიმურაზი 1760 წ. მოსკოვს გაემგზავრა. მეფე-პოეტი რუსეთიდან აღარ დაბრუნებულა, იგი პეტერბურგში გარდაიცვალა 1762 წ. და გაერთიანებული

²⁰⁵ თავგადასავალი იესე ოსეს შვილისა, ს. კაკბაძის გამოც., გვ. 14, 39, 46, 57.

²⁰⁶ რა თქმა უნდა, ანტონის ეს კეთილშობილური განზრახვა სრულიად არ ემთხვეოდა თვით კაპუცინთა მიზნებს, რომლებიც აგრეთვე მხოლოდ "სასულიერო" მოღვაწეობით არ იფარგლებოდნენ.

²⁰⁷ გ. ლ ე ო ნ ი ძ ე , ძიებანი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. I, 1949 წ.

ქართლ-კახეთის მეფედ ერეკლე მეორე დაჯდა.

ერეკლემ ერთ-ერთ პირველ ღონისძიებად ანტონის საქართველოში დაბრუნება დაისახა, რადგან იგი იმთავითვე ანტონის გამეფებაში არ თანაუგრძნობდა თავის მამას. “შენი ამ ქვეყნიდამ დაკარგვა — სწერდა ერეკლე ანტონს — ჩვენ უნდა დაგვემძიმოს, ვისაც ჭკუა აქვს. მე უშენოდ ვერ ვიქნებიო”.

ზაქარიას მძლავრობის დღეები დათვლილი იყო. 1763 წ. ანტონი დაბრუნდა საქართველოში და 1764 წ. 5 მარტს მან დაიბრუნა საქართველოს ეკლესიის მესაჭის პატივი. კვლავ განახლდა ქიშპი და მეტოქეობა ზაქარიასა და ანტონს შორის. ზაქარია არა ცხრებოდა. არის ცნობა, რომ ზაქარია იმერეთში გადავიდა, რომ იქიდან ებრძოლა ანტონისა და ერეკლეს წინააღმდეგ²⁰⁸. მეფე და კათალიკოსი თითქოს ცდილობდნენ კიდევ ამ უცნაური მოძღვრის შემორიგებასა და დაზავებას, მაგრამ ზაქარია ურჩობდა. საეკლესიო კრებამ გამოიტანა განჩინება, რომლითაც საბოლოოდ განკვეთეს იგი მღვდელობიდან. ტანჯვა-ტყვეობის შემდეგ ზაქარიამ მოახერხა გაპარვა და 1768 წლისთვის უკვე მოსკოვსა და პეტერბურგს ჩააღწია.

თვითონ ზაქარია დეტალურად გადმოგვცემს მის დამხობასა და ოჯახის აწიოკებას.

მრავალტანჯული ზაქარია შეეფარა ვახტანგ VI-ის შთამომავლობას. თითქმის სამი წელი დაჰყო რუსეთში, იბრძოლა, იომა, მრავალგზის მოხსენებითი ბარათი წარუდგინა უმაღლეს სინოდს ანტონ კათალიკოსის კათოლიკობისადმი მიდრეკილების შესახებ, მაგრამ, როგორც ჩანს, ამაოდ. ამ დროს რუსეთს თავისი ანგარიშები ჰქონდა ერეკლესთან. ამიტომ ყურადღება არ მიაქცევს ზაქარიას მიერ ატეხილ დოგმატურ დისკუსიას. სინოდმა იგი არ შეიწყნარა და 1770 წ. უბრძანა დანაშაული მოენანიებია ანტონის წინაშე²⁰⁹.

იმედგაცრუებული ზაქარია გამოემგზავრა იმერეთში, სადაც მას ერეკლესა და ანტონის მოწინააღმდეგე ბანაკი ეგულებოდა. იგი უკვე 1771 წლიდან ჩანს იმერეთში.

ზაქარია აღარ დაბრუნებულა თბილისში. იგი დაახლოებით 1780 წელს გარდაცვლილა და გელათის მონასტერში დაუკრძალავთ.

ბესიკი დაიბადა 1750 წელს²¹⁰. უეჭველია, რომ მამა, რომელიც თვით იყო ერთ-ერთი ინიციატორი საქართველოში სწავლა-განათლების აღორძინებისა, თავის შვილს შესაფერის განათლებას მისცემდა. უნდა ვივარაუდოთ, რომ ყმაწვილი ბესიკი იმთავითვე მაღალ წრეებში ტრიალებდა და იმ დროისათვის სავალდებულო წვრთნა-განათლებას მიიღებდა. მის მაღალ გაწვრთნილებაზე მეტყველებს, მაგალითად, იოანე ბატონიშვილის სიტყვები, რომ ბესიკს მთელი ლექსიკონი ზეპირად სცოდნიაო: “მოუთხრობენ ამისათვის, რომელ

²⁰⁸ იქვე, გვ. 184.

²⁰⁹ გ. ლ ე ო ნ ი ძ ე , ძიებანი, გვ. 186.

²¹⁰ იქვე, გვ. 259 – 260; ვ. მ ა ჭ ა რ ა ძ ე , ბესიკის დაბადების თარიღი (თუშ, ტ. 78, 1963, გვ. 173 - 183).

სკოდნოდეს ზეპირად მთლად ლექსიკონი ქართულიო” (“კალმასობა”).

ზაქარიას ოჯახში შემოქმედებითი შრომა, მწიგნობრობის სიყვარული დიდი ყოფილა. ბესიკის უფროსი ძმა ოსე იყო მწიგნობარი და პოეზიის მოყვარული. სხვა თხზულებებთან ერთად მას ეკუთვნის შესხმა, რომელიც მიძღვნილია თეიმურაზის ქალის ელისაბედისადმი²¹¹. ასევე მწიგნობრად ასახელებენ ბესიკის ძმას ნიკოლოზსაც²¹².

არ შეიძლება არ გავიხსენოთ ის, რომ გაბაშვილები მეტად დაწინაურებულან მეფის კარზე. ზაქარიას ძმა დავითი სასახლის სუფრაჯი ყოფილა, ხოლო მის ბიძას პაპუნას ბაზიერთ-უხუცესობა ჰქონდა მინიჭებული²¹³.

ბესიკის განათლებას მოწმობს მსოფლიო ლიტერატურის სხვადასხვა წარმომადგენელთა ხშირი ხსენება მის თხზულებებში — არისტოტელე და პლატონი პროკლე, ჰომეროსის გმირები (აქილევსი და ჰექტორი, პრიამი, ორესტი და სხვ.). გ. ლეონიძემ გაარკვია ბესიკის განსწავლულობა მისი დროის მსოფლიო ლიტერატურაშიც. მკვლევრის მოსაზრებით, ბესიკმა სიცოცხლის უკანასკნელ წლებში გაიცნო ცნობილი ენციკლოპედისტის მარმონტელის (1723 — 1799 წწ.) თხზულება, რომელიც 1782 — 1787 წლებში “ველიზარიანის” სახელით ქართულად თარგმნა გაიოზ რექტორმა²¹⁴. საინტერესოა, რომ ბესიკი ამ სახელს მის საკუთარ სახელთან ერთგვარი ბგერული მსგავსების გამო ზოგჯერ ფსევდონიმადაც იყენებს. მაგალითად, მის ერთ აკროსტიხს “წმიდის გიორგის შესხმა იამბიკოდ” აწერია: “გიორგის ვაქებდეთ — თქმული ველისარიონის მიერ”. ანბანთქებაშიც “ანზე სით მოხვალ” პოეტი თავის თავს “ველისარიონს” უწოდებს: “ვარამს ვესურვე, მიწოდდა ველისარიონს ჭკვიანად”-ო.

აღბათ, ამ გატაცების მიზეზითო — დასძენს გ. ლეონიძე — პოეტის მეგობრები გარდაცვალებული ბესიკის დატირებისას წარმოთქმულ ლექსში მას “ჭკუით ველისარიონს” უწოდებენო²¹⁵. ამავე წერილში დასახელებულია ბესიკის ორი ლექსიდან შემდეგი ადგილები: “ჟილ-ბლაზ მარქვა უცხო სჯულთა გარდამსახვად (“ანზე სით მოხვალ”) და “ჟილ-ბლაზი ერის მეტ ღიზღვით დამმხედ არ იყოს ხსონითა” (“ჭადრაკზედ ზმები”). მკვლევარი ასკვნის, რომ, აღბათ, ბესიკმა ლესაჟის (1668 — 1747) რეალისტური რომანი

²¹¹ ქართული პოეტიკის ქრესტომათია (XVIII - XIX სს.), გ. მიქაძის რედ., 1954. გვ. 79 – 80.

²¹² H-2134.

²¹³ საქ. ცენტრარქივის სიგელების პირების წიგნი № 24, სიგელი № 87.

²¹⁴ გ. ლეონიძე, ბესიკი, მარმონტელი, ლესაჟი (ლიტ. გაზეთი, 1938, № 14).

²¹⁵ ეს ლექსი, სხვათაშორის, მოთავსებული აქვს ს. გორგაძეს თავის წერილში ბესარიონ გაბაშვილის (ბესიკის) ახლად აღმოჩენილი ლექსები და ავტოგრაფები (ჩვენი მეცნიერება, 1924, № 1. ნაწყვეტი ამ ლექსიდან ასეთია: “მას ბესარიონს, ჭკუით ველისარიონს”... და სხვ.).

“ჟილ-ბლაზი” ქართულ თარგმანში გაიცნო²¹⁶.

ბესიკს, როგორც აღვნიშნეთ, უზრუნველი და ნებიერი ცხოვრება უნდა ჰქონოდა სიყმაწვილეში, მაგრამ მამის კონფლიქტმა ანტონ კათალიკოსთან დაანგრია გაბაშვილების ავტორიტეტი მეფის კარზე. 1764 წლიდან, როცა ზაქარიას ღირსებანი აჰხადეს, მისი შვილების, და მათ შორის ბესიკის, მდგომარეობა უიმედო უნდა გამხდარიყო.

ირკვევა, რომ პირადად ბესიკის საქმე შემდგომში არც ისე ცუდად წასულა, იგი თანდათან დაახლოებია სამეფო კარს და მალე სასახლის შინაური კაციც გამხდარა. “თუმცა არავითარი ოფიციალური ცნობა არ მოგვეპოვება ბესიკის შემდგომი მდგომარეობის შესახებ და ბესიკის ცხოვრების ეს ხანაც სიბნელით არის მოცული, მაგრამ ზოგი საბუთის მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შეჩვენებულ ნამოდვრალის ოჯახიდან კერძოდ ბესიკს მფარველი გამოსჩენია. ცხადია, ასეთი გაბედულება მხოლოდ სასახლის დიდგავლენიანსა და დამოუკიდებელ პიროვნებას შეეძლო. ჩვენი დაკვირვება ამხელს, რომ ეს პიროვნება ყოფილა თეიმურაზ მეორის ქვრივი დედოფალი ანა-ხანუმ, რომელიც თავის დედოფლობით პირადად ზაქარიასგანაც იყო დავალებული”²¹⁷.

ანა-ხანუმმა მეფე ერეკლეს აღსაზრდელად გამოართვა ლეონ ბატონიშვილი. ეს მომენტი სხვაგვარად აყენებს ბესიკის მომავლის საკითხსაც. ახალგაზრდა ლეონის ამაღლაში ამის შემდეგ ხშირად მოჩანს, ალბათ, ბავშვობაში მასთან თანშეზრდილი, აგრეთვე ჯერეთ სრულიად ახალგაზრდა ბესარიონ გაბაშვილიც. ყოველივე ეს მოწმობს, რომ ანა-ხანუმი და მისი ნაშვილები ლევან ბატონიშვილი ნამდვილ მფარველად გამოსჩენიან განდევნილ ზაქარიას ოჯახის წევრებს.

ბესიკის პატრონი და პირადი მფარველი სწორედ ლევან ბატონიშვილი ყოფილა. ლევანი დიდი სამეფო კაცის იმედებს იძლეოდა. როგორც ცნობილია, იგი ერეკლე მეფის უსაყვარლესი შვილი და საიმედო მემკვიდრე იყო. უნდა ვიფიქროთ, რომ ლევანის ამაღლაში ირიცხებოდა ბესარიონ გაბაშვილიც.

დასასრულ, ამას შესანიშნავად ნათელყოფს ბესიკის ცნობილი ოდა “სამძიმარი”. აქ გადმოცემულია ლევანის გარდაცვალება და ის ღრმა მწუხარება, რომელსაც მოუცავს ლევანის ახლო მეგობარი ბესიკი. მაშინ ბესიკი ლევანისგან შორს იყო გადახვეწილი, მაგრამ იგი მოგონების სახით აღადგენს ლევანთან მეგობრულად გატარებულ დღეებს (პოეტი ახსენებს მათ ორთა “ერთსულობას”, “მეგობრობას”, მოიგონებს “სრა-სასახლეს”, “ძლიერ სახლს”,

²¹⁶ გ. ლ ე ო ნ ი ძ ი ს დასახ. წერილი. აქვე აღსანიშნავია, რომ ბესიკის ახალ აკადემიურ გამოცემაში (რედ. ალ. ბარამიძე, ვ. თოფურია) ვ. თოფურია წერს, რომ ლესაჟის თხზულების გმირის სახელი ბესიკმა, ალბათ, რუსული თარგმანის მეშვეობით (ან უბრალო გადმოცემით) გაიგო და შეიტანა თავის რთულ ანბანთქებაში, ხოლო ქართული თარგმანი, როგორც ჩანს, საერთოდ არ არსებულა (გვ. 289).

²¹⁷ გ. ლ ე ო ნ ი ძ ე, ძიებანი ქართული ლიტ. ისტორიიდან, ტ. I, 1940, გვ. 201.

სადაც ერთად ცხოვრობდნენ, ერთგულ "პატრონყმობას")²¹⁸.

სასახლის კარზე ბესიკის უსაყვარლესი მეგობარი იყო ცნობილი სარდალი დავით ორბელიანი, თვითონაც აგრეთვე საკმაოდ კარგი პოეტი და მთარგმნელი ("ყარამანიანის" მთარგმნელი). იგი მეფე ერეკლეს სიძე იყო (ერეკლეს ქალი თამარი ჰყავდა ცოლად) და დიდი სახელითა და უფლებებით სარგებლობდა. შემდეგ კი მისთვის სარდლობა ჩამოუერთმევიათ. ბესიკი მხურვალე თანაგრძნობითა და სიყვარულით გამთბარ ლექსს უძღვნის თავის მეგობარს, რომელიც, მისი აზრით, სრულიად უსამართლოდ დაისაჯა. ცნობილია ბესიკის შესანიშნავი ლექსი "ცრემლთა მდინარე", რომელშიც გადახვეწილი ბესიკი მიმართავს დაჩაგრულ მეგობარს:

ცრემლთა მდინარე, სისხლმჩინარე
მიპყრობს ხედვასა: ვითლა გიხილო?
სოფლისა ბრჭალმან, ვით გრიგალმან,
ჩემსა ბედასა უსწორა კილო!
დრო მზის ფერები, ბნელ მთენები
სად დაედასა, ედემად ზრდილო!
ნუთუმცა გველმან, ენით მკვლელმან
გმირსა ქედასა დაგდვა საცილო?
ვამე, თუ ხმითა შენცა მითა
შეგროთო სევდასა, სცნა საწადილო!

ბესიკს სხვადასხვა დროს მიუძღვნია დავითისადმი ლექსები: "დავით სარდლისადმი", "რა მოირეწა სოფელმან", "ბედისადმი" და სხვა. საყურადღებოა ბესიკის პოემა "ასპინძისათვის", რომელშიც ზვიად ფერებში შექცეულია დავით სარდლის ქველი საქმეები ასპინძის ბრძოლაში (1770 წ.).

ბესიკი საბოლოოდ მაინც ვერ ასცდა მამის ხვედრს. როგორც ახლა გარკვეულია, დაახლოებით 1776 — 1777 წლისთვის ბესიკი ქართლიდან გაუძევებიათ²¹⁹. მსგავსად მამამისისა, ისიც იმერთა მეფის, სოლომონ I-ის კარს შეჰფარებია.

რა იყო მიზეზი? ამაზე დღესაც აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. ბესიკის განდევნის მიზეზად ზ. მთაწმინდელმა რომანული ინციდენტი დაასახელა.

ბესიკის რომანულ ნიადაგზე განდევნის ვერსიამ ფეხი მოიკიდა მკვლევართა შორის, დღესაც არ დასრულებულა ძიება არა მარტო განდევნის მიზეზების გამოსაკვლევად, არამედ იმის შესახებაც, თუ ვინ უნდა

²¹⁸ საინტერესოა დავით რექტორის ერთი აკროსტიქიც. აკროსტიქში კიდურწერილობა იძლევა ბესარიონის, ლეონის და თვით დავითის სახელებს (S 105).

²¹⁹ გ. ლ ე ო ნ ი ძ ე ბესიკის განდევნას 1776 წ. ვარაუდობს. ამას მხარს უჭერსო აგრეთვე ჭაბუა ორბელიანისადმი მიმართული ბესიკის ერთი გვიანდელი (1788 წ.) ეპისტოლე, რომელშიც ლაპარაკია 12 წლის წინანდელ ამბებზე, ე. ი. 1776 წელში ბესიკის ქართლიდან გაძევებაზე. ალ. ბარამიძე ბესიკის განდევნას 1777 წლით ათარიღებს (ბესიკი, თხზულებანი, ალ. ბარამიძისა და ვ. თოფურის რედაქციით, თბილისი, 1962, გვ. 8).

ვიგულისხმობთ პოეტის სატრფიალო გრძნობათა ობიექტად. ამ უკანასკნელს, რასაკვირველია, მარტო ისტორიულ-ბიოგრაფიული მნიშვნელობა არ აქვს. ბესიკის პოეზია საოცრად გრძნობად-კონკრეტული სახეებითაა წარმოდგენილი და გარკვეულ ინტერესს იწვევს მისი სიყვარულის რეალური ობიექტის ამოცნობა.

ს. გორგაძემ გაიმეორა ზ. ჭიჭინაძის ლეგენდური ცნობები ბესიკის გაძევების მიზეზებზე, მაგრამ ტრფიალის ობიექტად მან ანა ბატონიშვილი წარმოადგინა (დაი ერეკლე მეფისა)²²⁰. უფრო მეტიც, მან თითქოს ზუსტი თარიღებიც კი დაადგინა მათი მიჯნურობის ხანგრძლიობისა. მათი მიჯნურობა — წერს ს. გორგაძე — “ვერ დაიწყებოდა 1772 წლის უადრეს, როდესაც ეკუთვნის ანა ბატონიშვილის დაქვრივება (ქმარი — დიმიტრი ორბელიანი. — რედ.), და ვერც 1779 წლის უგვიანეს, როდესაც ბესარიონ გაბაშვილი, ამ რომანის გამო, უკვე ქართლიდან სჩანს განდევნილი და იმერეთის მეფისაგან სპარსეთში იგზავნება საიდუმლო მინდობილობით. ერთი სიტყვით, ეს რომანი მომხდარა 1772 — 1779 წლებს შორის და, როგორც ბესიკის სატრფიალო ლექსების განხილვა გვიჩვენებს, მას თავისებური შინაგანი ისტორიაც ჰქონია. სახელდობრ, ბატონიშვილებამდის მიუღწევია ხმას, ვითომც ბესიკს სხვა ქალი შეჰყვარებოდა. ეს რომ ანა ბატონიშვილს შეუტყვია, ბესიკი სასახლეში ადარ მიუღია. ამ დროს ეკუთვნის პოეტის საუკეთესო ლექსები: “სევდის ბაღს”, “ტანო ტატანო” და სხვ.”²²¹

პროფ. კ. კეკელიძემ უფრო არსებითად განიხილა ეს საკითხი და სრულიად დამაჯერებლად დაამტკიცა, რომ ანა ბატონიშვილი (ერეკლეს დაი) ვერ იქნებოდა ბესიკის ტრფიალების საგანი: ”ჯერ ერთი — წერდა მკვლევარი — ის ანა, რომელსაც პოეტი ეტრფის, არის არა ბატონიშვილი, არამედ “დედოფალი”, “ხელმწიფე”, მეორე — ანა ბატონიშვილი დაბადებულია არა უგვიანეს 1722 წლისა²²², დაქვრივდა 1772 წელს, როდესაც ის ამ ანგარიშით, იყო არანაკლებ 50 წლისა, ბესიკი კი ამ დროს იყო 21 — 22 წლის ყმაწვილი. არაბუნებრივია 21 — 22 წლის ყმაწვილის გაგიჟებით ტრფიალი 50 წლის ქვრივისადმი. მესამე — ის, ვისაც ბესიკი ეტრფის, არის, მისი ლექსების მიხედვით, ახალგაზრდა ქალი: “კეკელა-მარდი”, “ვარდი, ჯერეთ არ შლილი” და სხვ²²³.

მაშ ვინ იყო ბესიკის ტრფიალების საგანი? მკვლევართა მოსაზრებით, ბესიკის ტრფიალების საგანი ანა იმერთა დედოფალი უნდა ყოფილიყო²²⁴. “იგი

²²⁰ ანას ვარაუდობდნენ ბესიკის მიჯნურად ალ. ხახანაშვილი და მ. ჯანაშვილი, თუმცა მათ ანა ბატონიშვილი ერეკლეს ასულად მიაჩნდათ.

²²¹ ბესიკი (თხზულებანი), 1912, გვ. X.

²²² კ. ლ. ო. რ. ბ. ე. ლ. ი. ა. ნ. ი., ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, 1936, გვ. 11.

²²³ ქართ. ლიტ. ისტორია, II, 1958, გვ. 666.

²²⁴ სხვათა შორის, შვილიშვილი ზემონახსენები ერეკლეს დის, ანა ბატონიშვილისა. კ. კეკელიძის გამოკვლევის შემდეგ ისევ ს. გორგაძემ წამოაყენა პირველად ბესიკის ტრფობის საგნად იმერთა დედოფალი ანა, რაც შემდეგ გაიზიარეს კ. კეკელიძემ და სხვა მკვლევარებმაც.

ჩანს ბესიკის ტრფობის საგნად — შენიშნავს კ. კეკელიძე — 1784 წლიდან, როდესაც ის, ჯერ კიდევ ახალგაზრდა, როგორც დედოფალი, გადადის იმერეთში და იქ ძალზე იახლოვებს დიდ კარისკაცს და შემდეგში დიპლომას ბესიკს”.

აღ. ბარამიძე იმთავითვე ფიქრობდა, რომ ბესიკის ტრფიალების საგანი მარტო ანა დედოფალი არ უნდა ყოფილიყო. მკვლევარმა ყურადღება მიაქცია ლექსებზე დართულ დავით რექტორის კომენტარებს, რომლებშიც ზოგან გადაკვრით, ზოგან კი პირდაპირ მინიშნებულია ბესიკის ტრფიალების ობიექტზე:

1. “ესეც ბესარიონ გაბაშვილისაგან არის თქმული მუხამბაზი. ბესარიონს ვარდად და იად თქმული უყვარდა და იმასაც ბესარიონ უყვარდა. როდესაც ბესარიონ მოტყუვდა სხვის შეყვარებით, იამ შეუტყო და თავისთან აღარ გაატარა, მაშინ ჰსთქვა “სევდის ბაღს შეველ”. შემდგომად ბესარიონ თავის დანაშაულს და იას ხადუმთაგან საყვედურს ახლა კიდევ ამ ხუთს მუხამბაზში ამბობს. მსმენელნო, თქვენ იგულისხმეთ, ია ვინ არის და ან მეორე — ბესარიონისაგან შეყვარებული. მე სახელები არ დავსწერე, არა ჰსჯობდა”²²⁵.

2. “მსმენელნო, თქვენ იგულისხმეთ: ვარდი ვინ არის, თორემ ბესარიონ რომ ვარდს ეძახის, ის ვარდი თავის თავს იას უწოდდა. და ან მეორე, ბესარიონისაგან შეყვარებული, ვინ არის. მე სახელები არ დავსწერე, არა ჰსჯობდა, თქვენ გამოჰსცანით”²²⁶.

3. “ესეც ბესარიონ გაბაშვილისაგან არის ნათქვამი (...) აზედ სიკვდილს შემდგომად. საწყალობელი (...) თავის თავს (...) ს ეძახდა და ბესარიონ მისი მეგობარი იყო და ეს შაირი კრემენჩუკს ეთქვა”²²⁷.

4. ლექსს “ჰაერი ცივ-ნამიანი” იგივე დავით რექტორი ასეთ შენიშვნას უკეთებს: “ესეც ბესარიონ გაბაშვილისაგან მგონია ნათქვამად ყულარაღასის ქალს მაიაზე, სიკვდილის შემდგომად. ჰაზრი იმას ჰგავს. და საბრალობელი თავის თავს მაია იას ეძახდა და ბესარიონ მისი მეგობარი იყო. და ეს ერთი შაირი კრემენჩუკს ეთქვა”²²⁸.

ამის შედეგად, აღ. ბარამიძე ასკვნის, რომ ანა დედოფალი არ ყოფილა ბესიკის პოეზიის ერთადერთი შთაგონება, რომ ბესიკის ტრფობის საგანი, სხვათაშორის, ვიღაც ყულარაღასის ქალი მაია ყოფილა²²⁹

გ. ლეონიძემ შემდეგ წლებში საბოლოოდ გაარკვია, რომ მაია არის გიორგი ყულარაღასის ქალი, დაი ცნობილი ელიზბარ ქსნის ერისთავისა. მაიას

²²⁵ (A 1164, გვ. 194; A 1512).

²²⁶ S 1512, გვ. 155.

²²⁷ A 1164, გვ. 49.

²²⁸ იქვე.

²²⁹ ბესიკი, 1932, გვ. 049.

ვინაობას თანდათან კიდევ უფრო ახალი სინათლე შეემატა. ირკვევა, რომ მაია, დაი ელიზბარ ერისთავისა, გაუთხოვებიათ მამუკა ორბელიანზე, დიმიტრი ორბელიანისა და ერეკლეს დის — ანა ბატონიშვილის ვაჟზე. მამუკა მალე გარდაცვლილა (1770 წ. შემდგომ) და მის ქვრივს მაიას დარჩენია ორი მცირეწლოვანი ბავშვი, ვაჟი და ქალი ანა, რომელიც 1784 წლიდან იმერთა დედოფალი ხდება.

აქ საკითხი შედარებით მარტივდება. საბოლოოდ უნდა მოიხსნას, როგორც ბესიკის ტრფობის ობიექტი, იმერთა დედოფალი ანა (შვილი მაიასი): წინააღმდეგ შემთხვევაში — სამართლიანად შენიშნავს გ. ლეონიძე — ანომალიასთან გვექნებოდა საქმე. ამასთან, უნდა ვიფიქროთ, რომ ლექსი “დედოფალს ანაზედ” არ არის წმინდა ლირიკული ლექსი, რომელშიც გამჟღავნებულია ბესიკის ტრფიალება ანასადმი. ის შესხმითი ტიპის ლირიკული ოდაა, რომელშიც პოეტი-კარისკაცი ამკობს მშვენიერ პატრონს — დედოფალს.

ბესიკის ტრფობის ობიექტად ჯერჯერობით უნდა ვაღიაროთ ანა დედოფლის დედა, ყულარადასის ქალი მაია, რომლის სიყვარული ბესიკს არასოდეს განელებია და საბოლოოდ მშვენიერი ლექსით (“ჰაერი ცივნამიანი”) გამოიტირა ადრე გარდაცვლილი თავისი სიჭაბუკის ტრფიალი.

იქნებ მართალი იყვნენ ბესიკის ბიოგრაფები და სწორედ რომანული ამბავი ედოს საფუძვლად ბესიკის განდევნას? ასეთ შემთხვევაში ანას ნაცვლად (რომელიც არ შეიძლება ყოფილიყო ბესიკის მიჯნური) მაია უნდა ვიგულისხმოთ, როგორც მიზეზი ბესიკის განდევნისა.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ბესიკის გაძევების მიზეზად რომანული ამბავი გამორიცხული უნდა იქნას, რადგან ამის სასარგებლოდ არც ერთი სერიოზული საბუთი არ არსებობს. სავსებით მართებულად შენიშნავენ, რომ, თუ არ ზ. ჭიჭინაძის ლეგენდური ხასიათის ცნობები, შეიძლება ეს საკითხი არც კი წამოჭრილიყო.

ფიქრობენ, რომ ბესიკის გაძევებას პოლიტიკური მიზეზები ედო საფუძვლად. ბესიკს ერეკლეს წინააღმდეგ რომელიღაც შეთქმულებაში მიუღია მონაწილეობა. შეთქმულება გამომჟღავნდა და ბესიკი იძულებული შეიქნა იმერეთში გადახვეწილიყო. არც ეს მოსაზრება არის დამაჯერებელი. არსაიდან ჩანს და თითქოს არც იყო მოსალოდნელი (ალ. ბარამიძე ფიქრობს, ბესიკს, როგორც შედარებით დაბალი წრიდან გამოსულ კარისკაცს, შეთქმულთა არც ერთ ჯგუფთან არ ჰქონდა დაკავშირებული რაიმე ინტერესები). ეს კარგად ირკვევა ბესიკის ცნობილი ლექსიდან “ცრემლთა ისხარნი”. საინტერესო კომენტარს უკეთებს ამ ლექსს დავით რექტორი: “ბესარიონისაგან თქმული... ოდეს მეფის ირაკლისაგან ტფილისით გა ა ნ დ ე ვ ნ ი ლ იქმნა იმერეთადო”. ლექსში დიდი უშუალობით არის გადმოცემული ბესიკისთვის ფრიად სამწუხარო ვითარება, იგი სამუდამოდ უნდა მოშორდეს თანზრდილ მეგობრებს, ახლობლებს, რომლებთანაც გაუტარებია ახალგაზრდობის წლები:

როს გვაგონდებით, შევლონდებით, ლომნო ყმა-ძმანო,
თანზრდილნო, სწორნო, განაშორნო, საყვარლად კმანო!
ვა, კიდევანთა, ესდენ თქმათა გლოვისა ხმანო...

ბესიკი, ამასთან, რაღაც მინიშნებას იძლევა კონფლიქტზე, რაღაც უსიამოვნებაზე მეფესთან, მაგრამ ამავე დროს ერთგულებას ეფიცება მას:

ხელმწიფე, გული ცეცხლ-დაგული, სულით გამყოფლით,
ჭირსამცა თქვენსა თუ გალხენსა, მოიხმარენით.

პოეტს ვერც კი წარმოუდგენია სხვა პატრონი, გარდა მეფე ერეკლესი: "სხვამცა პატრონი, ანუ დრონი, ვერღა დავსახეთ". ძნელად წარმოსადგენია, რომ ამ სიტყვების დამწერი პოეტი მეფე ერეკლეს დალატში ყოფილიყო გარეული. იგი, მიუხედავად გაძევებისა, მაინც გულდაწყვეტილია და ერთგვარი სულგრძელობით შორდება მეფე-პატრონს²³⁰.

არის მესამე მოსაზრება, რომელიც ყველაზე ნათელს ხდის ბესიკის გაძევების მიზეზს. ბესიკმა საბოლოოდ გაიზიარა მამამისის ზაქარიას მძიმე ხვედრი. ანტონი ალმაცერად უყურებდა ზაქარიას მემკვიდრეს მის ახლოს, მეფის კარზე და, როგორც ჩანს, პირველივე ხელსაყრელ მომენტში დაიყოლია ერეკლე, რომ თავიდან მოეშორებინა ახალგაზრდა პოეტი-კარისკაცი. ამ გადაწყვეტილებას, სულ ადვილი შესაძლებელია, ხელი შეუწყო იმან, რომ გაქცეულმა ზაქარიამ სწორედ იმათ მიმართა, ვინც ერეკლესთან მწვავე კონფლიქტში იმყოფებოდა. მაგალითად, რუსეთში ვახტანგ VI-ის მემკვიდრეებს, რომლებიც პრეტენზიებს აცხადებდნენ ქართლის სამეფო ტახტზე, ან ზაქარიას მისვლა იმერეთის მეფის სოლომონ I-ის კარზე, სადაც აგრეთვე მზადდებოდა ერეკლეს საწინააღმდეგო გამოსვლები. არის ცნობები, რომ ბესიკს მამის გაძევების შემდეგაც არ გაუწყვეტია წერილობითი კავშირი მამასთან. ალ. ზარამიძე ამის გამო შენიშნავს: "პოლიტიკურ ჰორიზონტზე ღრუბლები აიშალა და აჯანყების სუნი ჰაერში დატრიალდა. ერეკლე გამდაფრებით ადევნებდა თვალყურს ყოველივეს. ენერგიული და პირდაპირი მეფე მტკიცედ შეუდგა შეთქმულების ძირების დაჭრას. მრავალ ხიფათში გამობრძმედილი ერეკლეს გული, აბა, ვის დაინდობდა ამ საბედისწერო დროს. მით უმეტეს, რომ მის ყოფილ ქვეშევრდომთა ცხადი განდგომის ჩუმი საბუთები ხელში ეჭირა.

ასეთ მომენტში ყველაზე უფრო საეჭვო ნამოდვრალის ოჯახი ხდებოდა (დროებით მიყუჩებულმა მტრებმაც თავი წამოყვეს. აკი თვითონ ბესიკი თავდავიწყებით ამბობს: "მტერთ იხარენითო"). ყოველი გონივრულად

²³⁰ ეს განწყობილება შემდგომში მკვეთრად შეიცვალა. ეს შეიმჩნევა არა მარტო ბესიკის პოეზიაში, სადაც აღარ იხსენიება ერეკლე ან მიჩქმალულია მისი საქმეები (პოემა "ასპინძისათვის"), არამედ, როგორც ვნახავთ, ბესიკის პოლიტიკურ მოღვაწეობაშიც. ბესიკი მხარში უდგას სოლომონ პირველს ერეკლეს წინააღმდეგ მიმართულ საქმიანობაში

მოაზროვნე პირი მსგავს შემთხვევაში რადიკალურ ზომებს მიმართავდა და საეჭვო ოჯახის წევრებს ან დილეგში შეუძახებდა, ანდა სახელმწიფოდან გააძევებდა. ასე უნდა მოქცეულიყო ერეკლე მეფე²³¹.

როგორც ჩანს, ბესიკი მართლაც რომ “რადიკალური ზომების” მსხვერპლი უნდა გამხდარიყო. აქ საჭირო იყო ზაქარიას სასტიკი მოწინააღმდეგის ანტონ კათალიკოსის ერთი სიტყვაც და ბესიკს ვინღა დააყენებდა ქართლში... დავით ბატონიშვილი სხვა შემხვევასთან დაკავშირებით ეხება ბესიკის სპარსეთში მოგზაურობას: “ამან სოლომონ (იგულისხმება სოლომონ I) წარგზავნა სპარსეთს გაბაშვილი ბესარიონ, ძე ზაქარია მოძღვრისა, რომელი ესე იმყოფებოდა ექსორია ქმნილი მამითურთ თვისით იმერეთს ანტონის გამო კათალიკოზისა”²³².

სრულიად ახალგაზრდა ბესიკი იმერეთს გადაიხვეწა (იგი ამ დროს დაახლოებით 26 — 27 წლისა იყო). იმერეთის კარზე ბესიკს დიდი კარიერა მოელოდა. იგი ჯერ კიდევ სოლომონ I-მა დააწინაურა და სასახლის კარზე მაღალი თანამდებობები უბოძა.

მალე ბესიკს სოლომონის დავალებით სერიოზული დიპლომატიური მისიის შესრულება დაეკისრა. მას სპარსეთიდან საიდუმლოდ უნდა ჩამოეყვანა ვახტანგ VI ის შვილიშვილი ალექსანდრე ბაქარის-ძე, რომელიც იმერთა მეფეს სოლომონს ერეკლეს საწინააღმდეგო შეთქმულებისთვის სჭირდებოდა (ალექსანდრე ბაქარის-ძე ერეკლეს ქართლის ტახტს ეცილებოდა, რადგან ერეკლე მხოლოდ კახეთის კანონიერ მეფედ მიაჩნდა). ასე ჩაება პოეტიკარისკაცი მისი ძველი საყვარელი მეფე-პატრონის საწინააღმდეგოდ მოქსოვილ ხლართებში.

ბესიკი 1778 წლის აგვისტოში მოზდოკ-ასტრახნის გზით გაემურა სპარსეთში და ნოემბრის ან დეკემბრის პირველი რიცხვებიდან იგი უკვე დანიშნულ ადგილზე (შირაზში) იმყოფება. ბესიკმა შეასრულა დავალება და 1779 წ. ზაფხულისთვის ის ალექსანდრესთან ერთად უკვე იმერეთში იმყოფება.

1784 წლიდან იმერეთში ვითარება შეიცვალა. გარდაიცვალა სოლომონ I, რომელსაც არ დარჩენია პირდაპირი მემკვიდრე. დაიწყო ხანგრძლივი ბრძოლა იმერეთის ტახტისთვის ორ მოქიშპეს დავით გიორგის ძესა და დავით არჩილის ძეს შორის. პირველად გაიმარჯვა ანა დედოფლის მეუღლემ დავით გიორგის ძემ და იმავე წელს ავიდა იმერეთის ტახტზე. დავითის კარზე ბესარიონს (და აგრეთვე ანა დედოფლის ბიძას ელიზბარ ერისთავს) კიდევ უფრო დიდი გავლენა მოუპოვებია.

იმერეთის კარზე დაწინაურებული ბესიკი თავადობის მაღალ ტიტულსაც იღებს. ჩანს, მას არ შეუწყვეტია ლიტერატურული მუშაობა. სწორედ სოლომონ პირველისადმია მიძღვნილი ცნობილი პოემა “რუხის ბრძოლა” და რამდენიმე ლექსი. იმერეთში შეიქმნა ბესიკის ერთ-ერთი

²³¹ ნ ა რ კ ვ ე ვ ე ბ ი , ტ. II, გვ. 395, ასეთსავე მოსაზრებას გამოთქვამს კ. კეკელიძე.

²³² მ . ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი , მასალები საქართველოს ისტორიისათვის, გვ.28.

საუკეთესო ქება “დედოფალს ანაზედ”, რომელშიც ბესიკი ხოტბას ასხამს თავის მფარველს და მოწყალეს.

1787 წ. დავით მეფემ ბესიკი დანიშნა საგანგებო მისიის მეთაურად. მას დავალებული ჰქონდა ნიადაგი მოემზადებინა, რათა მსგავსად ქართლ-კახეთისა, იმერეთსაც მიეღო რუსეთის პროტექტორატი.

ბესიკი გაემგზავრა კრემენჩუგში, სადაც ამ დროს იდგა რუსთა არმიის მთავარსარდალი გრიგოლ პოტიომკინი. ეს იყო დრო, როცა რუსეთი იწყებდა დიდ ომს თურქეთის წინააღმდეგ და ბალკანეთის ნახევარკუნძულიდან აპირებდა შეტევას.

ბესიკი დავალების შესასრულებლად ყველა ზომას იღებდა, არ იფარგლებოდა მხოლოდ ტრაქტატის საკითხების მოგვარებით. იგი დიდ იმედებს ამყარებდა რუსეთ-ოსმალეთის ომზე და იძლეოდა წინადადებებს, რათა თურქეთი კავკასიიდანაც დაელაშქრათ. რუსეთის მთავარსარდლობამ იმჯერად ვერ განახორციელა ასეთი გეგმა. 1790 წ., როცა იზმაილის ციხის დაცემით საბოლოოდ გატყდა თურქთა წინააღმდეგობა, იასში დაიწყო საზავო მოლაპარაკება რუსეთ-თურქეთს შორის. საინტერესოა ერთი წერილი, რომელიც ეკუთვნის აფხაზ-იმერთა კათალიკოსს — მაქსიმეს, ადრესატი არის ბესიკი (თარიღად 1789 წ. 14 ოქტომბერი უზის). იგი, ალბათ, მეფის დავალებით აფრთხილებს ბესიკს, რომ რუსეთ-ოსმალეთის საზავო მოლაპარაკების დროს “შერიგებაში რომ ჩვენი კაცი არ დაეწროს, ჩვენთვის ავია... უშენობა კი არ იქნებაო”²³³. ეს საზავო მოლაპარაკება იასში მთელ წელს გაგრძელდა. იქნებ ბესიკი იასში (კრემენჩუგისა და კიშინიოვის შემდეგ) ამიტომ გადავიდა? ბესიკი ვერ მოესწრო ამ მოლაპარაკების შედეგებს, რადგან იგი 1791 წ. 24 იანვარს გარდაიცვალა, ხოლო მოლაპარაკება საბოლოოდ იმავე წლის 29 დეკემბერს დასრულდა. მოლაპარაკების შედეგებში მაინც აისახა იმერთა სამეფოს ვითარება, რუსეთმა თურქეთს ხელი ააღებინა იმერეთის საქმეებში ჩარევაზე და აუკრძალა ყაჩაღური თავდასხმები.

ბესიკის ძმა ოსე გაბაშვილი გადმოგვცემს, თითქოს ბესიკს, როგორც დიპლომატს, სხვა მიღწევებიც ჰქონია. თუ არა პოტიომკინის სიკვდილი [1791 წ. 5 ოქტომბერი] და ბესიკის უდროოდ გარდაცვალება, თორმეტი ათასი მხედარი გამზადებული ყოფილა იმერეთში წამოსასვლელად²³⁴.

ბესიკმა რუსეთში დაჰყო თითქმის სამი წელი (1788 — 1791). მაშინ იქ იმყოფებოდნენ საქართველოს სხვა მოღვაწენიც. მათ შორის ქართლ-კახეთის ელჩი, ერეკლეს ვაჟი მირიანი, ცნობილი სწავლული გაიოზ არქიმანდრიტი, სულხან თუმანიშვილი. ბესიკი ზოგჯერ იცლიდა კიდევ ლიტერატურული საქმიანობისთვის. მისი ზოგი თხზულება იქ არის შექმნილი (მაგალითად, კრემენჩუგშია გადაწერილი მისი ლექსების ავტოგრაფული ნუსხა), იქ დაიწერა

²³³ ა ვ თ . ი ო ს ე ლ ი ა ნ ი , ბესიკი და რუსეთ-ოსმალეთის ომი (1787 – 1791 წ), გაზ. ”ლიტ. და ხელოვნება”, 1951, № 45.

²³⁴ შდრ. გ . ლ ე ო ნ ი ძ ე , ”გამოკვლევები და წერილები”, 1958 წ., გვ. 394.

მისი ლირიკული შედევი “ჰაერი ცივ-ნამიანი”.

ბესიკი გარდაიცვალა 1791 წლის 24 იანვარს, 41 წლისა.

ბესიკის სახით ძველ ქართულ მწერლობას დიდი ლირიკოსი ჰყავს. საჭიროა აღინიშნოს, რომ ბესიკს მრავალ ჟანრში უცდია კალამი, უწერია პატარა ზომის პოემები, სახოტბო ოდები, ელეგიები და სხვადასხვა სახის გასართობი ლექსები (ანბანთქება, აკროსტიქი და სხვ.), მაგრამ მისი სტიქია ლირიკის სამყაროა. თუ ძველ ქართულ მწერლობას ეპოსის თითქმის უწყვეტი ხაზი გასდევს, ეს არ ითქმის ძველ ქართულ ლირიკაზე, რომელსაც ერთგვარი სპორადულობა ემჩნევა თავის განვითარებაში. საკმარისია გავიხსენოთ თვით შოთა რუსთველის ოდნავ ირონიული დამოკიდებულება წვრილ მოლექსეთადმი (“დიდსა ვერ მოჰკლვენ, ხელად აქვთ ხოცა ნადირთა მცირეთა”). ცნობილია “აღორძინების” ხანის პოეზიის თეორეტიკოსის მამუკა ბარათაშვილის ფორმულა: “ვინც კაი მოლექსე ყოფილან, ამბები გაულექსავთ”.

მიუხედავად ამისა, ძველ ქართულ ლირიკას აქვს განვითარების თავისი ისტორია. ქართულ საქრისტიანო მწერლობაში ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა სასულიერო ჰიმნოგრაფია, რომელმაც მოგვცა ლირიკის არაერთი ბრწყინვალე ნიმუში. უკვე აქ დამუშავდა ლექსის ისეთი ფორმა, რომელიც ლირიკული გრძნობის გამოთქმის საშუალებას იძლევა და ადამიანის შინაგან სამყაროს ღრმად განგვაცდევინებს. რელიგიური გრძნობები მაშინდელი ადამიანის ემოციური სამყაროს შემადგენელი ნაწილი იყო და მათი პოეტური გამჟღავნება სწორედ ლირიკულ ფორმებს მოითხოვდა.

სრულიად სამართლიანად აღნიშნავენ, რომ ძველ ქართულ სასულიერო მწერლობაში ყალიბდება პოეტური მეტყველების ბევრი ელემენტი, რომლებიც შემდგომ წარმატებით გამოიყენა კლასიკურმა საერო მწერლობამ²³⁵. აქ რაიმე განსაკუთრებული, სპეციფიკურად ქართული არა არის რა. ანალოგიური შემთხვევები ჩვენ თითქმის ყველა ქრისტიანული მწერლობის ისტორიაში შეგვიძლია დავინახოთ. “საეკლესიო ლიტერატურულმა სტილმა მეტად ძლიერი მხატვრული ნაკადი შეჰქმნა, რომლის უარყოფა საერთოდ მსოფლიო ლიტერატურაში სტილის წარმოშობა-განვითარების ისტორიას გააყალბებდა, ქართულს ნიადაგზე კი აუხსნელს დატოვებდა პოეტური მეტყველების განვითარებას”²³⁶.

უეჭველია, რომ სასულიერო ჰიმნოგრაფია განსაკუთრებულ გავლენას მოახდენდა ჟანრობრივად მასთან ახლოს მდგომ კლასიკური მწერლობის ლირიკულ პოეზიაზე. სამწუხაროდ, ამ ნიმუშებს ჩვენამდე არ მოუღწევია, მაგრამ ეს მომენტი თავის გამოხატულებას პოულობს არა მარტო რუსთველის ლექსში. სასულიერო პოეზიის გავლენა კიდევ უფრო მეტად შეინიშნება ძველ

²³⁵ კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. 14, გვ. 600 – 617.

²³⁶ გ. იმედაშვილი, ქართული კლასიკური საგალობლის მეტყველების ზოგი საკითხი (საიუბილეო კრებული მიძღვნილი კ. კეკელიძისადმი, 1959, გვ.150)

ქართველ მეხოტბეებზე, რომელთა შესხმითი ოდები როგორც ფორმით, ისე შინაარსით არსებითად ლირიკულ ჟანრს განეკუთვნებიან.

ე. წ. აღორძინების ხანამ პირველ ხანებში კვლავ გააბატონა ეპიკური პოეზია. ამას ხელს უწყობდა კლასიკური ხანის ლიტერატურული ტრადიცია და რუსთველის განუზომელი გავლენა მთელ ქართულ მწერლობაზე. ამასთან, უნდა ითქვას, რომ აღორძინების პერიოდის პოემები უკვე აღარ იყო ჭეშმარიტი ეპოსის გამოღვიძება და, თუ შეიძლება ითქვას, “კლასიცისტური” ტიპის ლიტერატურის დაღს ატარებდა. ამავე დროს, ჩვენი მწერლობის იგივე მონაკვეთი ქმნიდა შესაძლებლობას, რომ ლიტერატურის ახალ ჟანრებს, კერძოდ ლირიკულ პოეზიას გამოემქლავნებინა თავისი თავი. უკვე პირველი დიდი პოეტი, თეიმურაზ I, რომელიც ძირითადად მაინც ეპიკურ ტილოებზე მუშაობს, წორედ ამ ხანებში ქმნის ერთ-ერთ შესანიშნავ ლირიკულ ლექსს:

რად სოფელო, სხვა არ დასწვი ჩემებრ,
მე მქენ დასადაგე!
გლახ, ლახვარი სასიკვდინე ყველა მე მკარ,
დასად აგე,
დამიკარგე მე, ასული, ძმა არ ვიცი, და სად აგე?
სხვა ნაყოფი მათებრ ტურფა რა აშენე და სად აგე?..

თეიმურაზმა შექმნა რამდენიმე ლირიკული შედევრი და ამით ერთ-ერთმა პირველთაგანმა დასაბამი მისცა აღორძინების ხანის ლირიკული პოეზიის განვითარებას. არჩილი, სულხან-საბა, ვახტანგი და, განსაკუთრებით, დავით გურამიშვილი გაბედულად არღვევენ ძველი ქართული პოეტური ეპოსის მიერ გაბატონებულ ფორმებს და ქართული მცირე ფორმის ლექსის ახალ-ახალ სახეებს იძლევიან. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს დავით გურამიშვილი, რომელიც თავის ღრმა სუბიექტურ გრძნობათა გამოხატვაში, ახალ პოეტურ ხერხებთან ერთად, შემოქმედებითად ძლიერ ახლო მივიდა სასულიერო ჰიმნოგრაფიასთან. ამ მომენტმა მის პოეზიას აშკარად შესძინა სიწრფელისა და ამაღლებულის თავისებური გრძნობა.

ქართული ლირიკის ისტორიაში ბესარიონ გაბაშვილს განსაკუთრებული ადგილი უკავია. მას თითქოს ბედმა არგუნა ეტვირთა ღირსება-ნაკლოვანებები ძველი ქართული მწერლობისა და ყოფილიყო მისი უკანასკნელი დიდი წარმომადგენელი. ემოციათა სიღრმითა და განსაკუთრებით სიტყვის არტისტული ფლობით მას ბადალი არა ჰყავს “აღორძინების” ხანის ლიტერატურაში. მიუხედავად იმისა, რომ ბესიკის პოეზიას ჟანრული მრავალფეროვნება ახასიათებს, მისი პოეტური სახელის მთავარი ფუძე ლირიკული ლექსების ციკლია, რომელსაც შეიძლება პირობითად ცნობილი ლექსის “სევდის ბაღის” სახელი ვუწოდოთ (ამ ციკლის ლექსებია: “სევდის ბაღს შეველ”, “მე მივხვდი მაგას შენსა ბრალებსა”, “ტანო ტატანო”, “მე შენმა ფიქრმა მიმარინდა” და სხვ.). აქ ძირითად იდეურ-თემატიკურ რკალს ქმნის

დაუცხრომელი და ვნებიანი სიყვარულის გრძნობა. ამ ლექსების გმირი უიმედო, მაგრამ დაუოკებელი სიყვარულით გატაცებული ჭაბუკია. პოეტმა წარმოგვისახა უცხო და მშვენიერი ქვეყანა, რომელსაც მეტაფორულად “სევდის ბაღი” ეწოდება. ლირიკული გმირი, რომელიც ავტორის პერსონიფიცირებული სახეა, რაღაც საოცარი რომანტიკითაა გარემოსილი. იგი ესაუბრება თავის მიჯნურსა თუ მიჯნურის უახლოეს მეგობრებს, რომლებიც აგრეთვე მეტაფორული სიმბოლოებია და ვარდის თუ იის სურნელებით სუნთქავენ:

სევდის ბაღს შეველ შენაღონები:
მოკრეფად მსურდა ვარდის კონები.
ვარდმან შემრისხა თავმომწონები,
ისარი მტყორცა დასამონები.

შემდეგ ნათელი ხდება ყველა მეტაფორა, მიჯნური უიმედო სიყვარულის მსხვერპლია, თვით მას მიუძღვის ამაში დანაშაული, რისთვისაც იგი სასტიკად ისჯება: “მეც მომხვდა სოფლის მკვლელი ბრჭყალები”. მიჯნური არ მალავს თავის ვინაობას: “ბესიკი სიკვდილს არ ვემალები”. ასეთივე ხასიათი აქვს ლექსს “მე მივხვდი მაგას შენსა ბრალებსა”, რომელიც თითქოს უშუალო გაგრძელებაა ლექსის “სევდის ბაღი”. იდუმალი ხმა ანუგეშებს მიჯნურს, რომელსაც რაღაც დანაშაული მიუძღვის სატრფოს წინაშე. აძლევს რჩევას, რომ მოიხმოს “შვენიერი ბულბული”, სხვა ყვავილები, რათა შეაკვდრონ განრისხებულ სატრფოს, უშუამდგომლონ, იქნებ იხსნან და “ვარდი კვლავ ნახოს პირმომლიმარე”. ამ ლექსებში პოეტი ყველგან ინარჩუნებს ამაღლებულ, ერთგვარ რომანტიულ პოზიციას. ამასთან, სიყვარულის განცდას განსაკუთრებით აძლიერებს ერთი მომენტი, რომელიც ბესიკის პოეზიის მთავარი ნიშანთვისებაა. “აღორძინების” ხანის ლირიკაში, როგორც წესი, სიყვარულის გრძნობა მისტიკური ჭვრეტის სფეროა. სიყვარულს გამოცლილი აქვს კონკრეტულ-გრძნობადი მხარე, ხოლო სატრფიალო საგანია რაღაც უხილავი, ხელშეუხებელი არსება, რომელიც ან ღვთაების ემანაციად, ან თვით ღვთაებადაა წარმოდგენილი (ვახტანგ VI, მამუკა ბარათაშვილი, დავით გურამიშვილი). როგორც ვიცით, მამუკა კანონის ძალას აძლევს ამ შეხედულებას: “მართებს, კაცმა ავი ამბავი არ გალექსოს, თუ სააშიყო ლექსი უნდა, ღმრთის სააშიყო, ეკლესიისა წმინდათა ამბავი გალექსოს”²³⁷. სიყვარულზე ასეთ შეხედულებას ჩვენს პოეზიაში ბევრი საერთო მოეპოვება ადმოსავლურ, სუფიურ ლირიკასთან. სპარსული ლირიკა, მაგალითად, მთლიანად ამ გრძნობითაა გამსჭვალული. პიროვნებათა შორის ყოველთვის ღმერთი დგას და სიყვარული მასთან ამაღლების, მასში გათქვევის

²³⁷ ქართული პოეტიკის ქრესტომათია (XVIII — XIX სს.), გ. მიქაძის რედ., 1954, გვ. 7. კ. კეკელიძე სიყვარულის აღნიშნულ თეორიას უწოდებს ქრისტიანული “სუფიზმის” თავისებურ გამოვლინებას.

ერთადერთი გზაა. სპარსული ლირიკა, რომელიც თითქოს გვიხატავს წრეგადასული სიყვარულის ვნებიან სურათებს, ქვეტექსტში ეძებს ღმერთთან მისვლის, ღვთაებრივი თავდავიწყების გზებს.

ბესიკი თავისი შემოქმედებით დიამეტრულად საწინააღმდეგო პოზიციაზე დგას. ავიღოთ იმავე ციკლის ლექსები, როგორიცაა “სევდის ბაღი”, “მე მივხვდი მაგას შენსა ბრალებსა”, “ბულბული მოდის მწუხარებით” და სხვ. აქ სიყვარული ყველგან გრძნობად-კონკრეტულ სახეებშია წარმოდგენილი და მკითხველი უშუალოდ გრძნობს მიწიერ, ამქვეყნიურ ვნებათაღელვას. უფრო მეტიც, აქ თითქოს ყოველ ნაბიჯზე იგრძნობა ის, რომ საქმე გვაქვს თვით ავტორის პოეტიზირებულ ბიოგრაფიასთან, რაც კიდევ უფრო ხაზს უსვამს ლექსში გამოვლენილ ხალას ემოციას. ამავე ციკლში ბესიკს აქვს სხვა ინტონაციით შესრულებული ლექსები, რომლებიც მეტაფორული სიმბოლოების ნაცვლად სუფთა ლირიკული ხმით გამოხატავენ პოეტის განცდებს. ამ ლექსებში ჭაბუკი მიჯნური უშუალოდ მიმართავს სატრფოს, რომელიც აუწერელი სილამაზის მატარებელია, მაგრამ ამავე დროს უწყალოა და შეუბრალებელი:

მე შენმა ფიქრმა მიმარინდა, ჩაველ ჭირებსა:
ანდამატისებრ მიმიზიდავ, ვჰგავ ნამჭირვებსა.
ვარდის ბაგენი შევნიერად სხვას მაპირებსა,
ჩემებრ უწყალოდ მიიყვანებ გასაკვირვებსა.
როდის იქნება შემომხედო გულსა მწირებსა?
 (“მე შენმა ფიქრმა მიმარინდა...”)

აქ განსაკუთრებით საყურადღებოა ერთ-ერთი შედეგური ძველი ქართული ლირიკისა — “ტანო-ტატანო”. პოეტი არღვევს ყოველგვარ პირობითობას და პირდაპირ, უშუალოდ ამკობს თავის მიჯნურს:

ტანო-ტატანო, გულწამტანო, უცხოდ მარებო!
ზილფო-კავებო, მომკლავებო, ვერ საკარებო!
წარბ-წამწამ-თვალნო, მისათვალნო, შემაზარებო!
ძოწ-ლალ-ბაგეო, დამდაგეო, სულთ-წამარებო!
პირო მთვარეო, მომიგონე, მზისა დარებო!

პოეტის უშუალოება გასაოცარ სიძლიერეს აღწევს. თითქოს ერთი ამოსუნთქვითაა მიწყობილი ერთმაზეთზე ძვირფასი ქვები და მოულოდნელი სახეები და, რაც მთავარია, მიუხედავად ფერთა სიჭარბისა, არსად არ ილახება ნატიფი პოეტური ქსოვილი.

როგორც ვნახეთ, ბესიკის ზემოაღნიშნული ერთი ციკლის ლექსები სხვადასხვა პოეტური ხერხითაა შესრულებული (მაგ., ერთი მხრივ, “სევდის ბაღი” და მეორე მხრივ — “ტანო-ტატანო”), მაგრამ მათ აკავშირებთ ერთი

ნიშანი. ეს არის ამ ლექსების მძაფრი დრამატიზმი. ბესიკის ლირიკული გმირი რეალური სიყვარულითაა გატაცებული. იგი არ არის აღმოსავლური ტიპის მჭვრეტელი, პასიური აღქმის მიჯნური, იგი დრამატიზირებული სახეა, რაც ფორმის მხრივ გამოვლენილია გმირის დაუცხრომელ, ენერგიულ პათოსში. მონოლოგი ამაღლებული და მედგარი ტონისაა, მიუხედავად იმისა, რომ იგი შეიძლება უიმედოდ იყოს გამიჯნურებული. ამაღლებულ პათოსს ამხელს, თუნდაც ის სიტყვები, რომელშიც დამარცხების გამო ლირიკული გმირი სიკვდილს ნატრობს:

ბესიკი სიკვდილს არ ვემალები,
თავი მაქვს მისთვის შენაწონები!

ან

მკვდარი მიჯნური დამიტირეთ, დამფალთ სამარეს!
ვა, სიცოცხლეო უკუღმართო, დანაცარებო!

დრამატიული სიმძაფრე ბესიკის სატრფიალო ლირიკის ყველაზე დამახასიათებელი თვისებაა, რაც მის პოეზიას განსაკუთრებულ ადგილს ანიჭებს “აღორძინების ხანის” ქართულ მწერლობაში.

არ იქნებოდა სწორი, რომ ეს დრამატიზმი მარტო მისი პოეტური ენის თვისებად მიგვეჩნია. ბესიკის პოეზიის დრამატიზმს, მოვლენებთან გამძაფრებულ დამოკიდებულებას, უექველად აქვს თავისი ღრმა საფუძვლები. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს პოეტის ერთგვარი უკმაყოფილო დამოკიდებულება გარე სამყაროსთან. იგი სოფელს უსამართლობასა და გაუტანლობას უსაყვედურებს და ხშირ შემთხვევაში მომავალსაც საკმაოდ უიმედო თვალთ შეჰყურებს. ამას თავისი გამოხატულება უპოვია პოეტის შემოქმედებაში და თუმცა ავტორი უშუალოდ არც ეხება სოციალური სინამდვილით გამოწვეულ მწვავე ტკივილებს, იგი მაინც თავს იჩენს პოეტის სატრფიალო ლირიკაში. სწორედ ამ მომენტს გამოჰყავს მისი სატრფიალო ლირიკა კამერული პოეზიის ჩარჩოებიდან. “რაც მოირეწა სოფელმან, ვეღარ დავთვალე ამრითა, მისი სიმწარე ყოველი გულს გარდამრთხმინ კამრითა”, — ამბობს პოეტი. ხოლო სხვა ლექსში ბესიკი პირდაპირ აცხადებს: “ვარ უცხო ვინმე ყარიბი, ამა სიტყვისა მხმოებელი, ამა მუხთლისა სოფლისა მაგინებელი, მგმობელი”. “ეს ყველაფერი — შენიშნავს კ. კეკელიძე — არაა უბრალო, უშინაარსო დეკლარაცია... კაცი, რომელიც ხედავდა თავისი ქვეყნის სოციალურსა და პოლიტიკურ რღვევას, რომელიც, ამიტომ იძულებული იყო მისთვის საიმედო მზრუნველი ეძებნა ხან სპარსეთში, ხან რუსეთში, სხვას ვერას იტყოდა თუ არა:

ოი! სოფელო, პირდამყოფელო!
ოი, დრკუო, ცრუო, იო, მრუდო, ცუდო!
ოი, შენსა პირსა ვინ ეტრფის, ტირსა!

ჰაი, ჰაი, გიცან, ოი, ეშმაკო ზღუდო!²³⁸

პოეტის სატრფიალო ლირიკის ერთ-ერთი უმშვენიერესი ნიმუშია ცნობილი ლექსი, რომელიც კრემენჩუგშია დაწერილი და ბესიკის ბიოგრაფიულ რეალიებს გადმოგვცემს. ამ პატარა ერთსტროფიანი ლექსით საოცრად სევდიანი ამღერებით შექმნილია ადამიანური მწუხარების სურათი. ბესიკისთვის ჩვეული სიტყვაწარმოებით (“ჰაერი ცივ-ნამიანი”, “გულსევდიანი”) მიღწეულია მიმზიდველი პოეტური ეფექტი. თითქოს ყველაფერი გათავდა, სამუდამოდ გაფერმკრთალდა:

ჰაერი ცივ-ნამიანი,
ჩემთვის აღარ-ა დღიანი!
მას ვშორავ გულსევდიანი,
ვის მოლოდნა მაქვს გვიანი!
ქუფრხვევით, თვალცრემლიანი
აღარასად-ა ხმიანი,
თავმოხრით ვნახე იანი:
სხივნი ჰკლებოდეს მზიანი!

ბესიკის ლირიკიდან საყურადღებოა ლექსი — “დედოფალს ანაზედ”. იგი უდავოდ ოსტატურად შესრულებული შესხმაა ანა დედოფლისა (განსაკუთრებით საინტერესოა სახელი “ანას” ზმური გათამაშება სარიტმო კლაუზულაში). მაგრამ უნდა ითქვას, რომ იგი ემოციურად ნაკლებ დატვირთულია, ვიდრე “სევდის ბადის” ციკლის ლექსები (ამის მიზეზი თვით ლექსის მიზანდასახულებაში უნდა დავინახოთ, “დედოფალს ანაზე” სამქებრო ხასიათის (ნაწარმოებია).

ბესიკს ეკუთვნის აგრეთვე ორი მომცრო ზომის საგმირო პოემა. პირველ პოემას — “ასპინძისათვის” ავტორი უძღვნის ასპინძასთან ერეკლე მეფის მეთაურობით ქართველთა ჯარის გამარჯვებას. როგორც ცნობილია, რუსეთ-ოსმალეთის ომთან დაკავშირებით (1768 — 1774 წწ.) საქართველოში ჩამოვიდა რუსეთის საექსპედიციო კორპუსი. ქართველთა და რუსთა გაერთიანებულ ჯარს იერიში უნდა მიეტანა ახალციხის საფაშოზე და გაეთავისუფლებინათ თურქთა მიერ მიტაცებული ადგილები²³⁹. ერეკლე და რუსთა კორპუსის მეთაური ტოტლებენი გაერთიანებული რუს-ქართველთა ჯარით აჰყვანენ მტკვრის ხეობას და შემოადგნენ აწყურის ძლიერ ციხეს, რომელშიც თურქები იყვნენ გამაგრებულნი. გამარჯვება სათუო არ იყო, მაგრამ ტოტლებენი მოლაღატურად მოიქცა და ბრძოლის ველზე მძიმე განსაცდელში მიატოვა ქართველთა არცთუ მრავალრიცხოვანი ლაშქარი. ერეკლემ უკან მობრუნებას წინსვლა არჩია და ასპინძასთან სასტიკი ბრძოლა გაუმართა თურქთა და

²³⁸ ქართ. ლიტ. ისტორია, ტ. 114, გვ. 673.

²³⁹ რუსეთის მთავრობას ამით ოსმალთა ჯარების დაბანდება უნდოდა კავკასიაში.

ლევთა ლაშქარს. ეს ბრძოლა ქართველთა ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა. ერეკლესთან ერთად ბრძოლაში დიდი სახელი მოიპოვა მისმა სიძემ, სარდალმა დავით ორბელიანმა. ეს ამბავი უდევს საფუძვლად ბესიკის პოემას. იგი არ არის ისეთი ეპიური ტიპის ნაწარმოები, რომელიც სიუჟეტის განვითარებას ეყრდნობა. “ასპინძა” შესხმითი ხასიათის ოდა-პოემაა (თუ შეიძლება ასე ითქვას), რომელშიც წინა პლანზეა წამოწეული ამ ბრძოლის ერთ-ერთი მთავარი გმირის დავით ორბელიანის ვაჟკაცური შემართება. ავტორი პირველივე სიტყვიდანვე მიგვანიშნებს ამაზე შესანიშნავი მხატვრული თქმით “ასპინძის მიწა გიწამებსო”; აქ არის გადმოცემული რამდენიმე ისტორიული რეალია: ქართველი ჯარისა და მეფის გამარჯვების ერთიანი რწმენა: “თვით მეფე, ქართველ და კახნი ომის ხალისით ხლდებოდენ”-ო. ერთ სტროფში, მაგრამ სხარტი დახასიათებით, გადმოცემულია გრაფ ტოტლებენის ვერაგული მოქმედება:

ვა, მას დღისა მომხსენებან ვითარ ვინ რით განვაქიქო?!
ცილი დასდევს მეფეს რუსთა: “ჩვენთვის კეთილს არა იქო!”
ღრაფი ჯარით გამობრუნდა, — მით სახელი ვერა იქო, —
სხვა პასუხი არვის მისცა: “სითაც მოველ, წავალ იქო!”

აქედან პოეტი პირდაპირ გადადის საომარ ყიჟინაზე და აღწერს მარტოდ დარჩენილ ქართველთა საარაკო გმირობას დავით სარდლის მეთაურობით. მიუხედავად ხოტბითი ხასიათისა, ავტორი კარგად ხატავს ქართველთა და თურქ-ლევთა შეტაკების სცენას, სადაც მართლაც იგრძნობა “ცხენთა დგრიალი” და ბრძოლის ყიჟინა. პოეტი მარჯვედ იყენებს საგმირო პოეზიის მხატვრულ ხერხებს და გვიხატავს მის საყვარელ ფალავანს დავით სარდალს:

მაშინ გულს დაჰკარ მჯიღითა, მიწანი შესძრენ რყევითა,
ცხენმან შეგატყო შექშენა, შემზადა ტანი ნძრევითა;
თვალნი ნაკვერცხლად შეგექმნეს, აშეთდი სისხლმორევითა,
ცხვირისა ნესტვთა მოჰქროდენ ქარნი ქვეყნისა ნგრევითა.

ბესიკის ეს პოემა თავისი მხატვრული ღირსებებით ვერ შეედრება ზემოდასახელებული ლირიკული ციკლის თხზულებებს (ხოტბის ზვიადი კილო და გმირის გადაჭარბებული დახასიათება აქვეითებს პოემის მხატვრულ ღირსებებს). თუმცა მასში ზოგჯერ საკმაოდ ცოცხალი სურათებია დახატული და ნაჩვენებია ამ გამარჯვების დიდი მნიშვნელობა საქართველოსთვის, მისი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისთვის.

“რუხის ომი” ეხება აფხაზთა და ჩრდილო ტომთა (ჯიქნი, ალანელნი და სხვ.) გაერთიანებულ თავდასხმას სამეგრელოს სამთავროზე 1780 წლის ახლოს. მეგრელთა მთავარს დადიანს სოლომონ პირველი მიემშველა და ენგურის პირას, რუხის ციხის მახლობლად, სასტიკად დაამარცხეს მომხდური მტერი.

საინტერესოა, რომ ეს ამბავი რამდენიმე პოეტს აღუწერია (მაგ., გრიგოლ კოლხიდეღს). მათ შორის პირველთაგანს ბესიკს გაუღიქსავს იგი. “რუხის ომი” თავისი პოეტური ღირსებით საგრძნობლად ჩამორჩება პოემას “ასპინძისათვის” ბესიკს იგი ლექსთა შიგნით, ანუ პროზაში გარეული ლექსებით უთქვამს. ამასთან, პოემა აშკარად გადატვირთულია ზედმეტად ხოტბითი ელემენტებით და ადვილს არ ტოვებს ამბის ეპიკური თხრობისთვის. ავტორს მრავალი გმირი გამოჰყავს პოემაში, მაგრამ ისინი ორი წვეთი წყალივით ჰგვანან ერთმანეთს და მხოლოდ მეტ-ნაკლები ეპითეტებით თუ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. რაც შეეხება პოემის ენას, ბესიკი აქ გარდამეტებულ მაღალფარდოვნებასა და ღვლარჭნილ სტილს მისდევს, რაც ნათელია, თუნდაც პოემის პირველივე სტრიქონიდანვე: “ოდეს იხარებს დავით, სულიერსა ჩანგსა თანა სულითა მღალადებელი მეფე, და იტყვის: “აწ აღმისრულნა აღმთქმელმან კეთილობამან, ვითარმედ ერთგზის ვეფუცეო წმიდასა ჩემსა დავითს!” რომლისა შემდგომი, მსგავსად სიტყვისა მის, მიეცემოდა მეფობაი შენი...” “რუხის ომი” აშკარა ხარკია პოეტი-კარისკაცისა, რომელსაც, ალბათ, დაკვეთით შეუსრულებია პანეგირიკული ხასიათის პოემა. მაგრამ აქ არის ძლიერი პასაჟებიც, ფართო ბატალიები, რაც საერთოდ ეხერხება ბესიკს მის სხვა ნაწარმოებებშიც (მაგ., “ასპინძისათვის”). პოემით ბესიკი ქებას მიუძღვნის არა მარტო ომის გმირებს, რაინდ-ფეოდალებს, არამედ ერთიანობისა და მეგობრობის გრძნობას, რამაც გამარჯვება მოუტანა მეგრელი-იმერთა ლაშქარს:

ერთპირობისა გზათა მრებელი
არს სახალისო სასტუმრებელი.
სადაა საქმე შეუძლებელი,
იგი მუნ არის გამმარჯვებელი.

ბესიკის შემოქმედებაში ყურადღებას იქცევს ზოგი მისი თხზულების სატირული ხასიათი. პოეტის კერძო, მიძღვნილი ხასიათის სატირული ლექსები ზოგჯერ პამფლეტის ნიშნებს იძენენ. ბესიკს ჰყავდა არა მარტო პირადი მტრები, არამედ იდეური მოწინააღმდეგენიც. ამ თვალსაზრისით საინტერესოა მზეჭაბუკ (ჭაბუა) ორბელიანისადმი მიძღვნილი ლექსები. მზეჭაბუკ ორბელიანი, მწიგნობარი და მდივანბეგი, ბესიკთან გამწვავებულ ურთიერთობაში ყოფილა და თურმე იგი მახვილი სიტყვითაც გესლავდა ახალგაზრდა პოეტ-კარისკაცს. განსაკუთრებით საინტერესოა ჭაბუა ორბელიანის ერთი ავსიტყვაობა, რომელიც ამხელს ბესიკთან მის იდეურ წინააღმდეგობას. გრიგოლ ბატონიშვილს, როგორც ცნობილია, მის მიერ შედგენილ ხელნაწერ კრებულში შეუტანია ბესიკის ერთი სატირული ლექსი ასეთი შენიშვნით: “ჭაბუა მდივანბეგი დიდი საპატიო და მეცნიერი და შემაქცევარი კაცი იყო, და მეფე ირაკლის დიდად უყვარდა; ხუმრობაებიც იცოდა, და მოთხრობა სიტყვისა მსწრაფლად და მარდად იცოდა. და ამის გამო

კურთხეულმა მეფემ ირაკლიმ უბრძანა: “ჭაბუავ, რატომ ბესარიონს მაგიერ ლექს(ს) არ დაუწერო. მაშინვე იმავ წამს მოახსენა: “შენი ჭირიმე, ბ ლ ი ა ძ ე ს რა ლექსი გაეწეობა”-ო. იქ მყოფთა, დიახ, ბევრი იცინეს”. “ჭაბუას ირონიული მახვილი — წერს ალ. ბარამიძე, — რა თქმა უნდა, ბლიაძეს ხვდება. ამ სახელით ნათლავს არისტოკრატი პოეტი და მდივანბეგი ბესარიონ გაბაშვილს. ხოლო ბლიაძე იყო ნიჭიერი, მაგრამ მდაბიო სოციალური ფენიდან გამოსული სახალხო მელექსე, მესტვირე”²⁴⁰. ბესიკმა სამაგიეროდ მშვენიერი სატირული პორტრეტი შემოგვინახა ამ ჭაბუა ორბელიანისა და, როგორც თვითონ ამბობს, “მე შენი ქება მომენება არ დავფარაო”. აქ ყველა კურთხიდანაა გაშუქებული ჭაბუას სატირული სახე, დაწყებული გარეგნობიდან და გათავებული მისი ვერაგობის დახასიათებამდე. მზეჭაბუკი, თურმე, “რაინდი-მიჯნურიც” ყოფილა და აქ ბესიკი სწორედ ხალხური ფრაზეოლოგიიდან, ასე ვთქვათ, ბლიაძის სიტყვიერი არსენალის გამოყენებით, სასტიკ დღეში აგდებს “გულხენემ” მწიგნობარს:

სამართალია, არ ღირს იყო მაგ სახელისა,
რადგან გიწვრთნია სიცრუე და ქცევა მელისა;
შენნი მიჯნურნი ველად რზიან ბროლის ყელისა!
შენმა გახეთქამ, ეშხი მოჰკლავსთ შენის წელისა!

ბესარიონ გაბაშვილის სატირული თხზულებებიდან გამოირჩევა ცნობილი პოემა — “რძალ-დედამთილიანი”. აქ ყოფითი მხარე წინაა წამოწეული და პოეტი მისი თანამედროვე ოჯახის მანკიერ მხარეებს აგვიწერს. ტრადიციული შუღლი ძველი და ახალი თაობის წამომადგენელთა შორის ზიანს აყენებს ოჯახის კეთილდღეობას. “რძალ-დედამთილიანის” თემა ამკარად ხალხურია და ქართულ მწერლობაში ის პირველად ბესიკმა დაამუშავა. იგი, მართლაც, სარგებლობს ხალხური მასალებით, ფრაზეოლოგიითა და სახალხო პოეზიისთვის დამახასიათებელი მსუბუქი იუმორით, რაც აღნიშნული პოემის ერთ-ერთი მთავარი სტილური ნიშანია. პირველივე სტრიქონიდან ხაგასმულია ეს გარემოება:

ა მ ბ ა ვ ს ა ქ ე ლ ს ა მოგითხრობ გულისა ამოდ
მლხენელსა,
გ ა ხ ა რ ე ბ თ , დ ი ა შეგაქცევთ ამა საქმისა მფენელსა.

ხაგასმული სიტყვები თავიდანვე მიგვანიშნებენ პოემის ხალხურ, ოდნავ სახუმარო კილოზე, რომლის მეშვეობით სასტიკად მხილებულია ოჯახის მახინჯი მხარეები. ბესიკი ამათრახებს ამ საშინელ სენს და კონკრეტული ამბის, კერძოდ, ერთი ოჯახის მაგალითზე კიცხავს რძლისა და

²⁴⁰ ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, ნარკვევები, II, 1940, გვ. 368.

დედამთილის შეუგნებელ საქციელს. ბესიკი არ ინდობს არც ყვეყრ, უნებისყოფო ქმარს, რომელიც ადვილად წამოეგება ცოლის ოინებზე და, მიუხედავად გარეგნული მრისხანებისა, ფაქტიურად ცოლის ნებათა აღმსრულებელი ხდება. ბესიკი არ ინდობს არც სასულიერო პირებს, რომლებიც სხვის უბედურებაზე ითბობენ ხელს.

აღსანიშნავია, რომ ენობრივი თვალსაზრისითაც ბესიკი ამ პოემაში მეტად ახლოს მივიდა უბრალო, სასაუბრო მეტყველებასთან, რაც ამ ნაწარმოებს განსაკუთრებულ ადგილს ანიჭებს მის შემოქმედებაში. სამართლიანადაა შენიშნული, რომ ქართულ ლიტერატურაში ბესიკმა ერთ-ერთმა პირველთაგანმა სცადა საყოფაცხოვრებო თემატიკის დამუშავება და ამით გზა გაუკაფა ამ ჟანრის განვითარებას მომდევნო მწერალთა შემოქმედებაში²⁴¹.

ბესიკმა ერთგვარი ხარკი გაიღო ე. წ. გასართობი პოეზიისადმი, მის კალამს ეკუთვნის არაერთი აკროსტიქი თუ ანბანთქება, ზმური თუ კალამბურებით გაწყობილი შესხმითი ლექსები და სახუმარო შაირები. ეს იყო ერთგვარი ლიტერატურული მოდა, რომელიც განსაკუთრებით ბატონობდა მეფის კარზე. პოეტური პაექრობანი, რომლებსაც აწყობდნენ ხოლმე სასახლეში, სწორედ ამგვარი პოეზიის განვითარებას მოითხოვდა. მიუხედავად ზედმეტი ფორმალისტური გადატვირთვისა, რაც აღნიშნული ჟანრის სტილური თავისებურებაა, ავტორი ზოგ მათგანში მაინც აღწევს მხატვრულ სრულყოფას.

რაც შეეხება შესხმითი ან უკეთ მიძღვნილი ხასიათის ოდებს, მათ ბესიკის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უკავიათ. ამ მხრივ დამახასიათებელია დავით ორბელიანისა და ლევან ბატონიშვილისადმი მიძღვნილი ნაწარმოებები. საგანგებოდ უნდა შევჩერდეთ ბესიკის შესანიშნავ სამგლოვიარო ოდაზე “სამძიმარი”. იგი პოეტის სიყრმის მეგობრის გმირი ბატონიშვილის ლევანის უდროოდ გარდაცვალებაზეა შექმნილი. საინტერესოა, რომ ამ ოდაში ბესიკმა ძველი ქართული ჰიმნოგრაფიის ყველაზე გავრცელებული საზომი — იამბიკო გამოიყენა და ამით მას ამაღლებული ჰიმნის ტონალობა მიანიჭა:

გტირ, სიცოცხლეო,
არ დროით მონასთვლეო,
დავითის ძეო,
იდუმალ განაძეო...

ლექსის ზომასთან ერთად ბიბლიური სახეები და ასოციაციები დიდებული გალობის შთაბეჭდილებას ქმნიან. ამასთან, ბესიკი ოსტატურად იყენებს ხალხური დატირების გულშიჩამწვდომ რეჩიტატიულ ხერხებს და “ამა

²⁴¹ დაახლოებით ამ ხანებში ან შეიძლება ცოტათი გვიან ქმნიდა ასეთივე სახის სახუმარო პოემას შორეულ უკრაინაში გადახვეწილი პოეტი დავით გურამიშვილი (“ქაცვია მწყემსი”).

სოფლის” უსამართლობის შემზარავ სურათს გვიხატავს:

ლეონის თოფი
ნეტარ თულა არს მყოფი!
ლეონის ხრმალი
ვაი, თუმცა არს მშრალი!

ლეონის შუბი
ან თუ სხვათ შენატყუბი?
ლეონის დამბაჩა
ცოცხალიდა თუ დარჩა?
ვაი, სატევარი
უმისოდ საწყევარი!

ბესიკის პოეტური ენა მსჯელობისთვის დიდ მასალას იძლევა. იგი ლირიკული ლექსის ნამდვილი დიდოსტატია. უპირველესი ნიშანი მისი ლექსისა კომპოზიციური დახვეწილობაა, რაც მის პოეზიას განსაკუთრებულ იერს აძლევს. ლირიკული ლექსის კომპოზიცია მხოლოდ გარეგან ფორმას როდი ეყრდნობა. ლექსის კომპოზიციას არ განსაზღვრავს პოეტის მიერ შერჩეული მარტო ესა თუ ის საზომი თუ ლექსთწყობის რომელიმე სახე (ვთქვათ, სონეტი ან მუხამბაზი და სხვ.). კომპოზიცია პოეტის შინაგან სამყაროში იღებს სათავეს და ერთიან სახეში თუ ლირიკულ ამღერებაში ვლინდება. იგი ყოველი ლექსის სახეთა მთლიანობას და ჩამოყალიბებულ განცდათა ერთიან გადაწყვეტას გულისხმობს. ამ მხრივ, ბესიკის ლექსები შეუდარებელი ოსტატობით არის შესრულებული. პოეტის ლირიკული შედეგის “სევდის ბაღის” კომპოზიციური მთლიანობა ერთიანი, მთავარი სახის გამოკვეთილობაშია გამომჟღავნებული. ლექსის მთავარი სახე უზომოდ შეყვარებული მიჯნური, ლირიკული გმირია, რომელიც უცხო წალკოტში შებრალებას ითხოვს განრისხებული სატრფოსაგან. და მთელი ამ ლირიკული სურათის სახეების სისტემა, მეტაფორათა უჩვეულო გრადაცია და ფერების განაწილება მთავარი სახის, ლირიკული გმირის ბუნების გახსნას ემსახურება. იქმნება ემოციათა მთლიანობის შთაბეჭდილება. სწორედ ასეთივე კომპოზიციური მთლიანობა ახასიათებს “სევდის ბაღის” ციკლის შედეგებს, როგორცაა “ტანო ტატანო”, “შავნი შაშვნი” და სხვ.

ბესიკი არაჩვეულებრივად ფლობს პოეტურ სემანტიკას და, შეიძლება ითქვას, რომ ძველ ქართულ მწერლობაში იგი რუსთველის ერთ-ერთი ღირსეული მემკვიდრეა. აღიარებულია, რომ რუსთველის მსგავსად ბესიკიც ძირითადად მეტაფორული სტილის პოეტია და იგი ბევრადაა დავალებული შოთა რუსთველის პოეტური ენისაგან. აქ არცთუ იშვიათად გვხვდება რუსთველური “მელნის ტბა” და “გიშრის სათები”, ასტრალური სახეობანი თუ ძვირფასი ქვების მეტაფორები. ამასთან, ბესიკი ბევრ შემთხვევაში ახალ

პოეტურ აღმოჩენებს აკეთებს და დღეს მისი სახელითაა ცნობილი, მაგალითად, ისეთი გავრცელებული მეტაფორული სახეები, როგორცაა: “სევდის ბაღი”, “თვალთა ისხარნი, მოსისხარნი”, “შავნი შაშვნი” (თვალეები) და სხვა შესანიშნავი სახე-მეტაფორები. ბესიკი მეტაფორასთან ერთად ხშირად იყენებს, რუსთველისთვის შედარებით ნაკლებად ცნობილ, პირდაპირი სახის შედარებებს და ამით თავისებურ უშუალოებას ანიჭებს სახეთა გააზრებას: “შენმა გონებამ მიმამსგავსა მილეულ მთვარეს”. ბესიკისთვის დამახასიათებელია უარყოფაზე აგებული გაშლილი შედარება: “შიდნი ციურნი მოციმციმედ, არ შეგადარე”! ბესიკი პოეტურ სიტყვას არაჩვეულებრივად გრძნობს და მისი პოეტური სემანტიკა საოცრად გამიზნულია, ზოგჯერ თავის ადგილას ჩასმული ერთი შეხედვით ჩვეულებრივი სიტყვა სრულიად მოულოდნელ მხატვრულ ეფექტს ქმნის. “მე შენმა ფიქრმა მიმარინდა, ჩაველ ჭირებსა”. აქ სიტყვა “მიმარინდა” უკვე თავიდანვე ქმნის შესაფერ, ოდნავ მელანქოლიურ განწყობილებას, რაც პოეტს უიმედო, განწირული მიჯნურის დახასიათებისთვის სჭირდება. ბესიკი სიტყვისა და ფრაზეოლოგიის ჭეშმარიტი ოსტატია და მისი ლექსის ზოგი გამოთქმა პირდაპირ პოეტურ ფორმულას წარმოადგენს. გავიხსენოთ თუნდაც ზემოთ უკვე განხილული ლექსი “ჰაერი ცივ-ნამიანი, ჩემთვის აღარა მზიანი”.

რუსთველის მსგავსად ბესიკი ხშირად მიმართავს ალიტერაციის ხერხს. თავი რომ დავანებოთ მის ცნობილ ანბანთქებებს, სადაც ალიტერაცია ძირითად ფორმალისტურ ხერხად გვევლინება, ბესიკის ლირიკულ შედეგებში იგი ადჭურვილია მნიშვნელოვანი მხატვრული ფუნქციით. ბესიკის ლექსი “ტანო ტატანო” ალიტერაციული ბგერწერის ერთ-ერთი საინტერესო ნიმუშია. და უნდა ითქვას, რომ, მეტაფორათა საოცარ წყობასთან ერთად, ლექსის მხატვრულ სურათს ბგერათა არაჩვეულებრივი შეხამება ქმნის: “ტანო ტატანო, გულ-წამტანო, ვერ საკარებო!” ან “ვა, სიცოცხლეო უკუღმართო, დანაცარებო” და სხვ. ბესიკი ბგერწერის, კერძოდ, ალიტერაციის უზადლო ოსტატია.

ალიტერატურის ისტორიკოსები პოეტის ნოვატორობას მიაწერენ აგრეთვე ქართულ პოეზიაში ზოგი ახალი საზომის შემოღებასა და დამკვიდრებას. როგორც ცნობილია, აღორძინების მწერლობამ საბოლოოდ დაძლია ეპიური პოემებისათვის შესაფერი საზომების ბატონობა (მაგ., რუსთველური შაირი და სხვ.) და ახალი გაქანება მისცა ფორმების მრავალფეროვნებას. ბესიკმა თავისი წვლილი შეიტანა ახალი ქართული ლექსის აღორძინებაში. მის სახელს უკავშირდება, მაგალითად, თოთხმეტმარცვლიანი ლექსის ის სახეობა, რომლის ძირითადი მეტრული სქემა ასეთია (ტანო /ტატანო/ გულწამტანო/ უცხოდ მარებო): ქორე+დაქტილი+მეორე პეონი+ქორე+დაქტილი. ამ საზომმა შემდგომში დიდი გავრცელება პოვა: 14-მარცვლიანი ბესიკური საზომითაა დაწერილი მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის მთელი რიგი შესანიშნავი ლირიკული ლექსები: გრ. ორბელიანის “ჩემს დას ეფემიას”, ალ. ჭავჭავაძის “გოგჩის ტბა” და ნ.

ბარათაშვილის “მერანი”. ქართველი რომანტიკოსების მიერ ინტონაციურად სახეცვლილი ამ საზომითაა თარგმნილი ივ. მაჩაბლის მიერ შექსპირის ტრაგედიები²⁴². ასეთივე კანონიზატორად გვევლინება ბესიკი ქართული ლექსის სტროფიკის დარგშიც. როგორც ცნობილია, აღორძინების ხანის მწერლობაში, კერძოდ, XVIII საუკუნეში ჩვენში დიდი გავრცელება პოვა ე. წ. მუხამბაზ-მუსტაზადურმა საზომებმა. ირკვევა, რომ ეს, ძირითადად სპარსული საზომები, ჩვენში აზერბაიჯანული ლიტერატურის გზით შემოსულა და მათ არა მარტო აზერბაიჯანულ პოეზიაში, არამედ ჩვენშიც გარკვეული სახეცვლილებები განუცდია²⁴³. ბესიკის ავტორიტეტმა განსაკუთრებით განამტკიცა ქართულ პოეზიაში მუხამბაზური საზომების გავრცელება. მან პირველმა შემოიტანა — აღნიშნავს აკ. გაწერელია — ყველაზე გავრცელებული მეტრი ამგვარი სტროფებისათვის — ე. წ. 14-მარცვლიანი ლოგაედები (5+4+5) და გართიმვის ის წესი, რომელიც სპარსულ-არაბულ და აზერბაიჯანულ პოეზიაში იყო დაკანონებული ამ ფორმებისთვის (პირველ ხუთტაეპოვანს აქვს ერთი საერთო რითმა, რომელიც მეორდება მომდევნო სტროფების მეხუთე ტაეპებში)²⁴⁴. ამის ნიმუშებია ბესიკის გავრცელებული ლექსები “ცრემლთა ისხარნი”, “მე შენი მგონე” და სხვ.

ამასთან, როგორც თავიდანვე აღვნიშნეთ, ბესიკის ლექსები აღმოსავლური ლირიკის ზოგი სახეობის მსგავსად უეჭველად იმდერებოდა. ბესიკის ლექსებს ამდერებდნენ სახალხო მთქმელები და აშულები. ამ მხრივ დამახასიათებელია ბესიკისა და საიათნოვას მიერ გავრცელებული თერთმეტმარცვლიანი საზომები, რომლებიც ქმნიდნენ ე. წ. “თეჯლისებისა” თუ სხვა ამ ტიპის საზომების ძირითად აქცენტურ ფორმებს. ამ ლექსებში, როგორც ეს შენიშნულია სპეციალურ ლიტერატურაში, ყველაზე ძლიერი მახვილი ეცემა ტაეპის ბოლოს, პირველ სართიმო მარცვალს, როგორც ჩანს — დასძენს აკ. გაწერელია — პოეტ-აშულებს ეს მომენტი უადვილებდა ტაეპის დამდერებისას კადენცია სავსებით შეეხამებინათ საკრავის მელოდიურ-მუსიკალური ნაკადის ძლიერი დასასრულისთვის²⁴⁵.

ბესიკის პოეზიამ განუზომელი გავლენა მოახდინა მის თანამედროვე მწერლობაზე და, შეიძლება ითქვას, რომ მას მიმბამველ-ეპიგონთა ლაშქარი გაუჩნდა. რასაკვირველია, ეპიგონთა შემოქმედებაში დაიჩრდილა ბესიკის ლირიკის შინაგანი თავისებურებანი და ბესიკური პოეზია გადაიქცა ერთგვარ ფორმალისტურ მიბამვათა საგნად. თუმანიშვილები, ბატონიშვილები თუ ხალხის წიადიდან გამოსული აშულები ბამავდნენ ბესიკის ლექსის წერის მანერას და, როგორც ეპიგონობას ჩვევია, მხოლოდ გარეგან მიბამვაზე

²⁴² აკ. გაწერელია. ქართული კლასიკური ლექსი, 1953, გვ. 276.

²⁴³ ცნობილია, რომ “მუხამბაზების” დიდი ოსტატი იყო აზერბაიჯანელი პოეტი ვალიფი, რომელიც, სხვათა შორის, ხშირად იმყოფებოდა ერეკლე II-ის კარზე, თბილისში და ლექსიც აქვს მიძღვნილი ქართველთა დედაქალაქისადმი.

²⁴⁴ აკ. გაწერელია, ქართული კლასიკური ლექსი, გვ. 224.

²⁴⁵ იქვე, გვ. 267.

აგებდნენ თავიანთ ნიმუშებს. მათ ხელში ბესიკის მძაფრი დრამატიზმით დატვირთული ლექსი უზრალო დარდიმანდული, ფუქსავატური პოეზიის უხეირო მონოლოგებად გადაიქცა.

ამ მოვლენას ჰქონდა თავისი მიზეზები. ბესიკთან ერთად არსებითად ამოიწურა ძველი ქართული პოეზიის როგორც შინაარსი, ისე ფორმალური შესაძლებლობანი. ერთგვარი კრიზისი თვით ბესიკისავე შემოქმედებაში იგრძნობოდა. მიუხედავად შესანიშნავი ლირიკული შედეგებისა, ბესიკი არსებითად ვერ გასცილდა “სევდის ბადისა” და “სოფლის ამოების” თემატიკას. ძველი ქართული მწერლობის მასაზრდოებელი საფუძვლები საბოლოოდ შერყეული იყო და ქვეყანა სრულიად ახალი ძვრების მოლოდინში იმყოფებოდა. ბესიკი იყო ამ გარდამავალი დროით გამოწვეული ტკივილების უკანასკნელი დიდი მომღერალი და მის წასვლასთან ერთად აშკარა დეკადანსი დაეტყო ძველი ქართული მწერლობის უკანასკნელ პერიოდს. ბესიკის ეპიგონები ამ დასასრულის ყველაზე აშკარა წარმომადგენლები იყვნენ.

ნარგიზოვანი

ძველი ქართული მწერლობის ერთ-ერთ საყურადღებო ძეგლს წარმოადგენს ლირიკული ლექსების კრებული, რომელიც ცნობილია ნ ა რ გ ი ზ ო ვ ა ნ ი ს სახელწოდებით. ნარგიზოვანის ავტორი უცნობია. ცნობილი არ არის მისი დაწერის დროც. ამიტომ მკვლევართა შორის დღემდე გრძელდება კამათი ამ ლექსების კრებულის ისტორიულ-ლიტერატურული საკითხების გასარკვევად.

პირველ ცნობას “ნარგიზოვანის” შესახებ ვხვდებით იოანე ბაგრატიონის კალმასობაში. ჩამოთვლის რა “ძველთა და ახალთა მოშაირეთ”, იოანე დაასკვნის: “ჩოლოყაშვილმან გარსევან გალექსა წიგნი ნარგიზოვანი”²⁴⁶. ნარგიზოვანის ავტორად ასახელებს გარსევანს ისტორიკოსი პლ. იოსელიანიც, რომელსაც იგი XVI საუკუნის მოღვაწედ მიაჩნია²⁴⁷.

“ნარგიზოვანის” შესახებ ცნობებს გვაწვდის მწიგნობარი ზ. ჭიჭინაძე. მას ხელთ ჰქონია გვიანდელი ხელნაწერი საეჭვო მინაწერებით, რომელთა მიხედვითაც “ნარგიზოვანის” ავტორად არჩილი გამოაცხადა²⁴⁸. ზ. ჭიჭინაძის მცდარი ცნობები, ყოველგვარი შემოწმების გარეშე, შევიდა ალ. ხახანაშვილის ცნობილ შრომაში²⁴⁹.

ზემოდასახელებულ მკვლევართა მოსაზრებები განიხილა და მათი

²⁴⁶ კალმასობა, II, 1948, გვ.189.

²⁴⁷ Род князей Чолокаевых, 1866, გვ. 9-10, შენ. 3.

²⁴⁸ ქართული მწერლობა და ქართველი მწერლები მეზვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნეებში, 1888, გვ. 22.

²⁴⁹ Очерки по истории грузинской словесности, III, М., 1901, გვ. 99 – 100. შენ. 4; მ ი ს ი ვ ე , ქართული სიტყვიერების ისტორია, 1919, გვ. 362 - 363.

მეცნიერული კრიტიკა მოგვცა კ. კეკელიძემ. მან დაასაბუთა, რომ “ნარგიზოვანის” ავტორად არ შეიძლება არჩილი მივიჩნიოთ: “ვისი დაწერილია ის, არ ვიცით, ცხადია კი, რომ არჩილს ის არ ეკუთვნისო”²⁵⁰ თხზულების შინაარსობლივ-ფორმობლივი ანალიზის და სხვა მონაცემების გათვალისწინებით მკვლევარი შეეცადა დაეთარიღებინა “ნარგიზოვანი”. მისი მოსაზრებით, “ნარგიზოვანი” უნდა შექმნილიყო არაუადრეს XVIII საუკუნის მეორე ნახევრისა (იქვე).

“ნარგიზოვანის” ისტორიულ-ლიტერატურულ საკითხებს შეეხო ალ. ბარამიძე, რომელმაც გამოსცა აგრეთვე თხზულების კრიტიკული ტექსტი²⁵¹. მკვლევარმა, სავსებით დამაჯერებლად გაარკვია ის წლები, რომელთა შორისაც უნდა დაწერილიყო “ნარგიზოვანი”.

ალ. ბარამიძის დაკვირვებით, სულხან-საბა ორბელიანისეულ “ქილილა და დამანაში” მოთავსებული ლექსის “ქალისა” და “ნარგიზოვანის” მერვე ლექსის “ქართლი შვენიერიას” “ტექსტები უეჭველად ცხადყოფს მათს სრულ იგივეობას როგორც მეტრული აღნაგობით, ისე რიტმული ნაირობით, რითმული სისტემით, სტროფიკითა და მთელი კომპოზიციური სხეულით”. ამასთან, “ნარგიზოვანის” “ქართლი შვენიერია” დაწერილი უნდა იყოს “ქალის” გავლენით. მაშასადამე, “ქართლი მშვენიერია” (და მასთან მთელი “ნარგიზოვანიც”) საბასეული “ქილილა და დამანას” რედაქციის საბოლოო ჩამოყალიბების, ე. ი. XVIII საუკუნის ოციანი წლების შემდეგ უნდა იყოს შეთხზული.

ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკის ერთ-ერთ ხელნაწერ კრებულში (იოანე ბატონიშვილის კოლექცია, № 28) ალ. ბარამიძემ მიაკვლია “ნარგიზოვანის” უცნობ და, ამასთან, უძველეს ნუსხას, რომელიც გადაწერილია 1785 წელს. ამ ხელნაწერის მიხედვით დადგინდა, რომ “ნარგიზოვანი” შეთხზული უნდა იყოს აღნიშნულ თარიღამდე, ე. ი. 1785 წლამდე. ამრიგად, ბარამიძის დასკვნით, “ნარგიზოვანი” დაწერილია 1720 — 1785 წლებში.

ლენინგრადში დაცულ ხელნაწერს აქვს მინაწერი, რომელშიც დასახელებული ყოფილა “ნარგიზოვანის” ავტორი: “ორბელიანის ნათქვამიაო”. მკვლევარმა ეს მინაწერი სანდოდ ჩათვალა და შეეცადა მოემეზნა, თუ რომელი ორბელიანი იყო “ნარგიზოვანის” ავტორი. ალ. ბარამიძე ჩამოთვლის XVIII საუკუნის ოციან-ოთხმოციანი წლების პოეტებს ორბელიანთა გვარიდან და პრიორიტეტს დავით სარდალს (ორბელიანს) ანიჭებს. თანაც იქვე აღნიშნავს: “სრულიად არ მიმაჩნია გადაჭრილად ნარგიზოვანის ავტორობის საკითხიო”²⁵².

“ნარგიზოვანის” ავტორობის საკითხს საგანგებოდ შეეხო ავთ.

²⁵⁰ ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1924, გვ. 421.

²⁵¹ “ნარგიზოვანი”, XVIII საუკუნის ლირიკული პოემა. ალ. ბარამიძის რედაქციით, ტექსტი, წინასიტყვაობა, ლექსიკონი. 1936.

²⁵² ალ. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II, 1940, გვ. 474 - 483; ნარგიზოვანი, გვ. 7 - 13.

იოსელიანი თავის სადისერტაციო ნაშრომში²⁵³. მკვლევარის შეხედულებით, “ნარგიზოვანის” ავტორი უნდა იყოს იესე ოსეშვილი (ბარათაშვილი).

“ნარგიზოვანის” ტექსტის გამოცემის შემდეგ კ. კეკელიძე ისევ დაუბრუნდა თხზულების დაწერისა და ავტორობის საკითხს. მკვლევარმა უარი თქვა წინანდელ შეხედულებებზე და ახალი დებულებები წამოაყენა. არჩილის “თეიმურაზისა და რუსთველის გაბაასებაში” მოცემულ ცნობაზე დაყრდნობით და სხვა ისტორიულ-ლიტერატურული მასალების მოშველიებით კ. კეკელიძემ “ხილთა ქების” ავტორი გარსევან ჩოლოყაშვილი მიიჩნია “ნარგიზოვანის” ავტორადაც, რომელიც, მისი აზრით, მოღვაწეობდა XVII საუკუნის პირველ ნახევარში²⁵⁴. ამ შეხედულებას ავითარებდა მკვლევარი ბოლო დროსაც²⁵⁵.

ასეთია ზოგადად “ნარგიზოვანის” ავტორისა და მისი დაწერის თარიღის გამოსარკვევად დღემდე ჩატარებული კვლევა-ძიებანი.

“ნარგიზოვანი” წარმოადგენს სატრფიალო-სამიჯნურო ლექსების კრებულს. ტრადიციულად მას პოემას უწოდებენ. აღნიშნული ლექსთა კრებული შედგება 11 ლირიკული ლექსისგან, რომლებიც სხვადასხვა საზომზე და მოტივზე არიან დაწერილი. ძნელია იმისი თქმა, თავიდანვე ასეთი შედგენილობის იყო კრებული თუ არა, მაგრამ “ნარგიზოვანის” შედგენილობაზე ზოგიერთი დასკვნის გამოტანა ახლაც შესაძლებელია.

აღნიშნულ ლექსთა კრებულში თავიდანვე უნდა ყოფილიყო პირველი ლექსი — “ნარგიზოვანი” და ბოლო, რიცხვით მეთერთმეტე, ლექსი — “მიფიცავს შენი სახელი”. ეს ორივე ლექსი, როგორც კრებულის დასაწყისი და დამაბოლოებელი ლექსები, უკლებლივ შეტანილია ყველა ხელნაწერში.

პირველი ლექსი, “ნარგიზოვანი”, მიმართავა თვალშვნიერი ასულისადმი: “ჰე, საყვარელო, შენის გონებით, ხელ ვარ მინდორსა თავის ღონებით”.. კრებულის დანარჩენ ლექსებში კი გადმოცემულია ამ მიჯნურისადმი ტრფობის ამბავი და ამით გამოწვეული გუნება-განწყობილებანი. კონკრეტულად ვინ არის ტრფიალების საგანი ამ ლექსიდან (და საერთოდ კრებულში შეტანილი ლექსებიდან) არ ჩანს. აქ პოეტს გამოუყენებია მხატვრული ხერხი. სახელის მაგივრად იგი მიმართავს ეპითეტის საშუალებით: “გეხვევი ყელსა, თვალშვნიერო, ნ ა რ გ ი ზ ო ვ ა ნ ი”.

“ნარგიზოვანის” მეთერთმეტე ლექსი — “მიფიცავს შენი სახელი” ყოველგვარი ნიშნებით ამ ლექსთა კრებულის მოუცილებელი ნაწილია, ის ერთგვარად შემაჯამებელი ლექსია. ამ ლექსში ავტორი გადმოგვცემს, რომ მან

²⁵³ ავთ. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი, იესე ოსეს-ძე ბარათაშვილი, 1940 (სადისერტაციო ნაშრომი). ვსარგებლობთ საქ. მეცნ. აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში დაცული ხელნაწერით.

²⁵⁴ კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ვინ არის “ნარგიზოვანის” ავტორი? “ლიტერატურული საქართველო”, 1939, 20 | XI.

²⁵⁵ მ ი ს ი ვ ე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1958, გვ. 617 - 627.

შეასრულა სატრფოსადმი დანაპირები (“დასრულდა დანაპირები, უწყალოვ”) და მისი თხოვნით დაწერა სამიჯნურო ხასიათის “ფერად-და-ფერად ხშირი” ლექსები. პოეტი სატრფოსგანაც მოელის პასუხს: “აწ მეუბნას პირი შენიო!” გარდა ლექსის შინაარსისა, “მიფიცავს შენი სახელის” ფორმაც იმაზე მეტყველებს, რომ ის იმ პირის დაწერილია, ვინც შეთხზა “ნარგიზოვანის” სხვა ლექსები, კერძოდ მესამე ლექსი — “ვიცი, მემდურვი, მზევ, რასა!” “მიფიცავს შენი სახელი” და “ვიცი, მემდურვი, მზევ, რასა” ყოველმხრივ ერთნაირი ლექსია, მხედველობაში თუ არ მივიღებთ ერთ გარემოებას: ლექსში “ვიცი, მემდურვი, მზევ, რასა” რეფრენული სიტყვა “უწყალოვ” მესამე სტრიქონიდან გადატანილია მეოთხე სტრიქონში.

ამრიგად, “ნარგიზოვანის” პირველი და უკანასკნელი ლექსი ექვმიუტანლად თავდაპირველადვე კრებულის კუთვნილებას წარმოადგენდა.

“ნარგიზოვანის” დღემდე მოღწეულ ხელნაწერებში არ გვხვდება არც ერთი ისეთი ხელნაწერი, რომელიც არსებითად რაიმე განსხვავებას იძლეოდეს ლექსების რაოდენობისა და შედგენილობის მხრივ. ის თერთმეტი ლექსი, რომელიც გამოცემითაა ცნობილი, ზოგ ხელნაწერში გვხვდება, ზოგში კი არა (ხელნაწერების დეფექტურობის გამო), ანდა ისინი უმნიშვნელო ხასიათის ვარიანტებით სხვადასხვაობენ, მაგრამ არ გვხვდება ისეთი ხელნაწერი, რომელშიც შეტანილი იყოს თუნდაც ერთი ისეთი ლექსი ან სტროფი, რომელიც სხვა (მეორე) რომელიმე ხელნაწერსაც არ ჰქონდეს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ “ნარგიზოვანის” კრებული თავიდანვე ისეთივე შედგენილობის იყო, როგორი სახითაც ის დღეს გვაქვს და თავიდანვე შეიცავდა იმ თერთმეტ ლექსს, რომლებიც ხელნაწერებმა შემოგვინახეს.

“ნარგიზოვანის” ზოგიერთ ხელნაწერში ამ ლექსებს თავ-თავისი სახელწოდება აქვს. ისინი დასათაურებულია ლექსების პირველი სტრიქონების მიხედვით. თანაც, ხელნაწერებში დასათაურებელია მხოლოდ პირველი ექვსი ლექსი, მეშვიდე ლექსიდან (“სადა ხარ ისრებ მართალო”) კი დასათაურებას უკვე არც ერთ ხელნაწერში აღარ ვხვდებით. ამის შემდეგ ხშირად იწყება ლექსების ერთმანეთში აღრევა.

ის გარემოება, რომ ხელნაწერებში დასათაურებულია ლექსების ნაწილი (პირველი ექვსი ლექსი) და ერთმანეთში შერეულია მხოლოდ სათაურების არმქონე ლექსები, საბაბს გვამლევს ვიფიქროთ, რომ “ნარგიზოვანის” ყველა ლექსი თავიდანვე უსათაურო იყო.

ლექსთა აღრევა მოხდა სწორედ იმიტომ, რომ ისინი დასათაურებულები არ იყვნენ და გადამწერებმა ვერ გამოყვეს ერთმანეთისგან, თანმიყოლებით გადაწერეს და, ამიტომაც, სათაურების გამოძებნა ამ ლექსებისთვის ვეღარ მოახერხეს: ვერ გაერკვნენ, სად იწყებოდა ახალი ლექსი, მითვის რომ სათაურად პირველი სტრიქონი აედოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ნუთუ ვერც ერთმა ხელნაწერმა ვერ შემოგვინახა თავიდან ბოლომდე დასათაურებული ლექსები!

როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული, ლექსთა კრებულის პირველ ლექსში პოეტი თავის სატრფოს მიმართავს არა საკუთარი სახელის აღნიშვნით, არამედ ეპითეტის საშუალებით — ნ ა რ გ ი ზ ო ვ ა ნ ო . ამ სიტყვით ბოლოვდება მთელი ლექსის კენტი ტაეპები. ასე რომ, სიტყვა ნარგიზოვანი ლექსში გამეორებულია 14-ჯერ. საფიქრებელია, რომ კრებულის პირველ ლექსს სწორედ ზემოაღნიშნულის გამო ეწოდა “ნარგიზოვანი”, რის მიხედვითაც შემდეგში მთელ კრებულს “ნარგიზოვანი” შეარქვეს. ლექსთა კრებულის სახელწოდება ავტორს არ უნდა ეკუთვნოდეს, იგი შემდეგ შეერქვა და გავრცელდა გადამწერთა მიერ²⁵⁶.

“ნარგიზოვანის” დაწერის თარიღთან დაკავშირებით, როგორც ითქვა, არსებობს სხვადასხვა შეხედულება. სპეციალურ ლიტერატურაში აღიარებული მოსაზრებით, “ნარგიზოვანი” დაწერილია XVIII საუკუნის ოციან-ოთხმეოციან წლებში. ტექსტის ყოველმხრივი შესწავლა და გაცნობა კიდევ ერთხელ გვიდასტურებს, რომ “ნარგიზოვანი” შეთხზული უნდა იყოს მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში. ამ მოსაზრების სასარგებლოდ ლაპარაკობს შემდეგი მონაცემები:

1. “ნარგიზოვანი” შეთხზული უნდა იყოს იმ დროს, როცა ტრადიციულად გაბატონებული 16-მარცვლიანი საზომით დაწერილი ეპიკური თხზულებების ნაცვლად ფეხს იკიდებს სხვადასხვა ზომისა და რიტმის წვრილი ლექსები. ასეთი მეტრული მრავალფეროვნება საგრძნობლად უწყობს ხელს ახალი ლირიკული ლექსების დამუშავებას. სწორედ აღნიშნულ პერიოდში უნდა ეცხოვრა “ნარგიზოვანის” ავტორს, რომელიც გვევლინება მცირე ფორმის ლექსის ნამდვილ ოსტატად.

2. XVIII საუკუნის მეორე ნახევრის მწერალთა პოეტურ მეტყველებას ახასიათებს სიტყვის მაღალმხატვრული კულტურა. მხატვრული სახეები, მეტაფორები, ეპითეტები თანდათან უკვე იქცა კონკრეტულ ცნებებად. ზოგადი და გაბუნდოვნებული პოეტური სახეები ახლა შეიცვალა ნაცნობი საგნებითა და მოვლენებით. ამ პერიოდის ლექსებში შესამჩნევად არის გამოყენებული აგრეთვე მიმართვითი ინტონაციებიც.

ყოველივე ზემოთქმული დამახასიათებელია “ნარგიზოვანისთვისაც”, რაც გვაფიქრებინებს, მისი დაწერის დროდ მივიჩნიოთ მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარი, ქართული ლექსის მნიშვნელოვანი ცვლილებების პერიოდი.

3. “ნარგიზოვანში”, მართალია, შედარებით მკრთალად, მაგრამ მაინც შეიმჩნევა მუხამბაზური პოეზიისთვის დამახასიათებელი ნიშნები, ხოლო საიათნოვა — ბესიკის ლექსებისთვის ნიშანდობლივი სტროფული აღნაგობა,

²⁵⁶ საკითხის ასეთი დასმის შემდეგ, ბუნებრივია, მოიხსნება მოსაზრება, თითქოს არჩილის სიტყვებში (“გული კვდება ნარგიზოთათვის...”) ეს ნარგიზოვანი იგულისხმება. ამასთან, ყურადსაღებია ის გარემოებაც, რომ ერთ-ერთ ხელნაწერში ზემომოყვანილი ტაეპი მიეკუთვნება არა გარსევან ჩოლოყაშვილს, არამედ სიმონ კოპაძეს და შეტანილია მის ავტობიოგრაფიაში ჩართულ ლექსში (H 2695).

რეფრენი, ლექსიკა და სხვ. “ნარგიზოვანისთვისაც” არ არის უცხო. ერთი სიტყვით, ავტორი იყენებს იმ პოეტურ ხერხებსა და საშუალებებს, რომლებიც დამახასიათებელია XVIII საუკუნის მეორე ნახევრის მწერლობისთვის.

4. “ნარგიზოვანში” ფართოდ არის გამოყენებული რეფრენი. მაგრამ ამ შემთხვევაში თავისთავად რეფრენის გამოყენებას როდი აქვს მთავარი მნიშვნელობა, რადგან რეფრენი მანამდეც მრავლად გვხვდება ქართულ მწერლობაში. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს “ნარგიზოვანში” გამოყენებული რეფრენის ერთ-ერთი სახეობა. აქ გვხვდება ისეთი რეფრენი, რომელიც თავისი აგებულებით მოცემული ლექსის მეტრულ ფარგლებს სცილდება, ხოლო თავისი ფუნქციით დაკავშირებულია სასიმღერო ლექსთან. მხედველობაში გვაქვს “მე ვითა ვთქვა შენი ქებას” რეფრენი:

მე ვითა ვთქვა, აჰა, მზეო, შენი ქება!

გული ჩემი ამაღ ბნდება,

შენთა თვალთა, აჰა, მზეო, მენატრება,

კოცნა ნაზისა - ნაზისა, პირი ნაზისა - ნაზისა,

ხალი

ნაზისა - ნაზისა.

მოყვანილი სახის რეფრენი “ნარგიზოვანამდე” ქართულ ლიტერატურაში არ გვხვდება, შემდეგ კი დიდ გავრცელებას პოულობს ე. წ. გარდამავალი ხანის მწერლობასა და ქალაქურ, აშუღურ პოეზიაში. საერთოდ, ასეთი სახის რეფრენი XVIII საუკუნის მეორე ნახევარზე ადრე სავარაუდებელი არ არის. ის დაკავშირებულია სასიმღერო-მუხამბაზურ ლექსებთან.

5. “ნარგიზოვანის” მეთერთმეტე ლექსის — “მიფიცავს შენი სახელი” მესამე სტროფში ვხვდებით თურქულ ფრაზას:

შენთა წამწამთა შენამა,

სიგრძით გაწყობით შენამა

სრულ დაწვნი ჩემნი შენამა, უწყალოვ,

გოზალმანი სევმეინჯა.

აღნიშნული თურქული წინადადება ქართულად დაახლოებით შემდეგს ნიშნავს: “ლამაზმა რომ არ შემეყვარა”. ასეთი ხერხი (არაქართული სიტყვისა და წინადადების გამოყენება) საიათნოვა-ბესიკის პერიოდის ქართული პოეზიისთვის მოულოდნელი არ არის. ამიტომ ამ ლექსის (და, მამასადამე, მთელი “ნარგიზოვანის”) დამწერი საიათნოვა-ბესიკის დროის პოეტი უნდა იყოს.

“ნარგიზოვანის” ავტორობის საკითხი დღემდე გადაუჭრელია. აქ აღარ გავიმეორებთ იმ საბუთებს, რომლებზეც თავის დროზე ავთ. იოსელიანმა გაამახვილა ყურადღება. მხოლოდ დავუმატებთ ერთ საგულისხმო ცნობას.

როგორც წესი, “ნარგიზოვანი” და იესე ბარათაშვილის “ემყი-ხონია” ერთად არის ხოლმე შეტანილი ხელნაწერებში. თანაც “ემყი-ხონია” ყოველთვის წინ უძღვის “ნარგიზოვანს”. ხელნაწერთა ინსტიტუტის ერთ-ერთ ხელნაწერ კრებულში²⁵⁷ იესეს “ემყი-ხონიას” უკანასკნელ სტროფს უშუალოდ მოსდევს “ნარგიზოვანის” მეოთხე ლექსის (“ჩემი საყვარლის თვალები”) მეცხრე-მეათე სტროფების ტაეპები, რითაც “ემყი-ხონიას” ეს დაბოლოება განსხვავდება სხვა ნუსხებში მოცემული დაბოლოებებისგან. აღნიშნული გარემოება, ვფიქრობთ, კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რომ ამ ორი ლექსის ავტორი ერთი და იგივე პირი — იესე ბარათაშვილი უნდა იყოს.

“ნარგიზოვანი” ლირიკული ლექსების კრებულია. ამ ლექსებიდან, გარდა მერვე ლექსისა — “ქართლი შვენიერია”, ყველა სატრფიალო-სამიჯნურო ხასიათისაა. “ნარგიზოვანი” დაწერილია ჰარმონიული და მგრძნობიარე ლექსებით, რომლებშიც სიყვარულის მძაფრი გრძნობა გადმოცემულია იშვიათი სინაზითა და სიციხველით. “ნარგიზოვანის” ლირიკული ლექსები სილამაზისა და სიყვარულის ერთგვარი საგალობელია.

პოეტი მოხიბლულია თავისი სატრფოს მშვენიერებით. იგი სათუთად, მეტად ნაზ ფერებში აგვიწერს მის (სატრფოს) გარეგნულ მოხდენილობასა და სინარნარეს:

წითელი ვარდი გიყვავის პირსა მნათობსა, სვიანსა,
ემყი გაქვს მეტად სანდომი, აშაქრებ სიტყვას წყლიანსა;
შენი შვენება, სინაზე აკრთობს ყოველსა ჭკვიანსა,
ჭაბუკნი ასწყდენ სურვილით, დღესა უმოკლებ მზიანსა.

ქალის სილამაზის გადმოცემისას “ნარგიზოვანის” ავტორისთვის ნიშანდობლივია პოეტური გემოვნება და მხატვრული ალღო:

თვალს თვალი უყვარს, გულს გული, ყელი დაემონების,
ინდისა შავნი ხუჭუჭნი კავ-ზილფად შეეწონების,
კეკლუცობა და სინაზე მჭვრეტელთა მოეწონების,
ლამაზი ტუჩი ლამაზსა ტუჩებსა დაეკონების.

მსურდა საჭვრეტლად მეხელთა ბაგისა სიმცრო, სინაზე,
ნახვისა ჟამი არ მომხვდა, უცხოდ რამ მოეწყინა ზე,
ოცნებით ფერი კრთომოდა მოწითულისა მინაზე,
პატარა ცვარი ვარდზედა განკრთომით გაეყინა ზე.

ქალის ასეთმა სილამაზემ დაატყვევა პოეტი, მის გულს სახმილი მოედო. შეყვარებული პოეტი უკვე ვეღარ ფარავს თავის გულისნადებს და სათაყვანებელ ობიექტს თანაგრძნობას სთხოვს:

²⁵⁷ Q 318, ფ. 35 V.

შენ გტრფიალობ, ხმელთა მზეო, განა ვარდო მაისურო,
მე მწვავს შენი სიყვარული, ხამს რომ შენცა მაისურო,
ლერწმად დამრგე ბალსა შენსა, შენ ჩემზედა მაისურო,
არ დამიჭრა გული წყლული, სისხლი სმად არ მაისურო.

მაგრამ სატრფომ არ შეიწყალა მიჯნური, თანაგრძნობა არ გაუწია მას.
სიყვარულისგან გახელებული პოეტი იძულებულია გაეცალოს მას, სამკვიდრო
დატოვოს და უცხო მხარეს გადაიხვეწოს:

მე ვიყავ მტკიცე მოყვარე, სამკვიდრო შეუძრველია,
მწარის ხელობით დაგაგდე, გლახ, ჩემი სასურველია,
მოკლული, სულთა მიხდილი, სირცხვილი სადაღველია,
დამკარგა შენმა სურვილმა, შემქნა ღარიბად მსვლელია!

ვერც უცხოობაში პოვა პოეტმა სულიერი სიმშვიდე. “სევდით ვტირ
შეჭირვებული, ცრემლით ვარ ხშირად მრწყველიაო” — დასევდიანებული
მიმართავს იგი სატრფოს და იქვე დასძენს, რომ შენგან მოშორებით

გულდაკოდილსა, მტირალსა, გლახ, სული ადარ მელია,
ჭირად მჩანს შვება სოფლისა, არა ვარ ჭირთა მხსნელია.

ანდა:

უშენოსა მაქვს ცეცხლთა დებანი,
ჩალად მჩანს ჩემი ქვეყნად რებანი.

“ნარგიზოვანის” სატრფიალო ლირიკას თან ახლავს სევდა-ჭმუნვა,
მდურვა სოფლისადმი. პოეტი ჩივის წუთისოფლის დაუდგრომლობაზე. მისი
სიტყვით, სოფელი დაუნდობელია, ამქვეყნად ყველაფერი დროებითი და
წარმავალია, ასევე წარმავალია სიამოვნებაც. მიუხედავად ამისა, პოეტის
სურვილია შეხვდეს თავის მიჯნურს, რათა დროებით მაინც გაიქარვოს გულის
დარდები და დაივიწყოს “ჭირნი მრავლები”:

შენი მსურს შეყრა სალხინოდ, დამვიწყდეს ჭირნი მრავლები,
ნუ თურე მაშინ დამიშრეს თვალთაგან ნაწანწკარები.

“ნარგიზოვანის” ზოგიერთი ლექსისთვის დამახასიათებელია მხურვალე
ეროტიზმიც. აი, რამდენიმე ნიმუში:

ვთქვა, რა მინდა შენთვის ხელსა?
მომეკიდოს ხელი ხელსა,
გარდმეხვიოს ყელი ყელსა, უწყალოვ,
მაკოცებდეს პირი შენი!

ნეტამცა შენსა სახედ ნაშენსა მამხვია ყელსა!
მე შენი კოცნა თუცა მეოცნა, აღარ მეხოცნა.

შენთა ზაგეთა სიყვარულითა ღვინით დამათვრე!

“ნარგიზოვანის” მერვე ლექსი — “ქართლი შვენიერია” პატრიოტული ხასიათისაა. მასში შექმნილია ქართლი და ქართველები. პოეტს თავისი ქვეყანა სატრფოს სახით ჰყავს წარმოდგენილი და მას ემიჯნურება:

გტრფიალობ, მზეო, თუ შენკენ მზეო,
ერთხელ მისმინე, ორჯელ, სამზეო...

როგორც ვხედავთ, პოეტი სამშობლოს შესახებ ალეგორიულად ლაპარაკობს. ამდენად იგი ვახტანგ მეექვსის პატრიოტული ალეგორიის უშუალო გამგრძელებლად გვევლინება.

აღნიშნულ ლექსში სამშობლოს სიყვარულის გრძნობა გადმოცემულია მთელი პოეტური შთაგონებით. მასში ჩანს სამშობლოსადმი უნაზესი სიყვარული და სიამაყის დიდი გრძნობა. ავტორი, მართალია, ძუნწი ფერებით, მაგრამ მეტად მოხდენილად აგვიწერს სამშობლოს თვალწარმტაც ბუნებას, თავისი ხალხის ლალ ცხოვრებას, მათს ზნე-ჩვეულებებს, გმირულსა და მებრძოლ ხასიათს, ქართველი ქალის სილამაზე-სიმშვენიერეს. თავისი ქვეყნით მოხიბლული პოეტი პატრიოტული აღფრთოვანებით აცხადებს: “ჰქვიან მას სახელად ქართლი შვენიერიაო!” “ნარგიზოვანის” აღნიშნული ლექსი დღესაც განსაკუთრებულად ჟღერს ქართულ პატრიოტულ ლირიკაში.

“ნარგიზოვანი” საინტერესოა აგრეთვე როგორც მხატვრული ძეგლი. მასში ჩვენ ვხვდებით ახალი კონსტრუქციის ლექსებს, მანამდე უცნობ სხვადასხვა მეტრისა და რიტმის ტაეპებსა და სტროფებს, სხვადასხვაგვარ რეფრენს, ალიტერაციის საუცხოო ნიმუშებს და ა. შ. ერთი სიტყვით, “ნარგიზოვანს”, როგორც მხატვრულ ძეგლს, განსაკუთრებული ადგილი უკავია XVIII საუკუნის ქართულ პოეზიაში, ხოლო მისი ავტორი ჭეშმარიტად გვევლინება, ქართული ლექსის ბუნების მესაიდუმლედ.

“ნარგიზოვანში” გამოყენებულია 7-მარცვლიანი, 8-მარცვლიანი, 10-მარცვლიანი, 11-მარცვლიანი, 12-მარცვლიანი, 13-მარცვლიანი, 15-მარცვლიანი და 16-მარცვლიანი ტაეპები და სტროფები. აღნიშნული საზომები გვხვდება ხან დამოუკიდებელივ, ცალკეული სტროფების სახით, ხან კიდევ — სხვადასხვა ზომების მქონე ტაეპების მონაცვლეობით სტროფების ფარგლებში. საზომების ასეთი მონაცვლეობით მიღწეულია რიტმის მრავალგვარობა.

ლექსის ეფფონიური მხარე “ნარგიზოვანში” სრულყოფილია სტრიქონების ფარგლებში მსგავსი ბგერებისა და სიტყვების ხშირი გამეორებების საშუალებით. პოეტი არაერთხელ მიმართავს ალიტერაციას.

“ნარგიზოვანი” გამოირჩევა რეფრენის სიუხვითაც. მაგრამ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის, რომ, გარდა ჩვეულებრივი რეფრენისა, მასში პირველად გვხვდება სასიმღერო ხასიათის რეფრენი.

“ნარგიზოვანის” ავტორი კარგად არის დაუფლებული იმდროინდელ სალიტერატურო ქართულს. ლექსების ცოცხალი, დახვეწილი და გამართული ენა ხალხური სამეტყველო ენისგან მომდინარეობს. “ნარგიზოვანისთვის” უცხო არ არის აგრეთვე მეტყველებისთვის ნიშანდობლივი ფრაზეოლოგიაც.

“ნარგიზოვანის” ლირიკულ ლექსებს თავისი კვალი დაუმჩნევია მომდევნო ხანის პოეტთა შემოქმედებაზე. ასე, მაგალითად, გაბრიელ რატიშვილის “მცირედი რაიმე მოთხრობაში” გვხვდება “ნარგიზოვანის” მიბაძვით დაწერილი ლექსი, რომელშიც ზოგჯერ უცვლელადაც კი არის შეტანილი “ნარგიზოვანის” ტაეპები.

“ნარგიზოვანის” გავლენით ანონიმ პოეტსაც შეუთხზავს საკმაოდ მოზრდილი ლექსი, რომელშიც უცვლელი სახით გაუმეორებია რეფრენი — “გებვევი ყელსა, თვალშვენიერო”. ვინაიდან აღნიშნული ლექსი სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე არ ყოფილა ცნობილი და საკითხის შესწავლის მიზნით გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება, აქვე მოვიყვანთ პირველ სტროფს უცვლელი სახით:

ჰე, საყვარელო, შენის გონებით,
ხელი ვარ მინდორს დრამის წონებით,
გაჭრილი ველად შენის ხსოვნებით,
მომაკლდა ღონე ძალის ქონებით,
გებვევი ყელსა, თვალშვენიერო²⁵⁸.

“ნარგიზოვანის” მეშვიდე ლექსის — “სადა ხარ ისრებ მართალო” გავლენით არის დაწერილი უცნობი ავტორის ლექსი, რომელიც ჯერ კიდევ ხელნაწერის სახითაა დაცული და გამოქვეყნებას მოელის. უცნობი ავტორის ლექსი არა მარტო ემსგავსება “ნარგიზოვანის” აღნიშნულ ლექსს, არამედ ერთი სტრიქონი თითქმის უცვლელი სახით აქვს აქედან გადატანილი. “ნარგიზოვანში” ვკითხულობთ:

ვ ა ჰ , ს ა ყ ვ ა რ ლ ი ს ს ი შ ო რ ე რ ა ზ ო მ ყ ო ფ ი ლ ა მ ნ ე ლ ი ა !
თუ სადმე ნახავს ნათელსა, თქვის: ”მუნ არს ჩემი მკვლელია”.
გლახ, რა ვქმნა მოშორვებულმა, ცრემლი ვყავ ცრემლთა მრთველია,
დამკარგა შენმა სურვილმა, შემქნა ღარიბად მსვლელია.

ზუსტად ამ ზომისა და ამ აგებულების ლექსია უცნობი ავტორის ლექსიც:

²⁵⁸ H 1334, ფ. 300V.

ვ ა , ს ა ყ ვ ა რ ლ ი ს მ ო შ ო რ ვ ე ბ ა რ ა ზ ო მ ყ ო ფ ი ლ ა
მ ნ ე ლ ი ა!

მთვარე თუ ნახის გავსილი, თქვის: "იგ არს ჩემი მწველია".
მზესა დასახავს მშვენებით, მსგავსად არს ეგრე მსვლელია,
მისგან არს ჩემნი პატიჟნი, ვისგან ჩანს მთვარე ბნელია²⁵⁹.

“ნარგიზოვანის” ლექსშიც და უცნობი ავტორის ლექსშიც პირველი სტროფის მეოთხე ტაეპი მეორდება მთელი ლექსის მანძილზე, რეფრენს წარმოადგენს.

“ნარგიზოვანის” ლექსების კვალი ემჩნევა მირიან ბატონიშვილის პოეზიასაც. გარდა იმისა, რომ მის ერთ-ერთ ლექსში გვხვდება ასეთი სტრიქონები — “ბაგე ვარდო, ენა ტკბილო შაქარო, ეშხით მწველო, ქალო ნარგიზიანო”. მას აქვს დაწერილი ისეთი ლექსიც, რომელიც უშუალოდ “ნარგიზოვანის” მეთერთმეტე ლექსის — “მიფიცავს შენი სახელის” გავლენითაა შეთხზული. “ნარგიზოვანში” ვკითხულობთ:

ვარდს გიგავს სუნი და ფერი,
რომ მე ვარ შენი საფერი,
მაშ, ცუდად ნულარ მეფერი, უწყალოვ,
აწ მიჩვენე პირი შენი.

მირიან ბატონიშვილის ლექსში კი ამის შესატყვისი სტროფია:

გშვენიან ინდის ხალები,
მჭვრეტელთა შემამალები,
შავნი წარბ-წამწამ თვალები, ლამაზო,
ნუ მწვავ ესდენ, საყვარელო²⁶⁰.

ორივე ლექსი ხუთი სტროფისგან შედგება. ყოველი სტროფის პირველ სამ ტაეპს აქვს საერთო რითმა, მეოთხე ტაეპი კი რეფრენია, მეორდება მთელი ლექსის მანძილზე. ყველა ტაეპი, გარდა მესამისა (როდესაც სამმარცვლიანი მინამდერი “ლამაზო” დაერთვის), 8-მარცვლიანია. მირიან ბატონიშვილის ლექსი ოდნავ განსხვავდება: მეოთხე სტროფზეც დამატებით დართული აქვს სამმარცვლიანი სიტყვა-რეფრენი (“შენ ნაზო”). სხვა მხრივ ეს ლექსები ყოველმხრივ მსგავსი არიან და მირიან ბატონიშვილის ლექსი, ექვს გარემე, შთაგონებულია “ნარგიზოვანით”²⁶¹.

²⁵⁹ იქვე.

²⁶⁰ ქართული სიტყვა-კაზმული მწერლობის ანთოლოგია, II, 1928, გვ.271.

²⁶¹ გ . მ ი ქ ა ძ ე , ნარგიზოვანი, «XVIII საუკუნის ქართული მწერლობის საკითხები», I, 1965, გვ. 5 – 22.

გარდამავალი ხანის მწერლობა

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში ქართველი ხალხის პოლიტიკურსა და ლიტერატურულ ცხოვრებაში დიდი ცვლილებები მოხდა. 1801 წ. ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთს შეუერთდა, შემდეგ იგივე ბედი ეწვია იმერეთის სამეფოს (1810) და სამეგრელო-გურია-აფხაზეთის სამთავროებს. რუსეთთან საქართველოს შეერთებას ყველა ერთნაირად არ შეხვედრია. ქართველი საზოგადოების დიდმა ნაწილმა იგრძნო, რომ ბოლო მოეღო ფეოდალურ ანარქიას, დაწესდა ერთი კანონი, აილაგმა გარეშე მტრების თარეში, აიკრძალა ტყვეებით ვაჭრობა, დამყარდა შედარებითი მშვიდობიანობა, მაგრამ თითქმის არაფერი შეცვლილა გლეხობისთვის. პირიქით, გლეხობას ახალი ბატონიც გაუჩნდა — რუსი მოხელე. ამით უნდა აიხსნას, რომ 1804, 1812, 1819 და 1841 წლების აჯანყებებს საქართველოში გლეხობის ნაწილიც მიემხრო.

გარდამავალი ხანის პოეტთა დიდ უმრავლესობას რუსეთში მოუხდა ცხოვრება და მოღვაწეობა. ბატონიშვილი პოეტები ძალით იქნენ გაგზავნილი მოსკოვ-პეტერბურგს 1801, 1803, 1810 წლებში. ზოგმა მათგანმა აგვიწერა ეს არცთუ ისე სასიამოვნო მოგზაურობა და ქართველის ცხოვრება “უცხო კარს”.

დავით ბატონიშვილი (1767 — 1819), რომელიც სამწერლო ასპარეზზე 1790-იან წლებში გამოვიდა, ყველაზე კარგად ასახავს XIX საუკუნის პირველი ათეულის ამბებს; დავით ალექსიშვილი, რექტორი თელავის სემინარიისა, 1820-იან წლებში ადგენს ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის ანთოლოგიებს და შიგ შეაქვს თავისი ლექსები. დიმიტრი ბაგრატიონს (1746 — 1826) შეუდგენია “დიმიტრიანი”, ხოლო 1819 წ. გამოუცია პოემა “ქეთევანიანი”; იოანე ბატონიშვილმა (1768 — 1830) მწერლობა 1790 წელს დაიწყო, მაგრამ მისი უმთავრესი ნაწარმოები (“კალმასობა”) 1801 — 1828 წლებში, დაწერა; იოანე იალღუზიძე (1770 — 1830), ნიკო დადიანი (1761 — 1834), პეტრე ლარაძე (გარდ. 1837 წ.), მარიამ ბატონიშვილი (1767 — 1834) სამწერლო ასპარეზზე მოღვაწეობდნენ 1830-იან წლებამდე. თეიმურაზ ბატონიშვილი (1782 — 1846) და გიორგი ავალიშვილი (1769 — 1850) მოღვაწეობდნენ 1840-იან წლებშიც. XVIII საუკუნის ბოლო წლებისა და XIX საუკუნის პირველი ათეული წლების ქართულ მწერლობას, როცა “ერთმანეთს შეხვდა” ძველი და ახალი ქართული ლიტერატურა, გარდამავალი პერიოდის მწერლობა ეწოდება.

გარდამავალი ხანის ქართულ ლიტერატურაში შესამჩნევად ვითარდება დრამატურგია, ეპოსი და ლირიკა. ეპოსი გვამღვს ცნობილ ქვეყანრებს: რომანს, საისტორიო პოემებს, დიდაქტიკურ და სათავგადასავლო თხზულებებს. გარდამავალი ხანის პირველი რომანული ნაწარმოებია “ხუმბარდიანი”, რომელიც დაუწერია გიორგი ბაგრატიონს (1770 — 1807). იგი სათავგადასავლო ლექსების ავტორიცაა.

გარდამავალი ხანის ქართული ლიტერატურა ვერ ასცდა ტრადიციულ

თემებსა და სიუჟეტებს. ამ მწერლობას ტონს აძლევდა რუსთველური პოეზია, ბესიკური და საიათნოვასებური ლექსები. არსებობას განაგრძობს ძველი ქართული საეკლესიო და საერო სტილის მწერლობა. საეკლესიო მწერლობის გვირგვინს წარმოადგენენ იონა ხელაშვილი (გარდ. 1837 წ.), ანტონ II, ვარლამ ერისთავი. გრძელდება წინანდელი ჟანრები და შემოდის ახალი დარგები (მაგ., ნათარგმნი პოეტური ფოლკლორი).

გარდამავალ ხანაში ლიტერატურა ცოცხალ ურთიერთობაშია ხალხურ სიტყვიერებასთან, მწერლები იყენებენ როგორც ნათარგმნ, ისე ორიგინალურ, ქართულ ხალხურ შემოქმედებას. იოანე, გრიგოლ და თეიმურაზ ბატონიშვილები, დიმიტრი ბაგრატიონი, პეტრე ლარაძე უხვად სარგებლობენ ხალხური შემოქმედების წყაროებით. ხალხურ შემოქმედებაზეა აგებული პ. ლარაძის “დილარიანი” და “სახე-მგოსანი”, გიორგი ბაგრატიონის “ხუმარდიანი” და დიმიტრი ბაგრატიონის “დამის ალერსი”. ამ უკანასკნელი ნაწარმოებით “დედანი და მამანი მონახულნი იტყვიან ძველთა ამბავთა”. ამბების მოყოლა სცოდნიათ ზამთრის გრძელ ღამეებში. აქედანაა თხზულების სახელი — “დამის ალერსი”. გრიგოლ ბაგრატიონ-მუხრანელი თავის საინტერესო პოემაში (“გრიგოლიანი”) თავისუფლად იყენებს ხალხურ საანდაზო ლექსებს. გრიგოლ იოანეს ძე ბატონიშვილმა მის მიერ შედგენილ ქართულ ანთოლოგიაში შეიტანა იმ დროის ანეკდოტები, ნაკვესები და ზოგი “მდაბიო ლექსი” (რუსული “ლუბკა”). XIX საუკუნის 20-იან წლებში შედგენილ სხვა კრებულებშიც (მაგ., დიმიტრი ბაგრატიონის ”დიმიტრიანი” ანუ “ელისაბედიანი”) მრავლად გვხვდება ფოლკლორული ნიმუშები. კერძოდ, მზეჭაბუკ ორბელიანმა, პ. ლარაძემ და დიმიტრი ბაგრატიონმა გააცოცხლეს ისეთი ჟანრი, როგორიცაა “იავნანასა” და “მეობის” ლექსები. დ. ბაგრატიონს გაუღებდას გამოცანებიც.

გარდამავალ ხანაში გაძლიერდა მთარგმნელობა. თხზულებანი ითარგმნებოდა როგორც რუსულიდან ქართულად, ისე ქართულიდან რუსულად. აღსანიშნავია, რომ მხოლოდ დერჟავინის ფილოსოფიური ლექსის “ღმერთის” თარგმნაზე სხვადასხვა დროს ათზე მეტ ქართველ პოეტს უმუშავნია. ერთნი თარგმნიან სტრიქონ-სტრიქონ, ხოლო მეორენი შედარებით თავისუფლად ლექსავენ. გარდამავალი ხანის ქართველ მწერლებს უთარგმნიათ მიხეილ ლომონოსოვი და ალ. სუმაროკოვი, მ. ჩულკოვი და ა. ნიკოლსკი, ვ. ოზეროვი და ივ. ხემნიცერი, ვ. რუბანი და ჟუკოვსკი, კარამზინი და პუშკინი.

რუსული მწერლობის მეშვეობით და ზოგჯერ უშუალოდ ითარგმნებოდა ევროპული რენესანსისა და განმანათლებელთა ეპოქის მწერლები. დავით ბატონიშვილმა, გიორგი ავალიშვილმა, დავით ჩოლოყაშვილმა, იესე გარსევანიშვილმა, იოანე ბატონიშვილმა და, ბოლოს, ალექსანდრე ჭავჭავაძემ გადმოიღეს ვოლტერის, მონტესკიეს და სხვა ფრანგ განმანათლებელთა ნაწერები. ითარგმნება გერმანელი და ინგლისელი მწერლებიც. ზოგი ქართველი მწერალი (დ. ბატონიშვილი, გრ. მუხრანელ-

ბაგრატიონი, დ. ციციშვილი და სხვ.) ვოლტერის მიმდევარიც კი ხდება. მთარგმნელები არ იყვნენ მოკლებული კრიტიკულ უნარს. მაგალითად, დავით ბატონიშვილი იწუნებს არა მარტო სპარსული “ვარდისა და ყვავილის პოეზიას” (მ. ჩულკოვის “მითოლოგიური ლექსიკონის” თარგმანი), არამედ დაუშვებლად თვლის საქართველოში გადმოინერგოს “შტილების კლასიციტური კანონები”. დავითი, რომელმაც თარგმნა მონტესკიეს “კანონების სული”, ეკამათება “უფალ მონტესკუს”. იოანე ბატონიშვილმა თვითონ შექმნა ენციკლოპედიური ნაწარმოები (“კალმასობა”), თარგმნა თუ შეადგინა სხვა ენციკლოპედიური ნაშრომები. გიორგი (ეგორ) მაკარის ძე ჩუგუნაშვილმა (1777 — 1827) ბეჭდურად გამოსცა “ენციკლოპედია”. განმანათლებელ-ენციკლოპედისტთა აზრით, საზოგადოება ბედნიერებასა და ჰარმონიას მიაღწევს სწავლა-აღზრდა-განათლებითა და კარგი კანონებით. ამ იდეითაა გამსჭვალული იოანე და დავით ბატონიშვილების “სამართლის წიგნები”, კერძოდ კი იოანეს “ჰსჯულდება”, ანუ “პროექტი ქვეყნის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის” (1799 წ.). მიზეზად იმისა, რომ სასახლის კარზედაც შური და მტრობაა, იოანე იმას თვლის, რომ “როგორც რიგია, ისე ვერ იზრდებიან სწავლითა მეფის ძენიცა”. დავით ბატონიშვილის შესახებ ერთხმად აღნიშნავენ, რომ ის გატაცებული იყო საფრანგეთის რევოლუციითა და ნაპოლეონის ომებით. ამ თემაზე მას შეუთხზავს მგრძნობიარე ლექსი: “ეს პატრისგან მოგვევლინა ყოველი”.

როგორც ვთქვით, გარდამავალ ხანაში არა მარტო რუსულიდან ითარგმნებოდა, არამედ ქართულიდან რუსულად. მაგალითად, რუსულად გამოიცა “ახალი შიხი” (1804 წ.), საქართველოს ისტორია (1812 წ.), რ. დანიბეგაშვილის მოგზაურობა (1815 წ.) და სხვ.

აღიშნულმა ეპოქამ მოგვცა არა ერთი აშუდიც, რომელთა სულიერი საზრდო იყო ხალხური შემოქმედება, კერძოდ თბილისური ფოლკლორი. შამჩი მელქო, სტეფანე ფერშანგიშვილი, იოსებ ამირიძე (ქემიმ დარდიმანდი) და სხვ. შამჩი მელქო ლექსებსა და დითირამებს უწერს როგორც ფარნაოზ და ვახტანგ ბატონიშვილებს, ისე ალექსანდრე ირაკლის ძე ბატონიშვილს.

XVIII საუკუნის გასულსა და XIX საუკუნის პირველ ნახევარში ქართულ მწერლობაში გზას იკაფავს “ნათარგმნი ფოლკლორიც”. მისი წყაროა, ერთი მხრივ, ტრადიციული აღმოსავლური ფოლკლორი, მეორე მხრივ, რუსული ხალხური სიტყვიერება ან ამ გზით ქართულში შემოჭრილი ევროპული პოეტური ფოლკლორი, რომელიც ახლა წიგნურ ლიტერატურად ქცეულა. მითოლოგიური წიგნების ქართულ თარგმანებს თან შემოყვა რუსული ფოლკლორი. მითოლოგიური წიგნები სხვადასხვა დროს თარგმნეს დიმიტრი ბაგრატიონმა, სოლომონ ლიონიძემ, დავით რექტორმა და დავით ბატონიშვილმა. ხალხურ სიტყვიერებას თარგმანებში ეწოდება “სათემო სიმღერა” (Деревенская песня). ”ორი შოტლანდიური სათემო სიმღერა” გადმოიღო გიორგი ავალიშვილმა.

ცნობილია, რომ დ. მაკფერსონმა “შეკრიბა ოსიანური სიმღერები” ოსიანი

იყო ლეგენდური შოტლანდიელი სახალხო მგოსანი (III ს. ჩვენს ერამდე). ამჟამად მეცნიერებაში ფეხმოკიდებულია აზრი, რომ "ოსიანური სიმღერები" თვით მაკფერსონმა შეთხზა. "ოსიანური ლექსები" ინგლისურიდან რუსულად თარგმნეს კოსტროვმა (1750 — 1796) და დმიტრიევმა (1795 წ.). ქართული თარგმანი მათ ემყარება. აქ ნათქვამია: "კითხვა ოსიანის თხზულებათა" აღგვიტაცებს "ცად მიმართ". ფოლკლორულია აგრეთვე "შოტლანდიის ვამპირისათვის ანუ სალდათის მისწრაფებისა", რომელიც ქართულად უთარგმნია უცნობ ავტორს და იმით უსარგებლია იოანე ბატონიშვილს.

სამოგზაურო-მემუარული თხზულებები დაგვიტოვეს გაბრიელ რატიშვილმა და ნიკოლოზ ონიკაშვილმა, გრიგოლ იოანეს ძე ბატონიშვილმა და გრიგოლ იოანეს ძე ბაგრატიონ--მუხრანელმა (პოემა "გრიგოლიანი"), რაფიელ დანიბეგაშვილმა (დაიბეჭდა რუსულად 1815 წ.), გიორგი ავალიშვილმა და თეიმურაზ ბატონიშვილმა. სამოგზაურო თხზულებათა შინაარსს, უმთავრესად, რუსეთისა და ევროპის ცხოვრების ასახვა შეადგენს.

ქართული პროფესიული თეატრი და კლასიციტური დრამატურგია ბევრად უფრო ადრე შეიქმნა, ვიდრე გარდამავალი ხანის მწერლობა, მაგრამ რადგან დასახელებული პერიოდის ლიტერატურის ბევრი წარმომადგენელი (გ. ავალიშვილი, დ. ალექსიშვილი, დ. ჩოლოყაშვილი, დ. ბაგრატიონი) მაშინ იწყებს მოღვაწეობას, როცა ქართული დრამატურგია აღმოცენდა, ამიტომაც დრამატურგიას გარდამავალ ხანასთან ერთად განვიხილავთ.

დრამატურგია

მისტერიების ან კლასიციტური შინაარსის თეატრი, რომელიც ეროვნულ შემოქმედებას ემყარებოდა, საქართველოში აღმოცენდა XVIII საუკუნის 80-90-იან წლებში. დანამდვილებით ცნობილია, რომ 1795 წელს ადამაჰმად-ხანის წინააღმდეგ ბრძოლებში დაიღუპნენ ერეკლეს თეატრის მსახიობები: "უფროსი მსახიობთა", "მუსიკი და კომედიანტი მაჩაბელი", გაბრიელ მაიორი და ბევრი მათი თანამოსაგრე.

XVIII საუკუნისა და შემდგომი ხანის ქართული თეატრი და დრამატურგია ურთიერთობაშია რუსულ თეატრთან და დრამატურგიასთან. გაბრიელ მაიორი რუსეთში იღებს საარტილერიო და, შესაძლებელია, თეატრალურ განათლებასაც. რუსეთში სწავლამიღებულ ახალგაზრდობას საქართველოში გადმოქონდა იქაური ტრადიციები. გაიოზ რექტორმა გადმოიღო თეოფან პროკოპოვიჩის "რეგლამენტი", რომელიც მიღებული იყო თელავისა და თბილისის სემინარიებში.

როგორც ვიცით, გაიოზი და მისი გზის გამგრძელებელი დავით რექტორი ალექსიშვილი თელავის სემინარიაში აწყობდნენ მოსწავლეთა გამოსვლებს, დეკლამაციებს, დისპუტებს და, შესაძლებელია, სასკოლო წარმოდგენებსაც. კ. კეკელიძეს, ნიკო ბერძენოვსა (გარდ. 1874) და ზოგ სხვა ავტორზე დამყარებით, გამოთქმული აქვს მოსაზრება, რომ ერეკლეს დროს

ქართული თეატრი მისტერიული ხასიათისა იყო, რომ გაბრიელ მაიორს, რომელიც წარმოდგენებს მართავდა ერეკლეს დროს, სარეპერტუარო მასალად გამოუყენებია რელიგიური მისტერიები, ძველი აღთქმის სიუჟეტები.

მეორე მხრივ, ერეკლეს დროისა და გარდამავალი ხანის ქართულ დრამატურგიაში გვაქვს მძლავრი რეალისტური ნაკადი, რომელიც ეროვნულ სიუჟეტებს ემყარება. 1780-იან წლებში გიორგი ავალიშვილს დაუწერია პიესა “თეიმურაზ მეფე”, დავით ჩოლოყაშვილს გადმოუკეთებია რასინის “იფილენია ავლიდაში”, გოდერძი ფირალიშვილს შეუქმნია “ვეფხისტყაოსანი ტრადედიად”, ანუ “ინდოეთის ტახტის მემკვიდრე და სიყვარული სამშობლოსადმი”, ალექსანდრე ამილახვარს დაუწერია დიალოგი “მოქმედება ასტრახანში”. ზ. ჭიჭინაძის ცნობით, ერეკლეს დროს “წარმოდგენიათ დრამები” დიმიტრი ბაგრატიონისა და დავით ბატონიშვილისა.

ზოგი მისტერია ან სასულიერო დრამა ე. წ. “პილატეს აქტებზეა” აგებული, რომელთა შინაარსს შეადგენს ქრისტიანული ლეგენდა იესო ნაზარეტელის “გასამართლების” შესახებ.

გარდამავალ ხანაში ძეგლები ითარგმნებოდა როგორც რუსულიდან, ისე ფრანგულიდან. ფრანგულ წყაროებზე მიგვითითებს, მაგალითად, “პილატეს განჩინების ოქმი”, რომელიც ლათინურიდან ფრანგულად თარგმნილი ყოფილა “ღრაფ უტენშტეინის მიერ”, ხოლო რუსულად გადაუღია ვინმე სოკოლოვს. ქართული თარგმანი გადაუწერია (1843 წ.) ტარასი ალექსიშვილს.

გიორგი ივანეს ძე ავალიშვილი (1769 — 1850) ითვლება ქართული დრამატურგიის მამამთავრად და კლასიციზტური პიესების პირველ ქართველ ავტორგადმომღებად. ამ პატივს დიდხანს მიაწერდნენ გ. ერისთავს, რომელიც ახალი, XIX საუკუნის ქართული თეატრისა და დრამატურგიის აღმდგენად და ამდღორძინებლად უნდა მივიჩნიოთ.

გ. ავალიშვილი იყო მთარგმნელი, პოეტი და ბიბლიოფილი. ცნობილია მისი “მოგზაურობა”, რომელიც ჯერ გამოცემული არაა. როგორც მწერალ-მოგზაური იგი ბევრად მაღლა დგას ზოგიერთ წინამორბედ ქართველ “მოგზაურ-პილიგრიმზე”, რომლებიც უმთავრესად ე. წ. წმინდა ადგილების რელიკვიებით იყვნენ გატაცებული.

გიორგიმ თავისი დროისთვის კარგი განათლება მიიღო, მშობლიურ ენასთან ერთად იცოდა რუსული, სომხური და გერმანული ენები. იგი ადრე ჩაბმულა დიპლომატიურ საქმიანობაში და შემდეგ ბევრი რამ სანანებლადაც გაუხდა (იხ. “ხმა ცოდვილისა”). მთელი 40 წელი გ. ავალიშვილი იყო რუსეთის “ინოსტრანი კოლეგიის” (ანუ გარეშე საქმეთა სამინისტროს) თანამშრომელი. უკანასკნელად ითვლებოდა სახელმწიფო მრჩევლად.

1819 — 1820 წლებში გ. ავალიშვილმა იერუსალიმში იმოგზაურა. იქიდან დაბრუნების შემდეგ პეტერბურგში ცხოვრობდა.

1822 წ. ავალიშვილმა ცოლად შეირთო პოეტ დიმიტრი ბაგრატიონის ასული ელისაბედი, რომელსაც მამამისმა ლექსების მთელი ციკლი მიუძღვნა

(“ელისაბედიანი”).

გ. ავალიშვილი პოეტურ თარგმანებშიც იჩენდა ნიჭს. ზოგი ხელნაწერი მას მიაწერს კრილოვის არაკების უძველეს ქართულ თარგმანს.

გ. ავალიშვილი გარდაიცვალა 1850 წელს (81 წლისა), ხოლო ელისაბედი — 1863 წ.

გიორგი ავალიშვილის კალამს ჰკუთვნებია როგორც ორიგინალური, ისე ნათარგმნი პიესები. მისი პიესა “მეფე თეიმურაზი” სრული სახით ჯერჯერობით აღმოჩენილი არაა და მხოლოდ ფრაგმენტებადაა მოღწეული. იგი თეიმურაზ მეორისა და ერეკლე მეორის მეფობის დროის ამბებს ასახავს. მეფე თეიმურაზი საფლავიდან წამოდგება და ქართველებს დაეძმებს. ხედავს, რომ ქართველებს, რომელთაც ევროპაში უმოგზაურიათ, “იმათებური ტანისამოსი ჩაუცვამთ”. რაღაც სხვა მოდის ტანსაცმელს ატარებს ბრმა მირუაშვილიც. “ეს რაები ჩაგიცომსო”, — მიმართავს მას პატარა კახის მამა. თეიმურაზი იმედს ამყარებს მეფესა და ხალხზე. “შვილო ირაკლი, — წარმოათქმევინებს თეიმურაზს დრამატურგი, — შენი იმედი მაქვს, რომ ჩვენს საყვარელ ხალხს სიმართლით უპატრონებ და არ შეაჭმევ მგლებს”²⁶².

ძველად მიღებული იყო, რომ დრამატურგი წარმოდგენას წინ წაუძმძვარებდა თავის “სიტყვას” ლექსად. ეს იყო ერთგვარი პროლოგი. გ. ავალიშვილის პიესებსაც დართული ჰქონია ასეთი შესავალი, რომელიც არაერთხელაა გამოქვეყნებული. მწერალი აქ პირველმთქმელის როლში გამოდის და გვეუბნება, რომ მან შექმნა პიესები ზოგი ორიგინალური და “ზოგი სხვით გადმოწერითა”.

გიორგი ავალიშვილი, რომელიც ევროპულ-რუსული კლასიციისტური თეატრისა და დრამის პრინციპებზე იყო აღზრდილი, დრამატურგიასა და თეატრს მიზნად უსახავს ადამიანის ზნეობრივ განსპეტაკებას, ნაკლოვანებათა გამათრახებასა და მხილებას. მწერლობას სხვა აზრი არა აქვსო:

მერწმუნებით, არ მას ვუბნობ,
მქონდეს მეტი მისკენ ვრდომა:
მაგრამ მწადის განრიგება
კიცხვითა და ქვე-ქვე ძრომა.
ნუ იკადრებთ გაცხადებით
იქონიოთ ჩემზედ წყრომა,
დაიშაღეთ, თუ რომ სჯობდეს,
მლიქვნელობა, ქვე-ქვე ძრომა.

ერთი ცნობით, გ. ავალიშვილმა “თეიმურაზ მეფე” დაწერა 1790 წელს. უდავოა, რომ ეს პიესა შეთხზულია თეიმურაზ მეორის გარდაცვალების შემდეგ. ერეკლე მეორის ქართლ-კახეთში მეფობის ხანაში (1762 — 1798).

²⁶² პირველად გამოაქვეყნა ზ . ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე მ (დროება, 1879, № 237); მოკლე ისტორია ქართული თეატრისა, 1906, გვ. 8.

გიორგი ავალიშვილმა სახელი გაითქვა რუსული კლასიციზმის ერთ-ერთი მთავარი წარმომადგენლის ალექსანდრე პეტრეს ძე სუმაროკოვის (1718 — 1777) პიესების ქართული თარგმანით²⁶³.

მთლიანად ქართულად უთარგმნიათ სუმაროკოვის ხუთი პიესა. ერთ-ერთი ტრაგედია (“დიმიტრი თავისა თვისა მწოდებელი” — “ცრუ დიმიტრი”), რომელიც უცნობ ქართველ ავტორს გადმოუღია, ფრაგმენტის სახითაა მოღწეული. გ. ავალიშვილმა თარგმნა რუსი კომედიოგრაფის ოთხი პიესა. ესენია: “რქიანი მამაკაცი” (“რქის მატარებლის მიერ გამოსახვა კომედიისა”), “დედა რაყიფი ქალისა”, “საჩხუბარი” და დიალოგი-სატირა “მკვდართა უბნობა” ტრაგედია “სინავ და ტრუფორი” ქართულად გადმოთარგმნა “კოლეჟსკი რეგისტრატორმა” (რუსეთის გარეშე საქმეთა კოლეგიის რეგისტრატორმა) პეტრე ქებაძემ, რომელიც იონა გედევანიშვილს ახლდა რუსეთში. გ. ავალიშვილის შესრულებულ სუმაროკოვის პიესების ქართულ თარგმანს თარიღად უზის 1794 წელი. მაგრამ ესოდენ ზუსტსა და საერთოდ კარგ თარგმანს იგი ერთი წლის განმავლობაში ვერ შეასრულებდა. დასაშვებია, რომ გ. ავალიშვილმა სუმაროკოვის პიესები გადმოიღო 1790 — 1794 წლებში. სუმაროკოვის თარგმნილი სამი პიესის საერთო შინაარსი ისაა, რომ თავადაზნაურობა ყოფაცხოვრებაშიც განიცდის დაცემულობას და მისი გამოსწორებისთვის საჭიროა სატირული მხილება, “რათა განიწმინდოს ის”; “რქიანი მამაკაცის” ცოლს სხვები ეაშიკებიან, ქმარს კი მეუღლე ამაღლის — “უნდა გიხაროდეს, რომ შენს ნაკოცნს სხვები კოცნიან და შენი ცოლი სხვებს უყვარსო”. პიესაში “დედა რაყიფი ქალისა” გამოყვანილია დედ-მამა (კორნილი და მინადორა), რომელთაც ანგარების მიზნით ადრეულად უნდათ გაათხოვონ ერთადერთი ქალი ოლიმპია, მაგრამ ის საამისოდ “მზად არ არის”. ამიტომ დედა ელაციცება ოლიმპიას საქმროებს. აქედანაა მიღებული “დედა რაყიფი ქალისა”. “რაყიფი” მეტოქეს ნიშნავს. ზოგჯერ ვერ ერკვევით, დედაა გასათხოვარი თუ მისი ასული. “საჩხუბარის” საგანი ისევ და ისევ გათხოვებაა. ჩხუბისთავია ახალგაზრდა ქალი, რომელსაც გათხოვება უნდა, მაგრამ “მიზანს ვერ აღწევს” და შინაურებთან ჩხუბით იჯერებს გულს.

აღსანიშნავია, რომ გ. ავალიშვილის საშუალებით შემოვიდა ქართულ მწერლობაში მ. გ. ხერასკოვის ნაწერები, ვოლტერის რომანი (“ზადილი ანუ ბედი”), შოტლანდიური ხალხური სიმღერები და სხვ. ხერასკოვს, ლომონოსოვს, ტრედიაკოვსკის, პლატონ ლევშინს და სხვა რუს ავტორებს ქართველები კითხულობდნენ როგორც დედნებში, ისე თარგმანებში. გარდამავალ ხანაში ქართულად ნათარგმნი იყო ა. ს. ნიკოლსკის (1735 — 1834) პოეტიკის სახელმძღვანელო ქრესტომათია (“რუსული სიტყვიერების საფუძვლები”), რომელშიც შეტანილია რუსული და უცხოური პოეზიის ნიმუშები, დრამატურგიისა და ეპოსის რუსი და ევროპელი წარმომადგენლები. დამოწმებულია აქ სუმაროკოვისა (“ცრუ დიმიტრი”) და ბ. ი. ვილჰელმის

²⁶³ გამოცემულია ტ. რ უ ხ ა ძ ი ს მიერ: ძველი ქართული თეატრი და დრამატურგია, 1949.

პიესები (“ტრადედია ათეისტისა”). ეპოსის მაგალითად მოტანილია ხერასკოვის პოემები (“როსიადა”).

იოახიმ ვილჰელმ ბრავეს (1738 — 1758) “ათეისტის ტრადედია” ქართულად გადმოიღო მირიან ერეკლეს ძე ბატონიშვილმა (1776 — 1834). “ტრადედის” დედააზრი ისაა, რომ ახალგაზრდა, რომელსაც მხოლოდ საზოგადოებრივი აზრები იტაცებს და ოჯახს, მშობლებს უღალატებს, ურჯულოა და ბოლოს სინანულში ჩავარდება. “ტრადედია ათეისტისა” ითარგმნა (1805 წ.) რუსულიდან. რუსულიდან ითარგმნა აგრეთვე პიესა “ველისარიონი”, “იფიგენია ავლიდაში” და ევროპელ ავტორთა სხვა დრამატული ქმნილებანი. ვლადისლავ ოზეროვის (1770 — 1816) “ოიდიპოს ათინაში” ქართულად თარგმნა უცნობმა ავტორმა. ზოგ თარგმანში შეტანილია ქართული ელემენტი და დედნისეული მსოფლგაგება უკუგდებულია. დავით ჩოლოყაშვილის მიერ გადმოკეთებული “ტრადედია იფიგენია” ერთგვარად ქართულ სიუჟეტზეა გაწყობილი და ქრისტიანული სულისკვეთებით არის გაცხოველებული.

დავით ჯიმშერის ძე ჩოლოყაშვილი (1735 — 1810) იყო დრამატურგი, პოეტი და მთარგმნელი როგორც რუსულიდან ქართულად, ისე ქართულიდან რუსულად. ახლა ცნობილია მის მიერ შეთხზული “ივერიის მუზათა საბრძოლო სიმღერები”, რომლებიც რუსულად გადაუღიათ და გამოუციათ 1791 წელს. შესაძლებელია, ეს თარგმანი თვითონ დავით ჩოლოყაშვილს შეესრულებინოს. რამდენადაც ვიცით, მან ქართულიდან რუსულად გადაიღო ხელშეკრულება პავლე პირველსა და ერეკლე მეორეს შორის და ვახტანგ მეექვსის კანონები²⁶⁴.

დავითის მამა ჯიმშერი, სახლთუხუცესი, იმდენად ცნობილი მოღვაწე იყო თეიმურაზისა და ერეკლეს დროისა, რომ ჩოლოყაშვილები ჯიმშერიშვილებადაც კი იწოდებიან. ასე გაუთქვამს სახელი დავით ჯიმშერის ძესაც, მას თანამედროვენი ახასიათებენ, როგორც “ატიკურად” მწერალს. კარგად სცოდნია რუსული ენა. ავალეზდნენ ქართულიდან რუსულად თარგმნას, შეადგინა გიორგი XII-ის ბეჭდის ლეგენდა (“სიმდაბლით გარდამოსულსა”).

იოანე ბატონიშვილის ცნობით²⁶⁵, დავითი “უღვთო” კაცი იყო, იგი გაიტაცა მითოლოგიამ. დავით ჩოლოყაშვილს აქამდის ჩვენ ვიცნობდით როგორც მიხეილ ლომონოსოვის ლექსების ქართულად გადმომღებს, ტრაგედია “იფიგენიას” ქართულად გადმომკეთებელ-მთარგმნელს და ავტორს მცირე ზომის სატირული და ლირიკული ლექსებისა. გამოირკვა, რომ დავით ჯიმშერის ძეს ქართულად შეუქმნია “პეანები”, პოემა — ხოტბის ტიპისა. როგორც აღვნიშნეთ, იგი თარგმნილია და გამოცემული ყოფილა პეტერბურგს,

²⁶⁴ Акты, т. I, გვ. 446 – 447.

²⁶⁵ კალმასობა, I, 1936, გვ. 37, 98, 124.

1791 წელს: "Пеан иверских муз". ეს თხზულება პირველად მოიხსენია რუსმა სწავლულმა ნ. გუბერტმა, ხელახლა აღმოაჩინა, შეიძლება ითქვას, ეს ლექსი პროფ. პ. ბერკოვმა, თუმცა მას არ დაუსახელებია, სახელდობრ სად, ჩვენი ქვეყნის რომელ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში ნახა "პეანის" რუსული გამოცემა. "ივერიული საბრძოლო სიმღერების" ერთ-ერთი სტამბური ცალი აღმოჩნდა მოსკოვის ისტორიული ბიბლიოთეკის წიგნების ისტორიის განყოფილებაში, ჩაკერებულია ის კოსტროვის წიგნში "ეპისტოლა". გამოცემის გრიფი უცნობია.

"ივერიის მუზათა პეანების" რუსული გამოცემის სათაურიდან და შინაარსიდან ჩანს, რომ დავით ჩოლოყაშვილი "პეანებში" საბრძოლო სიმღერებს გულისხმობდა.

"ივერიის მუზათა საბრძოლო სიმღერები" ლექსად ყოფილა დაწერილი. რუსულად პროზითაა შესრულებული. მიძღვნილია ის უძლეველი რუსი მხედრობისადმი, რომელმაც, ავტორის სიტყვით, ქედი მოახრევინა "ოტომანის პორტას", დაამარცხა ოსმალები 1787 წელს. დ. ჩოლოყაშვილი ქება-დიდებათ იხსენიებს მამაც სუვოროვსა და გრიგოლ პოტიომკინს, რომლებმაც, პოეტის სიტყვით, მოლდავეთ-ბესარაბიიდან განდევნეს თურქები და თავი ისახელეს ოჩაკოვ-ბენდერის ბრძოლებში. "პეანში" ის აზრია გატარებული, რომ უნდა "შიშით კრთოდეს სტამბული", აღდგება მართლმორწმუნე ისტორიული კონსტანტინოპოლი.

დ. ჩოლოყაშვილი არ ყოფილა XVIII საუკუნის არც პირველი და არც უკანასკნელი ქართველი პოეტი, რომელმაც ქება-დიდება შეასხა საქართველოს ისტორიულ მტერ-დამპყრობელთა — თურქების დამმარცხებელ რუსეთის არმიას. XVIII საუკუნის გასულს თუ XIX ს. დამდეგს გაჩენილა ლექსები "სიტყვა შესხმით დავით ბატონიშვილის მიერ აგარეანთა დამარცხების გამო", "ძლევისათვის მტერთა ზედა ქრისტეს მოსახელისა მხედრობისა" (ეკუთვნის ბაგრატ გიორგის ძე ბატონიშვილს), "მშვიდობიანი ძლევისათვის მტერთა ზედა როსიულის მხედრობისა" (ავტორი იერონიმე ალექსიშვილი).

დავით ჯიმშერის ძე ჩოლოყაშვილი არ დარჩენილა რუსული პოეზიის ვალში. მან უახლოეს თანამედროვეებთან ერთად თარგმნა მიხეილ ლომონოსოვის ფილოსოფიური სახოტბო ლექსები, სახელდობრ, "საწინასწარმეტყველო წიგნი იობისა" (40, 41) და "145 ფსალმუნი ლექსად". ლომონოსოვის ლექსებს ქართველები, ისე როგორც რუსები, კითხულობდნენ ა. ნიკოლსკის წიგნში ("საფუძველნი რუსული სიტყვიერებისა" 1807 —1830 წწ. გამოც.). ამ ქრესტომათიის მეშვეობით ქართველებს უთარგმნიათ ლომონოსოვის რიგი ისტორიული დითირამბები. ეს ლექსები დიდად მოწონებული იყო თანამედროვეების მიერ (პროფ. დ. ბლაგოი).

გოდერძი ფირალიშვილი. შოთა რუსთველის "ვეფხისტყაოსანი" ტრაგედიად პირველად გოდერძი პავლეს ძე ფირალიშვილმა (1768 — 1823) გადააკეთა. პიესა ავტორს წარუდგენია (1808 წ.) რუსეთის განათლების სამინისტროში გამოსაცემად, მაგრამ იგი დაუწუნებიათ, რადგან გოდერძი

ფირალიშვილს ვერ დაუცავს კლასიციტური დრამის სამი კანონი (ადგილისა, დროისა და მოქმედების ერთიანობა). სამაგიეროდ გრაფ ვ. პ. ზავადოვსკის მოუწონებია გ. ფირალიშვილის ”თვითმასწავლებელი”, რომელიც დაიბეჭდა 1820 წელს. ამ წიგნში ჩართულია “ერეკლე მეორის” გლოვა თუმ-ფშავ-ხევსურთაგან”.

“ტიტულიარნი სოვეტნიკის” გ. ფირალიშვილის დრამა “ინდოეთის ტახტის მემკვიდრე ანუ სიყვარული სამშობლოსადმი”, რომელსაც ოქროპირ გიორგის ძე ბატონიშვილი (1795 — 1857) ტრაგედიას უწოდებს (იხ. მისი ვეფხისტყაოსანი ტრაგედიად, 1853 წ.), წარმოადგენს რუსთველის პოემის დრამატულ ინსცენირებას. ავტორს ბევრი რამ ახალი შეუტანია “ვეფხისტყაოსნის” სიუჟეტში. მოქმედება წარმოებს ინდოეთში, არაბეთში, იაპონიასა და ხორასანში. მოქმედი პირები არიან: ტარია — ინდოეთის ტახტის მემკვიდრე, ფარსადანი — მეფე ინდოეთისა, მეფე ხორასანისა და ა. შ. პიესა ფრაგმენტულადაა მოღწეული.

გოდერძი ფირალიშვილს მიეწერება ცნობილი ლექსი “გლოვა თუმ-ფშაველთ-ხევსურთაგან ერეკლე მეორისა”, რომელიც ასე იწყება:

აღსდგე გმირთ-გმირო, ნუ გძინავს,
მტერთა ისმიან ხმანია.
გრძლად ძილსა ჩვეულ როდის ხარ,
მოგვიხმე უნჯნი ყმანია.

გოდერძის ეკუთვნის მცირე ზომის ლექსებიც. თეიმურაზ ბატონიშვილის (1782 — 1846) კატალოგში მოხსენებულია გ. ფირალიშვილის მიერ რუსულიდან თარგმნილი ათამდე ნაწარმოები.

გარდამავალ ხანაში ქართულად ითარგმნა ან დაიწერა პიესები “ტრალედია ალათოკლე” (ვოლტერისა), “ალზირა ანუ ამერიკელნი” (ვოლტერი), “ზაირა” (ვოლტერი), “ერეკლე იმპერატორი აღმოსავლეთისა” (პ. კორნელისა), “მოქმედება ასტრახანში” და “სამსახეობა რაინდისა”. “ტრალედია ალათოკლე”, როგორც გამორკვეულია, ფრანგული დედნიდან გადმოთარგმნა თეიმურაზ ბატონიშვილმა. ალათოკლე უბრალო მეჭურჭლის შვილი იყო. ის მამას ეხმარებოდა თიხის ზელაში. როცა სრულწლოვანი გახდა, ბერძნულმა დემოკრატამ “მეფედ აირჩია”. ალათოკლეს მისაღებ ოთახში თიხის ჭურჭლები ედო, “მეჭურჭლის შვილი რომ ვიყავ, არ დამავიწყდესო”.

დილოგი “მოქმედება ასტრახანში” შეთხზა ალექსანდრე დიმიტრის ძე ამილახვარმა (1750 — 1802). ალ. ამილახვარს, ამასთან ერთად, შეუთხზავს “ზრძენი აღმოსავლეთისა”²⁶⁶. “გეორგიანული ისტორია ანუ მოთხრობა ახალგაზრდა ამილახვარზე” (1778, პეტერბურგი, ქართულად გადმოთარგმნილია გერონტი ქიქოძის მიერ). ყველა ამ ნაწარმოებს აქვს ერთი

²⁶⁶ გამოცემულია ე. თაყაიშვილის მიერ. ”მოამბე”, 1902, № 2.

აზრი: დაამციროს ერეკლე მეორის მოღვაწეობა. ალ. ამილახვარი ერეკლე მეორის წინააღმდეგ შეთქმულთა ჯგუფის აქტიური წევრი იყო. შეთქმულები ერეკლემ სასტიკად დასაჯა, მათ შორის ალ. ამილახვარიც. ავტორს არ დაუზოგავს თვით ეკატერინე მეორე და მისი სამხედრო მოხელე. ჩამორჩენილ რუს ოფიცერს არაფერი არ გაეგება პოლიტიკისა და, როცა მას თხზულების ერთ-ერთი მოქმედი პირი “ამირახორი” პოლიტიკაზე ჩამოუგდებს ლაპარაკს, ჰგონია, რომ “პოლიტიკა კაცია”, სულიერი არსებაა.

ქვემოთ განვიხილავთ ლირიკული ჟანრის წარმომადგენელ მწერალთა შემოქმედებას.

დავით ალექსიშვილი. XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის დამდეგს ალექსიშვილებმა მწერლობისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგში გაითქვეს სახელი. დავით რექტორის, — ალექსიშვილის, — პაპა გრიგოლ მესხიშვილი ცნობილი მხატვარი იყო. გრიგოლის ძე ალექსი, რომლიდანაც მოდის ალექსიშვილების გვარი, მოღვაწეობდა ერეკლე მეორის დროს... ალექსი გრიგოლის ძე მესხიშვილის დამსახურების გამო ერეკლემ ამ გვარს მიუბოძა ალექსიშვილობა. ამის შემდეგ მესხიშვილები ალექსიშვილებად იწოდებიან. დავით ალექსის ძე ალექსიშვილი-მესხიშვილი, რომელიც ახლა ალექსიშვილად მოიხსენიება, იყო კახეთიდან (სოფ. კისისხევიდან). დავითის ძმებმაც მწერლობითა და საზოგადო მოღვაწეობით გაითქვეს სახელი.

დავითი დაიბადა 1749 წ. სწავლობდა თელავში. არის საბუთები, რომ მან სწავლა განაგრძო მოსკოვის სლავურ-ბერძნულ-ლათინურ აკადემიაში. 1790 წ. დავითი გახდა თელავის სემინარიის რექტორი, განაგებდა 1801 წლამდის. ამ წლიდან თბილისსა და თავის მშობლიურ სოფელში ცხოვრობდა, თავს მწერლობით ირთობდა. უკანასკნელი წლები დავითმა სიღარიბეში გაატარა. როგორც გამოჩენილი კალიგრაფი თავს ხელნაწერების გადაწერა-გადანუსხვით ირჩენდა.

დავით რექტორმა დაგვიტოვა დიდი პოეტური მემკვიდრეობა. მუშაობდა ლექსიკოლოგიაში, გადაწერა და შეავსო სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონი. დავითს ეკუთვნის ნათარგმნი თხზულებანიც.

დავით რექტორის სახობო ლექსები მიძღვნილია უმთავრესად ბატონიშვილებისადმი, მეფეების — ერეკლესა და გიორგისადმი, დოსითეოზ ჩერქეზიშვილისადმი. ცალკე აღსანიშნავია “ქება თამარ მეფისა”. ამ უკანასკნელში, რომელიც 30 იამბიკურ სტროფს შეიცავს, დავითი გვარწმუნებს, რომ თამარ დედოფალი ზეგარდმო ნიჭით იყო ცხებული, მისი ამ ქვეყნად მოვლინება ისტორიული აუცილებლობა იყო:

ივერიელთა მიერ ჟამით სახსენად
იციან ყოველთა და შენით მოქადულან.

ბატონიშვილისადმი მიძღვნილია “ირაკლი მეორის ხუთ იროიკოდ და კიდურწერილობითი ქება” (“ქება ლეონ ბატონიშვილისა”). ეს ლექსი პოემის

სახითაა დაწერილი და შეიძლება ასე დავყოთ: 1. მეფის ძის ლეონის შობა, 2. აღზრდა, 3. რაინდული თვისებები, 4. მამისადმი თავის დადება, 5. რუსეთის კარზე გამგზავრება, 6. ქორწინება, 7. გარდაცვალება და გლოვა.

დავით რექტორი თელავის სემინარიაში ასწავლიდა ლექსების წერასა და დეკლამაციას²⁶⁷.

ელიზბარ ერისთავი. იმ პირთა შორის, რომელთაც ადრევე გამოხატეს რომანტიკული განწყობილებანი, უნდა დავასახელოთ ელიზბარ გიორგის ძე ერისთავი. ლიტერატურის ისტორია იცნობს მის ორ “მუსტაზადს ანუ მუხამბაზს”: “ვაი ეს დრონი”. და “ვემონე მასა”.

ელიზბარ ერისთავი დაიბადა 1738 წ. გარდაიცვალა 1813 წ. იგი ეკუთვნოდა ერეკლე მეორის მოწინააღმდეგეთა პარტიას. ქართლიდან გაძევებულს იმერეთის მეფის სოლომონ I კარზე უპოვია თავშესაფარი. ელიზბარს ცოლად შეურთავს სოლომონის ასული მარიამი. 1801 წლის პოლიტიკურ აქტს ელიზბარი დადებითად შეხვდა, მაგრამ უფლებდაკარგულ ერისმთავარს სულიერი განწყობილებანი მაინც ძველი შერჩა და აღ. ჭავჭავაძის ერთ-ერთი წინამორბედი გახდა (“ვაჰ, დრონი, დრონი”). იყო დრო, როცა ბესარიონ გაბაშვილისა და ელიზბარ ერისთავის ლექსები ერთმანეთში ერეოდათ. ეს ელიზბარ ერისთავის დიდ პოეტურ ნიჭზედაც მიუთითებს. ახლა დადგენილია ელიზბარ ერისთავის ლექსების ავთენტურობა (აღ. ბარამიძე, ტ. რუხაძე). ელიზბარ ერისთავის პოეტური პათოსი გამოხატულია ზემოთ დასახელებულ მის ორ ლექსში: (“ვაი ეს დრონი” და “ვემონე მასა”). პოეტის რომანტიკულ განწყობილებებს გვანიშნებს “ვაი ეს დრონის” პირველი სტრიქონები:

ვაი ეს დრონი, სავედრონი მომცემს წყენასა,
ვინ უძლოს ჭირსა ჩემთა თქმასა, ანუ სმენასა;
ვსთქვა, მსმენელთაცა სულ მიუღებს მათსა ლხენასა.
თქმა აღარ ძალუმს უნუგემოდ მაშვრალს ენასა.
ვუძღვენ სიცოცხლე საუკუნოდ შუქთ მოფენასა.
ვჰგმე იგი ჟამნი დრკუ და ავნი, გასამწარენი.

პოეტმა ორმაგად განიცადა “ძველი პრივილეგიებისა და ძლიერების დაკარგვა”. ერეკლეს დროს მას ფაქტიურად წაართვეს ერისთაობის უფლება; ამას მოჰყვა ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოების რუსეთთან შეერთება. ჩანს, “ვაი ეს დრონი, სავედრონი” 1800-იანი წლების გარკვეული წრეების პოლიტიკური განწყობილების ამსახველია.

დიმიტრი თუმანიშვილი. თუმანიშვილები მდივნობით იყვნენ

²⁶⁷ ტ. რუხაძე, ძველი ქართული ლირიკის ისტორიიდან, 1954, გვ. 13 – 86.

ცნობილი, ხოლო მდივნებს ლექსების წერაც ევალებოდა. ერეკლეს დროის მდივნები იყვნენ: იოსებ, დიმიტრი, გიორგი, დავით და ავთანდილ თუმანიშვილები, მათ პოეზიაშიც ისახელეს თავი. დიმიტრი თუმანიშვილს ბედმა არგუნა პუშკინის ქებაც დაემსახურებინა. პუშკინი თავის თხზულებაში “მოგზაურობა არზრუმში” წერს: “ქართული სიმღერის ხმა სასიამოვნოა; ერთ-ერთი სიმღერა სიტყვა-სიტყვით გადმომითარგმნეს; მასში რაღაც აღმოსავლური ფანტაზიაა, რომელსაც თავისი პოეტური ღირსება აქვს”. დიმიტრი თუმანიშვილი 1821 წ. გარდაიცვალა და, მაშასადამე, ის ვერ მოესწრო პირადად გაცნობოდა ახალი რუსული მხატვრული ლიტერატურის დიდებას.

ფართო გავრცელება ჰპოვა დიმიტრი თუმანიშვილის ამ ლექსმა:

ახალ აღნაგო სულს და,
ედში აღმოსულო და,
ჩემს ეტლზე დანერგულო და:
სიცოცხლეს შენგან მოველი
უკვდავება ხარ ცხოველი...

პოეტის ტრფობის საგანი “ორი კვირისა მთვარეა”, “ანგელოზთ მიწყვი მდარეა”, “ბუნების ხატია შემკული”. საერთოდ, დიმიტრი თუმანიშვილის პოეზიაში ამჩნევენ ბესიკური პოეზიის მძლავრ ნაკადს. დიმიტრის ლექსების ჩვეულებრივი სახეებია: “ტანი ტატანი”, “მელნის ტბა”, “გიშრის ტევრი”, “ბაგე ბადახში” და მისთანანი.

ახალგაზრდა დიმიტრი თუმანიშვილი მოესწრო ბესიკ გაბაშვილს და ასეთი მიძღვნა დაუწერა:

სამყარომდე ამქუხარებ შენის შტილის მაღალ თქმასა,
ზოგჯერ გვასმენ ლექსსა აზრით, ზოგჯერ ოდენ გვაბგერ ხმასა,
წარსულ ჟამს ჰკვებ სიქადულით, ამით ოდენ არ გვყოფ კმასა...

დიმიტრი თუმანიშვილის “ახალ აღნაგოს” მიმდევრები გამოუჩნდნენ თანამედროვეთა შორის. ერთ-ერთი მისი მიმბაძველი იყო გიორგი, ეგნატე მდივნის ძე, თუმანიშვილი.

გარდამავალ ხანაში ნაყოფიერად მოღვაწეობდნენ აშულები შამჩი მელქო, ღვთისწყალობა ბებუდაშვილი, სტეფანე ფერშანგიშვილი, ქეშიშ დარდიმანდი, პოეტები ზაალ და ბარამ ბარათაშვილები. აღსანიშნავია შამჩი მელქოს ცნობილი მრჩობლედი:

მუხამბაზო, უცხო, ტკბილი ხმა ხარო,
შამჩი მელქო, ფარნავაზის ყმა ხარო!

შამჩი მელქომ ლექსები მიუძღვნა ფარნაოზ და ვახტანგ ბატონიშვილებს. გრიგოლ ორბელიანმა თავის მუხამბაზს ეპიგრაფად წარუმიძღვარა შამჩი

მელქოს ლექსი: “მუხამბაზო, რა ტკბილი რამ ხმა ხარო”.

პეტრე ლარაძე. პეტრე ლარაძემ დიდი სამწერლო მემკვიდრეობა დაგვიტოვა. ლარაძის წინაპრები სამეგრელოდან იყვნენ. დასახლებულან სოფელ დიდსა და პატარა ეგრისში, ქართლში. ერთი ცნობით, პეტრე ლარაძე ყოფილა თბილისის სამეფო ბიბლიოთეკის გამგე (სხვა ცნობით მას განაგებდა დავით რექტორი). ის დაბადებულია დაახლოებით XVIII საუკუნის 70-იან წლებში.

პ. ლარაძეს ძალიან ახლო ურთიერთობა ჰქონდა და ლექსით მიწერმოწერას აწარმოებდა თეიმურაზ, იოანე, დავით, თეკლე, მიხეილ, გრიგოლ, დიმიტრი, ოქროპირ ბატონიშვილებთან, ალ. ჭავჭავაძესთან და სხვებთან. 1803 — 1810 წლებში სპარსეთში ახლდა თეიმურაზ ბატონიშვილს.

1810 წლის შემდეგ პ. ლარაძე პეტერბურგში ცხოვრობდა და ლექსებით აქებდა თუ ჰკიცხავდა იქ მოღვაწე ქართველებს. მის ლექსში გაკიცხულია ზაზა ანდრონიკაშვილი, რომელიც, თურმე, პეტერბურგში ქართველების სახელს არცხვენდა.

პეტრე ლარაძე თითქოს უშუალო მოწმე იყო იმ ბრძოლებისა, რომლებიც მოსკოვის გარშემო გაიმართა კუტუზოვ-ბაგრატიონისა ნაპოლეონის ჯარებს შორის. მას დაუწერია ლექსი მოსკოვის გადაწვის გამო. პოეტი მოთქვამს:

ვაი, მოსკოვსა წვათ მდებარესა,
შვიდას წელს ტრფობით ნაგებარესა.

1820-იან წლებში პ. ლარაძეს საქართველოში ვხედავთ. 1819 წ. იგი აცილებს აღმოსავლეთში სამოგზაუროდ მიმავალ გიორგი ავალიშვილს. პ. ლარაძე გარდაიცვალა 1837 წელს.

ახალი ქართული ლიტერატურის დამწყები ალ. ჭავჭავაძე პ. ლარაძეზე წერდა:

თქვენცა იცნობთ პეტრე ყარიბს,
ძველნი კვალნი არ უგმიან;
ლექსნი მისნი ტყუილნიცა
სხვათა მართალთ ემჯობიან.

პეტრე ლარაძე, რომელიც “ყარიბთან” ერთად სხვა ფსევდონიმებითაც არის ცნობილი (“ეგრისელი”, “არტანუჯელი”), უარყოფს ამ შეფასებას: “ტყუილის მოქმედებას” ამაოდ სწამებთ ძველ მწერლობასო.

ლექსების კრებულში, რომელსაც პ. ლარაძემ “მრავალფერყვავილოვანი” უწოდა, იგი ზოგადად ჩამოთვლის მის ქმნილებებს:

ერთ წიგნად დილარიანი შევთხზე-ყე ტკბილუბნობითა,

ერთ წიგნად სახე-მგოსანი შაირითა ვყავ მჯობითა...
ამა წიგნსა სძეს სახელად მრავალფერყვაილოვანი,
მით, რომე სხენან სხვადასხვა ჰამბავნი სახელოვანნი.

“ჰამბავნი სახელოვანნი” უნდა იყოს ის საისტორიო პოემა, რომელსაც კ. კეკელიძემ “დავითიან-ბაგრატიონთა მატიაწე” უწოდა. სხვები (ექვთ. თაყაიშვილი, დ. ღამბაშიძე) “საქართველოს ძველი დროის თავგადასავალს” ან “გალექსილ ქართლის ცხოვრებას” ეძახიან (მ. ჯანაშვილი). ნაწარმოები ორი რედაქციითაა ცნობილი. ორივეში ამბები იწყება ბაგრატიონთა გვარის გამეფებით (IX ს.), ხოლო სრულდება სხვადასხვანაირად: პირველში ამბავი თავდება თამარის გამეფებით, მეორეში — გიორგი ბრწყინვალით.

პეტრე ლარაძემ კვალი გაავლო საგმირო რომანტიკულ ეპოსშიც. ამის საბუთია მისი “დილარიანი” და “სახე-მგოსანი”. “დილარიანი” კლასიკური ხანის ძეგლი ყოფილა, მაგრამ ჟამთა სვლაში დაკარგულა. ერეკლე მეფის დროს თითქოს უცდიათ მისი აღდგენა. ეს საქმე უკისრია პ. ლარაძეს. შესაძლებელია, მან გამოიყენა გადმოცემები “დილარიანის” შესახებ. ნაწარმოების შინაარსობლივი ქარგა ზღაპრულია.

აბაშეთის მეფე დილარი გაიცნობს “მყინვართა მეფის შვილს” ნუმრევანს და დაეხმარება, რათა გამოიხსნას საცოლე — ბრიტანიის მეფის ასული გულნაზი. ძმადნაფიცები დაამარცხებენ უამრავ ბოროტ ძალებს და გამარჯვებული დაბრუნდებიან მყინვართა მეფის სამფლობელოში. აქ დიდ ქორწილს გამართავენ. ამას მოჰყვება დილარის ბედნიერებაც, ის თავის მხრივ მიემგზავრება “მზის ქალაქის ასულის ანუსიას ხელის სამეზნელად”. გამოიხსნის მას და ცოლად შეირთავს. ისინი დაიდგამენ უკვდავების ძეგლს, რომელსაც შემდეგი წარწერა აქვს: “ადიდეთ, ადიდეთ დილარმძლეველი ხელმწიფე ანუსია”²⁶⁸.

პეტრე ლარაძის პოემა “სახე-მგოსანი” ბოლო დრომდის დაკარგულად ითვლებოდა, იგი იპოვა და 1947 წელს გამოაქვეყნა ილია აბულაძემ. მისი შინაარსი გვაგონებს “ალექსანდრიანს”, “ვეფხისტყაოსანს” და ქართულში შემოსულ ზოგ სხვა თხზულებას (“არტაქსერსი”, “ესთერი”).

“სახე-მგოსანი” პოემაში ეწოდება იმ ჩანგს, რომელზედაც ესთერია გამოხატული და რომელიც არტაქსერმა მიიღო მისი სატრფოს გამზრდელის ბეფარის ხელით; გმირი ამბობს: ჩანგზე დახატული იყო ჩემი მწველის სახე. როგორც კი მოვმართავდი, იქიდან გამოხტებოდა ბულბული, რომელიც ხან მწუხარე და ხან მხიარულ ხმაზე ჭიკჭიკებდაო:

რა გითხრა სახე-მგოსნისა,
მის ნატიფისა ქმნულისა...
მე ვსცემდი სახე-მგოსანსა,

²⁶⁸ ”დილარიანი” გამოცემულია 1897 წ. ზაქარია გულისაშვილის წინასიტყვაობით.

ჩიტი თამამად მზეობდა...

სახე-მგოსანი” პ. ლარაძეს დაუწერია ერეკლესა თუ გიორგი XII-ის მეფობაში. ეს წიგნი მეფესაც გაუცვნია და ფრიად მოსწონებია:

ვინცა იხილა მეფითურთ,
აქებდა, ვერა ნასობდაო.

დავით ბატონიშვილი. დავით გიორგის ძე ბატონიშვილი (1767 — 1819) პირველი წარმომადგენელია ქართველ ვოლტერიანთა თაობისა. რუსულმა განათლებამ და ევროპელმა მასწავლებლებმა (გერმანელი იაკობ რეინეგსი და ავსტრიელი გეტინგი) დავით ბატონიშვილს ჩაუნერგეს სიყვარული ფრანგული განმანათლებლობის გამოჩენილი წარმომადგენლის ვოლტერისადმი და საფრანგეთის დიდი რევოლუციისადმი. დავითი აქებდა როგორც 1789 წ. რევოლუციას, ისე ნაპოლეონ ბონაპარტეს. დავითი თარგმნიდა ქართულად განმანათლებელთა, კერძოდ, ვოლტერის ნაწერებს. მაგრამ იგი, რასაკვირველია, ვერ გასცილდა ზოგად განმანათლებლური მოძღვრების ფარგლებს. მეფე გიორგის ძლიერ აღელვებდა მისი მემკვიდრის ბედი: “ვოლტერი! მეგობარი ჩემის შვილისა დავითისა, ჩემის მემკვიდრისა. ვაი შენს გიორგის! რუსეთში მყოფმან ჩემმან შვილმან შეისწავლა მისი უსჯულო სწავლა. მოიტანა აქა მისი სახე, რომელიცა სამართლიანად დავსწვი ცეცხლსა”.

დავით ბატონიშვილი 1767 წ. დაიბადა. უცხოელებთან ერთად მისი მასწავლებელი იყო დავით რექტორი — ალექსიშვილი. პოლიტიკურ მოღვაწეობაში ჩაება 1787 წლიდან. 1789 — 1790 წწ. იბრძოდა ლეკებისა და თურქების წინააღმდეგ. 1795 წელს, როცა თბილისს ალა-მაჰმად-ხანის ურდოები მოადგნენ, დავითი იცავდა კოჯრის მხარეს. 1801 წ. დავითი რუსეთში გადაასახლეს, მისცეს გენერალ-ლეიტენანტისა და სენატორის წოდება, ცხოვრობდა სახელმწიფო ხარჯზე. მაგრამ გულისტკივილით მოიგონებდა საქმეთა წარსულთა, პატივისა დაკარგვისა სიმწარესა” (პლ. იოსელიანი). დავითი საქართველოში აღარ დაბრუნებულა.

დავით ბატონიშვილი გარდაიცვალა 1819 წ. 13 (25) მაისს პეტერბურგს, იქაურმა გაზეთმა მის გარდაცვალებას ნეკროლოგი მიუძღვნა (“Смерть Вольтерианца”).

დავით ბატონიშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობა მრავალ დარგსა და ჟანრს მოიცავს. ჯერ კიდევ 1790 წ. დავითმა შეადგინა საგრამატიკო ნაშრომი, თარგმნა ვოლტერიანული თხზულება, დაწერა რამდენიმე საინტერესო შრომა (“ნარკვევი” “საქართველოს მოკლე ისტორია”, “ახალი ისტორია”), რომლებიც გამოცემულია როგორც ქართულად, ისე რუსულად.

დავითმა თარგმნა აგრეთვე მონტესკიეს საგანმანათლებლო-იურიდიული ნაშრომი “გულისხმისყოფისათვის სჯულთასა” (“კანონების არსი”). მონტესკიე ფიქრობდა, რომ სოციალური გარდაქმნებისთვის

საკმარისია “კარგი კანონები” რომლებიც ამოკრებილი უნდა იქნეს სხვადასხვა ქვეყნის ასევე “კარგი კანონებისაგან”. ამის თაობაზე ქართველი მთარგმნელი ფრანგ განმანათლებელს კიდეც ეკამათება. “უფალმა მონტესკუმ არ იცის” რა ტვირთი აწევს გლეხებს ამ კანონებითო. იმის მაგალითად, რომ ერთი ქვეყნის კანონი არ შეიძლება გავრცელდეს მეორე ქვეყანაში, რაც გამოიწვევს მოსახლეობის გადაგვარებასო, მონტესკიეს მოჰყავს თათრულ-ოსმალური კანონები, რომლებიც ძალად მოახვიეს თავს დასავლეთ საქართველოს ან კოლხიდასო.

ხელოვნების “უპირატესი თეორიის” მაგალითს დავითი ხედავს ანსილონის “ესტეტიკებრ განსჯანში”, რომელიც გადმოიღო ქართულად. თავის თითოეულ თარგმანს დავითი ურთავს საჭირო კომენტარებს.

ფრანგი განმანათლებელი ავტორების ხერხს ე. წ. ლიტერატურული მისტიფიკაციის მეთოდს იყენებს დავითი მცირე ზომის რომანში “ახალი შიხი”; “ახალი შიხი” მიწერ-მოწერის ფორმითაა შედგენილი. იგი რუსულად გამოქვეყნდა 1804 წ. შიხი სანაინი, რომელიც მოგონილი სახელია, სპარსეთიდან საქართველოში მოვიდა და შეიყვარა გლეხი გოგონა ფერია. მათ შორის გაიმართება მიწერ-მოწერა, რომელშიაც გამოსჭვივის “ბუნებითი სჯული”. ე. ი. მონტესკიეს, ვოლტერისა და რუსოს დეისტური რელიგია. დეისტების თანახმად, მორალი ბუნების სწორ შემეცნებაზე უნდა იყოს დამყარებული. ტერმინი “ბუნებითი სჯული” დავითმა შემოიტანა ქართულ მწერლობაში, “სადაც არ არის ცნობა ბუნებითის სჯულისა, მუნ არა აქვს ადგილი სინდისსაო”.

განმანათლებლებმა მოგვცეს ფეოდალიზმის წინააღმდეგ მიმართული სატირის პირველი მაგალითები. ისინი იყენებდნენ ალეგორიისა და შენიღბვის ხერხებს. ალეგორიულია, მაგალითად, დავით ბატონიშვილის სატირული ლექსი “ეს პატრისგან მოგვევლინას ხმაზე”. დავითის დროს ქართულ სატირას საკმაო ტრადიციები ჰქონდა (არჩილი, საბა ორბელიანი, ბესიკი, ჭაბუა ორბელიანი), მაგრამ დავითმა გააფართოვა მისი შინაარსი.

დავით ბატონიშვილი წერდა სატირულ, ელეგიურსა და სატრფიალო ლექსებს.

სატირას განეკუთვნება მისი ოთხი ლექსი: “ლომნი კატურად გარბიან”, “სატირა ქართველებზე”, “რა იქნება, ჩვენ ვიყვნეთ სენატორი” და “ეშიკაღას მოზრმანდება ჩანითა”. პირველი ლექსი გამოუწვევია ფარნაოზ და იულონ ბატონიშვილების იმერეთში გაქცევას (1801).

მეორე ლექსში (“თქმული საქართველოს მეფის მის დავითისაგან ქართველებზე მუხამბაზი”, ან, უფრო სწორად, “სატირა ქართველებზე”) გაკიცხულია ჩვენი და რუსი მოხელენი, რომელთაც “უმტკივნეულოდ” შეამზადეს საქართველოს გამოცხადება მეფის რუსეთის გუბერნიად. ასეთები ყოფილან: მირმანოზ თუმანიშვილი, ეგნატი მდივანი თუმანიშვილი, ორბელოვი, ონისიმე იოსელიანი, დარჩია მელიქიშვილი, გოგია ციციშვილი, თამაზ ორბელიანი, სოლომონ თარხნიშვილი, სულხან თუმანიშვილი, იოსებ

მუშრიბი მელიქიშვილი, თათულა ექიმი მაყაშვილი, ღვთისწყალობა ბებუთაშვილი, ალავერდა და ალაჯანა მესაზანდრენი...

როცა ბაგრატიონები ჩამოვიდნენ ისტორიის სცენიდან და საქართველოში რუსის ჩინოვნიკები გაბატონდნენ, მათ ბევრი დასცინოდა და ამასხრებდა.

ალავერდა საკაცისა გამთლელი,
თბილელი შილა-ფლავის მხარშველი,
არლუთოვი საფლავს ადებს ტალახსა...
ონისიმე ანდერძს უგებს კმევითა,
მელიქი გარს უვლის წელის რხევითა,
პოტემკინი დიდის ხმითა მყვირალი,
მირმანოზ-ბეგ შავი კუბოს მზირალი,
სულხან აქებს თავის გრძელის წვერითა,
იოსებ მუშრიბი თემით ერითა.

შესაძლებელია, პოეტმა აქ გამოხატა გიორგი XII-ის სიკვდილისა და დასაფლავების ამბები. ყველა ფაციფუცობდა მაშინ, ყველა თავს დამართ სცემდა. ზოგი თითქოს ვალს იხდიდა, და ზოგი კიდევ ქვეშ-ქვეშ იცინოდა.

დავითი ასე ასრულებს სატირას:

გთხოვთ, იმღერდეთ ამ სიმღერას ბანზედა,
მთაწმინდაზე გვერდის ბანის ბანზედა,
არაგვზედა, ლიახვზედა, ქსანზედა,
სეიდაბადს, კრწანისს, ორთაჭალასა;
ქართველები მადლს აძლევენ ალასა,
რომ გადურჩენ იმა ფოკა მტარვალსა.

ამავე შინაარსისაა დავით ბატონიშვილის სატირული ლექსი “რა იქნება, ჩვენც ვიყვნეთ სენატორი”. ამ ლექსში გამოხატულია საქართველოს მეფის ხელისუფლების გამოცვლა და ახალი ბიუროკრატიული წყობილების შექმნა, დაბერა ახალმა სიომ:

ეს ქვეყანა, ჰგავს, რომ გამოიცვალა,
ქცევა-ყოფა სრულიად შეიცვალა,
შემთხვევანი სხვარიგ, სხვაფერ იცვალა,
ჰგავს ტრიალებს, არ არის ესე ჭორი,
რა იქნება, ჩვენც ვიყვნეთ სენატორი,
სტუპკა ბეჟან თუ არის ორატორი.

ზოგი ქართველი შეეგუა ვითარებას; იცვამენ ახალ მოდაზე, “ქოჩორზე იცხებენ პომადას, უგიათ მასნათი”, ერთი სიტყვით, ყოველივე ახალია —

რუსულ-ევროპული; ასეთია, მაგალითად, “კნიაზ ჩიქოვანი”. იგი

დასეირნობს სერთუკით და ჟაბოთი,
ბაკენბარდი ყბას მოუკრავს წებოთი,
დარჩია შესცქერის მელიქ აბოთი...

ლექსში “ემიკადას მობრძანდება ჩანითა” გაკიცხულია ქართველი მსახურეული არისტოკრატია, რომელსაც სამშობლო ავიწყდება და ახალ პირობებს ადვილად ეგუება.

დავით ბატონიშვილის პოეზიის მეორე მოტივი სოფლისადმი მდურვაა. რუსეთში გადახვეწილი პოეტი თავისებურად წყვეტდა სოფლისადმი მდურვის პრობლემას. რაც უნდა კარგ პირობებში ჩაეყენებინა მეფის მთავრობას ტახტიმხდილი ბატონიშვილი, იგი მაინც, პოეტისვე სიტყვებით რომ ვთქვათ, “დაუდგრომელი იქნებოდა”.

მის სევდა-ჰმუნვას და სოფლისადმი მდურვას იწვევდა, პირველ ყოვლისა, სამშობლო ქვეყნის მიტოვება:

რად ამ უბედურსა ხვედრსა შევესწარ,
ოდეს ოხრად დამრჩა ჩემს მტილს იანი,
ვერ განვიშვ გლახ ქმნილმან მათის ჭკრეტითა,
ეზავების ყოველს ყვავილს იანი.
 (“რად ამ უბედურს”)

პეტრე ლარამისადმი მიწერილ პასუხში ზოგად ფილოსოფიური მიზეზით ხსნის თავის სევდა-ჰმუნვას:

სოფელმან მიმცა უბედობას განსაბმარველად,
წარსატყვევენელად, იავარად აღმოსაფხვრელად,
ჰამოვნების, მყუდროების მძლედ დასახსნელად,
მოყვასთ ხელთ მისცნა ქვანი ჩემზედ დასაკრებელად.
 (“პეტრე ლარამეს”).

ეს მოტივი გამოსჭვივის ბატონიშვილის სხვა ლექსებშიც: “თეჯლისი, რა მთოვარე დამესხა”, “რა შევიქენ სოფლისაგან, ესრეთ მწარედ განაწირი — დუბებითი” და “გამიფრინდა სიხარულის ფრინველი”.

დავითის სატრფიალო ლექსებია: “ესე ხელხება მომენება”, “გულს ასხივე შენი დისკო”, “თეჯლისი — რა მთოვარე დამესხა თვალწინ”... ამ ლექსში დავითი, ისე, როგორც ბესიკი, თავის თავს ეძახის “ყარიბს”, “სატრფოსათვის ხელს”, “დამჭკნარს”, ხოლო სატრფოს უწოდებს: “მთვარეს”, “პლანეტას”. “მზეს”... განთქმულია დავით ბატონიშვილის ლექსი:

გამიფრინდა სიხარულის ფრინველი

შემთხვევისა გამო სხვისა და სხვისა.

თეიმურაზ ბატონიშვილი. თეიმურაზ გიორგის ძე (1782 — 1846) იყო ისტორიკოსი, რუსთველოლოგი, პოეტი და მთარგმნელი. მან დააყენა საკითხი თბილისში გაეხსნათ ლიცეუმი — უცხოური ენების უმაღლესი სკოლა. 1836 წელს ის ჩეხიაში ჩავიდა სამკურნალოდ და დაგვიტოვა წიგნი "მოგზაურობა ევროპაში". 1800-იანი წლების პოლიტიკური ბრძოლის ქარიშხალმა თეიმურაზი გადაისროლა სპარსეთში (1803 წ., სადაც დაჰყო 1810 წლამდე). იქაურ თავგადასავალს მოგვითხრობს ლექსების დიდ ციკლში ("სამოცეული"). 1810 წლიდან სიკვდილამდე თეიმურაზი პეტერბურგში ცხოვრობდა და იქიდან ადევნებდა თვალყურს საქართველოს ცხოვრებას.

თეიმურაზის გარდაცვალებას (1846 წ.) გამოეხმაურა პეტერბურგის პრესა ("Санктпетербургские ведомости", 1846, № 250). კერძოდ, ბროსე წერდა: "Память его останется в сердце всех его знакомых и особенно благодарного ученика его".

გამოჩენილი ფრანგი მეცნიერისა და თეიმურაზ ბატონიშვილის ურთიერთობა მეგობრობის სანიმუშო მაგალითია. მართლაც, ბევრი რამ შეასწავლა თეიმურაზმა ბროსეს. თავის მხრივ ბროსემ კი გზა გაუკაფა თეიმურაზს მეცნიერული მოღვაწეობისკენ. თეიმურაზმა მონაწილეობა მიიღო "ვეფხისტყაოსნის" მეორე გამოცემაში (1841 წ.). მისი მთავარი რუსთველოლოგიური ნაშრომი ახლა გამოცემულია²⁶⁹. თეიმურაზს ეკუთვნის ორი სოლიდური ნარკვევი საქართველოს ისტორიიდან — "ისტორია დავით ბატონიშვილის ბიოგრაფიით" (1833 წ., პარიზი) და "ისტორია დაწყებითგან ივერიისა, ესე იგი გიორგიისა" (1849 წ., პეტერბურგი). თეიმურაზ ბატონიშვილმა დაწერა ნაშრომი ათონის ქართველ მოღვაწეებზე — იოანესა და ექვთიმეზე. თეიმურაზი მთარგმნელიც იყო. ზემოთ უკვე ვახსენეთ მისი "აღათოკლე". თეიმურაზი პუშკინის ლექსების ("ანგელოზი" და სხვ.) პირველი მთარგმნელია.

თეიმურაზის "სამსახეობა რაინდისას" მოქმედი პირები — თავქვაძე, მუხაძე ხალხიდან აღებული, ცოცხალი სახეებია. ავტორი ამბობს: მაღალ ფრასზედა არ ვარგა შაირობა, შაირი უნდა ყოველ კაცს ესმოდესო.

თეიმურაზს აქვს წვრილი ლექსები ტრადიციულ თემებზე.

დიმიტრი ბაგრატიონი. დიმიტრი ბაგრატიონი დაიბადა 1746 წელს. იგი შვილი იყო იესე მეფის ძის გიორგისა. ოცი წელი რომ შეუსრულდა, სამეფო ტახტის ძიება დაიწყო. "ჩემი მეფე ვახტანგ (VI) მეფისანი თუ ვინმე იქნება, ის იქნება", — აცხადებდა დიმიტრი. იგი მონაწილეობდა ერეკლეს წინააღმდეგ პოლიტიკურ შეთქმულებაში, რის გამო ჩამოერთვა მამულები და

²⁶⁹ განმარტება პოემა ვეფხისტყაოსნისა, გამოცემული გ. იმედაშვილის მიერ, 1959 წ.

საქართველოდან იქნა გაძევებული. 1805 წელს რუსეთის მთავრობამ დაუბრუნა მამულები.

ცნობა დიმიტრი ბაგრატიონის “ფარმაზონობის” (ფრანკმასონობის) შესახებ მომდინარეობს დიმიტრი სააკაძის ერთ-ერთი ლექსიდან. დიმიტრიმ გალექსა “შესაქმე” (ძველი აღთქმა), 1805 წელს მისი უშუალო მონაწილეობით დაიბეჭდა “სადღესასწაულო”. შეთხზა “წამება ქეთევან დედოფლისა”, რომელიც გამოიცა ავტორის სიცოცხლეში, 1819 წელს.

მისი ლექსების კრებული ცნობილია “დიმიტრიანის” სახელწოდებით.

თავისებური პოეტური ხმით უძღერა დიმიტრიმ თავის ასულს ელისაბედს:

სულის ყვავილო, გულისა ვარდო,
შვების წალკოტო, მოსანავარდო...

დ. ბაგრატიონმა ლექსი უძღვნა 1812 წლის სამამულო ომის ცნობილ გმირს პეტრე ბაგრატიონს. მან გალექსა ქართული ანდაზები, ჩაამატა ზოგი სიტყვა “ქართულ ლექსიკონში”. მგრძნობიარედ აღწერს დიმიტრი ქეთევანის წამებას (“წამება ქეთევან დედოფლისა”):

საბნად დახურეს რკინები,
საწვავად განათხელები,
მით დააძინეს ქეთევან,
აკვანს ურწევდნენ მკვლელები.

გრიგოლ ბაგრატიონ-მუხრანელი. გრიგოლი იყო შვილი იოანე ბაგრატიონ-მუხრანელისა და ერეკლე მეორის ასულის ქეთევანისა. გრიგოლის მოსახელე და ისიც იოანე ბაგრატიონის (ბატონიშვილი) ძე ორი სხვადასხვა მწერალია. გრიგოლის მამა იოანე კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ-მუხრანელი ერეკლეს კარზე მნიშვნელოვანი ფიგურა ყოფილა. მას ხელი აქვს მოწერილი რუსეთსა და საქართველოს შორის 1783 წლის ტრაქტატზე. 1783 წელს (27. VII) ერეკლე მეფემ სახლთუხუცესობა ჩამოართვა უფროს სიძეს დავით ორბელიანს და ეს დიდი სახელო უბოძა იოანე კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ-მუხრანელს (გარდ. 1800 წ.).

გრიგოლის დედა ქეთევანი (1764 — 1840) თავისი დროის დიდად სახელოვანი ქალი იყო. კეთილქმნულებასთან ერთად მას დაჰყვა პოეტური ნიჭი და დიდი სიყვარული სამშობლოსადმი.

იოანე ბაგრატიონ-მუხრანელსა და ქეთევან ბატონიშვილს ჰყავდათ ხუთი შვილი. მათ შორის პოეტური ნიჭი აღმოაჩნდა გრიგოლს. მწერლობაში მცირე წვლილი აქვს შეტანილი ბარბარესაც.

გრიგოლ ბაგრატიონ-მუხრანელი დაიბადა სოფელ ხაშმში 1792 წ. 30 იანვარს. მის თავგადასავალს ვეცნობით ავტობიოგრაფიული პოემით

“გრიგოლიანი”. დედამ ბავშვობიდანვე ჩაუნერგა შვილს მშობლიური ხალხური სიტყვიერებისა და მწერლობის სიყვარული. სიყრმის წლებში მას რომანტიკულად უხატავდნენ მამისა და პაპის სახელოვან საქმეთ. გრიგოლს მიუღია სამხედრო განათლება, უსწავლია ვაჟთა კორპუსში, რომელიც დაუსრულებია დაახლოებით 1815 — 1820 წლებში.

გრიგოლ მუხრანელის სათავგადასავლო პოემა საყურადღებო ლიტერატურული ნაწარმოებია. “გრიგოლიანი” ამ შეფასებას იმსახურებს მისი ხალხური კოლორიტისა და რუსეთთან ქართლ-კახეთის და იმერეთის შეერთების დროინდელი ამბების მართალი გადმოცემით. “გრიგოლიანი” “13 თქმულად” დაუყვია ავტორს. თითოეულ “თქმულში” რუსეთისა და საქართველოს ისტორიის არაერთი ეპიზოდია აღწერილი.

გრიგოლს აგრეთვე ეკუთვნის “მოთხრობა ივერიისათვის”, რომელიც მოკლედ გადმოგვცემს ამბებს ფარნავაზიანთა დროიდან XIX საუკუნის დამდეგამდე.

გრიგოლ მუხრანელს წვლილი აქვს ეპისტოლარულ პოეზიაში.

ხელნაწერებში ჩვენ გვხვდება აგრეთვე “მუხრანის ბატონიშვილი გრიგოლისაგან თქმული სატრფიალო”, ეროტიკული ლექსები.

გრიგოლ ბატონიშვილი. სათავგადასავლო პოემა, რომელშიც აღბეჭდილია უმთავრესად ქართველ ბაგრატიონთა გვარის ისტორია, დაუწერია გრიგოლ იოანეს ძე ბატონიშვილს. მიზეზი ამ თხზულების შექმნისა გამხდარა ვინმე გოფმან გურანოვი, პრალაში მცხოვრები მდიდარი ჩეხი, რომელსაც განუზრახავს აღწეროს სხვადასხვა ქვეყნის ისტორიები, რათა თქვან: “ესე ისტორია არსო ლოფმან გურანოვისაო”. გრიგოლ ბატონიშვილი, რომელიც რუსეთ-ნაპოლეონის ომის წლებში პრალაშიც მოხვდა, დაინტერესებულ ჩეხს უამბობს საქართველოს ტრაგიკულ თავგადასავალს.

პოემა იმით იწყება, რომ საქართველო მარიამ ღვთისმშობლის “წილხდომილია და ჩვენი ქვეყანა თვით აკურთხა მან”. ამას მოჰყვება ბუნების აღწერა, ფაუნისა და ფლორის დახასიათება. ბაგრატიონთა გვარის პირველ წარმომადგენლებს რომ გვაცნობს, გრიგოლ ბატონიშვილი დაწვრილებით მოგვითხრობს დავითისა და დიდი თამარის ისტორიას. მოკრძალებით იხსენიებს თეიმურაზ პირველის და ერეკლე მეორის გამირობას.

საქართველოს დაუძინებელი მტრები იყვნენო თემურ ლენგი და შაჰ-აბასი. პოემა წყდება შაჰ-აბასისა და თეიმურაზის ომით, რის შემდეგ ტექსტი ნაკლულია.

ბატონიშვილები ამჟღავნებდნენ მიდრეკილებას ქართული ხალხური სიტყვიერებისადმი. გრიგოლს შეუდგენია ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის ანთოლოგია (H 2130), სადაც ქართველთა ზეპირსიტყვიერებას, ანეკდოტებს თანამედროვეთა შესახებ და იმ დროის დაბალ წრეებში შექმნილ ლექსებსაც ეთმობა ადგილი. კრებულში შეტანილია გრიგოლ ბატონიშვილის მიძღვნიანი და სატირული ლექსები. გრიგოლი აქებს რექტორს გაიოზ

ბარათაშვილს, რომელმაც, მისი ცნობით, 365 წიგნი თარგმნა რუსულიდან. გრიგოლის სატირის საგანი გამხდარა ზაზა ანდრონიკაშვილი. იგი, თურმე, მეფის რუსეთის მოხელეებს უჭერდა მხარს და მარკიზ პაულიჩს მოჰგვარა 1812 წლის აჯანყებაში მონაწილე გრიგოლი. გრიგოლი პეტერბურგს გადაასახლეს და “პეტრე ზაოდის” ციხეში ჩასვეს. შემდეგ რუსეთის სამხედრო სამსახურში აღმოჩნდა როცა რუსთა ჯარები დევნიდნენ ნაპოლეონს. ამიტომაც პოეტს პეტერბურგ-ვილნოს გზით პრადამიც მოუხდა ყოფნა.

გრიგოლ იოანეს ძე ბატონიშვილი დაიბადა 1789 წ., გარდაიცვალა 1830 წ. პეტერბურგს.

გაბრიელ რატიშვილი. იოანე ბატონიშვილის მხლებელს რუსეთში და მის ადიუტანტს (“ემიკადაბაშს”) გაბრიელ ბეჟანის ძე რატიშვილს 1801 — 1802 წ. დაუწერია “მცირედი რაიმე მოთხრობა როსიისა”, რომელშიც, ქართველი მწერლის თვალთ ასახულია XVIII საუკუნის რუსეთი. ამ თხზულების ერთადერთ ავტოგრაფულ ხელნაწერში ავტორს თავისი ლირიკული ლექსებიც შეუტანია. ილია ჭავჭავაძემ ამ მოთხრობის ერთი ნაწილი დაბეჭდა²⁷⁰. გაბრიელ რატიშვილის სახით ჩვენ საქმე გვაქვს 1800-იან წლების ქართველ მწერალთან, რომელმაც ახალი საუკუნის ვერაფერი გაიგო, იგი მთლიანად ძველი ქართული მწერლობის ტრადიციაზე იყო დამოკიდებული.

თხზულების შესავალში გაბრიელ რატიშვილი წერს: “ნუ ვინ გონებს-ყე, უკეთუ სხვათა ვიეთთამე შეწევნითა, ანუ სხვათა მიერ წარმოთქმითა დამეთხზეს წიგნი ესე, ნუ იყოფინ, არამედ თავით ჩემით და გონებით ჩემით, რომელი მგზავსად ნაკადისა ემოყვსებოდა კალამსა”.

გაბრიელ რატიშვილის ეს თხზულება მიძღვნილია მკითხველებისადმი, რომელთაც შორეული რუსეთიდან ესაუბრება: “ვიყავ მე მწირ, ქვეყანასა ამას შინა როსიისა და მებრძოდა მე სიყვარული თქვენი დამატკობელად უაღრეს სიყვარულისა, მოვიგონე ესე მირთმად თქვენდა”. აქვე ჩართულია ცნობა თხზულების დაწერის დროის შესახებ.

თხზულება დაწერილია პროზით, ლექსის შიგ ჩართვით “ქილილა და დამანასა” და “დილარიანის” მსგავსად. ლექსის სახეებიდან გამოყენებულია რუსთველური შაირი, ჩახრუხაული, ფისტიკაური, მაჯამა.

ცნობებს რატიშვილის ცხოვრების შესახებ იძლევა უმთავრესად მისი ავტობიოგრაფიული დავთარი.

გაბრიელ რატიშვილი სოფელ ლამისყანიდან ყოფილა. იმ ფეოდალთა რიცხვში, რომელთაც დავით ბატონიშვილმა მამულები ჩამოართვა, გაბრიელის მამა ბეჟან რატიშვილიც მოჰყოლია. ეს მამულები დავითს იოანე ბატონიშვილისთვის გადაუცია. ამგვარად, რატიშვილების ბედი დაუკავშირდა იოანე ბატონიშვილს.

გაბრიელი დაბადებულია 1770 წ. 1799 წ. ქართველებმა რუსების

²⁷⁰ ჟურნ. ”საქართველოს მოამბე”, 1863 წ., № 11, გვ. 14 - 30. № 12, გვ. 17 - 49.

დახმარებით ნიახურას ბრძოლაში სასტიკად დაამარცხეს ომარ-ხანი, აქ თავი უსახელებია გაბრიელს. ამის შემდეგ მას რუსეთში ვხედავთ. პავლე იმპერატორს მოენება, ამბობს გაბრიელი, საკუთარი თვალით ეხილა ქართველი უფლისწულები. პირველად მან თავისთან დაიბარა იოანე, ბაგრატი და მიხეილი. ისინიც მოემზადნენ პეტერბურგში წასასვლელად. ბატონიშვილების ამაღლაში შედიოდა თვითონ გაბრიელ რატიშვილიც, როგორც იოანეს ადიუტანტი. ბატონიშვილები თბილისიდან მცხეთამდე მიაცილეს. გაბრიელს იმედი ჰქონდა, რომ რუსეთში ბიძას ნახავდა, ბიძამისი “ნიკოლა იაგორიჩ რატიევი, ღენერალ-ლეიტენანტი” მართლაც მოინახულა მოსკოვში.

1801 წ. მაისში ბატონიშვილები უკვე პეტერბურგში იყვნენ. გაბრიელმა იოანე ბატონიშვილს სამშობლოში დაბრუნების ნებართვა სთხოვა, იოანემ თხოვნა შეიწყნარა იმ საფუძვლით, რომ გაბრიელს საქართველოში “ორნი მოხუცებულნი მშობელნი უვისო”.

1802 წ. გაბრიელმა პეტერბურგს მიუძღვნა გამოსათხოვარი ლექსი:

ყოვლად მშვენიერ ქალაქო, საჭვრეტლად უცხო არებო,
წყალნო, მუნ ყოვლად მდინარევ, არ მცირედ მოწანწკარებო,
ბაღნო, კარგ გვარნო ნაშენნო, მნახავთა განმახარებო,
მიგლოვეთ თქვენსა მშორავსა, ეს სევდათ მოსაკმარებო.

როცა გაბრიელი საქართველოში ჩამოვიდა, სამწუხარო ამბავი დახვდა — დედა მოკვდომოდა. ამაზე უთქვამს ელეგია:

ვაი დედაო, ვერა გხედაო, მასმინე ხმანი ჩემი მწედაო...
ვაი ასობით, ბევრ ათასობით, მარად გიგლოვდე
ზედიზედაო.

ზაქარია ჭიჭინაძის ცნობით, გაბრიელ რატიშვილი 1825 წ. გარდაიცვალა.

გაბრიელ რატიშვილის ლექსებში ასახულია მდურვა სოფლისა, სამიჯნურო განწყობილებანი. აქვს ხოტბებიც.

ნამდვილი სატრფო და საყვარელი პოეტს საქართველოში ეგულეობდა, მას უძღვნის ლექსებს. მის ავტოგრაფულ დავთარში ასეთი ჩვენება გვხვდება: “ეს მცირედნი ლექსნი ერთისა ჩემისა საყვარლისათვის წარმოვთქვი”.

გარდამავალი ხანის ქართული მწერლობიდან ჩვენ ცალკე გამოვყოფთ და შედარებით ვრცლად განვიხილავთ იოანე ბაგრატიონის (ბატონიშვილის) ცხოვრებასა და მრავალმხრივ ლიტერატურულ მოღვაწეობას.

იოანე ბაგრატიონი

თვალსაჩინო საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწე, მეცნიერი და მწერალი იოანე ბაგრატიონი იყო ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ის შვილი.

იოანე ბაგრატიონი დაიბადა 1768 წ. 16 მაისს. იგი იზრდებოდა დიდი კულტურულ-ლიტერატურული ტრადიციებით გარემოცულ ოჯახში, რამაც სიყრმიდანვე წარმართა მისი ლტოლვა ცოდნის მიღებისა და მეცნიერების დაუფლებისკენ. იოანემ დავით რექტორის ხელმძღვანელობით საფუძვლიანი განათლება მიიღო და ახალგაზრდობაშივე ყურადღება მიიპყრო მომზადებითა და ნიჭით. მონაწილეობდა სამშობლოს დასაცავად გამართულ ომებში და თავისი ვაჟკაცობითა და თავგანწირვით არაერთხელ ისახელა თავი.

1789 წ. იოანე მონაწილეობდა ლეკებთან ბრძოლაში, ზედაველაზე, სადაც “იძლივნენ ლეკნი და წარვიდნენ სირცხვილეულნი”. 1790 წ. ლომსიათხევში (იმერეთში) იოანემ დაამარცხა იმერეთის მეფე დავითი, სოლომონ II-ის მეტოქე. განსაკუთრებით გაითქვა სახელი იოანემ ცნობილ კრწანისის ომში (1795 წ.). მან დატყვევებისგან იხსნა თავისი სახელოვანი პაპა ერეკლე მეფე.

1798 წელს იოანე იმარჯვებს ლეკების წინააღმდეგ დირბში, ხოლო შემდეგ ყარსის მიდამოებში თურქების წინააღმდეგ. ბრძოლებში ნაცადი და გამოწრთობილი იოანე გიორგი მეფემ არტილერიის ფელდციხხმეისტერად დაადგინა.

1798 წ. გიორგი მეფემ თავის მემკვიდრეებს დავითსა და იოანეს ქართლ-კახეთის აღწერა დაავალა. მათ შეძლეს მხოლოდ კახეთის მოსახლეობის აღწერა.

1799 წელს იოანემ შეადგინა და თავის მამას წარუდგინა სახელმწიფოებრივი წყობილების ფართო რეფორმების პროექტი, რომელიც შედგენილი იყო მოწინავე ევროპული სახელმწიფოების მიხედვით და საქართველოს სინამდვილის პირობების გათვალისწინებით. აღნიშნული პროექტი არ განხორციელდა გიორგი მეფის გარდაცვალებისა და ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების გამო. ამჟამად ის ძვირფასი წყაროა ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური და იურიდიული აზროვნების შესასწავლად²⁷¹.

იოანე ბატონიშვილმა დიდი გულადობა და გამჭრიახობა გამოიჩინა ხუნძახის ბატონის ომარ-ხანის კახეთში შემოჭრის დროს 1800 წ. ნოემბერში. ამ ბრძოლაში ქართველებთან ერთად იბრძოდა რუსეთის ქვეითი ჯარიც. ქართულ ლაშქარს მეთაურობდა იოანე. გადამწყვეტი შეტაკება მოხდა ნიახურას, მდ. ივრის პირზე (სოფ. კაკაბეთთან), სადაც მტერი სასტიკად დამარცხდა. ომარ-ხანზე გამარჯვების ამბავი იოანემ გადმოგვცა “კალმასობაში”.

1801 წ. იანვარში იოანე ბაგრატიონი გენერალ გულიაკოვთან ერთად

²⁷¹ ი. ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი , სჯულდება (ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმწიფოებრივი რეფორმების პროექტი). ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ივ. სურგულაძემ, 1957 წ.

ილაშქრებს ქართლის ტახტის პრეტენდენტის იულონ ბატონიშვილის წინააღმდეგ.

სამხედრო საქმეში დამსახურებისთვის რუსეთის ხელისუფლებამ იოანე რამდენჯერმე დააჯილდოვა.

იოანე დიდი ნდობით სარგებლობდა საქართველოს სამეფო კარზე და რუსეთის მოხელეთა შორის. გენერალი ლაზარევი შემდეგნაირად ახასიათებს იოანეს: “იოანე ბატონიშვილი უაღრესად დარბაისელი ადამიანია, მაგრამ ისევე (როგორც სხვა ბატონიშვილები. — რედ.) ერიდება ყოველგვარ (სახელმწიფოებრივ. — რედ.) საქმეს. მეფე (გიორგი XII. — რედ.) მაინც ყველაზე მეტად მას ენდობა და სხვებზე უფრო იყენებს საქმეში”²⁷².

მძიმე ავადმყოფობის დროს გიორგი მეფემ “ყველა განკარგულება თავისი მეფობის საკეთილდღეოდ დააკისრა რუსეთის მინისტრსა და თავის ძეს, იოანე ბატონიშვილს”²⁷³. ამიტომ პ. კოვალენსკი ერთ-ერთ მოხსენებითს ბარათში უფროსებს ატყობინებდა, რომ მის მიერ არც ერთი ღონისძიება არ ტარდება მეფის ძის იოანესთან წინასწარი მოლაპარაკების გარეშე²⁷⁴.

იოანე მხარდაჭერით სარგებლობდა რუსეთის მეფის მთავრობის მხრივ. ამას მოწმობს ისიც, რომ, როდესაც გუბერნატორის არჩევის საკითხი დადგა, რუსეთის ხელისუფლებამ ყველაზე შესაფერ კანდიდატად ბატონიშვილებიდან იოანე მიიჩნია²⁷⁵. რუსეთის მთავრობის ასეთი დამოკიდებულება იოანესადმი იმით იყო გამოწვეული, რომ სანამ გამოირკვეოდა პავლე პირველის ცბიერი განზრახვანი, იოანე ლოიალურად იყო განწყობილი რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენელთა მიმართ.

იოანე ბაგრატიონი ერთ-ერთი აქტიური წარმომადგენელი იყო პროგრესულად მოაზროვნე ქართველი საზოგადოების იმ ნაწილისა, რომელიც საქართველოს რუსეთთან შეერთებაზე ზრუნავდა. მისი წარმოდგენით საქართველოს რუსეთთან შეერთება ნიშნავდა ქართული სამეფოს რუსეთის მფარველობის ქვეშ შესვლას. ცხოვრებამ კი სულ სხვა დაანახვა მას, ბაგრატიონთა ტახტი მხოლოდ ოცნებად გაუხადა.

ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების სამზადისში იმპერატორმა პავლე პირველმა 1801 წ. 9 მარტს სხვა ქართველ ბატონიშვილებთან ერთად იოანე ბაგრატიონიც რუსეთს გაიწვია. პეტერბურგში ჩასული იოანე უკან აღარ გამოუშვეს, იგი სამუდამოდ რუსეთში დარჩა. ამ გარემოებამ კი სხვა მხრივ წარმართა მისი მომავალი ცხოვრების გზა.

იოანე ბაგრატიონის პეტერბურგში ცხოვრების დროს, XIX საუკუნის პირველ მესამედს, რუსეთში მოხდა დიდი სოციალურ-პოლიტიკური ძვრები (პირველი სამამულო ომი, დეკაბრისტთა აჯანყება და სხვ.), რამაც გამოიწვია

²⁷² Акты, т. I, გვ. 184.

²⁷³ П. Бутков, Материалы для новой истории Кавказа с 1720 по 1803 год, т. II, 1869, გვ. 469.

²⁷⁴ Акты, т. I, გვ. 137.

²⁷⁵ პ. ბუტკოვის დასახ. შრომა, II, გვ. 469.

მნიშვნელოვანი გარდატეხა საზოგადოებრივ ყოფასა და იდეურ სფეროში. ამ გარემოებამ დააჩქარა რუსული საზოგადოებრივი აზროვნების აღმავლობა. აი, ასეთ ვითარებაში მოუხდა ცხოვრება-მოღვაწეობა სამშობლოს მოცილებულ იოანე ბაგრატიონს.

პეტერბურგში იოანეს ყოფნა უხდება რჩეულთა შორის, მწიგნობრებსა და მეცნიერებში, რომელთაგან გაიგო ხალხის საუკეთესო წარმომადგენლების მიზანსწრაფვა, შეითვისა რუსული მოწინავე კულტურის იდეები, რამაც თავის მხრივ განაპირობა მწერალი-მეცნიერის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება და ხელი შეუწყო მისი მხატვრულ-შემოქმედებითი უნარის გამომჟღავნებას. სწორედ აქ, იმ დროის რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრების ცენტრში, ფართოდ წარიმართა იოანეს ლიტერატურული მოღვაწეობა.

პეტერბურგში იოანე აღრმავებს სამშობლოში მიღებულ ცოდნას და აქტიურად ჰკიდებს ხელს მრავალმხრივ მეცნიერულ-ლიტერატურულ მუშაობას. მის კალამს ეკუთვნის არა ერთი მხატვრული თუ მეცნიერული შრომა, რომლებსაც დღემდე არ დაუკარგავთ ისტორიულ-ლიტერატურული მნიშვნელობა. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს მისი ფართოდ გაშლილი მთარგმნელობითი მოღვაწეობა. იოანეს ნათარგმნი შრომები დიდ ინტერესს იწვევს ქართული კულტურის ისტორიის თვალსაზრისით.

ეჭვს გარეშეა, რომ მგზნებარე მამულიშვილი იოანე ბაგრატიონი გამუდმებით ადევნებდა თვალყურს საქართველოს პოლიტიკურ ამბებს და თავის სამწერლო-მეცნიერულ საქმიანობას ყოველთვის უკავშირებდა ქართული ეროვნული თვითმყოფობისა და კულტურის დაცვის საქმეს. იოანემ ინტენსიურად დაიწყო რუსული ენიდან წიგნების თარგმნა. თავგამოდებული მთარგმნელობითი მუშაობით მას სურდა რუსული და ევროპული მოწინავე კულტურის ქართულ ნიადაგზე გადმონერგვა.

იოანე ბატონიშვილი გარდაიცვალა 1830 წ. 15 თებერვალს ქ. პეტერბურგში. დაკრძალულია ალექსანდრე ნეველის ლავრაში²⁷⁶.

ი. ბაგრატიონის სამეცნიერო შრომებიდან განსაკუთრებით ყურადსაღებია: კალმასობა, საქართველოს ისტორია, სჯულდება, ქართული ენის გრამატიკა, ბუნებისმეტყველება, მათემატიკა, საარტილერიო წიგნი, ყრმათა ენციკლოპედია, ქართული ლექსიკონი, რუსულ-ქართული ლექსიკონები, ქართული ვოკალური და ინსტრუმენტული ნიშნების შესასწავლი სახელმძღვანელო და სხვ.

იოანეს მიერ რუსულიდან თარგმნილი შრომებიდან აღსანიშნავია: ადამ ფერგიუსონის “მოდღვრება ზნეობითი ფილოსოფიისა”, აბატ კონდილაკის “ლოგიკა”, პეტრე ჰოფმანის საექიმო ნაშრომი, მათემატიკა, ნუსხა წამლისა ელექსირისა და სხვ. მხატვრული ლიტერატურიდან მან თარგმნა გაბ. დერჟავინის ლექსი “ღმერთი”, “ფაბონიასა და იულიას მიწერ-მოწერა” და

²⁷⁶ გ. მ. ი. ქ. ა. ე., იოანე ბაგრატიონი, ”XVIII საუკუნის ქართული მწერლობის საკითხები”, I, 1965, გვ. 53 - 74.

სპარსულიდან გადმოიღო “სეილანიანი”.

იოანე ბაგრატიონს დაწერილი აქვს რამდენიმე ლექსი, რომელთაგან ზოგიერთი გამოქვეყნებულიცაა. ეს ლექსები საყურადღებოს ახალს არაფერს იძლევიან და იმეორებენ ე. წ. გარდამავალი ხანის ლირიკისთვის დამახასიათებელ პოეტურ ხერხებს.

როგორც ბოლო დროს გამოიკვია, იოანე ბაგრატიონი მხატვარიც ყოფილა. იოანეს ჩანახატები, ჩანახაზები და სხვადასხვა სახის თავსამკაულები არაიშვიათად გხვდება მის სახელმძღვანელოებში. აღსანიშნავია, რომ იოანემ თავისი ხელით შესრულებული სურათი, რომლის ესკიზი სახელწოდებით “საქართველო” დღემდის არის შემონახული, მართვა იმპერატორ ალექსანდრე პირველს²⁷⁷.

იოანე ბაგრატიონის შრომათაგან განსაკუთრებით გამოირჩევა ენციკლოპედიური ხასიათის ნაშრომი “კალმასობა”. აღნიშნული თხზულების იდეური სიღრმე, რაც მხატვრული თხრობა-დიალოგების საშუალებით არის გადმოცემული, ნათლად მეტყველებს მისი ავტორის მხატვრულ გემოვნებასა და ფართო ერუდიციაზე.

გასული საუკუნის 60-იან წლებში ისტორიკოსმა დიმ. ბაქრაძემ აღმოაჩინა უცნობი თხზულების შემცველი ხელნაწერი და დაბეჭდა “კალმასობის” სახელწოდებით, ხოლო ავტორად იოანე ბატონიშვილი (ბაგრატიონი) გამოაცხადა²⁷⁸. ვინაიდან ხელნაწერი ნაკლები იყო (დასაწყისი და დაბოლოება აკლდა), ძეგლის ავტორი, სახელწოდება და მისი დაწერის თარიღი მკვლევართათვის დიდხანს იყო დავის საგანი.

“კალმასობის” ავტორობაზე სხვადასხვა მოსაზრება გამოითქვა²⁷⁹. ბოლო დროს გამოვლენილი საბუთების მიხედვით კი დადგინდა, რომ იგი იოანე ბაგრატიონს ეკუთვნის.

²⁷⁷ ლ. ქუთათელაძე, იოანე ბაგრატიონი — მხატვარი, ჟურ. ” საბჭოთა ხელოვნება”, 1959, № 11.

²⁷⁸ “კალმასობის” გამოცემები: 1867 — 1868 წწ. ჟურნ. ”ცისკარი”; კალმასობა. გამოც. ”ცისკრის” რედაქციისაგან. ნაწ. I, 1862; ნაწ. II, 1867; კალმასობა. დიმ. ბაქრაძის წინასიტყვაობით, მეორე გამოც. ზ. ჭიჭინაძისა, 1895 (გარეკანზე: 1896); კალმასობა. კ. კეკელიძისა და ალ. ბარამიძის რედ., ტ. I, 1936; ტ. II 1948. თხზულება შემოკლებულად თარგმნილია რუსულად: Царевич Иоанн, Калмасоба, перевод с грузинского, введение и комментарии В. Дондуа, 1945. კალმასობის ვრცელი შინაარსი ლითოგრაფიულად დაბეჭდა გ. ჯავახიშვილმა (“კალმასობა”, 1933).

²⁷⁹ ლიტერატურა ამ საკითხზე დასახელებულია თხზულების ბოლო გამოცემის წინასიტყვაობაში (გვ. IV — V). მას უნდა დაემატოს შემდეგი დროის გამოკვლევები: გ. ლეონიძე, კალმასობის ავტორი, ”ლიტერატურული საქართველო”, 1938; შ. ნუცუბიძე, ქართული ფილოსოფიის ისტორია, II, 1958; ა. ფრანგიშვილი, ნარკვევები ადამიანის ფსიქოლოგიური ცოდნის ისტორიიდან საქართველოში, 1959; ვ. დონდუას წერილი თხზულების რუსულ გამოცემაში; თ. კუკავა, ნარკვევები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრივი და ფილოსოფიური აზრის ისტორიიდან, 1956; ქართული მჭერმეტყველება, ნ. კანდელაკის რედ., 1958.

თხზულების დასაწყისი ნაწილის ნაკლებობის გამო გაურკვეველია როგორ დაასათაურა ავტორმა თავისი შრომა. სახელწოდება “კალმასობა” თხზულებას შეარქვა მისმა პირველმა გამომცემელმა დიმ. ბაქრაძემ. შემდეგ ეს სახელი თხზულების ტრადიციულ სახელწოდებად იქცა.

“კალმასობა” წარმომდგარია კ ა ლ მ ა ს ს ი ტყვისგან. “კალმას” სიტყვასიტყვით გამოდის “წილი კალოდან”, იგულისხმება კალოზე დახვევებული პურისგან აღებული ნაწილი²⁸⁰. “კალმასობის” მოქმედი პირი ზურაბა ღამბარაშვილი იონა ბერის შესახებ აცხადებს: მე ამას “ვასწავლე კალმასობა, ღვინის თხოვნაო”. თხზულების ზედწერილში ნათქვამია, რომ იონა ხელაშვილი “დროსა ლეწვისასა წარგზავნილ იქმნა ქართლის სოფლებსა შინა საკალმასოდო” და სხვ.

კალმასობა, ანუ წასვლა “მოსარეწველად პურისა”, “კალოზე პურის მოშობა”, “ჩვეულებრივი და ძველადვე დაწესებული მოვლენა ყოფილა სამონასტროსა და, საერთოდ, საეკლესიო ყოფაცხოვრებაში”²⁸¹, რაც კარგად ჩანს თვით თხზულებიდანაც.

სათაური “კალმასობა” ზუსტი არ არის და სავსებით არც თხზულების შინაარსს შეესატყვისება. მართალია, ნაწარმოებში მოთხრობილია იონა ბერის საკალმასო მოგზაურობაზე, მაგრამ ეს თხრობა გრძელდება მხოლოდ თხზულების დასაწყისში, ხოლო მის დანარჩენ ნაწილში, განსაკუთრებით მესამე ნაწილში, არაფერია თქმული იონას კალმასობაზე. ამასთან, იქაც კი, სადაც იონას მეკალმასეობაზეა საუბარი, ავტორს უფრო მნიშვნელოვანი საკითხები აინტერესებს, ვიდრე იონას კალმასობის ამბავი. იონას საკალმასოდ რონინი, როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ, ავტორმა გამოიყენა მხოლოდ მხატვრულ საშუალებად, თხზულების შინაარსის გადმოსაცემად.

თვითონ ავტორი თხზულების ანდერძში წერს: “დასრულდა წიგნი ესე ხუმარჰსწავლაო”. ეს სახელწოდება (ხუმარსწავლა) თითქოს უფრო უნდა შეეფერებოდეს თხზულებას, რადგან მთავარი მოქმედი პირი ხუმრობის კილოთი გადასცემს მკითხველთ მათთვის საინტერესო ცოდნას, მაგრამ ასეთი დასათაურება ერთგვარად დაამცირებს ამ წიგნის მნიშვნელობას, დაჩრდილავს წიგნის დიდ სერიოზულ მიზანს²⁸². ამასთან, სათაური “ხუმარსწავლა” სავსებით ვერ გამოხატავს წიგნის დანიშნულებას და არ შეესაბამება თხზულების ფრიად ვრცელსა და მრავალფეროვან მეცნიერულ ნაწილს.

იონანეს თხზულების წერა დაუწყია 1813 წელს, ხოლო დაუსრულებია 1828 წელს, რაც თხზულების ბოლო ნაწილში აღუნიშნავს: “დასრულდა წიგნი ესე ხუმარჰსწავლა წელსა 1828-სა, თვესა ივნისსა 30-სა, სანკპეტერბულსა

²⁸⁰ ვ. დ. ნ. დ. უ. ა., კალმასობა, როგორც ყოფაცხოვრებითი მოვლენა ძველ საქართველოში, 1949, გვ. 7.

²⁸¹ იქვე, გვ. 11.

²⁸² შდრ. Ц а р е в и ч И о а н н , Калмасоба, 1945. გვ. XV.

შინა”²⁸³. ამგვარად, იოანე ბაგრატიონი “კალმასობას” წერდა თხუთმეტი წლის განმავლობაში, 1813 — 1828 წლებში.

“კალმასობის” სიუჟეტი მეტად მარტივია. ბერი იონა (იოანე) ხელაშვილი, რომელსაც თან ახლავს. გონებამახვილი, სიტყვამოსწრებული ზურაბა დამბარაშვილი, მონასტრისთვის სახსრების შესაგროვებლად მოგზაურობს ქართლში, კახეთსა და იმერეთში (სამეგრელოსა და გურიის ჩათვლით). შემდეგ იგი, ზურაბას გარეშე, ეწვევა ეჩმიაძინს, საბოლოოდ კი მიემგზავრება პეტერბურგს. მოგზაურობის დროს იონა და ზურაბა ხვდებიან სხვადასხვა პირებს და მათთან საუბრობენ. ეს საუბრები წარმოადგენს თხზულებაში მოცემული მრავალი “სწავლის” ერთმანეთთან დამაკავშირებელს, შემკვრელს.

“კალმასობის” მრავალფეროვანი შინაარსი გადმოცემულია ორიგინალური მხატვრულ-ლიტერატურული ფორმით. ის თავისებური სამოგზაურო ჟანრის თხზულებაა და დაწერილია დიალოგური სახით.

“მიმოსვლა”, ანუ სამოგზაურო ჟანრი ავტორმა მოიმარჯვა როგორც საკომპოზიციო ხერხი, მხატვრული დასაყრდენი, რის საშუალებითაც მას შესაძლებლობა ეძლევა თხზულების მთავარი მოქმედი პირი — იონა ხელაშვილი მოატაროს საქართველოს თითქმის ყოველ კუთხეში, შეახვედროს მისთვის საინტერესო ისტორიულ პირებს და მათთან გასაუბრებით გვიჩვენოს ქვეყნისა და ხალხის მდგომარეობა, მკითხველს დაანახოს სახელმწიფო მოხელეთა უარყოფითი მხარეები, ამხილოს ისინი, უჩვენოს საქართველოს დაკნინების მთავარი მიზეზები და გადმოგვცეს როგორ უნდა მოხდეს ქვეყნის აღორძინება.

როგორც ვხედავთ, თუ სამოგზაურო ჟანრის ადრინდელ მწერლობაში ძირითადად გვხვდება გეოგრაფიული პუნქტების, მნიშვნელოვანი ადგილებისა და ღირსშესანიშნაობათა აღწერა, “კალმასობაში” არსებითი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების რეალური სურათების აღწერას.

იოანე ბაგრატიონს წინასწარ არა აქვს განსაზღვრული ის გეოგრაფიული პუნქტები, სადაც უნდა წავიდნენ იონა და ზურაბა. მათი სიარული ქალაქებსა და სოფლებში თითქოს შემთხვევით ხასიათს ატარებს. თხზულებაში კონკრეტულად არაა განსაზღვრული აგრეთვე მოქმედების დროც. მოქმედება ვითარდება ისე, რომ არ ჩანს, თუ, სახელდობრ, როდის ხდება აღწერილი ამბები. ავტორი, თითქოს ერთგვარ დღიურებს ადგენსო, აღნიშნავს: “დღე მეორე”, “დღე მესამე”, “დღე მეოთხე” და ა. შ., ანდა: “დღე შემდგომი”. თხზულების ზედწერილში კი ნათქვამია: “დროსა ლეწვისასა წარგზავნილ იქმნა (იონა. — რედ.) ქართლის სოფლებსა შინა საკალმასოდო”. ხოლო როდის იყო ეს “ლეწვის დრო”, კონკრეტულად აღნიშნული არ არის.

“კალმასობაში” ამბავი გადმოცემულია უმეტესად კითხვა-მიგებით,

²⁸³ H 2153, ფ. 36v; ხელნაწერთა აღწერილობა (H კოლექცია), ტ.V, 1949, გვ.111.

დიალოგებით. დიალოგი მწერლისთვის თხრობის ძირითადი საშუალებაა. საკალმასოდ გასულ იონა ხელაშვილსა და ზურაბა ღამბარაშვილს ყოფნა უხდებათ სხვადასხვა გარემოში და სხვადასხვა სოციალური წრის წარმომადგენლებთან. ყოველი შეხვედრა ამა თუ იმ პირთან, ყოველი შეცვლა ადგილისა თუ გარემოებისა, მათ შესაძლებლობას აძლევს ახალ და ახალ თემებზე გაიმართოს მათ შორის საუბრები, კითხვა-პასუხები.

მწერალი ახერხებს თხრობის დიალოგური ფორმით ერთმანეთს დაუპირისპიროს სხვადასხვა სოციალური წრისა და მსოფლმხედველობის ადამიანები და მათი სახით უფრო რელიეფურად, გამოკვეთილად აჩვენოს ერთ და იმავე საგანსა და მოვლენაზე მათი განსხვავებული შეხედულებანი, მათი სახუმარო შელაპარაკებით, და ზოგჯერ გაპაექრებითაც კი, სახუმარო კილოში გადმოგვცეს თავისი აზრები.

იონას დიალოგები სხვადასხვა ისტორიულ პირებთან ხშირად გამწვავებამდე მიდის, ზოგჯერ კი მისი ფიზიკური შეურაცხყოფითაც მთავრდება. მაგრამ სწორედ დამაბულ მდგომარეობაში ჩაერევა ხოლმე იონას თანმხლები ზურაბა, რომელიც მოხერხებითა და მოსწრებული სიტყვა-პასუხით ანელებს მოსაუბრეთა გამწვავებულ მდგომარეობას და დროზე წყვეტს დიალოგს. მთელი თხზულების მანძილზე ზურაბას მემკვიდრით ხდება მოსაწყენი და გაჭიანურებული დიალოგებიდან გადასვლა სხვადასხვა საკითხზე.

ყოველი ახალი, მორიგი “სწავლის” მოსასმენად ავტორი წინასწარ ამზადებს მსმენელს (მკითხველს). მას ჯერ გარკვეულ სახუმარო განწყობილებას შეუქმნის, შეასვენებს, ხოლო შემდეგ გადასცემს ცოდნას, იწყებს თხრობას მეცნიერულ საკითხებზე. ასე, მაგალითად, როდესაც იონა იასტოს ანდრონიკაშვილთან დაასრულებს ღვთისმეტყველებაზე საუბარს, ასეთი მოსაწყენი თემის შემდეგ პირდაპირ ისევ მეცნიერულ თემაზე გადასვლა, რა თქმა უნდა, მომქანცველი იქნებოდა და მკითხველის ყურადღებასაც ნაკლებად მიიქცევდა. ამიტომ ავტორმა მიმართა ხერხს და ქარის ამოვარდნასთან დაკავშირებით ჩაურთო სახუმარო ეპიზოდი, რითაც გარკვეული მიმართულებით წარმართა საუბარი.

მოკალმასენი თამაზ ორბელიანთან ერთად გაემართებიან ვაშლოვანისკენ. მოულოდნელად შემაწუხებელი ქარი ამოვარდება, რის გამოც გზად მიმავალნი თავს შეაფარებენ მახლობელ ხევში. აქ თამაზი შეეკითხება იონას, თუ რა მიზეზით ამოვარდა ქარი და ზურაბასა და თამაზს შორის იმართება შემდეგი დიალოგი:

ზ უ რ ა ბ ა — მართლად უბნობთ მაგას, უნდა ამ ბერმან კარგად იცოდეს რადგან, დიალ, მსუბუქად გახლავს.

თ ა მ ა ზ — რაში ეტყობა მსუბუქობა? ვინც რას ჰკითხავს, ყოველსავე კანონიერად ეუბნება.

ზ უ რ ა ბ ა — მე ამისთვის მოგახსენე, რადგან ესეცა ასე ხშირად დაქრის.

თ ა მ ა ზ — ბუმბული ხომ არ ასხია?

ზ უ რ ა ბ ა — რა მოგახსენო, ძალიან კი ფრინავს!

თ ა მ ა ზ — მაშ, ბუმბულს რაღა ქარი უნდა?

ზ უ რ ა ბ ა — ეგ თქვენ უკეთ იცით.

თ ა მ ა ზ — მაშა, მეც მწამობს რასმე?

ზ უ რ ა ბ ა — თქვენსა და ამ ბერის მგზავრობაში კი დაიწყო ქარმან ქროლა, და არ ვიცი, რა მიზეზია.

თ ა მ ა ზ — მაშა, ჰგავს, ქარიანი ვყოფილვართ!

ზ უ რ ა ბ ა — ზურაბ ყაფლანისშვილი ასე მოგახსენებს.

თ ა მ ა ზ — მე თუ მსუბუქი ვარ, ის კი გიჟია!

ასეთი საუბრის, შესვენების შემდეგ “კვალად ჰკითხა თამაზმან იოანეს ქარისა ქროლვის მიზეზი”. ამას მოსდევს ვრცელი განმარტება — “ქარისათვის”.

თხზულებაში მსგავსი სახის ხუმრობის მოხდენილად ჩართვით ავტორი ცდილობს თავიდან აიცილოს მოსაწყენობა და ხელახლა გაამახვილოს მკითხველის ყურადღება. “ერთი სიტყვით, ხუმრობის საშუალებით “კალმასობის” ავტორი ცდილობს მკითხველს გაუადვილოს მეცნიერული სწავლის ათვისება”²⁸⁴. სწორედ ამიტომ არის, რომ თხზულებაში ხუმრობა და გართობა ერთ-ერთი ძირითადი მხატვრული კომპონენტია.

“კალმასობაში” მოცემული სამეცნიერო მასალა საკმარისად დიდი მოცულობისაა. ეს მასალა თხზულებაში განლაგებულია არა თანამიმდევრობით, ანბანის რიგზე ან თემატურად, საკითხების მიხედვით, არამედ არეულად, იმისდა მიხედვით, თუ იოანეს ვისთან უხდება გასაუბრება, დიალოგის გამართვა. ელჩთან საუბარი მიმდინარეობს დიპლომატიაზე, სარდალთან — სამხედრო საქმეზე, პოეტთან — ქართულ ლექსთწყობაზე და ა. შ., თუმცა ბოლომდე არც ეს პრინციპია დაცული. ერთსა და იმავე საკითხზე მსჯელობა ხშირად თხზულების სხვადასხვა ადგილას და სხვადასხვა პირთან გრძელდება. ამის გამო თხზულებაში ყოველთვის არა გვაქვს თემატური მთლიანობა, რაც მნიშვნელოვნად აძნელებს სამეცნიერო დარგებზე ერთი მთლიანი წარმოდგენის მიღებას.

ერთი სიტყვით, თხზულების მთელ მანძილზე ერთმანეთს ენაცვლება ხუმრობა-გართობანი, მოსწრებული სიტყვა-პასუხები და მეცნიერული მსჯელობა-დარიგებანი. ასეა აგებული მთელი “კალმასობა”.

“კალმასობა” უთუოდ მნიშვნელოვანი მოვლენაა ქართული მწერლობის ისტორიაში. იგი საინტერესოა როგორც მხატვრული შემოქმედების მეტად მნიშვნელოვანი რეალისტური ძეგლი. თხზულებაში მოცემულია რეალიზმის საწყისები, რომელიც შემდეგ უფრო დასრულებულ სახეს იღებს ახალი

²⁸⁴ კალმასობა, I, გვ. II.

ქართული ლიტერატურის წარმომადგენელთა შემოქმედებაში²⁸⁵. სამეცნიერო სწავლათა ჩანამატების გარეშე “კალმასობა” დღესაც წარმოადგენს სასიამოვნო საკითხავ წიგნს და განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს თავისი მოწინავე იდეებით.

“კალმასობაში” ასევე საინტერესოა საქართველოს სინამდვილისთვის ნიშანდობლივი ამბების შემცველი ადგილები, სადაც გადმოცემულია საქართველოს ისტორია, გეოგრაფია, განხილულია ქართული ლიტერატურისა და ზეპირსიტყვიერების საკითხები, საუბარია ქართული ენის შესახებ და ა. შ. თხზულებაში ერთმანეთში შერწყმულია, ერთი მხრივ, ცნობები XVIII საუკუნის მეცნიერული დარგებიდან და, მეორე მხრივ, ავტორის თანამედროვე ცხოვრების ამსახველი მდიდარი მასალა.

იოანე ბაგრატიონი “კალმასობაში” აგვიწერს XVIII საუკუნის მიწურულისა და XIX საუკუნის დამდეგის საქართველოს სოციალურ-ეკონომიურ სურათს. საქართველო ამ დროს წარმოადგენს ჩამორჩენილ, გავერანებულ ქვეყანას. მოსახლეობა განიცდის აუტანელ გაჭირვებასა და სიღატაკს. თვით მაღალი ფენების წარმომადგენლებიც კი მოკლებული არიან ნორმალური ცხოვრების პირობებს.

საქართველოს აოხრებისა და ქართველი ხალხის სიდუხჭირის ერთ-ერთ მიზეზად ავტორი თვლის გარეშე მტრებთან დაუსრულებელ ომიანობას. თავად დადიანის სახლით გაოცებული იონა მას მიმართავს: “ღონე რამ მაინც გეხმარათ სახლებისათვის, რომ წვიმა არ ჩამოსლოდაო”. დადიანი, გამომხატველია რა ავტორის შეხედულებისა, უპასუხებს: “მტრიანი ქვეყანა გვაქვს და ყოველთვის ბრძოლა, და მაგგვარებისათვის ვერღა მოგვიცლიაო”.

მტრების განუწყვეტელ შემოსევებსა და ქვეყნის განადგურებას, ავტორის სიტყვით, ხელს უწყობდა აგრეთვე ფეოდალური კლასის შუღლი, “მტერობაი ძმათა შორის”, შინათაშლილობა, რაც ესოდენ გავრცელებული ყოფილა საქართველოში. აღნიშნული მდგომარეობით შემფოთებული ავტორი ქართველ ხალხს მოუწოდებს ერთიანობისკენ: “ერთ სამეფოდ რომ ყოფილიყო საქართველო და იმერეთი, ვერც მტერი მოგვერეოდა... ნახე, უთანხმოებას რა შეუდგა!”

ქვეყნის ეკონომიურ დაცემულობას თან სდევს კულტურის დაქვეითებაც. თავადაზნაურობა მიეცა სიზარმაცეს, სიზანტეს, აღარ მისდევენ სწავლა-განათლებას, არ ზრუნავენ ახალგაზრდობის აღზრდაზე, არ ფიქრობენ ცოდნის გავრცელებაზე. გორში ყოფნისას იონა უსაყვედურებს ამილახვარს, რომ იქ “არც სასწავლებელის და ხელოვნების მასწავლებლნი ყოფილანო”. ამის შემდეგ კი მათ შორის იმართება დიალოგი:

ამილახვარი — ქართლში სხვაგან სად ყოფილა სწავლა და

²⁸⁵ ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ე , რეალისტური ნაკადის შესახებ XVII – XVIII საუკუნეების ქართულ ლიტერატურაში, ლიტერატურული ძიებანი, ტ. IX, 1955, გვ. 121 – 122; მიხ. ზ ა ნ დ უ კ ე ლ ი , ახალი ქართული ლიტერატურა, ტ. I, 1956, გვ. 235 – 336, 259.

ხელოვნება, რომ აქ იყოს?

იოანე — რომ არ ყოფილა, კიდევ ეტყობა!

ამილახვარი — ასეა თქმული. ცოდნამ დააქცია ქვეყანაო!

ამილახვრის სიტყვები სავსებით გამოხატავს მის თანამედროვე თავადაზნაურობის შეხედულებას სწავლაზე. ავტორის სიტყვით, ამიტომ არის, რომ “როგორც რიგია, ისე ვერა იზრდებიან სწავლითა მეფის ძენიცა და თავადნიცა”. თვით ამირეჯიბიც კი თვალყურს ვერ ადევნებს თავისი შვილების აღზრდის საქმეს. სოლოლაშენს ამირეჯიბთან მისული იონა “იხილავს, რომელ თითოსა ცხენსა თითო კაცი ჰყავთ მიჩენილნი, რომელნიცა სწმენდენ ცხენებთა და ქვეშე უგვიან და უმშრალეხენ მიწათა და უცხოდ, სუფთათ ინახვენ”. შემდეგ იქვე “იხილა ორნი ყმაწილნი, ნეხვსა ზედა მსხდომარენი, ტალახით შესვრილნი, ნაგავ-გარდაყრილნი, გარნა სახითა კარგნი, უკაცოდ მოთამაშენი ურთიერთისადმი”. როდესაც იონა გაიგებს, რომ ეს ბავშვები ამირეჯიბის შვილებია, გაცემული წარმოთქვამს: “ამ ქვეყანაში პირუტყვთ უფრო პატივი სდებიან პირმეტყველზედო”. აღშფოთებული იონა ამირეჯიბს ჩააგონებს შვილების აღზრდის მნიშვნელობას: “შვილები რომ კარგად დაზარდოთ და ასწავლოთ, უფრო ბევრს კარგს სახელსა იქმთო”.

სწავლა-განათლების საქმე იმდენად არის მოუწესრიგებელი და უყურადღებოდ მიტოვებული, რომ სახელმწიფო მოხელენიც კი ხშირად უსწავლელი და უცოდინარი არიან. დავით ბატონიშვილის ემიკადასს ნინია ერასტის-შვილს (ამილახვარს) უწიგნურობის გამო მეუღლის გამოგზავნილი წერილის წაკითხვა და მასზე პასუხის გაცემა არ შეუძლია. თავის უსწავლელობას იგი იმით ხსნის, რომ “ყმაწვილობაში კი არავინ მასწავლაო და ახლა კი ვერ ვისწავლიო”. უმეცრების განსახიერება კავთისხევის მოურავი კაკა მაღალაშვილი. მან ისიც არ იცის, რომ მოურაობის მზითვეში გატანება არ შეიძლება და დაბეჯითებით სთხოვს იონას, მზითვის სიაში შეიტანოს მოურაობა. გაუნათლებელი და უცოდინარია ელჩი ელიაზარ ფალავანიშვილიც. მან არ იცის ენები, არ იცის გეოგრაფია, არ იცის იმ ხალხის ზნე-ჩვეულებანი, სადაც მას მოღვაწეობა უხდება. იგი თავს შემდეგნაირად იმართლებს: “სხვამ ვინ იცის ჩვენში, რომ მე ვიცოდე? და თუ მაგას მიხედა ჩვენმა ბატონმა (მეფემ. — რედ.), ელჩს ვერსად გაგზავნისო”. ქვეყნად ისეა გავრცელებული უსწავლელობა და უმეცრება, რომ თვით მდივან-მწიგნობრებიც კი ზოგჯერ უცოდინარი არიან.

ასეთ ყოფაში სახელმწიფო მოხელეებისგან ქვეყნად გამეფებულია უსამართლობა, მარცვა, გამოძალვა, მექრთამეობა და წამგლეჯობა. თხზულებაში მოყვანილია გაბატონებული კლასის წარმომადგენელთა მარცვა-გლეჯის, ქურდობისა და უსამართლობის არა - ერთი მაგალითი. გავიხსენოთ ერთ-ერთი მათგანი:

კარდანახში ყოფნისას იონა შეხვდება ანჯიქო ბებურიშვილ-ვაჩნაძეს. ეს უკანასკნელი მას გააცნობს იოსებ მღვდელს, რომელიც თავის მოწაფეებს ასწავლის “ყოველთვის ქურდობას, ყაზახობას და არც ლეკების ხოცვას

უმლის”. ანჯიქო და იოსებ მღვდელი ნაქურდალით ცხოვრობენ და ანადგურებენ ხალხის ქონებას. ავტორი ამ ამბავს შემადრწუნებელ ფაქტად თვლის და ქვეყნის დაღუპვის ერთ-ერთ მიზეზად მიიჩნევს. ეს გარემოება იოანე ბაგრატიონს განსაკუთრებით აწუხებს, რადგან ასეთ ხალხს სახელმწიფოში უკავია დიდი თანამდებობები, რომელსაც ბოროტად იყენებენ. სწორედ ასეთი ხალხის ხელში ქვეყანას განმკითხავი აღარა ჰყავს, მოისპო პატიოსნება, ქვეყნად გაქრა სამართალი. ამის შესახებ ავტორი ერთ-ერთ მოქმედ პირს ალაპარაკებს: “ქართლში სად არის სწორე სამართალი? როგორც იყოს, უნდა გავაჩანჩალოთ საქმე!” სწორედ სახელმწიფო მოხელეთა უსამართლობის მსხვერპლი გახდა თხზულების ერთ-ერთი მთავარი მოქმედი პირი — ზურაბა დამბარაშვილი. მას უკანონოდ წაართვეს მიწის ნაკვეთი და ულუკმაპუროდ დაუტოვეს ცოლ-შვილი. აი, როგორი გულისტკივილით მიმართავს ზურაბა იონა ბერს: “რად მინდა თავი ცოცხალი, მამული მიმიღო სულხან მდივანმან უსამართლოდ, და ვერსად ვიშოვე სამართალიო”. ზურაბა იძულებული გახდა ტრაგიკულად დაემთავრებინა თავისი სიცოცხლე — წყალში გადავარდნილიყო.

დამბარაშვილის თვითმკვლელობის ფაქტი საინტერესოა იმ მხრივაც, რომ ი. ბაგრატიონი, ნათლად აგვიწერს რა დაბალი ფენების აუტანელ ეკონომიურსა და სოციალურ მდგომარეობას, გვიჩვენებს ამით გამოწვეულ შედეგებს და ამხელს თავადაზნაურობას, როგორც გლეხების გადატაკების მთავარ მიზეზს. აი, როგორ აგვიწერს იგი ერთ-ერთ სოფელში ბატონისა და მისი ამაღლის სტუმრობას და მათ მიერ გლეხობის დარბევის სურათს: “ყოველ დღე გლეხნი თვისთა მოსადგურეთა უმასპინძლდებოდენ თხითა, ლორითა, ქათმითა, კრავითა, ქვევრების მოხდით და ღვინოებით, ღომით, სიმინდით და ცხენთათვისცა აუხდიდნენ ღომის ჩალით დაფარებულს სახლებს და აჭმევდენ ცხენთ, სწვემდენ ჭოგოთა სართა, და აქცევდენ ვენახთა და ბაღებთა ღობეებსა, და ბევრჯელ სახლებსაც გვერდებს გამოუქცევდენ დასაწვავადო”.

გლეხობას ყვლეფს არა მარტო თავადაზნაურობა, არამედ მათი მოხელეებიც. ერთგან ავტორი გადმოგვცემს, თუ სანამდე მიდის სინიდისზე ხელაღებული მოურავის თავგასულობა. მოურავმა თავისი ნახირი შეაგროვა ლეკების შემოსევის შემდეგ გადარჩენილი საქონლის მიტაცებით. გლეხების თქმით, ლეკიანობას “რაც გადავარჩინეთ, მოურავმან მიგვიღოო”.

ავტორი იქვე ავლენს თავის შეხედულებებს ამ ამაღელვებელი ფაქტისადმი: “ესე ძნელი სჯულდებაა საბრალოს გლეხთ-კაცთა ზედა, — ასე ადვილად და თითქმის შეუძლებლად დარბევაო”. იოანე ბაგრატიონის მოსაზრებით, ასეთი მოუწესრიგებელი ცხოვრების მთავარი მიზეზია “ცუდი მოხელეები”: “სულ ცუდი მოხელეებისგან არის ქვეყანა ნაკლულოვანებაში” და საკმარისია “ცუდი მოხელეები” შეიცვალოს “კარგი მოხელეებით”, რომ აღნიშნული უსამართლობა გამოსწორდეს.

როგორც ვხედავთ, ავტორი მეტად გაბედულად გვიხატავს არსებული უსამართლობის სურათებს, სასტიკ პროტესტს გამოთქვამს ასეთ

მდგომარეობაზე, მაგრამ ამავე დროს იგი არ ილაშქრებს იმდროინდელი პოლიტიკური და სოციალური წყობილების წინააღმდეგ. როგორც მოსალოდნელი იყო, იოანე ბაგრატიონი ბოლომდე რჩება თავისი კლასის ერთგულად და კმაყოფილდება მხოლოდ გარკვეული რეფორმების გატარების მოთხოვნით, რაც, უპირველეს ყოვლისა, ხალხისა და სახელმწიფო მოხელეთა კულტურის დონის ამაღლებაში უნდა გამოიხატოს. მისი სიტყვით, ქართველი ხალხი და მით უმეტეს სახელმწიფო მოხელეები “უნდა რომ სწაღულთაგან განისწავლნენ და მაშინ იცნობენ თავს თვისსა და ქვეყანასა. და მაშინ შეიძლებენ ქვეყნის გამართვასა და სამსახურსა”.

“კალმასობაში” არაერთხელაა მითითებული წოდებრივ განსხვავებულობაზე. ასე, მაგალითად, თავადი მაჩაბელი აღშფოთებულია მისი ვაჟის საძაგელი განზრახვით”, რაც გლეხის ქალის შერთვაში მდგომარეობს. “ჩემი უფროსი შვილი, ჩემ უნებურად, გლეხის ქალს ირთავს... ამ სიბერის დროს ამ სირცხვილში მაგდებსო”, — მიმართავს იგი იონას და სთხოვს დახმარების აღმოჩენას. იონა მაჩაბელს დაუწერს შვილისთვის გასაგზავნ წერილს, რომელშიც გმობს ვაჟს, რომელსაც სურს “მდაბიოსა და არც რაისამე ქალისა თანა შეუღლება, რომელიცა, თვინიერ გმობისა და კიცხვისა კიდე, არა რაისამე შემძლებელ არს მორთმევად შენდა და გვარისადმი ჩვენისა”.

იონას სიტყვებით ავტორი დარიგებებს იძლევა, თუ როგორი უნდა იყოს მონა და როგორი ბატონი. იოანე ბაგრატიონი მსჯელობს იმაზე, თუ “მებატონენი ვითარ უნდა ექცეოდნენ თვისთა ყმათა, ანუ ყმანი თვისთა მებატონეთა. მერვე დღის დიალოგში ცალკე თავებადაა გამოყოფილი “მონათათვის” და “უფლისათვის”, ე. ი. ბატონისთვის. აღნიშნავს რა წოდებათა განსხვავებას, ავტორი მიუთითებს მის გარდუვალობაზე, აუცილებლობაზე, რადგან ის ღვთისგან დადგენილია. ამიტომ, მისი ფიქრით, საჭიროა ჩაგრული კლასი შეურიგდეს ამ გარემოებას: “ნებითა ღვთისათა მიეცა კაცთა მონება უფლისა თვისისა, მართებს მას მონასა, რათა არღა ოხვრიდეს მისთვის, და არცა განწესებულის მისისა უღლისათვის, და გულსმოდგინებით აღსრულ[ებ]დეს განწესებულსა თვისსა”. მონას მართებს ბატონის წინაშე “ერთგულება ცხადი, სიმდაბლე, მორჩილება და მოთმინება... თვისთა მებატონეთა თანა ტვირთვა და დათმენა და გულსმოდგინეთ მსახურება”.

ავტორი გვევლინება პრივილეგირებული კლასის ინტერესების ერთგულ დამცველად. მაშინაც კი, როცა მოითხოვს გლეხობისადმი შეწყალებასა და ჰუმანურ დამოკიდებულებას, “ვინაიდან იგიცა კაცი არს გულისხმიერი და აქვს გრძნობა შეწუხებისაცა”, იგი მემამულეთ აფრთხილებს, რომ ასეთი გზით მათ (გლეხობას) “უფრორე ადვილად მოიყვანს მორჩილებასა შინა”.

ავტორის თქმით, ჰუმანურობა მართებს თვითონ მეფესაც. თხზულებაში არაერთგზის არის მითითებული მეფისადმი მორჩილების შესახებ, მაგრამ, თავის მხრივ, მეფეც უნდა ამართლებდეს ხალხის ნდობას და ზოგჯერ ანგარიშს უწევდეს მის ნება-სურვილსაც. სახელმწიფოს უნდა განაგებდეს

ქვეყნისთვის ერთგული და თავგამოდებული ადამიანი, “კეთილი მეფე”, რომელსაც უყვარს და აინტერესებს თავისი ხალხი. ავტორი ჩამოთვლის “კეთილი მეფის” დამახასიათებელ დადებით თვისებებს, რომელთა შორის პირველ რიგში ასახელებს განათლებას, სიქველეს, სიმართლეს, პატიოსნებას...

როგორც ვხედავთ, ავტორის მიერ აღწერილი “კეთილი მეფის” ხელისუფლება სხვა არაფერია, თუ არა განათლებული აბსოლუტიზმის ხელისუფლება, სახელმწიფო მართვა-გამგეობის ისეთი ფორმა, როგორც ეს წარმოედგინათ XVIII საუკუნის ენციკლოპედისტებს.

“კალმასობაში” სათანადო ადგილი აქვს დათმობილი სასულიერო წოდებასა და მისი მანკიერი საქმიანობის ჩვენებას. საინტერესოა, რომ ავტორმა არ დაინდო თხზულების მთავარი გმირი იონა ბერიც, რომელსაც ხშირად მეტად სასაცილო მდგომარეობაში გვიხატავს. ი. ბაგრატიონს თამამად და მოურიდებლად საამკარაოზე გამოაქვს სამღვდელოთა ანგარებიანობა, გაუმადრობა, ღორმუცელობა და სიხარბე. ზურაბა ღამბარაშვილი აცხადებს: “მე ძნელად სადმე ვიპოვნე სამღვდელოს, რომ თეთრი (ფული. — რედ.) არ უყვარდესო”. შემდეგ ჩამოთვლის, თუ როგორ ყვლეფს სამღვდელოება მშრომელ ხალხს: “რომ მონათვლენ ვისმე, იმ ყმარწვილის ნათლიას ან დედამამას გამოართმევენ მოსანათლავსა; დააქორწინებენ ვისმეს, საყდრის კარსაც დაუკეტენ, ვინემ არას მისცემენ, და ჯვარის-საწერსაც გადაახდევინებენ; იმასაც არ დასჯერდებიან, ხალიჩა და ფარჩაც უნდა ქვეშ გაუშალონ მექორწინეთ, რათა ისიც იმათ წაიღონ; მოკვდება ვინმე, სასაფლაოს ფასს, საიმტვერიოს, საწირავს, კიდევ წლის შაბათის საწირავს და პანაშვიდისას გამოართმევენ, სისხლის გასანათლავს, საშობაოს, იმასაც გამოართმევენ. აგრეთვე ნიშანს ეძახიან, კარგი ცხენი ჰყავს ან კარგი თოფ-იარაღი აქვთ, მასცა წაიღებენ და ტაბლას ხომ, ასიც მოვიდეს სასაფლაოზე, ერთს ლუკმას გლახაკსაც არ დაუდებენ წილს. ამასთან ქვეშაგებს, ტანისამოსსაც მკვდრისას მთლად წაიღებენ. ესრეთ დაანელებენ ერთს ოჯახს და სხვა საკანონოები რაღა მოგახსენო საზოგადოდ”.

სამღვდელოების ანგარება, ვერცხლისმოყვარება და წამგლეჯაობა არის გადმოცემული აგრეთვე ზურაბასა და თავად წერეთლის დიალოგშიც. როდესაც იონა განმარტავს ვერცხლისმოყვარებას, ზურაბასა და წერეთელს შორის შემდეგი დიალოგი იმართება:

ზ უ რ ა ბ ა — ბატონო წერეთელო, ამ ბერმან ქართლი, კახეთი, იმერეთი, ოდიში და გურია მთლად მოირბინა თეთრის შოვნისათვის და რატომ თავისთავს არ ასწავლის, თუ ესდენ ცოდვა არს ვერცხლისმოყვარება?

წ ე რ ე თ ე ლ ი — ეგე სამღვდელოთ ჩვეულება არს, თითონ კი უნდა შეიკრიბონ და მოიხვეჭონ, და ჩვენ კი გვამხილებენ.

ავტორის მიერ კარგადაა შენიშნული სამღვდელოების მტაცებლური ბუნება. ისინი ყველაფერს სარგებლიანობის თვალთ უყურებენ. თვით ისეთ აღმამფოთებელ ამბავსაც კი, როგორცაა ადამიანებით ვაჭრობა, ისინი გულდამშვიდებით უყურებენ, რადგან ტყვეებით ვაჭრობას მათთვის

სარფიანობა მოაქვს. ამ მხრივ საინტერესოა პეტრე ხუცესისა და იონას საუბარი:

ხუცესი — ...შვილებსაც გაუყიდიან აქ თავის მებატონეები თათრებზედ, რომ სკალატი იყიდონ ტანისამოსად და სხვა ფარჩები.

იონა — ხუცესო, აღსარებაში არ უშლი, ვინც ამას შვრება?

ხუცესი — ბერო, რომ დაუშალო, მშვიერი მოგკვდები და ტიტველი, და რა ჭკვა არის?

თხზულებაში სამღვდელოება ზოგჯერ პირდაპირ გამასხარავებულია. სიცილს იწვევს სამღვდლო პირთა მსუნაგობა და უზნეო საქციელი. სანიმუშოდ მოვიყვანთ ერთ ადგილს: ჰარონ მღვდელთან სტუმრობისას იონას ღამე წყალი მოსწყურდა. საწოლიდან წამოდგა და დაიწყო წყლის ჭურჭლის ძებნა. სიბნელეში უეცრად ხალიჩას ფეხი წამოჰკრა და ზედ დაეცა ჰარონის მეუღლეს. ქალის ყვირილზე ჰარონმა იონას ხელი სტაცა. იონამ აუხსნა, რომ წყალს ვეძებდი და შემთხვევით წავიქეციო. “ჰარონმა მეორე ხელი სტაცა ახალუხშია და ახალუხის უბე მოხვდა ხელში, ემძიმა და სთქვა: ჰო, ვახშმის ფული ვიშოვე... და გასწია ახალუხს და გააძრო”. იონამ თავისი ნაშოვნი ჰარონს არ დაუთმო. მათ შორის გაიმართა ჩხუბი, რომელშიც ჩაება გასაშველებლად შემოსული დავით რექტორი. ახლა უკვე ერთმანეთს წაეკიდნენ ჰარონ მღვდელი და დავით რექტორი. “და მერმე შეაგინეს ერთმანერთს. მაშინ გასწყრა რექტორი და გარდაჰკრა ჯოხი ჰარონსა, ჰარონ ეძგერა და სტაცა ხელი წვერშია. მიფრინდნენ ერთმანერთსა და დაუწყეს წვერისა და თმის გლეჯა.”

მთელი თხზულების მანძილზე არაერთგზის არის აღწერილი ბერის შეურაცხყოფა და აბუჩად აგდება. ასე, მაგალითად, ენისელში მისვლისას იონა გამოელაპარაკება იქაურ მღვდელს ზაქარია ლალისხანიშვილს. იონა შეურაცხყოფას მიაყენებს მას, რის გამოც ზაქარია “მივარდა იონანს, სტაცა წვერში ხელი და დაუწყო თმასა და წვერსა გლეჯა. იონანეც გამწოვდა და ამანაც მიჰყო ხელი და ერთმანერთი დაქოჩრეს. მაშინ მამასახლისი და სხვანი მუნებურნი მღვდელნი შთაუცვიდნენ შუაში და რის ყოფით გააშველეს”. უსიამოვნება შეემთხვა იონას გარსევან ჭავჭავაძესთანაც. იონას სიტყვებზე “გარსევან განრისხდა, წამოხტა და თავის გრძელი ჩიბუხი დაჰკრა თავში, კუნკული გააგდებინა, ანაფორა ჩამოახიეს და პალურით კარში გამოაგდეს...”

ასეთნაირად სცემენ და წვერს გლეჯენ იონას. ამიტომ არის, რომ ზურაბა ეუბნება ბოდბელს: “ამ საბრალო ბერმა სადაც რა ქადაგება ანუ სწავლა დათესა, მომკის მაგიერ ჯოხი, მუშტი, წვერის გლეჯა და ანაფორის დახვევის მეტი ვერა მოიმკო რაო...”

სასულიერო პირები გაუნათლებელი და უცოდინარი არიან. მაგალითად, იონა შეხვდება ქალაქს მიმავალ რაჭველ მღვდელს, რომელიც იმდენად უვიცია, რომ სამღვდელო წესებშიც არ არის გარკვეული. ამ მღვდელმა არ იცის, თუ რა არის სიმბოლო და გაკვირვებული კითხულობს: “სიმვოლო რა არის, საჭმელია, თუ სასმელი?” იონას შეკითხვაზე შვიდი საიდუმლო იცის, ეს მღვდელი უპასუხებს: “საიდუმლო ბევრი ვიცი, მაგრამ ვერავის გავამხელ, ნამუსს კარგა შევინახამო”. მაშინ იონა ჩამოუთვლის შვიდ

საიდუმლოს, რაზეც რაჭველი მღვდელი გაკვირდება: “ბატონო, სადანა სწერია ეგენი?” ამ მღვდელმა არ იცის სამღვდლო ხარისხებიც კი.

საეკლესიო იერარქიაში ვერ ერკვევა არათუ ეს უბრალო მღვდელი, არამედ რუისის მიტროპოლიტიც. ამიტომ იონა განუმარტავს მიტროპოლიტს სამღვდლოების ხარისხებსა და მათ უფლება-მოვალეობას. ამ შემთხვევაში ავტორი შეგნებულად აზვიადებს აღნიშნულ ფაქტს. მას სურს მკითხველს დაანახოს, რომ იმ დროს სამღვდლოების უმეტესობა, თვით მიტროპოლიტობამდეც კი, ხშირად უსწავლელები იყვნენ, არ ჰქონდათ საჭირო სწავლა-განათლება, რადგან ხარისხი გვარიშვილობაზე იყო დამყარებული და არა მათს პირად მონაცემებზე.

ლალისყურეში წირვის დროს იონამ შეამჩნია, რომ დიაკვანი სიტყვებსა და წინადადებებს ტოვებდა, კითხვაში ბორძიკობდა. იგი გამოელაპარაკა დიაკვანს და აღმოჩნდა, რომ მან არაფერი იცის და არც ბერობა სურს. როდესაც იონა ცოდნის გამოძიებაში იყო, დიაკვანმა ხელში აიღო ჯიხვის ყანწი და წარმოთქვა: “აჰა, ჩემი ცოდნა ეს არისო... თუ არ დალევ, მერწმუნე, კისერში ჩაგასხამო!” აქ ზურაბა მოსწრებულად შენიშნავს: “...ამისთანა მემარხულე უნდა ბერებო!”

ეს ყანწისმოყვარე ბერი, რომელსაც ფლორე ჰქვია, ასეთნაირად მსჯელობს: “მე ცოლი მირჩევნია რომ შევირთო! მამას არ უქნია ბერობა და პაპასაო, რად მინდა წიგნი ვისწავლო და მეცნიერებაო?”

ერთი სიტყვით, “კალმასობაში” ავტორი სასტიკად კიცხავს სამღვდლოებას. თხზულებაში მრავლად არის მოცემული სამღვდლოთა მამხილებელი ადგილები. სასულიერო წოდების საქმიანობისა და მათი გონებრივი დაკნინების ასე სააშკარაოზე გამოტანა იმ დროისთვის მეტად გაბედულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს. სწორედ ეს არის იოანე ბაგრატიონის დამსახურება.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, “კალმასობაში” მოცემულია ცნობები მეცნიერების თითქმის ყველა ძირითადი დარგიდან: ფილოსოფიიდან, ისტორიიდან, ლიტერატურათმცოდნეობიდან, ენათმეცნიერებიდან, გეოგრაფიიდან, მათემატიკიდან, მედიცინიდან და ა. შ. მართალია, თხზულების საკმარისად დიდი ნაწილი, მეტადრე მეცნიერულ-ფილოსოფიური, წარმოადგენს რუსული სახელმძღვანელოების უშუალო თარგმანს თუ კომპილაციას და, თანაც, თხზულებაში მოცემული ცნობები ამჟამად ამომწურავი არ არის და თანამედროვე მეცნიერების დონეს ვერ აკმაყოფილებს, მაგრამ თავის დროზე მათ გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა და რამდენადმე იმდროინდელი მოწინავე მეცნიერების მიღწევებსაც ასახავდა. ამიტომ იოანე ბაგრატიონს მათი ათვისება ახალი ცხოვრების გზის გასაკვლევად ქართველი ხალხისთვის საჭიროდ მიაჩნდა. მაგრამ ავტორის სურვილი, რომ თავისი ნაშრომით ხალხში მეცნიერული ცოდნა გაეცვრელებინა, განუხორციელებელი დარჩა, რადგან აღნიშნული თხზულება მხოლოდ ერთადერთ ცალად იყო დამზადებული და ავტორის ოჯახის

ფარგლებს არ გასცილებია.

“კალმასობაში” სხვადასხვა ადგილას გვხვდება იოანეს მოსაზრებები ამა თუ იმ მწერლისა თუ თხზულების შესახებ, მაგრამ ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს თხზულების ის თავი, რომელსაც ტრადიციულად ეწოდება “მცირე უწყება ქართველთა მწერალთათვის”²⁸⁶. ამ თავში იოანე ბაგრატიონი გვაწვდის ცნობებს, რომელთა მიხედვით მეტ-ნაკლებად შესაძლებელი ხდება ავტორი შევაფასოთ როგორც ქართული ლიტერატურის ისტორიკოსი და კრიტიკოსი.

ი. ბაგრატიონმა სცადა ქართველ საეკლესიო და საერო მოღვაწეთა და მწერალთა შესახებ მოეცა მოკლე ცნობები. ცნობები ქართველ მწერლებზე იწყება დავით აღმაშენებლით და მთავრდება ალექსანდრე ჭავჭავაძით. მწერლების მიმოხილვისას დაცული არაა ქრონოლოგიური თანამიმდევრობა.

“მცირე უწყება” შედგება ორი ნაწილისგან. პირველი ნაწილი წარმოადგენს ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლის ერთგვარ ცდას. ავტორი მეტად შეზღუდულად და მკრთალად ახასიათებს ქართველ მწერლებს, ზოგჯერ კი კმაცოფილდება ძველი დროის მწერლობის წარმომადგენლების ჩამოთვლით და მათი თხზულებების მოკლე აღნუსხვით. ავტორი არსად არ განიხილავს თხზულებას, არ იძლევა მის ანალიზს, იგი მხოლოდ გვაძლევს მწერლის დადებით თუ უარყოფით შეფასებას.

შრომაზე მუშაობისას იოანეს გამოუყენებია არჩილ მეფის “ძველთა და ახალთა საქართველოს მელექსეთა”, “ვეფხისტყაოსნის” ბოლო სტროფის ცნობა, ანტონ კათალიკოსის “წყობილსიტყვაობა”. როგორც ვხედავთ, შრომის პირველი ნაწილი უმეტესად ემყარება ცნობილ წყაროებს, მაგრამ ამ შემთხვევაშიც მიმატებულია ბევრი ისეთი ცნობა, რომლებიც არ გვხვდება დასახელებულ წყაროებში.

ნაშრომის მეორე ნაწილში გადმოცემულია ქართველ მწერალ-მწიგნობართა და საზოგადო მოღვაწეთა ლიტერატურული პორტრეტები. იოანეს მიერ მოცემული დახასიათებანი ძალზე ზოგადი, მოკლე და სქემატურია, მაგრამ მნიშვნელობა დღესაც არ დაუკარგავს.

იოანეს ბიბლიოგრაფიულ ცნობებში მოცემულია მის თანამედროვე მწერალთა ლიტერატურული საქმიანობის შეფასება. მასში არასრულად, და ზოგჯერ არაზუსტადაც, აღნუსხულია, თუ რა გააკეთა ამა თუ იმ მწერალმა. ზოგიერთი ავტორის ლიტერატურული პროდუქციის შეფასებისას ავტორი ავლენს სუბიექტურ შეხედულებებს. მიუხედავად ამისა, იოანეს დასკვნები ხშირ შემთხვევაში ყურადსაღებია.

თუ შრომის პირველი ნაწილი რამდენადმე ცნობილ ლიტერატურულ წყაროებს ემყარება, მეორე ნახევარი უკვე ავტორს ეკუთვნის და ქართველ მწიგნობარ-მოღვაწეებზე მის მიერ გაგონილ, შეკრებილ და ნახულ მრავალ

²⁸⁶ კალმასობა, II, გვ. 162 – 213; ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი , საისტორიო მასალანი, წ. I, 1913, გვ. 1 - 55 (ამოღებულია ” ძველი საქართველოს ” პირველი ტომიდან).

ახალ ცნობას შეიცავს.

რა თქმა უნდა, როგორც პირველ, ისე მეორე ნაწილში გვხვდება საეჭვო ცნობები და აშკარა შეცდომები, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ქართული ლიტერატურის ისტორიის საკითხებზე მომუშავე მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის იოანეს ამ უთუოდ ანგარიშგასაწევ შრომას. ის წარმოადგენს საინტერესო ბიბლიოგრაფიული ცნობების შემცველ წყაროს თანამედროვე მკვლევართათვის.

მართალია, “მცირე უწყებაში” სუსტად არის წარმოდგენილი ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის შეფასება, რადგან ამ დროს ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული ნამდვილი სალიტერატურო კრიტიკა, მაგრამ თვით ის გარემოება, რომ შრომაში ჩანს დაინტერესება ლიტერატურულ-კრიტიკული საკითხებით, უკვე თავისთავად მნიშვნელოვანი ფაქტია.

იოანე ბაგრატიონი კარგად იცნობდა ქართულ ხალხურ ზეპირსიტყვიერებას. მან საინტერესო და ყურადსაღები ცნობები მოგვაწოდა “კალმასობაში”. ასე, მაგალითად, იხილავს რა საწესჩვეულებო ლექსებსა და სიმღერებს, საგანგებოდ ჩერდება “ძეობის ლექსებზე”. როგორც მკვლევართა მიერ არის შენიშნული, “კალმასობაში” დაცული მითითება სამეო ლექსების გვარზე მეტად საყურადღებო მოვლენაა და ფოლკლორის ისტორიისათვის მას დიდი მნიშვნელობა აქვს”²⁸⁷.

საწესო ლექსებთან არის განხილული აგრეთვე აკვნის სიმღერები, კერძოდ, “ნანინა”. შემდეგ დახასიათებულია საფერხულო სიმღერები. სანიმუშოდ მოყვანილია ორი ლექსი, მათ შორის ერთი ხალხური “ვეფხისტყაოსნიდანაა”. ეს არის ცნობილი ლექსი — “ავთანდილ გადინადირა ქედი მაღალი ტყიანი”. დასახელებული ლექსის მიხედვით იოანე ბაგრატიონი ითვლება ხალხური “ვეფხისტყაოსნის”, ანუ “ტარიელიანის” პირველი ვარიანტის ჩამწერად²⁸⁸.

“კალმასობაში” ცნობები გვხვდება სასახლესთან დაკავშირებულ მგოსან-შემსრულებელთა შესახებ. ასეთია, მაგალითად, ოთარიკა მასხარა, რომელსაც ერეკლე II-ის სამეფო კარზე კარგი ხუმრობისთვის არაერთხელ დაუმსახურებია სათანადო ჯილდო.

იოანე ბაგრატიონი გვატყობინებს ცნობილი მესტვირე კაჭიაშვილის შესახებ, რომელიც, მისი თქმით, “იყო პირველი მესტვირე და ნაქები ქართლში. ამან შეასხა ქებით მესტვირულნი შაირნი მეფე ირაკლის”. ავტორს განხილული აქვს მესტვირეთა მიერ შექმნილი პროდუქციაც. ეს ლექსები წარმოადგენს თავისებურ ჟანრს და “მესტვირულის” სახელით არის ცნობილი.

საინტერესო ცნობებს გვაწვდის იოანე გამოჩენილ აშულ საიათნოვაზე. იგი გადმოგვცემს, რომ საიათნოვამ ქართული ლექსები გააწყო სპარსულ-აშულურ ხმაზე და ჩონგურზე დაამღერა.

²⁸⁷ მ. ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი , ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, 1952, გვ. 86.

²⁸⁸ მ. ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი , ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, 1952, გვ. 87.

“კალმასობაში” დაცულია საინტერესო ცნობები ადრინდელი სამისნო ჩვეულებების შესახებ, გადმოცემულია წარმართული წინასწარმეტყველებანი და სხვ. გარდა ამისა, თხზულებაში უხვად გვხვდება მოსწრებული თქმები, ხუმრობანი, ანდაზები, არაკები და ა. შ.²⁸⁹.

საყურადღებო ძეგლს წარმოადგენს “კალმასობაში” მოცემული პოეტიკური ნაშრომი — “პოეზიისა ანუ მოლექსეობისათვის”²⁹⁰. თხზულება იწყება პოეზიის, ანუ მოლექსეობის განმარტებით: “პოეზია ანუ მოლექსეობა არს სწავლა, გინა ხელოვნება გამოდებად ენითა ლექსთა და გამოხატვად წერით ყოვლისა საგნისა მის ნივთისა, ჭეშმარიტისა ანუ მოგონებულისა, ცხოვლად და წესიერად შეწყობით, რათამცა აღძრას გული და სული მსმენელთანს ჟამსა წარკითხვისა ანუ უბნობისასა”. შემდეგ განხილულია “გვარნი პოეზიისანი ანუ მოლექსეობისანი”. “გვარების” განსაზღვრას საფუძვლად არ უდევს რაიმე საერთო პრინციპი. ლექსის მეტრიკის განხილვის შემდეგ მოდის მსჯელობანი სხვადასხვა სალექსო ზომისა და ლექსთა სახეების შესახებ და იქვე მოყვანილია შესაფერი ნიმუშები. სათანადო ადგილებში საილუსტრაციო მასალა განხილულია მეტრიკის მხრივ, ე. ი. პოეზიის არსობის გარკვევასთან ერთად ავტორი გვამღევს ქართულ ლექსთა პოეტიკურ ანალიზს.

თავისი პოეტიკური შრომისთვის იოანე ბაგრატიონს უსარგებლია მამუკა ბარათაშვილის “ლექსის სწავლის წიგნით” და რუსული სათანადო ლიტერატურით, რაც აშკარად შეიმჩნევა რუსულიდან მომდინარე ტერმინების გამოყენებაში.

იოანე ასახელებს ტერმინების სახეობებს და, პოეტიკის რუსული სახელმძღვანელოების გავლენით, ქართულში მექანიკურად გადმოაქვს ბერძნულ-ლათინურ ლექსწყობაში გამოყენებული ტერმინოლოგია. საქმე ისაა, რომ ბერძნულ-ლათინური ლექსწყობა მეტრული, ანუ კვანტიტეტურია, რომელიც დამყარებულია გრძელი და მოკლე ხმოვნების კანონზომიერ თანამიმდევრობაზე. ქართული ლექსწყობა კი სილაბურ-ტონურია, რომელიც ემყარება ტაეპში მახვილიანი და უმახვილო ხმოვნების კანონზომიერ თანამიმდევრობას. მაშასადამე, ჩვენ საქმე გვაქვს ორ სხვადასხვა, განსხვავებული სისტემის ლექსწყობასთან. ამიტომ ბერძნულ-ლათინურ ლექსწყობაში მიღებული ტერმინოლოგია გამოუყენებელი ხდება ქართული ლექსის ბუნებისთვის, ის ვერ ასახავს ქართული ლექსწყობის ნამდვილ სურათს. იოანე, ალბათ, გრძნობს ამ წინააღმდეგობას, რის გამოც შრომაში ჩამოთვლის ტერფთა სახეებს და იძლევა მათი შედგენილობის ახსნას, მაგრამ თვით ლექსების ანალიზის დროს არ მიმართავს მის მიერ აღწერილ ტერფთა საშუალებით ლექსთა განხილვას, ე. ი. იოანეს თეორიული შეხედულებები არ

²⁸⁹ ა. ც ა ნ ა ვ ა , ი. ბაგრატიონის “კალმასობა” და ხალხური სიტყვიერება, ლიტერატურული ძიებანი, V, 1949.

²⁹⁰ “კალმასობა”, I, გვ 272 – 301; ქართული პოეტიკის ქრესტომათია (XVIII - XIX სს), გ. მ ი ქ ა ძ ი ს რედაქციითა და შენიშვნებით, 1954, გვ. 28 – 56.

ემთხვევა მის პრაქტიკულ საქმიანობას.

როგორც ჩანს, ქართულ ლექსწყობას იოანე თვლის სილაბურად, რის გამოც იგი ლექსთა საზომებს სილაბის მხრივ განიხილავს და ანგარიშს არ უწევს მახვილიანი და უმახვილო მარცვლების განლაგებას.

საინტერესოა ერთი გარემოებაც. საზომის მეტრული დახასიათებისას ხმოვნებთან ერთად იოანე სისტემატურად აღრიცხავს თანხმოვნებსაც. მაგალითად, “მრჩობლელი უკვე შედგება ოცისა უხმოს ასოთი, ხოლო ხმოვანითა თექვსმეტითო”, ანდა: “ჩახრიხაული შერეული შედგება ოცის ხმოვანის ასოთი და ოცდაცხრის უხმოთიო” და ა. შ. სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომლის მიხედვითაც “იოანე ბატონიშვილი ქართული ლექსის “გვარებს” განიხილავს “ხმოვანი” და “უხმო ასოების” თანაბრობის მხრივ”²⁹¹, რაც მდგომარეობს შემდეგში: როგორც ხმოვანთა რაოდენობა (რიცხვი) მეორდება ლექსის ყველა ტაეპში, ისე თანხმოვნების რაოდენობაც უნდა გამეორდეს დანარჩენ ტაეპებში.

უნდა შევნიშნოთ, რომ, მართალია, იოანე ხმოვნებთან ერთად სისტემატურად აღრიცხავს თანხმოვნებსაც, მაგრამ ნაშრომიდან არსაიდან ჩანს, რომ იგი ამაში რაიმე გარკვეულ კანონზომიერებას ხედავდეს. მას სრულიად არ მიაჩნია სავალდებულოდ ლექსთა “გვარებში” (თუ ტაეპებში) ერთი და იგივე რაოდენობის თანხმოვანთა დაცვის საკითხი. პირიქით, იგი ხშირად თვითონვე მიუთითებს ხოლმე, რომ შესაძლებელია თანხმოვანთა რიცხვი იცვლებოდეს, მაგრამ ხმოვანთა რაოდენობა უცვლელად უნდა გამეორდესო. ასე, მაგალითად, შაირის განხილვისას იოანე წერს: “შაირი უკვე შედგების: ოცდაოთხისა უხმოსა ასოთი, ხოლო თექვსმეტისა ასოთა ხმოვანითაო” და იქვე დასძენს: “ეგრეთვე ბევრჯელ იქმნება ერთი, ორი ანუ სამი და ოთხიც უხმო ასო მოაკლდეს შაირს, მაგრამ ხმოვანი ისევ სრულებით უნდა იყოსო”. ჩახრუხაული მრჩობლედის განმარტებისას ვკითხულობთ: “ჩახრიხაული მრჩობლელი შედგება ოცისა ხმოვანისა ასოთი და ოცდაცამეტისა უხმოთი, და ოდესმე უხმოთი ასოთი უფრო ნაკლებცა, ვიდრე ოცდაშვიდადმდე, გარნა ხმოვანი კი არ უნდა მოაკლდესო”. ანდა: იამბიკო “შედგება თორმეტისა ხმოვანითა ასოთი, ხოლო უხმოსა თორმეტიდამ თუთხმეტამდის და ოცამდისაც მოითხოვს სიტყვის გვარისამებრო”.

როგორც მოყვანილი მაგალითებიდან ვხედავთ, იოანე ბაგრატიონი თანხმოვანთა თანაბრობას კი არ მოითხოვს, არამედ, პირიქით, იგი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ლექსთა “გვარებში” (თუ ტაეპში) თანხმოვანთა რიცხვი “სიტყვის გვარისებრ” განიცდის ხოლმე ცვლილებას. რაც შეეხება ხმოვანს, “ხმოვანი კი არ უნდა მოაკლდესო”, “ხმოვანი ისევ სრულებით უნდა იყოსო” და ა. შ.

²⁹¹ აკ. გაწერელია, ქართული კლასიკური ლექსი, 1953, გვ. 56. დაყოფა ავტორისაა. — რედ.

მაშ, ლექსთა “გვარების” ანალიზის დროს ხმოვნებთან ერთად რატომ აღრიცხავს იოანე თანხმოვნებს? სპეციალურ ლიტერატურაში გამოითქვა მოსაზრება, რომ “მეტრიკის მხრივ ქართული ლექსის “გვართა” ანალიზის დროს ავტორმა მექანიკურად გაიგო “გრძელი” და “მოკლე” (resp. მახვილიანი და უმახვილო) მარცვლების დათვლის ის ხერხი, რომელიც რუსულ ვერსიფიკაციაში იყო გავრცელებული. ქართულ ლექსში მათ ექვივალენტებად იოანემ “უხმო” და “ხმოვანი” ასოები აირჩია”²⁹².

ი. ბაგრატიონის ნაშრომი ქართულ ლექსწყობაზე მრავალმხრივ არის საინტერესო და ჯერ კიდევ საფუძვლიან შესწავლას მოითხოვს.

იოანე ბაგრატიონის მსოფლმხედველობა ყალიბდებოდა ფეოდალიზმის რღვევისა და კაპიტალიზმის განვითარების პერიოდში, კლასობრივ წინააღმდეგობათა გამწვავების დროს, რამაც თავის მხრივ განაპირობა ი. ბაგრატიონის ფილოსოფიურ შეხედულებათა ჩამოყალიბება. ამასთან, რუსეთის მოწინავე საზოგადოებრივ წრებთან იოანეს ახლო ურთიერთობამ თავისებურად წარმართა მწერლის აზროვნება, გააფართოვა მისი გონებრივი ინტერესები. იოანემ შეითვისა რუსული ფილოსოფიის იდეები და გაიცნო იმ დროის რუსეთში მეტად გავრცელებული დიდი ფრანგი განმანათლებლების შეხედულებანი, რის შედეგადაც, მართალია, მკვეთრად არა, მაგრამ მაინც შეინიშნება მის შემოქმედებაში განმანათლებლების და, კერძოდ, ვოლტერის გავლენა.

იოანე ბაგრატიონი ქართველი ენციკლოპედისტი და განმანათლებელია. “კალმასობაში” ნათლად ჩანს განმანათლებლური იდეები. თავის შეხედულებებს ავტორი გადმოგვცემს თხზულებაში ვოლტერიანელი პერსონაჟების შეხედულებების სახით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თხზულების მთავარი მოქმედი პირი იონა ხელაშვილი ერთგან გამოხს ვოლტერისა და მისი მიმდევრების ფილოსოფიურ შეხედულებებს. იონას თქმით, “ვოლტერის შემდეგნი (მიმდევარნი. — რედ.) ღვთისაცა წინააღმდეგ არიან და ხელმწიფეთაცა და სჯულისაცა”. ისინი “არც ღვთისყოფასა ასწავლიან და არც სულისა უკვდავებასა”. ამიტომ “ამისთანა სწავლა რა საჭირო არს, რომელიც ასწავლის უწმინდურებასაცაო”. მაგრამ ამ შემთხვევაში იონა ბერის შეხედულება არ არის გამომხატველი ავტორის მოსაზრებებისა. მთელი თხზულების მანძილზე იოანე ბაგრატიონი იონა ხელაშვილს თანაუგრძნობს მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ახალ, პროგრესულ შეხედულებებს გადმოგვცემს, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ იონა ძველ, ჩამორჩენილ, კონსერვატორულ მოსაზრებებს გამოთქვამს, ავტორი მას

²⁹² აკ. გაწერელია, ქართული კლასიკური ლექსი, 1953, გვ. 5. დაყოფა ავტორისაა. — რედ.

დასცინის, აბუჩად იგდებს ზურაბას თუ სხვა პირთა საშუალებით. ამიტომ ი. ბაგრატიონის მსოფლმხედველობის გარკვევისას უნდა გავიგოთ, რაში თანაუგრძნობს იგი იონა ბერს და რაში არა. კონკრეტულ შემთხვევაში კი, რა თქმა უნდა, ავტორი არ თანაუგრძნობს იონას და, ამდენად, იონა ხელაშვილის მოსაზრებები ვოლტერის მიმდევრებზე არ შეიძლება მივიჩნიოთ იოანე ბაგრატიონის შეხედულებად.

“კალმასობის” როგორც ისტორიულ-ლიტერატურული ნაწარმოების და ლიტერატურულ საკითხებზე მწერლის შეხედულებათა განხილვისას ნათლად ჩანს, რომ თხზულების მთავარი მიზანია იმდროინდელი საქართველოს ეკონომიური და სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობის დასურათება და მკითხველისთვის ცოდნის დარგების ზოგადი გაცნობა.

“კალმასობას” წითელ ზოლად გასდევს პატრიოტული ტენდენცია. ავტორს სურს დაშლილი და დაქუცმაცებული ქვეყნის აღდგენა, ბაგრატიონთა სამეფოს განახლება და ქართველი ხალხის გამოყვანა მოწინავე ერთა შორის. ამიტომ სამშობლო ქვეყანას მოშორებული იოანე ბაგრატიონი “კალმასობის” საშუალებით ცდილობდა მეცნიერების პროპაგანდა გაეწია და თავის ხალხში ჩაფერფლილი პატრიოტული გრძნობა გაედვივებინა. “კალმასობა” XIX საუკუნის დამდეგის ქართული მწერლობის მნიშვნელოვანი ძეგლია.

ADDEHTA ET CORRIGEHDA

გვ. 147. ქართველ ისტორიკოსთა დასაბუთებული მოსაზრებით, თბილისის მახლობლად მდებარე რუსთავი ჰერეთის პროვინციაში არ შედიოდა და ჰერეთის ერისთავთა მფლობელობაში არ იმყოფებოდა (ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, I, თბ., 1964, გვ. 333: მ. ლორთქიფანიძე, რამდენიმე შენიშვნა პ. ინგოროყვას “რუსთველიანას” და “რუსთველიანის ეპილოგის” გამო, “მაცნე”, 1964, № 6, გვ. 312: დ. მუსხელიშვილი, კახეთ-ჰერეთის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, “ცისკარი”, 1965, № 2, გვ. 140 – 141; ნ. შოშიაშვილი, მე-12 — 14 სს. საქართველოს სახელმწიფო სამართლის ისტორიისა და რუსთველოლოგიის ზოგიერთი საკითხი, “ცისკარი”, 1965, № 9, გვ.129; ალ. ბარამიძე, შოთა რუსთველი და მისი პოემა, თბ., 1966, გვ. 42 — 43) მამასადაძემ, რუსთველი ჰერეთელი ვერ იქნებოდა, მისი რუსთველობა რომ თბილისის რუსთავს დავუკავშიროთ. სავსებით შესაძლებელია, რომ რუსთველი ყოფილიყო მესხი, მესხეთის რუსთავის მფლობელ-მეპატრონე. მით უფრო, რომ მესხეთში ძლიერ პოპულარული ყოფილა “ვეფხისტყაოსანი”. მესხეთში გამოჩენილა ამ პოემის ერთი პირველი, ნიჭიერი წამბაძველ-გამგრძელებელი; ყოველ შემთხვევაში მესხეთშია შეთხზული “ვეფხისტყაოსნის” დამატებანი — “ინდო-ხატაელთა ამბავი” და “ხვარაზმელთა ამბავი”; რუსთველის დროს მესხეთში

გავრცელებული ყოფილა სახელი შოთა: ბორჯომის მახლობლად, ქვაბისხევში, ძველი ეკლესიის კედელზე ახლაც მოიპოვება იმდროინდელი უცნობი დიდებულის ფრესკული გამოსახულება წარწერით შოთა (გ. ჩუბინაშვილი, ქვაბისხევის ხეობის ძველი ბაზილიკა, თუმ, XXXIVab, 1948, გვ. 391, 398; ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, I, 1964, გვ. 222 — 229, 247; აღ. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, IV, 1964, გვ. 394 — 396; ს. ცაიშვილი, შოთას პორტრეტი ქვაბისხევის ბაზილიკაში, “ლიტერატურული საქართველო”, 14.5.65). მესხად თვლიან რუსთველს პოეტი არჩილი (1647 — 1713) და ხალხური გადმოცემები.